თამაზ მეტრეველი

ველური წაბლის ხეივანი

ანუ “თბილისური საგა” 5 წიგნად

ნოსტალგია

წიგნი I

ნიკა თვითმფრინავში იჯდა და ყველანაირი მნიშვნელობით, ცაში იყო გამოკიდებული. რას შეიძლება განიცდიდეს მართლაც ადამიანი, რომელიც სამშობლოში ლამის თხუთმეტი წელი არ ყოფილა და ახლა კი უკან ბრუნდება? თითქოს აღარც აპირებდა წამოსვლას, თითქოს უკან დასაბრუნებელი ყველანაირი გზაც მოჭრილი ჰქონდა... ამერიკაში საქმე კი ააწყო, არც ურიგო ფული იშოვა, მაგრამ როგორც კი ახალი მთავრობის ხმაურმა მის ყურამდეც მიაღწია, გულმა აქეთ გამოუწია. ტრანზიტი მოსკოვზე ჰქონდა. ერთი ღამეც და მეორე დღეს თბილისში იქნებოდა. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. “ჩავალ და ვნახავ, რაც იქნება, იქნება”, ფიქრობდა ნიკა და თვალს იმ სავარძლისკენ აპარებდა, რომელშიც ქერათმიანი ქართველი გოგონა იჯდა. ეს გოგო მას თვალს არ აცილებდა, აეროპორტში თავიც კი დაუქნია, თითქოს რაღაც ანიშნაო, მაგრამ ნიკამ თვალი აარიდა... ახლა კი მოურიდებლად ტკბებოდა მისი ლამაზი სახის ყურებით და თითქოს უღიმოდა კიდეც... მოსკოვში მთელი ღამე უნდა გაეთია. მისი თვითმფრინავი თბილისისკენ მხოლოდ დილის ათზე მოფრინავდა. ნიკა მოსკოვს არ იცნობდა. სასტუმრო უნდა ეპოვა და ცოტას ნერვიულობდა კიდეც... ჰოდა, როცა მოსკოვის აეროპორტში დოლარს რუსულ “რუბლზე” ახურდავებდა და ამ გოგონამ ღამე ერთ სასტუმროში გავათიოთო, შესთავაზა, ძალიან გაუხარდა... გოგონას ერთი ხელჩანთა ჰქონდა, ნიკას ერთი პიჯაკი და მეტი არაფერი, რადგან ტვირთს ამერიკაშივე მისცა დანიშნულება და თბილისის აეროპორტში უნდა მიეღო...

_ სასტუმრომდე სულ ორი გაჩერებაა, ტაქსის რიგში დგომას და ლოდინს ჯობს ტროლეიბუსით წავიდეთ. _ შესთავაზა გოგონამ და ისიც დაეთანხმა.

გოგონა კიდევ რაღაცეებს სთავაზობდა და ნიკაც ბრმასავით ემორჩილებოდა, ასე რომ, როცა სასტუმროში მის ნომერში აღმოჩნდა და გოგონამ შესვლისთანავე კარი გადაკეტა, ნიკას გაეცინა.

_ გამოდის, რომ თქვენი ტყვე ვარ...

_ არა მაქვს რუსების თავი... აი, ნახავთ, დათვრებიან, დაიწყებენ კორიდორში ხეტიალს და ცხრაჯერ უნდა მომიკაკუნონ... დაჯექით, დაკიდეთ ეგ პიჯაკი, არავინ წაგართმევთ... _ მიმართა მან ნიკას. _ არ გშიათ? ხელს პატარა ტორტი გამოვაყოლე. _ და ჩანთიდან ტორტი ამოიღო, გინდათ, ჩაი შევუკვეთო?

_ როგორც თქვენ გინდათ, _ უპასუხა ნიკამ და სავარძელში ჩაეშვა. გაგონილი ჰქონდა, ქართველი ქალები რუსეთში რუსებზე უარესად იქცევიანო. ქალების მეტი რა ჰყოლია, მაგრამ ასე ადვილად გამოეჭიროთ და ოთახში ჩაეკეტოთ, მის თავს პირველად ხდებოდა.

_ ჩაი არა, მაგრამ გავალ, რაიმე დასალევს შემოვიტან... _ თქვა ნიკამ და სკამიდან წამოდგა.

_ იჯექით, იჯექით, მე თვითონ... _ უთხრა გოგონამ. _ მაგრამ ჯერ ნემსი უნდა გავიკეთო.

_ ნემსი? _ ვერ მიუხვდა ნიკა. _ ნარკომანი ხარ?

_ არა, არა, ჩვეულებრივი ნემსი. ნერვის ანთება მაქვს... სულ ერთი წუთი მჭირდება. _ მერე ჩანთა გახსნა, ერთჯერადი შპრიცი ამოიღო, ამპულას თავი წაატეხა, ხსნარი ამოწოვა, შპრიცი შეამზადა და კაბა მოურიდებლად აიწია. მერე დუნდულა სპირტიანი ბამბით შეიზილა, ნემსი ჩაირტყა და დგუში დაცალა. მას ძაფის ტრუსი, ტანგა ეცვა და, როგორც ნიკამ დაასკვნა, მშვენიერი უკანალიც ჰქონდა. _ ახლავე შემოვალ, _ თქვა მან. გავიდა და სახტად დარჩენილი ნიკა ნომერში დატოვა.

გოგონა უკან მალევე დაბრუნდა. თან არაყი და ორი ბოთლი ლუდიც შემოაყოლა.

_ არაყი, ტორტი და ლუდი? _ გაუკვირდა ნიკას. _ მეგონა შამპანურს მოიტანდი. _ შენობით ლაპარაკზე გადავიდა.

_ მე მაგრად მევასება. _ თქვა გოგონამ და ბოთლი გახსნა. _ შენ არა? _ არაყი ჭიქებში ჩამოასხა და ნიკას მიუჭახუნა. _ ვახ-ტან-გუ-რი. _ დამარცვლა მან და ნიკას მოშიშვლებული მკლავი გაუწოდა. ქალი საკმაოდ პუტკუნა იყო და მისი გრილი და რბილი მკლავის შეხება ნიკას ესიამოვნა. არაყს სიმწარე დაჰკრავდა, ქალის ტუჩებს სიტკბო და, როგორც ხშირად ხდება ამ დროს, ნიკას მთელი ქვეყანა თავისი ეგონა.

_ აუ, რა მაგრად ჭრიჭინებს... _ თქვა საწოლის გამო ნიკამ, როცა შუა პარტიაში იყვნენ.

_ შენ მერე უნდა ნახო. მთელი კორპუსი ქანაობას რომ დაიწყებს... _ უპასუხა ქალმა და ტუჩებზე თითი მიადო, “რა დროს ლაპარაკიაო”.

ნებისმიერ ქალთან წუთიერი გაცნობის შემდეგ, ნიკა თუ ლოგინში ხვდებოდა, “მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუში” აგონდებოდა, მაგრამ მეოცე საუკუნემ ამ ყველაფერს სექსი დაარქვა და ნიკაც ბედის ნაჩუქარ სიამოვნებაზე, როგორც, საერთოდ, მამაკაცთა უმრავლესობა, უარს არ ამბობდა. ქალი “სლანიხა” აღმოჩნდა, ძალიან სწრაფად ათრთოლდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ნიკა მიხვდა, რომ თვლას აზრი არ ჰქონდა, ქალმა მეათე ათრთოლებაზე უკვე ვნებიანი კვნესა და კივილებიც მოაყოლა და სადღაც მეცამეტე-მეთოთხმეტეზე მოამთავრა ყველაფერი...

_ რა გქვია? _ შეეკითხა ნიკა, როცა თავადაც მორჩა.

_ უი, არ მითქვამს? ირინა.

_ ლამაზი სახელია, _ თქვა ნიკამ, ფეხით თავისი ტრუსი მოძებნა და ამოიცვა.

_ რას შვრები, ეე, გაგიჟდი? _ მოქაჩა მკლავებით ქალმა. ქვეშ მოიქცია და მის ტუჩებს დააკვდა. მერე კი ისეთი რიტმი შესთავაზა ზემოდან მყოფმა და ისეთი ზანზარი აუტეხა საწოლს, რომ ნიკას სიცილი აუვარდა...

_ მივფრინავთ, მივფრინავთ... _ თქვა მან და უცბად მამაკაცის ხმა შემოესმა.

_ მიფრინავთ, არა?

_ ვაიმე, ჩემი ქმარი! _ წამოიკივლა ირინამ და საწოლიდან გადავარდა.

ნიკამ მიიხედა და, მისდა გასაოცრად, ნომერში უცხო მამაკაცები დალანდა. რაც შემდეგ მოხდა. ძალიან ძნელი აღსაწერია. ირინა აწივლდა. წამოხტა, რა თქმა უნდა, შიშველი... თითქოს გაქცევა დააპირა, მაგრამ სად წავიდოდა, კარი კაცებს ჰქონდათ გადაკეტილი, და ისიც კუთხეში აიტუზა, თან მკერდს ხელის მტევნებით იფარავდა. ირინას ის პირველი მამაკაცი მივარდა, ლოყებში ულაწუნებდა, აგინებდა, ურტყამდა და: შე ბოზო, ბოზოო, ღრიალებდა. დანარჩენმა ორმა კი, საწოლში გაუნძრევლად მყოფ, შიშველ ნიკას იარაღი დაადო, ტანისამოსი მიაყარა და: ჩქარა, შე ნაბიჭვარო “პლეტი”, თუ გინდა გადარჩეო. ასე რომ, ნომრიდან ტყვიასავით გამოვარდნილი ნიკა, ტანისამოსს

სასტუმროს დერეფანშიღა იკრავდა... ლიფტსაც არ დაელოდა და პირდაპირ კიბეზე დაეშვა. ირინას წივილი ისევ ყურებში ედგა, მაგრამ სანამ სასტუმროს ჰოლს დატოვებდა, ჯიბეები მაინც მოიჩხრიკა. და “ჰოი, საკვირველებავ”, პირწმინდად გაესუფთავებინათ... აღარც საბუთები, აღარც მობილური, აღარც თვითმფრინავის ბილეთი და აღარც ფული, ასე, ორიათას დოლარამდე... არც დაფიქრებულა, ისე აქანდა უკან კიბეზე, ნომერი ღია დახვდა, მაგრამ იქ აღარავინ იყო. არც კვალი იმისი, რომ ორი წუთის წინ აქ ასეთი “მძიმე ტრაგედია” დატრიალდა... ნიკა ისევ ჰოლში ჩაქანდა და ადმინისტრატორთან მიიჭრა... აღმოჩნდა, რომ სასტუმროში შვიდამდე ირინა ცხოვრობდა, მაგრამ ქართული გვარით არც ერთი... “უარესებიც ხდება, მადლობა თქვი, რომ ცოცხალი ხარ, რუსეთი დიდია”, აუხსნა მას სასტუმროს ადმინისტრატორმა, რომელსაც თმაში ვარდი გაერჭო და რუსი ქალის სილამაზის ნიმუშად გამოდგებოდა. “თუ დარჩები, ღამეს ჩემთან გაგათევინებ”. შესთავაზა მან ნიკას და ისიც ერთ ღამეში მეორედ დანებდა ბედის ახალ საჩუქარს...

და მართლაც, თუკი საჩუქარი რაიმეს ან ვინმეს ჰქვია, ეს სწორედ ლარისა იყო.

_ შეგიძლია დაიძინო, მაგრამ თუ სურვილი გაქვს, ჩემთან ერთად წამოდი. დღეს ჩემი დაბადების დღეა. _ უთხრა მან ნიკას. თან გააფრთხილა. _ იცოდე, მხოლოდ ქალები ვიქნებით.

გინახავთ ქართველი კაცი, რომელიც ქალების კომპანიაზე უარს იტყვის? (თუმცა, დღეს ასეთებიც გამოიჩხრიკებიან). მოკლედ, მეორე სართულის კაფეში, სუფრასთან რვა რუსის ქალი და ერთი ქართველი იჯდა, ნიკა. ნიკა ქალებმა სუფრის თავში დასვეს. მაგიდაზე, ძირითადად, რუსული სალათები, ძეხვეული და რვა ბოთლი არაყი იდგა. ნიკას ეს რვა ბოთლი არაყი ისე არ გაჰკვირვებია, როგორც ჭიქები. სუფრაზე ძველებური, თლილი ჩაის ჭიქები იდგა და როცა, ქალებმა ჭიქები ნახევრად გაავსეს, ნიკას, ცოტა არ იყოს, დასცხა. დასცხა და ინანა, რომ ენას კბილი არ დააჭირა და სუფრასთან დაჯდომისთანავე გამოაცხადა: დღეს მე ვარ თამადა და სუფრაც მე მიმყავსო. გოგოები ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ, გარდა ერთისა, ის ერთი ლარისას დედა იყო. ამის გამო, ნიკამ აქცენტი, ლარისას გვერდით მჯდარ ლუდაზე გადაიტანა, რის გამოც, ლარისასგან საყვედური მიიღო, ყველას ეგონა, რომ ჩემი კი არა, ლუდას მოყვანილი იყავიო. მოკლედ, ნიკა თავგანწირულად სვამდა, ან სხვა რა შეიძლება დაარქვას კაცმა, თლილი ჩაის ჭიქებით არყის სმას? ქალებმა რვა ბოთლი არაყი ისე გამოსცალეს, სიმთვრალისა არაფერი ეტყობოდათ. ნიკაც მაგრად იჯდა და, არც ურიგოდ უძღვებოდა სუფრას, მაგრამ ქალებმა რომ რვა ბოთლი გამოცალეს და რვა ბოთლი კიდევ დაამატეს, ნიკას მეორედაც დასცხა, თუმცა, არც ახლა შეიმჩნია და თამადობა განაგრძო. სადღაც ბოლოში, როცა ქეიფი, რომელიც უკვე ღრეობაში გადასულიყო, დასასრულს უახლოვდებოდა, სუფრას სასტუმროს მთავარი მეხანძრე შემოემატა. “Вы что ополдели? Вы все это выпилы?” ჩასჩურჩულა მან ყურში ნიკას. ლარისა რომელიღაც მომღერალს ჰგავდა, ნიკამ, იმ მომღერლის გვარი, ვერაფრით გაიხსენა ვერც სუფრაზე და ვერც ლოგინში. ქალმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუკი სექსში რაიმეს ჰარმონია ჰქვია, ეს სწორედ ის იყო. ქალს ხორბლისფერი კანი და იმდენად სრულყოფილი თეძოები ჰქონდა, ნიკას თავი აკვანში ეგონა. მალე ლარისა ისე გადაირია, ნიკა ხელებით საწოლის გვერდებს რომ არ ჩასჭიდებოდა, ჭერამდე მოუწევდა ფრენა. გაუძლო, მაგრამ იმდენად მთვრალი იყო, მორჩა თუ არა, ვერ მიხვდა. დილას, როცა ლარისა ნიკას ავტობუსისკენ მიარბენინებდა და ჯიბეში, ვითომც მძარცველების მიერ სასტუმროს ადმინისტრატორთან დატოვებული პასპორტი და თვითმფრინავის ბილეთი ჩაუტენა, ნიკამ მაინც აუხსნა ლარისას სიყვარული. დაახლოებით, ასეთი რამ უთხრა: არ მჯეროდა თუ ქალის ერთი ნახვით შეყვარება შეიძლებოდა. ჩვენ ალბათ აღარ შევხვდებით, მაგრამ გახსოვდეს, რომ მე შენს

მიმართ სიყვარულის გრნძობა გამიჩნდაო. “რა სისულელეს არ იტყვის “პახმელიაზე” კაცი, მით უმეტეს, თუ ის ქართველია”, _ ფიქრობდა მერე ნიკა. რა ანალიზი იმას სჭირდებოდა, რომ მოსკოვის აეროპორტში, ერთიანი, კარგად ორგანიზებული გაქნილი ბანდა მუშაობდა, რომლებსაც ნიკასნაირი ბაიყუშები ლიფსიტებივით უვარდებოდათ პირში. მოკლედ, ნიკა იმ მეხანძრის ლაპარაკმა ისე დააეჭვა, ისიც კი გაიფიქრა: ვინ იცის, ქალები იქნებ წყალს ყლურწავდნენ და არაყს მარტო მე მასმევდნენო. ჩავთვალოთ, რომ იმ ღამეს ნიკამ ორ ქალს ორიათასი დოლარი მიაფშვნიტა. ...

სოლომონს ინსულტმა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადაიტანა, ღრმა სკლეროზი დაუტოვა. ვეღარც შინაურს სცნობდა და ვეღარც გარეულს. ერთმანეთში აერია ბავშვობის, ახალგაზრდობის და შუახნის წლები. დაფარფატებდა ოთახიდან ოთახში და უაზრო ლაპარაკით გულს აწყალებდა. ამის შემხედვარე ვერიკო ყმუილის ხასიათზე დგებოდა, მაგრამ რა ექნა, თავს ზემოთ ძალა არ იყო და ისიც ხან უდრტვინველად, ხან ბუზღუნ-ბურტყუნით და ხანაც ლამის წივილ-კივილით ასრულებდა თავის მოვალეობას. მას ახლაც შპრიცი ეკავა ხელთ და მორჩილად იცდიდა, როდის მორჩებოდა ნამდვილ ღრიალს სოლომონი. სოლომონისთვის ნემსის გაკეთება ნამდვილი ჯვარზე გაკვრა იყო. ათასჯერ ერჩია, თავი გაეტეხათ ან ხელ-ფეხი მოემტვრიათ, ვიდრე ნემსი გაეკეთებინათ. ახლაც ბევრი იყვირა, იღრიალა, მაგრამ ბოლოს, მაინც ბედს დამორჩილდა და შარვალი ჩაიწია. ვერიკოც გამწარებული ისეთი ძალით ჩაჰკრავდა ხოლმე ნემსს, თითქოს ყველა წყენა, რომელიც ცოლქმრობის მანძილზე დაეგროვებინა, ერთბაშად უნდა გააბათილოსო და სოლომონის ბოლო შეყვირებაც იქაურობას აზანზარებდა.

_ რომ მცოდნოდა ასეთი მშიშარა იყავი, არ არსებობს, არ გამოგყვებოდი. _ დააყოლა ვერიკომ, როცა ნემსი დუნდულიდან ამოაძრო.

_ ნეტავ გცოდნოდა! _ უპასუხა სოლომონმა და შარვალი შეიკრა.

_ ჰოო, არა? რას იზამ, გვიანია თითზე კბენანი... _ ეწყინა ვერიკოს.

_ ჯერაც არა ხარ ჩაცმული? რაღას უყურებ, არ მივდივართ ვაშლების დასარგავად? _ შეეკითხა ცოლს სოლომონი.

_ რა ვაშლების? _ გაუკვირდა ვერიკოს.

_ გუშინ რომ მოვიტანე ნერგები ბაზრიდან. ამერიკული ჯიშები. სარდაფში არ ჩავიტანე და წყლიან ვედროში ჩავაწყვე. _ უპასუხა ქმარმა.

_ სად აპირებ მერე დარგვას? _ დაინტერესდა მეუღლე.

_ როგორ თუ სად ვაპირებ, ნატახტარში არ მივდივართ? _ განცვიფრდა სოლომონი.

_ ააა. კარგი, იწექი ცოტა ხანს, ნუ ადგები. _ მოიფიქრა ვერიკომ და შპრიცით ხელში სამზარეულოში შევიდა, სადაც დედამისი ჭარხლის ფოთოლს რეცხავდა. ვერიკომ შპრიცი ნაგვის ვედროში ჩაუძახა, სკამზე ჩამოჯდა და გულხელი დაიკრიფა.

_ დედა, შენი სიძე ნატახტარში აპირებს წასვლას, ვაშლის ნერგები რომ მოვიტანე გუშინ, არ უნდა დავრგათო? რატომ ჩაცმული არა ხარო, მეკითხება.

ელისოს ხელი გაუშეშდა.

_ მეტი არაფერი? მთლად აურია, რა უნდა ვქნათ?

_ რა ვიცი, ეგებ წამლებმა იმოქმედოს ცოტა.

_ არა მგონია, წამლებმა რაიმე უშველოს, _ არ დაეთანხმა ელისო. _ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

_ რა ყველაფრისთვის? _ შეშფოთდა ვერიკო.

_ რა ვიცი, რამე სისულელე არ ჩაიდინოს, ცეცხლი არ წაგვიკიდოს, საერთოდ... რატომ შეშფოთდი ასე?

_ არ ვიცი, გული გადამიქანდა. მაშინვე ყველაზე უარესს ვფიქრობ. მეცოდება. _ უპასუხა ვერიკომ. _ მე წასასვლელი ვარ. თორმეტზე მოსწავლეები მყავს დაბარებულები. შევივლი ბარემ კაფეში და ტორტსაც შევუკვეთ. _ შიგნიდან კარის ჩაკეტვა არ დაგავიწყდეთ, თორემ კიდევ რომ გაგვეპაროს და ახლა ნატახტარში წავიდეს, პატრული ვეღარ გვიშველის...

_ კარგი, წადი, წადი, ამ ჭარხალს მე მივხედავ. სხვა... რა უნდა ვაკეთო?

_ დასაჭრელია ყველაფერი, დედა. აი, _ ვერიკომ ელისოს ქვაბზე მიუთითა, რომლიდანაც ორთქლი ამოდიოდა და რომელშიც სტაფილო, კარტოფილი და მოხარშული კვერცხები ეწყო. _ მოხარშულია ყველაფერი. მარტო დაფცქვნა და Dდაჭრა უნდა. მაიონეზს მე შემოვიტან... კუჭმაჭია კიდევ წვრილად დასაჭრელი. ეს ანიც აღარ გამოჩნდა. მოკლედ, მოვა, ალბათ, და დასაქმე. ეს კუჭმაჭი იმას დააჭრევინე და იქნებ "ნაპოლეონისთვის" კრემიც გაამზადოს. მე ერთ საათში მოვრჩები და ორის ნახევარზე აქ ვიქნები.

სამზარეულოს კარში სოლომონი გამოჩნდა.

_ ვერიკო, შენ რა, ჯერაც არა ხარ მზად? _ მიმართა მან ცოლს. _ მანქანის გასაღებს ვერ ვპოულობ.

_ რა გვეშველება? _ ჩაილაპარაკა ვერიკომ და ქმარს მიუტრიალდა. _ რა დროს ნატახტარია, კაცო, არ უნდა გახსოვდეს, დღეს რა რიცხვია? დღეს ფერისცვალება როა, დაგავიწყდა? შენი სიდედრის დაბადების დღეა, კაცო, შენი სიდედრის. ოთხმოცი წლის რომ გახდა, დილას მაგაზე არ გელაპარაკებოდი?

_ მერე ნერგები? _ გაუკვირდა სოლომონს.

_ რა ნერგები, კაცო, როდის იყო აგვისტოში ნერგებს ვრგავდით, ნერგებს აპრილში არ ვრგავთ? _ სცადა ქმრის ჭკუაზე მოყვანა ვერიკომ.

_ მაშინ რაღას მაყიდვინეთ, ტყუილად გადამაყრევინეთ ორმოცი მანეთი? _ გამწარდა სოლომონი.

_ რა მანეთი, კაცო, სადღაა მანეთი. დღეს ლარებს ვხმარობთ, ლარებს, ქართულ ფულს, დაგავიწყდა? _ შეეკითხა ქმარს ვერიკო.

_ ჰო, ჰო, დღეს ლარია მიმოქცევაში, დაგავიწყდა? _ ჩაერია ცოლ-ქმრის საუბარში ელისო.

სოლომონი ჩაფიქრდა. მაგიდას მიუჯდა და ქალებს უაზროდ მიაშტერდა.

_ მომეცით რამე, მეც დაგეხმარებით. _ მიმართა მან ქალებს.

ელისომ მოხარშული ბოსტნეულის ქვაბი მისკენ მიაჩოჩა.

_ აი, ეს დაფცქვენი!

ვერიკომ წინსაფარი შეიხსნა და ქმარს ააფარა.

_ მოკლედ, მე წავედი და ვეცდები, მალე მოვიდე. _ Yთქვა მან და გასასვლელისკენ წავიდა. ამ დროს კარზე ზარის ხმაც გაისმა. ვერიკომ კარი გამოაღო.

_ მე ვარ, _ თქვა თეონამ და სახლში შემოვიდა.

_ სად დაიკარგე, თეონა, აქამდე? დილიდან გასულები ხართ. _ უსაყვედურა ვერიკომ. _ ანი რაღა იქნა?

_ ანი სამსახურში წავიდა. რა ვიცი, აბა? მე მარშრუტკაში ჩამსვა და გამომისტუმრა, _ თქვა თეონამ.

_ შეარჩიეთ რამე, იყიდეთ? _ შეეკითხა ვერიკო.

_ სამჯერ შემომარბენინა მთელი ბაზრობა. სულ ბანძი, ბანძი, ბანძი ყველაფერი. _ ახსენა თავისი საყვარელი სიტყვა თეონამ.

_ ცარიელები მობრუნდით? _ ეწყინა ვერიკოს.

_ რატომ, ვიყიდეთ. _ თეონამ ვერიკოს ცელოფანის პარკი უჩვენა. _ ძალიან მაგარი რამე ვიყიდეთ.

_ აბა, მაჩვენე. _ თხოვა ვერიკომ.

_ არა, ვერ გაჩვენებთ. ანიმ მითხრა, არავის აჩვენო, მე თვითონ საზეიმოდ უნდა გადავცეო. _ პარკი ზურგს უკან დამალა თეონამ.

_ და მე არ უნდა ვიცოდე, რას ვჩუქნი დედაჩემს? _ ეწყინა ვერიკოს.

_ ცოტაც მოითმინეთ, რაა? რაღა დარჩა. _ უსაყვედურა თეონამ.

_ ჰო, კარგი... ლობიოს ხომ გაარჩევ? ჰოდა, გაურჩიე ბებოს და დაადგმევინე. ჭარხალი უჩემოდ არ შეკმაზოთ! ელისოს დაუჯერებ, სანამ მე მოვალ. გასაგებია?

_ არის! _ "ჩესტი" აუღო ვერიკოს თეონამ.

_ კარგი, აბა, მე გავიქეცი, დამაგვიანდა ამასობაში... _ თქვა ვერიკომ და კარი გაიკეტა.

_ ბებიკო? ბებიკუნა? _ თეონამ მისაღებში შეიხედა. _ ბეკო, ბეკო, ბეო, კარი გამიღეო, პირით საუზმე მომაქვს, ძუძუებით რძეო. _ ელისო იქ არ დახვდა. _ ბებო? საითა ხარ, ბებო?

_ აქა ვარ, შვილო, სამზარეულოში, _ გააგონა ელისომ.

_ ბებო, ჩვენი კლასი მომავალ კვირას უფლისციხეში მიდის. _ შევიდა თუ არა, ახარა ბებოს თეონამ.

_ მერე? _ შეეკითხა ელისო.

_ მასწავლებელმა ფული მოიტანეთო.

_ გასაგებია, დედა არ გიშვებს. _ დაასკვნა ელისომ

_ ჰო, თქვენი მასწავლებელი მოცლილია, რაში ენაღვლება, თვეში ცხრაჯერ ჩვენი ფულით ექსკურსიებზე დაგრიალებს, სად გაგონილა ამდენი ექსკურსიებიო?

_ კარგი, ვერიკოს არ უთხრა, მე მოგცემ, იქამდე ჯერ დიდი დროა... _ დაჰპირდა ელისო.

_ ვაშაა! _ გადაეხვია ბებოს თეონა. _ ვიცოდი, ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდი. აუ, როგორ მიყვარს ექსკურსიაზე სიარული, იცი? შენ ყველაზე საყვარელი ბებიკო ხარ მთელი დედამიწის ზურგზე...

_ ჰო, სანამ გაიზრდები, _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ მეტი რაღა უნდა გავიზარდო, მეტრი და სამოცდათხუთი ვარ უკვე. _ ეწყინა თეონას.

_ კი სიმაღლე გემატება, ჭკუაზე კი რა მოგახსენო.

_ კარგი რა, ბებო, მე შენ სულ მეყვარები, ნუ იცი ხოლმე რა, მაგის თქმა...

_ ლოგინად რომ ჩავვარდე მაშინაც? ან ამ ჩემი სიძესავით სკლეროზი რომ დამემართოს?

_ არა, ბებო, შენ არც ლოგინად ჩავარდები და არც სკლეროზი დაგემართება და არც არასოდეს მოკვდები. ხომ არ მოკვდები, არა? _ შეეხვეწა ბებოს თეონა.

_ ჰო, ცას კიტრად გამოვებმები... _ გაეცინა ელისოს.

_ ცას კიტრად გამოებმები? ეგ რაღას ნიშნავს? _ ვერ მიუხვდა თეონა.

_ რა ვიცი, ასე ამბობენ. ადამიანი რომ დაბერდება და არა და აღარ კვდება... ღმერთსაც რომ აღარ სჭირდება და საიქიოს კარს მიუკეტავს ხოლმე... _ მოუძებნა თავის ნათქვამს ახსნა ელისომ.

_ მე რომ საიქიოს კარის გასაღები მქონოდა, არ გავაღებდი არასოდეს და არავინ აღარ მოკვდებოდა. იცი, ბებო, როცა პირველად გავიგე, რომ ყველა კვდება და მეც უნდა მოვკვდე, მთელი ღამეები არ მეძინა, მინდოდა, უკვდავი ვყოფილიყავი. სულ ეშმაკებსა და ქაჯებზე ვფიქრობდი.

_ არ ვიცი, ალბათ, ყველაფერს ჯობს დროზე მოკვდე. არც იქით, არც აქეთ! _ ჩაილაპარაკა ელისომ.

სამზარეულოში ჩაფიქრებული სოლომონი შემოვიდა.

_ ძალიან მაწუხებს, ძალიან... _ წყენით ჩაილაპარაკა მან.

_ რა გაწუხებს? _ შეეკითხა სიდედრი.

_ რა მაწუხებს და გატეხავენ ისევ სარდაფს და მოიპარავენ ვაშლის ნერგებს. არ უნდა გადაგვედო ხვალისთვის... ფილთაქვის ქვა მოიპარეს და ვაშლის ნერგებს გააჩერებენ? _ მიაყარა სოლომონმა.

_ ნეტავ, რომელ საუკუნეში ცხოვრობს ეს კაცი... _ გადაულაპარაკა ელისომ თეონას, რომელსაც ეღიმებოდა. _ ნატახტარში ნაკვეთი, ოცდაათი წლის წინ, ეს როცა სოფმშენში მუშაობდა, მაშინ გვქონდა, ორი, თუ სამი წელი, დროებით სარგებლობაში...

_ სად არის მანქანის გასაღები, შევიყვან ფარეხში, თორემ ამოწრუპავენ მთელ ბენზინს... _ წამოდგა სკამიდან სოლომონი.

_ შენი ჭირიმე, დაჯექი რაა და დაფცქვენი ეგ კარტოფილი, _ შეეხვეწა ელისო. _ ვინღა იპარავს დღეს ბენზინს, ათასნაირი ბენზინი იყიდება.

_ მომეცი გასაღები და ჭანჭურის ჯემს ამოვიტან სარდაფიდან. _ ჭანჭურზე გადავიდა სოლომონი.

_ რომელი სარდაფიდან, კაცო! _ გაუწყდა მოთმინების ძაფი ელისოს. _ არა აქვს ამ სახლს სარდაფი, არა! ან მანქანის გასაღებს რომ ეძებ, მანქანა ნიკა რომ მიდიოდა ამერიკაში, გზის ფული რომ გვჭირდებოდა, მაშინ არ გავყიდეთ?

_ ვინ ნიკა? _ ჩაფიქრდა სოლომონი.

_ ვინ და შვილი შენი, შვილი... ჯერ ხომ რეზი დაიბადა, მერე ნიკა გაჩნდა, მერე ანი და ნაბოლარა კიდევ ხომ ირაკლია. ნიკა კი, აი, ამის მამა, ბიჭო, აღარ გახსოვს? _ ჩაუწკაპუნა თეონას თავში ელისომ. _ ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, აღარ გახსოვს?

_ არა, აღარ მახსოვს. მაისაშვილი ნიკა მახსოვს მარტო, გორპროექტში პარტკომი რომ იყო. _ გამოლენჩდა სოლომონი.

_ პარტკომი არა, პროფკომი... შენი გვარი, შენი გვარი თუ გახსოვს? _ ჩააცივდა ელისო.

_ ჩემი გვარი? ნებიერიძე არა ვარ?

_ ნებიერიძე არა, დადეშქელიანი... _ ელისომ პირჯვარი გადაისახა. _ ღმერთო, შენ გადაგვარჩინე!

თეონას ლამის ყურებამდე გაეხა ყბები.

ირაკლი, ძმებში ყველაზე უმცროსი, ცალკე ბინაში, ვერაზე, ოროთახიანში ცხოვრობდა. ის ცარიელ ტრუსში გამოწკეპილი, მაგიდას მისჯდომოდა და ბორჯომს ყლურწავდა. იქვე კი მოკლე კაბაში, სარკის წინ, მასთან ღამე-ნათევი, მსუბუქი ყოფაქცევის გოგონა იდგა და მაკიაჟით იყო დაკავებული.

_ ორასი ათასი სამ თვეში? წელიწადში მილიონი გამოდის, მილიონამდე... ჩემი რამდენია, იქიდან? _ ჰკითხა მან გოგონას.

_ ოცი პროცენტი.

ირაკლიმ შეუსტვინა.

_ ამდენი ფული აქვს მაგ ნაგავს?

გოგონამ არაფერი უპასუხა. შემოტრიალდა, ფეხები განზე გადგა და ირაკლის ხელით, ბარძაყებზე მიანიშნა.

_ ჰო, მაგარია. იკაიფე რა? _ გოგონამ ბარძაყები მიატკუცა. _ მარტო სამგან უნდა გადიოდეს შუქი, აქ, აქ და აქ. ჰო გადის? გამოხედე!

_ ჰო, გადის, გადის! _ მიუგდო ირაკლიმ აგდებულად. _ ახლა შენც გადი რა, დროზე აქედან! _ და ირაკლიმ კარი ბოლომდე გამოაღო. _ აბა, ჰე, შვიტ! გავარდი! მერე დამიმესიჯე!

გოგონა კუსკუსით გამოიქცა კარისკენ, პომადიანი ტუჩები წინ გაბზიკა და ირაკლის ლოყა მიუშვირა.

_ პაჩი, პაჩი?

ირაკლიმ ლოყაზე აკოცა და კარი შეიკეტა. ამ დროს მისი მობილურიც აწკრიალდა. ირაკლიმ ნომერს დახედა და უპასუხა.

_ ჰოო, დედა... სად მცალია, დედა, დრო რომ მქონდეს... ვახ, ექვსამდე ერთი წუთი არ მაქვს, ერთი, თავისუფალი... რა? კარგი რაა, დედა, რაა? ჯერ მერიაში ვარ მისასვლელი, მერე ენჯეოა ერთი, შემჭამეს, დაპირებული ვარ, იქ რომ არ მივიდე, არ არსებობს... მერე, სანამ სხდომა დაიწყება, პარლამენტის მისაღებში უნდა დავერჭო... მოკლეედ, ექვსიდან რვამდე შენს განკარგულებაში ვარ და რაც გინდა, დამავალე... ჰოო, კარგი, კარგი, ნაბეღლავი, ბორჯომი, კოკა-კოლა, შოთები და ხაჭაპური... გასაგებია, მაგრამ ყველაფერი მე რომ ამკიდე, ჩემს ძვირფას ძმას არაფერს ავალებთ? კაი, ჰო, გავიგე, დედა, გავიგე! ირაკლიმ მობილური გამორთო და საწოლზე გაიშხლართა. _ ბებიაჩემის იუბილე მინდოდა მე ახლა? _ ჩაილაპარაკა და მობილურზე ნომერი აკრიბა. _ ნუგზარ ბიჭო, რა მაგარი პონტი გავჩითე... მერე მოგიყვები დაწვრილებით, კაი კუში შეიძლება მოვარტყათ. ჰოო, მერე, მერე... ნუგზარ, ახლა მომისმინე. გამოართმევ ჩემი სახელით, ლამარას ფულს... ჩვენს მოლარეს. ჰო... ნუ ასი ლარი უნდა გეყოს. იყიდე ათი ბოთლი კოკა-კოლა, ან ნახევარი ფანტა, ნახევარი კოკა-კოლა, ასე აჯობებს. ხაჭაპური, მარუსიას შეუკვეთე და კაი ხაჭაპური გამოაცხობინე. თორმეტი, რა ვიცი, თოთხმეტი იყოს. შოთები, კახელი როა, ბეგლარა, მაგას გამოართვი, მაგდენივე დაახლოებით, დანარჩენის რაც მოგივიდეს, ბორჯომი და ნაბეღლავი და ჩემს მანქანაში ჩააწყვე. გასაგებია? სადღაც ხუთზე უნდა მოვიდე, ხომ მშვიდობაა? აბა, ჰე... _ ირაკლიმ მობილური დადო, პლედი თავზე წაიფარა და დაიძინა. საღამომდე კიდევ დიდი დრო იყო.

რეზიმ, სოლომონისა და ვერიკოს უფროსმა ვაჟიშვილმა, სადარბაზოს კიბე სავსე პარკებით ხელში აიარა და მშობლიური ბინის კარზე ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი თეონამ გაუღო... რეზიმ პარკები მიაწოდა.

_ გამომართვი ესენი.

_ არ შემოხვალ? _ გაუკვირდა თეონას.

_ მცალია შემოსასვლელად? _ ხელი გაიქნია რეზიმ. _ ან მექეიფება მე დღეს? ანდა, ვინმე რამეს მეკითხება, საერთოდ?

_ კარგი, რა, რეზი... _ ეწყინა თეონას. _ ყველაც ყველაფერს გეკითხება, აი, სად მიდიხარ ახლა? გეკითხები, მიპასუხე!

რეზიმ გაკვირვებულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა თეონა და მხოლოდ ახლაღა შენიშნა, რომ ამასობაში თეონა დაქალებულიყო კიდეც.

_ შენ რა... მე მოვიტანე? თქვენ გააკეთეთ! მე რაღაში გჭირდებით, ფეხებში უნდა მოგებლანდოთ, ტყუილად.

_ ვიცი, სადაც მიდიხარ, ვიცი... ტოტალიზატორში ან კაზინოში, ჰო ასეა? _ შეეკითხა დამრიგებლური ტონით თეონა.

_ თეონა, არ გამაბრაზო, ახლა, შეიკეტე კარი და შედი სახლში! _ რეზიმ ხელი ჩაიქნია და კიბეზე დაეშვა.

ჯერ მეორე სართულამდე არ ჩაეღწია, რომ ანის შეეფეთა. რეზიმ დას კუშტად შეხედა.

_ შენ რა, მიდიხარ უკვე? რატომ არ დარჩი? _ გაუკვირდა ანის.

_ მოვალ, საღამოს მოვალ. სხვა რა გინდათ. მოვიტანე, რაც დედაჩემმა დამავალა... _ მიახალა რეზიმ უხეშად.

_ კაი ბატონო, შეგეკითხე... შენ რა სულ ხმლის ტარზე გიკიდია ხელი? _ რეზი მიტრიალდა და კიბეზე ბურტყუნით დაეშვა.

“თავის უტვინობას სხვებს აბრალებს”, გაიფიქრა ანიმ და კიბეზე ასვლა განაგრძო.

_ ჩემი დამთხვეული არ გამოჩენილა? _ იკითხა ანიმ, როცა სამზარეულოში შევიდა, სადაც სოლომონი სტაფილოს წვრილად ჭრიდა, ხოლო ელისო ჭურჭელს რეცხავდა.

_ არა, _ მოკლედ მოჭრა ელისომ.

_ მოიხედე აქეთ, ქალო, გაკოცო! არ მოგილოცო? _ თქვა ანიმ.

_ უი, სულ დამავიწყდა. _ ახლაღა მოხედა ანის ელისომ. ქალებმა ერთმანეთი გადაკოცნეს. ანის ფრანგული სუნამოს სასიამოვნო სუნი ასდიოდა. “ამან თავს მაინც უშველა. კაი მაიმუნია” _ გაიფიქრა ელისომ.

_ ჩემი ტკბილი ბებია, ეშმაკს დავიწყებია. _ ჩაიღიღინა ანიმ, პიჯაკი გაიძრო და და სამზარეულოს კარში გამოჩენილ თეონას მიაჩეჩა. _ ეს მომაშორე, რა... _ და დააყოლა, _ ხომ არ გიჩვენებია?

_ არა! ვერიკოს ძალიან უნდოდა რომ მეჩვენებინა, მაგრამ მე ვუთხარი _ საზეიმო ვითარებაში უნდა გადავცეთ-მეთქი. ხომ კარგად მიპასუხია? _ შეეკითხა ანის თეონა.

_ გენიალურად. _ თქვა ანიმ და ელისოს მიუბრუნდა. _ აბა, დამასაქმეთ ახლა, ჩქარა, _ თან მაჯაზე გაკეთებულ საათზე დაიხედა. _ ზუსტად ერთი საათი მაქვს დრო...

_ იცი, რა? აქაურობას ჩვენც მივხედავთ და ფანჯრებს თუ დაგვიწმენდს თქვენი ბრწყინვალება, ყველაზე კარგი საქმე ეგ იქნება, _ უთხრა ელისომ.

_ კარგი რა, ბებო, როდის იყო, ფანჯრებს ვწმენდდი? თანაც სტუმრებს ხომ არ ველოდებით, დარჩეს, როგორც არის... ნეტაი შენ. _ თხოვა ანიმ.

_ მაშინ მტვერსასრუტი ჩართე და ხალიჩა გაწმინდე... _ თხოვა ელისომ.

_ კაი რა, ბებო, რა? ცოტა ნორმალური რამე დამავალე, ხომ იცი, როგორ ვნერვიულობ, ის ჩემი გიჟი ორი ღამე რომ არ მოსულა შინ... შენი დაბადების დღე როა, ალბათ, ემახსოვრება...

_ შვილო, რაც გასაკეთებელია, მე იმას გავალებ, თორემ თუ გინდა, ნურაფერს ნუ გააკეთებ. _ ეწყინა, ბოლო-ბოლო, ელისოს.

_ მინდა? ხომ იცი, როგორ მეჯავრება სამზარეულო და სახლის დალაგება... _ არ დაიბნა ანი. _ ხალიჩას აი, თეონა მიხედავს...

_ ვა, რა კაია, ბიჭო... _ ეწყინა თეონას. _ მე ლობიო დავდგი.

_ ლობიო დადგი? _ განცვიფრდა ანი. _ რას მელაპარაკები. მაშინ შეგიძლია ერთი თვე მასე გაუნძრევლად იდგე.

_ კაი, მაშინ ხალიჩას გავწმენდ. _ ჩაიბურდღუნა თეონამ, მიტრიალდა და მისაღებისკენ გააბიჯა.

_ ნეტავ, რაღას მობრძანდებოდი, თუ ხელის გატოკება გეზარება? _ მაინც უსაყვედურა ელისომ ანის.

_ ერთი საათი მაქვს, ელისო, თავისუფალი და შემოგიარეთ, _ ლამის ბუდეებიდან გადმოსცვივდა თვალები ანის. _ რა ვიცი... ხომ უნდა ჩამთვლოდა, არა, რომ მეც ვითომ რაღაც გავაკეთე. ერთ საათში გარემოს დაცვის კვირეული იწყება და გახსნაზე უნდა ვიყო... გოჭი შეკვეთილი მაქვს, გაასუფთავებენ, შეკმაზავენ, შებრაწავენ და მოგართმევთ, ბატონო... პატარა საქმეა?

_ რა ვიცი, ისე საქმიანად გაიძრე ეგ პიჯაკი და მიაჩეჩე იმ ბავშვს, მეგონა ახლა ეს დატრიალდება და ყველას გვაჯობებს-მეთქი... _ გაიცინა ელისომ.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონა გაიქცა და გააღო. ვერიკო შემოვიდა. ფეხსაცმელი გაიხადა, ფლოსტები ამოიცვა და სამზარეულოში შევიდა.

_ ოჰ, მობრძანებულა ჩვენი ვარსკვლავი, _ ჩაილაპარაკა მან ანის დანახვაზე. _ რჩები თუ გვტოვებ, როგორც ყოველთვის?

_ რანაირად დავრჩე, დედა, _ გაიკვირვა ანიმ. _ ერთ საათში რეპორტაჟი უნდა გავაკეთო, მერე პრესკონფერენციაზე უნდა გავვარდე, ჯანმრთელობის სამინისტროში, მერე ხომ უნდა დავამონტაჟოთ, არა, ეს ფირი, რასაც გადავიღებთ... ხომ მივუძღვენი, არა, მთელი დილა ელისოს?

_ გრცხვენოდეს, ჩვენთვის ორი ნაბიჯი გადადგი და მაშინვე დაგვამადლე. _ არ დაუთმო ვერიკომ.

_ რა ვქნა, დედა, მართლაც საქმე მაქვს, აბა, მე თუ ასე არ ვიწანწალე, ხონჩით ვინ მომართმევს ხელფასს? _ თავი იმართლა ანიმ.

_ არა, არა, ძალიან ძნელია, ძალიან ძნელია დღეს პედაგოგობა. არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ბავშვებს, სამ-ოთხ სიტყვას ვაძლევ საზეპიროდ, მეტს კი არა და მაინც ზარმაცობენ... _ დაიჩივლა ვერიკომ.

_ იცი, რას გეტყვი? შენ ძალიან კარგი სამსახური გაქვს, ვერიკო. _ მიუტრიალდა შვილს ელისო. _ თან იტალიურის სპეციალისტები ცოტანი ხართ და სხვებთან შედარებით, მეტსაც გიხდიან... მაშ დაწყებითების პედაგოგებმა რა უნდა თქვან?

_ კარგი, რა დედა! თუკი ჩემი შრომის, როგორ ვთქვა, სიკეთე და მადლი არ დავინახე, მარტო იმაზე ხომ არაა, რამდენს მიხდიან?

ამ ყოველივეს დიდი ყურადღებით ისმენდა თეონა. რატომღაც ჩაფიქრდა. მერე მტვერსასრუტი ჩართო და ხალიჩის გაწმენდა დაიწყო.

ნიკა თვითმფრინავში ისე ავიდა, უკან, მოსკოვისკენ აღარც გაუხედავს. თავს შეურაცყოფილად გრძნობდა. შევიდა თუ არა სალონში, მიხვდა, რომ სამშობლოში იყო. ეს აღარ იყო არც აერობუსი და არც სუპერლაინერი. არც სავარძლებს დაჰკრავდა ის პეწი, რომელსაც მიჩვეულიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც ისეთი აურა იგრძნო, მოეჩვენა, რომ ერთი განზომილებიდან მეორეში გადავიდა, თითქოს ერთბაშად, რაღაც ვალდებულებისგან გათავისუფლდაო. ყველაფერი იმდენად მშობლიური ეჩვენა: მგზავრთა სახეები, სტიუარდესას შუბლშეკრული სახეც კი, ისე, რომ თავი, თავისებურ უწონადო მდგომარეობაშიც კი იგრძნო.

_ ბოდიში, თქვენი სახელი? _ ვიღაცის ხელი იგრძნო ხელზე, რამაც იმწამსვე რეალობაში დააბრუნა. დაიხედა. მის ხელს, მომსხო, მოვარდისფრო, გრძელი თითები შეხებოდა. ახედა. მას საწინააღმდეგო სქესის, ოცდაათამდე წლის, გაფითქინებული ქალბატონის, ოდნავ ჩაჩხვლეტილი ალმურდაკრული ლოყა და ლამაზი სიელმის, წაბლისფერი თვალები უღიმოდა. ქალს თავზე ფრანგული ბერეტი დაედო, რომელზედაც თეთრი გვირილა დაებნია.

_ სახელი? _ დაიბნა ნიკა. ოდნავ ჩაფიქრდა. _ სახელი არ მაქვს, უსახელო ვარ... _ მერე წამოდგა და ჰომერული სიცილი აუვარდა.

ქალმა მთელი ძალით დაქაჩა და ნიკამ იგრძნო, რომ რაღაც დააშავა. ხოლო შურისძიებით ანთებულმა წაბლისფერმა თვალებმა სასწრაფოდ ბოდიში მოახდევინა.

_ თქვენ მე შეურაცყოფა მომაყენეთ. თქვენ თავს დააბრალეთ! _ წარმოთქვა მუქარით შეურაცყოფილმა ქალბატონმა, სტიუარდესა გამოიძახა და ადგილი შეაცვლევინა. ასე რომ, თბილისის აეროპორტში ლაინერის დაშვებამდე ნიკას გვერდზე, საერთოდ, აღარ გაუხედავს.

ნიკა, რატომღაც, აბსოლუტურად არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას. უხაროდა, რომ სამშობლოში ბრუნდებოდა.

საიუბილეო სუფრა არც ისე ურიგო გამოვიდა. გაშლილი კი იყო, მაგრამ სუფრასთან ჯერ არავინ იჯდა. თეონა ფანჯარასთან მიმდგარიყო და გარეთ მოწყენილი იმზირებოდა. ვერიკო, ელისო და სოლომონი სამზარეულოში ტრიალებდნენ.

_ ელისო, გამოდი, რა, ერთი წუთით, _ თხოვა ანიმ ბებიას.

_ მე? _ რატომღაც გაუკვირდა ელისოს.

_ ჰო, ჰო, ბებო, გამოდი!

ელისომ, რომელსაც ფილთაქვა ეჭირა და ნიგოზს ნაყავდა, საქმე მიატოვა და სამზარეულოდან გამოვიდა.

_ რა არის, საიდუმლო უნდა გამიმხილო? _ ჰკითხა მან შვილიშვილს.

_ შენ რა, ამ კაბაში აპირებ საიუბილეო სკამზე წამოსკუპებას?

_ რა არ მოგწონს ამ კაბის? არ მიხდება? _ ყელი სასაცილოდ მოიღერა ელისომ.

_ გიხდება?! კარგი, რა, ბებო, როდემდე უნდა გეცვას, ქალო, ეს ადამის დროინდელი კაბა, არ გამაგიჟო! წამოდი! წამოდი!

ანიმ საძინებლისკენ გასწია. ელისოც გაჰყვა. საძინებელში, საწოლზე, ლამაზად შეფუთული ყუთი იდო.

ელისოს მაგრად ესიამოვნა.

_ კაბაა? ვოცნებობდი ახალ კაბაზე. უნდა გავხსნა?

_ გახსენი, _ უთხრა ანიმ.

ელისომ ყუთი გახსნა და იქიდან მდიდრული, თავისი ასაკისთვის შესაფერისი კაბა ამოიღო.

_ ღმერთო ჩემო, რა ამბავია, რა მიეცით? _ აკივლდა ელისო. _ არა, გენაცვალე, მე ამ კაბას ვერ ჩავიცვამ, ახლავე უკან წაიღე! ასეთი ძვირფასი?! თქვენ რა, საკუბოვედ გინდათ გამომაწყოთ?!

_ რაა? კაი, ახლა, მორჩი, ელისო! სად უნდა წავიღო, გაგიჟდი?! ისე კარგად ჩაიცვამ, როგორც დაგიბარებია, _ ხელი აუქნია ანიმ.

_ არადა, რა ხანია, მართლაც, ნორმალური კაბა არ მღირსებია... _ ჩაილაპარაკა ელისომ და ქსოვილს ხელი გადაუსვა. _ ქაშმირივით არის.

_ ჰო, კრეჟორჟეტია, _ გაეცინა ანის. _ ჰოდა, ჩაიცვამ. და აღარ დაიწუწუნო! მოკლედ, მოემზადე. ეს პომადა წაისვი, ეს "ვეერიც" დაიჭირე!

_ პომადა? ხომ მთლად ფუფალას დავემსგავსე! _ გადაიხარხარა კმაყოფილმა ელისომ. _ იქნებ, ხელოვნური წამწამებიც გავიკეთო? ეს "ვეერი" რაღა აუცილებელია, რა, ხანუმა ვარ?

_ კაი, როგორც გინდა, მე გავედი, _ თქვა ანიმ და მიტრიალდა.

_ არ შემათვალიერებ? _ გაუკვირდა ელისოს.

_ არა. პირდაპირ "პოდიუმზე" მინდა გიხილო. მომისმინე! ოც წუთში მზად იყავი, მე რომ პიანინოსთან დავჯდები და შენ ტუშის აკორდების ხმას გაიგონებ, კარს გააღებ და ყელმოღერებული შემობრძანდები, კარგი?

_ და ხანუმას ვითამაშებ: "კნიაზ, არ მოგცონვარ? სილ ვუ პლე, მადამ"... ჰო? _ გაიცინა ელისომ.

_ აბა, შენ იცი! _ თქვა ანიმ, ბებიას კარი მიუხურა და ახლა სამზარეულოში მყოფებს მიმართა: _ წავედით! ყველანი სუფრასთან!

_ მერე, ბიჭები?.. _ იკითხა ვერიკომ.

_ აჰ, ვაჟბატონები? შემოგვიერთდებიან. რა მოხდა? არც არაფერი! ნუ გეშინია, აი, ნახავთ, არც ერთი არ გამოაკლდება, _ დაამშვიდა ანიმ.

_ წავიდეთ, მაშინ, დავსხდეთ! _ თქვა ვერიკომ. _ აბა, ადექი, სოლომონ! და ელისო?..

_ ელისო?.. უნდა გამოიპრანჭოს და მორთულ-მოკაზმული შემობრძანდეს, _ თქვა ანიმ.

_ ოჰო, მორთულ-მოკაზმული?! სიურპრიზს გვიმზადებს რამეს? _ გაეღიმა ვერიკოს.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა ანიმ.

ვერიკომ სოლომონი სუფრის თავში დასვა, ქალები კი მეორე ბოლოში განმარტოვდნენ.

_ რა ხდება ამ ჩემს სახლში, მე არ უნდა ვიცოდე? _ გამოაცხადა სოლომონმა.

_ ელისო ოთხმოცდახუთი წლის გახდა. იუბილეს ვუხდით, _ გამოუცხადა ვერიკომ.

_ ოთხმოცდახუთის? ვინ ელისო?.. მერე, ჩვენ რა შუაში ვართ? _ მაგრად გაიკვირვა სოლომონმა.

_ როგორ, შენი სიდედრის სახელიც დაგავიწყდა, ბიჭო?! _ შეიცხადა ვერიკომ.

_ სიდედრი?.. _ შუბლი შეკრა სოლომონმა. _ რომელი სიდედრი, შენ რომ გამომიწერე მოსკოვიდან?

_ ერთ სიტყვასაც იტყვი გადაკრულად დედაჩემზე და ისეთ სილას გაგაწნავ, შენი მოწონებული!.. _ გამწარდა ვერიკო.

_ გადაკრულების დიდოსტატი თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო, მე ნუ მაბრალებთ გადაკრულების თქმას. იმხელა ენა გაქვს, რომ შემოატარო, სამჯერ მაინც შემოსწვდება ამ სახლს... _ გაიცინა თავის ნათქვამზე სოლომონმა.

_ შენ, ბიჭო, შაყირობ ამ ყველაფერს თუ მართლა ამბობ? _ ვერ დაიჯერა ვერიკომ სოლომონის ლაპარაკი. _ აბა, მე ვინა ვარ?

_ ვინა ხარ და რუსეთის იმპერატრიცა, ეკატერინა მეორე, _ უაზროდ გაიკრიჭა სოლომონი. _ ცისანა არა ხარ, ჩემი მეზობელი, იაშას გოგო?

_ მე მგონი, დაგვცინის... _ თქვა ვერიკომ და ქალებისკენ გაიხედა.

_ კარგი, დედა, დაანებე, რა, თავი, რაც უნდა, ის თქვას, _ თხოვა პიანინოსთან მიმჯდარმა ანიმ დედას, კისერი სუფრისკენ მიაბრუნა და სიტყვაში გამოსასვლელად მოემზადა.

_ ბატონებო და ქალბატონებო, _ წამოიწყო მან საზეიმოდ. _ ამქვეყნად ყველაზე საყვარელი და ყველაზე უტკბილესი ბებიის, ელისო სალაძის საიუბილეო, რიგით ოთხმოცდამეხუთე დაბადების დღისადმი მიძღვნილ ნადიმს გახსნილად ვაცხადებ.

ყველამ ტაში დასცხო. ანიმ წამით სკამი გაისწორა, ხელები ასწია და ტუშის აკორდები მთელი ძალით ააჟღერა. კარი გაიღო და მისაღებში მარაოთი ხელში, ყელმოღერებული, მორთულ-მოკაზმული ელისო შემობრძანდა.

_ ვაიი, რა ლამაზიაა! _ აღმოხდა ყველას ერთხმად.

ელისო ოთახის ცენტრისკენ წამოვიდა, თან, ტოპმოდელივით ფეხებს ერთმანეთზე აჯვარედინებდა... ანი საცეკვაო მელოდიაზე გადავიდა. “სამაიას” აკორდები აიღო. ელისო შუა ოთახში შედგა და ადგილზე აცეკვდა, თან, ხელები, სამაიას მსგავსად, “ჩაპრანჭა”... მალე მას ვერიკო ამოუდგა მხარში, მერე თეონაც შეუერთდა და ნამდვილი “სამაია” გამოუვიდათ... უხაროდათ. მაგრამ რა უხაროდათ, ალბათ, როგორც ქართველების ოთხმოცდაათმა პროცენტმა, მათაც არ იცოდნენ.

ცეკვა ჩამთავრდა და მილოცვები დაიწყო. კოცნიდა ელისო ქალებს და ბიჭებზე დარდობდა, რომლებიც, როგორც ყოველთვის, დღესაც აგვიანებდნენ.

ირაკლიმ ყვავილის თაიგულით ხელში სადარბაზოს კიბე აიარა და კართან შედგა. ტანისამოსზე დაიხედა. თაიგულიანი ხელი წინ გაიშვირა და ზარი დარეკა. კარი თეონამ გაუღო. შიგნიდან სუფრის ხმაური გამოვიდა. ირაკლის დანახვაზე, თეონას სახე გაებადრა და ყვავილებს წაეპოტინა.

_ მადლობთ, დიდი მადლობა!

_ გასწიე ხელი იქით და გამატარე... კაი, თეონა, მორჩი მაიმუნობას, შენ ამნაირ თაიგულს, ბებიაჩემისხელა რომ გახდები, მაშინ მოგართმევ, _ ირაკლიმ სცადა, ჩამოეცილებინა თეონა გზიდან.

_ დავუძახო ბებიას?

_ არა, გმადლობთ, მე თვითონ ვეახლები, _ და გაჯგიმულმა, მისაღებში შეაბიჯა.

ირაკლის დანახვაზე, სუფრა გამოცოცხლდა.

_ ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! _ გამოაცხადა ვერიკომ.

_ დაიწყეს კაცებმა მოსვლა, როგორც იქნა, დაიწყეს! _ თქვა ანიმ.

_ კაცი არ გიზით აქ? აბა, მაშ, ეს ვინ არის?! _ ვაჟკაცურად დაჰკრა მამას მხარზე ხელი ირაკლიმ და ელისოსკენ გაემართა. ელისო წამოდგა, თაიგული ჩამოართვა.

_ მადლობა, ჩემო კარგო, დიდი მადლობა!

_ ბებიაჩემო, აი, ამ ჰოლანდიური ვარდებივით ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყავი კიდევ ორმოცდაათ წელიწადს.

_ რა ამბავია, შვილო?! ათი წელი მაცოცხლა კიდევ, მეტი არ მინდა. ნიკას დაბრუნებამდე მაცოცხლა, თუნდაც...

_ ნიკას დაბრუნებამდე? აბა, გიცოცხლია კიდევ ორი საუკუნე მაინც!.. _ ცინიკურად გამოაცხადა ირაკლიმ.

_ ირაკლი, თეონას თანდასწრებით ასეთი რამ აღარ თქვა, თუ ღმერთი გწამს! ნიკა აუცილებლად დაბრუნდება და ძალიან მალეც, აი, ნახავ თუ არა! _ საშინლად ეწყინა ვერიკოს.

_ ვიცი, ახლა სიზმრების მოყოლა უნდა დაიწყო, დედაჩემო! კი, ბატონო, ელოდეთ, ელოდეთ!.. შემივსეთ ერთი, სასმისი, რომელი ხართ, თამადა? _ მოჰკიდა დოქს ხელი ირაკლიმ და თავად დაისხა ღვინო.

_ მარტო რატომ მობრძანდი? რეზის არ შეხმიანებიხარ? _ შეეკითხა ვერიკო.

_ ხომ იცი, რომ არა მაქვს, არა, ვერიკო, რეზის თავი? _ ავარდა რატომღაც ირაკლი. _ რატომ გიყვარს დაძალება?! რეზი და რეზი. მაცალე, რა, დავლიო ერთი ჭიქა და შევირგო. სულ რეზი და რეზი მესმის ამ ოჯახში...

_ ხმას ერთი ტონით დაუწიე! _ კატეგორიულად თქვა ვერიკომ.

_ არ დავლიო? _ "წაუიაზვა" იმწამსვე ირაკლიმ.

_ კი, შვილო, დალიე, ოღონდ, ზომა უნდა იცოდეთ! _ უთხრა ელისომ.

_ ჰო, ავრწყავ და ას გრამზე მეტს არ დავლევ, _ გადაირია ირაკლი. _ კარგი, რა, ელისო, ჯერ ერთი ჭიქაც არ დამიცლია და უკვე არ დათვრეო, მეჩხუბები!

_ როგორ ტკბილად გითხარი, შვილო. ჩხუბია, შენი ჭირიმე და შენ გენაცვალე?!.

_ არა, რა! ერთი, ორი, სამი, ოთხი ქალი ერთად? მტრისას! _ ჩაილაპარაკა ირაკლიმ და მამის მხარეს გაიხედა, სოლომონი ხელს უქნევდა _ აქეთ მოდიო. ირაკლიმ მზერა აარიდა. _ გაგიმარჯოს, მოკლედ!.. _ უთხრა ელისოს და ჭიქა გამოცალა.

_ ვის ეზოში დაკრიფე ეგ ვარდები? მადონა ჯოხით არ გამოგიდგა? _ შეეკითხა სოლომონი ირაკლის, როცა ის მის გვერდით დაჯდა. ირაკლი მამას მიაშტერდა.

_ მადონა არა, მამა, კლაუდია შიფერი გამომიდგა ჯოხით.

_ კლაუდია შიფერი? სახელი კი მეცნობა, მაგრამ გვარი პირველად მესმის. ალბათ, ახალი გადმოსულია, _ დაასკვნა სოლომონმა.

_ წესით და რიგით, შვილების სადღეგრძელო უნდა მეთქვა, მაგრამ ჯობს, რეზის დაველოდოთ, _ გამოაცხადა სასმისით ხელში ფეხზე მდგომმა ვერიკომ.

_ და ნიკას! ნიკა დაგავიწყდა... _ ისევ "წაუიაზვა" დედას შორიდან ირაკლიმ.

_ ირაკლი, რა დაგემართა? _ ცივად ჰკითხა ვერიკომ.

_ ეგ სულ ასეთი ცინიკოსი იყო, დედა, რატომ ატყუებ საკუთარ თავს? _ გადაიკისკისა ანიმ.

_ შენ მაინც მაცალე! _ კბილებში გამოსცრა ვერიკომ და ირაკლის მიმართა.

_ ნიკა კი არ დამავიწყდა. თეონასთან ერთად, მე სწორედ ნიკას სადღეგრძელო მინდა დავლიო. თეონა, რომ იცოდე, მამაშენი და-ძმებში ყველას სჯობდა. დედა არ უნდა არჩევდეს შვილებს ერთმანეთში, მაგრამ ასე იყო: ნიჭითაც, აღზრდითაც, ვაჟკაცობითაც, დიახ. ჩემი ქმარი მხოლოდ აქედან წასვლაში დაეხმარა, რექტორის მეგობარი იყო და რაღაც კულტურული გაცვლის პროგრამაში ჩართეს. ფრიადოსანი იყო, თორემ, ვინ გაუშვებდა?! ამერიკაში კი, ყველაფერი უკვე თავისით მოიპოვა. სხვების დაუხმარებლად, მარტომ... ასე მგონია, სულში ერთი ადგილი, ის რომ აქ არ არის, დაცარიელებული მაქვს...

_ ჰო, ქალის სული ღრმაა, მაგრამ შიგ სიცარიელეა... _ წარმოთქვა ირაკლიმ, რაზედაც ანიმ გულიანად გადაიკისკისა.

_ ელაპარაკე ახლა ამათ... _ ხელი ჩაიქნია ვერიკომ.

_ კარგი, გოგო, დალიე შენც, ნუ უგდებ ყურს. არ იცი, ჩვენი კაცების ამბავი? _ ურჩია ელისომ ვერიკოს.

_ თეონა, შენ გაგიმარჯოს, მამაშენთან ერთად, ნიკასთან ერთად! დედასაც გიდღეგრძელებ... _ თქვა ვერიკომ და გამწარებული დაეწაფა ღვინოს.

_ თეონა, გაგიმარჯოს. მამაშენი დაბრუნებულიყოს. ჩემ ძმას გაუმარჯოს, ნიკას... _ თქვა ირაკლიმ და ჭიქა გამოცალა.

_ ნიკას ხსოვნისაა? _ წამოდგა სოლომონი, ჭიქით ხელში.

ქალები ერთხმად აწიოკდნენ.

_ ვაიმე, რა უჭირავს? წაართვი, ირაკლი, წაართვი! _ აკივლდა ვერიკო.

_ ვინ მისცა მაგას ჭიქა, დროზე, შვილო! _ ხელები გაასავსავა ელისომ.

ირაკლიმ ჭიქა ხელიდან გამოჰგლიჯა მამას.

_ რას შვრები, ბიჭო, ზედ არ გადამასხა! გაგიჟდი?! _ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სოლომონი.

_ კარგი, რა, მამა, რა! თვალი ვეღარ უნდა მოგაცილოთ?! წამლებით გჭყიპავთ და შენ ღვინის ჭიქაში ძვრები?! _ ხელით იჭერდა მამას ირაკლი.

_ "ბორჯომია", "ბორჯომი"! ის მაინც მკვდარია, რა მოხდა, "ბორჯომით" დამელია, _ სხვებსაც მიუბრუნდა სოლომონი.

_ ვინ არის, ბიჭო, მკვდარი, რაებს ამბობ?! _ მთლად გადაირია ვერიკო.

_ ვინ და მამაჩემი, ნიკოლოზი, ცოცხალია?

ირაკლიმ უკანვე მისცა ჭიქა.

_ დალიე, ღმერთმა შეგარგოს!

_ აუ, არ დაგვიხეთქა გულები?! _ სული ძლივს მოიბრუნა ვერიკომ.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონამ მიირბინა და გააღო. რეზი, როგორც ყოველთვის, ახლაც ამრეზილი შემოვიდა. მისაღების კართან მივიდა და გაჩერდა.

_ რა არის, ერაყში ვართ თუ ოსმალეთში, ცალ-ცალკე რომ დამსხდარხართ? _ შეაფასა მან სიტუაცია, მერე სუფრასთან მივიდა და სავსე ჭიქას მოჰკიდა ხელი. _ ელისო, ჩემო ყველაზე ძვირფასო და უბერებელო ბებო, ყველაზე დიდო ვაჟკაცო, ოჯახის სიამაყევ და ბურჯო, შენ გაგიმარჯოს! _ რეზი წამით ჩაფიქრდა და ჭიქას ჩააცქერდა. _ ეს Qქვეყანა

შენისთანებმა შეინახეს... ჩვენ ვანგრევთ, შენ კი ინახავ... რაღაც მთავარს, ალბათ, აუცილებელს... ჰო, მთავარს!.. _ და ხელი ჩაიქნია. _ ვაჩმახებ და მიხარია, არა?! გაგიმარჯოს, ელისო, დიდხანს იცოცხლე! _ არავინ აჰყვა. ყველა რატომღაც დუმდა. რეზიმ ეს იგრძნო. _ მითხარით, ხალხო, გაგიმარჯოს-თქო, რა დაგემართათ?

_ გაგიმარჯოს! _ თქვა სოლომონმა.

რეზიმ მამას გადახედა.

_ ისევ შენ, მამაჩემო... ჰოდა, ასე! _ ჭიქა დაცალა და კაცებისკენ წავიდა. _ მოდით, მეც კაცებთან დავჯდები... შენთან პატარა საქმე მაქვს... _ გადაულაპარაკა მან ირაკლის, როცა სუფრასთან დაჯდა.

ირაკლი აიმრიზა.

_ საქმე?

_ ჰო, რა შეგეშინდა, ბიჭო? საქმე მაქვს-მეთქი. არ შეიძლება, ძმას ძმასთან საქმე ჰქონდეს?! კი არ უნდა გაგირჩიო...

_ "რაზვალნი ვტულკები" გამოუცვალე მანქანას? _ ხელზე ხელი დაადო რეზის სოლომონმა.

_ ჰო, "ვტულკებიც და ნაკანეჩნიკებიც"... _ უპასუხა რეზიმ და ირაკლის მიუბრუნდა. _ წამო, რა, სამზარეულოში!

ორივენი წამოდგნენ.

_ სად გარბიხართ, ბიჭო? მარტოს მტოვებთ ამდენ "ვეძმასთან"?! _ გადაირია სოლომონი.

_ წამო, წამო! _ უთხრა ძმას რეზიმ, ხელი გამოსდო და გაიყვანა.

სამზარეულოში, მათ გარდა, სხვა არავინ იყო. რეზიმ ორი ჭიქა გადმოიღო. ეპატარავა. უფრო მოზრდილები მონახა და ისინი დადგა მაგიდაზე. ირაკლი მის ქცევას შუბლშეკრული უმზერდა. რეზიმ ღვინო დაასხა.

_ მოჰკიდე ჭიქას ხელი, _ უთხრა მან ირაკლის.

_ აჰა! _ ჭიქა ხელში აიღო ირაკლიმ.

_ ერთხელ კიდევ უნდა დამეხმარო! _ უთხრა რეზიმ.

_ მაგარი სადღეგრძელოა... _ თქვა ირაკლიმ.

_ თვალებში მიყურე, რა! _ უთხრა რეზიმ.

_ რა გინდა? _ თქვა ჭიქას მიშტერებულმა ირაკლიმ.

_ ისევ გადაგვაგდეს იმ ნაბოზრებმა! _ უთხრა რეზიმ.

_ ვინ გადაგაგდო? _ გულგრილად ჰკითხა ირაკლიმ.

_ ვინ და მთავრობამ. ვინ არის დღეს ყველაზე მაგარი გადამგდები?..

_ მთავრობამ? როგორ? _ ჰკითხა პატარა პაუზის შემდეგ ირაკლიმ.

_ მართებდათ, რა, ერთის ფული, ბიუჯეტით გამოუყვეს... _ ცდილობდა, რაღაც გასაღები მოეძებნა ძმისთვის...

_ მერე, შენ რა შუაში ხარ? _ დაცინვით იკითხა ირაკლიმ.

_ შუაში ვარ, სწორედ შუაში: შუამავალი ვარ. მეგონა, ერთ-ორ "კაპიკს" ვიშოვიდი... _ აღელდა რეზი.

_ შუამავალი? რა, შენ გამოაყოფინე ეგ ფული? _ ირონიულად შეეკითხა ირაკლი.

_ მორჩი ახლა. იმ კაცს რაღაცის აშენება უნდოდა და მე ჩავუდექი შუაში. გამოყოფილი აქვს ფული, მისცემენ და მოგიტანს-მეთქი.

_ რისი აშენება უნდოდა, კორპუსის?

_ ჰო. ასე მეგონა, რომ "გავჭერი" საქმე... _ სახე ხელებში ჩარგო რეზიმ. _ მერე, მე სიტყვა ვთქვი... ვიცოდი, რომ ასეთი ფული ბიუჯეტით იყო გამოყოფილი... ვიფიქრე,

გავქაჩავ-მეთქი... ათი ათასი უნდა ამეღო ჩემს წილად ამ საქმეში... შავები ჩაერივნენ... ირაკლი, ქურდთან მაქვს სიტყვა ნათქვამი, ამ ბოზებმა კი გადამაგდეს!..

_ გამარკვიე, ძალიან გთხოვ, რომელ საუკუნეში ცხოვრობ, ძმაო?! რაღა დროს ეგაა, ძმაო?! ჩაიარა შენმა მატარებელმა, ჩაიარა! ვერ ხვდები, რომ ფული დღეს სხვანაირად კეთდება?! _ ხმას აუწია ირაკლიმ.

_ როგორ? _ იკითხა დაბნეულმა რეზიმ.

_ ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც შენ გგონია... _ მხრები აიჩეჩა ირაკლიმ. _ ესე იგი, რა გამოდის: შენ მთავრობიდან გინდა ამოიღო მაყუთი, როცა მთავრობა თვითონ არის მაყუთის პირველი ამომღები და თანაც, ქურდთან ამბობ სიტყვას... მერე მოდიხარ ჩემთან და გინდა, მეც გამსვარო?! სულელი ხომ არ გგონივარ, შენ ბიჭო!..

_ ძმა მგონიხარ, ძმა!.. _ წამოხტა რეზი. _ მე ერთი რამე ვიცი... რომ სიტყვას ფასი აქვს ჯერ კიდევ. ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე... ჩემი წესით ვცხოვრობ... რადგან შენთან მოვედი, ესე იგი, სხვასთან ვერ მივედი. ამას ხომ უნდა ხვდებოდე, თუკი მართლა ძმა გქვია!?..

_ ძმა კი ვარ, მაგრამ შენ მე მილიონერი ხომ არ გგონივარ?!. _ ფეხზე წამოდგა ირაკლიც.

_ ირაკლი, დრონი მეფობენო, ნათქვამია... _ ხელი მოუჭირა ძმას ხელზე რეზიმ. _ იცოდე, გამოვძვრები აქედანაც და ვინ იცის, ერთხელაც, ვინ ვის მიადგეს...

_ იმას რატომ არ შეაწუხებ, იმას, ოკეანის გაღმა რომ გადაუდვია ფეხი ფეხზე, იმას არ ჰქვია ძმა?!. მე, რამდენჯერაც შემეძლო, გაგიმართე, არა, ხელი?.. გთხოვე ვალის დაბრუნება?.. მიპასუხე, ერთხელ მაინც დამცდა ვალზე სიტყვა?! მეწველი ძროხა გგონივარ თუ რა არის, ვერ გავიგე... _ ხელებს უცნაურად იქნევდა ირაკლი.

_ აქედან რა გავაგებინო იმას, ბიჭო?!. კარგი, მოვრჩეთ ამაზე. მივქარე, რომ გითხარი... მე თვითონ მოვუვლი ამ საქმეს... _ მარცხენათი ძმის ხელი ეჭირა, მარჯვენის ორი თითი კი, ნელ-ნელა მისი თვალებისკენ მიჰქონდა რეზის.

_ ჰოდა, ასე, ძმაო... _ ხელი გააშვებინა ძმას ირაკლიმ. _ სანამ სიტყვას იტყოდე, ცოტათი მაინც უნდა დაფიქრდე...

_ ჭკუასაც მარიგებ, შე ნაბიჭვარო?! _ საყელოში სწვდა ძმას რეზი. ლამის ატაკა ორი თითი თვალებში.

_ დედა! _ იღრიალა მთელი ხმით ირაკლიმ.

სამზარეულოში ფერწასული ვერიკო შემოვარდა.

_ ჭკუიდან გინდათ შემშალოთ?! რა გაჩხუბებთ?!. ბავშვები ხართ, თქვე უნამუსოებო!.. _ შუაში ჩაუვარდა ძმებს დედა.

_ უთხარი, აბა! ჩამიშვი, დამაბოზე, მიდი! _ ხელი გაუშვა ძმას რეზიმ.

_ რეზი! გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! მე არ გებრალებით, ელისო მაინც შეიბრალეთ... _ შეეხვეწა ბიჭებს ვერიკო.

_ ჰო, დღეს ელისოს იუბილეა... _ კბილებში გამოცრა რეზიმ.

_ ახლა, ორივენი წამოხვალთ და დასხდებით სუფრასთან... წესიერად, გესმით ჩემი? ორივენი წესიერად მოიქცევით!.. არსად გამოსაჩენები რომ არა ხართ, არც ერთი!.. _ ხელი მოჰკიდა და ძმების განცალკევებას ცდილობდა ვერიკო.

_ რა მოუცია, ბიჭოს... _ ხელი გააშვებინა დედას ირაკლიმ. _ რას მთხოვს, ვერ გავიგე!...

_ არ გასცე ხმა! _ შეეხვეწა რეზის ვერიკო. _ არ უპასუხო, გთხოვ! ასე სძულდეთ ძმებს ერთმანეთი, ამისთანა არაფერი გამიგია... წამოდი, შენ, ჩემთან! _ ძალით შეათრია რეზი ქმრის კაბინეტში ვერიკომ და კარი ჩაკეტა. _ იცოდე, ხმას არ აუწიო!.. გამაგებინე, რა გინდა, რა დაგიშავა, რას ემართლები? რატომ გვიბრიალებ თვალებს, რატომ?!

_ წუწკია, “ჟმოტი”, ქალო, არაკაცი, ნაბიჭვარი!..

_ შენ? შენ ოქრო ხარ?.. თუ ბრილიანტი?.. _ არ დაუთმო ვერიკომ. _ არც ერთი არ გამჩენოდით, მუცელში გამწყალებოდით ორივენი, არ მერჩია?!.

_ ჩემგან რა გინდა?! _ გულწრფელად გაიკვირვა რეზიმ.

_ შენგან რა მინდა?! შენ არ იყავი, ბიჭო, სახლი რომ გამაყიდინე ორთაჭალაში, მამაშენის დანაზოგი "კაპიკებით" ნაყიდი და იმ ვიღაც აფერისტ ქალს რომ ჩაუთვალე უკანასკნელ შაურამდე?! მე ვიყავი?! ხმა არ ამოგეღება, არავისთან ამ ოჯახში!..

_ ჰო, გადაუსვი თავზე ხელი, გადაუსვი. აი, მე მითქვამს და, ჩვენ სამში... _ ეს ციფრი მუდამ ამწარებდა ვერიკოს.

_ ოთხში!.. _ გაუსწორა ვერიკომ.

_ კაი, რა, დედა, ნიკა აქ ჩამომსვლელი აღარ არის! დაემშვიდობე, მორჩა, წავიდა, გაფრინდა, ფაფუ!.. _ ხელები მოიფშვნიტა რეზიმ.

_ რას მეუბნები რეზი? შენ გინდა, რომ გულიდანაც მოვიგლიჯო?! ის, ერთი, თქვენ, სამივეს, ერთად აღებულს, იქიდანაც გადაგწონით, იმ სიშორიდან... ჰო, ჰო, რას მიყურებ, ასე არ არის? _ ვერიკოს აქილევსის ქუსლი იყო ამერიკაში გადახვეწილი შვილი.

_ დარწმუნებული ხარ?.. არა ხარ ღირსი, რომ ჩვენც, სამივემ, მოვხიოთ და სამუდამოდ გადავიხვეწოთ?! როგორ გგონია _ ნიკა ჩამოგიბრძანდება აქ და ის მოგხედავთ? _ სახეში მიაშტერდა დედას დაცინვით რეზი.

_ თქვენს კმაყოფაზე ვყოფილვართ ერთი დღე მაინც? _ მაგრად ეწყინა ელისოს. _ შვილები მუდამ გაგლეჯ-გაფლეთაზე არიან. მარტო იმას ფიქრობენ, რა გაიტანონ სახლიდან. რა, ასე არ არის?! აი, თუნდაც, შენ, არ დაანიავე, რაც მოგეცით?!

_ ეფოფრები, არა, ამ ლაჩარს?!. _ ძველ თემას მიუბრუნდა რეზი. _ ხელი მოვკიდე და _ "დედაა!" ღრიალებს ქალივით... სწორედ ეგ მოგიხარშავს ყველაზე მწარე ბალბას. ჰო, ჰო, აი, ნახავ თუ არა!

_ არა, არა, თქვენი გამოსწორება არ იქნება, _ ხელი ჩაიქნია ვერიკომ. _ წამოხვალ ახლა, დაეგდები ჩემ გვერდით და ფეხს არ მოიცვლი, იცოდე! მუნჯივით იჯდები, მუნჯივით!

თაზომ, რომელიც ელისოს, "აგენტ ნოლ-ნოლ სემს" ეძახდა, რესტორან "ძველი სამიკიტნოდან" დამკვრელები დაითრია და თავისიანებს დაადგა. მან კინტოების სამოსელში გამოწყობილი მუსიკოსები ჰოლში გააჩერა და კარს მიაყურადა. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თაზომ დამკვრელები ჰოლში დატოვა და თვითონ ბინაში შევიდა. ყველამ მისკენ გაიხედა.

_ გამოჩნდა, როგორც იქნა, მშვიდობის მაძიებელი! _ არ დატოვა უკომენტაროდ მისი მოსვლა ანიმ, მისმა მეუღლემ.

_ რა ხდება, ხალხო, აქ? ელისო ბებია ლამის მთელი საუკუნე ელოდა ამ დღეს და თქვენ კიდევ ყურებჩამოყრილები სხედხართ?! _ დასჭექა თაზომ. _ აბა, მოემზადეთ! მე ისეთი საჩუქარი მოგართვით!.. "სახეზე გატყობთ კმაყოფილობაას, ვიწყებთ ძალიან მაგარ, დაშხოშიან გან-ყო-ფილო-ბაას"! სეზამ, გაიღე!.. არ გაიღო? დამიგდეთ ყური! ყველანი ერთად სამამდე თუ დავთვლით, მაშინ გაიღება. აბა, დავიწყეთ! ერთი... _ და ყველანი, რაკიღა შეჩვეული იყვნენ თაზოს მაიმუნობებს, მართლაც აჰყვნენ: _ ოო-რი!.. სამი!!

კარი გაიღო და მისაღებში, დუდუკისა და დოლის თანხლებით, კინტოები შემოლაგდნენ...

გაჩაღდა ქართულ-ხალხური "დავლური" და "შალახო-მალახო"; იყო ერთი გადაწვევ-გადმოწვევა, მარიაჟობა და გაპრანჭვები, _ მოკლედ, ქართული სუფრისთვის დამახასიათებელი რამერუმეები...

და სწორედ იმ დროს, მაგარი ტაშ-ფანდური რომ მიდიოდა, კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონა გაიქცა და კარი გამოაღო. ზღურბლთან მისი მამა, ნიკა იდგა, რომელსაც თეონა მხოლოდ ფოტოებზე ენახა... იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ...

სიჩუმე ისევ კაცმა დაარღვია:

_ შენ რა გქვია? _ ჰკითხა მან გოგონას.

_ თეონა, _ უპასუხა გოგონამ და ტუჩი მოიკვნიტა.

_ მე მამა ვარ შენი, ნიკა... _ დამნაშავესავით ჩაილაპარაკა კაცმა.

თეონა ერთ წამს გაჩუმდა, მერე კი მთელი ხმით იყვირა:

_ მა-მაა! მამა დაბრუნდა-ა!!!

ყველანი გამოეფინნენ. ქალების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თავები დაიხოცეს ტირილით...

ნიკას ძალიან ადრე გაეღვიძა. გაიზმორა და ისევ თვალების დახუჭვა დააპირა, მერე უეცრად გვერდზე გადაბრუნდა და ოთახს გაკვირვებულმა მოავლო თვალი... წამოჯდა. ცხადია, ეცნო ყველაფერი, მაგრამ კარგა ხანს მაინც ვერ მოვიდა აზრზე, თუ სად იყო... უცბად მიხვდა, თვალები დახუჭა და უკან გადავარდა. ისევ გაახილა და ჭერს მიაშტერდა.

გარედან ახლობლების ხმა შემოდიოდა. ეს, თაზო და ანი კამათობდნენ.

_ მე შენ გაკონტროლებ?.. არ გაკონტროლებ, არა?! _ ყვიროდა თაზო. _ სადაც ხოში გაქვს, იქ დადიხარ, არა?!

_ ახლა _ ჰოო, ახლა ყველაფერი არ მათქმევინო, იცოდე! _ იმუქრებოდა ანი.

_ რა, ნათესაობას დამახვევ თავზე? _ ირონიულად ეკითხებოდა თაზო. _ კარგი, რა!

_ აი, რა იყო თუნდაც, გუშინდელი შენი "გამოსვლა"! _ წაუსისინა ანიმ. _ ელისოს იმ კინტოების დანახვაზე, თვალები, იცი, სად აუვიდა?

_ რა-ა? ეგ არ იყო, რუსის "სალდათივით" რომ ბუქნავდა?! მე ვიყავი?! _ გაიკვირვა თაზომ.

_ მაშ, რა ექნა? ქალს კინაღამ მკლავი მოაგლიჯე, საცეკვაოდ რომ გაგყავდა და მაგანაც გაშალა ხელები!.. სირცხვილით სად შევმძვრალიყავი, არ ვიცოდი... _ დააყოლა ანიმ.

_ იცი, რას გეტყვი, ანი?.. მე კაცი ვარ და ისეთი ვარ, როგორიც ვარ, სხვანაირი ვერ გავხდები! ვის გინდა, რომ დავემსგავსო, ვერ გავიგე! აი, მითხარი, ვინ გინდა, რომ ვიყო?

_ ვინ და სერიოზული, ნორმალური ადამიანი მინდა მყავდეს გვერდით. არ შემიძლია ამ დამთხვეულობების ატანა, როგორც შენ იქცევი, არა! _ გამწარებული გაიძახოდა ანი.

ეს ხმები გარედან შემოდიოდა. ნიკა თან ამ ხმებს უსმენდა, თან ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა... მას თავის ოთახში ეძინა, სადაც ყველაფერი ხელუხლებელი, ზუსტად ისე იყო დატოვებული, როგორც მის წასვლამდე...

ნიკა წიგნების კარადასთან მივიდა. მისი სქელტანიანი ალბომები არქიტექტურასა და მხატვრობაზე ისევ ისე ეწყო... ბოტიჩელი გადმოიღო და გადაშალა. წიგნმა შეიყოლა. ნახატებმა თითქოს ბავშვობაში დააბრუნა, სკოლის წლებში... გარედან კი ისევ ანისა და თაზოს ჩხუბის ხმა შემოიჭრა.

_ მაშინ გაჰყოლოდი ვინმე "გალსტუკიან პეპელას", ვინმე ჩანჩურა პროფესორს, ორ ბატს რომ ვერ მიაბარებს კაცი! _ ყვიროდა თაზო. _ მე რას მომყვებოდი, რა დაგიშავე?!

_ შე-ენ? შენ, ორს კი არა, ერთ ბატსაც ვერ მოგაბარებს კაცი!!! _ პასუხობდა ანი.

_ მე-ე? მე მარტოს, ერთს, ცხრა ვალუტის პუნქტი მაბარია და იმას ვუვლი!.. თან, ყველანი, ბატები კი არა, ვინც ჩემთან მუშაობენ, მგლები არიან, ნამდვილი მგლები!.. _ არ ცხრებოდა თაზო. _ თუ ერთი თვალი მოარიდე, ისე აგაფცქვნიან ათასებს და ისე გადაგაგდებენ, როგორც ჩურჩხელის ძაფს... ბატი... ბატი მამაშენია...

_ რა? აი, შენ, აი!..

_ ვაიმე, დედა! _ აბღავლდა თაზო. _ ნელა, გოგო, უხ, შენი!..

გარედან უკვე ფეხების ტყაპატყუპი, სირბილის და ქოშინის ხმა შემოვიდა... მალე ანიმ ნიკას ოთახის კარი შემოგლიჯა და შემოვარდა. უკან თაზო მოსდევდა...

_ მიშველეთ! _ მთელი ხმით კიოდა ანი.

ნიკა, წიგნით ხელში, კარისკენ მიბრუნდა. ანი მის ზურგს ამოეფარა.

_ მიშველე, ნიკა! არ შემოუშვა, გეხვეწები!

თაზო მუშტშეკრული შემოვარდა, მაგრამ ნიკას დაკვირვებული თვალებისა და შეჭმუხნილი შუბლის დანახვაზე შეცბა და გაშეშდა.

_ გიჟია, დაცენტრილი... _ დაიწყო თავის მართლება თაზომ. _ ჩემი გადაკეთება უნდა! ხომ ვერ გადავკეთდები? რაცა ვარ, ესა ვარ, არა?! ნახე, რა მაგრად მიჩქმიტა!.. _ წელს ზემოთ გაშიშვლებულმა თაზომ ნიკას მკლავი დაანახვა. _ ნახე, მთელი ხორცი ამომაგლიჯა. ისეთი მწარე ჩქმეტა იცის... სულ დალილავებული ვარ ამის ხელში. ხან თვალზე მაქვს "ფანარი", ხან, რა ვიცი, კიდევ სად არა...

ძმის ზურგს ამოფარებულმა ანიმ თავი გამოყო და თაზოს ენა გამოუყო. თაზომ ხელი ჩაიქნია და გავიდა.

_ შენ კიდევ, ჩაიცვი, რას დამდგარხარ აქ შიშველი?!. _ აკოცა ძმას ანიმ.

_ ვინ იწვა ამ ოთახში? _ ჰკითხა დას ნიკამ.

_ აქ?.. რეზი, სანამ ჩაესიძებოდა... ვერიკო სულ იმას ამბობდა _ იქნებ, ნიკას წყალი გადაესხასო... _ მაგრამ, შენც არ მომიკვდე: არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ იცი... მერე კი, თეონა იძინებდა ხოლმე, როცა ჩვენთან რჩებოდა... ისე, აქ ხელი არაფრისთვის გვიხლია. ყველაფერი ისევ ისე აწყვია და ამ კომოდშიც შენი ნივთები ისევე ალაგია, როგორც შენს წასვლამდე იყო...

_ ჰო, ვხედავ, _ თქვა ნიკამ.

_ შენი თხილამურები, ჩოგნები... აი, შენი ფოტოები. ყველაფერი ისევ ისეა ხელუხლებელი... შენ წარმოიდგინე, რეზის შენი კონსპექტებით ინგლისურის სწავლაც კი უნდოდა. სულ აქედან გაქცევაზე უჭირავს თვალი...

_ ვიცი, ერთი სამჯერ მაინც გამომაგზავნინა ვიზა... ავაწრიალებდი იქაურობას _ სად არის შენი რეზი?.. სულ "ტუფტაზე"... არადა, იქ, ასე ადვილი არ არის ვინმეს შეწუხება... _ თქვა ნიკამ.

_ ვიცით, ვიცით, გენაცვალე. ნუ გეშინია, ამ წლებში ისე გამოიწრთვნა ქართველობა... _ თითები გაატკაცუნა ანიმ.

_ კარგი, წადი, ქმარს მიხედე... _ უთხრა ნიკამ.

_ ქმარს?.. რა მიხედვა უნდა?! ნუ გეშინია, არაფერს დაიკლებს... ჩაიცვი და გამოდი, რა. მე მალე უნდა გავიდე, _ უთხრა დამ, კიდევ ერთხელ აკოცა და ოთახიდან გავიდა.

ელისო სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა, როცა იქ ჩამაკიაჟებული ანი შექაქანდა და მაგიდას მიუჯდა.

_ ბებო, ჩქარა, ჩქარა, მაჭამე!

ელისო გაკვირვებული მობრუნდა.

_ სუფრისთვის ხელი არ გვიხლია, ისევ ისეა ყველაფერი, აულაგებელი, _ უთხრა მან ანის.

_ ვიცი, ვიცი, მაგრამ ხომ იცი, შენი მორთმეული როგორ მიყვარს, _ შეეხვეწა ანი.

_ რას ინებებთ?

_ ჩაი, ჩაი, ჩაი, ნამცხვარი და _ მეტი არაფერი, _ ისევ მიაყარა სიტყვები ანიმ.

ელისომ ხელი შეიმშრალა და ვიდრე ჩაის დაუსხამდა, ანის თეფშზე ნამცხვარი დაუდო.

_ უცხოეთმა ფერი უცვალა ნიკას, არა? _ შეეკითხა ანი.

_ რას გულისხმობ? _ ვერ მიუხვდა ელისო.

_ რა ვიცი, სხვანაირია... უფრო დახვეწილი, ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს ჯერ...

_ ჩვენს ხელში ეგეც შეიცვლება... _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ არა მგონია... პირიქით, ჩვენ შევიცვლებით მაგის ხელში. თუმცა, ვინ იცის, დარჩება თუ უკან აპირებს წასვლას.

_ ცოდოა ჩვენთან... _ თქვა ელისომ.

_ ცოდო?.. შენ რა პესიმისტურ განწყობაზე ხარ? სანამ ჩამოვიდოდა, ამ ოჯახში სულ ყველას ნიკა ეკერა პირზე, კაცი ჩამოვიდა და სიხარულის მაგიერ, ტირი?.. მაგარი კაბა შეგირჩიე?

_ რა ვიცი. ჩემი ხნის რომ მოიყრები, ჩაცმას დიდ მნიშვნელობას აღარ მიანიჭებ. ნიკა ადგა? _ იკითხა ელისომ.

_ კი, პირს იპარსავს.

_ თაზო?

_ სუფრასთან არის გამოჭიმული, ბიჭი. მაგის ამბავი რომ ვიცი, დილიდან უნდა გადააბას, ჭიქის აწევას ვერავინ დაასწრებს.

_ ნეტავ, როგორ შეეგუება ნიკა აქაურების ახირებებს? ეგ ალბათ, გადაჩვეულია ამ ყველაფერს.

_ რას გულისხმობ? _ ვერ მიუხვდა ბებოს ანი.

_ რასა და თქვენს თავქარიანობას, ახალგაზრდების...

_ ელისო, რატომ იცი ხოლმე ჩვენი თაობის ასე უდიერად მოხსენიება? _ ირონიულად იკითხა ანიმ. _ ჩვენ თუ რამე კარგი გვაქვს, ყველაფერი თქვენგან გადმოგვეცა და რაც კი ცუდი _ ჩვენი მოგონილია, არა?.. თუმცა, არ ვიცი, რატომ არის ცუდი, მაგალითად, გოგოებმა ჭიპი რომ გამოვიჩინეთ? შენ, იცი, რას წერდა ჯერ კიდევ ოთხასი წლის წინ ვოლტერი?.. ყველაზე მეტად აღვირახსნილობა მაშინ იყო გამეფებული, როცა ქალებს შლეიფიანი კაბები ეცვათ და სახეზე ჩადრი ჰქონდათ ჩამოფარებულიო! ჰო, ჰო...

ნიკა შემოვიდა და ჩუად ჩამოჯდა სკამზე. სახეზე აშკარად ეტყობოდა ბოლო დღეების დაღლილობა.

_ რაზე კამათობთ? _ მშვიდად იკითხა მან.

_ ეს ქალბატონი მიმტკიცებს, დღევანდელი თაობა ბევრად პატიოსანიაო. დავუჯერო? _ იკითხა ელისომ.

_ მე მასე არ მითქვამს, ელისო, რატომ ამახინჯებ? _ არ მოეწონა ანის ბებოს ნათქვამი.

_ რა ვიცი, ვოლტერი არ მომიყვანე მაგალითად?! _ გაიცინა ელისომ.

_ კაი მადა გქონია. მეც არ ვიფიქრე, რამ გაასუქა-მეთქი?.. _ გაეცინა ნიკას, როცა დაინახა, რამხელაზე ჩაკბიჩა ნამცხვარი ანიმ.

_ იცი, რას გეტყვი, გენაცვალე?.. ერთი ნაკლი ყველას აქვს. ჩემი ნაკლი ნამცხვრების სიყვარულია. რა ვქნა, ამას ვერ ავიკრძალავ... _ თქვა ანიმ და ლუკმა გადაყლაპა.

_ შენ, შენ არ დაგისხა, შვილო, ჩაი? _ ჰკითხა ნიკას ელისომ.

ანიმ ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა და წამოდგა.

_ მე გავვარდი, ელისო, დიდი მადლობა... ძალიან, ძალიან მენატრები, ნიკა, მაგრამ რა ვქნა _ ზუსტად თხუთმეტ წუთში სამსახურში რომ არ ვიყო, გამომაგდებენ ალბათ... _ ანიმ ჰაეროვანი კოცნა სტყორცნა ორივეს და გავიდა.

ნიკამ სანთებელა და სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დადო. ჩაფიქრებული ჩანდა.

_ დაგისხა? _ კიდევ შეეკითხა ელისო.

_ კი, დავლევ, _ მიუგო ნიკამ.

ელისომ ფინჯანი დაუდგა.

_ ეს ჭიქები ისევ “ცოცხლებია”? _ გაუკვირდა ნიკას.

_ კი, ოთხი ცალი გადარჩა თორმეტიდან. გახსოვს? _ გაუკვირდა ელისოს.

_ რა ჩაია? _ დაყნოსა ჩაი ნიკამ.

_ აბა, რა ვიცი, შვილო. ადრე, ერთი სახეობის ჩაი გვქონდა და ფერიც ჰქონდა და სურნელებაც. ახლა მილიონია შემოზიდული _ ჩინური, ცეილონური, ინგლისური და რა ვიცი, სადაური აღარ, მაგრამ მე ამათ ვეღარც გემოს ვატან და ვეღარც სურნელებას ვუგებ.

ელისო ნიკას თვალს არ აცილებდა.

_ ვერ ვიჯერებ, რომ შენ გიყურებ. ასე მგონია, სიზმარში გამომეცხადე, გავიღვიძებ და გაქრები...

_ სულ არა ხარ შეცვლილი, გეფიცები, ისევ ის ელისო ხარ, როგორიც იყავი.

_ გამიკეთე გული, გამიკეთე! ცოტა თვალს დამაკლდა, თორემ, გულს არ ვუჩივი...

_ წნევა? მახსოვს, წნევა გაწუხებდა ხოლმე, არა?

_ ეჰ, ნიკა, შენ როგორ გგონია, ამდენი გიჟის ხელში, ოთხმოცს გადაცილებულ ქალს, წნევა გამივლიდა?! დღე ერთია და პრობლემა _ ათასი... არ მინდა, გული გაგიფუჭო, მაგრამ... ქვა უნდა იყო, ქვა, რომ ამ ყველაფერს გაუძლო. ეტყობა, ქვა ვყოფილვარ: გარშემო, ჩვენს უბანში პანტაპუნტით მიდის ხალხი... ექიმი მაინც არ ვიყო _ ყველაფერი მე უნდა ვნახო, ყველაფერს მე უნდა შევესწრო...

_ სამსახურში ისევ დადიხარ?

_ რას ამბობ! სამსახურიდან კარგა ხანია, წამოვედი, მაგრამ ჩემი პაციენტები ისევ მე მაკითხავენ... შენ გგონია, დღევანდელმა ექიმებმა რამე იციან?! არც არაფერი.

_ ძალიან კარგად გიცნობ, შენ ლომი იყავი ყოველთვის...

_ რას ამბობ, შვილო, რაღა დროს ჩემი ლომობაა? თუმცა, ზოგჯერ კი მიყვარს ბრჭყალების გამოჩენა, თუ საჭიროა. დღეს სხვანაირად რომ მოიქცე, შესაძლოა, ხუხულასავით თავზე დაგემხოს ყველაფერი.

_ ყველაზე მეტს შენზე ვფიქრობდი ყოველთვის და შენ მაგონდებოდი, გეფიცები! _ თქვა ნიკამ გულწრფელად.

_ შენ მეც ძალიან მიყვარხარ... მართალია, ყველას ერთნაირად მინდა გავუნაწილო სიყვარული, მაგრამ არ ყოფილა ეს ასე ადვილი: შენ ერთს ფიქრობ, გული _ სხვას... ძალიან, ძალიან ბევრ რამეზე დამწყდა გული... საზიზღარი წლები გადავაგორეთ, მაგრამ, აი, შენ ჩამოხვედი და თითქოს ყველაფერი ერთბაშად განათდა... ახლა, თუნდ მოვკვდე, აღარაფრად ჩავაგდებ.

_ რა დროს შენი სიკვდილია! ამერიკაში ასი წლის ბებიები, იცი, როგორ დააქროლებენ მანქანებს?!

_ მანქანის ტარებაღა მაკლია... ისე, ანი, შენი დაც წამოჯდა მანქანაზე. კაცებს ტოლს არ უდებს, სულ ცდილობს, გაეჯიბროს... უნდა განახვა, როგორ იგინება, როცა ვიღაც გაასწრებს.

_ შენა გგავს ალბათ, შენი ჯიში არ არის?..

_ ჰო, ჩემი ჯიშია, მართლაც... მაგრამ რა ვიცი, მგაავს კი... თეონა როგორ მოგეწონა?

_ დიდი გოგოა... სურათებში სხვანაირი იყო. შენ შემოიჩვევდი ალბათ, ამ ოჯახში... _ ნიკა გაჩუმდა. _ დედამისიც მოდის ხოლმე აქ?

_ ადრე, როცა ბავშვი მოჰყავდა, მოდიოდა. ახლა თეონა უკვე მარტო მოდის...

_ გავალ, სოლომონს ვნახავ, _ თქვა ნიკამ და წამოდგა.

_ არაფერი გაიკვირვო. სკლეროზი აქვს, _ გააფრთხილა ელისომ.

_ წუხელ ვერაფერი შევატყვე?

_ შენ გგონია, გიცნო? ისეთი ამბები დაგვაწია!.. მერე მოგიყვები. ინსულტი ჰქონდა, ძლივს გადავარჩინეთ. შედი, ნახე, მაგრამ არა მგონია, გიცნოს.

ნიკა მამასთან შევიდა, რომელიც ჯერ ისევ საწოლში იწვა.

_ მამა, გღვიძავს?

_ მღვიძავს, აბა, მაშ, რა დამაძინებს! ორმოცდახუთი გრადუსია, ეხუმრები?! _ უპასუხა სოლომონმა.

“ეჰეე!..” _ გაიფიქრა ნიკამ.

_ არა ღირს ჰავანაში წასვლა, საშიშია, _ თქვა სოლომონმა.

_ ჩვენც ნუ წავალთ, _ უპასუხა ნიკამ.

_ რას ამბობ, ჰო გადაგვასახლეს რუსებმა!? _ წამოიძახა სოლომონმა.

_ რუსები ჩამოდიან? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არა, არა... უნდა წავიდეთ... გადაგვასახლებენ, რომ არ დავხვდეთ, _ სოლომონი ცოცხლად წამოჯდა და შარვლის ჩაცმა დაიწყო.

ნიკა გარეთ გამოვარდა.

_ ელისო, დგება მამაჩემი, ჰავანაში უნდა წავიდეო, რუსებს უნდა დავხვდეო.

_ ეგ, ფიდელ კასტროსაც ელაპარაკება ყოველდილა... ადგეს, კარი ჩაკეტილია. გარეთ მაინც ვერ გავა. გასაღებით ვკეტავთ და ვუმალავთ... ორჯერ გაგვეპარა და ძლივს იპოვა პატრულმა.

სამზარეულოში თაზო შემოვიდა და ნიკას ხელკავი გაუყარა.

_ წამოდი, რა, შენ, ჩემთან. მამაშენს ქალები მიხედავენ. წამო, წამო, ას-ასი ჩავარტყათ.

რატომღაც, არ ესიამოვნა ნიკას. ხელიც გააშვებინა.

_ არა, არ შემიძლია, ამ დილაუთენია, ნაღდად ვერ დავლევ.

_ ვერ დალევ? რას ლაპარაკობ, ეგრევე გამოგიყვანს! კონიაკის მასალაა, ოთხმოცგრადუსიანი, აზრზე მოდი, ტო!

_ ოთხმოცგრადუსიანი? რა ამბავია, “რაპპაა” იტალიური?! _ გაუკვირდა ნიკას.

_ ჰო, ჰო, ცუმპა-რამპაა. დედას გეფიცები! _ მაგრად გაუსწორდა თაზოს “რაპპას” გაგონება. _ მაგარი რამეა. წავედით, წავედით! _ და თაზომ ძალით წაათრია ნიკა სუფრისაკენ. წაუმღერა კიდეც: _ ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპა, რამპა-რარარაარაა... ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპარაა! _ მიიყვანა და მაგიდასთან დასვა. ამ დროს ვერიკოც შემოვიდა და სუფრასთან მიმსხდარი თაზო და ნიკა დაინახა.

_ ნიკა, დალევას აპირებ? _ გაიკვირვა ვერიკომ.

_ რა მოხდა, ერთი ჭიქა! _ ნიკას მაგიერ უპასუხა თაზომ.

_ იქნებ, არ უნდა? _ შეეკითხა ვერიკო.

_ დედაჩემთან ლაპარაკი მომენატრა, ჩვენ სხვა დროს, რა, თაზო... _ თხოვა ნიკამ.

_ ჰოდა, წამოდი! ადექი, ადექი! _ სკამიდან წამოაგდო დედამ ნიკა. _ ამათ რას უყურებ, ესენი ყურში ჩაისხამენ იმდენს, რამდენსაც შენ _ მუცელში...

_ ვინ ესენი? _ მიიხედ-მოიხედა თაზომ. _ აქ მგონი, მე ვარ, მარტო, ვერიკო... ეეჰ, სიდედრი? სად მიგყავს, სად?! ნიკა, ტყუილად გიმღერე, ბიჭო, ცუმპა-რამპა?! ეეჰ!

ვერიკომ ნიკა სამზარეულოში გაიყვანა. ელისო მაგიდასთან მარტო იჯდა და საუზმობდა.

_ დაჯექი აქ, დამელაპარაკე _ რას ფიქრობ, რას აპირებ. ისე მოულოდნელად გამოგვეცხადე, ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონზე... _ თქვა დინჯად ვერიკომ.

_ რა ვიცი... ბოლო დროს, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, როგორ გითხრა... საქმეც ნორმალურად მიდიოდა, ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ თითქოს მაინც, რაღაც მახრჩობდა...

_ მაგას ნოსტალგია ჰქვია... _ თქვა ელისომ. _ თქვენ იცით, რომ ადრე, ორადორი პროცენტი ქართველობა ცხოვრობდა თურმე საზღვარგარეთ?

_ ჰო, ალბათ... _ თქვა ნიკამ და დედასა და ბებიას დაბნეული მიაცქერდა.

სამზარეულოში ფეხაკრეფით შემოიპარა თაზო.

_ მათხოვეთ, რა, ეს კაცი ცოტა ხნით... _ ყელი აუწია ვერიკოს თაზომ.

_ თაზო, აქედან დამეკარგე! _ მკაცრად თქვა ვერიკომ.

_ ხუთი წუთით მათხოვეთ, ადამიანები არა ხართ?! _ ლამის აყვირდა თაზო.

_ ვიცი, რასაც ნიშნავს შენი ხუთი წუთი. წადი, რა, ბიჭო, და იმ შენს მეინახეებთან გამოდი "პახმელიაზე"... საუკუნეა, არ მინახავს შვილი. შეგიძლია ამის გაგება?..

_ მაშინ, თვალები დახუჭეთ! _ თაზო ნიკასკენ დაიხარა: _ საათ-ნახევარში, ორ საათში, აქა ვარ და მერე ჩვენია ეს ქალაქი... _ ნიკა გაკვირვებული მიაშტერდა. _ აბა, ჰე, დროებით! _ თქვა თაზომ და გავიდა.

_ მკვდარივით მეძინა და ამათმა წიოკმა გამაღვიძა... _ თქვა ნიკამ. _ ეს და ანი დილაადრიან, ერთმანეთს დასდევდნენ.

_ ჰო, უნდა დაკბინონ ერთმანეთი. ეგ არი მაგათი სიყვარული, _ ჩაილაპარაკა ვერიკომ... _ ორივე ერთი ჭკუისაა.

_ შვილს რატომ არ იყოლიებენ?

_ რა ვიცი. უცხოელებს ბაძავენ, _ ჩაერია ელისო. _ ჩემი ქმარი რომ არ გადაესახლებინათ, ერთ შვილზე როგორ გავჩერდებოდი?!. ღმერთო, რამდენი რამე გამოვიარე, გახსენებაც კი მზარავს.

_ ბიჭო, იმ გოგოს რატომ დაანებე თავი, სურათი რომ გამოგვიგზავნე? კარგი გოგო ჩანდა ფოტოზე... _ ჰკითხა ნიკას ვერიკომ.

_ ვინ, მონიკა?.. ჩემს ნოსტალგიას ვერ გაუძლო... ან _ ვერ გაუგო... თუმცა, რაში გაინტერესებს მონიკას ამბავი?.. _ ხელი ჩაიქნია ნიკამ.

_ არ უნდა მაინტერესებდეს?

_ არა.

_ კაი, ბატონო, თუ კი არ გინდა, მაინც ვერ გათქმევინებ... კიდევ ბევრი შეკითხვა მაქვს, მაგრამ შენი ხათრით, ცოტა ხნით გადავდებ!

_ კარგი, ჩამოწერე და ბალიშქვეშ ამომიდე, რომ გავაანალიზო, რაზე გიპასუხო და რაზე _ არა, _ კიდევ ერთი ღრმა ნაფაზი დაარტყა ნიკამ და ნამწვი საფერფლეში ჩაფერთხა.

_ აკი, ამერიკაში არ ეწევიანო?.. _ იკითხა ელისომ.

_ მე მგონი, საქართველოში ვარ, _ თქვა ნიკამ და გულიანად გაიცინა.

კარზე ზარის ხმა გაისმა. ვერიკო კარის გასაღებად გავიდა. დირესთან რეზი იდგა. რომელმაც გაღიმებულმა იკითხა:

_ გაიღვიძა?

_ ერთი წუთით, იქით გავიდეთ, _ ვერიკომ ხელი მოჰკიდა და საძინებელში გაიყვანა რეზი.

_ დედა, ოღონდ ის არ მითხრა, რისი ეჭვიც მაქვს... _ ჩაილაპარაკა ნაწყენმა რეზიმ.

_ ალბათ, მიმიხვდი... რეზი, ძალიან გთხოვ, გემუდარები, შენი პრობლემებით ნუ დატვირთავ...

_ რა მნიშვნელობა აქვს, პირველ დღეს გაიგებს თუ ერთი კვირის შემდეგ?! უბრალოდ, რაზე მწყდება გული, იცი?.. რატომღაც, საფრთხობელა გგონივართ ყველას... არადა, კაცი ვარ... თუ ზედმეტი ვარ, დღესვე მოვიკლავ თავს... რა იყო, ვერა?..

_ არ მეგონა, თუ ასე გატკენდი გულს. წამოდი, გეშიება... _ ელისომ რეზი მისაღებში გაშლილ სუფრასთან გაიყვანა. რეზი ჩამოჯდა. ვერიკომ თავად შეუვსო ჭიქა. თავზე ხელიც გადაუსვა.

_ ნუ მეფერები მაინც, _ თავი გაიქნია რეზიმ.

_ ვეტყვი, რომ მოხვედი...

_ ჰო, უთხარი, _ რეზიმ პური გაგლიჯა. _ ერთი, თქვენიც...

ვერიკო სამზარეულოში შევიდა. ელისო და ნიკა მაგიდასთან ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

_ ვინ მოვიდა? _ იკითხა ნიკამ.

_ რეზი.

_ ფხიზელია? _ იკითხა ელისომ.

_ კი, _ თქვა ვერიკომ და თვალები აუწყლიანდა.

_ რა ხდება, დედა? _ იკითხა ნიკამ.

_ ვერ ინახავს ოჯახს... ვალი ვალზე... მარტო ერთი სიტყვა მესმის მაგისგან _ "გადამაგდეს". სახლი გაყიდა, ვალში მისცა. შვილიანი ქალი შეირთო. ვერ ჩავერიეთ. რომ ჩავრეულიყავით, დაგვხოცავდა. ჩაესიძა. რა სჭირდა ჩემს შვილს სხვასთან ჩასასიძებელი, ამიხსენი!..

_ გავალ, ვნახავ... _ ნიკა წამოდგა და მისაღებისკენ წავიდა. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ნიკა კართან მივიდა და დედის ხმაც შემოესმა.

_ ნიკა, შენ ვერ გააღებ, გასაღებზეა დაკეტილი. აი, გასწავლი, სად ვმალავთ.

ვერიკომ ხელი ასწია და მრიცხველის ყუთში შეყო, მაგრამ გასაღები არ დახვდა.

_ ელისო, შენა გაქვს გასაღები? აქ არ დევს, _ გასძახა ვერიკომ დედას.

ნიკამ სახელური დასწია. კარი გაიღო და გარედან, კოსტიუმში გამოწყობილი სოლომონი შემოვიდა.

_ როგორ გახვედი? კარი როგორ გააღე, გასაღები შენ აიღე? _ მიაყარა ქმარს ვერიკომ.

_ მე ჩემი გასაღები მაქვს... _ სოლომონს ხელში ეჭირა გასაღები, რომელიც ვერიკომ იმწამსვე წაჰგლიჯა.

_ დედა, რანაირად ჩაუვარდა ხელში ეს გასაღები? _ აყვირდა ვერიკო. _ მოდი, ან რამე დაალევინე, ან ნემსი გაუკეთე, ან რამე მიშველე, შენი ჭირიმე! კიდევ კარგი, უკან ამოვიდა... არა, ეს მაინც დაგვეკარგება და დაგვღუპავს. აი, ნახავთ, თუ არა!

რეზიმ, რომელიც ხმაურზე ჰოლში გამოვიდა, ნიკას მოჰკიდა ხელი.

_ წამოდი ჩემთან, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, _ უთხრა და მისაღებისგენ უბიძგა. ნიკა დამორჩილდა. რეზიმ მისაღების კარი მიკეტა. _ მოდი, რა, დავლიოთ...

ნიკა მაგიდასთან დაჯდა. ძმებმა ერთმანეთს შეხედეს.

_ გითხრეს, არა, უკვე, ყველაფერი ჩემზე?.. _ რეზიმ ნიკას არყის ჭიქა მიუჩოჩა. არაყმა ნიკას აეროპორტის ამბები გაახსენა. გაეცინა...

_ რა გაცინებს? _ გაუკვირდა რეზის.

_ მოდი, რა, მოგიყვები, _ და ნიკამ რეზის ყველაფერი მოუყვა.

_ როგორც ჩანს, ფული გიშოვია, თუ ორი ათას დოლარზე ასე გეცინება... _ უთხრა რეზიმ ძმას, როცა მან თხრობა დაამთავრა.

_ იმდენი კი მაქვს, რომ აქაურ ბიზნესს თავისუფლად გავწვდე, _ თქვა ნიკამ.

რეზიმ ის იყო, თავისი გაჭირვების თქმა დააპირა, რომ მისაღების კარი ხმაურით გაიღო და ოთახში, დიდი ქვაბით ხელში, თაზო შემოვიდა.

_ აბა, ხაბარდაა! გზა, გზა! მოვიდა ცხელ-ცხელი ხინკალი, მოვიდა! _ გახარებული გაიძახოდა თაზო. _ აბა, ქაფქირი, დროზე, და აქეთ, აქეთ, ვის უნდა ცხელ-ცხელი ხინკალი, სუფრასთან ყველა, სუფრასთან! _ მივიდა და ქვაბი პირდაპირ ნიკას წინ დადგა. თან, ეშხში შესული, ამღერდა: _ პატარძლის მოხვეული, ქვაბით შემოტანილი, ხინკალი და ქაბაბი, ქაბაბი და ხინკალი... _ სიმღერა მოამთავრა და სახე პირდაპირ სახესთან მიუტანა ნიკას. _ ძმურად, რა-ა, ალალად მითხარი, რამდენი წელია, ხინკლის გემო კი არა... გემო _ არა, ოხშივარი არ გიგრძვნია, ჰა? ჰო იქნება, არა, ერთი თხუთმეტი წელი

მაინც?! ჰოდა, მოემზადე, რა, მაგრად მოემზადე! იცი, როგორ? ასე დადექი! _ ნიკა ფეხზე წამოაყენა. _ ასე, ჰო, ქვაბის წინ!.. ახლა ამოისუნთქე, მაგრად, რა! იცი, როგორ? ისე უნდა ამოისუნთქო, თითქმის შიგნეულიც რომ ამოყვეს, რა! მოდით, მოდით, ყველანი! _ სხვებსაც გასძახა თაზომ და ოთახში ვერიკო და ელისოც შემოვიდნენ. _ ისტორიული მომენტია. აბა, მაგრად ამოისუნთქე და გააჩერე ცოტა ხანს, არ ჩაისუნთქო... _ ისევ ნიკას მიუბრუნდა თაზო. _ ერთი, სამი წამი კიდევ და თხუტმეტი წლის ოცნება აგისრულდება... ვხდი, არ ჩაისუნთქო! ერთი, ორი და-ა-ა _ სამი! _ თაზომ ქვაბს ხუფი ახადა და იქიდან მართლაც, ხინკლის ორთქლი და ოხშივარი ამოვარდა! ნიკამ დაუფიქრებლად შეისუნთქა ხინკლის ცხელი ოხშივარი და თვალები ცრემლით აევსო.

_ როგორ ხარ, შვილო? წყალი, აი, წყალი დალიე... _ მიაჩეჩა ვერიკომ ჭიქა.

ნიკამ წყალი დალია და სული ძლივს მოიბრუნა, ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავიდა.

_ რა ყველა სიგიჟე შენ უნდა მოიგონო, ბიჭო! ამდენი რამე მოვამზადეთ, შემჭმელი არავინ არი და რაღად გინდოდა ეს ხინკალი?! _ გაუწყრა სიძეს სიდედრი და ნიკას გამოუდგა.

_ რა ვიცი, პატივისცემა მინდოდა... _ თავი იმართლა თაზომ. _ მე კვირაში ერთხელ მაინც თუ არ გამოვძეხი ხინკლით, ის კვირა დაკარგული მგონია და ვიფიქრე, ერთადერთი, რისთვისაც ამერიკიდან აქ, ამ ჩვენს კამბოჯაში შეიძლება ჩამოვიდეს კაცი, ალბათ ხინკალი თუ მოენატრა-მეთქი... მაგ დალოცვილს, პირით კი არ უნდა ჩაესუნთქა, ცხვირით უნდა შეესუნთქა.

_ ერთი, ეგ შენი ცხვირი მიმანაყინა. გავალ, ქაფქირს მოვიტან, _ თქვა ელისომ და ქაფქირის მოსატანად წავიდა.

_ ჰო, ჰო, დროზე სანამ ცხელია, _ მიაძახა თაზომ.

რეზიმ დრო იხელთა და თაზოს ხელკავი გამოსდო.

_ თაზო, სათხოვარი მაქვს შენთან...

_ რა მოხდა? _ ცოტა არ იყოს, შეცბა თაზო.

რეზიმ მიიხედ-მოიხედა. ოთახში არავინ იყო.

_ ფული მჭირდება.

_ ისევ? _ არ ესიამოვნა თაზოს. _ რამდენი?

_ ათი ათასი.

_ დოლარი?! _ გაუკვირდა თაზოს.

_ ჰო, რა თქმა უნდა. თუნდაც, პროცენტიანი.

_ პროცენტიანი _ რა, მევახშე კი არა ვარ... _ იწყინა თაზომ.

_ უბრალოდ, ძალიან მჭირდება. სიტყვა მაქვს ნათქვამი, ქურდი ჩაერია...

_ რა არის, იცი, რეზი... ჯიხურებიდან ფულს ვერ ამოვიღებ. ხომ ხვდები?..

_ ვიცი... მაგრამ ძალიან მჭირდება.

_ ორამდე შემიძლია, ისიც _ არ ვიცი...

_ ორს აზრი არა აქვს, ათი მჭირდება.

_ რა ვქნა, რა მოგიხერხო, რო არ ვიცი...

_ ამიტომაც გეუბნები _ იქნებ, პროცენტიანი მაინც შეძლო. მაგ ხალხში ტრიალებ...

_ მერე, როგორ აპირებ პროცენტის დაფარვას? ბანკს ხომ ვერ გაძარცვავ, არა?

_ შენ მე ბავშვი ხომ არ გგონივარ? _ აღელდა რეზი.

_ რატომ ბრაზობ, არ მესმის...

_ არ იქცევი სწორად, _ მიაწვა სიძეს რეზი.

_ შენ სწორად იქცევი, რო?!. _ არ დაუთმო თაზომ.

_ მაცალე ერთ წამს, მომისმინე! ბიჭო, მე შენგან ჭკუის სწავლება კი არა, ფული მჭირდება, ფული!.. რომელსაც თავისი პროცენტით დავაბრუნებ... შენ ხომ კარგად იცი, რომ მე გადამგდები არა ვარ.

კარი გაიღო და ნიკა გამოჩნდა, რომელმაც რეზის ბოლო სიტყვები გაიგონა.

_ რეზი, მე ვერ მითხარი შენი სათქმელი ჯერ?! მე ძმა ვარ და ეგ _ სიძე...

რეზი მიხვდა, რომ ძმა ხელს უწვდიდა და მაშინვე გულზე მოეშვა.

_ უნდა გითხრა თუ უნდა გთხოვო? _ გაეღიმა და თავი მოიფხანა რეზიმ.

_ ძმები, მე მგონი, უბრალოდ, ეუბნებიან ერთმანეთს სათქმელს... _ ნიკამ არყის ჭიქას წამოავლო ხელი.

_ ეგ ამერიკაში ისწავლე? _ ცხვირი მოიქავა რეზიმ.

_ არა, საქართველოში... _ თქვა ნიკამ და არყის ჭიქა მაგიდაზე დადგმულ ბოთლს მიუჭახუნა.

_ დიდი პრობლემა მომიხსენი, ძმაო... _ თვალები აუწყლიანდა რეზის. _ მოდი, გაკოცო.

ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ოთახში, ქაფქირით ხელში, ელისო გამოჩნდა, რომელსაც უკან ვერიკო და სოლომონი მოსდევდნენ.

_ სწორედ დროზე მოიტანე, ელისო, ქაფქირი... ჩემი ძმა დაბრუნდა! ჩემს ძმასთან ერთად, ხინკალი უნდა ვჭამო... _ გაუხარდა რეზის ელისოს გამოჩენა.

_ არ მომეტანა და ვნახავდი, რა ხინკალს მიირთმევდით... _ დაიტრაბახა თაზომ.

_ ...მაგრამ ფული ჩემს ანგარიშზე სამ დღეზე ადრე არ დაჯდება, დაშავდება ამით რამე? _ ჰკითხა ნიკამ რეზის, როცა ხინკალი გათავდა.

ამის თქმა იყო და რეზის ჯერ პირში ენა ჩაუვარდა, მერე კი, სულ რაღაც წამებში, იმდენმა ფერმა გადაჰკრა, რომ _ ეს რა ვუთხარი ასეთი, მოვკალი კაციო, _ ინანა ნიკამ...

“თუ შნო არა გაქვს, რაღას პირდები ამ ხალხს?!”, _ დილიდან, ცოლის ეს საყვედური ვერაფრით ამოიგდო თავიდან რეზიმ. მთელი ღამე, კუბო და ზედ დახატული შავი ჯვარი ესიზმრებოდა. თან, ეს კუბო დაფრინავდა. მოფრინდებოდა _ გაფრინდებოდა, მოფრინდებოდა _ გაფრინდებოდა... პირველზე ფული რომ არ მიეტანა, რა ამბავი დატრიალდებოდა მის თავს, _ ამის გაფიქრებაც კი ზარავდა. არადა, ჰორიზონტზე სასიკეთო არაფერი ჩანდა. ერთადერთი, ჭოკას იმედადღა იყო. იქნებ, გამომყვეს და როგორმე, ორი დღე გადავადებინოო...

ბარაკებით დასახლებული უბნები, ეს თავისებური თბილისური გეტოები, თავისი, ფლოსტებში მოფრატუნე ლამაზმანებითა და მობირჟავე ბიჭებით და ბიჭ-ბუჭებით, მოშავო სამყაროს, უამრავი მძიმე თავგადასავლის დაბადების ადგილია. სწორედ ამ უბანში შეაბიჯა, თავისი უტვინობის გამო, გულდამძიმებულმა რეზიმ. ჭოკას ბარაკის გვერდით, სახლი დამწვარიყო და ისეთი სუნი ეცა ხრჩოლვის, _ ეს ამ ღამეს თუ გადაბუგესო, _ გაიფიქრა.

_ შენც მონახე, რა, სალაპარაკო დრო!.. ჰო ხედავ, რა ქნა ამ ჩემისამ! სახანძროს რომ არ მოესწრო, ყველანი ერთად მოვიხრაკებოდით, მთელი უბანი... _ ბრაზობდა ჭოკა... _ წამო, მანქანაში ჩავჯდეთ და იქ ვილაპარაკოთ, _ უთხრა მან რეზის და “ბეემვეს” კარი გამოუღო. როგორც წესი, ასეთ მანქანებს ნომრები მავთულით აქვთ მიბმული კაპოტზე, რადგან “შიტოკი” თუ “ბამპერი” საერთოდ, მოხსნილი აქვთ ხოლმე. ფარებიც, უმეტესად, ჩალეწილი და გვერდებიც მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი. თუმცა სალონში, ხშირად, სხვა მანქანიდან ამოცლილი, ძვირად ღირებული მაგნიტოფონის ხმა ისმის. აი, ასეთ

“ბეემვეში” ჩაუჯდა რეზი ჭოკას და _ რატო დაიწვა ეს ბინა, მანდ გრეკა არ ცხოვრობსო? _ ჰკითხა.

_ ჰო, რა ვიცი, ლობიო არ მოსწონებია თურმე, ამ ჩემალალას, გრეკას... ხო იცი, რა გარეკილია!.. მწარე რატოაო?! _ და მოუსრიალია ეს ჯამი. ბებიამისს კიდევ, ეს ქვაბი... აუ, რა ჟინიანია ეს ბებიამისიც, ლუიზა, არაფერს არ უთმობს, ტო!.. აუღია და ეს ლობიოს ქვაბი მაგიდაზე გადმოუპირქვავებია... ამანაც, მიასხა სახლს ბენზინი და _ “დავაი”! _ მგონი, მეშვიდე სახლი დაწვა უკვე... რა ვიცი, გადარჩენილი ვარ, ტო, რა მაგრად...

მერე საქმის გარჩევაზე გადავიდნენ.

_ ეგრე არ გამოვა, რა, რეზი... კაცს რომ სიტყვას ეტყვი... ის სხვას ეტყვის, მერე ის კიდევ _ სხვას და შენ ეს ჯაჭვი გინდა გამაწყვეტინო?! ეგ მაგარი კოზირი გიჭირავს ხელში, შენი ძმა რომ ჩამოსულა... ეგ თუ გაჭრის, რა! მივიდეთ, რავი, დავებაზროთ...

_ რასა მთხოვთ, ტო, თქვენ გესმით, სიმონ?! ერთხელ ხო უკვე გადაგივადე, ძმაო! სამი დღე არ მოგეცი?.. ჩემი ფული მივიტანო, ტო?!. _ თავისი ორსართულიანი სახლის სამზარეულოში იჯდა და ჩაის სვამდა გუბე.

_ მე რატო არ მითხარი, ტო, თუ ერთხელ გადაგივადა უკვე?! ეს რა პონტია, ტო! _ არათითსა და შუათითს ატრიალებდა ჭოკა. _ ბოზიშვილი ვიყო, არ ვიცოდი, გუბე! პირველად გავიგე. ეგ რო მცოდნოდა, შენთან მოვიდოდი?! კაი ბიჭობა გინდა და ბოზი გამომიყვანე, სიმონ?! _ ისევ რეზის მიუბრუნდა ჭოკა.

_ ორი დღე მინდა... არ არსებობს... მეც ხომ დავიწვი, არა?! _ თავს აცოდებდა რეზი...

_ მერამდენედ იწვები, სიმონ?! კაი, რა, სულ შენს გამოძრომაში როგორ უნდა ვიყო!.. რამდენი ვინმე ელოდება, იცი, მაგ ფარას?! _ ქაღალდის ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა გუბემ.

_ ვიცი, აბა, რატომ მოვედი?! გამქცევი კი არა ვარ... ორი დღე მინდა, _ ოდნავ გაბედულება მიეცა რეზის.

_ ერთი! და მორჩეს ეს დამპლური რიჟა ბაზარი!.. _ თავი წინ გადასწია გუბემ, ქვემოდან შეხედა ბიჭებს და კითხვა მიაყოლა: _ მოსულა?.. ოღონდ, მე შენთან მოვრჩი, ძმაო! _ უთხრა მან რეზის და ისევ ჭოკას შეხედა.

_ ხო გაიგე?! _ მიუბრუნდა ჭოკა რეზის. _ ხვალ პირველამდე, ფული უნდა ჩავიბაროთ. _ ხო, იასნია, ძმაო? უკეთესი სიტყვა გინდა?! რამხელა დათმობაზე მიდის კაცი!.. სხვა რომ არ გაპატიებდა, ესეც ჰო იცი?

რეზიმ თავში რაღაც “გადაალაგ-გადმოალაგა”...

_ მოვიტან! _ ისე თქვა, თითქოს ფული უკვე ჯიბეში ედო.

_ მოიტან, რას ჰქვია, სიმონ?! არ მოიტან და ტრუპი ხარ! გუბესთან სხადნიაკზე მოგყავარ და არ მეუბნები, რომ ერთხელ უკვე გადაგივადეს სროკი?! შენ მე მალალეტკა კაზიოლი ხომ არ გგონივარ, ბიჭო?! _ თითებს თვალებთან უტრიალებდა ჭოკა რეზის.

მთლად “გაფუჭებული” რეზი ქურდებს დაემშვიდობა თუ არა, თავის ოჯახში, ბერიძეებთან გავარდა.

_ ნიკა, უნდა გადამარჩინო! ასიანი დამბრიდავენ, გეფიცები!.. _ იხვეწებოდა ნახევარ კაცად ქცეული რეზი. _ აქვს მაგ ჩათლახს, თაზოს... ფულის მეტი რა აქვს, ტო! ცხრა სალაროში ცხრა მაგდენიც აგროვდება, მაგრამ ტრაკია!.. დამწვარი ვარ, ტო!..

_ მოიცა, რა, წესიერად ილაპარაკე! _ უთხრა ნიკამ. _ იმ კაცს ჰაერიდან ხომ არ მოსდის ის ფული! არა აქვს შენი იმედი და ვერ გაძლევს...

_ შენ მოგცემს, ტო! შენ ვერ დაგიჭერს!.. _ შფოთავდა რეზი...

_ რა გამოდის _ ცხრავე სალარო უნდა დავკეტო?! _ შეეკითხა ცოლისძმებს თაზო. _ ჰო, გავკოტრდი!..

_ ერთი საათით, ტო! ერთმა საათმა რა უნდა გიყოს?! _ "ახტა" იმწამსვე რეზი.

_ ნიკა, შენ ხომ ხვდები, არა?! ჩვენთან ერთი წუთი სჭირდება ოპერაციას, არა?.. აქ ერთ წუთში, შეიძლება, იმხელა მაყუთი შემოვიდეს, სამი და ოთხი თვე, ერთად რომ არ შემოდის. ამ ქალაქში მილიონ-ტრისტა სალაროა, განა რას ვაგებინებ ამ ფულს, ხომ გესმის?! ერთი საათი! რომ არ დაჯდეს ის ფული, მერე?.. _ ცხარობდა თაზოც.

_ ცოტას დაკარგავ, რა! ყელსა მჭრი?! დამკლავენ, ტო, დამბრედავენ! _ მკვდრის ფერი ედო რეზის.

_ გამორიცხულია! დაჯდება... _ თქვა ნიკამ.

თაზო, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეს. მანაც, მეორე დღეს, პირველის ნახევარზე დაკეტა სალაროები და რეზიმ პირველზე ჭოკასა და გუბეს "ქეში" "კაცურად" ჩაუთვალა...

ნიკას ანგარიშზე სამ საათამდე, ფული არა და არ დაჯდა. ბანკმა ეს ამბავი თანამშრომლის დაუდევრობას გადააბრალა. თაზო გიჟს ჰგავდა: ვკოტრდები, ჩემი დედა!.. ვიღუპებიო! _ ლამის ტიროდა. ცოტა ეჭვი მაინც გაუჩნდა ნიკას, რამდენად სანდო იყო აქაური საბანკო სისტემა...

რეზის კი, ყველაფერი უკვე სულ ცალ ფეხზე ეკიდა. თავი ქუდში ჰქონდა ბიჭს: მილიონერი ძმა ჩამოუვიდა ამერიკიდანო, _ გავარდა მის უბანში ხმა...

მეორე დღეს, ნიკამ _ ქალაქში გავივლი ცოტასო, _ გავიდა და აღარ შემოვიდა. ელისომ ნერვიულობაც კი დაიწყო: სად დაიკარგა ეს ბიჭიო? _ ფიქრობდა.

შინ მობრუნებული ნიკა სადარბაზოსთან თანაკლასელებს გადააწყდა. რომლებსაც მისი ჩამოსვლის ამბავი გაეგოთ და მოაკითხეს.

_ ამას უყურე!.. _ მხარი მიარტყა ნიკას კახამ.

_ ეს უსინდისო, ეს ნამუსგარეცხილი!.. _ გაიღიმა ბესომ.

_ ბესო! კახა! _ გაუხარდა ნიკას და მეგობრებს გადაეხვია.

_ ბიჭო, ასე უნდა?! მოკითხვა არ იცი... ეს გული რამ გაგიცივა?!. _ ეხუმრა ბესო.

_ ნახე, ტო, სუფთა ჰოლივუდის მასტი არ არის?! _ მიხრა-მოხრა დააჯავრა კახამ.

_ წამო, ჩემთან ავიდეთ, _ შესთავაზა ნიკამ.

_ რატომ შენთან? პირდაპირ რესტორანში!.. ნიაზასთან! _ თქვა კახამ.

_ აი, აქა მაქვს, აი!.. _ ყელთან მიიტანა თითი ნიკამ. _ თან, ჩემი გოგო მელოდება...

_ ისიც წავიყვანოთ, კაცო... _ თქვა ბესომ.

_ არა, რა, ბიჭებო, ბავშვს დავენახვო წესიერად... ჩემთან ავიდეთ, მერე ვნახოთ... _ ხელი გადახვია მეგობრებს ნიკამ და თავისთან შეუძღვა...

_ ამათ სად გადააწყდი?! _ გაეღიმა ელისოს მათ დანახვაზე...

ერთი კი უთხრა ელისომ ბიჭებს _ არ დაალევინოთ, ეგ გადაჩვეულიაო, _ მაგრამ მიხვდა, ვერაფერს გააწყობდა და თავი დაანება.

_ თეონა შინაა? _ მოიკითხა შესვლისთანავე ნიკამ შვილი.

_ კი, სტუმართანაა, _ უპასუხა ელისომ.

_ ვინ სტუმართან? _ დაინტერესდა ნიკა.

_ ლადო გვესტუმრა, შენი ბიძაშვილი. რაღაც საქმეზე ჩამოსულა. ხომ იცი, რუსეთშია წასული...

ნიკამ ხელი დაუტყაპუნა მხრებზე მეგობრებს და მისაღებში შეუძღვა, სადაც ლადო და თეონა ისხდნენ. თეონა ფეხზე წამოდგა. ნიკამ შვილს აკოცა და სამზარეულოში, ელისოსთან გაუშვა _ ბებოს მიეხმარეო. ლადო კი მოიკითხა და ბიჭები გააცნო.

ძვირად ღირებულ კოსტიუმში გამოწყობილი, ბლანჟეიანი ლადო, თითზე “პერსტენით” და ხელში სიგარით, რუს სოვდაგარს დამსგავსებოდა...

სუფრა გაეწყო და კაცებიც საუბარს შეჰყვნენ. რატომღაც, თვალში არ მოუვიდა თუ არ ეჭაშნიკა ლადოს ბესო და სულ მის დამცირებას ცდილობდა: რასაც კი ბესო იტყოდა, ლადო ან მის საწინააღმდეგოს ამბობდა, ან საერთოდ, აბითურებდა მის ნათქვამს.

_ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი მესამედი რუსეთშია, ერთი მესამედი _ ევროპაში, დარჩენილი ნაწილი _ ამერიკაში... სამაგიეროდ, მე და კახა ვართ აქ მყარად გამაგრებულები. არა, კახა? _ თქვა ბესომ.

_ ბოდიში, რა, შენი სახელი ისევ დამავიწყდა, _ თვალებში მიაშტერდა ლადო ბესოს.

_ ბესო. ბესო... _ უკვე მესამედ პასუხობდა ბესო ერთსა და იმაცე კითხვაზე ლადოს.

_ იცი, რას გეტყვი, ჩემო ბესარიონ?.. რაც არ იცი, იმაზე არ უნდა ილაპარაკო. რას აკეთებენ ეგ შენი ქართველები მერე, აქედან რომ არიან გახიკულები, იცი? ქურდობენ, ბიჭო, ნახევარზე მეტი, იპარავენ და ამით ცხოვრობენ. ბევრი იმ ნაქურდალით აქ ცოლ-შვილს ინახავს. იცი, შენ, ეს?!

_ ვიცი, _ რატომღაც გამწარდა ბესო.

_ საქმეც მაგაშია! მთელი ნაგავი გახვეტილია აქედან. რა სახელი აქვს, იცი, ქართველობას უცხოეთში?.. მე რომ ამ მთავრობისა ვიყო, არავის არ გავუშვებდი გარეთ, არავის!.. _ თქვა რატომღაც რუსეთში გადახვეწილმა, ქართველებზე გამწყრალმა ლადომ და ვერცხლის ძეწკვით ქამარზე დაკიდულ ოქროს საათზე დაიხედა.

_ აკი, არც უშვებენ, _ თქვა კახამ. _ აქედან როგორმე რომ გააღწიონ, ყუთებში და ჩემოდნებში ძვრება ხალხი! ჰო, ჰო...

_ საქმეც ეგ არი... კაცი რომ აქედან ყუთით და ჩემოდნით უცხოეთში გავა... საბუთები რომ იმას არ ექნება წესრიგში, ლეგალიზაცია რომ არ ექნება, როგორ უნდა იცხოვროს?! უნდა იქურდოს, არა?! აბა, სხვა რა?! ამიტომაც არი, რომ ყველანი, აქაც და იქაც, ძმაო, ხაფანგში ხართ გაბმული... საქმე მინდა წამოვიწყო. რაღაცაში მინდა, ფული დავაბანდო, პარტნიორს ვეძებ საქართველოში, რა ხანია, პარტნიორს, და ერთი კაცი ვერ ვიპოვე, წამლად, ერთი! ელაპარაკები და არავინ არ გისმენს. მოსმენის კულტურაც კი არა აქვს ხალხს, აბა!.. მოვედი აქ, ბიძაჩემი მინდოდა მენახა, მაგის წყალობით ვდგავარ დღეს ფეხზე და კაცს ინსულტი დამართნია.

_ მერე, ვისი ბრალია _ ჩვენი თუ მთავრობის? _ იკითხა ბესომ.

_ შენი! _ თითი მიუშვირა ისევ ლადომ ბესოს. _ ვინ იძახდა _ ბალახს შევჭამო, მთავრობა?! თუ, მთავრობა იმას გეუბნებოდა _ ნუ შეჭამ, ძმაო, ბალახს, მოიწამლებიო?! ასე არ იყო?! ნახევარი საქართველო ციხეში რომ ზის და “ბალანდას” მიირთმევს... გემრიელია?

ამ დროს, ღია კარში ელისო და სოლომონი გამოჩნდნენ.

_ აი, გაიღვიძა... სოლომონ, იცნობ ამ კაცს? _ ჰკითხა სიძეს ელისომ და ლადოზე მიუთითა.

_ როგორ ვერ ვიცნობ?! ლადო არაა, შოთას ბიჭი?

_ ლადო, გიცნო, ბიჭო! _ გაოცდა ელისო.

ლადომ გადაკოცნა და თავზე ხელი გადაუსვა ბიძას.

_ ნუ გეშინია, ყველაფერი წესრიგში იქნება... _ და ნიკას მიუბრუნდა. _ მოსკოვში უნდა წავიყვანოთ, საუკეთესო კლინიკაში ვუმკურნალებ.

_ შოთა როგორაა? _ იკითხა სოლომონმა.

_ შოთა გარდაიცვალა, სოლომონ... სულ ახალგაზრდა იყო... დაგავიწყდა? _ ჩაერია ელისო.

_ შოთა ცოცხალია... გუშინწინ ველაპარაკე... რა უცნაური ხალხია _ შოთა გარდაიცვალაო!.. _ ეწყინა სოლომონს, შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. ლადომ მზერა გააყოლა.

_ იცი, რა, ბესო... ასე გქვია, არა, ხომ არ მეშლება?

_ ჰო, ბესო მქვია-მეთქი, აკი ვთქვი... ბესო! _ სახე აეჭრა ბესოს.

_ თქვენი ქვეყანა, აი, ამ კაცისგან ძალიან კი არ განსხვავდება... ჰო, ქვეყანასაც სისხლი აქვს ტვინში ჩაქცეული და აღარ ახსოვს არაფერი _ ვინ მტერი იყო და ვინ _ მოყვარე... წავალ მე, მელოდებიან ერთგან...

_ გაგაცილებ, _ წამოდგა ნიკა.

_ ჰო, შენთან რაღაც საქმე მაქვს... მერე გნახავ. კარგად მეყოლეთ, _ თითი აუწია ბიჭებს შეზარხოშებულმა ლადომ და კარისკენ წავიდა.

ნიკამ სხვებთან ერთად გააცილა ლადო და ბიჭებთან შემობრუნდა.

_ აუ, ეს რა მაზალო ვინმე იყო! თავი ძლივს შევიკავე... _ ხელი აიქნია ბესომ.

_ მიზანში ამოგიღო... _ უთხრა კახამ.

_ უბრალოდ, სოფელია. ნიკა რომ არა, პასუხი უნდა მომეთხოვა... არ მომშხამა, ბიჭო?!

_ თითზე პერსტენი, პირში სიგარა... იქით კრიშა, აქეთ კრიშა, ბანკში დიდი მაყუთი... _ ჩაიცინა კახამ.

_ რესტორანში წავსულიყავით, ჯობდა, ნიაზასთან... _ თქვა ბესომ.

_ კარგი... მართლა, რა დაგემართა? გულთან კი არ უნდა მიიტანო ყველაფერი, _ უთხრა ნიკამ.

_ ამიყვანა, ბიჭო, მაგ შენმა ბიძაშვილმა... ჰო, აი, რომ შემომხედა, არა, რაღაცნაირად ამიყვანა... რაღაც მურტალი შეგრძნებაა... დამალევინებთ რამეს, ამ ოჯახში?! _ გაღიზიანებული იყო ბესო.

_ კახა, ჩამოასხი... _ ანიშნა კახას ნიკამ.

კახამ ჭიქები შეავსო. ბესო ფეხზე წამოდგა. ჭიქას ჩააცქერდა.

_ ერთს ვიტყვი, რა... წასულები ნათელში ამყოფოს... მანუჩარა, ჩომბე, ქუცა... ყველანი ომში ჩახოცეს... საფლავიც არ ვიცი იმათი... მე და კახა კი, ცოცხლები ვართ... შენც, ნიკა... ისინი აღარ არიან, ძმაო... გაანათლოს!..

_ მათი შესანდობარი იყოს... _ თქვა კახამ.

_ ხსოვნა იყოს... _ თქვა ნიკამ და სამივემ გამოცალა.

_ შევაგინებ, რა! _ თხოვა ბესომ ნიკას.

_ შეაგინე, მაგის დედაც!.. _ უთხრა ნიკამ

_ ჩვენ, ბიჭო, დაცხრილული თაობა ვართ. ოცდათხუთმეტიდან ორმოცდათხუთმეტამდე... ტრტტტტ... ყველანი დაცხრილულები ვართ... ვიღაც პერსტენიანი კი აბუჩად გიგდებს!.. ვინც იქ იყო იმ დროს, ვინც მოსკოვში გრიალებდა იმ წლებში...

_ ან ნიუ-იორკში, არა?.. _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ თუნდაც. მაგრამ შენ ეს არ გეხება...

_ რატომ გგონია, რომ არ მეხება?.. _ ჰკითხა ნიკამ.

_ იმიტომ, რომ შენ ნიკა ხარ, ის კი _ ვიღაც პერსტენიანი... _ განუმარტა ბესომ.

_ აოე... უბერავ ახლა, ბესო... _ ჩაერია კახა.

_ ჩვენ გასრესილი თაობა ვართ... დამარცხებული, დაკაფჩონებული... აზრი აქვს რამეს? ვისთვის ვისროდი, ვის ვესროდი, რატომ ვესროდი? ვის ვკლავდი, ამიხსენით, თუ მაინც უნდა წაგვეგო ეს ომი, რომ მერე, ვიღაც ნაბიჭვრებს ჩვენს სისხლზე ეგრიალათ?!

_ კაი, რა, ბესო...

_ რით მომაწვა, რა? ფულით, სხვა რით?! გაყვლიფეს ხალხი, დაისიეს ტრაკები და თავზეც გვაფსამენ, როცა ხოში აქვთ! ჰო. ჰო, კაცს თვალებიდან ბრჭყალები ჰქონდა გამოყოფილი. რამდენიც შემომხედა, ის ბრჭყალები ჩამასო ტვინში. რატომ არ მოვთხოვე პასუხი, რატომ, მე ამის!.. იმიტომ, რომ დაცხრილულ თაობაში მოვყევი... დაჩმორებულში, მოტყუებულში, გაძარცულში... მე ამის!!! _ ბესომ გაშლილი ხელი დაჰკრა ჭიქას. ჭიქა გატყდა და შუშის ნამსხვრევები ბესოს ხელში შეესო. სისხლი თქრიალით გადმოსკდა ხელიდან.

_ თეონა! ელისო! _ იღრიალა ნიკამ.

_ აი, სულ ეგრეა ომის მერე, მე ამის!.. ჭიქა ვეღარ ამიწევია ამასთან... _ თქვა კახამ, როცა ბესოს, მაჯის ზემოთ, სისხლდენა რომ შეეჩერებინა, ხელი ცხვირსახოცით გაუკრა.

ოთახში თეონა შემოვარდა.

_ ჩქარა, ბებოს დაუძახე, ბამბა და იოდი წამოიღოს!.. _ უთხრა ნიკამ.

თეონა უკან გაიქცა.

_ არაფერია... გამოსაშვები სისხლი იყო, ალბათ... არაფერია... _ ცოტა დამშვიდდა ბესო.

_ თეონა, დაუჩქარეთ! _ გასძახა ნიკამ.

ოთახში ვერიკომ შემოირბინა.

_ ნიკა, ბესო, რა არის, რა გჭირს, რატომ გდის სისხლი?

_ გამეჭრა, ჭიქა გავტეხე. შუშაზე გავიჭერი... შუშის ნამსხვრევზე... _ უპასუხა ბესომ.

_ აბა, მაჩვენე!.. ღმერთო, ეს როგორ გაგიჭრია!.. ახლავე, ახლავე ელისო მოგხედავს...

სანამ ელისო შემოვიდოდა, ოთახში სოლომონი შემოეხეტა.

_ მაგან ხომ არ აიღო ჩემი სასხლავი დანა? _ იკითხა მან, ბესოს სისხლიანი ხელის დანახვაზე.

_ მამა, შენი ჭირიმე, შენს ოთახში წადი! _ თხოვა ნიკამ.

_ ახია მაგაზე.

_ გამოდი, შენ, კაცო, აქეთ! რა უდროო დროს იცის, საიდან მოაგონდა ახლა, პაპაჩემის დროინდელი დანა?! წამოდი, წამოდი! _ ვერიკომ ხელი მოჰკიდა სოლომონს და ისე გაიყვანა...

_ მართალია ბატონი სოლომონი... ახია ჩემზე, ჩვენზე, ყველაზე... მართალია.

ელისომ ბამბა და იოდი შემოიტანა.

_ რა მოხდა?

_ სისხლი მაწვალებს, ეტყობა. იქ არ დავჭრილვარ, ამ ჩემს ცარიელ თავს ტყვიას რომ ვუშვერდი და აქ უნდა დავღვარო ბოლომდე... _ რაღაცას როშავდა ბესო.

_ ჩუმად იყავი შენ! სისხლის გამოშვება მომინდომა... აბა, მაჩვენე... _ ელისომ ჭრილობა დაუმუშავა. იოდიც წაუსვა და ხელი გადაუხვია. _ რა გჭირთ, შვილო, სისხლის გამოსაშვები? თქვენ უნდა იცოცხლოთ!

_ გაცოცხლებენ ესენი, რომ?!. აი, ჩემი გარდაცვალების ცნობა ჯიბეში მიდევს... _ ბესომ მეორე ხელით ჯიბიდან ქაღალდის გაკეცილი ფურცელი ამოიღო. _ გუშინ მომცეს მერიაში... აი, აქ წერია, რომ ორიათას ოთხი წლის ივნისში გარდავიცვალე...

_ სხვა სახუმარო ვერაფერი მოიფიქრე? _ ჰკითხა ვერიკომ.

_ არა, მართლა, რა სახუმარო... _ განაგრძო ნერვიულად ბესომ. _ ქაღალდზე კი არა და ვინ იცის, იქნებ, მართლაც მკვდარი ვარ... ჩვენ ხომ დახმარებას გვაძლევენ, ომში ნამყოფებს _ ოცდაორ ლარს!.. ჰოდა, მივედი მოლარესთან და _ სიაში არა ხარ, კომპიუტერში არა ხარ შეყვანილიო... არ მომცა დახმარება. ვეუბნები _ ქრისტე ვარ, მკვდრეთით აღვდგე?! აი, მოწმობა, აი, ჰო მე ვარ, ნახე, ცოცხალი ვარ, მკვდარი როგორა ვარ-მეთქი?!. _ რა ვქნა, მე რა გიყო, წადი, გამგეობაში გაარკვიეო. მივედი გამგეობაში და _ მკვდრებში წერიხარო, _ კომპიუტერში მიჩვენეს... მერიაში წადიო... ვიფიქრე, მოდი,

მერიაში გარდაცვალების ცნობას მოვთხოვ, თუ მომცემენ-მეთქი და მართლაც არ მომცეს?! ახლა, რასაც მინდა, იმას ვიზამ, მაინც მკვდარი ვარ... მკვდარი ვარ, მაშ, რა ვარ, მაშ მე ცოცხალი ვარ?!.

_ ბესო, იცოდე, ღრმა ჭრილობაა. არ უნდა მოიხსნა, სანამ კარგად არ შეშრება და მოხმება, _ ეუბნებოდა ელისო. _ თუ არ შეგაწუხა და არ დაგიჩირქდა, რა თქმა უნდა. გარშემო შეწითლდება თუ ჩირქდება და დააკვირდი.

_ კარგით, რა, ქალბატონო ელისო! ჭრილობის მოვლა მესწავლება? გაკაწრულია, რა! ამ ჭრილობას ვერ ვახორცებ, აი, აქ რომ მჭირს... _ გულზე ხელი მიიდო ბესომ. _ რატომ უნდა წაგვეგო ომი, რით გვაჯობეს აფხაზებმა, ვაჟკაცობით? რატომ უნდა მქონდეს ხელი გაშვერილი ოცდაორი ლარისთვის?..

_ იცი, რა, ბესო, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. _ უთხრა ელისომ. _ გადი მშრალ ხიდზე _ მედლები კაპიკებად იყიდება!.. ჯარისკაცი მარტო საზარბაზნე ხორცად სჭირდება ყველა მთავრობას. არ იცოდი? მე ისიც მიკვირს, მაგ ოცდაორ ლარს რომ გჩუქნიან. სტალინმა მთელი ჯარისკაცობა მოხვეტა და გულაგზე უკრა თავი... ჩემი თემიკო შვიდი წელი ტაიგაში ცხოვრობდა, ორმოცდაათ გრადუს ყინვაში... კომუნიზმს აშენებინებდა ტუსაღებს სტალინი...

ბესომ თეონას გახედა.

_ ბავშვს როგორ შეეშინდა!.. არაფერია, შვილო... დედა მოგვიკითხე, კარგი?!

_ გმადლობ... _ თქვა თეონამ.

კარზე ზარის ხმა გაისმა.

_ თარსი რომ დაიბადები, სულ თარსად უნდა იარო მერე!.. _ თქვა ბესომ.

ოთახში ირაკლი შემოვიდა და გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა.

_ რა ხდება, ომია?

_ მშვიდობაა, მაგრამ ომზე უარესია. ომი ათასჯერ მერჩია... _ ბესო წამოდგა. ცოტას ქანაობდა. _ ყველასთან ბოდიშს ვიხდი... კახა, გამაცილებ?.. წავედით. აბა, ჰე! შენთან ბოდიში, ირაკლი... ცოტა გადავაჭარბე, სულ ცოტა, აი, ამხელა... ნეკისხელა... ყველამ მაპატიეთ. _ კახა მხარში ამოუდგა და გავიდნენ. ნიკამ მეგობრები გააცილა და შემობრუნდა.

_ იჩხუბეს? _ იკითხა ირაკლიმ.

_ ხელი დაჰკრა ჭიქას და გაეჭრა... _ თქვა თეონამ.

_ იდიოტები არ არიან? იმის მაგივრად, ამდენი ხნის უნახავი ძმაკაცი რაღაცით ასიამოვნონ...

_ ბესო ომში იყო... _ თქვა ელისომ.

_ მერე, იქ ეომა, აქ რას ომობს, ოჯახში!.. დედაჩემი არ მოსულა?

_ შინ არის, სოლომონთანაა...

როცა ირაკლი სოლომონის ოთახში შევიდა, ვერიკო და სოლომონი კარტის ფურცლებით სახლს აშენებდნენ. ჯერ ერთი დადებდა კარტს, შემდეგ _ მეორე.

_ ესენი ნახე, რა მაგრად ერთობიან, _ გაეცინა ირაკლის.

_ გართობაზე თქვენა ხართ გადასული, ჩვენ _ ვაშენებთ, _ ჩაილაპარაკა სოლომონმა.

_ ჰოო? რას აშენებთ? _ ვითომ დაინტერესდა ირაკლი.

_ რას და მეტროს ახალ სადგურს, _ უპასუხა სოლომონმა.

_ მეტროს სადგურს?.. თქვენ რა, მიწის ქვეშ ხართ ჩასულები?

_ არა, ჯერ არ ჩავსულვართ, ჯერ ესკალატორის კიბეს ვამონტაჟებთ... _ უპასუხა ვერიკომ და შვილს თვალი ჩაუკრა.

_ დედა, მომისმინე, რა ხდებოდა დღეს თქვენთან სკოლაში? _ შეეკითხა ირაკლი.

_ შენ საიდან იცი? რა ყველაფერი შენ უნდა გაიგო პირველმა! _ გაუკვირდა ვერიკოს.

_ დედა, ეს ჩემი პროფესიაა, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

_ ჩემი სკოლის ამბებიც?

_ დედა, შენ გგონია, ისე, ჰაერზე ხდება, რაც ხდება?..

_ აბა, რაც ახლა სკოლაში ხდება, წინასწარ იყო დაგეგმილი? _ გაიკვირვა ვერიკომ.

_ როზი დოლიძეა, ხომ, აჯანყების მოთავე? ვინ არის, როგორი ქალია, რას ასწავლის?

_ სიმართლე გინდა იცოდე? როგორც მასწავლებელი _ ნულია და როგორც ინტრიგანი _ ყველაფერი... ამიტომ, სულაც არ გამიკვირდება, სკოლის დირექტორობასაც რომ გამოჰკრას ხელი...

_ არ მეგონა, შენგან ასეთ რამეს თუ მოვისმენდი, მე სხვა ინფორმაცია მქონდა.

_ ეს სწორია, ირაკლი, რომ სკოლა ორ ნაწილად არის გახლეჩილი?! მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები... რომ ჩაშლილია მეცადინეობა! მერე, როზიც არ მოეწონებათ და მის გადადგომასაც მოითხოვენ და ასე დაუსრულებლივ?!.

_ ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება...

_ როგორ არის?.. წინა თაობა მომდევნოს იმას ასწავლის, რაც თავად მიაჩნია სწორადო... ჰო, თურმე ყველა ასე იქცევა. რა მივიღეთ სანაცვლოდ? გაურკვეველი სქესის მოქალაქე. ყველა ტირანი ხალხის სახელით ჟლეტდა მილიონებს, ხალხის საკეთილდღეოდ მხოლოდ, თან _ ჩემო დებო და ძმებო, ასე მიმართავდა... როზიც სკოლის გადასარჩენად იბრძვის, ბავშვების საკეთილდღეოდ... თუ შენი ხელიც ურევია ამ ჭუჭყში?..

_ რა სისულელეა, დედა, როგორ გეკადრება?! მე მქონდა ინფორმაცია და შენზე ნაღდ ვინმესთან ხომ ვერ გადავამოწმებდი! მე არც ძველს ვიცნობ და არც ახალს. მე, უბრალოდ, სიმართლე მაინტერესებდა და ამიტომ შეგეკითხე... _ სცადა დედის დაშოშმინება ირაკლიმ.

_ ჩვენ ხუთწლედებით გვზრდიდნენ. თქვენც ხუთწლიანი გეგმები უნდა შეადგინოთ და ყველაფერი თავისით ჩადგება კალაპოტში... _ ურჩია ირაკლის სოლომონმა.

_ ოო, ამან ხომ... _ ხელი ჩაიქნია ირაკლიმ.

ვერიკომ კარტი მიამატა და ხუხულა დაიშალა.

_ ოო, რა ქენი ეს, ვერიკო, გვირაბი ჩამომანგრიე თავზე?! _ გადაირია სოლომონი. _ ასე ხომ უამრავი ხალხი გაიჟლიტება, ნორმალური ხარ შენ?

_ ვაიმე, არ მინდოდა, სოლომონ, შემთხვევით მომივიდა. რაღა გვირაბი გაგყავს, შენც _ ადექი და აეროპორტი ააშენე.

_ რომელი აეროპორტი? გაყიდულია აეროპორტი, თურქებს მიჰყიდეს, თურქები აშენებენ... ყიდიან ყველაფერს _ მიწას, წყალს, ჰაერსაც... დავიღუპე!

_ გამოდი, ქალო, აქეთ, გამოერიდე, _ ხელი მოჰკიდა დედას ირაკლიმ. _ ააშენოს თავად, რაც უნდა. თუ თავზე დაენგრევა და ქვეშ მოჰყვება, შენ მაინც აღარ დაგაბრალებს.

_ არ წახვიდე, ვერიკო, მაგათ თავიანთი გზა აქვთ, ჩვენ _ ჩვენი... _ თხოვა ცოლს სოლომონმა.

_ კაი, კაი, დარჩი, ააშენეთ კაშხლები, გაიყვანეთ გზები, ააგეთ ხიდები... მე გავალ... გაგერიდებით... _ დააწყნარა ორივე ირაკლიმ და ოთახიდან გამოვიდა.

მისაღებში ნიკა მარტო დარჩენილიყო სუფრასთან. ირაკლი მაგიდას მიუახლოვდა. პური აიღო, გაღეჭა.

_ ჰა, ნიკა, როგორ ხარ? არ მოგენატრა ამერიკა?

_ დავიღალე... _ თქვა ნიკამ. _ მომბეზრდა ცხოვრება.

_ რაო, “დაგგრუზეს”, ჯიგარო?

_ რა მექნა, ირაკლი?.. როგორ გითხრა... იქ თითქოს, ყველაფერი გაქვს. ჰო, ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება: ბინაც, ფულიც, მანქანაც... თითქოს მეგობრებიც გყავს, ხვდები, დროს ატარებ... მაგრამ არ გიხარია, იცი, არაფერი... ჰო, დამიჯერე, ზეიმის შეგრძნება არა გაქვს... ჰო, ჰო, გახვალ ქუჩაში და ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი ბრჭყვიალებს... პარადია... მოდიან ჰომოსექსუალები, მოაბიჯებენ... მოდიან ტრანსსექსუალები, ბისექსუალები, ლესბოსელები, რიო-დე-ჟანეირო გეგონება... გრიალებს მუსიკა, სამბო, მამბო, რა ვიცი... იქაურად ამას თავისუფლება ჰქვია... მაგრამ არ გიხარია არაფერი... არაფერი... ზეიმი თავისთვის არის, შენ _ შენთვის. ბოლოს, ჰაერიც კი აღარ მყოფნიდა... აქ ჩამოვედი და... აქ კი, რამოდენიმე დღეში დავიღალე... უკვე თითქოს ყველაფერი მომბეზრდა. სად წავიდე?

_ ისევ გაქცევას აპირებ, არა? ორ დღეში დაიღალე. მაშ, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

_ ლადო იყო ჩვენთან სტუმრად, ჩვენი ბიძაშვილი...

_ რაო, თბილისშია? ნაღდად რაღაცის ყიდვას აპირებს. არ უთქვამს, რა საქმეზეა?

_ უნდა გნახოო. რა ვიცი...

_ ტყუილად არ ჩამოვიდოდა. დამიჯერე, ვიცი, რასაც ვამბობ...

_ მაშ, კარგად იცნობ, ეტყობა.

_ საკმაოდ. თუკი რაიმეს ხელი მოჰკიდა, დოლარებად აქცევს... ჰო, ჰო, მაგარი ყნოსვა აქვს.

_ მაშ, შეიძლება აქ ფულის დაბანდება, ასე გამოდის, არა?

_ გააჩნია საქმეს, ყველაფერიც შეიძლება. ბევრად მეტი ფულის შოვნაც, ვიდრე სხვაგან...

_ ჰოო? მაგრამ მე, იცი, ფული იმდენად _ არა... მე, იცი, როგორ გითხრა... როგორ ამბობენ? “შრომაშია ბედნიერება”...

_ აა, გასაგებია: შენ პროცესი გიყვარს ბავშვის კეთების, ხომ?..

_ მოდი, რა, მე დავწვები. მაგრად დავიღალე.

_ ჰო, დაისვენე. საქმეზე მერეც მოვასწრებთ ლაპარაკს, თუკი ასეთი სურვილი გაგიჩნდება.

_ აქ იქნები?

_ გააჩნია, რამდენ ხანს აპირებ ძილს.

_ ერთ-ორ კვირას სიამოვნებით გადავაბამდი...

ნიკა სამზარეულოში შევიდა, სადაც ელისო და თეონა იყვნენ. სკამზე ჩამოჯდა. გააბოლა. თეონას უცქერდა ერთხანს.

_ თეონა, ხომ არ მიბრაზდები? _ ჰკითხა ნიკამ შვილს.

_ არა, _ თქვა თეონამ.

_ აბა, შემომხედე. _ თეონამ გვერდზე გაიხედა. _ ისე მოხდა, იცი... ჯერ რეზისთან მქონდა აუცილებელი საქმე... მერე, ბიჭები მოვიდნენ, ჩემი და დედაშენის კლასელები... აბა, ხომ ვერ მივატოვებდი, არა?.. თეონა!

_ ახლა?

_ ახლა, ძალიან დაღლილი ვარ და ერთი სული მაქვს, დავიძინო.

_ გინდა, დაგაძინო?

_ ეს რაღაც ახალია ჩემს ცხოვრებაში...

_ ჰო, დაგაძინოს, რა მოხდა მერე?! _ ჩაერია ელისო მამა-შვილის ლაპარაკში.

_ რანაირად უნდა დამაძინო, ზღაპარს მიამბობ? _ გაეღიმა ნიკას.

_ თუ არ გინდა, არა...

_ იცი, რა, მგონი, მართლა მინდა...

_ მართლა?.. _ გაუხარდა თეონას.

_ ჰო, მართლა.

_ წადით, შვილებო, წადით, _ ურჩია ელისომ.

თეონამ ხელი ჩასჭიდა მამას.

_ დაიცა, სიგარეტი ჩავაქრო, _ ნიკამ სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა. თეონა მისი თითების მოქმედებაზე მიხვდა, რომ მამა მაგარი ნასვამი იყო, მაგრამ თავს მაინც იკავებდა.

ნიკა წამოდგა. ელისოს თვალი ჩაუკრა. მამა-შვილი სამზარეულოდან გავიდა. ელისომ თვალზე მომდგარი ცრემლი ხელისგულით შეიმშრალა.

ნიკა ლოგინზე გაუხდელად მიწვა. თეონამ პლედი მიაფარა. ნიკამ თვალები დახუჭა.

_ მამა, გძინავს? _ შეეკითხა თეონა.

_ არა, _ ჩურჩულით უპასუხა ნიკამ.

_ ჰო, ჯერ არ დაიძინო. მოვიფიქრებ, რა უნდა გიამბო.

_ წიქარაზე არ მომიყვე: ტახის მეშინოდა ხოლმე, ვერ ვიძინებდი...

_ კარგი, წიქარაზე არ მოგიყვები.

_ იცი, რა... უბრალოდ, ხელი დამადე ლოყაზე. ყველა ზღაპარს ეგ აჯობებს...

თეონამ მამას ხელი დაადო ლოყაზე. ნიკამ თვალები დახუჭა.

_ მამა, _ ჩუმად ჰკითხა თეონამ. _ მამა, უკვე დაიძინე? _ ნიკას ეძინა. _ მამა, იცი, ჩემი ზღაპარი რა იქნება?.. შენ და დედა რომ ერთად იყოთ, მამა... _ თეონა დაიხარა და ნიკას შუბლზე აკოცა. შემდეგ, ფრთხილად გამოაცალა ხელი და ადგა. ზღურბლიდან კიდევ ერთხელ მიხედა მძინარე ნიკას და ოთახიდან გავიდა...

მეორე დილას, როგორც ყოველთვის, ელისო სამზარეულოში ტრიალებდა. ვერიკო საუზმობდა და თან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. თეონაც იქვე იჯდა, წინ გადაშლილი წიგნი ედო და მეცადინეობდა. ის ზოგჯერ თავს აიღებდა და ბებიებს უსმენდა.

_ პატარები აღარ არიან, _ ამბობდა ელისო. _ ერთს თუ ფერება და დაყვავება შველის, მეორეს მუქარა და დასჯა უნდა...

_ დედა, შენ მუდამ ისე მარიგებ, თითქოს ისევ ოცი წლის ვიყო... _ ცხარობდა ვერიკო. _ ვერ ხედავ, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებიან და-ძმები! ეგ შენი მზამზარეული რეცეპტები, შენს პაციენტებს შეგიძლია ჩამოურიგო... არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისე, შენც დიდი წვლილი მიგიძღვის ამ ბავშვების გაფუჭებაში, რომ იცოდე. შენი განებივრებულები არიან. კი, კი!

_ რა წვლილზეა ლაპარაკი? რომ წამოგაზრდევინე?.. ჩემით არ გედგათ სული?! _ არ მოსწონდა შვილის მსჯელობა ელისოს.

_ არა, დედა, შენ ვერ გამიგე. არ ვიცი, რას დავაბრალო, სულ მინდა, რომ რაიმე ახსნა მოვუძებნო იმას, რაც ჩვენს ოჯახში ხდება. ხან სასმელს მინდა დავაბრალო... ხომ ვიცი, გამიგულებდი თუ არა გარეთ, _ ბებია გენაცვალოს, ბებია გენაცვალოსო! _ და შენი ხელით უდგამდი რეზის სასმელს. არ იყო ასე?

_ აბა, რას ამბობ?! ორ ჭიქას თუ დავალევინებდი, იმიტომ, რომ სუსტი ბავშვი იყო და ღვინოში კიდევ, ყველაზე მეტი კალორიაა.

_ ჰოდა, მეც არ ვიცი, რას დავაბრალო. არა, არ უნდა გამეჩინა ოთხი შვილი, ძალიან შევცდი, ძალიან. მთელი ცხოვრება იმას ვცდილობ, რაღაც ძაფი მაინც გავაბა მათ შორის, ესენი კი... სულ სხვადასხვა მხარეს გარბიან, _ დანანებით თქვა ვერიკომ.

_ რას იზამ?! მეტი შვილი, მეტი დარდიო, ნათქვამია, _ ამოიოხრა ელისომ.

_ შენ არ მაგულიანებდი, დედა?! დაგავიწყდა, ერთი სიტყვა რომ გქონდა ამოჩემებული _ დაიტოვე, დაიტოვეო, _ რომ მიმეორებდი, როგორც კი მოცილებაზე ხმას ამოვიღებდი?!

_ რა გითხრა, ვერიკო, ამას ხომ ვერ წარმოვიდგენდი _ რასაც თქვენ დღეს შეესწარით, რაც დღეს ხდება! ან ვინმე წარმოიდგენდა, თუ ასე გადაყირავდებოდა ქვეყანა?! ჩვენ დროს, ბევრი შვილი სიმდიდრედ მიიჩნეოდა. მაშ, ჩემზე ითქმის, ქალიაო?! ერთი შვილის პატრონზე?! სანთელივით რომ დაგკანკალებდი?! _ არწმუნებდა შვილს ელისო.

_ ჰო, მე რომ და-ძმები არ მყავდა, მაგიტომაც ვაჩენდი, ალბათ... რამდენჯერ მისაყვედურია შენთვის.

_ შენ გგონია, მე კი ერთ შვილზე გავჩერდებოდი, თემიკო რომ არ გადაესახლებინათ?! ხალხმა გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებს გაუძლო, რა აღარ გადაიტანა, ცოცხლები გადარჩნენ... ამათ კი, მოჰხვიეს ხელი და ციმბირში უკრეს ყველას თავი!.. იცი, როგორ უნდა გაგვეზარდე, ეგ გულაგი რომ არა?.. იცი, რა ოცნების კოშკებს ვაგებდით მე და მამაშენი?!

_ ისე კარგად მახსოვს, პირველად რომ ვნახე მამა. სამუდამოდ ჩამებეჭდა ტვინში. შვიდი წლის ვიყავი უკვე. დამამახსოვრდებოდა, აბა რა!.. მატარებელი რომ ჩამოდგა და შენ რომ გარბოდი და მე ვერ გეწეოდი... მერე, მამამ მხარზე რომ შემისვა და ფეხით მოვედით სახლამდე. როგორ მიხაროდა!..

_ მაგან დაასვა დაღი, მაგ გადასახლებამ, თორემ, ის დღესაც ცოცხალი უნდა ყოფილიყო... შენ გაკლებდი, ჩემს თავს ვაკლებდი და იმასთან კი, ამანათს ამანათზე ვაგზავნიდი.

_ სულ ვეკითხებოდი, მაინტერესებდა _ ან ტყვედ როგორ ჩავარდა, ან იქ, გადასახლებაში რას აკეთებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, არ უყვარდა ამ თემაზე ლაპარაკი, _ თქვა ვერიკომ, ჩაფიქრებულმა.

_ არ უყვარდა კი არა, შვილო, _ ეშინოდა. დაშინებული იყო. ვინ იცის, რა არ გადაიტანა გულაგის ტყვეობაში, რა ტანჯვაში ჰყავდათ კომუნისტებს... შენ, იცი, ერთხელ ჩემს სამსახურში, მოადგილის ადგილი გამოთავისუფლდა, პოლიკლინიკაში, მე წარმადგინეს, მაგრამ უარი მტკიცეს: თქვენი მეუღლე, მოღალატე იყო, "ქართულ ლეგიონში" მსახურობდა და აგიტაციას ეწეოდა ჯარში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგო. დაიჯერებ?! სამი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე... ახლა კი, გმირებად აქციეს იმ ლეგიონის წევრები. მოდი და გაუგე ამ ქვეყანას რამე.

_ რა ვქნა, შენ კი არ გსაყვედურობ, დედა. მინდა, რომ ერთმანეთი უყვარდეთ, ისე, როგორც და-ძმებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი... შენც ხედავ, რანაირი დროა... მინდა, რომ ერთმანეთი გაიტანონ, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. როგორც ჩვენ გავიტანეთ ერთმანეთი, როგორც ჩვენ ვიდექით გვერდიგვერდ. დედა, შენზე აუგი როგორ დამცდება?! შენ რომ არა, ოთხ შვილს როგორ გავზრდიდი, რით? რანაირად?.. სანამ პატარები იყვნენ, რაღაცას ვახერხებდი... ასე მგონია, რაღაც მომენტი გამომეპარა და ხელიდან დამისხლტნენ, რაღაც მნიშვნელოვანი მომენტი...

...ნიკა ისევ დისა და სიძის ჩხუბმა გამოაღვიძა.

"ამათ ჩხუბზე ხომ, საათის გასწორება შეიძლება, ალბათ", _ გაიფიქრა ნიკამ. ადგა, ჩაიცვა და დერეფანში გავიდა.

...ანი ლოგინში გულაღმა იწვა. თაზო ჩაცმული იყო, ანის ზემოდან აჯდა და ხელებს უჭერდა.

_ ხელი გამიშვი, გამიშვი-მეთქი ხელი, დეგენერატო! _ ეჩხუბებოდა თაზოს ანი.

_ გაიმეორე, გაიმეორე, რა თქვი! _ კბილებს აღრჭიალებდა თაზო.

_ გავიმეორებ, ხელი გამიშვი და გავიმეორებ! _ ეუბნებოდა ანი მუქარით.

_ რა?! თან ხელიც გაგიშვა და თან გამიმეორებ კიდეც?! ოხ, როგორ მინდა, რა, ერთი გემოზე დაგალილავო, დაგზილო ერთი, კარგად!

_ ვინ უნდა დაზილო, ბიჭო! _ ანიმ უეცრად, ცალი ხელი გააშვებინებინა და თაზოს ლაწანი გაადინა ყბაში. _ აი, შენ!

_ ნუ მირტყამ, გაიგე? ნუ მირტყამ, _ ისევ მოახერხა თაზომ მისთვის ხელის გაკავება, _ თორემ, დაგარხრჩობ, იცოდე, დაგკლავ!

_ მაშინ, რატომ ვერ ბედავ, რატომ ვერ მარტყამ? _ ნიშნს უგებდა ანი. _ დამარტყი, აბა, დამარტყი! დიახ, ცისფერი ხარ, ცისფერი, "პიდარმონი"!

ახლა უკვე თაზომ გაულაწუნა ანის. ცოლმა ხურდა დაუბრუნა და ისიც მოახერხა, რომ თაზო გადააყირავა და საწოლიდან გადააგდო. თაზო ცუდად დაეცა.

_ ვაიმე, დედა! _ ხელი მოივლო ნატკენ მხარზე თაზომ და ისევ ანის წამოუხტა, მაგრამ ანიმ მოასწრო, ხელიდან დაუსხლტა და ქვედა საცვლებისა და პერანგის ამარა, კორიდორში გასხლტა.

_ უხ, შენი! _ შეიგინა თაზომ.

ანიმ კარი მიუკეტა და მხრით მიაწვა, თაზოს რომ ვერ გაეღო. თან მთელი ხმით გაჰკიოდა:

_ მიშველეეეთ!

სამზარეულოდან შეშინებულ ელისოს და ვერიკოს გამოეყოთ თავი. ნიკა სააბაზანოდან გამოვიდა.

_ ნიკა, მიშველე, მკლავს, მირტყამს ეს დაუნი! _ შეეხვეწა ძმას ანი.

ნიკამ სწრაფად მოისაზრა, ანი შეცვალა და კარს თვითონ მიაწვა. ანი სამზარეულოში გაიქცა. ნიკა კარს გამოერიდა, თაზომ გამოაღო და ნიკა შერჩა ხელში.

_ ცისფერს მეძახის, ტო, პიდარასტს!.. _ დაიწყო თავის მართლება თაზომ. _ და თან, სახეშიც მირტყამს, ტო, დაუნანებლად! ნახე, აი, ჰო ვიცი _ ხუთი თითი მამჩნევია ლოყაზე.

ანის სამზარეულოს კარიდან გამოეყო თავი.

_ რაცა ხარ, იმას გეძახი! თორემ არა ხარ!.. ხარ, ხარ, ხარ!

_ ხომ გესმის, არა? ხომ გესმის, შენი ყურით?.. მითხარი, აი, როგორ მოვიქცე, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი.

_ შვილი გჭირდებათ, შვილი, _ ჩაერია ცოლ-ქმრის ჩხუბში ვერიკო. _ და საჩხუბრად ველარ მოიცლით, ისე იქნებით დაკავებული.

_ მაგას არ ვეუბნები?! მაგას არ ვუმტკიცებდი?! _ "გულწრფელობდა" ანი.

_ ტყუის, არ დაუჯეროთ. რა სისულელეა! არ არის, მაშ, საცემი, აი, არ არის?! არ აჩენს, დამიჯერეთ, თვითონ არ აჩენს. მე ხომ ვერ გავაჩენ, არა?! ისე მინდა ერთი ჩემნაირი ბიჭი...

_ ჩემნაირიო... _ კომენტარი გაუკეთა ელისომ.

_ რომ შემეძლოს, მე გავაჩენდი, გეფიცებით! _ თქვა თაზომ.

_ აი, თავისი პირით აღიარა, აი, ხომ თქვა! _ სიტყვაზე ჩაიჭირა ქმარი ანიმ.

_ კარგი, ანი, გეყოფა შენც, მორჩი! _ გაბრაზდა ნიკა.

_ ვა, მე რა შუაში ვარ?! _ გაიბუტა ანი.

_ იცით, რა?.. მე წავედი და სანამ ეგ ბოდიშს არ მომიხდის, ჩემდა თავად აქ მომსვლელის!.. _ თაზომ დემონსტრაციულად დასტოვა სახლი და კარი გაიჯახუნა.

_ წადი, წადი! თუ გგონია, გამოგიდგები. გაიჯახუნა ბიჭმა კარი!.. აი, ნახავთ, ერთ-ორ საათში მობრუნდება და თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, _ ეტყობოდა, რომ მაინც ეწყინა ქმრის წასვლა ანის.

_ ანი, ვერ გაგამართლებ... კრინტი არ დაძრა! _ დატუქსა ვერიკომ. _ რა სიტყვებს ეუბნები, როგორ მიმართავ?! მერე, ტელეეკრანზე გამოდიხარ და ლამის მთელ ქვეყანას ჭკუას გვარიგებ!

_ ის სხვაა და ეს _ სულ სხვა. ეს სახლია და ის _ სამსახური, ასეთი შედარება როგორ შეიძლება?! ხომ მართალი ვარ, არა, ნიკა? _ მიუბრუნდა ძმას ანი.

_ გინდა, სიმართლე გითხრა? _ შეეკითხა ნიკა.

_ ვაიმე! _ შეშინდა ანი.

_ წარმოდგენა არა მაქვს, რა საერთო გაქვს მაგ... _ აღარ დაამთავრა ნიკამ.

_ გიჟთან, ხომ?.. _ შეეკითხა ანი. _ აი, ეგ მეც არ ვიცი... მე თვითონაც ვეკითხები ხოლმე მაგას ჩემს თავს, _ თქვა ანიმ და თავის ოთახში შეიკეტა.

ნიკაც თავის ოთახში შევიდა. სიგარეტს დაუწყო ძებნა. ბოლოს იპოვა და გამოვიდა. სამზარეულოსკენ წავიდა. შეჩერდა. ქალების საუბარს მიუგდო ყური.

_ თემიკო რომ მიჰყავდათ, _ ჰყვებოდა ელისო, _ თებერვალი იყო. მაშინ მოუნდა ღმერთსაც ნამდვილი ქარიშხალი, ყინვა, თოვლი... ხოშკაკალა... სამი თვისა მყავდი, ვისთან მიმეყვანე?.. დაჭერები მიდიოდა და ქალაქი ოცდაჩვიდმეტი წელივით დაზაფრული იყო... რა მექნა, ხომ უნდა გამეცილებინა, საგზლად ხომ უნდა გამეტანებინა რაიმე! გაგხვიე ზეწრებში, საბნებში, შეგფუთე. ცალ ხელში _ შენ, ცალში _ ეს ჩანთა და წავედი ვაგზალზე... აყრის ხოშკაკალას, თვალებს ვერ ვახელ... მეც რა, ლიმუზინი მომაკითხავდა?.. დაიძრა მატარებელი. მივდევთ ეს მილეთის ხალხი, მივრბივართ ამ მოყინულ ბაქანზე. დამისხლტა ფეხი, დავეცი. გამივარდი ხელიდან. ჩემ წინ გდიხარ, ვიწვდი ხელს და ვერ გწვდები... ღმერთო, რა გამოვიარე! ღმერთო, როგორ შემეშინდა!.. მეგონა, გადაგვთელავდნენ და მომიკვდებოდი... გადავრჩით. დაგვინდო ხალხმა... წამომაყენეს. მომაჩეჩეს შენი თავი... მტკივა ხელი, მტკივა... ვუძლებ... მუხლის კვერები მაქვს კიდევ, გადატყავებული. შენ _ არაფერი, მარტო ჩუმად კრუსუნებდი შენთვის... ის ღამე თეთრად გავათენე, მომიტეხია თურმე, ეს ხელი, ქმარს ვინღა ჩიოდა?!. რას აღარ მომასწრო ცხოვრებამ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც, საქართველოს გარდა, რა ვქნა, ვერც ამერიკაში და ვერც შუაგულ პარიზში ვერ ვიცხოვრებდი.

ნიკა სამზარეულოში შევიდა. თეონას და ვერიკოს თვალზე ცრემლი შენიშნა.

_ მამა! _ ლამის ტიროდა თეონა.

_ ყველაფერი მოვისმინე. თქვენ გმირები ხართ, იცით, ნამდვილი გმირები!.. _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

ამ დროს, სამზარეულოს კარში ირაკლი გამოჩნდა.

_ ვინ არიან გმირები? რა ხდება, რა გატირებთ? კომუნისტებს მისტირიან, არა, ისევ?! _ იკითხა ირაკლიმ.

_ ესეც ჩვენთან ათევს ღამეს? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არა, დათვრა წუხელ ვაჟბატონი და მანქანის გასაღები დაუმალა ვერიკომ. მთვრალი ჯდება მანქანაზე, მაშ, ეს ნორმალურია?! _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ რაღაცას მოვკარი ყური. შენ იყავი, ელისო, საქართველოს გარდა, ვერსად ვიცხოვრებდიო? _ იკითხა ირაკლიმ და ნიკას მიუბრუნდა. _ ამათ თუ უსმინე... ამათ დღესაც კომუნისტური მენტალიტეტი აქვთ, ეე! ესენი გაგაგიჟებენ. წადი, წადი, გაასწარი აქედან, ძმაო, თორემ, ამ ჭაობში?.. შენისთანები ჩაძირულან?!

_ მამა! _ ჯერ ისევ ტიროდა თეონა.

_ “მამა, მამა!..” მამაშენი ჩიტია, თეონა: გადაფრინდება?.. გადმოფრინდება... გალიაში ხომ ვერ ჩასვამ! _ და ისევ ნიკას მიუბრუნდა. _ წადი, წადი, გადაფრინდი შენს თბილ ქვეყანაში, ძმაო! თბილ-თბილ ბუდეში არ სჯობია ჯდომა?! რა გინდა ამ ტაიგაში, ამ

ჯუნგლებში რა უნდა აკეთო?! ისე ჩაგძირავენ, ვეღარ ამოყვინთავ, ტყუილია!.. _ ირაკლი მაგიდას მიუჯდა. _ ორი ლიმნიანი ჩაი ჩემს ანგარიშზე: ერთი _ მე, ერთიც _ ჩემს ამერიკელ ძმას.

_ მორჩა, აღარა ვარ ამერიკელი. ამ წუთიდან, ისევ თბილისელი ვარ... მე ვრჩები, აღარსად წამსვლელი არა ვარ! _ გამოაცხადა ნიკამ. _ არ გაგლიჯე გული, ელისო?! ეს რა მოჰყევი?! ქმარს გულაგში აცილებდი, წაიქეცი, სამი თვის ბავშვი გაგივარდა ხელიდან და იმ გამწარებულმა ხალხმა არ გადაგიარა!..

_ დღეს?.. დღეს, გადაუვლიდნენ კი არა, გადათელავდნენ ორივეს!.. _ თქვა ირაკლიმ.

_ მამა რჩება! მამა რჩება! _ წამოხტა გახარებული თეონა. ნიკაც წამოდგა. თეონა მამას კისერზე ჩამოეკიდა, აკოცა. _ მამა, მამა! როგორ გამიხარდა, აუ, როგორ გამისწორდა, შენ ხომ არ იცი!.. ბოდიში! მაგრამ დაგლიჯა!

_ ვრჩები, გადაწყვეტილია და ხვალიდანვე, რაიმე საქმეს დავიწყებ... ოფისი დამჭირდება, პირველ რიგში. სადმე, სახლთან ახლოს აჯობებს, _ თქვა ნიკამ.

_ გადაწყვეტილია? ჰოო, არა?! დღეს ასე ჭიკჭიკებ, მაგრამ ვნახავ, ხვალ რა ხმაზე ამღერდები... _ არ იშლიდა თავისას ირაკლი.

_ მამა, მე დაგეხმარები ოფისის მოძებნაში, მე ვიცი ერთი ფირმა. ხომ წამომყვები?.. ახლავე შეგვიძლია წავიდეთ. წავიდეთ, რა! _ შეეხვეწა თეონა ნიკას.

_ კაი, მაშინ, გავალ, გამოვიცვლი, _ თქვა ნიკამ და ოთახიდან გავიდა.

კარში სოლომონი გამოჩნდა.

_ ხალხო, ზამთარი მოგვადგა კარს და სახლი არ გადავხუროთ? _ იკითხა მან სრული სერიოზულობით.

_ მერე, მასალა მოტანილი გაქვს? _ შაყირის ხასიათზე დადგა ირაკლი.

_ ჰოდა, მაგას ვკითხულობ სწორედ. რით გადავხუროთ, რით? _ შეეკითხა სოლომონი.

_ უჟანგავი ფოლადის ფურცლებით გაწყობს? _ შეეკითხა ირაკლი.

_ მზე რომ დააჭერს და გაახურებს, სად გინდა, რომ წახვიდე მერე? _ იკითხა სოლომონმა.

_ მივდივართ, თეონა? _ კარში ნიკა გამოჩნდა.

_ წახვედით, არა, მამა-შვილი? ჩვენ გვტოვებთ... გზა დამილოცნია, ძმაო! ამ გაუვალ ჯუნგლებში ბედნიერ ფეხზე გევლოს... _ დაადევნა ირაკლიმ მამა-შვილს.

_ მთლად მასეც რომ იყოს, როგორც შენ ლაპარაკობ, შენ აქედან ვერავინ გაგასწრებდა... _ მიუბრუნდა ელისო ირაკლის.

ნატო, ნიკას ყოფილი ცოლი, თავის ოფისში კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. გვერდზე პატარა მაგიდა ედგა, რომელზეც ბუკლეტები ეყარა. ოთახში დივანი და სავარძელიც იდგა.

გარედან თეონას ხმა მოისმა.

_ შებრძანდი, შებრძანდი!

ნიკა შემოვიდა. ნატომ მოიხედა და ნიკას თვალებს შეეფეთა.

_ ვაი! _ უნებურად წამოდგა სკამიდან ნატო.

_ უნდა მაპატიო! _ ბრინჯივით დაიბნა ნიკა. _ წარმოდგენა არ მქონდა, სად მოვყავდი... _ და თეონას გადახედა, რომელიც ეშმაკურად უყურებდა თვალებში.

_ შემოდი, შემოდი! ცოტა კი შემეშინდა... აი, აქ დასხედით! ერთი წუთით... _ და ნატო მეორე ოთახში გავიდა.

ნიკა სავარძელში ჩაეშვა.

_ თეონა, არ უნდა გაგეფრთხილებინე?! კინაღამ დავეცი, გული სადღაც ფეხებში წამივიდა. მიდი, მიხედე დედაშენს, რამე არ დაემართოს.

_ დედა! _ თეონა დედასთან შევიდა.

_ არა, არაფერი, ცოტა მოვსულიერდი, _ ღიმილით გამოვიდა უკან ნატო.

ნიკა წამოდგა.

_ ახლა უკვე შეიძლება, ხელიც ჩამოვართვათ ერთმანეთს... _ ნიკამ ხელი გაუწოდა ნატოს.

_ და აკოცოთ! _ თქვა თეონამ.

_ კარგი, თუკი შენ ასე გინდა... _ თქვა ნიკამ.

ყოფილმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს კი აკოცა, მაგრამ სიცივე მაინც იგძნო.

თეონამ ტაში შემოჰკრა. ამაზე ორივეს გაეცინა. "სულ ოდნავ დამჩნევია წლები", _ გაიფიქრა ნიკამ. "დავაჟკაცებულა", _ გაიფიქრა ნატომ.

_ რომ იცოდე, შენი დანახვაც არ მინდოდა. შენი სახელის ხსენებაც კი მაცოფებდა... _ ახლა უკვე გემრიელად გაიცინა ნატომ.

_ ახლა? _ იკითხა ნიკამ.

_ ახლა ეტყობა, გადამიარა. გიყურებ და თითქოს უკან დავბრუნდითო, არა?

_ ჰო! _ თქვა ნიკამ.

_ ჰო! _ გამოაჯავრა ნატომ.

ორივეს გაეცინა.

_ ეს შენი ოფისია? _ შეეკითხა ნიკა.

_ გახლავს, _ თქვა ნატომ.

_ მშვენიერია, _ თქვა ნიკამ.

_ ჰო, _ თქვა ნატომ.

_ თანამშრომლები? _ იკითხა ნიკამ.

_ აგენტები? გასულები არიან. რა ვიცი... ზოგი კლიენტს ხვდება, ზოგიც _ ბინებშია. ეძებენ, აფასებენ... მუშაობენ, მოკლედ.

_ ჰო, მართლა, დიდი მადლობა უნდა გითხრა: ძალიან კარგი ბავშვი გაგიზრდია, _ ხელი გაიშვირა თეონასკენ ნიკამ. _ რა იქნა?

თეონა ამასობაში, აორთქლებულიყო.

_ გაპარულა, _ თქვა გაკვირვებულმა ნიკამ. _ გადამრევს ეს ბავშვი. _ ორივეს გაეცინა.

_ ...ელისო რომ არა, ვინ იცის... ელისო მაგრად დამეხმარა, _ თქვა ნატომ. _ მარტოობაც კი არ მაგრძნობინა. დაიჯერებ?.. როგორ არ მინდოდა, როგორ არ მინდოდა, მაგრამ, იცი, რა წლები იყო?.. ქალაქში მანქანა არ დადიოდა, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო... მკვდარი იყო ქალაქი, ცარიელი. ხელფასები?.. ცხრა ლარი! მოვკიდე ბავშვს ხელი და მივედი თქვენებთან. ერთი წამითაც არ დაფიქრებულან!.. მთელი ღამე ვტიროდი... მეც გადავრჩი და შენი შვილიც, ძვირფასო. ჰო, შენ იქ თბილად და ტკბილად გეძინა და მე აქ ღამეებს ვათენებდი, რომ ორი "გროში" მეშოვა.

_ მერე ხომ გიგზავნიდით ფულს.

_ კი, კი, რაზეა ლაპარაკი?! ძალიან დაგვეხმარე.

_ შენ ისევ ისეთი ლამაზი ხარ. მგონი, უფრო ლამაზიც... _ წაუკომპლიმენტა ნიკამ.

_ ვიცი, _ ცივად თქვა ნატომ.

_ ჰო, მართლა, ნატუშ, არ გაინტერესებს, აქ რას ვაკეთებ, რატომ მომიყვანა თეონამ?

_ ნატუშ, არა?!. გინდა, რომ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ?.. მოიცა, ყავას მოგიდუღებ!

ნატო გავიდა. ნიკა ფიქრებში გადავარდა. გაეღიმა...

ნატომ ყავა გამოიტანა. ნიკა რატომღაც გამხიარულდა.

_ ...მეშვიდეში ვიყავით, არა?.. კომშები რომ მოგქონდა სახლიდან და გაკვეთილებზე, ჩუმჩუმად ჭამდი. მე რომ ჩავჭერი და შიგ წიწაკები ჩაგიტენე, ხომ გახსოვს? _ შეეკითხა

ნატო. _ შენს გარდა, მთელმა კლასმა რომ იცოდა და გითვალთვალებდით... სამი გაკვეთილი პირი რომ არ დააკარე! ჩვენ კიდევ, გელოდებით, გელოდებით... მაინცდამაინც გროზნოს გაკვეთილზე არ მოგშივდა?! რომ ჩაკბიჩე და აგიტყდა ხველა და კლასი რომ ახარხარდა... გროზნო რომ ცოფებს ყრიდა და შენი ჩანთიდან კომშებს იღებდა...

_ მეათეში ვიყავით, არა? _ აუბა მხარი ნიკამ. _ მაგარი ყინვები რომ დაარტყა და რადიატორების მილები დახეთქა. ღუმელი რომ დაგვიდგეს და ბესომ შიგ ტყვიები შეყარა... უეცრად, შუა გაკვეთილზე სროლა რომ ატყდა, ქიმია არ იყო?.. ნონა მასწავლებელი გიჟივით რომ დარბოდა და კინაღამ ფანჯრიდან გადახტა.

_ ჰო, მერე, გროზნო რომ შემოვარდა და ბესო მერხიანად გარეთ გაიტანა...

_ ვარძიაში, "ნატვრის წყალში" რომ გაჭყუმპალავე, ის თუ გახსოვს? _ შეეკითხა ეშმაკურად ნატო.

_ ვარძიიდან მე სხვა რაღაც-რაღაცები უფრო მახსოვს... _ რაღაც ინტიმურზე ჩაუკრა სიტყვა ნიკამ.

_ იმიტომ, რომ დეგენერატები ხართ, ყველა ბიჭები! _ აილეწა ნატო.

_ გოგოები? ვითომ, თქვენ ჩვენზე ჭკვიანები ხართ?! _ შეეკითხა ნიკა.

_ ალბათ, არა... _ დასერიოზულდა ნატო.

_ მეგონა, გათხოვდებოდი. შენისთანა ქალს... მაშინ მთელ კლასს უყვარდი...

_ დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე. შენ დაგელოდე... არა, არა, ვიხუმრე. ცოტა მწარედ, ალბათ... ხომ იცი, ქალები მარტოობას ვერ ვიტანთ...

_ მართალია. ან რატომ უნდა ყოფილიყავი მარტო?!

_ შეცდომები ყველას მოსდის, _ თქვა ნატომ. ამ დროს, მისი მობილური აწკრიალდა.

_ ბოდიში... გისმენ, შაკო... ჰო, აქა ვარ... კი, ბატონო, _ ნატომ საათზე დაიხედა.

_ ელოდები ვინმეს? _ შეეკითხა ნიკა.

_ კი. ალბათ, ჯობს, საქმეზე გადავიდეთ.

_ კი, ბატონო. ოფისის ყიდვა მინდა ან არენდით აღება. გააჩნია ოფისს.

_ რისთვის, რა უნდა აკეთო იმ ოფისში? _ უკვე საქმიანი ტონით შეეკითხა ნატო.

_ რა უნდა ვაკეთო და ჩემი პროფილით მინდა, რაიმე საქმე ავაწყო. ჯერ პატარა საპროექტო ბიურო მინდა გავხსნა, მერე _ სამშენებლო. ვნახოთ, როგორ წავა საქმე... _ თვალებში უყურებდა ნატოს ნიკა.

_ მოგიძებნი. არ არის ძნელი. ორი საშუალო, ნათელი ოთახი, ისეთი, რომ შესამჩნევი იყოს... სადმე ცენტრალურ ქუჩაზე... რომ რეკლამამ იმუშაოს. გაწყობს?

_ ჰო, _ თქვა ნიკამ.

_ სხვა არაფერი? _ ჰკითხა ნატომ.

_ კი. მიწის ყიდვა მინდა, "სერიოზული" ფართის _ რამდენიმე ჰექტარის... თუ შიგ ქალაქში არა, ქალაქთან ახლოს მაინც.

_ მერე, გაწვდები? რა ბიჭი დამიკარგავს!.. ეს _ ხუმრობით, მაგრამ ძალიან საინტერესო ფართი შემიძლია შემოგთავაზო. ძველ თბილისში, სანაპიროზე, ასე, ოცამდე ოჯახია გასაყვანი...

_ რა ჯდება კვადრატული? _ დაინტერესდა ნიკა.

_ ახლა, 600-700 დოლარი, მაგრამ ძალიან სწრაფად იწევს ზევით.

_ კარგი, ეგ გასაგებია. სხვა?

_ მტკვრის მარჯვენა სანაპიროა.

_ ქალაქგარეთ? ქალაქგარეთ არაფერი გაქვს ნორმალური?

_ კი, როგორ არა?! აი, მოდი, ნახე. _ კომპიუტერმა ეკრანზე რაღაც ტერიტორიის გეგმა გამოიტანა. ნატომ სხვანაირად ამოხედა. ნიკამ თავი უკან წაიღო. ნატო ისევ საქმეზე

გადავიდა: _ აი, ამ წითელ ხაზს ხომ ხედავ?.. აი, ეს ფართობი. ცოტა მთაგორიანია, მაგრამ _ ტყიანი. აი, ეს, აქამდე, სულ იყიდება. სულ 80 ჰექტარია... ტენდერზე არ გააქვთ _ კერძო მფლობელობაშია უკვე. ვიღაცამ ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში, ეტყობა, და ახლა ყიდის. სულ ახლოს ქალაქთან, ქსნის ხეობაში.

_ ქსნის ხეობაში?! ჩემი გვარი მაქედან მოდის, მანდ ცხოვრობდა ჩემი მამა-პაპა.

_ აი, ეს დასავლეთის ტრასა ჰოა?

_ ჰო.

_ ჰოდა, ტრასიდან თხუთმეტ... არა, ზუსტად ჩვიდმეტ კილომეტრშია ალბათ. ადრე, ცოცხალი დასახლება, იყო... მინის ტარის ქარხნები იყო იქ ახლოს, დიდი... ახლა აღარაფერი არ არის. ეტყობა, გაიქცა ხალხი... ადგილი კი გადასარევია. ფასს დაგიზუსტებ, თუ დაგაინტერესა... სხვაც შემიძლია შემოგთავაზო.

_ არა, სხვა არ მაინტერესებს. დაელაპარაკე. ფასები ვიცი, მიახლოებითი, გაკითხული მაქვს. შეგიძლია, ხომ, მზა პაკეტი ჩამაბარო? _ შეეკითხა ნიკა.

_ კი, რა თქმა უნდა. _ ნატომ უჯრა გამოსწია. სავიზიტო ბარათი გაუწოდა. წამოდგა. _ აი, ტელეფონები. ნებისმიერ დროს, შეგიძლია, დარეკო. ჩვენი ბუკლეტიც...

_ არა, ბუკლეტი არ მინდა... _ არ გამოართვა ნიკამ. _ გაკოცებ ერთხელაც და რაც მალე მომიგვარებ ამ საქმეს, მით უკეთესი...

სწორედ მათი კოცნის მომენტში შემოეხეტა ოფისში შაკო, ნატოს საყვარელი, დღევანდელი გაგებით _ ბოიფრენდი. ხელში გასაღებების ასხმულა ეჭირა, ატრიალებდა და აჟღარუნებდა. მოკლედ, ცალ ფეხზე ეკიდა "ორი და ათი შაური". არიან ასეთი გულარხეინი ტიპები _ დიდი "მე" რომ აწერიათ შუბლზე... ის სავარძელში შინაურულად მოკალათდა და მეტოქე, როგორც მას ეგონა, თავიდან ფეხებამდე "აწონ-ჩაზომა"... ნატო აილეწა, საათზე დაიხედა და ნიკა მიხვდა, ვინც იყო ეს ტიპი.

_ ეს ჩემი თანაკლასელია, ნიკა ბერიძე, _ ამოღერღა ნატომ. _ ამერიკიდან დაბრუნდა, ახლახანს.

_ მე? მე რატომ არ წარმადგინე, ვითომ? _ შეეკითხა შაკო.

_ ეს კი, ჩემი მეგობარია, შაკო ნემსიწვერიძე.

_ მაშ, "ქვისლები" ვართ? _ თავი უკან გადააგდო და ისე იკითხა შაკომ.

_ ქვისლები? _ ვერ მიუხვდა "იუმორს" ნატო.

_ ასე ამბობენ, რა, როცა ერთ ქალს ორი კაცი ჰყავს... _ უცნაურად მიაჩერდა შაკო თვალებში ნატოს.

ნატოს ხმა ჩაუვარდა.

"მეტრაბახება ვირიშვილი!" _ სისხლი თავში აუვარდა ნიკას. მაგრამ ნატოს გაფითრებული სახე რომ დაინახა, თავი შეიკავა...

_ ჩვენ რესტორანში მივდივართ, მე და ნატო, შენც ხომ არ წამოხვალ? _ შესთავაზა შაკომ ნიკას.

_ არა, _ მოკლედ მოჭრა ნიკამ.

_ არა და არც რა!.. _ გასაღებების ტრიალი და ჟღარუნი გააგრძელა შაკომ.

ნიკამ ნატოს გახედა.

_ ნიკა! _ რაღაცის თქმა უნდოდა ნატოს.

ამ დროს, ნიკას მობილურმა დარეკა.

_ კაი, გასაგებია... კარგი, დედა, მოვდივარ... მშვიდობაა, კი... ჰო, მოვდივარ! _ უპასუხა ტელეფონზე ნიკამ და ნატოს მიუბრუნდა: _ წავედი, შენს ზარს დაველოდები.

ნატომ კარამდე მიაცილა. ფერი ისევ არ ედო.

_ ოფისი, პირველ რიგში, ხომ? _ შეეკითხა.

_ ერთიც და მეორეც _ პირველ რიგში! ნახვამდის.

_ ნახვამდის. ვეცდები, არ დაგაღალატო, _ უთხრა ნატომ.

კართან მისულმა ნიკამ ორი სიტყვა მაინც გადაუგდო შაკოს.

_ შევხვდებით ალბათ, კიდევ...

_ კი, გენაცვალე... _ მხრები აიჩეჩა შაკომ.

ნიკა გავიდა. ნატომ კარი მიკეტა.

_ რომ დააღალატო?.. მე უფრო სხვანაირი მეგონა. რა კლიენტი იყო, სუფთა ფრანტი!.. _ აგრძელებდა "იაზვობას" შაკო.

_ ფრანტი შენა ხარ. რა ძველბიჭური დაუჭირე, ვითომ?! რომ აგყოლოდა? _ ცოტა ფერი მოუვიდა ნატოს.

_ ამყვებოდა და მიიღებდა, _ ისევ ისე არხეინად ატრიალებდა გასაღებს შაკო.

_ შეგიძლია, მარტო წაბრძანდე იმ შენს რესტორანში, მე აღარ მოვდივარ, _ თქვა ნატომ.

_ რატომ? პირველი სიყვარული ჩამოგიფრინდა? მიძინებული გრძნობები გაგიღვიძა?.. ისევ რომ გაგიფრინდეს, ჭირიმე?..

_ ჩვენ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.

_ ძალიან კარგი. მაგასთან _ საქმიანი, ჩემთან _ სარფიანი, ხომ?

_ წადი! წადი, გთხოვ! _ კარი გამოუღო. სასოწარკვეთილების ზღვარზე იყო ნატო.

შაკო წამოდგა და გასაღების ტრიალით, სტვენა-სტვენით გავიდა გარეთ. ნატომ მთელი ძალით მიაჯახუნა კარი.

შინ მისულ ნიკას, კარი ვერიკომ გაუღო.

_ თეონა მარტო დაბრუნდა, შენ აღარ გამოჩნდი. ვერ გამიძლო გულმა და დაგირეკე. უნდა მაპატიო, _ მოუბოდიშა ვერიკომ.

_ მიპატიებია, მაგრამ სხვა დროს, ჯობს, ნაკლებად შემაწუხო, _ უთხრა ნიკამ.

_ წამოდი, წამოდი. ვერა ხარ ხასიათზე, რაღაც... _ შეატყო უგუნებობა ვერიკომ ნიკას.

_ ჰო, იქ ნოსტალგია მჭამდა, აქ მგონი, ხალხი აპირებს ჩემ შეჭმას... _ ჩაიბურტყუნა ნიკამ.

_ ეგ არ უნდა გაგიკვირდეს, ყველგან ასეა _ თუ საჭმელი შემოაკლდათ, ერთმანეთს ჭამს ხალხი. თუმცა, ჩვენთან ბდღვნიან კიდეც... _ უთხრა ვერიკომ.

ნიკას, სამზარეულოში უკვე კარგად ნაცნობი სურათი დახვდა: ელისო გაზქურასთან ტრიალებდა, თეონას წიგნი გადაეშალა. ნიკა ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ერთ წერტილს მიაშტერდა. მერე თავი ასწია და თეონას შეშინებულ თვალებს წააწყდა. ნელ-ნელა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. თეონას გულზე მოეშვა.

_ ვინ იცის, იქნებ, არც ღირდეს, მართლაც, აქ დარჩენა... _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ როგორც გერჩიოს, შვილო. _ მიბრუნდა მისკენ ელისო. _ თუ დარჩები, როგორც კი ხელს გაატოკებ, იცოდე, უამრავი მუმლი დაგეხვევა, აურაცხელი კოღო და კრაზანა, ათასი ოხერი და მამაძაღლი შემოგიძვრება.

_ ვიცი, _ თქვა ნიკამ.

_ ან იცი, ან _ არა, _ გააგრძელა ელისომ. _ იცი, რა ხალხთან გექნება საქმე?.. ამათ მარტო, გაბდღვნა, გატყავება და გადასანსვლა ეხერხებათ. ჩაიჯიბავენ მილიონებს და გარბიან მერე ამ ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯილები... იქ, დარწმუნებული ვარ, რაიმეს აუცილებლად მიაღწევ, აქ _ ძალიან მეეჭვება.

_ შენ, დედა, შენც ასე ფიქრობ? შენ რას მირჩევ? _ დედას მიაჩერდა ნიკა.

_ არ ვიცი, არ ვიცი... ალბათ, ვერაფერს. იქ რომ იყავი, ბევრად მშვიდად ვგრძნობდი თავს. ახლა კი, ყველაფერზე უნდა ვინერვიულო _ სად ხარ, რას აკეთებ, რატომ აგვიანებ, როდის მოხვალ... ყველაფერზე, ყველაფერზე... აი, თუნდაც, ახლა: რატომ დაბრუნდი ასეთ ხასიათზე?.. დარჩენა გადაწყვიტე. ქუჩაში გახვედი და გადაიფიქრე. როგორ გგონია,

არ ვინერვიულებ? უკან დაბრუნდე და ოჯახს როდისღა უნდა მოეკიდო, ეს დროც რომ კატასტროფულად სწრაფად გარბის.

_ აბა, რას ამბობ, ქალო, ჩემს დაგვიანებაზე უნდა ინერვიულო?! შენ შემთხვევით, ჩემი დაბადების წელი ხომ არ დაგავიწყდა? _ გაეცინა ნიკას.

კარზე ზარი დაირეკა. თაზო მაგრად გატრეტილიყო. სიდედრს დამცინავად შეხედა. კედელს მიეყუდა.

_ ვერიკო, იცი, რა გენიალურია, კარს რომ საყვარელი სიდედრი გაგიღებს?! _ პირში ენას ძლივს ატრიალებდა თაზო. _ ამაზე გემრიელი არაფერი არ ყოფილა. გეფიცები, კუპატზე გემრიელია, კუპატზე!.. ჩემი ცოლი მინდა. ხო შინ არი? მითხარი, ხო შინ არი? არ მომატყუო ოღონდ. ხო იცი, ტყუილებს ვერ ვიტან... _ თაზომ რატომღაც ჩაიქირქილა. _ მე ტყუილს დღეში მარტო ასჯერ ვამბობ, მეტჯერ _ არა. გეფიცები ანის. ხო შინ არი?

ვერიკომ ხელი მოჰკიდა და საძინებლისკენ წაათრია. სამზარეულოს კართან თაზო გაჯიუტდა.

_ წამოდი, წამოდი, დაისვენე, მანდ აბა, რაღა უნდა აკეთო?!. ჭამა შენ აღარ გინდა, არც სხვა რამე, _ სცადა, გადაეფიქრებინებინა სამზარეულოში შესვლა ვერიკომ.

_ ჰო, ჭამა არა, მაგრამ ცოლი ხო მინდა?! სად არი ჩემი ცოლი? _ არ დანებდა თაზო. _ სად მიგყავარ, რატო მებღაუჭებით, ქალბატონო ვერიკო, თქვენ რა?.. ჯერ არ მეძინება! ჯერ რომელი საათია?!. ჰო, დილაა თუ საღამოა? ყველაფერი ამერია... საფულე სად წავიდა? _ თაზომ ჯიბეები მოიჩხრიკა, საფულე ამოიღო. _ ჯერ აქ უნდა შევიდეთ. სამი მწვადი მინდა, შევუკვეთო. ელისო შინ არის? _ იძალა და მაინც შეაღო კარი. _ საქართველოს გაუმარჯოს!.. ნიკა?! ამდენ ქალებში, მარტო?! აი, დიდი კაცი! აი, წესიერი ადამიანი ვინ არი... ბოდიში უნდა მოვიხადო... ბოდიში, მაგრამ იცოდეთ, მე და ნიკამ თითო ჭიქა უნდა დავლიოთ. ელისო, გამოაჩინე ახლა, ხო ვიცი, მოტეხილი რომ გაქვს. გამოაჩინე! ალავერდი შენთანა ვარ, ერთი ჭიქა უნდა დამილიო. მარტო ერთი... ნიკა, შენ გენაცვალე, ბოდიში უნდა მოგიხადო, უშენოდ რომ დავლიე... შენმა დამ გამაბრაზა, ხო იცი... მაგრად მაბრაზებს, ძალიან, ძალიან მაგრად. ქალია, ხელი როგორ დავაკარო?!. ხო გაგიგია, ქალს ძაღლიც არ დაჰყეფსო... მაგრამ დღევანდელ ქალებზე არ არის ეგ ნათქვამი. დღევანდელ ქალებს ძაღლები ჭამენ კიდეც... ჰო, დამიჯერე... არა გჯერა? არა გჯერა და ნუ გჯერა... _ თაზომ თავი მაგიდაზე დადო და ვეღარ ასწია.

_ იყოს და ცოტა ხნის მერე გავიყვან, _ თქვა ვერიკომ.

დარეკა ნიკას მობილურმა.

_ გისმენ... სახლში... კარგი, მოვდივარ. ახლავე. ჰო, გასაგებია. გამოვდივარ, _ უპასუხა ნიკამ და წამოდგა.

_ სად მიდიხარ? _ დაინტერესდა ვერიკო.

_ ირაკლისთან, დედა. ირაკლი იყო. შეგიძლია გადამამოწმო. მააქვს უფლება, რომ წავიდე?.. თუ არა მაქვს?.. _ ხელები გაშალა ნიკამ.

_ შეკითხვაც არ შეიძლება? _ ეწყინა ვერიკოს.

_ მაპატიე... ალბათ, იქ დავრჩები, კარგი? _ თხოვნა გაურია კითხვაში ნიკამ.

_ კარგი, _ თავი დაუქნია დედამ ნიკას და მაგიდასთან ჩაძინებულ თაზოს დახედა. _ ეს ხომ ასეთი არანორმალურია!.. მაინც მიყვარს... მეცოდება ანის ხელში... _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ვერიკომ.

_ თეონა, აბა, შენ იცი, მაგრად იმეცადინე, კარგი? _ მოვალეობა მოიხადა მამამ.

_ კარგი, _ გაუღიმა თეონამ.

_ აბა, ყველას გემშვიდობებით, _ რატომღაც ღრმად ამოისუნთქა და გარეთ გავიდა ნიკა. იმ მოშხამული ხასიათის კვალობაზე, როგორზეც ვიღაც კრეტინ შაკოსთან შეხვედრამ დააყენა, ირაკლის ზარი ნიკასთვის ნამდვილი ხსნა იყო.

ირაკლის მანქანა სადარბაზოს წინ ჰყავდა გაჩერებული. ნიკა ჩაჯდა და ამოისუნთქა. ირაკლიმ მანქანა დაძრა.

_ რომელი გირჩევია: კულტურული ღონისძიება, რესტორანი თუ ბაითი, მაგარი ძუძუებით? _ გაიცინა ირაკლიმ.

_ ბოლო ვარიანტზე შევთანხმდეთ... _ გაიღიმა ნიკამ.

_ ძუძუები, სისკები, ლიაშკები!.. მოსულა! _ თქვა ირაკლიმ და აქსელერატორს ფეხი მიაჭირა. "მერსედესმა" გეზი ვაკისაკენ აიღო...

ირაკლიმ მანქანა ფარეხში ჩაკეტა და ნიკა თავისთან აიყვანა. სუფრა ძალიან სწრაფად გააწყო. "ეტყობა, დახელოვნებულია ამ საქმეში", _ გაიფიქრა ნიკამ, როცა ირაკლი სუფრის გასაწყობად ტრიალებდა. ლამაზი გამოვიდა: შამპანური, კონიაკი, ზეთისხილი, ხიზილალა, კარაქი, შავი "ახაშენი". "ნახევრად ტკბილი", _ წაიკითხა ღვინის ეტიკეტზე ნიკამ. მერე ბოთლი გახსნა, ერთი ჭიქა დაისხა და ჟურნალების მაგიდის გვერდზე, დაბალ სავარძელში მოკალათდა. ირაკლი ტელეფონს მიუჯდა. წინ გადაშლილი ბლოკნოტი ედო.

_ ...თეატრში მიდიხარ?.. როდის იყო, თეატრში დადიოდი?! გოგო, ძმა ჩამომივიდა ამერიკიდან და შენთვის მინდოდა, გამეცნო. კაი, კაი, კაი, გასაგებია. არ გინდა, ნუ გინდა... _ უკვე მესამე თუ მეოთხე ქალისგან მიიღო უარი ირაკლიმ. _ გადამრევენ ესენი! არავის არ სცალია. გიჟებივით მორბიან ხოლმე. აქეთ მირეკავენ ყოველთვის... რუსი რომ იყოს? _ ჰკითხა მან ძმას.

_ გააჩნია. შენ უფრო არ იცი?! _ მიუგო ნიკამ.

ირაკლი ცოტა შეფუცხუნდა. რაღაც ეჭვმაც გაჰკრა... პირველად იყო მის ცხოვრებაში, რომ ამდენ ქალს ერთად ეთქვას უარი... ის, რომ დღევანდელი მთავრობა ყველაფერს აკონტროლებდა და ავსა და კარგს თავის სასარგებლოდ იყენებდა, ძალიან კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ ვერ დაეჯერებინა, რომ ორი დღის წინ ჩამოსული მისი ძმა უკვე კონტროლზე იყო აყვანილი. მოკლედ, იძულებული გახდა, "სათადარიგოებზე" გადასულიყო და კრეფდა და კრეფდა ნომრებს.

_ ესეც გამოირიცხა, არ იღებს ყურმილს... აბა, დეა ვნახოთ. ამასთან არ დამირეკავს ორი წელიც იქნება... დეას თხოვეთ... შენა ხარ? აბა, ვინა ვარ, თუ გამოიცნობ?.. საღოლ, მოარტყი!.. მომისმინე, მარტო ხარ? მაგარ ბაითში გაგჩითავ, ოღონდ, დაქალიც უნდა გამოიყოლო ვინმე... რატომ? რატომ? ვის არ აგონდები, როგორ გეკადრება?!. სიაში?!. როგორ გეკადრება, პირველ ნომრად თუ არა, სამეულში ყოველთვის ხარ... მომისმინე, ორნი ვართ ჩვენ. მე და ჩემი ძმა ვართ... არა, არ იცნობ შენ... ხომ მიხვდი, არა?.. ჰოდა, ძალიან კარგი. ჩემთან, ჩემთან. კი, ვაკეში... ჰო, გელოდებით... ესეც ასტე! ხო გავჩითეთ მაინც!.. ეს იცი, რა ნაშაა?! _ ირაკლიმ შვებით ამოისუნთქა.

_ არ არსებობს, თავისზე კარგი წამოიყვანოს. აი, ნახავ, მაგარ ბანძს მოათრევს... _ თქვა ნიკამ.

_ ვნახოთ, ვნახოთ. წინასწარ რატომ ვიმკითხაოთ?! ბოლო-ბოლო, დაგითმობ, რომელიც მაგარი ნაშა იქნება, შენი იყოს. თუ გინდა, "არიოლ-რეშკა" ავაგდოთ, როგორც შენ გენდომება. _ ირაკლიმ ვიდეომაგნიტოფონში კასეტა ჩადო. _ "კაზანოვა" არ გევასება? ამაზე უცბად ავარდებიან... ხო გევასება?

_ ჯერ მოვიდნენ... _ თქვა ნიკამ. _ ეგრევე რომ ამიდგეს, რა ვქნა?!

_ მაწვნის ბანკა დაგჭირდება... მაგრამ არა გვაქვს... _ გაიცინა ირაკლიმ.

_ შეიძლება, არ მოვიდნენ? _ იკითხა ნიკამ.

_ გამორიცხულია. ერთი ათ წუთში მოაზარებენ, აი, ნახავ, _ თქვა ირაკლიმ და მართლაც, სულ მალე, ზარის ხმაც გაისმა.

_ აი, არ გითხარი! მოვდივაარ!

ირაკლი კარის გასაღებად გაიქცა. ნიკაც წამოდგა სკამიდან და კარს მიაშტერდა. მაგრად აინტერესებდა, ვინ შემოვიდოდნენ.

კარი გაიღო და ზღურბლზე, ჯანმრთელი, დაბალი, "მძიმეწონოსანი", ლამაზსახიანი მდედრი გამოჩნდა. იდგა და სახეგაბადრული, ეშმაკურად იღიმებოდა... "რა ნაცნობი იერი აქვს!.." _ გაიფიქრა ნიკამ, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, საიდან შეიძლებოდა, სცნობოდა ეს ქალი.

ყველას გინახავთ, ალბათ: მსუქანი, მაგრამ კოხტა სახიანი, პატარა, მრგვალტუჩებიანი, სათნო ქალბატონები. ეს ჩვენი ახალი გმირიც სწორედ ასეთი ბრძანდებოდა, მაგრამ ყველა სიკეთესთან ერთად, ცოტა ელამიც გახლდათ. დოინჯშემოყრილი იდგა კარში და თვითონაც აინტერესებდა, მისი დანახვა ბიჭებში რა რეაქციას გამოიწვევდა... ბიჭებს ჰომერული ხარხარი აუტყდათ. ქალი სწორედ ასეთ რეაქციას მოელოდა. ამაყად შემოვიდა, მკვეთრი მოძრაობით შეტრიალდა და ბიჭებს უკანალი მიუშვირა. მას გაღიმებული დეა შემოჰყვა. მსუქანა, პოდიუმზე გასული ტოპმოდელივით გამოემართა ოთახისკენ. შუა ოთახში შედგა და კაბა მუხლს ზემოთ აიწია. ბიჭების რეაქციაც ადეკვატური იყო _ სტვენა და ყიჟინა. სიცილით ჩაოსდნენ. დეამ კი თეატრალურად გამოაცხადა:

_ თათიკო ლეშკაშელი. თვით მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი!

_ არაა! _ განცვიფრდა ირაკლი.

_ დიახ, დიახ, ნამდვილად მისი ქალიშვილი გახლავთ. როგორია? _ იკითხა დეამ.

_ გრანდიოზულია! _ თქვა ნიკამ.

_ ეს ქალი _ ჩემია, _ გამოაცხადა ირაკლიმ.

_ კი, ბიჭო, აბა! ჩემია და მოვრჩეთ ბაზარს, _ არ დაუთმო ნიკამ.

_ ჩემია-მეთქი! _ მამლაყინწასავით წინ დაუდგა ძმას ირაკლი.

_ რატომ ვითომ?! წონითი კატეგორიით, მე უფრო შემეფერება, _ მოუყვანა არგუმენტი ნიკამ.

_ მაშინ, ჯერ დავლიოთ და მერე _ ვნახოთ... _ არ დაყარა ფარხმალი ირაკლიმ.

_ კარგი, _ დათანხმდა ნიკა.

_ დეა, დავაი, ცოტა მოშინაურდით. ხელები დაიბანეთ და მობრძანდით სუფრასთან, _ კულტურული ტონით ბრძანა ირაკლიმ.

_ ძალიან კარგი. წამო, თათიკო, _ სააბაზანოსკენ გაუძღვა მეგობარს დეა.

ბიჭები სუფრასთან დარჩნენ. ჯერ კიდევ ეღიმებოდათ.

_ შენ რაღა დაგემართა?! დეა არ გირჩევია? ის ბევრად მაგარი ნაშა არ არის?! _ შეუტია ძმას ირაკლიმ.

_ რას ამბობ? მაინტერესებს: უნდა ვეჭიდაო. წავაქცევ თუ ვერ წავაქცევ... _ გაიცინა ნიკამ.

_ ჰოდა, გაგჟიმავს გემოზე, ბეჭებზე, _ უთხრა ირაკლიმ.

_ დიდი ხალიჩა რომ გვქონოდა, ვაგორავებდით ზედ, ხან _ შენკენ, ხან _ ჩემკენ.

_ სახე ძალიან ლამაზი აქვს. როგორი ტუჩები აქვს?

_ ტუჩ-კბილი... არ დამავიწყდება, კარი რომ გაიღო და შემოვიდა.

_ იცოდე, დეას დაკარგავ, _ გააფრთხილა ძმა ირაკლიმ. თითქოს ნიკას აქამდეც ჰქონოდა საყვარლობანა დეასთან გაჩაღებული.

_ არა, დეა შენია. ეს, ჩემი იქნება, _ ისევ უარი სტკიცა ნიკამ.

_ არა, ვერ დაგითმობ, არ არსებობს. დუელმა გადაწყვიტოს! _ არ დაუთმო ირაკლიმ.

_ მასე იყოს, _ დაეთანხმა ნიკა. _ მამამისმა რომ გაუგოს, ხო დაკლავს...

_ მოიცა, თუ ძმა ხარ, დაკლავს კი არა... თვითონ ვინ იცის, ჩვენზე უარეს ბაითშია ახლა. პოლიციელი, ტო?! _ არ დაეთანხმა ირაკლი.

კარი გაიღო და ლამის მთლად გაშიშვლებული დეა შემობრძანდა. მხოლოდ თეთრი მაქმანებიანი ტრიკოსა და წითელი ლიფის ამარა იყო დარჩენილი.

_ ისიც შიშველი შემოვა?.. მე ნაღდად გავაფრენ!.. _ თქვა ირაკლიმ და გაშიშვლებული თათიკო წარმოიდგინა, თავისი "ტონიანი" უკანალით.

თათიკო ჩაცმული შემობრძანდა. ტუჩებში ეღიმებოდა.

_ აბა, რომელს უნდა, ჩავუსკუპდე კალთაში? _ იკითხა მან და ბიჭებს გადახედა.

_ მეე, რა! _ ყელი გამოუწია ორივემ ერთდროულად.

_ მე დამიწუნეთ, ხომ?! _ უკანალი ააქანავა და მაგიდასთან დაჯდა დეა. და უეცრად, ორივეს ბრანწი უჩვენა: _ აი, თქვენ, მიიღებთ! _ თან, ბრაწიანი მუშტები ცხვირებთან მიუტანა. ბიჭებმა თვალები დააელმეს. _ მსუქანი ხორცი გიყვართ, არა?! ლურთ-ლურთი... _ და თათიკოზე მიუთითა. _ შეჭამეთ!

_ საიდან დაიწყებთ? _ იკითხა თათიკომ და ხელი საჯდომზე დაირტყა. _ აქედან? _ ბიჭები ახარხარდნენ. თათიკო ნიკას მიუახლოვდა. _ ნებას დამრთავთ, თქვენს მუხლებზე მოვკალათდე?

_ სიამოვნებით, _ მიიპატიჟა ნიკამ.

_ გამიძლებთ? _ შეეკითხა თათიკო და რაღაც უცნაურად ჩაეღიმა, რაც ნიკას არ გამოჰპარვია.

_ ნიკა კი გაგიძლებთ, მაგრამ სკამი _ ცოტა მეეჭვება... _ თქვა ირაკლიმ და ხმაურით გახსნა შამპანური.

თათიკო ახტა და ნიკას კალთაში ჩაუხტა.

ნიკამ ერთი კი დაიყვირა _ ვაიმე, დედაო! _ ქალის ხელში დაჭერაც სცადა, მაგრამ მის სიმძიმეს მაინც ვერ გაუძლო და სკამიანად უკან გადაყირავდა. ორივენი რბილ იატაკზე გაგორდნენ. თათიკო ქვემოდან მოხვდა. ნიკამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ თათიკომ ხელი სტაცა და თავისკენ მოქაჩა.

_ საით?! _ მერე, ეგრევე თავი დაუჭირა და ტუჩებში გემრიელად "დაუზასა". ნიკა არ გასძალიანებია... როგორც კი კოცნა დამთავრდა, თათიკომ ნიკა რომელიღაც საჭიდაო ილეთით ამოატრიალა და ქვეშ მოიგდო.

_ მიშველეთ, გავიჭყლიტე! _ იღრიალა ნიკამ.

_ ხომ გითხარი, გაგჟიმავს-მეთქი!.. _ დაიყვირა ირაკლიმ.

ყველანი ახარხარდნენ. თათიკო წამოდგა. ნიკაც წამოაყენა, მაგრამ ხელი მაინც არ გაუშვია.

_ მოდი ჩემთან, ჩემო პატარა, ჩემო გოშია, მოდი, მოდი, ნუ გეშინია... _ მიეფერა ის ნიკას. მერე სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და ნიკა კალთაში ჩაისვა. _ აბა, როგორ გრძნობ თავს? კარგად ხარ მოკალათებული თუ ვერა? აბა, ასე ხომ არ გირჩევია? _ ეფერებოდა ის ნიკას და ნიკაც ქალის ბარძაყებზე მშვენივრად გრძნობდა თავს.

_ იფ... _ წამოსცდა ნიკას.

_ მე-ე? _ შეშურდა ირაკლის.

_ სენ _ დიდი ნთხლე-ე! _ ენა მოუჩლიქა თათიკომ ირაკლის.

ყველანი ახარხარდნენ. მოგეხსენებათ, ამ დროს, მომავალი სიტკბოების მოლოდინში, ორგიის წევრები ხშირად უმიზეზოდაც იცინიან და თუკი საბაბი აქვთ, მაშინ ხომ ვერც გააჩუმებთ... მოკლედ, ეს "ქალბატონ-ვაჟბატონებიც", როცა ჭიქებში შამპანური აჩუხჩუხდა, უკვე ასეთ განწყობილებაზე ბრძანდებოდნენ. ტელეეკრანზე კი, "კაზანოვადან", ცნობილი სექსში ასპარეზობის ეპიზოდები მიდიოდა...

_ აუ, ესენიც რას გრიალებენ, ბიჭო! _ მიახედა ეკრანისკენ მეინახეები ირაკლიმ.

...თათიკო მსუქანა კი იყო, მაგრამ მშვენიერი, ტკიცინა კანი აღმოაჩნდა. ნიკას განწყობილებას, რომელსაც შამპანურის ხსნარი სხეულში ტკბილად გაჟღენთოდა და

მოეთენთა, საოცრად მიესადაგა თათიკოს დამყოლი ბუნება. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს რბილ, გრილ ზღვაში ბანაობდა. თათიკოს ამობურცულ ძუძუებს, რომლის თავებსაც ლილისფერი დაჰკრავდა, ზღვის ტალღებივით აქანავებდა და სახით რჩოლავდა. ორივენი სასიამოვნო რიტმში ირწეოდნენ და სექსის ხელოვნური გაჭიანურებით, სიტკბოებას იხანგრძლივებდნენ.

დეამ კი, რატომღაც, "ქალურობა" მოიმიზეზა და უარი თქვა სექსზე. ირაკლი, რომელიც მიხვდა, რომ დეა ტყუოდა, საშინლად გაღიზიანდა. ბუნებით მაქსიმალისტი, წინააღმდეგობას არამცთუ სექსში, არამედ, საერთოდ, ვერ იტანდა და დეას, რა თქმა უნდა, მინეტი მოთხოვა. და რადგან დეამ ეს საშინლად შეიცხადა, ირაკლიმ არც აცია, არც აცხელა და სილა გააწნა. ასეთ რეაქციას მამაკაცის მხრიდან ხშირად, ალკოჰოლიც იწვევს _ ის ნახევრადმთვრალი მდგომარეობა, როცა აგზნებულია და საერთოდ _ ყველაფერზე წამსვლელი... დეამ ხურდა დაუბრუნა, ჩამოპორჭყნა კიდეც, ხელიდანაც დაუსხლტა და იმ ოთახში შევარდა, სადაც თათიკო და ნიკა ნებივრობდნენ. ჩხუბის, ძიძგილაობისა და სილების გაწვნის ხმა ნიკას და თათიკოს მაშინვე შემოესმათ, ასე რომ, როცა დეა მათთან შევარდა, ისინი უკვე ლოგინში წამომსხდარნი დახვდნენ.

შეშინებული დეა პირდაპირ შუაში ჩაუხტა მწოლიარეებს.

_ მიშველეთ! _ ტირილს აპირებდა დეა.

ირაკლი, რომელიც დეას მოსდევდა, ძმის განცვიფრებული სახის დანახვაზე, გაჩერდა.

_ რა ხდება? _ იკითხა მკაცრად ნიკამ.

_ არ იძლევა ეს ძუკნა!

_ ძუკნა _ დედაშენია! _ მიახალა დეამ.

_ გესმის?! მოვკლავ, მე ამის, ამ კახპას!.. _ ირაკლი ქალისკენ წამოვიდა, მაგრამ ამ დროს, საწოლზე მთელი ტანით წამოიმართა ნიკას განრისხებული პარტნიორი. მთლად შიშველი და აგრესიული თათიკო ბევრად დიდი ჩანდა, ვიდრე ტანსაცმელში და ირაკლიმ მისდაუნებურად, უკან დაიხია. მაგრამ თათიკოს მოქნეულ მარჯვენას მაინც ვერ გადაურჩა და მისმა ლოყამ ლაწანი გამოსცა.

_ შენ კიდევ _ ბოზი ხარ, "სტუკაჩი", არაკაცი! არ გადმოადგა ფეხი, თორემ, დაგინაყავ ცხვირ-პირს! _ საწოლიდან გადმოალაჯა და ირაკლის წინ დაუდგა თათიკო...

ის არა მარტო დიდი იყო, ამასთანავე _ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილიც გახლდათ და ირაკლიმ ფარხმალი დაყარა. ნიკას კი, ის ქალი გაახსენდა, რომელიც თვითმფრინავში შეეჩეხა. "ეს ის ბრძანდება, ის გაფითქინებული "გვირილის ბერეტი"... ნაღდად ისაა, ჰო..." _ მაგრამ ის მკაცრი ქალბატონი და ეს რბილი, ფუმფულა ქალი მაინც ვერაფრით დააკავშირა ერთმანეთთან და ამ ამბის გამომჟღავნება სამომავლოდ გადადო.

_ აუუჰ! _ თქვა ირაკლიმ და ხელი ჩაიქნია.

_ ჰოო, მორჩეს ახლა, გადი გარეთ! _ წაუღრინა თათიკომ.

_ გადი, _ ცივად გამოცრა კბილებში ნიკამ.

_ სად გავიდე?! ჩემს სახლში ვარ და მე გავიდე?!. _ ხელები გაშალა ირაკლიმ.

_ არ შემიძლია და _ მომკალით! ხომ ხდება, არა?! _ შველას ითხოვდა დეა.

_ არ შეუძლია, ბიჭო, მართლაც ხომ ხდება, არა?! _ წაეშველა დეას, ნიკა.

_ თან, იცით, რას მთხოვს?!. _ არ დაასრულა სათქმელი დეამ.

_ რას გთხოვ ისეთს, რაც არ გაგიკეთებია?! _ "მიაწვა" ირაკლი.

_ არ გამიკეთებია, არა, არასოდეს!.. ბოზი ვარ, კი, ბოზი ვარ და არც ვმალავ, მაგრამ ეგ არ გამიკეთებია და არც ვაპირებ. ეგეც თუ გავაკეთე, ბარემ ცირკთან დავდგები და ის იქნება! მე ჩათლახი არა ვარ, გესმის?! მე ბოზი ვარ. რა იყო? როგორც ნახევარზე მეტი თბილისი!.. მე უბრალოდ, არ გამიმართლა, თორემ, არც ბოზი არა ვარ, დიახ!.. _ მიახალა გაკვირვებულ ირაკლის დეამ.

_ “სვეცკი” ბოზი ვარო, _ ხომ გესმის, რას გეუბნება?!. _ უთხრა ნიკამ ძმას.

_ დიახ, “წავისვეტებთ”. თორე არა!.. _ თქვა თათიკომ. და ჩაცმა დაიწყო: _ მე ვეღარ დავრჩები აქ, თორემ მეც მომთხოვენ, ალბათ, რაღაც-რაღაცებს... რის გაკეთებასაც არ ვაპირებ.

_ არავინ გებღაუჭება... _ ეწყინა ნიკას.

_ რა-ა? წეღან მაგრად კაიფობდი, ძვირფასო!.. _ მიაჩერდა ნიკას თათიკო.

_ მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ ასეთი სლიკინა კანი გქონდა... _ მიუგო ნიკამ.

_ ეგ, კი... მაგრამ შენ ჩემი გაგიჟება და გაცოფება არ გინახავს... და ალბათ, ვეღარც ნახავ... _ უთხრა თათიკომ.

_ რატომ? რატომ?!. მოდით, რა, შევრიგდეთ და ნუ ჩავიშხამებთ ამ საღამოს, _ თქვა ნიკამ.

_ უკვე ჩაშხამებულია. მე სირამოღებული დავრჩი... _ თქვა გამწარებულმა ირაკლიმ და დეას მიუბრუნდა. _ რას მოდიოდი, შე ჩემისა, თუ გაჟიმვა არ გინდოდა?! მე აქ კონცერტის საყურებლად კი არ დაგპატიჟე!

_ როცა მოვდიოდი, მინდოდა... _ ჩაილაპარაკა დეამ.

_ და მერე გადაგიტრიალდა ტვინი, ა-აქ? _ ჰკითხა ირაკლიმ.

_ დიახ, თუ გინდა სიმართლე. შენი ძმა მომეწონა, ნიკა... _ თითი გაიშვირა შიშველი ნიკასკენ დეამ. _ ჯერ ამან მინდა გამჟიმოს.

_ ახლა, ჰო-ო?! შენ ძმებს შორის “ჩორტს” ნუ აგდებ! _ ხუმრობაში ნახევარი სიმართლეაო, “ამ პონტში” თქვა ნიკამ.

_ თქვენი დედაც მოვტყან!.. _ თქვა ირაკლიმ და ოთახიდან გავიდა.

_ გაიხადე და ჩამიწექი, _ უთხრა დეას ნიკამ.

_ თქვენ ხომ არ გაგიჟდით?! ჩემი ხელით დაგკლავთ ორივეს! _ თქვა თათიკომ და თავისი ელამი თვალები ჯერ ერთს “მიაჭირა”, მერე _ მეორეს.

_ სხვა დროს იყოს... _ უთხრა დეამ ნიკას.

_ აკი, ბოზი არა ვარო?!. ამწუთას არ ამბობდი?! ნიკა ჩემია და თქვენ შორის რომ რამე მოხდეს, ჩათვალეთ, რომ “ტრუპები” ხართ ორივე. ჰო, ჰო, სერიოზულად! _ თქვა თათიკომ. _ არ გამომივიდნენ “რომეო და ჯულიეტა”?!.

როცა გოგოები წავიდნენ, ნიკამ ჩაიცვა და ძმასთან გავიდა. ირაკლის ზედ არ შეუხედავს. მაგიდასთან იჯდა და ნოუტბუკის ეკრანზე რაღაც ჩამონათვალს ჩასცქეროდა.

_ გაგიტყდა? _ ჰკითხა ნიკამ.

_ გამიტყდა, აბა, არ გამიტყდა? ნაშა დამაწერე!.. _ უპასუხა ირაკლიმ.

_ მე დაგაწერე? _ გულწრფელად გაიკვირვა ნიკამ.

_ აბა, ვინ?! _ ხელები გაშალა ირაკლიმ.

_ რომელზე ამბობ? _ დაინტერესდა ნიკა.

_ დეაზე, თორემ, იმ მეორეზე მე გული ამერეოდა, _ დაიჭყანა ირაკლი.

_ ჰო-ო? რაღაცას ხომ არ ატრაკებ, ირაკლი?! _ მაგრად გაუტყდა ნიკას.

_ მე ვატრაკებ თუ შენ?! ვერ გავიგე, რა, საქმეს მირჩევ? _ მიაშტერდა ძმას ირაკლი.

_ ეგ რა შუაშია?! მაინტერესებდა, ხომ არ ეწყინა-მეთქი. მით უმეტეს, თუ შენ არ დაგევასა, მე დამევასა და გავჟიმე.

_ თუ იმან გაგჟიმა?.. კაი, რა! _ ხელი ჩაიქნია ირაკლიმ.

ნოკამ სიგარეტს მოუკიდა.

_ ჰო, კაი, როგორც იყო. მაგრამ დეასთვის ხომ ხელი არ დამიკარებია. ვერ გავიგე, რას მაბრალებ... _ ნიკა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ _ უნდოდა თუ არა _ ირაკლი რომ ხახამშრალი დარჩა, მისი ბრალი იყო და ეს ლაპარაკიც იმიტომ წამოიწყო, რომ როგორმე,

ძმის წყენა გაენეიტრალებინა. პირიქით კი გამოუვიდა. ირაკლი “მაგარ გატეხილში” ჩანდა და ეტყობოდა, რომ ნიკაზე უფრო “გაუტყდა”, ვიდრე იმ თავის დეაზე.

_ შენ ალბათ, გაჟიმული გყავს, არა, ეგ დეა? _ არ იცოდა, უნდა დაესვა თუ არა ეს შეკითხვა, მაგრამ თავისდაუნებურად წამოსცდა ნიკას.

_ მარტო მე? ალბათ, ნახევარ თბილისს...

_ მაშ, რაღას იბოღმები?

_ შენ იცი, ვინ არის ეგ ჩათლახი? რა დონის “კრისაა”, იცი?..

_ არ ვიცი. ან საიდან უნდა ვიცოდე?! _ გაუკვირდა ნიკას.

_ შენ ძალიან ბევრი რამე არ იცი, ნიკა... _ ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

_ რას გულისხმობ? _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ რას და, როგორც მე ვატყობ, შენ ამ დროში არ უნდა ცხოვრობდე, _ უთხრა ირაკლიმ. თან გააბოლა და კვამლი ხელით გაფანტა.

_ არა, მართლა, _ გაეცინა ნიკას.

_ ნუ იცინი! _ სერიოზულად თქვა ირაკლიმ. _ შენ რა გგონია, რატომ არ მომცა?.. შენ გგონია, მართლაც, შენ დაევასე და იმიტომ?.. მიპასუხე!

_ რა გიპასუხო?.. არა, მართლა, მე დავევასე და იმიტომ-მეთქი?.. რისი თქმა გინდა, მითხარი, ბოლო-ბოლო, და მოვრჩეთ ამ ბაზარს!.. _ ცოტა ხმას აუწია ნიკამ.

_ რომ ვიცოდე, გეტყოდი, მაგრამ მეც არ ვიცი, ჯერ...

_ ეგ “ჯერ” რას ნიშნავს _ მერე გაიგებ?.. თქვი, რას ბლანდავ, გამაგებინე! _ დაიღალა ნიკა.

_ რას ნიშნავს და, ან მე ამიყვანა “მუშკაზე”, ან _ შენ. უფრო _ შენ. მე ისედაც გაშიფრული ვარ და ყველამ იცის, ვინცა ვარ და რასაც ვაკეთებ. თუმცა, ვიღაცას ჩემი ჩაძირვაც შეიძლება უნდოდეს. ჰო, ეგ ჩათლახი ადრე უცხოელებზე აგროვებდა “სვოდკებს”. რამდენჯერმე ჩვენც გამოვიყენეთ, მაგრამ მერე დაგვეკარგა. ალბათ, სხვები მეტს უხდიდნენ და არც ჩვენ შეგვიწუხებია მაინცდამაინც. მოგეხსენება, პიარი მთელ ქალაქს სჭირდება და კლიენტი არ გვაკლია.

_ რაღას დაპატიჟე, მერე?!

_ აბა, ისე გამეშვი?.. ხომ ნახე, ყველამ უარი მითხრა. თან, ვიცოდი, რომ მაგარი ნაშა იყო. ამას იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე, ჰო _ მაგარი “დაქსელილია” ქალაქი! შენ კიდევ, საქმის წამოწყებას აპირებ. ფრთხილად უნდა იყო, ძმაო, ფრთხილად. საერთოდ, წარმოიდგენდი ოდესმე, რომ მურაზ ლეშკაშელის შვილს გაჟიმავდი? წარმოიდგენდი?!. ჰოდა, ვინ იცის, სად წამოკრავს ქვას ფეხს კაცი?!.

იმ საღამოს, ნიკა ვეღარ დარჩა ძმასთან. რაღაც დაელექა გულში არასასიამოვნოდ. სახლში წავიდა.

“ეს სულ სხვა სამყაროა. ეს არ არის ამერიკა”... _ დიდხანს უტრიალებდა ეს მარტივი ფრაზა თავში.

მეორე დილას, ნიკა ჩვეულებრივზე გვიან ადგა, მთლად გამოფიტული იყო, გამოცარიელებული, თან, წინადღის პერიპეტიების გამო, მაინდამაინც კარგ ხასიათზეც ვერ იყო. სამზარეულოში მხოლოდ თეონა დახვდა. ნიკამ სიგარეტი და სანთებელა მაგიდაზე დადო და სკამზე ჩამოჯდა.

_ ადექი, შვილო? დაგისხა ჩაი? _ შეეკითხა თეონა.

_ შენ რა?.. _ გაუკვირდა ნიკას.

_ ელისო ვარ... როგორ გეძინა, შვილო? _ ჰკითხა ისევ თეონამ.

_ კარგად, კარგად... ელისო, _ აჰყვა ბავშვს ნიკა.

_ აბა, საათზე დაიხედე, რომელია? ელისო ავადმყოფთანაა, ვერიკო _ ინსტიტუტში... მურაბით თუ ლიმნით? ლიმონი ძალიან სასარგებლოა, _ თქვა თეონამ.

_ მართლა, ბებო? არ ვიცოდი...

_ აი, ეგ სიგარეტი, რომელსაც თავს არ ანებებ, დამღუპველია. კაცს იმის ნებისყოფა არ უნდა ჰქონდეს, რომ ეს მავნე ჩვევა მოიშოროს და ეს შხამი, რომელიც ორგანიზმს წამლავს, გადააგდოს?! _ ისევ ბებოს ბაძავდა თეონა.

_ იცი, შენგან შეიძლება, მართლაც, დადგეს ერთი "კაი ელისო"... _ უთხრა ნიკამ.

_ კარგი, როცა გავიზრდები და ოთხმოცს გადავცილდები, მეც ელისო გამოვალ... _ გაიცინა თეონამ.

_ და ორი ელისო გვეყოლება? _ გაიკვირვა ნიკამ.

_ რა ჭკვიანი ხარ! ჰო, როცა ოთხმოცის გავხდები, ელისო ორასი წლის იქნება, ხომ?!. მე თუ ექიმი გავხდები, აუცილებლად გამოვიგონებ უკვდავების წამალს.

_ ეჰ, თეონა, ამას იმიტომ ამბობ, რომ ცამეტის ხარ. ცოტა ხნის შემდეგ კი, სიცოცხლე ისეთი ლამაზი აღარ მოგეჩვენება, როგორიც დღეს გგონია და უკვდავების წამალზე ფიქრსაც თავს დაანებებ.

კარზე ზარი დაირეკა.

_ ბებიკუნა მოვიდა, ბებიკუნა მოვიდა!.. _ გაიქცა კარის გასაღებად თეონა.

რეზი შემოვიდა. მხარზე ხელი დაჰკრა ნიკას:

_ კარგ დროს მოვსულვარ: დაგიჭირე სახლში.

_ მე დღეს ელისო ვარ, ჩაის ხომ მიირთმევთ? _ ჰკითხა რეზის თეონამ.

_ ჩამოასხი. ხომ გახსოვს, მაგარი მიყვარს.

_ ვიცი, ვიცი, _ გაუხარდა თეონას. _ ერთი წუთით ჩანთას ჩავალაგებ და სანამ ეს ადუღდება, მოვალ, _ ანიშნა ჩაიდანზე თეონამ და გავიდა.

_ შენზე მითხრეს, ოფისი გახსნაო, მართალია? _ ჰკითხა რეზიმ ნიკას.

_ ჰო, ოფისი კი გავხსენი, მაგრამ ჯერ მთლად ჩამოყალიბებული არა ვარ... _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ შენ ისე აწვები, არც მაგისთვის დაგჭირდება ალბათ, ბევრი დრო, _ თქვა რეზიმ.

_ მეც მასე ვფიქრობ, _ მიუგო ნიკამ.

_ არ გაგიკვირდეს, მაგრად მაინტერესებს, რას აპირებ, _ უთხრა რეზიმ.

_ არც მიკვირს, პირიქით. საბოლოო ჯამში, მშენებლობას ვაპირებ, მაგრამ მანამდე, საპროექტო მჭირდება და რაღაც-რაღაცეებში კარგად მინდა ჩავიხედო, _ თქვა ნიკამ.

_ მშენებლობა? შენ ეგ გამოგივა. მაგარი მომგებიანია, ერთი ამოდისო ერთში, ამბობენ. ისე, დიდი თავი და მაგარი ჩალიჩიც უნდა... მაგრამ შენ თავიდანვე, მიდრეკილება გქონდა, ბოლო-ბოლო, არქიტექტორი ხარ, სხვას რომ თავი დავანებოთ... მე, მე "ცეხავიკი" ვიყავი მუდამ. ვშოულობდი კიდეც ფულს, როცა სხვები ვერც ტოკდებოდნენ. სამკერვალო რომ მქონდა, ცოტა ფულს ვშოულობდი, გგონია?! გორში რომ ბამბეულის კომბინატი არ მიკეტილიყო, დღესაც კარგად ვიქნებოდი. გაქრა, ბიჭო, ძაფი, იცი, როგორ გაძვირდა?! ყველა "ცეხავიკი" მოკვდა, ტო, დაიხოცნენ!.. კომუნისტების დროს, მატყლში რო ჰქონდათ ხელი... შინ მუთაქები რო ედოთ, ფულით დატენილი, _ დაიხოცნენ!.. ჰო. მშენებლობა, არა?.. კარგად მოგიფიქრებია. ზედგამოჭრილია შენზე. არ შეეშვა, მაგაში ნაღდად უნდა გაგიმართლოს. დაიწყე და მერე საქმე გიჩვენებს, თვითონ, _ დაასრულა მონოლოგი რეზიმ.

_ ვიცი, რეზი, მაგრამ არ იცი, ამ ქალაქში მარტო ფული და საქმის ცოდნა რომ არაფერს ნიშნავს?!. _ სინანულით ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ ჰო-ო, შავები, თეთრები, წითლები, "კრიშები"... უმაგათოდ თითს ვერ გაატოკებ. ამ ბოლო დროს, ბევრს ისეთსაც ჩააყვინთვინეს, თავის დროზე, მილიონებს რო ჭრიდა.

დათო გახსოვს, მგელაძე? გახსოვს, რა ქეშის პატრონი იყო?.. იცი, რა ვალები დაიდო?! თავისი სახლი ხო გაყიდა! ძმის სახლიც გაყიდა... მეგონა, ვეღარ ამოყვინთავდა _ მორჩა... ეგ ხომ სულ მთავრობის ხალხში ტრიალებდა ადრე, არა?.. ჰოდა, არ ვიცი, რა იჩალიჩა _ სადღაც საბურთალოზე, პატარა ოთხსართულიანი კორპუსი ჩადგა და გამოძვრა მაინც ბოლოს, ბიჭი. თავისთვის ხომ აიშენა! მერე, ძმასაც აუშენა ბინა.

_ სუფთად უნდა იმუშაოს კაცმა... _ თქვა ნიკამ.

_ თუ გამუშავეს, კი... ისე, ოჯახურ ბიზნესზე რას იტყოდი? _ შეაპარა რეზიმ.

_ რას გულისხმობ? _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ თუ გამოგივიდა, რაც ჩაიფიქრე, მეც რომ ჩამრთო რამეში... რასაც მოვერევი, რომ დამასაქმო, რა ვიცი... _ ამოღერღა რეზიმ.

_ დაგასაქმო? კაი, რა, რეზი, გაგეგება რომ, რამე, ან მშენებლობის, ან პროექტირების?.. ჯერ არ ვიცი, აბა, როდის რა იქნება. ჯერ მარტო ოფისი მაქვს, არა?.. საპროექტო საქმე უნდა დავძრა ჯერ... ჯერ დარაჯიც კი არ მჭირდება... _ ხელი აუქნია ნიკამ.

_ დარაჯი? _ მაგრად ეწყინა უფროს ძმას. _ შენ, ბიჭო, ვინ გგონივარ?! არ გავცხე შენს საპროექტოს, თავის ინჟინრებიანად?! თქვენი იყოს, ძმაო, ეს ქვეყანა, ვინც დაგაყვედროთ!.. გაირჭეთ ერთ ადგილზე, თავის მთაგორებიანად, თუ შეგეტევათ! _ მიაგდო სიგარეტის კოლოფი გაკვირვებულ ნიკას რეზიმ და სახლიდან გავარდა.

_ რეზი ბიძია ისევ გაიქცა? _ იკითხა სამზარეულოში შემოსულმა თეონამ.

_ რას ნიშნავს, თეონა _ რეზი ბიძია ისევ გაიქცა? _ არ მოეწონა მისი ნათქვამი ნიკას.

_ მაპატიე, მამა, ეგ ყოველთვის ასე გარბის სახლიდან და იმიტომ ვთქვი, _ მოუბოდიშა თეონამ.

ნიკა მიუახლოვდა და თეონას ლოყაზე აკოცა.

_ თავისი ბრალი არ არის... მეც გაქცეული ვიყავი, მეც მაბრალებს ალბათ, და იქნებ, მართალიც არის... ნუ განსჯითო, _ ასე არ წერია "ბიბლიაში"? შენ ხომ კარგად იცი "ბიბლია"? იცი, რაც მე წასული ვიყავი, ძალიან შეცვლილა აქ ხალხი... რეზიც შეცვლილია მაგრად...

_ მარტო ელისო არ არის შეცვლილი, ჰო?

ნიკას სახე გაუბრწყინდა.

_ მართალია, ყოჩაღ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, _ თქვა მან და ჩაი მოხვრიპა. _ ამ ჩაის ხვრეპას ვერ გადავეჩვიე ვერაფრით.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონამ კარი გააღო. ანი აღმოჩნდა. სამზარეულოში შევიდა. ჩანთა მაგიდაზე დადო და ჩამოჯდა.

_ დავიღალე. შეიძლება, ამ საგიჟეთში მუშაობა, ნიკა?!

_ მაგაზე, მუშაობას რომ დავიწყებ, მერე გიპასუხებ, _ უთხრა ნიკამ.

_ როდის იწყებ? არ გინდა, მაგარი რეკლამა გაგიკეთო? ხვალვე შემიძლია, ჩაწერაზე წაგიყვანო, _ შესთავაზა ანიმ.

_ რა-ა? და რაზე უნდა ვილაპარაკო? ზოგიერთებივით, წინასწარ ვიტრაბახო? რისი თქმა იცი ხოლმე, შენ სადა ბანაობ?! უნდა მოგხვეტოთ ყველა ჟურნალისტი კაცმა და მტკვარში "გაბანაოთ"... ამერიკაში ვუყურებდი შენს გადაცემებს და თმა ყალყზე მიდგებოდა _ რას აღარ როშავდით შენ და შენი რესპოდენტები!.. ჰო, ყველაფერს, გარდა იმისა, რაც უნდა გეთქვათ.

_ თუ არ გინდა, გენაცვალე... _ მაგრად "გაუტყდა" ანის.

_ მინდა?.. ჯერ სკამზეც არ დავმჯდარვარ ოფისში. წარმოდგენა არა მაქვს, რა კლდე უნდა ვანგრიო _ გრანიტის, მარმარილოსი თუ ტუფის ქვის და შენ კიდევ მოდიხარ და მეუბნები _ წამო, რეკლამა უნდა გაგიკეთოო! თუ პოდიუმზე გინდა გამიყვანო, ეგ სხვაა...

_ ბოდიში, გენაცვალე, ბოდიში! აღარ შეგაწუხებთ... _ ტუჩი აიბზუა ანიმ.

_ იცი, რა მგონია?.. თითქოს ვიღაცამ სპეციალურად აურდაურია ეს ქვეყანა, ასე ამოზილა და ყველაზე დიდი კოვზი სწორედ თქვენ გეჭირათ, ჟურნალისტებს, როცა ზელდნენ... არის ასე? თუ - არა? გამოსირებულები და გამოქლიავებულები ხართ ყველანი! ჯერ რეზიმ მომშხამა და ახლა, შენს სიტუტუცეს უნდა ვუგდო ყური?! _ აღარ გაჩერდა ნიკა.

_ კი, აბა, ბიჭო! შორიდან ყურება და კრიტიკა ადვილია. შენ რომ იქ თბილ ლოგინში გორაობდი, ჩვენ აქ სამ-სამი საბანი გვეფარა და რევოლუციებსა და ომებს ვაშუქებდით... თქვენგან არ გადმოვიღეთ, ეს პრეზენტაციები, ა-ლა-ფურშეტები თუ შოუები?! იქაურ ჟურნალისტებს ტვინი გადმოსდით, არა, გარეთ, ჰო? სულ შადრევანივით ასხამს!.. ერთი ნეხვია, მე თუ მკითხავ, ყველგან დაყრილი და ჩვენც იმ ნეხვში ვიქექებით და ისინიც...

_ ანი, ჯერ თანამშრომლებიც კი არ ამიყვანია. ჯერ მხოლოდ ოფისი ავიღე და მიწას ვყიდულობ, რომლის საბუთებსაც ვაგროვებ, არა?! ვთქვათ, წამოვედი და დავჯექი იმ ეთერში, რაზე უნდა ვილაპარაკო?

_ მიწას ყიდულობ? რა მიწას ყიდულობ? სად? ახალი ამბავი... _ გაუკვირდა ანის.

_ საიდანაც ჩვენი გვარი მოდის. მამაპაპეულ მიწას ვყიდულობ, ერთ დროს ჩვენი რომ იყო...

_ ქართლში?

_ ჰო!

_ დაგლიჯა! რამხელაა?

_ ოთხმოც ჰექტარამდეა.

_ ამხელაა, თანაც?! შენ არ ხუმრობ! და, რა უნდა უყო მაგ მიწას, უნდა ააყვავო? _ ირონია გაერია ანის ხმაში.

_ ჯერ არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო, _ თქვა ნიკამ.

_ შე საწყალო! მე შენ ბევრად ჭკვიანი მეგონე, ჩემო ნიკა, ბევრად, _ თვალებში უყურებდა ძმას ანი.

_ მართლა? _ ეწყინა ნიკას.

_ რა უნდა უყო, ბიჭო, ქართლში მიწას, როცა გლეხებს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებისთვის ვერ მოუვლიათ?! მაგრად დაუგოიმებიხარ ვიღაცას, ძალიან მაგრად.

_ ჰო, არა?! შენ კიდევ, აი, ამ წუთასაც დამიმტკიცე, რომ ტყემალზე ზიხარ, თან _ ძალიან მყარად. შენ იცი, ბიზნესში საერთოდ, მიწის ბიზნესი რომელ ადგილზეა? მიპასუხე, აბა, ჟურნალისტო, იცი?

_ არა, არ ვიცი, _ ისევ ირინიულად უპასუხა ანიმ.

_ ჰოდა, კარგი იქნებოდა, რომ გცოდნოდა, გამოგადგებოდა რამეში. მეოთხეზეა, მეოთხეზე! ჰო-ო, ძვირფასი მეტალების, მხატვრობის და ნუმიზმატიკის შემდეგ, მიწა მოდის. ყველა შეხლა-შემოხლა და ომი მიწის გამო არ იყო? ჯერ როდიდან! ამერიკელ მილიონერთა ოთხმოცი პროცენტი მიწებზე გამდიდრდა... _ გამოამჟღავნა მიწის ბიზნესის საკითხებში თავისი ცოდნა ნიკამ.

_ შეადარე, რა, შენც ამერიკა და საქართველო ერთმანეთს!.. _ გაეცინა ანის.

_ ჰო, ჯერ ვერ შეადარებ, _ დაუდასტურა ნიკამ.

_ და ვერც ვერასოდეს, _ დარწმუნებით თქვა ანიმ.

_ ვინ იცის? ვინმე იფიქრებდა, რომ იაპონია ამერიკას დაეწეოდა და გაუსწრებდა?! _ თქვა ნიკამ.

_ იცი, რა, ჩემო ნიკა?.. შენ ეტყობა, იმ ამერიკამ ტვინი ცოტა სხვა მხარეს გადაგიტრიალა... თუმცა, შენ ბავშვობაშიც რომანტიკოსი იყავი. ჩემი რჩევა იქნება, თუ

ჯერ ფული არ მიგიცია _ ჰო, ჰო, _ ტყუილად ნუ გადაყრი, მაგ ქვაღორღში, გაიგე? თუ ეგ შენი ნოსტალგია, მარტო თბილისზე კი არა, მამაპაპეულ მიწის ყივილზეც დაგემართა?

_ კაი, კაი... როგორ ამბობს კარნეგი?.. არ არსებობს კამათში გამარჯვებული მხარე. იმიტომ რომ, ყველა მაინც თავის აზრზე რჩება. შენ რომ დასხამ ხოლმე და აპაექრებ შენს უვიც რესპონდენტებს, ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ვინმე გადაერწმუნებინოს?.. ჰოდა, წავედი მე ახლა ოფისში და საქმეს მივხედოთ... _ ნიკამ ბოლო ლუკმა გადაყლაპა, ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა, წამოავლო სიგარეტის კოლოფს ხელი და წამოდგა.

ნიკა დროს არ კარგავდა. მთელი თავისი შემოქმედებითი რესურსები მოიშველია და საქმეს შეუდგა. ზოგი ძველი მეგობარი მოინახულა, ზოგსაც ტელეფონით ელაპარაკა. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი არქიტეტურასა და მშენებლობას შეეხებოდა: ფასები, ქალაქდაგეგმარება, განაშენიანების გეგმა. ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი მომავალ საქმიანობაში უნდა გამოსდგომოდა. ძველსა და ახალს ერთმანეთს ადარებდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორ გზაზე იდგა.

ახლაც, თავის ოფისში ჩაკეტილიყო და თბილისს უბან-უბან სწავლობდა. თან დროდადრო, ქუჩას გაჰყურებდა და კომპიუტერისგან დაღლილ თვალებს ასვენებდა. ყველაზე მეტად დედაქალაქში, ახალ სამშენებლო უბნებზე მიჯრით "მიყრილმა" კოშკურა თუ ჩვეულებრივი მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობამ განაცვიფრა. არავითარი ქარგამტარიანობა, წყალგამტარიანობა თუ სხვა საპროექტო ნორმები, არამცთუ დაცული, პირიქით _ ეს ელემენტარული თუ აუცილებელი პირობები იმდენად იყო დარღვეული, რომ მომავალ საზოგადოებას აუცილებლად მოუწევსო ამ ყველაფრის დანგრევა და მიწასთან გასწორება, მერე კი, ყოველივეს თავიდან დაწყებაო, _ ფიქრობდა ნიკა...

ბესომ დაურეკა და რომ გაიგო, ნიკა ოფისში იყო, _ კი არ მოვდივარ, მოვქრივარო, _ უთხრა.

_ გელოდები, მაშ, ბესო. აღარ დააგვიანო... ჰო, სანამ არ მოხვალ, არსად გავალ, _ უთხრა ნიკამ და ყურმილი დადო.

კედლის საათმა, რომელიც ნიკამ საგანგებოდ ოფისისთვის "მშრალი ხიდის" ბაზრობაზე შეიძინა, დარეკა და პირველი საათის დადგომა აუწყა. მალე ნატოც გამოჩნდა, თავისი განუყრელი საქაღალდით ხელში.

_ ოჰო, აი, მესმის სიზუსტე! _ გაუკვირდა ნიკას. _ შენ რა, კანტის ბიძაშვილი ხარ?

_ დღეს კლიენტებთან სხვანაირად ვერ იმუშავებ. დრო _ ფულია, ძმაო, ფული! არც სხვა უნდა ალოდინო და არც შენ უნდა დაელოდო, _ თქვა ნატომ.

_ ჰო, აქაც მაგრად "შემოსულა" უცხოეთი. თქვენ, ყოველდღიურობაში, ალბათ, ვერც ამჩნევთ, _ თქვა ნიკამ.

ნატომ საქაღალდიდან საბუთები ამოიღო და ნიკას წინ დაუდო.

_ აი, შეგიძლია ნახო, ყველა საბუთი წესრიგშია. ეს ასლებია, რომ გაეცნო. მიწის კადასტრის ხალხიც კი ჩავაყენე საქმის კურსში, რომ მერე, რაიმე გაუგებრობა არ ყოფილიყო. იცი, ვინ მუშაობს იქ? ნური არევაძე, ხომ გახსოვს?

_ კი, როგორ, არა. ძალიან კარგი. ყველაფერში გენდობი. ჩემგან რა არის კიდევ საჭირო?

_ დარჩა მხოლოდ ფულის გადარიცხვა, მეტი არაფერი. როცა ფული ანგარიშზე დაჯდება, ნოტარიული დამოწმებაღა იქნება საჭირო. დაარტყამს ნოტარიუსი ბეჭედს და ამით დამთავრდება, _ მოახსენა ნატომ.

_ სულ ეგაა? ეტყობა, გაუიოლებია აქაურ ბიუროკრატიას ბევრი რამე. არ მეგონა, ასე ადვილად თუ მომთავრდებოდა ყველაფერი... ორ-სამ საათში, ნებისმიერ ანგარიშზე დაგისვამ ფულს, _ დაჰპირდა ნატოს ნიკა.

_ მაშინ, ჩათვალე, რომ მიწა შენია. მხოლოდ რეესტრის აღება დარჩება, რასაც წინ ვეღარაფერი დაუდგება. მოგვცემს ჩვენი ნური რეესტრს და მიწა შენს საკუთრებაში გადმოვა, _ თქვა ნატომ და ჩანთაში სიგარეტის კოლოფს დაუწყო ძებნა. ნიკა მიუხვდა და თავისი "ქემელი" შესთავაზა.

_ ამას ხომ არ მოწევ?

_ სიამოვნებით.

ნიკამ მოუკიდა და ნატომ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

_ რას შვრები, მასე ხომ გაიგლიჯავ ფილტვებს! _ შენიშვნა მისცა ნიკამ.

_ მე სხვანაირად არ შემიძლია. მე სულ ასე ვეწევი, _ თქვა ნატომ.

_ ახლა, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებს შენ და ალბათ _ მეც, _ თქვა ნიკამ. _ შენი, რამდენია?

ნატო ოდნავ ანერვიულდა.

_ ნუ ნერვიულობ, თქვი, _ გაამხნევა ნიკამ.

_ საერთოდ, სამი პროცენტი, მაგრამ როგორც თანაკლასელი, ორზეც თანახმა ვარ, _ თქვა ნატომ და ტუჩი მოიკვნიტა.

_ არა, სამი. სამი იყოს... _ უთხრა ნიკამ და პატარა პაუზის შემდეგ, დააყოლა: _ მე მგონი, ათი ქმრის ალიმენტს მაინც ვიხდი ერთად, ხომ?..

_ ბევრად მეტის, _ თითქოს შვებით ამოისუნთქა ნატომ, რადგან ყველაზე უხერხული მომენტი გადალახა. _ მართალი გითხრა, ასეთი თანხის გარიგებაზე არც მიოცნებია. თეონას უნდა ვუმადლოდე. არ არის, მაშ, მაღლა ღმერთი?! ბავშვს ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამხელა საჩუქარი გამიკეთა. საკუთარ თავსაც... _ დააყოლა ნატომ.

_ ძალიან გიყვარს თეონა? _ ჰკითხა ნიკამ.

_ შენ როგორ გგონია? _ იქით ჰკითხა ნატომ. _ მაგან გამაძლებინა. ვერც წარმომიდგენია _ ეგ რომ არა, რა უნდა მექნა, როგორ უნდა მეცხოვრა. შენ ხომ კარგად იცი, რომ დღემდე, ბევრი ასეთ ნაბიჯს ვერ დგამს. ადვილია, ყველაფერს მიაფურთხო _ ნათესავებს, ტრადიციებს, საზოგადოებას, საერთოდ...

_ რაზე ლაპარაკობ? _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ უქმროდ შვილის გაჩენა, ტაბუირებულია დღემდე. რა, არა? _ თქვა ნატომ.

_ აზრადაც კი არ მომსვლია, თავშიც კი არ გამივლია... მართლა, ვისი გვარი აქვს თეონას? რა გვიან მომაფიქრდა!.. _ თავი იმართლა ნიკამ.

_ ჩემი. მენაბდეა, _ თქვა ნატომ.

_ გინდა, ჩემი გვარი მივცეთ? _ შეეკითხა ნიკა.

_ ახლა?! _ გაუკვირდა ნატოს. _ რაღა აზრი აქვს? საცაა, გათხოვდება და ქმრის გვარზე გადავა. თეონა რომ ჩემს გვარზეა, ამას ჰქონდა თავისი დადებითი: მარტოხელა დედობის დახმარებას ვიღებდი... _ თქვა ნატომ.

_ ჩემს გვარზე რომ ყოფილიყო, არ მოგცემდნენ? _ იკითხა ნიკამ.

_ არა, _ თქვა ნატომ.

ნიკა ჩაფიქრდა. ნატოც.

_ ნეტავ, ჩვენ ორში, რომელი უფრო ცოდვილია _ მე თუ შენ? _ იკითხა მცირე ხნის შემდეგ ნიკამ.

_ ცოდვილი არ ვიცი და დამნაშავე ორივენი ვართ, _ თქვა ნატომ და დააყოლა: _ შენ _ ოდნავ მეტად...

_ კაი, კაი, გავჩერდეთ, თორემ... ისედაც ძალიან შორს შევტოპეთ. რაც იყო _ იყო, _ ხელი ჩაიქნია ნიკამ.

_ რაც იყო _ იყო... შენთვის მაგის თქმა ადვილია, ახლა მე მკითხე!.. _ ჩაილაპარაკა ნატომ. _ არ მომიწია, მაგრამ, თეონას გულისათვის შემეძლო, ხელიც გამეშვირა ქუჩაში...

_ აკი, არ მადანაშაულებდი?! _ გაეცინა ნიკას. და მაშინვე დააყოლა: _ შენ შენი სილამაზე მაინც გადაგარჩენდა.

_ რა? _ გადაიხარხარა ნატომ. _ სილამაზე!.. ისეთი დრო იყო... სილამაზე!.. _ ისევ გულიანად გაეცინა. _ "გამოიზამთრე" და ჩამობრძანდი, არა?!.

_ იცინი, არა?! აბა, ის შაკო რომ გამაცანი?!. _ ჰკითხა ნიკამ და სიცილი ტუჩებზე შეეყინა ნატოს.

_ შაკო? _ ნატო ოდნავ შეყოვნდა. _ შენ, ყოჩაღ, თავი რომ შეიკავე... იმან მიიღო მაგის გამო...

_ ჰო-ო? ეგ _ შენგან. ჩემგან ჯერ არ მიუღია. მაშინ, შენ გამო შევიკავე თავი, _ ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი ნიკამ.

_ შენ, რა?.. _ არ მოეწონა ნატოს, ნიკას ნათქვამი.

_ ჰო, თავი შევიკავე, კი არ ვაპატიე!.. _ მკაცრად მიაცქერდა თვალებში ნიკა.

_ ნუ მაშინებ! _ უთხრა ნატომ.

ამ დროს, კარი გაიღო და ოფისში ბესო შემოვიდა. იმწამსვე იცნო ნატო.

_ ვაი, ნატალია! შენ აქ რა გინდა, ე?! _ ნატომ და ბესომ ერთმანეთი გადაკოცნეს. _ აი, სიურპრიზი! შენ, როგორც ყოველთვის, ისევ ისეთი "სვეტსკი დამაჩკა" ხარ! დაჯექი, დაჯექი, მე მაპატიეთ, ხომ არ შემოგეჭერით?

_ პირიქით, _ თქვა ნიკამ.

_ ბესო, ბესო... მაგარი შეცვლილი ხარ, ბიჭო, ვერც გიცნობდი, ალბათ, _ უყურებდა ბესოს და ეღიმებოდა ნატოს.

_ ე, ჩემო ნატო. "ბარაბანს" არ მოხვედრია, ალბათ, იმდენი, რაც მე ამ წლებში მომხვდა... _ ხელი ჩაიქნია ბესომ.

_ ჰო-ო?.. შენ ეგ არც იმ წლებში გაკლდა, როგორც მე მახსოვს... _ გაეცინა ნატოს.

_ ჰო-ო?.. _ გაუხარდა ბესოს. _ აბა, რა გახსოვს, დედას გაფიცებ, გაიხსენე, რა!

_ რამდენიც გინდა, _ თქვა ნატომ. _ არ გახსოვს, მეათეში ზედაზენზე ეკსკურსიაზე რომ ვიყავით და ვიღაც ბიჭებმა საათი მკითხეს? შენ რომ მოქანდი და მითხარი _ შენგან რა უნდოდათო? _ არაფერი, გეუბნები, საათი მკითხეს. _ როგორ გაბედესო?! _ და გადმოვიდა მთელი ავტობუსი... ერთი ორმოცი ბიჭი მაინც იყო... მახსოვს, მაგრად დაგალილავეს.

_ მაშინ?! მაშინ გადავრჩი _ კეტი ავიღე და კლდეს მივეყუდე ზურგით... ვერ მომეკარნენ ახლოს. შოთა იცემა მაშინ მაგრად, შამანაური. ჰო, ის გემოზე ზვიპეს. ჯერ რამხელა ცხვირი ჰქონდა და ორი იმხელა აჯდა მთელი კვირა!.. ნატო, ნატო... ნატალია... _ უცქერდა და ეღიმებოდა ბესოს.

_ სხვა? ცოლ-შვილი თუ გყავს? _ შეეკითხა ნატო.

_ ცოლ-შვილი?.. _ "მაზოლზე" დაადგეს ფეხი ბესოს. _ ცოლ-შვილი მყავდა, კი. ახლაც მყავს, მაგრამ _ გაცილებულები ვართ. ბავშვებს ვნახულობ, კვირაში ერთხელ... შაბათს ან კვირას... მე კი მინდა შვილები, მაგრამ იმათ უნდათ ჩემნაირი მამა?.. ვერც ამ ღმერთის გავიგე რამე... _ ჩაილაპარაკა ბესომ. _ არც მოწიოო, არც დალიოო, არც დაწვეო, არც ადგეო... გამოვიხურე კარი და წამოვედი...

_ მუშაობ სადმე? _ ჰკითხა ნატომ, ხელში იაფფასიანი უფილტრო სიგარეტი რომ შენიშნა ბესოს.

_ ვმუშაობ?.. ვინ გამუშავებს, თორემ, კი... _ ხელი ჩაიქნია ბესომ. _ წავედი აფხაზეთში, ვიომე... ჯარისკაცი თურმე, მარტო ომში სჭირდება მთავრობას, ამათი დედა რომ ვატირე!.. მერე? ეს ცალი ფეხი იქითა მაქ, რა! მინდა, ამოვადგა, რა, რომ აქეთ, ცხოვრებისკენ მოვტრიალდე, მაგრამ რა ვიცი, ტო, ვერაფრით ვერ ამომიწევია, მე მგონი, მაჯლაჯუნები მებღაუჭებიან, უკვე, ქვევიდან...

_ ტვინში გყვანან შენ ეგ მაჯლაჯუნები, ტვინში!.. _ გაეცინა ნიკას. _ მე მაქვს შენთვის სამუშაო. წახვალ? ქალაქგარეთაა...

_ ვინ ოხერი?! რატო არ წავალ? აქ რას ვაკეთებ, რო?! _ ჩაიცინა ბესომ

_ თვეში 250 დოლარი გეყოფა? _ სერიოზულად ჰკითხა ნიკამ.

_ რა ამბავია მაგდენი ფული?! რა უნდა ვაკეთო, რო? _ დასერიოზულდა ბესო.

_ არაფერი _ ნაკვეთს უნდა მიხედო. იარაღი გექნება და უნდა უყარაულო იქაურობას.

_ ნარგავებია რამე თუ?.. _ დაინტერესდა ბესო.

_ არა, მოსაპარი, ბევრი არაფერი. კარიერებია კირქვის. რამდენიმე შენობა დგას ძველი. ტყეა, ტყე იქ ძირითადში საყარაულო, რომ არ გაჩეხონ... მიწას დაამუშავებ, რა ვიცი... დარგავ, დათესავ. თუ გინდა, იყოლიე შინაური, გარეული... რა ვიცი _ ძაღლი, ღორი, ძროხა. ბუნებაში იქნები, ცოტას დამშვიდდები, დაწყნარდები... _ აკვირდებოდა ბესოს ნიკა.

_ ტყე რამხელაა, რო? _ იკითხა ბესომ. _ დიდია?

_ ოთხმოცი ჰექტარია, _ უთხრა ნიკამ.

_ ოთხმოცი ჰექტარი?! მივდივარ. ფულს ვინ გადამიხდის? _ აჩქარდა ბესო.

_ მე, _ უთხრა ნიკამ.

_ შენია? _ ჰკითხა ბესომ.

_ კი. ვიყიდე. აი, შენ ერთი თვის ხელფასი, წინასწარ, _ მაგიდაზე დაუდო ნიკამ ფული ბესოს. _ ეს ორმოცდაათიც _ პრემია. აიღე, ნუ გერიდება.

ბესომ გაუბედავად მოჰკიდა ფულს ხელი, ფრთხილად გაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო.

_ უკვე პრემიაც დავიმსახურე?!. _ უხაროდა ბესოს. _ რას აღარ მოვედე, სად აღარ ვიმუშავე და ფულს არავინ მაძლევდა. ერთხელ, "სანტექნიკებთან" ვმუშაობდი. სანამ არ ვცემდით იმ ჩვენს პატრონს, მანამ ფულს არ იძლეოდა... აქ ხელი არ გამიტოკებია და პრემიაც დავირტყი... როდის მივდივარ? _ ორივეს შეხედა ბესომ.

_ დამირეკე ხვალ და შეგახვედრებ კაცს, ვინც უნდა წაგიყვანოს, _ უთხრა ნიკამ.

_ ნიკა, შენ არ იფიქრო... _ სახეში მიაჩერდა ნიკას ბესო. _ მე იქ სალოთაოს არ გავხსნი...

_ რა სალოთაოს? მარტო უნდა იყო, ბიჭო, ცხრა კილომეტრშია იქიდან სოფლები! მგლებთან თუ დალევ _ დაჯექი და სვი, სანამ მოგბეზრდება... _ გაიცინა ნიკამ.

_ დალევა არ მოუნდეს ადამიანს, თორემ, მგლებთანაც დალევს... _ თქვა ბესომ და იმანაც გაიცინა.

_ მაგარი მოსასმენია თქვენი ლაპარაკი, _ გაიცინა ნატომაც. _ საშენო სამსახური იშოვე, ბესარიონ, რას იტყვი?

_ ბესარიონი აღარ დამიძახო, იცოდე! სად გაიხსენა?!. ვცოფდებოდი, ბესარიონს რომ მეძახდნენ... ხომ შეიძლება, რომ ახლა დაგტოვოთ? _ წამოდგა ბესო. _ ნატოს ხელზე ვეამბოროთ. _ აკოცა და ნიკას გაუწოდა ხელი. _ სხვები არ ვიცი და ჩემს გადასარჩენად ჩამოსულხარ, ნიკა... _ უეცრად გაჩუმდა. რაღაცის თქმა უნდოდა და განაგრძო: _ ძმაო, მინდოდა მეთქვა და ვერა ვთქვი: რა ყოფილა სამსახური!.. აბა, გკოცნით და _ დიდი მადლობა! ნახვამდის.

_ დილითვე დამირეკე! _ უთხრა ნიკამ.

_ კარგი, _ უთხრა გახარებულმა ბესომ და კარი გაიკეტა.

_ მეც მეჩქარება, _ თქვა ნატომ. _ თეონას კაფეში წაყვანას შევპირდი. ჩვენი შერიგების და გარიგების ამბავი უნდა აღვნიშნოთ...

_ უჩემოდ? სხვა დროს არ გამომტოვოთ, _ უთხრა ნიკამ.

_ თუ კარგად მოიქცევი, არ გამოგტოვებთ... _ რატომღაც ჩაფიქრდა ნატო.

_ რას გულისხმობ? _ ჰკითხა ნიკამ.

_ იმ პატარა ინციდენტს, რომელიც ჩემთან მოხდა... _ მაინც გაახსენა ნატომ.

_ მაპატიე, მაგრამ ვერ დაგპირდები... _ თქვა ნიკამ.

_ საწყენია. ჩათვალე, რომ მილიონი მადლობა გადაგიხადე, _ თქვა ნატომ და წამოდგა.

_ რომლებიც თეონას უფრო ეკუთვნის... ჩემ მაგიერ აკოცე, _ უთხრა ნიკამ.

ნატო დაემშვიდობა და გავიდა.

ნიკამ ყურადღებით გადახედა ნატოს მიერ დატოვებულ საბუთებს და გვერდზე გადადო.

ელისომ დაურეკა.

_ დიახ... ერთ საათში. ან საათ-ნახევარში... გასაგებია, ელისო. ნაყიდი მაქვს და მანქანაში მიდევს. ჰო, წამალი. კი, მეხსიერების... სოლომონი? ვერ უთხარით, ერთ საათში ჩამოფრინდება-თქო?.. კარგი, კარგი. დაანებეთ თავი, ცოდოა. ერთ საათში მაინც დავავიწყდები... არა, არა, სახლში მოვდივარ... კაი, ვმუშაობ...

ყურმილი დადო და თანამშრომლობის მსურველთა განცხადებების კითხვას მიჰყო ხელი.

_ ლეილა გელაშვილი. ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. კაფე "არტისტის" ფასადი აბაშიძის ქუჩაზე... სილამაზის სალონი "ვენერა" - წერეთლის გამზირი. ფასადი. საჩუქრების მაღაზია: "მზის შვილები"... ახლა მეორე განცხადება აიღო: გიორგი გაბაძე. სტუ. გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. "ავტოკადი", "არხიკადი", "ქორელი"... გვერდზე გადადო. სხვა აიღო: ზურაბ თვალჭრელიძე. სტუ. სატრანსპორტო. "ა" კატეგორიის მძღოლი... ნელი ლომოური... გელა სიხარულიძე...

ოფისში უცნობი მამაკაცი შემოვიდა. ნიკამ თავი აიღო.

_ ნიკა ბერიძე თქვენ ბრძანდებით? _ იკითხა უცნობმა.

_ დიახ. დაბრძანდით, _ მიანიშნა სავარძელზე ნიკამ.

_ მე გახლავართ ქალაქის მერიის თანამშრომელი გურამ ჭავჭანიძე, _ მოახსენა მამაკაცმა.

_ ძალიან კარგი. გისმენთ, _ მოსასმენად მოემზადა ნიკა. _ დაბრძანდით.

_ დაბრძანებით კი დავბრძანდები, მაგრამ მთავარი ის არის, აქედან როგორ წავბრძანდები... _ რატომღაც წარბი ასწია მერიის თანამშრომელმა გურამ ჭავჭანიძემ.

_ თუ კარგ რამეზე მობრძანდით, ალბათ, კარგ ხასიათზე წაბრძანდებით... _ მიუგო ნიკამ.

_ როგორ გგონიათ, კარგ საქმეზე მოსულ კაცს, ამხელა შესავალი დასჭირდებოდა?.. _ თქვა მერიის თანამშრომელმა, შარვლის კანტებს თითები მოჰკიდა, ზემოთ ასწია და სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა.

_ კაცსაც გააჩნია... _ არ მოეწონა სტუმრის ნათქვამი ნიკას.

_ მართალი ბრძანდებით, არც უმაგისობაა, _ თქვა გურამ ჭავჭანიძემ. _ ძალიან ცუდ დღეში ვარ, ცუდ დღეში... სულ რაღაც ერთი დღით დაგვასწარით...

_ მერიას დავასწარი ერთი დღით? _ მაგრად გაუკვირდა ნიკას.

_ არა, მერია არაფერ შუაშია, _ დაიწყო სტუმარმა. _ იქ, უბრალოდ, სამშენებლო სექტორის გამგე გახლავართ. ისეთ ამბავში ვარ ჩაჭრილი, ერთ ძალიან, ძალიან დიდ კაცთან, რომ თუ უარით გამისტუმრეთ, ყელში დანა უნდა გამოვისვა ჩემი ხელით და თავი მოვიკლა...

_ თქვენ ფიქრობთ, რომ უარით გაგისტუმრებთ? _ მაინც შეეკითხა, თუმცა ძალიან არ მოეწონა მერიის თანამშრომლის ლაპარაკი ნიკას.

_ არა, ჯერ მხოლოდ ეჭვი მაქვს...

_ იმედია, ოტელო არა ხართ და დახრჩობას არ მიპირებთ... _ გაეცინა ნიკას.

_ არა, როგორ გეკადრებათ?! ოტელოსგან ძალიან შორს ვარ, მითუმეტეს _ ბალეტისგან... _ თქვა გურამ ჭავჭანიძემ.

_ და რა გნებავთ მაინც? მე ცოტა მეჩქარება... _ დააჩქარა ნიკამ.

_ მე როგორც მითხრეს, ქსნის ხეობაში ნაკვეთი რომ იყიდებოდა, თქვენ შეგიძენიათ თურმე... _ დაიწყო სტუმარმა.

_ დიახ, _ უპასუხა ნიკამ.

_ ჰოდა, უნდა დამითმოთ ეგ ნაკვეთი, _ მიახალა სტუმარმა.

_ დაგითმოთ? ნაკვეთი? დათმობა გამიგია _ გზის, სკამის და რა ვიცი... _ გაიკვირვა ნიკამ.

_ მომკლავენ! _ თქვა გურამმა.

_ მოგკლავენ?! _ განცვიფრდა სტუმრის ნათქვამზე ნიკა. _ ნაკვეთი ჩემია და ქალაქის მერიის თანამშრომელი ჩემი ნაკვეთის გამო რატომ უნდა მოკლან?

_ ვარ მოსაკლავი და იმიტომ, _ შუბლზე ხელი იტკიცა სტუმარმა. _ მაგ ნაკვეთის ყიდვა მე მქონდა დავალებული, მე უნდა მეყიდა ეგ ნაკვეთი. ისეთმა ვინმემ დამავალა, ისეთმა დიდმა კაცმა...

_ ვინ, ქალაქის მერმა?

_ მერზე ბევრად დიდმა ვინმემ... ერთ დღეში დავიწვი... _ ნიკასკენ გადაიწია სტუმარი და თვალებში მიაშტერდა. _ არა, სადაც ხელს დაგვიდებ, ვყიდულობ... მაგ თანხაში... უკან არ დავიხევ, ცოტას წავამატებ კიდეც... ცუდი სიტყვაა? ისე რომ, წაგებაში არ დარჩე... თუ გაყიდი, მაგაზეც მოვდივარ... ათ პროცენტს ზემოდან ვადებ. ცოტა ფულია ორ-სამ დღეში? _ ხელი დაურტყა მაგიდაზე სტუმარმა ნიკას.

_ არ გამოვა ეგ საქმე, _ სკამის ზურგს გადააწვა ნიკა.

_ არ გამოვა? ათსაც ვამატებ... ოცი იყოს, ოცი პროცენტი, რა ამბავია, ბიჭო! შენ გგონია, ოც პროცენტზე მეტს მოაგებინებ?! _ სტუმარი უეცრად გაცხარდა.

_ არ ვაპირებ მე არც მოგებას, არც წაგებას, არც გაყიდვას და არც დაგირავებას. მე ცოტა სხვა მიზანი მაქვს, _ გაშალა ხელები ნიკამ.

_ სხვათა შორის, გაგიკვირდება: ის კაცი შენი მოგვარეა, ვინც მე ეს საქმე დამავალა... _ შეცვალა ტაქტიკა სტუმარმა. _ ჰო, ჰო, მართლა, ისიც ბერიძეა.

_ ბერიძე? რა ჰქვია? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არა მგონია, იცნობდე: რუსეთშია ის კაცი, იქ მოღვაწეობს. დიდი კაცია. სულ ცოტა ხნით არის ჩამოსული, ლადო ჰქვია, _ თქვა სტუმარმა.

_ ლადო? _ საშინლად არ ესიამოვნა ნიკას. _ იმან სხვა რატომ მომიგზავნა? თვითონ ვერ მოვიდა?

_ ლადო?.. ის დიდი კაცია, აქ რატო მოვიდოდა?! _ “მოხია” უცებ სტუმარმა.

ნიკა, რაც ჩამოსული იყო, პირველად ავარდა ასე. წამოდგა. გაშლილი ხელი წაიღო დაუპატიჟებელი სტუმრისკენ, მაგრამ ვერ მისწვდა.

_ შენ... შენ, პატარა ვირთხა ხარ, ხომ? აკადემიური “ჩამოსხმა”, ნაგავსაყრელის ვირთხა, არა?!. აახვიე აქედან! დროზე! გამასწარი!.. მიდი, მიდი! _ დაიღრიალა ნიკამ.

_ ჰო, კაი, მივდივარ... ვინ ვინ არის, ბოლოს გამოჩნდება... _ ღია კარიდან მიაძახა გაქცეულმა მერიის თანამშრომელმა. _ ვირთხობა მოგენატრება!

_ შეაყოლე! _ რომ ვერაფერი ნახა მაგიდაზე, ქაღალდის ასლები ჩაბღუჯა და მისკენ ისროლა ნიკამ.

ნიკას უკვე თავისი გასაღები ჰქონდა. კარი გააღო და სახლში შევიდა. მაგრამ სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, სამზარეულოში რომ შევიდა, ელისო და ვერიკო შეშფოთებულები მიაშტერდნენ.

_ რას ჰგავხარ, შვილო?! მიდი, სარკეში ჩაიხედე. ორი დღეა, ქუჩაში გახვედი და ისეთი შემოდიხარ, ადამიანს ეგონება, ხმალს აიღებს და ამოგვხოცავსო, _ უთხრა ვერიკომ.

და ნიკას თვალები ელისოს შეშინებულ თვალებს შეეფეთა.

_ გაგიჭირდება, შვილო, ძალიან. თუ ამათ აჰყევი, ძალიან გაგიჭირდება, _ უთხრა ელისომ. _ გულს გაიხეთქავ და ამით დამთავრდება. დაჯექი, დაწყნარდი, დაისვენე. რა არის, უსაშველოა? არ ეშველება?.. მოეშვი, თქვი, თუ გინდა, ამოიღე გულიდან...

_ ვის ვუთხრა, თქვენ? _ უფრო გაბრაზდა ნიკა.

_ ჰო, რა მოხდა?! აქ ისეთი საქმეები გარჩეულა ამ წლებში... _ წააქეზა ვერიკომ.

_ დასალევი გვაქვს რამე? _ იკითხა ნიკამ.

_ კი, როგორ არა. ვისკი, ბრენდი, ჭაჭა... რომელი მოგართვათ, რას ინებებ? _ ნახევრად ხუმრობის კილოთი ჰკითხა ელისომ.

_ ჭაჭა, _ მოჭრა ნიკამ.

ელისომ ჯამით ჩახოხბილი დაუდგა. ვერიკომ ჭიქა და ბოთლი გადმოიღო და დაუსხა.

_ ჯერ ჩაყლაპე ერთი ლუკმა, _ უთხრა ვერიკომ.

_ არ ჩამივა, _ თქვა ნიკამ და არაყი გადაჰკრა.

_ გამიბრაზეს მხეცებმა ჩემი პატარა ბიჭი, ჩემი ნიკუშკა! _ მოეფერა შვილს ვერიკო. ნიკას, დედის ალერსი ესიამოვნა. ხელზე აკოცა.

ამ დროს, შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და თაზოს ხმა გაისმა.

_ ავოიე! _ დაიძახა თაზომ. _ გამოდით ყველანი გარეთ, გამოეფინეთ! ჯიგრებო, ჯიგრის ყაურმებო, გამოდით, გამოეფინეთ! _ და თაზოს ხმას არღნის მუსიკის ხმა მოჰყვა. ყველამ გამოიხედა. სოლომონიც კი გამოვიდა თავისი ოთახიდან. კარში ორნი იდგნენ _ თაზო და რეზი. თაზო არღნის სახელურს ატრიალებდა, რეზი კი ცხვირსახოცს აფრიალებდა და “კინტაურს” უვლიდა.

_ ჰა, როგორი ვარ შენთვის, ნიკა?! _ გაუხარდა თაზოს, ნიკას დანახვა. _ ნახე, რა მოვიტანე! ერთი კვირით მათხოვეს... მტკვარზე, ტივზე უნდა გაქეიფო ხვალ, მოსულა?

რეზიმ პარკი ესროლა ნიკას. ნიკამ დაიჭირა.

_ სამწვადეა. მიეცი ელისოს, ააშიშხინოს. აბა, შემოლაგდით მისაღებში ყველანი! აქეთ, აქეთ! _ ხელი დაუქნია თავისიანებს რეზიმ მისაღებისკენ.

ნიკას, როგორც იქნა, გაეღიმა. პარკი ელისოს მიაწოდა.

_ არ მოგაწყენს ეს კაცი, არ არსებობს... _ ჩაილაპარაკა ვერიკომ და ელისოსთან ერთად, სამზარეულოში შებრუნდა.

_ რამდენს ითხოვს მეარღნე? _ იკითხა სამზარეულოში შესულმა სოლომონმა.

_ რა? _ მიაჩერდა ქმარს ვერიკო.

_ რამდენს ითხოვს მეარღნე ფულს, რამდენი უნდა მისცეთ? _ კითხვა გაუმეორა სოლომონმა.

_ ჯერ არ ვიცით. _ რა უნდა ეპასუხა ვერიკოს?..

_ როგორ, კაცი მოგყავთ და არ ეკითხებით, რამდენი უნდა გადაუხადოთ?! _ შეიცხადა სოლომონმა. _ იქნებ, ასი თუმანი დააბრეხვოს, საიდან უნდა მისცეთ?

_ დააბრეხვოს, ბატონო, გადავუხდით, შენ ხომ არ უხდი, არა?! ჩვენ ვუხდით, შენ რატომ ნერვიულობ?! _ აუხსნა ვერიკომ.

_ საწყენია, უბრალოდ: მეარღნე მოგყავთ და მე არაფერს მეკითხებით?! _ ნაწყენი იყო სოლომონი.

_ კარგი, რა, თავი დამანებე, გამომიხვედი შენც აქ ყარაჩოღელი!.. _ ხელი აუქნია ქმარს ვერიკომ.

_ მოიტა მაშინ, ჩემი ჭიქა და მეც კაცებთან გავალ, _ უთხრა სოლომონმა.

_ რა ჭიქა? _ გაუკვირდა ვერიკოს.

_ ჩემი ჭიქა, თავი რომ აქვს გადახერხილი, _ უთხრა სოლომონმა.

_ როდინდელ ჭიქას მთხოვს, უსმენ?.. _ მიუბრუნდა დედას ვერიკო.

_ ის ჭიქა ხომ გაგიტეხეს, სოლომონ, აღარ გახსოვს? _ ჰკითხა სიძეს ელისომ.

_ გამიტეხეს? _ ვერ დაიჯერა სოლომონმა.

_ ჰო, ბიჭებმა არ გაგიტეხეს დაბადების დღეზე? როცა მიგიხვდნენ მაგ ეშმაკობას, რომ დაბალი ჭიქით სვამდი, _ განუმარტა ელისომ.

_ მაშინ, სხვა ჭიქა მომეცით! _ ბრძანა სოლომონმა.

_ წადი, დაჯექი სუფრასთან, წადი და მოგიტან! _ თხოვა ქმარს ვერიკომ.

როცა სოლომონი მისაღებში შევიდა, დაინახა, რომ ნიკა და რეზი ხელგადახვეულები "კინტაურს" უვლიდნენ. სოლომონმაც ხელი გაშალა და დაუარა. ბიჭებმა მამა შუაში ჩაიყენეს. ვერიკო შემოვიდა და ისიც ლანგრით ხელში მოცეკვავეებს შეუერთდა. რეზიმ ლანგარი გამოართვა და თავზე დაიდგა. თაზო თავის ჩვეულ ამპლუაში იყო. შემახილებით ამხნევებდა მოცეკვავეებს და არღნის ტარს ატრიალებდა. ელისოს, ყველას გასაკვირად, ღვინის ბოთლი დაედგა თავზე და ისე შემოგოგმანდა.

_ აბა, გახურდა, გახურდა "კინტაური"! _ მაგრად "გაუსწორდა" თაზოს, ასეთ ამპლუაში ელისოს დანახვა. _ ჰოპ, ჰოპ, ჰოპ, ჰაპ! ტაში-ი! _ სიდედრს სოლომონმა ჩაუბუქნა. _ გზა მიეცით, გზა! კინტო მოდის, კინტო! ტაში! ტუში! _ მთლად გადაირია, სიმამრის ჩაბუქნაზე, თაზო...

ცეკვა რომ დამთავრდა, ვერიკომ თაზოს ჰკითხა:

_ რა არღანია ეს, ბიჭო, საიდან მოათრიე, ვინ გაჩუქა?

_ მოვათრიე?!. _ პირი დააღო თაზომ. _ კი არ მოვათრიე _ ციმ-ციმ შემოვაბრძანე, ქალბატონო სიდედრო! ეს, იცით, რა არღანია?.. ლამის ამ სახლის ფასი აქვს! ხელწერილით გამომატანეს მუზეუმიდან, სულ ერთი კვირით, აპა! ა, აქ შეხედეთ, აქ, რა აწერია: "პარიჟ"!.. ფრანგულად. ათას ცხრაას პირველი წელი! საუკუნისაა და როგორი ლაპლაპი გაუდის, ხედავთ?! აი, ეს "ფრანცუჟენკები", "ტანგოს" რომ უბერავენ, ფრანგი "ბარიშნები" არიან... პარიზელები, მაშ! ნახეთ, რა მინანქარშია ჩასმული. თუნდაც, სახელური ნახეთ მარტო _ ხელოვნების ნიმუშია ნამდვილი... შედევრი! ყველას კი არ ატანენ. ეს რომ იქიდან წამოიღო, იცი, რა დამსახურება უნდა?..

მოკლედ, ამ ცეკვა-ცეკვაში, ვერიკომ და ელისომ პატარა სუფრა გააწყვეს. ნიკამ ჭიქას მოჰკიდა ხელი.

_ თაზო, შეიძლება, მაგ შენი "რეჩის" შუაში ერთი პატარა სადღეგრძელო "ჩავდგა"? _ თხოვა ნიკამ თაზოს.

_ შენ გენაცვალე! გაიღვიძა, აი, გაიღვიძა კაცში ქართულმა გენმა! _ მაგრად გაუსწორდა თაზოს.

_ აბა, სიჩუმე! ნიკას მოვუსმინოთ, მეგობრებო, ნიკას, _ ბრძანა რეზიმ.

_ იცით, რა?.. _ ღრმად ამოისუნთქა ნიკამ. _ თბილისი მინდა ვადღეგრძელო. უფრო სწორად _ თბილისური სიგიჟეები... აქ რომ კაცი თავს მოიგიჟიანებს, არა მგონია, სადმე დედამიწაზე ხდებოდეს... მოკლედ, ჩემს თბილისში ჩემს დაბრუნებას გაუმარჯოს. რას იტყვით?

_ "მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთვარი და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემ კუბოს", _ მიაგება ტიციანის სტროფი ნიკას სიტყვებს თაზომ. _ მაგრამ ერთი პატარა შენიშვნა მაქვს: აბა, უხდება ეგ ჭიქა ამხელა სადღეგრძელოს?.. აბა, დამიჭი ეს ყანწი! _ და თაზომ ნიკას ყანწი ესროლა. ნიკამ დაიჭირა.

_ მაგდებთ სუფრიდან?.. _ ხელები გაშალა ნიკამ. _ ეს თუ დავცალე, დავდო უნდა თავი და დავიძინო, არა?.... კაი ერთი!.. _ და ყანწი გვერდზე გადადო.

_ მესროლე აქეთ! მაგით მე დავლევ შენს ნათქვამ სადღეგრძელოს, _ ხელი გაუშვირა ძმას რეზიმ. _ მე გამოვცლი მაგ ყანწს.

_ აუ, რა მოუვლის ამდენ გიჟს!.. _ ესროლა ნიკამ ყანწი რეზის და დაჯდა.

_ მე ჩემ ძმას, მარტო ერთი-ორი სიტყვა მინდა ვუთხრა, _ დაიწყო სავსე ყანწით ხელში რეზიმ. _ თუ გახსოვს, ჯერ კიდევ კომუნისტები ტრაბახობდნენ, საქართველოში სამოცდახუთი ეროვნების ხალხი ცხოვრობსო... ასე არ იყო?

_ სამოცდაშვიდი, _ შეუსწორა ვერიკომ.

_ ჰო, სამოცდაშვიდი. ჰოდა, შენ ეს ქვეყანა შტატები არ გეგონოს, ნიკუშ. ჰო, ჰო, აბა, მიიხედ-მოიხედე, გარშემო ერების "ცვენაა"... მოკლედ, ვულკანია, რა. სად, როდის, რა ამოიფრქვევა, არავინ იცის... ოსი, შენი ლუკმით რომ სულდგმულობს და მაინც ყელში ხელს წაგიჭერს, ერის ისტორიაში ყველაზე კრიტიკულ მომენტში... რა დროს რომანტიკაა, თუ ძმა ხარ!.. სამშობლოში დაბრუნება და "მუმლი მუხასა"... ორი "გროში" გიშოვია?.. წადი, რა, თავს უშველე!.. გაგპუტავენ! ჰო, გაგწეწავენ! აი, მე მითქვამს და დაიმახსოვრე! _ რეზიმ ყანწი დაცალა და მაგიდაზე დააპირქვავა.

_ მაგრად მადღეგრძელა... _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

სოლომონი თაზოს მიუჩოჩდა.

_ რამდენი უნდა გამოართვა ამ ხალხს, როგორა ხარ მორიგებული?

_ რა? _ ვერ მიუხვდა თაზო.

_ ფული, ფული _ რამდენში ხარ მორიგებული, რამდენია შენი "სტავკა"? _ შეეკითხა სოლომონი.

_ რაო? არა, გენაცვალე, ფულს არ ვიღებ. როგორ გეკადრებათ?! ფული რად მინდა? ხელის ჭუჭყია!.. ჩემი ფული _ ეს არღანია. ჭიქა ღვინო და დაუყვედრებელი ლუკმა... მე ამ ქალაქის ერთი ტკბილი მუხამბაზი ვარ, მეტი არაფერი. საიათნოვა გაგიგონია? ან იეთიმ გურჯი? _ შეეკითხა სიმამრს თაზო.

_ კაი კაცი ყოფილხარ, ძველი, _ ხელი დაჰკრა "მეარღნეს" მხარზე სოლომონმა.

_ შენ მუხამბაზი კი არა, მატრაბაზი ხარ! _ უთხრა თაზოს რეზიმ, რომელიც სიძე-სიმამრის დიალოგს ისმენდა.

_ იცი, რა?.. მატრაბაზიცა ხარ, თითლიბაზიც და ყომარბაზიც, _ არ დაუთმო თაზომ. _ დაგილევია?.. შეირგე, რა! ჰო, რა იყო, რას მომჩერებიხარ? თუ არ შეგიძლია, ნუ დალევ, გაძალებს ვინმე?!

_ ბიჭო, მე რომ დამილევია, შენ დაგესიზმრება, _ რეზიმ სცადა, საყელოში ხელი ჩაევლო თაზოსთვის.

_ ბიჭო კი არა _ გაწი ხელი იქით! _ ხელი აუკრა თაზომ.

_ მეგობარო, რა გინდათ ამ მეარღნისგან? _ მიუბრუნდა სოლომონი რეზის. _ არა ხართ მართალი. ღვინო კი არ უნდა მოერიოს კაცს, კაცი უნდა მოერიოს ღვინოს. აცალეთ, დაუკრას, გაამხიარულოს სუფრა... ჰო, ჰო, დაბრძანდით და წესიერად მოიქეცით! _ დაქაჩა სკამისკენ შვილი სოლომონმა.

_ აუ, ეს "თქვენობით" მელაპარაკება კიდე! _ სკამზე დაეხეთქა რეზი. _ ვინა ვარ აბა, მე?! _ მიაჩერდა ის მამას.

_ ვინც არ უნდა იყოთ, მართალი არა ხართ! _ გაბრაზდა სოლომონი. _ სულ რომ ბრიტანეთის თემთა პალატის წევრიც ბრძანდებოდეთ!

_ ვინა, ვინა? ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი?.. აუ, ეს საიდანღა მოხიე, მამაჩემო!.. მე შვილი ვარ შენი, შვილი. რეზი ვარ, კაცო, რეზი, ვერა მცნობ? _ შეეცადა, თავი გაეხსენებინა მამისთვის.

_ არა-ა, _ იუარა სოლომონმა. _ არ არსებობს, მე ასეთ შვილს არ გავზრდიდი.

_ როგორს?.. _ გულში მოხვდა რეზის. _ ასეთი ვარ და შენი შვილი ვარ სწორედ!

_ რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რას გადამეკიდა? _ ჩაილაპარაკა სოლომონმა.

_ წამოდი, რეზი, ჩემთან, ყურადღებას ნუ მიაქცევ, _ ხელი მოჰკიდა რეზის ვერიკომ, რომელიც მთელ ამ სცენას დაძაბული ადევნებდა თვალყურს.

_ სად უნდა წამოვიდე, ქალო?! დამანებეთ, რა, ყველამ თავი! ვზივარ, არა, ჩემთვის... _ ხელი აუკრა დედას რეზიმ.

_ მაშინ ნუ შფოთი-ფოთობ! _ მკაცრად უთხრა ვერიკომ.

თაზომ არღნის სახელური დაატრიალა და ახლა შალახო შეუბერა.

_ ტაშ, ტაშ, ტუშ! აბა, წავიდა,Oოთხი დოლი! ტაშ, ტუშ, ტაშ! _ როგორც ყოველთვის, თავის ჭიას ახარებდა თაზო.

_ ამოატრიალო უნდა მაგიდა და დაისვენო... _ თქვა რეზიმ და ისევ თვალების ბრიალი დაუწყო თაზოს.

...ნიკას ღვინო მოჰკიდებოდა. იჯდა და ჩაფიქრებული დაჰყურებდა სუფრას. გაახსენდა, ბავშვობაში ცეკვის წრეზე რომ დაჰყავდათ, ცეკვის მასწავლებელი, გოგლიკო წიკლაური. ღიპი მუხლებამდე რომ ეკიდა და მუდამ ღვინის სუნი ამოსდიოდა. “არადა, მაგარი სახელი ჰქონდა. მიხრა-მოხრაც _ კაცური...” _ გაიფიქრა ნიკამ. “სად არის ნეტავ, ახლა, რას აკეთებს?.. ან _ ცოცხალია, ნეტავ?..” _ ფიქრიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. მის უკან, საწერ მაგიდაზე იდგა და წკრიალებდა. სუფრის კაკოფონიაში ეტყობა, მისი ხმა არავის ესმოდა. “ვინ იცის, რა ხანია, რეკავს?” _ გაიფიქრა ნიკამ, წამოდგა, მივიდა და ყურმილი აიღო. “კარში გამოიხედე, რა, რომელი ხარ?” _ და გაითიშა. ბავშვის ხმა იყო. ნიკას რატომღაც, არ ესიამოვნა. მაინც წავიდა და კარი გამოაღო. კარის სახელურზე დამხრჩვალი კატა ეკიდა...P

ნიკამ კატა ჩამოხსნა და ბუნკერში ჩაუძახა. შინ შებრუნდა. სააბაზანოში შევიდა. ხელები გადაიბანა. ერთხანს, საკუთარ თავს უმზირა სარკეში. უნდოდა, თავიდან ამოეგდო მკვდარი კატა. ვერ მოახერხა. თუმცა, ფიქრებიდან გამოერკვა. გამოვიდა და სამზარეულოში შევიდა, სადაც ელისო ტრიალებდა.

_ ელისო, ჩვენს სადარბაზოში ბავშვები ცხოვრობენ? ბავშვები, ასე ათი-თორმეტი წლის.

_ როგორ არა?! ანუკის ჰყავს ბიჭი, სანდრო. ქვემოთ, შავიშვილებს ჰყავთ გიგო... რა არის?

_ არა, არაფერი. როგორი ბავშვები არიან? _ ჰკითხა ნიკამ.

_ ჩვეულებრივი, რა ვიცი... სანდრო უფრო ჭკვიანია, გიგო _ უფრო ცელქი. რატომ კითხულობ? _ დაინტერესდა ელისო.

_ არა, არაფერი. წეღან მოვკარი თვალი და მაინტერესებდა, _ არ თქვა, რაც აწუხებდა ნიკამ.

_ რაღაცას მიმალავ. მითხარი, მოხდა რამე? _ შეშფოთდა ელისო.

_ არა, რა უნდა მომხდარიყო?.. რა დაგემართა, რა პანიკაში ვარდებით ყველა სიტყვაზე?! _ ცოტა მოჰკიდებოდა ღვინო ნიკას.

_ მაშ, რატომ ადექი სუფრიდან? _ მაინც ჰკითხა ელისომ და ვერიკოც შემოვიდა.

_ წამოდი, რა, დაჯექი სუფრასთან. რეზის უკვე მეტი მოუვიდა, მგონი... _ ხელი მოჰკიდა ნიკას აღელვებულმა ვერიკომ.

...სუფრა არეულიყო. თაზო არღნის სახელურს, რატომღაც, გაბრაზებული ატრიალებდა. რეზი ამღვრეული თვალებით თაზოს მიშტერებოდა. თაზომ ითმინა, მაგრამ ბოლოს მაინც ავარდა.

_ რას მიბრიალებ თვალებს, ვერ გავიგე! რამე მმართებს, შენი? _ შეუღრინა მან რეზის.

_ გიყურებ, თორემ, შენც დიდი ვინმე მყავხარ! _ წამოუხტა რეზი იმწამსვე. _ არ მევასება, პროსტა, მარცხენათი რომ ატრიალებ სახელურს...

_ შენ შარზე ხომ არა ხარ, ტო?! პურმარილი ჩემია, არღანი ჩემია. გაქეიფებ, გამღერებ _ სხვა რა ბებიაჩემისა გინდა?! _ არ დაუთმო თაზომ.

რეზიმ ჭიქა ხელში "მოჭმუჭნა". ვერიკო, რომელსაც ნიკა შემოჰყავდა, იმწამსვე მოჩხუბრებთან გაჩნდა.

_ წამოდი, რეზი! _ ხელი მოჰკიდა ვერიკომ რეზის.

_ ოჰ, კაი, რა, დედაჩემო, ორი სიტყვის თქმის უფლებაც აღარ მაქვს ამ ოჯახში?! _ ეწყინა რეზის.

_ წამოდი, წამოდი! _ მთელი ძალით მოქაჩა ვერიკომ შვილი. _ ჩემს გვერდით დაჯდები.

_ მე, შენ, ჩემთან ლაპარაკს მაინც გასწავლი! _ შეუღრინა თაზოს რეზიმ.

_ დაუკარი არღანი, რატომ აღარ უკრავ? _ უთხრა თაზოს ვერიკომ.

_ რა ვიცი, ზოგს მწვადის გემო არ მოსწონს და "ქაშები" როგორ მოვუხარშო, იმას ვფიქრობ! _ გადაუკრა შვილზე თაზომ.

_ მე გასწავლი ქაშების მოხარშვას. ფლავების მოხარშვასაც გასწავლი, ერთი-ორი დღე დამაცადე! _ დაემუქრა რეზი თაზოს და დედას უხეშად გააშვებინა ხელი.

_ მიდით, აბა, რომელი იტყვით ბოლო სიტყვას, მიდით! _ ნამუსზე შეაგდო ბიჭები ვერიკომ.

_ შეიძლება, წავიდე? _ შეეკითხა დედას რეზი.

_ მაგას არაფერი აჯობებს, წაბრძანდი! _ გაუხარდა ვერიკოს.

_ წავალ... ვიცი, მაინც თვალებში გეჩხირებით ყველას... _ ზიზღით თქვა რეზიმ.

_ პირდაპირ შინ წახვალ, არსად არ გაუხვევ, გთხოვ! _ შეეხვეწა ვერიკო.

_ ვერ დაგპირდები, _ უპასუხა რეზიმ და კარი გამოაღო. კარზე დამხრჩვალი კატა ეკიდა.

_ ყველას დედა მოვტყან, თქვენი! _ აყვირდა უცებ რეზი. _ ვინც ეს კატა დაკიდა, ყველასი, ყველასი!

_ ჩუ, ბიჭო, სირცხვილია!.. _ გაგიჟდა ვერიკო.

_ მაინც ვიგრიალებთ, შეგშურდეთ ყველას! _ კატა ჩამოგლიჯა და ფეხი ამოუქნია. კატა ეზოსკენ გაფრინდა. _ მიაუ! _ მთელი ხმით მიაკნავლა რეზიმ.

სადარბაზოში ვიღაც ქალი ამოდიოდა, გაჩერდა და დედა-შვილს შეეკითხა:

_ თაზო რომელ ბინაში ცხოვრობს, კელაპტრიშვილი?

_ აქ, ჩვენთან, _ ცერით უკან, კარზე მიანიშნა რეზიმ.

_ დიახ, ჩემი სიძეა, _ დაუდასტურა ელისომ.

_ ეს, არღანია? _ მუსიკის ხმა გაიგონა ქალმა.

_ დიახ, _ უპასუხა ელისომ. _ თაზომ მოიტანა.

_ მერე ეგ ნორმალურია?! ეროვნული მუზეუმიდან არღნის წამოღება გაგონილა?! თუ არ შევიშლებოდი, არ მეგონა!.. _ მოაჯირს მიესვენა ქალი.

_ ესეც მე ვარ?! დედას ვუტირებ! _ შეტრიალდა და შინ შევარდა რეზი. ვერიკო უკან გამოუდგა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ყველაფერი აირ-დაირია. სანამ თაზო აზრზე მოვიდოდა, სამი-ოთხი მუშტი უკვე მოხვედრილი ჰქონდა.

ქალები წიოდნენ, კაცები აშველებდნენ. თაზოს არღნის გამოვარდნილი სახელური შერჩენოდა ხელში და იმას იქნევდა გამეტებით.

_ არღანი, არღანი! არღანი არ გამიტეხოთ!.. სახელური, სახელური!.. ინდური სპილოს ძვალია, ინდური სპილოს ძვალი! _ კიოდა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი ქალი.

...არღანი გადარჩა. თაზო კი, მთელი კვირა, საჭმელს ვერ ჭამდა: ყბა ჰქონდა ამოვარდნილი. სტკიოდა. რეზის თავი ჰქონდა გატეხილი. ალბათ, ინდური სპილოს ძვლის სახელური მოხვდა. "ყველანი მარტო მე მიჭერდნენ, _ მიუტანა ცოლს ამბავი

თაზომ, _ თორემ, მე ვიცოდი, როგორ დაგილილავებდი მაგ შენ რეზის...” მოკლედ, მისიანებს ნათესაურ მიკერძოებაში სდებდა ბრალს.

ნიკას ოფისი ორი ოთახისგან შედგებოდა. პირველში, რომელიც თანამედროვე ტიპის საპროექტო ოთახს მოგაგონებდა, მხოლოდ ორი მაგიდა იდგა, კომპიუტერებით. კედლის გასწვრივ, ვიტრინებივით დიდ პლანშეტებზე სარეკლამო სურათები იყო, ნეონის შუქით გაჩახჩახებული და, ამის წყალობით, ქალაქის ხედები გარედან ლამაზად იკითხებოდა. მეორე _ სასტუმრო ოთახი ანუ მისაღები იყო, თავისი სამეულით, დივანითა და სავარძლებით. მისაღებში მხოლოდ საპროექტო ოთახიდან შეიძლებოდა შესვლა.

ოფისში მხოლოდ ეკა იმყოფებოდა, რომელიც ნიკას მოსვლამდე, ტელეფონზე ჭორაობდა.

_ ნათი, გაგიჟდები ადამიანი, _ უყვებოდა ეკა მეგობარს. _ დღეს, პირველი დღეა. შემოვედი და ვიღაც ტიპი არ შემომყვა?! ამაზრზენი!.. ჰალსტუხიანი, თვითკმაყოფილი იდიოტი. ვინ გნებავთ-მეთქი? _ და იცი, რას მეუბნება?.. რევიზორი გახლავართ მერიიდან, თქვენი შეფი მნებავსო... პირველსავე დღეს, დილაადრიან, რევიზორი დამადგა! თუ გული არ გამისკდებოდა, არ მეგონა... ნიკა რომ მოვა... ჰო, ნიკა ჰქვია... რა უნდა ვუთხრა, ამ დილას გამოვედი პირველად და ტყვიასავით უნდა დავახალო, რევიზორი იყო და გკითხულობდათ-მეთქი?!. აუ, რა საყვარელი ტიპია, იცი?.. მე ვფიქრობ, ქრისტეს ასაკის, ოცდაცამეტის უნდა იყოს, მეტის _ არა... ჯერ მხოლოდ თვალებს ვუჟუჟუნებ, შიგადაშიგ, მეტს ვერ ვბედავ... ჰო, ძალიან საყვარელია... არა, რეკლამებით ვარ დაკავებული... კი დავაგზავნე, ქსივები პრესაში... ჰო, იცი, ვინ არის ჩემი შეფი?.. ანი ბერიძის ძმაა... გაგიჟდები. ჰო, არც მეტი, არც ნაკლები _ კოლუმბიის უნივერსიტეტი, შენ წარმოიდგინე! როგორ და “ავტოკადის” ცოდნამ მიშველა და წლოვანებამ, ალბათ... გადავათვალიერე შემოსული განცხადებები და სულ ბებრები მოხვეტილან, ორმოცდაათზე ნაკლების არც ერთი არ არის... კაი, მოვიდა, მერე დაგირეკავ.

ნიკა შემოვიდა და ეკას მიესალმა.

_ გამარჯობა, ეკა... აღარ ვიცი, როგორ ჩავიცვა: თბილად ჩავიცვამ _ ცხელა, გრილად ჩავიცვამ და ისე აცივდება...

_ ბატონო ნიკა, იცით, რა მოხდა?.. _ შეაწყვეტინა ეკამ.

_ არ ვიცი, _ გაუღიმა ნიკამ.

_ შემოსული არ ვიყავი, რომ რევიზორი შემომყვა, ზუსტად ცხრა საათზე...

_ რევიზორი? _ ვერ დაიჯერა ნიკამ.

_ დიახ, მერიიდან ვარო... _ თვალებს ახამხამებდა ეკა.

_ არ უთხარი, დღეს პირველი დღეა, ოფისი გავხსენითო? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არა, მე ვერაფერი ვერ ვუთხარი, თქვენ გკითხულობდათ, _ მიუგო ეკამ.

_ გასაგებია: ეტყობა, ვირთხამ კიჭები გამოაჩინა. ჩათვალე, რომ მაგრად შევიგინე... _ და მართლაც, შეიგინა ნიკამ.

_ ნამდვილად ვირთხას ჰგავდა, გეფიცებით, _ ალაპარაკდა ეკა. _ მეც ვერ გამიგია, იცით, რა პონტია?!. როგორი გახარებული მოვდიოდი და უცბად, თავზარი დამეცა. იცით, როგორ ვინერვიულე?!

_ ეკა, გენაცვალე, შენ ჩემი თანამშრომელი ხარ, ხომ?.. ჰოდა, უჩემოდ, უფრო სწორად, სანამ მე არ დაგრთავ ნებას, ნურაფერზე ინერვიულებ. შევთანხმდით? _ ნიკამ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და კომპიუტერს მიუჯდა.

_ დიახ, ამის შემდეგ მეცოდინება, _ გაეღიმა ეკას.

_ და არც ამდენი თვალების ჟუჟუნია საჭირო. დღეში ორჯერ-სამჯერ სავსებით საკმარისია... _ სერიოზულად დასძინა ნიკამ.

_ გავიგე, _ ტუჩი მოიკვნიტა ეკამ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა ერთი ყავა მომიდუღე, თუ არ გეწყინება და შემდეგ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი, კარგი?

_ დიახ... თქვენ, ალბათ, აქ ამერიკულ სტილში აპირებთ მუშაობას... _ შეეხუმრა ეკა.

_ ქართულ-ამერიკულ სტილში, ასე ვთქვათ, _ გაეღიმა ნიკას.

_ მაშინ, თურქულად მოგიდუღებთ ყავას. ტკბილი გიყვართ თუ ნახევრადტკბილი? _ შეეკითხა ეკა.

_ კაი, ნახევრადტკბილი იყოს, _ აირჩია ნიკამ.

_ ბატონო ნიკა, არ გაინტერესებთ, ბარში რა ხდება? _ მისაღებისკენ მიანიშნა ეკამ.

_ კი, ჰო, მართლა, როგორ არ მაინტერესებს!.. შეგიძლია, ნიკა დამიძახო _ "ამერიკულ სტილში"... _ და ნიკა სასტუმროQოთახში გავიდა. ეკაც შეჰყვა.

_ მისტერ ნიკა? _ ჰკითხა ეკამ.

_ ჩაგეთვალა, _ გაეცინა ნიკას.

_ ერთი-ორი დღე მიჭირს და ძალიან მალე გადმოვალ "ნიკაზეც" და "შენობით" ლაპარაკზეც, ალბათ, _ უთხრა ეკამ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი... _ თქვა ნიკამ.

_ აი, ეს ჟალუზები ხომ მოგწონთ? _ დაიწყო ჩამოთვლა ეკამ. _ აი, ეს ნახატი, აბსტრაქციაა. ვიცი, რომ ამერიკელებს მაგრად ევასებათ...

_ ამერიკელებს? ამერიკელებს ილუსტრაციები უკიდიათ კედლებზე და ჰგონიათ, რომ ორიგინალები აქვთ, _ თქვა ნიკამ.

_ და ჩვენი ბარი, _ განაგრძო ეკამ. _ ჯერ სასმელები _ ყველანაირი. ჩვენი შამპანურები, შოტლანდიური ვისკი, ბრენდი...

_ გასაგებია, გასაგები... _ შეაჩერა ნიკამ.

_ ჩაი _ სხვადასხვანაირი: სიცილიური, ინგლისური, ინდური... ყავა: ნალექიანი, ყველაზე ძვირიანები, იტალიურ შეფუთვაშია... უნალექოებიც, რამდენიმენაირი. რძის ფხვნილი...

_ ერთი ბარმენიც ხომ არ აგვეყვანა? _ იხუმრა ნიკამ.

_ არა, არ არის აუცილებელი. მე რაღა ვაკეთო, მისტერ ნიკა?!. _ გაიცინა ეკამ. _ ნამცხვრები მაქვს მაცივარში, გვერდით კაფეტერიაა და ნებისმიერ დროს შეიძლება ყიდვა... მოკლედ, პრეზენტაციისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ...

"ცდილობს ეს ბავშვი, რა გინდა?" _ გაიფიქრა ნიკამ.

ბოლოს და ბოლოს, ნიკამ მაინც დაუჯერა ანის და როგორც დამ დაარიგა, ა-ლა-ფურშეტით, პატარა პრეზენტაცია მოაწყო. სულ რაღაც ხუთი-ექვსი სტუმარი ჰყავდა და ორიოდე ახლობელი. მათ შორის, ვერიკო და ანი, ტელეოპერატორთან ერთად. ნიკას განსაკუთრებით დედამისის სადღეგრძელო დაამახსოვრდა.

ვერიკომ ჭიქა შეივსო და სიტყვა ითხოვა.

_ სტუმრებს ერთი წუთით ვთხოვ ყურადღებას, _ თქვა მან. _ მე მინდა, ჩემს ნიკას მივულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო, მუდამ გამარჯვებით ევლოს. მინდა, ყველას ვუსურვო, ყველას, ვინც კი საქართველოდან წასულია, სასწავლებლად თუ სამუშაოდ, დაბრუნებულიყვნენ და, ტრაფარეტული სიტყვებია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მოკლედ, დამთავრებულიყოს ქართული ტვინისა და ნიჭის გადინება უცხოეთში, დაწყებულიყოს მოდინება, აქეთ, ჩვენსკენ... თუნდაც, როგორც გალაკტიონი ბრძანებს: "დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი", თორემ, თუ

ყველამ მხოლოდ საკუთარ ტყავზე იფიქრა და მეტზე არაფერზე, ამდენი შინაური და გარეული მტრის ხელში, კაი დღე რომ არ დაგვადგება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. დაე, ყველა დედას გაეხაროს ჩემსავით, შვილის დაბრუნებით.

_ ვუერთდები სადღეგრძელოს, _ როგორც ყოველთვის, ახლაც გადარბენაზე იყო ანი. _ ვადღეგრძელებ ჩემს ძმას და გელოდებით, ბატონო ნიკა, ზუსტად სამ საათზე, ტელევიზიაში. ახლა გავიქეცი მე... _ ანიმ ძმას აკოცა და ოპერატორთან ერთად, მისაღებიდან გავიდა. სწორედ ამ დროს, ვიღაც უცხომ ოფისის კარი შეაღო.

_ თქვენ ვინ ბრძანდებით?.. პრეზენტაციაზე, ალბათ? _ ლამაზად გაუღიმა ანიმ მამაკაცს.

_ არა, მე რევიზიაზე ვარ, მერიიდან... _ ზემოდან გადმოხედა უცხომ.

_ რევიზიაზე?! _ სახტად დარჩა ანი. _ ჯერ ხომ არც კი გახსნილან! დღეს დაიწყეს მუშაობა.

_ ჰოდა, მით უმეტეს: აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს _ რა ხალხია, ვინ არიან, რას აპირებენ... მოკლედ, დოკუმენტაცია მინდა გადავამოწმო... თქვენ ანი არ ბრძანდებით, ბერიძე? დიქტორი? _ იცნო რევიზორმა ანი.

_ მე დიქტორი არა ვარ, ტელეჟურნალისტი ვარ, _ შეუსწორა ანიმ. _ ერთი წუთით აქ დაბრძანდით, _ და ოპერატორს მიუბრუნდა. _ მამუკა, შენც დაჯექი, რა, ერთი წუთით. _ ანიმ მისაღებში შეიხედა და ეკას თითით ანიშნა, გამოსულიყო. ეკა გაღიმებული სახით გამოვიდა, მაგრამ უცნობის დანახვაზე შეცბა.

_ მე გავიქეცი. აი, თქვენთან სტუმარია, _ მიუთითა ანიმ რევიზორზე და ოპერატორთან ერთად, საპროექტო დატოვა.

_ ა-ა, თქვენ ბრძანდებით?.. ერთი წუთით, _ იცნო ეკამ დილის სტუმარი და კარი მაშინვე შეიკეტა. მივიდა ნიკასთან და ყურში უჩურჩულა:

_ ნიკა, ის ვირთხაა, მერიიდან.

_ კაი, მე ვიცი... _ თქვა ნიკამ და საპროექტოში გავიდა. _ აქეთ შემობრძანდით! _ შეიპატიჟა შიგნით, დაუპატიჟებელი სტუმარი.

უცნობი მისაღებში შევიდა და ამდენი ხალხის დანახვაზე, ცოტა შეცბა. ნიკამ კი ხელი მოჰკიდა და ოთახის შუაგულისკენ წაიყვანა.

_ მობრძანდით, მობრძანდით! სტუმარი ღვთისაა... ერთი წუთით, აქეთ მოიხედეთ ყველამ. მე მინდა გაგაცნოთ ბატონი...

_ გოგი ლომიაძე, _ ამოღერღა უცნობმა და მაშინვე მიხვდა, რომ კარგს არაფერს უპირებდნენ.

_ ვინ ბრძანდებით? რა გაინტერესებთ? _ შეეკითხა ნიკა უცნობს.

_ რევიზორი ვარ მერიიდან, _ გამოაცხადა სტუმარმა.

_ და რატომ მობრძანდით? _ აგრძელებდა გამოკითხვას ნიკა.

_ დოკუმენტაცია უნდა შევამოწმო, _ თქვა უცნობმა ანუ გოგი ლომიაძემ.

_ თქვენ, ჩემო ბატონო, რევიზორი კი არა, პატარა ნეხვის ტომარა ბრძანდებით. ახლა მიბრძანდით და იმ დიდი ნეხვის ტომარას, ვინც თქვენ აქ გამოგიშვათ, მოახსენეთ, როგორ დაგვხვდით!.. თავისუფალი ხართ! _ მსუბუქად ჰკრა ხელი კარისაკენ სტუმარს ნიკამ.

რევიზორმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნიკამ ხმა ჩააკმენდინა:

_ წადი, რა, წადი! _ ხმას აუწია ნიკამ.

რევიზორი ჩქარი ნაბიჯით წავიდა კარისკენ... იქ კი, გაჩერდა და უკან მიბრუნდა.

_ მაინც შეგამოწმებთ, მაინც! არ გაპატიებთ!.. _ ნიშნისმოგებით მიაძახა და კარი გაიჯახუნა.

ყველას გაეცინა.

მისი ვიზიტიდან ნიკამ შემდეგი დასკვნები გამოიტანა: ან ცრუობდა ქვეყნის მთავრობა, რასაც ტელეეკრანიდან ეუბნებოდა ხალხს, ან უნებურ შეცდომას უშვებდა, როცა ბრძანებდა, რომ ყველაფერი "გამოსწორებადია". რადგან ის თაობა, რომელმაც ხელისუფლებაში თანამდებობები დაინაწილა, იმ თაობის აღზრდილი იყო, ვისთვისაც მთლიანად გაუკუღმართებული იყო ადამიანთა მოდგმის ისეთი ფასეულობები, რომლებიც ასე კარგადაა ჩამოყალიბებული ბიბლიის ათ მცნებაში. "ამ ჯუნგლებში, როგორც ჩანს, მორალზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია. მორალი კი არა, არ არსებობს თვით მორალის ცნება, ალბათ. _ ფიქრობდა ნიკა. _ ახლები, იმ ძველების აღზრდილები არიან და იქნებ, ცოტა უარესებიც მათზე", _ დაასკვნა ბოლოს და იმასაც მიხვდა, რომ მომავლის პროგნოზირება, "ტელემთავრობის", "ტელეპრეზიდენტის", "ტელეხელოვნების" და "ტელეპოლიტიკის" პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

როცა საპროექტოში მხოლოდ ორნი დარჩნენ _ ეკა და ნიკა, _ ეკამ გაუბედა და ჰკითხა:

_ იმ ვირთხას ზედმეტად მკაცრად ხომ არ მოექეცით?

_ არა მგონია, _ უპასუხა ნიკამ.

_ და რომ შეგვამოწმონ?

_ რა, ლიცენზია?.. მიბრძანდეს და სამინისტროში ნახოს. ჯერ თითი არ გამიტოკებია!.. _ მშვიდად უპასუხა ნიკამ.

_ იცით, მამაჩემმა ავტოსკოლა გახსნა თუ არა, პირველსავე დღეს შეამოწმეს და რვაასი დოლარი ააფცქვნეს, _ თქვა ეკამ.

_ პირველსავე დღეს?! მე ვერავის, ფულს ასე უმისამართოდ ვერ მივცემ. მე არ ვაპირებ, რაიმე დავარღვიო. სახელმწიფოს ყველა თეთრს პატიოსნად გადავუხდი. ჩვენ გვეყოლება აუდიტი, რომელიც ნებისმიერი დარღვევისთვის თავად აგებს პასუხს... _ ჩამოუყალიბა ნიკამ.

_ მაშინ, მიგვკეტავენ, ნიკა, თან _ ძალიან მალე... _ ჩაილაპარაკა ეკამ.

_ მიგვკეტავენ? რატომ? _ შეეკითხა ნიკა.

_ აბა, რა! თუ მაგათ უხდი, სახელმწიფოს, თუნდაც, არაფერი უხადო ან სულ რაღაც ორი გროში რომ გადაუგდო, შეგიძლია მშვიდად იყო. არ გადაუხდი მაგათ _ არ გამუშავებენ... პირველად გესმის? ელემენტარულად, ჯიხურები აიღე: სახელმწიფო გადასახადი ოფიციალურად თხუტმეტი ლარია, სინამდვილეში, რამდენს იხდიან, იცი?.. სამოც ლარს _ ოთხჯერ მეტს!.. თუ ჩემი არ გჯერა, გაიკითხე, კი, ბატონო... _ უთხრა ეკამ.

კარი გაიღო და ოფისში პირველი დამკვეთი შემოვიდა. მაღალი, ლამაზი ქალბატონი...

_ შეიძლება?.. საპროექტოში მოვხვდი, ხომ? ხომ სწორად მოვედი? _ იკითხა სტუმარმა.

_ დიახ, დიახ, მობრძანდით, დაბრძანდით. _ მიიპატიჟა ეკამ.

_ ბოდიში, მაგრამ ვის მივმართო?

_ ჯერ ალბათ _ მე, _ უპასუხა ეკამ. _ გააჩნია, რა საკითხზე ბრძანდებით. თქვენ ქალბატონი ნანა მელაძე არ ბრძანდებით, პარლამენტარი?.. მე იმწამსვე გიცანით... შეგიძლიათ, პირდაპირ ბატონ ნიკას ესაუბროთ... _ მიანიშნა ნიკაზე ეკამ.

_ იცით, რა?.. _ მიუბრუნდა ქალბატონი ნიკას. _ მე გაზეთში წავიკითხე თქვენი განცხადება. როგორც მივხვდი, სამშენებლო ბიზნესი გაქვთ და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმან დამაინტერესა, რომ... ნიკა, ხომ?

_ დიახ, დიახ, _ უპასუხა ნიკამ.

_ ...რომ თქვენ კოლუმბიის უნივერსიტეტი გაქვთ დამთავრებული და იქაც, ამერიკაშიც ამ ბიზნესით იყავით დაკავებული... ასეა?

_ დიახ. იქ რამდენიმე დიდი პროექტი მიმყავდა, როგორც მენეჯერს _ აქ მთავარი ინჟინერი რომ ჰქვია... მინეაპოლისის შტატში. თუმცა, იქ სულ სხვა ტექნოლოგიებია... ისე, არქიტექტორი ვარ, _ უპასუხა ნიკამ.

_ დიახ, დიახ! _ დაუმოწმა სტუმარმა.

_ წამობრძანდით. მართლა, რატომ ვდგავართ?.. ეკა!

_ კი, ბატონო! _ მიუხვდა ეკა, რომ სტუმრის სათანადო მიღება მართებდათ.

ნიკამ ის მისაღებში შეიპატიჟა. ნანა სავარძელში ჩაჯდა და მის წინ დაბალ მაგიდაზე დაყრილი ბუკლეტებით დაინტერესდა.

_ შეიძლება? _ იკითხა მან.

ნანას ლამაზი, თლილი თითები და მოვლილი ხელები ჰქონდა. ბუკლეტი აიღო და გადაშალა.

_ ა, ვებ-გვერდის მისამართიც, სადაც თქვენი პროექტებია, ხომ?

_ დიახ, _ უპასუხა ნიკამ.

ნანამ ბუკლეტი ჩანთაში ჩაიდო.

_ გასაგებია, _ თქვა მან. _ რა თქმა უნდა, გარანტია მაინტერესებდა, მაგრამ რადგან ასეთი სოლიდური ბანკი დგას თქვენს უკან... თუმცა, მაინც გადავამოწმებ, ცხადია...

_ რას გვთავაზობთ, რომ?.. _ შეეკითხა ნიკა.

_ კოლეჯის აშენება მინდა... ჩემს ნაკვეთში... ზედა ვაკეა. თავისუფლად შეიძლება სამ-ოთხსართულიანი ნაგებობის ჩადგმა... რაღაც ტექნოლოგიების ნაწილი ხომ შეგიძლიათ ამერიკელებს დაესესხოთ?

_ საკმაოდ ბევრი, თანხას გააჩნია, _ უპასუხა ნიკამ.

_ მაგის თაობაზე შევთანხმდებით... _ თქვა ნანამ.

_ პასპორტი გაკეთებული გაქვთ? _ იკითხა ეკამ, რომელიც ყავას ამზადებდა და თან მათ საუბარს უსმენდა.

_ პასპორტი? _ ვერ მიუხვდა ნანა.

_ პროექტამდე ნაკვეთის პასპორტია ასაღები: რომ ყველა კომუნიკაციების მიყვანა შეიძლება თქვენს ნაკვეთთან. პასპორტში წითელი ხაზიც შედის... _ აუხსნა ეკამ, _ რომელ ყავას ინებებთ _ თურქული, იტალიური "ესპრესო" თუ "კაპუჩინო" რძიანი?

_ ჩვენებური, თურქული, _ გაიცინა ნანამ და ლამაზი, ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები გამოაჩინა.

_ ხილის ტორტი უნდა შემოგთავაზოთ. ხომ ინებებთ? _ გაუღიმა ეკამ.

_ სიამოვნებით! _ თვალი შინაურულად ჩაუკრა ნანამ ეკას.

_ მაშინ, თქვენი ნებართვით, შამპანურსაც შემოგთავაზებთ, _ თქვა ეკამ.

_ ოოო, მშვენიერ ფეხზე მივლია, _ თქვა ნანამ და გადაიკისკისა. თან ფეხი ფეხზე გადაიდო. მისმა სწორმა, ლამაზმა კანჭებმა ნიკაზე, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება მოახდინა.

ეკამ სუფრა გააწყო და თვითონ საპროექტოში გავიდა.

_ აი, მესმის სერვისი! როგორც მივხვდი, ნაკვეთის პასპორტსაც თქვენ აკეთებთ, ხომ? _ ჰკითხა ნანამ ნიკას.

_ დიახ, რა თქმა უნდა. და შეგვიძლია, შენობა "პად კლიუჩ" ჩაგაბაროთ, როგორც თბილისელები ამბობენ. _ შამპანური უხმაუროდ გახსნა და მაღალი ჭიქები შეავსო ნიკამ.

_ იცით, ძალიან მომეწონა აქაური აურა, _ ხელი ლამაზად შემოატარა გარშემო ნანამ. _ მე თქვენ უკვე გენდობით...

_ მეც ძალიან მომწონს აქაური აურა... _ გაეღიმა ნიკას. _ ჰო, როგორ ამბობენ? _ ნურასოდეს ენდობით ამინდს და პოლიტიკოს ქალს, ხომ?.. მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ, რადგან თქვენ ორმაგად შეიძლება ვერ გენდოთ ადამიანი...

_ ორმაგად? _ ნანა ამას არაფრით მოელოდა.

_ ჰო, თუკი ქართველების გამოთქმასაც მოვიშველიებთ _ “ნურასოდეს ენდობით ლამაზებს”... _ ლამის წაუღიღინა, ხუმრობის და ეგებ, არშიყობის ხასიათზეც მოსულმა ნიკამ.

_ შავი იუმორი გამიგია, მაგრამ შავი ქათინაური, მართალი გითხრათ, პირველად მოვისმინე... _ მოურიდებლად გადაიკისკისა ნანამ.

_ დიახ, სილამაზე ღვთის საჩუქარია და ვისაც ნიჭი აქვს, იყენებს კიდეც... _ თვალებში უმზერდა ნანას ნიკა.

_ არ ვიცი, რას გულისხმობთ, ერთი კია, რომ ღვთის მიერ ბოძებულ საჩუქრებს _ ნიჭი იქნება, სილამაზე თუ ტალანტი, _ რომ გამოიყენო ან განავითარო, შესაბამისი ხელსაყრელი პირობებიც სჭირდება. ასე არ არის? _ გვერდიდან კეკლუცად გახედა ნანამ ნიკას.

_ კი, მაგრამ ვფიქრობ, ეს თქვენს სილამაზეს არ ეხება: თქვენ საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ხელსაყრელი პირობები დაგხვდებათ, _ უთხრა ნიკამ და ჭიქას მოჰკიდა ხელი.

_ იცით, ქათინაური, ტყუილიც რომ იყოს, მაინც სიამოვნებს ქალს, _ თქვა ნანამ.

_ გამიგონია, ქალებს ყველა კომპლიმენტი ამახსოვრდებათ, რომელიც კი მათთვის ოდესმე მამაკაცებს უთქვამთო. მართალია? _ იკითხა ნიკამ.

_ სრულიად შესაძლებელია... _ უპასუხა ნანამ და თვალი გაუსწორა.

_ მაშინ, თქვენს დამაბრმავებელ სილამაზეს გაუმარჯოს! _ თქვა ნიკამ და შამპანური მოსვა.

_ გმადლობთ! _ გულიანად გადაიკისკისა ნანამ. _ თქვენც გაგიმარჯოთ! _ მოსვა და სასმელი შეაფასა: _ ოო, ფრანგულია?

_ გახლავთ. თქვენ პროფესიითაც პოლიტიკოსი ბრძანდებით? _ შეეკითხა ნიკა.

_ არა, არა, მე გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული მოსკოვში... _ თქვა ნანამ. _ სხვათა შორის, იქ ახლოს ვიცნობდი ერთ თქვენს მოგვარეს, ლადო ბერიძეს...

_ ბიძაშვილია ჩემი, _ მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა ნიკას. _ არ იცით, რომ ლადო თბილისშია ჩამოსული? თუ გაწყვეტილი გაქვთ ურთიერთობა? _ შეეკითხა ის ნანას და შამპანური დაასხა.

_ არა, არა... როდინდელი ამბავია!.. _ იუარა ნანამ.

_ დავიჯერო? არა, ვერ დავიჯერებ! მაქსიმუმ, ოცდახუთი წელი _ მეტს ვერ მოგცემთ... _ თქვა ნიკამ.

_ ვაიმე! _ ისევ გადაიკისკისა ნანამ. _ მე ამ სიცილ-კისკისში შესაძლოა, დავაგვიანო კიდეც... _ ჭიქა მიუჭახუნა ნიკას. _ მხოლოდ ეს ერთი ბოკალი კიდევ და უნდა გავიქცე. ჩვენს გაცნობას და მომავალ საქმიან ურთიერთობას!.. _ მოსვა და ჭიქა დადგა. _ აუცილებლად დაგიკავშირდებით. ახლა კი უნდა წავიდე, _ ფეხზე წამოდგა ნანა.

_ და მომავალ ლამაზ თავგადასავალს... _ თქვა ნიკამ და მოსვა.

_ ოოო, ეგ ცოტა მეეჭვება, _ გამომცდელი თვალებით მიაჩერდა ნანა ერთ წამს ნიკას და დაემშვიდობა: _ ნახვამდის.

ის უკვე ჩქარობდა. ნიკამ გააცილა. ნანა ეკას დაემშვიდობა:

_ ნახვამდის.

_ კარგად ბრძანდებოდეთ. კიდევ გვესტუმრეთ! _ დაემშვიდობა ეკაც.

_ აუცილებლად, _ თქვა ნანამ და ოფისიდან გავიდა.

ნიკა გარეთ გაჰყვა. ეკამ კი, რომელიც ოფისში დარჩა, ენა გამოუყო ორივეს...

კარი გაიღო და ოფისში კახამ შეალაჯა. ეკას ყურადღებაც არ მიაქცია. პირდაპირ ოფისის დათვალიერებაზე გადავიდა. დაევასა. იმწამს ნიკაც შემობრუნდა.

_ შენ რა, იცნობ ნანა მელაძეს? _ შეეკითხა კახა ნიკას.

_ არა, მაგრამ მე მგონი, ჩვენი პირველი დამკვეთი იქნება, _ უთხრა ნიკამ.

_ პარლამენტარია, ხომ იცი? _ თქვა კახამ.

_ კი. აი, ეკამ იცნო, _ თქვა ნიკამ.

_ მაჟორიტარია. მაგარი მიმწოლია... _ თქვა კახამ.

_ ქმარშვილიანია? _ დაინტერესდა ნიკა.

_ გაცილებულია. 9 წლის ქალიშვილი ჰყავს... _ ბრძანა ეკამ.

_ გასაგებია. მაგით ის გინდა თქვა, რომ არც ისეთი ახალგაზრდაა?.. _ ღიმილით შეეკითხა ეკას ნიკა.

_ არა, რატომ, ეგ რა შუაშია?! _ ეწყინა ეკას.

_ კაი, კაი, თუ ეს ქალბატონი ჩვენთან ხელშეკრულებას გააფორმებს, შენ წაიყვან პროექტს, როგორც გიპი. ხომ გააფრთხილე ყველა? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არქიტექტორის გარდა, როგორც თქვენ მითხარით. დიახ... _ უპასუხა ეკამ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი, _ უთხრა ნიკამ და კახას მიუბრუნდა. _ წამოდი შენ ჩემთან.

_ მაგარი ოფისი გაგიჩითავს, _ შეუქო კახამ.

_ ოფისი იქით არის. წამო, წამო. ეს საპროექტოა, _ ხელი მოჰკიდა ნიკამ კახას.

_ მოკლედ, შენ რა გქვია _ პრეზიდენტი თუ ბოსი? ახლა ყველას პრეზიდენტი ჰქვია, ხომ იცი. წყალში დამხრჩვალთა საზოგადოების პრეზიდენტი _ როგორია?! _ ალაპარაკდა კახა და მისაღებში შესულმა, შეუსტვინა: _ ჰოო, ეს უკვე მაგარი ბაითია.

_ ბაითი კი არა, სასტუმრო ოთახია, _ შეუსწორა ნიკამ.

კახამ სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ნიკამ თავისი გაუწოდა.

_ აჰა, რა, ეს მოსწიე, არ ამაქოთო მაგის კვამლით.

კახამ შეიფერა. დივანზე გადაწოლილმა, გემრიელად გააბოლა "ქემელი".

_ რაზე შევჩერდით? _ იკითხა მან. _ მაშ, საბოლოოდ გადაწყვიტე დარჩენა?

_ მოდი, ჯერ საქმე, _ თხოვა ნიკამ.

_ არაფერს დავლევთ? _ იკითხა კახამ.

_ ეკა! _ გასძახა ნიკამ.

ეკამ შემოიხედა.

_ დიახ.

_ ორი ყავა მოგვიდუღე, რა, და მერე ისევ საინჟინრო საქმეებზე შეგიძლია გადახვიდე!

_ რომელს ინებებთ _ თურქულს, "ესპრესოს" თუ "კაპუჩინოს"? _ შეეკითხა ეკა.

_ მე ვინებებდი ჩვენებურ ჭაჭას, მაგრამ "კაპუჩინოზეც" არ ვიტყვი უარს, _ გამოაცხადა კახამ.

_ მისმინე. თუ შენც ზღაპრების მოყოლას აპირებ, უკვე იმდენი ზღაპარი მოვისმინე, ერთი ასი წელი კიდევ მეყოფა... _ უთხრა ნიკამ.

_ არა, რა ზღაპრები, ბიჭო?! მე მუდამ რეალურებს ვაწვები, _ დამაჯერებლად თქვა კახამ.

_ კი, გეტყობა... _ აათვალ-ჩაათვალიერა ნიკამ.

_ გეუბნები _ მთავარია, შენ მომყვე, რაა, და საათივით ავაწყობდით. თუ ცოტა ფული გაქვს? ყველასაც დამარხავ! _ ხელი დაჰკრა მაგიდაზე კახამ. _ ჩვენთან ხომ მაგარი ქაოსია, არა?.. ვისაც რისი ხოში აქვს, იმას უბერავს. მე შენ ფქვილის შემოტანას არ გთავაზობ...

_ რატომ? _ დაინტერესდა ნიკა.

_ რატომ და ეგრევე გაგაგორებენ. ვაკელია ერთი, სხირტლაძე ნუგზარა... გემით ფოთში შემოტანილი ფქვილი უკან წაიღო... არ იკითხავ, რატო?.. სიცოცხლე ტკბილია,

ძმაო!.. ფქვილს თავი დაანებე, სხვებმა შემოიტანონ. ჩვეენ?.. ჩვენ პატარ-პატარა თონეები ჩავდგათ, სამი-ოთხი ყველა უბანში. შეშაზე გამოვაცხოთ, სულ ხუთი თეთრით გავაიაფოთ და გეუბნები, ორ-სამ თვეში ყველას დავმარხავთ, ვინც კი ამ საქმეში ტრიალებს, _ არწმუნებდა კახა.

_ კაი, ვთქვათ, ეგ კლასიკური ზღაპარია. ახლა ქართულ-ხალხურზე გადადი... _ ურჩია ნიკამ.

_ კაი. მაშინ ავიღოთ, თუნდაც, ქსეროქსები, _ სხვა თემაზე გადავიდა კახა. _ ჰო, ვითომ არაფერია, არა? რა არი, ქაღალდებია, არა? ცარიელი ფურცლები. მაგრამ, აბა, დათვალე! თითო ფურცელში ერთი თეთრიც რომ მოიგო!.. მარტო უნივერსიტეტები გახსნეს "მილიონ-ტრისტა". დაქსელე ქალაქი, ერთი ასი ათასი სულ ყელზე გადაუვა. დამიჯერე, ერთ კვირაში დავმარხავთ ყველას, ვისაც კი ქსეროქსი უდგას.

_ ეგ მეორე ზღაპარი. მერე? _ არ უჯერებდა ნიკა კახას.

_ კაი, ყვავილები აიღე. მარტო ვარდები შემოვიტანოთ ჰოლანდიიდან. ათასი ვინმე კვდება, ქორწილები, ძეობები, დაბადების დღეები, ათასი მიზეზია. იცი, რა ღირს ზოგი ვარდი?.. ცალი, სულ ცოტა, სამი, ხუთი და ათი ლარიც კი ღირს ზოგიერთი! სამ დღეში, მთელ მეყვავილეებს დავმარხავთ, არა გჯერა?

_ მჯერა, მაგრამ შემომხედე, ვგავარ, მერე მე, მეყვავილეს? ან მესაფლავეს?.. _ გადაიხარხარა ნიკამ.

_ კაი, მაშინ, ტოტალიზატორები აიღე. შენ თუ ფული გაქ... მარტო ერთი ტოტალიზატორი უნდა გახსნა, მეტი კი არ არის საჭირო. დაუდე ამ ტოტალიზატორებს მაგარი მაყუთი...

_ ეგ რას ნიშნავს? _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ რას და ხალხს კი არ უნდა ეთამაშო, ტოტალიზატორებს უნდა ეთამაშო.

ეკამ ფრთხილად დადგა მაგიდაზე ყავის ფინჯნები და გაკვირვებულმა შეხედა აზარტში შესულ კახას.

_ ესენი ასე იქცევიან: ვისაც დიდი მაყუთი აქვს, პატარა ტოტალიზატორებს უდებენ და ძირავენ. მარხავენ, რა, ეგრევე!

_ არაა. ეგ სუფთა მიუნჰაუზენის ზღაპარია, _ იუარა ნიკამ. _ მოდი, რა, სხვა რამეზე გადადი.

_ კაი, მაშინ, ქალების საცვლები შემოვიტანოთ ჩინეთიდან, _ თვალი არ დაუხამხამებია, ისე განაგრძო კახამ. _ პერანგები, ლიფები და რა ვიცი... ჩინეთში ბევრი ვერ დადის. დუბაიში დადის უმეტესობა. არადა, ჩინური სამჯერ იაფია და უკეთესიც. მაგათ დამარხვას არაფერი უნდა.

_ ქალის ნიფხვებზე და ბიუსტჰალტერებზე ვიჩალიჩო, თან _ ჩინეთში?! _ გადაირია ნიკა. _ ვახ, ერთი შენს თავზე სკალპი ამახდევინა და შენს ტვინში ჩამახედა, რა! შენ როგორა ხარ, ტო?! ამერიკიდან ჩამოსულ კაცს, ჩინეთში, ხუნვეიბინებში მიშვებ, შე ჩემისა?!

_ კაი, მაშინ ერთი აბანო რომ გვეყიდა, საუნათი... უფასო ქალები, უფასო ბაითი და ქეშიც წყალივით მოდის, როგორია?! _ თვალებში მიაშტერდა კახა ნიკას.

_ რაა?! _ ისევ ახარხარდა ნიკა. _ მთლად ნუ გამასულელე, რა, თუ ძმა ხარ! ვგავარ ახლა მე, ბიჭო, რაიმით ან მექისეს, ან "მამაშას"?!

_ შენ ალბათ, ერთი ხელის გაქნევით გინდა, მილიონები გაჭრა და საქართველოში ეგ _ ტყუილია, არც იოცნებო, _ "გატყდა", ბოლო-ბოლო, კახა.

_ ყველაზე რეალური იცი, რა იქნებოდა?.. _ იქით სთავაზობდა უკვე ნიკა რაღაცას კახას. _ შენ ხომ მაგ ხალხის დამარხვას აპირებ, არა? ყველა შენი კონკურენტისას. ერთი სასაფლაო გავხსნათ და დავმარხოთ ეგ ხალხი. რას იტყვი?

_ სასაფლაო? _ სერიოზულად დაფიქრდა კახა. _ სასაფლაოს ვინ გაგახსნევინებს?! იცი, რა ღირს ერთი პატარა სასაფლაოს გახსნა?!

_ შენ? შენ, იცი? _ შეეკითხა ნიკა.

_ არც მე ვიცი, მაგრამ _ ზღაპარია, არაფერი გამოგვივა, _ ხელი ჩაიქნია კახამ.

_ მაშინ, სამზე ჩაწერა მაქვს ტელევიზიაში, რამე უფრო რეალური მოიფიქრე და ისე გამომიარე, კარგი? _ შესთავაზა ნიკამ.

_ შენ ფული თქვი, თორემ ყველაფერიც რეალური გითხარი. ხალხი ტურისტებად კოსმოსში დაფრინავს უკვე, _ ხელი ცისკენ გაიშვირა კახამ.

_ არ მითხრა ახლა, კოსმოდრომი ავაშენოთო, თორემ მთლად გავგიჟდები, _ ჩაბჟირდა ნიკა.

_ კოსმოდრომი _ არა... _ ეწყინა კახას.

_ ჰოო, რა იყო? შენ მგონი, ისედაც მაგრად დაფრინავ... _ თვალებიდან ცრემლები სდიოდა ნიკას. _ მოდი, ერთ რამეს გირჩევ. მოკლედ, ახლა შენ შენს გზაზე წადი და მე კიდევ, ჩემს გზაზე წავალ, კარგი? მოკლედ, მე თვითონ მოვიფიქრებ შენთვის რამეს, მოსულა?

_ მე ბესოსავით ტყეში ყარაულად ვერ წავალ, _ ხელი დუნედ გაუწოდა კახამ ნიკას. _ ჰო, მართლა _ დედამისმა დიდი მადლობა შემოგითვალა: ასეთი დაწყნარებული დიდი ხანია, არ მინახავსო.

_ ოკეი! აბა, ჰე! _ მხარზე ხელი დაჰკრა ნიკამ კახას. _ მაგრად მაცინე. ჩაგეთვალა.

ტელეეკრანზე გამოჩენა ნიკას დიდად არ ეპრიანებოდა. არც იმის სურვილი ჰქონდა, თვალში შესჩხირებოდა მთავრობას, მაგრამ არც მთლად უპიარობა იქნებაო და ანის მიერ მომზადებულ გადაცემაში მონაწილეობაზე უარი არ თქვა.

ნიკამ ძლივს შეაჩვია ყური წამყვანის უცნაურ დიქციას, რომელიც სწრაფად ლაპარაკობდა და მახვილებსაც სრულიად უადგილო ადგილას სვამდა...

_ რას გვეტყოდით, ბოლო დროს, ასე მომრავლებული სამშენებლო ფირმების შესახებ? _ დაუსვა ნიკას პირველი შეკითხვა წამყვანმა.

_ თუ ზოგადად ვიმსჯელებთ და არ დავაკონკრეტებთ, გარდამავალ სტადიაში მყოფი ყველა სახელმწიფოს აღმავლობა სწორედ მშენებლობის ტემპის დაჩქარებით იწყება. ალბათ, საქართველოშიც ასეთივე სურათია, _ უპასუხა ნიკამ.

_ მაგრამ ხომ არ ხდება ისე, რომ ამ მშენებლობებს ერთი და იგივე ფირმები აწარმოებენ _ მხოლოდ მსხვილი კომპანიები, ხოლო ნაკლებად ძლიერი, მცირეშემოსავლიანი ფირმები, ასე ვთქვათ, კოტრდებიან?

_ თუ ჩემს ფირმას გულისხმობთ, მე ეგ ნაკლებად მეხება. ისე, ყველა სახელმწიფოში და როგორც ვიცი, საქართველოშიც, არსებობენ ანტიმონოპოლიური სამსახურები, რომელთაც სწორედ კონკურენციის დაბალანსება ევალებათ. ყველა, თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდეს. რამდენად ეფექტიანად მოქმედებენ ისინი, ეს სხვა საკითხია. კაპიტალისტურ სამყაროში კონკურენცია, პროგრესის აუცილებელი ატრიბუტია. მას შემდეგ, რაც ჩამოვედი, უამრავი წინადადება შემომთავაზეს ერთობლივი ბიზნესისთვის და როგორც დავაკვირდი, ჩვენში ყველას ერთი სურვილი ამოძრავებს _ ყველაფერი თვითონ ჩაიგდოს ხელთ და დანარჩენები დამარხოს. თუ მთელი ფული ერთის ჯიბეში ჩავა და დანარჩენები ცარიელზე დარჩებიან, ეს კონკურენციას შეასუსტებს და ქვეყნის სიღატაკის მაჩვენებელი უფრო იქნება, ვიდრე სიძლიერის, _ უპასუხა ნიკამ.

_ დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ, კონკურენცია გაუწიოთ უკვე მყარად ფეხმოკიდებულ კომპანიებს? _ ბოლომდე ჩაეძია წამყვანი.

_ არსებობს აპრობირებული მეთოდები და ხერხები, აგრეთვე ნიჭი და ასე შემდეგ... რამდენად გაგიმართლებს, ეს სხვა საკითხია. ჩვენი მხრივ, მომხმარებელს უახლეს ტექნოლოგიებს ვთავაზობთ და აქედან გამომდინარე _ მეტ კომფორტს. ცოდნა და მისი გამოყენების უკეთესი უნარი _ აი, ეს უნდა იყოს ჩვენი წარმატების გარანტია, _ უპასუხა ნიკამ.

_ თქვენ კოლუმბიის უნივერსიტეტი გაქვთ დამთავრებული. რამდენად ძნელი იყო იქ სწავლა? თუ ადვილი იყო? ეს მეც მაინტერესებს და ალბათ, მაყურებელსაც...

_ ადვილი, რა თქმა უნდა, არ იყო. მე სტიპენდია მოვიგე და ამან გადამარჩინა. არ ვიცი, ვერ ვიტყვი, ეს რომ არა, იქნებ, ვერც დამემთავრებინა ან სხვა გზა გამომენახა... აქ სამი კურსი მქონდა გავლილი... როგორ გითხრათ, აქ ინერციით, ისევ საბჭოთა მეთოდებით გვასწავლიდნენ... იქ ჯერ აუცილებელ საგნებს აბარებ, პირველ წლებში, შემდეგ კი, შენ თვითონ ირჩევ საგანსაც და პროფესორსაც. ერთიც _ იქ ყველა პროფესორია: პედაგოგს ჰქვია პროფესორი, ხარისხი ან რანგი არაფერ შუაშია. აქ მისაღები გამოცდებია უმკაცრესი და მერე არაფერს ასწავლიან, ასე რომ, ასი პროცენტი ამთავრებს უმაღლესს, იქ კი, თითქმის ყველას შეუძლია განაგრძოს სწავლა, მაგრამ სასესიო გამოცდებია უმკაცრესი და მხოლოდ თხუტმეტი პროცენტი თუ იღებს დიპლომს, დანარჩენი იცხრილება. ასე რომ განათლების რეფორმა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, ბლეფია და მეტი არაფერი.

_ ააა, საინტერესოა... დიდი მადლობა, ბატონო ნიკა, ჩვენი დრო თითქმის ამოიწურა. ვისურვებდი, რომ თქვენი ფირმა "ხუროთმოძღვარი" ისევე გაძლიერდეს, როგორც სხვა დიდი სამშენებლო კომპანიები და მუდამ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მდგარიყოს.

_ გმადლობ, _ თქვა ნიკამ და ჩაწერა დამთავრდა.

ანიმ, რომელიც ერთ-ერთი კამერის უკან იდგა, ცერა თითი უჩვენა ნიკას.

_ აღარ გაცილებ... ყველაფერი კარგი იყო, როგორც ყოველთვის... გზას ხომ გაიგნებ? _ ჰკითხა მან ძმას.

_ ალბათ, გავიგნებ, ყოველ შემთხვევაში, არ დავიკარგები, _ გაეცინა ნიკას.

სტუდიის კარიდან გამოსული ნიკა დერეფანში ნანა მელაძეს გადააწყდა...

_ ნიკა?.. დღეს უკვე მეორედ ვხვდებით. ეს, ხომ იცით, რისი ნიშანია? _ შეეკითხა ნანა.

_ არ ვიცი, _ გულზე ხელი მიიდო ნიკამ.

_ ამბობენ, გამდიდრების ნიშანიაო, პირველად გესმით? რა საკითხზე ბრძანდებოდით?

_ თქვენ? _ ჰკითხა ნიკამ.

_ რა გულუბრყვილო შეკითხვაა! ჩვენ ხომ ტელევარსკვლავები ვართ... _ გაიცინა ნანამ. _ ჰო, ჰო, მოსვენება არა გვაქვს... ყავა ხომ არ დაგველია? თან საქმეზეც ვისაუბრებდით. წამოდით, მე გეპატიჟებით. აქვე, დაბლა, ძალიან კარგი კაფე-ბარია, _ შესთავაზა ნანამ.

_ ჩავიდეთ, _ არაფერს კარგავდა ნიკა...

ნანამ ხელკავი გამოსდო. "ოჰო", _ გაიფიქრა ნიკამ.

ბარში მრავლად იყო ცნობილი თუ უცნობი ჟურნალისტი და ტელევიზიის თანამშრომელი. მოგეხსენებათ, ისინი ყველას და ყველაფერს ამჩნევენ. არც ახალი წყვილი გამოჰპარვიათ მხედველობიდან. ნანა და ნიკა თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ.

_ ჯერ თითო სიგარეტი მოვწიოთ და მერე, ალბათ, უნდა მომემსახუროთ. აქ თვითმომსახურეობაა. ეს ან ძველი კომუნისტური გადმონაშთია, ან ფულის ეკონომიის მიზნით კეთდება, _ თქვა ნანამ.

_ უფრო ფულის ეკონომიის მიზნით, _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ მერე, დისკომფორტს არ განიცდით? _ ჰკითხა ნანამ.

_ რა თქმა უნდა, განვიცდი. იმ წესრიგიდან ამ ქაოსში რომ აღმოჩნდები, ბუნებრივია, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეჯახები. პირველ დღეებში მაგრად მაღიზიანებდა,

მაცოფებდა კიდეც. ახლა ნელ-ნელა ვეგუები... მოგეხსენებათ, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და შემგუებლობის დიდი უნარი აქვს, _ თქვა ნიკამ.

_ იცით, ჩვენი საზოგადოება ძალიან შეიცვალა. ჰო, ფიზიკურადაც, იცით?.. შინაგანად ხომ საერთოდ განადგურებულია!.. მაგრამ ის, რომ სილამაზე დაკარგა ერმა, ჩემთვის დამანგრეველია. ძალიან დიდხანს ვერ გამოვედით აფხაზური შოკიდან... _ თქვა ნანამ.

_ ნანა, მოდი, რა, შევეშვათ ამ პოლიტიკომანიას და სხვა ამბებზე ვილაპარაკოთ, _ თხოვა ნიკამ.

_ რაზე? _ გამოცოცხლდა ნანა.

_ რაზე და რაზედაც უნდა საუბრობდნენ ახალგაცნობილი ქალი და მამაკაცი, თუ მათ ერთმანეთი მოეწონათ, _ გაუღიმა ნიკამ.

_ თქვენ დარწმუნებული ხართ? _ სკეპტიკურად ასწია ტუჩის ბოლო ნანამ.

_ მე _ კი. თქვენ _ არა? _ ჰკითხა ნიკამ.

_ მეც. რატომ არ უნდა მომწონებოდით? მშვენიერი მანერები გაქვთ, _ სერიოზულად აკვირდებოდა ნიკას ნანა.

_ თქვენ კი თვით მშვენიერება ხართ! _ თვალებში უმზერდა წყვილი ერთმანეთს.

_ გმადლობ, _ თქვა ნანამ.

_ წავალ, რამეს მოვიტან.

ნიკა ადგა და დახლისკენ წავიდა. ნანამ თვალი მოავლო დარბაზს... ნიკა ნამცხვრითა და ყავით ხელში დაბრუნდა.

_ სხვაც ხომ არ გნებავდათ რამე? _ შეეკითხა ნიკა ნანას, როცა ფინჯნები მაგიდაზე დადგა.

ნანამ ყავა დაყნოსა.

_ მინდა, რომ ძალიან ლამაზი და პრაგმატული შენობა ავაშენოთ. მთელი სივრცე რომ მაქსიმალურად იყოს აუცილებელი საჭიროებისათვის გამოყენებული და, ამავე დროს, იყოს მყუდრო და კომფორტული, _ თქვა ნანამ.

_ გაუდი არ გახლავართ, მაგრამ არც უკმაყოფილო დარჩებით. ამ თემაზე მერეც მოგვიწევს... _ თქვა წყენით ნიკამ, რადგან ნანამ თემა შეცვალა.

_ რატომ, რატომ? თქვენ ცოტას ხომ არ ჩქარობთ, ძვირფასო ნიკა? _ გაეცინა ნანას.

_ დიახ, იმიტომ, რომ მაგრად მაინტერესებს, ასე ვთქვათ, თქვენი ოჯახური მდგომარეობა... _ შეტევაზე გადავიდა ნიკა.

_ ანუ მყავს თუ არა ქმარ-შვილი, არა?

_ არა მარტო ქმარ-შვილი... _ თქვა ნიკამ.

_ დამშვიდდით, _ თქვა ნანამ. _ ძალიან მიხარია, რომ შევხვდით. _ თქვენ?.. თუმცა, მამაკაცებს ეს ეპატიებათ, არა? _ თვალები ლამაზად აუციმციმდა ნანას.

_ ვარ უცოლო, მყავს ცამეტი წლის ქალიშვილი... _ მოახსენა ნიკამ.

_ უცნაური დამთხვევაა... ოღონდ, ჩემი ქალიშვილი თქვენსაზე ოთხი წლით პატარაა... მე მგონი, თემა ამოვწურეთ. გადავიდეთ ისევ პოლიტიკაზე? _ იკითხა ნანამ.

_ როცა ამერიკაში ჩავედი და იქაურობას ვეცნობოდი, უბრალო ურთიერთობის დროსაც კი უამრავ შეცდომას ვუშვებდი. იქიდან ამეკვიატა, რომ ჩვენ... გახსოვთ ალბათ, საბჭოთა პროდუქტს რომ ვემახდით ჩვენს თავს... რომ ჩვენ, ადამიანები კი არა, ადამიანების ანტიპოდები ვართ, _ თქვა ნიკამ.

_ დღემდე? _ შეეკითხა ნანა.

_ დიახ. და ახლა უფრო მყარად ვდგავარ ამ პოზიციაზე...

_ არ ვიცი, ამერიკაში არ მიცხოვრია, მაგრამ ყველა იმას ამბობს _ იქაურები პატარა ბავშვებივით არიანო. რომ ჩვენებს ძალიან უჭირთ მათთან დამეგობრება.

_ ქალბატონო ნანა, ჩვენ მგონი, მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობთ, რაც არც ერთს არ გვაინტერესებს, _ თქვა ნიკამ.

_ მაინც, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? _ იკითხა ნანამ.

_ რომ ძალიან ლამაზი ხმა გაქვთ... ძალიან ლამაზი თვალები... გემოვნებით გაცვიათ და რაც უფრო ადრე შემეჩვევით, მით უკეთესი ორივესთვის... _ გაიხსენა ეგზიუპერის "პატარა უფლისწული" ნიკამ.

_ მე რა უნდა გიპასუხოთ? _ იკითხა ნანამ.

_ რომ მე სწორედ ის რაინდი ვარ, თეთრ რაშზე ამხედრებული, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდით, _ ძველ, ლამაზ ქართველ თავადს ჰგავდა ნიკა იმ წამს. თავადივითაც იჯდა სკამზე.

_ ძალიან საინტერესო ჰიპოთეზაა. თქვენ მართლაც მოგიხდებოდათ ალბათ, რაშზე ამხედრება, _ თქვა ნანამ.

ორივეს გაეცინა.

ბერიძეების ოჯახს ლადო სულ მალე ესტუმრა. შინ მხოლოდ ელისო და სოლომონი დახვდნენ.

სამივენი სამზარეულოში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

_ ყოველდღე მოდის, _ თქვა სოლომონმა.

_ ვინ? _ შეეკითხა ლადო.

_ შოთა.

_ მამაჩემი? _ ჩაეკითხა ლადო.

_ მაგრამ არ მელაპარაკება. მიყურებს, მიყურებს და მერე ცაში მიფრინავს, _ თქვა სევდიანად სოლომონმა.

_ რატომ არ გელაპარაკება? _ შეეკითხა ლადო.

_ ველოსიპედზე არ დავსვი და იმიტომ, _ გაბუტულივით თქვა სოლომონმა. _ მიმტვრევს სულ. სამჯერ დავსვი და სამჯერვე დოდაშვილების კედელს შეახეთქა. დაეშვება მაღლიდან და აღარ აჩერებს... აღარ დავსვი და აღარ მელაპარაკება...

_ თავისი ველოსიპედი არა აქვს? _ შეეკითხა ლადო.

_ თავისი ხომ დაამტვრია. ახლა ჩემიც უნდა რომ დაამტვრიოს. არ დავსვამ! _ თქვა სოლომონმა.

_ ნაყინი რომ გიყიდოს, არც მაშინ დასვამ? _ შეეკითხა ლადო.

_ ჩემთვის ნაყინის ჭამა არ შეიძლება, გლანდები მაქვს, _ თქვა სოლომონმა.

_ შოკოლადი? _ შეეკითხა ლადო.

_ ეგ შოკოლადს გაიმეტებს, ეგ წუწურაქი?!

_ შენ, შენ არა ხარ წუწკი? _ შეეკითხა ელისო.

_ ვა, თუკი ის არ მაჭმევს, მე რატომ უნდა ვაჭამო?!

_ რამდენი წლისა ხარ? _ შეეკითხა ისევ ელისო.

_ ექსის, _ თქვა სოლომონმა.

_ ექვსის, _ შეუსწორა ელისომ.

_ ექსის, ექსის, ექსის... _ ენას უჩლექდა სოლომონი.

_ წადი, სახლი ააშენე, _ ურჩია ელისომ.

_ რომ მენგრევა? აღარ ავაშენებ! _ გაჯიუტდა სოლომონი.

_ საძირკველი უნდა გაუთხარო და აღარ დაგენგრევა, _ ურჩია ლადომ.

_ აბა, რას ასწავლი? ადგება და პარკეტს აყრის, _ თქვა ელისომ.

_ გვირაბი მინდა გავიყვანო, _ თქვა სოლომონმა.

_ საიდან სადამდე? _ დაინტერესდა ლადო.

_ აქედან სტადიონამდე. ტრიბუნების ქვეშ ამოვძვრები ხოლმე, _ თქვა სოლომონმა.

_ არავითარ შემთხვევაში! _ გაბრაზდა ელისო. _ მაგის უფლებას არ მოგცემ. თუ გინდა, აბაზანაში წყალს დაგიგუბებ და ნავები ჩაუშვი. გინდა?

_ არა, მე გვირაბი მინდა გავიყვანო, _ ადგა და თავის ოთახში გავიდა სოლომონი.

_ ასე დაიჟინებს და ვერ მოაშლევინებ, _ თქვა ელისომ.

_ რას აპირებს მაინც იმ თავის ნაყიდ მიწაზე ნიკა, არ ამბობს? _ შეეკითხა ლადო ელისოს.

_ არა, ჯერ კარგად არ იცის. უნდა ჩამოვყალიბდეო, ამბობს, _ უპასუხა ელისომ.

კარზე ზარმა დარეკა. ელისომ გააღო და _ ლადო გვყავსო სტუმრად, _ უთხრა შინ შემოსულ ნიკას...

_ ლადო? _ არ ესიამოვნა ნიკას.

_ რა არი? _ შეატყო რაღაც ელისომ.

_ არა, არაფერი. მაგრამ ცოტა ხანს მარტოს თუ დამტოვებ მაგასთან, კარგს იზამ, _ თხოვა ნიკამ.

_ კი, ბატონო, არ შემოვალ, _ უთხრა დაეჭვებულმა ელისომ და სამზარეულოსკენ მიმავალ ნიკას თვალი გააყოლა.

_ ო, ნიკა, მოხვედი?! _ ფეხზე წამოდგა მის დანახვაზე ლადო. _ შენ გელოდები. ჰა, როგორა ხარ? გავიგე, სამუდამოდ აქ დარჩენას აპირებსო, მართალია?

_ კი... აქ კაცს გაფიქრებულიც არა გაქვს ჯერ, რომ მთელმა ქალაქმა იცის უკვე, _ თქვა ნიკამ.

_ ის ნაკვეთი პირდაპირ ხელიდან ამაცალე! _ აჯახა მიკიბ-მოკიბვის გარეშე ლადომ.

_ ჰო, ყველაფერი დასწრებაზეა. რა ერქვა იმ კაცს, შენი სახელით რომ მელაპარაკა? _ შეეკითხა ნიკა.

_ გურამი?.. რამე შეეშალა? _ შუბლი შეიკრა ლადომ.

_ არ შეეშალა?.. _ თვალებში უმზერდა ლადოს ნიკა. _ მე მთელი ჩემი აქციების ფული მაგ ნაკვეთში ჩავდე... იმიტომ, რომ პერსპექტივა დავინახე. შენ კი ამ დროს...

_ მაჩუქე-მეთქი, ხომ არ მითქვამს!.. _ შეაწყვეტინა ლადომ. _ არც ის ვიცი, რა შეეშალა. ცოტა შემოგთავაზა? მერე, მაგ შენი აქციების ფული რომ უცბად გააორმაგო, არც ის გაწყობს?.. _ მოკლედ მოჭრა ლადომ.

_ რა არის, იცი?.. მე არც ბიზნესმენი ვარ და არც ვაჭარი... ვთქვი ერთხელ და დავამთავრე. თუ დღემდე არ ამილოკავს, როგორ გგონია, ამის მერე ავლოკავ?! _ ნიკა წკიპზე იყო, ცოტაც და აენთებოდა.

_ ნათესავები ხომ ვართ, _ ცოტა მოლბა ლადო. _ რა მოხდება ვითომ, ძმობაში რომ დამითმო?.. იგებ, არა? ხომ არ აგებ! _ და უცებ მიახალა: _ მე შენ კაცური კაცი მეგონე!

_ ნამუსზე მაგდებ?! _ გაეცინა ნიკას. _ შენ _ მე-ე?! შენ მე რუსი ხომ არ გგონივარ ან ციდან ჩამოფრენილი? მომაწვები _ მოგაწვები... არ ვყიდი-მეთქი, არა და მოვრჩეთ ამაზე, დავამთავროთ! _ შეუვალი იყო ნიკა.

_ მოიცა-მოიცა, ცოტა დაფიქრდი. იმ ტოტს ხომ არ ჭრი, რომელზედაც ზიხარ?! რა, პრინციპის ამბავია? _ გააგრძელა მიწოლა ლადომ.

_ თუნდაც... _ თქვა ნიკამ.

_ ბიჭო, ჯერ მე წინ არავინ გადამდგომია... _ ბოლომდე გაიხსნა ლადო და ფეხზე წამოდგა. _ მე ლადო ვარ ბერიძე!

_ ვინ ვის უდგება წინ, შენ _ მე თუ მე _ შენ? _ აუღელვებლად თქვა ნიკამ. _ ის მიწა ჩემი საკუთრებაა! მე რაიმეს გთხოვ შენ?.. შენა მთხოვ, არა?! მგონი, მემუქრები კიდეც. ასეა?.. შენ თუ ლადო ხარ, მე _ ნიკა ვარ. შენ თუ ბერიძე ხარ, მეც ბერიძე ვარ! _ ისევ სკამზე იჯდა ნიკა.

_ არ მეგონა, თუ ხელს მკრავდი... _ ტაქტიკა შეცვალა ლადომ. ნიკამ არ უპასუხა. _ ჰო, თუ რაღაც ორ გოჯ მიწაში გამცვლიდი... _ თქვა ლადომ. გავიდა და სამზარეულოს კარი გაიჯახუნა.

ნიკას, ელისოს ხმა მოესმა.

_ ლადო, შვილო, მიდიხარ უკვე? სუფრა მინდოდა გამეშალა.

სადარბაზოს კარიც გაჯახუნდა. ელისო ნიკასთან შევიდა.

_ რა მოხდა, ნიკა, თქვენ შორის? ხმაც კი არ გამცა. გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, სადარბაზო ჩამოიღო... იმის ნაცვლად, რომ ბიძაშვილები ერთმანეთს მხარში ამოუდგეთ...

_ კაი, ელისო, დამთავრდა ეგ ეპოქა, მოკვდა! _ ფეხზე წამოდგა ნიკა. _ ადამიანი ადამიანისთვის _ მგელია, დათვი, მელა, ტურა!.. წავედი მეც.

_ მოიცა, გევახშმა, სად გარბიხარ? _ შეეკითხა ელისო.

_ მე ალბათ, ოფისში დავრჩები. ბევრი საქმე მაქვს. დედას ნუ ეტყვი ნურაფერს, არ არის საჭირო, _ უთხრა ნიკამ და გავიდა.

_ არ ვეტყვი... შენ მართალი ხარ _ ეს ის ქალაქი აღარ არის. შეიცვალა, თავისი ხალხიანად... _ ჩაილაპარაკა ელისომ.

ნიკამ ხმაურით შეაღო თავისი ოფისის კარი. ნანასEეღიმებოდა. იცოდა, რომ ღიმილი უხდებოდა და არც ენანებოდა ეს თავისი "სამკაული" მათთვის, ვინც მოსწონდა... ნიკა კი მართლაც, მოსწონდა. "რაღაც მიმზიდველია ამ კაცში, რაღაც გადამდები და უცხოური", _ ფიქრობდა თავისთვის და თვალს ლამაზად, ჩუმად აპარებდა მისკენ.

_ უკვე მესამედ ვხვდებით შემთხვევით... _ თქვა ნიკამ.

_ ჰო, ძალიანაც რომ გვნდომებოდა, ვერ მოვახერხებდით, _ უპასუხა ნანამ.

_ რომც გვეოცნება... _ დაამატა ნიკამ.

_ არა, მე, ყოველი შემთხვევისთვის, გამოვიარე, ჩემი ეზოს გეგმა წამოვიღე. _ ნანამ ცელოფანის პარკიდან დახვეული გორგალი ამოიღო და ნიკას მიაწოდა. ნიკამ ნახაზი მაგიდაზე გაშალა.

_ აი, ეს... _ ნანა ნახაზზე სწორედ იმ ადგილას აპირებდა თითის დადებას, საითაც ნიკამ წაიღო ხელი. მათი მტევნები უნებურად ერთმანეთს შეეხო და ორივემ ერთდროულად ჩახედა თვალებში ერთმანეთს. _ რა მგრძნობიარე თითები გქონია!.. _ თქვა ნანამ.

_ მაპატიე, _ თითქოს ოდნავ შეცბა ნიკა. _ ესაა ხომ, თქვენი ეზო?.. ცხრაასი კვადრატული შემაღლებულზე. ეს რა, ქოხმახებია? _ ნანამ პასუხი არ გასცა, ალბათ სულ სხვა სიტყვებს ელოდა ნიკასგან. _ ეს _ ქოხმახებია? _ გაუმეორა ნიკამ.

_ არა, მთლად ქოხმახები არა... მაგრამ _ კი, მთელი ეს სახლები ერთმანეთზეა მიხორხლილი, _ თქვა ნანამ.

_ ეს თქვენი სახლია? _ თითი დაუდო ნახაზზე ნიკამ.

_ კი. მაგრამ დასანგრევია.

_ კაი, გასაგებია. პირველი სართულის ზედა მხარე მიწაში მოყვება. _ ნიკამ ნახაზი დაახვია და გვერდზე გადადო. _ ვიწყებთ მაშ, ხვალიდან. ბანკის მონაცემებს ეკა გადმოგზავნის.

_ ეკა შენი მდივანია? _ ნანამ გამომცდელად მოწკურა თვალები.

_ არა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერია ანუ _ შემსრულებელი. მდივანიც არის, გიპიც ანუ პროექტის წამყვანიც და დამლაგებელიც.

_ შეძლებს მერე? _ იკითხა სასხვათაშორისოდ ნანამ.

_ გააჩნია დაკვეთებს, ვნახოთ, _ და ნიკამ მოურიდებლად იკითხა: _ ჩვენ ისევ სხვა რამეზე ხომ არ ვლაპარაკობთ?..

_ მე მგონი, არა. მე მგონი, ყველაფერს მოვასწრებთ... _ და ნანამაც მოურიდებლად გადაიკისკისა.

_ მაშინ გთხოვთ, _ მისაღები ოთახის კარი გამოაღო ნიკამ.

_ კი მაქვს ცოტა დრო, _ საათზე დაიხედა ნანამ.

ნიკამ ჟალუზები ჩამოშალა. ორივენი ერთდროულად დასხდნენ, ერთი _ სავარძელში, მეორე _ დივანზე და ერთდროულად წაიღეს ხელი ერთი და იმავე ჭიქისაკენ. მათი მტევნები ისევ ერთმანეთს შეეხო და ნიკამ აღარ გააშვებინა ხელი.

_ თავისით... _ თქვა მან.

_ ჰო, თავისით. ან რა ვიცი... _ გაიცინა ნანამ. _ როდემდე უნდა გეჭიროთ?

_ სიკვდილამდე, _ თქვა ნიკამ.

_ სიკვდილამდე?.. ქალებს სჯერათ მამაკაცების ტყუილების... _ გადაიკისკისა ნანამ.

ნიკამ ხელი გაუშვა.

_ არა, მე არ ვაპირებ თქვენს მოტყუებას.

_ დაგიჯერეთ, _ თვალები აუჟუჟუნდა ნანას.

_ გიყვართ შამპანური? _ ჭიქები შეავსო ნიკამ.

_ ძალიან, _ თქვა ნანამ და ჭიქა ლამაზად მიუჭახუნა.

_ ჩვენს მესამე შეხვედრას!.. _ თქვა ნიკამ.

_ და კიდევ ბევრს!.. _ დააყოლა ნანამ.

შამპანურს ნელა, პატარა ყლუპებით სვამდნენ, თან ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ. ნიკამ მუსიკალური ცენტრის ღილაკს ჩაარტყა თითი და ოთახში ტანგოს წყნარი მელოდია გაისმა. მერე კი ხელი გაუწოდა ნანას და ორივენი ლამაზად აჰყვნენ რიტმს.

_ ეს თქვენი თვალების ბუნებრივი ფერია თუ ლინზების? _ შეეკითხა ნიკა.

_ თქვენ როგორ ფიქრობთ? _ გაუღიმა ნანამ.

_ მე ვფიქრობ, რომ ეს თვალების ყველაზე ეროტიკული ფერია, როგორიც კი ოდესმე შემხვედრია... _ თქვა სერიოზულად ნიკამ.

_ ბევრი თვალები შეგხვედრიათ? _ პასუხს ელოდა ნანა.

_ ამას თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არავითარი... უბრალოდ, ვცდილობ დიალოგის გაგრძელებას... _ გაეღიმა ნანას.

_ რატომ? არ გინდათ, რომ ყველაფერი ერთბაშად მოხდეს?.. _ გაჩერდა ნიკა.

_ რა უნდა მოხდეს, ნიკა, ერთბაშად? _ გულუბრყვილოდ იკითხა ნანამ.

_ გენიალურია! ასეთი შეკითხვა მხოლოდ თბილისში შეიძლება მოისმინო... _ თქვა ნიკამ.

და ნანამ უეცრად თმა აუწეწა.

_ დიახ, დიახ... შენ ხომ თქვი _ შემეჩვიეო. ჰოდა, ცოტა დრო მჭირდება, _ წავიდა და თავის სავარძელში ჩაჯდა.

_ დრო ფული ღირს, ქალბატონო ნანა! _ თეატრალურად წარმოთქვა ნიკამ.

_ ჰოდა, უნდა ვეცადოთ, ძვირი არ დაგვიჯდეს. წინ მთელი ღამეა... _ გადაიკისკისა ნანამ.

_ მე ძალიან მიყვარს ღამეები, _ თქვა სასხვათაშორისოდ ნიკამ და ჭიქები შეავსო.

_ ღამეები?.. _ დაინტერესდა ნანა.

_ დიახ. მე ყველა ღამეს თავის სახელს ვარქმევ, _ თქვა ნიკამ.

_ ძალიან საინტერესოა. დღევანდელ ღამეს რას დაარქმევდით? _ ეშმაკურად იკითხა ნანამ.

_ ჯერ როგორ გითხრათ? ეგ მხოლოდ დილით მეცოდინება... _ აუხსნა ნიკამ.

_ მაინც როგორ სახელებს არქმევთ? _ შეეკითხა ნანა.

_ ყველანაირს, სულ ყველანაირს.

_ მაშინ, შეგიძლია მითხრა შენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ღამის სახელი?

_ რატომაც არა?.. თუნდაც, პირველი კოცნის ღამე.

_ ააა, აი, თურმე საით უმიზნებთ! _ რატომღაც მეტს მოელოდა ნანა.

_ რატომ? თქვენ შემეკითხეთ და მე გიპასუხეთ, _ "გაუტყდა" ნიკას.

_ მაშინ ჩამომითვალეთ, რომლებიც გახსოვთ.

_ კარმენის ღამე. ჩეხოვის ღამე. მოცარტის ღამე... _ დაიწყო თავისი საყვარელი ღამეების ჩამოთვლა ნიკამ. _ ვნებების ღამე. ძაღლების ღამე...

_ ეგ რაღა იყო? _ გაეცინა ნანას.

_ დამკბინეს, _ თქვა ნიკამ.

_ კიდევ? _ იკითხა ნანამ.

_ დედის ღამე. ჰიპნოზის ღამე. სტრიპტიზის ღამე. მტრედების ღამე, ბართლომეს ღამე...

_ ბართლომეს ღამე, დაშნების ღამე, დუელის ღამე... _ გააგრძელა ნანამ _ ძალიან მეცოდები...

_ რატომ? _ გაუკვირდა ნიკას.

_ იმიტომ, რომ ჩვენი პირველი ღამის შემდეგ, შენ უამრავი ოტელოს ღამე გელის... _ მთელი გულით გადაიკისკისა ნანამ.

_ თქვენც _ არანაკლები, _ არ დაუთმო ნიკამ.

_ მაინც, რას დაარქმევ ჩვენს პირველ ღამეს? _ ჩაეძია ნანა.

ნიკამ მაგნიტოფონი ჩართო.

_ მომეცი ხელი!

ცეკვა ნელა, ტაატით დაიწყეს.

_ ამ ღამეს მე გაზაფხულის ღამეს დავარქმევ... _ ყურში ჩასჩურჩულა ნიკამ ნანას.

_ არ მითხრა ახლა, გაზაფხულს ჰგავხარო, არ გამასულელო... _ გადაიხარხარა და მკლავები ძლიერად შემოაჭდო ნიკას ნანამ.

_ არა, უბრალოდ, გაზაფხულისფერი თვალები გაქვს... _ თქვა ნიკამ და ყელის ძირში ნაზად აკოცა. მათმა ტუჩებმა კი მაშინვე იპოვა ერთმანეთი და ვნებიანად დაეწაფა ეროტიკულ ნექტარს. მთელი ღამე წინ ჰქონდათ...

მამაკაცები, რომლებიც ქალებს ხელთათმანებივით იცვლიან, ხშირად ექსტაზისას ისეთ უცნაურობას აწყდებიან, ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერასოდეს რომ ვერ წარმოიდგენს. ასე მოხდა იმ ღამითაც. ნიკა აუჩქარებლად, სიამოვნებით ტკბებოდა ნანას სრულყოფილი სხეულის სილამაზით. ძუძუს კერტებს ნაზად ახებდა ხელისგულებს და ქალს სიგიჟემდე აღაგზნებდა, მაგრამ ბოლოს, როცა ისინი "ერთხორც და ერთსულ" იქცნენ, სწორედ იმ ბოლოწამს, ნიკამ ნამდვილად იგრძნო, როგორ დაუყვა ნანას ყელიდან ბოლომდე _ ჰო, ზუსტად "იქამდე" ნამდვილმა დენმა. ელვისებურად, ზიგზაგისებურად, კლაკნილად... ძინ! _ დაჰკრა დენმა სიცოცხლის გამგრძელებელს და ნიკას ეგონა, რომ მარადიულობას შეუერთდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო და ამ სასწაულს ნანას სხეული საიდუმლოდ ინახავდა. და ნიკამ კიდევ ერთხელ იწამა მოარული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ კაცი და ქალი, ეს ორი სრულიად განსხვავებული სქესი, დედამიწაზე სხვადასხვა პლანეტიდან არიან გადმოსახლებული, ოღონდ, ერთი განსხვავებით: მამაკაცები _ ერთი და იმავე პლანეტიდან, ქალები კი _ უამრავი, სხვადასხვა პლანეტიდან...

ჯერ ისევ დილის გარიჟრაჟი იქნებოდა, როცა ბერიძეების სახლში, სანოვაგითა და ყვავილებით ხელში, ფეხაკრეფით შეიპარა თაზო. ის ჩუმადვე შევიდა მისაღებში და სუფრის გაწყობას შეუდგა. ამ დროს, ჯერ კიდევ ყველას, თავ-თავის ოთახში ეძინა: ნიკას, ანის, თეონას, ვერიკოს, სოლომონს და ელისოს. თაზომ სუფრა ძალიან ლამაზად გააწყო... ყვავილებს კი პიანინოს თავზე მიუჩინა ადგილი. როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი მზად იყო, გამოვიდა და ყველა ოთახის კარი ბოლომდე გამოაღო. შემდეგ ისევ მისაღებში შევიდა და ფორტეპიანოს მიუჯდა. პირდაპირ მაღალი აკორდები აიღო და _ "მხოლოდ შენ ერთს" _ გაისმა მისი ძლიერი ტენორის ხმა. თაზო მართლაც, მთლიანად მუსიკის ტყვეობაში იყო, ამიტომაც ვერ შეამჩნია, როგორ დაიწყეს მის ზურგსუკან, ღამის პერანგებსა და საღამურ სამოსში გამოწყობილმა ნამძინარევმა ოჯახის წევრებმა შემოსვლა. პირველი, თეონა გამოჩნდა. შემდეგ _ სოლომონი, ვერიკო, ელისო და ნიკა. მხოლოდ ანი არ ჩანდა არსად _ ის, ვისაც ასეთი გრძნობით უმღეროდა თაზო. მან სიმღერა მიამთავრა და მოტრიალდა. ტაში კანტიკუნტად გაისმა. თაზომ თვალებით თავის ცოლს დაუწყო ძებნა, რომელიც სწორედ ამ დროს შემოფარფატდა ოთახში.

_ რა ხდება? _ იკითხა თვალების ფშვნეტით ანიმ.

_ ბეთჰოვენი. ლაურას, _ გამოაცხადა ხმამაღლა თაზომ და ისევ კლავიშებს მიუბრუნდა. _ ეძღვნება ანი ბერიძეს!

_ მე-ე? რასთან დაკავშირებით? _ გაუკვირდა ანის.

თაზომ თავი მიაბრუნა და ცოლს მშვიდად მიმართა:

_ შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, ანი, ერთად ვიმღეროთ, მითხარი ბანი.

_ რა მემღერება, თაზო, ამ დილაადრიან, გაგიჟდი?! _ ხელი ჩაიქნია ანიმ.

თაზომ თაიგული აიღო და მისკენ გაემართა. შუა გზაში კი შედგა და ოჯახის სხვა წევრებს მიუბრუნდა:

_ ე, რას დაგიღიათ პირი და მომჩერებიხართ _ "კაკ კაზა ნა ნოვიე ვაროტა"?! დაგავიწყდათ, დღეს რა დღეა?! დღეს თხუტმეტია! შეყვარებულების დღე, ხალხო, შეყვარებულების! _ და ანის ყვავილები მიაჩეჩა. _ გილოცავ, ძვირფასო! დღეს შენ უამრავი სიურპრიზი გელის.

_ არა, შენი ჭირიმე! _ აფეთქდა ანი. _ ეს ერთიც მეყოფა. თანაც, დღეს თხუტმეტი კი არა _ ცამეტია, თარსი რიცხვი, შენსავით. ორი დღის მერეა თხუთმეტი.

_ ჰო-ო? _ განცვიფრებული მიაშტერდა სხვებს თაზო.

_ ჰოდა, შენ ნორმალური ხარ?! _ თვალებს აბრიალებდა ანი. _ შენ იცი, რომელ საათზე დავიძინე?! დილის ხუთზე დავიძინე და შენი ბღავილი მაღვიძებს!.. ან თქვენ ნორმალურები ხართ, ხალხო, ამ გიჟს რომ აჰყოლიხართ?! _ ყვავილები დაბნეულ თაზოს მიაყარა და ოთახიდან გავიდა. _ ახლა უნდა დავიძინო და შენ რომ შემოხვიდე და გამაღვიძო, იცოდე, ფანჯრიდან გადავხტები!

თაზო გაშრა, ხელი ჩაიქნია.

_ მაშინ, არ გილოცავ. არ გინდა და ნუ გინდა. აი, ამათ მივულოცავ! თქვენ გილოცავთ. დიახ, ყველას გილოცავთ სიყვარულის დღეს, რომელიც ორი დღის შემდეგ დადგება. დიდი რამე, ორი დღე შემეშალა, მთელი კვირა ხომ არ შემეშალა, არა?! ჰოდა, რა დროს ძილია, ხალხო?! ძილი, რომ დავიხოცებით, მაშინაც გვეყოფა. გახსენით, რა, შამპანურები, დავილოცოთ!

_ მართალია! _ გამოაცხადა ნიკამ. _ რა დროს ძილია, ხალხო?! ორ დღეში სიყვარულის დღე მოდის თურმე, შეყვარებულების დღე, ხალხო! სად, რომელ ქვეყანაში წამოგაგდებენ დილაუთენია ლოგინიდან მარტო იმისათვის, რომ სიყვარულის სადღეგრძელო შემოგთავაზონ? მითხარით, დამისახელეთ თუნდაც ერთი ნორმალური ქვეყანა! შენ

გენაცვალე, თაზო, კაცი ხარ კაცური!.. დაჯექი ახლა ინსტრუმენტთან და ერთი ჩვენებური, დაშხოშიანი შალახო შევუბეროთ, მოსულა?

თაზო ვერ მიხვდა, ხუმრობდა თუ სერიოზულად ეუბნებოდა ამას ნიკა.

_ მე კიდევ რამდენი რამე მქონდა ჩაფიქრებული და მთელი ნაფიქრალი წყალში მეყრება... _ ჩაილაპარაკა უნუგეშოდ.

_ არა, რატომ?! მე სიამოვნებით დავლევ ერთ ჭიქას. გამივსე ჭიქა, ნიკა! _ ჭიქა გაუწოდა ნიკას ვერიკომ.

_ მეც გამივსეთ! _ წამოავლო ჭიქას ხელი სოლომონმა.

_ დაუსხი, ნიკა, "კოკა-კოლა", _ უთხრა ვერიკომ.

_ არა, რატომ?! _ აღელდა სოლომონი. _ მე შამპანური მინდა, შამპანური დამისხით, მარტო ერთი, ერთი ჭიქა დამისხით! ჩემი სიყვარული _ სიყვარული არ არის და თქვენი სიყვარული _ სიყვარულია?!. ვერიკო, შენ ვის სადღეგრძელოს სვამ?

_ შენსას, ჩემო სიყვარულო, შენსას, სხვა ვინა მყავს შენს მეტი?! _ გადააჭარბა ვერიკომ.

_ კარგი, რა, დედა, დავუსხათ ერთი ჭიქა, რას უზამს?! _ თქვა ნიკამ.

_ რა უნდა მიყოს, ბიჭო, ერთმა ჭიქამ?! ხუთი ლიტრი კახური გამომიცლია და არ დამტყობია არაფერი... _ დაიტრაბახა სოლომონმა.

_ შენ რა მონადირესავით ტყუილები გისწავლია, სოლომონ! ორი ბოთლის მეტი ცხოვრებაში არ დაგილევია. რომელი ხუთი ლიტრი?! _ გაუკვირდა ვერიკოს.

_ ნაძლევი! _ თქვა სოლომონმა.

_ რა ნაძლევი? _ გაუკვირდა ვერიკოს.

_ რომ ოთხ ბოთლს გამოვცლი, _ თქვა სოლომონმა.

_ რომელ ოთხ ბოთლს, სოლომონ! რა გგონია, რამდენი წლისა ხარ? _ გადაირია ვერიკო.

_ ოცდაშვიდის! _ გამოაცხადა სოლომონმა.

_ მიშველეთ! _ მთლად გაგიჟდა ვერიკო.

_ არა, მამა, შენ ბევრად მეტისა ხარ, _ მშვიდად უთხრა ნიკამ. _ შენთვის დალევა არ შეიძლება, შენ სასმელი ექიმებისგან გაქვს აკრძალული, დაგავიწყდა?

_ წამოდი, შენ, ჩემთან სოლომონ! _ ხელკავი გამოსდო სოლომონს სიდედრმა. _ მე მაქვს შენთვის კარგი ღვინო გადანახული. წამოდი.

_ ერთი ჭიქა დამალევინეთ, თქვე უღმერთოებო, ერთი! _ შეევედრა სოლომონი.

_ წამოდი, ბიჭო, შენთვის სუფთა ღვინო მაქვს გადანახული. მაგის დალევა როგორ შეიძლება? ეგ სუფთა ქიმიაა, ქიმია! _ მოქაჩა სოლომონს ელისომ და ძალით გაიყვანა ოთახიდან.

_ ეჰ, მეც წავედი, გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელი. მე თქვენი აყოლა, ჩემო ტკბილო შეყვარებულებო, არ გამომადგება, არა... _ ჩაილაპარაკა ვერიკომ და გავიდა.

სუფრასთან მხოლოდ ხელისგულებში სახეჩადებული და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი თეონა, ნიკა და თაზო დარჩნენ.

_ ჰო, როგორ არის?.. ეს ღვინო არის ქიმია, ამის სმა ოსვენციმია, არა?.. _ თქვა თაზომ.

_ შენც შეყვარებული ხარ, თეონა? _ შეეკითხა ნიკა თეონას.

_ ძალიან, _ თქვა თეონამ.

_ ვისზე? _ დაინტერესდა ნიკა.

_ დედიკოზე და მამიკოზე...

_ რომელი უფრო მეტად გიყვარს _ დედიკო თუ მამიკო? _ ჩაერია თაზო.

_ მამიკო, რა თქმა უნდა.

_ იმდენი რა გითხარი შენ! წამოდი, წამოდი, ცოტა კიდევ წავუძინოთ მე და შენ, _ მოჰკიდა ნიკამ თეონას ხელი და კარისაკენ წავიდნენ.

_ ნიკა, შენც? _ წამოხტა თაზო. _ დაგველია, რა, ერთი-ორი ჭიქა, შენ ხომ შეყვარებული ხარ...

ნიკა სწრაფად მოტრიალდა.

_ შეყვარებული?! შენ რა იცი?

_ როგორ, მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს!

_ ვისზეა მამიკო შეყვარებული? _ იკითხა თეონამ.

_ არა, არაფერი, ვიხუმრე, _ მიხვდა საკუთარ შეცდომას თაზო.

_ წამოდი, წამოდი, ვის უსმენ? _ მოქაჩა შვილს ნიკამ და მისაღებიდან გაიყვანა.

თაზო დაჯდა. შამპანური მაღალ ბოკალში დაისხა და სულმოუთქმელად გამოცალა. წამოდგა. ინსტრუმენტთან მივიდა. დიდხანს დაჰყურებდა კლავიშებს. შემდეგ დაჯდა და ისევ მაღალი აკორდები აიღო...

“სიყვარულის დილამ” გადაიარა. ნიკამ პირი დაიბანა და სამზარეულოში შეიხედა. იქ არავინ დახვდა. მისაღებში სუფრა ისევ გაშლილი იყო. თავში ელისო იჯდა და რადიოს უსმენდა.

_ მოდი, ნიკა, _ გაუხარდა ელისოს შვილიშვილის დანახვა.

ნიკა სუფრასთან დაჯდა.

_ წავიდა? _ და ცარიელ ბოთლზე ანიშნა. _ ოჰო, ჩამოუცლია!..

_ ყველანი წავიდნენ. მე და შენ დავრჩით მარტო.

_ მამა? _ იკითხა ნიკამ.

_ სძინავს.

_ მაგარი “სიყვარულის დილა” ჩავატარეთ, _ თქვა ნიკამ.

_ სულ წუთიერი, დღევანდელი დღით ცხოვრობს, _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ ეგ ალბათ, მალე მოკვდება, _ ნამცხვარი გადაიღო თეფშზე ნიკამ.

_ რატომ? _ იკითხა ელისომ.

_ თითქოს მოსწრებაზეა, ვერ ისვენებს.

_ და არც სხვებს ასვენებს, არა?..

_ ჰო, თავგადასავლებს ეძებს ბიჭი...

_ ისე, ნიჭიერია. პატრონი რომ ჰყოლოდა, ალბათ, რაიმეს მიაღწევდა.

_ მუსიკაში? _ დაინტერესდა ნიკა.

_ თუნდაც, _ თქვა ელისომ.

_ მერე, ანიზე უკეთეს პატრონს სად ნახავს?!

_ ანი... იცი, რა პრობლემები აქვს ანის ან რას აკეთებს?.. მოაყოლინე, როცა ნახავ. ჭკუიდან გადაგიყვანს... _ თქვა ელისომ.

_ ჰოო?! რას აკეთებს ამისთანას? საყვარელი ჰყავს? _ დაეჭვდა ნიკა.

_ არა, არა. მე ისე ვერ მოვყვები, როგორც თვითონ. ჯობს, თვითონ მოგიყვეს... ირაკლიმ დაგირეკა ტელეფონზე, არ გაგაღვიძე. უჩემოდ არსად წავიდეს, აუცილებელი საქმე მაქვს, დამელოდოსო.

ნიკა ჩაფიქრდა.

_ არა, არ მცალია, ვერ დაველოდები. რა მინდაო, არ თქვა?

_ არა. შენ არ დაურეკავ, არ დაელაპარაკები? _ ვერ მიუხვდა ელისო.

_ არა, მაგრამ შენ ნუ ღელავ, ელისო. არ დაიღალე, ამდენი ხალხის მოვლა-პატრონობით?..

_ იცი, ნიკა, მეც მყავდა ბებია. სოფიო ერქვა. ისიც იცი, ხომ, რომ ჩვენ ექვსი და-ძმანი ვიყავით?

_ ჰო...

_ სულ უნდოდა, რომ ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეცხოვრა, ყველას ერთად _ ცოლშვილიანად, ქმარშვილიანად და თანაც, ტკბილად ვყოფილიყავით ერთმანეთთან... შენ რომ მითხარი, კარგი გიქნია რომ არ გამაღვიძეო, _ როგორც ეკალი ჩამესო გულში...

_ კარგი, რა, ბებო, ნიკოლოზის დროინდელ ხალხს ადარებ ჩემ თაობას?! ყველაფერი იცვლება...

_ არა, კი არ იცვლება _ იკარგება... შვილს არ აჩენს ანი...

_ შენს თავზე იფიქრე, ელისო, საკუთარ თავზე. ოცდამეერთე საუკუნეა, არავინ იცის...

_ ...რა გველის, არა? კარგი, დღეიდან ჩემს თავზე ვიფიქრებ, მარტო... _ გაეღიმა ელისოს.

_ ჰოდა, ასე... მე წავედი, _ წამოდგა ნიკა.

_ არ დააგვიანო... ირაკლი თუ გამოჩნდა, რა გადავცე?

_ ელისო, ამწუთას არ თქვი, მარტო ჩემს თავზე ვიფიქრებო?!.

_ ჰო, კარგი, კარგი...

ნიკა გავიდა. ელისო ჩაფიქრდა. _ არა, არა... სჯობდა, სულ ქალები გაეჩინა... შენს თავზე იფიქრეო. რატომ? ცუდად რომ არ მოვიქცე, ალბათ...

ნიკა ტელევიზიაში ისევ კაფეში ელოდებოდა ნანას. ყავა უკვე დაელია. ახლა სიგარეტს ეწეოდა და ბარმენ გოგონას აკვირდებოდა, რომელიც კლიენტებს ემსახურებოდა.

ნანა სულ მალე გამოჩნდა. პიჯაკი და ხელჩანთა სკამის ზურგზე გადაკიდა, ჩამოჯდა და იდაყვები მაგიდას ჩამოაყრდნო. ორივეს ოდნავ ეღიმებოდა და თვალებში უმზერდნენ ერთმანეთს. მალე მათმა მტევნებმა ერთმანეთის თითებს დაუწყეს ძებნა. იპოვეს და დამშვიდდნენ...

_ რაღაც საჩუქარი მგონიხარ უფრო და არა _ ქალი... _ უთხრა ნიკამ.

_ ოჰო! აკი, ამინდივით ცვალებადი ხარო!.. შენ არ იყავი?.. _ გაეღიმა ნანას.

_ უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, არა მაქვს უფლება? _ იკითხა ნიკამ.

_ რა კარგია... როცა როგორ გნებავს, არა?! არაფერს შემომთავაზებთ? _ ისვენებდა და ნებივრობდა ნანა.

_ ყველაფერს, რასაც ინებებთ...

_ იცი, რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დრო წინ კი არა, უკან მიდის. თითქოს მთლიანად მომეხსნა პასუხისმგებლობა... ჰო, ჰო, თითქოს რაღაც უწონადობის მდგომარეობაში ვიყო, გეფიცები... _ თქვა ნანამ.

_ კი, ანგელოზები ვართ ორივენი და ჰაერში დავფრინავთ... _ გაეცინა ნიკას.

_ ჩამოვფრინდეთ მიწაზე?.. მაშინ, შამპანური და ჩიტის რძე _ ჩემთვის, _ ბრძანა ნანამ.

_ გოზინაყი არ გინდა? კაი... შოკოლადი?

_ კარგი, რაიმე “ბატონისნაირი” მაშინ, _ დაეთანხმა ნანა.

ნიკა დახლთან მივიდა. ბარმენი გოგონა, თან ნიკას ემსახურებოდა, თან რამდენჯერმე სხვანაირად გახედა ნანას. ასე, ქალები ხშირად მიანიშნებენ მამაკაცებს _ რაც მე ვარ, შენი “დამაც” იგივეაო... ნიკამ თავისთვის მიწის თხილი აიღო. შამპანური დაასხა.

_ შენს სილამაზეს!.. _ ადღეგრძელა და მოსვა. სასიამოვნო სითხემ ტკბილად დაუარა სხეულში.

_ შენს ნიჭიერებას!.. _ უთხრა ნანამ და იმანაც მოსვა. _ რას შვრება ჩემი პროექტი? წაიწია წინ? _ ბოკალი დადგა და იკითხა ნანამ.

_ პასპორტი თითქმის მზადაა. მარტო წითელი ხაზი დარჩა. ფული გადარიცხულია და ალბათ, ორ-სამ დღეში წამოვიღებთ. ხედავ, რა სწრაფად ჩამოვფრინდით მიწაზე!.. თითოც შევსვათ და იქნებ, ისევ ავფრინდეთ... _ შესთავაზა ნიკამ.

_ სხვათა შორის, ხშირად, ლიფტში ყოფნისას, მგონებია, რომ შენობას ავცდი და უკვე ცაში მივფრინავ ლიფტიანად. კი, კი, კივილამდე სულ ცოტა დამკლებია... _ თქვა ნანამ.

_ იცი, ძალიან მინდა, რომ ყელზე გაკოცო... _ უთხრა ნიკამ.

_ კი, ბატონო. ვითომ გინდა, რაღაცა ყურში მითხრა, _ უთხრა ნანამ და მისკენ გადაიხარა. ნიკამ გადაიწია და ამ დროს მისმა მობილურმაც დარეკა. ორივე ოდნავ დაფრთხა. _ არ გაგვიხეთქა გულები!? _ თქვა ნიკამ.

მობილურის ეკრანზე ირაკლის ნომერი ციმციმებდა.

_ შინ არა ვარ... _ თქვა ნიკამ და ტელეფონი გათიშა.

_ ვინ იყო? _ ჰკითხა ნანამ.

_ ჩემი ძმა, _ თქვა ნიკამ.

_ რატომ არ უპასუხე, თუკი მართლაც შენი ძმა იყო? _ დაეჭვდა ნანა.

_ "ბევრი რამ არის, ჰორაციო, ამ ქვეყანაზე, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ"... _ წარმოთქვა ნიკამ.

_ ასეა საქმე? რა ჰქვია?

_ ვის? ჩემს ძმას?

_ ჰო...

_ ირაკლი.

_ ირაკლი ბერიძე. როგორი ნაცნობი სახელი და გვარია!.. რას აკეთებს? _ დაინტერესდა ნანა.

_ არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს. რაღაც თეთრი ყვავის პონტში მუშაობს... _ თქვა ნიკამ.

_ რა-ა? _ გაეცინა ნანას. _ საინტერესოა.

_ ერთი სადღეგრძელო შეიძლება? _ იკითხა ნიკამ.

_ ოღონდ, რაიმე აბსტრაქტული, რა... _ თხოვა ნანამ. _ შენთან შეხვედრის შემდეგ რატომღაც, სულ აბსტრაქტულ ხასიათზე ვარ...

_ მაშინ, თეთრ რაშს გაუმარჯოს!.. _ თქვა ნიკამ.

_ რომელ თეთრ რაშს? _ თვალები გაუფართოვდა ნანას.

_ რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ჩამოგიქროლებს და თუ არ მოთოკე და არ დაიმორჩილე, გაფრინდება და _ დაემშვიდობე წარმატებებს... _ თქვა ნიკამ.

_ შენ უკვე ჩამოგიქროლა?.. _ შეეკითხა ნანა.

_ რა, არა? _ გაუკვირდა ნიკას.

_ ააა... ჩემზეა საუბარი? მე ვარ თეთრი რაში?.. მაგრამ ჩემი დამორჩილება რომ არც ისე ადვილია, ნიკა!.. _ თვალებში ჩახედა ნანამ. "მუქი, შავი თვალები და გრძელი შავი წამწამები. ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებს"... _ გაიფიქრა ნანამ.

ისევ დარეკა ნიკას მობილურმა. ისევ ირაკლი იყო. ისევ გათიშა ნიკამ ტელეფონი.

_ ხომ გითხარი უკვე, რომ შინ არა ვარ!..

ნანა ეჭვით უმზერდა ნიკას.

ირაკლი ნიკას თავისი ბინიდან ურეკავდა. ვერ გაეგო, რატომ არ პასუხობდა. მართალია, ძმები იყვნენ, მაგრამ ამდენი ხნის უნახაობამ ის ქნა, რომ ერთმანეთი თავიდან უნდა გაეცნოთ.

ირაკლის, ლადო, დეა და თათიკო ჰყავდა სტუმრად. სუფრასთან ისხდნენ და "ღრეობდნენ". ლადოს, თათიკო ეჯდა მუხლებზე. ლადო უძლებდა. დეა და ირაკლი შერიგებულიყვნენ. იმის ახსნა, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების შემორიგება მათი რბილი, დამყოლი ხასიათის გამო ძალზე ადვილია, ალბათ, არ არის საჭირო...

_ მითიშავს ტელეფონს, არ მელაპარაკება, _ თქვა ირაკლიმ.

_ არა უჭირს, შინ დაიჭერ, სად წავა?!. გურამამ გადამაგდო, იმ ახვარმა! ჩემი იყო ეგ ნაკვეთი, ჩემი!.. ამას დაუწყია ვაჭრობა, ამ ნათესლარს!.. დავაკლებინებინებო, რა!.. იმან ამასობაში, სხვა კლიენტი ნახა და გაყიდა. თანაც, მაინცდამაინც ჩემი ბიძაშვილის ხელში არ ჩავარდა?! _ ბრაზობდა ლადო.

_ კაი, კაი, ნუ დარდობ. მე რომ ჩავერევი!.. მთავარია, არაფერი იცოდეს. არ ეცოდინება, დამიჯერე, წარმოდგენაც არ ექნება... მაგან უბრალოდ, მიწა იყიდა. როგორც თვითონ ამბობს, მამაპაპეული.

_ ჰოდა, დააჯდა ზედ კრუხივით! _ თქვა ლადომ.

_ არა უჭირს, მოვთაფლავთ, ავაჭრი შინ და დავიჭერ. მაგისთანები შემიკერავს?! _ ამშვიდებდა ირაკლი.

_ რაზე ბაზრობთ, სიმონ? _ იკითხა თათიკომ.

_ შავი ოქროს საბადოზე... რა შენი საქმეა, რაზე ვბაზრობთ?! შენც საკითხი არ გადაგვიჭრა, რა, ერთბაშად!.. _ მოაკეტვინა ლადომ.

_ ჩვენ ბოდიში, მაღალ მატერიებზე საუბრობთ და ჩვენ ვერაფერს მივხვდებით, არა?.. გაშრა ყელი, ჩავყლურწოთ, რა, ერთი-ორი ყლუპი! _ ბოთლს გადასწვდა თათიკო.

_ გადაჯექი! _ უთხრა ლადომ.

_ რატომ? მშვენივრად ვარ მოკალათებული, _ იუარა თათიკომ.

_ ფეხი დამიბუჟდა.

ამის თქმაზე, დეა აკისკისდა. თათიკო სკამზე გადაჯდა.

_ რა გაცინებს? _ მიუბრუნდა დეას ლადო.

_ მე ვიცი, შენ რაც გაგიბუჟდა...

ამაზე უკვე თათიკო აკისკისდა. ლადომ თითი დაანახვა:

_ აღუ-უ! ნეკზე არ მიკბინო...

_ ეგ თქვენი ნავთობის საბადო ახალი აღმოჩენილია? _ იკითხა სასხვათაშორისოდ თათიკომ.

_ ბევრის ცოდნა უტვინობის ნიშანია, _ უთხრა ლადომ.

_ სიტყვამ მოიტანა, თორემ რაში მაინტერესებს, ნეტა!.. აი, ჩემი შავიც, თეთრიც და წითელი ოქროც... მიყვარს შამპანური, სირი და გოზინაყი, _ თქვა თათიკომ.

_ გახსოვს სკოლაში? _ გაახსენდა რაღაც საინტერესო დეას. _ აუ, რა დაუნი იყო ეს, იცით, სკოლაში?.. ერთი მასწავლებელი გვყავდა, საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა. სპირიდონას ვეძახდით... აიწევდა ეს თითს და _ სპირიდონ მას... სირი გიყვართ თუ გოზინაყი? კლასი წვებოდა.

_ ...არა, ფულზე ეგ არ წამოვა. რამე სხვა უნდა მოვიფიქროთ... _ გადაულაპარაკა ლადომ ირაკლის. _ თამაშობს თუ იცი?

_ წარმოდგენა არა მაქვს, _ თქვა ირაკლიმ.

_ რატომღაც მგონია, რომ ეგ იქ, ბირჟაზე თამაშობდა. სხვანაირად ამხელა ფულს ვერ იშოვიდა... შეაპარე, აბა, ერთხელ, სამორინეში წასვლა.

_ საყვარელი უნდა მოისყიდოთ, ეე, დებილებო! საყვარელი არ ჰყავს? _ დაარიგა დეამ ბიჭები.

_ მართლა, აი, ეს გამოგვადგება... ერთხელ უკვე იპეპლავეს ამან და იმან, _ ხელი დაადო თათიკოს ირაკლიმ.

_ მე? შენ, ბიჭო, როგორა ხარ, მე ფულზე გავიყიდები?!. რომელი იუდა მე მნახე?! არც იოცნებო! ირაკლი კი არა ვარ... _ თქვა თათიკომ.

ამის გაგონებაზე, დეას ლუკმა ყელში გადასცდა. იმდენი ახველა, ლამის დაიხრჩო. ირაკლიმ ბეჭებზე დაუტყაპუნა. მერე შამპანური მიაწოდეს და როგორც იქნა, მოასულიერეს.

_ არ გავიყიდებიო!.. ლამის დავიხრჩვი... _ თქვა დეამ. _ ქალი თუ გაბოზდა, ყველაფერზეც წამსვლელია, არ დაუჯეროთ...

_ ნეტავ, დამხრჩვალიყავ!.. _ მიაშტერდა თათიკო. _ მე მითქვამს _ ამ საქმეში არ გამოვდგები-მეთქი და ბასტა!

_ შენ რა ქოში უკუღმა ყარე, გოგო! _ არ მოეწონა ქალების ლაპარაკი ლადოს. _ ჯერ ვინმემ რამე დაგავალა?.. აქ დამთავრდეს ეგ ბაზარი!.. არ გამომივიდნენ უფასო დამცველები?! არ მომინდეს, თორემ, ას ლარში სტრიპტიზს გაცეკვებ მოედანზე. აქეთ კი არ შემეხვეწები?!

_ შენი ცოლი გაიყვანე შუა მოედანზე და ის აცეკვე სტრიპტიზის პონტში, შე ნაგავო! _ წაუსისინა თათიკომ და შამპანურით სავსე ჭიქა პირდაპირ სახეში შეასხა ლადოს...

შემდგომი მოვლენები კი, რაღაც წამებში, ელვის სისწრაფით განვითარდა: ფეხზე წამომხტარ ლადოს, თავზე ლოდივით დაეშვა თათიკოს "ტონიანი" მუშტი. ლადო წამით კი გაითიშა, მაგრამ მაშინვე მოვიდა აზრზე და თათიკოს ებდღვნა. იმწამსვე, მოჭიდავეებივით, ორივე, იატაკზე გაგორდა. დეა აწივლდა. ლადომ ქალს შუაკაური გამოსდო და ჩოქბჯენში გადაიყვანა. ტრიკო ჩახადა და როცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აზრზე მოვიდა, უკვე სიამოვნებას განიცდიდა და როგორც ლადოს მოეჩვენა, კრუტუნებდა კიდეც. ლადო კი თვალებს ველურივით აკვესებდა და უკანალს მთელი ძალით იქნევდა... დეას საშინლად მოუნდა. კაბა გაიძრო, ირაკლი დაითრია და ისინიც იატაკზე გაგორდნენ. ექსტაზი იმდენად ძლიერი იყო, რომ ყველაფერი წუთებში მომთავრდა. ცოტა ხანს გათიშულები ეყარნენ იატაკზე. მერე კი ოთხივეს ხარხარი აუტყდა.

_ მოგეწონა? _ ჰკითხა ლადომ თათიკოს, როცა სიცილით გული იჯერეს.

_ ცხოველი ხარ, პირუტყვი! _ უპასუხა თათიკომ.

_ ყველანი პირუტყვები ვართ, _ უპასუხა ლადომ.

_ რომ გიჩივლო?.. _ შეეკითხა თათიკო.

_ რა უნდა მიჩივლო?! _ აგდებულად უპასუხა ლადომ.

_ რა და სადაც ხელი მომკიდე, ახლა ხომ დაწითლებული მაქვს! _ უჩვენა ყველას, დაწითლებული კანი მკლავებსა და ბარძაყებზე თათიკომ. _ აი, ხედავთ?! ხვალ ესენი მთლად ჩამილურჯდება. ასეთი კანი მაქვს...

_ ამ ჩემს ფეხებს! _ თქვა ლადომ.

_ შენს ფეხებს, არა?.. ციხეში რომ ამოგალპობ, მაგასაც ვნახავთ! _ ახტა უცებ თათიკო.

_ ვის ამოალპობ ციხეში?! შენ ხომ არ გიღიტინებენ მაგ ტვინში, ეე! მე ლადო ვარ, გოგო, ბერიძე!

_ მე კიდევ, მურაზ ლეშკაშელის შვილი ვარ!

_ დიახ, _ დაუმოწმა დეამ თათიკოს.

_ ვისი, ვისი?? _ ყურებს არ დაუჯერა ლადომ.

_ მურაზ ლეშკაშელის, _ გაუმეორა თათიკომ.

_ მოიცა, მოიცა. მართლა თუ მაშაყირებ?

_ მართლა, _ თქვა ირაკლიმ.

ლადომ შეუსტვინა.

_ გამოდის, რომ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი გავაუპატიურე?!. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ასეთი მაგარი ვიყავი, არ მეგონა, ძმობას გეფიცებით! _ და ლადო უეცრად მუხლებზე დავარდა, მტევნები იაპონელივით მიატკუცა და თათიკოს პატიება თხოვა:

_ უნდა მაპატიო, აღარ ვიზამ. აი, აი... _ მაგიდიდან შამპანურის ბოთლი აიღო და თათიკოს გაუწოდა. _ აჰა, აი, დამასხი, დამაცალე, თუ გინდა _ ჩამარტყი. რაც გინდა, ის მიყავი!..

თათიკომ ბოთლი გამოართვა და მართლაც, თავზე დააცალა.

_ ასე, ასე, ყოჩაღ! _ აქეზებდა გაწუწული ლადო, თან შამპანურის ნაკადს პირს უღებდა და ცოტ-ცოტას ყლურწავდა კიდეც. მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია და აიზილა. ვინ ვის შამპანურს ასხამდა თავზე, ვინ _ კონიაკს და ვინ _ კარაქს უსვამდა და ხიზილალას ერთმანეთს ან ვინ ვის ლოკავდა და ვინ ვის სხეულზე რას ჭამდა, ძნელი აღსაქმელი იყო. ასე რომ, თავაშვებულ ორგიას მხოლოდ მზის ამოსვლამ დაუსვა წერტილი.

ირაკლის დიდი შანსი ჰქონდა, ძმა სარფიანად გაეყიდა...

იმ დღეებში ისევ შეხვდნენ თავიანთ საყვარელ ტელევიზიის კაფეში ნანა და ნიკა. ნანამ თხოვა: სანამ სახელი საბოლოოდ გაგვიტყდება, ისევ მანდ შევხვდეთ, თორემ სხვაგანაც რომ გვნახონ, ჩვენი ფოტოებით ჟურნალ-გაზეთებს ააჭრელებენო.

...საფერფლე სავსე იყო ნამწვავებით, ერთი ბოთლი შამპანური _ დაცლილი, მეორე კი _ ჩანახევრებული. ნიკამ საყელო შეიხსნა. უკვე თავისუფლად, "შენობით" მიმართავდნენ ერთმანეთს და აღარ ერიდებოდათ არც ერთურთის და არც სხვების...

_ არ ვიცი, რა ხდება... _ ამბობდა ნანა. _ შენთან როცა ვარ, მეხსნება ყველანაირი სტრესი, თითქოს ემოციებისგანაც კი ვიცლები... აი, პლანი რომ ჰქონდეს ადამიანს მოწეული, ისე...

_ ქვეყნის ბედიღბალზე არ ფიქრობ? ან მომავალზე? _ შეეკითხა ნიკა.

_ შენთან როცა ვარ?

_ ჰო...

_ კი, მთელი პლანეტის... არ გაგიგონია, რომ ადამიანს ფეხის ნეკზე "მაზოლი" უფრო მეტად აწუხებს, ვიდრე ის, რომ თუნდაც ნახევარი ხმელეთი წყალში ჩაიძიროს?

_ ამბობენ, ქალები მამაკაცის ხმას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე შესახედაობასო, მართალია? _ შეცვალა თემა ნიკამ.

_ შენ ეგ ძალიან გაწუხებს? _ დაინტერესდა ნანა.

_ ყოველ შემთხვევაში, იმაზე ბევრად მეტად, ვიდრე _ რამდენი ფეხი აქვს ჭიანჭველას, _ თქვა ნიკამ.

_ ჭიანჭველას აქვს ოთხი ფეხი და სამი თავი... _ თქვა ნანამ.

_ ოთხი ფეხი და სამი თავი ჭიანჭველას კი არა, გველეშაპს აქვს, გველეშაპს... დიახ, ახლა მე დავაღებ პირს და გადაგყლაპავ... _ თქვა ნიკამ.

_ ვაიმე, რატომ უნდა გადამყლაპო? ამირანი ხომ არა ვარ! _ შეიცხადა ნანამ.

_ აა, ამირანი გადაყლაპა, არა, შავმა ვეშაპმა?..

_ შავმა, წითელმა და თეთრმა... _ ხელი ნიკას ხელისკენ წაიღო ნანამ. _ მარტონი მინდა ვიყოთ, ძალიან, ძალიან მინდა, რომ შემჭამო და გადამყლაპო... _ უთხრა ვნებიანად.

ნიკა მისკენ გადაიხარა, შამპანური დაუსხა და ყელზე აკოცა. აი, ეს ყოველივე საკუთარი თვალით დაინახა თეონამ, რომელიც ანისთან ერთად, სწორედ ამ დროს, ბარის კიბეზე ჩამოდიოდა. დიახ, საკუთარი თვალით დაინახა, როგორ კოცნიდა მამამისი უცხო ქალს... თეონა გაშეშდა. ფერი დაკარგა. თითქოს რაღაც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარი რამ დაკარგა. ნიკას რატომღაც ზურგი აეწვა, მიიხედა და შვილის მომნუსხველ თვალებს წააწყდა. თეონა შეტრიალდა და კიბეზე აირბინა. ნიკა წამოდგა.

_ ბოდიში, ნანა, ჩემი ქალიშვილი იყო... _ თქვა და თეონას გამოუდგა.

ნიკამ გვერდი აუარა კიბეზე სახტად დარჩენილ ანის და კაფედან გაქრა. ანიმ საფეხურები ჩაათავა, წავიდა და პირდაპირ ნიკას სკამს დაესაკუთრა.

_ ქალბატონო ნანა, ნიკა რომ ჩემი ძმაა, თუ იცით? _ გამომწვევად დაუსვა შეკითხვა. ნანას ძალიან გაუკვირდა.

_ არა, არ ვიცოდი, _ თქვა მან გულწრფელად.

_ დიდი ხანია, იცნობთ? _ შეეკითხა ანი.

_ არც ისე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი... _ დააყოლა ნანამ.

_ ბოდიში, მაგრამ თუ უხერხული არ იქნება, ხომ ვერ მეტყვით, როგორ გაიცანით ან ვინ გაგაცნოთ? _ შეეკითხა ანი.

_ ანი, შენ რა, ინტერვიუს მართმევ?.. _ სიგარეტს მოუკიდა და ფეხი ფეხზე გადაიდო ნანამ. _ თან, რაღაც აგრესიას გამჩნევ ჩემს მიმართ. ადრე ასე ძმები იქცეოდნენ დების მიმართ და ეტყობა, ახლა შეცვლილია ყველაფერი... არ შეიძლება, კაცი და ქალი ერთმანეთს იცნობდნენ?.. თანაც, არა მგონია, ჩემმა ნაცნობობამ ნიკას რაიმე ავნოს, შენ როგორ ფიქრობ? _ ნამდვილად აინტერესებდა ანის პასუხი ნანას.

_ მაგან ერთხელ უკვე გაიმრუდა ცხოვრება... _ თქვა ანიმ.

_ მეც, სხვათა შორის... _ დაუფიქრებლად უპასუხა ნანამ.

_ თუმცა, რა ჩემი საქმეა, მაგრამ ასეთ სახალხო შეყრილობის ადგილას შეხვედრებს, მე თქვენს ადგილზე, თავს ავარიდებდი... _ თქვა ანიმ.

_ ეგ ალბათ, ნიკას უფრო ეხება. მეც ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა მოულოდნელმა შემოტევამ... _ თქვა ნანამ.

_ კარგით, რა, ქალბატონო ნანა!.. _ გაეცინა ანის. _ თქვენ გინდათ თქვათ, რომ საბაბი არ მიგიციათ და ეს პირველად ხდებოდა?..

_ რა თქმა უნდა, გენაცვალე! და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს მოხდა, პირველად და უკანასკნელად... _ ნანა ცდილობდა, საკუთარ სიმართლეში დაერწმუნებინა ანი.

_ კარგით, რა! ასე ქალები მამაკაცებს ატყუებენ, მაგრამ ქალი ქალს ვერ მოატყუებს... _ ჩაილაპარაკა ანიმ. _ არა, როგორ გეკადრებათ, მე სულაც არ ვაპირებდი, თქვენს ამბავში ჩარევას... ამ ინტიმურ სცენას რომ არ შევსწრობოდი...

_ არ ვიცი, მაგ წამიერმა სცენამ შენზე რა შთაბეჭდილება დატოვა, ანი... ერთს კი გეტყოდი, რომ მე და ნიკას საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს: მე მის ფირმასთან ხელშეკრულება გავაფორმე. ჩემი კოლეჯის პროექტირება და აშენება დავავალე.

_ ასე გეთქვათ თავიდანვე, _ გაეღიმა ანის. _ ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, თორემ, ამ თქვენი ბოთლების ფსკერზე დარჩენილი შამპანურის მიხედვით, სულ სხვა დასკვნა შეიძლებოდა გამოეტანა ადამიანს...

თეონა, რა თქმა უნდა, შინ, დედასთან გარბოდა. იმის გაცნობიერება, რატომ დასწყდა ასე გული, ამ მომენტში, მისთვის ძნელი იყო. გარბოდა, რომ დედისთვის მიეტანა ახალი ამბავი? გარბოდა, რომ გასცლოდა იქაურობას?.. ალბათ, ერთიც და მეორეც.

ნიკა შენობის გასასვლელთან წამოეწია. ხელი მოჰკიდა. თეონა მისკენ მიბრუნდა. ერთი კი შეხედა მამას და თავი ჩაქინდრა.

_ თეონა, შენ პატარა აღარ ხარ... _ უთხრა აქოშინებულმა ნიკამ. _ რას მარბენინებ ამდენ ხალხში?!

_ არ ვიცი, _ თქვა თეონამ.

_ რა არ იცი? რომ პატარა აღარ ხარ? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არაფერი არ ვიცი... _ თქვა თეონამ. _ თავი დამანებე!

_ შემომხედე! _ უთხრა ნიკამ. უნდოდა, თავი აეწევინებინა, მაგრამ თეონამ ხელი გააშვებინა.

_ თავი დამანებე! _ და გოგონას ცრემლები წასკდა.

_ კარგი, ნუ ტირი, რა ხდება?.. წამოდი! _ შერცხვა ნიკას იქ მდგომი მორიგე პოლიციელების და თეონა გარეთ გაიყვანა.

_ თავი დამანებე, მამა, გამიშვი! _ თხოვა თეონამ, გარეთ გავიდნენ თუ არა.

_ სად გარბიხარ?! მოიცა, აგიხსნა! _ უთხრა ნიკამ. თუმცა, რა უნდა აეხსნა და როგორ _ თვითონაც არ იცოდა.

_ გამიშვი, მამა, თავი დამანებე, არ მაინტერესებს... _ ტიროდა თეონა და ნიკა მიხვდა, რომ ვერც ვერაფერს აუხსნიდა და რომც აეხსნა, ბავშვს მაინც ვერ გადაარწმუნებდა. ესღა მოახერხა, რომ ეკითხა:

_ სად გარბიხარ, მაინც?

_ სახლში, დედასთან... _ სლუკუნებდა თეონა.

_ არაფერი არ მომხდარა... _ თქვა ნიკამ და მაშინვე ინანა _ თეონამ ისეთი განმგმირავი მზერა მიაპყრო. ნიკამ ისღა მოახერხა, რომ ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო და ბავშვს ხელში ჩაუჭმუჭნა. _ კარგი, წადი!

_ არ მინდა! _ უკან მიუგდო ფული ბავშვმა და ნიკა მიხვდა, რომ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა... ფული ქარმა ააფრიალა და ბორდიურს იქით, ბალახებში გადააგდო. თეონა მიბრუნდა და გაიქცა.

_ გაიზრდები და გამიგებ!.. _ ესღა მიაძახა ნიკამ. მერე კი იდგა და მისჩერებოდა, სანამ თეონა თვალს არ მიეფარა.

ვინ იცის, ვის უფრო მეტად დასწყდა გული _ მამას თუ შვილს?! “ნეტა, რა იცის ჩვენს შესახებ?” _ გაიფიქრა ნიკამ. უამრავი დიდი თუ პატარა ცოდვა ტრიალებს ჰაერში, რომელსაც არასოდეს არავინ ინანიებს. ამჯერადაც ასე იყო, ალბათ. “ცოდვა, რომელიც მშობლიდან შვილზე გადადის და საბოლოოო ჯამში, რა თქმა უნდა, მაინც, საზოგადოებას მოეკითხება...”

ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ ბერიძეების ოჯახმა ანისგან მაშინვე შეიტყო. ასე რომ, როცა ნიკა სახლში მიბრუნდა, ყველანი უკვე საქმის კურსში იყვნენ.

_ ნატოს დაურეკე, _ ურჩია ელისომ.

_ მე თვითონ ვიცი, _ მოჭრა ნიკამ.

_ არ დაურეკავ? _ გაუკვირდა ელისოს.

_ რა ვუთხრა მერე, ელისო, რომ დავურეკო? _ მიაჩერდა ბებიას ნიკა. _ ეს ანი კიდევ, ტელევიზიაში კი არა, ცე-რე-უში უნდა მუშაობდეს, მშვენიერი აგენტი იქნებოდა. ჯერ შინ არ მოვსულვარ და უკვე ყველამ ყველაფერი იცის. ისედაც ბოღმა მახრჩობს, არა?! _ ბრაზობდა ნიკა. თუმცა, გულმა ვერ მოუთმინა და მაინც დარეკა.

_ ნატო, ნიკა ვარ. მოვიდა თეონა?

_ არა. რა, ჩემთან წამოვიდა? _ გაუკვირდა ნატოს.

_ ჰო. ალბათ, მალე მოვა. დამირეკე, რა, როცა მოვა.

_ კარგი, _ უთხრა ნატომ.

_ ჯერაც არ მისულა? _ იკითხა შეშფოთებულმა ელისომ.

ნიკამ ყურმილი დაახეთქა.

_ ეს რა ქვეყანაა, იცით?! _ მიუბრუნდა ის ელისოს. _ თუ ერთი ფეხი წაგიცდა ოდესმე, მერე მთელი ცხოვრება ძმრად უნდა გადინონ ცხვირიდან. ლაწირაკი!..

_ თეონა კარგი გოგოა. თან _ როგორ უყვარხარ!.. _ არ დაუთმო ელისომ.

_ რა გინდა, ელისო, ჩემგან? გული გინდა, გამისკდეს? ამიხსენი! _ გამწარდა ნიკა.

_ კარგი, შვილო, დამშვიდდი. ყველაფერს ეშველება. მეშინია, ისევ ვინმეს ისეთს არ გადაეყარო...

_ ვის უნდა გადავეყარო, ელისო, კარგი რა! მე ჯერ ცოლის მომყვანი ვარ?! ორი დღეა, ჩამოვედი, ჯერ აკლიმატიზაციაც კი არ გამივლია წესიერად. მივიდეს, ერთი, ეს ბავშვი სახლში და მერე, ჩემს მომავალ ცოლზე კი არა, თუ გინდა, შაჰების ჰარამხანაზეც ვილაპარაკოთ.

კარზე ზარმა დარეკა. ნიკა გავარდა და გააღო. ზღურბლზე ირაკლი იდგა.

_ რახან შენს ნახვას ველირსე!.. _ თქვა მან და ძმა გადაკოცნა. _ ოფისი ვის არ გაუხსნია, მაგრამ სამუდამოდ იქ არ გადაბარგებულა. ზოგჯერ ძმებიც უნდა გაიხსენო. _ მაგრამ როცა ნიკას უგუნებობა შეატყო, შეეკითხა: _ მოხდა რამე?

_ არა, არაფერი, _ უპასუხა ნიკამ.

ირაკლი ახლა ელისოს შეეკითხა:

_ რამე მოხდა, ელისო? რატოა ეს კაცი ასე ჩაბოღმილი?

_ აბა, რა გითხრა, ირაკლი?!. დღე ერთია და პრობლემა _ ათასი. საიდან რა გამოტყვრება, არავინ იცის... შავი Dდღეების მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი კუნაპეტი წყვდიადი, ახლა რომ შემასწრო ღმერთმა... არა, არ ყოფილა არასოდეს.

_ აუ, ეგ არის მარტო ჩვენი პრობლემა?! _ სკამზე დაეშვა ირაკლი. _ კაი, რა, ნიკა. რა დაგევასებოდა ამწუთას ყველაზე მაგრად, მითხარი!

_ ბავშვი წავიდა დედამისთან, არ მისულა ჯერ და იმას ნაღვლობს, _ აუხსნა ელისომ ირაკლის საქმის ვითარება.

_ კაი, კაცო! მივა, სად წავა?! _ თქვა ირაკლიმ. _ სხვა, როგორ მიდის შენი საქმეები? დაიწყე რამე? _ ჰკითხა მან ძმას.

_ პირდაპირ მითხარი, თუ რამე გაინტერესებს, _ მიაშტერდა ძმას ნიკა.

_ გეტყვი! მაგრად მაინტერესებს! _ მიუგო, მისდა გასაკვირად, ირაკლიმ და ელისოს შეეხვეწა: _ ელისო, ერთი წუთით მარტო დაგვტოვე, რა. რაღაც სერიოზული საქმე მაქვს ჩემს ძმასთან.

_ კი, ბატონო, _ წინსაფარზე ხელები შეიმშრალა ელისომ და გავიდა. ირაკლიმ საქმიანი იერი მიიღო.

_ რას აპირებ იმ მიწაზე, მამაპაპეულს რომ ეძახი? იმხელა ფული რომ ჩადე. უნდა დააკონსერვო?

_ რაში გაინტერესებს? _ დაეჭვდა ნიკა.

_ როგორ, ძმის ამბავი არ უნდა მაინტერესებდეს და არც უნდა ვიკითხო?! _ იქით მიაწვა ირაკლი.

_ შენ მიწის ამბავი გაინტერესებს თუ ჩემი ამბავი?.. _ წარბი აუწია ნიკამ ძმას.

_ კაი, ვთქვათ, მიწის ამბავი მაინტერესებს... _ მიაჩერდა ირაკლი.

_ შენც ვინმეს მოგზავნილი ხომ არა ხარ, ბიჭო?! რაღაც სხვა ხმაზე ლაპარაკობ! _ მიახალა უცებ ნიკამ ძმას.

_ რა მოგზავნილი?! უბრალოდ, რჩევა მინდა მოგცე, _ არ დაიბნა ირაკლი.

_ კაი, აბა, მომეცი! გისმენ, _ თვალებში უყურებდა ძმას ნიკა.

ირაკლიმ თვალი აარიდა.

_ რა ვიცი. რას აპირებ?

_ ჯერ რომ არ ვიცი! რა გიპასუხო? _ იქით შეეკითხა ნიკა.

_ თუ არ იცი, მაშინ ჯობს, გაყიდო. რად გინდა, რომ ტყუილად ეგდოს?!

_ ეგ არის შენი რჩევა?.. მყიდველიც გყავს?.. რამდენს იძლევიან?

_ რაც შენ მიეცი, იმაზე ორჯერ მეტს, _ გაიხსნა ბოლომდე ირაკლი.

_ ლადოს კურიერი ხარ, ბიჭო?!.

_ შენ ხილი ნახე, მებაღეს რას კითხულობ?! _ არ გასცა პირდაპირი პასუხი ირაკლიმ.

_ არა, არ ვყიდი. არც ხილი მაინტერესებს, არც მებაღე. თავისუფალი ხარ! _ თქვა ნიკამ და წამოდგა.

_ ერთი მაგდენიც რომ დაგიმატონ?.. _ წამოხტა ირაკლი.

_ არც ერთი და არც ათი. რას ჩამაცივდი?! მე თვითონ უნდა მოვუარო მაგ მიწას, არ ვაპირებ არც გაყიდვას და არც გაჩუქებას და შემეშვით, ბოლოს და ბოლოს, შენც და ეგ შენი ახვარი ბიძაშვილიც! რაღა მაინცდამაინც მაგ მიწას დაადგა თვალი?! შენ არ მეუბნებოდი, რასაც ხელს მოჰკიდებს, ფულად უნდა აქციოსო?!

_ აი, მე მითქვამს და შენ თუ ასე გაფრინდები, მაგასაც ვნახავთ. ეტყობა, იმ უცხო ქვეყანაში შენც გაუცხოება დაგემართა, რომ აღარც ძმა იცი და აღარც ბიძაშვილი, _ სცადა, ნამუსზე შეეგდო ნიკა ირაკლიმ.

_ კაი, კაცო! _ გაეცინა ნიკას. _ მე ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი, მაგრამ აი, შენ კი, სულ სხვა ხარ...

ირაკლიმ აღარაფერი უპასუხა. კარისაკენ წავიდა.

_ დაგჭირდები მეც, _ თქვა და კარი გაიხურა.

_ რა საქმე ჰქონდა ისეთი, რომ ჩემთან არ ითქმებოდა? _ შემოვიდა ელისო.

_ აქ ხომ კიდევ, ყველამ ყველაფერი უნდა იცოდეს!.. _ ხელები გაშალა ნიკამ.

_ მაშ, შვილიშვილების ამბავი არ უნდა მაინტერესებდეს?! _ ეწყინა ელისოს.

_ ამწუთას, შვილთაშვილისა უფრო უნდა გაინტერესებდეს, რომ არ მისულა ჯერ სახლში, _ უპასუხა ნიკამ. _ გავიდოდი და მოვძებნიდი. მაგრამ სად ვეძებო?

ამ დროს, ტელეფონმაც დარეკა. ნიკამ ყურმილი აიღო. ნატო იყო. “ბავშვი კი მოვიდა, მაგრამ მამას აღარასოდეს ვნახავო, ამბობს და რა აწყენინე ასეთი?” _ კითხულობდა ნატო. რა უნდა ეპასუხა ნიკას? დღეს უკვე მერამდენედ, იძულებული იყო, გაჩუმებულიყო.

მეორე დღეს, სანამ ნიკა ოფისში მივიდოდა, თათიკომ დაურეკა მობილურზე. შენთან მოსვლას ვაპირებ და არ შეიცხადო, რომ მნახავ, არც თათიკო დამიძახო _ სინამდვილეში, ლელა მქვია, იცოდეო.

ნიკა ოფისში რომ მივიდა, ეკას მაგიდასთან ვიღაც კაცი იჯდა. ნიკას დანახვაზე წამოდგა და ხელები ასწია. _ ფინანსური პოლიციის რევიზორი ვარ, ზურაბ დუნდუა, მაგრამ ცუდი არაფერი იფიქროთ, გვაინტერესებს, რა ფირმაა, რას საქმიანობთ, საბუთები წესრიგში გაქვთ თუ არა, მოკლედ _ რა გიჭირთ, რა გილხინთ, აბა, თავიდანვე თუ არ შევამოწმეთ, დანაშაული რომ მოხდება, მერე შემოწმებას რა აზრი აქვსო?!..

_ კი, ბატონო, შეამოწმეთ, _ თავის მაგიდას მიუჯდა ნიკა. _ ჯერ საქმე არ დამიძრავს და რევიზორი რევიზორზე მორბის...

_ ეგ ნუ გაგიკვირდებათ _ მშიერი ქვეყანაა, მოგეხსენებათ, კაპიტალიზმში “გადმოვხტით”. ჯუნგლების კანონი ამოქმედდა. ჯუნგლებში კი, ხომ გახსოვთ, როგორც ხდება: ვეფხვი რომ კამეჩს წააქცევს და გამოფატრავს, შეჭამს და გამოძღება, მერე მგელი გამოჩნდება, მერე _ ტურა-მელა, მერე _ ყვავები და ყორნები და ბოლოს, ალბათ, ხვლიკი და თაგვიც დაძვრება იმ ძვლებში... ზოგს დიდი ლუკმა ხვდება და ზოგსაც _ პატარა... მოკლედ, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვის როგორი კუჭი აქვს. ასე არაა? _ მიაჩერდა ნიკას ზურაბ დუნდუა.

_ არ ვიცი... ნებისმიერ ქვეყანაში ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა, _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ გამოვედით _ ერთხელ, ორჯერ... სანამ ჩვენს მენტალიტეტს არ ეშველება, ტყუილია, სულ რომ ქუჩაში ვათენოთ და ვაღამოთ, არაფერი გვეშველება. მე სხვაზე ვარ დამოკიდებული, ის _ სხვა სხვაზე და საითაც მიდის ეს ჯაჭვი, თქვენც მშვენივრად იცით. რა, საზღვარგარეთ სხვანაირადაა? ყველგან ერთი და იგივე ხდება. ზოგან _ აშკარად,

ზოგან _ ფარულად... მაინცდამაინც ამერიკელებივით გვინდა ვიცხოვროთ, იქვე, გვერდზე ჩილე, პერუ და კოლუმბია რა დღეშია, ის არავის ახსოვს... არა ვარ მართალი?

_ მოკლედ, წესრიგშია ჩვენი საბუთები? _ შეეკითხა ნიკა, რაც დაახლოებით იმას ნიშნავდა _ დროზე ახლა და აახვიეო... მაგრამ რევიზორი, როგორც ჩანს, წასვლას არ აპირებდა.

_ ჯერჯერობით, კი... მომეწონა, რაც ვნახე. წინასწარ მინდა გითხრათ, რომ მე მთლიანად თქვენს მხარეზე ვარ.

“ნეტა, მატყუებს თუ მართალს ამბობს?” გაიფიქრა ნიკამ.

მისაღების კარი გაიღო და ყავის ჭიქით ხელში, ეკა გამოვიდა. ნიკას დანახვა რატომღაც შეიცხადა.

_ ოი, თქვენც მობრძანდით უკვე?! აი, ისევ რევიზორი გვყავს... ინებეთ, _ ეკამ ჭიქა დაუდგა სტუმარს და ნიკას მიუბრუნდა. _ თქვენც მოგიდუღოთ?

_ კარგს იზამ, _ უპასუხა ნიკამ.

_ კოლუმბიის უნივერსიტეტში როგორ მოხვდით? _ ყავა მოსვა და წელში გასწორდა რევიზორი.

_ როგორ? აი, როგორც თქვენ ბრძანეთ: ჯერ კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანმა, ვისთანაც სამთვიან სტაჟირებაზე ვიყავი გაგზავნილი აკადემიიდან, დაურეკა იტალიის ელჩს ამერიკაში, თვითონაც იტალიელი იყო და იმიტომ; მერე იტალიის ელჩმა ამერიკაში დაურეკა ამერიკის ელჩს რუსეთში, მერე ამერიკის ელჩმა რუსეთში, დაურეკა რუსეთის ელჩს ამერიკაში და მერე იმ ელჩმა დამრთო უფლება, შემეტანა საბუთები კოლუმბიის უნივერსიტეტში.

_ ჰოდა, რატომ გიკვირთ მაშ, აქ რომ რევიზორები მოდიან და გამოწმებენ? ხელი ხელს ბანს და ორივე კი _ პირსო, _ ასეა ყველგან. ვერსად გაექცევი.

ამ დროს კარი გაიღო და ოფისში, თავისი ლამაზი სიელმით, ლელა-თათიკო შემობრძანდა. დიახ, ის გახლდათ სწორედ ის ქალბატონი, რომელიც ნიკას თვითმფრინავში შეხვდა. ყველაფერი ნათელი იყო ნიკასთვის, ერთადერთი რამის გარდა: შემთხვევითობა იყო, რომ მათი გზები ასე სწრაფად გადაიკვეთა, თუ შურისძიების ნაწილი, რომელსაც ლელა შეჰპირდა...

რევიზორი, ზურაბ დუნდუა, რომელიც კარის პირდაპირ იჯდა, ლელას დანახვაზე სკამიდან ისეთი სისწრაფით წამოხტა, რომ კინაღამ მაგიდა ააყირავა და ყავა არ გადაისხა. მერე ხელები გაშალა და ლელასკენ გაიქცა. ლელამ ცივად გაუწოდა მარცხენა. რევიზორი მოკრძალებით ემთხვია ხელზე და დადნა:

_ ქალბა-ატონო ლელა, როგორ ბრძანდებით? რა მშვენი-ივრად გამოიყუ-რეებით.

_ მოკლედ, სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან თქვენ უნდა დამხვდეთ?! _ ცივად უპასუხა ლელამ და მიიხედ-მოიხედა. _ ბატონი ნიკა მინდოდა, ბერიძე.

_ მე გახლავართ, _ თქვა ნიკამ და წამოდგა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ორივეს, რა თქმა უნდა, ეშმაკები უციმციმებდა თვალებში. ეს თათიკო არ იყო, ეს იყო ქალბატონი ლელა _ ცივი, როგორც ყინულის ლოდი, შემოტმასნილდეკოლტიან შავ კაბასა და მაღალქუსლიან მოკასინებში.

_ ეს მშვენიიერი ქალბატონი, ბატონო ნიკა, გაახლავთ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი. ჩვეენი პირველი შეფის, _ წარუდგინა ნიკას, რევიზორმა ზურაბ დუნდუამ ლელა.

_ ა-ა, _ თქვა ნიკამ, _ ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან მობრძანდით.

_ მაგრამ მე არავითარი სურვილი არა მაქვს, რევიზორების თანდასწრებით გელაპარაკოთ, _ თითქოს მარცხენა მტევნის საჩვენებელი თითი გადაუწკაპუნა ლელამ დუნდუას.

_ როგორ გეკადრებათ?! მე მოვრჩი, მე ამწუთას მი-ივდივარ... მი-ივბრბივარ, ათასი სხვა საქმე მაქვს... _ სასწრაფოდ წამოავლო თავის შავ ჩანთას ხელი ზურაბმა და ნიკას მიუბრუნდა: _ აბა, გი-იტოვებთ ამ მშვენიერ ქალბატონს და იმედი მაქვს, არ აწყე-ენინებთ...

ლელამ მტევანი გაუწოდა. დუნდუამ აკოცა და გაქრა.

_ შენ რომ დაგინახა, ენა დაება, _ თქვა ნიკამ, მაგრამ მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, რადგან მისაღების კარი გაიღო და ეკა გამოვიდა, ყავის ჭიქით ხელში.

_ აა, გამარჯობათ! _ მიესალმა ის ლელას და ნიკას მიუბრუნდა. _ ბატონო ნიკა, თქვენი ყავა...

_ ეკა, შეგიძლია შენს მაგიდასთან დაბრძანდე და ეგ ყავა შენ თვითონ მიირთვა, _ უთხრა ნიკამ და ლელას მიუბრუნდა: _ აქეთ შემობრძანდით.

_ არა, იცით... _ ცივად თქვა ქალბატონმა ლელამ. _ მე მინდა, რომ თქვენ თვითონ წამობრძანდეთ და ადგილზე დაათვალიეროთ ყველაფერი.

_ ამწუთას? სად მივდივართ? _ იკითხა ნიკამ.

_ აქვე, ანანურთან ახლოს... არა, თუ საქმე გაქვთ, ცოტას დაგელოდებით, _ იმდენად ოფიციალური იყო ლელა-თათიკო, რომ ნიკა დაიბნა.

_ თქვენ მართლაც, რაიმეს დაკვეთას აპირებთ თუ?..

_ კი, რა თქმა უნდა, სამ-ოთხსართულიანი ვილა მინდა ავიშენო ჩემს ნაკვეთში. დაგიცადოთ თუ წამობრძანდებით?

_ წავიდეთ, კი, ბატონო, _ მხრები აიჩეჩა ნიკამ, რადგან ისევ ვერ მიხვდა, ტყუოდა თუ მართალს ამბობდა თათიკო. და ნიკამ ქალბატონ ლელას კარისკენ მიანიშნა.

_ ბატონო ნიკა, დაბრუნდებით? _ შეეკითხა ეკა.

_ რა თქმა უნდა, _ შეურაცყოფად მიიღო ეკას ნათქვამი ქალბატონმა ლელამ და გავიდა. ნიკამ კი ისევ მხრები აიჩეჩა ეკას დასანახავად და ლელას მიჰყვა.

“ვინა ვარ, სად მივდივარ?.. ან რა მინდა ახლა ანანურში?.. ან ვინ არის ეს მსუქანი, ელამი ქალბატონი, რომელიც იანუსივით, ორსახოვან ნიღაბს ატარებს?.. ან რა საერთო აქვთ ამ ორ ქალს ერთმანეთთან? ისე იქცევა, თითქოს, არც ვიცნობდეთ ერთმანეთს”, _ ფიქრობდა ნიკა, მცხეთის გზაზე მისრიალე მერსედესის რბილ სავარძელში ჩაფლული. ლელა-თათიკო ისევ სერიოზული ქალბატონი იყო. მთელი გზა ფანჯარაში იყურებოდა და არ ლაპარაკობდა.

მძღოლს პოლიციის ფორმა ეცვა. ჩაფიქრებული და ცოტა აგრესიულიც კი იყო, როგორც დღევანდელი ახალგაზრდობის უმეტესობა...

_ მოვედით, _ თქვა ლელამ, როცა მანქანა გაჩერდა.

მძღოლი გადახტა და კარი გაუღო.

ნაკვეთს, ოთხ-ხუთმეტრიანი, ნაცრისფრად შეღებილი აგურის გალავანი ერტყა.

_ მე მანქანაში დაგელოდოთ? _ იკითხა მძღოლმა, როცა რკინის ალაყაფის კარი გამოაღო.

_ როგორც გინდათ! _ უპასუხა ლელამ.

“მძღოლსაც “თქვენობით” ელაპარაკება”, _ გაიფიქრა ნიკამ.

_ მაშინ დავრჩები, _ თქვა მძღოლმა.

_ აი, ეს არის ჩემი სივრცე, _ უთხრა ლელამ და იქაურობას თვალი მოავლო. _ სამი ათასი კვადრატული მეტრია. გვერდით, როგორც ხედავთ, არაგვი ჩამოუდის. დანარჩენი თქვენ იცით.

სივრცე საკმარისი იყო. ოდნავ დამრეცი.

_ რა თანხაზეა საუბარი? _ იკითხა ნიკამ.

_ თანხაზე მე ვიფიქრებ. თქვენ მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ჩემი ვილა, აგარაკი, შენობა, ნაგებობა _ რაც გნებავთ, დაარქვით, _ ჩვენში დღემდე აშენებულ ყველა აგარაკს სჯობდეს. ხომ შეძლებთ?

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეშმაკუნები ისევ ორივეს უციმციმებდა თვალებში, ოღონდ ახლა _ ამოხტომას ლამობდა...

_ ალბათ, კი, _ უპასუხა ნიკამ.

_ აი, მხოლოდ ის, _ ხელი ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ქალბატონმა ლელამ, _ მხოლოდ ის, ველური წაბლის ხეივანი, მინდა დარჩეს უცვლელად.

_ ეგ ადვილია, _ უპასუხა ნიკამ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი, _ მოკლედ მოჭრა ქალბატონმა ლელამ. _ ახლა კი, თქვენს პირად საკითხზე გადავიდეთ.

_ რა საკითხზე? _ გაუკვირდა ნიკას.

_ რა და მინდა, იცოდეთ, რომ თქვენს ნაკვეთზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ შეიძინეთ, დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ეჭვი მეპარება, რომ ჩამოგართმევენ.

_ ჩამომართმევენ?! თქვენ საიდან იცით? _ გაუკვირდა ნიკას.

_ შემთხვევით გავიგე. მე ამ აგარაკის პროექტი უკვე შეკვეთილი მქონდა, რაღაც თანხის ნაწილი _ გადახდილიც. მაგრამ არ მინდა, რომ მარტო იყოთ და ის კონტრაქტი გავაუქმე. ხომ მიხვდით?

_ ჩემი მფარველი ანგელოზი ყოფილხართ... _ თქვა ნიკამ.

_ რატომაც არა?! ამ საღამოსთვის ნურაფერს დაგეგმავთ. ხვალ კი, ჩემი მდივანი ყველა საჭირო საბუთს მოგაწვდით.

_ ბოდიში, მაგრამ რა საქმიანობას ეწევით? _ დაინტერესდა ნიკა.

_ ფიტნეს-კლუბი მაქვს ქალაქის ცენტრში. რაიმე მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის? _ კითხვითვე უპასუხა ლელამ.

_ გასაგებია, _ თქვა ნიკამ და თავისთვის კი გაიფიქრა _ იმ ფიტნეს-კლუბში, შენს ადგილას, ერთ-ორ კილოს დავიკლებდიო.

_ ახლა კი _ წავიდეთ! _ თქვა ლელამ.

უკან დაბრუნდნენ და ქალბატონმა ლელამ ნიკა მის ოფისთან ჩამოსვა.

თათიკომ ზუსტად ცხრაზე დარეკა.

_ ნიკა, ვერცხლისფერი "ჯიპ-ესკორტით" ვიქნები. შუშები დაბურული აქვს, იცოდე. სამი დუბლვე, რვაას ოცი. ხომ შეგიძლია, ძველი უნივერმაღის წინ დამელოდო? ნახევარ საათში მანდ ვიქნები.

თათიკომ ძველი უნივერმაღის კარის წინ თავისი ჯიპი ზუსტად ნახევარ საათში დაამუხრუჭა. ნიკა მოხერხებულად ჩახტა მანქანაში. თათიკომ თავი მისკენ მიაბრუნა და ორივე თვალი ჩაუხუჭა. ნიკამ ტუჩებში მსუბუქად აკოცა. "მპა" _ გაისმა მანქანაში.

თათიკომ მანქანა დაძრა. სანაპიროზე ჩაუხვია და აღმოსავლეთისკენ "დააწვა".

_ საზიზღრად მომენატრე, _ უთხრა მან ნიკას. _ შენ?

ნიკა დუმდა. არ იცოდა, რა ეთქვა.

_ იცოდე, თუ ხმას არ ამოიღებ, პირდაპირ მტკვარში მივუშვებ! _ თქვა თათიკომ.

_ მე მხოლოდ სექსი მაკავშირებს შენთან... _ თქვა მშვიდად ნიკამ.

_ მართლა? გენიალურია! _ ნამდვილად გაუხარდა თათიკოს. _ მე მხოლოდ მაგის მეშინოდა...

მანქანა რიყის გვირაბში გაძვრა. გვირაბის თაღებს ჯერ კიდევ დაჰკრავდა ნაციონალური ელფერი. მიუხედავად კვეხნისა, ტაძრების გარდა, რომლებიც ერთფეროვნებით გამოირჩევა, წმინდა ქართული თანამედროვე არქიტექტურა ქალაქში

ნაკლებად იყო და ეს კარგად იცოდა ნიკამ. ისიც იცოდა, რომ ნამდვილი ქართული "ოქროს ხანა" ჯერაც არ დამდგარიყო და თავის დრო-ჟამს უცდიდა...

თათიკომ "ორთაჭალ-ჰესთან" მარცხივ აუხვია და აღმართს აუყვა. მერე მარჯვნივ გადაუხვია და მანქანამ, გზაზე გაჩენილი მიწაყრილების გამო, როგორც ცხენმა, პატარა ეზოში ისე შეაჭენა.

_ ახლა მე შენ გაგაკვირვებ, _ უთხრა თათიკომ. და ნიკა მართლაც გააკვირვა.

ეზოში პატარა, სუფთა აუზში ცოცხალი თევზები ლივლივებდნენ, კლდეში გამოჭრილ გალიებში ხოხბები ბუდობდნენ, ხოლო პატარა ბაღში, კვიპაროსზე ნამდვილი ფარშავანგები ისხდნენ...

_ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი კუთვნილებაა, _ უთხრა თათიკომ. _ თუ კარგად მოიქცევი, ერთ გასაღებს შენც მოგცემ.

_ და ვინ უვლის ამ სახლს? _ იკითხა ნიკამ.

_ მომვლელი, _ უპასუხა თათიკომ.

_ მერე სად არის? _ იკითხა ნიკამ.

_ სამალავში. წინასწარ ვაფრთხილებ ხოლმე, _ უპასუხა თათიკომ.

_ რაღა გრაფი მონტე-კრისტო და რაღა _ შენ!.. _ გაეცინა ნიკას.

გარშემო ყველაფერი ქართული იყო _ უბრალო, სადა და ქართული. სახლის სახურავი. რიკულებიანი აივანი და მარანი, ქართული ტახტით, ტაბლათი და ჯორკოებით. მარანში გრილოდა. თათიკომ ანკესი და მისატყუებელი მისცა ნიკას.

_ მიდი, დაიჭირე. თუ არ გითევზავია არასოდეს? _ ჰკითხა მან ნიკას.

ნიკამ იცოდა თევზაობა. ორ წუთში სამი თევზი ამოაგდო. თათიკომ კი ქვევრს მოხადა თავი.

_ რქაწითელია, სამი წლის, _ უთხრა მან ნიკას და ჭიქა მიაწოდა.

ტანინიანმა ქარვისფერმა ბრწყინვალე სითხემ ნიკას ძარღვებში ტკბილად დაუარა.

და ნიკა "პირველ პარტიაზე" წავიდა. იქვე, ტახტზე მიაწვინა. თათიკო არ გასძალიანებია. ოდნავ გაუწკაპუნა ლოყებში და რაღაც გაიფაფხურა, რომ ვაჟს ნდომა გაზრდოდა. ქალებში ყველაზე მეტი მაინც _ "რძე და თაფლია", _ გაიფიქრა უკანასკნელი აკორდებისას ნიკამ და როგორც ზღვის თბილ და გიჟმაჟ ტალღებს, თათიკოს მკვრივ, აბორგებულ სხეულს მინებდა.

დილით ნიკამ შედარებით გვიან გაიღვიძა. საათს შეხედა _ ისრები თერთმეტს გვარიანად გადაცდენოდა. სიმსუბუქე იგრძნო. თუმცა მთლიანად დაწრეტილი იყო, სიმსუბუქე მაინც ღვინოს დააბრალა. კარგმა ღვინომ იცისო, _ გაიფიქრა. დაწრეტილობა კი, მოგეხსენებათ, რამაც იცის და ნიკა სააბაზანოში შევიდა. შხაპი გადაივლო, პირი გაიპარსა და გამოვიდა. სახლში სიწყნარე იყო.

მისდა გასაოცრად, სამზარეულოში თაზო დახვდა. ლუდის ბოთლი მოედგა და წრუპავდა.

_ ნიკა, მითხარი, რა, დავაშავე რამე? _ და თაზომ დაბრეცილი თვალებით შეხედა ნიკას.

"ეჰეე, _ გაიფიქრა ნიკამ. _ ეს მგონი, მთვრალია უკვე".

_ არა, ხომ უნდა ვიცოდე, არა, რა დავაშავე?! მე ცოლი იმიტომ მოვიყვანე, რომ შვილები მყოლოდა. რატომ მოჰყავთ ცოლი? ამიტომ არ მოჰყავთ? _ დაუსვა შეკითხვა თაზომ ნიკას.

_ ალბათ, მაგიტომ, _ უპასუხა ნიკამ და თავისთვის ყავის მომზადებას შეუდგა.

_ ჰოდა, რატომ არ აჩენს, მე მაგის დედა ვატირე! _ თქვა თაზომ და მუშტი დასცხო მაგიდას.

_ ეგ ცოლს უნდა ჰკითხო, _ უპასუხა ნიკამ.

_ ვეკითხები, ყოველდღე ვეკითხები, მაგრამ იცი, რას მპასუხობს?

_ რას?

_ შევრჩებით, რომ?! შევრჩებით, რომ?!. _ სულ ამას გაიძახის.

_ მერე, შენ რას ეუბნები? _ საუბრის გასაგრძელებლად ჰკითხა ნიკამ.

_ რატომ არ უნდა შევრჩეთ, ტო?! რატომ?! შვილი თუ გვეყოლება, უფრო არ შევრჩებით?!

შემოსასვლელი კარი გაიღო და დაიკეტა. ნიკამ გაიხედა. ანი შემოსულიყო. მაგრამ არ შეეხედებოდა: "პირგამეხებულ ვეფხვს" ჰგავდა.

_ ჩემი გადარეული შინაა? _ ჰკითხა მან ნიკას.

ნიკამ თაზოსკენ გაიხედა და ანი მიხვდა, რომ თაზო სამზარეულოში იყო.

გამწარებული ანი სამზარეულოში შევარდა.

_ ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! _ თავზე წამოადგა დოინჯშემოყრილი ანი ქმარს.

_ შენ?! _ წამოუხტა იმწამს თაზო.

_ იცი, რა ქნა ამ დეგენერატმა, იცი, რა გამიკეთა?! ჩემი რედაქტორი უგინებია!

_ რა-ა? _ პირი დააღო ნიკამ.

_ ჰო, შეხვედრია გოგიტას მთვრალი და უგინებია.

_ არ იყო საგინებელი? არ იყო?! რომ არ მოვკალი, არ გიხარია?! _ ახტა თაზო. _ შეხედე, როგორ აცვია, ყველაფერი უჩანს ამ ჩემისას! შეიძლება, ასე სამსახურში სიარული?

_ მერე, გოგიტა რა შუაშია?! _ გაუკვირდა ნიკას.

_ რა-ა? ასე ჩაცმულ ქალს სამსახურში გავაჩერებ?! ტელევიზიაა თუ ბარდელი, ვეღარ გავიგე... _ ხელები გაშალა თაზომ.

_ უსმენ?! უსმენ ამ დეგენერატს, რეებს ამბობს?! _ წამოიძახა ანიმ.

ნიკამ დას ახედ-ჩახედა. ის მართლაც, მთლად გაშიშვლებულიყო. ნიკამ თავი მოიფხანა.

_ დააგრძელე შენც ცოტა, მართლაც... ან ეგ ჭიპიც და ხორცებიც რომ გადმოგიყრია... გიხდება?! _ ჰკითხა დას ძმამ.

_ ესეც მე ვარ?! ვეჭვიანობ, ტო! _ ხელები ცაში ასწია თაზომ.

_ შენც ამის მხარეს იჭერ, ამ დეგენერატის?! _ გამწარდა ანი. _ ვისაც არ მოსწონს, ნუ შემომხედავს... და ბოლო-ბოლო... _ მიუბრუნდა ქმარს ანი. _ ერთხელაც ჭამ ბებიაშენისას?! აახვევ აქედან!..

_ ახლავე ავახვევ, ტო! შენი დედაც ვატირე! არ გამიტრაკა თავისი სახლით?! _ თაზო წამოხტა და გავარდა.

_ არ მოგბეზრდათ ეს ამდენი ქაჯომანია?.. _ ჰკითხა ნიკამ დას.

_ ერთი მაგის... _ აიქნია ანიმ ხელი და თავის ოთახში შეიკეტა.

ნიკა სამსახურში ახალი მისული იყო, როცა ვერიკომ დაურეკა და უთხრა: დედა, გცალია, არ გცალია _ სასწრაფოდ შინ მოდიო! ნიკამ ჰკითხა _ მამის ამბავი ხომ არ არისო? _ არა, ყველანი ცოცხლები ვართ, რეზია დაჭერილი და უნდა მოხვიდეო, _ უპასუხა ვერიკომ.

...ნიკა შინ შევიდა თუ არა, ვერიკომ მიაყარა.

_ აქ, ჩვენი სადარბაზოს წინ გადაჰყრიან ერთმანეთს ეგ და თაზო... სამორიგეოში ჰყავთ. დღესვე თუ არ დავიხსენით, მერე ძნელი იქნება, _ სასოწარკვეთილი იყო ვერიკო.

_ ორივეა დაჭერილი? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არა, თაზო საავადმყოფოშია.

_ დაჭრილია?! _ შეშინდა ნიკა.

_ არა, ნაბეგვია. მაგრად, _ უპასუხა ვერიკომ.

_ კაი, მაშინ, დამშვიდდი. გადავრჩენილვართ და ეგ არის, _ დაამშვიდა დედა ნიკამ. _ მომისმინე და დამიჯერე, კარგი?

_ ჰო, _ უთხრა ვერიკომ.

_ დაურეკავ ირაკლის და ეტყვი, რაც ხდება. უთხარი, რომ რეზი გამოაშვებინოს. მე არ მახსენო, ხომ გაიგე?

_ როგორ, ირაკლის შენზე მეტი ბლატები აქვს? _ შეეკითხა ვერიკო.

_ რასაც გეუბნები, ის გააკეთე. რა დროს ასეთი სულელური შეკითხვებია, დედა?! _ ეწყინა ნიკას.

ნიკამ ზუსტად გათვალა. ლელა-თათიკოსთან უხერხულ ლაპარაკსაც აარიდა თავი და ირაკლისთან ურთიერთობასაც.

რეზი ერთ საათში გაუშვეს. ნიკამ რეზისთან მისვლა გადაწყვიტა. ანი კი მთელი დღე საავადმყოფოში იყო, ტიროდა და თავის "დეგენერატ ქმარს" დაჰფოფინებდა. "ჩემი ბრალია, მე გაგამწარე", _ უბოდიშებდა ის ქმარს და ტუჩებში კოცნიდა. სულ არ ერიდებოდა იქ მყოფი სხვა ავადმყოფების... არ შევარჩენო! _ იმუქრებოდა თაზო.

_ რა უნდა, ტო, ჩემგან?!. მოვკლავ, ჩემ დედას გეფიცები! ერთხელაც რო მცემოს?! გამწარებული ვარ, გაგიჟებული, ჩამოვრბივარ ჩემთვის კიბეზე, გამოვედი სადარბაზოდან და ფეხი არ დამიდო?! გიჟი, ნუ, ნამდვილი ცენტრი!.. ორივე ფეხი მაქვს ამოვარდნილი. ვერც ერთს ვერ ვადგამ, ვერც მეორეს, ჩემი დედა, რა!.. ფული უნდა _ მე უნდა მომადგეს, დალევა უნდა _ მე უნდა მომადგეს, ქალი უნდა _ მე უნდა მომადგეს და სადაც დამიჭერს, იქ მიბრახუნებს, ეე! პატარა ღობე მნახა, არა?! თუ არ გამოვფატრო, ერთხელაც რომ თითი დამაკაროს!.. დედას ვფიცავარ... _ ბობოქრობდა თაზო.

_ შენ დაწყნარდი, მაგას მე მოვუვლი. თუ ეგ დღეიდან ჩემ სახლში ფეხს ამოადგამს, მაგასაც ვნახავ! _ ამშვიდებდა ანი ქმარს.

_ პატრულს რომ არ დაეჭირა?.. მახრჩობდა, ტო!.. ვხრიალებდი უკვე, ჩემ დედას გეფიცები. გარეკილი აქ, ტო, რა დონეზე!..

_ კაი ერთი, გახრჩობდა კი არა... ნუ იცი ხოლმე შენც გადაჭარბება...

_ წინა დღეს მომადგა, დავალევინე. იმის წინა დღეს მომადგა, დავალევინე და...

_ ჰოდა, შენ გადაგირევია, გენაცვალე! ალბათ, ბელაია გარიაჩკა დამართე, _ დაადანაშაულა ქმარი ანიმ.

_ ერთი გავიდე აქედან! რასაც დავმართავ, შენ თვითონ ნახავ!

_ ხომ ხედავ, რომ გიჟია! შენც ადექი და მოერიდე, რა! მაგისთანები უნდა აქო და ერიდო! მაგრამ, შენც რომ გჭირდება საბუტილნიკი, გენაცვალე! არ მითხრა ახლა, არაო... მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო, _ ზუსტად თქვენზეა ნათქვამი!.. _ ანიმ აღარ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა მიჟეჟილი ქმარი.

პალატაში ქათქათა ნეილონისხალათიანი, საოცრად ლამაზი, რუსი მორიგე ექთანი შემოვიდა. თერმომეტრები ჩამოარიგა და გავიდა. ანი კი იცნო, მაგრამ მაინც მაღლიდან გადახედა. ასე, საკუთარ სილამაზეში დარწმუნებულმა ლამაზმანებმა იციან.

_ რა მაგარი ნაშაა, არა? _ ცოლს შეხედა თაზომ. _ დააკვირდი, რა გადასარევი ბიუსტი ჰქონდა, რამსიმაღლე?! მორიგეა ამაღამ, _ თვალი ჩაუკრა თაზომ ანის. _ ხომ ღირდა, მასეთი ნაშის გასაცნობად, ორივე ფეხის მომტვრევა... ზოია ჰქვია.

_ ზოია? _ ენა ჩაუვარდა ანის და გულშიც გაჰკენწლა. _ შენ მართლა ორივე ფეხი გაქვს გადაბრუნებული?.. სულ ვერ ადგამ ფეხს?.. _ ჰკითხა მან ქმარს. _ დიდხანს უნდა ეგდო აქ?!!

_ სანამ ზოიას არ გავჟიმავ, _ ცეცხლი წაუკიდა ცოლს თაზომ.

_ მე ვიცი შენი! _ თვალები გადაუტრიალა ანიმ. _ დღესვე წაგათრევ სახლში. საკაცით წაგიღებ.

_ როგორ გეკადრება?!. შენ ხომ არ გახდევინებ _ მე ვიხდი, არა, ჩემი მკურნალობის ფულს! არ არსებობს!.. რომ მერე სული ამომხადო _ სულ ჩემი მოსავლელი როგორ ხარო, რომ მიძახო, არა?! _ ფეხები გაფშიკა თაზომ.

_ თავს ნუ იმკვდარუნებ, არაფერი მოსავლელი შენ არა ხარ!.. გაგაზოიავებ მე შენ!

ანიმ მთავარი ექიმი ნახა და ზოიას გადასარევი ბიუსტის გამო, ერთ საათში თაზო შინ, თავის ლოგინში გორაობდა. ზოიას მაღალი ბიუსტი, რა თქმა უნდა, ერთი-ორი დღე კიდევ ახსოვდა, მერე კი ერთბაშად გადაავიწყდა...

ნიკა ოფისში კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. ბესოს გამოჩენას არაფრით არ ელოდა.

_ ძაღლი მომიკლეს, ბიჭო!.. კავკასიური ნაგაზის ლეკვი მაჩუქეს იქაურებმა, ტო, და _ მომიკლეს... არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დადიან, ბიჭო, ნიღბებით, ავტომატებით და არის ერთი ტრა-ტა-ტატა. გუშინწინ სამნი იყვნენ. ვეკითხები _ ვინა ხართ, რა გინდათ? არც ხმა გამცეს, არც არაფერი... გუშინ მივედი საღამოს და ჯიხური მთლად დაცხრილული დამხვდა და ეს ჩემი ლეკვი _ მოკლული. დავმარხე, რა მექნა?!. _ ჰყვებოდა ბესო. _ ასე ჰქონდა ავტომატის ჯერი გადატარებული.

_ გვაშინებენ? _ იკითხა ჩაფიქრებულმა ნიკამ.

_ თუ გინდა, ნუ შეგეშინდება. კურდღელივით ვზივარ მთელი ღამე. მე რა?! ალბათ შენ გემუქრებიან... _ მიაშტერდა პასუხის მოლოდინში ბესო ნიკას. _ ვინ იქნებიან, ტო? არავისზე გაქვს ეჭვი?

_ ეჭვი კი მაქვს, მაგრამ... უნდა დავაზუსტო.

_ დაცვა უნდა აიყვანო, ბიჭო!.. მე _ რა? რომც მომკლან _ რა?!. _ მხრებს იჩეჩდა ბესო.

ნიკამ ნატოს ნახვა გადაწყვიტა.

_ რა სისულელეა! _ თქვა ნატომ. _ მთელი საქართველო იყიდება და მაგ ნაკვეთზე ატყდა ამხელა ამბავი?! წარმოდგენა არა მაქვს. შესაძლოა, მართლაც, რაიმე იყოს... იცი, ვის უნდა დაელაპარაკო?

_ აბა? _ ჰკითხა ნიკამ.

_ ვინც მაგაზე მუშაობენ. საბადოებზე. ტექნიკურ უნივერსიტეტში მიდი, კათედრაზე, იქნებ, რამე იცოდნენ. იქნებ, მართლაც, რა სიმდიდრის პატრონი ხარ?.. აბა, ცარიელი მიწის გამო, ეს ამხელა ამბავი არ ატყდებოდა... _ დაასკვნა ნატომ.

_ მართალი ხარ, _ უთხრა ნიკამ. _ უნდა გავარკვიო... თეონამ _ რაო? როდემდე უნდა ვიყო გაბუტულიო? არ აპირებს ჩემს ნახვას? _ მაინც ჰკითხა ნიკამ, თუმცა ეს ამბავი მეორე პლანზე გადასულიყო მისთვის, რადგან მუქარა, რომელიც უცნობებისგან მოდიოდა, სახუმარო არ იყო.

_ რა მოხდა თქვენ შორის? იქნებ, შენ მითხრა, თეონას ვერაფერი ვათქმევინე, _ შეეკითხა ნატო.

_ რა ვიცი, სისულელე... ქალთან ერთად მნახა, _ მოკლედ მოჭრა ნიკამ.

_ ვისთან? _ მაგრად დაინტერესდა ნატო.

_ დედა ტერეზასთან, ვისთან... მაგრები ხართ ეს ქალები!.. _ ხელები გაშალა ნიკამ.

_ ჰოდა, ღირსი ხარ, რომ არ გნახულობს... _ ნიშნისმოგებით თქვა ნატომ. თუმცა იმწამსვე შეეტყო, რომ ანერვიულდა. ვერაფრით ვერ მოუკიდა სიგარეტს, ხელები აუკანკალდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოუკიდა. _ ხომ აღარაფერია ჩვენ შორის, მაგრამ მაინც გხვდება ადამიანს გულზე... _ ჩაილაპარაკა მან და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

_ განდეგილი ხომ არა ვარ, ბერად დავეყუდო! _ თქვა ნიკამ მცირე პაუზის შემდეგ. _ მეც მინდა გამოვტაცო ამ ცხოვრებას ჩემი პატარა ბედნიერება.

_ ვეცდები, შეგარიგოთ... თუმცა, ვერაფერს დაგპირდები, _ თქვა ნატომ. _ შენი სისხლი აქვს...

_ სისხლი, კოდი, გენი... _ ჩაილაპარაკა ნიკამ. _ რა მომარბენინებდა ნეტავ, ამ არეულ ქვეყანაში?!.

_ სისხლი, კოდი და გენი _ სამივე ერთად! _ მიუგო ნატომ. _ შენი ადგილი აქ არის, შენს მიწაზე! ცოტა მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ასეა... _ დაამატა ნატომ.

_ რა ვქნა, იარაღი ავიღო და ომი დავიწყო?! _ ჰკითხა ნიკამ.

_ არ ვიცი, არ ვიცი... _ მართლაც, არ იცოდა ნატომ, რა უნდა ერჩია ნიკასთვის. საქმე ცუდად იყო...

“სადაც წვრილია _ იქ გაწყდეს! _ გაიფიქრა ნიკამ. _ “მესვრიან?.. მეც ვესვრი!”

ნიკამ იარაღის ტარებაზე ნებართვა აიღო, ამერიკული კოლტი იყიდა და ყოველი შემთხვევისთვის, უჯრაში ჩააგდო...

_ ...ოცდაათი ათასი?! რა ამბავია, ბიჭო, ოცდაათი ათასი? _ არ მოეწონა ლადოს დასახელებული ციფრი.

_ რა-ა? წავიდა ის დრო, ხუთას დოლარად რომ კლავდნენ კაცს... _ თქვა ლუკამ და ზეთისხილის კურკა გადმოაგდო პირიდან. _ გეძვირა?

_ მოიცა, რა, თუ ძმა ხარ! _ წამოხტა ლადო სკამიდან. _ ამ ფულს ხე კი არ ისხამს!..

ეს ყველაფერი ირაკლის ბინაში ხდებოდა. ლუკას სპეცრაზმელის ფორმა ეცვა.

_ ნაკლებში არ წამოვა არავინ და შენ როგორც გინდა. არ გვინდა, რა, ეს ვაჭრობა, _ თქვა ლუკამ და სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

_ მოვიფიქრებ, _ თქვა ლადომ.

_ შენი ნებაა. _ ლუკა წამოდგა, კედელზე მიყუდებული ავტომატი აიღო, ნიღაბი ჩამოიცვა და კარი გამოაღო. _ შენს პასუხს დაველოდები და გეგმა მერე შევადგინოთ.

_ გეგმაზეც მე უნდა ვიფიქრო?! _ წამოხტა ლადო.

_ ხომ უნდა იცოდე, არა?! მაშ, როგორ!? _ გაუკვირდა ლუკას და ნიღბის ჭრილიდან მომზირალი თვალები ლადოს დაუმიზნა.

_ კაი, კაი... _ ჩაიბურტყუნა ლადომ. _ გასაგებია, _ და სკამზე დაეხეთქა.

_ კარგად მეყოლეთ! _ თქვა ლუკამ და კარი გაიკეტა.

_ არ გაბლატავებულან ეს ჩემალალები! ოცდაათი ათასი რა ამბავია?! _ ისევ აღშფოთება გამოხატა ლადომ.

_ იციან, რომ ვერ გააბაზრებ... ყველაფერი ძვირდება. ეტყობა, სიცოცხლეც... _ თქვა ირაკლიმ და თავისი ბრძნული ნათქვამისა თვითონვე გაუკვირდა. _ ისე, მაგ თანხაში მეც გავაგორებ ნებისმიერს... _ ეს ისე წამოსცდა ირაკლის, თორემ, ყველამაც იცოდა, რა მშიშარაც იყო და პირველ რიგში კი _ თვითონ.

_ რაო, რაო?! _ სიტყვაზე დაიჭირა იმწამსვე ლადომ და თავისი “ბრჭყალებიანი” თვალები ჩაასო. _ ცუდი აზრი არ არის...

_ კაი, კაცო, ისე ვთქვი, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა... _ ეგრევე უკან დაიხია ირაკლიმ.

_ მაინც იფიქრე მაგაზე, _ გადაუგდო ანკესი ლადომ. _ ის კაცი უნდა მოკვდეს და რაღა სხვაგან წავიდეს ეს ფული?!

რაღაც შავი ზარი ჩამოეკიდა ირაკლის სულში... ზარის ენა კედლებს ეხეთქებოდა, მაგრამ ხმას არ გამოსცემდა. “თუ დარეკა, გასკდება კიდეც გული”, _ გაიფიქრა ირაკლიმ. მერე გულისცემა შენელდა და ირაკლი რეალობას დაუბრუნდა. ფულის სუნი ეცა. მერე დოლარების შრიალიც აშკარად ჩაესმა...

_ მოდი, თავი დამანებე! _ გამოსცრა კბილებში და ლადოს თვალების “ბრჭყალებს” ხელი აუკრა.

მაგრამ სატანას ხმალი ქარქაშიდან უკვე ამოეღო.

ნიკამ ბებია დაიმარტოხელა. ელისო გაზქურასთან იდგა და ბადაგში ფქვილს ურევდა. თათარას აკეთებდა. ნიკამ გააბოლა და ჰკითხა:

_ ელისო, სწორად მოვიქეცი, რომ ჩამოვედი და დავრჩი?

_ შეგაშინეს უკვე, არა?.. _ მიუბრუნდა ელისო. _ აბა, რა გითხრა. მეც მერევა ტვინი. ეს ამდენი დაჭერები, მკვლელობები... “ახალ ამბებს” “უჟასები” დაარქვა ხალხმა... ვინ იჭყლიტება ყველაზე მეტად ამ დროს?.. მოაზროვნე, ალბათ, შემოქმედი _ ანუ ინტელიგენცია. ვინ განიცდის ერის რღვევას ყველაზე მეტად?.. შენისთანები, _ დასვა წერტილი ელისომ.

_ მართალი ხარ. სილამაზის გარეშე ცხოვრება საიქიოზე უარესია.

_ კი, კი... _ დაეთანხმა ელისო. _ ეს ქალაქი გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან _ მოყვარეს.

_ დეტალები?.. ყველგან მძღოლი უთმობს ადამიანს გზას, აქ _ პირიქით. ყველგან გამყიდველი უხდის ადამიანს მადლობას, აქ _ პირიქით.

_ აფთიაქში ყალბი წამალი იყიდება. მეორედ მოსვლა _ სხვა რა არის?!

_ კაი, კაი... მეორედ მოსვლა, აპოკალიფსი... მე შენგან სულ სხვა რამის გაგება მინდოდა...

_ მაინც? _ შეეკითხა ელისო. _ თქვი!

_ ისეთი ხმები მომდის, რომ ჩემმა ნაყიდმა მიწამ... _ ნიკამ ვერ დააბოლოვა. არ იცოდა, როგორ ეთქვა... _ მოკლედ, უნდა შემიწიროს, ეტყობა. ჰო, უკვე პრობლემები გამიჩინა. რაღაც უნდა იყოს იმ მიწაში, რაღაც სიმდიდრე.

_ სიმდიდრე? _ თითქოს ეწყინაო ელისოს. _ იცი, რა, ნიკა?.. ჩვენ “მაუგლიზე” გაზრდილი თაობა ვიყავით... კობრას, ოქროს სკიპტრა რომ მოჰპარეს და იმ სკიპტრის გამო ჯუნგლები გადაწვეს... მე ვერაფერ რჩევას ვერ მოგცემ. ალბათ, შენ თვითონ უნდა გამოძვრე მაგ სიტუაციიდან.

_ ელისო, შენ ქვეშიდან გამოსულხარ ოდესმე? _ მაგრად აინტერესებდა ნიკას.

_ თუ რუსთაველს დავუჯერებთ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, _ ხომ გაგიგონია? _ კითხვა შეუბრუნა ელისომ. _ იცი, რა?.. ჯერ უნდა დარწმუნდე, ღირს კი ამ ალიაქოთად და სიცოცხლედ ეგ შენი მიწა, და მერე უნდა იფიქრო იმაზე, ქვეშიდან გამოხვიდე თუ მაღლიდან გადაიარო. დღეს იმდენ სისულელეზე ატყდება ხოლმე კაკაფონია...

ამ დროს სამზარეულოში სოლომონი შემოვიდა.

_ ეს რა ხდება?! ასეთი რამე გინახავთ? _ სოლომონს წიგნი ეჭირა ხელში. _ აი, ნახეთ, როგორ დახტიან ასოები! _ და სოლომონმა გადაშლილი წიგნი მაგიდაზე დადო. _ აი, უყურეთ, უყურეთ! რას დახტიან, ხედავთ?! აი, სად ახტა დ, აი _ ბ, აი _ ა. ხედავთ, რა მაგრად დახტიან?! როგორ დახტიან, რანაირად?

_ რაღაცაშია საქმე... ცუდად არ იყოს, _ ამის თქმა მოასწრო ელისომ და სოლომონი დაბარბაცდა. ნიკამ მოასწრო და ხელი სტაცა მამას, თორემ სოლომონი უკან ვარდებოდა.

_ რა უნდა ვქნათ, ელისო? _ ნიკამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

_ წავიყვანოთ, ჯერ დავაწვინოთ საწოლზე, _ არ დაიბნა ელისო. _ ალბათ, გადაიღალა. ამწუთას სტიმულატორს დავკრავ.

სოლომონი გათიშული იყო, მაგრამ მშვიდად სუნთქავდა. ეძინა ტკბილად, თითქოს არაფერიო.

_ რადგან დაიძინა, ეძინოს, _ თქვა ელისომ. _ ნემსს მერე გავუკეთებ, როცა გაიღვიძებს.

_ “სასწრაფო” არ სჭირდება? _ იკითხა ნიკამ.

_ არა, გამოიძინოს, გაუშვი... როგორც კი, ასოები დახტიანო, თქვა, მაშინვე ვიფიქრე, არ დაეცეს-მეთქი და, კიდევ კარგი, მოასწარი, რომ თავი არ დაარტყა რამეს. _ ელისოს სოლომონის ხელი ეჭირა და პულსს უსინჯავდა. _ ნორმალური აქვს პულსი. ეს მარტო აღარ დაიტოვება. რას კითხულობს ამას? _ ელისომ წიგნი აიღო ხელში. მოპასანის “ლამაზი მეგობარი” ეწერა გარეკანზე. _ გადამრევს ეს კაცი, _ თქვა ელისომ. _ ნახე, რას კითხულობს თურმე.

როგორც კი ამ პატარა “ელეთმელეთმა” გადაიარა, ბებიამ და შვილიშვილმა საუბარი განაგრძეს.

_ მოიცა-მოიცა... _ გაახსენდა ელისოს. _ ერთი პაციენტი მყავს. კარგა ხანია კი აღარ მუშაობს. პროფესორი იყო თავის დროზე, გეოლოგი... ჰო. სახლში მუზეუმი აქვს, ქვები და დინოზავრის ძვლებიც კი... სულ იმას გაიძახის _ ზეპირად ვიცი, ამ მიწაში რაც დევსო. მოგცემ ტელეფონს და დაურეკე, დაელაპარაკე, იქნებ, იმან იცოდეს რამე.

და ელისომ ნიკას თავისი პაციენტის, ვალერიან ნოზაძის ტელეფონის ნომერი მისცა.

ამ გაუგებრობაში იყო ნიკა, როცა ნანამ დაურეკა. საშინლად მომენატრე, რომ არ გნახო, გავაფრენ, მოვკვდებიო, _ უთხრა... და პაემანი დაუნიშნა. ათზე კონსერვატორიის წინ მანქანაში ვიჯდებიო. იასამნისფერი “გოლფია”, 515-იო... ბრძოლის წინ რომ “ას გრამს” ახუხვინებდნენ ჯარისკაცებს, ჩემი საქმე ისეაო, _ გაიფიქრა ნიკამ და პაემანზე გამოცხადდა.

ჩახტა თუ არა მანქანაში, ნანამ ისეთი “დოლგოიგრაიუში” “დაუზასა”, ნიკას საერთოდ ყველაფერი დაავიწყდა: ნაკვეთიც, მამაც, ახლობლებიც, მეგობრებიც და თავისი წარმომავლობაც.

ნანამ ისეთი საიდუმლო გზებით იარა, ნიკა ვერ სცნობდა.

_ ხომ გევასება: მოყუჩებული, პატარა სასტუმროები, თავისი პატარა რესტორნებითა და კაფეებით. გევასება, ჰო? იცი, რამდენია?! _ უთხრა ნანამ და მანქანა პატარა სასტუმროსთან გააჩერა.

ვესტიბიულში მაღალი, სიმპათიური ქალი დახვდათ. გაცხარებული, ტელეფონში ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა. ასე რომ, შემოსული წყვილისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ნანამ ნიკას ანიშნა და ორივენი კიბით სარდაფისკენ დაეშვნენ. ყველა მაგიდასთან წყვილი იჯდა, რამაც ნიკა ხუმრობის ხასიათზე დააყენა.

_ ეს რა, შეყვარებულთა რესტორანია? _ ჩასჩურჩულა მან ნანას.

_ სიგიჟემდე შეყვარებულების... _ უპასუხა ნანამ და შეეკითხა. _ არ გშია?

_ მშია, _ უპასუხა ნიკამ.

_ იცოდე, ეს ღამე _ ჩემია... _ წინასწარ გააფრთხილა ნანამ და მაგიდის ქვეშ ნიკას ფეხი ფეხებშუა მოიქცია.

_ მთელი ღამე? _ დაინტერესდა ნიკა.

_ ჰო, დილამდე. აქ ცოტა შევკაიფდეთ და მერე სხვაგან უნდა წაგიყვანო. _ ნანამ ვისკი მოატანინა. პატარა ფუჟერებში ცოტ-ცოტას ასხამდა, პირში იგემოვნებდა და ასე წრუპავდა. _ მხოლოდ სამი ჭიქა, ჯერ მეტი არა... _ გააფრთხილა ნანამ.

ფორტეპიანოსთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. ეტყობოდა, რომ კარგად იყო აღზრდილი. აი, გოგონა კი, რომელიც მღეროდა, ნამდვილი სასწაული იყო. ნიკას საოცრად მოეწონა მისი ხმა. გოგონა ძირითადად, ინგლისურ სიმღერებს ასრულებდა. უფერული სახე ჰქონდა, ვერც სიმპათიურიაო, იტყოდი, მაგრამ ურთულეს რეპერტუარს ისე ადვილად ერეოდა, რომ ნიკა მისი ვინაობითაც კი დაინტერესდა.

_ მუსკომედიის სოლისტია, ხათუნა ჩქვანავა. აქ სწორედ მაგის მოსასმენად ჩამოგიყვანე. თეატრში ფიფქიას როლს ასრულებს, აქ კი _ "ქვინების" რეპერტუარს, _ აუხსნა ნანამ. _ რა ქნას, თეატრი კვდება და რაღაცით ხომ უნდა ირჩინოს თავი!

ღვთაებრივმა სითხემ თავისი ქნა და ნიკა და ნანა ძალიან მალე ააცეკვა.

_ წავიდეთ აქედან... _ ჩასჩურჩულა ყურში სხეულზე შემოტმასნილ ნანას ნიკამ.

_ მოგინდა?.. _ ყურის ბიბილოზე ნაზად უკბინა ნანამ. _ წამომყევი.

ნომერში ორი საწოლი იდგა. ნიკა რატომღაც გამგელებული ჩანდა. გაჯახუნდა თუ არა კარი, ქალს კინაღამ კაბა შემოაფლითა, ისეთი სისწრაფით გადააძრო თავიდან. ნანას მსხლისებრი ძუძუები კბილებით გადათელა და ტუჩებზე დააკვდა. ქალიც გიჟს ჰგავდა, აღარ აცლიდა კაცს... მათი მგრძნობიარე ხელები ისე დასრიალებდნენ ერთმანეთის სხეულებზე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. უკანასკნელი ამოსუნთქვა და წამოკივლება და ორივე თითქმის ერთდროულად გაშეშდა...

_ რა გვჭირს?.. _ იკითხა ნანამ.

_ ალბათ, რაღაც ჩამიყარე სასმელში... _ ჯერაც ღრმად სუნთქავდა ნიკა.

_ ჯადოსნური ბალზამი, _ თქვა ნანამ და ხელის ზურგით ნიკას ლოყას მოეფერა. _ ვერ გამიგია, რატომ არის აკრძალული, სექსი...

_ ვინ გითხრა, რომ აკრძალულია? _ არ დაეთანხმა ნიკა. _ სულაც არ არის აკრძალული, უბრალოდ _ ვითომ აკრძალულია.

_ არა, მაინც აკრძალულია, _ თქვა ნანამ. _ ბოროტმა ადამიანებმა აკრძალეს... ყველაზე უმაღლესი ნეტარება...

_ ალბათ, ასე იყო საჭირო და იმიტომ, _ თქვა ნიკამ. _ "ოდეს ტურფა გაიაფდეს", _ ხომ გაგიგონია?!

_ მართალია, რომ ამბობენ, კაცებს ყველა ქალის გაჟიმვა უნდათო? _ იკითხა ნანამ.

_ ალბათ, მართალია... ჰო, რა იყო?! რაც მეტ ქალთან ცხოვრობ, მით მეტთან და მეტთან გინდა... ჰო, ასეა. მე ასე ვარ და, ალბათ, სხვებიც... _ აღიარა ნიკამ.

_ აი, ქალებს კი, მთელი სიცოცხლე შეუძლიათ, მხოლოდ ერთ კაცთან იყვნენ და სხვებისკენ, საერთოდ, არც გაიხედონ, _ თქვა ნანამ და ხელი ნიკას სხეულს ჩააყოლა...

მეორე "პარტია", წესისამებრ, უფრო დიდხანს გაგრძელდა. რაღაც მომენტში ისევ გაგიჟდნენ ორივენი.

_ ალბათ, ყველაზე სექსუალური დღე თუა, თორემ, ასე რამ გაგვაცოფა, ვერაფერი გამიგია, _ თქვა ნანამ როცა მორჩნენ და ხმამაღლა გადაიკისკისა...

_ შევბრუნდეთ რესტორანში თუ წავიდეთ? _ ჰკითხა ნანამ ნიკას, როცა ცოტა მოწესრიგდნენ.

_ როგორც შენ გინდა. ჩემთვის სულერთია, _ უპასუხა ნიკამ.

_ ჰო, ვიცი თქვენი ამბავი, კაცების: უკვე სულერთია... _ გაიცინა ნანამ. _ მაშინ, წავიდეთ.

_ აბა, სად მივდივართ, თუ გამოიცნობ? _ ჰკითხა ნანამ, როცა ორივენი მანქანაში ჩასხდნენ.

_ წარმოდგენა არა მაქვს, _ თქვა ნიკამ.

_ კიდევ კარგი, აღარ დააყოლე _ ჩემთვის სულერთიაო... _ გაიცინა ნანამ. _ ცოტა ფული მომრჩა და მინდა, ვითამაშო.

_ სად? სამორინეში?! _ გაუკვირდა ნიკას.

_ ჰო, _ თქვა ნანამ.

_ პარლამენტარი ქალი _ სამორინეში, აი, ეს მესმის!.. _ ჩაილაპარაკა ნიკამ.

_ ნიკა, შენ როგორ გგონია, აღარ მოვიდა დრო, რომ ძველი სტერეოტიპები დავამსხვრიოთ?! რა, ისევ კომუნისტურ საზოგადოებას ხომ არ ვაშენებთ! თუკი იმის

უფლება გვაქვს, რომ მთელი ქვეყნის დასანახავად, ერთმანეთი წიხლქვეშ გავიგდოთ, "ბორჯომის" ბოთლი ჩავარტყათ თავში ან თვალი გამოვთხაროთ და ხელი მოვტეხოთ, სამორინეში შესვლის უფლება რატომ არ უნდა გვქონდეს, ვითომ?! მე ძალიან აზარტული ვარ ყველაფერში... _ წამით გაჩუმდა და მერე მაგრად გაიცინა ნანამ. _ თან _ მაგარი მაქსიმალისტიც. ასე რომ არა, ვერაფერსაც ვერ მივაღწევდი... მოკლედ, რაც აკრძალული არ არის, ის დასაშვებია, ხომ ასეა? ჰოდა, მაშ, წინ! _ და ნანამ ბოლომდე მიაჭირა აქსელერატორს. "გოლფი" შრიალით მისრიალებდა ლამპიონებით განათებულ ვაჟას გამზირზე.

_ ერთი წუთით, _ თქვა ნანამ, როდესაც მანქანა გააჩერა. მერე ტუჩებზე პომადა წაითხაპნა, ლოყაზე რაღაც "ხალი" მიიკრა, თავი თავშლით წაიკრა, თვალებზე დიდჩარჩოიანი მუქი სათვალე გაიკეთა და მანქანიდან გადმოვიდა.

სამორინეში, სადაც ნანამ და ნიკამ შეაბიჯეს, პირველი, რაც ნიკამ იგრძნო და მერე ვერაფრით გათავისუფლდა ამ შეგრძნებისგან, ეს იყო უარყოფითი აურა... მოკლეკაბიანი გოგონები, რომლებიც უფრო მეტად, სლავური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ და თავიანთი, იქნებ, ლამაზიც, მაგრამ უმეტესწილად, უინტელექტო გამომეტყველებით, მასზე არავითარ ეფექტს არ ახდენდნენ, პირიქით _ აღიზიანებდნენ კიდეც.

...ნანას ვერც წითელმა ფერმა უშველა და ვერც შავმა. ნელ-ნელა უცარიელდებოდა ჯიბე. ნიკა არ თამაშობდა. ლუდის ბოკალი ედგა გვერდზე და თავისთვის "კაიფობდა".

...სამორინე როგორღაც "მიეხლაფორთებინათ". ჭყეტელა მწვანე და წითელი ფერები ჭარბობდა. ფარდები კი, საერთოდ, "სხვა ოპერიდან" იყო. "უგემოვნების გენიალური ნიმუშია", _ გაიფიქრა ნიკამ. ის გაკვირვებული ადევნებდა თვალს, თუ რა აზარტით თამაშობდა ნანა, როგორ განიცდიდა ყველაფერს, რა სისწრაფით აყოლებდა თვალს ბურთულას და როგორ იჭამდა ტუჩებს. თან რაღაცას ლაპარაკობდა კიდეც. ალბათ _ რადგან ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა... ნანამ ბოლო "ფიშკა" ნიკას მიაწოდა _ შენ დადეო, უთხრა. ნიკამ წითელ ოციანზე დადო, თავისი დაბადების დღის თარიღზე. მოიგო. ნანამ არ აცალა, წაართვა "ფიშკები" და ისევ თვითონ გააგრძელა თამაში. "გიჟია, _ გაიფიქრა ნიკამ. _ იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ეცლია..."

_ ცუდად აგორებდა, აფერისტობდა, გეფიცები, _ უთხრა ნანამ ნიკას, როცა მაგიდას მოსცილდნენ. _ ცოტა დამრჩა, წამოდი, "სეკა" მინდა ვეთამაშო. _ ხელი მოჰკიდა და ფეხათრეული ნიკა "სეკას" მოთამაშეებისკენ წაათრია...

ნიკა გაკვირვებული უყურებდა, როგორ აგებდა და რა თავხედურად იქცეოდა ნანა. ლამის შეეჭამა თვალებით კრუპიე.

_ ალაგებს, აწყობს, თაღლითობს!.. _ უცბად იყვირა ნანამ. _ ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩაალაგა სამი ტუზი!

მთელმა დარბაზმა მათკენ მიიხედა.

_ როგორ გეკადრებათ! _ ეს იმდენად მოულოდნელი იყო კრუპიესთვის, რომ კინაღამ კარტი გაუცვივდა ხელიდან.

_ ძალიანაც მშვენივრად მეკადრება! _ ხმას აუწია ნანამ და ახლა სხვებს მიუბრუნდა: _ ცხრაჯერ დამირიგა და ცხრაჯერვე დამწვა!..

_ ქალბატონო, აქეთ წამობრძანდით, _ იდაყვში ხელი მოჰკიდა მაგიდასთან სასწრაფოდ მისულმა მორიგემ.

_ ხელი გამიშვი, შე პირუტყვო! _ იყვირა ნანამ და მთელი ძალით მოუქნია ხელი. დარბაზმა ექო მისცა და ტყლაშანის ხმა ბევრად ძლიერი გამოვიდა, ვიდრე თვით დარტყმა იყო.

_ შენი დედა მოვტყან!.. _ იყვირა მცველმა, ნანას ხელი გადაუგრიხა და კარისკენ გააქანა.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ნიკამ წესიერად ვერც მოასწრო აღექვა თუ რა ხდებოდა. მცველმა მთელი ხმით აკივლებული ნანა ჰოლში გაათრია.

_ ვინა ხარ, შენი ქალობა მოვტყან! _ ღრიალებდა პოლიციელი. _ თუ არ გაჩერდები, წაგიყვან და ჩაგაყუდებ თხუთმეტი სუტკა, შე ჩათლახო!

ნიკამ მცველს ხელი დაუჭირა და მხარი დაარტყა.

_ რა ხდება, მოერიე?! ქალია, ბიჭო!.. _ დაუყვირა მან მორიგეს, რომელსაც კოლეგა წამოეშველა და უეცრად ნიკამ თავში მძიმე დარტყმა იგრძნო. მერე ყბაშიც მოხვდა და ნიკა ტროტუარზე გადავარდა. ნანა მივარდა და წამოდგომაში მიეხმარა. ნიკას აღარ ესმოდა, რას ეუბნებოდა ნანა, თავი უბჟუოდა და ყურებიც დაგუბებული ჰქონდა...

ნანამ მეორე დღესვე დაურეკა და ბოდიში მოუხადა. ჩემი დალევა არ შეიძლება, სულ ასე მემართება, პათოლოგიური სიმთვრალე მაქვსო...

_ ბოლო-ბოლო რამდენი წააგე? _ შეეკითხა ნიკა.

_ შვიდასი დოლარი, _ უპასუხა ნანამ.

_ საზიზღარი სანახავი იყავი... _ უთხრა ნიკამ.

_ ვიცი. არ დამკარგო, ნიკა!.. _ სთხოვა ნანამ.

ნიკამ არაფერი უპასუხა. როგორც ქალი, აღარ აინტერესებდა. როგორც პარლამენტარს _ არ იცნობდა. როგორც დამკვეთისთვის, მისთვის სამუშაო უნდა შეესრულებინა, ამიტომ, უნდოდა თუ არ უნდოდა ნიკას, მათი ურთიერთობა მაინც უნდა გაგრძელებულიყო...

თეონასთან გაბუტვის შემდეგ, ნიკა ყოველ დილით ცდილობდა, შვილს როგორმე დალაპარაკებოდა, მაგრამ თეონა მამას არ ურიგდებოდა და ნიკას დილიდანვე უფუჭდებოდა ხასიათი. იმ დილასაც სცადა, დაკავშირებოდა თეონას, მაგრამ ისევ ცივი უარი მიიღო.

თაზო ჯერაც ვერ გადიოდა ქუჩაში, ცალ ფეხს კი ადგამდა, მაგრამ მეორე ჯერაც მაგრად სტკიოდა და ყავარჯნით ხელში, შინ დაბრახუნობდა. მან ჩუმად გამოაღო კარი და ნიკას ოთახში შეიჭყიტა. რომ დაინახა, ნიკას გაღვიძებოდა და ჭერს მისჩერებოდა, კარი თამამად შეუღო.

_ ნიკუშ, ვისკი მაქვს ძაან მაგარი, კანადური, მოსულა? _ იმხელა თხოვნა ჩააქსოვა თაზომ ნათქვამში, თითქოს მსოფლიოს ბედ-იღბალი ამ ვისკის ბოთლზე ეკიდა.

ნიკას ღიმილმა გადაჰკრა. რა დღეშია ეს ბედოვლათიო, _ გაიფიქრა, როცა აათვალიერ-ჩაათვალიერა.

_ სამუშაო მაქვს, _ ცივად მოჭრა და ჭერში ცქერა განაგრძო.

თაზო გაჩუმდა. შევიდა, სკამზე დაჯდა და ნიკას თვალს არ აცილებდა.

_ სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, არ გაგიგონია?.. _ ჰკითხა მან ნიკას ცოტა ხნის შემდეგ.

_ ქუდს საერთოდ არ ვიხურავ... _ უპასუხა ნიკამ.

_ ჰოო? _ მაგრად გაუტყდა თაზოს. _ არც ჩაბალახს?.. _ მაინც განაგრძნო ნიკას “შეკერვა”.

_ შემეშვი, რა! _ გაბრაზდა ნიკა. _ გავითიშო დილიდან და მერე ვიქანაო ქუჩაში, არა?!

_ ვერ გავიგე, რა! დამალევინე-მეთქი, ხომ არ მითხოვია, _ დაგალევინებ-მეთქი და გწყინს?! _ ჩაიბურტყუნა თაზომ და გავიდა.

თაზო იმის კაცი არ იყო, მარტო დამჯდარიყო და ეყლურწა. საერთოდ, ვერ იტანდა მარტოობას, უყვარდა ხალხმრავლობა, დიმპიტაურ-დამპიტაური, მარჯვნივ და მარცხნივ ლოშნა და კოცნა, კაცი იქნებოდა თუ ქალი... არ არსებობდა, მეინახე არ ეპოვა, რომ

როგორმე დაელია... და თაზომ იპოვა გამოსავალი: სოლომონი! როგორ დამიმტკიცებენ, რომ მე დავალევინე?! შევჯდები ვირზე და აბა, თუ ბიჭები არიან, ჩამომიყვანონო...

სოლომონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისე ჩაბღუჯა ჭიქა და გადახუხა, თაზოს "სინიორ რობინზონიდან" პაპუასების ბელადი გაახსენდა, რომელმაც "კოკა-კოლა" ყლურწა და "დაკაიფებული" უკან გადავარდა... სოლომონს თვალები უბრწყინავდა, ჭიქას ხელს არ უშვებდა. თან თვალს მალ-მალ კარისკენ აპარებდა, ვინმემ არ შემოგვისწროსო, ფრთხილობდა.

_ რა მიეცი ამ სასმელში? _ ჰკითხა მან ჩურჩულით თაზოს.

_ მაჩუქეს, _ უპასუხა თაზომ. _ ლუარამ ჩამომიტანა დუბაიდან.

_ კაი დასალევია. სცოდნიათ იქაურებს ალკოჰოლის გემო, _ ჩაილაპარაკა სოლომონმა და შავი პურის ნაჭერზე დადებული "შპროტი" გაღეჭა.

_ კანადური ვისკია. არაბებს სასმლის გემო როგორ ეცოდინებათ?! მაგათ ჰაშიში და დაბოლება ევასებათ მაგრად... _ აუხსნა თაზომ.

_ ერთიც მივუწკარუნოთ! _ თვალი ჩაუკრა სოლომონმა.

თითოც გადაჰკრეს.

_ არ ეწევი? _ წელში გასწორდა და მოწევის ხასიათზე დადგა სოლომონი.

_ კი, მაგრამ რომ გავიდე, ელისო დამიჭერს, _ უპასუხა თაზომ.

_ ახლავე, _ თქვა სოლომონმა, ადგა და თაროზე, წიგნებს უკან დამალული "ქემელის" კოლოფი და სანთებელა დააძრო. _ ნიკას მოვპარე, _ ეშმაკურად ჩაიცინა სოლომონმა.

_ აუ, მაგრად გაასწორე! _ უთხრა თაზომ. სოლომონმა ფანჯარა გამოაღო და სიძე-სიმამრმა სიგარეტი გააბოლეს.

სოლომონი ისე ბუნებრივად იქცეოდა, თაზო დაეჭვდა _ ეს ხომ არ გვაბითურებს ყველას, საერთოდო?..

_ სოლომონ, შენ ხომ არ იტყუები? აი, ვითომ რომ ყველაფერი გავიწყდება და არ გახსოვს, რამდენი წლისა ხარ? _ შეეკითხა თაზო.

_ ვის არ ახსოვს? რა არ მახსოვს? _ გაუკვირდა სოლომონს.

_ აბა, რამდენი წლის ხარ? _ ჰკითხა თაზომ.

_ ცხრამეტის? _ კითხვითვე მიაჩერდა თაზოს სოლომონი და თაზომ ინანა, რომ ასეთი შეკითხვა დაუსვა...

_ მომისმინე, მაგარ რაღაცას მოგიყვები. მეშვიდეში ვარ და ქალისთვის არ მიკოცნია ჯერ... _ დაიწყო ეგრევე მოყოლა სოლომონმა.

_ მეშვიდეში?! _ გაუკვირდა თაზოს.

_ ლამაზი გოგოები გვყავდა კლასში, ძალიან ლამაზი. ვაჟთა და ქალთა სკოლები იმ წელს გაგვაერთიანეს, ჰო. ჰოდა, ფიზკულტურის გაკვეთილი გვაქვს... ეზოში ვართ გასულები და მასწავლებელმა გასაღები მომცა _ წადი, ბირთვი გამოიტანე, ბირთვის კვრაში უნდა გავარჯიშოთო. მეც წავყვები, რა, მასწო! _ ერთი, ბელა გვყავდა, ოქროპირიძე. ლამაზი, ნამდვილი თამარ მეფე იყო... შევედი დარბაზში და საკუჭნაო გავაღე, სადაც ეს ბირთვები იყო. ესეც შემომყვა და ფეხებში მედება რაღაც უცნაურად... ვიპოვე ეს ბირთვი, ავიღე და კარი არ დამიკეტა?! არ მიშვებს გარეთ! შემომხვია ხელები და მკოცნის... მე გული ფეხებში წამივიდა. უკვე დაქალებული იყო კარგად და ეს ძუძუები რომ მომასრისა ზედ... გამივარდა ეს ბირთვი და პირდაპირ ცერზე დამეცა. მომტეხა ცერი! ისე ავბღავლდი ტკივილისგან, თავდაყირა დავდექი. ჰო, ჰო... გაგიგია? პირველ კოცნაზე ფეხი მოვიტეხე!.. არ გამიცია. ვუყვარდი, თურმე... _ დაასრულა მოყოლა სიმამრმა.

_ მეშვიდეში _ არა, მაგრამ მეათეში კი გავიგე კოცნის გემო. აბა, მოგიყვებოდი, მაგრამ შენ მაინც ვერ დაიმახსოვრებ... _ უთხრა თაზომ და სასმისები შეავსო.

ამ სიამტკბილობაში იყვნენ, როცა ელისომ შემოაღო უეცრად კარი და სათქმელი პირზე შეეყინა.

_ რა ხდება აქ?! _ ძალაუნებურად წამოსცდა ელისოს.

_ ვქეიფობთ, _ მიუგო მშვიდად სოლომონმა.

ელისოს კინაღამ გული წაუვიდა.

_ ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! _ დაუწყო დატუქსვა თაზოს. _ ამ კაცის დალევა როგორ შეიძლება, გვღუპავ მთელ ოჯახს?!

სოლომონმა მაშინვე ბოთლს სტაცა ხელი.

_ აი, ჩემი ჯალათი! _ ხელი ელისოსკენ გაიშვირა. _ მოვიდა, დაგვეცა... ამ ბოთლს არ წაგართმევინებ! ვჭუკჭუკებთ ჩვენთვის, ვყვებით ამ მთისას, იმ ბარისას...

_ ინსულტი გაქვს გადატანილი, კაცო, ინსულტი! _ უყვირა ელისომ. _ შენა ხარ საცემი, შენ! _ მიუბრუნდა ის თაზოს და თავში ჩაუკაკუნა. _ ამ კაცს რომ რამე მოუვიდეს!..

_ მეტი რაღა უნდა მოუვიდეს?!. _ გააწყვეტინა თაზომ. _ თავისი სახელი აღარ იცის და ჩვენ ვერა გვცნობს. უბრალოდ, ექსპერიმენტს ვატარებ, იქნებ, ტვინი გადმოუბრუნდეს და ისევ გაახსენდეს ყველაფერი-მეთქი.

_ საკუთარ სიმამრზე ექსპერიმენტს ატარებს ბიჭი!.. _ აღშფოთდა ელისო.

_ მე კარგი მინდა ამ კაცისთვის, თორემ... _ გაჯიუტდა თაზო.

_ ნიკა, მოდი, ნახე, რას შვრებიან! _ გასძახა ნიკას ელისომ.

_ რას შვრებიან? _ მაშინვე შემოიხედა ნიკამ.

_ სვამენ! ბოთლი აქვს ზურგს უკან დამალული. _ ჩაუშვა სიძე შვილთან სიდედრმა.

_ არ მომეკარო, თორემ ჩაგარტყამ, იცოდე! _ დაემუქრა ნიკას სოლომონი.

_ როგორც გააგიჟე, ახლა შენ თვითონ მიხედე! _ მიუბრუნდა ნიკა თაზოს.

_ ჰოდა, წადით, რა, თქვენ თქვენს გზაზე და მე მივხედავ ამ კაცს, _ თქვა თაზომ.

_ ჰო, რომ უფრო კარგად გამობრუჟო და გიჟის პერანგი დაგვჭირდეს, არა?! _ გადაირია ელისო.

_ პირიქით, პირიქით. კაი ხასიათზე დადგება და გემრიელად დაეძინება, _ თქვა თაზომ.

_ ეჰეე! ესენი უკვე გვარიანად გამობრუჟულან, როგორც ჩანს, _ თქვა ელისომ და სოლომონს მიუბრუნდა: _ ბიჭო, არ გინდა, რომ ცოტა ხანს კიდევ უყურო ამ მზეს?

_ არ მინდა, არა, თვალებსა მჭრის ეგ შენი მზე. მე დალევა მინდა! _ გამოუცხადა სოლომონმა.

_ დაანებე თავი! _ უთხრა ელისოს ნიკამ, ხელი ჩაიქნია და სამზარეულოში შევიდა.

_ ჰო, დაგვანებეთ, რა თავი! _ თქვა თაზომ. _ მე აქ არა ვარ?! მე თვითონ მივხედავ. მაინც ვერ გავდივარ სახლიდან...

_ აღარ დაალევინო, იცოდე! _ დაემუქრა ელისო თაზოს.

_ არის, უფროსო! _ მხედრულად გაეჭიმა თაზო.

ელისო გამოერიდა.

_ ჰოდა, ასე... _ დაჯდა და ბოთლი მაგიდაზე დადგა სოლომონმა. _ რას ვყვებოდი?

_ კლასელმა რომ გაგჟიმა და შენ ფეხი მოიტეხე... _ უპასუხა შექეიფიანებულმა სიძემ.

მესამე დღეს ნიკას ოდნავღა სტკიოდა ტრავმირებული ყბა. იჯდა და კომპიუტერთან მუშაობდა. კიდევ კარგი, ნანას კოლეჯის პროექტი შავად თითქმის დამთავრებული ჰქონდა, თორემ, მის საყვარელ მუზას შთაგონების ცეცხლი მთლად ჩაჰქრობოდა და ახლა ამაოდ ცდილობდა, გონება მოეკრიბა. ეკამ დილითვე დარეკა: ობიექტზე ვარ და შემაგვიანდებაო. გარეთ წვიმამ დასცხო. მაგრად წამოუშინა. ნიკა ფანჯარასთან მივიდა და უყურებდა, რა სწრაფად გაჩნდა ქუჩაში ნიაღვრები. უეცრად, იმ წვიმასა და თქეშში,

ქუჩის ბოლოს, მთლად გალუმპული ნანას სილუეტი გამოჩნდა. ჩანთა მხარზე გადაეგდო, ორივე ხელში თითო ქოში დაეჭირა და ფეხშიშველი მოაპობდა ნიაღვრის ტალღებს. ნიკა მიხვდა, რომ ნანა მასთან მორბოდა და კარი წინასწარ ბოლომდე გამოუღო. ნანა კისკისით შემოვარდა ოფისში. ნიკამ ხელები გაშალა.

_ რა ხდება, მოგდევენ?

ნანა ოთახის შუაში გაჩერდა, თან დაბლა იყურებოდა. აკვირდებოდა, როგორ ჩამოსდიოდა ტანზე შემოტმასნილი, თხელი, მოვარდისფრო კაბიდან წურწურით წვეთები.

_ ვერ შეეფარე სადმე? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არ შემეძლო: საშინლად მენატრებოდი, ვერ დაველოდებოდი გადაღებას. _ ნანას თვალები ველურივით უელავდა. თმაგაშლილი, ღრუბლებიდან გამჭოლად შემომავალი, მოცეკვავე სხივების ფონზე, საოცრად ლამაზი სანახავი იყო. ნიკა გაშტერდა, თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს, რომელსაც ლიფი არ ეკეთა, სავსე მკერდი კი, სირბილის გამო, ისე უფეთქავდა, თითქოს კერტებიანად ამოვარდნას ლამობსო და ნიკამ ვეღარ გაუძლო ცთუნებას. ხელი თავისით გაექცა, წელზე შემოაჭდო და რამოდენიმე წამში, ორივენი ვნების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. რაღაც პირველყოფილი, ველური მაჭარივით ტკბილი გემო დაჰკრავდა ნანას მკერდს. რაღაც უხილავი ძალა ერთმანეთს აწებებდა ვნებით აღტყინებულ ორ, საწინააღმდეგო სქესის არსებას და ირეალური სიტკბოების ნექტარს ასმევდა.

_ აი, ამას ჰქვია ალბათ, “სტრასტი-მორდასტი”, _ თქვა თვალდახუჭულმა ნიკამ ყველაფრის შემდეგ.

_ შენ კაცი ხარ და ვერასოდეს გაიგებ, რასაც ამ დროს ქალები განვიცდით, _ თქვა ნანამ.

_ ვიცი. როგორც ამბობენ: როცა ყურს იჩიჩქნის კაცი, რომელს მეტად სიამოვნებს _ თითს თუ ყურსო, არა?.. _ გაიცინა ნიკამ.

_ მაინც ერთმანეთს ჰგავხართ ყველანი... _ თქვა ნანამ. _ ძალიან გიყვართ ტალახი.

_ გეთანხმები, _ თქვა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ნიკამ.

_ აუ, მე კიდევ, როგორ ვემზადებოდი, რომ იცოდე... _ თქვა ნანამ.

_ ემზადებოდი? _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ ჰო. ჯერ თმა დავახვევინე... ვაწამე სტილისტი, იმდენი შენიშვნა მივეცი... მერე ტანი ირანული ნელსაცხებლით დავაზელინე. მერე ვარდის ეთერით შეზავებულ საუნაში ვიჭყუმპალავე და ბოლოს, როგორც ნახე, ბუნებრივი ქარიშხლის წვიმით გავიღვრიჭე. შენ რომელს უფრო მეტი გემო ჩაატანე ამ ყველაფრიდან? _ ღიმილით მიაშტერდა გაკვირვებულ ნიკას ნანა.

_ არა, წარმოდგენა არა მაქვს, მაგ კოქტეილს რა გემო ჩავატანე, _ თქვა ნიკამ. _ მაგრამ ყველაზე მეტად რომ შენი სასწაულებრივი ელვა მაგიჟებს, ეს ნაღდია.

_ ელვა? რა ელვა? _ ნანა გაკვირვებული წამოჯდა.

_ შენ რა, არ იცი, რა ელვაზეა ლაპარაკი?

_ არა, _ კიდევ უფრო გაუკვირდა ნანას.

_ როგორ, ჯერ არავის უთქვამს? არც მე? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არა, არა, არა! ჩქარა მითხარი, რა ელვაზეა ლაპარაკი! _ ვეღარ ითმენდა ნანა.

_ დაწექი! _ ხელი მოჰკიდა ნიკამ.

ნანა გადაწვა.

_ რა ელვა და როცა ათავებ... აი, აქედან... _ ხელი ყელთან დაადო ნიკამ ნანას და ზიგზაგისებურად ქვემოთ დაუყვა; გასცდა ორივე ძუძუს და მუცლისკენ ჩააცურა. _ ელვა დაგივლის ხოლმე და ბოლოს... _ მეორე პარტიაზე წავიდა გაცოფებული ნიკა. _ ჩემს ასოს მეხი არტყამს, ნამდვილი მეხი... ჰო, გეფიცები _ რაღაც უცნაური ექსტაზის ტრანსში

ვვარდები, უმაღლესი ნეტარების ტრანსში, _ და ელვასთან ერთად, თვითონაც დაიკლაკნა ნანა. “ძინ” _ დაარტყა ნიკას ფალოსს დენმა და უმაღლესი ნეტარების ტრანსში ჩავარდნილმა, ისე მოუჭირა ქალის მკვრივ ძუძუს კერტს კბილები, რომ ნანას კივილმა იქაურობა გააყრუა.

_ აუ, რა კივილი გცოდნია! მიმიქარავს, კაი ძველი ორთქლმავალი, _ თქვა შეშინებულმა ნიკამ.

_ მატკინე! _ უთხრა ნანამ. _ ელვა... რა საინტერესოა. ახლაც დაგარტყა?

_ დამარტყა რომელია?! როგორ დამივლის ხოლმე, იცი?.. როგორც კი შენს ყელთან გაჩნდება, მეც მთლიანად ამაძაგძაგებს. გეფიცები. სასწაულია.

_ რა მაგარი ვინმე ვყოფილვარ. არ ვიცოდი. რატომ აქამდე არავინ მითხრა?

_ რამდენს უნდა ეთქვა?.. _ შეაპარა ნიკამ.

_ ორს და მეტს _ არც ერთს... _ თქვა ნანამ ცივად. ეწყინა... სწრაფად გადაიცვა. წამოდგა და ტუალეტში გავიდა.

ნიკამ დაინდო და აღარაფერი უთხრა იმის შესახებ, რომ ციფრი “2” ამ შემთხვევაში, გამორიცხულია. ან _ ერთი, ან _ ორზე მეტი. ასე ხუმრობენ კაცები, ხუმრობაში კი, ნახევარი _ სიმართლეა.

ნიკაც წამოდგა. მსუბუქ, სასიამოვნო დაღლილობას გრძნობდა. მინერალური წყალი დაისხა და ნელი ყლუპებით მოსვა.

ნანა გამოვიდა. ცოტა მოწესრიგებულიყო, თუმცა პირველყოფილი ველური სილამაზე ისევ დაჰკრავდა.

_ არ გაინტერესებს შენი პროექტი? _ ჰკითხა ნიკამ და მაგიდისკენ მიანიშნა. ნანა მივიდა და გაშლილ ნახაზებს დახედა. ნიკა მიხვდა, რომ ნანამ პროექტის წაკითხვა იცოდა.

_ ეს მხოლოდ არქიტექტურაა. კონსტრუქციებსა და კომუნიკაციებს ეკა აკეთებს. ის დარბის ინჟინრებთან, _ უთხრა ნიკამ. _ ვეცდები, ძვირი არ დაგისვა.

_ ყოჩაღ! არ მოველოდი. ქაღალდზე ყველაფერი მშვენივრად გაგიკეთებია. ბოლოს და ბოლოს, ამ ქოხმახებს თუ არავინ შეისყიდის, მთავრობა მიხედავს, ალბათ.

_ შენ ამ მთავრობის იმედი გაქვს? _ ჰკითხა ნიკამ.

_ არა, _ თქვა ნანამ. _ უკვე აღარ.

_ არც შენი თავის? _ ჰკითხა ნიკამ.

_ ჩემი თავის _ მით უმეტეს. თავიდან, დიდი ენთუზიაზმით ვიყავი შეპყრობილი. მერე კი, ვხედავ, რომ ყველაფერი ისევ თვითდინებით მიდის... იცი, ნიკა, პატარა ქვეყანაში ინვესტიციების ჩადება და ბიზნესმენთა მოზიდვა ძნელია. დიდი კორპორაციები აქ არასოდეს შემოვლენ. რა უნდა მოიგონ, გროშები? რატომ გაქაჩა ჩინეთმა?.. რატომ დაუწყეს რუსებმა ევროპულ ქვეყნებს ერთი-ერთზე ლაპარაკი?.. დიდ ქვეყნებში დიდი ფულის კეთება შეიძლება და თუ საინვესტიციო გარემო ნორმალურია, კაპიტალისტიც წამოვა. ჩვენთან, იმის ნაცვლად, როგორც საკუთარ სისხლს, ისე უფრთხილდებოდნენ, მარტო ფულიან ბიზნესმენს კი არა, უბრალო მეწარმესაც კი... ნახევარი ქალაქი დალუქულია. ეს ხომ სიგიჟეა! პრეზიდენტის რისხვა, გარე თუ შინაურ მტრებზე, საზოგადოებაში აგრესიის მეტს ვერაფერს დაბადებს, ხომ? ჰოდა, ცოლი ქმარს უნდა ებდღვნას, ქმარი _ ცოლ-შვილს და საბოლოოდ, ციხეები ივსება. ციხეები კი, მოგეხსენება, ჯერ კიდევ როდიდან, თავისებურ აკადემიებს წარმოადგენს ქურდებისა და ბანდიტებისთვის... იამაყო იმით, რომ ორჯერ მეტი ხალხი ჩასვი ციხეში, ორჯერ ნაკლებ დროში, ვიდრე წინა პრეზიდენტმა, _ ეს გაუგონარი სისულელეა, თუ ნამდვილი სიგიჟე არა. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, დანაშაულიც პირდაპირპროპორციულად მატულობს:

ციხეში დამწყები დამნაშავე შედის და იქიდან გაწრთვნილი რეციდივისტი ევლინება ქვეყანას.

_ და რატომ არ იტყვი მაგ ყველაფერს სახალხოდ, თუნდაც, ტელევიზიით? _ ჰკითხა ნიკამ.

_ იმიტომ, რომ ორი ყური აქვთ... წინა პრეზიდენტსაც ორი ყური ჰქონდა და ამასაც. მოკლედ, სანამ ცალყურა პრეზიდენტს არ ავირჩევთ, არაფერი გვეშველება.

ორივეს გაეცინა.

_ წამოხვალ ჩემთან ერთად? რამე მინდა გაჩუქო, სამახსოვროდ, _ უთხრა ნანამ.

_ ახლავე? _ გაუკვირდა ნიკას.

_ არა, საღამოს. ასე, რვისთვის გამოგივლი.

ნიკა დათანხმდა. ნანამაც ჰაეროვანი კოცნა "მიუგდო" და კარი გაიკეტა.

ირაკლი ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ქალაქის შიგ შუაგულში ასეთი თანამედროვე, თანაც ამხელა "ტირი" იქნებოდა. მიწის ქვეშ ლამის მთელი ქალაქი აეგოთ. ლაბირინთული სისტემა, რომლითაც სასროლეთი იყო დაქსელილი, საშუალებას იძლეოდა, იქ მყოფთ ერთმანეთი ვერ დაენახათ.

როცა ლადომ დაურეკა და მერიის წინ პაემანი დაუნიშნა _ უნდა წამოხვიდე, სროლაში გაგავარჯიშოო, _ ხელის ფრჩხილებიდან რომ დაუარა დენმა, ფეხებიდან მიწაში გაატანა. პირი უარის სათქმელად დააღო და _ კაი, მოვდივარო, _ არ წამოსცდა?! წამოსცდა თუ თავს ასე აჯერებდა, თვითონაც არ იცოდა...

როცა ლადომ რევოლვერი მიაწოდა, საშინლად ემძიმა. დამიზნება კი არა, ხელის გატოკებაც კი გაუძნელდა, ეგონა, ზურგში ხანჯალი ჰქონდა გაყრილი და თუ შეტოკდებოდა, პირიდან სისხლს ამოანთხევდა.

_ მიყურე, _ უთხრა ლადომ. _ ასე, გაშლილი ხელით გიჭირავს, ხომ? გაშალე ხელი, ბიჭო, თორემ გაგიშალე ლოყაში! რა დაგემართა? _ და ლადომ ირაკლის ფეხებთან დაიხედა: _ მშრალია თუ უარესი გჭირს, ბიჭო, რამე? აბები ხომ არ გინდა, გულის? თუ სასწრაფოს დავუძახო, ჰა?

ირაკლიმ ღრმად ამოისუნთქა და, როგორც იქნა, რევოლვერი ასწია.

_ შენ რა, პირველად გიჭირავს ხელში იარაღი? იქნებ, თოფიც არ გჭერია არასდროს?

_ არ მჭერია. რად მინდოდა?! _ ალალად თქვა ირაკლიმ.

_ როგორ, სკოლაში სამხედრო საქმეს არ გადიოდით? _ გაუკვირდა ლადოს.

_ არა. სამხედროს მაგიერ, ყვავილების მოვლას გვასწავლიდნენ.

_ რატომ? მებაღე იყო თქვენი დირექტორი? _ იხუმრა ლადომ.

_ მებაღე არ იყო, მაგრამ არც ნაკლები.

_ როგორ _ არც ნაკლები?

_ ბალერინა იყო. ოპერაშიც უცეკვია ერთ დროს.

_ რაო? ყვავილები... ბალერინა... მაშინ, ძმაო, შენგან კილერი კი არა, დიდი-დიდი, პოეტი გამოვიდეს...

ლადოს ჯერ სიტყვები არ ჩაემთავრებინა, რომ ირაკლის თითი გამოეკრა სასხლეტზე და მთელი მჭიდი ჩაეცალა.

_ რა ქენი, ბიჭო, ე-ე?! მაცალე, დაგარიგო, გასწავლო! _ უსაყვედურა ლადომ.

_ რა ვიცი, გამომეკრა... ყველა ერთად რატომ გავარდა?! _ იკითხა გაკვირვებულმა ირაკლიმ.

_ იმიტომ, რომ "ადინოჩკაზე" უნდა გადაგეყვანა, _ უთხრა ლადომ.

_ როგორ? _ პირდაპირ ლადოსკენ მიაბრუნა იარაღი ირაკლიმ.

ლადოს მიწისფერი დაედო.

_ რას შვრები, ბიჭო?! _ დაუღრიალა მან ირაკლის. _ რომ მიშვერ ამ ლულას, მკლა-ავ?!!

_ ხომ ცარიელია.

_ აუ, გამაგიჟებ შენ მე, მომკლავ შენ მე! მომარტყამ, ასიანი! _ ცოტა ფერი მოუვიდა ლადოს. _ დაიმახსოვრე: მართლა ცარიელიც რომ იყოს და მილიონშიც რომ იყო დარწმუნებული, რომ ცარიელია, მაინც, ან დაბლა უნდა გეჭიროს ეს ლულა, ან _ მაღლა. ცოცხალ ადამიანს არც ერთ ვარიანტში არ უნდა მიუშვირო, გაიგე? თუ მოკვლას არ უპირებ... _ დააყოლა ლადომ.

_ კარგი, _ უპასუხა ირაკლიმ. _ ახლა რა ვქნა?

_ ამოიღე ეგ ცარიელი მჭიდი. რომ დაცხრილე ჰაერი... _ უკარნახა ლადომ.

_ ვა. ვერც ერთი ვერ მოვარტყი?! _ ირაკლი დაჟინებული უმზერდა სამიზნეს.

_ მოარტყი კი არა... ასე რომ ხვდებოდეს, ნახევარი საქართველო მიწაში იწვებოდა. ნახევარი კი წევს, უფრო მეტი... _ თქვა ლადომ და კედელზე რომელიღაც ღილაკს მიაჭირა. სამიზნე ლიანდაგზე გამოსრიალდა და თეჯირთან მოვიდა. ფურცელი სუფთა იყო. _ სუფთაა... ხომ დარწმუნდი? _ თქვა ლადომ და სამიზნე ადგილზე დააბრუნა. _ ამოაძრე მჭიდი. ჰო, მასე. ჩაალაგე ტყვიები... ნუ ჩქარობ, ომში ხომ არა ვართ.

_ ჩემთვის ესეც ომია... _ თქვა ირაკლიმ.

_ რა? ბიჭო, თუ ტრაკი არა გაქვს, მირჩევია, ახლავე მითხრა. ეს ტირი შენ მუქთა ხომ არ გგონია?! ას დოლარს ვიხდი, ძმაო, საათში! ისიც _ შინაურულად, თორემ, სამასი ღირს ისე. მუქთი გეგონა, შენ, აქ რომ ვდგავართ?

_ მასროლინე! _ თქვა ირაკლიმ.

_ კაი. გადაიყვანე ადინოჩკაზე. ჰო, მასე. გაშალე ხელი! აიყვანე მუშკაზე. მუშკა, ჭრილი და ათიანი; ხომ იცი, რომელიცაა ათიანი, თუ ეგაც არ იცი?.. ეს სამივე ერთ ხაზზე უნდა დასვა. არა, მასე არა, მასე შენ კი არა, სნაიპერი ვერ დასვამს. მაღლიდან უნდა ჩამოაყოლო ძალიან ნელა და რომ გასწორდება ყველაფერი, ნელა უნდა გამოჰკრა სასხლეტს, რომ არ გაგიტოკდეს. აბა, დავაი!

უმაყუჩო რევოლვერის ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივეს აუწუილა ყურები.

_ მოვარტყი? _ იკითხა ირაკლიმ.

ლადომ სამიზნე თეჯირთან მიაახლოვა. ფურცელი სუფთა იყო.

_ მეტი არაა ჩემი მტერი!.. _ ჩაიბურტყუნა ლადომ. _ არა, ძმაო, შენგან პოეტი თუ გამოვა, ისიც დიდი ამბავი იქნება.

_ რატომ ვერ მოვარტყი? _ მაგრად გაუკვირდა ირაკლის. თავიდან დაუწყო, უკან გაქცეულ სამიზნეს დამიზნება. და უეცრად თვალებს არ დაუჯერა: რგოლიდან, განცვიფრებული ნიკას თვალები უმზერდა... ირაკლიმ რევოლვერიანი ხელი გაუქნია _ მირაჟის გაფანტვა სცადა.

_ ა, ბალეტის ცეკვა დაიწყო, მგონი... _ ხელი ჩაიქნია ლადომ.

“უნდა ვესროლო, რაც არის _ არის!” _ გაიფიქრა ირაკლიმ და სასხლეტს თითი გამოჰკრა. გასროლამდე კი, თვალები მაინც დაეხუჭა.

როცა სამიზნე მოსრიალდა და წრის შიდა მხარე ისევ სუფთა იყო, ირაკლის მაგრად “გაუტყდა”.

_ ჩემი დედა!.. _ თქვა მან.

_ მოიცა, მოიცა... აი, სადაა მორტმული! _ და ლადომ ფურცლის ნაპირას, მარცხენა ზედა კუთხეში ტყვიის კვალი აღმოაჩინა.

_ ვა! _ მაგრად გაუკვირდა ირაკლის.

_ ყოჩაღ, მოგირტყამს, ბიჭო! აბა, მიდი, მიდი! _ შეაქო ლადომ ირაკლი და სამიზნე უკან გაასრიალა.

ფურცლიდან კი, ნიკას თვალები უფრო გაკვირვებული უმზერდნენ ირაკლის, ვიდრე წინა სროლისას.

ირაკლიმ აღარ დახუჭა თვალები...

ნანამ რვაზე მართლაც, მოაკითხა. ნიკა მანქანაში ჩაჯდა და იკითხა.

_ სად მივდივართ?

_ მივალთ და ნახავ.

მანქანა სოლოლაკში, ერთ-ერთ იტალიურ ეზოში შევიდა და რკინისმოაჯირიან კიბესთან გაჩერდა.

_ მესამეზე უნდა ავიდეთ, _ თქვა ნანამ და ორივენი ვიწრო რკინის კიბეს აუყვნენ. ნანა წინ მიდიოდა.

_ კიბეზე წინ კაცი ადის, _ შენიშვნა მისცა ნიკამ.

_ გაიარე, _ უთხრა ნანამ და გაჩერდა.

ნიკამ ფეხი ერთ საფეხურზე შედგა და მხრით, კიბის სივიწროვის გამო, ძალაუნებურად, ნანას ძუძუს გაეხახუნა. ქალს ახედა. ნანა გამომცდელად უყურებდა თვალებში. კიბეზე საკმაოდ ბნელოდა. სიჩუმეში სადღაც შორიდან მუსიკის ხმა მოდიოდა. ერთს ვაკოცებო, გაიფიქრა ნიკამ და ნანას მსხვილ ტუჩებს დაეკონა. ნანა მინებდა. ჩანთიანი ხელი ჩამოუვარდა და ორივე ძუძუ ნიკას მკერდს მიაგლისა. ნიკას სისხლი თავში აუვარდა. ღონივრად მოკიდა ხელი, შემოატრიალა და გადაზნიქა. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო, მაგრამ ხდება, ალბათ... შეყვარებულებს ვიღაც იფარავსო, _ ნათქვამია და გადარჩნენ: უკვე ბოლოში იყვნენ გასულები, როცა კიბე შეტოკდა და ქვემოთ, საფეხურებზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა... მოასწრეს, მორჩნენ. ფართხაფურთხით მიისწორ-მოისწორეს სამოსი და მესამე სართულზე გიჟებივით აცვივდნენ...

_ ესენი ტყუპები არიან, _ გააცნო ნანამ ნიკას ძმები. _ ქალბატონ ელენე კეჟერაძის ვაჟები.

_ ა-ა, _ წამოსცდა ნიკას, ცნობილი მხატვარი ქალის სახელის ხსენებაზე.

_ ეს კი, ნიკა ბერიძე გახლავთ, არქიტექტორი. ახლახან ჩამობრძანდა ამერიკიდან, _ წარუდგინა ნანამ ბიჭებს ნიკა.

_ მობრძანდით, მობრძანდით, _ შეიპატიჟეს სტუმრები ძმებმა. თუმცა, დიდი ენთუზიაზმიც არ გამოუხატავთ.

სახლი ნახატებით იყო გადატენილი. ყველა ოთახში, ჭერიდან იატაკამდე, სურათები ეკიდა. შავი ფონი და ღაჟღაჟა წითელი ფერი ჭარბობდა. დიდ ოთახში რამდენიმე მოლბერტი იდგა, სამუშაო მდგომარეობაში. მაგიდაზე კი, საღებავები იყო მიმოფანტული.

_ სახელოსნო გავყიდეთ და ახლა, სახელოსნოც ეს ბინაა და საგამოფენო დარბაზებიც, _ თქვა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

ხელოვნური ბუხრის წინ დადგმულ ტაბლას ახალგაზრდები შემოსხდომოდნენ. ორი ჩაცმული ვაჟი და ერთიც _ მთლად დედიშობილა, ასე, ოციოდე წლის გოგონა, რომელსაც სტუმრების დანახვაზე წარბიც არ შერხევია. სუფრაზე ორი გახსნილი შამპანური და დამტვრეული შოკოლადის ფილა იდო. ორივე ვაჟი წამოდგა და ახალშემოსწრებულ სტუმრებს მიესალმა. გოგონა არ განძრეულა..

_ მობრძანდით, _ მიიპატიჟეს ბიჭებმა ნანა და ნიკა ტაბლასთან.

_ სიამოვნებით, _ თქვა ნანამ. _ მოდი, ნიკა, _ და ისინიც ტაბლას მიუსხდნენ.

_ ჩვენ დღევანდელ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ. თუ გაინტერესებთ, თქვენც შემოგვიერთდით, _ თქვა ერთ-ერთმა ვაჟმა.

_ რომელიც სულს ღაფავს? _ იკითხა ნანამ.

_ ჰო, რაც არის... _ თქვა მეორე ვაჟმა.

მხატვრის ტყუპიც იქვე, შემაღლებულ იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე ჩამოჯდა. “რა დაბეჩავებული სახეები აქვთ, ალბათ _ ალკოჰოლის გამო”, გაიფიქრა ნიკამ ტყუპ ძმაზე.

_ აი, ჩვენ ვკამათობთ, ვინ არის ჩვენი დროის ყველაზე დიდი ხელოვანი, _ თქვა იმავე ვაჟმა, პირველად რომელმაც დაიწყო საუბარი.

_ თქვენ თვითონ? _ ჰკითხა ნანამ.

_ ჩვენ ფერმწერები ვართ ორივენი, _ თქვა მეორე ვაჟმა.

_ ეს მოქანდაკეა, მე _ ფერმწერი, _ თქვა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

_ მე ამწუთას ნატურა ვარ და ისე _ მსახიობი, _ თქვა გოგონამ.

_ აქ ფულს ვუხდით და სცენაზე კი, ენთუზიაზმზე თამაშობს, _ თქვა პირველმა ვაჟმა.

_ ვისზე ფიქრობთ, ვინ არის ყველაზე დიდი ხელოვანი? _ იკითხა ნანამ და შამპანური მოსვა. _ სადღეგრძელოებს არ ვამბობთ? _ მოაგონდა ნანას.

_ არა, არა... რა გვედღეგრძელება?!. თქვენ თუ გინდათ, თქვით, _ უპასუხა პირველმა ვაჟმა. ტყუპი ჩუმად იყო, თითქოს იქ რაც ხდებოდა, მათ არც ეხებოდათ.

_ ეს ამბობს _ რობერტ სტურუაო, ეს _ ბერძენიშვილიო, ეს _ ყანჩელიო... _ დაიწყო ხელოვანთა ჩამოთვლა იმავე ვაჟმა.

_ ეგ _ ძველები და, აბა, ახლებს ჰკითხეთ? _ ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ტყუპისცალმა.

_ ახლები კიდევ, თქვენ ხართ, _ გაეცინა ნიკას. _ გკითხოთ? _ ყველა გაჩუმდა. _ მე ერთი რამე ვიცი: საქართველოში, ნებისმიერ ხელოვანს თუ შემოქმედს, დიდსაც და პატარასაც, წლოვანებას ვგულისხმობ, ყველას საკუთარი თავი ჰგონია ყველაზე დიდი ხელოვანი. ისევე, როგორც მე, _ თქვა ნიკამ და მსმენელებს შეხედა.

_ ზუსტია, _ გაეცინა გოგონას და წელში გასწორდა.

“ვაშლის ძუძუები აქვს”, _ გაიფიქრა ნიკამ.

_ როგორც ჭკუაზე ამბობენ, _ ჩაერია ერთ-ერთი ტყუპისცალი, _ ყველაზე ჭკვიანი ყველას საკუთარი თავი ჰგონიაო.

_ აი, თქვენ რას ფიქრობთ თქვენს თავზე, როგორი მხატვარი ხართ? _ ჰკითხა ნანამ პირველ ვაჟს.

_ მე? მე მოვლენა ვარ... _ თქვა ბიჭმა და გაიცინა.

_ ჰო, ჰო... ასე ფიქრობს მართლაც, თავის თავზე, _ დაუდასტურა მეორემ.

გოგონა წამოდგა. მაღალი ჩამოთლილი ფეხები, ვიწრო წელი და მშვენიერი მკერდი ჰქონდა. თუმცა, არც ერთ იქ მყოფ ვაჟში, ნიკას ჩათვლით, როგორც ასეთ შემთხვევებში, არავითარ ემოციას არ იწვევდა.

“ალბათ ნარევია”, _ გაიფიქრა ქალის ტანის ასეთი სრულყოფილების გამო ნიკამ.

_ მე კი, ყველაზე მაგარი ნატურა ვარ მთელი დედამიწის ზურგზე, _ თქვა გოგონამ და ტყუპისკენ დაიხარა, რომ სიგარეტი მოეკიდებინა... და რატომღაც, ქვემოდან თვალი ნიკასკენ გააპარა, რაც ნიკას შეუმჩნეველი არ დარჩენია. და არც ნანას, რომელიც გოგონას ამ მოქმედებამ რატომღაც, ძალიან გააკვირვა. თუმცა, ეს პატარა ეჭვი მაშინვე თავიდან ამოიგდო.

_ მე თქვენ ტელევიზორში გნახეთ, _ უთხრა მეორე ვაჟმა ნიკას. _ მგონი, სამშენებლო კომპანია გაქვთ, ხომ?

_ აკი არქიტექტორიაო?! _ თითქოს წამოსცდა გოგონას.

ნიკა წამოდგა და იმ მოლბერტთან მივიდა, რომელზეც სუფთა ფურცელი იყო გაკრული.

_ რა ხანია, არაფერი დამიხატავს!.. _ თქვა ნიკამ და გოგონას დააკვირდა. ასეთი გამიზნული დაკვირვება მხატვრებს ახასიათებთ. გოგონა მიხვდა, რომ ნიკა მის დახატვას აპირებდა. ყელი ლამაზად მოიღერა და ღიმილით წარმოთქვა:

_ მე ძალიან ძვირი ვღირვარ. წუთი... _ წამით გაჩუმდა, არ იცოდა, რამდენი ეთქვა. _ წუთი _ ათი დოლარი, _ უეცრად დასერიოზულდა გოგონა.

_ ძალიან კარგი, _ თქვა ნიკამ და სუფთა ფურცელზე კონტური მოხაზა. _ ქალი სიგარეტით ხელში, _ ჩაილაპარაკა მან და ხატვა განაგრძო.

ბიჭებს ეღიმებოდათ. ნანას კი, რაღაც შეშურდა და მკაცრი სახე გაუხდა.

_ მაგდა სიგარეტით ხელში, _ უკარნახა გოგონამ თავისი სახელი ნიკას.

_ მაგდა, _ ირონიულად წამოსცდა ნანას და ყალბად გაიღიმა. მერე კი, ერთ-ერთ ტყუპისცალს გადაუჩურჩულა: _ რაღა ეს კრასოტკა დამახვედრეთ! სხვა ვერავინ გამოთხარეთ?! ან _ ასე დედიშობილა?!. ნიფხავი მაინც ამოგეცვათ!

_ არა, მასე უფრო აღაგზნებდა.

_ ეს იმიტომ ავიყვანეთ, რომ სხვები ბევრად მეტს ითხოვენ სიტიტვლეში.

_ მზად არის, _ დასვა წერტილი ნიკამ და საათზე დაიხედა. _ ზუსტად ხუთი წუთი. _ მაგდასკენ წავიდა. ჯიბიდან ორმოცდაათდოლარიანი ამოიღო და გაუწოდა: _ ორმოცდაათი დოლარი, ხომ?

_ რას ამბობთ?! _ წამოხტნენ იატაკიდან ძმები. მაგდამ კი, ისეთი სისწრაფით ამოაძრო ნიკას თითებიდან ფული, რომ ნიკას გემრიელად გაეცინა.

_ თქვენ ვინ გკითხავთ?! _ გაეჯგიმა შიშველი მკერდით ბიჭებს მაგდა. _ რა თქვენი საქმეა?! _ და ფული ზურგსუკან წაიღო, რომ ბიჭებს არ წაერთმიათ.

_ სირცხვილია! _ წამოსცდა ერთ-ერთს.

_ ნუ მასწავლით! _ თქვა გოგონამ და ყელი მოიღერა. _ ეგ ჩვენ ვიცით. ხომ ასეა? _ შეეკითხა ის ნიკას.

_ კი, კი, რა თქმა უნდა, _ ხელები ასწია ნიკამ და ბიჭები განაიარაღა.

_ ჰოდა, ვქეიფობთ, _ თქვა მაგდამ და ფული ტაბლასთან მჯდომ ბიჭებს დაუგდო.

_ დავაი და ამოიტანეთ, რაც გაგიხარდებათ. ამ წყალწყალა შამპანურს რომ წრუპავთ მშიერ კუჭზე.

ბიჭები წამოიზლაზნნენ.

_ ჩავიდეთ, _ თქვა პირველმა. ფული აიღო და გავიდნენ.

_ ჩვენი ვიზიტი?.. რატომ მოვედით, არ გაინტერესებთ? _ შეეკითხა ნანა ტყუპს.

_ კი, რა თქმა უნდა, _ უხალისოდ უპასუხა ერთ-ერთმა.

_ რა ხდება? _ იკითხა ნიკამ.

_ რა ხდება? _ ვერ მიუხვდა ნანა.

_ არავის აინტერესებს, რა დავხატე? _ იკითხა ნიკამ.

_ ვაი! _ წამოიძახა მაგდამ და მოლბერტისკენ გაიქცა. _ ღმერთო, რა ლამაზი ვარ! _ აღმოხდა იმწამსვე, როგორც კი ნახატს დახედა. მოტრიალდა, ნიკასკენ გამოიქცა, მისწვდა და ლოყაზე აკოცა. ის ჯერაც მთლად შიშველი იყო...

_ ე, ე! _ აღმოხდა ნანას.

ტყუპი მოლბერტთან მივიდა.

_ პიკასოა, რა...

_ კარგია...

_ კარგი კი არა, გადასარევია, _ თქვა მაგდამ.

ნიკამ ჯიბიდან “ვიზიტკა” ამოიღო და მაგდას გაუწოდა.

_ დამირეკე.

მაგდამ “ვიზიტკას" აკოცა. ჯიბეში ჩადებას აპირებდა, მაგრამ მთლად შიშველი იყო. ნანამ თვალები მოწკურა.

_ ნახატი მინდა ვიყიდო, _ თქვა მან.

_ ნახატი? _ გამოცოცხლდნენ ძმები.

_ დედაჩემის? _ იკითხა ერთ-ერთმა. _ ახლავე გამოგიტანთ.

_ მე თვითონ შევარჩევ, _ თქვა ნანამ.

_ მაშინ, ვერ დავაკლებ... _ თქვა იმავემ.

ნანამ ნახატების თვალიერება და შეფასება დაიწყო.

_ ეს? _ შეჩერდა ერთ-ერთ ნახატთან.

ნანამ მყიდველის იშვიათი უნარი გამოამჟღავნა. სამიათასდოლარიანი ნახატი ბოლოს, სულ რაღაც ოთხას დოლარად "დაითრია". ნიკას კი, კიდევ ერთხელ "გაუტყდა" ნანაზე: ნახატზე ოთხი ცხენი იყო დახატული, და-ძმებივით მიედოთ ერთმანეთისთვის თავები და სევდიანად იმზირებოდნენ...

_ ეს, სამიათასი კი არა, სამჯერ ათიათასიც ღირს, ალბათ, _ თქვა ნანამ, როცა წამოვიდნენ. _ რა ქნან, უჭირთ და მთელ მემკვირეობას ჩალისფასად ყრიან.

"როგორც ჩვენი მთავრობა", _ გაიფიქრა ნიკამ. აი, თურმე, რატომ ჰქონდათ ძმებს დაბეჩავებული სახეები! სინანულის გამო, ალბათ, ასეთ სიმდიდრეს რომ ანიავებენ. "ოდესმე უკან დავუბრუნებ", _ გაიფიქრა ნიკამ, როცა ნანას საჩუქარი გამოართვა. და მერეც, დიდხანს ახსოვდა "ღარიბი მილიონერების" მოწყენილი სახეები.

_ ნიკა, შენ ეგ სამგროშიანი ნატურაც ლოგინში გინდა ჩაიგორო?.. _ დამშვიდობებისას მაინც ჰკითხა ნანამ.

"რატომაც არა?!" _ გაიფიქრა ნიკამ. მაგრამ იმას, რაც შემდგომში ელოდა, ვერაფრით წარმოიდგენდა.

შინ რომ მივიდა, საკმაოდ უცნაური სცენა დახვდა. თაზო მისაღებში იატაკზე გულაღმა გაშხლართულიყო და ხელისგულებით თვალებს იფარავდა. გვერდით კი, მისი ყავარჯენი ეგდო. ნიკას გული გაუსკდა: რეზი ხომ არ ამოვიდა და მოკლა ეს საცოდავიო? _ მაგრამ რომ დაინახა, თაზომ ცალი თვალით გამოიჭყიტა, ამოისუნთქა.

_ შენ რა, იატაკებს ასუფთავებ? _ ჰკითხა ნიკამ თაზოს.

_ არა. მოკლული ვარ, _ უპასუხა თაზომ. _ ომობანას ვთამაშობთ.

_ მამაჩემთან ერთად? _ ჰკითხა ნიკამ.

_ ჰო. მე უკვე მომკლა და ახლა ელისოს დასდევს მოსაკლავად, _ უპასუხა თაზომ.

_ ბუჰ, ბუჰ, მოგკალი, მოგკალი, მოკლული ხარ!.. _ სოლომონის ხმა ნიკას ოთახიდან გამოდიოდა. მალე თვითონ სოლომონიც გამოვარდა იქიდან. _ გავიმარჯვე, გავიმარჯვე, ორივენი მოგკალით!

_ უჯეროსია, უჯეროსი, ჯერ დამალული არ ვიყავი!.. _ ყვიროდა იქიდან გამოსული ელისოც.

ნიკა თავის ოთხმოცს გადაცილებულ გატუტუცებულ ბებიას მიაშტერდა.

_ რა ვქნა, შვილო, გადამრიეს მეც, დათვრნენ ორივენი და გინდა თუ არა, ომობანა უნდა გვეთამაშოო, _ თავი იმართლა ელისომ.

_ თავიდან დავიწყოთ, რა! ვითამაშოთ, რა! _ ადგილზე ხტუნავდა და ტაშს უკრავდა სოლომონი.

_ სოლო, რამდენი წლისა ხარ? _ ჰკითხა მამას ნიკამ.

სოლომონმა სამი თითი უჩვენა.

_ აი ამდენის.

_ ჯერ თვლა არ გისწავლია? _ ჰკითხა ნიკამ.

_ ორამდე ვიცი, _ ორი თითი უჩვენა სოლომონმა.

_ არა, ეს ნაღდად გვაგიჟებს ყველას! _ თქვა ნიკამ და ელისოს მიუბრუნდა. _ აკი, მთვრალიაო?!

_ რა ვიცი, შვილო, სვამდნენ და იმას მაგრად ეტყობა და ამას თითქოს არაფერი დაულევიაო.

_ მაშ, ტყუილად არ უტრაბახია, ხუთ ლიტრას ვცლიო, _ თქვა ნიკამ და თავისთვის ჩაილაპარაკა: _ სად გინდა წახვიდე?!.

_ ფეხი არ მტკიოდეს და მე ვიცი, სადაც წაგიყვანდი, _ თქვა "მოკლულმა" თაზომ.

_ არა, თავს უნდა ვუშველო, _ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკამ. სამზარეულოში შევიდა, სკამზე ჩამოჯდა და გააბოლა. თაზოც შექანდა და თავისი ყავარჯნით წინ წამოუსკუპდა.

_ "ნახეს უცხო მოყმე ვინმე"... _ წამოიწყო თაზომ.

_ კაი, თუ ძმა ხარ! _ ხელები გაასავსავა ნიკამ.

_ შენ არ ამბობდი, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობსო? _ მიაჩერდა თაზო.

_ როგორც ჩანს, ეგ საქართველოს არ ეხება... _ თქვა ნიკამ.

_ რაზე ხარ ჩაბოღმილი? _ შეეკითხა თაზო.

_ არ ვიცი... წინათგრძნობა მაქვს რაღაც, საზიზღარი...

_ მარტო ეგ?! _ თვალები გაუფართოვდა თაზოს. _ დაიკიდე, მერე, მაგაზე ადვილი რა არის?!

_ დაიკიდე _ კარგია! იცი, რა თანხებზეა ლაპარაკი?

ამის თქმა იყო და ანიმ დარეკა. ჩქარა, ტელევიზორი ჩართეთ და უყურეთო.

ჩართეს. ახალი ამბები მიდიოდა. ხვალ პარლამენტის სხდომაზე უკანონოდ შესყიდული მიწების თაობაზე ახალი დადგენილება უნდა მიიღოს პარლამენტმა; კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზეც იქნება საუბარიო, _ ამცნო მაყურებელს დიქტორმა.

...ნიკა უმცროსი ძმისა და ბიძაშვილის სანახავად წავიდა.

ირაკლისთან მორიგი ორგია მიდიოდა. ნიკას დანახვა ძმასაც და ბიძაშვილსაც ძალიან გაუკვირდათ. ირაკლიმ ლაპარაკის უნარი დაკარგა, ლადომ კი, ისე შეიპატიჟა, თითქოს ბინა ირაკლისი კი არა, მისი ყოფილიყო.

_ ო, ნიკა, შემოდი, შემოდი!.. რა ხანია, შენთან ლაპარაკი მინდოდა, საიდან, რა წყალმა გადმოგაგდო?!

ნიკა შევიდა. ქალები სუფრასთან ისხდნენ. ქვემოდან იმზირებოდნენ და იღიმებოდნენ. ისინი პირდაპირ ქუჩიდან აყვანილებს ჰგავდნენ... ნიკას კინაღამ გული აერია. ის მათ პირველად ხედავდა.

_ ამათ ნუ მიაქცევ ყურადღებას, ესენი, მოგეხსენება... _ თქვა ლადომ და ნიკა პირდაპირ სუფრასთან მიიპატიჟა. _ მოდი, მოდი, დაჯექი. რას დალევ _ არაყს თუ ღვინოს?

ნიკა დაჯდა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

_ დასალევად არ მოვსულვარ... _ თქვა მან.

_ აბა? _ ჰკითხა ლადომ.

_ ლადო, მოდი, გახსნილად ვილაპარაკოთ, _ თქვა ნიკამ.

_ ვილაპარაკოთ, ბატონო, _ სწრაფად უპასუხა ლადომ, მაგიდასთან დაჯდა და თავისი "ბრჭყალებიანი" თვალები ჩაასო. ნიკას ისეთი ქარიშხალი უტრიალებდა გულში, ყველაფერი ცალ ფეხზე ეკიდა, მით უმეტეს, ლადოს თვალები. ირაკლიც შემოვიდა და მაგიდასთან დაჯდა. ნიკას ისე უმზერდა, როგორც მთლად უცხოს. ნიკას ლადოსთან ჰქონდა საქმე...

_ ბიძაშვილები ხომ ვართ? _ მიაჩერდა ის ლადოს.

ქალები იმწამსვე წამოდგნენ.

_ ჰო, თქვენ გადით, ცოტა ხნით, _ ხელი აუქნია მათ ლადომ და ისინიც მეორე ოთახში გავიდნენ.

_ კი ვართ, _ უპასუხა ლადომ.

_ მამაჩემის გაზრდილი ხომ ხარ? ხომ სულ ამას ამბობ?!

_ კი, ბიძაჩემმა დამაყენა გზაზე, _ უპასუხა ლადომ.

_ ჰოდა, რატომ არ შემეშვები? _ პასუხს ელოდა ნიკა.

_ არ მესმის, რას ამბობ, _ გაიკვირვა ლადომ.

_ ჯუნგლების კანონია, ძმაო, ყველა თავისას ცდილობს... _ ჩაერია რატომღაც ირაკლი.

_ მოიცა, შენ გაჩუმდი! მე ვუპასუხებ, _ ხელი დაადო ირაკლის ხელზე ლადომ.

_ ხვალ რომ პარლამენტის სხდომაზე მიწების თაობაზე დადგენილება გააქვთ, შენი ხელი არ ურევია ამ ამბავში?.. _ ირონიულად ჰკითხა ლადოს ნიკამ.

_ მე რა შუაში ვარ?! პარლამენტამდე მე ხელი როგორ მიმიწვდება?! _ გაიკვირვა ლადომ.

_ არც ის ღორები იყვნენ შენი მოგზავნილი, ჯერ ოფისი რომ არ გამეხსნა და უკვე მამოწმებდნენ?

_ ვინ?

_ ვინ და ვიღაც რევიზორები.

_ ჩემი მოგზავნილი?.. როგორ გეკადრება?! წარმოდგენაც არა მაქვს, ვინ იყვნენ შენთან.

_ შენ ვიღაც რევიზორები გამოწმებდნენ, ლადო რა შუაშია?! _ ისევ ჩაერია ირაკლი.

_ მაშინ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია, _ ფეხზე წამოდგა ნიკა. _ ბრიყვი უნდა იყოს კაცი, რომ რაც ჩემი ნაკვეთის ირგვლივ ატყდა, სხვას გადააბრალოს. ლადო, შენ, რამდენიც არ უნდა იუარო და ხელები შალო, ჩემი მტერი ხარ! არ ვიცი, იქნებ, ქვეყნის მტერიც... შენ კი, ირაკლი... მატლი ყოფილხარ და მეტი არაფერი... შენ ჩემი ძმა აღარა ხარ!

_ ძალიან კარგი, გასწავლი მე შენ, რასაც მტრობა ჰქვია! _ მძიმედ წარმოთქვა ლადომ, როგორც კი ნიკა კარისკენ დაიძრა. კართან მისულმა კი, ერთხელ კიდევ მოხედა ორივეს. თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მარტო ხელიღა ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

ალბათ, ბევრს ჰგონია, რომ სიყვარული, კლასიკური გაგებით, როგორიც ის ძველად იყო, დღეს აღარ არსებობს. რომ მან უამრავი მეტამორფოზა განიცადა, თუნდაც, ფრანგული სისულეების გამო... ვინ იცის, იქნებ, შეიცვალა კიდეც, თუნდაც სულ ცოტათი. მაგრამ დიაპაზონი ალბათ, იგივე შემორჩა: მის ძალას ვგულისხმობ. აი, ავიღოთ თუნდაც, ნანა: სულ რამდენიმე დღეში, მისთვის ნიკას გარეშე არსებობის ყოველი წუთი ნამდვილ ჯოჯოხეთს დაემსგავსა... თუმცა, არც ერთმა მოკვდავმა არ იცის, როგორია ნამდვილი ჯოჯოხეთი. ალბათ, რაღაც აზელილი ტვინის მსგავსი. სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი მოეჩვენა თავისი ტვინი ნანას, როცა მეორე დილას გაიღვიძა. ეჭვები ჭიანჭველებივით დასეოდა მთელ ტანზე. თანაც, ვისზე ეჭვიანობდა?!. ვიღაც "სამგროშიან" ნატურაზე!.. რომ ეთქვათ _ ერთადერთი, რაც შენს სიყვარულს გადაარჩენს, მთელი მსოფლიოს წარღვნა და წალეკვაო, _ წამსვლელი იყო ამაზეც...

როცა ნიკამ ტელეფონზე უთხრა _ მოდი, რა, ერთი-ორიDდღე დამასვენეო, _ არ იცოდა, რა ექნა: ებღავლა, ეტირა, საკუთარი კბილებით საკუთარი ხორცები დაეგლიჯა?.. თუმცა, ისიც უკვირდა, ნეტა, ასე რამ გამაცოფაო?!. მოდი და ამის მერე იფიქრე, რომ სიყვარულმა რაიმე მეტამორფოზა განიცადა. ყოველ შემთხვევაში, ცალმხრივი სიყვარული, ალბათ, დღემდე ანალოგიურია იმისი, რომელიც პირველივე ადამიანის ქალის საშოში ჩასახვისას იყო... მოკლედ, როგორც კაი "ლიხაჩი", ისე მიაქროლებდა მანქანას ნანა, მოღალეტე საყვარელთან შესახვედრად.

მალე ის, როგორც ნამდვილი გიჟი, ისე შევარდა ნიკას ოფისში. ეკამ გაკვირვებულმა შეხედა თმაგაჩეჩილ, ალებისმფრქვეველ თვალებიან პარლამენტარს.

_ ნიკა სად არის? _ იკითხა ნანამ.

_ აქ არის, _ გვერდით ოთახზე მიუთითა ეკამ. _ რა არის, რამე მოხდა?

_ ვისთან ერთად არის? _ ჰკითხა დაეჭვებულმა ნანამ.

_ არავისთან მარტოა, _ უპასუხა გაკვირვებულმა ეკამ.

_ არ მატყუებ? _ ჩაეძია ნანა.

_ რატომ უნდა გატყუებდეთ?! _ კიდევ უფრო გაუკვირდა ეკას. _ შებრძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ.

ნანამ მაინც ვერ დაიჯერა, რომ ნიკა მარტო იყო. კარი ისეთნაირად შეაღო, თითქოს ზედ აქტზე უნდა წაასწროსო და როცა ნიკა, მაგიდასთან მჯდარი, ყავის სმასა და ფიქრში ჩაფლული დაინახა, მხოლოდ მაშინღა მიხვდა ამ სასაცილო მომენტის მთელ აბსურდულობას.

_ რა არი, რა შეშლილივით მიყურებ, რა მოჩვენებასავით დამადექი თავზე?! _ თავისდაუნებურად წამოსცდა ნიკას.

ნანა უცბად მოეშვა, მკლავები ჩამოუვარდა, მივიდა და სავარძელში მოწყვეტით ჩავარდა.

_ აღარ შემიძლია. მთელი ღამე კოშმარებში გავატარე. ერთი ასჯერ მაინც მოვიკალი თავი... _ და ნანა აქვითინდა. ჰაერს რომ ვერ ისუნთქავენ და ღვარღვარად წამოსულ ცრემლებს რომ ყლაპავენ ხოლმე ჰაერთან ერთად ქალები, ზუსტად ასე ტიროდა ნანა.

_ რა არის, რა ხდება? _ არ იცოდა, სად გაქცეულიყო ნიკა.

_ ვიეჭვიანე... _ თქვა უცბად ნანამ. ცრემლები მოიწმინდა და წელში გასწორდა.

_ აუ, მაგას მერჩია, ტყვია გესროლა, _ ხელები თავში შემოირტყა ნიკამ. _ ეს სენტიმენტები მინდა ახლა მე, ნანა?!

_Pმაპატიე, არ შემეძლო, რომ არ მენახე. ცოტას მოვსულიერდები და წავალ, _ თქვა და მართლაც, თავის მოწესრიგებას შეუდგა: ჯერ სარკე ამოიღო და შიგ ჩაიხედა. _ ღმერთო ჩემო, რას ვგავარ, რას?!.

_ შეგიძლია, ერთი დიდი სამსახური გამიწიო? _ ჰკითხა ნიკამ.

_ მაგას კითხვა უნდა, ნიკა?! _ საბრალო თვალებით შეხედა ნანამ ნიკას. “მე შენი ვარ სიკვდილამდე, წამიყვანე, სადაც გინდა!” _ ამბობდნენ მისი თვალები.

_ დღეს კერძო მფლობელობაში გადასული მიწების საკითხს განიხილავს პარლამენტი. ხომ ვერ გამიგებ, ვისგან მოდის ეს ამბავი? ან რა თანხა გადაიხადა დამკვეთმა?..

_ კი, მე საქმის კურსში ვარ. შენ ფიქრობ, რომ ვიღაცის ინტერესების გათვალისწინებით მოხდება ამ კანონის შეცვლა ან საერთოდ, ახლის მიღება, ხომ? _ უცბად დასერიოზულდა ნანა.

_ ჰო! _ უპასუხა ნიკამ.

_ კი, გენაცვალე, ნემსის ყუნწში გავძვრები და მაგას მაინც გაგიგებ, _ დაჰპირდა ქალი. _ ოღონდ, აღარ მითხრა ერთი-ორი დღე დამასვენეო, კარგი?..

_ კარგი, _ ნიკამ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა.

...ნანა რომ წავიდა, ცოტა უცნაურად შეხედა ეკას. ნანას ნახვამ, ნიკას ტანის ქვედა კორპუსზე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ასე თუ ისე იმოქმედა. “ეს ბიოლოგიური მოთხოვნილებაც ხომ...” _ გაიფიქრა ნიკამ და კომპიუტერი ჩართო.

ქალაქის არქიტექტურის ასე თუ ისე შესწავლამ კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ ჯერ ძალიან დიდი, გრძელი გზა უნდა გაევლო ქვეყანას, რომ ოდნავ მაინც მიახლოვებოდა ცივილიზებულ სამყაროს...

მობილურზე დაურეკეს. ნომერი ვერ ამოიცნო. უპასუხა. მაგდა იყო. გოგოები ვართ მარტო. პატარა პიკნიკი გვაქვს და ხომ არ გვესტუმრებითო? პარლამენტში ამ დროს მისი ფულის ბედი წყდებოდა... ეს არ იყო ქარის მოტანილი ფული, რომ ნიკა ასე ადვილად შელეოდა. ეს იყო გამოწვევა, რომელიც, ნიკას უნდოდა თუ არ უნდოდა, უეჭველად უნდა მიეღო. წავალ, უცხოებთან ბევრად კარგად გადავაყოლებ გულსო, _ გაიფიქრა და მაგდას ჰკითხა, სად მოვიდეო.

სხვათა შორის, ნიკა არაფრით არ მოელოდა, თუ ასეთ ბინაში მოხვდებოდა. ძველი, თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული სადარბაზო აიარა და მესამე სართულზე მარცხენა კარზე მიაჭირა ზარის ღილაკს თითი.

კარი მაგდამ გაუღო. რა თქმა უნდა, შიშველი აღარ იყო. იდგა და ნიკას ლამაზად უღიმოდა.

_ დღე და ღამეც რომ მელოცა და მილიონჯერ შევხვეწნოდი ხატს _ ასეთი სასწაული მამაკაცი შემახვედრე-მეთქი, _ ან გამიმართლებდა, ან _ არა... _ ჰოლიდანვე შეტევაზე გადავიდა მაგდა.

_ მეც იგივე უნდა ვთქვა?.. _ იკითხა ნიკამ.

_ არა, არა... ისედაც ნათელია, რომ ქალები ბუზებივით გეხვევიან... ალბათ... _ გაუღიმა მაგდამ და მისაღებისკენ გაუძღვა.

მართალია, მთელი ბინა, ჰოლიდან დაწყებული, საკმაოდ აჭრელებული იყო, მაინც ყველაფერს გემოვნება და დახვეწილობა აჩნდა. მხატვრობა, ხელსაქმე, გამოყენებითი ხელოვნება _ რას აღარ შეამჩნევდით ირგვლივ, თუმცა, ბინას არც სიმყუდროვე აკლდა. პირიქით, ხელით ნაქსოვი ყურთბალიშებითა და აღმოსავლურ ორნამენტებიანი მუთაქებით გაწყობილი რბილი ტახტები შესანიშნავ ხასიათზე მოიყვანდა ადამიანს. მისაღებში სხვა ორი, საკმაოდ ლამაზი გოგონაც დახვდა ნიკას.

_ სამი გრაცია ერთად?! _ გაიღიმა ნიკამ და დაბალ პუფზე მშვენივრად მოეწყო. _ თქვენც მსახიობები ბრძანდებით თუ მხოლოდ ნატურები? _ ჰკითხა მან მოწკურული, მოღიმარი თვალებით მისკენ მომზირალ გოგონებს.

_ ვერ გამოიცანით, _ თქვა შავგვრემანმა, ოდნავ გაბუშტულცხვირიანმა, წითელტუჩებიანმა გოგონამ. _ ჩვენ არც ნატურები ვართ და არც მსახიობები. ჩვენ უბრალოდ ქალები ვართ...

_ პროფესიონალი?.. _ დაინტერესდა ნიკა.

_ ეს გვანცაა. ეს კი _ თამუნა, _ გააცნო მაგდამ მეგობრები ნიკას. _ თქვენზე კი... _ და უეცრად გაჩუმდა. _ შეიძლება, შენობით მოგმართოთ?

_ მხოლოდ შენობით, _ თქვა ნიკამ და გაიცინა. მერე ხელები გაშალა: _ რა მშვენივრები ხართ, გოგონებო! დედას ვფიცავარ, ბოტიჩელის ნახატებიდან გადმოსულებს ჰგავხართ. სიამოვნებით დაგხატავდით.

_ აბა, ჰე! დავაი ახლა, დატრიალდით, რას გაბრტყელდით?! _ ხელი აუქნია უეცრად გოგონებს მაგდამ. _ მართლა არ დაიჯერეს, რომ ბოტიჩელის “გაზაფხულს” ჰგვანან?!. გაშაყირებთ კაცი, ვერ უნდა მიხვდეთ, დებილებო?!

გოგონები იმწამსვე წამოხტნენ.

_ აუ, მაგდა, რა უცებ აურდაურიე ყველაფერი, რა! გეცლია ერთი-ორი წუთი, _ იხუმრა ნიკამ.

_ აბა, კი, ბიჭო, ორი წუთი!.. ისე დამაწერენ შენ თავს, თვალსაც არ დაახამხამებენ... _ თქვა მაგდამ და მაქმანებიანი თეთრი სუფრა გადააფარა მაგიდას.

_ რა გამოდის? რომ უკვე შენი ვარ?.. _ თავის ამპლუაში იყო ნიკა. რაღაც უხაროდა, თუმცა, _ რა, თვითონაც არ იცოდა, ალბათ.

_ დიახ, გენაცვალე... გინდა _ “გაბმულხარ, ჩიტო, მახეში” _ გიმღერო? _ ორივე თვალი ლამაზად ჩაუხუჭა მაგდამ ნიკას.

_ თუ შენ აქაურობას მახეს ეძახი... სიამოვნებით გავებმები, ორივე ფეხით და ორივე ხელით. _ დღეს ბევრად ლამაზი ეჩვენა მაგდა ნიკას. რაღაც ფაშფაშა წითელი ესპანური ქვედაბოლო ეცვა და წვრილბრეტელებიანი ვარდისფერი პერანგი.

თამუნა შემოვიდა და ნიკას წინ ყავა დაუდგა. მაგიდაზე კი, ცარიელი ღვინის ბოთლი დადგა.

_ ეს ცარიელი ბოთლი რაღად გვინდა? _ იკითხა ნიკამ.

_ ცოტას რომ შევთვრებით, დავატრიალებთ ხოლმე, “პროშნაობას” ვთამაშობთ... _ უპასუხა ღიმილით თამუნამ.

_ მე კი “დამკა” უნდა გეთამაშო, _ უთხრა გვანცამ და მაგიდაზე ვისკის ბოთლი დადგა.

_ “დამკა”? მე რომ ცუდად ვთამაშობ?!. _ ვერ მიუხვდა ნიკა.

_ რა მნიშვნელი აქვს?! თუ შენ მომიკლავ კოჭს, მე გაკოცებ; თუ მე მოგიკლავ, შენ მაკოცებ, _ უთხრა გვანცამ და თვალებში მიაჩერდა.

_ სადა ვარ?.. პირდაპირ სამოთხეში მოვხვდი?.. მკვდარი ვარ თუ ცოცხალი?! _ ხელი მოიკიდა მკლავზე ნიკამ. _ არა, ცოცხალი ვარ ნაღდად! ჰო, მაგრამ, ეტყობა, ზღაპარში ვარ.

_ ჯერ სადა ხარ! ცოტა ხანში, მარტო ზღაპარში და სამოთხეში კი არა, მეცხრე ცაზეც გეგონება თავი... _ თქვა მაგდამ და საოცრად ლამაზი, ჰაეროვანი კოცნა აჩუქა...

მოკლედ, ნიკა, დაბალ, რბილზურგიან პუფში გემრიელად ჩაფლულიყო და გოგონების ჟღურტულს ისმენდა. გოგონები პატარა ფუჟერებით ვისკის ყლურწვაში სულაც არ უდებდნენ ტოლს მას. ატრიალებდნენ ცარიელ ბოთლს და ჰკოცნიდნენ და ჰკოცნიდნენ ნიკას მოურიდებლად, პირდაპირ ტუჩებში. ასე რომ, სასმლისა და სხვადასხვა ტუჩების გემო მალე ერთმანეთში აერია. თავშიც ყველაფერი აერია. ვიღას ახსოვდა პარლამენტი და სხდომაზე გატანილი მიწის ნასყიდობის საკითხი?! იჯდა გაბრუებული და იყო კოცნა-პროშნაში გართული. თამუნა კოცნისას, ყველანაირად ცდილობდა, ისე გადახრილიყო, რომ ნიკას მისი მკერდის აყვავებული “ბაღ-ვენახის” სურნელებაც ეგრძნო... მარტო ერთს ვერ ხვდებოდა გაბრუებული ნიკა _ რატომ ჰკოცნიდნენ გოგონები ერთმანეთს ტუჩებში... მერე კი, უკვე გვარიანად შემთვრალი იყო, როცა მთლად გააშიშვლეს და ვნებიანი კვნესისა და წკმუტუნის ხმაც ჩაესმა. თუმცა, ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა, მაგრამ ამ ყველაფრის გამო, მისმა ვნებამ რომ ქალის ნდომის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ეს ცხადი იყო. დაუფიქრებლად შემოაფლითა ტანზე ყველაფერი მაგდას და, საქანელას რიტმში გადასულს, თავი მართლაც მეცხრე ცაზე ეგონა... ბოლოს, სულ ბოლო მომენტში, როცა საქანელამ დარტყმები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი რყევები დაიწყო, ქალს სიცილი აუვარდა, რომელიც წამის მეასედში ქვითინში გადავიდა და ნიკა ვერ მიხვდა, იცინოდა თუ ტიროდა ქალი, რომელიც ფრჩხილებით ჩააფრინდა მის ზურგს და ბოლომდე ჩამოპორჭყნა... და ნიკას უეცრად გაახსენდა ვიღაცის მონაყოლი: ყველაზე დიდი საოცრება მაინც, ცრემლებამდე მისული სიცილიაო... სწორედ “სიცილი ცრემლებამდე” აღმოჩნდა ის სიტკბოება, რომელიც მაგდამ და ნიკამ ბოლომდე იგემეს. “დესერტად” კი, ნიკამ თამუნა და გვანცაც დააყოლა და როცა ნანამ დაურეკა და უსიამოვნო ამბავი ამცნო _ პარლამენტმა უკაკონოდ პრივატიზებული მიწების ჩამორთმევის საკითხი პირველი მოსმენით მიიღოო, _ ლესბოსელებთან “ფრანგული პოეზიით” გართულს, სულ ცალ ფეხზე ეკიდა: პარლამენტიც, დაკარგული ფულიც, მიწაც, ბიზნესიც და ყველა ქალიც ერთად...

_ ვაიმე შვილო, რა გჭირს მაგ ზურგზე, ეგ რა დაგმართნია?! _ შეიცხადა ვერიკომ, როცა შემთხვევით, მისი ზოლებად აჭრელებული ზურგი დაინახა.

_ ასე ვიცი ამ დროს: ყოველ წელს ზურგი მიჭრელდება, _ დაამშვიდა ნიკამ დედა.

_ არა, არა... რაღაცას მიმალავ... _ და სანამ ოჯახის ექიმს, ელისოს არ აჩვენა მისი გეომეტრიულად, თანაბრად ჩამოკაწრული ზურგი, ვერაფრით დამშვიდდა. ხოლო ვიდრე ნიკამ ადამისდროინდელ ექიმს ყურში არ ჩასჩურჩულა, რაც სინამდვილეში სჭირდა, ოჯახში სტაბილურობა ვერაფრით დამყარდა.

ამასობაში, ირაკლიმ, რომელსაც თანამდებობრივად ევალებოდა, რომ ქალაქის ყველა ახალი ჭორი პირველს გაეგო, აღმოაჩინა, რომ ქალბატონ ლელასა და მისი ძმის ურთიერთობა, რომელსაც მის ბინაში სრულიად შემთხვევით ჩაეყარა საფუძველი, თურმე გაგრძელებულიყო და განსაზღვრული სახეც მიეღო. რა თქმა უნდა, მან ეს ყოველივე თავის ახალ მფარველს, ლადოსაც გაუზიარა. და ლადომაც, ნიკას დასასჯელად, ყველაზე საზიზღარ ხერხს მიმართა. საყვარლები, მურაზ ლეშკაშელთან _ ლელას მამასთან ჩაუშვა.

თავიდან ეს ამბავი მურაზმა მორიგ ჭორად ჩათვალა. რადგან ეგონა, შვილს მოხარშულს იცნობდა. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ნიკას და ლელას სატელეფონო საუბრები კონტროლზე რომ აეყვანა, რა თქმა უნდა, მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა და ასეც მოიქცა. ადგა და ეს საქმე თავის მძღოლს ზაურს, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა, იმას დაავალა.

ჰოდა, როცა ნიკამ ლელას დაურეკა და უთხრა, შენთან სერიზული საქმე მაქვს და აუცილებლად უნდა შევხვდეთო, "სლეჟკას" მაგარი ჩაბოღმილი, თვით პოლიციის ბოსი, მურად ლეშკაშელი ჩაუდგა სათავეში.

ლელა-თათიკოს კი, გარდა იმისა, რომ მაგრად მონატრებოდა ნიკა, ისიც გაეგო, რომ ორ-სამ დღეში მისთვის მიწის ნაკვეთი ოფიციალურად უნდა ჩამოერთმიათ და როგორც კი კაცმა დაურეკა, შეხვედრაზე მაშინვე დათანხმდა.

_ იცოდე, ჩემს განკარგულებაში უნდა იყო დილამდე, თორემ მიგაბამ რამეზე, რომ არსად გამექცე... _ წინასწარ გააფრთხილა თათიკომ ნიკა.

მოკლედ, მანქანით თვითონ გაუარა, ჩაისვა და წაიყვანა. იმას, რომ მამამისი, ზაურთან ერთად, "კუდზე" ეჯდათ, რა თქმა უნდა, ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა.

თავდაპირველად, თათიკო თავის ხოხბებს, ფარშევანგებსა და ციცრებს მიეფერ-მოეფერა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიპატიჟა ნიკა თავის ქართულ მარანში.

ნიკა მაგარი დაღლილი იყო და პირდაპირ ტახტზე გაიშხლართა. თათიკო რომ უნდა დახმარებოდა მას ადვოკატის შერჩევასა და შემდეგ, სასამართლოში საქმის ბოლომდე მიყვანაში, _ ამ საკითხზე ლაპარაკი გზაში უკვე მოესწროთ. წინ მხოლოდ ქვევრიდან ამოღებული ქარვისფერი რქაწითელით თრობა და ამურის ტკბილი ექსტაზი ელოდათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ორივენი. აბა, მურაზ ლეშკაშელზე ხომ არ იფიქრებდნენ, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ შეყვარებულები გამოეჭირა... თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვერც მას გაემტყუნებოდა. რადგან იმდენი აწვეთეს ყურში საკუთარი შვილის ღამის ვოიაჟებზე, რომ ბოლოს და ბოლოს, მაგრადაც დააეჭვეს. დარწმუნებული კი მაინც არ იყო, რადგან ლელა, შინ თუ საზოგადოებაში, მუდამ თავდაჭერილი, გაწონასწორებული ქალბატონივით იქცეოდა.

"რა საოცარი ქალია! _ ფიქრობდა ტახტზე გაშხლართული ნიკა. _ ყველაფერს გენიალურად ასწრებს და ახერხებს. საზოგადოებაში _ სხვაა, პირად ურთიერთობაში _ სულ სხვა"...

უმზერდა და ტკბებოდა, როგორ მოხადა თავი ქვევრს თათიკომ, როგორ ამოაწო ხელადა ქვევრში, როგორ დაასხა ნეტარი სითხე, სუფთა, თლილ ჭიქებში... რა უცბად გაშალა სუფრა და მერე, წამოგორებულ ნიკას მიუჯდა. იწექი, იწექი, მე თვითონ გაჭმევ და გასმევ, როგორც პატარასო, _ უთხრა. ოდნავ შუშხუნა, ნექტარივით ღვინომ

სასიამოვნოდ დაუარა ნიკას სხეულში. თათიკო ლუკმებს სათითაოდ უდებდა პირში, ნიკა კი მის რბილ თეძოებს ეფერებოდა... თათიკო წამდაუწუმ მილულავდა თვალებს და ასე, ნელ-ნელა, თანდათანობით შედიოდა ექსტაზში. ხოლო როცა ნიკა მის ძუძუ-მკერდსაც წაეპოტინა და ორი მკვრივი სფერო მაღლა ამოაყრევინა, თათიკომ ვეღარ გაუძლო, სასწრაფოდ გაიძრო ყველაფერი და ცხელი ვნებით გახელებული, ნიკას "უნაგირზე" გადამჯდარი, ბედუინივით ატორტმანდა...

მურაზმა კარგა ხანს აცალა. იქნებ, საქმიანი შეხვედრა აქვთ და ის კაცი თავის გზაზე წავიდესო? _ ფიქრობდა. მაგრამ რომ არა და აღარ გამოვიდა ნიკა, ეზოში კედლიდან ჩახტა და მარნის კარზე მკაცრად დააკაკუნა. თუმცა აღარ აცალა, რომ შიგნიდან გაეღოთ და შეაღო.

...მურაზმა რაღაც წამებით დააგვიანა: სექსუალური აქტი უკვე მომთავრებული იყო. ლელა სუფრასთან ტრიალებდა, ხოლო ნიკას წამის მეასედი სჭირდებოდა, რომ ტახტის კიდეზე დოინჯით წელგამართული, ცალი მუხლით იატაკისკენ დაშვებული ფეხით, ქართველი თავადივით ჩამომჯდარიყო... მურაზის შესვლა და თათიკოს ლელად გადაქცევა ერთი იყო. თუმცა, იმ წამს, ცოცხალი აფრიკული სპილოს დანახვა ნამდვილად ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც მამამისის დანახვამ გააოცა.

_ მამა, შე-ენ?! აქ რას აკეთებ?.. _ შუბლი თავისით შეეკრა ლელას. მაგრამ უცბადვე გადახარშა და ვითომ სახე გაუნათდა: _ კარგ დროს მოხვედი. მარტო ხარ?

მურაზმა პასუხი არ გასცა. ეჭვით გახედა ნიკას. შეაფასა... მერე სუფრას გადაავლო თვალი.

_ რამე ხდება, მამა? _ სუფთა, გულუბრყვილო გოგონას თამაშობდა ლელა.

_ რა ვიცი, ეგ შენ უნდა გკითხოს კაცმა... _ უპასუხა ისევ კართან მდგარმა მამამ თავის ქალიშვილს.

_ ეს ნიკაა ბერიძე, მამა. ალბათ, არ იცნობ. მეც სულ რაღაც ერთი თვეა, რაც გავიცანი... ეს კი მამაჩემია, _ მიუბრუნდა ნიკას ლელა. _ მურაზ ლეშკაშელი.

ნიკა წამოდგა. ლელას კი უცბად გაახსენდა.

_ შენ რა, კედელზე გადმოხტი?1 რატომ არ მომიზარე? კარი ურდულზე მქონდა...

_ კაი, კაი... _ მოაკეტვინა უცბად ლელას მურაზმა და სუფრას მიუჯდა. _ მე ყველაფერი უნდა ვიცოდე, ლელა!

_ რა ყველაფერი? _ არაფრით არ გატყდა ლელა.

_ ვინ არის ეს კაცი... აქ რა უნდა, ამ დროს, შენთან... ეს სახლი... _ ვერ დაამთავრა მურაზმა.

_ მამა, ძალიან გთხოვ! _ ხმაში სიცივე გაურია ლელამაც. _ შენ მე ჩვიდმეტი წლის ხომ არ გგონივარ ისევ?! ოცდაათს მივუკაკუნე!..

_ ვიცი, მაგრამ... _ ყელში ბურთი მოაწვა მურაზს.

_ რა, არა მაქვს პირადი ცხოვრების უფლება? _ და ნიკას მიუბრუნდა. _ დაჯექი, ბიჭო, რას დგახარ ფეხზე?!

ნიკა დაჯდა.

_ მამა, ნიკა გახლავს ამერიკელი... ფუჰ, ამერიკელი კი არა, არქიტექტორი. ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ჩვენ საერთო პროექტი გვაქვს _ რაღაც ქველმოქმედებას გვინდა, რომ ერთად გავუწიოთ კურირება.

_ ჰოო?.. _ სუფრაზე მიანიშნა ლელას მამამ.

_ მამა, შენი ჭირიმე, ნუ იქცევი, რა, აზიელი ჯიგიტივით!.. _ "ვა-ბანკზე" წავიდა ლელა. _ თუმცა, მე ძალიანაც მომწონს ნიკა, _ და ნიკას მიუბრუნდა: _ შენ, ნიკა?

_ ლელა პიროვნებაა, _ თქვა ნიკამ. _ საოცრად გაწონასწორებული და ჭკვიანი... დღეს ეს იშვიათი ფუფუნებაა.

_ მამა, დედამ იცის ჩვენი ურთიერთობის შესახებ. თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერი გვაქვს...

“რას არტისტობს, ბიჭო!..” _ გაიფიქრა ნიკამ.

_ თუკი მედიკომ იცის, მე რატომ არ უნდა მცოდნოდა? _ იკითხა მურაზმა.

_ შეეშინდა, ალბათ, და ვერ გითხრა. იმიტომ, რომ ქართველი კაცები... _ აღარ დაამთავრა ლელამ. _ იმას, რაც ახლა შენ გააკეთე, გაუფრთხილებლად რომ შემომივარდი... ჰო, რა იყო? ხდება კიდევ რომელიმე ქვეყანაში?.. ისევ პაპუასების დონეზე რომ ვართ?.. არადა, ოცდამეერთე საუკუნეა, _ მაგრად აწვებოდა მამას ლელა. _ ისევ ბავშვი ხომ არა ვარ, არა?! ოცდაათი წლის ვარ და ცოტაც _ მეტის. არ მინდოდა, ნიკას სცოდნოდა...

_ აი, შენ რომ მამა იყო და შენი შვილი ვიღაც კაცთან იყოს ჩაკეტილი, რას იფიქრებდი? _ შვილს შეეშვა და ნიკას მიუბრუნდა მურაზი.

_ ჩვენ სხვა თაობა ვართ, ჩვენ სულ სხვა ფასეულობები გვაქვს... _ თქვა ნიკამ.

_ ბრავო, ნიკა! _ ტაში დაუკრა ლელამ. _ გაიგე?! _ მიუბრუნდა ის მამას. წინ დიდი ჭიქა დაუდგა და ღვინით გაუვსო. _ დალიე!

ლეშკაშელი იმის ჩიტი არ იყო, ვერ მიმხვდარიყო, რომ ამ ორ საპირისპირო სქესის ადამიანს შორის ყველაფერი უკვე მომთავრებული იყო. რომ ისე არ ქუხდა, როგორც წვიმდა, თუ _ პირიქითო... მოკლედ, როგორც ლელა ბლანდავდა. მაგრამ რა უნდა ექნა? იმის დაშვებას, რომ ლელა კაი “ნაბურთავები” იყო, თავს როგორ გაუმხელდა?!. ეშინოდა და მანაც ჩათრევას, ისევ ჩაყოლა ამჯობინა. მოეშვა. ჭიქა აიღო.

_ უნდა მაპატიოთ! მაინც არ შემიძლია... ეტყობა, ჯიგიტი ვარ... _ გამოსცალა.

_ ჩემს ადგილზე ყველა იფიქრებდა, რომ ეს ამბავი ჩაწყობილია, რომ ლელამ ჩამიწყო... _ თქვა მშვიდად ნიკამ.

_ აი, ხედავ?! _ და უეცრად ლელამ ტირილი დაიწყო. _ შენ მე ყველაფერი ჩამიშალე, მამა!.. _ სლუკუნებდა ქალი.

_ მე არაფერი მაქვს სახვეწნი ვინმესთან!.. _ მკაცრად თქვა მურაზმა.

_ იმიტომ, რომ შენ ყველაფერი გაქვს _ ცოლიც, შვილიც, ფულიც, თანამდებობაც... _ თქვა ტირილით ლელამ და დააყოლა: _ და საყვარელიც... მე მაკონტროლებს, გამობმული მაქვს თეთრი ფრთები მხრებზე თუ არა...

ნიკას გაეღიმა.

_ მე ვფიქრობ, რომ გაქვს ფრთები... _ უთხრა მან ლელას.

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ მურაზი დამშვიდებულიყო და ხასიათზე მოსულიყო.

_ კაი, ხომ მოვიხადე ბოდიში... მოდი, ახლა დავლიოთ, _ თქვა მან და თვითონ დაუსხა ღვინო ნიკას.

...კარგად გამოთვრნენ და ნიკა მურაზმა მიაცილა შინ.

_ მაშ, გიჟი არ არის ეს ჩემალალა?! ნამდვილი დამთხვეული, ოჟებიანი გიჟი! რა საღამო ჩამიშალა!.. _ იფურთხებოდა მარტოდ დარჩენილი ლელა. _ ნეტავ, რანაირად ახერხებენ ამხელა სკამებზე წამოჯდომას ამნაირი კრეტინები?!

ის, რომ ლადომ, ნიკას მიწის ხელში ჩასაგდებად უზარმაზარი ფული გადაყარა, ნიკასთვის ძნელი მისახვედრი არ იყო. მარტო თუნდაც, ლამის მთელი პარლამენტის მოსყიდვა რად ღირდა?! მაგრამ, ვინ იცის, იმდენად “სამშაურიანები” არიან ჩვენი პარლამენტარები, რომ ორი თეთრის გულისთვისაც კი, საკუთარ დედასაც სულ ადვილად გამოღადრავენ ყელს... თათიკოს საშუალებით ნიკამ ისიც გაიგო, რომ ლადო არა მარტო მის მიწას, არამედ რამდენიმე მსხვილ ქართულ კომპანიასაც

“ეძიძგილავებოდა” და თანაც, წარმატებით. მაგრამ საიდან, როგორ უნდა დაეგროვებინა ამ, არცთუ ისე დიდი გაქანების, კაცს ამხელა ქონება?!. ნიკას ეჭვის ჭია ღრღნიდა...

მართლა ხომ არ მომეყვანა ლელა ცოლადო?! _ ფიქრობდა ნიკა. ამ სისულელეში მშვენიერი აზრი იდო: ნიკას მიწის ნაკვეთს მურაზ ლეშკაშელის ფულიანი ზურგი თუ გადაარჩენდა. ბევრი აღარც უფიქრია _ ადგა და თავისი ნაფიქრ-ნააზრევი _ ანუ გადაწყვეტილება _ ლელას გააცნო.

_ მოაგვარო საქმეები და მერე გამცილდე, არა?! რა ჭკვიანი ხარ, ბიჭო! ბევრი ჰყავს შენს დედიკოს შენნაირი?!. _ კითხვები დააყარა ლელამ. _ იქნებ, მე ქალიშვილად მინდა, ჩემს მომავალ ქმარს შევასაღო თავი. მაწყობს გათხოვ-გამოთხოვება, როგორ გგონია, შენ?..

ნიკა ამის შესახებ ნამდვილად არ დაფიქრებულა. ერთი კი ამოღერღა _ როგორ უნდა შეასაღო თავიო?.. _ და მოკეტა.

_ ეგ არ არის შენი საქმე, _ უპასუხა თათიკომ. _ თუ გინდა, გამოგყვები, მაგრამ _ სამუდამოდ... _ თითქოს წამოსცდაო თათიკოს. ნიკას კი, მაინც მოხვდა გულში. ახლაღა მიხვდა, რომ ძალიან, ძალიან შორს შეუტოპავს. რომ ეს ფუმფულა, ორსახოვანი ქალი, ვინ იცის, უყვარდა კიდეც... თუმცა, ეს უცნაური აზრი თუ გრძნობა ჯერ საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გაემხილა. მაშ, რის ქართველი იყო?! ცოლის მოყვანამდე, გიყვარდეს, გიჟდებიან ქალებთან ერთად ლოგინში კოტრიალზე, აი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ კი ისველებენ, რაც არ უნდა დიდი ვაჟკაცები იყვნენ და კუნთები ბატიბუტივით “ეყაროთ”... მოკლედ, სასწრაფოდ “მობრახუნდა” ნიკა ჭკუაზე და თათიკოს მანაც იგივე შეკითხვა დაუსვა:

_ შენს დედიკოს?.. იმას არ ჰყავს სხვა შენნაირი ჭკვიანი?..

საკითხი ისევ ღიად დარჩა...

იმ დილას, როცა მურაზმა სახლთან მიაცილა ნიკა, თბილისი ჯერ კიდევ იღვიძებდა. ნიკა უყურებდა, როგორ ამტვერებდა ქურთი მეეზოვე ქუჩას და ის დრო გაახსენდა, როცა ქურთები ჯერ რწყავდნენ და მერე ჰგვიდნენ... გული დასწყდა. ესენიც გადაგვარებულან ჩვენსავითო, _ გაიფიქრა და სუპერმარკეტში შევიდა. ორი ბოთლი ლუდი, ზეთისხილი, შპროტი, ხიზილალა და კარაქი იყიდა და თავის სადარბაზოს კიბეს აუყვა. შეეცადა, რაც შეიძლება ჩუმად გაეღო კარი, ჩუმადვე მიეკეტა და სამზარეულოში შეპარულიყო... გამოაღო სამზარეულოს კარი და _ სოლომონი არ დახვდა?!. იჯდა გაჯგიმული და ყალიონს აბოლებდა. ნიკა სახტად დარჩა. არ იცოდა, რა ეთქვა, ესაყვედურა თუ გაჩუმებულიყო. პარკი მაგიდაზე დადო და ჩამოჯდა.

_ შენ რა, ყალიონს აბოლებ, მამა? _ ვითომ გაიკვირვა ნიკამ.

_ შენ იცი, ეს რა ყალიონია?.. _ შეეკითხა სოლომონი.

_ წარმოდგენა არა მაქვს, _ უპასუხა ნიკამ.

_ ეს ყალიონი, ჩემო ბიძია, ფიდელ კასტროს ნაჩუქარია. ჰავანაში რომ ჩავედით, ყველას გვისახსოვრეს, კაცებს! _ თქვა სოლომონმა და ნიკას გასაკვირად, ბოლი რგოლებად გამოუშვა.

_ რგოლებსაც უშვებ?! _ შეეკითხა გაკვირვებული ნიკა, თან, პარკიდან სურსათის ამოლაგებას შეუდგა.

_ აბა! ჩვენს კლასში ყველაზე მაგარ რგოლებს მე ვუშვებდი. აი, მიყურე, _ უპასუხა სოლომონმა და რგოლების გამოშვება დაიწყო. ნიკამ დაითვალა და კიდევ უფრო გაუკვირდა: სოლომონმა ზუსტად 8 რგოლი გააძვრინა ერთმანეთში.

_ შენ რა, ცირკში მუშაობდი? _ გაეცინა ნიკას.

_ ჩვენ კაცები ვიყავით, ვაჟკაცები!.. _ თქვა სოლომონმა. _ თქვენსავით ლაყეები კი არ ვიყავით.

ამ დროს სამზარეულოს კარი გაიღო და ყავარჯნით ხელში, “ტრუსიკ-მაიკიანი” თაზო შემოძვრა.

_ ჭუკჭუკებთ, ჯიგრებო?.. ყოჩაღ! არ მოყუჩებულან მამა-შვილი?! აა, პახმელიაზე ბრძანდება ბატონი ნიკა? გენიალურია! _ თაზომ სამივესთვის ლუდის ბოკლები გადმოაწყო სასწრაფოდ. _ ჭაჭაც ხომ არ დავცხოთ ჯერ?..

_ მოიცა, რა! _ თქვა ნიკამ და ჭიქები შეავსო.

_ ამ ჭიქით ჩვენს მთავრობას გაუმარჯოს, თავის ასარ-ბასარებით! _ თქვა თაზომ და ქაფიანი ლუდი მოსვა.

ჭიქებს ხელი მოჰკიდეს ნიკამ და სოლომონმაც.

კარი გაიღო და ვერიკო შემოვიდა.

_ ღმერთო, რა ხდება! _ დაიწყო კარიდანვე ვერიკომ. _ ჯერ ხომ არც გათენებულა!..

_ ჰოდა, მზის ამოსვლას ვხვდებით. ხომ უნდა დავლოცოთ მისი აღმატებულების აღმობრწყინება! _ თქვა თაზომ.

_ სად დაიკარგები ხოლმე, შვილო? გამიწვრილდა გული, გამიწვრილდა! _ მკერდზე მიიხუტა ნიკას თავი დედამ და გაყუჩდა.

_ კაი, ქალო, გამიშვი, ნუ დამახრჩე!.. ხომ გაგაფრთხილე, _ უთხრა ნიკამ.

_ შენ კი გამაფრთხილე, მაგრამ შენმა მდივანმა დარეკა ერთი ცხრაჯერ მაინც, წუხელ. შენ კი მთელი ღამე მობილური გამორთული გქონდა, _ უსაყვედურა ვერიკომ.

_ ეკამ? რაო, რა მინდაო? _ დაინტერესდა ნიკა.

_ არ ვიცი, არ თქვა. თუ მოვიდა, მაშინვე დამირეკოსო, _ თქვა ვერიკომ და ქმარს მიაშტერდა. _ ეს ნახეთ, ეე! ცალ ხელში _ ყალიონი, მეორეში _ ჭიქა! ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! _ უეცრად გაცეცხლდა ვერიკო.

_ “ჟენშინა ვრაგ ჩელავეკა”! _ გაიმეორა ცნობილი ფრაზა ფილმიდან სოლომონმა.

_ აპ, სიდედრებზე ეგ არ ითქმება! _ თითი ასწია თაზომ.

_ რაღაცა მოხდა ნამდვილად... _ ნიკა დედას ნათქვამმა ჩააფიქრა.

_ რაც არ უნდა მოხდეს, უნდა დაიკიდო და მორჩა! _ ურჩია თაზომ. _ საქართველოში ყველას ყველაფერი ჰკიდია. სამშობლო აღარ არსებობს, გესმის, სამშობლო აღარა გვაქვს! წაგვართვეს, წაიღეს, გადაყლაპეს, შეჭამეს, გაყიდეს, გესმის?!! სამ შაურად გაყიდეს ამ ნაძირლებმა ქვეყანა! ამ ბოზებმა! ყველაფერი ამოაყირავეს. დაგვცინიან. ვეზიზღებით. ეზიზღებათ ხალხი ამ ნაბოზრებს!.. საკუთარი ხალხი არ უყვართ!!.

_ ჰო, კარგი, კარგი, გაჩერდი! სად გაუტიე?!. _ გააჩერა ვერიკომ. _ ცოტა ჩუმად, სძინავთ ელისოს და ანის... ყველაზე არ ითქმის ეგ. ბევრი ძალიან კარგიც არის იქ და ძალიან საყვარელიც.

_ მეც მინდა, რომ მასე იყოს, მაგრამ არ არის მასე! _ გააგრძელა თაზომ. _ განა მე არ მინდა?! ლამის გასკდეს გული... გამოჰყავთ ეს თავგასიებული კოკოითი და ალაპარაკებენ ამ ტელევიზორში. ნუ მაჩვენებ მაინც! ნუ მიყრი, რა, გულში ამ ხანჯალს!.. თუ იმის შნო არა გაქვს, რომ ესროლო ერთი ტყვია შუბლში და გააგორო... გავჩერდეთ, გავჩერდეთ და _ დავიხოცეთ ხალხი!.. დაგვისკდა გულები!.. ეს ოსები, იმის მაგიერ, რომ თავისუფლებისთვის ებრძოლათ ჩვენსავით, ჩვენ გვიშენენ ზურგში ტყვიას და რუსებს ერთ ადგილს ულოკავენ.

_ ეგ რუსების ნაყიდი ხალხია, ოსები არაფერ შუაშია, _ თქვა ნიკამ.

_ არ მერჩია, ამეღო იარაღი და ან მოვმკვდარიყავი, ან მომეკლა და დამთავრდებოდა ყველაფერი... ვაჟკაცობის გრამი სისხლი აღარ გვცხია. ლაჩრები ვართ ყველანი! _ დაამთავრა თაზომ.

სიჩუმე ჩამოვარდა “საპახმელიო” სუფრაზე.

ამ დროს კარი გაიღო და პერანგისამარა ანი შემოვიდა.

_ რა არის, რა ხდება, რამ გაგაცოფათ, ხალხო, სვამთ ამ დილაადრიან? _ ანიმ ჭიქა გაუწოდა თაზოს. _ დამისხი, აბა, მეც.

თაზომ ლუდი დაუსხა და ჭიქა ასწია:

_ ოსებს და აფხაზებს გაუმარჯოთ! ყოველთვის, ყველაზე მწვავე, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ზურგში რომ გვიმიზნებენ ტყვიას...

_ გაუმარჯოს! _ ერთხმად მიუჭახუნეს ჭიქები ყველამ ანის და დალიეს.

ამ დროს ტელეფონმაც დარეკა. ყველას ძალიან გაუკვირდა. ვერიკო მისაღებში გავიდა, რომ ეპასუხა. ცოტა ხანში შემობრუნდა.

_ ნიკა, ეკაა, შენ გკითხულობს. ბოდიში მოიხადა _ დილაადრიან ვრეკავ, მეშინია, არ გამასწროსო...

ნიკა გავიდა და ყურმილი აიღო.

_ ნიკა, მაპატიე, რომ ასე ადრიანად ვრეკავ. გუშინ ვერ დაგიკავშირდი, _ უთხრა ეკამ. _ სასამართლოდან დარეკეს საღამოს. მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმებულია და ნაკვეთი ჩამოერთვაო... ამიტომ ვრეკავდი... _ თქვა ეკამ და გაჩუმდა.

_ კაი, კაი, _ უპასუხა ნიკამ და ყურმილი დადო. მერე სამზარეულოში შევიდა და სკამზე დაჯდა.

_ ჭაჭა მაქვსო, არა, ამბობდი?.. _ უთხრა მან თაზოს.

_ ამწუთას! _ თქვა თაზომ და ბოთლი და არყის ჭიქები გადმოდგა.

_ მაშ, მოვკლათ, არა, მე და შენ კოკოითი?! _ არყის ჭიქა აიღო ხელში ნიკამ.

_ აბა, რა! სიდედრთან ბოდიში, მაგრამ მოსაკლავი უნდა მოიკლას და გასაჟიმი _ გაიჟიმოს!

თქვა თაზომ და ჭიქა მიუწკარუნა.

_ გამომივიდნენ ვაჟკაცები... თავიდანვე უნდა გვეფიქრა, როცა შევიფარეთ და ლუკმა გავუყავით აფსუებსაც და ოსებსაც... არც ერთი სიკეთე ბოლოს დაუსჯელი არ რჩება. ასეა და ვერსად გავექცევით... _ დაასრულა ანიმ.

ნიკამ, ბოლოს და ბოლოს, ელისოს მიერ მიცემული ტელეფონი მოძებნა და ვალერიან ნოზაძეს დაუკავშირდა. ელისო სალაძე ჩემი ბებიაა, იმან მომცა თქვენი ტელეფონი, ხომ არ გეცოდინებათ, რა სიმდიდრე შეიძლება აღმოჩნდეს ამა და ამ მიწის ნაკვეთში დამარხულიო? ვალერიანი ეტყობა, ხუმარა კაცი იყო და მიუგო _ მიწა რა შუაშია? ყველანაირი სიმდიდრე ჩვენს ენაშია დამარხული, ერთი ეგაა მხოლოდ, ეს ჩვენი ენა იმდენად წავბილწეთ, ვერც ერთი ეშმაკი ვერ მიხვდება, რა სიმდიდრე გავანიავეთო... მერე დასძინა: _ ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ სტალინმა რომ ნავთობის საბადოები დააკონსერვა საქართველოში, ვიცი, რომ მაშინ კვლევა-ძიება მაგ რაიონშიც მიმდინარეობდა, მერე იმდენად გაასაიდუმლოეს ეს ყველაფერი, რომ ერთადერთს _ ძველ მოსკოვურ სუკს თუ ეცოდინება სიმართლეო. პირდაპირ ნიკას ეჭვებს “მიუკაკუნა” ვალერიან ნოზაძემ.

ადვოკატი ნიკამ ნატოსთან დაიბარა.

_ ვიბრძოლოთ და ვნახოთ, საქმე გვიჩვენებს... _ აბა, სხვას რას ეტყოდა ნიკას, თათიკოს მიერ შერჩეული ადვოკატი?! ოღონდ ის იყო, რომ ფულზე უარი თქვა _ ისეთმა ქალმა დამავალა ეს საქმე, იქით მივცემდი ფულს სიამოვნებით, თუ გამომართმევდაო...

_ ჩვენი საბუთი ყველა წესრიგშია, _ თქვა ნატომ. _ კიდევ კარგი, არაფერი ვიმაიმუნეთ და ნაკლებად არ შევაფასებინეთ ნოტარიუსს... საქმეს რომ აუცილებლად მოვიგებთ, ამაშიც დარწმუნებული ვარ.

_ კი, კი, _ ჩაერია ადვოკატი. _ მოგებით კი მოვიგებთ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ თანხის გადახდას სასამართლო უეჭველად, გამყიდველს დააკისრებს. მერე უკვე ის დაიწყებს ჩივილს, მერე ფული წავა ხოდში და ბოლოს, მაინც მისი გადასახდელი რომ გახდეს, სააღსრულებომდე სანამ არ მივა ეს საქმე, ისე, არ არსებობს, არ დასრულდება. სააღსრულებოს მიერ დასრულებული საქმე კი, თუ ეს სახელმწიფოს ფული არ არის და კერძო ფულს ან ქონებას ეხება, მე ჯერ არ შემხვედრია. მოკლედ, რომ არ მოგატყუოთ, დიდხანს უნდა გაჯანჯლდეს ეს საქმე, როგორც ვატყობ... _ დაასრულა თავისი პირველი საადვოკატო სიტყვა დამცველმა.

_ მეც ასე ვფიქრობ, _ თქვა ჩაფიქრებულმა ნიკამ.

_ იქნებ, სხვა გზა არსებობს რაიმე? მყიდველს რომ პირადად დაელაპარაკო? _ იკითხა ადვოკატმა.

_ მყიდველს?.. _ გაეცინა ნიკას. _ არ მიყვარს ზღაპრების მოსმენა, მაგ ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი. არ მეტყვის _ მე როცა მოგყიდე, კანონის სრული დაცვით მოგყიდე და თუკი ჩვენი მთავრობა აფრენს, მე რას მემართლები, წადი და იმათ მოჰკითხეო! ასე არ არის?

_ არა მგონია, ის საქართველოში გაჩერებულიყო, _ თქვა ნატომ.

_ რა? _ მაგრად მოხვდა გულზე ნიკას. _ ინფორმაცია გაქვს რაიმე?

_ შენ რა გგონია, რა, ის არ უყურებს ტელევიზორს? _ შეუბრუნა კითხვა ნატომ. _ ამხელა ამბავი რომ ატყდა, უკანონო პრივატიზაციებზე, დაახვევდა და გადაიკარგებოდა, ის აქ გაჩერდებოდა?!.

_ გამოდის, რომ საშველი არ არის? _ იკითხა დამცველმა.

_ "ხსნა ყველგან არის, მხოლოდ გზა ხსნისა, ასეთი მერგო მე უბედურსა", _ გადაიხარხარა ნიკამ.

_ სულაც არ არის სასაცილო, _ თქვა ნატომ. _ მარტო შენ არ იქნები, ვინც შეცდა და ამათ რაკარუკს აჰყვა...

ის, ვინც ნიკას მიწა მიჰყიდა, ვინმე ვანო ლებანიძე, მართლაც აორთქლებულიყო. მის მისამართზე სხვები ცხოვრობდნენ, თანაც _ ადამიანები, რომლებმაც მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ვინ იცის, ვინმემ გააფრთხილა კიდეც... ლადოზე ჰქონდა ეჭვი ნიკას.

ნიკა ოცდაცამეტი წლისა იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შოლტი გადაჰკრესო ზურგზე. რაღაც იმედი მაინც ჰქონდა. იქნებ, სახელი და გვარი გამოიცვალა და აქვე იმალებაო? _ ფიქრობდა. ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაუგო, ვერც თათიკო დაეხმარა რაიმით. ერთადერთი, რასაც ჰპირდებოდა _ იქნებ, სასამართლოში მოვახერხოთ რამე და დადებითად გადავაწყვეტინოთო. მაგრამ ნიკას, რადგან ლადოს ფულების ტრიალის ამბავი იცოდა, ამის იმედი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ნიკა ჩამოსვლისთანავე მიხვდა, რომ საქართველოში იოლი ცხოვრება არ ელოდა. მაგრამ თუ ასე მწვავედ წარიმართებოდა ყველაფერი, ამას მაინც ვერ იფიქრებდა. ჩამოსვლის პირველ დღეებში, თავის საწოლში გაღვიძებისას, აუცილებლად ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე სახეზე; ახლა _ გაიღვიძებდა და აღარ ეღიმებოდა...

ელისო, როგორც ყოველთვის, ყველაზე ადრე ამდგარიყო და სამზარეულოში ფუსფუსებდა. ნიკა შევიდა, ბებოს ხელი გადახვია და აკოცა. ელისომაც გადაკოცნა.

_ დაჯექი. ძალიან კარგი გამომივიდა... _ უთხრა მან ნიკას ხაჭაპურზე, რომლის გამოცხობაც უკვე მოესწრო. _ ჩაის ხომ დალევ?

_ კი, _ თქვა ნიკამ და ხაჭაპური ჩაკბიჩა. _ მაგარია, _ თქვა მან. _ ჩვენი ეროვნულობის ყველაზე მკაფიო სიმბოლო. ჩვენს გერბზე გამხდარი აფრიკული თუ ინდური ვეფხვი კი არა, ხაჭაპური უნდა დაეხატათ...

_ კი, გერბი, დროშა და ჰიმნი აუცილებელია, მაგრამ მთავარი მაინც ტვინი ყოფილა... _ თქვა ელისომ.

_ რომელიც ქართველებს არ აღმოგვაჩნდა?.. _ გაეცინა ნიკას.

_ თუნდაც, _ თქვა ელისომ.

_ ჰო, ერთი ილია გვყავდა ჭკვიანი და იმასაც სომეხი დედა ჰყავდა, არა?.. რა მგონია, იცი? _ თქვა ნიკამ.

_ რა? _ დაინტერესდა ელისო.

_ ასე მგონია, საყოველთაო უვიცობის ფაზაში შევედით. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩემი ნაკვეთის გამო თუ დიდ რუსეთთან მომიწევდა ომი, ამას კი _ ვერა. თან, ვისი ხელით მეომება? ქართველის, მამაჩემის გაზრდილი კაცის ხელით!.. მარსელ პრუსტს აქვს მოთხრობა: ერთი ეპისკოპოსი ყასაბის მიერ დახოცილ სამ პატარა ბავშვს გააცოცხლებს; გაიზრდებიან და ამ ეპისკოპოსის ქალიშვილს ხომ აუპატიურებენ და ქვეყანასაც ნაცარტუტად აქცევენ...

_ ჰო-ო?.. ჩემმა თემიკომ იცოდა თქმა: ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ალექსანდრე მაკედონელი ამბობდა _ თუ პატარა ქვეყანას გვერდით დიდი მეზობელი ჰყავს, უნდა, თუ არ უნდა, ანგარიში უნდა გაუწიოსო.

_ ეტყობა, ჩვენც მაკედონელი თუ გვიშველის. ე-ე, წავიდა ტიტანების, რაინდების და რომანტიკოსების ეპოქები. მტაცებლობის ეპოქაში ვცხოვრობთ. ყველა რაღაცის დატაცებაზე ფიქრობს. ზოგი მანქანის გასაჩერებელი ადგილის დატაცებაზე, ზოგი მეზობლის სარდაფის ერთი მტკაველი ფართის მიტაცებაზე... ა, ბატონო, ზვიადაური, ჩვენი მეზობელი. მთელი კორპუსის ეზო მიისაკუთრა და მეზობლებს ავტოფარეხების ფართებად მიჰყიდა. თან, უბნის ინსპექტორი უზის წილში. მეტი სიგიჟე რაღა გინდა?!

_ ჰოდა, რომ მიუნგრევს მაგ ფარეხებს მთავრობა და უკან რომ ექნება ეგ ფული მისაცემი, მერე იმტვრიოს თავი.

_ უკან? დღეს? თუ ციხეში არ ჩასვი, ვერავის ვერაფერს წაართმევ...

_ რა ჩემი საქმეა, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ნიკა, იმ შენს ნაკვეთში რის გაკეთებას აპირებდი, _ თვალებში უმზერდა ბებია შვილიშვილს პასუხის მოლოდინში.

_ არ დაიჯერებ, რომ გითხრა... _ სადღაც შორს, ფანჯარაში გაიხედა ნიკამ. _ ცოტა შორეული გეგმები მქონდა. ვფიქრობდი _ თუ ხალხმა ამოისუნთქა, შობადობაც გაიზრდება და ქალაქიც განზე გავა-მეთქი... იაპონური ტიპის, მრავალსართულიანი და მრავალკილომეტრიანი, უახლესი ტექნოლოგიებით დაკომპლექტებული ბაზრობის გაკეთებას ვაპირებდი. თავისი სასტუმროებით, კინოდარბაზებით, აუზებით, დისკოთეკებით და რა ვიცი... დიდ ბიზნესს ვაპირებდი, _ დამნაშევასავით თქვა ნიკამ. _ დამშეული ქვეყნის პრიორიტეტი, ეკონომიკის ამოქაჩვა უნდა იყოს, სხვა რა? მეგობრების იმედი მქონდა _ ჩემთან კურსზე მილიარდერები სწავლობდნენ...

ელისო ფრთხილად ჩამოჯდა მის წინ. ისხდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.

_ მერე? _ იკითხა ელისომ.

_ რუსული ჩექმა... _ თქვა ნიკამ. _ როდის ეგენი ბოტასებზე გადავლენ?.. ან გადავლენ კი, საერთოდ?.. _ ხელი ჩაიქნია და წამოდგა. _ ხომ გახსოვს, ქრისტემ ვაჭრები რომ დაიფრინა. იქნებ, მაგიტომაც დავისაჯე, ვინ იცის?.. დიდი მადლობა, უმაღლესი ხაჭაპური იყო. წავედი...

_ ჰო, სულ მავიწყდება, _ შეაჩერა ელისომ. _ ეს ორი დღეა, ირაკლი რეკავს და გკითხულობს. რატომ არ ნახავ ერთხელ? გოგოები ხომ არა ხართ, ერთმანეთს გაებუტოთ.

ნიკა დაეჭვდა. ირაკლის, წესით, არ უნდა დაერეკა. ყოველ შემთხვევაში, ნიკა არ უნდა ეკითხა. ალბათ ეგაა _ ტელეფონი რომ რეკავს, ავიღებ და არ მპასუხობსო, _ გაიფიქრა... ელისოს არაფერი უთხრა. გავიდა და კარი გაიკეტა.

ელისომ კი ფანჯრისკენ გაიხედა და დიდხანს, დიდხანს იმზირებოდა მომავალში, თუმცა _ სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა...

ეკა, რა თქმა უნდა, ოფისში დახვდა ნიკას. ღიღინებდა და რომელიღაც პროექტის ნახაზებზე მუშაობდა.

_ არავინ მიკითხა? _ შეეკითხა ნიკა.

_ არა, _ უპასუხა ეკამ. _ გუშინ საღამოს გეგამ დოკუმენტაცია მოგიტანათ. მაგიდაზე გიდევთ. ყველაფერი გავასწორე, ყველგან ყველაფერი გადავრიცხე, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთო. მე ჩემი პროექტი თითქმის მთლიანად დავაკომპლექტე.

_ ვახო არ გამოჩენილა, პრარაბი?

_ არა.

_ მაგათ სისხლში აქვთ რაღაც... ამ პრარაბებს, ყველა ვარიანტში უნდა მოგატყუონ. _ თავი გაიქნია ნიკამ. კომპიუტერი ჩართო და ის იყო, სამუშაო ფაილი გახსნა, რომ ოფისში ზურაბ დუნდუამ შემოიჭყიტა. ნიკამ შეხედა და ხელი გაიქნია.

_ ჰო, რა გიკვირთ?! _ შინაურულად შემოალაჯა დუნდუამ. _ ჩამოვლაზე ვარ. ყველას ვამოწმებ. აი, სია, _ რაღაც ჟურნალი გადაუშალა ნიკას. _ აი, ნახე, ნიკა. მინუსი "გიზით". შეგამოწმებთ, ჩამოვუსვამ ზემოდან ხაზს, ვაქცევ პლუსად და წავალ ჩემ გზაზე.

_ ჰო-ო? _ დაინტერესდა ნიკა. _ რა ღირს მერე ეგ ნახევარი ხაზი, პლუსის?

_ დარღვევას გააჩნია, _ თავი ეშმაკურად მოიფხანა ზურაბმა.

_ აი, მაშინ, ჩემი ბუღალტერია, _ და ნიკამ დუნდუას გეგას მოტანილი დოკუმენტაცი დაუდო. _ თუ რაიმე დარღვევა აღმოჩნდა, მაგ ნახევარი ხაზის ფულს თვითონ აუდიტი გადაიხდის.

_ ასე არ გამოვა, _ თქვა დუნდუამ.

_ რა? _ გაუკვირდა ნიკას.

_ კაი რა, ნიკა, მთვარეზე ხომ არ ვცხოვრობთ, არა?!

_ მართლაც. აბა, რაღას ამბობს ჩვენი პრეზიდენტი _ მღრღნელებს მოგაცილებთო? იტყუება?.. _ ირონიულად იკითხა ნიკამ.

_ მე რაში მეკითხება, პრეზიდენტი რას ამბობს?! მე ჩემი უფროსი მყავს, ანრი ფრანგიშვილი...

_ მერე? _ დაინტერესდა ნიკა.

_ შენთვის იქნება ცუდი, თორემ მე რა?! პრეზიდენტი... შენ რა გგონია, ეს ამხელა მშენებლობები რომ მიდის, გზები, ხიდები, ესტაკადები... ცოტა მაღალზურგიან სავარძლებში ვინც სხედან, იმათი ინტერესი არ დევს ამ ყველაფერში?..

_ ჰო-ო? _ წამოენთო ნიკა. _ მაშ, ის, რასაც მთავრობა ლაპარაკობს, ცარიელი ტრაკის თამაშია და მეტი არაფერი?!

_ რატომ?! ცოტა რამე გაკეთდა? თან _ კეთდება, თან... აბა, როგორ გინდა?! შენ თუ უნდა ჭამო, სხვასაც უნდა აჭამო.

_ რა-ა? მე უნდა ვიშრომო და ვიღაც ყბაგასივებულმა ნეხვმა კარიერისტმა თქვლიფოს არა?!! _ უეცრად გაცოფდა, სხვა დროს თავშეკავებული ნიკა.

_ გაგსვრიან, არ გაპატიებენ!

დუნდუა წამოხტა და ეგონა, გაასწრო, მაგრამ ისე მწარედ მოხვდა კუდუსუნში ნიკას ამოქნეული ფეხი, რომ ერთი კი დაიძახა: ვაი, დედაო! _ და ტყვიასავით გავარდა.

ნიკა კი საშინლად მოიშალა. ვისთვის, რისთვის ვწვალობ?.. ალბათ, საუკუნეებიც არ ეყოფა ამათი ღორული მენტალიტეტის შეცვლასო, _ ფიქრობდა...

სააპელაციო სასამართლოს სხდომას მხოლოდ ერთი მხარე ესწრებოდა. არც მთავრობის წარმომადგენელი იყო, არც საკრებულოსი და არც მერიის. არადა, სამივეს სახელით იყო შეტანილი სარჩელი. ნიკამ და მისმა ადვოკატმა პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებასთან ვერაფერი გააწყეს. ვანო ლებანიძეს მართლაც ჩალის ფასად _ რაღაც ორი ათას დოლარად ჩაეგდო ხელში ეს ამხელა ადგილ-მამული...

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკას მიწის ნაკვეთი ჩამოერთვა და უკან, სახელმწიფოს დაუბრუნდა. ლებანიძეს, ნიკას სასარგებლოდ, აღებული თანხის უკან დაბრუნება დაეკისრა. თუმცა, არც სასამართლომ და არც ძე-ხორციელმა არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი...

ნიკა განიარაღებული იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, განჩინება თითქოს სრულიად სამართლიანი იყო, სინამდვილეში კი, ნიკა დამარცხდა, რითიც, რასაკვირველია, ყველაზე მეტად, ალბათ, ისევ ჯერაც არშემდგარი, აქა-იქ მიწაჩამოთლილი მისი ქვეყანა დაზარალდა, თავისი მოტრაბახე, ბაქიბუქა მთავრობიანად...

მაგრამ მიუხედავად ამხელა ფიასკოსი, ნიკამ ოფისი არ დაკეტა და მუშაობას აგრძელებდა. თუმცა, რაღაც უფრო უარესს, უფრო ცუდს უგძნობდა გული. უიარაღოდ აღარსად გადიოდა, თავის ახალ "კოლტს" სულ თან დაატარებდა.

ნიკაზე თავდასხმა ნატოს ოფისთან მოხდა. ვორონცოვზე, თოდრიას ვიწრო შესახვევთან, სადაც ხალხი ჩვეულებრივ, ნაკლებად მოძრაობს. იმ დღესაც მიმოდიოდნენ, მაგრამ _ კანტიკუნტად. თავდამსხმელები ორნი იყვნენ, შავი ნიღბებით. ორივენი ძველ, უნომრო, მწვანე მერსედესის წინა სავარძლებზე ისხდნენ. დღისით-მზისით, სამს ათი უკლდა...

ნიკამ, რომ იტყვიან _ ზურგიდან, ინტუიციით იგრძნო, რომ უნდა ესროლათ. აღარ დაუხანებია, იარაღი ამოიღო და მზესუმზირის გამყიდველი ქალი გადათქერა. იქვე, რკინის ალაყაფში შეხტა და კედელს აეკრა... მანქანის მუხრუჭების ხმა და გასროლა ერთი იყო. შიშმა, რომელმაც ორი წამის წინ უეცრად დაზაფრა, მთლიანად გაუარა. მზესუმზირის გამყიდველი ქალის წივილი არც გაუგონია. მარჯვენა ქუჩისკენ გაიშვირა და დამიზნებით ესროლა. მოეჩვენა, რომ მოარტყა, რადგან მანქანა ტროტუარზე ახტა და სიგარეტის ჯიხურს შეასკდა. თუმცა იმწამსვე უკან დაიხია და მანქანიდან სროლა გამეორდა. ნიკამაც ესროლა, მაგრამ "მერსედესი" ღმუილით მოსწყდა ადგილს და მოსახვევში გაუჩინარდა...

სანამ მზესუმზირის გამყიდველი მოასულიერეს, ნიკას არაფერი უგრძვნია. მერე კი, მკლავზე დაიხედა და სისხლი დაინახა.

...სროლის ხმაზე ოფისიდან გამოსულმა ნატომ მანქანაში ჩასვა და ნაცნობ ექიმთან, კერძო პოლიკლინიკაში გააქანა. ნიკას არ უნდოდა, რომ მისი დაჭრა საექიმო ცნობით გაფორმებულიყო და თავდასხმაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაწყებულიყო. ტყვიას იდაყვთან, კუნთში გაევლო, ისე, რომ არც მთავარ და არც სხივის ძვალს არ შეხებია.

ნიკას არ უჩივლია. მკვლელებს აღარ იჭერენ და მით უმეტეს, შენს მკვლელს ვინ დაიჭერსო?! _ უთხრა რეზიმ. ტყუილად ნერვებს მოიშლი, ვერც ვერაფერს გახდები, ვერც სიმართლეს იპოვი და მოდი, რამე ისეთი მოვიფიქროთ, მაგ ნაბიჭვრებს დღის

სინათლეზე რომ გამოიყვანსო, _ დასძინა. მოკლედ, ჯობს გაჩუმდე, თორემ, ამათი ამბავი რომ ვიცი, თვითონ შენ არ დაგადანაშაულონო...

ნიკას არც უფიქრია, რომ თავდამსხმელებიდან ერთ-ერთი, შესაძლოა, მისი ძმა, ირაკლი ყოფილიყო. რეზის _ მით უმეტეს, არც ერთზე არ ჰქონდა წარმოდგენა _ არც ძმაზე და არც ბიძაშვილზე. აი, ლადოზე კი, ნიკა მაგრად დაეჭვდა. თან გაიფიქრა _ საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი მარშრუტიო... გაახსენდა ელისოს ნათქვამი _ ირაკლი რეკავს და გკითხულობსო... ელისოს უთქვამს _ ეს წუთია, გავიდა, ნატო უნდა ენახაო... ნიკა მიხვდა, რომ თავდასხმაში ძმის ხელიც ერია. ეს რომ გაიფიქრა, მოეჩვენა, რომ საფეთქელთან სისხლის ძარღვი გაუწყდა. გიჟურ ბოდვას ჰგავდა ეს ყველაფერი...

ნანას საიდანღაც გაეგო, რომ ნიკაზე თავდასხმა მოხდა და მაშინვე მასთან "ააჭრა". ჩემი მეგობარიაო, _ გააცნო ნანა ელისოსა და ვერიკოს ნიკამ. აბა, ხომ ვერ ეტყოდა _ დეიდაშვილია ან მამიდაშვილიო!.. ვერიკომ მაგრად "ჩაალივერა" ნანა, ცხოვრებაში ბევრად ლამაზი ყოფილა, ვიდრე ეკრანზეო, _ გაიფიქრა. ნიკა უკვე ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობდა: მაშინვე გაახსენდა, რომ ნანა ოდესღაც იცნობდა ლადოს...

_ სძინავს თქვენს პარლამენტს?! ყველაფერს ეპოტინება ეს კაცი, აბსოლუტურად ყველაფერს!.. _ უხსნიდა ნანას ნიკა. _ ენერგორესურსებს, გაზს, ჰესებს, კავშირგაბმულობას... საიდან ამხელა ფული?! ვის ფულს, რა ფულს სდებს, რა გგონიათ?!. _ ეკითხებოდა ნანას ნიკა.

_ როგორ შეიძლება ლადოს ნახვა? _ ჰკითხა ბოლოს ნანამ.

_ ალბათ ირაკლისთან, _ და ნიკამ თავისი ძმის ტელეფონის ნომერი მისცა.

ნანა წავიდა. შენ რომ რამე დაგემართოს, თავს არ ვიცოცხლებო, _ უთხრა ნიკას...

ნანა მართალს ამბობდა. რა ექნა? სიგიჟემდე უყვარდა!.. მოკლედ, როგორც ამბობენ ჩვენში: ნიკას გარეშე მის სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა...

_ უნდა წახვიდე, უნდა დაბრუნდე ამერიკაში. წყალს წაუღია მთელი საქართველო თავის ბანდიტებიანად და პარლამენტიანად. _ არიგებდა ნიკას ვერიკო. _ შენ რომ კიდევ გესროლონ, მე ამას როგორ გავუძლებ?! _ უარესის მოლოდინში იყო დედის გული და არც ცდებოდა...

ლადო გაცოფებული იყო. ბრჭყალებიანი თვალები გადმოეკარკლა, ნერვიულად სცემდა ბოლთას და ირაკლის დაბღაოდა:

_ როგორ ააცდინე, როგორ?! მთელი კვირა გატარე იმ ტირში! ქვეყნის მაყუთი გადამაყრევინე ტყუილად! იმან ხომ კარგად იცის, რომ ჩვენს მეტი არავინ ესროდა...

_ ჩემზე, არა მგონია, ეგ იფიქროს, _ თქვა ირაკლიმ.

_ მით უმეტეს, შე ჩემა! უარესი! მარტო ჩემზე იფიქრებს, ხომ? შენ ესროლე და მე ვიჭყლიტები _ როგორია?! _ მთლად გაგიჟდა ლადო.

_ მე არ მისვრია, _ თქვა უეცრად ირაკლიმ.

ლადომ გაკვირვებულმა შეხედა. ამან ხომ არ გარეკაო?! _ გაიფიქრა.

_ რაო, რაო? მაშ, ვინ ესროლა?! _ ლამის გადაყლაპა ირაკლი ლადომ.

_ არა, ვესროლე, მაგრამ დამიზნება დამავიწყდა.

_ დამიზნება დაგავიწყდა?!!

_ ჰო, რა იყო?! დამავიწყდა! _ გული მოეცა ირაკლის. _ პირველად ვესროდი ცოცხალ ადამიანს, თან _ ძმას. მე ხომ აქამდე არაფრისთვის მისვრია, ჩიტიც კი არ მომიკლავს ჯერ...

_ რა-ა?! _ განცვიფრებას ვერ ფარავდა ლადო. _ გამოდის, რომ ცოცხალ ადამიანებზე უნდა მევარჯიშებინე?!. _ და უცებ, რაღაც საშინლად მზაკვრული გაიფიქრა ლადომ. _ ძალიან კარგი... გაგავარჯიშებ ცოცხალ ადამიანზე. მაგრამ თუ კიდევ არ დაუმიზნებ...

_ რა-ა? _ შეეკითხა ირაკლი.

_ რა და, შეიძლება, იმან მოგკლას, რა?! რას მიყურებ პინგვინივით?! ის ტყვია რომ რომელიმეს მოგვხვედროდა, ხომ გაგვაგორებდა იქვე! ეტყობა, იმანაც შენსავით პირველად ესროლა ადამიანს...

_ შენ? შენ გისვრია როდისმე ვინმესთვის? _ შეეკითხა ირაკლი.

_ მე როცა ვისვრი, მხოლოდ ათიანში ვარტყამ... მოკლედ, მოვრჩეთ ახლა ამ ბაზარ-ვაგზალს... მეეჭვება, ჩაგვიშვას... თუ არა და, ბილეთები შეკვეთილი მაქვს, გავასწრებთ...

იმ დღეს ასე დამთავრდა ბიძაშვილების კამათი.

_ ...ცოფიანებივით შემოცვივდნენ, _ ეუბნებოდა ტელეფონში მეორე დღეს ნიკას ეკა. _ კედელთან მიმაყენეს და მეც კი ხელები მიფათურეს... ყველაფერი ამოატრიალეს, ყველაფერი გადაჩხრიკეს. ბოლოს მაგიდასთან დამსვეს და გაუსროლელი რევოლვერის მასრები და კოკაინის ფხვნილი მაჩვენეს. მითხრეს _ ბარის თაროზე ვნახეთო... ოქმი შეადგინეს და ხელი მომაწერინეს. არ უნდა მომეწერა? _ ეკითხებოდა ეკა. _ დოკუმენტაცია წაიღეს და ოფისი დალუქეს. რა უნდა ვქნათ, ნიკა?

საფინანსო პოლიციაზე იყო ლაპარაკი. ნიკამ თათიკოს დაურეკა. თათიკომ უთხრა _ გაგირკვევ და მე თვითონ დაგირეკავო. მალევე დარეკა. მამაჩემს ვერ ვეკითხები და სხვები მაგრად მალავენ და ჩქმალავენ ყველაფერს, ვერაფერი გაგირკვიეო.

სხვა გზა არ იყო _ ვა-ბანკზე უნდა წასულიყო ნიკა. ანის დაუკავშირდა. შეგიძლია, პირდაპირ ეთერში დამსვაო? _ ჰკითხა. მოვიფიქრებო, _ უპასუხა ანიმ და უცნაირი გეგმა შესთავაზა: ამ საღამოს ჩემი გადაცემა "რეტროსპექტივა" გარემოს დაცვის თემაზე იქნება, მაყურებლებში დაგვსვამ, მიკროფონს მოგაწვდი და ორ-სამ წუთში უნდა ჩაეტიოო. ნიკა დათანხმდა.

როცა ნანამ ირაკლის დაურეკა და თხოვა, ლადოს შემახვედრეო, ირაკლიმ რაღაც არასასურველი იყნოსა. მაგრამ რა შეიძლება დაერქვას ამ შემთხვევაში ნანას ქცევას _ გულუბრყვილობა, უტვინობა, უცოდინრობა თუ ეს ყველაფერი ერთად?.. მოკლედ, ცოტა მიიპრანჭ-მოიპრანჭა, საქმიანი იერი მიიღო და ირაკლის ბინის კარზე ზარი დარეკა.

ლადო მარტო დახვდა. ირაკლი გაესტუმრებინა. ისე მიიღო ნანა, თითქოს მთელი ცხოვრება გადაფსკვნილი მეგობრები ყოფილიყვნენ. აავსო ქათინაურებით _ ანჯელინა ჯოლი და კლაუდია შიფერი მიმიქარავს, შენი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირანო, _ თან მაგიდაზე წინასწარ დადგმულ ალუბლის ლიქიორს აძალებდა, რომელზედაც უარს ისედაც არ ამბობდა ნანა. ერთ სიტყვით, ჯენტლმენივით იქცეოდა და მოახერხა კიდეც, რომ თავის მიმართ კეთილად განეწყო, იმდენად კეთილად, რომ ნანამ იფიქრა _ ეს კაცი მარტო ნიკას ნაკვეთს კი არა, თუ ვთხოვე, სიცოცხლესაც არ დაიშურებს ჩემთვისო. მოკლედ, როცა ნანამ ლადოს ნიკა უხსენა, მან გაიოცა _ რას ამბობ, შენ ნიკას იცნობო?! _ და ცაში აიყვანა ნიკა ქებით... კაცმა იმდენი მოახერხოს, თავისით კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავროს, სადაც ძირითადად, მილიონერების თუ არა, მსოფლიო ელიტური საზოგადოების შვილები სწავლობენ, _ ამას ეხუმრებიო?!. ხოლო როცა ნანამ ნიკას ნაკვეთი უხსენა, ლადომ ვითომ მეგობრულად ხელი ხელზე დაადო ნანას და მისი ლამაზი მტევანი თავის ტორში მოიქცია... იუარა, არაფერი მაგ ნაკვეთის გარშემო არ ვიციო... რაღაც დიდხანს უჭირავს ჩემი ხელიო, _ გაიფიქრა ნანამ, მაგრამ ვეღარც უკან წაიღო... ნიკამ შენი თავი შემახვედრა და ნაკვეთს კი არა, მთელ ქალაქს ვაჩუქებო, _ რაღაც

სხვანაირად აჩურჩულდა ლადო და ნანას პერანგის მოკლე სახელოდან თავისი მსხვილი თითებით ძუძუს თავი მოუძებნა... გაგიჟდა უეცრად ნანა, ხელი ჰკრა კაცს და თვალებიდან "ბრჭყალების" ამოკორტნასაც უპირებდა, მაგრამ კაცმა აჯობა: ორივე ხელი დაუჭირა, ტანზე მიიკრა, მარჯვენა ზურგს უკან ამოუგრიხა და ხალიჩაზე მიაწვინა. მერე კი, თათი ცხელ ბარძაყებში შეუცურა. ნანას გახელება ისე გადავიდა სიძვის დაუოკებელ სურვილში _ რა ხდებოდა მის თავს, უცბად ვერც გააცნობიერა... ლიქიორის, სიგარეტის კვამლით თუ კაცის მონოტონური ჩურჩულით გაბრუებული ნანა ლადოს დანებდა. სექსუალურმა აქტმა თავის პიკს მიაღწია და ნანას ელვამ მთელ სხეულში ჟრიალით დაუარა. ძალადობის აქტი თავის ტკბილ, უკანონო ნაყოფს იმკიდა... რას ფიქრობენ ქალები ასეთ დროს ან რატომ ვერ ახერხებენ უარის თქმას?.. ირემი უყვართ და დათვს ნებდებიან!.. იქნებ, სწორედ იმიტომ, რომ შეყვარებული გადაარჩინონ?.. ან იქნებ, რაღაც სულ სხვა აურა აქვთ მკვლელებს?.. ან კიდევ _ აუხსნელ, რაღაც ველურ ინსტინქტს ემორჩილებიან?..

საღამოს პირდაპირ ტელეეთერში, ანის გარემოს დაცვის საკითხებზე მიჰყავდა გადაცემა. გაჩანაგებულ ტყეებზე, გაჩეხილ ნაკრძალებზე, დაბინძურებულ მდინარეებზე, ქვიშაგამოცლილ ზღვების ნაპირებზე... რიგრიგობით უსვამდა შეკითხვებს რესპოდენტებს და ბოლოს, მიკროფონი ნიკას მიაწოდა. საოცრად ეშხიანი პირი-სახის, ძლიერი, ოდნავ წვერმოშვებული, ჩაფიქრებული ნიკა, თავისი ლამაზი, ქართული იერით თუ შთაგონებით გაცისკროვნებული, სამოციანი წლების კინომსახიობს ჰგავდა...

_ მე გახლავართ ნიკა ბერიძე, _ დინჯად დაიწყო მან. _ თოთხმეტი წლის წინ სასწავლებლად წავედი საზღვარგარეთ. მეტი ვერ გავძელი. ჩამოვედი. მშობლებთან, და-ძმასთან... და კიდევ... აქ უნახავი ცამეტი წლის შვილი დამხვდა. მინდოდა, დავხმარებოდი _ ოჯახს, თქვენც, ყველას... მე არ მიჭირდა. უცხოეთში მყავს მეგობრები, რომლებსაც აქ დიდი ინვესტიციების ჩადება შეეძლოთ... არქიტექტორი ვარ, კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრე და აქაც სამშენებლო საქმიანობის დაწყებას ვაპირებდი. დავიწყე. ქალაქგარეთ ნაკვეთი შევიძინე, რომელშიც მთელი ჩემი დანაზოგი ჩავდე. მე ის კანონიერი გზით შევიძინე. არც ერთი თეთრი სახელმწიფოსთვის არ დამიმალავს. მიუხედავად ამისა, პარლამენტი იღებს ახალ კანონს, ლუქავენ ჩემს ოფისს, პოულობენ იქ ვითომ ნარკოტიკს, რასაც მოგეხსენებათ, გაგრძელება უნდა მოჰყვეს, ალბათ _ ჩემი დაპატიმრება... მიწაზე, რომელიც მე შევიძინე, უმდიდრესი ნავთობის საბადო აღმოჩნდა. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიწით დაინტერესება... _ თანდათან ხმა ფოლადივით მტკიცე უხდებოდა ნიკას. _ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან მოდის... თუმცა, მე მათი მხრიდან ვერც დანაშაულს ვხედავ და არც რამეა ამაში გასაკვირი. სამწუხარო ამ ამბავში ისაა, რომ ისინი ყველაფერს, ჩვენივე თანამემამულეების, ჩვენივე დებისა და ძმების ხელით აკეთებენ, დიახ _ ჩვენივე მოღალატე, დაცემული თანამოძმეების ხელით! თუკი მთელი ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი მათ ხელში გადავა, ჩვენ ისინი ფიზიკურ მონებად გვაქცევენ, რაც სულიერი მონობის ტოლფასია და მომავლის პერსპექტივას მთლიანად უსპობს ქვეყანას. მე მინდა გკითხოთ ყველას _ რატომ ვართ ქართველები ასეთები, ვინა ვართ, რას წარმოვადგენთ, საით მივექანებით?!! იქნებ, ჩვენი პრეზიდენტი მარტოა, იქნებ, ისიც, ლირივით, ძალაუფლებამ დააბრმავა, იქნებ, ჩვენი მხარში ამოდგომა სჭირდება?.. ან იქნებ, ისიც მათთანაა, ვინც მე, ქართველს, ჩემს საკუთარ მამაპაპეულ მიწას მეცილება?!! ვისა აქვს ამის პასუხი? ვინ მეტყვის სიმართლეს?..

ნიკამ ყველაფერი თქვა და მიკროფონი დას მიაწოდა.

_ თქვენ უსმენდით კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულს, ჩემს ძმას _ ნიკა ბერიძეს... ეთერშია "რეტროსპექტივა"!..

გამოვიდა თუ არა ნიკა სტუდიის დარბაზიდან, მობილურზე ორი მესიჯი დახვდა: მამიკო გისმენდი, მაგარი ხარ, მიყვარხარ... მაგრამ შვილთან შერიგების სიხარული იმწამს ჩაშხამდა, რადგან მეორე მესიჯმა, რომელიც კახას გამოეშვა, ნიკას თავზარი დასცა: დილით შენს ნაკვეთში ბესო ჩაუცხრილავთო... სწერდა კახა.

ნიკა აჩქარდა, მაგრამ გარეთ გასვლა ვეღარ მოასწრო: ტელევიზიის ჰოლშივე დახვდნენ, ხელები გადაუგრიხეს, თავზე ხელი დააჭირეს და მანქანაში ჩატენეს. ეს თავზე ხელის დაჭერა, რომელიც ახლადდაპატიმრებული ადამიანის თავს ხდება, ჩვენი დღევანდელობის კიდევ ერთი თავლაფდამსხმელი, ამაზრზენი აქტია, რომელიც მხოლოდ სადისტებსა და ჯალათებს შეიძლებოდა მოსვლოდათ თავში. წაქცეულის ჩაწიხლვა... ეს რომ რომის იმპერიის აღზევების ან ალექსანდრე მაკედონელის მეფობისას მომხდარიყო, ამის ჩამდენ "პოლიციელებს" უეჭველად გაასამართლებდნენ და საკადრისადაც დასჯიდნენ. სახრჩობელასა და კოცონის წინაც კი, ადამიანები ხშირად, ამაყად მდგარან. შემდეგ, ისტორია, ბევრ მათგანს წმინდანებად რაცხდა... ნუ მეტყვით, რომ თანამედროვე ისტორია ძველს რაიმეთი სჯობს, მაინც არ დაგიჯერებთ. ამ ჟესტით კი, ბევრჯერ, უბინძურესი ხელი, შესაძლოა, უწმინდეს და უმშვენიერეს თავს შეეხოს... არც ერთ ერს _ არც ქართველს, არც ამერიკელს (თუმცა, ასეთი ერი არ არსებობს), არც არაბს და არც ოსმალოს ეს არ ეკადრება...

"გაგსვრიან!" _ გაახსენდა ნიკას, დუნდუას სიტყვები... თვალები კი გახელილი ჰქონდა, მაგრამ წინ ვერაფერს ხედავდა. წარსულში იყურებოდა ნიკა. გაოგნებული იყო. მრისხანება, რომელიც მის სხეულს ცეცხლივით წაეკიდა, შანთავდა და ანადგურებდა. თუ ერთისთვის _ ვთქვათ, ქურდისა და ბანდიტისთვის _ ასეთი მდგომარეობა ხშირად საამაყოც კია, ნიკასთვის და მის მსგავსთათვის ასი სიკვდილის ტოლფასია. ისინი ამ სამარცხვინო დამღას კუბოს კარამდე ატარებენ. ვინ იცის, როგორ ხარხარებს ამ დროს სატანა, რა აუტანელ ხმაზე?..

ნიკა, პირდაპირ სამმართველოს სამორიგეოში, "კაპეზეში" გააქანეს. ორმოცდარვა საათში გაასამართლეს და, როგორც ნარკოტიკების ხმარებასა და გასაღებაში ეჭვმიტანილს, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

თათიკომ ნიკას დასასხსნელად ყველაფერი იღონა. ჯერ დედას დაელაპარაკა, რომ მამასთან პროტექცია გაეწია. ქალები ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, თვითონ გავიდა მურაზის მოადგილეებზე და ლამის ფეხებში ჩაუვარდა ყველას. არაფერმა გაჭრა. ბოლოს ადგა და ზაურს დაელაპარაკა _ მამის მძღოლს და თავისი გიჟური გეგმა გაანდო: უნდოდა, ბადრაგი მოესყიდა, რომელსაც ნიკა ორთაჭალის ციხეში უნდა გადაეყვანა და გზიდან გაეტაცა. მერე რას აპირებდა, აღარ თქვა, არც ზაურს გაენდო. მაგაზე მერე ვიფიქრებო...

საბადრაგო მანქანა, რომელსაც ნიკა დროებითი საპატიმროდან ციხეში უნდა გადაეყვანა, დიდუბის ხიდთან, ნაგვის მანქანას უნდა შესჯახებოდა. ბადრაგი დამტვრეულიყო, თავი გასტეხოდა, გათიშულიყო და ა.შ. მოკლედ, ამ არეულობისას ნიკა უნდა გაქცეულიყო და თათიკოს მანქანაში გადამჯდარიყო...

სამხედრო ფორმაში გადაცმული, თავზე პარიკიანი და შავსათვალიანი თათიკო წითელ ორადგილიან "პეჟოში" იჯდა და ბადრაგის გამოჩენას ელოდა. გვერდით დიდი

ურო ედო. ყველა მოსყიდული იყო _ საპატრულო და საბადრაგო მანქანებში მსხდომნიც და მენაგვეებიც.

საბადრაგოს მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა. ბადრაგებმა სწრაფად გაუღეს ნიკას კარი და თათიკოს "პეჟოში" გადასვეს. ურო აიღეს, კარი მიუკეტეს და თათიკომაც "მოხია".

დარჩენილებმა მაგარი სროლა ატეხეს. ჯერ სამივე მანქანა ერთმანეთს შეალეწეს, მერე, ფულის ხათრით, ერთმანეთი ბერტყეს, რომ ცოტა თავპირდასისხლიანებული გამოჩენილიყვნენ და მერეღა დარეკეს პოლიციაში... ეს ყოველივე უნაკლო, თეატრალიზებულ წარმოდგენას ჰგავდა, რომლის დადგმასაც ქართველებმა მთელი სარეჟისორო და სამსახიობო ნიჭი ჩააქსოვეს. და როცა იმ ადგილას მთელი ქალაქის ყველა საპატრულო მანქანა სირენების "ღრიალით" მიქანდა, თათიკო და ნიკა უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული... პატარა, "მოყუჩებულ", თბილ სასტუმროში...

ეს ფაქტი არ გახმაურებულა. ტელევიზიაც დუმდა და პატრულის საინფორმაციო სამსახურიც...

ნიკა სამი Dდღე ნებივრობდა თათიკოს ვნებიან, რბილ და ცხელ მკლავებში. შემდეგ ისინი ანანურში, პატარა აგარაკზე გადავიდნენ. თათიკო დილას გადიოდა და საღამოს ბრუნდებოდა. ნიკა მთელ იმ დღეებს მარტოობაში ატარებდა. გულაღმა იწვა ველური წაბლების ჩრდილქვეშ და კბილებით გამხმარი ბალახის ღერს აწვალებდა... ერთხელაც, როცა მისთვის უკვე "მშობლიურ", ველური წაბლის ხეივნის ჩრდილში, თავქვეშხელამოდებული იწვა და თათიკომ მიაკითხა, ნიკამ უთხრა _ ერთი უცნაური თხოვნა უნდა შემისრულო: ჩემი ყოფილი ცოლის საყვარელი, ვინმე შაკო ნემსიწვერიძე მოძებნო და ჩემგან დუელში გამოწვევა ამცნოო; დუელი აქ, ველური წაბლის ხეივანში გაიმართებაო, _ დასძინა ბოლოს. ბუნებით ავანტურისტი თათიკო იმწამსვე წამოეგო ამ ანკეს და, რა თქმა უნდა, დათანხმდა. ერთი კი ჰკითხა: ბიჭო, რომ მოგკლას იმ კაცმა, მერე სად წავიდეო?! _ მაგრამ ნიკას პასუხმა _ მომკლას, არა, ფლავიო!.. _ დაამშვიდა და ისიც თხოვნის შესრულებას შეუდგა.

შაკო ნემსიწვერიძის პოვნა ქალაქში, სადაც თითქმის ყველა ყველას იცნობს, ლელას არ გასჭირვებია. მობილურზე დაურეკა და პაემანი დაუნიშნა. ქალების ბუნების კარგად მცოდნე შაკო, უცნობი მანდილოსნის ხმის ლამაზმა ტემბრმა იმწამსვე მოხიბლა და შეხვედრაზე სიამოვნებით დათანხმდა. შაკომ შავ, მკაცრ კაბაში გამოწყობილი, შავსათვალიანი ლელა რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, შეცბა. ხოლო, როცა კაფე "ქნარში" კუთხეში "განმარტოებით" მდგარ მაგიდაზე თათიკომ დიპლომატი გაუხსნა და _ ამ ორი იარაღიდან აირჩიეთ, რომელიც გსურთო, _ უთხრა, ორი შავი ცივი ლულის დანახვაზე შაკოსაც გააცია. ისე შეეშინდა, ერთი სიკვდილი გაათავა.

_ მე ვიცოდი, რომ ის ციხეში იყო... _ ამოთქვა ფერწასულმა.

_ არა, ჩემთანაა, _ უპასუხა ლელამ.

_ მერე ეს დუელი რა... საფრანგეთში ვართ?.. _ წამოსცდა შაკოს.

_ უარესში... _ ცივად თქვა ლელამ.

_ უარი რომ ვთქვა? _ იკითხა შაკომ.

_ მაშინ, ძაღლივით ჩაგაძაღლებენ... _ ლელას ასეთი დავალება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ როცა დაინახა, კაცმა ჩაისველა, აღარ დაინდო და დააყოლა: _ ეგ, სანამ იმ ქალს ნიფხავს ჩახდიდი, მანამდე უნდა გეფიქრა! _ თან გულში ჩაეცინა _ ეს რაებს ვბოდავო?! _ გაიფიქრა.

_ ბოდიში რომ მოვუხადო? _ ფეხზე ეკიდა ვაჟკაცობაც და კაცობაც შაკოს.

_ გვიანია. ტრაკზეც რომ აკოცო, აღარ მიიღებს, _ ტყვიასავით დაახალა შუბლში ლელამ ისედაც მიტკალივით გათეთრებულ შაკოს.

შაკომ კი გაიფიქრა _ ჩემ წინ ნაღდად გადაცმული კაცი ზისო, _ და ლელას ფეხსაცმელზე დახედა. მაღალქუსლიანი მოკასინები შერჩა... არა... შაკოს წინ ქალი ეჯდა და თვითონაც ქალად ქცეულიყო... ერთი ისღა ამოღერღა, შიშით პირგამშრალმა _ სად იქნება დუელიო? _ და პირი მომუწა.

_ ველური წაბლის ხეივანში, _ დაუმარცვლა ქალმა.

_ სეკუნდანტებიც გვეყოლება? _ ამოიდუდუნა და აკანკალებული ხელით სიგარეტს მოუკიდა შაკომ.

_ მხოლოდ ერთი _ მე! მეტმა არავინ არაფერი უნდა იცოდეს. ვინმემ თუ გაიგო, ჩათვალეთ, რომ მკვდარი ხართ, _ ცივად უპასუხა ქალმა და დიპლომატი დახურა. _ ხვალ, საღამოს ათზე, აქ, ამ კაფეს წინ ვიჯდები მანქანაში. აი, გაიხედეთ, ხედავთ წითელ პეჟოს? ნომრის დამახსოვრება საჭირო არაა. ნახევარმილიონიანი მანქანით, არა მქონია, ამ ქალაქში სხვაც დადიოდეს... _ მოჭრა ბოლოს ლელამ და წამოდგა.

_ რომ არ მოვიდე? _ უკანასკნელი შანსიც გამოიყენა შაკომ, რომ ეს გაუგებარი დუელი თავიდან აეცილებინა.

_ რა-ა?!! საფლავიდან ამოგიღებენ! ერთადერთი შანსი, რომ გადარჩე, _ უნდა ესროლო და მოკლა. თუ ააცდინე, შენ მოკვდები... _ როგორც მეგაფონში, ისე ჩაესმოდა ლელას ხმა ყურში შაკოს...

ქალი გავიდა და შაკო მარტო დარჩა. კიდევ დიდხანს უკანკალებდა ხელი და თავ-ბედს იწყევლიდა: ორივე ფეხი მომტეხოდა და ნეტავ, იმ დღეს ნატოსთან არ შევხეტებულიყავიო. ნანობდა, ფიქრობდა, იგინებოდა და იფურთხებოდა შაკო...

მერე, პირდაპირ ნატოსთან მიიჭრა.

_ ვინ არის შენი ქმარი, რა, მილიარდერია? _ გაბრაზებულმა ჰკითხა და სავარძელში ჩაეხეთქა.

_ ჰო, ალბათ... არა, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, _ უპასუხა ნატომ.

_ რა ქაჯობაა _ დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ქალის გამო კაცის დუელში გამოწვევა! _ წამოსცდა შაკოს.

_ დუელში გამოგიწვია? მართლა?! _ გაუკვირდა ნატოს და დააყოლა: _ მოგკლავს, ნამდვილად, შე საწყალო...

_ მომკლავს? _ ესღა უნდოდა, ისედაც ქვეშჩასველებულ შაკოს?! _ მაშინ, წავალ და პოლიციაში განვაცხადებ!

_ პოლიციაში წახვალ?!. _ თვალები ბუდეებიდან გადმოსცვივდა ნატოს.

_ მაშ რა ვქნა, მე სიცოცხლე მინდა!.. _ აღიარა შაკომ.

_ მაგას თვითონ ეძებს პოლიცია და შენც თუ პოლიციას მიაკითხავ, მაშინ ათასპროცენტიანი სმერტი გაქვს... _ “დაამშვიდა” ნატომ.

_ როგორ გინდა იცოცხლო ამ ქაჯების ქვეყანაში?! _ ლამის ატირებულიყო შაკო...

_ რით უნდა იბრძოლოთ? _ დაინტერესდა ნატო.

_ რევოლვერებით... _ რამე მიშველეო, _ ეხვეწებოდა შაკოს თვალები ნატოს. _ როგორ გამიხარდა, რომ დაიჭირეს, თავი ქუდში მეგონა მქონდა და...

_ კოვზი ნაცარში ჩაგივარდა, _ გაეცინა ნატოს. _ სროლა მაინც იცი?

_ სროლა არა!.. რა ბებიაჩემად მინდოდა, რომ სროლა მცოდნოდა?! _ ხელი აუქნია შაკომ.

_ რატომ?.. აფხაზეთი, ოსეთი _ შენი ტოლები არ მიდიოდნენ?!. _ მაზოლზე ფეხი დაადგა ნატომ.

_ შენც რომ წამოხვიდე?.. _ შეეკითხა შაკო.

_ მე-ე? სად? _ ვერ მიუხვდა ნატო.

_ იქ, სადაც დუელში უნდა გავიდეთ. ველური წაბლის ხეივანში, _ ხმა უკანკალებდა შაკოს.

_ ველური წაბლის ხეივანში? ეგ სადღაა?

_ რა ვიცი, სადღაც ჯანდაბაში, ალბათ... _ ბრაზით ჩაიბურტყუნა შაკომ.

_ მერე, მე რომ დამინახავს, უფრო არ მოგკლავს? უფრო მაგრად არ დაგიმიზნებს? _ ნატოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა...

მოკლედ, ცუდი დღე ადგა "ფეხზე მკიდია" შაკოს. დიდი გაჭირვებით მიათრია ფეხები შინ და თავის ოთახში შეიკეტა. ვერც საჭმელი ჭამა, ვერც სიტყვა დაძრა. ვერა და ვერ დაიძინა. მოეჩვენა, რომ სიცხე მისცა, ოფლში ცურავდა, კვდებოდა... ალბათ, ორმოცდაორი მაქვსო, _ ფიქრობდა. წათვლიმა თუ არა, კოშმარებში გადავარდა. მაინც უცნაური რამ ნახა: თითქოს შიშველ-ტიტველი, ძველ, ჩაბნელებულ სასაფლაოზე დარბოდა, ხავსმოკიდებულ ლოდებს შორის. უკან კი, ვიღაც შავებში ჩაცმული დედაკაცები დასდევდნენ, ხის ჯვრებით და ესროდნენ, ჰო _ ტყვიებს ესროდნენ ჯვრებიდან!.. თან ზურგში უზაპუნებდნენ და გაჰკიოდნენ: სატანა, სატანაო!.. ბოლოს, წინ, უზარმაზარი, სახედაღმეჭილი ცეცხლისთმიანი კაცი გადმოუხტა და პირი დაუღო. ჰოდა, შიგ იმ პირში შეხტა შიშველ-ტიტველი შაკო!.. არა, კი არ შეხტა _ შეფრინდა... პირი დაიკეტა და ცაში აღმოჩნდა. ჰო, ცაში მიფრინავდა... უკან დაიხედა და დაინახა, რომ კუდი გამოსვლოდა, ფუჩეჩიანი კუდი... წინ დაიხედა და დაინახა, რომ ჩვეულებრივ ცოცხზე შემჯდარიყო, ქუჩის საგველ ცოცხზე... ეშმაკად ქცეულიყო შაკო... ხელი მოიკიდა და თავზეც რქები ამოსვლოდა, ორი პატარა, შავი რქა... უეცრად, საოცრად შეშინებულს, ცოცხი ხელიდან გაუვარდა, თვითონ კი სადღაც ჩავარდა, საშინლად ღრმა, უძირო ორმოში და ისეთი სისწრაფით მიექანებოდა, რომ სუნთქვა შეეკრა, იხროჩობოდა აშკარად... საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა... ცუდად იყო შაკუნას საქმე.

დილიდანვე შეყარა მთელი ნაცნობობა, ქურდობა და მამაძაღლობა. რა ვქნაო? _ ეკითხებოდა. მაგრად გიჭამია, ვერ გაექცევი, ისევ შენივე ასალოკიაო, _ ძირითადად, ასე ასკვნიდა ყველა... თუ მოკლავ, გადარჩები, სხვანაირად, თვითონ ღმერთიც ვერ გიშველისო... და შაკო, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ დუელს ვერსად გაექცეოდა.

დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას მიდიოდა ცოცხალ-მკვდარი შაკო და მარტო ერთ რამეზე ლოცულობდა _ იქნებ, არ დამხვდეს წითელი "პეჟო" კაფეს წინ და გადავრჩეო?!.

"პეჟო" იქ იდგა. საჭესთან კი, შავ კაბაში, შავსათვალიანი, ისევ ის თმაგადაგლესილი ქალბატონი იჯდა და უცდიდა.

ერთხელ გავჩნდი _ ერთხელ მოვკვდეო! _ გაიფიქრა შაკომ და ორკარიანი "პეჟოს" მარჯვენა კარი გამოაღო. კარის მიკეტვა იყო და ისეთი სისწრაფით გაფრინდა მანქანა და ისე მიაჭყლიტა სავარძლის ზურგს, რომ შაკომ გაიფიქრა _ ეს დუელამდე არც მიმიყვანს, სანამ იქამდე მივალთ, სადმე გადამჩეხავს და გზაშივე გამაცხებინებს სულსო... გიჟური სისწრაფით მიმავალი მანქანა "სლალომით" მიიკვლევდა გზას გადატვირთულ გამზირზე.

დაღამებულიყო. ქალი ხმას არ იღებდა. შაკომ სიცოცხლე გამოიგლოვა და მარტო გასროლასღა უცდიდა. ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ბნელოდა და ვერაფერს ხედავდა. ერთს კი მიხვდა _ რომ დასავლეთისკენ მიჰქროდნენ თავბრუდამხვევი სისწრაფით. სულ რაღაც ოც-ოცდახუთ წუთში მანქანამ ტრასიდან გადაუხვია და აღმართს შეუყვა.

როცა მანქანა გაჩერდა, როგორც ჩალურსმული, ისე იყო სავარძელში "ჩაპრესილი" შაკო... ქალმა კარი გაუღო. გადმობრძანდით, მოვედითო, _ მოახსენა... შაკომ ფეხები

გადმოყო, მიწაზე კი დადგა, მაგრამ მიწას ვერ გრძნობდა, გადმოვიდა და თითქოს გამოეცალაო ეს მიწა. ქალმა მკაცრად შეხედა და ალაყაფის კარი გააღო. შაკომ, რის ვაი-ვაგლახით, მოიმაგრა მუხლი და ჭიშკარში შევიდა. ქალმა ჭიშკარი მიხურა. გასაღები გადაატრიალა და ჯიბეში ჩაიდო. მარჯვნივ, არც ისე შორს, ერთსართულიანი შენობა დალანდა შაკომ, ყურში კი მდინარის ჩქარი დინების ძლიერი ხმაური ჩაესმა და ზევითკენ აახედა. ველური წაბლის ხეივანთან მამაკაცის ლანდი შენიშნა. ალბათ ის არისო, _ რატომღაც, დაფეთდა შაკო და მარჯვენა მხარი აუთამაშდა. რა მჭირსო?! _ გაიფიქრა, რადგან ასეთი რამ სხვა დროს არასოდეს დამართნია.

_ გამომყევით! _ თქვა მკაცრად ქალმა და შაკო იძულებული გახდა, გაჰყოლოდა.

ქალი მამაკაცისგან მოშორებით, სადღაც ოციოდე მეტრში გაჩერდა.

_ აქ გაჩერდით: ეს ბარიერია, _ უთხრა ქალმა და დიპლომატი გაუხსნა. _ აიღეთ თქვენი იარაღი! _ შაკომ წინადღის ამორჩეული რევოლვერი აიღო. _ გისვრიათ ოდესმე? _ ჰკითხა ქალმა.

_ არასოდეს, _ თქვა შაკომ.

_ არც გინადირიათ? _ გაუკვირდა ქალს.

_ არა, _ თქვა შაკომ.

_ იარაღი გახსნილია. მარტო თითის გამოკვრა უნდა. თქვენიდან მოწინააღმდეგემდე ზუსტად ოცი ნაბიჯია. ამ მანძილზე ტყვიას მომაკვდინებელი ძალა აქვს. მე შუაში, განზე გავდგები და ჰაერში გავისვრი. მერე _ თქვენი ნებაა: შეგიძლიათ, მიუახლოვდეთ და ახლოდან ესროლოთ, რა მანძილზეც გნებავთ. იცოდეთ, მხოლოდ თითო ტყვია დევს ორივე იარაღში... _ ქალმა მჭიდი ამოიღო, შაკოს უჩვენა, რომ იარაღში მართლაც, თითო ტყვია იყო. _ უფლება გაქვთ, იარაღი გამოცვალოთ.

_ არ არის საჭირო, _ თქვა შაკომ და მაგრად გაუკვირდა, რომ შიში, რომელმაც კინაღამ დაინვალიდა, სადღაც გამქრალიყო. ისევ ის "ფეხზე მკიდია" შაკო იყო, როგორიც ყოველთვის...

და შაკომ იარაღი ასწია. ნიკას დაუმიზნა და სასტარტო გასროლას დაელოდა. ლელამ ნიკასაც იგივე უთხრა, თავის ადგილას გაჩერდა და ჰაერში ისროლა.

შაკომ ოთხიოდე ნაბიჯი გადადგა ნიკასკენ. იარაღი დამიზნებული ეჭირა. ნიკა კი არც განძრეულა. არც იარაღი აუწევია, მიწისკენ ჰქონდა დაშვებული. შაკოს უნდოდა გამოეკრა სასხლეტისთვის. გაიფიქრა კიდეც _ ნამდვილად მოხვდება, ძალიან ახლოსაა, _ მაგრამ რატომღაც თითი არ დაემორჩილა. იგრძნო, როგორ გამოჟონა, მსხვილ წვეთებად, შუბლზე ცივმა ოფლმა და გააჟრჟოლა. მომატყუეს, სასხლეტი გაჭედილია და აქ მოსაკლავად მომიყვანესო, _ გაუელვა _ და უეცრად, მისმა რევოლვერმა იქაურობა გააყრუა. გასროლის ხმა ექოდ გადაიქცა და ძალიან ნელა მიიკარგა სიშორეში... ნიკა მისკენ წამოვიდა, სულ ახლოს მივიდა _ ასე, ხუთი ნაბიჯის მანძილზე და იარაღი სახეში დაუმიზნა.

_ არ ესროლო! _ გაისმა სიჩუმეში ლელას სასოწარკვეთილი ყვირილი.

_ შენ გადი, ლელა, გარეთ და მანქანაში დამელოდე! _ თქვა ნიკამ გაყინული ხმით, იმდენად ცივად, რომ თვითონვე გაუკვირდა საკუთარი ხმის "სიბოროტისა"...

ლელა ჭიშკრისკენ წავიდა. შაკოს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა; ვერაფრით გაეგო, რატომ ვერ გარბოდა. როგორც კი ლელამ ჭიშკარი გაიკეტა, შაკო მუხლებზე დავარდა. ნიკა მთლად ახლოს მივიდა. იარაღი შუბლზე დაადო... როგორ ამბობენ? _ სიკვდილს ჩახედაო თვალებში, ხომ?..

_ არ მესროლო! _ გაიმეორა ლელას სიტყვები შაკომ და ხმა დაკარგა. დაახლოებით ისეთი რამ ხდებოდა, შაჰებს რომ უკოცნიდნენ სიკვდილმისჯილები ფეხებს.

რამდენიმე მომქანცველი, საუკუნოდ გაჭიმული წამის შემდეგ, მანქანაში გაყუჩებულმა ლელამ სროლის ხმა გაიგონა. ეწყინა. გულზე ხელიც კი მიიდო, თითქოს მას მოხვდაო ტყვია.

მერე ალაყაფიდან ნიკა გამოვიდა. რატომღაც შარვლის ელვას იკრავდა. ორივე რევოლვერი ხელში ეჭირა. მანქანაში ჩაჯდა და იარაღები "ბარდაჩოკში" ჩაყარა...

_ არ მეგონა, თუ ამის გამკეთებელი ვიყავი... _ ჩაილაპარაკა ნიკამ ყრუდ. _ ეს სულ იმ პატრულის ბრალია, თავზე ხელი რომ დამაჭირა და მანქანაში ჩამტენა...

_ არ უნდა მოგეკლა, _ თქვა ლელამ.

_ არც მომიკლავს, ცოცხალია, _ თქვა ნიკამ.

_ ცოცხალია? რა, დაასახიჩრე? ხომ ისროლე!.. _ ვერაფერს მიხვდა ლელა.

_ არა, ჰაერში ვისროლე, _ თქვა ნიკამ. _ ისე, ერჩია, ალბათ, რომ მომეკლა... ჰო, რას მიყურებ?! იმას, რაც გავაკეთებინე, იუდას კოცნაზე მილიონჯერ საზიზღარი კოცნა ჰქვია...

_ თქვენ კაცები კი არა, ძაღლები ხართ ყველანი! _ მიხვდა ლელა, რაც მოხდა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

_ სამაგიეროდ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ჩემს ცოლს სათოფეზე აღარ გაეკარება. მე თვითონ, თუკი ვიცი, რომ ქალს ქმარი ჰყავს, არც გავკარებივარ და არც გავეკარები არასოდეს. ვერ ვიტან, კაცს რომ ღირსებას და პატივს ჰყრიან... _ რაღაც ბოღმით თქვა ნიკამ.

_ მე კი, პირიქით, მაგრად მევასება, ქალს რომ ქმარს ავაფცქვნი, ბევრად მეტ გემოს ვატან... _ თქვა ლელამ და გაიცინა. უხაროდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

...მალე, განათებული ჯვარი გამოჩნდა. ორივემ პირჯვარი გადაიწერა. თათიკომ მანქანა სიჩქარიდან ამოაგდო, სვლა შეანელა, მარჯვნივ გადაუხვია და "ყაყაჩოს" ეზოში გააჩერა.

რესტორნის დარბაზში დიდი ყაყანი და გუგუნი იდგა. იაფფასიანი მუსიკოსები მთელი ხმით უბერავდნენ. თათიკომ და ნიკამ დარბაზი გადაჭრეს, აივანზე გავიდნენ და ფერდობზე, ხის ღია, გადახურულ ფანჩატურში არჩიეს დასხდომა.

მტკვრის მხრიდან გრილი, სუფთა ნიავი უბერავდა და ქალ-ვაჟს სხეულზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა. ფანქარმომარჯვებული მიმტანი გოგონა რატომღაც, ცალწარბაწეული, ტუჩაბზუებული დასცქეროდა წყვილს ზემოდან და დაკვეთას ინიშნავდა. მხოლოდ არაყი, ლუდი და ხინკალი შეუკვეთეს, "მთიულური". მაგიდას იდაყვები ჩამოაყრდნეს, სახეები ხელის მტევნებში ჩარგეს და ერთმანეთის თვალებში მზერით ტკბებოდნენ. ლელამ ფეხი ჩუმად გააცურა ნიკას ფეხისკენ და შემოჰკრა.

_ ტუტუცი ხარ, გული გამიხეთქე! _ თქვა ნიკამ და ღრმად ამოისუნთქა. ახლაღა იგრძნო, როგორ დაღლილიყო დაძაბულობისგან... მოეშვა. ლუდის კათხა აიღო და მთლიანად გამოცალა.

_ როგორ მოგწყურებია! _ თქვა თათიკომ და ოდნავ მოსვა ლუდი. _ ამ ლუდს ვერაფრით შევეჩვიე, _ თქვა და ისევ დადგა.

_ არც არაყს დალევ? _ შეავსო არყის ჭიქები ნიკამ.

_ არაყს _ კი, _ თქვა თათიკომ.

...შეთვრნენ. გარშემო მდგარი ყველა ფანჩატური ცარიელი იყო. მხოლოდ დარბაზი გრიალებდა, საიდანაც მუსიკის ხმა გამოდიოდა.

_ წამოდი, ვიცეკვოთ, _ ანიშნა მტკვარზე გადაკიდებულ ცარიელ საცეკვაო მოედანზე ლელამ.

წამოდგნენ. ნიკამ ხელი გაუწოდა. მუსიკოსებმა, თითქოს დაკვეთა მიუციათო, რაღაც როკ-ენ-როლის მსგავსი წამოიწყეს. ცარიელ საცეკვაო მოედანზე, მდინარის "ბუტბუტის" ფონზე, თათიკომ და ნიკამ თავი მთლად გაიგიჟეს, ისე აიწყვიტეს, ვეღარ ჩერდებოდნენ... მკერდგაღეღილი, პერანგგახსნილი, მოხდენილი, ცეკვის ველური ჟინით გახელებული ნიკა საოცარი სანახავი იყო. ხელ-ფეხს ცას უწევდა, ჯადოქარივით მიმოქროდა და ცეკვის რიტმს მინებებულ თათიკოს თოჯინასავით აბზრიალებდა... თავისუფლების, სიყვარულის, სიგიჟის ცეკვას ასრულებდა ქალ-ვაჟი...

ნიკამ ვერც დამარცხება მოინელა, ვერც ბესოს სიკვდილი და ვერც მიწის ჩამორთმევით მიყენებული შეურაცყოფა. თათიკომ ყალბი პასპორტი და საბუთები გაუმზადა და თვითმფრინავის ბილეთიც აუღო. ნიკა ბათუმის აეროპორტიდან უნდა გაფრენილიყო. გაფრენამდე სამი დღე რჩებოდა. სანამ ბათუმში წავალთ, ერთი-ორგან უნდა გამატაროო, _ სთხოვა ლელას ნიკამ. მერე კახას დაურეკა და შეხვედრა დაუთქვა. ლელას მანქანაში ცოტა ღვინო და მისაყოლებელი ჩაადებინა და კახას გაუარეს. ბესოს საფლავი მინდა ვნახო, თან თითო ჭიქა წავუქციოთ და მომიყვები, როგორ დამარხეთ, კარგი? _ ჰო, ჰო... _ რა თქმა უნდა დაეთანხმა კახა.

ბესო აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სასაფლაოზე დაეკრძალათ. დამჭკარი ყვავილები და გვირგვინები გორახებად დახვავებულ ყავისფერ მიწაზე, ჯერაც ზედ ეყარა. იქვე რკინის გრძელსკამებიანი პატარა მაგიდა გაეკეთებინათ _ ალბათ, ჭირისუფლების ჩამოსაჯდომად და ჭიქა ღვინის წასაქცევად. თათიკომ: ღვინო, ჭიქები, მწვანილი, ყველი, ცოტა "სალა" და მშრალად მოხარშული დედალი დაულაგა ბიჭებს სუფრაზე. თვითონ კი, საფლავების თვალიერებას და ეპიტაფიების კითხვას მიჰყო ხელი.

_ სულ რაღაც ათას ლარამდე დაჯდა ყველაფერი, მეტი კი არა... ცოტა მეზობლებმა, ცოტა ნათესავებმა, ცოტაც ჩვენ და აგროვდა, რა ვიცი... _ ჩაილაპარაკა კახამ.

ნიკამ ჭიქას მოჰკიდა ხელი.

_ პატიება მინდა ვთხოვო ბესოს, _ დაიწყო და უცებ გაჩუმდა. კახა გაჩუმდა, ნიკას უყურებდა. _ ვერაფერს გავხდით ამ მგლების ხროვაში. ვერც მე და ვერც შენ, ბესო! ჰო, გვაჯობეს. შენ მკვდარი ხარ და მეც, ალბათ... _ და ნიკა უეცრად კახას მიუბრუნდა: _ პაპუასების ქვეყანაა!.. რა გინდა, რომ ქნა?! სულ ერთი სიტყვა მიტრიალებს თავში: "რატომ"? რატომ გაასწორეს მიწასთან ეს ქვეყანა?!.

კახამ ისევ ვერაფერი უპასუხა. შუბლი შეჭმუხნა და გვერდზე გაიხედა. ან კი, რა უნდა ეთქვა?! ან აქვს კი ვინმეს ამ კითხვაზე პასუხი?!.

_ კახა, რა მინდა გითხრა, იცი?.. _ ისევ წამოიწყო ნიკამ. _ ამ ბოლო დროს, ერთი ფრაზა ამეკვიატა _ ერეკლეს რომ ეწერა თავისი ხმლის ფოლადის პირზე: "მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის, ირაკლისა"!.. მე დავბრუნდები. ჰო, აუცილებლად დავბრუნდები და მაინც ვიძიებ შურს, შენ მაგიერ, ბესო, ჩემ მაგიერ და ყველას მაგიერ, ვინც ჩვენ მოგვერია, ვინც დაგვსაქსა და გადაგვკარგა. მეც ავი მუსაიფი გავხდები მათთვის, ვინც ჩვენ ზურგში დანა გაგვიყარა!.. არ ვაპატიებ არც ერთს...

ნიკას ლამაზი, ქართული სახე ქვად ქცეულიყო. გრანიტში ამოკვეთილ ქანდაკებას ჰგავდა. ვერ გეტყვით, შესწევდა თუ არა ძალა იმ ფიცის შესასრულებლად, რომელიც მან ბესოს საფლავთან დადო, მაგრამ ის კია, რომ მისი წარმოთქმისას, მათ თავს, იქ, ქართველთა სასაფლაოზე, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ტრადიციებს, ალბათ, მამულიშვილთა უკვდავი სულები დასტრიალებდნენ. სულები, რომელთა ვალიც ჩვენს პატარა, მაგრამ დიად ქვეყანას ჯერაც არ მოუხდია. იმათი ვალი, ვინც საქართველოს გადასარჩენად დაეცა...

თათიკომ _ ბათუმში წასვლისა და იქ ყოფნის დროს თვალში არავის შევეჩხიროთო, _ მუქი ლურჯი, ძველი “ბეემვე” არჩია. ეს სამი დღე ქობულეთში გადავაგოროთ და მერე გაფრინდები, როგორც მოფრენილხარო, _ უთხრა ნიკას.

_ ჩემებს უნდა დავემშვიდობო, _ უთხრა ბოლოწამს ნიკამ. თათიკომ იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მანქანა მის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა.

ნიკას გამოჩენის გამო ოჯახში ისეთი აურზაური ატყდა, მეორედ მოსვლა ეგონებოდა ადამიანს: ტირილი, სიცილი, ცრემლები, გაკვირვება, გაოცება, აღტაცება, სინანული, _ ყველაფერი ერთმანეთში აირია... ნიკა სულ რაღაც ხუთ წუთში ჩაეტია. მერე სადარბაზოს კიბე ჩაირბინა და “პარიკისთმიან” თათიკოს მანქანაში ჩაუხტა...

ათიოდე წუთში ნიკამ თბილისი დატოვა. თითქოს უნდოდა, მაგრამ უკან მაინც ვერ მოიხედა... მანქანა დასავლეთისკენ მიფრინავდა.

ზღვამ შეყვარებულებს პირველ ორ დღეს, გენიალური ამინდი აჩუქა. ისინიც მთელი დღე პლაჟზე ეყარნენ და ირუჯებოდნენ. მესამე დილას კი, თვალებს არ დაუჯერეს. წვიმდა, როგორც ხშირად იცის ქობულეთში, ზღვა კი ღრიალებდა, იქოჩრებოდა და იმუქრებოდა... მათაც ხელი ჩაიქნიეს, შინ დარჩნენ და მთელი დღე სექსით ერთობოდნენ. თავისებური, დასამშვიდობებელი სექსით _ ისეთით, როცა გრძნობ, რომ შესაძლოა, ვეღარასოდეს შეხვდე პარტნიორს და გსურს მთელი შენი პოტენციალი ბოლომდე ამოწურო...

საღამოს გამოიპრანჭნენ და რესტორანში დასხდნენ. დათვრნენ. მერე ადგნენ, წვიმა ფეხებზე დაიკიდეს და ზღვის ნაპირზე, ზღვასთან დასამშვიდობებლად გავიდნენ.

_ ამხელა ტალღები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, _ თქვა ნიკამ და შურით დაუწყო მზერა ზღვის ტალღების განსაცვიფრებელ ძლიერებას...

_ არ გინდა, გავეჯიბროთ? _ რაღაც უცნაურად ამოხედა თათიკომ. თვალები ველურივით უელავდა.

_ გაგიჟდი?! ხომ გადაგვყლაპა!.. _ ვერ დაიჯერა ნიკამ, თუმც ბავშვობიდან თევზივით ცურავდა.

_ არა, მიყურე! _ და თათიკო უეცრად ზღვისკენ გაიქცა. ნიკა კი, ელდანაცემივით გაშეშდა. თათიკომ ზუსტად იმ დროს მიირბინა წყალთან, როცა უზარმაზარი, თითქმის ორმეტრნახევრიანი ტალღა აიმართა... ნიკამ დაინახა, როგორ იდგა ტალღის ქვეშ მისკენ შემობრუნებული გაღიმებული თათიკო, მერე კი, როგორ გადაევლო თავზე და როგორ წამოვიდა მისკენ აქაფებული წყალი. მაშინ კი, როცა წყალი უკან წავიდა, თათიკომ მოასწრო და სიცილით და ხტუნვა-ხტუნვით უკან გამოიქცა. ეს ზღვასთან ბრძოლას ჰგავდა, ბრძოლას, როცა ზღვასთან გამარჯვება შეიძლებოდა და ნიკამ უცბად დაძლია შიში, დაცადა და იგივე გაიმეორა. ორივენი აღტკინებული ხარხარებდნენ, შერბოდნენ და გამორბოდნენ, გაგიჟებულ, გაცოფებულ ზღვის უზარმაზარ ტალღებში... ერთი შეცდომა _ და დამარცხებული ზღვა ორივეს დაუნდობლად გადაყლაპავდა... შეცდომა არ დაუშვიათ. დაიღალნენ. გამოვიდნენ და სველ ქვიშაზე მკვდრებივით დაეყარნენ.

_ ხომ მაგარი იყო?! _ შეეკითხა თათიკო.

_ გამაოგნებელი! _ თქვა ნიკამ. _ შენ მე გამაგიჟებ!

_ გიყვარვარ? _ შეეკითხა უეცრად თათიკო და თავქვე მწოლიარემ, თავი ქვიშისკენ დახარა.

დიდხანს ფიქრობდა ნიკა, ძალიან დიდხანს. თათიკო ელოდა. თავი არ აუწევია.

_ მიყვარხარ! _ თქვა უცბად ნიკამ. ამოტრიალდა და გულაღმა გაიშოტა.

ტალღა მიდიოდა და მოდიოდა. წყალი თავებამდე სწვდებოდათ.

_ ხომ დაბრუნდები? ხომ უნდა იძიო შური?! _ ნიკასკენ მიაბრუნა თავი თათიკომ. მან კი არაფერი უპასუხა. თათიკო პასუხს ჯერ კი ელოდა, მერე, უეცრად წამოუხტა, ზედ დაახტა და ლოყაში წაუშინა. _ უნდა დაბრუნდე, გესმის?! დაბრუნდე და შური იძიო, ყველაზე! აუცილებლად უნდა დაბრუნდე! მე დაგელოდები, სიკვდილამდე დაგელოდები!!! _ მთელი ხმით გაჰკიოდა ქალი, რომ გაგიჟებული, გაცოფებული ზღვის ღრიალი გადაეფარა.

მეორე დილას, ნიკა უცხოეთში გაფრინდა. სხვისი გვარითა და სახელით. ნიკა ბერიძე აღარ არსებობდა... ისევე, როგორც მისი ნამდვილი სამშობლო, მისთვის მხოლოდ, რა თქმა უნდა...

I წიგნის დასასრული

თბილისი. ივნისი. 2006 წელი.

თამაზ მეტრეველი
ველური წაბლის ხეივანი

პ ა ნ ტ ე რ ა

წიგნი II

ანისთან მორიგი ჩხუბის შემდეგ, თაზომ მამასთან, თავის სახლში გადასვლა გადაწყვიტა. კაცმა არ იცის, ეს მერამდენე ცდა იყო, რადგან ასე ხშირად ხდებოდა _ აიბარგებოდნენ თაზო და ანი და ხან ერთის მშობლებთან გადავიდოდნენ და ხან _ მეორისასთან. თაზომ, როგორც ჩვეოდა, ახლაც ულტიმატუმი წაუყენა ანის: ან ახლავე ჩემთან ერთად წამოხვალ, ან სამუდამოდ დამკარგავო. საინტერესოა, რა ძაფითაა ასეთი ოჯახები შეკერილი, თუკი ცოლ-ქმარს შვილები არ ჰყავთ, ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებიან, პირველსავე მომენტში ერთმანეთსაც ღალატობენ, მაგრამ უერთმანეთოდ მაინც ვერ ძლებენ და საქმე საქმეზე თუ მიდგა, ბოლოს მაინც ერთმანეთს ყოველივეს პატიობენ. თაზოც და ანიც საკუთარ ოჯახებს მუდამ გაუფრთხილებლად მიადგებოდნენ ხოლმე. ქართველი მშობლების ამბავი კი, ხომ იცით, სიკვდილამდე, თავგადაკლულ მშობლებად რომ რჩებიან...

თაზოს არც ახსოვდა, რომ იმ დღეს მისი დის, ნუციკოს დაბადების დღე იყო. ცოლი სამსახურში გაისტუმრა და თვითონ, ორი დიდი ჩანთით ხელდამშვენებული, თავისი სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

როცა სტუდიიდან დაურეკეს, ნუციკო ბინიდან გასასვლელად ემზადებოდა, სარკის წინ იდგა, თმას ფენით იმშრალებდა და თან გაცხარებული, მამამისთან ჩხუბობდა. ნუციკომ ნომერს დახედა, მიხვდა, რომ გაგა იყო...

_ ნუციკო, სადა ხარ, არ მოდიხარ? _ გაგას კითხვაში თხოვნაც იყო.

_ რა ვიცი, ვემზადები, სხვები მოვიდნენ უკვე? _ შეეკითხა ნუციკო.

_ აბა, რა... გელოდებით... _ უპასუხა გაგამ.

_ გამოვალ, ასე, ალბათ, ათ წუთში... _ ნუციკომ მობილური დადო და მამასთან ჩხუბი განაგრძო: _ არა მამა, არ მინდა, არა, არ არსებობს, შენი არაფერი არ მინდა, ტყუილად ნურაფერს გააკეთებ...

ლაპარაკი ნუციკოს დაბადების დღის სუფრას ეხებოდა, რომელიც, მისი ურყევი აზრით, მის პატივსაცემად კი დაიწყებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიოზის თანამეინახეების ლოთობითა და ღრეობით უნდა დასრულებულიყო. ამიტომაც არ იყო ჯერჯერობით, მაინცდამაინც საზეიმოდ განწყობილი და მამის კითხვაზე _ აპირებ სუფრის გაკეთებას თუ არაო? _ ცივი უარი სტკიცა. გაიოზს, რა თქმა უნდა, ეწყინა და იმწამსვე მილიონჯერ ნათქვამის გამეორებაზე გადავიდა. ამ დროს ის აკვარიუმთან იდგა და თევზებს საკვებს უყრიდა. ეს აკვარიუმი და თევზებიც მისი ახირება იყო, მამშვიდებენო, _ გაიძახოდა, თუმცა ის, ცოლის სიკვდილის შემდეგ, დამშვიდებული იშვიათადღა იყო და თავისი ბუზღუნითა და ბურტყუნით შვილებს ტვინს უჭამდა.

_ ღმერთი რომ ყოფილიყო, დედაშენი ცოცხალი უნდა ყოფილიყო და მე მკვდარი?.. _ წამოიწყო თავისი საყვარელი ტირადა გაიოზმა. _ ის მოკლა და მე ცოცხალი დამტოვა, ორი სისხლისმსმელი დრაკონის ხელში.

ნუციკო, ფენით ხელში, მამას გამოუვარდა და პირში ეცა:

_ ახლა ღმერთსაც გადასწვდი! ძალიან კარგად ვიცი, რასაც აპირებ, თანამშრომელია, თანამშრომელიაო _ და ეშმაკმა უწყის, ვინ მოგყავს სახლში!.. და, საერთოდ, რაა!..

_ ჰო, მეგობრების მოყვანაც ამიკრძალეთ! _ მაგრად ეწყინა გაიოზს. _ თქვენ რა გგონიათ, კაცს თუ ცოლი მოუკვდა, მორჩა, თავისი ცხოვრება აღარ აქვს? რომ მცოდნოდა, რაც მელოდა, ჩავყვებოდი, უეჭველად ჩავყვებოდი საფლავში. თვალღიას მძინავს, თვალღიას: შიშით თვალები ვერ დამიხუჭავს, იმიტომ, რომ არ ვიცი, რა მოხდება და რა ბომბი დამეცემა გულზე...

_ რა უნდა მოხდეს, გაიოზ, რა უნდა მოხდეს იმაზე მეტი, რაც უკვე მომხდარია?! _ ცივი წყალი გადაასხა მამას ნუციკომ.

_ მე კაცი ვარ, ნუციკო, კაცი! მე შეურაცხყოფილი ვარ, გესმის?! მე ჩემი შვილის ყველა ნაბიჯი უნდა ვიცოდე, მით უმეტეს _ ქალის. როგორც კი შენს ქცევაზე ვიწყებ ფიქრს, მინდა, ყველაფერი დავბდღვნა... _ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა გაიოზმა, თითქოს სურს, რაღაცას წამოავლოს ხელი და მოისროლოსო.

_ კაი, რა, გაიოზ, რაღა დროს შენი კაცობაა?! დაანებე თავი, რა, ამ კაცობანას თამაშს, რა! _ ნუციკომ მთლად “გალუმპა ცივი წყლით” გაიოზი, რომელიც დამარცხებული, სავარძელში ჩაეთხლიშა და უაზროდ მიაშტერა ჭერს თვალები.

ნუციკოს კი, ცოტა მეტის ამონთხევაც სურდა, ალბათ, და რადგან რაღაც დააკლდა, თავის შვილს შეუვარდა, რომელიც ამ დროს, ყურსასმენწამოცმული, კომპიუტერთან იჯდა და თამაშობდა.

_ დაჩლუნგდები, ბიჭო, მასე, მთლად დაჩლუნგდები! მილიარდჯერ შეიძლება, ერთი და იმავეLთამაშის თამაში? _ დაჰკივლა ბასას ნუციკომ.

_ რა? _ ყურსასმენი წამოიძრო ბასამ.

_ ძალიან კარგი. მოვიცლი ერთხელ შენთვისაც, მოვიცლი!.. _ დაემუქრა შვილს ნუციკო, რადგან მიხვდა, ახლა ბასასთვის თავში რამე რომ ჩაედო, ბევრი დრო დასჭირდებოდა.

_ კი, აბა, როგორც ჩემთვის იცლი... _ ჩაილაპარაკა გაიოზმა.

_ გაიოზ, ერთ სიტყვასაც თუ იტყვი, ერთ სიტყვას, იცოდე, სამუდამოდ აღარ გაგცემ ხმას... _ ისევ მამას დაეტაკა ნუციკო.

_ ნუციკო, ჯერჯერობით შენი მშობელი მე ვარ და არა შენ _ ჩემი, _ მშვიდად წამოიწყო ახალი თემა გაიოზმა. _ კარგად იცი, ამ ოჯახში ფუნქცია ისედაც დაკარგული მაქვს. თუ ლაპარაკსაც ამიკრძალავ და პირზე კლიტეს დამადებ, იცოდე, წავალ და მუხათგვერდში დედაშენს მივუწვები გვერდით.

_ "ვოტ წე ი ნა"!.. თავისუფალი ხარ, ოთხმხრივ გზა ხსნილი გაქვს... შენ მუხათგვერდში არ წახვალ, მე ძალიან კარგად ვიცი, სადაც დაბრძანდები, ვაჟბატონო, და ვისაც უწვები გვერდით...

_ რა-ა?! _ შეხტა გაკვირვებული გაიოზი, რადგან ეს უკვე მეტისმეტი იყო.

_ ჰო, ჰო! რა იყო? _ იქით შეუტია ნუციკომ.

_ მე რომ არ ვიცი?!. _ იკითხა გაიოზმა.

_ რა? _ გაუკვირდა ნუციკოს.

_ სად დავბრძანდები და ვის ვუწვები გვერდით... ვერავის ვერ დაელაპარაკები, ვერც თანამშრომელს, ვერც ნაცნობს, ვერც მეგობარს, ვერც ბიძაშვილს და ვერც მამიდაშვილ-დეიდაშვილს... იმწუთას კუდებს გამოგიბამენ. კუდიანების ქალაქია, რა, დედას გეფიცები! _ მართლაც გაკვირვებული იყო გაიოზი.

_ დიახ, ერთხელ რომ თავს გაიტეხ, მერე აღარავინ დაგიჯერებს... არ გამომივიდა წმინდა ბატკანი?! ქმარი მაინც არ ჰყავდეს... _ პირდაპირ მიანიშნა საყვარელზე ნუციკომ.

_ ქალები იცვლიან თვეში ათობით საყვარელს და კაცებს გვედავებიან, ეე! _ მხრები აიჩეჩა გაიოზმა. _ შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილას, გემუშავა ჩემსავით, დედათა მონასტერში, გეოგრაფიის ფაკულტეტზე, დასავლეთ ევროპის კათედრაზე და ვნახავდი, ერთი, როგორ ამოხვიდოდი წყლიდან მშრალი...

_ კაი, კაი, გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები, _ ხელი ჩაიქნია ნუციკომ.

რა თქმა უნდა, ამ დროს, განტევების ვაცი ოჯახში, ყველაზე უმცროსი, ბასა იყო და გაიოზიც მასთან შევიდა.

_ ბასა, მოემზადე! გამოიძრე, ბიჭო, ეგ რაღაც ჯოჯოები ყურებიდან! _ ბასამ ყურსასმენები ჩამოიძრო. _ ჩანთა ჩალაგებული გაქვს? _ ჰკითხა გაიოზმა.

_ აბა, რა! _ არც მოხედა ბასამ დაLისევ თამაში განაგრძო.

_ აბა, რა, თორემ, შენც გადაბულბულებული გექნება ყველაფერი... _ წყრომით ჩაილაპარაკა გაიოზმა.

_ ნუციკოსთან რომ ვერაფერს გახდი, ჩემზე გადმოხვედი, არა?! _ ისევ არ მოხედა გაიოზს ბასამ. _ ო-ო, ისევ მომკლეს, რა, ტო! მიდი, რა, გაიარე, გაიოზ, რა! გამოკეტე, რა, ეგ კარი!

_ ერთი ეს იზრდება კიდევ, ერთ სიტყვას არავინ შეგარჩენს... _ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი "ცივი წყლით გვარიანად გაწუწულმა" გაიოზმა და თავის ოთახში შეიკეტა.

ნუციკო კი, ისევ საყვარელ სარკეს დაუბრუნდა. ფენი უჯრაში ჩააგდო, თმა ცოტა მიიჩეჩ-მოიჩეჩა, პომადის ფლაკონი აიღო და ტუჩები მიითხაპნ-მოითხაპნა. "ცოტა წავიფუფალებ, ალბათ", _ გაიფიქრა და ახლა საკუთარი ტანზე დაკვირვებას მიჰყო ხელი. ნუციკოს ყველაფერი მოსწონდა თავისი: სახე, ტანი, ფეხები და, რა თქმა უნდა, საჯდომი. "იდეალური საჯდომი მაქვს, რატომ უნდა დავამწნილო?!." _ გაიფიქრა ამჯერადაც და ყურებზე "ბოღჩები" დაიკიდა. რაღაც-რაღაცები მოხიკა, ხელჩანთაში ჩაუძახა და ფეხსაცმლის ჩაცმაზე გადავიდა, რომლის დროსაც, რამდენჯერმე წაიფორხილა, ხელები პიჯაკის სახელოებში გაჰყო და ის იყო, გასვლას აპირებდა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ნუციკომ კარი გამოაღო. ზღურბლთან, ორი დიდი ჩანთით ხელში, მისი ძმა იდგა.

_ ოჰ! _ წამოსცდა ნუციკოს. _ ეს კიდევ, ისე გამოგვეცხადება ხოლმე, თითქოს დოლარებით გატენილი ჩანთები მოჰქონდეს... _ და მამას გასძახა: _ გაიოზ, მეორე დრაკონიც მოვიდა!

_ როგორ გაგიხარდება ხოლმე, ნუცო, ჩემი დანახვა!.. _ უსაყვედურა ძმამ დას და ჰოლში შემოვიდა.

_ რატომ არ უნდა გამიხარდეს?! _ მთელი ირონია ჩააქსოვა ხმაში ნუციკომ. _ წავა დღეიდან დიმპიტაური-დამპიტაური...

_ თორემ, შენ აკლებ, რა! _ მოკიდა ჩანთებს ხელი და მისაღებში შეიტანა თაზომ, სადაც გაიოზიც შემოვიდა და დოინჯი შემოიყარა.

_ აკი, თქვენთან კიდევ მომსვლელის დედაო?!. _ მიაშტერა თვალები საყვარელ შვილს მამამ.

_ შენ უყურე, აბა, ორ სიდედრს ერთად... სად წავიდე მაშ?! _ მწყრალად შეხედა მამას თაზომ. _ შემოიყრის ამ დოინჯს და მიყურებს...

_ როდემდე უნდა ირბინო აქეთ-იქით? _ უსაყვედურა შემოსწრებულმა ნუციკომ. _ ეს უკვე კომედიაც აღარ არის, ეს რაღაც ფარსს ემსგავსება...

_ რა გინდათ, უკან წავიდე?.. კი, ბატონო, წავალ... _ გამწარდა თაზო. _ ჰო, რა იყო? მომეცით ჩემი წილი და წავალ. მომცემთ? _ ეს კითხვა თაზოს ტუზ-კოზირი იყო, თუმცა, ძალიან ხშირად ამოსდიოდა პირიდან და კარგადაც იყენებდა. რადგან იცოდა, რომ ამ ბინას, სანამ გაიოზი ცოცხალი იყო, არავინ დაახურდავებინებდა, გაიოზი კი, ჯერაც ჯან-ღონით სავსე იყო და სიკვდილს სულაც არ აპირებდა.

_ კაი, დამშვიდდი, _ ისევ გაიოზმა დაიხია უკან. _ ქუჩაში არავინ გაგდებს.

_ იცოდეთ, წესიერად მოიქცევით! _ ჩაერია ნუციკო. _ რომც დახოცოთ ერთმანეთი, მე თქვენ არ გაგაშველებთ.

გაიოზმა თვალი ჩაუკრა თაზოს _ კაი, არ უპასუხო, შეეშვიო, _ და თაზომაც მოკეტა.

_ მე წავედი. ნუ დამელოდებით, ამ საღამოს არ მოვალ, _ თქვა ნუციკომ და კარი გაიკეტა.

_ ღამე შინ აღარ მოდის, ვიღაც გაიჩინა, ალბათ... _ ჩაუშვა და ძმასთან გაიოზმა.

_ შენ კიდევ, მეტი საქმე არა გაქვს?! "მილიონ-ტრისტა" "მთვარის ასული" ცხოვრობს ამ ქალაქში... კაცი რომ არ უნახავთ თავის დღეში და ვერც ნახავენ ვერასოდეს. გაიჩინა და ძალიანაც კარგი!.. _ უპასუხა თაზომ.

_ არა... ესენი უკუღმა არიან დაბადებული, _ ხელი ჩაიქნია გაიოზმა და თავის ოთახში შებრუნდა.

თაზომ კარადა გამოაღო და ჩანთიდან ამოღებული ტანისამოსის დახარისხებას შეუდგა. უეცრად, მისი ყურადღება ქვედა თაროზე დადებულმა წიგნმა მიიპყრო. ტოლსტოის "აღდგომა" აღმოჩნდა. "ამას აქ რა უნდა?!" _ გაიფიქრა და წიგნი გადაშალა. გადაშალა და თვალებს არ დაუჯერა: წიგნის შიგნით ჭრილი იყო ამოკვეთილი და ასდოლარიანი კუპიურების დასტა იდო. თაზომ შეუსტვინა და ერთი დასტა აფურცლა. ჩვეულებრივი "კუკლა" აღმოჩნდა, მხოლოდ ქვედა და ზედა იყო ასდოლარიანი, შუაში კი ცარიელი ფურცლები ჩაედოთ. თაზო რატომღაც დაეჭვდა და თავის ოთახში გასულ გაიოზს გასძახა. გაიოზი შემოვიდა.

_ ეს რა არის? _ ჰკითხა თაზომ და წიგნში ჩადებულ ფულზე ანიშნა.

_ რატომ ახლე ხელი?! _ იყვირა გაიოზმა და წიგნი გამოსტაცა. _ წავლენ, წამოვლენ და ამ ფულს მიახტებიან!

_ ვის რა ჯანდაბად უნდა შენი ფული?! მით უმეტეს _ "კუკლები", _ ხელი აუქნია თაზომ.

_ "კუკლები"? რა "კუკლები"? _ ვერაფერს მიხვდა გაიოზი.

_ რა “კუკლები” და რაც გიჭირავს ხელში, _ უპასუხა თაზომ.

გაიოზმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა “კუკლა” და შეშინებულმა გადაშალა წიგნი. როცა ფული გასინჯა და მართლაც “კუკლა” აღმოჩნდა, თვალებს კი დაუჯერა, მაგრამ ეგონა, თაზო აპამპულავებდა და სხვანაირად შეხედა.

_ ჩადე ფული თავის ადგილზე! _ უთხრა და ჭრილზე მიანიშნა.

_ რა ფული უნდა ჩავდო? _ გადაირია თაზო.

_ რა ფული და რაც ამოიღე! _ იხტიბარი არ გაიტეხა გაიოზმა.

_ მე არაფერი ამომიღია! _ ახლა თაზო დაეჭვდა გაიოზში _ რას მიჰქარავსო! _ გაიფიქრა.

_ ჰა, კარგი, ახლა! _ არ დაუჯერა გაიოზმა.

_ რა კაი, ახლა, ტო?! _ ახტა თაზო. _ რად მინდოდა შენი ფული, შენ აზრობ, რას მაბრალებ?!

გაიოზს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ თაზო “ათამაშებდა”, ახლა კი იფიქრა _ ალბათ, მაწერს ეს ვირიშვილიო და ძალზე მრუდედ დაუწყო ყურება, რაც თაზოს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მთლად გაგიჟდა.

_ რას ბრიცავ მაგ თვალებს, რა?! შენ გგონია, გატყუებ?! შენ ვიღაცამ “კუკლა” შემოგატენოს, მე რა შუაში ვარ, ვერ გავიგე. ან რა ფულია ეს, ვინ მოგცა?

_ რა ფულია და წეროვანი რომ გავყიდე, ის ფულია... სათითაოდ გადავთვალე და ისე ჩავდე, რა “კუკლა”, რის “კუკლა”?! _ გაიოზს დაეჯერობოდა. _ ჩადე, როგორც ამოიღე და მოვრჩეთ ამ ბაზარს.

_ რა ბაზარს, ტო? რას მეძველბიჭები აქ?! არ ამომიღია-მეთქი!.. ჰო, ერთი ქურდობა იყო, რომ არ დაგიბრალებია არასოდეს და ახლა ქურდობასაც მაბრალებ?!

_ მაშ, სად წავიდა?! _ არ შეეშვა გაიოზი. _ როგორ, ფაფუ, სამიათას ხუთასი დოლარი _ შვიტ!.. იყო და აღარ არის?! _ შეუსტვინა გაიოზმა.

_ მე არ ამიღია... _ კიდევ ერთხელ გაიმეორა თაზომ. გამოფატრა წიგნი და ჩადო. სხვა ვერაფერი მოტვინა...

_ მაშ, ვინ აიღო, ნუციკომ? ნუციკო ჩემს ფულს თითს დააკარებდა?! _ არ ჩერდებოდა გაიოზი.

_ მე ვიცი, ვინც აიღო... _ გამომცდელად შეხედა მამას თვალებში თაზომ.

_ ვინ? _ იკითხა გულუბრყვილოდ გაიოზმა, ვერ მიხვდა, საით უმიზნებდა თაზო.

_ შენ!!! _ მუშტი დასცხო მაგიდას თაზომ და გაიოზი მიხვდა, რომ ფული თაზოს აღებული არ იყო. ნუციკოს ხელს ვერ დაადებდა და...

_ რა გამოდის, აორთქლდა?! _ ისევ თაზოზე მიიტანა ეჭვი გაიოზმა.

_ ჰო, აორთქლდა, _ თვალებში მიაშტერდა მამას თაზო. _ გამოუყვანა წირვა და ახლა ვის დააბრალოს და როგორ გამოძვრეს, აღარ იცის!..

არა, თაზოს აღებული ნამდვილად არ არიო, _ დარწმუნდა გაიოზი. ბასა თითს ვერ დაადებდა და ნუციკო და... მაშ, რა იქნა, აორთქლდა, მართლაც?.. ტვინი გადაეკეტა გაიოზს.

_ დედაშენმა ჩამიწყო ეს ყველაფერი... ჰო, ჰო _ დედაშენმა!.. თვითონ მოკვდა, დაისვენა და მე ამ ჯოჯოხეთში დამტოვა... _ დაახეთქა წიგნი იატაკზე გაიოზმა. წიგნი თითქოს მოიბღუნძა, ყდის “ფრთები” ზემოთ აშალა, მერე, მკვდარივით, აქეთ-იქით გადაყარა და “გამოფატრული მუცელი” გამოაჩინა.

_ მიდი, რა, რამე ტრანკვილიზატორი დალიე, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, გადაყვები ამ ამბავს და ძალიან ჩქარა მოგიწევს მაგ შენი საყვარელი მეუღლის მონახულება. შედი და დალიე! გირჩევ. თუ მართლაც, სხვისი აღებულია... _ ურჩია თაზომ.

_ ტრანკვილიზატორი უშველის სამი ათას ხუთას დოლარს?! როგორ დავიჯერო, რომ ნუციკოს აღებულია?! _ ვერ გამოსულიყო ტრანსიდან გაიოზი.

_ სიგარეტს აბოლებს? აბოლებს. საყვარელი ჰყა-ავს? ჰყავს... ფულს რატომ ვერ აიღებდა ვითომ?! _ ცეცხლზე ნავთი დაუსხა ისედაც გადარეულ მამას შვილმა.

_ მართალი ხარ! _ თქვა გაიოზმა და წამოდგა. _ მოვკლავ! მოვკლავ და ამოვისუნთქავ!.. _ მოძებნა გამოსავალი გაიოზმა.

_ ვერც მოკლავ და ვერც ამოისუნთქავ... ყოფილიყო ის აგარაკი თავისთვის, რას გიშლიდა, რომ აიტეხე და ვეღარ გადაგათქმევინე! ვერ ვისვენებ, ვერ ვისვენებო, რომ გაიძახოდი. ხომ დაისვენე ახლა, ხომ კარგად დაისვენე?!

_ მოვკლავ! _ გაიმეორა გაიოზმა.

_ მოკალი. მე ნებას გრთავ! იმას ახლა, შენ კი არა, ეშმაკიც ვერ მიაგნებს...

_ ჰო, არა?! _ გაგიჟდა გაიოზი. _ მაშინ, მე წავალ და თუ ვერ ვიპოვი, მაგასაც ვნახავთ!

_ სად წახვალ, მამა, გაგიჟდი?! _ ირონიულად ჩაეცინა თაზოს.

_ დიახ, გავგიჟდი. გავგიჟდი! _ ტლინკი ჰყარა გაიოზმა. _ შენ რა, არ გაგიჟდებოდი ჩემს ადგილზე?! შენც გაგიჟდებოდი, ყველა გაგიჟდებოდა... ჰო, წავალ და ორივეს მოვკლავ!..

_ ორივეს მოკლავ, არა?.. ძალიან კარგი. ის მოკვდება, შენ დაგიჭერენ, ორივეს ერთად მოგიწყვეტთ თავიდან... გენიალურია! წადი, მოკალი, ორივე მოკალი, სხვებიც მიაყოლე, თუ ვინმე შეგხვდეს...

გაიოზი მიტრიალდა. სამზარეულოში შევიდა, კარადის უჯრიდან, ერთ დროს ეზოში ნაპოვნი, ღორის დასაკლავი, ფოლადისპირიანი დანა ამოიღო და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო. კარი გამოაღო და გარეთ გავარდა.

ბასას, რომელიც გამოსულიყო და მათ ჩხუბს უსმენდა, თვალები გაუფართოვდა და ენა ჩაუვარდა. თაზომ შეხედა და დაამშვიდა.

_ არ იცი, რა არტისტია?! მოკლავს _ არა, ფლავი! კაზინოში წააგებდა ან ტოტალიზატორში. ცხვირი უნდა მიუჭეჭოს კაცმა... გატყვრება, ალბათ, სადმე და ამოვა... გადი, შენ, და იმეცადინე!

ბასამ, დიდი კაცივით, თავი გადააქნია და გავიდა.

მშვენიერი დილა იყო. ნუციკოს დაბადების დღე ჰქონდა. ოჯახს თავი დააღწია და ახლა ჩიტივით თავისუფალი იყო. იცოდა, რომ ხმის ჩამწერ სტუდიაში სიურპრიზს უმზადებდნენ, საღამოს კი, რომანტიკული ვახშამი ელოდა, კაცთან, რომლის ძლიერ მკლავებშიც თავს მეცხრე ცაზე გრძნობდა და რომლის ბედიც დღეს ბევრად მეტად ადარდებდა, ვიდრე საკუთარი ოჯახის და ლამის შვილისაც კი...

მოკლედ, ნუცამ სტუდიის კარზე მიაზარა.

ყელში ამოსული ინგლისური სიმღერით და ბნელ ოთახში ტორტში ჩაბნეული ანთებული სანთლებით დახვდნენ... ნუციკომ თვალები მოწკურა, რომ როგორმე სახეები გაერჩია, მაგრამ გაჩახჩახებული მზიდან შესულისთვის, კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ ვერავინ იცნო და მანაც მთელი ძალით შეუბერა სანთლებს. სანთლები ჩაქრა და სინათლეც აინთო. და ატყდა ერთი ჟრიამული _ მილოცვები, ქათინაურები, კოცნა-პროშნა... გაგამ კი, მისკენ გაშვერილი ვარდით ხელში, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

_ მითხარ, კარგო, ჩემი ხარ თუ სხვისი ხარ? _ წამოიწყო საკუთარ სტილში “მუხამბაზი” გაგამ.

_ არ გეტყვი... _ გაეპრანჭა ნუციკო.

_ რად არ მეტყვი, რად არ მეტყვი, ვისი ხარ? _ მთლად გადაირია გაგა.

_ არ გეტყვი... _ ბემბის დაემსგავსა ნუციკო.

_ არ მეტყვი და ნუ მეტყვი... _ ხმა დაიბოხა გაგამ. _ აი, მე შენი დაბადების დღისთვის მამირთმევია... დუდუკი! _ ხელი დირიჟორივით აიქნია დათოსკენ და იმანაც სასწრაფოდ წაუმღერა:

_ ჰაი, ბალამ-ბალამ... ჰაი, ბალამ-ბალამ...

მის აკომპანიმენტზე კი, გაგამ ჩამოთვლა დაიწყო:

_ დიბა-ატლასი, ასჯერ ათასი, ოქრო და ვერცხლი, ლალი და ზურმუხტი, ია და ვარდი, მოკლედ, აი ამ ვარდის კოკორივით ჰყვაოდე და იხარებდე-ე! _ და გაგამ ნუციკოს ვარდი გაუწოდა.

_ ახლა კი _ ამბორი... წმინდა რომანტიკული ამბორი... _ გამოაცხადა ხმამაღლა დათომ.

ნუციკომ თავი გვერდზე გადააგდო, თვალები დახუჭა და გაგას ლოყაზე საკოცნელი ადგილი თითით მიანიშნა.

_ ო, არა, არ შემიძლია, გული წამივა, მოვკვდები!.. _ უფრო მეტად გაინაზა გაგა.

_ გამაგრდი, ბიჭო, არ შემარცხვინო! _ მტევანი მომუშტა და ხელი მაღლა აღმართა დათომ.

_ ეჰ, რაც არის _ არის, ერთხელ გავჩნდი და ერთხელ უნდა მოვკვდე. მშვიდობით, ჩემო საყვარელო სამშობლოვ!.. _ და გაგამ ნუციკოს ლოყაზე აკოცა. ხომ არაფრად ითვლება ასეთი კოცნა. ხშირად დღეში უამრავი ქალის ლოყას ვკოცნით. გაგას კი, მაგრად ეგემრიელა ნუციკოს თბილი, ბავშვის კანივით რბილი და შემკრთალი ლოყა. ნერწყვიც კი გადაყლაპა. ტუჩებსაც სიამოვნებით მიაყოლებდა, მაგრამ როგორ გაბედავდა?! თვალები გადაატრიალა და იატაკზე გაიშხლართა.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, გაგას კი ძალიან, ძალიან უყვარდა ნუცა. ბალზაკის წლოვანება თავისი სიყვარულის პლატონურ მოსავალს იმკიდა...

ნინიკომ კი, რომელსაც ამ სიყვარულისა არაფერი სჯეროდა და ვინ იცის, ოდნავ შურდა კიდეც ნუციკოსი, ფეხი უხეშად წაჰკრა გაგას:

_ ადე, ბიჭო, რას გაიშხლართე! არც ისეთი ანგელოზია შენი დულსინეა, როგორც შენ გგონია.

გაგამ თავი წამოსწია, თვალი გაახილა, წამწამები აახამხამა და უკანასკნელი ანდერძი დაიბარა.

_ “საქართველოს ლამაზებო, საქართველოს მანანებო, დამაყარეთ თქვენი ცრემლის ყვავილები”...

მოკლედ, სუფრა ჯერ მხოლოდ ეშხში შედიოდა.

ბედისწერა, ელინური კულტურის ეს “უკვდავი, თანამდევი სული” დღეს მხოლოდ მაშინ გვაგონდება, როცა მარადიულ საუფლოში მივემგზავრებით. უფრო სწორად, ჩვენი ცოდვილი სული მიემგზავრება. ის, რაც გაგამ ხმის ჩამწერი სტუდიის პატარა კაბინეტში გაითამაშა, ქალაქის ერთ-ერთ უბანში ნამდვილად მოხდა. ასე რომ, ნუციკოს რომანტიკული ვახშამი ჩაეშალა. მან კი ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. დაბადების დღე ჰქონდა, მღეროდა, ცეკვავდა და გრიალებდა.

ნიკას უცხოეთში დაბრუნების მერე, ისეთი პანაშვიდური სიტუაცია იყო ბერიძეების ოჯახში, რომ ქმრის ბინაში გადაბარგება გაუხარდა კიდეც ანის... თუმცა, ჯერ თვითონ იქაურებს არ ხლებოდა, საღამოს აპირებდა მისვლას. ისიც კარგად ახსოვდა, რომ ნუციკოს დაბადების დღე იყო და საჩუქრის ყიდვასაც აპირებდა. მაგრამ ყველაფერი ცოტა სხვანაირად დატრიალდა.

ალბათ, უნდა ითქვას, რომ ანის, თუმცა ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, თავის დასამკვიდრებლად მაინც განუწყვეტელი ომი უხდებოდა. ბუნებით მებრძოლს, ფარ-

ხმლის დაყრა არ სჩვეოდა და იყო ჩართული იმ ორომტრიალში, რომელიც ქართული ტელესტუდიებისთვისაა დამახასიათებელი და რომელსაც თავისი ვარდის სურნელებაც ახლავს და კაი გრძელი "ჩხვლეტელა" ეკლებიც აყრია.

"ელიტ-ქრონიკის" რედაქცია, სადაც ანი მუშაობდა, ოთხი კაცით იყო დაკომპლექტებული. პირველი _ მთავარი რედაქტორი, რომელსაც სხვა რედაქტორი არ ჰყავდა, მაგრამ რატომღაც, მაინც მთავარი რედაქტორი ერქვა, ნიკოლოზ ანუ ნიკო მიქაძე იყო. ორი ჟურნალისტი _ ლოლა და ანი და ერთიც ოპერატორი _ ვასიკო ჟივიძე. კონკურენცია ძირითადად, ლოლასა და ანის შორის მიდიოდა. ნიკო ანის უფრო შავ სამუშაოს ავალებდა, რადგან ლოლას ვერც სილამაზით შეედრებოდა და ვერც მეტყველების კულტურით. მაგრამ სიუჟეტებიც მიჰყავდა და თავისი საავტორო გადაცემაც ჰქონდა. ასე რომ, საზოგადოება ანის ცნობდა და ანიც იფერებდა ამას.

მოკლედ, იმ დილას თავის რედაქციაში მისულ ანის, რომლის კედლებიც შოუბიზნესის ვარსკვლავთა სურათებით იყო გადაჭრელებული და სადაც სულ რამდენიმე მაგიდა იდგა, მხოლოდ მთავარი რედაქტორი ნიკო დახვდა, რომელიც კომპიუტერს მისჯდომოდა და რაღაც ტექსტზე მუშაობდა. ის ზოგჯერ, ცალი თვალით, მოპირდაპირედ მდგარი ტელევიზორისკენ იმზირებოდა, სადაც "უჟასების" მსგავსი ფილმი მიდიოდა. ანიმ ჩანთა დივანზე მიაგდო და თვითონაც ზედ მიესვენა. ნიკომ პულტი მოიმარჯვა და ტელევიზორის ხმას ჩაუწია.

_ ხომ ვიცი, არა, ყველაფერი ისევ მე უნდა დამბრალდეს... _ ნიკოს ყურადღების მიპყრობას შეეცადა ანი.

_ რა? რამე მოხდა კიდევ? _ ბეჭდვას თავი ანება ნიკომ.

_ თორემ არ იცით, რა!Nნუ გიყვართ ხოლმე, რა, ანგელოზის ფრთების გამობმა!.. _ ირონიულად გაეღიმა ანის.

_ გამოსხმა, _ გაუსწორა სიტყვა ნიკომ.

_ გამობმა და გამოსხმა, მე მგონი, ერთი და იგივე სიტყვებია... _ არ მიიღო ჩასწორება ანიმ.

_ რა-ა? როგორ გეკადრებათ?! _ გაბრაზდა ნიკო. _ მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. დღეს უამრავი საქმე მაქვს. ქვეყანა ხელიდან გვეცლება, იღუპება... _ სრული სერიოზულობით მიაყარა შეფმა.

_ ო, თქვენ კიდევ, სულ ხუმრობის ხასიათზე როგორ უნდა იყოთ! _ მაგიდასთან გადაჯდა ანი, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გააბოლა.

_ ეს მე ვარ ხუმრობის ხასიათზე?! _ განცვიფრდა ნიკო. _Mმე წუთიწუთზე სასიკვდილო განაჩენს ველოდები...

_ ისევ აურიეთ, ხომ, ოჯახში? _ გაეცინა ანის.

_ ოჯახში? ვინ მოგახსენა?! _ გაცხარდა ნიკო. _ ოჯახში ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილი.Aაქ, აქ არის, აი, ამ ოთახში ძაღლის თავი დამარხული! მე დავალაგებ, თქვენ _ თავდაყირა დააყენებთ, მე დავალაგებ, თქვენ _ ისევ თავდაყირა დააყენებთ. შენ ხომ, პირადად, რაც მიწაზე ხარ, ცხრა იმდენი მიწაში ხარ, გენაცვალე!..

_ დიახ, მართალია, სხვანაირად თქვენ და თქვენისთანები კარგა ხანია, შემჭამდნენ და შემახრამუნებდნენ... _ სიგარეტის კვამლის რამდენიმე რგოლი ერთმანეთში გააძვრინა ანიმ და მშვიდად დაასკვნა: _ ჩემგან დღეს პა-ატარა, ნეკის ძვალიც აღარ იქნებოდა დარჩენილი.

_ იცი, რას გეტყვი, ანი?.. ეს უკვე ფემინიზაცია კი არა... რაღაც... _ ვერ მონახა სიტყვა ნიკომ. _ რაღაც დედაკაციზაციაა...

_ ჰოდა, ფრთხილად უნდა იყოთ, _ გააფრთხილა, ფილოსოფიაში გადაჭრილი მთავარი რედაქტორი ანიმ და წამოდგა: საშასთან ჩავალ, ცოტა თავს მოვიწესრიგებო, _ და გავიდა.

“არა, ამათი ტვინი მუდამ სწორხაზოვნად მუშაობს”, _ გაიფიქრა ნიკომ და მუშაობა განაგრძო.

როცა ანი საგრიმიოროში შევიდა, საშას სარკის წინ “ნიუსების” დიქტორი ლუბა მეგრელიშვილი ეჯდა და ალამაზებდა. მას ანის დანახვა გულწრფელად გაუხარდა.

_ ოჰ, პრივეტ ანიკო, როგორა ხარ? _ წამოიძახა საშამ და მაკრატელი ააკრიჭინა.

_ ისე, რა, ნელ-თბილად... _ გულგრილად უპასუხა ანიმ და თვალები გაუფართოვდა. _ ლუბა, შენ რა, თმა დაიმოკლე?

_ არ უხდება მერე?.. ჰო უხდება?! _ დაასწრო ლუბას საშამ.

_ მთელი კვირა ვტიროდი, ახლა ცოტა წამომეზარდა და გავჩუმდი... თიკომ შემაცდინა, შურდა, რა, დედას გეფიცები და იმიტომ... _ შესჩივლა სარკიდან ლუბამ.

_ შენც სხვას რას უჯერებდი?! ჩვენთან, ხომ იცი, როგორ უნდა მოიქცე _ პირიქით, უკუღმა!.. _ დაუწყო დარიგება ანიმ. _ ჰო, ჰო. აქეთ წადიო, _ თუ გითხრეს, საპირისპირო მხარეს უნდა წახვიდე, თორემ, თუ იქით წახვალ საითაც მიგანიშნე-ეს... ან მანქანა გაგიტანს, ან ბანდიტი გამოგჭრის ყელს, ან მეხი დაგეცემა, ბოლო-ბოლო, ვერ გადარჩები, ვარიანტი არ არი... _ ჩაამთავრა თავისი ტირადაAანიმ.

_ არ მერჩია, მეხი დამცემოდა, ვიდრე ეს თმა ასე მქონოდა?! _ ნერვიულად აირტყა შუბლზე ხელი ლუბამ.

_ სულ ტყუილად, ლუბაჩკა, სულ ტყუილად... _ გაინაზა საშა. _ გადასარევად გაქვს, დედას გეფიცები-ი...

_ კაი, რა, საშა, რა! რა მაქვს გადასარევად, მაბრმავებ?! _ გრძელი, ხელოვნური შავი წამწამები ააფახულა ლუბამ.

_ არა, რატომ გაბრმავებ, ლუბკა?! რატომ ამბობ მაგას?! _ ახლა საშამაც ააფახულა წამწამები. _ მე, მაგალითად, შემიძლია, საიდუმლოდ გითხრა, რომ შენ ბევრად უკეთესი პრიჩოსკა გაქვს, ვიდრე მაკას...

_ გესმის, ანი, ვის შემადარა?! _ გადაიხარხარა ლუბამ და სკამიდან წამოდგა. _ ახლა წავედი, თორმეტიანი მიმყავს და მერე ჩამოდი, რა, ანი, ჩემთან. არ გაინტერესებს? მაგარ ამბავს მოგიყვები, მთლად ცხელ-ცხელს... _ მიუბრუნდა ლუბაAანის.

_ ჰო-ო? ვისზე? _ დაინტერესდა ანი.

_ როცა ჩამოხვალ, მაშინ გეტყვი... _ უკვე გარედან უპასუხა ლუბამ.

_ კარგი-ი! _ ისე დაადევნა ანიმ, თითქოს მომავალი ჭორაობის თემას მიუხვდაო და სარკის წინ დაჯდა. დაჯდა და იმავწამს დასერიოზულდა _ როგორც საპარიკმახერო სავარძელზე მიჯაჭვულთა უმრავლესობა.

_ ზოგი, იცი, რა უმადურია?! _ ნაწყენი კილოთი დაიწყო საშამ. _ მადლობის თქმაც კი არ იციან. ჰო, ჰო, მთლად რომ გადააკვდე, მადლობაც კი ენანებათ. ეს რომ ჩემი სალონი იყოს... აი, ამ ლუბკას არ მივიღებდი, დედას გეფიცები!.. როგორ შეგკრიჭო, “ბარანკა” არ გინდა? _ სუფთა ზეწარი ლამაზად მოაფრიალა და საყელოში ჩაუკუჭა.

_ მე მინდა ზუსტად ისე, როგორც დარეჯანს აქვს, _ სერიოზული ტონით თქვა ანიმ.

_ დარეჯანს? _ ისევ ააფახულა საშამ წამწამები. _ როგორ, შენც ნოლზე გადაგიღო?

_ დარეჯანს ნოლზე არა აქვს... _ გაიხსენაAანიმ.

_ შენ ეტყობა, არ გინახავს: გუშინ გადავხორტნე. შენ რომ გადაიხორტნო, არ მოგიხდება, არ გირჩევ... დედას გეფიცები-ი... _ ისევ გაინაზა საშა.

_ გადართე, რა, თორმეტი ხდება, ლუბაჩკას შევხედოთ! _ ტელევიზორზე ანიშნაAანიმ.

საშამ ტელევიზორი გადართო. ეკრანზე ჯერ საინფორმაციოს ტიტრები გამოჩნდა, შემდეგ კი _ ლუბა.

_ აი, შეხედე, ცუდად აქვს? _ ჰკითხა საშამ ანის.

_ ცოტა აუწიე, რა, არაფერი მესმის... _ სთხოვა ანიმ.

_ მოგესალმებით! თორმეტ საათზე ახალ ამბებს ლუბა მეგრელიშვილი გაგაცნობთ... იდუმალებით მოცული მკვლელობა თბილისში: დღეს, დილის შვიდ საათზე, საკუთარი სახლის ეზოში მკვდარი იპოვეს "ივერკომის" ყოფილი პრეზიდენტი ლევან იაშვილი.

_ ვაიმე! ვაიმე! _ წამოიკივლა და სკამიდან წამოხტა ანი.

ლევან იაშვილი მისი მულის, თაზოს დის საყვარელი იყო. რა თქმა უნდა, ანიმ ეს მშვენივრად იცოდა, ისევე, როგორც, ალბათ, ნახევარმა ქალაქმა. ერთადერთი, ვინც არ იცოდა, ვისი საყვარელი იყო მისი ქალიშვილი, _ ეს გაიოზი იყო...

_ დილითვე ლევან იაშვილის ცხედარი რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში გადაასვენეს. _ მშვიდად განაგრძობდა ეკრანიდან ინფორმაციის კითხვას ლუბა მეგრელიშვილი. _ ვარაუდობენ, რომ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ლაპარაკია სხვა, ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებზეც... რადგან ლევან იაშვილის ოჯახის წევრები კარგა ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ფაქტობრივად, არ არსებობენ ამ ტრაგიკული შემთხვევის თვითმხილველები. ერთადერთი, ვინც გამოძიებამ დაჰკითხა, ფირმა "ტაიდოს" ოფისის დარაჯია. ეს ფირმა იაშვილის სახლის გვერდით მდებარეობს.

ეკრანზე "ტაიდოს" დაბნეული და ცოტა შეშინებული დარაჯი გამოჩნდა.

_ აბა, მე რა ვიცი... _ ყვებოდა ის. _ ჯერ გათენებულიც არ იყო, რო, იგეთი ხმა შემომესმა, აი, ბომბა რო გასკდეს... ხმა იყო ძლიერი. ვაა, ატყდნენ ეს ძაღლები და რა ატყდნენ!.. ძაღლები ჰყავ მაგას ჯიშიანები... აღარ დადგნენ ეს ძაღლები, იყეფებიან და რას იყეფებიან!.. თავიდან არ გამოველი, რა ვიცი, ათასი ოხერი და მამაძაღლი ცხოვრობს ამ ქალაქში. ზოგი "ბომბებს" აკეთებს, ზოგი _ ყუმბარებს, ვიფიქრე, არაფერი მამხვდეს-მეთქი. ბოლოს მაინც გადავიხედე, დამაინტერესა, აბა... რასა ვხედამ! გდია, კაცო, ეს ბუმბერაზი კაცი მიწაზე, გათავებულია. ზემოთა კიდენა, მესამეზე, ფანჯარაა, ესე ორთავე, პირთამდე გამოღებული. ბილიარდსა თამაშობდნენ ხოლმე იქა, ღამე ერთი იყო და მოსვენება არა მქონდა, ლაწ-ლუწ, ლაწ-ლუწ, _ გაუდიოდა მთელი ღამე... ვიფიქრე, გადმოვარდნილია-მეთქი მაღლიდან, სხვა რა უნდა მეფიქრა?.. ხმა კიდე, ეტყობა, კაცი ხო თავით მოდის, არა? ქალისაგან განსხვავებით... თავი რო გასკდება, გაგონილი მქონდა, ბომბასავით ხმა აქო და მართლა ესე იყო... აი, გეგონება მთა ჩამოიქცაო.

_ ვაიმე, ვაიმე! _ რატომღაც ყელზე ხელი მოივლო ანიმ, სკამიდან გადმოხტა და კარისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

_ და თმა? _ მაკრატელი ააკრიჭინა საშამ.

_ კაი, რა დროს თმაა?! _ ხელი აუქნიაAანიმ.

_ კაი, ჰო, სხვა დროს გავკრიჭოთ, _ დაადევნა საშამ.

ანიმ შესანიშნავად უწყოდა, რომ ბოლო დროს მომრავლებულ ამ სახის მკვლელობებს ხელისუფლება თავის ნამდვილ სახელს კი არ არქმევდა, არამედ, როგორც თვითონ მოეხასიათებოდა, ისე ჭრიდა და კერავდა. ანის უყვარდა ნუციკო, ნუციკოც სითბოთი პასუხობდა და ანიმ მაშინვე გადაწყვიტა, ამ საქმეს მე თვითონ გამოვიძიებ და სანამ არ გავხსნი, არ შევეშვებიო. ნუციკოსთან ზარი გაუშვა, მაგრამ დროებით გამორთულიაო, პასუხობდა ავტომატი.

რედაქციაში ანის, მათი ტელეოპერატორი ვასიკოც დახვდა. ისიც და ნიკოც ტელევიზორის ეკრანს მისჩერებოდნენ.

_ გაიგეთ, ბატონო ნიკო? ლევან იაშვილი მესამე სართულიდან გადმოხტა და თავი მოიკლაო! არ უყურეთ ახალ ამბებს? _ შეეკითხა შესვლისთანავე ანი.

_ სსუუ, გამომძიებელი ლაპარაკობს, _ გააჩუმა ნიკომ ანი.

ეკრანზე ჯიბეებში ხელჩაწყობილი გამომძიებელი ლაპარაკობდა:

_ რადგან გამოძიებას არ გააჩნია არავითარი სამხილი, ვფიქრობთ, სიმართლესთან ყველაზე ახლოს, თვითმკვლელობა უნდა იყოს მიჩნეული. ამას გვაფიქრებინებს ნარკოტიკების დიდი დოზა, რომელიც სხეულის გაკვეთის შემდეგ აღმოაჩინეს გვამში... ამ ეტაპზე რთულია რაიმეს თქმა, მაგრამ თუკი ვინმეს შეუძლია მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით და თუკი ეს ინფორმაცია იქნება სიმართლესთან ოდნავ მაინც ახლოს, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ ყველაფერს...

_ არა, ამათი ლაპარაკიდან ვერავითარ აზრს ვერ გამოიტან... _ ჩაილაპარაკა ნიკომ. _ მოკლულია ნაღდად... თვითმკვლელობა _ არა!..

_ უნამუსოები! _ წამოსცდა ანის.

_ გამოდის, რომ სულ ბოლოს ჩვენ გადაგვიღია ეგ კაცი... _ ჩაილაპარაკა ვასიკომ. _ მოდი, დავატრიალოთ.

ვასიკომ უჯრიდან კასეტა ამოიღო და ვიდეომაგნიტოფონში შეაგდო. ეკრანი აციმციმდა და მალე ლოლაც გამოჩნდა.

_ დიახ, დღეს ჩვენ ვიმყოფებით სასტუმრო "შერატონის" საგამოფენო დარბაზში, _ ყვებოდა ლოლა. _ სადაც მიმდინარეობს საზეიმო ა-ლა-ფურშეტი, ფირმა "ნეპტუნის" მიერ ტენდერში გამარჯვებასთან დაკავშირებით...

ლოლას ლაპარაკი ანის სულ არ აინტერესებდა, ის ეკრანზე ლევან იაშვილს ეძებდა.

_ მე ახლა სიტყვას გადავცემ ფირმა "ასტეროიდ სამას შვიდის" ვიცე-პრეზიდენტს ბატონ იშტვან ჩეხს, _ თქვა ლოლამ და მიკროფონი უცხოელს მიუშვირა, რომელიც "დამტვრეული" რუსულით ალაპარაკდა.

_ აი, აი... "სტოპ"! _ იყვირა Aანიმ. ვასიკომ კადრი გააჩერა.

_ აი, ლევან იაშვილი, აი, გაუშვი! _ მიუთითაAანიმ. ვასიკომ გაუშვა.

ეკრანზე კარგად გამოჩნდა, როგორ ეკამათებოდა და უძალიანდებოდა ლევან იაშვილი ვიღაც ტიპებს, რომლებიც დარბაზიდან მის გათრევას ცდილობდნენ.

_ ეს რა ხდება? დაინახეთ? დაატრიალე, რა, ვასო, უკან! ბატონო ნიკო, დაინახეთ? _ აღელდა ანი. _ ვასიკო, შენ ეს კადრები არ გახსოვდა? _ ახლა ვასიკოს შეეკითხა ანი.

_ არა, საიდან უნდა მხსომებოდა, მე ლოლაზე მქონდა აქცენტი, უკან რა ხდებოდა, მე რა ვიცი? _ ჩაიბურტღუნა ვასომ.

_ ა, ბატონო, ვაჩვენოთ გამომძიებელს, ამაზე მეტი სამხილი რაღა უნდათ?! _ თქვა ნიკომ.

_ მოიცათ, მოიცათ, ასე არ გამოვა... _ ბრძანაAანიმ.

_ რა არ გამოვა? _ ვერ მიუხვდა ვასიკო.

_ სახე არ უჩანს არც ერთს, ორივენი ზურგით არიან...

_ რატომ? _ დაეჭვდა ვასიკო. _ აი, პროფილი ამ ტიპის... არც ისე მკაფიოა, მაგრამ ჩავლება შეიძლება რაღაცის, თუნდაც, ცხვირის...

_ რა-ა? არა მგონია. შენც სწორედ ასეთი მოკაუჭებული ცხვირი გაქვს და ყოველ მეორესაც მთელ საქართველოში, _ დაასკვნა ანიმ.

_ მერე, ეგ რა ჩვენი საქმეა?! გამოძიებამ იმტვრიოს მაგაზე თავი, ჩვენ რაში გვეკითხება?! სულ ფეხზე არ მკიდია?! _ ხელი აუქნია ვასიკომ.

_ არა, სწორედაც რომ გვეკითხება! _ არ დაუთმო ანიმ.

_ ჩვე-ენ? მე-ეც? რატომ? რა, პოლიციელი ვარ?

_ როგორ თუ რატომ?! კაცს კლავენ... ხომ აშკარად გამოჩნდა, რომ მოკლულია! ისინი კი გაიძახიან _ თვითმკვლელობაა. როგორ გგონია, ამ ფირს თუ ნახავენ, აზრს შეიცვლიან? კაცს ყველაფერიც ჰქონდა, ყველაფერიც და რატომ უნდა მოეკლა თავი?! _ გაცხარდა ანი.

_ ე, მაგაზე არ არი, ანი, იქნებ, რა აფექტში იყო, ტო?!. შენ იცი, რომ თავის მოკვლა თუ გადაწყვიტა კაცმა და ორმოც წამში არ მოიკლა, აღარ იკლავს თურმე თავს... _ ბრძნულად დაასრულა ვასიკომ.

_ მართლა? შენ საიდან იცი? _ მაგრად გაუკვირდა ანის.

_ როგორ თუ საიდან?! რამდენჯერ გადამიწყვეტია, ტო, თავის მოკვლა და ორმოც წამში რომ არ მომიკლავს, გადამიფიქრებია... ასე არ არის, ბატონო ნიკო? _ დაიმოწმა ნიკო ვასიკომ.

_ კი, ასეა, რა თქმა უნდა _ იმ შემთხვევაში, თუ სისულელეს არ ამბობ... მე ვფიქრობ, რომ ანი მართალია. ჩვენს "ძმებს" _ ესე იგი, პროკურატურას, _ საქმის ჩაფარცხვა უნდა... კაცი არ გაცივებულა და უკვე დასკვნებს გვთავაზობენ...

_ მართალია! მე გამოვიძიებ, ბოლო-ბოლო, და აი, ნახავთ, თუ არ გავხსნი! ჟურნალისტური ძიება!.. საქმეშიც ჩაგვეთვლება... _ მიაჩერდა ნიკოს ანი.

_ და ყველაფერს თავდაყირა დააყენებ... როგორც ბავშვთა სახლის საცოდავი დირექტორი მოახსნევინე და პრემიები დაგვაკარგვინე, არა?!. _ ხელი ჩაიქნია ნიკომ.

_ მაინც მე დამბრალდა, ისევ!.. _ გამწარდა ანი. _ ძალიან კარგი, მე წავედი!

_ სად? _ გაუკვირდა ნიკოს, მაგრამ ანის აწითლებულ ლოყებსა და განრისხებულ თვალებს რომ შეეფეთა, მაშინვე დაეთანხმა: _ წადი, ოღონდ არ დაიკარგო, პარასკევს ეთერში ვართ და ჯერ ორი სიუჟეტიც არ გვაქვს მზად.

ანიმ ჩანთას დასტაცა ხელი და რედაქციის კარი გამოიკეტა. დერეფანი სწრაფი ნაბიჯით გაირბინა და სტუდიის კიბეზე სირბილით დაეშვა. მანქანა პულტით შორიდანვე გახსნა და ქალაქში გიჟივით გავარდა.

ანიმ კარგად იცოდა ნუციკოს ხასიათი. ისიც, როგორ უყვარდა ლევან იაშვილი. ეშინოდა, თავს რამე არ აუტეხოსო და უნდოდა, რაც შეიძლება მალე ენახა. დარწმუნებული იყო, რომ ლევანის სიკვდილის ამბავი უკვე გაგებული ექნებოდა. ჯერ ქმარს დაურეკა, მაგრამ მის მობილურზე ვიღაც ქალმა უპასუხა _ თაზო მცხეთაში წავიდა, მობილური ჯიხურში დარჩაო, შემთხვევით. ქმრის კორპუსის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა, გადმოხტა მანქანიდან და სადარბაზოს კიბის ლამის სამ-სამ საფეხურს ალაჯებდა.

კარი ბასამ გაუღო და პირდაპირ მიაყარა:

_ ანი, ანი... გაიოზამ დიდი დანა ჩაიდო ჯიბეში და იმათ მოსაკლავად წავიდა!

_ რა? ვის მოსაკლავად? _ ვერ მიუხვდა ანი.

_ დედასი და აი, იმისი... _ ვერ თქვა ბავშვმა.

ანის გული გადაუქანდა.

_ როდის?

_ დილას, _ უპასუხა ბასამ.

ანიმ ეჭვი მაშინვე გადაიგდო, მიხვდა, რომ ეს გაიოზის მორიგი ფხუკიანობის ნაყოფი იქნებოდა და დამშვიდდა.

_ კაი, ერთი, ვისი ან რისი მომკვლელია?! ნუციკო შინ იყო წუხელ?

_ კი, დილით სამსახურში წავიდა, _ უპასუხა ბასამ.

_ სად სამსახურში? _ შეეკითხა ანი, რადგან იცოდა, რომ ნუციკოს უამრავი სამსახური ჰქონდა, უფრო სწორად _ სამსახური, როგორც ასეთი, არც ჰქონდა, თუმცა საქმე კი _ ათასგან და მთელი დღე აქეთ-იქით დაქროდა...

_ არ ვიცი... _ უპასუხა ბასამ.

_ ხომ არ დაურეკავს? _ დაინტერესდა ანი.

_ არა. ალბათ, მოკლა პაპამ, იმ ფულის გამო, ხომ?.. _ ისევ შეშინდა ბასა.

_ რა ფულის გამო? _ დაინტერესდა ანი.

_ პაპას წეროვნის ფული მოპარეს... _ შესჩივლა ბასამ.

_ წყალსაც წაუღია, მეც არა ვთქვი?!. _ და ბასას დაუყვავა: _ კაი, დამშვიდდი, რა სისულეებს ამბობ! მიდი, მიდი, გადი, გაკვეთილები მოამზადე! ამწუთასვე ვიპოვი დედაშენს... _ მიატრიალა ანიმ ბასა, ზედა სამოსი გადაიძრო და ტელეფონთან მოკალათდა. ბლოკნოტი აიღო და ნერვიულად დაუწყო შლა. რაღაც ნომერი იპოვა, სასწრაფოდ აკრიფა და დაელოდა. ზარი გავიდა, მაგრამ არავინ უპასუხა. იმავე წამს სხვა ნომერი აკრიფა. უპასუხეს.

_ თეკლას სთხოვეთ!

_ თეკლა ვარ.

_ ანი ვარ, თეკლა.Nნუციკო შენთან ხომ არ არის?

_ არა, ანი, რა არი? _ იკითხა თეკლამ.

_ არა? არც ყოფილა? გაგიჟებული ვარ: ლევან იაშვილს თავი მოუკლავს!..

_ არ გამაგიჟო, ეგ რა მითხარი! რატომ? _ იკითხა თეკლამ.

_ ისეთ რამეს მეკითხები, ჯერ არავინ რომ არ იცის... როგორმეNნუციკო უნდა მაპოვნინო.

_ რომ არ ვიცი, როგორ! _ თქვა თეკლამ. _ შინ არ არი, ხომ?

_ არა, _ ხმა გაებზარა ანის.

_ გამოჩნდება, სად წავიდოდა?! _ დაამშვიდა თეკლამ.

_ არ ვიცი... კაი, კაი... _ უპასუხა ანიმ და ტელეფონი გათიშა. სხვა ნომერი მოძებნა ბლოკნოტში და აკრიფა, მაგრამ არავინ უპასუხა. “სად დაეთრევიან, ნეტავ?!” _ გაიფიქრა და ჩანთას წამოავლო ხელი.

_ არ წახვიდე რა, არსად, ანი, გეხვეწები! _ ხელზე ჩამოეკონწიალა ბასა.

_ რატომ, ბასა, მე რომ დედაშენი არ ვიპოვო, არ არსებობს, ბასა! _ გაუბრაზდა ნუციკო.

_ მეშინია... _ აუცრემლიანდა თვალები ბასას.

_ არ გრცხვენია, ბასა?! წითელქუდას ღამით ტყე უნდა გაევლო და არ შეშინებია არაფრის და შენ აქ, ამხელა ვაჟკაცს, რისა გეშინია?!

_ წითელქუდა რომელ საუკუნეში ცხოვრობდა?! მაშინ ბანდიტები დაბადებულები იყვნენ, რო-ო?! _ ლამის აბღავლდა ბასა.

_ იყვნენ, იყვნენ, ბანდიტები და ყაჩაღები ყველა საუკუნეში იყვნენ, არიან და იქნებიან ყოველთვის... შენ ნორმალური ხალხი თქვი, თორემ... კარგი, რა, ბასა, მე ვფიქრობდი _ უკვე კაცია და აქეთ დაგვიცავს-მეთქი და შენ...

_ წამოვალ, რა, მეც წამოვალ, რა, შენთან ერთად! _ ყელი აუწია ბასამ.

_ ეჰე-ე, ამხელა კაცი ხარ და კუნწულ-კუნწულა ცრემლებს ყრი?! არ გრცხვენია?! _ გაუჯავრდა ანი.

_ არა, არ მრცხვენია!.. შენ არ გრცხვენია, რომ მარტოს მტოვებ?! _ გაჯიუტდა ბასა.

_ რატომ გტოვებ მარტოს?! ტელევიზორი აქ არის, კომპიუტერი მაგიდაზე გიდგას, ამდენი წიგნი კიდევ და მაინც მარტო ხარ?

_ ჰო, კაი... _ თქვა ბასამ და თავის ოთახში შებრუნდა. როგორც ჩანს, ანის ტაქტიკამ გაჭრა.

_ მოკლედ, მე წავედი... თუ ნუციკო დაბრუნდეს, ან თაზომ შემოიაროს, ან გაიოზმა, _ დამირეკონ, კარგი? _ სთხოვა ანიმ ბასას და კარი გამოიკეტა.

ანიმ სადარბაზოს კიბის საფეხურები პირჯვრის წერით ჩაირბინა. ქვედა სართულის საფეხურებზე უცხო ბიჭები ისხდნენ და აბოლებდნენ. ანი წამით შეყოვნდა. ბიჭები გაეცალნენ და გაატარეს.

_ მაპატიეთ! _ მოუბოდიშა ანიმ და სადარბაზოდან გამოვიდა.

მანქანამ ღმუილით აიღო სტარტი. ანიმ მოატრიალა და უკანა საბურავი ბორდიურს მიარტყა, მერე სიჩქარე გამოცვალა და ასფალტზე გასრიალდა. გეზი ძველი უბნისკენ აიღო.

სანაპიროზე რამდენიმე ყავახანასა და ბარში შეიხედა, მაგრამ ნუციკო არსად იყო. ბოლოს, სოლოლაკში, ლერმონტოვისა და მახარაძის გადაკვეთასთან გააჩერა მანქანა. ძველებურ, ფერადმინებიან სადარბაზოში შევიდა, კიბე აიარა და მესამე სართულზე მაღალ ხის კარზე დააკაკუნა. მიაყურადა. ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. კარის გვერდზე ზარის ორი ღილაკი იყო, ორივეზე გვარი _ გადაშლილი. ანიმ პირველს დააჭირა. გაბმით, განუწყვეტლივ აძლევდა ზარს. კარი რომ არავინ გაუღო, მეორესაც დააჭირა და იგივე გაიმეორა. ამაოდ _ კარი მაინც არ გაიღო.

ანი ქვედა სართულზე ჩავიდა და ერთ-ერთი კარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი გაიღო და ზღურბლზე, თავზე ცისფერჩალმიანი, დოინჯშემოყრილი ქალბატონი გამოჩნდა. მან თავიდან ფეხებამდე ირონიულად აათვალიერა ანი და ძალზე გაკვირვებულმა იკითხა:

_ რა გნებავთ?

ანიმ ცოტა უკან დაიხია.

_ მე, იცით... დიდი ბოდიში, თქვენს თავზე რომ ცხოვრობენ, ბეიტრიშვილები, ახალი გადმოსულები არიან... შინ არ ჩანან და ხომ არ იცით?..

_ ვიცი, ძალიან კარგად ვიცი!.. _ არ აცალა სათქმელი ცისფერჩალმოსანმა. _ რაც ეგ ქალბატონი და ვაჟბატონი ჩვენს სახლში გადმობრძანდნენ, მე პირადად, რომ იცოდეთ, დღე და ღამეAარეული მაქვს. ჰო, ჰო, რა ჯურის და რა რჯულის ხალხი აღარ მოდის?.. მერე, აუცილებლად, მე უნდა მომიზაროს ყველამ. წუხელაც მთელი ღამე ბუგიბუგი გაჰქონდათ, თითქოს ლურსმანს აჭედებენო თავში ადამიანს... ერთი წუთით თვალი არ მომიხუჭავს, ერთი წუთით! შემომხედეთ, არა მაქვს ჩასისხლიანებული და ჩასივებული?

_ ქალბატონო, მე ამდენი დრო არ მაქვს... _ ანის უნდოდა, კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვინ აცალა?!

_ აჰაა, თქვენ არა გაქვთ, არა, დრო?! მე რატომ არ მეკითხებით, მე კი მაქვს იმის დრო, რომ ყველას, ვისაც მოეპრიანება, გამოვუბრძანდე და “აჩოტები” ვაბარო, სად ბრძანდებიან ჩემი მეზობლები?! _ ხელი ზემოთ აიქნია ჩალმოსანმა. _ თავზე ვინც ცხოვრობენ, გვერდზე ვინც ცხოვრობენ, დაბლა ვინც ცხოვრობენ... არ ვიცი, გენაცვალე, არ ვიცი და არც მაინტერესებს, სხვათა შორის, და რომც ვიცოდე, სად ბრძანდებიან, არ გეტყვით, არა! ჯანდაბაში და მოუსავლეთში წასულან და უკან არ დაბრუნებულან არც ერთი... აი, ასე! _ და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

_ თქვენ ნაღდად, სპილოს დაავადება გჭირთ! _ მიაძახა ანიმ ქალს და კიბეზე დაეშვა. მანქანაში ოდნავ ამოისუნთქა, ჩანთიდან მობილური ამოიღო და ზარი გაუშვა.

მარტოდ დარჩენილ ბასას კომპიუტერში თამაში მობეზრდა. კაი ხანია, შიოდა და ითმენდა. მაგრამ არავინ გამოჩნდა. გადაწყვიტა, ერბოკვერცხი შეეწვა. სამზარეულოში შევიდა, ორი კვერცხი გატეხა და ჩანგლით ჭიქაში ათქვიფა. მარილიც დააყარა. ტაფას გაზი შეუნთო, დაელოდა, რომ გაცხელებულიყო და ათქვეფილი ცილა და გული ტაფაში ჩაუშვა. სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. ბასამ ტაფა მიატოვა და გახარებული, ტელეფონს ეცა.

_ ალო! _ უპასუხა ბასამ.

_ ბასა, შენა ხარ? _ მოესმა ანის ხმა. _ ნუციკო არ გამოჩენილა ან გაიოზი?

_ არა, ანი, არც ნუციკო და არც პაპა, არც ერთი არ მოსულა.

_ მომისმინე, _ უთხრა ანიმ, _ ტელეფონების ბლოკნოტი აიღე და კალანდაძე ნინო მომიძებნე.

_ რა გვარი? კალანდაძე ნინო? მოიცა, აბა, ვნახო, _ ბასამ ყურმილი დადო, ნუციკოს ოთახში შევიდა, ბლოკნოტი აიღო და ძებნა დაიწყო, მაგრამ კალანდაძეს ვერსად მიაგნო. _ კალანდაძე, კალანდაძე, კალანდაძე... _ რომ არ დავიწყებოდა, იმეორებდა. _ არ არი, ანი, კ-ზე კალანდაძე არ წერია...

_ მაშინ, ნიჟარაძე ნაზი მომიძებნე, _ სთხოვა ანიმ.

_ რა გვარი? ნიჟარაძე?

_ ჰო, ნიჟარაძე ნაზი, დაიმახსოვრებ?

_ ნიჟარაძე, ნიჟარაძე, ნიჟარაძე... _ ახლა ამ გვარით დაბრუნდა ბასა ბლოკნოტთან, მაგრამ ვერც ნიჟარაძეს მიაგნო.

_ არც ნიჟარაძე წერია, ვერ ვპოულობ, _ უთხრა ტელეფონთან დაბრუნებულმა ბასამ ანის.

_ შენ, შვილო, გეტყობა, დებილი ხარ! რას ვერ პოულობ, კარგად მოძებნე!

_ კარგად ვეძებ, არ წერია და ვა!..

_ კარგი, მაშინ, გადაშალე, აბა, მარღიანი, არსად წერია?

_ ახლავე წავალ... მარგიანი...

_ მარგიანი კი არა, მარღიანი! _ გაისმა ანის ყვირილი ყურმილში. _ რას დარბიხარ, ბიჭო, აქეთ-იქით? მართლა დებილი ხომ არ ხარ! აიღე და მოიტანე ბლოკნოტი ტელეფონთან!.. არ დამაცლევინა “კარტა”?!

_ ახლავე! _ როგორც იქნა, მიხვდა ბასა თავის შეცდომას. იმასაც მიხვდა, რომ თუ ბლოკნოტს ტელეფონთან მიიტანდა, გვარების ხმამაღალი გამეორება აღარ დასჭირდებოდა. და აი, ბასამ ბლოკნოტით ხელში მიირბინა ტელეფონთან: _ მარღიანი? მარღიანი... მარღიანი _ კი, წერია...

_ ჰოდა, მიკარნახე, დროზე! _ ამოისუნთქა ანიმ.

_ კარგი... რვა, ცხრა... ჰო, ორმოცდაოთხი, შვიდი, ოთხი... ჰო, ისევ ოთხი ბოლოში...

_ გასაგებია. ნუციკო ან პაპა თუ მოვლენ, დამირეკე, კარგი?

_ კარგი... დაგირეკავ... _ ბასამ ყურმილი დადო და მხოლოდ ახლა გაახსენდა ერბოკვერცხი.

მთელი სამზარეულო კვამლში დახვდა გახვეული... ერბოკვერცხი გაშავებულიყო და ტკაცატკუცი გაჰქონდა. ბასამ გაზქურა კი გამორთო, მაგრამ ტაფის სახელურს მოჰკიდა თუ არა ხელი, ისე დაეწვა, ერთი მაგრად დაიღრიალა და ხელიც გაუშვა. დამწვარ-დანახშირებული ერბოკვერცხი მეტლახზე დაეთხლიშა და ნაფშვენებად მიმოიფანტა. ბასამ ტირილი მორთო და დამწვარი თითები ონკანის წყალს შეუშვირა. ცივი წყლის ჭავლმა ტკივილი გაუყუჩა და რადგან მიხვდა, რომ მისი ღრიალი მაინც არავის ესმოდა, გაჩუმდა.

როგორც უკვე იცით, მოკლული ლევან იაშვილი და გაიოზი, ნუციკოს მამა, თანაკურსელები იყვნენ. ბოლო დროს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს. რატომღაც, სწორედ გამწარებულ და დაბოღმილ ხასიათზე მყოფმა გაიოზმა იმ საღამოს, ლევანთან ასვლა გადაწყვიტა და მისი ალაყაფის კარს მიადგა. მიაჭირა თუ არა ზარის ღილაკს თითი, მოსახვევიდან სირენის ბღავილით გამოენთო პოლიციის მანქანა და გაიოზი ლამის კარზე მიაჭყლიტა. იქიდან ორი ნიღბიანი გადმოხტა, ერთ-ერთმა გაიოზს საფეთქელზე იარაღის ლულა მიადო და დასჭექა:

_ ხელები _ კედელზე, ფეხები _ განზე!

გაიოზმა წვივსა და კოჭში საშინელი ტკივილი იგრძნო და აყვირდა. მათ კი, კარზე მიყრდნობილ, ფეხებგაჩაჩხულ გაიოზს სწრაფად მოუფათურეს ხელი და პიჯაკის გულის ჯიბიდან დიდი დანა ამოაცალეს. ამხელა დანის დანახვამ ორივე მოძალადე მაგრად გააკვირვა... მერე კი, ბორკილებიც დაადეს და თავზე ხელის დაჭერით, გაკვირვებული გაიოზი მანქანაში ჩატენეს.

_ ამ წუთიდან თქვენ დატყვევებული ხართ, გაქვთ დუმილის უფლება და შეგიძლიათ დამცველი აიყვანოთ! _ ჩაესმა ყურში გაიოზს და მანქანა სირენის ბღავილით მოწყდა ადგილიდან.

ანი ვაჟა-ფშაველაზე, სამორინე “ოქროს ციებ-ცხელებასთან” გაჩერდა. მისაღებში ორი ტიპი დახვდა, მორიგეები, რა თქმა უნდა.

_ მხოლოდ ერთი წუთით შევიხედავ და გამოვალ! _ გაეპრანჭა ანი ბიჭებს, რომლებიც აბსოლუტური გულგრილობით შეხვდნენ მის “ულამაზესობას”. “ამათ ოდრი ხეპბერნიც ვერ უშველით...” _ გაიფიქრა ანიმ და მაშინვე შეტევაზე გადავიდა. _ სულ ერთი წუთი მჭირდება. _ მაგრამ ვერც ამან გაჭრა.

_ გადაიხადეთ, ქალბატონო, და თუ გნებავთ, მთელი ღამე დარჩით, _ მიუგდო ორი სიტყვა მაღალმა.

_ სულ ერთი წუთით მინდა შევიხედო!.. _ გაცხარდა ანი.

_ მოიცათ, თქვენ... ის არა ხართ... დიქტორი? _ როგორც იქნა, იცნო ერთ-ერთმა.

_ კი, კი... _ გაუხარდა ანის.

_ ვინმეს ეძებთ? _ ჰკითხა იმავემ.

_ მეგობარს, მეგობარს... _ სწრაფად მიუგო ანიმ.

_ წამობრძანდით! _ გაიმეტა, როგორც იქნა, მორიგემ სასურველი სიტყვა ანისთვის და მეორეს მიმართა. _ გავყვები, შეიხედოს...

ანიმ თავისი ლამაზი თვალებით სწრაფად “გადაჩხრიკა” იქაურობა, მაგრამ ნუციკოს ვერსად მიაგნო. მერე რამდენიმე სამორინეც შემოირბინა, ზოგიერთ რესტორანშიც შეიხედა, სადაც ნუციკო ეგულებოდა, მაგრამ _ უშედეგოდ. ბოლოს, როცა გადაიღალა და თავისი მანქანის საათს შეხედა, ციფერბლატი უკვე ორს უჩვენებდა. მობილურზე ნომერი აკრიფა და ზარი გაუშვა.

_ თეკლა, ხომ არ გაგაღვიძე? ანი ვარ. ნუციკო ვერ ვიპოვე ვერსად, გაგიჟებას არაფერი მიკლია... არა, არა, არსად არ იყო... შინ რომ მისულიყო, ბასა დამირეკავდა... კაი, კაი, ტყუილად მამშვიდებ, სანამ ნუციკოს არ ვნახავ, რა დამამშვიდებს?!. ჰო, მაპატიე, კარგი, კარგი... _ შემდეგ კი მანქანა მთელი სისწრაფით მოწყვიტა ადგილიდან, ქმრის კორპუსის წინ გააჩერა და სადარბაზოს კიბე სწრაფად აირბინა. ნუციკო ბინის წინ, კიბეზე ჩამომჯდარიყო, ხელებით მოაჯირის რკინებს ჩაბღაუჭებოდა და ეძინა...

_ ნუციკო,Nნუციკო! _ შეანჯღრია მული ანიმ.Nნუციკომ თვალები კი აახილა, მაგრამ ანი მიხვდა, რომ ის ვერაფერს ხედავდა. “ეს ან მაგარ კაიფშია, ან გალეწილი მთვრალია”, _ გაიფიქრა მან და თავი მიანება...

კარი ბასამ გაუღო, რომელიც ფხიზელიც იყო და ტანისამოსიც ეცვა.

_ შენ ჯერაც არ გძინავს? _ მაგრად გაუკვირდა ანის.

_ არავინ არ მოსულა... _ თქვა შეშინებულმა ბასამ.

_ კარი არ დაკეტო!Nნუციკო აქ არის... პაპაც გამოჩნდება, ნუ დარდობ, _ უთხრა ანიმ და ნუციკოს მიუბრუნდა. შეეცადა, წამოეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო, ბოლოს კი მოახერხა _ ხელი მხარზე გადაადებინა და, როგორც იქნა, შინ შეათრია. მიიყვანა და პირდაპირ საწოლზე მიაწვინა.

_ ნუციკო, გაიღვიძე, ნუციკო, ვერ იღვიძებ? _ დასცქეროდა მულის ლამაზ სახეს მაღლიდან ანი.

ბასა კი, შეშინებული, გაფართოებული თვალებით უმზერდა ამ ყველაფერს. ანიმ მხოლოდ ფეხსაცმელი გახადა და საბანი დააფარა. ნუციკომ თვალები გაახილა, წამოიწია, ორივე მკლავი ანისკენ გაიშვირა და თვალები ცრემლით აევსო, რის დანახვაზეც, ანისაც ცრემლი მოერია.

_ მე ყველაზე უბედური ქალი ვარ, ანი... _ ჩურჩულით თქვა ნუციკომ და აქვითინდა...

_ იტირე, იტირე, _ მოეფერა ანი. _ ამოიღე გულიდან.

ნუციკო სლუკუნებდა და ცრემლი სდიოდა...

მეორე დღეს ანიმ იმდენი მოახერხა, რომ ნიკოს, ლევან იაშვილის მკვლელობის ჟურნალისტური ძიების ნებართვა გამოსტყუა. თუმცა ნიკო ცოტა შეშინებული იყო _ ისე მაგრად არ შევტოპოთ, სამსახურები კი არა, თავიც არ დავკარგოთო. ზუსტად თქვენზეა ნათქვამი, მშიშარა კაცი დღეში ასჯერ კვდებაო, _ დასცინა ანიმ და არც ისე მშიშარა ნიკომ გაჩუმება ამჯობინა.

_ ყველაფერი უნდა გადამიღო, ყველაფერი უნდა ჩავიწეროთ, თორემ, ხომ იცი, ამათთვის ტყუილსა და მართალს აბსოლუტურად ერთი ფასი აქვს... _ უთხრა ანიმ ვასიკოს, სანამ პოლიციის შენობაში შეაბიჯებდნენ.

_ ო-კეი... კეპი კეფაზე _ ვიღებ, კეპი შუბლზე _ "ზნაჩიტ", ვერ ვიღებ, გასაგებლარია? _ აუხსნა ვასიკომ.

_ კი, კი... _ უპასუხა ანიმ და ერთ-ერთი კარის კედელზე გაკრულ აბრას დააკვირდა: _ "გამომძიებელი მურად ოქროპირიძე". ეს არის!

_ მაგარი გვარი აქვს _ ოქროპირიძე... _ გაეცინა რატომღაც ვასიკოს.

ანიმ მიაკაკუნა და კარი ოდნავ შეაღო. კარის ჭრილში მელოტი კაცის თავი გამოჩნდა, რომელსაც შავოსანი ქალი ეჯდა ზურგით.

_ გვაცალეთ, რა ქალბატონო, _ აყაყანდა მელოტი. _ ყველას ერთად ხომ ვერ მიგიღებთ, ხომ ხედავთ, მომჩივანი მყავს!

_ ჩვენ, იცით, ტელევიზიიდან ვართ, დილას რომ გელაპარაკეთ... _ გაუბედა ანიმ.

_ საიდანაც არ უნდა იყოთ, პრეზიდენტის ბიძაშვილიც რომ ბრძანდებოდეთ, სანამ ამ ქალბატონს არ გავისტუმრებ, ხომ ვერ მიგიღებთ, არა?!

ანიმ კარი სწრაფად გამოიკეტა.

_ პრეზიდენტის ბიძაშვილი ვიყო და მერე მე ვიცოდი!.. _ ჩაილაპარაკა და კედელს მიეყუდა.

_ არა, შენ რომ კიდევ, დამატებით, პრეზიდენტის ბიძაშვილიც იყო!.. მტრისას!.. _ გვერდზე გაიხედა ვასიკომ.

_ მართლა ასე გეშინია ჩემი? _ გაეცინა ანის.

_ მეშინია? მაბაბანებს!.. _ სერიოზული სახე მიიღო ვასიკომ.

_ ლოლასი? ლოლასი არ გეშინია? _ დასერიოზულდა ანი.

_ იმისი სხვანაირად მეშინია და შენი _ სულ სხვანაირად... _ უპასუხა ვასიკომ.

_ ის თან გიყვარს, თან _ გეშინია, არა? _ თვალი ჩაუკრა ვასიკოს ანიმ.

_ რა გამიჩმახე, ანი?! ჰო, შენი მეშინია, იმიტომ, რომ მაგარი "სკოლზკი" ხარ და ლოლასი კი _ იმიტომ, რომ მიყვარს. არა მაქვს უფლება, რომ მიყვარდეს?! _ ეწყინა ვასიკოს.

_ ნეტავ, რა ნახე მაგ ქალში?!. _ და ანიმ საჯდომი აათამაშა, თითქოს ლოლას ბაძავსო სიარულში.

_ რა გინდა, ვერ გავიგე, მიყვარს და მორჩა! მინდა, მაგრად მევასება...

_ ჰოდა, რომ გინდა, მაგას იცი, რა ჰქვია? მაგას ჰქვია _ ლტოლვა, ვნება. სიყვარული სულ სხვა რამეა... _ ანიმ ჰაეროვანი ჟესტი მოხაზა ჰაერში.

_ რა-ა? შენ რა იცი, რა არის სიყვარული? შენ რა, სიყვარულთმცოდნეობის ფაკულტეტი გაქვს დამთავრებული? _ და ვასიკოს თავისსავე ნათქვამზე გაეცინა.

ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტიდან ნამტირალევი შავოსანი ქალი გამოვიდა.

_ შემობრძანდით! _ გაისმა შიგნიდან მურად ოქროპირიძის ხმა. _ დაბრძანდით! _ თავაზიანი იყო გამომძიებელი.

ვასიკომ ობიექტივი გამომძიებელს მიუშვირა და ჩართული კამერა მაგიდაზე დადო.

_ ოჰო, თქვენი იარაღით ხართ მოსული?! _ იხუმრა გამომძიებელმა. _ მეც მაქვს ჩემი იარაღი... აი, _ მურადმა უჯრიდან რევოლვერი ამოიღო და კამერის გვერდით დადო. _ სხვათა შორის, თქვენი კამერა და ეს ჩემი იარაღი ბევრით კი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან: თუ მიზანში მოარტყამ, ერთიც კლავს და მეორეც, ასე არ არის?..

_ ჩვენ არავის მოკვლას არ ვაპირებთ, ჩვენ პირიქით... _ დაიწყო ანიმ.

_ მკვდრებსაც კი აცოცხლებთ თქვენი ხელოვნებით, არა?... ჰო, კამერას ბევრი რამე შეუძლია, თუკი ფანტაზია გაქვს, თორემ, ამას _ რა?.. _ იარაღი ხელში შეათამაშა გამომძიებელმა. _ მარტო მოკვლა და დასახიჩრება შეუძლია, მეტი რა?!. კარგი, ჩავთვალოთ, რომ ეს იყო ლირიკული გადახვევა. რით შემიძლია გემსახუროთ?

_ ჩვენ, იცით... ბატონმა რომანმა მითხრა, რომ ლევან იაშვილის საქმეს თქვენ იძიებთ... _ ანიმ რატომღაც, პერანგის საყელო მოიღიავა და მკერდზე დაკიდულ ვერცხლის ჯვარს დაუწყო წვალება.

_ იაშვილის საქმე გაინტერესებთ? თქვენ რა, ახლობლები ხართ მისი? _ წელში გასწორდა გამომძიებელი.

_ აუცილებელია, რომ ახლობლებიც ვიყოთ?.. ჟურნალისტები რომ ვართ, ეს არ კმარა? _ უპასუხა უკმეხად ანიმ.

_ კი, ბატონო, თქვენი ნებაა. მაგრამ თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ ამ საქმიდან სენსაციას ვერ გამოაცხობთ... _ მშვიდად თქვა მურადმა.

_ იცით, რა?.. მე სენსაცია ამ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, ნამდვილად არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს სიმართლის დადგენა, _ მიუგო ანიმ.

_ ჩვენც. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე, თვითკვლელობის ვერსია ყველაზე მისაღებია, რადგან, თუკი ეს _ მკვლელობაა, ლევან იაშვილით დაიწყო და ბოლო, ვინ იცის, ვინ იქნება...

_ ასე, ყველა მკვლელობა გაუხსნელი დარჩება... _ და ანიმ თავისი მოღიავებული მკერდი ლამის ცხვირთან მიუტანა მურადს.

მურადი ერთი კი "დააცხრა" თვალებით მისი ძუძუების ჭრილს, ტუჩებიც კი გაილოკა, მაგრამ მიხვდა, რომ "იყიდებოდა" და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

_ ეს ხომ არ მუშაობს, ბიჭო, რომ მომიშვირე ეს ცხრამეტკალიბრიანი ლულა?.. _ გამომძიებელმა კამერაზე მიუთითა ვასიკოს.

_ არა, როგორ გეკადრებათ, გამორთულია, ა, ბატონო, აქეთ მოვატრიალებთ... _ და ვასიკომ კამერა მიატრიალა.

_ რა ვიცი, რამე ისეთი რომ წამომცდეს და მერე თქვენ სიტყვაზე დამიჭიროთ... _ და ანის მიმართა. _ აი, თქვენ დანაშაული ახსენეთ და, მე მგონი, ამ საქმესთან დაკავშირებით, ასეთი სიტყვა საერთოდ არ თქმულა... არა, თვითმკვლელობაც დანაშაულია, სხვათა შორის, და კანონითაც არის ნამდვილად, ეს სასჯელი გათვალისწინებული, თუ ცოცხალი გადარჩა კაცი, რა თქმა უნდა. მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, თქვენ რა გაინტერესებთ კონკრეტულად?

_ ნუ, რა უნდა მაინტერესებდეს, ბატონო...

_ მურადი... _ წაეშველა გამომძიებელი ანის.

_ ბატონო მურად! მაინტერესებს, ნამდვილად თავი მოიკლა ამ კაცმა თუ მოკლეს, სხვა რა?

მურადი სკამის საზურგეზე გადაწვა და მარჯვენა მტევნის არათითზე გაკეთებულ ოქროს ბეჭედს დაუწყო წვალება.

_ მკვლელობის მოტივი აბსოლუტურად გამორიცხულია, არ არსებობს ბუნებაში, ეგ თავიდან ამოიგდეთ, თორემ, იაშვილი იმხელა პიროვნება იყო, მანდ რომ იოტისოდენა ხელმოსაჭიდი გვქონოდა რამე, საქმეს დავხურავდით? ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით?!.

_ საქმე უკვე დახურულია? _ წამოხტა სკამიდან ანი. _ გუშინ კაცი მოკვდა და დღეს საქმე დახურეთ?

_ ნუ, ფორმალურად არ არის დახურული, მაგრამ თუ ყველა მიზეზი გამოირიცხა და თუკი არ არსებობს არავითარი სამხილი, თავისთავად დაიხურება, თავდაყირაც რომ დავდგე, მე რას ვუშველი, ვუშველი რამეს? _ გაიკვირვა მურადმა.

_ სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს სამხილი, _ თქვა ანიმ და მურადს თვალი თვალში გაუყარა.

_ ოჰ, კარგი ერთი, რა, არ გინდათ, რა, ეს ზღაპრები... _ გამომძიებელს ირონიულად გაეცინა.

_ რა ზღაპრები! _ ანი გაცხარდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და ლამის კაბა წამოიხადა. “ვა, რა კაი “ლიაშკები” აქვს!” გაიფიქრა მურადმა. _ ზღაპრებს და იგავებს თქვენ უყვებით ხალხს, თორემ ჩვენ ნამდვილი სამხილი გვაქვს, მაგარი ხელჩასაჭიდი! _ მკაცრად წარმოთქვა ანიმ და წელში გასწორდა, რადგან ასე ბევრად კარგად იკითხებოდა, მისი ორი მრგვალი ძუძუს კონტურები და მურადმაც დიდი გაჭირვებით მოწყვიტა მისი ღია მკერდის ღარს თვალები.

_ თქვენ ისეთი დარწმუნებული ლაპარაკობთ, თითქოს მკვლელობის მომენტი ფირზე გქონდეთ გადაღებული... _ ჩაილაპარაკა მან და ისევ მის ბარძაყებს “დააცხრა”. Aანიმაც, ვითომ კაბა გაისწორა.

_ მკვლელობის მომენტი რომ გვქონოდა გადაღებული, აქ კი არ მოვიდოდოთ, მივცემდით პირდაპირ ეთერში და დავუსვამდით წერტილს... _ გვერდზე გაიხედა ანიმ.

_ კაი, რა, გენაცვალე, ისე მელაპარაკები, თითქოს ყველა ტელემაუწყებლობის გენერალური დირექტორი იყო. ჩვენ ყველაზე მხეცი ექსპერტები ჩავრთეთ ამ საქმეში და მაინც ვერაფერს მივაკვლიეთ და თქვენ რა გაქვთ ისეთი, აღარ იტყვით? _ მიაშტერდა ორივეს მურადი.

_ ვიდეომაგნიტოფონი გაქვთ? _ იკითხა ანიმ.

_ მე? არა, _ უპასუხა მურადმა.

_ არც თქვენს უფროსს? ან ვინმეს, სხვას... _ არ მოეშვა ანი.

_ ჯერ მე თუ არ ვნახე და არ გავერკვიე, უფროსთან რა მინდა, ზღაპრები მოვუყვე? _ მხრები აიჩეჩა მურადმა.

_ მაშინ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, _ უთხრა ანიმ.

_ სად? _ იკითხა მურადმა.

_ სტუდიაში... ფირი რომ გაჩვენოთ... _ უპასუხა ანიმ.

_ და რა გაქვთ მაგ ფირზე გადაღებული, არ გამაგიჟოთ, ხალხო! _ შეიცხადა მურადმა.

_ ის, რომ ლევან იაშვილმა თავი კი არ მოიკლა, მოკლეს... _ მოკლედ მოჭრა ანიმ. მერე, რატომღაც, ორივე ძუძუ მოიჭყლიტა ხელებით, რის გამოც მურადს ოდნავ შეაჟრჟოლა.

_ მე სადღაც ერთ საათში გავთავისუფლდები, დაიცდით? _ იკითხა მან.

_ მაშინ, იცით, რა? ჩვენ წავალთ და თქვენ მობრძანდით. საშვი დაშვებული იქნება, ხომ იცით, როგორ უნდა მოგვაგნოთ? _ ახლა ბარძაყები მოისრისა ხელებით ანიმ, რაზეც მურადი ისევ წამოენთო, მერე თვალებით მაგიდის მინის ქვეშ ამოდებულ ფურცელზე გადავიდა და რაღაც წარწერას დაადო თითი.

_ მესამე სართული, ოთახი სამას შვიდი, "ელიტქრონიკა". ხომ ეს არის? _ იკითხა მან.

_ დიახ, არ გემშვიდობებით, მაშინ, გელოდებით.

ანი და ვასიკო წამოდგნენ. მურადმა კი საათზე დაიხედა.

_ ახლა პირველის ნახევარია, ზუსტად ორის ნახევარზე თქვენს განკარგულებაში ვარ.

_ მაშინ, დროებით! _ თვალებით რაღაც იმნაირი თანხმობის ჟესტი გამოხატა ანიმ, რომელიც მამაკაცს იმწამსვე ინტიმზე აფიქრებინებს და კარი გაიკეტა.

"ეს, მგონი, კაი ჩიტი დავიჭირე", _ გაიფიქრა მურადმა და რამდენიმე წუთით ბრიყვივით მიაშტერდა ერთ წერტილს.

როგორც კი პოლიციის შენობიდან გამოვიდნენ, ვასიკო იმწამს ანის მიუბრუნდა.

_ რა ყველაფერი წინასწარ გადმოუწყე, რა საჭირო იყო?

_ ოჰ, გამომიხვედი, რა, შენც... იმიტომ რომ თავიდანვე უნდა მიაყენო კედელთან... აი, ეს არის ასპროცენტიანი მკვლელობა და თქვენ პროსტა აჩმახებთ... თორემ, თუ ახლა ჩვენ ამათ "ვაკრუგ და ოკოლო" ვუარეთ... ეე, ვასო, მე შენ გასწავლი, ფოკუსი როგორ დაიჭირო ან დიაფრაგმა რა ზომაზე დააყენო? ჰოდა, შემეშვი რა! ახლა რა ვქნათ?

_ სტუდიაში არ მივდივართ?

_ შენ წადი და მე, სადღაც, ნახევარ საათში მოვალ, საქმე მაქვს... _ თქვა ანიმ და ჩანთიდან სარკე ამოიღო.

_ კაი... _ თქვა ვასიკომ და ტაქსის ხელი აუწია. მანქანა გაჩერდა. ვასოც ჩაჯდა და წავიდა.

ანიმ თმა გაისწორა, სარკე ჩანთაში ჩააგდო და გზა ფეხით განაგრძო. თან მაღაზიების ვიტრინებში საკუთარ თავს აკვირდებოდა.

ანიმ ტელევიზიის ვესტიბიული ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა, სწრაფად აირბინა კიბე და საგრიმიოროში შექანდა. სამწუხაროდ, სკამი დაკავებული დახვდა. საშას დარეჯანი ეჯდა და თავს ულამაზებდა.

_ აქ კიდევ სულ დაკავებული უნდა იყოს ეს სკამი?! _ მოურიდებლად გამოაცხადა ანიმ.

_ მალე მოვრჩები... _ ჩაილაპარაკა საშამ, ისე, რომ თავი არ აუწევია.

_ ცოტა ჩქარა, რა, ძალიან გეხვეწები... _ ყელი გამოუწია ანიმ.

ამის გამო, სკამზე მჯდომი დარეჯანის თავი “აფეთქდა”.

_ რას ნიშნავს _ ცოტა ჩქარა, ანი? საშა, შენც რა? მე აქ “პრობკა” ვარ თუ “პროპოშნიკი”? მე, ბიჭო, მთელი დღე ეთერში ვზივარ და ეს თვეში ერთხელ თუ გამოაჭყიტეს ეკრანიდან, მადლობა უნდა თქვას...

_ ოჰ, დედას გაფიცებ, დარეჯან! მთელი დღე ეთერში ზიხარ? ნუთუ მართლა? დიდი ხანია? _ მიბაძა დარეჯანს ანიმ.

_ არც ისე... _ ირონიულადვე უპასუხა დარეჯანმა.

_ ოჰ, კარგით, რა! აი, რა დამემართა... _ თქვა საშამ და სავარცხლიანი და მაკრატლიანი ხელები მაღლა ასწია.

_ რა დაგემართა? გამომაჭერი? _ გადაირია დარეჯანი, თავი ასოთხმოცი გრადუსით შეაბრუნა და სარკეში გამოჭრილი ადგილი დაინახა. ღმერთო ჩემო, რამხელაზეა!.. _ ბღავილით წარმოთქვა მან.

_ ჩემი ბრალია? _ თავი იმართლა საშამ.

_ “ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოდის, მაღლა ციდანა, დაბეჭდილი წერილი მომდის საყვარლისგანა”... _ წაუღიღინა ანიმ.

_ ოჰ, გაგიხარდა, არა? ამღერდი, არა? _ ლამის დასაბმელი გახდა დარეჯანი.

_ რატომ უნდა მწყენოდა, რა? _ მხრები აიჩეჩა ანიმ.

_ საშკა, შენ იცი, რომ შენამდე ამ საგრიმიოროში ერთი ცხრა პარიკმახერშა მაინც გამოიცვალა?.. _ ისევ საშას მიუბრუნდა დარეჯანი.

_ მე სტილისტი ვარ, _ თქვა საშამ.

_ ჰოდა, რა მიყავი ეს, ტო! _ წამოხტა და ორივე ხელით თმა აიწეწა დარეჯანმა. _ როგორ გავიდე, ხალხო, ამ თმით გარეთ, ამ თავით დავჯდე ეთერში? ამ თავით?

_ მდაა, “უმნიე ვოლოსი დურნომუ გოლოვუ დასტალოს”... _ გააგრძელა დაცინვა ანიმ.

_ რა სისულეებს როშავ შენ კიდევ, ანი ხარ თუ თეკლა, მოკეტე, რაა, ძალიან გთხოვ! ჰო, ჰო, ადგები და ამ თმას თავის პირვანდელ სახეს დაუბრუნებ, გაიგე? _ ისევ საშას მიუბრუნდა დარეჯანი და შავი, მსხვილი წარბები ერთმანეთს მიატკუცა.

_ რას ნიშნავს _ პირვანდელი სახე? მოჭრილი თმა უკან მივაწებო? _ განცვიფრდა საშა.

_ საშკა, ჩამოგიტანო წებო? სცადე, იქნებ მართლაც მიწებდეს, ცდა ბედის მონახევრეაო, ამბობენ... _ კაიფობდაAანი.

_ ასე, ხომ? _ წამოფრინდა სკამიდან დარეჯანი. მოიხსნა ყელიდან წინსაფარი და პირდაპირ სახეში მიათხლიშა საშას. _ ახლა მე ამ თმით ავალ გენერალურ დირექტორთან და ვინ ვის დასცინებს, მაგასაც ვნახავთ. ჰო, ჰო, ის იცინის, ვინც ბოლოს გაიცინებს... შენ კიდევ, ასე რომ გაიმსხვილე, ანი ხარ თუ ბანი, შენ არ იყავი, პირველად რომ მოხვედი, კატების ნათრევს რომ ჰგავდი?!

_ არ გინდათ, რაა! _ სცადა დარეჯანის დაშოშმინება საშამ.

_ შენ კიდევ, საშა ხარ თუ ჟოზეფინა, მოკეტე, რაა! _ დარეჯანმა ჩანთა აიღო და ტყვიასავით გავარდა კარში. ანი კი გამოთავისუფლებულ სკამზე შესკუპდა.

_ აუ, საშკა, რა მაგრად გაასწორე, მოდი, რა, ერთი უნდა ჩაგპროშნო. _ ჰაეროვანი კოცნა დაირტყა საშამ.

_ კაი, რა, ეგ ახლა ნიშადურამოსმულივით მთელი კვირა წინ და უკან ირბენს, ტვინი უნდა შეჭამოს. რა გაუძლებს ამდენ გიჟს?!. _ სინანულით თქვა საშამ. _ ყველა გიჟია სათითაოდ, ჰო, ჰო, თავისებური გიჟი, დედას გეფიცები. ნერვები სულ ასე, სტრუნებივით მაქვს დაჭიმული, ერთხელ მეც გავუფრენ სულყველას და მერე მდიონ... შენ რა ქენი, მოიფიქრე, როგორ გავკრიჭოთ?

_ საშკა, მაგარი სტრელკა მაქვს, რა... ძალიან მაგარი და მაგრად მინდა გამკრიჭო, რა! _ შეეხვეწა, Aანი.

_ მაშინ, მოდი, ჩავკუწოთ, ავჭრათ და დავაუთოოთ, მოსულა? _ ურჩია საშამ.

_ დავაი! _ დაეთანხმა ანი და ბედს დამორჩილდა.

საშა ერთხელ კიდევ ყურადღებით დააკვირდა ანის თმას და მაკრატელი ააკრიჭინა.

ნიკო თავის სკამზე იჯდა და მუშაობდა. ოთახში ვასიკო შემოვიდა. ნიკოს არც მისალმებია. კამერა მაგიდაზე დადო. ამოიღო ჩანთიდან გაზეთი, გაშალა და კითხვა დაიწყო. ამის შემხედვარე ნიკო მთლად გადაირია, წამოუხტა ვასიკოს და ყვირილი მორთო, თან ხელებსაც იშველიებდა.

_ შენ კიდევ, შვილო, მეტი წასაკითხი ადგილი ვერსად ნახე?! არ მომიწყო აქ, საჯარო ბიბლიოთეკა?!

_ მოხდა რამე? _ ბრინჯივით დაიბნა ვასიკო.

_ რომ არაფერი მომხდარიყო, მაშ, რა ამაყვირებდა დამდუღრულივით ამ დილაადრიან?! _ ისევ გადაირია ნიკო.

_ და რა მოხდა მაინც ისეთი? _ გაიმეორა ვასიკომ.

_ გვშლიან, რედაქციას შლიან... ახალი სახეები დამანახვეთო, ახალ შეფს უბრძანებია.

კარი გაიღო და ოთახში მაგრად ჩაზმანული ანი შემობრძანდა.

_ ვა, ეს "მაინჩ, ტო"! ეს რა "შიკ-ბლესკში" გამოგვეცხადე, სიმონ, შენა ხარ თუ სხვა ხარ, ტო?! აი, ბატონო, ახალი სახე! _ მიუთითა ნიკოს ვასიკომ ანიზე.

ხოლო თვითკმაყოფილი ანი, სავარძელში ამაყად ჩაჯდა და ფეხი ფეხზე ისე გამომწვევად გადაიდო, ლამის უკანალიც გამოაჩინა.

_ გადაიღეთ ქალაქის პრემიერი? _ საქმეზე გადავიდა გაბრაზებული ნიკო.

_ თვითონ პაატა _ არა, გაგვასწრო პაატამ, არ დაგველოდა. გელა ჩავწერეთ და ლოლამაც მოახერხა რაღაც... ერთი ხუთწუთიანი წყალწყალა სიუჟეტი გვაქვს... პაატა გველოდება მერიაში სამ საათზე და იმასაც ჩავწერთ, ლოლა პირდაპირ იქ მოვა... _ მოახსენა ანიმ.

_ რედაქციაში არ უნდა მოსულიყო? ვერ გავიგე რა! ვისაც როგორ უნდა ისე დასტრეინობს... უნდათ, მოვლენ... არ უნდათ, არ მოვლენ... _ ჩაფიქრდა ნიკო.

_ რა მნიშვნელი აქვს, რომ?.. თქვენ არა თქვით, გვშლიანო? _ თქვა ვასიკომ.

ამის თქმა იყო და ანი სკამიდან წამოფრინდა და სულ თითის ქნევით მიაყარა ნიკოს:

_ ვიცოდი, ვიცოდი, რომ მაინც დაგვშლიდნენ, თქვენი ბრალია ყველაფერი, თქვენი! ვიცოდი, ვიცოდი, რომ ყველანი ჩასაფრებული იყვნენ!..

ამ დროს კარი გაიღო და რედაქციაში თავი მურად ოქროპირიძემ შემოყო.

_ "ელიტქრონიკის" რედაქცია ეს არის, ხომ? _ იკითხა მან და იქ მყოფთ დააკვირდა.

_ დიახ! _ დაასწრო სხვებს პასუხი დაეჭვებულმა და შეშინებულმა ნიკომ.

_ დღეს ჩემთან თქვენი ჟურნალისტი იყო... _ მურადი ანის დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო.

_ დიახ, დიახ, მე ვიყავი... _ გაეკეკლუცა იმწამს ანი.

_ თქვენ? _ მურადი ცოტა დაეჭვდა. _ ააა!

_ და მე... _ ფეხი ფეხზე შემოიკრა და მხედრული სალამი მისცა გამომძიებელს ვასიკომ.

_ ჰო, აი, კი... შეიძლება? _ გაუხარდა ვასიკოს დანახვა მურადს.

_ შემობრძანდით, შემობრძანდით! აი, აქ დაბრძანდით! ეს ჩვენი მთავარი რედაქტორი, ბატონი ნიკო მიქაძე გახლავთ... ბატონო ნიკო, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე...

ნიკომ და მურადმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ნიკო ცოტა დაიბნა.

_ გამომძიებელი? რა ხდება?

_ როგორ, თქვენ არა ხართ საქმის კურსში? _ გაუკვირდა მურადს.

_ კი, კი, როგორ არა! _ დაასწრო ისევ ყველას ანიმ. _ ბატონო ნიკო, ლევან იაშვილის მკვლელობა...

_ ა, კი, კი... _ შეაწყვეტინა ნიკომ.

_ იცით, მე უფრო სხვანაირად მქონდა თქვენი რედაქცია წარმოდგენილი... _ თქვა გამომძიებელმა.

_ სხვანაირად, რანაირად? _ დაინტერესდა ანი.

_ უფრო კომფორტულად, თანამედროვედ...

_ ჰოო, არა? _ ისევ ჩაერთო ანი. _ კი, კი, ამბობენ, ზოგ ციხეში ისეთი კამერებია, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრები იმასთან მონაგონიაო. მართლა ასეა?

_ არ ვიცი, მაგრამ მაქეთ რომ მიდის ყველაფერი, ეს თქვენც მოგეხსენებათ, _ დაუდასტურა მურადმა.

_ ე, ვასია, ჩადე, რა, ფირი, რაღას უყურებ? _ მიუბრუნდა ვასიკოს ანი.

_ რა ვიცი, თქვენ ისეთ საინტერესო თემაზე საუბრობდით, ვერ შეგაწყვეტინეთ, _ თქვა ვასიკომ, უჯრიდან კასეტა ამოიღო და ვიდეო-მაგნიტოფონში ჩადო.

_ გავუშვა? საიდან, თავიდან? _ იკითხა მან.

_ თავიდან, აბა, შუიდან?! _ ისევ მისცხო ანიმ.

ვასიკომ კასეტა ჩადო.

_ ხმა? _ ჰკითხა მან ანის.

_ არა, ხმა არ გინდა... _ უპასუხა ანიმ.

ეკრანზე რაღაც შეხვედრის კადრები გამოჩნდა, რომელიც ნორმალურ, არც თუ ურიგო დარბაზში მიდიოდა.

_ აი, ეს გახლავთ საზეიმო შეხვედრა, _ დაიწყო ანიმ კომენტარის კეთება, _ რომელიც ერთ-ერთმა ფირმამ, კერძოდ, ფირმა "ნეპტუნმა", არის ასეთი ფირმა, რა ვიცი, "ნეპტუნი" ჰქვია, მოაწყო ტენდერში გამარჯვებასთან დაკავშირებით. მოკლედ, შავი ზღვის ფსკერზე არსებული წიაღისეული უნდა გამოიკვლიონ, თუ რაღაც ამდაგვარი რამ, ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. აი, ლოლაც გამოჩნდა, ჩვენი ჟურნალისტი, იცანით?

_ რა თქმა უნდა... _ დაუდასტურა მურადმა.

_ ჰოო... _ რატომღაც ტუჩი აიბზუა ანიმ. როგორც ჩანს, ძალიანაც არ ეჭაშნიკა მურადის დასტური. _ აი, სწორედ, აი, ვასო, გააჩერე, ბიჭო, ფირი... დაატრიალე ცოტა უკან... ჰოო. აი, ხედავთ, ლოლას ზურგს უკან, ხედავთ? _ ანი მივიდა ეკრანთან და წინ გადაიხარა, რომ თითით ეჩვენებინა, რის გამოც მურადს თვალში მისი უკანალი შეეჩხირა.

_ კი, მერე? _ იკითხა მურადმა.

_ აი, ეს კაცი _ ბატონი ლევანია, იაშვილი. ხომ იცანით? _ იკითხა Aანიმ. _ ჯერ კიდევ ცოცხალია, როგორც ხედავთ...

_ კი, კი... _ კარგად დააკვირდა მურადი.

_ ჰოდა, ახლა უყურეთ, რა ხდება. _ განაგრძო ანიმ. _ აი, ხედავთ, აი, ნამდვილი ჭიდაობა მიდის, აი, ეს ორნი, აი, ზურგით რომ დგანან, აი, ხედავთ, მიათრევენ... აი, გაათრიეს...

_ სულ ეს იყო? _ იკითხა მურადმა.

_ რა, არ არის საკმარისი? _ თვალები დააელმა ანიმ.

_ მეგონა, მართლა რაღაც გქონდათ... კარგი, რა! იცით, ვინც არიან ეგ ტიპები? _ მხრები აიჩეჩა მურადმა.

_ რომლებმაც ბატონი ლევანი გაათრიეს? არა, საიდან?.. სახეები ცუდად უჩანთ... _ უპასუხა ანიმ.

_ ჰოდა, იქნებ ძმაკაცები არიან და რესტორანში წაათრიეს? ან ქორწილში, ან ნათლობაში, რა ვიცი... _ თქვა მურადმა.

_ გამორიცხულია! _ დაასკვნა ანიმ.

_ რატომ? _ იკითხა, ისე, სასხვათაშორისოდ მურადმა.

_ არ ეტყობათ? ნახეთ, რამხელები, რა ძლიერები არიან და რა ადვილად გააქროლეს... _ არ ეშვებოდა ანი.

_ ნუ, რაღაც ეჭვზე შეიძლება ვიფიქროთ... _ თავი გვერდზე გადასწია მურადმა.

_ რატომ ეჭვზე? ეს ყველაფერი ხომ სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა?! _ გაიკვირვა ანიმ.

_ თუნდაც ერთი დღის წინ... არა, არა, თქვენც ასევე ფიქრობთ, ბატონო ნიკო? _ მიუბრუნდა ფიქრში წასულ ნიკოს მურადი.

_ როგორ? _ ძლივს გამოერკვა ფიქრიდან ნიკო.

_ რომ თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო, _ ჰკითხა მურადმა.

_ მილიონ პროცენტში... _ თქვა დარწმუნებით ნიკომ.

_ მაშინ იქნებ გაგვეცვალა პროფესიები? _ დაცინვით თქვა მურადმა. _ თქვენ თქვენი ხალხით ჩვენთან გადმოდით და ჩვენ კიდევ აქ გადმოვალთ და ჟურნალისტობას დავიწყებთ. ასეთი სამხილით რომ საქმეები იხსნებოდეს, მაშინ ერთი საქმეც არ დარჩებოდა გაუხსნელი... ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, განსაკუთრებით _ თქვენი, ქალბატონო ანი. ყოველთვის მზად ვარ, გემსახუროთ, მაგრამ მოდით, რა, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ... პური მეპურემ უნდა გამოაცხოს...

_ რა? _ არ მოეწონა მურადის ნათქვამი ანის. _ "პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს", მთელი თბილისი ამას გაიძახის... ნუ გამიჭირდება, თორემ, ისეთი პური გამოვაცხო... _ და მურადს მიუბრუნდა. _ თქვენ ალბათ, მანქანით ხართ...

_ კი, სამსახურის "ნოლსემით"... _ უპასუხა მურადმა.

_ თუ სამსახურში მიბრძანდებით, ეგებ მე და ვასიკოც გაგვიყოლოთ, შეიძლება? იქვე ახლოს გვაქვს რაღაც გადასაღები, ჩვენი მანქანა, უბრალოდ, დაკავებულია, _ თხოვა ანიმ.

_ კი, ბატონო, როგორ გეკადრებათ, დიდი სიამოვნებით, რაზეა ლაპარაკი?! _ ესიამოვნა მურადს.

_ მაშინ ჩვენ წავედით, ბატონო ნიკო, ლოლა პირდაპირ იქ მოვა... თუ მანქანა გათავისუფლდა და გამოგვიგზავნით, მაგრად გაასწორებს... _ თქვა ანიმ და კარი გამოაღო.

_ კი, ბატონო, ერთ, ნახევარ საათში კიდევ გადავრეკავ ფარეხში... _ თქვა ნიკომ.

_ აი, თქვენ ჩემი ვიზიტკა და თუ რამეში დაგჭირდეთ... კარგად ბრძანდებოდეთ. _ "ვიზიტკა" მაგიდაზე დაუგდო და ხელი ჩამოართვა ნიკოს მურადმა.

_ ნახვამდის, _ წამოდგა ნიკო.

მურადმა მანქანის წინა კარი გამოუღო ანის. ისიც ჩასკუპდა და ფეხი ფეხზე გადაიდო, ისე, რომ შიშველი კანჭები გამოაჩინა, რაც მურადს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა. ვასიკო კი უკანა სკამზე მოთავსდა.

მურადმა მანქანა დაძრა, თან, მალ-მალე, ცერად ანის კანჭებს გადახედავდა ხოლმე.

_ რა მაგის პასუხია და, ხომ შეიძლება, ჩვენი მეგობრობა გავაგრძელოთ? _ ამოთქვა მურადმა.

_ რა გვიშლის, რომ, ხელს?! _ წააქეზა ანიმ.

_ ჰოდა, თუ ასეა... _ გამხნევდა გამომძიებელი. _ რომ გათავისუფლდებით, დამირეკეთ და ჩვენ გვერდით პატარა ბარია და ორივეს იქ გეპატიჟებით...

_ ანი შეგიძლიათ დაპატიჟოთ და მე რა მინდა იქ, გჭირდებათ მურმანის ეკალი?.. _ გაეცინა ვასიკოს.

_ ეგ კი ვიცი... მაგრამ მარტო ანის ხომ ვერ დავპატიჟებდი, ქართველი ქალების ამბავი არ იცი? რას იფიქრებს, როგორ მიიღებს... _ თავი იმართლა მურადმა.

_ კი, აბა... მე კი ვატყობ კოჭებში, რომ ცოტა ხანში ევროპა და ამერიკაც უკან დაგვრჩება... _ ჩაილაპარაკა ვასიკომ.

_ ნუ დაუგდებთ ყურს, _ სარკეში თვალი ჩაუკრა მურადს ანიმ. _ ამან თუ ქალებს არ წაუმწლაკა, ისე როგორ იქნება...

_ ჰო, სიმართლე ყოველთვის მწარე მოსასმენია... _ წაიფილოსოფოსა ვასიკომ.

_ მოიცა, რა, არ მომახსნევინო ახლა ქართველ კაცებზე პირი, _ გააჩუმა ანიმ.

_ მოდით, ნუ დახოცავთ ერთმანეთს იმის გამო, რომ ბარში დაგპატიჟეთ, _ ჩაერია მურადი.

_ ჰოდა, ძალიან კარგი... ერთ საათში დაგირეკავთ. გაგვიჩერეთ აქ, ჩვენ მოვედით! _ თქვა ანიმ.

მურადმა დაამუხრუჭა და ანი და ვასიკო მანქანიდან გადავიდნენ.

ანიმ ლამაზად დაუქნია მურადს ხელი, იმანაც მიუსიგნალა და წავიდა.

_ აუ, მე ეს უნდა ვაწრუწუნო!.. _ თქვა ანიმ, თან ისევ იმ გზას გასცქეროდა, საითაც მურადი და მისი მანქანა გაუჩინარდა.

_ მაგრად მეცოდება, _ თანაგრძნობით თქვა ვასიკომ.

_ მოიცა, რა, ეგაც კაი შებერტყილი ჩანს, ნუ გეშინია... _ ხელი აუქნია ანიმ.

_ შენთან შედარებით? _ გაიკვირვა ვასიკომ. _ რაღაც, არა მგონია...

_ რა ვარ ამისთანა?!. _ წარბი აზიდა ანიმ.

_ არ ვიცი, მე ჯერ სახელი ვერ მოგიძებნე, შენისთანა ჰიბრიდებს ძნელად თუ მოუძებნის კაცი სახელს... _ უპასუხა ღიმილით ვასიკომ.

_ რას? რას? ჰიბრიდიცა ხარ, ბიჭო, და ნამყენიც, თუ გამოგიქანე ახლა! _ ანიმ მართლაც მოუქნია ვასიკოს ჩანთა და კეფაში ლეწა.

_ კაი, ნუ მომკლავ ახლა ერთი სიტყვის გულისთვის, მაპატიე, _ დაპატარავდა და თავზე ხელი დაიფარა ვასიკომ.

თაზომ ქვეყანა შეაწრიალა, მაგრამ გაიოზის კვალს ვერსად მიაგნო. “თავის მომკვლელი ეგ არ არის, ისე უყვარს თავისი თავი”, _ ფიქრობდა თაზო. გაიოზი რაც არ უნდა უგონოდ მთვრალი ყოფილიყო, სახლს ყოველთვის აგნებდა. “მაშ, სად ჯანდაბაშია” თაზოს მამის ლოდინში გული გაუწვრილდა და რომ არა და არ გამოჩნდა, ადგა და პოლიციაში დარეკა. როგორიც აღუწერა, ასეთი კაცი მართლაც აღმოჩნდა დაკავებული, თუმცა ვერც გვარი უთხრეს მისი და ვერც სახელი.

_ ანი, ისევ შენი იმიჯი თუ გაჭრის, თორემ, მე მამაჩემს არავინ გამომატანს, _ შეეხვეწა ცოლს თაზო და ანიც პოლიციაში გაჰყვა. თაზო მანქანაში დარჩა, ანი კი სამორიგეოს ფანჯარასთან მივიდა და მორიგე პოლიციელს გამოელაპარაკა.

_ არავინ არ არის, გენაცვალე, ტყუილად უნდა ამატკიო თავი. _ მოურიდებლად უთხრა მორიგემ და კროსვორდების ამოხსნა განაგრძო.

_ რას ნიშნავს, არ არიან? არც უფროსი, არც მოადგილე, არც სხვა ვინმე, ვისაც შეიძლება, რომ დაველაპაკო? _ განცვიფრდა ანი.

_ მოვლენ, ქალბატონო, ოპერაციაზე არიან ყველანი გასულები და მოვლენ... მე მეტი არაფერი შემიძლია, პოსტს ხომ არ დავტოვებ, არა?! _ აუხსნა მორიგემ.

_ იქნებ სულაც სხვა არის, იქნებ, ის არ არის, მე ვისაც ვეძებ და აქ ტყუილად ვდგავარ? _ აღშფოთდა ანი.

_ თქვენ როგორც ამიწერეთ, ეგ უნდა იყოს... მოითმინეთ, მოვლენ-მეთქი და მე სხვა არაფერი შემიძლია... _ ცოტა სიბრაზე დაეტყო მორიგეს.

_ კი, ბატონო, უნდა მოვითმინო, სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ ან სკამი იყოს, ან რაიმე ჩამოსაჯდომი, ასე რანაირად მოვითმინო და მოვიცადო?! _ მიიხედ-მოიხედა ანიმ.

_ ქალბატონო, ეს არც კაფეა და არც რესტორანი, რომ სავარძელში ჩაგსვათ და ყავა და კაკაო მოგართვათ... ეს გახლავთ, პოლიციის განყოფილება და თავისი წესი და კანონი აქვს ყველა დაწესებულებას... ჯერ ხომ მაგ კაცმა გაგვიშრო მთელი ღამე სისხლი და ახლა კიდევ თქვენ... _ ხელი აუქნია მორიგემ ანის.

_ როდის ეშველება ამ ქვეყანას... _ ნერვიულობისგან ფეხის ტერფი ააკაკუნა იატაკზე ანიმ.

_ როცა კანონი იკანონებს და როცა მოისპობა ბიძაშვილ-მამიდაშვილობა... ეს კი საქართველოში არასოდეს მოხდება... _ მშვიდად უპასუხა მორიგემ.

_ მე თქვენთვის არ მითხოვია, ამიხსენით-მეთქი, ჩემთვის ჩავილაპაკე... _ მიუგდო ორი სიტყვა მორიგეს ანიმ.

_ თქვენთვის კი არ ჩაილაპარაკეთ, პოლიციას უკბინეთ... _ არ დაუთმო მორიგემ.

_ კბენაზე მაინც ნუ ვილაპარაკებთ, თორემ ჩემზე კარგად იცით, ვის რა ჰქვია და რას ეძახიან ჩვენში... _ პირში მიახალა ანიმ.

_ ქალბატონო, მიბრძანდით, რა, გარეთ! ძალიან გთხოვთ, გარეთ მოიცადეთ, _ მეტს ვეღარ გაუძლო მორიგემ. _ ხელს ხომ არ მოგკიდებთ, მიბრძანდით! მე რას მელაპარაკებით, იმას ელაპარაკეთ, ვისთანაც საქმე გაქვთ...

_ მართლაც, თქვენ რომ კაცი თავს გაგიყადრებთ!.. _ რატომღაც ენა გამოუყო მორიგეს ანიმ.

_ ჰოდა, მიბრძანდით, თორემ ახლა სხვანაირად მოვიქცევი... _ ხმას აუწია მორიგემ.

_ მოიქცევი და წამოვა კიდეც, ვინ გგონივარ მე შენ! არ აუწია ხმას?! _ აღშფოთდა ანი.

_ ქალბატონო, მე უფლება მაქვს, რომ ავუწიო, მე ჩემს პოსტზე ვდგავარ და ჩემს მოვალეობას ვასრულებ, მე სულ არ მაინტერებს, ვინ ბრძანდებით და რა საკითხზე ხართ მოსული... _ მიაშტერდა მორიგე ანის.

_ ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რა ცივსისხლიანებიც ხართ... _ არ გატოკდა ანი.

_ ჰოდა, მოგვეცით საშუალება, რომ ვიმუშაოთ, თორემ... _ დაემუქრა მორიგე.

_ სასაცილოა პირდაპირ! _ ჩაილაპარაკა ანიმ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა დერეფანში პოლიციის უფროსი ფელიქს სიდამონიძე და, საკუთარი პერსონის ღირსებამოსილებით, თავისი კაბინეტისკენ გაემართა, უკან კი მლიქვნელთა მთელი ჯგრო მისდევდა. მორიგე წამოხტა და გაიჯგიმა. როცა ფელიქსი და მისი "სვიტა" კაბინეტში შევიდნენ, მორიგე ანის მიუბრუნდა.

_ ახლა შებრძანდით და, რაც გინდათ, ის ელაპარაკეთ!

ანიმ თაზოს დაუძახა და პოლიციის უფროსთან ორივე ერთად შევიდა.

_ ჩვენ ხომ არ ვიცნობთ ერთმანეთს? _ უცბად ვერ მიხვდა ფელიქსი, საიდან უნდა სცნობოდა ეს ქალი.

_ დიახ, ტელევიზორიდან, ალბათ... _ არ გაუშვა მომენტი ანიმ.

_ ჰო, კი, როგორ ვერ გიცანით, კი, კი. რით შემიძლია გემსახუროთ? _ სახე გაებადრა პოლიციის უფროსს.

_ პირდაპირ გეტყვით, ჩემი მამამთილი არ მოვიდა წუხელ ღამით, ვერ ვიპოვეთ, ვერც ახლობლებში, ვერც მეგობრებში... მგონი, თქვენ გყავთ დაკავებული... ეს ჩემი მეუღლეა, _ უთხრა ანიმ.

ფელიქსს ღიმილი ანფასზე შეეყინა და ყბა ჩამოუვარდა.

_ კი, კი, დავაკავეთ, ერთი პირი, არ ვიცი ახლა, ეგ თქვენი მამამთილია თუ არა... ჩავალთ და ვნახავთ... მაგრამ აქ ცოტა რთულად არის საქმე, ეს არც ისე იოლია... მაგ პიროვნებას აღმოაჩნდა ჯიბეში აი, ამხელა დანა! თან, სად აპირებდა შესვლას?!.

_ არ ვიცი, _ უპასუხა ანიმ.

_ გუშინ ლევან იაშვილმა რომ მოიკლა თავი... ბიჭებს დავალება ჰქონდათ, ჰო, ჩასაფრებულები იყვნენ და ვინც არ უნდა ყოფილიყო, მაინც დაიჭერდნენ... ამ დანამ საერთოდ, დავთრები აგვირია ჩვენ ყველას... და უარესი _ წამლად, ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინეთ!.. რა აღარ ვცადეთ, რა მეთოდი აღარ გამოვიყენეთ, ა, პაპაპა, პირი ვერ გავაღებინეთ... მუნჯია? _ იკითხა სრული სერიოზულობით პოლიციის უფროსმა.

_ ვინ? ჩემი მამამთილი? არა, როგორ გეკადრებათ!.. _ გაიოცა ანიმ.

_ მაშინ, სხვა ყოფილა, ეს მუნჯია... _ დაასკვნა ფელიქსმა. _ მაინც რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი მამამთილია? თან, რაღა მაინდამაინც პოლიციაში ეძებთ?

_ იმან დაგვაეჭვა, რომ საავადმყოფოებში არ აღმოჩნდა, ნათესავებში და მეგობრებში არ იყო და სხვაგან სად გვეძებნა?.. _ ჩაერია თაზო.

_ ნამდვილად ის უნდა იყოს... _ დარწმუნებით თქვა ანიმ.

_ ეგენი თანაკურსელები იყვნენ, ეგ და ლევან იაშვილი, მეგობრობდნენ, ერთი წრე ჰქონდათ... _ თქვა თაზომ.

_ რას მელაპარაკებით! _ თქვა და რატომღაც თავი გადააქნია ფელიქსმა.

_ როგორც ჩანს, სანახავად მივიდა, ჩვეულებრივად, რა იცოდა, რომ... _ გააგრძელა ანიმ.

_ მდაა... რაღაც კონტურები იკვეთება... _ დასერიოზულდა პოლიციის უფროსი.

_ რა კონტურები? _ იკითხა დაეჭვებულმა თაზომ.

_ მკვლელობის... მეგობრები კლავენ, გენაცვალე, ერთმანეთს, თორემ, უცხოებს რა საქმე აქვთ ერთმანეთთან? არაფერი... _ ისევ საეჭვოდ გადააქნია თავი აქეთ-იქით ფელიქსმა.

_ კარგი, რა... _ გაეცინა ანის.

_ მაშ, დანა რად უნდოდა, ვის დააქვს ამხელა დანა უბით?!. _ ფელიქსმა უჯრა გამოსწია და დანა ამოიღო. _ ვინ ჩაიდებს ამხელა დანას უმიზეზოდ? გასალესად მიჰქონდა? გალესილი არ არის... ხმასაც რომ არ იღებს? თუ უდანაშაულოა, ხომ უნდა ეთქვა, მაგ კაი დედმამიშვილს. იცით, რამხელას ყვირიან ხოლმე უდანაშაულოები? ა, იქ მეორე უბანში მესმის ხოლმე მაგათი გინება... აი დანა, ამით კაცს კი არა, ხარს დაკლავს კაცი, თუ მოინდომა, სანაშენე ბუღას...

_ მაჩვენეთ, რა, ჩემი მამამთილი! _ თხოვნის კილოში ბრძანებაც გაურია ანიმ.

_ კი, ბატონო, ჩავიდეთ, იქნებ თქვენ ამოაღებინოთ ხმა! _ წამოდგა ფელიქსი.

სამივენი დერეფანს გაუყვნენ.

_ იცის, ბატონი ლევანი რომ მკვდარია? _ იკითხა ანიმ.

_ ჩვენც სწორედ ეგ გვაინტერესებს, იცის თუ არა, რომ ეგ კაცი მკვდარი იყო... ჩვენ არ გვითქვამს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე...

_ არა, არ იცის... არ ეცოდინება და თქვენც ნუ ეტყვით, გთხოვთ...

_ კაი, მხოლოდ მაგ ერთ თხოვნას შეგისრულებთ, მეტს არა. როგორც გამონაკლისი, თორემ, სასამართლომდე უფლება კი არ მაქვს, შეგახვედროთ. სხვა რომ იყოთ, ოპერს გამოგაყოლებდით, თქვენ კი მე თვითონ გაგიძღვებით, როგორც ხედავთ.

მორიგემ სარდაფის კარი გააღო, მათ ბნელი კიბე ჩაიარეს. იქაურობა ციხის სარდაფისგან არაფრით განსხვავდებოდა, თუმცა წინასწარი დაკავების საკნები ერქვა. ანიმ სიბნელეს თვალი შეაჩვია და მამამთილი დაინახა, რომელიც მას უყურებდა.

_ კი, ის არის, გაიოზია, _ შეეცოდა ანის მამამთილი.

_ ჰო, მამაჩემია, _ ჩაიბურტყუნა თაზომ.

_ ტყუილად მოხვედით! _ შუბლი შეკრა გაიოზმა.

_ მამა! _ მკაცრად თქვა თაზომ.

_ როცა გჭირდები, მამა ვარ და როცა არა _ გაიოზა, ხომ? _ ირონიულად იკითხა გაიოზმა.

_ აქ რა გინდა, მამა, აქ ხომ არ იჯდები, ნუ მარცხვენ... გთხოვ, ნუ გადამაქცევ ქვეყნის მასხარად... _ თხოვნაში ბრძანება გაურია თაზომ.

_ როცა ჩამიშვი, მაშინ არ ფიქრობდი, ხომ, მაგაზე! _ ზიზღით იკითხა გაიოზმა.

_ რა? მე ჩაგიშვი, მამა? შენ ხომ არ გადაირიე?! გაგიჟდი? მაგას როგორ ვიზამდი?! _ გამწარდა თაზო.

_ მაშ, საიდან გაიგო პოლიციამ, რომ დანა მედო ჯიბეში? _ იკითხა საკნის კუთხეს მიყრდნობილმა გაიოზმა და შვილს გამომცდელად დააკვირდა.

_ წარმოდგენა არა მაქვს... გავჩერდეთ ახლა, რა, მამა, მოვრჩეთ! აქ ხომ არ იჯდები, არა? ამ სიბინძურეში! _ დაანამუსა თაზომ მამა.

_ ეს რა სიბინძურეა? ეს არის ჭუჭყი, რომელიც ზედაპირზე დევს და შეგიძლია, მოერიდო. აი, სულში და სხეულში რომ აქვს ადამიანს სიბინძურე, თვალით რომ არ ჩანს, იმისი უნდა გეშინოდეს!.. _ თქვა გაიოზმა.

_ აუ, შენმა ფილოსოფიებმა ხომ... რა დროს მაღალ მატერიებზე ლაპარაკია, მამა, შენ სად ზიხარ ახლა, საკანში რომ ზიხარ ციხის, იცი? _ ჩაეძია თაზო.

_ დიახ, ბევრად უკეთეს და სუფთა ადგილას, ვიდრე ჩემი სახლია, _ პათეტიკურად წარმოთქვა გაიოზმა.

_ არ გინდა, რა, მამა! შეცდომას ყველა უშვებს, აზრზე მოდი!

_ თქვენ რასაც შეცდომებს ეძახით, ის ჩემთვის შხამია, საწამლავი!.. _ აყვირდა გაიოზი.

_ კარგი, მაშინ იყავი ამ სიბინძურეში... _ და ფელიქსს მიუბრუნდა. _ გასაგებია...

_ ჩემი ხათრით... _ სთხოვა გაიოზს ანიმ.

გავიდნენ და სამივე ფელიქსის კაბინეტში შებრუნდნენ.

_ ბატონო ფელიქს, ბოდიში, მაგრამ დაპატიმრების მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ დანაა? _ ჰკითხა ანიმ შესვლისთანავე.

_ აბა, რა, დანა და აგრეთვე... როგორც ეჭვმიტანილი... _ უპასუხა ფელიქსმა.

_ რა ეჭვმიტანილი? რომელი მკვლელი მივიდოდა მოკლული კაცის მოსაკლავად?!. ხომ დარწმუნდით, რომ არაფერი იცოდა! _ დაუწყო მტკიცება ანიმ.

_ მისი ლაპარაკიდან მართლაც, ძნელია ეჭვის აღება რაიმეზე. მაგრამ ეჭვმიტანილები ისე ოსტატურად იტყუებიან ხოლმე, ისე არიან გაწაფული ტყუილში... აფერისტობა და არტისტობა მაგათი მოგონილია, _ და ფელიქსი ანის მიაჩერდა, ეგონა, ნათქვამს დაუდასტურებდა.

_ როგორ, მაშ, არ გაგვატანთ? _ შეურაცხყოფილად იგრძნო ანიმ თავი.

_ მერე, სად წავიღო მე ამხელა დანა?! _ შეიცხადა ფელიქსმა.

_ თქვენ ეს დანა ექსპერტს აჩვენეთ? _ შეეკითხა ანი.

_ რა ექსპერტი უნდა ამას, გენაცვალე! _ ვერ მიხვდა ანის შეკითხვის არსს ფელიქსი.

_ თქვენ ამ ციფრს დახედეთ? _ ანიმ დანის პირზე დაუდო თითი.

_ რა ციფრს? _ მაგრად გაუკვირდა პოლიციის უფროსს.

ანიმ ხმას აუწია და თითით დანაზე დაუკაკუნა:

_ აი, ამ ციფრს, ამას! აი, ეს! არის ცხრამეტი?

დანის შტამპზე მართლაც, ცხრამეტი იყო ამოტვიფრული.

_ კი. მერე?

_ რა მერე? კარგით, რა! თითქოს არ იცით, რომ ეს ციფრი ფოლადის სიმტკიცის ნომერია და თუ ის ოცდათვრამეტზე დაბალია, ასეთი დანის გამო, პოლიციას ადამიანის დაჭერის უფლება არა აქვს... ეს სამზარეულოს დანაა და ცივ იარაღად რომ არ მიიჩნევა, არ იცით?

_ ალავიძე მომითრიეთ აქ ყურით! _ დაიღრიალა პოლიციის უფროსმა.

_ მეძახდით? _ ოთახში შეშინებულმა ალავიძემ შემოიხედა.

_ ბიჭო, რომ ატრიალებ ხელში ამ დანას და ოთახ-ოთახ დაატარებ, ფოლადის სიმტკიცის ციფრს არ უნდა დახედო?! აი, აქ ცხრამეტი რომ წერია და ცხრამეტი ოცდათვრამეტზე ორჯერ ნაკლებია, გაყოფა არ გასწავლეს სკოლაში, შე-ენ? _ თვალებთან მიუტანა დანა ფელიქსმა ალავიძეს. _ წაიღე ახლა ეს დანა, მიეცი პატრონს და აქ ამომიყვანე... ბოდიშს მოუხდი კიდევ, იცოდე! კაცი მეგობრის სანახავად მისულა, არ სცოდნია, ცოცხალი რომ აღარაა... _ ალავიძე გავიდა. _ აბა, როგორ უნდა დაამყარო წესრიგი ასეთი უტვინოების ხელში?.. ვერ ცნობს ალბათ ციფრებს, გეუბნებით მე თქვენ... კი, ასეა... ადრე რაღაც მაინც იცოდა ხალხმა... ახლა არავინ არაფერი აღარ იცის... მეც აღარ ვიცი, მგონი, არაფერი, მეც დამავიწყდა მგონია, ყველაფერი... ამიტომ არის სწორედ, რომ დაიჭერენ _ გაუშვებენ, დაიჭერენ _ გაუშვებენ...

ალავიძემ გაიოზი ფელიქსის ოთახში შეიყვანა.

_ ა, ბატონო, ჩაიბარეთ, საღი და საღ-სალამათი... _ მიმართა ცოლ-ქმარს პოლიციის უფროსმა. _ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მაგრამ, შე კაცო, რომ დაგიჭერენ და ხმას რომ არ ამოიღებ _ ვინ ხარ, რა გქვია, რა გვარი ხარ, რა კაცი ხარ, _ ვინ გაგიშვებს, ძმაო, შინ?! მუნჯი მეგონა მე, დედას გეფიცებით, არ მეგონა, თუ ლაპარაკი იცოდა... აბა, შუბლზე არავის გვაწერია, ვინ ვართ... დაგემშვიდობოთ უნდა და გვაპატიეთ ეს ერთი შეცდომა. გზა ხსნილი გაქვთ და კარგად იყავით. მეორედ ნუ მოგახვედროთ ღმერთმა ასეთ გაუგებრობაში!..

_ მაინც უნდა ვთქვა: ვინც მართლა დასაჭერია, იმათ არავინ ერჩის... ისე, პოლიციელი, ადამიანის ცნობაში არ უნდა “იჭრებოდეს”... _ თქვა ანიმ.

_ რა-ა?! _ იწყინა ფელიქსმა. _ კაცმა თემურ ლენგივით გადაუარა ქვეყანას, ნახევარი ქალაქი კი, მუხლის ჩოქზე დაუდგა და მიწას შუბლს უხათქუნებდა _ არ დაგვტოვო, არ დაგვღუპოო... ჰო, ჰო... უარესს გეტყვი კიდევ... ა, ეს ცალი ულვაში ჩამომპარსეთ, როცა მოკვდება, თქვენი წყალობით... ჰო, ჰო, ჟურნალისტების, ახლა მასმედიას თუ რაღაც ჯანდაბას რომ გეძახიან, თქვენი წყალობით, წმინდანად თუ არ შერაცხონ... და ერთსაც გეტყვით, გენაცვალე. კი გატანთ ახლა, ხათრით, მაგრამ ვინ იცის, უკან შემოსაყვანი გახდეს... ამბობენ, მკვლელი ყოველთვის ცდილობსო მსხვერპლის დასაფლავებაზე დასწრებას, აბა!..

_ წავიდეთ, მამა, _ ხელი მოკიდა გაიოზს თაზომ და გარეთ გაიყვანა.

სამივენი უხმოდ ჩასხდნენ მანქანაში.

_ ერთი რამე უნდა გთხოვო, მამა... _ წამოიწყო თაზომ, როცა პოლიციას გასცდნენ. _ ნუციკოს იმ ფულზე ჯერ ნურაფერს ეტყვი, კარგი? _ და მის რეაქციას დაელოდა, რომელმაც არ დააყოვნა:

_ რა-ა?! რას ნუ ვეტყვი? _ მთელი ხმით აღრიალდა გაიოზი. _ რატომ ვითომ, რატომ?! _ და დანა დააძრო. _ აი, ამ დანით უნდა გამოვჭრა ყელი! ჩემი ხელით უნდა დავკლა ღორივით, ჰო, ჰო!!!

_ ერთი, ერთი თმის ღერიც კი რომ შეუტოკდეს ჩემს დას თავზე, ჩემთან გექნება საქმე, გაიგე?! _ უარესად აყვირდა თაზო. _ ის _ ქალია, ქალი და თავის წილ ბედნიერებას ითხოვს, რომელიც შენ წაგვართვი ორივეს, შენი უხიაგი ხასიათის გამო!.. შენითა ვართ? თუ ჩვენი წვალებით, შრომით, ოფლით და სისხლით მივაღწიეთ, თუ რაიმეს მივაღწიეთ ორივემ?!.

_ ჰო, მარგალიტები ხართ, _ ჩაიქირქილა გაიოზმა.

_ მოკლედ, იმ ფულს აღარ ახსენებ აღარასოდეს, გესმის?! ნუციკოს ბევრად დიდი პრობლემები აქვს, ბევრად დიდი, ვიდრე ეგ შენი ფულია, გესმის?! _ თაზო ცდილობდა, როგორმე დაერწმუნებინა მამა, მაგრამ _ უშედეგოდ.

_ გამიჩერე მანქანა! გამიჩერე, უნდა ჩავიდე! _ აყვირდა გაიოზი.

თაზომ მკვეთრად დაამუხრუჭა და მანქანა მოცურდა...

გაიოზი გადავიდა და მთელი ძალით მიუჯახუნა კარი.

_ შიზოიდია, რა, სუფთა! _ ჩაიბურტყუნა თაზომ და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

_ მეც ჩამომსვი, რა, სადმე! არავითარი სურვილი არა მაქვს, მტკვარში ამოვყო თავი, _ უთხრა ანიმ.

თაზომ დაამუხრუჭა.

_ შეგიძლია, საერთოდ არ მოხვიდე შინ! _ კატეგორიული ტონით თქვა თაზომ, რაც ანის არ მოეწონა.

_ შენ მამაშენზე უარესი ხარ, მგონი. რესპონდენტს უნდა შევხვდე, ჩაწერა მაქვს დილას და რაღაც-რაღაცები უნდა დავაზუსტოთ, _ წყენით მოახსენა ქმარს ანიმ თავისი გეგმის შესახებ.

_ კი, ბატონო, არავინ გიჭერს. შენ ხომ იცი, ყველაზე მეტად მაშინ მიყვარხარ, როცა გძინავს ან ჩემთან არა ხარ... _ გაუმეორა თავისი საყვარელი ფრაზა ცოლს თაზომ.

_ ნუ გეშინია, არც შენ იკლებ რამეს. დილას შენს შარვალზე, გრძელი ქერა თმა აღმოვაჩინე, მაგრამ არაფერი გითხარი... _ უსაყვედურა ანიმ.

_ რა გინდოდა ჩემი შარვლისგან, ფული ამომაცალე, არა, ისევ?! _ აფეთქდა თაზო.

_ ფული ვერ ვნახე, მაგრამ ტოტალიზატორის ბილეთები _ გიყვარდეს! _ დასტა-დასტა გეწყო, _ მიახალა ანიმ.

თაზომ პირი დააღო, ამ ამბავს ვერანაირი არგუმენტი ვეღარ დაუპირისპირა, დაქოქა მანქანა და წავიდა. ანის კი, გაუხარდა, რომ ასე ადვილად გამოძვრა: დილით, თაზოს ერთი ოცლარიანი მართლაც შეიტყაპუნა...

მურადი და ანი კაფეში ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და მუსაიფობდნენ. შამპანურის ბოთლი ნახევრამდე იყო დაყვანილი.

_ მიყვარს, რა, მაგრად მისწორდება, ქალი რომ სვამს. აბა, რომ იპრანჭება და იტყლარჭება, ის არის?! მოჰკიდებს ასე ორ თითს ჭიქას და ტუჩებზე მიიდებს, დაისველებს ენის წვერს და თვალების ფახულით დადგამს. “ნეტავ, ამას როგორ სვამთ?..” _ თითქოს ჩიტიც არ აჰფრენია, რა, არასოდეს... _ ამბობდა მურადი.

_ არადა, მასეთი ქალები უფრო ღალატობენ ქმრებს, რომ იცოდეთ... _ დაამატა ანიმ.

_ დღეს ყველანაირებიც ღალატობენ, გენაცვალე, ყველანაირები... ჰო, რა მაგის პასუხია და ეს გამოძიება, ჟურნალისტური, როგორც თქვენ ეძახით, თქვენმა უფროსობამ დაგავალათ თუ საკუთარი ინტერესები გამოძრავებთ?.. _ დაინტერესდა მურადი.

_ თუ ეს შეკითხვა დაკითხვის ოქმში უნდა შეიტანოთ, გიპასუხებთ, რომ დამავალეს, და თუ ჩვენ შორის უნდა დარჩეს, მაშინ გეტყოდით, რომ _ კიც და არაც... _ უპასუხა ანიმ.

_ ეგ როგორ გავიგოთ? კიც და არაც... _ ვერ მიუხვდა მურადი.

_ თქვენ როგორც გინდოდეთ, ისე გაიგეთ! _ მოკლედ მოუჭრა ანიმ.

_ მოიცა, მოიცა, გენაცვალე, შენ რა მაგარი ხარ, ეე! _ გადაიწია და პირველი შეტევა მიიტანა ანის ხელის მტევანზე მურადმა.

_ ეს რა ხდება, ბატონო მურად?!. _ ვერ გამოსტაცა ხელი ანიმ.

_ კაი, ერთი, ბატონობა რა ხანია, გადავარდა... _ ირონიულად ჩასჩურჩულა მურადმა.

_ მეტკინა ხელი! _ შუბლი შეიკრა ანიმ.

_ ოჰ, მაპატიე, ვერ გავთვალე ჩემი ღონე... _ მოუბოდიშა მურადმა.

_ არა, იცით, კაცებს ჰგონიათ, თუ კაფეში და რესტორანში გაჰყვები, მორჩა, იმისი ხარ... და ტკბილეულივით უნდა დაგვაყოლოთ, არა, აუცილებლად, ღვინოს და შამპანურს, რა ვიცი, რასაც დალევთ, ასეა? _ წარბი ასწია ანიმ.

_ ნუ, რა ვიცი, რა გიპასუხო... გულახდილად გეტყვი და გიჟი უნდა იყოს, მართლაც, კაცი, რომ თქვენისთანა დესერტზე უარი თქვას... _ მიახალა მურადმა.

_ ოჰო! წყალი დააყოლე აუცილებლად, ყელში თუ გაგეჩხირო... _ დააშოშმინა ანიმ. _ ნუ შეწუხდებით, ამ ყველაფრისას მე გადავიხდი!

_ როგორ გეკადრებათ?! _ წამოხტა სკამიდან საშინლად შეურაცხყოფილი მურადი. _ რა ვთქვი ამისთანა? ხუმრობა არ იცით?! შენი ჭირიმე, სულ არ გავეკარები ჩემს დღეში ტკბილეულს, რაზეა ლაპარაკი!..

_ რა ვიცი, იცით, არა ვარ ასეთ ლაპარაკს მიჩვეული და ძალიან გამიკვირდა, _ თქვა წყენით ანიმ. _ სხვათა შორის... ვერ მივხვდი, რა ხდება. თუ ორი ბოკალი შამპანური დავლიე თქვენთან ერთად, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად ლოგინში უნდა ჩაგიგორდეთ?..

_ როგორ გეკადრებათ, ვიხუმრე უბრალოდ, რაღაც ხომ უნდა თქვა, არა, კაცმა, სუფრასთან რომ ზიხარ? _ ისევ უკან დაიხია მურადმა.

_ არა, თქვენი გამკვირვებია, ამ კაცების: თუ უარს გეტყვით და არ გამოგყვებით, კაფეში იქნება, რესტორანში თუ ბარში, რქიანები და დაუნები ვართ და თუ გამოგყვებით, მაშინვე შეტევაზე გადმოდიხართ...

_ არავინ არ გადმოდის შეტევაზე!.. აი, ჩემთვის ვზივარ. თუ გნებავთ, ხმასაც არ ამოვიღებ და ვიყოთ ასე მუნჯებივით ორივენი, გაწყობთ?.. _ შეეკითხა მურადი.

_ რატომ? ვილაპარაკოთ, მაგრამ _ იმაზე, რის გამოც შევხვდით და რისთვისაც აქ ვზივართ...

_ რა? რაზე ვილაპარაკოთ? _ დაიბნა მურადი.

_ რაზე და ლევან იაშვილის მკვლელობაზე, სხვა რაზე? _ გაიკვირვა ანიმ.

_ ლევან იაშვილის მკვლელობაზე? აქ, ამ სუფრაზე?! შენ, გენაცვალე, მოგზავნილი ხომ არა ხარ?! ვერ გავიგე, რატომ ხართ დაინტერესებული ასე ამ მკვლელობით. ცოლი არ ჩივის, დედ-მამა არ ჰყავს, და არ ჩივის და ძმა არ ჩივის და თქვენ რატომ ხართ დაინტერესებული ასე ამ საქმით, ვერაფრით ვერ გავიგე! გინდათ, რომ ვინმე დააშანტაჟოთ?!

_ რომ გითხრათ, პროფესიული ვალი მავალდებულებს-მეთქი, დამიჯერებთ?.. ეს ძალიან საეჭვოა, სხვათა შორის, რომ არც ცოლი ჩივის, არც და და არც ძმა... ასე არ არის? _ ჩაეძია ანი.

_ რატომ არის საეჭვო?.. პირიქით, საეჭვო ის იქნებოდა, რომ ჩივილი დაეწყოთ... იცი, რა ქონება დარჩა მაგ კაცს?! ყველაფერი მაგათ ხელში გადავიდა და სულელები ხომ არ არიან, მკვლელი იპოვონ და დასაჯონ.

_ რატომ? ვერ გავიგე!

_ იმიტომ, რომ ეგენიც ზედ არ მიაყოლონ. რა ბევრი გაგება ამას უნდა?!

_ ა-ა! _ თითქოს რამეს მიხვდა ანი.

_ ასეა, ჩემო ტასია, აბა, რა გეგონა შენ?! _ დაუდასტურა მურადმა.

_ გამოდის, რომ თვითმკვლელობა მართლაც, გამოგონილია, ხომ? _ იკითხა ანიმ.

_ გამოგონილი კი არა, გამოსავალია, ყველაზე საუკეთესო გამოსავალი, მე თუ მკითხავ... _ თქვა მურადმა.

_ თქვენ მისი მეუღლე უკვე დაკითხეთ? _ იკითხა ანიმ.

_ არა, ჯერ არ ჩამოსულა.Dდღეს საღამოს მოფრინავს... შეიძლება, ახლა თვითმფრინავშიც კი ზის... ტელეფონით ველაპარაკე... _ თქვა მურადმა.

_ მერე? _ დაინტერესდა ანი.

_ დილით უნდა ვნახო.

_ მეც დამასწარით, რა, დაკითხვას! _ შეეხვეწა ანი.

_ შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო?! _ უთხრა კატამ ძროხას. ასეა, არა, "რწყილსა და ჭიანჭველაში"? _ შეეკითხა მურადი.

_ კარგი, მაშინ, თვალებში ჩაგახედებთ... _ დაჰპირდა ანი.

_ რა-ა? რას იზამ? _ განცვიფრდა მურადი.

_ რას და ჩემს თვალებში ჩაგახედებთ. ერთხელ, _ გაუმეორა ანიმ.

_ რა-ა? სულ ეგ არი?! არ შეიძლება, რომ ცოტა ქვემოთაც ჩავაპარო?.. _ ითავხედა მურადმა.

_ თვალები _ კი, მხოლოდ თვალები და სხვა არაფერი... _ მიუგო ანიმ.

მურადს გაეცინა. ანიც აჰყვა.

ამ დროს მათ სუფრას ოფიციანტი მიუახლოვდა და მაგიდაზე თეფში დადო. თეფშზე რაღაც გაკეცილი ქაღალდი იდო.

_ თქვენ რა, გვყრით?! _ ანგარიშის ქვითარი ეგონა მურადს.

_ არა, რაღაც წერილია, იმ სუფრიდან გამოგიგზავნეს. _ ცოტა შორეული კუთხისკენ გაიხედა ოფიციანტმა. _ აი, იქ ისხდნენ, ბოლო მაგიდაზე, სამნი... _ გაუკვირდა ოფიციანტს, როცა იმ მაგიდაზე ვეღარავინ დაინახა.

მურადმა გადაკეცილი ფურცელი გაშალა. ქაღალდზე საფლავი იყო დახატული, საფლავს ქვა ედგა თავზე, რომელზეც ჯვარი მიეხატათ და იქვე მხატვრული წარწერა ანუ ეპიტაფიაც მიეწერათ: "დავტირით უდროოდ დაღუპულ მურადას!"

მურადს სახეზე ფერიფურმა გადაჰკრა, რაც ანის შეუმჩნეველი არ დარჩენია. "ძაღლობაში მუშაობს და ძაღლის სახელი ჰქვია. რა უცნაური დამთხვევაა..." _ გაიფიქრა ანიმ. მერე კი, შეშინებულ მურადს პერანგის სახელოზე მოჰქაჩა, რომ გამოეფხიზლებინა და ჩასჩურჩულა:

_ ვინ იქნებიან?

_ მანქანა, _ ამოიძახა უცბად მურადმა და გიჟივით გავარდა გარეთ. ანიც წამოხტა და მიჰყვა, მაგრამ უცბად წინ ვიღაც აესვეტა და უხეშად ჰკრა მკერდზე ხელი.

_ საით, გენაცვალე, ვერ დაეწევი მაინც...

ანიმ გვერდით მაგიდაზე მჯდომი ტიპი იცნო, რომელიც სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავდა და მათკენ ერთხელაც არ მიუხედავს. "ვინ არის ეს რეგვენი!" _ ერთი კი გაიფიქრა და დამხვდურს ხელი აუკრა.

_ ხელი, ბიჭო! _ ხმამაღლა თქვა ანიმ, რომ იქ მყოფთა ყურადღება მიექცია.

ბიჭი მართლაც შეცბა, დაიბნა და უკან დაიხია. ანიმ მომენტით ისარგებლა და გასასვლელისკენ დაიძრა. თან ვაჟს მისჩერებოდა, ბოლომდე მაინც ვერ ენდო.

_ უსიამოვნება გელის... _ გამოცრა იმ ტიპმა და თავისი მაგიდისკენ გაემართა.

ამ ორმა სიტყვამ ანიზე საშინლად იმოქმედა და ფეხს აუჩქარა, მაგრამ კართან მისულს, ვიღაც წამოეწია და მკლავში ხელი სტაცა. ანის ისევ ის ეგონა, შემკრთალი და შეშინებული მოტრიალდა და ოფიციანტი შერჩა.

_ დანახარჯს ვინ გადაიხდის, გენაცვალე? _ შეეკითხა ის ანის ისე, რომ ხელი არ გაუშვია. _ ორმოცი ლარია... _ დაამატა მან და ანის თვალებში მიაჩერდა.

ანის ორმოცი ლარი არ ჰქონდა, შეშინებულმა, იქით გაიხედა, საითაც ის ვიღაც ტიპი იჯდა.

_ კი, კი... _ უთხრა მან ოფიციანტს და მობილური ამოიღო. _ ამას დაგიტოვებ... _ დააყოლა, ბარათი ამოაძრო და მიაწოდა.

_ რა ვქნა, მე ხომ არ გადავიხდი!.. _ თქვა ბიჭმა და მობილური გამოართვა. _ როდის მოიტანთ? მე დღეგამოშვებით ვმორიგეობ.

_ არა, არა, მაქსიმუმ ერთ საათში, _ უპასუხა ანიმ და გარეთ გავიდა. ვაჟის პასუხს აღარ დაელოდა, უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა იქაურობას. გამოვიდა თუ არა, იქაურობა მოათვალიერა, მაგრამ ვერც მურადი და ვერც მისი მანქანა ვერსად დალანდა. "სახლიდან დაველაპარაკები", _ გაიფიქრა ანიმ და კაფეს წინ გაჩერებულ პირველსავე ტაქსიში ჩახტა. თაზოსთან წავიდა, ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, პირველ რიგში, მობილური უნდა გამოესყიდა...

_ სად გავარდი, რატომ არ დამელოდე? _ უსაყვედურა მურადმა ტელეფონში, როცა ანიმ სახლიდან დაურეკა.

_ მე არ დაგელოდე თუ შენ?! _ შეუბრუნა შეკითხვა ანიმ.

_ მანქანა დამხვდა დაგორებული. იქვე ორას მეტრში იყო. "წაღებით" ვერ "წაიღებდნენ" _ "სეკრეტზე" მაქვს, მაგრამ მთელი ბენზინი ამოეწოვათ და ხელით მოვათრევდი. ვრეკავდი შენს მობილურზე, მაგრამ გამორთულიაო, მპასუხობდა.

ორივენი მართლები იყვნენ. კაი შიში ჭამეს იმ საღამოს... "ჯერ სადა ხარ!" ამ სიტყვებით დაემშვიდობა მურადი ანის და ყურმილი დაუკიდა.

დილას, როცა ანიმ "ელიტქრონიკის" რედაქციის კარი შეაღო, მთავარი რედაქტორი ადგილზე დახვდა. ნიკოს ტელევიზორი ჩაერთო და კომპიუტერთან მუშაობდა.

_ თქვენ უკვე აქ ხართ? _ გაუკვირდა ანის.

_ ისე კითხულობ, თითქოს ჩემზე ადრე მოდიოდეთ რომელიმე, _ განცვიფრდა ნიკო. _ უყურე ტელევიზორს?

ანის ტელევიზორისთვის ნამდვილად არ ეცალა. ღამენათევმა, ძლივს ასწია დილით თავი.

_ არა, არ მიყურებია. მოხდა რამე?

_ იაშვილის მკვლელი დაუჭერიათ და გაუშვიათ ამ კრეტინებს!.. _ ჩაილაპარაკა ნიკომ.

"ეს რა ქალაქია!.. _ გაიფიქრა ანიმ. _ უკვე მკვლელობაც დაუბრალებიათ".

_ მე რომ არაფერი მითხრეს?

_ რა უნდა ეთქვათ, ანი, შენთვის, რომელი ქალაქის პროკურორი შენ მყავხარ?! დაჭერა-გაშვებაში ვინ რამდენს იხდის და ვინ რამდენს იღებს, შენ მოგახსენებენ სწორედ!.. _ ცერად შეხედა ნიკომ ანის.

_ როგორ გეკადრებათ, მე ეგენი გაფრთხილებული მყავს, რომ ყველაფერი უნდა ვიცოდე... _ მიახალა ანიმ.

_ რა ვიცი, ვასიკომ კიდევ _ სულ სხვა მხარეს მიჰყავს ძიებაო, _ შენზე... _ შეაპარა ნიკომ.

_ რომელ მხარეს? _ ვერ მიუხვდა ანი.

_ რომელ და, თუ სწორად გავიგე, შენ უფრო გამომძიებლის პერსონით დაინტერესდი, ვიდრე სხვა რამით... _ მიაჩერდა ნიკო ანის.

_ ჯერ ერთი, მე კი არ დავინტერესდი გამომძიებლით, ის დაინტერესდა ჩემით და მაგ თქვენს ვასიკოს კიდევ, პირზე რაც მოადგება, ყველაფერი უნდა თქვას?! _ მიაყარა ანიმ.

_ მე მგონი, ეგ ვასიკოს უნდა ჰკითხო თვითონ... _ დაარიგა ნიკომ.

_ ჰოდა, ვკითხავ, _ დაიმუქრა ანი.

კარი გაიღო და ოთახში ვასიკო შემოვიდა.

_ ჰოდა, აი, შემოვიდა კიდეც და ჰკითხე, _ გაუხარდა ნიკოს.

_ რა უნდა მკითხოს? _ იკითხა ვასიკომ.

_ შენ ენას რატომ არ დაიმოკლებ, ვაჟბატონო? _ შეეკითხა ვასიკოს ანი.

_ ჯერ არ შემოვსულვარ და უკვე... რა გინდა? _ გულგრილად იკითხა ვასიკომ.

_ რა და მე დავინტერესდი გამომძიებლით თუ ის დაინტერესდა ჩემით? _ აღელვებული იყო ანი.

_ იცი, რა? შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება... _ გაიხსენა გენიალური აქსიომა ვასიკომ.

_ ძალიან კარგი... ზუსტად ათ წუთში გავდივართ. კასეტა ხომ გვაქვს? _ მოუჭრა ანიმ.

_ მე მგონი... სად გავდივართ?

ვასიკოს ბოლო შეკითხვით ნიკოც დაინტერესდა.

_ ხომ მოგახსენე ტელეფონზე: მურადი გვიცდის პროკურატურაში, იაშვილის ცოლს უნდა ვეახლოთ-მეთქი, _ გამოაცხადა ანიმ.

_ ვინ იაშვილის ცოლს უნდა ეახლოთ?.. მერე, მე აღარაფერს მეკითხებით?! _ აღელდა ნიკო.

_ რა უნდა შეგეკითხოთ? _ თვალები წამოსცვივდა ანის.

_ რა და, რა ჩვენი საქმეა კრიმინალისტიკა?! ეს ამდენი სიუჟეტი ვინ უნდა მოამზადოს, მე-ე?! _ მიუთითა ფურცელზე ჩამოწერილ გეგმაზე ნიკომ.

_ ბატონო ნიკო, წინა კვირას ცხრავე სიუჟეტი რომ ჩემს კისერზე გადავიდა და ლოლას, როგორც უნდოდა, ისე დაგულაობდა, ახლა იმანაც გაანძრიოს ცოტა ტვინი, არ შეიძლება?! _ გაცხარდაAანი. _ რა ვქნა, სანამ ამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან და მკვლელს არ ვიპოვი, ვერ მოვისვენებ!

_ იცი, რას გეტყვი?.. თუ ამ რედაქციაში, ერთხელ კიდევ მიხსენებს ვინმე ლევან იაშვილს, მიჰყვება თან საფლავში! ჰო, ჰო, არც ჭორი და არც სიმართლე არ მაინტერესებს! სადა ვართ, გამაგებინეთ, “კაპეზეში" თუ ტელევიზიაში, ბიჭოს!.. მე ვაკეთო მარტომ ეს ამდენი სიუჟეტი?!

_ ჩემ გამო ოდესმე ჩავარდნილა გადაცემა?! _ მიაშტერდა ნიკოს ანი. _ დამავალეთ და არ შევასრულე?! ვინც ყველაზე მეტს აკეთებს, რატომღაც იმას ხვდება ყველაზე მეტი...

_ არ მაინტერესებს! წახვალ და ახალგაზრდა ბებიების კონკურსს გადაიღებ, _ მკაცრად თქვა ნიკომ.

_ დავაი, ვასო, გადარეკე ფარეხში და დავახვიოთ დროზე, თორემ, ჩვენი მთავარი რედაქტორი, როგორც ყოველთვის, ეტყობა, ფინთ ხასიათზეა...

ვასიკო და ანი რედაქციიდან გამოვიდნენ და დერეფანს გაუყვნენ.

_ რას აპირებ ახლა? _ იკითხა ვასიკომ.

_ რას უნდა ვაპირებდე, ვასო?! რომელი უფრო მნიშვნელოვანია _ რომელი ფირმის ნიფხვები აცვიათ ჩვენს ბებიებს თუ რატომ მოკლეს პატიოსანი კაცი, რომელიც არავის არაფერს უშავებდა?.. _ იკითხა ანიმ.

_ ამდენი ფული და _ პატიოსნება?!. _ გაეცინა ვასოს.

_ ნუ ლაპარაკობ, რა, კომუნისტივით! _ მოაკეტინა ანიმ.

_ ლოლა!.. _ გაახსენდა ვასიკოს.

_ შენ და ეგ შენი ლოლა!.. რა გამიჩმახე ამ შენი ლოლათი, ვასო?! ლოლა მოიცდის... ბოლოს და ბოლოს, სულ ჩვენ ვუცდით, ერთხელ მაგანაც მოიცადოს, ნახოს ერთი, როგორია ლოდინი და მუდმივად ცაიტნოტში ყოფნა, _ გაცხარდა ანი.

_ ის არ მოგვიცდის... _ დაასკვნა ვასიკომ.

_ ვასიკო, მომისმინე! მე ახლა, სულ ცალ ფეხზე მკიდია ეგ შენი ლოლა. დღეს დაკითხვას რომ არ დავესწრო, არ არსებობს! დილიდან ანონსებში უკვე ჩვენ ფირს ატრიალებენ, იცი შენ?!

_ რომელ ჩვენ ფირს? _ გაუკვირდა ვასიკოს.

_ ლევან იაშვილი რომ გაათრიეს პრეზენტაციიდან თუ იმ რაღაც ა-ლა-ფურშეტიდან... სტოპკადრებით უჩვენებენ ყველა ანონსში... _ თქვა ანიმ.

_ ეჰე-ე! _ შეუსტვინა ვასიკომ.

ტელევიზიით მართლაც უჩვენებდნენ იმ მასალას, რომელიც მათ ჰქონდათ გადაღებული, თან დიქტორის ტექსტიც ახლდა:

“დიახ, ეს გახლავთ უკანასკნელი კადრები, რომლებიც ლევან იაშვილის თვითმკვლელობამდეა გადაღებული... თუ ვინმეს გეცნოთ პირი, რომელსაც კადრში ხედავთ, დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 25.18.18. ანონიმურობა გარანტირებულია”.

მურადის კაბინეტის კარი გაიღო და ანიმ, უკვე გაშინაურებულივით შეაბიჯა. უკან ვასიკო შეჰყვა. მურადს სახე გაუნათდა და უცბადვე მოეღუშა.

_ რა ხდება ეს, პატივცემულო ჟურნალისტებო? თქვენ რა, ჩემი მოხსნა გინდათ, გენაცვალე? არ გამამწაროთ, რა, ძმებო!.. _ უსაყვედურა მან ანის.

_ რა ხდება, მურად? _ იქით შეუტია ანიმ.

_ როგორ, რა ხდება?! ეს თქვენი გადაღებული ფირი ტელევიზიით ცხრაჯერ რომ გადაიცემა საათში, ვის მოეხაზება პირველ რიგში, რა გგონიათ?..

_ ჩვენ...

_ არა, გენაცვალე! ჯერ მე მომეხაზება და თუ მე მომეხაზება, მერე უკვე თქვენც მოგეხაზებათ... _ აუხსნა გამომძიებელმა ანის.

_ მოიცა, რა, ნუ გვაშინებ, თუ ძმა ხარ! _ აგდებულად უპასუხა ანიმ. _ მომეხაზება, მოგეხაზებათ... მკვლელი გარეთ დაგრიალებს და ჩვენ უნდა მოგვეხაზოს?! მეგონა, გაგიხარდებოდა: იქნებ, ამოიცნოს ვინმემ და გადმორეკოს...

_ საქართველოში?! ეგ არ მოხდება!.. დედა შვილს არ უდგება მოწმედ, და კიდევ _ ძმას... თქვენ სადა ბანაობთ, ეე?! მართლა ევროპელები ხომ არ გგონიათ თქვენი თავი?!. _ გაარკვია ვითარებაში ჟურნალისტები გამომძიებელმა.

_ ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, სადაც ვცხოვრობთ და რა ქვეყანაშიც ვართ... _ სასწრაფოდ მკერდი მოიღიავა ჟურნალისტმა. _ მომისმინე!

მურადმა ჯერ მკერდის ჭრილში ჩახედა ანის, მერე კი მისკენ მიშვერილ კამერას დააკვირდა.

_ ეს ისევ მე მომიშვირეთ?!. გასწიე, რა, თუ ძმა ხარ, იქით! _ მურადი ვიდეოკამერას გადასწვდა და თვითონ მიაბრუნა სხვა მხარეს.

_ მომისმინე! თუ გინდა, პირდაპირ ეთერში გამოგიყვანთ, თუ გინდა, აი, გადაგიღებთ და შენ როგორც გენდომება, ისე დავამონტაჟებთ ფირს, გაწყობს? _ კომპრომისზე წავიდა ანი.

_ რა-ა? რა ვილაპარაკო მერე?! დებილები ვართ და ხელმოსაჭიდი ვერაფერი ვნახეთ-მეთქი?!. მოდი, რა, თქვენ _ თქვენთვის და მე _ ჩემთვის და მშვიდობიანად დავცილდეთ ერთმანეთს... _ შესთავაზა მურადმა ჟურნალისტებს.

_ შენ რა, ქრთამი გაქვს აღებული, გენაცვალე?.. _ შეაპარა ანიმ.

_ აუ, რა მურწა ხარ, შენ იცი?! _ გაგიჟდა მურადი.

ანი წამოხტა, მკერდი შეათამაშა და ბარძაყი წამით მოიშიშვლა.

_ იქნებ, კალმახი ვარ, ხელში რომ სხმარტალებს, აბა, კარგად შემომხედე!

მურადმა ნერწყვი გადაყლაპა, ვასიკომ კი თვალები დახუჭა.

_ არა, არა ხართ მართლები, რა! ჯერ ხომ უნდა დამეკითხა ეს ცოლი, არა?.. ჩამოსასვლელი იყო, ველოდებოდი... წავიდეთ? გცალიათ? _ იკითხა გამომძიებელმა.

_ წავიდეთ, აბა, რისთვის მოვედით?! _ მიუგო ანიმ.

ლევანის ცხედარი მისაღებ დარბაზში, ტახტზე, კუბოს გარეშე ესვენა. დილა იყო. სამზარეულოში მაგიდასთან სამნი ისხდნენ: იაშვილის მეუღლე ლალი, ახალგაზრდა ქალი, არა უმეტეს ოცდაათი წლის, იაშვილის და, ქალბატონი ლიანა, ასე ორმოცს გადაცილებული და ძმა კოტე, დაახლოებით ამავე ხნის. მიცვალებული ორივე მათგანზე უფროსი იყო და ამიტომ მშობლების დანატოვარი ქონებაც თავიდანვე მას დარჩა... ლაპარაკი ძირითადად, დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხებს ეხებოდა... ამ სამიდან, სინანული და გლოვა უფრო დის სახეზე იკითხებოდა. გარდა დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხებისა, არაპირდაპირი, მაგრამ ურთიერთგადაბრალებისა თუ კბენის მსგავსი შეკითხვები შიგადაშიგ, სამივეს პირიდან ისმოდა, რაზედაც ქალბატონი ლალი მაგრად ღიზიანდებოდა, რადგან ლევანს მემკვიდრე არ დარჩა, ხოლო და-ძმას მარტო შვილები კი არა, შვილიშვილებიც ჰყავდა...

_ წარმომიდგენია, რას ყაყანებს ქალაქი... _ ზიზღით თქვა ლალიმ.

_ გიკვირს მერე? ამათ საჭორაო ლუკმა მიუგდე და ისე დაანამცეცებენ, ყველას შეახვედრებენ... _ გააგრძელა ლიანამ.

_ ჩემი ბრალია ყველაფერი, თავიდანვე უნდა ამომედო ლაგამი, ქორწინების დღიდან... _ ჩაილაპარაკა ლალიმ.

_ მე კი, სწორედ მაგ ლაგამს ვაბრალებ ყველაფერს. ჩემს ძმას არც ლაგამი ეკლდა შენგან და არც მათრახი!.. _ პირდაპირ მიახალა პირში რძალს ლიანამ.

_ კაცი მკვდარია, რა დროს ეგენია, გაგიჟდით?! _ გადაირია ქალების სიტყვებზე კოტე.

_ ერთი ცრემლი, ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია, თუნდაც ტყუილად, სხვების დასანახავად... _ ჩაუშვა რძალი თავის ძმასთან ლიანამ.

_ სამაგიეროდ, როცა ცოცხალი იყო, მაშინ მდიოდა ღვარად... _ არ დაუთმო ლალიმ.

_ კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო, ნათქვამია... _ მოიშველია აფორიზმი ლიანამ.

_ მხედარს გააჩნია... _ მიუგო ლალიმ.

_ აბა, მიდით, ერთი, მიდით! ამოიღეთ, თუკი რამე ბოღმა და გესლი დაგრჩათ გულში! თქვენ არც მკვდარი იცით, არც ცოცხალი... კაცი დასამარხია, რა დროს ეგ არი?!. _ მთლად გაგიჟდა კოტე.

_ ზევით არავინ დარჩენილა... ცოცხალს ცოტა ლაფი მედო თავზე?.. მოკვდა და ათი იმდენი დამადო... _ თქვა ლალიმ.

_ არ არსებობს, ჩემი ძმა თავს არ მოიკლავდა, _ გამოაცხადა ლიანამ.

_ შენ გინდა თქვა, რომ მე მოვკალი! მე მოვკალი, არა? _ გადაირია ლალი.

_ არ ვიცი, არ ვიცი... ცოცხალს ვერაფერი ვათქმევინე და მკვდარი, მით უმეტეს, ვერ მეტყვის... _ წარმოთქვა ლიანამ.

_ შენც ასე ფიქრობ? _ მიუბრუნდა ლალი კოტეს.

_ რა? რაზე? _ ვერ მიუხვდა კოტე.

_ რომ შენი ძმა ჩემი მოკლულია, _ მიუგო ლალიმ.

_ რა "მნიშვნელი" აქვს?! ვინც კვდება, თავის თავს უკვდებაო, ნათქვამია... _ გაიხსენა ხალხური სიბრძნე კოტემ.

_ მით უმეტეს, თუ არც შვილი დარჩა და არც ძირი... _ წაუკბინა ისევ რძალს ლიანამ.

_ მიდი, აბა, მიდი, დამაჭირე ერთი, მაზოლზე ფეხი! _ წაუღრინა მულს ლალიმ.

_ შენ ჩემს ძმას გულზე აჭერდი მუდამ და მე რომ მაზოლზე დაგადგა, რატომ გიკვირს?! თუკი მართლაც თავი მოიკლა, როგორც შენ ამბობ, ვისი გულისთვის მოიკლა, ჩემი?.. _ არ გაჩუმდა ლიანა.

_ ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვერ ინელებთ ვერც ერთი... _ გამოაცხადა ლალიმ.

_ რას ვერ ვინელებთ? _ ირონიულად იკითხა ლიანამ.

_ იმას, რომ მემკვიდრე, ზურა იყო და ყველაფერი მე დამრჩა, თქვენ კი _ ცარიელი ბრანწი! _ მიცვალებულსაც კი არ მოერიდა ლალი და მულს სამი თითის კომბინაცია უჩვენა.

_ რა-ა?! მე იმხელა სიმდიდრის პატრონი ვარ, შენს ქონებას მილიონჯერ გადაწონის!Aასი მაგდენიც რომ გქონდეს, თუნდაც ჩემს სულ პაწაწა ნანიკოში გაგიცვლი?! ეგ შენ იკითხე, რომ ღმერთმა დაგსაჯა და უშვილძიროდ უნდა გადაეგო. ბრანწები და ბერწები შენკენ მოიკითხე... _ წააყარა ლიანამ.

_ კმარა! _ ზიზღით თქვა ლალიმ.

_ კარგით, მორჩით, დამამარხვინეთ ეს კაცი და შენ შენს გზაზე წახვალ და შენ კიდევ _ შენსაზე... და ვინ იცის, მილიონი წელი აღარ შეხვდეთ ერთმანეთს... _ გამოაცხადა კოტემ და მისი მობილურიც აწკრიალდა. _ დათო... მიეცი, რასაც გთხოვენ და მოატანინე დროზე... ჰო, გასაგებია, მოიყვანე და აიღონ ზომები... კი, ბატონო... _ უპასუხა ტელეფონზე კოტემ და მობილური ჯიბეში ჩაიდო. _ არ გახადა აჯიას პერანგი ერთი კუბო!.. _ ჩაილაპარაკა მან.

_ კუბო... ჩემი ძმა მკვდარია... ჩემი ყოვლისშემძლე ლევანი!.. _ შავი თავსაბურავი სახეზე ჩამოიფარა ლიანამ. ამ დროს მისმა მობილურმაც დარეკა. _ დიახ, გისმენთ... _ კუშტი სახით უპასუხა ლიანამ და უცებ ნათელი მოეფინა სახეზე: _ ჰო, ნანიკუნა... დაბანე და დააძინე?.. აღარ იღვიძებს?.. ეძინოს და მე რომ მოვალ... ჰო, ჰო, მალე მოვალ და მე გავაღვიძებ, კარგი? ჰო, აბა, შენ იცი! _ ლიანამ მობილური ჩანთაში ჩაიდო. _ თოჯინა დავაძინე და აღარ იღვიძებსო... ჩემი სულელი გოგო... _ ჩაილაპარაკა მან და რძლის ცივ, სიძულვილით სავსე მზერას წააწყდა.

_ სამას კაცზე სამყოფია, გეუბნებით, მეტი არ მოვა, დამიჯერეთ! _ ხმამაღლა განაგრძო თავისი ფიქრი კოტემ.

მურადმა მანქანა იაშვილის სახლის ჭიშკართან გააჩერა. მერე დაკეტა და ანისთან და ვასიკოსთან ერთად ალაყაფის წინ აღმოჩნდა. კარზე ზარი მისცა... გაბმულად, ხანგრძლივად. ეზოში აქამდე ჩუმად მსხდომი ძაღლები ყეფით მივარდნენ კარს... მიკროფონში კი ლალის ხმა გაისმა:

_ ვინ არის?

_ მურად ოქროპირიძე, გამომძიებელი. გუშინ რომ შევთანხმდით...

_ მოითმინეთ ერთი წუთით, _ და ვიღაცას მიმართა. _ წადი, კარი გაუღე, გამომძიებელია. გამომძიებლები და პოლიციელებიღა მაკლდა!..

კოტემ ძაღლები დააშოშმინა და ჭიშკარი გააღო.

_ უნდა გვაპატიოთ... _ მოუბოდიშა მურადმა კოტეს.

_ გასაგებია, შემობრძანდით, _ სახლის კარისკენ მიუთითა კოტემ. შემოსულებმა სამსართულიანი სახლის სიავკარგე თვალის ერთი შევლებით შეაფასეს და ბინაში შევიდნენ.

როგორც კი კუბოსთან მჯდარმა ლალიმ ჟურნალისტები დაინახა, ადგილიდან წამოხტა...

_ არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში!.. როგორ გეკადრებათ, რა გადაღება, რის გადაღება?! არ არსებობს, არც ერთ სიტყვას არ ვიტყვი!.. მიბრძანდით, მიბრძანდით ამწუთას უკან!.. ნუ იღებთ, გენაცვალე, რას იღებთ, რატომ იღებთ?! რა ხდება, გლოვა არ უნდა გვაცალოთ, ხალხო?!! _ გადაირია ქვრივი.

_ ქალბატონო, ჩვენი მიზანია, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართოს! _ იქით შეუტია ანიმ.

_ თქვენ და _ ობიექტურობა?! არა, არა, არა, არა, არა! მიბრძანდით, სასწრაფოდ, გთხოვთ, დაგვასვენეთ! _ კატეგორიულად მოითხოვა ლალიმ.

_ ქალბატონო, მხოლოდ ერთ, ერთადერთ შეკითხვაზე მინდა, მიპასუხოთ: თქვენ გჯერათ, რომ ბატონმა ლევანმა თავი მოიკლა? _ ჰკითხა ანიმ.

_ არა, არავითარ შემთხვევაში, ჩემი ძმა თავს არაფრით არ მოიკლავდა, _ დაასწრო ლიანამ ლალის.

_ თქვენ ლევან იაშვილის და ბრძანდებით? _ გამოცოცხლდა ანი.

_ კი, კი, მაგრამ ლაპარაკი აკრძალული აქვს... მე შენ გიკრძალავ, ლიანა! შენ რომ კიდევ რამე თქვა... _ მიაყარა ლალიმ.

_ მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი: ის თავს არასოდეს არ მოიკლავდა... _ გაიმეორა ლიანამ.

_ ქალბატონო, თქვენ, თქვენ როგორ ფიქრობთ? _ მიმართა ანიმ ლალის.

_ გაწიე იქით! გაწიე ეს კამერა იქით! მოაშორეთ აქედან! ნუ იღებთ, მე თქვენ გეუბნებით! _ აკივლდა ლალი და კამერას სტაცა ხელი.

_ არ ვიღებ, ქალბატონო! ფრთხილად, კამერა არ დამიმტვრიოთ! _ გადაირია ვასიკო.

_ ქალბატონო, ჩვენ ჭეშმარიტება გვინდა დავადგინოთ მხოლოდ, ჭეშმარიტება, მეტი არაფერი... _ გაკვირვებული უმტკიცებდა ანი.

_ თქვენ ოღონდ ჩირქი მოსცხოთ ვინმეს!.. ჭეშმარიტება!.. თქვენ... _ ლალი მურადს მიუბრუნდა, მაგრამ მისი სახელი ვერ გაიხსენა.

_ მურადი, მურადი, _ შეახსენა მურადმა.

_ ბატონო მურად, რატომ მორეკეთ ეს ხალხი, ვინ დაგრთოთ ნება?! _ ხელები გაშალა ლალიმ.

_ როგორ გეკადრებათ, ქალბატონო?! მე რა შუაში ვარ?! ამათ მეოთხე ხელისუფლებას ეძახიან, პრეზიდენტი დაამხეს და მე რას გავხდები ამათთან?.. მიუგდეთ თქვენც ორი სიტყვა და დაამთავრეთ! _ აუხსნა ვითარება მურადმა.

_ რა-ა? ვის უნდა მიუგდოს ორი სიტყვა?.. ჩვენ თქვენ მათხოვრები ხომ არ გგონივართ?!. ჩვენ ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს ვარქმევთ... დიახ და ეგ თქვენი “პაბლაშკები” აქ არავის სჭირდება!.. _ გაცხარდა ანი.

_ მართალია. მეც თქვენს მხარეზე ვარ! _ გამოაცხადა ლიანამ.

_ იცით, რა?.. გაირკვევა ყველაფერი. დავმარხოთ ეს კაცი. არ არსებობს, გამოაშკარავდება, ბოლოს მაინც გამოაშკარავდება ყველაფერი... _ თქვა კოტემ.

_ შენ კიდევ რას დაგიჟინია _ დავმარხოთ, დავმარხოთ!.. დავმარხავთ, მაშ, მიწის ზევით ხომ არ დავტოვებთ! დავმარხავთ და ჩაიფარცხება ყველაფერი. ამისთანები ჩაუფარცხავთ?!. _ უსაყვედურა ძმას ლიანამ.

_ ბატონო მურად, ძალიან გთხოვთ, მომაცილოთ თავიდან თქვენი ჟურნალისტები!.. _ არ ცხრებოდა ლალი.

_ როგორ გეკადრებათ, ესენი ისევე არიან ჩემი, როგორც _ თქვენი... _ იწყინა მურადმა.

_ რას ბრძანებთ, მე მოვიყვანე, მე დავპატიჟე?.. _ შეეკითხა ლალი.

_ ანი, გამომართვი, რა, ეს გასაღები და მანქანაში დამელოდეთ! არ უნდა ამ ქალს თქვენთან ლაპარაკი და ძალით ხომ ვერ ავალაპარაკებთ! ვაცალოთ, მარლაც, ერთი-ორი დღე, დაკრძალოს ქმარი... _ მიმართა ანის მურადმა.

_ ჩვენ კი გავალთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამ საქმეს ძალიან ცუდი სუნი უდის... _ გამოართვა მურადს გასაღები ანიმ.

_ ახალი ამბავი!.. კაცი მკვდარი წევს და _ ამ საქმეს ცუდი სუნი უდისო, გესმით თქვენ?! _ ისევ გადაირია ლალი.

_ ეს საქმე მარტო ამით არ დამთავრდება. აი. ნახავთ თუ არა!.. _ გამოაცხადა ისევ ანიმ.

_ მიბრძანდით, რა, მიბრძანდით! ნუ დამაფლითეთ მთლად ისედაც დაფლეთილი და ბეწვის ძაფზე დაკიდული ნერვები! _ ხელის კვრაზე გადავიდა ლალი.

_ კაი, ანი, წავიდეთ, გვეყოფა! _ სთხოვა ვასიკომ ანის.

_ რა ბრძანეთ?! რა სიტყვა ბრძანეთ?! რას ნიშნავს, გენაცვალე, გვეყოფა? გადაგვიღეთ მაინც, ხომ?!! _ იკითხა დაეჭვებულმა ლალიმ.

_ ქალბატონო, ერთი სიტყვა ვთქვი, რა დაგემართათ?! მართლა ჰქონია ამ კაცს თავი მოსაკლავი, ტო!.. _ აღმოხდა ვასიკოს.

_ მართალია, დიახ, ასე იყო... _ ჩაერია ლიანა და ლალის მიუბრუნდა: _ რა, არა?

ლალის სახე წამოენთო, ხმა ვეღარ ამოიღო, არ იცოდა, რა ეთქვა, რიგ-რიგობით გადახედა ყველას და კუბოში მწოლიარე ქმარს მიმართა:

_ შენი ბრალია ყველაფერი, შენი, დიახ! _ მერე ისევ ანისკენ შებრუნდა: _ გაეთრიეთ აქედან, ჩქარა!

_ მაგის მოკლულია, წყალი არ გაუვა! _ გამოაცხადა ანიმ, როცა ის და ვასიკო მურადის მანქანაში ჩასხდნენ.

_ მოიცა, რა, ხია ეგრევე ბეჭედი!.. _ არ დაუჯერა ვასიკომ. _ ჩამდენმა ერთი ცოდვა დაიდო და დამბრალებელმა _ ათასიო...

_ არ არსებობს, ეგ ისე იღრინებოდა... _ არ დაუჯერა ანიმ. _ ეს “მეგრეს ნაპურჭყნიც” რაღაცას ბლანდავს: ერთი შეკითხვაც არ დაუსვა ჩვენი თანდასწრებით...

_ არ შედის ალბათ გამოძიების ინტერესებში და არ დაუსვა... _ თქვა ვასიკომ.

_ ჰოდა, მოუწევს ფერდებში... _ არ მშვიდდებოდა ანი.

_ რა მოუწევს ფერდებში? _ იკითხა ვასიკომ.

_ დაზელა, სხვა რა?! _ განუმარტა ანიმ.

_ დაზელა? და დამზელი...

_ სხვას ყველაფერს, მაგრამ მაგათ ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის ჩვენი ქვეყანა... _ დარწმუნებით თქვა ანიმ.

_ მდა-ა, ფინთათ ყოფილა მეგრეს საქმე... _ გამოიტანა დასკვნა ვასიკომ.

_ ჰო, მოუწევს, თუ ერთი ადგილის თამაშს არ მორჩება, _ თქვა მშვიდად ანიმ.

_ არ გეზარება, ტო, ეს, ამდენი გამიშვი-დამიჭი?!. _ შეეკითხა ვასიკო.

_ არა! ჭეშმარიტების დასადგენად, ქვას ქვაზე არ დავტოვებ! დიახ! აი, შენ ნახავ. ჰო, რა იყო? მაშ, ამ დაუნის იმედზე ვიყო?! ვერ ატყობ, რა მაგრად არის ჩახლართული? _ ბრძანა ანიმ.

_ ჩერესჩურ, ტო! ეს ვერ უნდა იყოს მთლად თავის მოტორზე, ეს ცოლი... _ თქვა ვასიკომ.

_ მაშ, არავინ დარეკავს?! ერთი ათასი კაცი მაინც ხომ ამოიცნობდა იმ ტიპს. ერთი ზარია საჭირო, სულ ერთი!.. _ თქვა ანიმ.

_ ჰო, ტო. ერთი ჩამშვები, რა ანუ _ შენსავით, ჭეშმარიტების მაძიებელი... _ დაეთანხმა ვასიკო.

_ არა, მთლად მაგის იმედზეც ვერ ვიქნები. ვნახოთ, მურადი რა ამბავს მოიტანს, _ თქვა ანიმ.

_ არ გვეტყვის არაფერს, არ არსებობს... _ უთხრა ვასიკომ.

_ შენ დასპაკოინდი, ვათქმევინებ... მაშ, ესენი რისთვის მინდა?! _ ძუძუებზე ამოიდო ორივე ხელი ქვემოდანAანიმ.

_ ჰო-ო, ეგ მაგარი ბომბები გაჩუქათ ღმერთმა ქალებს!.. _ დაუდასტურა ვასიკომ.

მურადი მალევე გამოვიდა.

_ საყვარელი ჰყოლია თურმე... _ გამოაცხადა, როგორც კი საჭეს მიუჯდა.

_ საყვარელი? მაგ აფთარს... ცოლს, ხომ? _ არ მოეწონა ანის.

_ ცოლს კი არა, ქმარს...Lნუციკო კელაპტრიშვილი, მომღერალი, გაგიგონია?

_ ჭორი იქნება. მოკლა და სხვას უნდა, რომ გადააბრალოს, ალბათ... _ რაში აძლევდა ხელს მულის ამ ამბავში ასეთნაირად გარევა ანის?.. _ ჩვენ თავისუფლებაზე გაგვიყვანე, რა! _ სთხოვა მან მურადს.

_ მე თუ შენ ასე გემსახურე, ჩემს საქმეებს ვინღა მიხედავს?! _ ჩაიბურტყუნა მურადმა.

_ რომელ საქმეებს?! _ თითქოს ვერ მიუხვდა ანი.

_ მკვლელობებს, ძარცვებს, შემომეუპატიურობებს... სამოცდაათი წლის ქალის... _ უპასუხა მურადმა.

_ მადლი მოუსხამს ვიღაცას... _ გაეცინაAვასიკოს.

_ საღამოს, თუ გცალია, _ საათზე დაიხედა მურადმა. _ სადღაც, რვისთვის გავთავისუფლდები...

_ კი, კი, მოვიცლი. რას ჰქვია _ თუ მცალია?! _ გაუხარდა ანის.

_ ოღონდ, ეს თქვენი იარაღი არ დამანახვოთ თვალით, რა! ჯერ ერთი, თავზე დაგვალეწავს და მეორეც: ქალია მაინც, მერე რა, რომ მომღერალია?! ხომ იცი _ ინტიმი, სექსი... ისედაც სულში ხელის ფათური... _ აუხსნა მურადმა.

_ საყვარელი უნდა დაკითხო? _ შეეკითხა ანი.

_ ჰო. მაშ, არ დავკითხო? ცოლმა პირდაპირ იმას დაადო ხელი.

_ მაშინ, შენ დაკითხე, მარტომ, ჩვენ მართლაც ზედმეტები ვართ, ორივე... _ უთხრა ანიმ და დააყოლა: _ თუ გინდა, მერე შევხვდეთ, ცოტა უფრო გვიან... როცა გათავისუფლდები, დამირეკე და...

ასეც შეთანხმდნენ.

ანიმ, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გააფრთხილა ნუციკო _ იმ "სტერვამ" ჩაგიშვა და გამომძიებელს შენი ნახვა უნდაო. მერე კი თაზოც გააფრთხილა _ მარტო არ დატოვო შენი და. უთხარი, გამომძიებელთან ენას კბილი დააჭიროს, რამე სისულეები არ დაფქვასო.

ლოლა, რომელიც ნიკოსთან ერთად რედაქციაში იჯდა,Aანისა და ვასიკოს უცდიდა და წარამარა კედლის საათს უმზერდა. ნერვიულობისგან კალამს მაგიდაზე აკაკუნებდა.

_ ნუ აკაკუნებ, რა, ლოლა, ხელი მეშლება. პირდაპირ ნერვის წვერზე მირტყამ, _ თხოვა ნიკომ.

_ იცით, რა? თქვენ ანებივრებთ და ამიტომაც ბედავს ამდენს, _ გააგრძელა მცირე ხნის წინ დაწყებული ლაპარაკი ლოლამ.

_ რა ვქნა, მაგისნაირ მორბენალს სანთლით ვეღარ მიაგნებ. და საერთოდ, მე ვინ მეკითხება აქ რამეს, ლოლა, აი, შენ მეკითხები?.. _ დააცქერდა ლოლას ნიკო.

_ რა ვქნა, ბატონო ნიკო, ათასად ხომ ვერ გავიჭრები! _ აღელდა ლოლა. _ თქვენ გგონიათ, მე აქ ვზივარ? ჩემი ტვინი ამწუთას ისეთ გადარბენაზეა!.. იქ კონცერტი უნდა წავიყვანო, აქ _ კონკურსი, იქ _ ბავშვი ცურვაზე წასაყვანი, აქ _ ტყემალი და მურაბა თავიდან მოსადუღებელი... ჰო, ჰო, დილას შევდივარ ჩულანში და რა ხდება, იცით?.. მთელი ხუფები ამსკდარა და ისე იყო ეს კედლები მოხატული, სალვადორ დალი მონაგონია იმასთან! არადა, როგორც წიგნში იყო, ყველაფერი ისე გავაკეთე... მე უნდა ვუცდიდე ანის თუ ის _ მე?

ამ დროს კარი გაიღო და ვასიკო შემოვიდა.

_ რატომ დაგაგვიანდათ? _ ჰკითხა ლოლამ ვასიკოს. _ ანი რაღა იქნა?

_ შემოვა. დოდომ დაიჭირა შემოსასვლელში და ეჭორავება. გამომძიებელთან ვიყავით, _ უპასუხა ვასიკომ.

_ მერე, რა გაიგეთ? _ დაინტერესდა ლოლა.

_ რა ვიცი, ანიმ ლამის გაიხადოს და ჩემ თვალწინ დაუწვეს... _ ჩაუშვა ვასიკომ ანი თანამშრომლებთან.

_ "ნაგლი ფრაერ ხუჟე ტანკაო", რა, მაგაზეა ნათქვამი... _ თქვა ლოლამ.

_ მიზანი ამართლებს საშუალებას, _ ჩაურთო ნიკომ.

_ მერედა რა თქვა, რომ, გამომძიებელმა? _ იკითხა ლოლამ.

_ გამომძიებელმა? რა ვიცი, იაშვილის ცოლი უნდა დაეკითხა და იმის სახლში წაგვიყვანა, _ მიუგო ვასიკომ.

_ დაჰკითხა? _ დაინტერესდა ლოლა.

_ ჩვენ გამოგვყარა იმის ცოლმა, მე და ანი... ერთი ამბავი ატეხა, კამერის დანახვაზე, _ თქვა ვასიკომ.

_ მერე რაზე ილაპარაკეს გამომძიებელმა და მაგ იაშვილის ცოლმა, არ იცი? _ იკითხა ლოლამ.

_ რაში გაინტერესებს, ტო?.. რაღაცა ჩახლართული ამბავია. ამ საღამოს კიდევ უნდა შეხვდნენ, _ უთხრა ვასიკომ.

_ ვინ და ვინ? _ გაუკვირდა ლოლას.

_ ანი და გამომძიებელი.

_ შენ?

_ მე?.. მე თავისუფალი ვარ. შენ? _ ანკესი გადააგდო ვასიკომ.

_ რა _ მე? _ ვერ მიუხვდა ლოლა.

_ შენ რას აკეთებ ამ საღამოს? _ ჩაეძია ვასიკო.

_ მორჩი, რა, ბაზარს, არ მოგბეზრდა?! _ როგორც იქნა, მიუხვდა ვასიკოს ლოლა.

_ გინდა, შენ თვალწინ ხარაკირი გავიკეთო? _ დაიმუქრა ვასიკო.

_ კი, ძალიან. მაინტერესებს, რა ფერის ნაწლავები გაქვს... _ მიუგო ლოლამ. _ აუ, რა "საპლიაკი" ხარ, იცი?!

_ "საპლიაკი"?!. _ იწყინა ვასიკომ.

_ ჰო, თუ სარკე არა გაქვს, მე გათხოვებ და ჩაიხედე! _ უთხრა ლოლამ.

_ ა-ა, ფიზიკურად არ მოგწონვარ, ტო?! ცხვირის გამო? _ მიუხვდა ვასიკო.

_ კაი, რა, ვასო, ცხვირი რა შუაშია? ფიზიკურად ძალიანაც კაი ტიპი ხარ, ძალიანაც მაგრად მიყვარხარ, მაგრამ როგორ გითხრა... როგორც მაიმუნი, რა! როგორც პატარა, საყვარელი მაკაკა!.. _ აუხსნა ლოლამ.

_ მაკაკა?! კიდევ კარგი, ორანგუტანგი არ თქვი...

_ მოსულია და ვეღარ შემოაღწია!.. არ უნდა აახიოს კაცმა ლაყუჩები?! _ გაბრაზდა ლოლა ანიზე.

ამ დროს კარი გაიღო და ანიც შემოვიდა.

_ ანი, სად გადაიკარგე?! _ თავი ასწია ნიკომ. _ მოკვდა ნერვიულობით ლოლა.

_ ბატონო ნიკო, ჯერ ერთი, მთელი საათ-ნახევარი ველოდით მანქანას. აი, ვასიკოს ჰკითხეთ, თუ ჩემი არ გჯერათ. ასე არ იყო, ვასიკო?

_ ჰო, რა ვიცი... _ გაუკვირდა ვასიკოს.

_ თანაც, ბრმა ნაწლავის შეტევა მქონდა, იცით, როგორი?! _ განაგრძო ანიმ.

_ აბა, სად გაქვს ბრმა ნაწლავი, მაჩვენე! _ უბრძანა ნიკომ.

_ აი, აქ! _ მარცხნივ დაიდო ხელი დაბნეულმა ანიმ.

_ მანდ რა უნდა ბრმა ნაწლავს?! _ აყვირდა მთავარი რედაქტორი. _ ბრმა ნაწლავი ყველას მარჯვნივ აქვს და შენ _ მარცხნივ?!

_ რა ვიცი, ისე ვინერვიულე, რომ ყველაფერი ამერ-დამერია... _ მონახა გამოსავალი ანიმ.

_ შენ იცი, რა კატეგორიის ქალბატონი ბრძანდები? ბუნინი რომ წერს თავის "ოციან წლებში"... _ დაიწყო თავისი განათლების გადმოფრქვევა ნიკომ.

_ ბუნინი ვინღაა? _ იკითხა ანიმ.

_ "პროლეტკულტის" მწერლები ზეპირად იცი და ბუნინი ვინ იყო, არ იცი, ხომ?.. იცი, რას წერს შენისთანებზე?.. "ეს ქალიშვილები ურცხვად უმზერენ ყველას თვალებში და ისე უტიფრად სტყუიან, მსმენელს თავგზას უბნევენ და აჰიპნოტიზებენო"... _ თავზე ხელები შემოიდო ნიკომ.

_ და გჯერათ, მერე, ეგ თქვენ? _ გულგრილად უპასუხა ანიმ.

_ მჯერა, მჯერა! _ აღელდა ნიკო. _ მე მასწავლებელი არა ვარ, რომ კუთხეში დაგაყენო და, იცი, როგორ დაგსჯი?!. დაჯდები აი, აქ, ჩემს ადგილზე და ექვს საათამდე ფეხს არ მოიცვლი, გაიგე?! ჩვენ კი _ წავედით. სად მივდივართ? _ იკითხა მან.

_ ახალგაზრდა ბებიების კონკურსზე! _ უპასუხა ლოლამ, რაზეც ანიმ გულიანად გადაიხარხარა.

_ რა გაცინებს? _ გაბრაზდა ნიკო.

_ აი, თურმე, რატომ ყრიდით ცეცხლებს პირიდან!.. შიშველი ბებიების ნახვა მოგენატრათ, არა? წადით, წადით, თუ არაფერი გამოგივათ, თვალს ხომ მაინც დაალევინებთ წყალს... _ ჩაიქირქილა ანიმ.

_ უსმინეთ ახლა ამას!.. მარწყვივით გოგოებს თვალს ვარიდებ და ბებიების ნახვა მომნატრებია... _ ხელი ჩაიქნია ნიკომ.

_ წავიდეთ, რა, ბატონო ნიკო, თუ მივდივართ. ისედაც მაგრად დავაგვიანეთ! _ ჩანთას მოკიდა ხელი ლოლამ.

ამ დროს რედაქციის ტელეფონი აწკრიალდა. ნიკომ ყურმილი აიღო და ანფასი აშკარად შეეცვალა.

_ რა დაგემართათ, რა გჭირთ, ბატონო ნიკო? _ განცვიფრდა ლოლა.

_ თუ ერთხელ კიდევ წავა ეთერში თქვენი ანონსი, რომელიც იაშვილის საქმეს ეხება, ისე გაგჭყიპავთ უნიტაზის წყლით, როგორც წუნა გაჭყიპა არწივმა "ჩხიკვთა ქორწილშიო"!.. ეტყობა, მიცნობენ კიდეც... _ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ნიკომ.

_ საიდან დაასკვენით, რომ გიცნობენ? _ შეეკითხა ლოლა.

_ საიდან და “ჩხიკვთა ქორწილი” მიხსენეს, ზღაპარი. იციან, ალბათ, ზღაპრებს რომ ვწერ, _ დაღონდა ნიკო.

_ ხედავთ, რა პოპულარული ხართ?! _ ირონიულად გაეღიმა ანის.

_ ამან ჟურნალისტური ძიება წამოიწყო და უნიტაზის წყლით მე უნდა გავიჭყიპო?!

_ ოჰ, მოგცლიათ ერთი! ყურებზე ხახვი არ დაგაჭრან, _ გაუქარწყლა ეჭვი ანიმ.

_ კი, აბა, შენ ისე გამოგდის, დათვი რომ მისდევს კახელს და ხევსური უყვირის _ სად გარბი, დაკოდილ არს, დაკოდილ არსო!.. _ ჩაფიქრებით თქვა ნიკომ.

ამაზე ყველას გაეცინა.

ნუციკო სავარძელში იჯდა და ტელევიზორს მისჩერებოდა, თუმცა იმას, რაც ეკრანზე ხდებოდა, ვერ ამჩნევდა, რადგან მისი ფიქრები, მთელი ის დღეები, ლევან იაშვილის ცხედარს დასტრიალებდა. თითქოს ყველაფერი დაენგრა, წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. ბედისწერა იყო, მაშ, სხვა რა? შეიძლება ამდენჯერ არ გაუმართლოს ადამიანს? ვერაფრით დაეკავშირებინა ერთმანეთთან, ბედი და მისი პროფესია _ მომღერლობა. ან რისთვის მომცა სიმღერის ნიჭი ღმერთმა, ან რაღად მიკრძალავსო?! _ ფიქრობდა. ოთახში, ხელში ყავის ჭიქით, ანი შემოვიდა, ფანჯარასთან დადგა და ქუჩაში დაიწყო ყურება, სადაც ბავშვები გორგოლაჭებით დაქროდნენ. ერთ-ერთი მათგანი ბასაც იყო.

_ შენ ჩაუშვი ბასა? _ იკითხა ანიმ ისე, რომ მულისკენ არ მიუხედავს.

_ კი, გაკვეთილები მოვამზადეო, _ უპასუხა ნუციკომ.

_ ერთხელაც მოიტეხს კისერს, ნახე, როგორ დაქრის...

_ ჰო, მაგრად დაამხეცა... ანი, შენ იცი, ფეხმძიმედ რომ ვარ? _ თქვა უცბად ნუციკომ.

_ რა? _ ვერ დაიჯერა ანიმ.

_ უნდა გავაჩინო, _ თქვა Lნუციკომ.

_ რა? _ ლამის იყვირა ანიმ.

_ უნდა გავაჩინო! _ გაიმეორა ნუციკომ.

_ გაგიჟდი? _ ანიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

_ არ ვიცი... ვიცი, რომ უნდა გავაჩინო, _ თქვა Lნუციკომ.

_ ნუცო, შენ მართლაც ვერა ხარ, ეტყობა... მესმის, ორმოცი ან ორმოცდაათი წლის იყო... ან შვილი რომ არ გყავდეს, კიდევ მესმის... _ დაიწყო ანიმ.

_ კაი ერთი... ეგ რა შუაშია... მე ის კაცი მიყვარდა... მიყვარდა, გესმის? და მისი შვილი მინდა გავაჩინო... _ გამწარდა Lნუციკო.

_ მოიცა, მოიცა, ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტი არ არის, ასე ნუ იფიქრებ... _ წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდა ანი.

_ მაშ ვისი გადასაწყვეტია, ღმერთის? _ ირონიულად იკითხა ნუციკომ.

_ არა... _ თქვა ანიმ.

_ გაჩუმდი რა, გაჩუმდი! ვიცი, რაც უნდა მითხრა და რა მაგალითებიც უნდა მომიყვანო... _ შეაწყვეტინა ნუციკომ.

_ აღარ გინდა, რა, ნუციკო, მეორე ცოდვას ნუღარ დაიდებ! _ ხვეწნით სთხოვა ანიმ.

_ რა? _ გამწარდა Lნუციკო. _ მეორე ცოდვას? პირველი ცოდვა რომელია? ევამ რომ გველს ვაშლი შეუჭამა? ანიმ ხმა არ გასცა.

_ რას გაჩუმდი? ამოიღე ხმა...

_ არა, ვაშლი არა! შენ მშვენივრად იცი რაზეც არის ლაპარაკი... _ დასერიოზულდა ანი.

_ რა? _ მაგრად გამწარდა ნუციკო. _ შენც ასე ფიქრობ? შენც მე მაბრალებ, ანი? მე მაბრალებ, ხომ? მე მოვკალი დედაჩემი, არა? მე რა შუაში ვარ, მე რა უნდა მექნა, ანი! შენ იცი, მე რა გამოვიარე? ზოგჯერ მთელი სამი ღამე არ მომიხუჭავს თვალი, ზედიზედ სამი ღამე... შენ იცი, როგორ მიყვარდა დედა? მე იმათ სამჯერ გამოვექეცი... რა, არ შეეძლოთ მოვეკალი? შენ გამოექცეოდი? გაბედავდი? ვინ მიმაბრუნა სამჯერვე უკან? ვინ ჩამივარდა ფეხებში? დედაჩემი... ჰო, ჰო, ეშინოდა, არ მოვეკალი... მე მინდოდა ქურდის ცოლობა? ქურდის ცოლი... სად იყო მაშინ მამაჩემი. რატომ არ აიღო თავისი დანა და არ გამოიქცა მოსაკლავად?

_ იმიტომ, რომ გეამაყებოდა, კლასში ქურდი რომ გყავდათ და შენ უყვარდი... _ თითქოს ჯიბრით უთხრა ანიმ.

_ მესმოდა მაშინ რამე, ანი? მესმოდა? იქნებ მეამაყებოდა კიდეც, მაგრამ იმას ხომ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მომიტაცებდა... შენ იცი, რომ მე, სულ ბავშვობიდან, სულ პატარაობიდან, რა ვიცი, ალბათ ხუთისაც არ ვიყავი... ლევანი რომ შემიყვარდა...

ანის გაეცინა.

_ სასაცილოა არა? ჰოდა ვაჩენ...

_ გააჩინე! მაგრამ, იცოდე, ახლა მამას დაკარგავ. ახლა ის ვერ გადაიტანს, _ უთხრა ანიმ.

კარზე ზარი დაირეკა. ანი მივიდა და გააღო. ბასა ოთახში, გორგოლაჭებით ხელში, ოთხფეხზე შემობობღდა.

_ რა ხდება, ბასა, ეს როგორ ამოგანგლულხარ? დადექი ფეხზე, რას შვრები? _ განცვიფრდა ანი.

_ ანი, ფეხი მომტყდა, _ შესჩივლა ბასამ ქვემოდან.

_ ფეხი მოგტყდა? რა?

_ თუკა დამეჯახა. ჩემი ბრალი არ იყო...

მათ ლაპარაკზე Lნუციკომ გამოიხედა.

_ რა ხდება?

_ ფეხი მოვიტეხეო..

_ როგორ? _ ვერ დაიჯერა Lნუციკომ.

_ თუკა დამეჯახა, ვერ ვადგამ! _ ახლა Lდედას შესჩივლა ბასამ.

_ მოკიდე ხელი! _ სთხოვა ნუციკომ ანის. _ ერთი დღე, ერთი დღე მაინც დაგვასვენე, ბიჭო! ხელი _ მოტეხილი, ლავიწის ძვალი _ ჩატეხილი, ფეხი _ მოტეხილი... რა არის, ყველაფერი უნდა მოიტეხო, თუკი რამ გაბია ტანზე?

ანიმ _ ფეხებში, ნუციკომ კი, იღლიებში მოკიდა ხელი ბასას და ოთახში შეათრიეს.

_ აუ, აუ! მანდ ნუ მკიდებ, რა, მტკივა! _ აბღავლდა ბასა.

გაიოზი, რომელიც სამზარეულოში წყლის ნიჟარასთან იდგა და თევზს ასუფთავებდა, დანით და თევზით ხელში გამოვიდა.

_ ვინ მოვიდა? _ იკითხა მან და დაინახა, თუ როგორ მიათრევდნენ ქალები ბასას.

_ მოფოფხდა. ამბობს, ფეხი მაქვს მოტეხილიო, _ აუხსნა ანიმ.

_ ვა, მოტეხილი მაქვს და არ ვთქვა? _ წამოიკნავლა ბასამ, რომელიც დივანზე დააწვინეს.

_ არ იტირო, ახლავე შევამოწმებ... _ გაიოზი სამზარეულოში შებრუნდა და დანა და თევზი ნიჟარაში ჩაყარა. _ არ დაგაცლიან არაფერს. დავიწყებ ერთს, ვაკეთებ მეორეს. დავიწყებ მეორეს, ვაკეთებ მესამეს...

ხელები გადაიბანა და ბასასთან გავიდა. ქალებს ბასასთვის ფეხსაცმელი გაეხადათ,

_ აბა, მიმიშვით! აბა, რა გტკივა? _ შეეკითხა გაიოზი.

_ ფეხი, _ და ბასამ ნატკენ ფეხზე ხელი წაივლო, _ აი აქ.

_ აქ? _ შეეკითხა გაიოზი და ნატკენზე ხელი დაადო.

_ კი... ჰო, მანდ, ნელა! _ შეეშინდა ბასას.

_ ჰოო, კარგად გაგსივებია. ძარღვებია აყრილი. გადაგიბრუნდა? _ შეეკითხა გაიოზი.

_ ჰო, გადამიბრუნდა და თუკას დავეჯახე... _ ამოიოხრა ბასამ.

_ წეღან _ დამეჯახაო, ახლა შენ დაეჯახე. ნუ ჩაუშვებთ დაბლა თქვენც, ხომ ხედავთ რომ თარსია? _ თქვა ანიმ.

_ მოტეხილი არ ჰქონდეს, _ თქვა ნუციკომ.

_ არა, რა მოტეხილი, ერთხელ და ორჯერ კი არ გადამბრუნებია... სამი დღე უნდა და მერე, ჩვეულებრივ, გაივლის. დაადეთ ცივი კომპრესები, რაღას უყურებთ? _ მიუტრიალდა გაიოზი ქალებს.

_ სამი დღე? _ თავი წამოსწია ბასამ.

_ ჰო... _ დაუდასტურა გაიოზმა.

_ ურაა! სამი დღე სკოლაში არ წავალ... _ ლამის ფეხზე წამოხტა ბასა.

_ არანორმალურია. იმის ნაცვლად, ეწყინოს, გაუხარდა სკოლაში რომ ვერ მიდის, _ ხელი ჩაიქნია შვილიშვილზე გაიოზმა და სამზარეულოში გავიდა.

_ როგორ ჩაუშვი, ვის გაუგია ასეთ ამინდში როლიკებით სრიალი? _ უსაყვედურა ანიმ მულს.

_ ვუშვებდი? შენ გგონია, ვუშვებდი? მომაწვა, მომაწვა, როგორც ტანკი! _ გამწარდა ნუციკო.

_ დამადეთ რა, კომპრესი! _ შეეხვეწა ბასა ქალებს.

ნუციკო სამზარეულოში შევიდა, სუფთა ტილო მოძებნა და ონკანს დასასველებლად შეუშვირა. გაიოზი დანით თევზს კანს აცლიდა.

_ კომუნისტებს ერთი ასეთი ლოზუნგი ჰქონდათ: “ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს”... _ დაიწყო გაიოზმა.

_ და ყველაფერი პირიქით რომ იყო, არა? ჩვენს სახლში რა, ასე არ არის? მე მომაქვს, ანის მოაქვს, თაზოს მოაქვს, შენ კი ყველაფერს მუცელში იყრი... _ ეწყინა მამის უმადურობა ნუციკოს.

_ ჰო, თუკი სამი ათას დოლარს წაიღებთ, ორ პურს უკან შემოიტანთ. აბა, რა? _ სხვა რამის თქმა სურდა, თურმე, გაიოზს.

_ გინდა სიმართლე იცოდე? _ შეეკითხა ნუციკო. _ ის ფული მე ავიღე და გავაპროცენტე. როდემდე უნდა ყოფილიყო ოქროსავით ტყუილად მიწაში ჩამარხული?

_ რა? შენ რა, მევახშეობაც დაიწყე? _ ძალიან გაუკვირდა გაიოზს ნუციკოს ნათქვამი.

_ შენს ხელში, მამა? კაი რა! _ გამწარდა ნუციკო.

_ ნუციკო, რას აკეთებ, რით ვერ დაასველე ეგ ტილო? _ მოისმა მისაღებიდან ანის ხმა.

ნუციკომ ტილო გაწურა და ბავშვთან გავიდა, რომლის ფეხებთანაც გულხელდაკრეფილი იჯდა ანი.

_ ცოტა გადააბრუნე ეს ფეხი! _ სთხოვა ბასას ნუციკომ.

ბასამ ტერფი გადასწია. ნუციკომ ტილო დაადო.

_ აუ, რა ცივია! _ გააჟრჟოლა ბასას.

_ ახლა სამი დღე უნდა იყოს გაბრტყელებული, ეს, შინ? _ იკითხა ანიმ.

_ ანი, მე პანაშვიდზე მინდა წავიდე, _ თქვა Lნუციკომ.

ისეთი ქალაქისთვის, როგორიც თბილისია, ეს უკვე ნამდვილი სიგიჟე იყო.

_ პანაშვიდზე? _ ძლივს ამოღერღა ანიმ, რადგან მიხვდა, რომ ვეღარავინ გადააფიქრებინებდა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას ნუციკოს. _ შენს ადგილზე, მე არ წავიდოდი, _ თქვა მან და პასუხს დაელოდა.

_ უნდა დავემშვიდობო... _ მოკლედ მოჭრა Lნუციკომ.

_ რა აუცილებლობაა, გაშოტილი ნახო კუბოში ორმეტრიანი კაცი, რომელიც გიყვარდა? _ თქვა ანიმ და თავისი ნათქვამის თვითონვე შეეშინდა.

_ ხომ იცი, რაც არ უნდა თქვა, ვერ გადამაფიქრებინებ, _ მაშინვე გადაუწურა წყალი ნუციკომ.

_ მამაშენიც დღეს აპირებს იქ გასვლას, _ უთხრა ანიმ.

_ ერთად მივდივართ, _ თქვა Lნუციკომ.

_ მამასთან ერთად? არაა?! _ გადაირია ანი.

_ რა არა, რა?! მინდა, რომ იცოდეს, გესმის? მინდა, ყველაფერი იცოდეს! _ აკივლდა ნუციკო.

ბასამ ყურებზე ხელი აიფარა და თვალები დახუჭა.

_ და რატომ, რატომ? _ ვერაფერს მიხვდა ანი.

_ არ ვიცი, არ ვიცი... გიჟად ჩამთვლი, რომ გითხრა.

_ მითხარი. მაინც გიჟად გთვლი, ისედაც, უკვე...

_ მეშინია, იქ რომ შეხვდნენ ერთმანეთს, საიქიოში და ამან არაფერი იცოდეს...

_ ნუცო, შენ ექიმი გჭირდება, გეფიცები, ნამდვილად ექიმი გჭირდება. უკვე ძალიან მაგრად გარეკე, იცი? _ დამარწმუნებლად უთხრა ანიმ.

_ რატომ? შენ გგონია, არ არსებობს საიქიო? _ გაეცინა ნუციკოს.

_ არა! პანაშვიდზე, წესით, არც შენ უნდა მიხვიდე და არც ეს... თქვენ კიდევ ორივე ერთად აპირებთ მისვლას... ეს სიგიჟეც აღარ არის... ეს რაღაც დამთხვეულობაა... _ საფეთქელთან მიიტანა თითი ანიმ.

ოთახში გაიოზი შემოვიდა.

_ რა არის, რა გაყვირებთ?! _ გაუბრაზდა ის რძალ-მულს.

_ გადით, რა! _ სთხოვა ბასამ ყველას.

_ გავიდეთ, არ გშიათ? ხომ უნდა მივასწროთ პანაშვიდს? შენ თუ არ დააგვიანე, ისე არა აქვს ფასი არსად მისვლას, ხომ... როდის შენ ჩაიცვამ და მოემზადები!? _ გაუწყრა შვილს გაიოზი.

_ სამი წუთი მინდა სულ! _ თქვა ნუციკომ, რაც გაიოზს ძალზე გაუკვირდა.

მთლად გემოვნებით არა, მაგრამ, ასე თუ ისე გამოპრანჭულმა ანიმ მურადის კაბინეტის კართან ერთხელ კიდევ გადაამოწმა თავი სარკეში და კარი შეაღო. მურადი, რომელიც რაღაცას დიდი წვალებით წერდა ქაღალდზე, ანის დანახვაზე შეხტა და იმ წამს საათზე დაიხედა.

_ მე არ უნდა დამერეკა,Aანი?

_ გეწყინა ჩემი დანახვა? _ ოდნავ გაიბრუნჩა ანი.

_ არა, არა, რატომ? პირიქით, პირიქით, აი იქ, პირდაპირ დამიჯექი, _ ანიშნა მურადმა.

_ რას აკეთებ? _ იკითხა ანიმ, როცა სკამზე დაჯდა.

_ რაღაც გაუპატიურება შემომტენეს. მაგარი საზიზღრობაა.

_ გაუპატიურება საზიზღრობაა?

_ კაცს რომ გააუპატიურებენ, არ არის საზიზღრობა?

_ ააა...

_ არა, კაცებმა კი არა, გოგოებმა გააუპატიურეს თანაკურსელი ბიჭი, ჰო, მომისმინე, ახლა, მომისმინე! ჰო გააუპატიურეს, ვიღაცის დაბადების დღეზე... არა, თასმა კი არ წაუჭირეს... უბრალოდ, ეს ბიჭი ვაჟიშვილი იყო და ნასკვი გაეხსნა, როგორც ხდება ხოლმე, მაგრამ დაუჩირქდა ამ საწყალს... იშვიათად, მაგრამ ხდება ალბათ, ასეთი

რაღაცეებიც... იქნებ ამ გოგოებისგან ინფექციაც აიკიდა... რა ვიცი, მოკლედ, ამ ბიჭს მოაჭრეს, ჩემო კარგო!

_ მოაჭრეს? ისედაც რა ცოტასღა აქვს და... _ იშაყირა ანიმ.

_ შენ გეხუმრება და იმათაც ჰკითხე... ახლა დედამისი ჩივის, ოცი ათასამდე მაინც სჭირდება ოპერაციას, რომლის ფულიც მათ არა აქვთ...

_ მერე?

_ გოგოები გაიძახიან, არ გვიცხოვრია, ცისფერია, როგორო? ახლა მე უნდა გამოვიძიო, იცხოვრეს თუ არ იცხოვრეს... არადა, ეს გოგოები სკოლის წლებიდან ჟიმაობენ... აი, შენი კი ვერაფერი გავიგე... ქალიშვილი ხარ? _ გადმოხტა მურადი თავის პრობლემებზე.

_ ახლა, სტოპ!

_ შენ რომ გხედავ, სისხლი, ჯერ დაბლიდან ამოვა ტვინამდე, მერე უკან ჩამოვა... ამოვა, ჩამოვა... _ ახლა სექსუალურ თემაზე გადავიდა გამომძიებელი.

_ გინდა, დაგამშვიდო? ოღონდ არ გატოკდები, იცოდე, მაგ სკამზე იჯდები, როგორც ზიხარ! _ ჩანდა, რომ ანიმ რაღაც არაორდინარული ჩაიფიქრა.

_ კარგი! _ დაინტერესდა მურადი.

ანიმ პერანგი ჩაიხსნა და ცალ მხარეს გადაიწია., მის მკერდზე, შიშველი, მკვრივი ძუძუ ასხმარტალდა.

_ აი!!!

მურადი სკამიდან ღმუილით წამოვარდა და მისკენ გაიქცა. ანიმ სკამი გამოუწია და გასხლტა. მურადი სკამს წამოედო და დაეცა. ანიმ მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან გამომძიებლის იარაღი ამოიღო და ღილაკი გახსნა.

_ არ მომეკარო! _ იყვირა მან და იარაღი აღმართა.

მურადი მძიმედ წამოდგა, ფეხი ნატკენი ჰქონდა. რომელმა სკამმაც წააქცია, იმავე სკამს დაეყრდნო და დაჯდა.

_ ეს ვის გადავეყარე... რა გინდა, მაშ, გამაგებინე, რა ჯანდაბა გინდა? კაცობა გინდა დამაკარგვინო?

_ პირიქით, მაგრამ მოთმინება იქონიე... მოთმინება, მოთმინება და კიდევ მოთმინება... მე ხომ გითხარი, "წერპი, კაზაკ, ატამანომ ბუდეშ!" _ ანი მაგრად შევიდა როლში. ცალი ხელით ერთი წამით კიდევ გამოაჩინა ძუძუ, მეორეთი კი, რომლითაც მაღლა აწეული იარაღი ეჭირა, შემთხვევით სასხლეტს გამოჰკრა თითი. გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. სინათლე ჩაქრა.

სიბნელეში ანის მურადის ღმუილი მოესმა.

_ გაგიჟდი? დადე იარაღი, დადე! _ მურადმა კარი გამოაღო, საიდანაც სინათლე შემოვიდა. იარაღი მაგიდაზე იდო, ხოლო ანი ცალფეხაწეული კუთხეში იდგა და იარაღს შეშინებული უმზერდა. _ ასე ხომ მარტო კაცობას კი არა, სამსახურსაც დამაკარგვინებ, გაგიჟდი?A_ მურადი ჯერ კიდევ შოკში იყო.

რვა საათს გადაცილებული იყო, ამიტომ განსვენებული ლევან იაშვილის ბინაში, კანტიკუნტადღა თუ გამოჩნდებოდა სამძიმარზე ახლობელი. საპანაშვიდო რიტუალი მიმთავრებული იყო და ჭირისუფალმა ცოტა სული მოითქვა. ლიანა და კოტე სამზარეულოში სამარხვო ლობიოს ჭამდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. ასე კამათობენ იმ დროს, როცა მოკამათეებს არ სურთ, რომ მათი საუბარი მეზობელ ოთახში მყოფებმა გაიგონონ და სიტყვებს ჯიუტად, სწრაფად, სისინით და ჩურჩულით წარმოთქვამენ.

_ მაგას რომ ვუსმინოთ, ქელეხი დრომოჭმული ტრადიციაა და საერთოდ არ უნდა გავაკეთოთ, _ აცხადებდა კოტე, მიცვალებულის ძმა. _ ასორმოცდაათ კაცზეო, რომ

გაიძახის და ვირზე რომ შეჯდა და აღარ ჩამოდის, ასორმოცდაათი კაცი, მარტო ჩემიანი მოვა...

_ გახსოვს, როგორი პატარძალი იყო? სულ ღიმილი რომ ეფინა სახეზე და ისე შემოგიძვრებოდა და შემოგივლიდა, თვითონაც ვერ მიხვდებოდი ვერაფერს... _ ამბობდა ლიანა. _ მერე დაიდო კოპები, დაიდო, გაიმსხვილა და "ნორკას" აღარ კადრულობდა, მარტო "ლეოპარდი" ეკერა პირზე. შეჭამა ცოცხლად კაცი, შეჭამა. რატომ გამოექცა და აქ მარტოდ ყოფნა რატომ ამჯობინა, თუკი ისეთი ანგელოზი იყო, როგორადაც თავი მოაქვს?

_ სამას კაცზე მაინც უნდა გაკეთდეს... მინიმუმ... ვერ ნახე, პირველი დღეა და მილეთის ხალხი მოვიდა?! _ თქვა კოტემ.

_ რატომ არ გამოდის ახლა, რა გგონია? _ გააგრძელა ლიანამ. _ ჩემს ძმას გლოვობს ვითომ? არ გვკადრულობს, არა... დავმარხავ ჩემს ძმას და მე აქეთ გამომხედავი აღარ ვარ. აი ნახავ, ეს თვითონ ისე მოკვდება და ჩაძაღლდება, რომ ერთ ცრემლს არავინ გააყოლებს, აი ნახავ...

_ იცი, როგორ მოვიქცევი? ჩემიანებს, მეგობრებს, ნათესავებს ცალკე გავუშლი სუფრას. მაშ უკან ხომ არ გავაბრუნებ, არა? _ თავისას ამბობდა კოტე. _ თვითონ დაჯდეს და თუ ყველა მტერი, მტერიაო, როგორც ამბობს, რამდენ კაცზეც უნდა იმდენზე გაიშალოს და იქელეხოს... მაგას რომ არ გადაჰყროდა ჩემი ძმა, ახლა ცოცხალი იქნებოდა. თუ გინდა, პირშიც ვეტყვი ამას, განა ვერ ვეტყვი...

_ არ გამოვა, მე თუ არ ვუთხარი, არ იკადრებს... არ ვეტყვი. ნუ გამოვა. რომ დამინახავს, პირკატა ეცემა ხოლმე. რა გველი შევუწვი, ვერ გავიგე... _ ცხარობდა ლიანა.

მეორე ოთახში კუბოსთან პირგამეხებული იჯდა ლალი და მკვდარ ქმარს რასაც უნდოდა, იმას ეუბნებოდა. ქმარი აღარ ეკამათებოდა, თუმცა ლალიმ მშვენივრად იცოდა, რომ ლევანი არ ეთანხმებოდა.

_ თავი მოიკალი, არა?! _ ეკითხებოდა ლალი მიცვალებულს. _ მაჯობე ხომ, შენი ჭკუით... ახალი ჭორების საბაბი მიეცი არა ხალხს... შური იძიე, არა?! აი მე ცოცხალი ვარ, შენ კი მკვდარი, რომელია გამარჯვებული?.. არ მეშინია შენი, არა! ცოცხლის არ მშინებია და მკვდრისა შემეშინდება? მუდამ რომ გემოვნებას მიწუნებდი, ეს კაბა როგორ მოგწონს _ არ მიხდება შავი ფერი? სამაგიეროდ, შენ გიხდებოდა ყველაფერი. კუბოც კი მოგიხდა. კმაყოფილი ხარ? გამომექეცი არა?! მე კი გამომექეცი, მაგრამ სიკვდილს რომ ვერსად გაექეცი? მარწუხებში გყავარ, მარწუხებში გყავარო... ახლა? თავისუფალი ხარ? რატომ არ უნდა მცოდნოდა ვითომ, სად დაეხეტებოდი? ცოლი ვიყავი და უნდა მცოდნოდა. ვიცოდი და მაინც მატყუებდი. მე უტვინო ვიყავი და შენ ჭკვიანი, არა?! მეც გატყუებდი, ძვირფასო, მაგრამ შენ არაფერი იცოდი. შენ ჭკვიანი იყავი და მე უტვინო. რომელი აღმოჩნდა ჩვენ შორის ჭკვიანი?

კარი გაიღო და ოთახში გაიოზი და ნუციკო შემოვიდნენ. ლალი, რომელიც აქამდე დუმდა და ცხედარს გაქვავებული სახით უმზერდა, ხმამაღლა ალაპარაკდა.

_ ლევან, ნახე, შენი ხასაც გამოჩნდა, _ ერთი შეხედვით, მშვიდად წარმოთქვა ლალიმ. _ მამიკომ მოიყვანა. ადექი, ბიჭო, შეეგებე, გადაეხვიე, გადაკოცნე! რაღას უყურებ, რატომ არ დგები? ჩემი გერიდება? ცოცხალს არ გერიდებოდა, ჩემს ლოგინში იწვენდი, ჩემ თეთრეულში... _ და მან ნუციკოს გამომწვევად შეხედა, ალბათ ისე, როგორც ერთ დროს, დუელში იწვევდნენ მეტოქეს. _ რა, ასე არ იყო?

ნუციკომ ხმა არ გასცა. გაიოზი კი მოულოდნელობისგან მეხდაცემულივით ადგილზე გაშეშდა, დაიბნა. ხან შვილს უყურებდა, ხან ლალის, ხან კი ცხედარს და წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. "ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავი", _ გაიფიქრა მან და ბედის ირონიას მინებდა.

ნუციკო ამაყად შედგა კუბოს თავში და დაჟინებით დააცქერდა მკვდარ საყვარელს. ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ ორ დღეში სიკვდილს მთლიანად შეეცვალა ლევანი.

_ მშვიდობით! _ თქვა მან და კუბოს შემოვლა განაგრძო.

ლალი წამოხტა და ნუციკოს დაწყებული დამშვიდობება განაგრძო.

_ მშვიდობით, ლევან, მშვიდობით! მშვიდობით-თქო, შენც უთხარი, ბიჭო, დაემშვიდობე! მე თუ მძულდი, ამას ხომ უყვარდი? ხედავ, როგორ ჰყვარებიხარ? მეც კი არ მომერიდა, მოვიდა და დაგემშვიდობა. რა რომანტიკულია, რა საოცარია... აინტერესებდა ამ ბოზს, აქ რა ხდებოდა და მოვიდა... აი მკვდარი წევს... სახე მთლად გაუშავდა. აი, დაადე ხელი, _ და ლალიმ ხელი დაადო შუბლზე ცხედარს. _ ნახე, მთლად გაუქვავდა... ქვა არი, ქვა... ცივი ქვა. ცოცხალი შენი იყო. მკვდარი ჩემია. თუ მკვდარიც გინდა, რომ წამართვა? წაიღე! შენი იყოს, მიჩუქნია. ან იქნებ საფლავშიც გინდა რომ ჩაჰყვე? საწოლისგან განსხვავებით, კუბოში სიამოვნებით დაგითმობთ ჩემს ადგილს, მის გვერდით. _ თქვა მან და პასუხს დაელოდა.

_ ლალი, რეებს ამბობ, ეს ხომ ნუციკოა, ჩემი შვილი? _ მაინც ვერ დაიჯერა გაიოზმა მის თავს დატრიალებული დროის მეტამორფოზა,

_ რა თქვი, გაიოზ? _ გაეცინა ლალის. _ შენ გგონია, მე შევიშალე? მეც ვხედავ, რომ ნუციკოა... ეს შენ არ იცი, თორემ მთელმა ქალაქმა იცის, რომ Lნუციკო, ჰო, შენი შვილი, ლევანის საყვარელი იყო, ამ შენი მეგობრის...

_ წავიდეთ, მამა! _ ცივად თქვა ნუციკომ. _ მე თქვენ ბევრად დიდსულოვანი მეგონეთ, ქალბატონო ლალი! თქვენ კი ჩვეულებრივი "მეშჩანკა" ყოფილხართ _ ისეთივე, როგორიც ნახევარი თბილისი.

_ ეგ იმიტომ, რომ გაიოზთან ჩაგიშვი, არა? _ გამოწვევას ცდილობდა მიცვალებულის კანონიერი ცოლი.

_ მე კი მსურდა, თქვენთვის სამძიმარი მეთქვა, რომ ძალიან, ძალიან სამწუხაროა, ლევანის ნაცვლად, თქვენ რომ არ წევხართ ამ კუბოში... _ თქვა ნუციკომ და თავისი ნათქვამის თვითონვე გაუკვირდა.

_ გაიოზ, ახლა რომ ენაჩაყლაპული დგახარ და ხმას ვერ იღებ, მითხარი, არ იცოდი შენ ეს ამბავი? მართლა არ იცოდი? _ ნიშნის მოგებით დაუსვა შეკითხვა გაიოზს ლალიმ.

_ წავიდეთ, ნუციკო! _ თქვა ჩუმად გაიოზმა და კარისაკენ დაიძრა.

_ ამის წყალი გადაგსხმოდეთ, ამ ვაჟბატონის... _ დაადევნა ლალიმ მამა-შვილს. ნუციკოს მწარედ გაეღიმა და ზიზღით გამოხედა ლალის.

_ მე შენ მაინც გაგსრეს მატლივით! _ ლალიმ ერთი სურვილი კიდევ მიაყოლა ზურგში მამა-შვილს და კარისაკენ უნერწყვოდ გააფურთხა.

ამ ნამდვილი კატასტროფის შემდეგ, გვიან საღამოს, ნუციკო და გაიოზი უხმოდ მიუყვებოდნენ გამსახურდიას გამზირს. განათებული კაფეები და ვიტრინები თანამედროვე ევროპული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

_ ნუციკო, მითხარი, მართალი იყო ის დედაკაცი? _ ჰკითხა შვილს გაიოზმა.

_ კი, _ მძიმედ თქვა ნუციკომ.

_ იცი, მე ჯერ ასე მაგრად არასოდეს არაფერი მტკენია. იცი, მე ფეხქვეშ მიწა გამომეცალა... მართლა, მართლა...

თუმცა გაიოზმა რაღაც სისულელე თქვა, ნუციკო მიხვდა, რომ მაინც არც ისე წვიმდა, როგორც ქუხდა და რაღაც ძალიან გაუხარდა; გაუხარდა, რომ რაღაც გრძელი, გაუთავებელი ფიქრის ბილიკი გაწყდა, რაღაც ახალი და კარგიც კი იწყებოდა, თუმცა რა იყო ეს კარგი, ვერ გაეცნობიერებინა. იქნებ ჯერ კიდევ გრძელდება დედობის

ინსტიტუტით გამოწვეული მარადიულობის ეფექტი, ან იქნებ მართლაც არსებობს ბედისწერა, წინასწარ განსაზღვრული მიზეზშედეგობრიობა? ეშმაკმა უწყის. მოუნდა, მამას მოფერებოდა, მაგრამ მის ჩაფიქრებულ და ეჭვებით გატენილ პროფილს რომ შეხედა, გადაიფიქრა და მასთან ხელკავგაყრილმა მშვიდად განაგრძო სიარული.

_ გაიოზ, გინდა, აქ სადმე კაფეში შევიდეთ? _ შესთავაზა მან მამას.

_ პირიქით, სახლში მინდა მივიდე, რაც შეიძლება სწრაფად... _ მიუგო გაიოზმა.

ნუციკომ მანქანას ხელი აუწია. მანქანამ დაამუხრუჭა. საჭესთან თაზო იჯდა და ნუციკო მიხვდა, რომ ძმას ის, ასეთ კრიტიკულ მომენტში, არ მიეტოვებინა. თაზომ ნუციკოს თვალი ჩაუკრა და გაიოზს წინა კარი გამოუღო. გაიოზი ჩაჯდა და თაზოს გამომცდელად დაუწყო ყურება. თაზო გზას აკვირდებოდა... თან დას უყურებდა სარკეში.

_ სად მივდივართ? _ იკითხა მან.

_ სახლში, _ თქვა გაიოზმა. _ მეშინია, ვინმე არ შემხვდეს... კუბოც კი შემშურდა იმ კაცის, კუბო... _ და უცებ გაიოზმა ტირილი დაიწყო, ხმამაღლა, როგორც კაცებმა იციან ტირილი, ღრიალით.

თაზომ აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა ფეხი.

მურადი დასაკითხად ნუციკო კელაპტრიშვილს, ლევან იაშვილის საყვარელს ესტუმრა. კარი ბასამ გაუღო. ის დიდი წვალებით მიბობღდა კართან, რადგან ფეხი ჯერ კიდევ სტკიოდა. ბასა უცხოს არ ელოდა და გაკვირვებულმა შეხედა.

_ ნუციკო აქ ცხოვრობს, ბიჭი, კელაპტრიშვილი? _ იკითხა მურადმა.

_ დიახ, დედაჩემია, _ უპასუხა ბასამ.

_ დაუძახე, რა! _ სთხოვა მურადმა.

_ შინ არ არის, _ თქვა ბასამ.

_ სხვები? უფროსებიდან არავინ არის? _ ჩაეძია მურადი.

_ არა, მე ვარ მარტო.

_ მალე მოვლენ?

_ დიახ, ალბათ. პანაშვიდზე არიან წასულები.

_ პანაშვიდზე? დედაშენიც? _ გაუკვირდა Aმურადს.

_ დიახ, _ უპასუხა ბასამ.

_ შემომიშვებ? _ შეეკითხა მურადი. _ მე აუცილებლად უნდა ვნახო დედაშენი.

_ ვინ ბრძანდებით? _ არ მოერიდა ბასა.

_ ჟურნალისტი ვარ, ინტერვიუ უნდა ავიღო, _ უპასუხა მურადმა.

_ შემობრძანდით, ოღონდ ჯერ ფეხსაცმელები კარგად დაიწმინდეთ.

_ ოჰო! _ მურადმა ფეხსაცმელზე დაიხედა და ბასას მითითება შეასრულა. ბასამ ის კოჭლობით მიაცილა და სტუმარს პირდაპირ ნუციკოს ოთახში შეუძღვა.

_ ეს Lნუციკოს ოთახია. აქ შეგიძლიათ დაელოდოთ, _ უთხრა მურადს ბასამ.

_ ფეხზე რა დაგემართა? _ შეეკითხა მურადი.

_ გადამიბრუნდა. ძარღვები მაქვს აყრილი, _ ამაყად უპასუხა ბასამ და გამოვიდა. კარი ღია დატოვა.

მურადმა გამომძიებლის თვალით გადაამოწმა იქაურობა.

კედლებზე ნუციკოს სურათები ეკიდა _ ესტრადის მომღერალი სხვადასხვა სცენაზე, მარტოც და სხვა ცნობილ მომღერლებთან ერთადაც.

კარზე ზარმა დარეკა. ბასა კოჭლობით გამოვიდა და კარი გააღო. ზღურბლზე ნუციკო და გაიოზი იდგნენ.

_ ნუცო, შენთან ჟურნალისტი მოვიდა, _ მიახარა ბასამ.

_ ჟურნალისტი? _ არ ესიამოვნა ნუციკოს.

_ ჰო, გელოდებიან.

ნუციკო სწრაფად შევიდა ბინაში. მურადი წამოდგა.

_ ასე როგორ შეიძლება, ჯერ ხომ უნდა შემითანხმდეთ, არა? _ პრეტენზია ჰქონდა მომღერალს.

გაიოზი მურადს მიესალმა და სამზარეულოში შევიდა. ნუციკოსთან ხშირად მოდიოდნენ ჟურნალისტები და უცხოს თვალი აარიდა.

მურადმა ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო.

_ მე პროკურატურიდან ვარ, _ თქვა მან.

_ პროკურატურიდან? ერთი წამით! _ ნუციკომ კარი გამოუკეტა. სწრაფად გაიძრო ქურთუკი და სამზარეულოში შესული მამა გააკონტროლა, რომელსაც წინ საფერფლე ედო და აბოლებდა. ნუციკომ მისი კოლოფიდან ერთი ღერი ამოაძრო და დაუპატიჟებელ სტუმართან შევიდა. დაჯდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

_ დიახ, გისმენთ.

_ ალბათ მიხვდით?! _ თქვა მურადმა.

_ ჰოც და არაც... _ უპასუხა Lნუციკომ.

_ მე გამომძიებელი ვარ. არ იფიქროთ, თქვენს პირად ცხოვრებაში ვიჭრებოდე, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის გამო, იძულებული ვარ, რამდენიმე უხერხული შეკითხვა დაგისვათ.

_ მართლა, ბოდიში, ყავას ხომ არ ინებებდით?

_ არა, არა... გმადლობთ! _ რატომღაც ჩქარობდა მურადი.

_ კი ბატონო, თუ გნებავთ, არ მოგერიდოთ, _ შესთავაზა ნუციკომ.

_ კარგად გამიგეთ, თქვენ არც მოწმის სახით, არც სხვა პროცედურული სახით არ იკითხებით.

_ დიახ, დიახ... გასაგებია, _ თქვა ნუციკომ.

_ დიდი ბოდიში, მაგრამ ხომ ვერ გაიხსენებდით, როდის შეხვდით ბოლოს ლევან იაშვილს?

ნუციკო სკამზე გადაწვა. თავი მაღლა ასწია და დაფიქრდა. “ჰქონია გემოვნება” _ გაიფიქრა ლევან იაშვილზე მურადმა.

_ მე ლევანს სადღაც ერთი კვირის წინ შევხვდი... ალბათ, გინდათ მკითხოთ, რაიმე ხომ არ შევამჩნიე, ხომ არ ნერვიულობდა ან რაიმე ისეთი ხომ არ უთქვამს... იცით, თქვენ მკითხეთ, რაც გაინტერესებთ... _ კარზე ზარის ხმა გაისმა. _ ერთი წამით, ალბათ, ჩემი ძმაა...

ნუციკო კარის გასაღებად გავიდა. თაზო იყო, რომელსაც ხელში ცელოფნის პარკი ეჭირა. მან ჩურჩულით იკითხა:

_ ღრინავს კიდევ?

_ რაც უნდა ის უქნია. მე პროკურატურიდან მომაკითხეს _ ნუციკომ ძმა საქმის კურსში ჩააყენა.

_ ჰოო? რა ბებიაჩემისა უნდათ? _ დაინტერესდა თაზო.

_ ლევანის ამბავი აინტერესებთ. მე რა უნდა ვუთხრა?

_ მის ცოლს ჰკითხონ, შენთან რა უნდათ? მიდი და მეც შემოვალ... ეგ ალაპარაკე! ჰო, დააჭირე ენას კბილი, ახლავე შემოვალ... _ გააფრთხილა თაზომ.

თაზო სამზარეულოში შევიდა. გაიოზს სიგარეტი ჩაეთავებინა. ახლა იჯდა და თვალებს აბრიალებდა. თან, თაზოს ყველა მოძრაობას აკონტროლებდა. თაზომ პარკიდან არაყი, ლუდის ბოთლები, ძეხვი ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ

კურტკა გაიხადა და პირველ რიგში, ბასა მოიკითხა, რომელსაც წიგნის კითხვაში ტახტზე ჩასძინებოდა და გაშლილი წიგნი კი გულზე ედო. თაზომ ჩუმად გამოკეტა კარი, მერე კი დის ოთახში შევიდა. თაზოს დანახვაზე მურადი წამოდგა.

_ ხელს ხომ არ შეგიშლით? _ ჰკითხა თაზომ მურადს. _ მაინტერესებს, უბრალოდ...

_ ეს ჩემი ძმაა, თამაზი... _ თქვა ნუციკომ.

კაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. "გაგიჟდა ქვეყანა" _ გაიფიქრა მურადმა _ "ძმას დის საყვარლობანა აინტერესებს"... და იკითხა:

_ გავაგრძელო?

_ აბა, რა? _ ნუციკომ თავისი ულამაზესი თვალები გამომძიებელს მიაპყრო, _ ამ საქმის გახსნით თქვენ ნამდვილად ხართ დაინტერესებული?

_ არსებობს რომ საქმე? თუ იმ კაცმა მართლაც თავი მოიკლა... _ დაიწყო მურადმა და აღარ დაასრულა.

_ თქვენც მასე ფიქრობთ? მაშ, რაღად გინდათ ეს ვიზიტები და დაკითხვის ოქმები? ფორმალურად? _ გაიცინა თაზომ.

_ მოიცა, თაზო! მოდი რა, შენ ცოტა ხნით გადი... გაიკეტე კარი! _ სთხოვა დამ ძმას.

_ კი, გენაცვალე! _ თაზომ მურადს თვალი ჩაუკრა და კარი გაიკეტა.

_ რატომ უნდა მოეკლათ, ვინ მოკლავდა... რისთვის... _ განაგრძო მურადმა. _ კომპანია კაი ხანია გაყიდა. კონკურენცია გამოირიცხა. არავითარი სამხილი არ არსებობს...

_ რომელი კონკურენცია გამოირიცხა, რა სამხილი არ არსებობს? როგორც ვიცი, იმ დეგენერატი დარაჯის მეტი, წარამარა ეკრანზე რომ გამოჰყავდათ, არავინ დაკითხულა. ასე არ არის?

_ მაშ ახლა რას ვაკეთებ, დაკითხვაზე არა ვარ? _ აღელდა მურადი.

_ რა? თქვენ მე მადებთ ხელს? რა სიგიჟეა! _ ეწყინა ნუციკოს.

_ კაი, თქვენ არ გადებთ ხელს... თქვენ თვითონ გაქვთ ვინმეზე ეჭვი? _ თითქოს მოიბოდიშა მურადმა.

_ დიახ, მაქვს, ცოლზე. _ ცივად მოჭრა ნუციკომ.

_ იმიტომ, რომ თქვენი მეტოქე იყო... _ გაიცინა მურადმა.

_ არა! მე შვილს ვაჩენ მისგან. აი აქ, მუცელში, ლევან იაშვილის შვილი მყავს _ ხელი ფრთხილად დაიდო მუცელზე ნუციკომ.

მურადმა, როგორც რაღაც ჯადოქრობას, ისე დაუწყო ნუციკოს მუცელს მზერა.

_ ეს ამბავი იაშვილმა იცოდა?

_ დიახ, იცოდა და მეცხრე ცაზეც იყო... _ სინანულით თქვა ნუციკომ. არ არსებობს, ის თავს არ მოიკლავდა...

_ ბავშვის სქესიც თუ იცოდა?

_ როგორ არ იცოდა, ბიჭს ველოდებოდით, _ ღრმად ამოისუნთქა ნუციკომ.

_ მისმა ცოლმა თუ იცოდა, რომ მისგან შვილი აგყვათ? _ აგრძელებდა დაკითხვას გამომძიებელი.

_ წარმოდგენა არა მაქვს. ის ცოლზე არასდროს ძრავდა სიტყვას და არც მე ვეკითხებოდი არაფერს. რაში მაინტერესებდა?

_ გამორიცხულია, თუ არაფერი იცოდა, მაშინ რატომ მოკლავდა? _ დაასკვნა მურადმა.

_ რა ვიცი, იქნებ, ნათქვამიც ჰქონდა ლევანს... წინათგრძნობა მქონდა თუ რა... სულ მეშინოდა, სულ, რომ მოკლავდნენ... _ თქვა Lნუციკომ.

_ ვინ? ემუქრებოდა ვინმე? _ იკითხა გამომძიებელმა.

_ არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ მართლაც ასე მოხდა... _ ჩაილაპარაკა ნუციკომ.

_ არაფერი უთქვამს თავის მოკვლაზე ან დეპრესია ხომ არ ჰქონდა?.. _ იკითხა ისევ მურადმა.

_ რა სისულელეა, სად ეცალა დეპრესიისთვის. რა თავის მოკვლა, მილიონი საქმე ჰქონდა... თან ეს მუცელი... როგორი შეყვარებული იყო...

_ მუცელზე?

_ ჰო, გაგიჟებული იყო. _ თქვა Lნუციკომ.

_ რა გაარკვიეთ? _ შემოაღო კარი თაზომ.

_ ვერაფერი. _ უპასუხა Lნუციკომ.

_ მაშინ გამოდით, იქით გავაგრძელოთ! _ თვალი ჩაუკრა მურადს თაზომ.

_ არა, ნუ შეწუხდებით, მე მაინც მეჩქარება, უნდა წავიდე... _ უთხრა მურადმა.

_ სულ რაღაც ორი წუთით... წახვალთ, აქ არავინ დაგტოვებთ... _ შინაურულად უპასუხა თაზომ და მურადს ხელიც კი მოკიდა, რომ უარი ვერ ეთქვა. _ ვის გაუგონია, ქართულ ოჯახში კაცი შემოვიდეს და ჭიქა არ ასწიოს, ისე წავიდეს?

აბა, თაზო რას წარმოიდგენდა, რა ურთიერთობა ჰქონდა ამ კაცს მის ცოლთან, თორემ იმ არყის ბოთლს, საიდანაც ჭიქას უვსებდა, თავზე არ დააფშვნეტავდა?

მოკლედ, სამზარეულოში პატარა სუფრა იყო გაშლილი, რომელთანაც გაიოზი ჯერაც კოპებშეკრული იჯდა და რატომღაც ოხრავდა კიდეც.

_ არ შემიძლია, ვერ დავლევ, საჭესთან ვარ. _ მაშინვე იუარა მურადმა, როგორც კი თაზომ ჭიქა შეუვსო.

_ მაშინ მჯდარიყავი იმ საჭესთან, აქ რაღას ამოდიოდი! _ მკვახედ მიახალა უცხოს გაიოზმა. _ ოჯახში შემოხვედი და ჭიქა არ უნდა ასწიო?

_ საქმის გამო გეწვიეთ, დასალევად ხომ არა... _ მხრები აიჩეჩა მურადმა.

_ მამა, როგორ მსჯელობ, ბატონი მურადი გამომძიებელია. _ ნუციკო მამის დაშოშმინებას შეეცადა.

_ გამომძიებლები კაცები არ არიან? _ არ გაჩუმდა გაიოზი.

_ კარგი რა, გაიოზ, წესიერად მოიქეცი! _ გამწარდა ნუციკო.

_ მე ვიქცევი ცუდად? და საერთოდ, ამ კაცს ვკითხე რაღაც, შენ კი არა! _ თქვა გაიოზმა. _ რაღაც უცნაური დრო დადგა _ ქალები კაცობას იბრალებენ და კაცები სულ გაპიდარასტდნენ... ასე არ არის? _ ჭიქა მიუჭახუნა მურადის ჭიქას გაიოზმა.

_ დღეს ყველა თავის ნაჭუჭში მიძვრება. _ თქვა მურადმა ალბათ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

_ მაგას გაუცხოება ჰქვია და ისეთი გლობალური პრობლემაა, ამ სუფრაზე ნამდვილად ვერ გადავჭრით. _ თქვა თაზომ.

_ რაც გავჩნდი, ერთი დედის რძის გემო არ მახსოვს, თორემ მერე? სულ შხამი, შხამი, შხამი... როდემდე? _ იკითხა გაიოზმა.

_ აუ, ახლა ეს შხამის სადღეგრძელოს დამალევინებს... _ თქვა თაზომ.

_ მაშ რა ვთქვა, რა? საქართველოს გადარჩენისა და გაბრწყინებისა დავლიო? მახსოვს კიდევ საქართველო? მახსოვს, რომ ქართველი ვარ? _ იკითხა გაიოზმა.

_ მაშინ, რაც გახსოვს იმისი დავლიოთ, დედის რძის... _ თქვა თაზომ.

_ რეებს ამბობთ, კაცებო?! _ გადაირია Lნუციკო.

_ ან თუნდაც შენ, _ განაგრძო გაიოზმა. _ რას აპირებ, მოაწოვებ ძუძუს მაგ შენს ნაბიჭვარს? _ ბოლო-ბოლო თქვა ის, რაც აწუხებდა.

_ შენ თვალებს ნუ მიბრიალებ, გაიგე? _ წამოხტა სკამიდან ნუციკო. _ შეგიძლია მომკლა, ჰო, მომკლა, შვილს კი მაინც გავაჩენ, ვერ ამიკრძალავ! მე ის ბავშვობიდან მიყვარდა, სულ პატარაობიდან, აი, ამხელა რომ ვიყავი... შენ რომ არა, მე დღეს მისი ცოლი ვიქნებოდი და ის ცოცხალი იქნებოდა. ჰო, რას მიყურებ, მამა! აკრძალული რომ

მქონდა, იქნებ, მაგიტომაც მიყვარდა სიგიჟემდე. ახლა კი ჩემთვის სულერთია, შეგიძლია, მომკლა...

_ რა? _ იღრიალა გაიოზმა. _ შენ მართლაც მისგან აჩენ შვილს?

_ ჰო! _ ცივად უპასუხა ნუციკომ.

_ გააჩენ და ჩემი ხელით გამოვღადრავ ყელს! _ წამოხტა გაიოზი, უჯრა გამოსწია, თავისი დანა ამოიღო და მაღლა აწეული ხელით შემოტრიალდა.

_ მამაა! _ იღრიალა თაზომ.

_ მე თქვენი მამა აღარ ვარ, არა! არც ერთმა აღარ ახსენოთ ჩემი სახელი! _ გაიოზმა პიჯაკს წამოავლო ხელი და გარეთ გავარდა.

_ აუ, ეს ვინ არი... _ თქვა თაზომ და სკამზე მიესვენა, _ რა გაუძლებს ახლა მაგას, სანამ შენ შვილს გააჩენ?

_ არ დავრეკოთ, პოლიცია არ გამოვიძახოთ? _ იკითხა შეშინებულმა მურადმა.

_ ვინ? ვინ უნდა გამოიძახოთ? _ გაეცინა თაზოს.

_ რა ვიცი, ვინმე არ მოკლას... _ თქვა მურადმა.

_ მოკლას კი არა... _ ჩაფიქრდა თაზო. _ ეგ რომ მკვლელი იყოს, ჩვენ უნდა დავეხოცეთ, მე და ჩემი და... წავა ახლა, ჯერ ახლო-მახლო მაღაზიებს მიივლ-მოივლის, გამოელაპარაკება ნაცნობ-უცნობებს, მოიფხანს ცოტა ენას, წააწყდება რომელიმე საბუტილნიკს და ამოვა მერე შინ, უენოდ და უგონოდ... თუ სხვებმა არ მოიტანეს და აქაც არ შეჰყვნენ ქეიფს, ხომ კაი და... შესაძლოა, ღამეც გაგვათენებინოს... რაც დედაჩემი წავიდა, აურია... სვამს...

_ დაუშლი და ბევრად უარესად იქცევა... _ დაამატა ნუციკომ _ მთელ ჭურჭელს თავზე დაგვალეწავს ხოლმე...

კარებში ნამძინარევი ბასა გამოჩნდა.

_ დედა, რომელი საათია? _ იკითხა ბიჭმა და თვალები მოიფშვნიტა.

ვასიკო და ანი შავთელის ქუჩაზე, პერფორმანსის გამოფენის პატარა სიუჟეტის ჩაწერაზე მუშაობდნენ. ინტერვიუ ანის უნდა წაეყვანა, ვასიკოს კი, როგორც ყოველთვის _ გადაეღო. ახალგაზრდა მხატვრებმა გამოფენა ოფიციალურად გახსნეს, მიკროფონთან ავანგარდიზმის შესახებ ცოტაოდენი ისაუბრეს და შემდეგ, აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ანიმ მიკროფონი მოიმარჯვა და შემდეგი შესავალი გააკეთა:

_ ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მხატვრობა დღეს მეორე სიცოცხლეს განიცდის... ასე ვთქვათ, თავიდან იბადება. ამას დღევანდელი გამოფენაც თვალნათლივ მოწმობს, თუმცა, ის ძალიან განსხვავდებაDდღემდე წარმოდგენილი სხვა გამოფენებისაგან. ეს გახლავთ პერფორმანსი, სათაურით _ “ომი და მშვიდობა”, რომელსაც შეიძლება, ცოცხალი ნახატები დავარქვათ. მაგრამ ალბათ, ჯობს თავად მხატვრებს გავესაუბროთ... _ და ანიმ ვასიკოს ჰკითხა. _ ჰა, ხომ მაგარი იყო, ვასო?

_ “ჟელეზნი"... _ უპასუხა ვასიკომ.

_ შენ მანდ იდექი და ვინმეს მოვათრევ. _ უთხრა ანიმ ვასიკოს და რესპოდენტის გამოსაჭერად დაიძრა.

ქუჩაში კი, ამ დროს, “ბრონზეში” ამოგანგლული, არც ისე სიმპატიური შიშველ-ტიტველი გოგო-ბიჭები უცნაურ პოზებს იღებდნენ, მიწაზე გორავდნენ, კვდებოდნენ და ცოცხლდებოდნენ.

ანიმ იერიში, რა თქმა უნდა, მამრ მაყურებელზე მიიტანა, რომელიც კაფე “დაფა-ზურნა”-ს წინ, კიბეებზე ჩამომჯდარიყო.

_ ბოდიში, თქვენ მხატვარი ბრძანდებით? _ ეს დასკვნა ანიმ ვაჟის ნიკაპზე მოშვებული წვერის გამო გამოიტანა.

_ მე? _ ჰკითხა წვეროსანმა ისე, რომ ქუჩისთვის თვალი არ მოუშორებია.

_ დიახ... _ უპასუხა ანიმ.

_ მერე? _ შეეკითხა წვეროსანი.

_ ხართ მხატვარი? _ კითხვა გაუმეორა ანიმ.

_ ვთქვათ ვარ. მერე? _ იკითხა ვაჟმა.

_ ვთქვათ რას ნიშნავს? ხართ თუ არა მხატვარი? _ ცოტა განერვიულდა ანი.

_ ვთქვათ არა ვარ, მერე? _ გულგრილად უპასუხა ვაჟმა.

_ მე ჟურნალისტი ვარ... _ მოახსენა ანიმ.

_ მოდით რა, აქ მაინც დაგვასვენეთ. კაცი მოვედი, რომ დავტკბე ჩემთვის და შენ კიდევ ამ მიკროფონს მტენი პირში... მალიარი ვარ, არა ვარ მხატვარი, ახლა? _ ხელები აუქნია ვაჟმა.

_ მაშ, რაღას მოგიშვიათ ეგ წვერი, ვერ გავიგე... _ თავის მხრივ ხელი აუქნია ანიმაც.

_ შენ ვინ გკითხავს, მე წვერს ვატარებ თუ ულვაშებს? _ წვერიანი სახე ლამის სახესთან მიუტანა ვაჟმა ანის. _ მიდი რა, გაიარე... მაცალე რა, მიქელ-ანჯელოს ველაპარაკები... ვინ არი, ტო, რას გადამეკიდა, ე!

ანი იძულებული გახდა, გარიდებოდა.

_ მიქელანჯელო... _ მაგრად გაუტყდა ანის. ქუჩა მოათვალიერა, რათა აღარ შემცდარიყო და კარგად შეერჩია რესპოდენტი. თმაშეღებილი დაბალი ქალი დაინახა, რომელსაც პალტოზე წითური მელიას საყელო ეკეთა, ბერეტზე ფარშევანგის ბუმბული ჰქონდა მიმაგრებული, პირში კი ქარვის მუნდშტუკი გაერჭო _ სიგარეტით. ანი მივიდა და მიესალმა _ გამარჯობა!

_ გაგიმარჯოს, გენაცვალე! _ უპასუხა დამთვალიერებელმა.

_ თქვენ მხატვარი ბრძანდებით? _ შეეკითხა ანი.

_ არა, არა... მე ექიმი გახლავართ, გინეკოლოგი... თუმცა, ძალიან მიყვარს მხატვრობა და ნახატების კარგი კოლექციაც მაქვს... _ უპასუხა ქალმა.

_ კოლექციონერი ბრძანდებით? _ გაუხარდა ანის.

_ თითქმის... _ უპასუხა დამთვარიელებელმა.

_ შეიძლება, გამოფენის შესახებ რაიმე მოგვახსენოთ? _ შეეკითხა ანი.

_ რატომაც არა, დიდი სიამოვნებით. _ უპასუხა დამთვალიერებელმა.

_ მაშინ წამობრძანდით, რა?! _ ანიმ ქალბატონი კამერასთან მიიყვანა. _ აი, აქ დადექით, მე მიკროფონს დაგიჭერთ და თქვენ ისაუბრეთ. დაიწყეთ!

_ უამრავი გამოფენა მინახავს, _ დაიწყო ქალმა. _ უამრავ ქვეყანაში, მაგრამ ნიჭიერების ასეთი ამოფრქვევა, ასეთი ამოუწურავი ფანტაზია, ასეთი ცეცხლოვანი ტემპერამენტი... შეხედეთ, რა სახეებია, რა სიჭრელე, რა სიკაშკაშე... შემიძლია, საათობით ვიდგე ნებისმიერი წყვილის წინ და ვტკბებოდე... ხშირად მიფიქრია _ რას წარმოადგენს შედევრი? და მუდამ ერთი პასუხი მაქვს: ეს არის ღმერთებთან პაექრობა. რა, ასე არ არის?

_ ქალბატონო, ესენი ღმერთებთან პაექრობენ? _ გაიცინა და საუბარში ჩაერია იქვე მდგომი სამოციოდე წლის მამაკაცი, _ საღებავებში ამოთხვრა და შიშველი უკანალებით ასლების ხატვა ასფალტზე, ეს მხატვრობაა?

_ დიახ, ეს ყოველივე მხატვრობაში ახალ მიმდინარეობათა წარმოქმნას უწყობს ხელს. _ არ დაიბნა გინეკოლოგი...

_ როგორ გეკადრებათ, პატრონი არა ჰყავთ, პატრონი... _ აყვირდა მამაკაცი. _ ეს არც ეროტიკაა და არც პორნოგრაფია, ესაა წმინდა წყლის "ბოზ-ბანდა" და მეტი არაფერი...

_ მე კი მივიჩნევ, რომ ეს რევოლუციაა მხატვრობაში, რომლის შედეგად, ახალი მიმდინარეობის მოწმენი გავხდებით.

_ ესენი იმეორებენ, პლაგიატები არიან, ქალბატონო, ქურდები! _ არ ცხრებოდა მამაკაცი.

_ ალბათ, თქვენ არც სექსუალური რევოლუცია მოგწონთ და ცოლს ყოველ ნაბიჯზე დასდევთ, ეჭვიანობთ და სიცოცხლეს უწამლავთ, ხომ ასეა? არადა, ევროპამ ასი წლის წინ მოიხადა ეს სახადი და სექსისგან გათავისუფლებული ტვინი, კაცობრიობამ პროგრესისკენ მიმართა.

_ კი, კი, ბოზობა, ღალატი, ეს შიშველი ნატურალიზმი და აღვირახსნილი სექსი პროგრესია? კარგით რა, "უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო"... _ დამცინავად ჩაიქირქილა მამაკაცმა.

_ მხატვრობაა, ბატონო, მხატვრობა. მე მსიამოვნებს და თქვენ თუ არ გსიამოვნებთ, ბატონო, ნუ უყურებთ, დახუჭეთ თვალები... _ ქალმა თვითონ დახუჭა თვალები და გულ-ხელი დაიკრიფა.

_ მაგაზეა ლაპარაკი, რომ მაბრმავებთ, ქალბატონო, თვალში ნაცარს მაყრით, ჩვენი საყვარელი მთავრობასავით... _ აღელდა ისევ მამაკაცი. _ ფული თუ გაქვს დღეს, კვაზიმოდოს აქილევსად აქცევ! ჩვენ იცით, რაში ვართ ყველაზე მაგრები? _ ზურგში ტყვიების დახლაში...

_ დავაი, ავახვიოთ ვასო, თორემ ესენი დატორმუზებას აღარ აპირებენ... _ გადაულაპარაკა ანიმ ვასიკოს და მოკამათეებს თავი აარიდეს. _ ბედი გინდა, რა? ყველა გიჟი და დამთხვეული მე უნდა შემხვდეს... რატომ ხდება ასე, ვასო?

_ ეგ არ ვიცი, მაგრამ ნიკო რომ მააგრად გაატრაკებს, ეს იასიანია... _ უპასუხა ვასიკომ.

_ მეც ავდგები და პირდაპირ მერაბს ვაჩვენებ. _ მიუგო ანიმ.

_ და ნიკოს თავზე გადაახტები? _ განცვიფრდა ვასიკო.

_ შენი ჭირიმე, შენ მაინც ნუ მიკითხავ მორალს, _ ტუჩი აიბზუა ანიმ. _ იატაკის ლურსმანი მაქვს თავში ჩაჭედებული და მაღლიდან მირახუნებენ, ბაახ, ბაახ, ბაახ! ეს ხომ კარგია, არა? დიახ, თუ ვერ გადავახტები, მაშინ გადავალაჯებ. ასეთ ქალაქში მორალს იცი, რა ჰქვია?

_ რა ჰქვია? _ განცვიფრდა ვასიკო.

_ ბლეფია, ყველაფერი, ბლეფი... _ უპასუხა ანიმ.

_ ამ ქალაქში ორ კაცს ვერ ნახავ, ერთნაირად რომ აზროვნებდეს. _ ჩამოაყალიბა ვასიკომ.

_ "განსაჯე მეჩექმევ, განსაჯე... მხოლოდ ჩექმის ყელს არ ასცდე". _ გაიხსენა პუშკინი ანიმ და ვასიკოს ენა გამოუყო.

_ მეზე ამბობ, ტო? _ არ წყენია ვასიკოს. _ თორემ, შენ მყავხარ სოკრატე... შენც ჩემსავით ფრაერი ხარ და ჩერესჩურ კონფლიქტურიც.

_ იმიტომ, რომ მე "პროფი" ვარ, ეე, სიმონ!

_ კაი, რა! გამიგია: "ცარიელი კასრი ბევრს რახრახებსო"...

_ ცარიელი კასრი შენ გაბია მხრებზე. _ წამოუსვა თავში ჩანთა ანიმ.

_ ნელა, რა! თქვენ ხელში ისედაც ცოტა ტვინი შემრჩა და იმასაც ნუ გამომილაყებ! _ ხელი სტაცა ჩანთაზე ვასიკომ.

ანიმ იმდენი მოახერხა, რომ სიუჟეტი, რომელიც სამხატვრო სალონში ჩაწერა და ნიკომ დაუწუნა, სტუდიის გენერალურ პროდიუსერს აჩვენა. მერაბი, რომელიც

თავიდანვე გაფრთხილებული იყო ნიკოსგან, ფირის ჩამთავრების შემდეგ ანის მიუბრუნდა.

_ ანი, შენ მე უბრალოდ, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ... ყველაფერი გასაგებია... ამაზე უარესებიც გასულა ეთერში... საერთოდ, ნაგავიც... მაგრამ ის, რომ შენ კომენტატორობაში ცოტა მოიკოჭლებ, რაღაც-რაღაც მიზეზების გამო, შენიშვნები უფრო მშვიდად უნდა მიიღო და აქ დავამთავროთ!

_ არ მგონია... _ და ანიმ სასწრაფოდ მიმართა თავის აპრობირებულ მეთოდს. ფეხი-ფეხზე გამომწვევად გადაიდო ისე, რომ ნახევარი ბარკალი მოიშიშვლა. _ სხვებიც მოიკოჭლებენ, მაგრამ თქვენ, ყველას, თქვენ_თქვენი ფავორიტები გყავთ და ნიჭიერები ვიჭყლიტებით...

მერაბი დასერიოზულდა. ჯერ ანის მოშიშვლებულ ბარძაყს უყურა, მერე მის უტიფარ თვალებს და მშვიდად უპასუხა.

_ რომ შეიძლებოდეს, მარტო შენ კი არა, ათ პროცენტსაც არ დავტოვებდი იმათგან, ვინც დღეს ეკრანზე ტლიკინებენ... როგორ აგიხსნა, არსებობს ზოგადი კულტურა, შინაგანი, გარეგანი, ათასნაირი, რაც გინდა დაარქვი...

_ რომელიც მე არ გამაჩნია? _ ანის ეყო იმდენი თავხედობა, რომ ირონიაც კი ჩაექსოვა კითხვაში.

მერაბი მის შიშველ ფეხს დაჰყურებდა და პასუხს არ აძლევდა. ანიმ კი ჯიბრზე, კიდევ უფრო მეტად მოიშიშვლა ბარძაყები.

_ ალბათ, არა. სხვანაირად, შენ ახლა აქ არ იჯდებოდი... ჰო, ჰო... მარტო ფეხის სილამაზეს და სისქეს კი არა აქვს მნიშვნელობა... მთავარია, შუბლის სისქე და სილამაზეც. ალბათ, გასაგებია, არა? _ მკაცრად თქვა მერაბმა.

_ გასაგებია, ბოდიში... _ თქვა ანიმ, წამოდგა და ამაყად გაემართა კარისაკენ.

_ და დაიმახსოვრე, _ დაადევნა მერაბმა. _ შეუცვლელი არავინაა, ღმერთის გარდა და რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

როცა გამწარებული, გაწითლებული და განრისხებული ანი რედაქციაში დაბრუნდა, სამივე თანამშრომელი ადგილზე დახვდა.

_ სად იყავი? _ გამომცდელად დააკვირდა ნიკო.

_ მე? ბუფეტში? _ გულგრილად უპასუხა ანიმ.

_ ბუფეტიდან ამწუთას ამოვედი. _ თქვა ნიკომ.

_ ტუალეტში ვიჯექი, ბატონო ნიკო, ყველაფერი უნდა ვთქვა?

_ არა, მე რა ვერ გამიგია, იცი? _ გამწარდა ნიკო. _ ჩემს ადგილზე სხვა რომ იყოს, შენ როგორ გგონია, თავზე ხელს გადაგისვამდა? რას აიწყვიტე, ვერ გავიგე? ჯერ არი და ჩემს დასასჯელად, რაღაც ჟურნალისტური ძიება წამოიწყე. მე არაფერს მეკითხები, ისე დააჭენებ, სადაც მოგეპრიანება და როგორც მოგეპრიანება... რა გინდოდა მერაბთან?!

_ ისედაც ყველაფერი გცოდნიათ და რაღას მეკითხებით? _ სიგარეტს მოუკიდა ანიმ. _ თქვენ იმასთან ჩამიშვით და იმან თქვენთან, ხომ?

_ კაცი იბრძვი, წვალობ, ცდილობ, რომ დაავადებული მსოფლიო როგორმე გადაარჩინო... _ გადავიდა ფილოსოფიაზე ნიკო. _ მაგრამ დაიბადება ამ დროს ვიღაც ანი და თუკი რაიმე ოფლი გიღვრია და სისხლი გაგიღია, ყველაფერი წყალში უნდა ჩაგიყაროს... _ და ისევ ანის მიუბრუნდა. _ მე დამიკიდე? დამიკიდე! ესენი დაიკიდე? დაიკიდე! ერთხელაც გაიმეორებ და ჩვენც დაგიკიდებთ. აი, ასე დამთავრდება შენი კარიერაც და კარიერისტობაც. გასაგებია? რა მეთოდებია ეს?! _ ხელები გაშალა ნიკომ.

ანი მიხვდა, რომ წააგო და ტირილი დაიწყო.

_ აღარა მჯერა მაგ შენი ნიანგის ცრემლების... _ ზიზღით ჩაილაპარაკა ნიკომ. რაზედაც ანიმ უფრო ხმამაღალი ქვითინით უპასუხა.

იმ საღამოს, ანი მურადს მარჯანიშვილის მოედანზე, "მაკდონალდსის" წინ უცდიდა. ისე ეცვა და ისეთი ვარცხნილობა ჰქონდა, ადამიანი ძნელად იცნობდა. მურადი აგვიანებდა. ანიმ უკვე სამჯერ მაინც გადაურეკა. მოვდივარო _ პასუხობდა გამომძიებელი. ანი ცოტას ნერვიულობდა. უკვე ბინდდებოდა. აღმაშენებლიდან ვიღაც ორმა ტიპმა შემოუხვია. მისკენ არეული ნაბიჯით წამოვიდნენ. ქალს ეს არ მოეწონა. გაიფიქრა: კაიფში იქნებიანო. თუმცა არ შეშინებია, კედლისკენ მაინც დაიხია, ცალი ტერფი ზედ მიაბჯინა და კაბა მუხლს ზემოთ ააცოცა. მისი ინტუიცია გამართლდა. უცებ, ეს ტიპები მისკენ მოტრიალდნენ და ისე გაჩერდნენ, რომ ორივე მხრიდან გზა გადაუკეტეს. ერთ-ერთმა ხელი გაუშვირა.

_ უპატრონო ბავშვებისთვის საქველმოქმედო თანხას ვაგროვებთ, შეგვეწიეთ, ცოტა! _ თან თვალებში "ნაგლად" მიაჩერდა.

ანის თვალი მაინც გაექცა. ქუჩა ცარიელი იყო. ერთადერთი ხსნა ის გახლდათ, რომ დროს თუ გააჭიანურებდა, მურადი მოუსწრებდა.

_ ბიჭებო, მე რისთვის ვდგავარ აქ, რა გგონიათ? _ მშვიდად შეხედა ანიმ ბიჭებს და ჩანთის ქნევა დაიწყო. _ მიდით, რა, გაიარეთ. ჯერ ერთი კლიენტიც ვერ დამიჭერია.

_ დროზე, ახლა! _ გამოსცრა უცებ კბილებში მეორემ და ანის ეგრევე სილა გაულაწუნა. გარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ანი წამით გაითიშა. თუმცა, გონს მალე მოეგო და იგრძნო, რომ მის ჩანთას ვიღაც ექაჩებოდა. ანიმ ჩანთა არ დაანება, ის კი არა, მთელი ძალით მოუქნია და მოკასინის ცხვირი მოძალადეს შიგ ყვერებში ამოსცხო. ბიჭმა ვაი, დედაო _ დაიძახა და სარცხვინებელზე იტაცა ხელი. ამ დროს, რამდენიმე ტყვია ერთდროულად გავარდა. სროლის ხმა იმდენად ძლიერი იყო და ისე ახლოს გაისმა, რომ ანიმ გაიფიქრა: მომკლეს, ამ ნაბიჭვრებმაო და მურადის მაღლა შემართული ხელიც დაინახა. მერე კი იმასაც მიადევნა თვალი, თუ როგორ გარბოდნენ სხვადასხვა მხარეს თავდამსხმელები და ხელები ჩამოუვარდა.

_ სად იყავი აქამდე, მთელი ხელფასი ჩანთაში მიდევს და მობილურიც... ნაბიჭვრები! _ საყვედურს ეს ბოლო სიტყვაც დააყოლა. უკანალის რხევით, ფეხსაცმლის კაკუნით შემოუარა მანქანას, წინა კარი გამოაღო და ჩაჯდა. მერე სარკე თავისკენ მიატრიალა და ჩაიხედა.

_ ნახე, ხუთივე თითი მატყვია. _ უჩვენა თავისი ლოყა ანიმ მურადს, რომელსაც იარაღი ჯერ ისევ ხელში ეჭირა.

_ და რატომ უძალიანდებოდი, რატომ? არ იცი, რომ ეგრევე უნდა მიაშავო თუ რაიმე გაქვს? მეც კინაღამ შარში გამხვიე! _ უთხრა გამომძიებელმა.

_ არ ვიცი, რა ჯანდაბა დამემართა, რაღაც საზიზღრად არ მომეწონა ის ტიპები, თორემ ჩანთას მივუგდებდი, დედას ვფიცავარ! _ დაიფიცა ანიმ ისე, თითქოს ფიცი დაეჯერებოდა.

_ რაც იყო, იყო... გადავრჩით, დავივიწყოთ. _ თქვა მშვიდად მურადმა და იარაღი "ბარდაჩოკში" ჩააგდო.

_ სანამ ნათითურები მეტყობა, ეს ამბავი რანაირად დავივიწყო? _ გაიკვირვა ანიმ.

_ გინდა, გაკოცებ და მოგირჩება. _ გაიცინა მურადმა.

_ დაგახველებს. _ გამოცრა ანიმ.

_ მაგრად კი ჩაზმანულხარ, სად მივდივართ? _ იკითხა მურადმა.

_ ჯერ ყვავილები უნდა ვიყიდო. არ იცი, სადმე, ახლოს, ყვავილების მაღაზია? _ შეეკითხა Aანი.

_ ახლოს არა და შუა აღმაშენებელზე არის ერთი მაღაზია, დაბლა როა ჩასასვლელი. _ უთხრა მურადმა.

_ წავედით! _ თქვა ანიმ.

_ სად მივდივართ, რომ? _ დაინტერესდა მურადი.

_ მაგას ყვავილებს რომ ვიყიდი, მერე გეტყვი.

_ არა! სანამ არ მეტყვი, არსადაც არ წავალთ! _ ბრძანა გამომძიებელმა.

_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, რომ? _ გაუკვირდა ანის.

_ რა? რას არა აქვს მნიშვნელობა? მეცხრედ თუ მეათედ ვხვდებით ერთმანეთს და ჯერ ერთხელაც არ მიკოცნია შენთვის... ძილშიც და ცხადშიც შენი ძუძუები მელანდება. მაშინ რაღას მაგიჟებდი, ვერ გავიგე... _ გამოამზეურა თავისი სურვილი მურადმა.

_ ცუდია მერე? გამოდის, რომ გიყვარვარ...

_ მიყვარხარ კი არა... _ არ დაამთავრებინა მურადმა.

_ აი, ხედავ? ერთი წამის წინ მახუჭუჭებდი _ ცხადშიც და ძილშიც შენ მესიზმრებიო...

_ შენ კი არა, ძუძუები-მეთქი, შენი ძუძუები! _ გაბრაზებით თქვა მურადმა.

_ აა, შენ ის გინდა მითხრა, რომ დედასავით გიყვარვარ? _ ხუმრობის ხასიათზე დადგა ანი.

_ არა, არა! კი არ მიყვარხარ, მინდიხარ, როგორც გიჟს, მხეცს, ნადირს, ვეფხვს, ველურს...

_ ჰო, არა? პაპუასივით გინდა დამკლა, შემწვა და შემჭამო, არა?

_ ერთი მაკოცნინე რა, ფისო, მარტო ერთი! _ და მურადმა ანის მხარზე გადახვია ხელი.

_ ფისო? ფისო არა ციცა... აიღე ეს ტორი აქედან. დიახ, მართალია, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი გახლავარ, მაგრამ ფისო კი არა, პანტერა ვარ, პანტერა! _ და ანიმ მურადს მხეცივით შეუღრინა. მურადი შიშისგან დაპატარავდა, საშინელებათა ფილმში ხომ არ მოვხვდიო _ გაიფიქრა, _ რადგან ანი, მართლაც რაღაც პატარა, საშინელ მხეცს დაემსგავსა..

_ ღმერთო, შენ მიშველე! _ ესღა წამოსცდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

ყვავილების მაღაზიასთან გააჩერეს და ყვავილების საყიდლად ორივენი გადმოვიდნენ.

_ აი, ის წითელი მიხაკები რა ღირს? _ თითით ანიშნა ანიმ გამყიდველს.

_ ლარი. _ გულგრილად უპასუხა გამყიდველმა.

_ შავზოლებიანი?

_ ორი ლარი.

_ მომეცით. ხუთი ცალია, ხომ? _ იკითხა ანიმ.

_ ათი ლარი. _ ლამაზად შეუხვია და გადმოაწოდა ანის ყვავილები გამყიდველმა. ანიმ გამოართვა და მურადს შეხედა _ რატომ არ იხდიო.

_ მე უნდა გადავიხადო? _ გაიოცა მურადმა. ანიმ ტუჩი აიბზუა. მურადმა სასწრაფოდ გადაიხადა.

_ ახლა, საით? _ იკითხა მან, როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ.

_ ვაკეში, ლევან იაშვილის პანაშვიდს უნდა მივასწროთ.

_ პანაშვიდს უნდა მივასწროთ? რა მინდა პანაშვიდზე?! მე მეგონა, სადმე ბაითში, ან სადღაც დაბადების დღეზე მიგყავდი... _ ისე გაცხარდა, ლამის საჭე დაამტვრია მურადმა.

_ იცი, რას გეტყვი? შენ არ გინდა, რომ ეს საქმე გამოიძიო და მე კი, სანამ მკვლელებს იქ არ დავაბინავებ, სადაც იმათი ადგილია, ვერ ჩაგაპროშტნინებ თავს, ვერა! _ გამოუცხადა ანიმ.

_ გასაგებია, თუ მკვდარს მაგ მიხაკებს მიართმევ, მაშინვე მკვლელის გვარსა და სახელს დაგისახელებს, ხომ?

_ შენ რა იცი, რომ არ დამისახელებს?

_ არა, შენ კი... გეტყვის, როგორ არ გეტყვის, რა თქმა უნდა, გეტყვის... _ ხუმრობის ხასიათზე დადგა მურადი.

_ კარგი, პანაშვიდის მერე ხელზე გაკოცნინებ. აი, ნახე, რა ლამაზი მტევანი მაქვს. _ ანის მართლაც ლამაზი მტევანი ჰქონდა _ ოდნავ პუტკუნა, ისეთი, ხირომანტები მეძავის მტევანს რომ ეძახიან.

_ მმმუუ! _ ამოიღმუვლა მურადმა და მანქანა დაძრა.

უკვე ბნელდებოდა, როცა იაშვილის სახლის წინ გაჩერდნენ. ანი ყვავილებით ხელში გადმოვიდა და ეზოში შევიდა. შესასვლელთან ცოტა დაიცადა, რომ სხვა მოსამძიმრეებს შეჰყოლოდა... მწუხარე სახით შემოუარა კუბოს და მიხაკები მის კიდეზე დადო. შემდეგ, მგლოვიარე ჭირისუფალს თავი უხმოდ დაუკრა და მომდევნო ოთახში გავიდა. რა თქმა უნდა, ის ვერავინ იცნო. ოთახი, სადაც ანი შევიდა, ლევანის კაბინეტი იყო და არც ისე პატარა გახლდათ. იქ სკამებიც იდგა და სავარძლებიც. იქვე, დაბალ მაგიდაზე, რამდენიმე ჟურნალი იდო. კუთხეში მიმჯდარი ორი შაოსანი რაღაცაზე გაცხარებული ჩურჩულებდა. ანი მაგიდასთან ჩამოჯდა, ჟურნალი აიღო, გადაფურცლა და ქალებს მიუგდო ყური.

_ არა, არა, არსებობს, ნამდვილად არსებობს... _ ამტკიცებდა ერთ-ერთი, _ ამას წინათ რაული დამესიზმრა _ თმაგაწეწილი, პირგაუპარსავი... ქვემოთ რომ აუზია იქ იდგა და იცი, რას მეუბნებოდა? _ მაშ, იმის ღირსი არ ვიყავი, თმა დამევარცხნა, ან პირი გამეპარსაო? ხომ გახსოვს, სავარცხლის, სარკის და პირის საპარსის ჩატანება რომ დაავიწყდათ... მაგის სიდედრი რომ მოთქვამდა მერე: რატომ თავი არ გამიქრება, რატომ მიწა არ დამეყრება, ეს რა გულმავიწყობა დამჩემდაო...

_ ჰო, მიწა რომ მიაყარეს, მერეღა იხოკავდა ლოყებს... _ დაუდასტურა მეორემ. _ ვაი, რომ დამესიზმროს, ვაი, რომ არ მაპატიოს, ვაი, რომ წამიყვანოს... მიუბრუნდა კოტე და ეუბნება: სად უნდა წაგიყვანოს, ქალო, აქ სიცოცხლეს უშხამავდი, ჭირივით ეჯავრებოდი, დასანახად ვერ გიტანდა და საიქიოში წაგიყვანს, რომ ახლა იქ მოშხამოო?

_ ჰოდა, მე დამესიზმრა, მე... _ განაგრძო პირველმა. _ ახლა თუ მკვდართან მივდივარ, აუცილებლად მიმაქვს სარკე, სავარცხელი და სასახლეში ვუწყობ. მეშინია, ისევ არ დამესიზმროს თმაგაჩეჩილი და წვერმოშვებული მიცვალებული...

ანი, რომელიც ჟურნალს ფურცლავდა და სტრიქონებს თვალს მექანიკურად აყოლებდა, ბოლოს წინა გვერდზე ისეთ რაღაცას გადააწყდა, თვალებს არ დაუჯერა. რუბრიკაში _ "სხვადასხვა" შავით თეთრზე ეწერა: "პროფესიონალი კილერი _ ტელ: 25.56.66" და ქვეშ პასტით ჰქონდა ხაზი გასმული. ჟურნალს "ელიფსი" ერქვა. ანიმ გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა. რა თქმა უნდა, უკვე აღარ ესმოდა რაზე საუბრობდნენ შაოსნები. არ იცოდა, ჟურნალი სად წაეღო. ჯერ ჩანთაში უნდოდა ჩაედო, მერე გადაიფიქრა, ადგა, მიიხედ-მოიხედა, გადაამოწმა, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო და რომ დარწმუნდა, მისი დარდი არავის ჰქონდა, მივიდა და ჟურნალი წიგნების თაროზე შემოდო. გარეთ სწრაფად გამოვიდა, კიბე ჩაირბინა და მურადის მანქანაში ჩახტა.

_ მურად, მურად, გაგიჟდები, რა ვნახე, გაგიჟდები, გააფრენ... ჟურნალები ეყარა მაგიდაზე... ისე, ვათვალიერებდი, ვფურცლავდი... თან, იქვე ვიღაც ქალები ისხდნენ და ორივე ყურით იმათ ჩურჩულს ვუსმენდი. იცი, რა წერია იმ ჟურნალში? გაგიჟდები. წერია _ პროფესიონალი კილერი და მისი ტელეფონის ნომერი, დაიჯერებ?

_ პასტით წერია? _ იკითხა გამომძიებელმა.

_ არა, ჩაბეჭდილია, ჩაბეჭდილია "სხვადასხვაში", ჩამონათვალში და ქვეშ ხაზი აქვს გასმული, პასტით. _ მიაყარა ანიმ.

_ რა უყავი მერე, იქ დატოვე?

_ ჰო, არ წამოვიღე! როგორ შეიძლებოდა, უკეთესი სამხილი რაღა გინდა, ადი რა, ნახე!

_ შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო, უთხრა კატამ ძროხას... _ მიანიშნა მურადმა ანის.

_ კარგი, ჰო, გაკოცნინებ. _ დაპირდა ანი.

_ ხელზე? _ ჰკითხა მურადმა.

_ კარგი, ლოყაზე! _ და Aანიმ მურადს ლოყა მიუშვირა, თან ტუჩებზე ხელი მიიფარა.

_ რას აკეთებ? _ გაიკვირვა მურადმა.

_ ტუჩებში რომ არ მაკოცო.

_ მაშინ, არ ავალ...

_ იცოდე, აცილებას მოგცემ... მთელ ქვეყანას მოვდებ... _ დაემუქრა ანი.

_ კარგი, ჯანდაბას, იყოს მარტო ლოყა... _ და მურადმა ლოყაზე მაგრად აკოცა.

_ აუ, არ დამლოშნა? _ მოიწმინდა ლოყა ხელით ანიმ. _ რაღას უყურებ?

_ ჩემს იქ ასვლას აზრი არა აქვს.

_ როგორ?

_ ორდერის გარეშე როგორ გავჩხრიკო? მოწმეები არ მჭირდება? ოქმი და რა ვიცი... ათასი წვრილმანი და მსხვილმანი...

_ რომ მაკოცე?

_ გესესხე, რა... ახლა შენც მაკოცე ერთხელ და არც მე მექნება შენი ვალი და არც შენ ჩემი... _ გაეცინა მურადს.

_ ბებიაშენისამ! იცოდე, სხვა დროს ერთ კოცნას გამოგატოვებინებ. ორდერს აიღებ, დამირეკავ და ჩხრეკას გადამაღებინებ!

_ არის, უფროსო! _ მურადმა ხელი მიიდო შუბლთან, მანქანის გასაღები გადაატრილა, დაქოქა და დაძრა.

მინისტრი ბეჟან გვერდწითელი უხასიათოდ იყო... იჯდა კაბინეტში და პრესას ათვალიერებდა.

_ მანანა, მოვიდნენ დარჩიაშვილი და სიდამონიძე?

_ დიახ, ბატონო ბეჟან, მოსულები არიან. _ მოახსენა მანანამ.

_ შემოვიდნენ. _ ბრძანა მინისტრმა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

კაბინეტში საუბნო პოლიციის პროკურორი _ ზაური და პოლიციის უფროსი, ფელიქსი შემოვიდნენ. ბეჟანს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და ხელით ანიშნა, დასხედითო.

_ რაღაც, ვერ უნდა იყოთ ხასიათზე. _ წაუქლესა ზაურმა.

_ კაცო, რა ხდება ამ... იაშვილი იყო ხომ... _ დაიწყო მინისტრმა.

_ ჰო...

_ მერე?

_ თავი მოიკლა კაცმა, როგორ გეკადრებათ... _ "გულწრფელად" თქვა ზაურმა.

_ მოიცა, მოიცა... მეკადრება კი არა... _ მინისტრმა გაზეთი დაკეცა, _ რამდენი დღეა გასული... ამტყდარი როა ეს ამხელა კაკაფონია... გაზეთები, რადიო, ტელევიზია... როგორ გგონიათ, ვის უთხრიან ძირს, თქვენ თუ მე? ვის მიეცი საქმე?

_ მურად ოქროპირიძეს...

_ ვინ არის, იცის რამე?

_ ცოტა კი, სხვებმა წერა-კითხვაც არ იციან და ეგ დაწერს მაინც...

_ მოიცა, თუ ძმა ხარ! არ გვინდა, რა, ეს ბლეფომანია, მწერლები მგონი, ქვეყანას აღარ სჭირდება და გამომძიებლად მწერლებს ნუ მომიყვან, ძალიან გთხოვ... საქმე, საქმე! _ საქმიანი იერი მიიღო მინისტრმა.

_ რომ მცოდნოდა რატომაც მიბარებდით, დავაწერინებდი პატაკს და მოვიტანდი... რამდენიც შევეკითხე, მეუბნება: ერთი დღე მაცალეო... _ და უცებ, ფელიქსს დაადო ხელი ზაურმა. _ აი, ამან, ფელიქს ძერჟინსკია თუ სიდამონიძე, იცით, რა ქნა? კაცი დაიჭირა და გაუშვა... აი, ყამა სდებია ჯიბეში...

_ კაი რა, ზაურ, რა! _ წამოხტა სკამიდან ფელიქსი. _ შენ თავი დამანებე, რა... წახვალ-წამოხვალ და მე უნდა დამადო ყოველთვის ხელი, მე, ძმაო, პოლიციელი ვარ, გამოძიებასთან არაფერი მესაქმება, შენ ჩემს ხალხს თავი დაანებე, რა!

_ შენი და ჩემი ხალხი რას მიქვია... _ ფელიქსზე მაღლა ახტა ზაური, _ შენ შენს პოლიციელებსაც თუ მასე ელაპარაკები, როგორც მე, რა გამოვა... მომამაგრე ხალხი? კაცი დაიჭირეს? ის კაცი ჩემია, ჩემი... _ ზაურმა მთელი ძალით დაიბრაგუნა გულზე მუშტი _ და ჩემ დაუკითხავად არ უნდა გაუშვა, ჰო, ჰო! ეს იმიტომ ხდება, რომ მე არა მაქვს უფლება შენ ადგილზე სხვა დავნიშნო...

_ არ გინდა, რა, ზაურ, ასეთი ლაპარაკი... _ ოდნავ მოტყდა ფელიქსი. _ ის კაცი შარი იყო, შარი... შარი მინდოდა კიდევ?

_ შარი იყოო, გესმის? _ ბეჟანს მიუტრიალდა ზაური, _ იქნებ, მკვლელი იყო! მაგ ლევან იაშვილის საყვარლის მამა გახლდათ, ასე არ იყო? მივიდა, გადმოაგდო ფანჯრიდან, იფიქრა, ცოცხალიაო და დანით მიბრუნდა, რომ ყელი გამოეჭრა... შენ კიდევ დაიჭირე და გაუშვი...

_ რას აბრალებ, ქრთამი აიღო? _ ჰკითხა ღიმილით ზაურს ბეჟანმა.

_ მაშ, რა ვიფიქრო? _ გამოაცხადა ზაურმა.

_ შენ ძმაო, მიუნჰაუზენის ბიძაშვილი ხომ არა ხარ, რა ზღაპრებს ჰყვები?! _ გამწარდა ფელიქსი. _ კაცი დავიჭირე და გავუშვი? იმის დაჭერას რა უნდა, ის კაცი უცხოეთში კი არ გაფრენილა... _ და ბეჟანს მიუტრიალდა, _ ამის გამომძიებელი საქმეს კი არ იძიებს, ბატონო ბეჟან.

_ აბა?

_ ვიღაც ჟურნალისტკას დასდევს, “დინამისტკას”... ჰო, ჰო, დაათრევს _ რესტორნებში, ბარებში, სახინკლეებში, მერე მოდის და ბიჭებში ჰყვება, რა მკვრივი “სისკები” აქვს...

_ ეეე! _ თქვა ზაურმა.

_ რა ე, რა? _ განაგრძო პოლიციის უფროსმა, _ დაკითხა ჯერ ერთი კაცი მაინც, დაკითხა ვინმე?

_ ვინ უნდა დაეკითხა? _ იკითხა პროკურორმა.

_ ვინ უნდა დაეკითხა? _ ავარდა ისევ ფელიქსი. _ კონკურენტები არ უნდა დაეკითხა? “ატეესების” დირექტორები, ძველი მინისტრი, იმისი მოადგილეები, საიდან ამხელა ქეში, ისიც ჩეჩქად... მაგრამ სცალია, ძმაო? ჯერ ის დინამისტკა ჰყავს, არა, გასაჟიმი?... თავი დამანებე რა, ძმაო! ერთხელაც ამომასხამს, რა! აივსო მოთმინების ფიალა, გადმოვიდა!

ამის თქმაზე ზაური ავარდა.

_ მე, რა, არ ამევსო? გგონია, ჩემ ფიალას ძირი აქვს გაგდებული?

_ კარგით, კარგით! მორჩით, რა! ნუ აფერისტობთ! _ ჩაერია მინისტრი, _ ორივენი უნიჭოდ არტისტობთ... რა ხდება, გამაგებინეთ! სიმართლე მითხარით!

_ თავი მოიკლა იმ კაცმა, არ არსებობს... _ გადაჭრით თქვა ზაურმა.

_ მორჩა, გადაიბანა ხელი პილატესავით... _ გაიცინა ფელიქსმა და ზაურს მიუტრიალდა. _ გამომიგზავნე შენი გამომძიებლები და წერა-კითხვას მე ვასწავლი... რა იყო, ორი კაცი მყავს, ერთდროულად სამ ენაზე ლაპარაკობენ...

_ თქვენ მგონი, ადგილები უნდა გაცვალოთ, ხომ იცი. _ ურჩია ბეჟანმა ორივეს.

_ ბატონო ბეჟან, იმ სკამზე დავჯდები, ეს რომ ზის? _ იუკადრისა ფელიქსმა.

_ ვინ დაგვსვამს, თორემ კი არ დაეწებები ზედ? _ მიახალა ზაურმა.

_ კაი, კაი... მორჩით. ორ დღეში საქმე დახურული თუ არ იქნება და პატაკს მაგიდაზე არ დამიდებთ... ხომ ხვდებით? მოკლედ, ეს საქმე მანამდე მოახრჩეთ, სანამ ბოლომდე აგორებულა...

_ თვითმკვლელობა? _ შეეკითხა ზაური.

_ მე მეკითხებით? _ ხელები გაშალა მინისტრმა.

_ გასაგებია. _ თქვა ზაურმა და წამოდგა. ფელიქსიც ადგა. _ ჩივილით არავინ ჩივის. მარტო ეს ჟურნალისტები აჩმახებენ.

_ ვიცი, რაღაც ფირს ატრიალებენ წარამარა... მერე? _ თვალებში მიაჩერდა მინისტრი ორივეს. მათი შემხედვარე ადამიანი ადვილად გამოიტანდა დასკვნას, რომ მათ შორის, რაღაც შეთანხმება შედგა.

_ ახლა, გასაგებია. მარტო ჩემ თავზე ხომ ვერ ავიღებდი? _ თქვა ზაურმა.

_ შენ თავზე უნდა აიღო! _ ჩაილაპარაკა რატომღაც გაკვირვებულმა მინისტრმა, _ მაშ ვისზე?

_ კი, ბატონო! _ დაეთანხმა ზაური.

როგორც კი ფელიქსი და ზაური მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდნენ, ფელიქსმა ზაურს ცერად შეხედა...

_ ბიჭო, რო ჩამიშვებ ხოლმე ამ ტურასთან, თვალებში როგორღა მიყურებ, არ გრცხვენია?

_ როგორ მოწვა, რომ ვბლეფობდით... _ თქვა მინისტრზე პროკურორმა. _ მოდი, იცი, რა? ის დანიანი გიჟი ერთი-ორი დღით ისევ ჩააყუდე! მე კიდევ გამომძიებელს დავაკითხვინებ. შენც საქმეში ჩაგეთვლება და მეც. ცოტა გავფაფხურდეთ, თავი მაინც მოვაჩვენოთ. _ ურჩია ფელიქსს ზაურმა.

_ კი, ბატონო. _ დაეთანხმა ფელიქსი და მობილური აჩვენა. _ აი, შენი ნათქვამი ჩავიწერე. ჩამიშვებ კიდევ? მეც ჩაგიშვებ!

_ კაი, კაი, შენც კარგად, მეც კარგად! _ ხელი ჩაიქნია ზაურმა და მანქანაში ჩაჯდა.

მეორე დღეს, დილაადრიანად, მურადი, ერთი პოლიციელი,Aანი, ვასიკო და დარაჯი, რომელიც მკვლელობის პირველ დღეს, მოწმის სახით ტელე-ეკრანზე გამოჩნდა და საუბრობდა, იაშვილის ოჯახს მიადგნენ. მათ კარი კოტემ, მიცვალებულის ძმამ გაუღო.

_ პოლიციიდან ვართ. აი, ჩხრეკის ორდერი. _ როგორც გამომძიებლებმა იციან, პირდაპირ თვალებზე მიადო ფურცელი მურადმა.

კოტემ იმავე წამს მიაჯახუნა კარი და დაუპატიჟებელი სტუმრები გარეთ დატოვა. მურადმა ზარს თითი ლამის ზედ მიაჭყლიტა.

_ ფეხი უნდა ჩამედგა. _ თქვა მან.

_ ეგენი აღარ გააღებენ, ისე მოაჯახუნეს. _ თქვა დარაჯმა.

_ არ გააღებენ? რას ჰქვია, არ გააღებენ... ამ კარს სულ ნაჭერ-ნაჭერ დავაჭრევინებ. _ გაბრაზდა მურადი.

კარი მძიმედ გაიღო.

_ გადარჩნენ... _ თქვა ვასიკომ.

_ მობრძანდით. _ ჭიშკარს იქით ლიანა იდგა.

_ მაგარი სტუმარ-მასპინძლობა გცოდნიათ. _ ჩაილაპარაკა მურადმა.

_ დაუპატიჟებელ სტუმრებს კარს საერთოდ არ უღებენ. _ თქვა ლიანამ და დააყოლა, _ ისე, როგორც ვამჩნევ, ამ სახლში მე თვითონ აღარც სტუმარი ვარ და აღარც მასპინძელი.

ლიანამ სტუმრები დარბაზამდე მიაცილა.

_ ლალი, სტუმრები გყავს. _ მოახსენა ქვრივს და თვითონ გარეთ დარჩა.

კუბოს თავთან ხორბალში ჩადებული სანთელი ენთო. სადღაც, დარბაზის ბოლოში, სავარძელში პირგამეხებული ლალი იჯდა.

_ რა ამბავია, რა ხდება, ისევ თქვენა ხართ?! _ საშინლად არ მოეწონა ლალის ამდენი ხალხის დანახვა.

_ უნდა მაპატიოთ, მაგრამ ბინა უნდა გავჩხრიკოთ. _ თქვა მურადმა, _ აი, ჩხრეკის ორდერი. ესენი მოწმეებად მჭირდება, რომ მერე რაიმე გაუგებრობა არ იყოს.

_ და რომელი საათია, ადგომა არ უნდა გვაცალოთ?

_ ასე ადრიანად იმიტომ მოვედით, რომ მერე ახლობლები მოვლენ და მათ მოვერიდეთ.

_ ჩვენ ყველაფერს გადავიღებთ და გაუგებრობა გამორიცხული იქნება. _ თქვა ანიმ.

_ რა არის გადასაღები ან გასაჩხრეკი, გაგიჟდები კაცი... მკვდარსაც კი არ დაგამარხინებენ შენ გემოზე. _ ჩაილაპარაკა ლალიმ.

_ სწორედ მაგიტომ ვჩქარობ, ქალბატონო, რომ ყველაფერი საფლავში არ ჩაიტანოს მიცვალებულმა. სხვათა შორის, თქვენს ინტერესებშიც უნდა შედიოდეს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ... _ თქვა მურადმა.

_ თქვენი რაიმე რომ დაიჯერებოდეს კი, მაგრამ ეშმაკმა უწყის, რას აპირებთ... _ მხრები აიჩეჩა ლალიმ.

_ რას უნდა ვაპირებდეთ, გვინდა, გავიგოთ, მართლა თავი მოიკლა თუ მოკლეს... _ უთხრა მურადმა.

_ რა არის ეს ცხოვრება, არა? კაცი მილიონებს ეთამაშებოდა და თავს იკლავს. მე კიდენა, ერთი წკირიც არ მაბადია და ასი მილიონიც რომ მამცენ, თავს მოვიკლავ? თავი რომ არ მოვიკლა, რა, ღმერთი დამარჩენს აქა? როცა მოუნდება, იმწამს კი არ მიკრავს თავს საიქიოში? _ ჩამოაყალიბა თავისი თეორია დარაჯმა.

_ ახლა შენ გაჩუმდი და ხმა არ ამოიღო. რასაც გეტყვიან, ის აკეთე, კარგი? _ სთხოვა დარაჯს მურადმა.

_ კარგი, ჰო! ახლა პირს ვერ ავიკერამ და თუ რაიმე წამამცდება, უნდა მაპატიოთ. _ დაეთანხმა დარაჯი.

_ დაიწყე, რაღას უყურებ, რას დგახარ შელოცვილივით, რა, შემოგილაწუნო? _ მიუბრუნდა მურადი პოლიციელს.

_ კუბოთი ხომ არ დავიწყებ, კაბინეტიდან დავიწყებ, ამ კაცს კაბინეტი არ ჰქონდა? _ იკითხა პოლიციელმა.

_ იმ კარში და მარჯვნივ... _ ლალიმ სტუმრებს ლევანის კაბინეტისკენ მიუთითა.

_ ქალბატონო, რაღაც მინდა, გკითხოთ... _ ითხოვა პოლიციელმა. _ თავს რომ იკლავენ, ხშირად რაიმე წერილს ტოვებენ ხოლმე. ხომ არაფერი გიპოვიათ?

_ არა, არაფერი... _ ჩაიბურდღუნა ლალიმ.

_ მაშინ წამობრძანდით, ჩხრეკას თქვენც უნდა დაესწროთ, რომ მერე არაფერი დაგვაბრალოთ. _ სთხოვა პოლიციელმა.

_ კი, ბატონო. _ წამოდგა ლალი.

_ მეც მინდა, ჩხრეკას დავესწრო, შეიძლება? _ შემოიხედა ლიანამ.

_ შეიძლება კი არა, აუცილებელია. _ თქვა მურადმა.

ყველანი ლევანის კაბინეტში შევიდნენ. ვასიკომ კამერა მოიმარჯვა. პოლიციელმა ჩხრეკა მაგიდის უჯრებიდან დაიწყო. ანიმ თვალით ანიშნა მურადს, იმანაც აიღო ჟურნალი, ჩაეშვა სავარძელში და გადაშალა. ლალი ცხვირაწეული აკვირდებოდა ჩხრეკას. პოლიციელმა უჯრაში რაღაც ფოტოები იპოვა. წინ დაილაგა და გადაათვალიერა. შემდეგ, წიგნები სათითაოდ გადმოიღო და დააყირავა. ერთ-ერთი წიგნიდან გამხმარი ყვავილები და ფოთლები გადმოცვივდა. ანიმ ისინი იატაკიდან ფრთხილად აკრიფა და მაგიდაზე დააწყო.

_ ეგ, ალბათ, ჩემი სიდედრის ჩადებულია, როცა ცოცხალი იყო... _ თქვა ლალიმ.

_ ჰო, დღეს ასეთ რამეს იშვიათად თუ შეხვდები. სულ მინდვრის ყვავილებია... _ დაამატა ანიმ.

დარაჯი მაგიდასთან მივიდა და გამხმარ ყვავილებს დახედა.

_ იორდასალამი. ჩიტიწვივა. გუგულისკაბა. შროშანა. პირთეთრა. ღამის ია. ყაყაჩო. ქრისტესისხლა. ბაია. ლალა. ფურისულა... _ ასახელებდა ყვავილებს და თან, სათითაოდ მაღლა სწევდა, რომ ყველას დაენახა.

_ თქვენ რა, მებაღე ხართ? _ შეეკითხა განცვიფრებული ანი.

_ ეგ ღევანდელებმა დაივიწყეთ, შვილოსა, ყველაფერი, თორემ ჩვენებურებმა მარტო მინდვრის ყვავილების კი არა, ვარსკვლავების სახელებიც ზეპირად იცოდნენ... _ თქვა დარაჯმა,

_ ე, ეს რა წერია. დედას ვფიცავარ! აი, ნახეთ... _ წამოხტა უცებ მურადი ჟურნალით ხელში. _ ახლა გავგიჟდები... ნახეთ, ნახეთ, წაიკითხეთ! აი! აი, პროფესიონალი კილერი და იქვე ტელეფონის ნომერი: 25.56.66. თანაც, ქვეშ ხაზი აქვს გასმული, პასტით. აი, ნახეთ! _ მურადმა გადაშლილი ჟურნალი მაგიდაზე დადო და ყველა მართლაც გაკვირვებული დაჰყურებდა იმ ადგილს, სადაც ის ეწერა.

_ მდაა! ჩვენს დროში სულაც არ არის გასაკვირი. _ თქვა ანიმ.

_ ფასიც რომ მიეწერათ, მთლად კარგი იქნებოდა... _ ჩაილაპარაკა დარაჯმა.

ლიანამ კი ჟურნალი აიღო და ხელი ლალისკენ გაიშვირა.

_ ვიცოდი, ვიცოდი, რომ ამის მოკლული იყო.

_ ვისი? _ წამოდგა სკამიდან გაფითრებული ლალი.

_ შენი, შენი, ვინ მოკლავდა სხვა... პირველად, სულ პირველად რომ დავინახე, მაშინვე ის გავიფიქრე, ეს ქალბატონი ჩემ ძმას ძალიან მალე მიასამარებს-მეთქი... _ არ ცხრებოდა ლიანა.

_ რა? შენ ხომ არ გარეკე! მე, მე რა გავიფიქრე, შენ რომ დაგინახე, არ გაინტერესებს? მკვდარი მეგონა, გაცოცხლებული, გეფიცებით, ყვავი, ყვავი, სულ თავზე რომ დაგჩხავის... _ მიუბრუნდა ხალხს ლალი.

_ მღრღნიდა, მღრღნიდა ეჭვები და აი... _ აგრძელებდა ბრალდებას ლიანა. _ პირველივე ღამეს, გაცნობის პირველივე ღამეს, კაცს ლოგინში შეუგორდა და მეორე დილას სასამართლოში გავარდა, ქალიშვილი ვიყავიო... ბადრაგის გაზრდილი რა

იქნებოდა, ახლა რომ თავი კიტრად მოაქვს... უტვინო იყო ჩემი ძმა, უტვინო... ქალის ცნობა არ იცოდა, ამ საცოდავმა, ქალის... მღრღნიდა, განა არ მღრღნიდა ეჭვი...

_ კარგით, გასაგებია, ეგ ეჭვები თქვენთვის შეინახეთ და ცოტა ჩვენც გვაცალეთ. _ ხმას აუწია მურადმა. _ ქალბატონო ლალი, თქვენ ეს ჟურნალი წაკითხული გაქვთ. იცოდით, რომ შიგ კილერის ტელეფონის ნომერი ეწერა?

_ კილერი არა, მილერი... საიდან უნდა მცოდნოდა? როდინდელია იმას მაინც დახედეთ, მე ჟურნალების თვალიერებისთვის მეცალა? სულ სამი დღეა, რაც ჩამოვედი...

მურადმა ჟურნალი ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა.

_ თარიღი არ აწერია. იქნებ, უცხოეთში წასვლამდეც შეიძინეთ. მაშ, ეს ხაზი ვისი გასმულია?

_ თქვენ სიცხე ხომ არა გაქვთ, აბა, შუბლზე მიიდეთ ხელი? მე საიდან უნდა ვიცოდე, ვისი გასმულია... _ ხელი გაუქნია ლალიმ.

_ ეგა, იმისი გასმული იქნება. _ ჩაერია დარაჯი.

_ ვისი? _ ჰკითხა მურადმა.

_ აგე, იმისი, სასახლეში რო წევს გაჭიმული, მკვდრისა... _ მიანიშნა დარაჯმა.

_ მკვდრისა? _ გაიკვირვა მურადმა.

_ ჰო, როცა ცოცხალი იყო, კაცო, ახლა კი არა. _ განმარტა დარაჯმა.

_ ანგლობა იქნება. _ ჩაილაპარაკა ვასიკომ.

_ რა? _ ვერ მიუხვდა მურადი.

_ იანგლა, რა, ვიღაცამ იჯამბაზა, ტო... გინდათ, ამწუთას დავრეკო? რა ჰქვია ამ ჟურნალს? _ ვასიკომ პირველ გვერდს დახედა. _ "ელიფსი"?.. რომ დავრეკო და ამათ გიტლერის მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩავაწერინო, იმასაც დაბეჭდავენ.

_ ეგ გასაგებია, მაგრამ ხაზი რატომ აქვს ქვეშ გასმული, ხაზი, ეს არის მთავარი! _ გამოთქვა თავისი ეჭვი გამომძიებელმა.

_ პატრონს თქვენსას... _ გამოსცრა ლალიმ.

_ ქალბატონო, რომ აგიტეხავთ, პატრონს თქვენსას, პატრონს თქვენსას... გამომძიებელი რომ ბრძანდებოდეთ, თქვენ კი არ დაინტერესდებოდით ამ ამბით? _ მიუბრუნდა მურადი ლალის. _ ამ სახლში მკვლელობა მოხდა და არა, თვითმკვლელობა. აი, სწორედ ეს ჟურნალი ადასტურებს ამას!

_ და მე მოვკალი, არა? მე რომ გამომძიებელი ვბრძანდებოდე, იმ კახპით დავინტერესდებოდი, ვინც ამ ვაჟბატონს თავი მოაკვლევინა.

_ ვაჟბატონს? _ შეუსტვინა ამის გაგონებაზე ვასიკომ..

_ ის ამას აბრალებს, ეს იმას, მიდი და გაიგე ახლა... _ გამოაცხადა ანიმ.

_ ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, მე ნუ მასწავლით, _ აღელდა მურადი. _ ვისთან რა ვარკვიო და რა როგორ ვაკეთო... ეს ამბავი, იმ ქალბატონისგან აბსოლუტურად გამორიცხულია.

_ რატომ, ვითომ? _ განცვიფრდა ლალი.

_ არ იცით? _ გამომცდელად შეეკითხა მურადი.

_ არა, არ ვიცი... რაშია საქმე, თქვენ რა ქარაგმებით მელაპარაკებით, ვერ გავიგე! _ ვერაფერს მიხვდა ლალი.

_ ნუციკოზე არ ბრძანებთ? კელაპტრიშვილზე, მომღერალზე? თქვენ იცით, იმას რამხელა მუცელი აქვს?

_ მუცელი? _ ვერ მიუხვდა ლალი.

_ დიახ, მუცელი, მუცელი... და შიგ იცით, ვინ უზის? პატარა ლევანიკო იაშვილი, მაშ! _ და მურადი ლალის გამომცდელად დააკვირდა.

_ ეგ ვინ გითხრათ? _ იკითხა შეცბუნებულმა ლალიმ.

_ წმინდა პეტრემ, ვინ გვეტყოდა, თვითონLნუციკომ გვითხრა... _ გამოაცხადა მურადმა.

_ ტყუილია! _ დაიყვირა ლალიმ ზიზღით.

_ მართალია. _ ჩაერია ლაპარაკში ანი.

_ ტყუილია, იმიტომ, რომ ალიბი სჭირდება. _ მტკიცედ თქვა ლალიმ.

_ ოჰო, იურისპრუდენციაშიც ერკვევით? _ დამცინავად გაიღიმა მურადმა. _ მართალი გითხრათ, მე ბებია ქალი არა ვარ, რომ ეს ამბავი ადგილზე გადამემოწმებინა, მაგრამ გამომძიებელი ვარ და ამ საკითხის გადამოწმება რომ ძალიან ადვილია, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ... მაგრამ გავჩუმდეთ ახლა ყველანი. დიახ, მაცალეთ! ჯერ კილერთან მინდა დავრეკო. ქალბატონო, ამ ფაქსით ხომ შემიძლია, ვისარგებლო? _ ჰკითხა მან ლალის და ლევანის საწერ მაგიდაზე მდგარ ფაქსზე მიუთითა. ლალიმ ხმა არ გასცა. მურადმა ნომერი აკრიფა _ 25.56.66... _ ოთახში ქალის ხმა გაისმა.

_ გისმენთ.

_ ქალბატონო, მე განცხადების თაობაზე გაწუხებთ, ჟურნალ "ელიფსში" რომ არის გამოქვეყნებული...

_ მერე, მერე! _ მოისმა იმავე ქალის ხმა.

_ იცით, აქ წერია _ კილერი და თქვენი ტელეფონის ნომერი. შეგიძლიათ კილერი დამალაპარაკოთ? _ "ვა-ბანკზე" წავიდა მურადი.

_ ვინა, ვინა?

_ კილერი, პროფესიონალი კილერი. _ გაუმეორა მურადმა.

_ კილერი? იცით, ჩვენ აი, ეს წამია გადმოვედით ამ ბინაში... წარმოდგენა არა მაქვს, ვინ ცხოვრობდა ჩვენამდე...

_ იყიდეთ? _ შეეკითხა მურადი.

_ არა, არა, ვიქირავეთ. პატრონი უცხოეთშია და ამ ბინას, როგორც ჩანს, სანამ ჩამოვა, აქირავებს ხოლმე... ისე, თუ თქვენ კილერი გაინტერესებთ, მე შემიძლია მოგცეთ ტელეფონის ნომერი... ჩემი ახლობელია, მაგრამ დაგთანხმდებათ თუ არა, ვერ გეტყვით... ძალიან ბევრი საქმე აქვს აღებული...

_ კი, კი, აბა, ჩამაწერინეთ, ძალიან დაგვავალებთ...

_ იწერთ?

_ დიახ. _ მიუგო მურადმა.

_ 25.78.78 _ ბეჟანი ჰქვია... _ უკარნახა ქალმა.

_ 25.78.78, ბეჟანი. _ გაიმეორა მურადმა.

_ სწორია... აბა, გისურვებთ წარმატებებს! _ და ყურმილი დაკიდეს.

_ კილერზეც გავედიით... _ გამოაცხადა ვასიკომ. _ ტყუილი იქნება, ეს ბინის შეცვლა, ქირაობა... ახლა სხვა ნომერს მოგვცემენ, მერე სხვას და ბოლოს, როდის, როდის გაგვიყვანენ კილერზე, აი ნახავთ!

_ 25.78.78. _ მურადმა ისევ ფაქსზე აკრიფა ნომერი. _ ბლატნოიც როა. ქეში ექნება, ჩეჩქად.

_ გისმენთ. _ ისევ ქალის ხმა გაისმა ოთახში.

_ ბეჟანი მინდოდა. _ თქვა მურადმა.

_ რა საკითხზე? _ შეეკითხა ქალი.

_ კილერი მჭირდება. _ არ დაიბნა მურადი.

_ კილერი? ჰმ... _ გაეცინა ქალს. _ ახლავე შეგაერთებთ. ბატონო ბეჟან, ყურმილი აიღეთ!

მინისტრი ბეჟან გვერდწითელი ისევ ცუდ ხასიათზე იყო.

_ გისმენთ.

_ ბეჟანი ბრძანდებით? _ გაისმა მურადის ხმა ყურმილში.

_ გახლავართ, _ უპასუხა ბეჟანმა.

_ ბატონო ბეჟან, პირდაპირ ტელეფონზე დაგიკვეთოთ თუ უნდა შევხვდეთ?

_ რაო, რაო? რა უნდა დამიკვეთოთ? _ ვერაფერს მიხვდა მინისტრი.

_ ის, რასაც სხვები გიკვეთენ... _ ისევ უცნაური პასუხი მიიღო მინისტრმა.

_ რომელი ხარ, ბიჭო? _ დაინტერესდა მინისტრი.

_ რა მნიშვნელი აქვს, რომელი ვარ?! კლიენტი ვარ... _ გაისმა ყურმილში.

_ კლიენტი? _ გაუკვირდა მინისტრს.

_ მოიცათ, მოიცათ! თქვენ ხომ კილერი ხართ? _ გაისმა სულელური შეკითხვა ყურმილში.

_ კილერი? არა, მე მაგათი "დირექტორი" ვარ _ კორლეონე, ნათლია... შენ?

_ მე _ დამკვეთი, _ გაისმა ყურმილში.

_ დამკვეთი? ვინ დამკვეთი, რის დამკვეთი?! _ ისევ გაოცდა მინისტრი.

_ რას უკვეთენ კილერებს?.. _ აქეთ შეეკითხა დამრეკავი.

მინისტრმა ყურმილს ხელი დააფარა და მიკროფონში ჩასძახა:

_ მანანა, ჩაიწერე, რა, ნომერი!

_ ჩავიწერე, _ უპასუხა მანანამ.

მინისტრმა ყურმილი დაკიდა. და ისევ მდივანს დაელაპარაკა:

_ მანანა, დარეკე და გამირკვიე ერთი, ვინ იყო...

_ დიახ, ახლავე! _ მოახსენა მანანამ და ჩანიშნული ნომერი აკრიბა.

ლევან იაშვილის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილს ლალი დასწვდა.

_ ალო, გისმენთ!

_ ქალბატონო, ამწუთას თქვენგან ჩვენს ნომერზე დარეკეს და ბატონ ბეჟანს ესაუბრნენ... _ გაისმა მანანას ხმა ოთახში.

_ დიახ, დიახ, კილერის თაობაზე... _ დაეთანხმა ლალი.

_ თანხაზე შეუთანხმდით, თანხაზე და სად მოვიტანოთ-თქო... _ უკარნახა ლალის მურადმა.

_ ხომ ვერ მეტყვით, ვინ დარეკა?

_ გამომძიებელმა მურად ოქროპირიძემ! _ უპასუხა ლალიმ.

მურადმა სასწრაფოდ გაუთიშა ლალის ტელეფონი.

_ გაგიჟდით?! რატომ დაუსახელეთ ჩემი თავი? რატომ ჩაშალეთ ყველაფერი? შეგნებულად, ხომ?!

_ ქალმა მკითხა, ვინ დარეკაო და აბა, არ მეთქვა?! _ გაუკვირდა ლალის.

_ აი, ნახეთ, თუ ეს ყველაფერი შაყირი არ აღმოჩნდეს... _ თქვა ვასიკომ.

მურადმა ჟურნალი თავიდან გადაათვალიერა.

_ არც გამომცემლობა, არც რედაქტორი, არავინ ხელს არ აწერს... უპატრონოა ეს უპატრონო?!. _ იკითხა მან.

_ რომც ეწეროს, რა? იტყვიან _ ვიღაცამ დარეკა და დავბეჭდეთო, მიდი და ეძებე... _ თქვა ანიმ.

_ რა ვქნათ, არ გავაგრძელოთ ჩხრეკა? _ იკითხა პოლიციელმა.

_ ჰო. ის კაცი მინდა, მაპოვნინოთ, ჭიშკარი რომ მომიჯახუნა, _ უთხრა მურადმა.

_ უთხარი და დაუძახებენ... მაგის გამო, სამ სართულზე მაღლა-დაბლა ვირბინო?! _ წყენით თქვა პოლიციელმა, რადგან ახალი საქმე გამოუჩნდა.

_ დაუძახებთ? _ შეეკითხა ლალის მურადი.

_ კოტეს? კოტე ხომ წავიდა! _ გამოუცხადა ლალიმ.

_ აორთქლდა, არა? თან, რაღაც-რაღაცებიც გააყოლა ხელს, ალბათ... _ დააკაკუნა მაგიდაზე გამომძიებელმა.

_ რა-ა?! _ აფეთქდა ლალი. _ კარგით, რა! გააყოლა... რა უნდა გაეყოლებინა?! იარაღი და ნარკოტიკები? ერთიც ჰქონდა და მეორეც... თუ არ გადაიღებთ, შემიძლია, გაჩვენოთ. კაცი მკვდარია _ რას დააკლებთ?..

_ გამორთული მაქვს ისედაც. კი, ბატონო, არ გადავიღებ, _ ეწყინა ვასიკოს.

_ მე რაღა ვაკეთო აქ, ხალხო? როდემდე უნდა ვიდგე ასე, იასაულივით, კედელზე აყუდებული?! თქვენ მე უსაქმური ხომ არ გგონივართ!.. _ იკითხა დარაჯმა.

_ ცოტაც გვაცალე, რა, ბიძაჩემო, ოქმი რომ გაფორმდება, ხელი უნდა მოგვიწერო. საბარავში და სათოხავში კი არა ხარ მოპატიჟებული _ მოწმე ხარ, მოწმე, იცი, რას ჰქვია? _ შეეკითხა მურადი.

_ ნეტაი, არა მცოდნოდა... რასაც მე ამ მატრაბაზულ დროში შავესწარ და რისი მოწმეც მე გავხდი, არ მერჩია, არ შავსწრებოდი?! _ ჩაიბურტყუნა დარაჯმა.

_ წამობრძანდით, _ თქვა ლალიმ და ყველანი იმ დარბაზში გაიყვანა, სადაც მიცვალებული ესვენა. ძველებურ კომოდს დაადო ხელი: _ ამ უჯრებში არაფერია. აი, ეს კი, საიდუმლო უჯრაა, _ თქვა მან და ქვედა უჯრა გამოსწია, რომელსაც სახელური არ ჰქონდა. შიგ პისტოლეტი "მაკაროვი" და კოკაინის თეთრი ფხვნილი აღმოჩნდა. მურადმა გამოცდილი ექსპერტივით გაუსინჯა გემო კოკაინს: თითის წვერი დაისველა, ფხვნილში ჩააწო და დაყნოსა.

_ კოკაინია. ხმარობდა? _ ჰკითხა მან ლალის.

_ ხმარობდა, მაშ, "ბარიგა" ხომ არ იყო! რა შეკითხვაა?! _ გაცხარდა ლალი.

_ არ შეგეკითხოთ?.. რა ხმალზე იტაცეთ იმწამსვე ხელი?! რა ვიცი, იქნებ, ბარიგობდა კიდეც, ვინ იცის?! _ თქვა მურადმა.

_ რა ვინ იცის, რა?! მაინცდამაინც ჩირქი გინდათ, მოსცხოთ?! ვიცი, მაგაში მაგრები ბრძანდებით, პირველები! _ უპასუხა ლალიმ.

_ მაგიტომ მოკლავდნენ მაგას... კაი ბლომად ექნებოდა ეგა, კოკაინი, და წაიღებდნენ... _ დაასკვნა დარაჯმა.

_ დაჯექი და დაწერე ოქმი... _ მიმართა პოლიციელს მურადმა. _ იარაღის ნომერი... კოკაინი _ ერთი კონტეინერი... ტელეფონები, ორივე კილერის, ჟურნალიანად...

პოლიციელმა გახსნა თავისი საქაღალდე, ამოიღო ფურცელი, დადო მაგიდაზე და თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

_ რაც მე ამ ოქმების წერა მეზარება!.. _ და ფურცლის თავზე ბატიფეხურით გამოიყვანა: "ოქმი".

_ დასაჭერია, რა, ნაღდად, გეფიცებით! _ ჩაილაპარაკა ანიმ, როგორც კი იაშვილის სახლიდან გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

_ მოტივი? _ იკითხა მურადმა.

_ მეტი მოტივი გინდა?! ქალს მკვდარი ქმარი უწევს წინ და კილერის ტელეფონი ვუპოვეთ!.. ან, ბევრი ჭიჭინი უნდა იმას, რომLნუციკო კელაპტრიშვილის გაბერილი მუცლის ამბავიც ეცოდინებოდა?.. იცოდე, თუ არ დაიჭერ, მთელ ქვეყანას მოვდებ!.. _ გამოუცხადა მურადს ანიმ.

_ დავიჭერ, აბა, კი!.. რა ვიცი, ვინ დგას მაგის უკან?!

_ ალბათ, მაყუთი, სხვა რა? _ ჩაურთო ვასიკომ.

_ ჰოდა, სწორედ მაყუთია დღეს ყველაფერი, მაყუთი!

_ შენ ასე ფიქრობ? მაშინ, კარგი, ნუ დაიჭერ. მე ანი არ ვიყო, თუ ეგ შენი სიტყვები უკან არ წაგაღებინო! _ დაიმუქრა ანიმ.

ამ დროს ვასიკოს მობილურმა დარეკა.

_ ჰო, ლოლა... _ უპასუხა ვასიკომ. _ გალერეა "ვერნისაჟი"? ალბათ, სადღაც თხუთმეტ წუთში... ნიკო?.. არ ვიცი. გამოჩნდება ალბათ... ჰო, კარგი... _ მობილური ჯიბეში ჩაიდო. _ მოდი, რა, მე ჩამომსვით...

_ იჯექი, ჩვენ მიგიყვანთ. მურად, სანაპიროთი წავიდეთ და ეს, სიონთან ჩამოვაგდოთ, _ ბრძანა ანიმ.

_ მერე? _ იკითხა მურადმა.

_ ჯერ ეს მოვიცილოთ, რა! ვასო, ვაკის სასაფლაო იცი, ხომ? სამ საათზე ზემოთა შესასვლელთან იყავი დარჭობილი. ხომ იცი, დაკრძალვა უეჭველად უნდა გადამიღო: ამბობენ, მკვლელები დაკრძალვას მუდამ ესწრებიანო და იქნებ, ის ტიპიც იყოს, პრეზენტაციიდან რომ გაიყვანა იაშვილი.

_ ვიცი, კაი, ჰო! _ გააჩუმა ანი ვასიკომ.

_ რა არი? ლოლასთან შეხვედრის წინ ხომ არ ნერვიულობ, გენაცვალე?.. _ წაუკბინა ანიმ ვასიკოს.

_ არა! _ მშვიდად უპასუხა ვასიკომ.

_ აბა?

_ ნიკო რომ არ მისულა რედაქციაში, იმას განვიცდი.

_ მართლა?! _ გააშაყირა ანიმ.

_ თავი დამანებე, რა! _ მობეზრდა ვასიკოს.

_ მოვედით, _ თქვა მურადმა და დაამუხრუჭა.

ვასიკო ჩავიდა და კარი მიაჯახუნა. მურადმა გზა განაგრძო.

_ რა გველმა უკბინა, ვერ გავიგე! _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ რა ძნელი მისახვედრი ეგ არის?! მობეზრდა ალბათ კაცს ქალების ტრაკის ქეიფზე სიარული. შენ დაურეკავ _ გამოვარდება, ლოლა დაურეკავს _ გავარდება... უყვარს ეგ ლოლა? _ იკითხა მურადმა.

_ ჰო, აფრენს, გიჟდება, _ თქვა ანიმ.

_ ლოლას? _ იკითხა მურადმა.

_ აბა, რა ვიცი. გაუგებ დღევანდელ ქალებს რამეს?! ლოლას მარტო ყავა უყვარს. დალევს _ ჩაიხედავს, დალევს _ ჩაიხედავს. დღეში ასჯერ მაინც... ყავის ჭიქაში ეძებს შეყვარებულს... გააჩერე, რა, გააჩერე!

მურადმა დაამუხრუჭა და შეშინებულმა იკითხა:

_ რა ხდება?

_ ერთი წუთი! _ ანი მანქანიდან გადახტა და გაზეთის ჯიხურთან მიირბინა. სარკმელში თავი შეყო და მოათვალიერა. ეს ისე უცერემონიოდ გააკეთა, რომ შეშინებულმა გამყიდველმა უკან გასწია თავი.

_ "ელიფსი" არა გაქვთ? _ ჰკითხა ანიმ.

_ გვაქვს, _ ანის ქალმა წინ დაუხეთქა ჟურნალი.

რა ხდება, ქალბატონო? _ გაბრაზდა ანი.

_ არაფერი? _ არადა, აშკარად თამაშობდა გამყიდველი.

ანიმ ჟურნალს დახედა. ზუსტად იგივე ნომერი იყო.

_ სხვა ნომერი არ გაქვთ?

_ ეგ გამეყიდა, რომ?! მეტი არც გამოსულა ალბათ, თორემ მექნებოდა...

_ ხომ არ იცით, ვინ ბეჭდავს, რედაქცია ან გამომცემლობა? _ შეეკითხა ანი.

_ რას გაიგებ, გენაცვალე?! ნახევარს, რაც აქ მილაგია, არც გამომცემლობა აწერია და არც რედაქტორი. უმეტესობა ხალხის მოსაწამლად იბეჭდება... ორი გრამი ტვინიღა შერჩა ხალხს და ისიც უნდათ, რომ ამოურეცხონ... აბა, ამ შიშველ-ტიტველ კაცსა და

ქალს უნდა უმზიროს ჩვენმა ახალგაზრდობამ?! _ და ქალმა რაღაც პორნოგრაფიული ჟურნალი დაუდო წინ.

_ სად მცალია, ქალბატონო, თქვენი ლექციების მოსასმენად?! არ იცით, სად იბეჭდება ეს ჟურნალი? კარგად მეყოლეთ, ნახვამდის!

ანი გაიქცა და მანქანაში ჩახტა.

_ წავედით! _ უბრძანა მან მურადს.

_ რა ხდებოდა? _ იკითხა მურადმა.

_ არაფერი. მინდოდა, გამეგო, ვინ ბეჭდავს ამ ჟურნალს, მაგრამ რა აზრი აქვს?!

_ არავითარი. ეგენი ყველაფერს ბეჭდავენ... რა ვაკეთოთ სამამდე?.. გინდა _ აქ ახლოს ერთი ძმაკაცი მყავს და _ იმასთან ავიდეთ?..

_ თუკი პირობას მომცემ, რომ ძალას არ იხმარ, ამოგყვები! _ წაუყენა ულტიმატუმი ანიმ.

_ ჰო, შენ შენებურად მაგიჟო და მე ძალა არ ვიხმარო, არა?! ყოველღამე ერთი ცხრაჯერ მაინც გჟიმავ სიზმარში... _ გული გადაუხსნა მურადმა ანის.

_ და არ გყოფნის მერე?.. _ იხუმრა ანიმ. _ კარგი, ამოგყვები, ოღონდ იცოდე: აი, ამ ერთ მკლავს გაჩუქებ მთლიანად და რამდენიც გინდა, ლოკე... ერთ სანტიმეტრზეც რომ გადმოხვიდე, შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართოს!..

_ გამაგებინე, ქალიშვილი ხარ თუ შიდსი გჭირს, შეჩემისა?! _ რადგან დაიწყო, ბოლომდე მიაწვა მურადი.

_ ჰო, ქალიშვილიც ვარ და შიდსიც მჭირს, გაწყობს?! _ არ დაუთმო ანიმ.

მურადმა მანქანა გააჩერა. სუპერმარკეტში შევიდა და იქიდან სავსე პარკით დაბრუნდა. გზა უხმოდ განაგრძეს. ორივე ხვდებოდა, რომ მათი სექსუალური გატაცების კულმინაცია ახლოვდებოდა.

მურადმა სოლოლაკის ერთ ძველ, იტალიურ ეზოში შეუხვია... ორივენი გადმოვიდნენ და ხის დახვეულ კიბეს აუყვნენ... აივნის ბოლოში, სადაც მურადის მეგობრის, რეზოს ბინა იყო, ვიღაც ქალი ხალიჩას ბერტყავდა. როგორც კი მას მიუახლოვდნენ, ქალი მოტრიალდა და შეეკითხა:

_ თქვენ ვინ გნებავთ?

_ არავინ, რეზოსთან ამოვედით... _ უპასუხა მურადმა.

_ ა-ა, მე მეგონა, მეგი გინდოდათ, გინეკოლოგი... ანტალიაშია... _ მოახსენა ქალმა და ანის მუცელს დააკვირდა.

_ არა, ქალბატონო, გინეკოლოგისგან ჯერ შორსა ვართ... _ იხუმრა მურადმა და რეზოს ფანჯრის გატეხილ მინაში შეყო ხელი. მაგრამ გასაღები ჩვეულ ადგილას რომ არ დახვდა, ტილოს ქვეშაც მოჩხრიკა.

_ არ არი... ეტყობა, თან გაჰყვა ამ დებილს!.. _ ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა.

_ წავიდეთ! _ თქვა ანიმ.

_ რეზო შვიდზე მოდის სამსახურიდან, _ ახალი ინფორმაცია მიაწოდა ქალმა...

_ ორი საათი კიდევ გვაქვს... _ თქვა მურადმა, როცა მანქანაში ჩასხდნენ.

_ სად მივდივართ? _ იკითხა ანიმ.

_ ერთგან, _ არ დააკონკრეტა მურადმა.

_ რა სახე გაქვს, იცი? კაცის მკვლელის!.. _ გაიცინა ანიმ.

_ ვარ კიდეც! _ თქვა გაბრაზებულმა მურადმა, მანქანა დაძრა და გმირთა მოედანზე, ცირკის გადასასვლელთან დაამუხრუჭა. გადმოვიდა და იქვე, ჟიგულში მჯდომ ტაქსის მძღოლს გაესაუბრა. კისერმოღრეცილი ანი უკანა პარპრიზიდან უყურებდა, როგორ

ამოიღო მურადმა ფული ჯიბიდან და ტაქსის მძღოლს მისცა... მოკლედ, ტაქსი წინ წავიდა, ისინი კი უკან მიჰყვებოდნენ.

“დეზერტირებთან” მარცხივ გადაუხვიეს და ბაზრის წინ საცობში გაიჭედნენ, რის გამოც მურადი გვარიანად ანერვიულდა. ლამის მანქანიდანაც კი გადმოხტა, მძღოლებს მთელი ხმით აგინებდა, ემუქრებოდა და მუშტებს უღერებდა. რაღაც მომენტში ტაქსი თვალთახედვიდან დაკარგეს კიდეც... საცობიდან გამოძვრნენ და ტაქსიც დაინახეს, რომელიც მათ ელოდა.

მალე, ნაძალადევის, “ბარაკის” ტიპის უბანში, რომელიღაც ეზოში შევიდნენ და გაჩერდნენ. ტაქსის მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა, მურადს ანიშნა, დაეცადა და ერთ-ერთი ბინის კარში შევიდა. მალე უკან გამოვიდა და ხელი დაუქნია. მურადი და ანი მანქანიდან გადავიდნენ, ბინის შესასვლელში ვიღაც ქალი დახვდათ, რომელმაც უხმოდ ანიშნა, რომ მიჰყოლოდნენ. ამ დროს ერთმა მთლად გადათხაპნილმა და ნახევრად შიშველმა კახპამ ჩაუარა გვერდით და ირონიული სახით შეათვალიერა ანი. ბნელი კორიდორის ორივე მხარეს პატარა ოთახები იყო ჩამწკრივებული. ერთ-ერთიდან მაგარი გრიალის ხმა გამოდიოდა. ანი თვალებგაფართოებული და ცოტა შეშინებულიც კი იყო... ქალმა ბოლო ოთახის კარი შეაღო.

_ შედით. ორი საათი, ჰო?

_ ჰო, _ უპასუხა მურადმა.

შევიდნენ და კარი დაკეტეს. ოთახში, ხის ძველი, ორადგილიანი საწოლი, დაბალი მაგიდა, სკამები და სერვანდი იდგა... ანი, უკვე დამშვიდებული, ღიმილით ათვალიერებდა იქაურობას. მურადი კი, როგორც საკუთარ სახლში, ისე დატრიალდა, ჩანდა, რომ პირველად არ იყო მსგავს სიტუაციაში. ანიმ საწოლზე გადასაფარებელი გადასწია და თეთრეულს დახედა. მურადმა, რომელიც სუფრის გაწყობით იყო გართული, შამპანური გახსნა, ჩამოასხა და მერეღა შეხედა ანის.

_ შენ ხშირად დადიხარ აქ?.. _ ჰკითხა ანიმ.

მურადი მიხვდა, რომ რაღაც ისე არ იყო, როგორც ეგონა და არ იცოდა, რა ეპასუხა. ბოლოს გამოსავალი იპოვა:

_ მხოლოდ მკლავი, მკლავი და _ მეტი არაფერი!.. ხომ დალევ?

_ კი, მწყურია. არ არის საშიში?

_ საშიში? რა?

_ ჭიქები, რა ვიცი... არაფერი გადაგვედება?.. სკამი...

მურადმა ქვემოდან ირონიულად ახედა.

_ კაი, რა... შიდსი რომ შიდსია, მხოლოდ ნემსით და სექსუალური ურთიერთობით გადადის. კოცნითაც კი არ გადადის, კოცნით!.. _ და ანის ჭიქა მიაწოდა. ქალმა ჩამოართვა. _ შენს ბროლის მკლავებს გაუმარჯოს, ჩემო მშვენიერო!

ანიმ გადაიხარხარა და მკლავი გაიშიშვლა.

_ ესაა ბროლის მკლავი? ნახე, რა შავია, თითქოს მზეზეაო გარუჯული...

_ ჯერ არა, ჯერ არა... თითო ჭიქა მაინც დავლიოთ, მაცალე, ღმერთო!.. _ ამოიღმუვლა მურადმა და შამპანურთან ერთად, ლამის ჭიქაც გადაყლაპა.

_ ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს! _ თქვა ანიმ.

_ სიყვარულს?.. რას გადაეკიდე ამ სიყვარულს?! _ არ ევასა გამომძიებელს სადღეგრძელო.

_ აბა, სხვანაირად როგორ? _ გაუკვირდა ანის. და წრუპვა-წრუპვით დაიწყო შამპანურის მოსმა. მურადი კი იდგა და უცდიდა, როდის დაცლიდა ჭიქას ქალი, რომ მისი მკლავი ჩაეგდო ხელში. ანიმ ჭიქა გამოსცალა და დადგა...

მურადმა მისკენ ნაბიჯი გადადგა. ანიმ ზუსტად ერთი ნაბიჯი გადადგა უკან.

_ ჰა, არ გამექცე, იცოდე! სიტყვა _ სიტყვაა, ხომ დამპირდი!.. _ გააფრთხილა მურადმა.

_ ჯერ თითოც დავლიოთ, რა! _ შეეხვეწა ანი.

_ კი, ბატონო,.. კი, ბატონო,.. დავლიოთ, ძალიან კარგი! _ დაეთანხმა მურადი, რადგან ძალიან კარგად უწყოდა, რომ შემთვრალი ქალის დამორჩილება ბევრად ადვილი იყო და სასმელი ისეთი სისწრაფით ჩამოასხა, რომ გაალიცლიცა და გადმოუვიდა. _ ხედავ, როგორ გწყურებია?! ახლა ჩემთვისაც დავისხამ... მოდი, გინდა, "ვახტანგური" დავლიოთ? ხომ მაინც მაჩუქე, არა, ეგ მკლავი?! ხომ ისედაც ჩემია, არა?!. _ მთლად "გაგულავდა" მურადი.

_ არა, არა! მარტო საკოცნელად... თორემ, შენ რომ გიყურებ, შეიძლება, მომაჭამო ეს მკლავი და უმკლავოდ დამტოვო... _ სრული სერიოზულობით უთხრა ანიმ.

_ მოგაჭამ, ნამდვილად მოგაჭამ... _ მურადმა ტუჩი სახელოთი მოიწმინდა და ნამდვილ ღამის ვეფხვად გადაიქცა. თვალით მანძილები გადაზომა _ საით შეიძლებოდა ანი გასხლტომოდა და იერიში მიიტანა. ანი წამით გაქვავდა, მერე მკლავი მთლიანად მოიშიშვლა და ისე შეაგება, როგორც ეს "ვახტანგურის" დალევისას ხდება. მურადი ტორეადორივით შედგა, თამაშის წესი მიიღო და მკლავში მკლავი ამოუყარა. აქ კაი, ძველი ტანგო მოუხდებოდა, მაგრამ ჯობს, ანის მოვუსმინოთ.

_ ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!

_ შენს ბროლის მკლავს!

ქალმა ჭიქა გამოსცალა და უკან დაიხია _ ისე, რომ მურადს მხოლოდ ხელის თითები დაუტოვა.

_ თითებიდან, უფრო სწორად _ თითების ფრჩხილებიდან დაიწყებ! _ უბრძანა ანიმ და ხელები ცხვირწინ შეუთამაშა.

მურადმა თვალები დახუჭა და ის იყო, ანის თითებს უნდა დაკვდომოდა, რომ ამ დროს ყველაზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: მისი მობილური აწკრიალდა და მანაც, პოლიციელისთვის ჩვეული მორჩილებით, სასწრაფოდ უპასუხა:

_ გამომძიებელი ოქროპირიძე გისმენთ!

როგორც ჩანს, იქითა მხრიდან ისეთი სიტყვები გაისმა, რომ მურადს ჯერ სიფათი შეეცვალა, შემდეგ კი შიში აღებეჭდება სახეზე და თვალები აახამხამა.

_ მოვდივარ, მოვდივარ!.. დიახ, დიახ, ამწუთას, ახლავე! ხუთ წუთში მანდა ვარ, ხუთ წუთში! _ უპასუხა, მობილური ჯიბეში ჩაიდო, თავად ჩამოუწია ანის კოფთის სახელო, ღილიც შეუკრა და კარში ტყვიასავით გავარდა. ანიმაც, ჩანთას დასტაცა ხელი და უკან გამოუდგა.

კორიდორში მურადი ვიღაც შიშველ ქალს დაეჯახა, რომელსაც დაირა ეჭირა. ქალს დაირა ხელიდან გაუვარდა და იატაკზე ჟღრიალით გაგორდა.

_ ამათ ხომ სულ ბაირამი აქვთ, კიდევ!.. _ ამის თქმა მოასწრო მურადმა და ორივენი მანქანაში ჩახტნენ.

_ რა მოხდა, მოკლეს ვინმე? _ იკითხა ანიმ.

_ უარესი, ათასჯერ უარესი! ის კილერი, ჩვენ რომ ველაპარაკეთ, ჩვენი მინისტრი აღმოჩნდა, ბეჟან გვერდწითელი!..

_ თქვენი მინისტრი კილერი აღმოჩნდა?!

_ პირიქით, პირიქით: კილერი აღმოჩნდა _ მინისტრი, კილერი!..

_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი ხომ არ იცვლება?!

_ ვინ მოგახსენა. ეგ _ მათემატიკაში და ამ ჩათლახურ ცხოვრებაში?!. _ მურადმა პირველში ჩართო, ხელის მუხრუჭი ამოსწია და აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა. მანქანა ხრიალით შემოტრიალდა ადგილზე და ღმუილით გამოვარდა ეზოდან. _

ყველაფერიც იცვლება. მაგაზე ათჯერ უარესი აქსიომებიც, _ გააგრძელა მურადმა. _ აბა, ჩვენი მინისტრი წარმოიდგენდა, რომ ვინმე კილერობას დააბრალებდა?! თანაც _ ვინ? ვიღაც გამომძიებელი მურად ოქროპირიძე, რომელსაც რომელიღაც ჭე კლასის უნივერსიტეტის დიპლომი აქვს ნაყიდი!

_ რა მიეცი? _ დაინტერესდა ანი.

_ რაში, დიპლომში? ასი დოლარი.

_ იაფად მოუციათ. ახლა უკვე ორასი ღირს, _ თქვა ანიმ.

_ ინფლაცია მიდის და ყველაფერიც გაძვირდა, აბა!.. _ დაასკვნა მურადმა. _ სამაგიეროდ, სამსახურში იცი, რამხელა ფული ჩავყარე?! ეე, რომ მომხსნან ახლა, შენ გამო, ვის მოვთხოვო ჩემი ფული, მინისტრს?

_ რატომ _ ჩემ გამო?! შენ, ტვინის ნაცვლად, ბრინჯი თუ გიყრია მაგ თავში, ჩემი ბრალია?.. _ მიაჩერდა მურადს ანი.

_ მე ვიპოვე ის ჟურნალი?.. შენ არ იპოვე?!. თურმე, იმ სტერვამ, იმ ბაბაიაგამ კილერის ტელეფონი კი არა, მინისტრის ტელეფონი მოგვცა, მინისტრის!..

_ ნელა! _ იყვირა ანიმ.

მანქანა წამით აყირავდა. შემთხვევით გადაურჩნენ დაჯახებას. ანიმ კივილი გააგრძელა. ისევ შემთხვევით გადაურჩნენ დაჯახებას. მურადმა დაამუხრუჭა. ანი იმწამსვე გადმოხტა მანქანიდან. მურადმა შუბლიდან შიშის ცვარი მოიწმინდა.

_ ასე არ ეახლო მინისტრს, გაიგე?! ცოტა მოწესრიგდი, ტანისამოსი მაინც გამოიცვალე. ჭკვიანი კაცი, შენს ადგილზე, ამ მომენტს ტრამპლინად გამოიყენებდა... მისმენ? ყველაფერი მე გადმომაბრალე, მე! ბოლო-ბოლო, დაიკიდე, ჰო, გულზე მოგეშვება.

მურადმა მანქანა დაძრა და გაუჩინარდა.

_ ნელა იარე, ნელა! _ დაადევნა ანიმ, მიტრიალდა და გააბოტა.

ანიმ თაზოს სადარბაზოს კიბე ცელოფნის პარკით ხელში აირბინა და ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი ნუციკომ გაუღო, რომელსაც ლამაზი შავი კაბა ეცვა. ის ცივი და ამაყი იყო. ანი გაოცდა.

_ როგორ გიხდება!..

_ ვიცი, _ უპასუხა ნუციკომ.

ანიმ პარკი სამზარეულოში შეიტანა.

_ ამ შალვას ყველაფერი გაუძვირებია. შაქარი _ ლამის ორი ლარი, კარაქი _ ლარ-ნახევარი!.. ეტყობა, ცოტა ფული იშოვა და მადა ჭამაში მოდისო, მაგაზეა ნათქვამი, _ პარკიდან ამოღებული სურსათი მიაბინავა და დაკოჭლებულ ბასასთან შევიდა. ანი, იმ მწარე დღეებში, დედის მაგივრობას უწევდა ბასას. ბიჭი ჯერაც ლოგინში გორაობდა, ფეხი კი ისევ შალით ჰქონდა შეხვეული. ხელში "სამი მუშკეტერი" ეჭირა და კითხულობდა.

_ აუ, ანი, რა მაგარია, არა, პორთოსი!

_ არც შენა ხარ მაგაზე ნაკლები. აბა, გამოსწიე ფეხი, აფერისტო! _ ანიმ პლედი გადაუწია და შალი შეხსნა.

_ ნელა, რა, არ მატკინო! _ აკნავლდა ბასა.

_ არ არსებობს, შენ არაფერიც არ გტკივა... დილას სკოლაში წახვალ. ჰო, ჰო, შე სიაფანდო, შენა! ვის ატყუებ აქ?! არაფერიც არ გტკივა! _ ანიმ ბასას ფრთხილად გადაუსვა ფეხზე ხელი. _ თუ არ წახვალ, ძალით "წაგიღებ"!

_ მტკივა, ანი, მტკივა, ვა, ვერ ვადგამ!

_ შენ, ბიჭო, ზვეპა ხომ არ გინდა, ერთი გემრიელი?! დაურეკავ თაკოს, დავალებებსაც დაწერ, გაკვეთილებსაც ისწავლი და მოუსვამ დილაზე სკოლაში, გაიგე? აღარ მათქმევინო, არ გვცალია შენთვის...

_ ე-ეჰ! _ ბასამ წიგნი გადადო. ადგა და ჩაცმა დაიწყო.

ანი კი, ნუციკოსთან შევიდა, რომელიც სავარძელში იჯდა და გამტკნარებული სახით, ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს მისჩერებოდა.

_ შენ რომ გიყურებ, დედას გეფიცები, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს იმ კაცის კუბო აქ, ჩვენს სახლში იდგეს...

_ საშინელი სიზმარი ვნახე, რაღაც კოშმარი... _ უთხრა ნუციკომ.

_ რა ნახე? _ ანი, ნუციკოს საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

_ საშინელება. ჯოჯოხეთი ვნახე, ნამდვილი ჯოჯოხეთი, საიქიო...

_ კაი!..

_ ჰო, ჰო... სულ თავიდან მოგიყვები. ჯერ, თავიდან, რა საშინელება ვნახე... თითქოს რაღაც ანტიკურ ეპოქაში ვიყავი... არ ვიცი, საბერძნეთში თუ სადღაც... პატარა ეზო იყო და ერთი ხე იდგა ამ ეზოში, დიდი... ჭადარი თუ მუხა, რა ვიცი... და ვიღაც ბიჭები, ორი სხვადასხვა ჯგუფი, რაღაც კუბოებით დადიოდნენ აქეთ-იქით... ვამბობდი, რას დაარბენინებს, ნეტა, ეს ხალხი ამ კუბოებს-მეთქი?! _ და მოიტანეს და პირდაპირ ჩემ წინ დადგეს ერთი კუბო... გოგო იწვა შიგ და სახე, ტუჩები უკვე მუწუკიანი ჰქონდა _ აი, რომ გაიხრწნება, ისეთი... ჰოდა, უცებ გატოკდა ეს მკვდარი, გაახილა თვალები და წამოიწია... მე ავკივლდი _ ცოცხალია, ცოცხალი, რატომ მარხავთ-მეთქი?.. გადმოვიდა ეს გოგო კუბოდან და ჩემკენ მოიწევს, ამ თავისი ტუჩებით, უნდა, რომ მაკოცოს... მე მინდა, გავიქცე, მაგრამ ვერ გავრბივარ. ვიღაც ბიჭი გვიდგას შუაში და ეს მშველის, არ უშვებს ჩემამდე, რომ მაკოცოს... მერე ეს გოგო გაქრა და ამ ბიჭს ჩაუკიდია ჩემს ხელზე ხელი და ჩავყავარ საიქიოში. ჰო, ჰო, ჯოჯოხეთში! ჰაერში ვართ ჩვენ და, მომისმინე, რა ხდება... მე აღარ მეშინია, ამ დროს უკვე... მაგრამ როგორ გითხრა... რაღაც საშინელი მოწყენილობა, წარმოუდგენელი სევდა რომ დაგეუფლება და რა ხდება, იცი?.. ასეთი ცხრა ფენაა, რა, ამ ჯოჯოხეთში... და ყველა ამ ფენაში _ კუბოები, მკვდრებით... ამ მკვდრებს გატოკების უფლება არა აქვთ, ასე წვანან და ყველაფერს გრძნობენ... თავებსაც ატრიალებენ, მხოლოდ თავებს, და მე ვგრძნობ, რომ ისინი სულ ასე უნდა იწვნენ... რა საშინელებაა, გესმის?! არც ცეცხლი, არც კუპრის ქვაბი _ არაფერი... ეს ცხრა ფენა და _ კუბოები!.. ჰოდა, ეს ბიჭი მიჩვენებს, სულ ქვევით, სულ ძირში, ეს ცხრა ფენა იყო ასე, ჰაერში და იქ კი, უკვე სულ ქვევით, რაღაც მიწასავითაა და მკვდარს მიჩვენებს, რომელიც სისხლში ცურავს... აი, ის არისო, ისო, _ და ამით მეუბნება თითქოს, რომ ის ვიღაცის მიერ არის მოკლულიო, გესმის?!. ლევანი იყო, შიშველი!.. _ და ნუციკოს ისტერიკული ტირილი აუვარდა. ისე, რომ ოთახში, შეშინებულმა ბასამაც კი შემოიხედა.

_ იტირე, იტირე, გულზე მოგეშვება! _ ამშვიდებდა ანი.

ნუციკო უცბად გაჩუმდა.

_ არ წავიდეთ? _ იკითხა მან.

_ წავიდეთ! _ უპასუხა ანიმ.

ვასიკო უკვე სასაფლაოს შესასვლელთან უცდიდა. ანიმ მანქანა ცოტა მოშორებით გააჩერა. გადმოხტა, ვასიკო დაარიგა _ საიდან, რა, როგორ გადაეღო და მანქანაში დაბრუნდა.

მალე პროცესია ვაკის სასაფლაოს ჭიშკარს მიუახლოვდა. ნაცრისფერი “მერსედესები” ჭარბობდა და ტრადიციისამებვრ შავებში ჩაცმული ჭირისუფალი

უხმოდ გაჰყვა კუბოს. მიცვალებული სასაფლაოს ჭიშკარში შეასვენეს. ნუციკოს ღაწვზე ცრემლი დაეკიდა. ანიმ მანქანა დაძრა.

_ სად გინდა, რომ წავიდეთ? _ იკითხა მან.

_ სიონში, _ უპასუხა ნუციკომ.

სანთლები ღვთისმშობლის ხატის წინ აანთეს. პირჯვარი ბევრჯერ გადაისახეს. ნუციკო საოცრად ლამაზი იყო. ლამაზი და ბედგამრუდებული, ისევე. როგორც მისი და ჩვენი ქვეყანა.

ვასიკოს, დაკრძალვა გადაეღო და ახლა,Aანისთან ერთად, რედაქციაში მასალას უყურებდა, რომელზეც მთელი ცერემონია იყო აღბეჭდილი.

_ ტყუილად გადავიღეთ. _ თქვა ანიმ.

_ უცხოურ ფილმებში როა, ზუსტად ისეთი სიტუაციაა. ერთი ცრემლი არ გადმოუვარდა არავის. დაც კი არ ტირის, ტო!

_ შეხედე, შეხედე, რძალ-მული, როგორც მგლები, ისე უყურებენ ერთმანეთს, _ უკვირდა ანის.

_ ქალები? კაცებსაც კი სჯობნით უკვე აგრესიულობაში!.. _ დაასკვნა ვასიკომ.

_ ეგ გამორთე და ჩართე, რა, ტელევიზორი, ახლი ამბები იწყება, _ სთხოვა ანიმ.

_ იწყება კი არა, დაწყებულია, _ ვასიკომ ვიდეო გამორთო. ეკრანზე დიქტორი გამოჩნდა, რომელმაც საზოგადოებას შემდეგი ამბავი აუწყა:

_ გრძელდება “ივერკომის” ყოფილი დირექტორის, ლევან იაშვილის, რომელიც დღეს ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, თვითმკვლელობის გამოძიება. სრულიად შემთხვევით, გამომძიებელმა მურად ოქროპირიძემ იაშვილის ბინაში, კილერის ტელეფონის ნომერი აღმოაჩინა. ამჟამად პროკურატურა რამდენიმე ვერსიას ამუშავებს. ერთ-ერთი, სწორედ კილერის ვინაობის დადგენაა. ამ საქმეში პროკურატურას ყველაზე მეტად, ლევან იაშვილის ქვრივის დახმარება გამოადგებოდა, მაგრამ ის, პირადი მოსაზრების გამო, თავს იკავებს სამართალდამცველებთან თანამშრომლობისგან, რაც, გამომძიებლის აზრით, სრულიად გაუგებარია და განსაზღვრული ეჭვის საბაბსაც ბადებს...

_ ესეც ასე! მიყარონ ახლა კაკალი!.. აი, ნახე, თუ არ დავაჭერინო ეს “სტერვა”!.. _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ რა ხდება, ბიჭო, გამაგებინეთ, ტვინში სისხლი გინდათ, ჩამიქციოთ? _ აყვირდა ბეჟანი.

_ არა, ბატონო ბეჟან, როგორ გეკადრებათ, პატარა გაუგებრობა მოხდა... _ მთლად დაპატარავდა გამომძიებელი.

_ პატარა გაუგებრობა?! ამწუთას ტელევიზორში აცხადებენ, კილერის ტელეფონის ნომერი აღმოვაჩინეთო და რომელ ნომერზეა ლაპარაკი, ხალხო, ჩემი ტელეფონის ნომერზე?.. _ ხელები გაშალა მინისტრმა.

_ არა, ბატონო ბეჟან, აქ სულ სხვანაირად ყოფილა საქმე... უთხარი, ბიჭო, რა ენა ჩაგივარდა, “დინამისტკებთან” ძაან მაგარი ხარ! _ მიუბრუნდა მურადს პროკურორი.

_ არა, როგორ იყო, იცით?.. _ დაიწყო შეშინებულმა მურადმა. _ სულ სხვა ნომერი ეწერა ჟურნალში... რომელშიც აღმოვაჩინეთ, საერთოდ, ამ კილერის ნომერი...

_ მოიცა, მოიცა, რაებს როშავ?! _ განცვიფრდა მინისტრი. _ რა ჟურნალში, რომელ ჟურნალში, კილერის ტელეფონის ნომერს ჟურნალში რა უნდოდა?!

_ საქმეც ეგ არის. აი, ნახეთ! _ და მურადმა მინისტრს “ელიფსის” გადაშლილი ნომერი დაუდო წინ. _ აი, “პროფესიონალი კილერი” და ტელეფონის ნომერი, აი ამ ჟურნალში იყო დაბეჭდილი.

_ ჩემი ტელეფონი, ბიჭო?! _ ბეჟანმა მაგიდაზე სათვალეს დაუწყო ძებნა.

_ არა, თქვენი კი არა, ნამდვილი კილერის... აი, 25.56.66, _ დაუდო თითი ფურცელზე მურადმა.

_ კი, ეს ჩემი ნომერი არ არის. მაშ, მე რას მებლატავებოდი?! შენ არ იყავი _ დამკვეთი ვარ, კილერი მჭირდებაო?

_ დიახ, მაგრამ ამ ნომერზე დავრეკეთ და ვიღაც ქალმა მოგვცა თქვენი ნომერი. მოგვატყუა, გაგვაშაყირა... მიხვდით? _ აუხსნა მურადმა.

ბეჟანმა ჟურნალი გადაატრიალ-გადმოატრიალა.

_ არა, რა, არ არი ამ ქვეყნის საშველი!.. რას აღარ გაიგებ კაცი?! ვისია ეს ჟურნალი, ვინ უშვებს?

_ არ აწერია, რას გაიგებ?.. _ უპასუხა მურადმა. _ არც ლიცენზია აქვს, არც გატარებულია სადმე... უკვე გავარკვიე: ხუთას ცალამდე, ყველას აქვს თურმე უფლება, რაც უნდა, ის დაბეჭდოს და გამოუშვას, ლიცენზია არ სჭირდება, ულიცენზიოდ.

_ და კილერების ტელეფონებს ბეჭდავენ, რომ ხალხი დაახოცვინონ?!. არა, რაც მეტი, მით უკეთესი, საქმე ნუ გამოგვილიოს ღმერთმა, მაგრამ ერთხელაც რომ მოგვკითხონ?..

_ რას წაიღებენ, თორემ?.. _ ჩაილაპარაკა პროკურორმა.

_ კარგი, შენ წადი, თავისუფალი ხარ, _ მიმართა მურადს ბეჟანმა. ზაური დატოვა.

_ ჟურნალი? _ იკითხა მურადმა.

_ ეს ჩემთან იყოს, _ მიუგო მინისტრმა.

_ ბოდიში. კარგად ბრძანდებოდეთ, _ და პროკურორს შეეკითხა: _ დაგელოდოთ?

_ არა, ნუ დამელოდები, მე აქ საქმე მაქვს პატარა, _ უპასუხა ზაურმა.

_ კარგად ბრძანდებოდეთ! _ დაემშვიდობა გამომძიებელი უფროსობას და ოთხად მოკაკულმა გაიკეტა კარი.

_ ვინ იყო, ბიჭო, ეს დამთხვეული? ეს არის შენი, წერა-კითხვის მცოდნე გამომძიებელი? ვერ ამოჭკრავ ერთ პანჩურს?! _ შეეკითხა მინისტრი პროკურორს, გავიდა თუ არა მურადი.

_ პანჩური, პანჩური _ და არავინ არაფერი აღარ იცის...

_ ამას გადმოსდის, არა, გარეთ ტვინი!..

_ რატომ, გამოცდილება მაინც ხომ აქვს... _ დაიცვა თანამშრომელი პროკურორმა.

_ ეს ჭუჭუ, ე. ეს სირი, ეს ნეხვის ჭია. _ არ დააკლო ეპითეტები გამომძიებელს ბეჟანმა. _ დღისით-მზისით, კილერობა არ დამაბრალა?! კილერი მჭირდება, კაცი მყავს გასასაღებელიო. არ გინდა ამის გადახარშვა?

ერთ-ერთი რესტორნის კუპეში მსუბუქად გაწყობილ სუფრასთან ჩაფიქრებული იჯდა გამომძიებელი მურად ოქროპირიძე და ანის ელოდებოდა. საფერფლე კი ნამწვებით გაევსო. ახლაც სიგარეტი ეჭირა, თან ღეჭავდა, თან _ აბოლებდა... ანის ჩანთა გადაეგდო მხარზე. კუპეში შემოიხედა, მურადს თვალი ჩაუკრა. ჩანთა სკამის საზურგეზე გადაკიდა და დაჯდა.

_ ჰა! რა მინდაო მინისტრმა? _ შეეკითხა მურადს.

_ რა ენდომებოდა?! პანჩურის ამოკვრა უნდოდა, მაგრამ ვერ გამიბედა... აუ, იცი, რა “კიტები” მყავს დასაკითხი?! ზოგი _ მილიონერია და ზოგიც _ მილიარდერი, ალბათ... _ ჩაილაპარაკა მურადმა.

_ მერე? _ შეეკითხა ანი.

_ რა _ მერე? რა უნდა ვკითხო, შენ ხომ არ მოკალი-მეთქი, ხომ არ შევეკითხები!.. ან _ შენ ხომ არ იცი, იაშვილმა როგორ იშოვა ფული-მეთქი? როგორ დავკითხო ეს ხალხი, რანაირად?!

_ არა! იცი, რა უნდა ჰკითხო? სარწმუნო წყაროებიდან დავადგინეთ, რომ თქვენ ძალიან დიდი ფული გმართებდათ იაშვილის, ხომ ვერ მეტყოდით, რა თანხაზეა ლაპარაკი და როდის და რატომ ესესხეთ-თქო?.. შეგიძლია, ყველას ამ ერთი და იმავე შეკითხვით მიმართო, _ ურჩია ანიმ.

_ არ მეტყვიან მერე: შენ, შვილო, თავი ხომ არაფერს შეახალეო?!. _ გაიკვირვა მურადმა.

_ მაშინ, შენ თვითონ მოიფიქრე და რაც გინდა, ის ჰკითხე! _ ეწყინა ანის. _ შენ ტვინის გატოკება არ გინდა, მე გკარნახობ და შენ კი მაინც შენსას ერეკები, ბიჭოს!

_ ბიჭოს, ბიჭოს!.. მე შენსავით ჟურნალისტი კი არა ვარ, რომ, რა სისულელეც ენაზე მომადგება, ყველაფერი წამოვროშო. მე გამომძიებელი ვარ, გესმის შენ?! ჩემს თითოეულ სიტყვას წონა უნდა ჰქონდეს, წონა!..

_ ეგ კი მასეა, მაგრამ კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე რომ წარმოსდინდებისო?! _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ თან მეუბნებიან _ დაჰკითხავო, თან _ საქმე თუ გაიხსნა, დედა გეტირებაო...

_ ვინ გეუბნება მაგას, პროკურორი?! _ წამოხტა ანი.

_ არა, პროკურორი კი არა... დაჯექი, რას წამოხტები ხოლმე, გურული ხომ არა ხარ!

_ არა, ჯერ მითხარი! _ არ მოეშვა ანი.

_ ჩამოჯექი ჩემს მუხლებზე და გეტყვი! _ შესთავაზა მურადმა.

ანი იმწამს მუხლებზე წამოუსკუპდა. მურადმა ხელების შემოხვევა დაუპირა.

_ ხელები, ხელები ჩამოუშვი! _ უბრძანა ანიმ. _ აი, მუხლებზე ვზივარ, თქვი!

_ კაი, ვთქვათ, პროკურორი მეუბნება, რას უზამ? _ შეეკითხა მურადი.

_ გამოვაჭენებ ეთერში და მოვახსნევინებ! _ მშვიდად უთხრა ანიმ.

_ და იმის ადგილზე მე დამნიშნავ, არა? _ გაეცინა მურადს. _ რამდენი ღირს, იცი, პროკურორის სკამი?.. გამოაჭენებ ეთერში და ჩემს მუხლებზე კი არ დაგაბრძანებენ _ მიგაწვენენ იმის გვერდით, ვინც დღეს დაასაფლავეს... გავგიჟდები მე ახლა!.. _ ისევ სცადა მურად ოქროპირიძემ თავისი გრძელი ხელების გამოყენება, მაგრამ ანი მუხლებიდან ჩამოუსხლტა და თავის სკამზე გადაჯდა.

_ ღმერთო, რა დავაშავე, ეს ვის გადამყარე?! _ გულწრფელად შეეკითხა ღმერთს მურადი.

_ ჭრელო პეპელას: ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები... _ მოახსენა ღმერთის ნაცვლად, ანიმ.

_ დაასხი, გაშრა ყელი!

ანიმ მურადის ბრძანება შეასრულა.

_ როგორ გგონია, ლალი იაშვილი არ არის დასაჭერი? _ ჰკითხა უცბად ანიმ.

_ კი, ბატონო, დავიჭიროთ! _ დაეთანხმა მურადი.

_ მაშინ, დღესვე, ახლავე! _ აჩქარდა ანი.

_ კაი, რა, ანი. ახლა, მილიონიც რომ მომცენ, ჯეირანოვიჩს ვეღარ დავენახვები! იცი, რა გრძნობა მქონდა, მინისტრთან რომ შემათრია? ხორცის საკეპ მანქანაში რომ გაგატარებენ... ჰო, კაბინეტში "მთლიანი" შევედი და იქიდან "დაკუწული" გამოვედი... კაცი სულ ტუჩებს იკვნეტდა. რომ მიმეშვა, ცოცხლად შემჭამდა... რა საჩქაროა? ხვალ დავიჭიროთ, ბიჭოს!

_ ხვალ? ვაითუ, ამაღამვე მიფრინავს თავის ბელგიაში?.. დარწმუნებული ვარ, რომ მაგის მოკლულია. დიახ, ქონება რომ სხვის შვილზე არ გადასულიყო, თან _ საყვარლის შვილზე... რას მიყურებ პირდაღებული, რა, ზღაპარს ვყვები? _ ეწყინა ანის.

_ ვერ გაფრინდება. ხუთის ნახევრამდე არაფერი მიფრინავს და მანამდე, აეროპორტის ადმინისტრაცია გაფრთხილებული იქნება... არა გჯერა?

_ არა! _ მოუჭრა ანიმ.

_ არა? ნამდვილად არ გჯერა?! _ გაუკვირდა მურადს.

_ არ მჯერა, არა! იმიტომ, რომ სამაგიეროდ, არაფერს ითხოვ, _ გამოიტანა დასკვნა ანიმ.

_ მააქვს, რომ, უფლება?!. _ შეეკითხა გახარებული მურადი.

_ რა თქმა უნდა, გაქვს, ოღონდ... როცა დაიჭერ, მერე! _ ენა გამოუყო ანიმ. ორივეს გაეცინა. მიუჭახუნეს ჭიქები და გამოცალეს.

კომპანია “სუპერ-10”-ის ოფისი პროფკავშირების სასახლის სულ ბოლო, მეჩვიდმეტე სართულზე იყო მოთავსებული. მურადი ამ შენობის წინ იდგა და ბოლო სართულს თავაწეული შეჰყურებდა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა და ვესტიბიულში შევიდა, სადაც უამრავი საქმიანი და უსაქმური, ორივე სქესის ადამიანი ირეოდა: ჩანთებით, დიპლომატებით, ნახაზებით... მურადი ოცკაციან ლიფტში საქმიან ხალხთან მოხვდა. ნელ-ნელა ყველა ჩავიდა. ბოლოს, მურადი მთლად მარტო დარჩა და მეჩვიდმეტეზე “სუპერ-10”-ის ოფისის მისაღებში აღმოჩნდა.

“სუპერ-10”-ის პატრონი და დირექტორი, ქალბატონი თამარ თვარაძე თავის კომფორტულ კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და პერსონალურ კომპიუტერში ბილიარდის თამაშით ერთობოდა. გვერდით მუსიკალური ცენტრი ედგა. რომელიღაც ორკესტრი მოცარტის “რექვიემს” ასრულებდა. ოთახში ფრთხილად შემოიხედა მდივანმა გოგონამ, კარი მიიკეტა და გაკვირვებულმა, ჩურჩულით მოახსენა:

_ ქალბატონო თამარ, ვიღაც კაცია თქვენთან, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარო.

თამარს გაეცინა.

_ ჰმ, ეგღა გვაკლდა!.. შემოუშვი.

ან ვინმეს ესიამოვნება გამომძიებლის სტუმრობა?..

მდივანი გავიდა და ოთახში მურადი შემოვიდა. თამარმა ყურადღება არ მიაქცია, ხელით ანიშნა, დაჯექიო და თამაში განაგრძო. მურადი დაჯდა და ლოდინი დაუწყო, თუ როდის მოიცლიდა მისთვის ქალბატონი თამარი. რა თქმა უნდა, ნაწყენი და შეურაცხყოფილიც კი იყო, მაგრამ მოთმინებით იცდიდა.

_ გისმენ, გენაცვალე, _ უთხრა თამარმა ისე, რომ მისკენ კვლავ არ გაუხედავს.

_ მე გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარ.

_ მე კი “სუპერ-10”-ის მფლობელი თამარ თვარაძე.

_ დიახ, _ არ იცოდა, რა ეთქვა, მურადს.

_ დიახ, _ უპასუხა თამარმა.

_ მე გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარ... _ ოდნავ ხმას აუწია მურადმა, რადგან თამარი ყურადღებას კვლავ არ აქცევდა.

_ გავიგე, გენაცვალე, ყრუ კი არა ვარ!.. _ ისევ Lთამაში გააგრძელა და არ მოიხედა მისკენ ქალბატონმა თამარმა. _ გელოდებით, რას მეტყვით. მე მგონი, მე არ დამიბარებიხართ აქ... მიდით, მიდით, ამოშაქრეთ!

_ რამდენიმე შეკითხვა მინდა დაგისვათ, _ ამოშაქრა მურადმა.

_ მიზეზი? მიზანი? საბაბი? _ იქით მიაყარა შეკითხვები თამარმა.

_ თუ იცნობდით ლევან იაშვილს და როდიდან? _ შეეკითხა მურადი.

_ რომელი ლევან იაშვილი, თავი რომ მოიკლა? _ ისევ შეუბრუნა კითხვა თამარმა.

_ დიახ, _ უპასუხა მურადმა.

_ ვთქვათ, ვიცნობდი... გუშინ რა ვჭამე, ის აღარ მახსოვს, გენაცვალე, და როდიდან ვიცნობდი ლევან იაშვილს, რომელსაც მართლაც ვიცნობდი თუ არა წესიერად, ეშმაკმა უწყის, _ რანაირად გითხრა? რადგან აქ მობრძანდი და ჩემს კაბინეტში ზიხარ, ეგ შენ უფრო გეცოდინება, როდიდან ვიცნობდი, ასე არ არის?

_ სად გაიცანით? _ დასვა შემდეგი შეკითხვა მურადმა.

_ გენაცვალე, მე ხომ გთხოვეთ, გეთქვათ მიზეზი: რატომ მეკითხებით ამ ყველაფერს? ან რა გაინტერესებთ, მკითხეთ ადამიანურად, როგორც კაცი კაცს ჰკითხავს და მეც გიპასუხებთ. თორემ _ სად გაიცანით, როდის გაიცანით, რატომ გაიცანით? _ რომ მეკითხებით ამ იურიდიული ენით, საშინლად მაღიზიანებს... _ ჩაილაპარაკა თამარმა, რომელიც ისევ ბილიარდის თამაშს განაგრძობდა კომპიუტერში და მურადისთვის კვლავ არ შეუხედავს.

_ ქალბატონო, თქვენ ზედ არ მიყურებთ და როგორ დაგელაპარაკოთ, მე თვითონ არ ვიცი... _ გაბედა ბოლოს მურადმა.

_ ქმარი მყავს ვუდი ალენი და იმას არ ვუყურებ, გენაცვალე, და შენ რომ არ შემოგხედო, გასაკვირია?.. _ თამაში განაგრძო თამარმა.

_ მართალია, რომ თქვენ ლევან იაშვილის ვალი გქონდათ, მილიონ დოლარამდე? _ დააჯახა მურადმა.

ახლა კი იკადრა ქალბატონმა თამარმა და შეხედა გამომძიებელს, რომელსაც ერჩია, არ შეეხედათ მისთვის... მერე ქალბატონმა თამარმა ხელიც ასწია და თითი კარისკენ გაიშვირა, მეორე ხელი კი, რაღაც ღილაკს დააჭირა!..

_ რა-ა? გაეთრიეთ! გაეთრიეთ აქედან! _ იღრიალა მან და ერთიანად ააკანკალა.

ხოლო სანამ შეშინებული მურადი უკან-უკან დაიხევდა და გასვლას მოასწრებდა, კაბინეტში ორი პირადი მცველი შემოვარდა.

_ გააცილეთ ეს ნაბიჭვარი! _ უბრძანა მათ თამარმა.

_ მე თვითონ, მე თვითონ... _ ხმა ჩაუვარდა მუცელში მურადს, რადგან მცველებმა უკვე სტაცეს ხელი და გარეთ გაათრიეს.

_ ნაბიჭვრები, მაშანტაჟებენ!.. ისე დაგაშანტაჟოთ!!. _ და ისევ ბილიარდის თამაში განაგრძო ქალბატონმა თამარმა.

მცველებმა პანჩურით ისროლეს ქუჩაში მურადი. ის საცოდავად, კოჭლობით წამოდგა და ფეხის გარდა, ხელსაც იტკივებდა. მერე კი, თავის მანქანასთან მილასლასდა და ჩაჯდა. მანქანაში ანი უცდიდა.

_ რა მოხდა? _ შეეკითხა ის დაბნეული.

_ არაფერი, გადავრჩი... _ მოახსენა გადარჩენილმა მურადმა.

_ გცემეს? _ შეეკითხა ანი.

_ არ ვიყავი საცემი?.. _ ჩაილაპარაკა მურადმა. _ ქალი წესიერად არც იცნობს კაცს თურმე, და მე ვეკითხები _ მართალია, რომ იაშვილის ვალი გქონდა მილიონი დოლარი-მეთქი!..

_ მერე? _ დაინტერესდა ანი.

_ მერე, ან ხელი უნდა მქონდეს მოტეხილი, ან _ ფეხი. მგონი, ორივეც... აუუ! კიდევ კარგი, იარაღი შინ დამრჩა... _ თქვა მურადმა.

_ ესროდი? _ გაუკვირდა ანის.

_ რა ვიცი, აბა! ცხვარი _ ცხვარიაო... _ ხომ გაგიგონია, _ ახლაღა განრისხდა მურადი. წვალებით გადაატრიალა გასაღები, მისცა პირველი და მანქანა დაძრა. _ ეე, სანამ ეს ქვეყანა ჩალით იქნება დახურული, ჩემნაირ გამომძიებლებს კიდევ ბევრჯერ მოხვდებათ ფერდებში... _ ჩაილაპარაკა მან სევდიანად.

_ ეგრევე აჯახე? _ შეეკითხა ანი.

_ ჰო, ვაპირებდი შემოვლას, აქედან, იქიდან... იმან კიდევ _ თქვი, რა, რა გინდა, ადამიანურად მითხარიო... ჰოდა, მეც "ადამიანურად" შევეკითხე და იმან კი ისე არაადამიანურად იკივლა, მაგრად ჩამაფსმევინა... _ აღიარა მურადმა.

_ გეუბნებოდი, გადავიღოთ-მეთქი და არ დამიჯერე! _ უსაყვედურა ანიმ.

_ მორჩი, რა, ვინ გადაგაღებინებდა? _ გააჩუმა მურადმა. _ ისეთი აფთარი დამხვდა... წარბები _ აი, აქა ჰქონდა, აი!.. _ სადღაც კეფაზე უჩვენა მურადმა.

_ ახლა რა ვქნათ? _ იკითხა ანიმ.

_ ახლა?.. ახლა "ალფა-7"-ში ავალ, რომ იქაც ერთი კარგად მჟეჟონ და მერე წავიდეთ და ჩავუსხდეთ მე და შენ სადმე ჩვენებურად... იქნებ თითზე ან სულაც, ხელზეც მაკოცნინო, რა ვიცი...

_ მოდი, დაარეკინე ჯერ მაგ შენს პროკურორს და მერე ადი! დღეს შენთვის სიურპრიზი მაქვს მომზადებული... _ გაიღიმა ანიმ.

_ ჰოო, ვიცი შენი სიურპრიზები: წყალთან მიმიყვან და წყალს არ დამალევინებ... _ არ დაუჯერა მურადმა...

მანქანა "ალფა-7"-ის ოფისთან გაჩერდა.

_ უნდა ავიდე. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს!.. _ გამოუცხადა ვაჟკაცურადAმურადმა ანის და მანქანიდან გადმოვიდა.

_ აუ, თითქოს ომში მიდიოდე, რა!.. _ გაიცინა ანიმ.

_ არა, ახლა უკვე ვიცი, როგორც უნდა ველაპარაკო... _ უფრო თავის დასარწმუნებლად თქვა მურადმა და გააბიჯა.

_ მე კარის წინ დავდგები და თუ ისევ გისროლეს, დაგიჭერ! _ გადასძახა მანქანიდან ანიმ.

მურადი კოჭლობით ავიდა კიბეზე, დაცვას წიგნაკი უჩვენა და შენობაში შევიდა.

"ალფა-7"-ის მფლობელი, ბატონი თენგიზ გომართელი, მარტოობის თუ სხვა მიზეზის გამო, ფრიად უგუნებოდ იყო. მოწყენილი იჯდა ღერძულა სავარძელში და ტელევიზორის პულტს აწვალებდა, როცა მიკროფონში მდივანი გოგონას გაპრანჭული ხმა გაისმა.

_ ბატონო თენგიზ, თქვენთან გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს სურს საუბარი...

_ გამომძიებელი? გენიალურია! შემოუშვი, დროზე, შემოუშვი!

მურადმა შესვლა ვერ მოასწრო, რომ თენგიზი ადგილიდან წამოფრინდა, კარამდე მივიდა, ხელი ჩამოართვა, მერე მხრებშიც მოჰკიდა და შეაჯანჯღარა.

_ შემობრძანდით, შემობრძანდით! დაბრძანდით! პირდაპირ სულზე მომისწარით. ყურებს არ დავუჯერე: გამომძიებელი, ცოცხალი, თავისი ფეხით მესტუმრა!.. _ და უცბად გამომეტყველება შეიცვალა. _ დაჭერას ხომ არ მიპირებთ? სიმართლე მითხარით! მწარე სიმართლე ტკბილ ტყუილს სჯობს, ხომ გაგიგონიათ!.. აჰა, დაჭერას არ მიპირებთ. მაშინ, რა გვიშლის ხელს, რომ თითო "რუმკა" გადავყლურწოთ? "რუმკა" ხომ იცით, როგორ ჭიქას ჰქვია? აი, ასეთს... _ თენგიზმა კარადა გამოაღო, იქიდან ჭიქები და კონიაკის ბოთლი გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. _ ფეხიანს... დაბრძანდი, კაცო, ისევ ფეხზე დგახარ?! შენც "რუმკა" ხომ არა ხარ, არა?.. საიუბილეო, ძველი ჩამოსხმაა, არ შეგეშინდეს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელია... მე დღევანდელს არაფერს ვაკარებ პირს: რას ასხამენ, სად ასხამენ, რაში ასხამენ... კი, სახელები _ გიყვარდეს, იციან

დარქმევა... ბოდიში, თქვენ მუნჯი ხომ არ ბრძანდებით? შემაწიე, რა, ერთი სიტყვა! _ თენგიზმა “რუმკა” გაალიცლიცა და დაბნეულ მურადს ხელში მიაჩეჩა.

_ არ შემიძლია, ვერ დავლევ, _ იუარა მურადმა.

_ კაი, კაი, რას ჰქვია, არ შეგიძლია?! “არ მინდამ” მთელი ცხვარი გაათავაო, _ არ გაგიგონია შენ?.. თუ არ გაგიგონია, ახლა ხომ გაიგონე, არა?.. აბა, მივუჭახუნოთ! _ და თენგიზმა მურადს ჭიქა მიუჭახუნა. _ ავაწკარუნოთ!.. ასე!

_ არა, არ შემიძლია, ვერ დავლევ, “რულზე” ვზივარ...

_ საჭესთან და არა _ “რულზე”... ასე ხომ სამსახურს დაკარგავ, ჩემო ძმაო... გამომძიებელს, რომელიც მანქანის გამო არ სვამს, _ არ არსებობს! _ დიდხანს ვინ გააჩერებს სამსახურში?! ეგეც არ იყოს, აქ მე ვარ მასპინძელი და “სტოსიც” მე მიმყავს, ძმაო! მიდი, მიდი, აუწი, ნუ გატეხავ, რა! კაცი რომ შემოგხედავს, გეფიცები, ნამდვილ გამომძიებელს ჰგავხარ: გამჭოლი მზერა. ნათელი შუბლი!.. კიდევ რით შეგამკო?.. არ სვამს, არ ეწევა და ქალებს კილომეტრზე არ ეკარება, ხომ? ვინმე ხომ არ გიცდის ქვევით? მანქანაში გყავს ვინმე? მიპასუხე, რას გაჩუმდი? თქვი!

_ კი, _ უპასუხა მურადმა, თან გაიფიქრა _ ეს კაცი მცდის თუ რა ხდებაო?..

_ ვინ? მძღოლი? არ მომატყუო! _ დაემუქრა თითით მურადს გომართელი.

_ არა. მძღოლი არა...

_ აბა, “სპეცნაზი”? მიჭერ, კაცო?

მურადი ისევ ვერ მიხვდა _ დასცინოდნენ თუ სერიოზულად ელაპარაკებოდნენ...

_ არა, კაცო, რა “სპეცნაზი”, ჟურნალისტია ერთი... _ თქვა მან.

_ ჟურნალისტი?! ვა, შენ რა მაგრად მომზადებულხარ! რა ხდება, სერიოზული მჭირს რამე?.. რომელია? _ იკითხა თენგიზმა.

_ რა ვიცი, ჟურნალისტია, რა, გოგოა... _ მთლად ბოლომდეც ვერ გაეხსნა მურადი.

_ და რატომ არ ამოიყვანე?! დავაი, თითო ჩავარტყათ და ამოიყვანე, კარგი? დაკითხვასაც მოვასწრებთ თუ _ გამოკითხვას, რა ვიცი... იცი, რას გაუმარჯოს?.. მარტო რომ ზიხარ, რა, ტარიელივით დაღრეჯილი... იმას თუ რაში ჰყავდა დარახტული და თვალმარგალიტით ასხმული, შენ არანაკლები პიწკინა “პეჟო” რომ გყავს ბაგაზე მიბმული და თვითონაც რომ არ იცი, რა გინდა... ეტყობა, ნაპოლეონობა გინდა და გიტყდება, რომ არ გამოდის და არც შანსია, რა, არავითარი... მამაჩემი, იცი, ვინ იყო?.. საიდუმლოდ გეტყვი, რა, და არ გამცე. მამაჩემი მხატვარი იყო და იცი, რას ხატავდა?.. მკვდრებს... საფლავის ქვებზე. სურათებიდან იღებდა, რა, ასლებს... ჰოდა, თავი, იცი, ვინ ეგონა?.. იმპერატორი! არც მეტი, არც ნაკლები. ფული ეგონა, რა, ყველაფერი. ჩვენში კიდევ, ხომ იცი, ყველაზე მეტ ფულს რაში ყრიან?.. ჰო, ჰო _ საფლავში!.. ერთი ძმაკაცი მყავს, რა, ყაყის ვეძახდით სკოლაში, კლიჩკა ჰქონდა ასეთი. მამა ჰყავდა ცეხავიკი, რა, ძველი... ჰოდა, მოკვდა ეს კაცი და ანდერძად, იცი, რა დაუბარა?.. ისეთი საფლავი გამიკეთე, მთელ სასაფლაოზე არავის ჰქონდესო, _ მაშ!.. ამანაც, ამ დეგენერატმა, ყველაფერი გაყიდა, სახლიანად... ცოლ-შვილიც, დედა და დებიც კი, ნოლზე დასხა, ქუჩაში გაყარა და მართლაც, ისეთი ძეგლი დაუდგა იმ თავის ცეხავიკ მამას: ორი სართული _ მიწის ზემოთ, ორი სართული _ მიწის ქვემოთ... ცინკის კუბო სარკეებით და რა ვიცი... ე, სად გავედით, არა?! სასაფლაოზე რა გვინდა?!. მოკლედ, მაგარი დაღრეჯილი რომ ხარ და უეცრად გამომძიებელი რომ გესტუმრება, რა, და მაგრად რომ გაასწორებს, რა, და შენთან ერთად რომ გაიტრიტება, რა, _ იმას გაუმარჯოს! _ და ისევ ჭიქა მიუჭახუნა მურადს.

_ გაუმარჯოს! _ მურადი იძულებული იყო, გამოეცალა.

თენგიზმაც გამოცალა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

_ მიდი, ამოიყვანე ის შენი “პოზნერი”, რაღას უყურებ?!

მურადმა წამოიწია.

_ იჯექი, იჯექი! ჩემებს ვეტყვი და ამოაბრძანებენ, თორემ, შენ რომ ახლა გამექცე, ხომ ჩამექცა სისხლი თავში!.. რა მანქანაა? _ უკან დასვა მურადი თენგიზმა.

_ "ნოლსემია" შინდისფერი. სამი "დუბლვე", რვაას ოცი, _ უპასუხა მურადმა.

_ ბიჭებო, წინ, "ნოლსემში" რომ ქალბატონი ზის, რვაას ოცში, ამოაბრძანეთ ერთი ჩემთან! _ გასცა მიკროფონით ბრძანება თენგიზმა და რაღაც ღილაკს დააჭირა თითი: _ ჯულიეტ, ახლა რომ ქალბატონს ამოაბრძანებენ ზევით, შენც ცოტა პომადა და პუდრი მიისვ-მოისვი და ერთად შემობრძანდით ჩვენთან, კარგი?

_ შემოვალთ, _ გაისმა ქალის ხმა მიკროფონში.

_ "აინ მომენტ"!.. _ ელეგანტურად წარმოთქვა თენგიზმა და წამოდგა. _ იცი, რა? ავდგეთ ახლა და აიმ კუთხეში გადავბრძანდეთ... წამო, წამო! მოკიდე ხელი!

კაცებმა კონიაკის ბოთლი და ჭიქები აიღეს და კუთხეში მდგომ დაბალ მაგიდასთან გადავიდნენ.

_ ერთი-ორი დელიკატესიც და ხოშიანად შევუბეროთ... _ თენგიზმა მაცივრიდან ზეთისხილი, ხიზილალა, კარაქი და ლიქიორიც გადმოიღო.

მალე კარი გაიღო და ჯულიეტას ხმა გაისმა:

_ შებრძანდით, შებრძანდით!

ანი ფრთხილად შემოვიდა, უკან ჯულიეტა მოჰყვა.

_ ეს არის? _ თავი წამოყინჩლა თენგიზმა და ანი ურცხვად აათვალიერ-ჩაათვალიერა. მაგარ ცეტს თამაშობდა...

_ დიახ, _ უპასუხა მურადმა.

_ და რატომ არ გაგვაცნობ? _ ისევ ცეტივით დასვა შეკითხვა თენგიზმა.

_ კარგით, რა... _ თავი გააქნია მურადმა.

თენგიზმა კი მხედრულად შემოჰკრა ფეხს ფეხი დაAანის "ჩესტი" აუღო:

_ რუსეთის გვარდიის "ლეიტენანტ-პოდპორუჩიკი" თენგიზ გომართელი. "პრაშუ ჟალოვაწ ი ლიუბიწ".

ანიც აჰყვა, "ჩესტი" აუღო და უპასუხა:

_ "ჩესტ იმეიუ"!

_ ასე, რა!.. _ გაუსწორდა თენგიზს. _ ამან კიდევ _ ჟურნალისტიაო, ინტრიგანიაო... დაბრძანდით, დაბრძანდით! ჯულიეტ, პრაშუ! _ და თენგიზმა ჯულიეტა საკუთარ "ბარკალზე" მიიპატიჟა. ჯულიეტაც ცეკვა-ცეკვით მივიდა და ნაზად ჩამობრძანდა მის "ბარკალზე". თენგიზმა კი ანის მიმართა: _ ქალბატონო ჟურნალისტო, თქვენ რატომ არ ჩაუბრძანდებით ბატონ გამომძიებელს კალთაში?

_ კი, ბატონო! _ და ანი იმწამსვე მურადის "ბარკალზე" გადახტა. ხელიც კი გადახვია. მურადმა პირჯვარი გადაიწერა.

_ რატომ?! _ იკითხა თენგიზმა.

_ ეშინია ჩემი, _ თქვა ანიმ.

_ ეშინია?! რატომ? ხა,ხა,ხა,ხა... _ ისევ ცეტივით ახარხარდა თენგიზი.

_ იმიტომ, რომ ეს ქალბატონი კატისებრთა ოჯახის ყველაზე საშიში წარმომადგენელი გახლავთ. აი, ბრჭყალები! ნამდვილი პანტერაა! _ გამოაჩინა ბრჭყალები მურადმა.

_ მართლა? აბა, გამოწიეთ ხელი, ჟურნალისტო ქალბატონო! _ სთხოვა თენგიზმა ანის და მანაც თავისი პუტკუნა მტევანი გაუწოდა. თენგიზმა სასწრაფოდ უკან დაიხია: _ მწვანე მტევანი?!

_ რამ შეგაშინა, რა, მწვანე ხელის მქონე ქალბატონმა ხომ არ უნდა მოგკლას? _ შეეკითხა ჯულიეტა.

_ არა, უბრალოდ, ასეთ ქალებს საშინლად მძიმე ხასიათი აქვთ... _ გამოაცხადა თენგიზმა.

_ ეგეც მე ვარ?! _ გაუხარდა მურადს. _ მართალია და ვერაფერს გაუგებ! ერთ რამეს რომ აკეთებს, მეორე აქვს ჩაფიქრებული... ა, თუნდაც, რატომ ჩამოჯდა ახლა ჩემს ფეხზე, მაგრად მაინტერესებს.

_ არ მოგეწონა, მერე? _ შეეკითხა თენგიზი.

_ ჰო, მაგრამ, მგონი, სიცხემ ამიწია... _ შუბლზე ხელი მიიდო მურადმა.

თენგიზმა ოსტატურად შეავსო ჭიქები. ქალებს ლიქიორი დაუსხა, თავიანთთვის კი _ კონიაკი.

ჯულიეტამ თენგიზს ჭიქაზე ხელისგული დაუფარა.

_ თენგიზ, შენ არ დალევ! შენ მაგიერ, მე დავლევ! _ გამოუცხადა მან თენგიზს.

_ ხელი აიღე და ტრაკი დააყენე, გაიგე?! _ ავარდა თენგიზი.

ამ უცნაურმა სცენამ დაუპატიჟებელი სტუმრები მაგრად დააფრთხო. ამიტომ, ცოტა ეჭვითაც კი დაუწყეს ყურება მასპინძლებს.

_ არ გინდა, გთხოვ! _ ხელის აუღებლად გაუმეორა ჯულიეტამ.

_ აიღე, რა, ხელი! რას ქვია, არ დავლევ! _ თვალები დაუბრიალა ჯულიეტას თენგიზმა.

_ კი, ბატონო! _ იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ჯულიეტა.

_ აბა, მოკიდეთ ჭიქებს ხელი! ა-ახლა თქვენ, როგორც მე გამახარეთ, ასე გახარებული ყოფილიყოს ყველა "პოდპორუჩიკი" ამ ქვეყანაზე! აბა, ჰე! _ და თენგიზმა სტუმრებს ჭიქა მიუჭახუნა. _ "ზალპომ, ზალპომ"! _ ბრძანა მან და ყველამ გადაყლურწა.

_ თქვენ ერთმანეთს თვალებში უყურებთ? _ იფეთქა უეცრად ჯულიეტამ, თენგიზის მუხლებიდან ჩამოხტა და მურადს მიუტრიალდა: _ ესენი ერთმანეთს თვალებში უყურებენ!

_ მე? როგორ გეკადრებათ?! _ შეიცხადა ანიმ.

მურადმა სასწრაფოდ მოჰკიდა ხელი და თავისი მუხლიდან, როგორც ჭირიანი, ისე გადასვა გვერდით სკამზე ანი.

_ უყურონ, უყურონ, გაუშვი _ უყურონ! _ დაამშვიდა მან ჯულიეტა.

_ რატომ, რატომ, რატომ?! _ მურადის ასეთი საქციელი ძალიან არ მოეწონა ჯულიეტას.

_ იმიტომ, იმიტომ, რომ რომელი კურდღელიც მე არ დავიჭირე, ესეც ზუსტად იმ კურდღელს დაიჭერს... _ ანიშნა მან ჯულიეტას თენგიზზე. _ აი, თუ არა და, შენ თვითონ ნახავ!

_ რა მოხდა, ჯული? რატომ ახტი და დახტი? _ გაიკვირვა თენგიზმა. _ კატა მეფეს შეხედავსო და მე რომ ქალბატონ ჟურნალისტს შევხედო, ქვეყანა დაიქცევა?! არ გვინდა, რა, ახლა ეს სექსუალური ინტრიგები და დუელები ეჭვიანობის ნიადაგზე... ეს ხალხი საქმეზეა მოსული, ვერ ხედავ, ეკლებზე რომ სხედან?

_ მართლა?! ა-ა-ა... _ და უკანალის რხევით, როგორც კახპებმა იციან, ჯულიეტა ისევ თენგიზის ბარძაყზე მოთავსდა. თენგიზმა კი, ისევ ოსტატურად შეავსო ჭიქები.

_ ბოდიშით, თქვენ ბარმენად ხომ არ გიმუშავიათ ოდესმე?.. ისე ოსტატურად ავსებთ ჭიქებს! _ ჰკითხა მას ანიმ.

_ თავხედური შეკითხვაა, მაგრამ _ ორიგინალური, _ გამოაცხადა თენგიზმა. _ დიახ, ჩვენ ორივენი "ივერია-მიუზიკ-ჰოლის" კაფე-ბარიდან მოვდივართ. გაინტერესებთ სხვაც რაიმე ჩვენ შესახებ?

_ იცით, რა... _ დაიწყო ანიმ.

_ არა, _ უპასუხა თენგიზმა.

_ მე ჟურნალისტური გამოძიება მაქვს დავალებული, მურადს _ ჩვეულებრივი...

_ მაგარი საინტერესოა, ტო! გამოვიძიოთ მერე, მეც დაგეხმარებით! რომელ საქმეზე? _ აცეტდა ისევ თენგიზი.

_ ლევან იაშვილის თვითმკვლელობაზე.

_ ეგ ხომ დამარხეს უკვე!? წავიდა, ჩაიარა, ხომ ვეღარ გააცოცხლებთ, არა?! მკვლელს რომც მიაგნოთ, მაინც არ დაიჭერენ... ა-ა, პოლიციამ რომ მაყუთი იშოვოს?.. რამდენს ითხოვენ მაინც?

_ რას? _ იკითხა მურადმა.

_ "მწვანეებს", სხვას რას მოითხოვს პოლიცია?! რა, ევროზე გადავიდნენ უკვე? _ იკითხა თენგიზმა.

_ ჯერ, აბა, მკვლელი არ ვიცით... _ გამოუცხადა მიამიტურად მურადმა.

_ მაშ, ჩემთან რატომ მოხვედით?.. მე მოვკალი, მე! როგორ დაგარწმუნო?.. ჯულიეტ, ახტი! გადმომიღე, რა, აი, ის პატარა ვაზა.

ჯულიეტა თენგიზის ფეხიდან ჩამოხტა, ვაზა გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. თენგიზმა კი, კონიაკის მეორე ბოთლი გახსნა, ვაზა გაავსო და მურადს დაუდგა: _ დაცალე!

_ ეს? ხომ მომკლა!

_ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. აუწი!

_ ვერ დავლევ, არ არსებობს... _ ისევ იუარა მურადმა.

_ მაშინ, დავუძახებ ბიჭებს და ძალით ჩაგასხამენ, გაწყობს? აბა, ჰე, აუწი და ჩავუფინოთ, არ დამაწყებინო, რა, თავიდან ბაზარი!

მურადმა საცოდავად შეხედა ანის. ანი წამოხტა და მურადს გამოექომაგა:

_ რატომ უნდა დალიოს?! მერე მე ვინ წამიყვანს აქედან?

_ ვინ და მიქელგაბრიელი!.. თუ არ დაცლის, აბა! _ გაიცინა თენგიზმა.

ანიმ ჯულიეტას შეხედა, რომელმაც უხმოდ აიჩეჩა მხრები და ხელი ჩაიქნია.

_ ვერ გააგებინებთ მაინც...

_ იცოდე, თუ ამას არ დაცლი, ორჯერ დიდ ვაზას გადმოვაღებინებ! გაწყობს? _ დაემუქრა მურადს თენგიზი.

_ დავაი, დავლიოთ! _ გამწარდა მურადი, მოჰკიდა ვაზას ხელი და... სწორედ ამ დროს, მისმა მობილურმა დარეკა. _ ბოდიში... დიახ, ბატონო ზაურ! ამწუთას, ბატონი თენგიზ გომართელის ოფისში ვიმყოფები... დიახ... დილამდე ხომ მაქვს დრო?.. დილაზე, მაგიდაზე გედებათ პატაკი. მანამდე, ბატონო ზაურ, ერთ რამეს გთხოვთ, რა! ბრძანება მჭირდება, რა, ეგებ დააბეჭდვინოთ, სანამ გახვალთ და ხელიც მოაწეროთ, რა, _ ლალი იაშვილის დაკავების თაობაზე... აუცილებელია, აბა, რა: სხვანაირად არ შვრება ეს დედაკაცი არაფრით და რა ვუყო, ლავუაზიე ხომ არა ვარ, არა?! _ მურადმა მობილური გამორთო და ჯიბეში ჩაიდო...

_ მეე? _ იკითხა მუქარით თენგიზმა. _ მე რატომ არ მიჭერ, ძმაო?! ვერ გავიგე? შენ რა, მე კაცად არა მთვლი?! დაურეკავ ამწუთას მაგ შენს ზაურას და ჩემი დაჭერის ბრძანებასაც დააბეჭდვინებ! მე მოვკალი ის კაცი, მე! თუ არ დამიჭერთ, სხვებსაც დავხოცავ, დანარჩენებს!.. _ და ისევ კონიაკით სავსე ვაზაზე მიუთითა მურადს. _ მოჰკიდე ხელი! ქალს იჭერ და მე არ მიჭერ?!.

_ დაგიჭერ, შენც დაგიჭერ, ყველასაც დაგიჭერთ! _ აყვირდა ჭკუიდან გადასული მურადი. _ თორემ, არა ხართ ყველა დასაჭერები! პატიოსანი გზით იშოვეთ ფული? თუ მამაშენმა დაგიტოვა ოქროთი სავსე ქოთანი?..

_ მურად! _ მაგრად შეშინდა ანი.

_ ჰოდა, დამიჭირე, რაღას უყურებ?! მკვლელი ვაარ? _ ვარ! ქურდი ვაარ? _ ვარ!

_ ჯერ ეს დავლიოთ და მერე დაგიჭერ!

_ ძალიან კარგი. დავლიოთ!

მურადმა ვაზა მიიყუდა და გამოცალა.

_ ა, ეს არის საქართველო!.. არ ღირს, რა, ამ ქვეყანაში არაფერიც არ ღირს... გინდა, რომ საქმე გამოიძიო, გინდა, რომ მკვლელი იპოვო... მოდიხარ და კაცი გეუბნება _ მე მოვკალი ის კაცი, მკვლელიც მე ვარ და ქურდიც, დამიჭირეო... მაშინ, რაღა საჭიროა გამომძიებელი?! მე ვიღას ტიკი-ტომარა ვარ?! ასე ხომ სამსახურს დავკარგავ...

_ არ დაკარგავ, არა. მე თუ დამიჭერ, პირიქით _ დაგაწინაურებენ, ძმაო, დამიჯერე! ამწუთას გაჩვენებთ, როგორც იყო, _ და თენგიზმა უეცრად უჯრიდან "ბრაუნინგი" დააძრო.

_ ვაიმე, დაიწყო!.. _ თქვა, რაღაც ცუდი წინათგრძნობით შეშინებულმა ჯულიეტამ.

თენგიზმა ბრაუნინგის მჭიდის მრგვალ ბუდეს ჩამოჰკრა ხელი და დაატრიალა.

_ აი, ხომ ნახეთ _ ცარიელია... _ სასხლეტი გადმოწია და გამჭვირვალე ლულა უჩვენა დამსწრეთ. _ ასე ვისხედით, როგორც ახლა ჩვენ ვზივართ, რა. ზუსტად ოთხნი ვიყავით, ის _ თავისი საყვარლით, მე _ ჩემით... _ თან პერანგის გულის ჯიბიდან ტყვია ამოიღო და "ბრაუნინგის" ბუდეში ჩადო. _ არ გინდა, სცადო? _ გაუწოდა მან იარაღი მურადს.

ანის რომ ეგონა, მურადი შეშინდებოდა, პირიქით, საოცრება მოხდა: მურადმა იარაღი ჩამოართვა თენგიზს, დახედა და ხელში აწონ-დაწონა.

_ კაი რამეა, _ თქვა მან. _ მაშ, ვცადოთ ბედი, არა? დავატრიალოთ და გამოვკრათ სასხლეტს თითი... რის სანაცვლოდ? _ იკითხა უეცრად გულუბრყვილოდ მურადმა.

_ სიცოცხლის, სხვა _ რის? _ გაიკვირვა თენგიზმა.

_ აბა, მე ჯერ სიცოცხლე არ მომბეზრებია, _ თქვა მურადმა და იარაღი თენგიზს დაუბრუნა. _ თუ გინდა, შენ სცადე, _ დააყოლა მან.

_ ჰოდა, ზუსტად ასე იყო... _ თენგიზმა "ბრაუნინგის" ბუდე დაატრიალა და ჩახმახი შეაყენა, თან ხმამაღლა განაგრძო: _ ჩადო ლევან იაშვილმა ბუდეში ერთი ტყვია, _ თენგიზმა იქ მყოფთ ტყვიის მასრა დაანახვა და მჭიდში ჩადო, _ მიიდო საფეთქელთან და...

_ ااااااااااا!!! _ ჯულიეტას წივილმა იქაურობა გააყრუა.

თენგიზმა "ბრაუნინგი" მიუშვირა.

_ გინდა, ამწუთას გაგაჩუმო? _ ჯულიეტა მთლად გათეთრდა. _ ჰოდა, მოკეტე!.. მოკლედ, მიიდო საფეთქელთან იარაღი და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. თენგიზი დაბარბაცდა, მერე მარცხნივ გადაიხარა და "წაეყუდა"... ამ მომენტში, ცოცხლები უფრო ჰგავდნენ მკვდრებს, ვიდრე მკვდარი. მკვდარმა კი, იარაღიანი ხელი ასწია, "ბრაუნინგი" ჯულიეტას მიუშვირა და სასხლეტს გამოჰკრა. ჩხაკ! _ გაიჩხაკუნა სასხლეტმა და მკვდარიც გაცოცხლდა. წამოჯდა და ახარხარდა.

ანი მურადს ასწებებოდა. მურადი კი, ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო.

_ აი, ასე იცის, აი... სათამაშო პისტოლეტი აქვს, დანიიდან ჩამოუტანეს და ასე აფეთიანებს ხალხს! ცარიელი ვაზნები აქვს, მარტო ხმას გამოსცემს... _ დაასრულა სიცილით ჯულიეტამ.

_ დაასხი, ძმაო, ერთი! _ მურადმა ვაზა მოუმარჯვა თენგიზს. _ გიჟების ქვეყანაა, დამთხვეულების. ამათ ვერც ევროპა უშველის, ვერც ამერიკა...

_ ისე, ხო მაგარი იყო?.. ხო არ დაგავიწყდებათ, არა, არასოდეს?! _ ხარხარებდა თენგიზი.

_ და საერთოდ, რა!.. ამ ქვეყანაში ადამიანები აღარ არიან, არა. ჩვენ ანტიპოდები ვართ, ადამიანების ანტიპოდები... ჰო, ჰო... აი, ეს ქალი, რა... _ თითი დაადო მკერდზე

ანის მურადმა. _ ქალია, ყველაფერი აქვს, რაც ქალს სჭირდება: სახე, მკერდი... დაბლაც ყველაფერი აქვს, რაც ქალს უნდა ჰქონდეს... მაგრამ რაც მთავარია, ის არა აქვს, ხალხო!

_ ვაიმე, რა საინტერესოა! რა არა აქვს, რა არის მთავარი? _ საოცრად დაინტერესდა ჯულიეტა.

_ სული, სული არა აქვს!.. _ გამოაცხადა მურადმა.

_ საიდან დაასკვენი? _ შეეკითხა თენგიზი.

_ არ ვეცოდები. აი, თუ გინდათ, ჰკითხეთ, აქ არ ზის?! იცის კი, რა არის სული?

_ არც ვიცი და არც მაინტერესებს... რაც არ არსებობს, რატომ უნდა მაინტერესებდეს?! ან თქვენ კი, გაქვთ სული?.. ან _ იყენებთ რამეში, გჭირდებათ?.. შეგიძლიათ მაჩვენოთ, დამანახვოთ?

_ დიახ, გვჭირდება. თუ ადამიანს სული აქვს, ფასიც მეტი აქვს. აი, თქვენ იცით ჩემი ფასი? _ გამოაცხადა თენგიზმა.

_ რა-ა? _ შეეკითხა მურადი.

_ ჰო, რამდენი ვეღირები, აბა? _ ანიშნა ხელით საკუთარ პერსონაზე, უკვე კონიაკით გვარიანად გალეწილმა თენგიზმა.

მურადმა ჯერ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, წამით ჩაფიქრდა და უეცრად მთელი ხმით ამღერდა:

_ “შაური _ შენ, შაური _ მე, შაურიც _ მამაშენს, სამ შაურად სულ გიყიდით, შენ და მამაშენს”... ოსა-ა! _ და გაგრძელდა, რაღა თქმა უნდა, თბილისური გრიალი...

ცოტა ხანში, ღამის სიბნელეში, საჭესთან მჯდომი გალეწილი მურადი თბილისის ქუჩებს “რვიანებით” მიუყვებოდა. გვერდით კი, შეშინებული ანი ეჯდა და ცდილობდა, მურადს საჭის სწორად დატრიალებაში მიხმარებოდა. ხან მანქანას ააცდენდნენ, ხან _ ბოძს, ხანაც _ ჩანთიან ქალს და ასე, ანის წივილ-კივილში, როგორც იქნა, პროკურატურამდე მიაღწიეს. ანი მანქანიდან გადმოვიდა და შენობაში შევიდა. თეჯირს იქით მორიგე პოლიციელი იჯდა და ყვინთავდა. ანიმ დაუბრახუნა. მორიგე გამოფხიზლდა.

_ რა ამბავია?! ნელა რომ დააკაკუნოთ, არ გამეღვიძება?

_ ბოდიში. ლალი იაშვილის დაკავების ბრძანება თქვენთან დევს? _ შეეკითხა ანი.

_ რა-ა?

_ ბრძანება _ ლალი იაშვილის დაკავების.

მორიგემ მაგიდას დახედა. რაღაც ფურცელი აიღო.

_ ეს? თქვენ ვინა ხართ?

_ მე მურად ოქროპირიძის ასისტენტი ვარ, გამომძიებლის.

_ ახალი ხარ?

_ არც ისე...

_ მაშ, მე რომ პირველად გხედავ? რა გქვია?

_ მომეცი, რა, ეგ ფურცელი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება.

_ აჰა! _ მიაწოდა მორიგემ ფურცელი და თვალიც ჩაუკრა.

ანიმ ფურცელი გამოართვა.

_ დახუჭე, რა, თვალები და დაიძინე! _ ურჩია მან მორიგეს, შეტრიალდა და უკანალის სექსუალური რხევით გავიდა. მორიგეს თვალები გაუფართოვდა. ანი კართან შეჩერდა, მოტრიალდა, მორიგეს ფურცლიანი ხელი დაუქნია, გაუღიმა და გარეთ გავიდა.

ანი მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მურადი დაელმებული თვალებით მიაშტერდა.

_ მოგცეს? _ ჰკითხა მან.

_ აი, _ უჩვენა ფურცელი ანიმ. _ გამოფხიზლდი, რა, ბიჭო, ცოტათი მაინც.

_ წავედით ახლა პოლიციაში. _ მაგარი მთვრალი იყო მურადი. სიმღერების ხასიათზე დამდგარუყო: _ "სიყვარულო, სიყვარულო, რა ხარო... იმისთანა საყვარელი რამ ხარო, აბა, მითხარ, გულო, რით გაგახარო... ისღა დამრჩა, თავი კედელს ვახალო". _ მოკლედ, ემღერებოდა და ისიც მღეროდა...

მანქანა პოლიციასთან გაჩერდა. ანი ფურცლით ხელში გადმოხტა და მორიგეს მიადგა. მის დანახვაზე მორიგემ რატომღაც, შუბლი შეკრა. ანიმ კი ფურცელი დაუდო წინ.

_ ეს რა არის? _ იკითხა მორიგემ.

_ ბრძანებაა... ქალბატონია დასაჭერი. ერთი, _ მოახსენა ანიმ.

მორიგე ფურცელს დასცქეროდა.

_ ვინ აწერს ხელს?

_ დარჩიაშვილი, პროკურორი. დარეკილია. იციან, _ მოახსენა ანიმ.

_ ჰოო? ახლავე უნდა გავიდნენ? _ იკითხა მორიგემ.

_ კი, _ უპასუხა ანიმ.

_ კაი, შევუტან, _ თქვა მორიგემ და წამოდგა.

_ მე წავიდე? _ შეეკითხა ანი.

_ როგორც გინდა, გენაცვალე! _ გაიკრიჭა მორიგე.

_ ჰმ... _ ვითომ ეწყინა ანის და გარეთ გავიდა.

_ რა ქენი? _ შეეკითხა მურადი, როცა ანი მანქანაში ჩაჯდა.

_ აიყვანენ. ესეც ასეე!.. _ ხელები მოიფშვნიტა ანიმ. _ ახლა ვასიკოს გავუაროთ და წავიყვანოთ, რომ გადაიღოს ყველაფერი.

_ რაში გავყავი, ნეტავ, თავი, წარმოდგენა არა მაქვს... _ ჩაილაპარაკა მურადმა.

_ მახეში, მა-ხე-შიიი! _ "მიულოცა" ანიმ.

მანქანა ღამის თბილისში გასრიალდა.

მეორე დილას, ნამთვრალევი, დაღლილი და დახეულ ჯინსში გამოწყობილი ანი რედაქციაში პირველი გამოცხადდა, მაგიდას მიუჯდა, ჩანთიდან კოსმეტიკური საშუალებები ამოალაგა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. სარკიდან თითქოს ვიღაც სხვა შემოჰყურებდა. "აუ, რა მაგრად მაქვს ქუთუთოები გასიებული!.." საათს შეხედა და ვასიკო გაახსენდა. "სად არის ეს კრეტინი აქამდე?!." მოძებნა ვასიკოს ნომერი მობილურში და ზარი გაუშვა.

_ ვასო, ცოცხალი ხარ? სადა ხარ აქამდე? მოვკვდი ნერვიულობით. დერეფანში?

_ აქა ვარ, აქ? _ შემოგლიჯა რედაქციის კარი ვასიკომ.

_ დებილი ხარ, რა! რაღას მპასუხობდი, ვერ გამითიშე?! რას დამაკარგვინე ტყუილად?

_ შენსას გაიგებს კაცი რამეს? ვიფიქრე _ რომ არ ვუპასუხო, ტელეფონი არ დაახეთქოს და არ გატეხოს-მეთქი... _ ვასიკომ კამერა მაგიდაზე დადო.

_ მასეთ გიჟადაც მთვლი?! _ შეეკითხა ანი.

_ რა, არა ხარ?.. სულ მგონია, რომ სატანაზე ერთი, ასი დღით ადრე მაინც უნდა იყო დაბადებული.

_ ჰა, აბა, აბა, მთლად მოუკრეფავებშიც ნუ გადადიხარ, თორემ, შეიძლება, ნაღმზე დაგედგას ფეხი და აფეთქდე... ეს პომადა მიხდება?

_ რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა?.. მე შენში ქალს ვერ ვხედავ, საერთოდ...

_ არ მოვინდომო, თორემ, ისე გაგთიშო...

_ შე-ენ?.. მე-ე?.. ასი ათას კილომეტრში გადავსახლდები...

_ ასეთი ურჩხულიც გგონივარ? _ ეწყინა ანის.

_ მგონიხარ კი არა _ ხარ!

_ რა დაგემართა, ვასო?! გიჟი, ურჩხული, დრაკონი... კიდევ რას დამარქმევ?

_ მომკლავ, რომ გითხრა.

_ ისეთი რა უნდა მითხრა?.. თქვი, ნუ გეშინია.

_ არა, ტო, მაგრად გაგიტყდება... _ ყოყმანობდა ვასიკო.

_ არ გამიტყდება, თქვი! _ გაათამამა ანიმ.

_ ნაბოზარი! _ წამოსცდა ვასიკოს.

_ რა-ა?! _ სკამიდან წამოფრინდა და ძუ მგელივით დაეტაკა ანი ვასიკოს. _ ვინ არის, ნაბოზარი, ვინ?! მე ქმარი მყავს, შე დაუნო, ოფიციალური ქმარი!.. _ თან, მთელი ხმით კიოდა და ისეთი გამეტებით და ისე ოსტატურად ურტყამდა მტკივან ადგილებში, რომ ვასიკოს სუნთქვაც კი შეეკრა. მალე სკამი გადააყირავეს და იატაკზე გაგორდნენ. ვასიკო იძულებული იყო, თავი დაეცვა და რომ როგორმე გაეკავებინა ანი, ორივე მკლავი შემოაჭდო. მერე კი, რადგან ქალი ფეხებს არ აჩერებდა, შუაკაური იხმარა. ანი კი, ველარაფერი რომ ვერ გააწყო, კბილებით მის ყბას ჩააფრინდა. ისე, რომ ვასიკო მთელი ხმით აბღავლდა. ბიჭს ერთი რამ ვერ აეხსნა ვერაფრით: ანი ერთადერთი არ იყო, ვისაც ქმარი ჰყავდა, მაგრამ ნებისმიერ მომენტში თავისუფლად ღალატობდა, არადა, ანიც და სხვებიც, ვინც ქმრებს ღალატობდნენ, სწორედ იმით ტრაბახობდნენ, რომ ისინი გათხოვილები იყვნენ. ეს ხომ უარესიაო?! _ ფიქრობდა ვასიკო და რატომ აწვებოდნენ თავიანთ ქმრიანობას ეს კახპები, ვერაფრით აეხსნა...

მოკლედ, რედაქციაში შემოსულმა ლოლამ სწორედ იმ მომენტს შეუსწრო, როცა ანი კბილებით ვასიკოს ნიკაპს ჩააფრინდა და მის თავში, რა თქმა უნდა, ამ სცენამ სექსუალური აქტის შთაბეჭდილება დატოვა. ლოლას დანახვაზე, ანიმ ვასოს ყბას თავი ანება და წამოდგა. მძიმედ სუნთქავდა, სწორედ ისე, როგორც ეს “პარტიის” დამთავრებისას ხდება და ლოლას შერცხვა კიდეც, რომ ასე უდროო დროს შემოვიდა. ვასიკო არ დგებოდა, იატაკზე იყო გაშხლართული და ყბაზე ეკიდა ხელი. ლოლამ ჩანთა მაგიდაზე მიაგდო და სკამზე ჩამოჯდა. საშინლად გაუტყდა.

_ ხელი ხომ არ შეგიშალეთ?.. _ იკითხა მან, ვითომ გულგრილად.

_ გიჟია, რა, სუფთა, დამთხვეული! _ თქვა ვასიკომ.

ანი კი სარკეში იყურებოდა და თავს იწესრიგებდა.

_ ერთხელაც იტყვი და უარესი მოგივა! _ დაემუქრა ის ვასიკოს.

_ მერე, ყბაზე უნდა მიკბიჩო მაგის გამო?! _ უყვირა ვასიკომ.

_ შემეცოდე კიდევ, დებილო, შემეცოდე! _ იყო ანის პასუხი.

_ რა? მგონი, კბილები შიგ ჩამიტოვა, ე, და შემეცოდეო, ტო!.. _ გაგიჟდა ვასიკო.

_ ბავშვებო, ნიკოს ამბავი ხომ არ იცით? _ იკითხა ლოლამ.

_ რა ამბავი? _ შეეკითხა ვასიკო.

_ რა და, ღამე შინ არ გაუთევია და არც აქ გამოჩენილა... _ თქვა ლოლამ.

ეს ამბავი ანისა და ვასიკოსთვის ახალი იყო.

_ კაი, რა, გადაეყრებოდა ვინმეს, ან მეეზოვეს, ან დამლაგებელს... მაგისთვის ხომ სულ ერთია... _ თქვა ვასიკომ.

_ კაი, მაგრამ, მობილურიც რომ არ მპასუხობს? _ თქვა ლოლამ.

_ კაი, რა! მე რატომ უნდა ვინაღვლო ნიკოს ამბავი?! _ ჩაერია ანი. _ უცხოეთში ქუჩაში კაცი რომ გდია, ზედ არავინ უყურებს, “რაც მოგივა დავითაოს” პონტი უჭირავთ...

_ აქ ხომ ტახტრევნით გააქანებენ იმწამს!.. აქაც მასე არ არის? ხომ არ გამოიბრუჟა, როგორც იცის, და სადმე ხომ არ გდია ქუჩაში ეგ უბედური?.. _ თქვა ლოლამ.

_ სახლს მაინც მიაგნებდა, ალბათ, რაც არ უნდა მთვრალი ყოფილიყო, _ ჩაილაპარაკა ვასიკომ.

ამ დროს რედაქციის ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი ლოლამ აიღო.

_ დიახ, ბატონო მერაბ, ლოლა ვარ... კარგად, გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ?.. არ გახლავთ, იცით, არ მოსულა ჯერ... დიახ, აუცილებლად... _ ლოლამ ყურმილი დადო. _ ა, ბატონო. შეფი იყო. ნიკო უნდოდა. როგორც კი გამოჩნდება, შემოვიდესო... _ ამოიღო მობილური და ზარი გაუშვა. _ არ პასუხობს ეს მობილური და რა გინდა, რომ ქნა?!

_ რამე ხომ არ ჩაიდინა? _ იკითხა ანიმ.

წინა საღამოს, ნიკოს თავისი კორპუსის სადარბაზოში ორი ტიპი დახვდა. დაადგა თუ არა კიბის საფეხურზე ფეხი, ნიკოს მოეჩვენა, რომ ქსოვილში გახვეული გირი ჩაარტყეს კეფაში. მეტი არაფერი დაამახსოვრდა. როცა გონს მოვიდა და სიბნელეს თვალი შეაჩვია, ტანშიც სტეხდა, თავიც სტკიოდა, თვალიც და ყბაც. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ შიშველ-ტიტველი, ნესტიანი სარდაფის შუაში მდგარ უნიტაზზე იჯდა და ხელებით წყლის ჩამრეცხი ავზის მილზე იყო მიბმული, ფეხები კი ჰაერში ეკიდა... ნიკო მთლად გათოშილიყო, კბილებს აკაწკაწებდა. ქვემოთ ჩაიხედა და დაინახა, რომ უნიტაზი კუნძზე იყო შემოდგმული. ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად, ნიკოს აშკარად ესმოდა თაგვის გაბმული წრუწუნი, რომელიც უნიტაზიდან ამოდიოდა და ნიკოს საშინელ დისკომფორტს უქმნიდა. როგორია, სადღაც ბნელ სარდაფში დაგსვან უნიტაზზე, რომელშიც ვირთხა ზის და გატოკების უფლებაც კი არ გქონდეს?!. მისდა საბედნიეროდ, სარდაფში პატარა სარკმლიდან შუქი ჩამოდიოდა. ნიკომ თვალი შეაჩვია და კედელზე დაკიდული თავისი სამოსიც შენიშნა. მოკლედ, ცოტა ხანს კი ითმინა, მაგრამ თავი რომ ვერაფრით გაითავისუფლა, მერე კი აბღავლდა. ჯერ “ეე”-ს ყვიროდა, მერე ბიჭებოს”, მერე “ადამიანებოს”, რაც ცოტა უცნაურიც ეჩვენა. უკვე ხმაც ჩაეხლიჩა, ის კი ისევ ყვიროდა... მოეჩვენა, რომ ვირთხამ დუნდულაზე კბილები ჩაასო და ზედ ჩამოეკიდა. ეს მდგომარეობა და ნიკოს პიროვნება, იმდენად კონტრასტული რამ გახლდათ, რომ ამაზე დიდი ტრაგიზმის წარმოდგენა, ნიკოს ინტელექტუალური ტვინისთვის შეუძლებელიც კი იყო და ნიკოს ხახიდან, უკანასკნელი, სასიკვდილო ბღავილი ამოსკდა. ეტყობა, ამ ბღავილმა გაჭრა, რადგან სარკმელში ექვსიოდე წლის ბავშვმა შემოიხედა.

_ ბიჭი, წადი და დედას დაუძახე, დედას! _ რაც პირველად მოუვიდა თავში, ის დაუყვირა ბავშვს ნიკომ... ბავშვი იმწამსვე გაქრა და ნიკოს დაძახილზე აღარ მობრუნდა. ნიკოს გააჟრიალა, ვაითუ, მართლაც დედა მოიყვანოს და ქალს ასე შიშველ-ტიტველი როგორ დავენახვოო?! _ ფიქრობდა. სამწუხაროდ, ბავშვს მისი თხოვნა შეესრულებინა და სარდაფში, მართლაც, ქალმა შემოიხედა, ალბათ, ბავშვის დედამ.

_ კაცებს დაუძახეთ, რა, კაცებს! დაბმული ვარ... _ დაუყვირა ნიკომ.

ქალმა მის თხოვნას ყური არ უგდო, სიბნელეს თვალი შეაჩვია და განცვიფრებული მიაშტერდა.

_ ბატონო, ეგ უნიტაზი არ მუშაობს, ეგ ტყუილად დევს კუნძზე... _ წამოიძახა გაკვირვებულმა ქალმა.

_ მიბმული ვარ, მიბმული!.. გამძარცვეს! თავში გირი ჩამარტყეს! უნიტაზი სულ არ მჭირდება. მშიერი ვარ, მშიერი!.. _ უხსნიდა ნიკო და თავს იმართლებდა.

“ვაი, ვაიო!” _ ერთი კი დაიძახა ქალმა და წავიდა.

მალე სარდაფის კარი გაიღო და შიგ მილეთის ხალხი შემოლაგდა. ალბათ, ახლო-მახლო კორპუსების მცხოვრებლებიც აქ მოჯოგდნენო, _ ფიქრობდა ნიკო. იდგა ერთი

ყაყანი და გუგუნი... მისკენ ყველაზე მეტად ბავშვები იწევდნენ, რომლებმაც ვირთხა მოკლეს და მკვდარი ვირთხის გამო ისეთი ჩხუბი მოუვიდათ, _ ესენი, ალბათ, ჭამენო ამ ვირთხებს, _ გაიფიქრა ნიკომ. ქალები ტიტველ კაცს გარშემო უვლიდნენ და ვიშვიშებდნენ. მამაკაცებმა ხელები გაუხსნეს, ტანსაცმელი ჩააცვეს და გარეთ გამოიყვანეს. ერთი გალიაღა მინდა და ალბათ, შიმპანზედაც ვიქცევიო, _ ფიქრობდა ნიკო. ჯიბეები მოიჩხრიკა. მობილური და ფული წაეღოთ, სხვა არაფრისთვის ეხლოთ ხელი. "კეთილმა ადამიანებმა" ნიკო "ჟიგულში" ჩასვეს და "არამიანცის" საავადმყოფოში წაიყვანეს. ის ღამე იქ გაათია. ვარკეთილის სულ ზედა მასივის რომელიღაც კორპუსის სარდაფში ყოფილიყო დამწყვდეული.

თაზოს, თუ პატარ-პატარა ქეიფებს და ლოთურ-შფოთურ პონტებს არ ჩავთვლით, საქმე არც ისე ცუდად მისდიოდა. თან, ეს ანგელოზი!.. სუფთა, სუფთა, როგორც პირველი თოვლი, სულ რამდენიმე დღის მიღებული ჰყავდა სამსახურში... რა ვიცი, იქნებ, თაზოს ეჩვენებოდა კიდეც, რომ ეს ბავშვი ასეთი სპეტაკი იყო, თორემ, ფულს ისეთი სისწრაფით ითვლიდა და ისე ახვევდა და ნასკვავდა, შვეიცარიული ბანკის მოლარე მონაგონი იყო იმასთან.

თაზოს მოეწონა კოჭწვრილი, ლამაზი მოხაზულობის ფეხი, ოდნავ ამობურცული თეძო და _ ღმერთო, რა სასრესი მკერდი!.. აუუ, თაზოს ამ მკერდის დანახვაზე მაშინვე ნერწყვი ეყლაპებოდა და პატარა, ოდნავ ფერდაკარგული ტუჩების ამოწოვის ხასიათზე აყენებდა... რა თქმა უნდა, ორი-სამი დღე იოცნება და ერთ-ერთ სადილზე, როცა ოთხი-ხუთი მოლარე და თაზო ნაყრდებოდნენ ხოლმე, მისი და გურანდას თლილი მუხლის კვერები შემთხვევით ერთმანეთს შეეხნენ... შეეხნენ და მიეწებნენ კიდეც, ისე, რომ მაგიდის ზემოთ, როგორც მუდამ ასეთ დროს, არაფერი ხდებოდა. დაბლა კი, ერთიმეორის სისხლი ისეთი სისწრაფით გადაჩქეფდა ძარღვებში, რომ... უკვე მეორე დღეს, ზუსტად ამ დროს, მუხლის კვერებთან ერთად, მათი მარჯვენა და მარცხენა ხელის თითებიც გადაეწნა მაგიდის ქვეშ ერთმანეთს და საღამოს, გახელებულ ვნებას, უკვე თალიკოს საუნაში, რომელიც თაზოს ახლახან შეგულებული ჰქონდა, დიდი ხნის ნაშიმშილებივით იცხრობდნენ.

..."პირველი თოვლი" ძალზზე სწრაფად "გადნა" და თაზოს აღარც კოჭი და აღარც ზემოთ წამოსული ფეხის მოხაზულობა ისეთი სრულყოფილი აღარ ეჩვენა, როგორიც პირველ შეხებამდე ეგონა. თან, გურანდა წუთში იმდენ და ისეთ სისულელეს ტლიკინებდა, რომ თაზოს რა სისწრაფითაც მოსწყურდა ხელების ფათურის სურვილი, იმ სისწრაფითვე დაეკარგა საბოლოოდ. ხოლო ნომრიდან გამოსულს და საერთო აუზში გასაგრილებლად შეცურებულს, ვიღაც "შკაფივით" ტიპმა, ვითომ შემთხვევით, რამდენჯერმე რომ ჩააყვინთვინა და წყალი აყლაპვინა, "პირველი თოვლის" არსებობის ამბავიც საერთოდ გადაავიწყა.

იმ ტიპმა კიდევ ბევრი წყალი აყლაპვინა, მერე, ნახევრად მკვდარი, აუზიდან ამოათრია და ჩასჩურჩულა: ახლა გვიპატიებია, მაგრამ თუ შენი ცოლი არ "დაატორმუზებს" და თავის გოთვერნობას გააგრძელებს, ჩათვალე, რომ "ტრუპი" ხარო. ხოლო როცა გურანდა ნომერში აღარ დახვდა და ვერც საუნის ადმინისტრატორმა დააკვალიანა, სად და როდის გაქრა, თაზო სერიოზულად აიტანა შიშმა, იმდენადაც კი, რომ სულ ერთი საათის წინ, როცა გურანდას ანგელოზობას მის შიშველ ტანზე საფუძვლიანად ამოწმებდა და თავის სასიმღერო რეპერტუარს აბულბულებდა, ახლა ვერც ერთ მელოდიას და ვერც ერთ სტრიქონს იმ სიმღერებიდან, თავში ეროც რომ გერტყათ, ვერ გაიხსენებდა. შიში არ იყო უსაფუძვლო: ორი-სამი ყლუპიც რომ ჩაეყლაპინებინათ, ნამდვილად დავიხრჩობოდიო, _ უყვებოდა ის ანის და ეჩხუბებოდა

_ როგორც შეძვერი ამ ჩიხში და მეც შემაძვრინე, სიცოცხლე ტკბილია და უკანვე გამომაძვრინეო!..

მოკლედ, ლევან იაშვილის ნამდვილი მკვლელის საცეცების შხამიანი ნესტრის გემო, ჯერჯერობით, მხოლოდ ნიკომ და თაზომ იწვნიეს. ეს მხოლოდ მუქარა იყო, მაგრამ ეწერა თუ არა ამ მუქარას ასრულება, ეს მთლიანად ანის ქცევაზე იყო დამოკიდებული. ანი კი თამაშიდან გამოსვლას არ აპირებდა, ეს მის ხასიათში არ იყო.

როცა, ნიკომ "ელიტ-ქრონიკის" რედაქციის კარი შეაღო და ცალთვალახვეული, შიგნით შევიდა, სამივე თანამშრომელი ადგილზე დახვდა. ეტყობა, ცალი თვალით კარგად ვერ ხედავდა, რის გამოც, თავი მაღლა ჰქონდა აწეული, თითქოს ჭერში იყურებაო... თანამშრომლებს არ მიესალმა. წავიდა და თავის მაგიდასთან დაჯდა. დაჯდომისას, ბეჭზე მოივლო ხელი.

_ ვაი, ვაი, ვაი...

_ რა გჭირთ, ბატონო ნიკო, რა დაგემართათ?! _ სახტად დარჩენილი, თანამშრომლებიდან მხოლოდ ლოლამ გაბედა კითხვა.

ნიკომ არ უპასუხა, პირდაპირ ანის დაეძგერა:

_ შენ, ქალბატონო, აგრძელებ, არა, ისევ, იმ შენს ავანტურას, იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით რომ წამოიწყე?!

_ დიახ. წუხელ, შუაღამისას, იაშვილის ცოლი ავაყვანინე!

_ შენ ააყვანინე?! _ ნიკომ ყურებს არ დაუჯერა.

ანიმ კი ხმას აუწია:

_ დიახ. მე რომ არ მივწოლოდი, არც მაგას აიყვანდნენ... ვასიკომ გადაიღო, ჩაბარებული გვაქვს მასალა... თორმეტზე უნდა იყოს "ახალ ამბებში".

_ ძალიან კარგი. მაგ გამოძიებაში მეც უნდა ჩავერთო, _ გამოაცხადა ნიკომ.

_ რატომ? _ გაუკვირდა ანის.

_ გუშინ საღამოს, 100 დოლარი გადავახურდავე. სადარბაზოში დამხვდნენ. მაგათ უნდა... _ ნიკო გაჩუმდა, ყურებად ქცეულ თანამშრომლებს შეხედა და ერთი მაგრად შეიკურთხა. _ თავში ჩამარტყეს და გამთიშეს! ყველაფერი მტკივა. ის ფული ხომ წაიღეს!.. საავადმყოფოში ერთი იმდენი გადამახდევინეს კიდევ. ჰო, მარტო ერთი ღამის გათევაში. უნდა ჩავერთო და ბოლომდე გამოვიძიო ეგ მკვლელობა.

_ არ გინდათ, რა, ბატონო ნიკო, თორემ, თქვენი ამბავი რომ ვიცი, თავდაყირა უნდა დააყენოთ ყველაფერი. ისევ ჯობს, ანი მივუშვათ, თორემ, ამის გაჟიმვა უნდა იმ გამომძიებელს, ეს კიდევ აწამებს, არ შვრება და რით დამთავრდება ეს ყველაფერი, კაცმა არ იცის...

_ მაშ, ეს ვაპატიო, ტო?! თვალი გამოთხრილი მაქვს ლამის!.. ხელკეტებით ვარ მგონი, ნაცემი. დასერილი მაქვს მთელი წელი. აი! _ ნიკო შეტრიალდა და პერანგი აიწია. წელი მართლაც, დასერილი და დაწითლებული ჰქონდა.

_ ვაიიიიი! _ ერთხმად აღმოხდათ ლოლასა და ანის.

_ როგორ ვაპატიებ, რანაირად?! ან რამდენ ხანს უნდა მქონდეს ეს თვალი ასე ახვეული?! _ დაიჩივლა ნიკომ.

_ მაგრად გიხდებათ, გეფიცებით. კუტუზოვსაც ჰგავხართ, ნილსონსაც და ალი-ბაბასაც, ჰო, ჰო, სამივეს ერთად!.. _ გაეხუმრა ვასიკო.

გოგოები ახარხარდნენ.

_ თქვენ გეცინებათ და მე სანამ მაგათ სისხლს არ დავლევ, ვერ მოვისვენებ! _ თქვა ნიკომ.

_ სანამ მაგათ სისხლს დალევთ, ყავას მოგიდუღებთ და იმას დაგალევინებთ, _ შესთავაზა ლოლამ. _ ხომ გნებავთ?.. ჰო, მართლა _ ბატონმა მერაბმა დარეკა; როგორც კი გამოჩნდება, ჩემთან შემოვიდესო...

_ მერაბმა?.. მერე, ამ თვალით როგორ შევიდე, რა ვუთხრა?.. _ დახმარებას ითხოვდა თანამშრომლებისგან ნიკო.

_ რა და _ სიმართლე, ტო! უთხარით, როგორც იყო, ხომ არ მოატყუებთ, _ ურჩია ვასიკომ.

_ რას ლაპარაკობ შენ?! თავში ტვინი გაქვს?! ხომ ჩაიფსა იქვე!.. ისედაც ერთი ადგილის კანკალი აქვს ყველაფერზე... _ უთხრა ნიკომ.

_ მაშინ უთხარით, ბანდიტები დამხვდნენ სადარბაზოში და იმათ ვერკინებოდი-თქო, _ თვითონაც არ იცოდა რა უნდა ეთქვა ვასიკომ.

_ ჰო, გავალ, ვნახავ, რა უნდა, ხომ არ გვშლიან, ნეტავ?.. არ მომანატრეს დამპალი კომუნისტები?! აუჰ!.. _ ნიკო წამოდგა, წელს ითრევდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ეზარებოდა მერაბის ნახვა. _ თუ გვშლიან, დაგვშალონ, რა, მართლაც, ბოლო-ბოლო, და დაამთავრონ!.. გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, _ ნათქვამია...

_ მობილურიც დაკარგეთ, ბატონო ნიკო? ვრეკავ გუშინიდან და არ მპასუხობთ, _ შეეკითხა ლოლა.

_ მობილურს დამიტოვებდნენ, ლოლა?!.

_ ყავას, რომ შემოხვალთ, მაშინ დავადგამ, კარგი?..

_ ჰო.

ნიკომ, როგორც იქნა, გამოაღწია რედაქციიდან და მერაბთან შევიდა. მის დანახვაზე მერაბის მდივანი ადგილიდან წამოხტა.

_ ვაიმე, რა გჭირთ, ბატონო ნიკო? _ იკივლა მანანამ.

_ არა, არაფერი, არაფერი... კარს მივარტყი. მარტოა? _ იკითხა ნიკომ.

_ დიახ, დიახ, შებრძანდით!

ნიკო მერაბთან გაბუტულივით შევიდა. მერაბს კი, მის დანახვაზე, თვალები შუბლზე აუვიდა:

_ რაც მე შენ გიცნობ, პერმანენტულად რაღაც უნდა გჭირდეს! ან ხელი უნდა ამოიგდო ისე, რომ სამმა ექიმმა ძლივს ჩაგისვას, ან ყველა ნეკნი ერთად უნდა გაიტეხო და კვნესოდე, ან ორი მანქანის შუაში უნდა გაირბინო, თოკით რომ მიათრევს ერთი მეორეს, და ის თოკი გაწყვიტო... ან თვალი გამოითხარო, ალბათ... გენიალური ნიჭი გაქვს პრობლემების შექმნის, გენიალური!..

_ ისე გაიკვირვე, თითქოს პირველიც მე ვიყო და უკანასკნელიც... _ წყენით თქვა ნიკომ. _ სტატისტიკით, ყოველი მეათე ნაცემი და გაძარცულია, ყოველი მეასე _ ერთხელ მაინც დაჭრილი და ყოველი მეათასე კიდევ, ერთხელ მაინც მოტაცებული...

_ ჰო. ან მოკლული, არა?.. ქალებსაც თუ მივათვლით ზედ, ხომ... მოიცა, მოიცა, სერიოზული გჭირს რამე თუ ბლეფობ ისევ, შენებურად?.. _ შეეკითხა მერაბი.

_ ჰო, კაი, ვბლეფობ. რა გინდოდა? _ ჰკითხა ნიკომ.

_ რა და, კარგად იცი, როგორ პატივს გცემთ, მაგრამ დღეიდან შენ თვითონ მოგიწევს სპონსორის ძებნა. ჩვენ დიდი-დიდი, ორი-სამი გადაცემა კიდევ დავაფინანსოთ...

ნიკოს ენა ჩაუვარდა. მერაბი ცოტა ხანს გაჩუმდა.

_ არც ამ კვირის და არც წინა კვირის გადაცემები არაფრად რომ არ ღირდა, შენც ხომ მოგეხსენება?.. მოკლედ, თქვენს თავს თქვენ თვითონ უნდა მიხედოთ, _ და მერაბმა ტელეეკრანზე გადაიტანა მზერა. _ ეს რა ხდება?

ეკრანზე ლალი იაშვილის დაკავების სიუჟეტის კადრები მიდიოდა. სიუჟეტს კომენტატორის შემდეგი ტექსტი მიჰყვებოდა:

_ გრძელდება "ივერკომის" ყოფილი დირექტორის, ლევან იაშვილის თვითმკვლელობის საქმის გამოძიება. გუშინ, ღამის სამის ნახევარზე პოლიციამ დააკავა პირველი ეჭვმიტანილი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის ლევან იაშვილის მეუღლე ლალი იაშვილი გახლავთ...

_ ეს რა აგიგორებიათ, ბიჭო, გაგიჟდით?!

_ მოიცა, რა, მაცალე! _ სთხოვა ნიკომ.

ეკრანზე, პოლიციელების დანახვით გაოცებული ლალი იაშვილი გამოჩნდა. ის ლოგინში იწვა და პლედს თავზე იფარებდა, პოლიციელი კი, პლედის გადაძრობას ცდილობდა. ლალი ფეხზე წამოვარდა. "გაწიეთ ეგ კამერა, გაწიეთ, გეუბნებით! _ უყვიროდა ის ოპერატორს, თან ტანზე პლედს იფარავდა. _ როგორ მიბედავთ, პირუტყვებო, მხეცებო, ცხოველებო! ხალხო, ბილეთი მაქვს აღებული, გასამზადებელი ვარ, ხვალ ბელგიაში მივფრინავ, ცხოველე..." _ ლალიმ პლედი კამერის ობიექტივზე მიაგდო... ეკრანზე გამოჩნდა, თუ როგორ ჩატენეს პოლიციელებმა მანქანაში, თავზე ხელის დაჭერით, ლალი იაშვილი. აი, მან კამერისკენ მოიხედა და მიაფურთხა. ობიექტივზე ფურთხის წვეთები გამოჩნდა, შემდეგ _ პოლიციელი, რომელსაც მიშვერილი ჰქონდა მიკროფონი. "კარგით, რა! მე რაც მიბრძანეს, იმას ვაკეთებ, აბა, მე რა ვიცი?! ქალს კილერის ტელეფონი აღმოუჩინეს და უხათრებდნენ?.. გაიწიე, რა, გამატარე!"

_ როგორც ნახეთ, _ განაგრძო კომენტატორმა, _ ადგილზე მხოლოდ იმ მიზეზის გარკვევა აღმოჩნდა შესაძლებელი, თუ რის გამო მოხდა ქალბატონ ლალი იაშვილის დაკავება. უახლოეს ხანში, ვეცდებით მოგაწოდოთ დაწვრილებითი ინფორმაცია ამ ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ საქმეზე...

მერაბმა ტელევიზორი გამორთო.

_ ჩვენ ისე არ დაგვემართოს _ თაგვმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარაო... იმხელა ტვირთი არ უნდა ასწიო, რომელსაც ვერ ზიდავო, ხომ გაგიგონია? _ ამბობდა გაკვირვებული.

ნიკომ წამოდგომა დააპირა და უაეცრად წელზე მოივლო ხელი.

_ ვაი!

_ შენ რა, წელკავიც გაქვს? ეგ ხომ იცი, რამაც იცის? ქალებმა, ჰო, ქალებმა...

ნიკო კარისკენ გაემართა.

_ აი, თუ არ გავხსნით მაგ გორდიას კვანძს, აგერ ნახავ!.. _ თქვა მან თავმომწონედ.

_ ოპტიმიზმი კარგი რამეა, თუკი რეალობას ეყრდნობა. მაგრამ მეეჭვება, ეს საქმე გაიხსნას, _ თავი გააქნია მერაბმა.

_ ვნახოთ, ვნახოთ., _ ჩაილაპარაკა ნიკომ და კარი გაიკეტა.

_ ისევ სპონსორსა მთხოვს! საიდან გამოვთხარო ახლა მე სპონსორი?! _ შევიდა თუ არა, შესჩივლა თავისი გაჭირვება თანამშრომლებს ნიკომ.

_ არ უყურეთ, ბატონო ნიკო? _ შეეკითხა ანი.

_ კი... მაგრამ მე მგონი, ეგ ქალი არაფერ შუაშია, _ უპასუხა ნიკომ.

_ საიდან დაასკვენით? _ ეწყინა Aანის.

_ დამნაშავე ასე არ გაავდებოდა, _ მოახსენა თავისი დასკვნა ნიკომ.

_ მაშ, ვინაა შუაში? _ იკითხა ლოლამ.

_ ვინ და ჩვენი მეზობელი სუსანა... _ თქვა ნიკომ. _ აბა, მე რა ვიცი?! ასეთი საქმე რომ გახსნა, მარტო გამომძიებლობა საკმარისი არ უნდა იყოს.

_ ეგ რას ნიშნავს? _ იკითხა ანიმ.

_ რას და ცოტა შემოქმედებითი ნიჭითაც უნდა იყო დაჯილდოებული.

_ მერე, თქვენ აქ რას გვიკეთებთ, ბატონო ნიკო?.. _ თვალები გაუბრწყინდა ვასიკოს. _ წეღანაც გითხარით _ კაცს ერდროულად, სამი ბუმბერაზი ადამიანის თავი გაბიათ, ტო: ნილსონის, კუტუზოვის და ალი-ბაბასი, აიღეთ ხმალი და წინ გაგვიძეხით! რაზ-დვა, რაზ-დვა!

_ ხმალი კი არა, აიღე კამერა და წავედით, არ დაგვაგვიანდეს... _ უბრძანა ანიმ ვასიკოს.

_ სად მიბრძანდებით? _ დაინტერესდა ნიკო.

_ ლალი იაშვილი უნდა დაჰკითხოს ანიმ, _ მოახსენა ვასიკომ.

_ მეც მოვდივარ! _ თქვა ნიკომ.

_ მაგ ცალი თვალით, ბატონო ნიკო?! ხომ გაუსკდა იმ ქალს გული! _ გადაირია ანი.

_ ჰოდა, მეც ეგ მინდა სწორედ!.. მინდა გამოვიძიო, ვინ დამჟეჟა, ვინ გამიხეთქა ეს თვალი... _ წამოდგა ნიკო.

მალე ანი, ვასიკო და ნიკო გამომძიებელთან გამოცხადდნენ. ანიმ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

_ შემობრძანდით! _ დაიძახა მურადმა და ანის უსაყვედურა: _ სადა ხარ, ანი, ამდენი ხანი? შაქარი გინდა დამმართო თუ რა?! შენ იცი რა ხდება?..

_ რა ხდება? _ გაუკვირდა ანის.

_ რა და, ამ სტერვამ თვითონ დუმილის უფლება აირჩია და ადვოკატი აიყვანა.

_ რა მოხდა მერე? ადვოკატი აიყვანა, ტირანოზავრი ხომ არა!.. _ უპასუხა ანიმ.

_ უარესია, ეე, სიმონ, უარესი. დაჯექი, აი, შემოვიყვან და შენ თვითონ ნახავ, _ წამოდგა მურადი.

_ ბატონო ნიკო, ვასიკო, შემოდით, რა! _ გასძახა კართან მდგომებს ანიმ. კართან ნიკო და ვასიკო გამოჩნდნენ.

_ ესენიც? _ არ ესიამოვნა მურადს. _ ახლა მთლად გააფრენს! დასხედით, რა ვიცი... _ და ნიკოს ჰკითხა: _ თვალზე რა მოგივიდათ?

_ თვალზე? ეს ცალკე თემაა, ბოლოს გეტყვით.

_ აქ დამელოდეთ. ახლავე მოვიყვან ორივეს, _ და მურადი ეჭვმიტანილის მოსაყვანად გავიდა.

_ რას ერჩი, მშვენიერი ბიჭია, რატომ აწვალებ? _ შეეკითხაAანის ნიკო, როგორც კი მურადი გავიდა.

_ კარგით, რა, ბატონო ნიკო!.. _ არ ესიამოვნა ანის.

მალე მურადმა ლალი და მისი ადვოკატი შემოიყვანა. ადვოკატი სუფთად ჩაცმული, უშნო გოგო იყო, ისეთი, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია თავდასაცავად.

_ ესენი ვინღა არიან, აქ რას აკეთებენ? _ იკითხა მან სტუმრების დანახვაზე.

_ მოწმეები, _ უპასუხა მურადმა.

_ კამერით? _ გაუკვირდა ადვოკატს.

_ დიახ, მინდა, რომ ყველაფერი გამჭვირვალედ იყოს, _ მოახსენა მურადმა.

ლალიმ ანი იცნო და აწივლდა. შუაში ნიკო და ვასიკო ჩაუხტნენ.

_ შენ მაინც არ მანებებ თავს, არა?! აქაც შენ დამხვდი, არა?! ეს ისაა, ის, ის კახპა, ვის გამოც ეს დამთხვეულობა და სიგიჟე ხდება... მე დამიჭირეს, ხალხო, მე მიჭერენ, ეე! რომელსაც ქმრის სიკვდილმა ისედაც თავზარი დასცა!.. ეს მაბრალებს მკვლელობას, ეს, ეს მეძავი, ეს ბოზი! _ უთითებდა ანიზე ლალი.

_ ნელა, ქალბატონო! რა ხდება? როგორ გეკადრებათ?! მშვიდად! რამ გადაგრიათ? _ აკავებდნენ გაავებულ ანის კაცები.

_ ვაიმე, დედა! _ თვალზე ხელი იტაცა და ჩხუბს გამოეთიშა ნიკო.

კაბინეტში პოლიციელები შემოცვივდნენ და ლალი უცბად დააშოშმინეს. ეს ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა.

_ მოკლა კაცი, ტო, მოკლა! _ ამბობდა მურადი ნიკოზე.

_ ვინ არის, რომ, ვინ? აქ რა უნდა?! _ ყვიროდა ლალი.

_ მე-ე? _ აპროტესტებდა ნიკო. _ მე მთავარი რედაქტორი გახლავართ "ელიტ-ქრონიკის" და აქ იმიტომ მოვედი, რომ გავიგო, ვინ და რატომ გამროზგა გუშინ, რატომ ამომიგდეს ეს თვალი, აი!

_ ვენაცვალე!.. _ გადაიხარხარა ლალიმ.

მურადმა კალამი და ქაღალდის ფურცელი დაუხეთქა წინ ლალის:

_ ახლა მორჩეს ეს ბაზარი! მე შეგეკითხებით და თქვენ პასუხებს ამ ქაღალდზე დაწერთ! გასაგებია?

_ რა-ა? ეს ქაღალდი წვრილად დაახვიე, გენაცვალე, და ამ კალამთან ერთად, ერთ ადგილას გაირჭე, გასაგებია?! _ მოჭმუჭნა და უკან მიაგდო ფურცელი მურადს ლალიმ.

_ აი, ახლა ეს, ნორმალურია? ნორმალურია?! თუ მკვლელი არაა, რატომ არ უნდა, რომ დადგინდეს ჭეშმარიტება, რატომ? _ შეეკითხა ანი ლალის ადვოკატს.

_ იცით, მოწმეების გარეშე, მართლაც, არ შეიძლება. დამშვიდდით, რა-ა, დამშვიდდით! _ მიუბრუნდა ადვოკატი ლალის.

_ რას ჰქვია, დამშვიდდით, გენაცვალე?! მკვლელობას მაბრალებენ, საკუთარი ქმრის მკვლელობას, გესმით?!. ეს, თვითონ მკვლელები! _ და უეცრად ლალიმ ტირილი დაიწყო: _ რა გინდათ, ჩემგან, რა? რატომ არ დამანებებთ თავს? მე რა შუაში ვარ? მე თვითონ გავიჭყლიტე ამ ყველაფერში... მე არ მომიკლავს ის კაცი, არა! გაგებაში არა ვარ, რა მოხდა, მოკლეს თუ მართლაც თავი მოიკლა... შეხედეთ, რას ჰგავს! _ და ლალიმ მურადზე მიუთითა. _ შეხედეთ, შეიძლება, ასეთი ბრიყვი ტიპი გამომძიებელი იყოს, ხალხო?!

_ ქალბატონო, შეურაცყოფებს მორჩით, ძალიან გთხოვთ! _ განრისხდა მურადი. _ ჩემნაირები კი არა, ჩემზე ათჯერ უარესებიც არიან გამომძიებლები...

_ ჰოდა, მაგიტომაც არის ჩვენი საქმე ასე კარგად... _ ჩაილაპარაკა ადვოკატმა.

_ თქვენც ხომ სულ ათიანებზე გეცოდინებათ ყველაფერი, კარგი, რა! _ გამწარდა მურადი.

_ მე გავიდე? _ იკითხა პოლიციელმა.

_ შეგიძლია, _ გაათავისუფლა მურადმა.

_ ათიანები არ ვიცი მე! _ წამოხტა ადვოკატი. _ მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ დაკითხვაზე ჟურნალისტები და კამერები არ უნდა იყოს. აბა, მოაცილეთ ეს კამერა აქედან და თქვენც მიჰყევით უკან! _ და საბოლოო იერიშზე გადავიდა: _ აბა, ჩქარა, შვიტ!

_ ქალბატონო, თქვენ ჩვენ დებილები ხომ არ გგონივართ?! მოგვიტანეთ კანონი, წაგვაკითხეთ, დაგვიდეთ წინ და წავალთ, _ გაჯიუტდა ანი.

_ კაი, დარჩნენ, ლალი, _ მიუბრუნდა ადვოკატი ეჭვმიტანილს. _ რა ფეხებს მოგვჭამენ?! გაუშვი, თავისი ყურით მოისმინონ ყველაფერი, _ და უცერემონიოდ დასძინა: _ მაცალე ორი წუთი, ამათ ძაღლის ტრაკში შევაძვრენ ყველას!.. _ და მურადს მიუბრუნდა: _ დავიწყოთ, ხომ?

და მურადმაც, როგორც იქნა, ლალის პირველი კითხვა დაუსვა:

_ ხომ არ გიფიქრიათ, რომ ვინმეს უნდოდა თქვენი ქმრის მოკვლა? ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

_ ეჭვი კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოკლულია, ის არის დამკვეთი _Lნუციკო კელაპტრიშვილი. ასე რომ, მე კი არ უნდა ვიჯდე აქ ახლა, ის უნდა იჯდეს, ის! _ თქვა აღელვებულმა ლალიმ.

_ დარწმუნებული ხართ? _ მეორე კითხვა დასვა გამომძიებელმა.

_ ვაჰ, ნეტავ, მე ფული მომცა და ამ კაცს _ ჭკუა!.. _ განცვიფრდა ლალი. _ რატომ კლავენ საყვარლები საყვარლებს, არ იცით?

_ ნუ, თავი რომ დაენებებინა... სხვა რა იქნება? _ იკითხა ანიმ.

_ ან სხვა საყვარელს გადაეყარა... _ გამოთქვა თავისი ვარაუდი ნიკომ.

_ ეგ გამორიცხულია. ნუციკო კელაპტრიშვილი მაგას აღიარებს? _ ირონიულად ჩაილაპარაკა მურადმა.

_ გიჟი უნდა იყოს, რომ ეგ აღიაროს: კაცი მკვდარია, ქალს, ალბათ, ტრაკის კანკალი აქვს, დღეს ან ხვალ დამიჭერენო, და მაგას იტყვის?! _ ჩაერია ადვოკატი.

_ ცოტა გამოთქმები შეარჩიეთ, რა, გთხოვთ! _ გაწყრა მურადი.

_ რა-ა? სხვანაირად, თქვენს ტვინამდე ვერ დავიყვან და იმიტომ! _ გაცხარდა ადვოკატი.

_ გიყვარდათ ქმარი? _ მიუბრუნდა ლალის მურადი. _ მისმა დამ აღიარა, რომ თქვენ დაუსრულებელი ხელჩართული ომი გქონდათ ერთმანეთთან...

_ ვისმა დამ, კელაპტრიშვილის? _ განცვიფრდა ლალი.

_ არა, თქვენს მულზეა ლაპარაკი, _ უპასუხა მურადმა.

_ ღმერთო, რა უვიცია!.. ვინ მოგცათ დიპლომი, რომელი უმაღლესი დაამთავრეთ? _ შეეკითხა მურადს ლალი.

_ აქ შეკითხვებს მე ვიძლევი! _ გაცხარდა მურადი.

_ ნუ იმუქრებით, რა, ვერ შემაშინებთ! _ აიქოჩრა ლალი.

_ იცოდით, რომ კელაპტრიშვილი თქვენი ქმრისგან შვილს აჩენს? _ დასვა შემდეგი შეკითხვა გამომძიებელმა.

_ შვილი კი არა, ბეჰემოტი დაუგდია თუნდაც, რაში მაინტერესებს?! _ გამწარდა ლალი. _ ღმერთო, რა სისულელეებს ვყბედობ!.. არადა, ბელგიაში უნდა ვიყო, წესით, ახლა... კილერზე რატომ აღარაფერს მეკითხებით, მოგბეზრდათ? _ შეახსენა გამომძიებელს ლალიმ. _ შენ გგონია, თუ ზეციდან ღმერთი აღარ იყურება, ყველაფერი გეპატიება?! ჩემი მოწველა გინდათ, არა?.. _ და ლალი მთელი ხმით აღრიალდა. _ ვერ მომწველით, ვერა, გამშრალი მაქვს ძუძუები, გამშრალი!.. თქვენ ჩემგან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებთ, ერთს _ მილიარდებიც რომ მქონდეს! ჩავჯდები და იმ ღმერთით, რომელიც ხელიდან ხელში გადადის, სათითაოდ გაგისტუმრებთ, სადაც თქვენი ადგილია _ შენნაირ პუსტა-პუსტებსაც და გენერლებსაც!.. აი, ასე!

_ ბრავო! _ ტაში შემოსცხო ანიმ. _ ეს თითქმის აღიარებაა... ადექით, წავიდეთ! _ ჟურნალისტები წამოდგნენ. კართან მისული ანი, ლალის მიუბრუნდა: _ ძალიან კარგი. ასე, ხომ?.. ჩვენ კი, იცით, რას ვიზამთ? გავყინავთ თქვენს ანგარიშებს და ცარიელზე დაგსვამთ! ისე, რომ აღარც ცაში გეყოლებათ ღმერთი და აღარც მიწაზე. მე თუ თქვენ ციხეში არ ამოგალპოთ, ნახავთ!

_ აი, გაყინავთ! _ ბრანწი უჩვენა ლალიმ. _ სულ მისხალ-მისხალ არის საქმეში ჩადებული. არა, ბიჭო!..

_ შენნაირებისთვის მოუგრეხავთ კისერი... _ არ დაუთმო ანიმ.

_ გეყოფათ! _ მიუჯახუნა ანის კარი გამომძიებელმა.

_ ხომ გადაიღე? _ შეეკითხა ანი ვასიკოს, როგორც კი გარეთ გავიდნენ.

_ თავიდან ბოლომდე, _ უპასუხა ვასიკომ.

_ მაშინ, წავიდეთ, დავამონტაჟებ და ეთერში უნდა ვხიო, _ უთხრა ანიმ და ნიკოს მიუბრუნდა. _ თქვენ არ მოდიხართ სტუდიაში, ბატონო ნიკო?

_ არა, სახლში მივდივარ. თუ ვინმემ მიკითხოს, შინ დამირეკოს.

_ თქვენ როგორ ფიქრობთ _ არ არის ეს ქალბატონი დამნაშავე?

_ რა სისულელეა! _ თავი გააქნია ნიკომ. _ პროკურატურას მარტო მაგის ქონება აინტერესებს, ჩვენ კი ბრმა იარაღად უნდათ, რომ გამოგვიყენონ, შენი უტვინობის გამო... მე მგონი, მაგარ ხაფანგში გავყავით თავი. მე _ პას! მე არაფერ შუაში ვარ, შენ უნდა გასცე ამ ყველაფერს პასუხი, _ თქვა ნიკომ, მიტრიალდა და წავიდა.

_ ეჰე-ე! _ შეუსტვინა ანიმ. _ შენც ასე ფიქრობ? _ შეეკითხა ის ვასიკოს.

_ არა, მე მარტო იმაზე ვფიქრობ ახლა, ამერიკის საელჩოსთან რიგორ მოვხვდე, _ უპასუხა ვასიკომ.

_ მაშინ, ფირი მომეცი! _ უბრძანა ანიმ.

_ როგორ მოგცე, ტო? ეს ერთი ფირი მაქვს, რიღათი გადავიღო?! _ უარი სტკიცა ვასიკომ.

ანი მარტო დარჩა, მიიხედ-მოიხედა, ჭავჭავაძისკენ დაეშვა. ნელ-ნელა მისეირნობდა და პოლიციის წინ ჩამწკრივებულ მანქანებს აკვირდებოდა. მივიდა მურადის მანქანასთან, ჩანთიდან გასაღები ამოიღო, მანქანის კარი გააღო, ჩაჯდა და ჯახუნით მიიკეტა.

ანი მურადს მისსავე მანქანაში უცდიდა. მურადი პოლიციის შენობიდან გამოვიდა და სავარძელში ჩაეხეთქა.

_ აუ, რა განრისხებული ხარ, მურად?! სუფთა კაცის მკვლელი! _ სცადა მდგომარეობიდან გამოეყვანა გამომძიებელი.

_ რა ჩავწერო პატაკში, როგორ მაგინებდნენ?!. _ აყვირდა მურადი. _ ეს ლილიპუტიც რომ მე მემუქრება, ეს პეტრუშკა ადვოკატი!! ხვალვე ეცოდინება მინისტრს, რა პროფესიონალიც ბრძანდებიო, _ მითხრა. ეს მინდოდა მე კიდევ?! ისედაც წყალი მაქვს შეყენებული...

_ დამსვი, რა, საჭესთან, _ შეცვალა თემა ანიმ.

_ საჭესთან დაგსვა? გივლია, რომ? _ შეეკითხა ოდნავ დაწყნარებული მურადი.

_ არა, მაგრამ შენ გაკვირდებოდი... _ იცრუა ანიმ.

_ და გგონია, რომ გაატარებ?

_ რატომაც არა?!

_ მოიცა, რა, ისედაც ყელამდე ვარ, შენ გამო, ვალებში და ახლა, თუ ეს მანქანაც მიმიმტვრიე... _ არ დაუჯერა მურადმა.

_ დამსვი! _ გაუმეორა მკაცრად ანიმ.

მურადი მისკენ მიბრუნდა და რამდენიმე წამი გაკვირვებული უმზერდა, შემდეგ, უხმოდ გააღო კარი და ადგილი გაუცვალა. ანი მობილიზებული დაჯდა საჭესთან. დაქოქა, მიაჭირა აქსელერატორს ფეხი და მანქანა მთელი სისწრაფით მოწყდა ადგილიდან.

_ მუხრუჭი! მუხრუჭი! _ იღრიალა მურადმა.

ანიმ დაამუხრუჭა. მურადმა საქარე მინას ხია თავი. ანიმ მინა ხელით მოსინჯა.

_ გადარჩა... _ თქვა მან მინაზე.

_ აუ, ეს კოპი მინდოდა მე ახლა?! _ მურადს თავზე მიედო ხელი.

_ ჰოდა, რატომ გამაჩერებინე? _ იქით დაადანაშაულა ანიმ.

_ როგორ _ რატომ?! ლიხაჩივით გავარდი! _ აყვირდა მურადი.

_ ე-ე, მეც არა ვთქვი!.. _ ანიმ მანქანა დაქოქა და კიდევ უფრო დიდი სისწრაფით გავარდა. შეშინებულ მურადს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მანქანის მანევრირებაზე მიხვდა, რომ ანიმ მართვა მასზე არანაკლებ იცოდა და მოეშვა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა მან.

_ დაგავიწყდა, სიურპრიზს რომ დაგპირდი? _ შეახსენა ანიმ.

_ პატაკი რომ მაქვს დასაწერი? _ იკითხა მურადმა.

_ მარტო პატაკი?

_ ე.

_ მოკლედ, ორდენზე ხარ წარდგენილი და დაჯილდოების ცერემონიაზე მიმყავხარ... მოსულა? _ გაეცინა ანის.

_ "მე შენი ვარ სამუდამოდ, წამიყვანე, სადაც გინდა", _ დამორჩილდა, ბოლოს და ბოლოს, მურადი.

_ შენ და _ გალაკტიონი?!. _ მაგრად გაუკვირდა ანის.

_ გალაკტიონი?.. მე ხალხური მეგონა.

_ "მესაფლავიდანაა," _ გაანათლა მურადი ანიმ.

მანქანამ სადღაც ძველ კვარტალში შეუხვია და ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდა.

_ მოვედით! _ თქვა ქალმა.

...ანიმ თავისი თანამშრომელი, მანონი, რომელიც მარტო ცხოვრობდა, წინასწარ შეიპირა, ერთი ღამით "ბაითი" დამითმეო და ფულიც მისცა სუფრის გასაწყობად. უფრო უარესიც: უთხრა _ თავს თუ ჩემს მოახლედ გაასაღებ, კიდევ ერთ მაღარიჩსაც ვიკისრებო... მანონიც, რას კარგავდა?.. თუმცა... მიხვდით, ალბათ, "იაპონური სექსის" ბოლო აკორდისთვის ("იაპონური სექსი"? ჯერ ძუძუს და მოშიშვლებული "ბარკლის" ჩვენება; შემდეგ, ნეკზე ნეკის მოკიდება; შემდეგ, ხელზე კოცნა; მკლავზე კოცნა; ძუძუს მოსრესა... მერე ხელის, ქვემოთ ჩაცურების უფლებაც და სულ ბოლოს კი... სადღაც კვირის თავზე _ მამაკაცის გაცოფება, როცა ვნება თავის ზენიტს მიაღწევს...) ემზადებოდა ანი.

მანონს სქელი ტუჩები, მკვრივი მკერდი და მრგვალი უკანალი ჰქონდა, რაც გამომძიებლის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია. თანაც, იმდენად მოკლე ქვედაბოლო ეცვა, ლამის ყვითელი ტრიკოც მოუჩანდა. მურადს მის დანახვაზე თვალები აუელვარდა. ანის კი მაგრად გაუკვირდა, რადგან მოლაპარაკებისას მგავს რამეზე, საერთოდ, არაფერი უთქვამთ. ამიტომ, ყოველმხრივ ცდილობდა, მანონს წინ აფარებოდა, რომ მურადს მისი შიშველი ბარძაყებისთვის ვერ შეეხედა. კაცს კი, პირიქით, სწორედ მანონის მოწითალო ბარძაყებისთვის ვეღარ მოეცილებინა თვალი...

_ ანი, ცოტა ადრე ვერ მითხარი? ვერაფერიც ვერ მოვასწარი. ხაჭაპურიც დამეწვა, კარტოფილიც დამეწვა და წიწილაც დამეწვა... _ მოურიდებლად მოახსენა მანონმა ანის.

_ ჰო, შენ თუ მარტო იმაზე ფიქრობდი, რა ფერის ნიფხავი ჩაგეცვა და როგორ გამოგეჩინა, მაშ, რა იქნებოდა?! _ ეგრევე აჯახა ანიმ და მანონს გვერდით ოთახზე მიუთითა: _ შეეთრიე ახლავე და ჩაიცვი ნორმალურად!

_ არა, არა! იყოს, რა, ეცვას, როგორც აცვია, _ აღელდა მურადი.

_ ეს მოგწონს, ბიჭო, კახპასავით რომ აცვია?! _ თავი გამოიდო ანიმ.

_ აუ, მომწონს?!. აუ, მომწონს კი არა!.. გამაცანი, რა, გამაცანი, ჩქარა! _ ისევ აღელდა მურადი.

_ შენ რა, მოახლეებზეც ეცემი?! _ გაუკვირდა ანის და მანონს მიუბრუნდა: _ გაეთრიე-მეთქი, ჩქარა, ვის ველაპარაკები?!

_ რატომ? რატომ? მაგრად უხდება, რა გინდა, თანამედროვე გოგოა... ამას თუ გამოაცვლევინებ, იცოდე, მე წავალ! _ გამოაცხადა მურადმა.

_ ჰოდა წადი, წადი მაშინ! _ რაღაც თავისთვის არასასურველი იყნოსა ანიმ...

_ მაშინ, ამასაც წავიყვან... _ და მურადი მანონს შეეკითხა: _ რა გქვია?

_ ნინი, _ გაინაზა მანონი.

_ ნინი კი არა, მანონა ჰქვია, _ მოახსენა ანიმ. _ ნინი!.. _ გამოაჯავრა მანონს და მურადს მიახალა: _ მოგწონს, ხომ? მოგწონს, არა, როგორც აცვია? წამოდი, წამოდი! _ ანიმ მურადს ხელი მოჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა, სადაც სუფრა იყო გაშლილი. შამპანური, წითელი ღვინო, ლიქიორი და დელიკატესებიც კი იყო მაგიდაზე. მანონიც მათ მიჰყვა.

_ ეს რატომაა სამ კაცზე გაწყობილი? _ გაუკვირდა ანის და მანონს მიუბრუნდა. _ მე ხომ გაგაფრთხილე, სამზარეულოდან ფეხს არ გამოადგამ-მეთქი!

_ რა-ა? სამზარეულოში რა მინდა?! შენ დაჯექი იქ, თუ კაია, შენ მართლა შენი მოახლე ხომ არ გგონივარ?! _ მიახალა უეცრად მანონმა.

_ არავითარ შემთხვევაში, ნინი ჩვენთან ერთად იქეიფებს! _ ბრძანა სისხლაჩქროლებულმა მურადმა.

_ ძალიან კარგი. ნინი, ძვირფასო, თუ შეიძლება, ჩემი პერანგი გამომიტანე, ცალი სამხრე რომ აქვს, _ სთხოვა ანიმ დაცინვით ნინის.

_ რა-ა?! სხვა რა ბებიაჩემისა გინდა? მიდი და შენ თვითონ აიღე! _ მიახალა მანონმა მოურიდებლად. _ მე თქვენს ლოდინში შიმშილით მოვკვდი, _ მიუჯდა სუფრას და ქათმის მოზრდილ ნაჭერს გადასწვდა. მურადი კი, ლამის ძუძუებში ჩახტომოდა მანონს, თვალებით ჭამდა...

ანიმ რაღაც გადაწყვიტა: ვითომ ოთახიდან გასვლას აპირებდა, მაგრამ მანონის სკამს მიუახლოვდა თუ არა, უეცრად, პერანგის სახელოებში სწვდა და მკერდზე გადაახია... მანონს ვაშლის ფორმის მკვრივი ძუძუები მაღლა ამოუცვივდა და შეშინებული, სკამიდან წამოხტა. მურადი პირველად ხედავდა ულამაზეს, ლილისფერკერტებიან ძუძუს და საშინლად მოუნდა ქალი.

_ აჰა, უყურე, უყურე!.. _ უყვირა მურადს განრისხებულმა ანიმ.

_ მხეცო, რატომ დამიხიე, რატომ? გაგიჟდი?! _ გულწრფელად გაოცდა მანონი. მერე ხელი ჩაიქნია, დაჯდა და გაშიშვლებული ძუძუებით განაგრძო ჭამა. _ მოგწონს? _ ჰკითხა მან მურადს და მკერდი შეათამაშა.

_ უპასუხე, რატომ არ პასუხობ? _ შეეკითხა მურადს ანი.

მურადმა ნერწყვი გადაყლაპა.

_ ჩემზე იყოს ერთი კოფთა... _ დაჰპირდა ის მანონს.

_ ასე, ხომ?.. მაცალეთ!.. _ და ანი მეორე ოთახში გავარდა და კარი გაიჯახუნა.

_ ეს ბინა ჩემია, ჩვენ თანამშრომლები ვართ. მართლა მოახლე არ გეგონოთ. ერთი საათის წინ მთხოვა, სუფრა გამეშალა... _ მოასწრო ჩუმად თქმა, სანამ ანი გამოვიდოდა, მანონმა.

_ ჰო-ო?!. _ რატომღაც ძალიან გაუკვირდა მურადს.

_ ვიცი, რასაც იზამს, _ თქვა მანონმა.

_ რას?

_ შენც იცი...

_ დაგვხოცავს? _ იკითხა მურადმა, რადგან უკვე კარგად ჰქონდა ანის ხასიათი შესწავლილი.

_ არა, გამეჯიბრება.

_ რაში?

_ გატიტვლდება და ისე შემოვა, აი, ნახავ!

_ თქვენ ყველას ასე უმასპინძლდებით?.. ეს რა, თქვენებური ტრადიციაა? _ იკითხა მურადმა.

ამ დროს კარი გაიღო და ანი შემოვიდა. ცალი ძუძუ მოშიშვლებული ჰქონდა, ძუძუს თავი და კერტი პომადით გაეწითლებინა, რაც მართლაც, იმოქმედებდა ნებისმიერი მამაკაცის "ქვედა იარაღზე"... მოკლე შორტიც ამოეცვა და უკანალის ლამაზი მოხაზულობა გამოეჩინა, საიდანაც შემაღლებული, საოცარი დუნდულები იწყებოდა. თან აღმგზნებ, ღია, მკაფიო ფერებში იყო "გადაწყვეტილი".

მის დანახვაზე, მურადი წამით სკამიდან წამოხტა და ისევ უკანვე ჩაეშვა. ანი ამაყად თავაწეული შემოვიდა, მაგიდას შემოუარა და თავის ადგილზე დაჯდა. მურადი მადიანად ილუკმებოდა და ხან ერთის ძუძუს აკვირდებოდა, ხან _ მეორისას.

_ ასე შეიძლება, თვალები დაიელმო, _ უთხრა ანიმ. _ ამას ტყუილად უყურებ, ამას სხვა უყვარს, ჰყავს თავისი... _ მიანიშნა მან მანონზე.

_ არავინაც არ მყავს, გატყუებს. და საერთოდ, ყველას ატყუებს, ვისთანაც გასდის... _ ბოლომდე ჩაუშვა თანამშრომელი მანონმა.

მურადმა პასუხი არ გასცა. ჭიქას დასწვდა და გამოცალა. მერე, ზედიზედ, კიდევ ორი ჭიქა მიაყოლა.

_ ჩვენ? _ იკითხა ანიმ.

_ სადღეგრძელოები? _ დაამატა მანონმა.

_ მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია: მე ქალი მინდაა! _ ამოიღმუვლა მურადმა.

_ აირჩიე, მერე... _ თქვა მანონმა.

მურადი წამოდგა, მივიდა და პირდაპირ მანონის ლილისფერკერტიან ძუძუს მიადო თითი.

_ შენ! _ ვნებით თქვა მან.

ანი წამოხტა და თავის თანამშრომელს დაეტაკა:

_ წადი აქედან! გაეთრიე! მომწყდი!

და ატყდა ერთი წივილ-კივილი: ქალური ჭიდაობა, თმაზე მოქაჩვა, ფრჩხილებით კაწვრა. მურადმა იარაღი ამოიღო, შემართა და დამცველი გადასწია. გოგოები საშინლად დაფრთხნენ და მიაჩერდნენ.

მურადმა იარაღი ანის მიაბჯინა:

_ მაგიდის ქვეშ, დროზე! და არ გატოკდები, გაიგე?!.

_ მაგრამ მე... პატაკი რომ გაქვს დასაწერი, დაგავიწყდა?.. _ შეახსენა ანიმ.

_ ხმა, კრინტი! მეყოფა, რაც მაყლაპე! შეძვერი, თორემ დაგახლი!

_ ჰო, კაი, კაი, დაწყნარდი! სამზარეულოში გავალ... _ სთხოვა ანიმ.

_ რომ მერე ცულით შემომივარდე, არა?!. მაგიდის ქვეშ, მაგიდის-მეთქი, ჩქარა!

შეშინებული ანი მაგიდის ქვეშ შეძვრა. მანონმა ტუჩები მოიწმინდა. ადგა, მურადს მიუახლოვდა, ჯერ იარაღი დაადებინა, ფრთხილად, შემდეგ, პერანგის ღილები შეუხსნა, გადაუწია და მკერდი მკერდზე მიასრეს-მოასრისა, მერე ტუჩები შეაწება და ხელი ქვევით ჩაუცურა. ქამარი გაუხსნა და ელვა ჩაუწია... მალე მაგიდა აქანავდა და ადგანდგარდა. თეფში, ჭიქა თუ ბოთლი _ სათითაოდ ცვიოდა, სექსუალურ რიტმში. ანი ხან ერთს დაიჭერდა, ხან _ მეორეს. სხვათა შორის, ბევრი რამე გადაარჩინა...

ანის, გაიოზის გამო, ისევ პოლიციაში მოუწია მისვლა. გადაღებაზე ვასიკოსთან ერთად იყო და პოლიციაშიც ერთად მივიდნენ. სამორიგეოში იგივე პოლიციელის დანახვაზე, რომელთანაც პირველად მოსვლისას ჰქონდა საქმე, გულს შემოეყარა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა.

_ კიდევ უნდა დამეხმაროთ! _ სთხოვა მან მორიგეს.

_ ისევ თქვენ? ვაჰ, მე გამიჩნდით? რა ხდება, მაშინ ხომ წაიყვანეთ თქვენი სიმამრი? _ გაუკვირდა პოლიციელს.

_ მაშინ კი, მაგრამ ისევ დაუჭერიათ. _ მოკრძალებით მოახსენა ანიმ.

_ ვინ არი, ტო, რეციდივისტია? _ ჩაილაპარაკა მორიგემ.

_ ჰო, როგორ მოვიქცე? _ იკითხა ანიმ.

_ აბა, რა გიშველო... არც უფროსი, არც მოადგილე, არცერთი არ არი... მე კიდევ რა შემიძლია... _ თქვა მორიგემ.

_ სად არიან? _ იკითხა ვასიკომ.

_ ეს ვიღაა? _ შეეკითხა ანის პოლიციელი.

_ მე? ვასიკო ჟივიძე. შენ? _ შეეკითხა ვასიკო.

_ და რას მეჭიმები, მერე, ბიჭო! _ არ დაევასა ვასიკოს პასუხი მორიგეს.

_ მე ვიჭიმები? მე კი არ ვიჭიმები, მაინტერესებს სად არიან შენი უფროსები... როგორ კაცს იჭერთ და ვის იჭერთ და რატომ იჭერთ არ უნდა იცოდეთ? _ შეეკითხა ვასიკო.

_ ჩემთანა გაქ, ბიჭო, პრეტენზია, მერე? მე დავიჭირე? _ შეეკითხა პოლიციელი.

_ ვინ არი შენი, ბიჭო, ბიჭო! _ არ დაუთმო ვასიკომ.

_ ე, ვინა ხარ, ბიჭო, შენ! _ გაგიჟდა პოლიციელი.

_ ვასიკო, რა ხდება, მოიცა, მაცალე! _ ხელი მოკიდა ვასიკოს ანიმ.

_ ანი, შენ მაცალე ახლა მე! ამათ ჭკუა თუ არ ასწავლა კაცმა!..

_ ვასიკო?! _ გაგიჟდა ანი.

_ ვის უნდა ასწავლო, ბიჭო, შენ ჭკუა, შე კრეტინო, ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული... _ ხელი გამოყო სარკმელში მორიგემ.

_ კრეტინი მამაშენია, გაიგე? ვისაც მოგეპრიანებათ, მოკიდებთ ხელს და კამერაში აყუდებთ, არა? სად არი შენი უფროსობა, რესტორნებში სხედან და ყანწები უჭირავთ, არა? გრიალებენ ბიჭები, არა? კაი პურის მჭამელი ბიჭები, არა? _ მიაყარა ვასიკომ.

_ ვინა ხარ, შენ, ბიჭო, ეე! არ გადამიხსნა ნერვი, ტო? რა შენი ტრაკის საქმეა, მე ჩემ ფულს რესტორანში დავხარჯავ თუ ბოზების გიტარაში ჩავტენი... მომწყდი ახლა თავიდან, ძმაო, გადი აქედან, გამასწარი!

_ სად უნდა წავიდე, ვის აგდებ, ბიჭო, შენ, ვინ გგონივარ? დამიჭირე ეს, ანი! _ ვასიკომ კამერა ანის შეაჩეჩა.

_ მაცალე, ვასიკო, რა ხდება, რა ამბავში ხარ! _ გაგიჟდა ანი.

მორიგემ კი ბიჭები გამოიძახა.

_ ტოლიკ, კისო, შემოდით დროზე, დროზე!

_ შენი კაცობა რა ვთქვი! მიჭეერ, სი-მონ? გამოდი მაგ გისოსებიდან გარეთ, თუ ტრაკი გაქ, გამოდი! _ გამწარდა ვასიკო.

სამორიგეოში პოლიციელები შემოვარდნენ.

_ მომაცილეთ რაა, ეს გიჟი, შემომაკვდება ეს ჩემალალა, ვინ არი, ტო! _ უბრძანა მორიგემ კოლეგებს.

_ მარტო ეს? _ იკითხა ტოლიკამ.

_ ეს, ეს, ეს ახვარი, ჰო! _ ხელი გაუშვირა მორიგემ.

პოლიციელები მშვიდად, თავის თავში დარწმუნებული, მიუახლოვდნენ ვასიკოს, რომელმაც ერთი წამით კი მოისაწყლა თავი და სწორედ იმ დროს, როცა ტოლიკამ ხელის წავლება დაუპირა, რაღაც ილეთით, ერთი კედელზე მიანარცხა, მეორე კი კისრულზე წამოიღო და შუა ოთახში გაშოტა... მერე ანის კამერა ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა... კართან მისულმა კი განცვიფრებულ ანის გამოსძახა.

_ ანი მაპატიე, რა? _ და გაქრა.

მორიგე, რომელიც გისოსებს იქით იყო, სკამზე დაენარცხა.

_ აუ, რა გინდათ, თქვენ, ბიჭო, პოლიციაში...

_ ჩორტ ვაზმი! არ გამინგრია ყბა? _ კბილებს ისინჯავდა ტოლიკა.

_ არ უნდა გვითხრა, ტო, ვინ არი? _ ისევ იატაკზე იჯდა კისო.

_ რა ვი,.. იმუქრებოდა, ჭიაყელას ჰგავდა... ქალბატონო, ტყუილად ელოდებით უფროსობას, ლევანიჩის იუბილეა და ყველა იქ არი... დილამდე ტყუილია... რას მიყურებთ, ეგ კაცი კიდევ, ნაჯდომია, საერთოდ? _ გაახსენდა მორიგეს ანი.

_ არა. _ უპასუხა ანიმ.

_ რავი... კაი რამკიანი ქურდივით კი იქცევა... მოეწყო ხოშიანად? დახუჭა თვალები და ხვრინავს... რა მოხდა ახლა, ერთი ღამე კაცისთვის საინტერესოც არი, მოიყვანენ სხვებსაც და ისეთ ვინმეს შევუგზავნი, არ მოიწყენს... წადით ახლა სახლში, თორემ, დამიჯერეთ, აქ მოგიწევთ ღამისთევა.

ანი იძულებული იყო დაეჯერებინა. დაემშვიდობა და გავიდა.

მეორე დილით, რედაქციის კარი პირველმა ანიმ შეაღო. საზიზღარ ხასიათზე ბრძანდებოდა და ბანძურადაც ეცვა. ცოტა დაუვარცხნელიც კი იყო, ისე ჰქონდა თმა აწეწილი.... ტელევიზორი ჩართო და უაზროდ მიაჩერდა. მერე ნიკო შემოვიდა და მაგიდას წარბშეკრული მიუჯდა. ეტყობოდა, რომ ისიც მაგარ “გატეხილში” იყო.

_ ამ ცხოვრების დედა ვატირე რაა... ათრევ, ათრევ ამ ჭაობიდან და რომ გგონია ამოათრიე, გამოტყვრება ვიღაც მაჯლაჯუნა კალდუნია, გიკრავს წიხლს და ამ შენს ამოთრეულს, ისე ღრმად გადაუძახებს უკანვე, ამ აქოთებულ ჭაობში, რომ ათასი სიცოცხლეც რომ გაჩუქონ, ვარიანტი არ არის, შეძლო და ყველაფერი თავიდან ამოსწიო.

_ რას გულისხმობთ? _ შეეკითხა ანი.

_ ვერ გავიგე რას მეკითხები. _ ვერ მიუხვდა ნიკო.

_ რა ამოათრიეთ წეღან ჭაობიდან? _ დაუკონკრეტა ანიმ შეკითხვა.

_ რა ამოვათრიე ჭაობიდან? _ ჩაფიქრდა ნიკო, _ ყველაფერი. ყველაფერიც ჭაობიდან ამოვათრიე. _ უპასუხა მან ანის.

_ მაინც? _ დაინტერესდა ანი, თან თავის მოწესრიგებას შეუდგა.

_ ჯერ ჩემი თავი... საკუთარი...

_ მერე?

_ უდედოდ გავიზარდე. უმაღლესი კი მაინც დავამთავრე... _ რატომღაც ჩხუბით თქვა ნიკომ.

_ კარგით რა? არ ამატიროთ რა? მშრალ ხიდზე, იცით, რა ღირს დიპლომი? და, საერთოდ, რა? ჭაობში ყოფნა მილიონჯერ ჯობს მშრალზე ყოფნას, მე თუ მკითხავთ...

_ ეგ შენთვის, ალბათ... _ მიუგო ნიკომ.

_ იმიტომ რომ, დამღალა ამ პლარწკვა-პლურწკვამ... ჭაობში კიდევ, შენ ხოშზე ხარ... ყველაფრის უფლება გაქვს... ყველაფერი გკიდია. ზევით რა, ჭაობი არ არის? სად არ არის ჭაობი... ყველგანაც ჭაობია... იქნებ უარესიც...

_ მე არ მიყვარს ჭაობი... _ ჩაილაპარაკა ნიკომ.

_ მაშინ ამოდით, ვინ გიშლით? _ ურჩია ანიმ.

_ ბედი... _ მოკლედ მოჭრა ნიკომ.

_ რა? თქვენ თუ ბედს უყურეთ, ბატონო ნიკო, “ისე გაგთელავთ, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს”. _ გადაიხარხარა ანიმ, _ ბედი... რა კარგ ხასიათზე დამაყენეთ, იცით?

კარი გაიღო და ვასიკო შემოვიდა.

_ მოსული ხარ, ანი? რატომ არ ჩამოხვედი, ტო, სამონტაჟოში, აქ რას აკეთებ!?

_ აუ, სულ დამავიწყდა... მთლად ამომივარდა თავიდან... _ მოიბოდიშა ანიმ.

_ რას ჰქვია თავიდან ამოგივარდა! _ ავარდა ვასიკო. _ შენ ხომ არ აფრენ, გოგო! შენი წამოწყებულია ეს მაიმუნობა... ის ქალი დააჭერინე, ის კაცი ჩაასმევინე და როცა ბოლოში ვართ გასულები, თავიდან ამოგივარდა? მიდი რა, ტო! ბატონო ნიკო! გუშინ თავს იკლავდა ეს ჩემალალა, აი ნახეთ, _ ვასიკომ ნიკოს შეხვეული ხელი დაანახა, _ მეც კინამ დამიჭირეს... გუშინ ხომ გადამაღებინა დაკითხვა, იქ არ იყავით? დღეს უნდა დაგვემონტაჟებინა...

_ კაი, კაი, გასაგებია... შევეშვი მე მაგ ამბავს... ბასტა! მორჩა! _ იყვირა ანიმ.

_ შევეშვიო, ტო! ე, ის ქალი რომ დააჭერინე?

_ მე კი არ დავაჭერინე, დასაჭერი იყო და დაიჭირეს, მე რა შუაში ვარ?!

ამ დროს რედაქციის ტელეფონმა დარეკა.

_ გისმენთ... _ უპასუხა ნიკომ. _ დიახ... დიახ... კი, კი, ჩვენ... _ ნიკომ ხელები გაასავსავა. არიქა კალამიო. ანიმ კალამი მიაწოდა. _ დიახ, დიახ, ბრძანეთ! ბარბაქაძის ქუჩა, კორპუსი თვრამეტი, ბინა სამი. მელხიორა? ჰო, მელხიორა. ეგ კლიჩკა, მაგრამ თავისი სახელი და გვარი? ვის ახსოვს? გელა რუსიშვილი? თქვენ ვინ ბრძანდებით, რომ? _ ნიკოს ყურმილი დაუკიდეს. _ დამიკიდეს...

_ რა ხდება, ბატონო ნიკო? _ მოუთმენლად იკითხა ანიმ.

_ რა ხდება, გენაცვალე, და... შენ ყოფილხარ, გენაცვალე, მიგრეც, პრისტლიც და... დამავიწყდა ის მესამე... ჰო, აგატა კრისტიც...

_ მოიცათ რა? რა დროს აგატა კრისტია... ვინ არისო ეს მელხიორა?

_ ვინ და ის ბანდიტი, ვინც იაშვილი გაათრიაო. მაგრამ სხვა რომ იყოს? თავისი ვინაობა რომ არ მითხრა?

_ ვერ შევადარებთ მერე? ეკრანზე არ გვყავს? _ თქვა ვასიკომ.

_ მაინც დიდი სიფრთხილეა საჭირო. სხვას არ დავაბრალოთ, ხომ აგვწიეს ყველა... _ თქვა ნიკომ.

_ ახლა რომ ის დაიწერს ქულებს. ის დეგენერატი მურადი? _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ ვა, როდიდან იქცა დეგენერატად, გუშინ ძაან მაგარი ტიპი იყო... _ შეეკითხა ვასიკო.

_ ეგ არ არი შენი საქმე. _ შეუღრინა ანიმ.

_ არ მითხრა ახლა ცისფერი ყოფილაო. _ დაინტერესდა ვასიკო.

_ პირიქით! მიღალატა. _ თქვა ანიმ და ღამის მწარე პერიპეტიები გაახსენდა.

_ ადექი და შენც ცოლთან ჩაუშვი. რა პრობლემაა? _ დაარიგა ვასიკომ.

_ ვინა ხართ, რა დედამ გშობათ, ხალხო! რა დროს ღალატი, ჩაშვება, ბოზობა და ჩათლახობაა... როგორ მოვიქცეთ, ვენდოთ პოლიციას? _ იკითხა ნიკომ.

_ არა, ჯობს ჩვენ თვითონ გავსკვანჩოთ და სამუდამო ჟურნალისტობა მივუსაჯოთ. _ მოიფიქრა ვასიკომ.

_ არა, მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ! _ თქვა ნიკომ.

_ როგორ? _ იკითხა ანიმ.

_ ფარული კამერით უნდა გადავიღოთ და ვხიოთ ეთერში. _ თქვა ნიკომ.

_ გენიალურია. აი, დაიწერს მურადა ქულებს. წავედით! _ გამოაცხადა ვასიკომ.

_ სად არის რომ ბარბაქაძის ქუჩა, იცით? _ იკითხა ნიკომ.

_ მა ინჩ ტო, ჰავლაბარშია. წავალ მივზვერ-მოვზვერავ, აუ, არ გავარტყით ცხრიანში? _ თქვა ვასიკომ.

კარი გაიღო და ლოლა შემოვიდა.

_ აუ, ლოლა, დარეკეს იცი? და გვარიც ვიცით და მისამართიც იმ ტიპის, იაშვილი რომ გაათრია ბანკეტიდან. _ ახარა ვასიკომ.

_ არაა!

_ მართლა, მართლა, კი. _ დაუდასტურა ანიმ.

_ და რას აპირებთ, მერე? _ იკითხა ლოლამ. _ სამზე ვართ ხომ ტოპ-მოდელების გადასაღებად დაბარებული...

_ თქვენ აზრობთ? გარისკა და დარეკა ვიღაცამ... მოდის ნელ-ნელა ხალხი აზრზე... არ მეგონა, რა? _ თქვა ნიკომ.

_ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. _ თქვა ლოლამ.

_ მეც წამოვალ, რა? _ მიუბრუნდა ვასიკოს ლოლა.

_ მოდელები? მე გადავიღო? _ იკითხა ნიკომ.

_ ვახ, ერთი-ორი ბანდიტი კიდევ მყოლოდა რა, გადასაღები... _ თქვა ვასიკომ.

_ წესერად დაგეგმეთ! ნუ გავაუქმებინებინებთ, რა, ამ რედაქციას. _ სთხოვა თანამშრომლებს ნიკომ.

სულ მალე ანი და ვასიკო ბარბაქაძის ქუჩაზე მელხიორას კორპუსს მიადგნენ. იქვე ბაღში პატარა ბავშვები Lთამაშობდნენ. ანი მათთან მივიდა.

_ ბავშვებო, თქვენ ამ კორპუსში ცხოვრობთ?

_ დიახ! _ უპასუხეს ბავშვებმა.

_ თქვენ კორპუსში ბევრი ბავშვები ცხოვრობენ?

_ დიახ...

_ ვინ და ვინ? რა ჰქვიათ?

_ დიდი მარი, პატარა მარი. ნინი, ელენე, სოფიკო, დათო, გიორგი... ბევრი, ბევრი ბავშვები ვართ. _ აჭყლოპინდნენ ბავშვები.

_ დიდი ბიჭებიც ბევრნი არიან? _ ჰკითხა ბოლოს, რაც ნამდვილად აინტერესებდა ანის.

_ ბევრნი. _ უპასუხეს ბავშვებმა.

_ მე ერთი ძმაკაცი მყავდა, მელხიორა ერქვა... _ უთხრათ ვასიკომ.

ყველაზე უფროსმა ქვევით გაიშვირა ხელი.

_ კი, კი... აიმ კორპუსის იქით რომ "ბუტკა" დგას, იქა მუშაობს... არა, ის მაგათია. იქ გოგია ბიძია მუშაობს, მაგისი მამა. თითონ ეხმარება. წეღანაც მანდ იდგა სხვა ბიჭებთან ერთად. სუ მანდა დგანან ხოლმე, ან საბილიარდოში.

_ აბა, კარგად იყავით! _ დაემშვიდობა ბავშვებს ანი.

ჯიხურის გვერდზე მართლაც იდგნენ ბიჭები და რაღაც ყუთებზე კარტს თამაშობდნენ. ანის დანახვაზე ყველამ მისკენ მოიხედა. ვასიკოს კამერა იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ვერავინ მიხვდებოდა, რომ იღებდა. ანის ბიჭების ხმა ესმოდა: "წადი შენთვის"; "პასს"; "ერთიც მინდა"; "აჩკო"; "ჭერი" და სხვა. ანიმ პეპსი იყიდა და ორივენი საბილიარდოში ჩავიდნენ. მოთამაშეებმა ერთი კი მოხედეს და თამაში განაგრძეს. ვასიკომ მაგიდებს გადახედა. "იგროკები", როგორც ჩანს, "ამერიკანკას", "პირამიდას" და "ალაგიორს" თამაშობდნენ. ვასიკომ და ანიმ მაგიდა აიღეს. "ცხრა კუთხეში"; "ცამეტი შუაში"; "დურაკი"; "ჩემთან შუაში"... ისმოდა მოთამაშეთა ხმები და შარების ტყლაშუნი.

ვასიკომ აუხსნა ანის, როგორ დაეჭირა ხელში კია და როგორ დაედო ცაცია მაგიდაზე. მათი ხელები ერთმანეთს შეეხო. ანიმ გვერდულად შეხედა. რატომღაც შარების ჭახა-ჭუხი მიჩუმდა. ვასიკომ მიიხედა. სხვა მაგიდებთან მოთამაშე კაცები გაჩერებულიყვნენ და მაგიდაზე შორს გადაწოლილი ანის უკანალს მისჩერებოდნენ.

"ეს შარს გადამყრის, ნაღდად", გაიფიქრა ვასიკომ და რადგან იქ მყოფი ყველა "იგროკი" უკვე გადაღებული ჰყავდა, სასწრაფოდ გარეთ გამოათრია ანი.

ვასიკოს გადაღებულ ფირს ოთხეული დიდი ინტერესით უცქერდა. ჯერ ქუჩა გამოჩნდა კადრში, შემდეგ ანი და მელხიორას კორპუსი. კარტის თამაშიც იყო გადაღებული, ბიჭები ჯიხურის გვერდით რომ თამაშობდნენ და საბილიარდოც.

_ აი, აი, ჰო ის არის? _ აკივლდა ანი, როგორც კი კადრში კიათი ხელში მელხიორას პროფილი გამოჩნდა.

_ ბრავო! დედა ვატირე თქვენი! _ გაუხარდა ნიკოს.

_ პროფები ვართ, სიმონ, პროფები! _ სიამაყით ამბობდა ვასიკო.

_ შენ რას გაჩუმებულხარ? რაღაც ვერ გამჩნევ აღფრთოვანებას. _ მიუბრუნდა ლოლა ანის.

_ ხომ შეიძლება თქვას, რომ ძმაკაცი იყო და რესტორანში წავათრიეო, რანაირად დაუმტკიცებ? _ გამოთქვა თავისი ეჭვი ანიმ.

_ ეგ რა ჩვენი საქმეა, მაგაზე პოლიციამ იმტვრიოს თავი... ჩვენ ჩვენი საქმე ხუთიანზე გავქაჩეთ, არა? _ ჩაერია ვასიკო.

_ ახლა უკვე შეგვიძლია პოლიციაშიც დავრეკოთ. სამხილი ხელთა გვაქვს. არ აიყვანენ? დედას ვუტირებთ, რავარც გერმანელებს ვუქენით-თქვა, ასტეა ეს... _ დაიქადნა ნიკო.

_ მოხვედით, ბატონო ნიკო, ხასიათზე? _ შეეკითხა ლოლა.

_ ლოლა, ამ ბოლო დროს, მარჯვნივ და მარცხნივ, სულ მადლობებს ვარიგებ. ხომ არ ვკვდები, ნეტა?..

_ თქვენ? თქვენ რა მოგკლავთ, თქვენ სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდს დაამყარებთ, ალბათ... _ უპასუხა ლოლას ნაცვლად ანიმ.

_ კაი ერთი, ენამ არ გიყივლოს. არ მაქცია უცბად ყვავად? ჰა, როგორ მოვიქცეთ, დავრეკოთ პოლიციაში? თუ იმ შენს გამომძიებელს დავურეკოთ, რომ ცოტა ქულები დაიწეროს? _ ჰკითხა ანის ნიკომ.

_ მე წავედი, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცით! _ ანიმ ჩანთა აიღო და გასვლა დააპირა.

_ რაღაც ვერ გამჩნევ მართლაც სიხარულს, რას მივაწეროთ? _ შეეკითხა ნიკო.

_ რასაც გინდათ, იმას მიაწერეთ. კარგად... _ და ანი ოთახიდან გავიდა.

_ იმან ხომ გაუტეხა, იმ გამომძიებელმა, არ იცოდით? _ უთხრა ნიკოს ვასიკომ.

_ რაღაცას მაინც ისკოლსკებს, აი ნახეთ, თუ არა! _ თქვა ლოლამ.

_ ახლა დაშოშმინდით ორივე, კისერიც უმტვრევია. პროკურატურაში ვრეკავ. _ ნიკომ ტელეფონის ნომერს დაუწყო ძებნა. _ დარჩიაშვილი. დარჩიაშვილი. აჰა. 257722 _ და ნომერი აკრიფა. _ ბატონი ზაური მინდოდა... ბატონო ზაურ, ნიკო მიქაძე გაწუხებთ, ელიტ-ქრონიკის მთავარი რედაქტორი... კი, რა მიჭირს, ვითქვამ სულს ზოგიერთების წყალობით... თქვენ რასა იქმთ, ვებრძვით ბოროტებას მისაღები თუ მიუღებელი ხერხებით, ხომ? მხოლოდ მისაღები. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მჯერა, მჯერა... ახლა მინდა, პატარა სენსაციის მსგავსი ცნობა მოგაწოდოთ... კი, იქნებ მართალიც ხართ, ჩვენ ყველაფერს სენსაციად ვნათლავთ, მაგრამ მომისმინეთ, დარეკეს ჩვენთან რედაქციაში და გვითხრეს სახელიც, გვარიც, მისამართიც და ზედმეტსახელიც,

“მელხიორა”... ჩვენი ტელევიზია რომ უჩვენებდა დღეში ცხრაჯერ... დიახ, დიახ, ამოიცნეს და ჩვენდა გასაკვირად, დაგვირეკეს... არ გჯერათ? გადავიღეთ, ბატონო ზაურ, უკვე... უბანშია, საბილიარდოში შარებს უჭახუნებს ბიჭი... მართალია, ყველა გზა მოჭრილი გაქვთ... ბარბაქაძის ქუჩა, კორპუსი თვრამეტი, ბინა სამი. მელხიორა... ჰო, მელხიორა... პასპორტით გელა რუსიშვილი... მელხიორა რატომ დაარქვეს? ჯერ მაგ თემაზე არ გვიმუშავია... კი, კი, ახლა ჯერი თქვენზეა... კარგად ბრძანდებოდეთ... _ ნიკომ ყურმილი დადო და ლოლას და ვასიკოს შეხედა. _ აუ, მაგრად არ დაევასა, გაუტყდა... ვერ მივხვდი... რას იზამ, დანაშაულის რაოდენობა და სიმძიმე პიდაპირ პროპორციულია პოლიციელთა კეთილდღეობასა და მუთაქებში ჩატენილი ფულის რაოდენობასთან.

ანი ქუჩაში საქალაქთაშორისო ტელეფონის ჯიხურთან იდგა და კარგახანს იქექებოდა ჩანთაში. ბოლოს იპოვა ტალონი, ტელეფონის ღიავში ჩადო და ნომერი აკრიფა.

_ მელხიორა ხარ? _ იკითხა მან შეცვლილი ხმით. _ მომისმინე! გაშიფრული ხარ! უნდა დაიმალო, გაიქცე ჰო, თუ თავისუფლება გინდა... მე? ქველმოქმედი ვარ, გაწყობს? რა მნიშვნელი აქვს. ვერ გეტყვი. ალბათ, ათი, თხუტმეტი წუთი. პოლიცია, მაშ ვინ? უკვე გამოსულები არიან... არ გჯერა? ამ ჩემს შაშა და კოლას! _ ანიმ ყურმილი დაკიდა, ტალონი გამოაძრო და ჩანთაში ჩააგდო, ჩანთა კი ზურგზე მოიგდო და გააბიჯა.

როცა ანი ფელიქსის კაბინეტში შევიდა, ფელიქსს ყურმილი ეჭირა და ზაურ დარჩიაშვილს ესაუბრებოდა.

_ ჩვენ რა შუაში ვართ, ზაურ, რატომ გიყვარს, ძმაო, ყველაფრის გადმობრალება, ამიხსენი. შენი ბრძანების გარეშე კაცს როგორ დავიჭერდი, გეკადრება? აი, მიზის ახლა მისი რძალი, ანი ბერიძე, კაბინეტში, ჰო, ჰო, დიქტორი...

_ ჟურნალისტი. _ შეუსწორა ანიმ.

_ დიქტორი-ჟურნალისტი და იძულებული ვარ მოვუსმინო... საყვედურები კი არა, თავზე დამახურა და, რა, არ არის მართალი? შენ რას იზამდი ამის ადგილზე, სხვანაირად მოიქცეოდი? _ და ფელიქსი აყვირდა. _ არ დამაგინებინო ახლა, ვინ მოაწერა დაჭერის ბრძანებას ხელი, მე თუ შენ? ჰო, და მე კი არ უნდა ვიხდიდე ბოდიშებს ამ ქალბატონთან, ეგ შენი კრეტინი გამომძიებელი უნდა იხდიდეს, ყველაფერი თავდაყირა, რომ დააყენა... კაი რა, ზაურ, რა? პირველად ხომ არ ხდება, არა? კარგად, კარგად! _ ფელიქსმა ყურმილი დადო და ანის ალმაცერად გახედა. _ ერთი ალილუია მღვდელსაც ეშლებაო, მოდი და ელაპარაკე... კაცი მთელი ღამე საკანში აყურყუტა... _ და მიკროფონში ჩასძახა. _ მოდებაძე, ახლა ჩემგან ქალბატონი გამოვა, გაიოზ კელაპტრიშვილს გაათავისუფლებ და გაატან. რომელია? ნიშა-ნიკორა! მოიცა, ბარემ ისიც მიაყოლე, ის ქალბატონი... ჰო, ჰო, მკვდარი და ცოცხალი რომ გვიტრიალა... ლალი იაშვილი. ოღონდ ჩემთან არ მოუშვა რა? _ და ფელიქსი ანის მიუტრიალდა. _ რამდენი კრეტინიც გაჩნდება ყველა პოლიციაში მოდის სამუშაოდ... მიბრძანდით და იმედია, ყველაფერი მოგვარდება... ეგ კაი კაციც, რა? ამ ნახევარმეტრიანი დანით, რომ დაბრძანდება ამ გიჟების ქალაქში, ეკადრება?

_ ნახვამდის! _ დაემშვიდობა ანი პოლიციის უფროსს და მორიგესთან ერთად იზოლიატორში ჩავიდა. მორიგემ გაიოზის საკნის კარი გამოაღო.

_ თავისუფალი ხართ! _ უთხრა მან გაიოზს.

_ მშვიდობით უნდა ვთქვა თუ ნახვამდის? _ შეეკიხა გაიოზი მორიგეს, როცა საკნიდან გამოვიდა.

_ მე რა შუაში ვარ, თუ კაცი ხარ! _ გულგრილად უპასუხა მორიგემ.

ანი და გაიოზი რომ გაისტუმრა, მოდებაძე ახლა ლალი იაშვილის საკანთან მივიდა და კარი გაუღო.

_ გამობრძანდით, თავისუფალი ხართ. _ მიმართა მან ტუსაღს.

_ არავითარ შემთხვევაში. _ ცივი უარი სტკიცა ლალიმ.

_ აუ, დაიწყება ახლა... გამოდით, რაა! _ არ მოეწონა მორიგეს.

_ როგორ გეკადრება, გენაცვალე, არ უნდა ვიცოდე რატომ მათავისუფლებენ? _ იკითხა ლალიმ ნერვიულად.

_ როგორც მე ვიცი, ნამდვილ მკვლელზე გავიდნენ... _ აუხსნა მორიგემ.

_ ჰო, დაგიჯერე, ერთბაშად! მომიკეტე კარი, მომიკეტე! _ ლალი შეეცადა თავად მიეხურა კარი, მაგრამ მორიგემ არ დაანება.

_ რას ნიშნავს კარი მოგიკეტო, ქალო, თავისუფალი ხარ, ვერ გაიგე, შენ? _ აყვირდა მორიგე.

_ არა, არავითარ შემთხვევაში, _ გაჯიქდა ლალი. _ ჩემი ადვოკატის გარეშე ფეხს არ მოვიცვლი აქედან, ვირო! გგონიათ შეგრჩებათ არა, ხახვივით! არ გაპატიებთ, არა! გაუშვი კარს ხელი! გაუშვი!

_ არ გინდა და ნუ გინდა! _ გამწარდა მოდებაძე და ლალის კარი მიუჯახუნა. _ იყავი და ხეხე, დედაც გტირებია, ბიჭოს! არ გინდა ამდენი გიჟების გაძლება?

და მოდებაძე ფელიქსთან გამოცხადდა.

_ არ გამოდის ნომრიდან. _ მოახსენა მან ფელიქსს.

_ რა? _ გაკვირდა “ძერჟინსკი”.

_ რავი, ეს ქალია თუ ქაჯია. ვიროო, მეუბნება, ადვოკატს თუ არ მომიყვანთ, ფეხს არ მოვიცვლიო...

_ გიშვებთ, შე ქალო და, ადვოკატი რაღა ჩემ ფეხებად გინდა-თქო, არ უთხარი?

_ რავი აბა, ქმარი აღარა ჰყავს და იქნებ საბაბი უნდა პროსტა... _ გამოთქვა თავისი ეჭვი მორიგემ.

_ რას ამბობ, აბა! ქალს ქმარი ლამის ხუთი ათას კილომეტრზე გამოექცა და... მიაოხრე თავისი ჩანთა და დაურეკოს თავის მობილურით... თუნდა მთელი ქალაქის ადვოკატები მოუხვეტნია და აქ მოუყრია, რა ფეხებს მომჭამენ, ნეტა!

_ რავი, იმუქრება, არ გაპატიებთო...

_ მაგისთანები დამმუქრებიან. ნეკი არავის მოაჭამო_თქო, ჩემ მაგიერ უთხარი!

_ კი ბატონო! _ დაეთანხმა მოდებაძე და გავიდა.

_ დაიჭერ? რას მიჭერო! უშვებ? რას მიშვებო! _ ჩაილაპარაკა პოლიციის უფროსმა.

ანის და გაიოზს კარი ბასამ გაუღო და პაპას შეეკითხა.

_ გაიოზ, ასე უცებ გაგითავდა სროკი?

_ წესიერად ილაპარაკე, გაიგე, შენ? ლაწირაკო! _ კინამ ლოყაში სტკიცა ანიმ.

ბასამ კი მაინც თვალი ჩაუკრა პაპას.

_ მაგარი იყო?

_ გეყოფა, ბასა, ახლა, თორემ... ჩემი ბედი რა? _ ჩაილაპარაკა გაიოზმა. _ რას მიყურებ, აბა, კრუგომ და არაფერი მკითხო პოლიციაზე, თორემ ხომ იცი ვინ იჭყლიტება ყველაზე მეტად ოჯახში?

_ ვინ იჭყლიტება? _ ჰკითხა ბასამ.

_ ვინ და ვინც ყველაზე პატარაა... ვისაც ყველაზე ნაკლები ღონე აქვს, თაგვი... ქმარი ურტყამს ცოლს... ცოლი ურტყამს შვილს... შვილი ურტყამს ძაღლს... ძაღლი ურტყამს კატას და კატა ჭამს თაგვს? გაიგე ახლა? ჰოდა მარშ, სანამ მოგხვედრია!

ბასა თავის ოთახში შევიდა. გაიოზი სააბაზანოში და ანი კი ნუციკოსთან, რომელიც სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა მობუზული. წინ კი რაღაც კონვერტი და ფურცელი ედო. ნუციკომL უაზრო თვალებით შეხედა ანის და ანი მიხვდა, რომ კიდევ რაღაც ახალი უბედურება მოხდა. მულს არაფერი ჰკითხა, მაგიდაზე დაგდებული ფურცელი აიღო და უხმოდ წაიკითხა:

“შენ შემეცოდე.

მიამიტა.”

_ მიამიტა? _ ლამის იყვირა ანიმ და კონვერტს დახედა, რომელზეც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: “ნუციკოს”

_ საიდან გაჩნდა ეს კონვერტი აქ? _ იკითხა ანიმ.

_ შემოსასვლელში კარების ქვემოდან შემოაგდო, ეტყობა, ვიღაცამ... _ უპასუხა ნუციკომ.

_ გამოდის, რომ ცოცხალია და თბილისშია?

ნუციკომ ხელები სახეზე აიფარა და თავი უკან გადაწია.

_ ჰო, ანი, ის ცოცხალია თურმე, მისი ხელია.

_ აი, თურმე ვის მოუკლავს და ჩვენ კი?

_ მითხარი, რა ვქნა, ანი! მე ის თავს არასოდეს დამანებებს, სად წავიდე, ანი! _ იკითხა სასოწარკვეთილი ხმით ნუციკომ.

_ ურჩხული... _ თქვა ანიმ.

ოთახში გაიოზი შემოვიდა. ქალებს ეჭვის თვალით შეხედა. მერე მანაც მაგიდაზე დაგდებული ფურცელი აიღო და წაიკითხა.

_ მიამიტა? აკი მოკლესო? _ იკითხა გაკვირვებულმა და სკამზე უღონოდ დაეშვა. _ მგონი, ჩემი ჯერი დადგა.

_ შენ რა შუაში ხარ!? შენ რაზე მოგკლავს, რა სისულელეს ჩმახავ?! _ მიუტრიალდა განცვიფრებული ნუციკო მამას.

_ მე უნდა მოვკლა ის, მე... იმან კი არა! _ თქვა გაიოზმა.

_ შენ იმას როგორ მიაგნებ, სად? აუ, რა ბრიყვები არიან ეს კაცები, რა ბრიყვები... _ ჩაილაპარაკა ნუციკომ.

_ ბრიყვები? თუ მხეცები!? _ იკითხა ანიმ...

როცა მურადმა და სამმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა სპეცნაზელმა მელხიორას ბინის კარი შეამტვრია, იქ აღარავინ დახვდათ. პოლიციელებმა ოროთახიანი ბინა უცებ გადაამოწმეს. სახლი მაგრად იყო არეული და პოლიციელები მიხვდნენ, რომ მელხიორა ხელიდან დაუსხლტათ. ეტყობოდა, რომ ახალი გასულები იყვნენ, რადგან ჩაიდანი, რომელიც გაზქურაზე იდგა, ჯერ კიდევ ცხელი იყო. თუმცა, ოჯახის წევრების სურათებს მიაგნეს და ესეც საქმე იყო.

_ რას გვაპამპულავებენ, ტო! _ იკითხა ერთ-ერთმა ნიღბოსანმა.

_ ჩაშვებულები ვართ, სხვა ვარიანტი არ არი. _ თქვა მეორემ. _ ბესო, შენ აქ დარჩი და ჩვენ ახლო-მახლო მოვჩხრიკავთ.

_ კაი! უჩემოდ არ წახვიდეთ, ე! _ დაეთანხმა ბესო.

მურადი და დანარჩენი ორნი ისევ ეზოში გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. მურადმა მობილურზე ზარი გაუშვა.

_ მე ვარ, ჯეირანოვიჩ. _ მოახსენა უფროსს მურადმა. _ სახლში არავინ დაგვხვდა. ბინა ცარიელია, არავინ არ არის. ახალი გამოსულია, არ ვიცი, გაზზე წყალი იდგა და ისევ ცხელი იყო. ჰო, დავუდარაჯდებით, აქ ახლო-მახლოც მოვჩხრეკავთ, მაგრამ არა მგონია, უფრო გაქცეული უნდა იყოს. არეულია სახლში ყველაფერი. ჰო, ფოტოებს მივაგენით. ამ გელა რუსიშვილის, ჰო, მელხიორასი... რატომ, უფრო ადვილად არ ამოვიცნობთ? მე რა შუაში ვარ! მე... _ მურადმა მობილური დახურა. _ დამიკიდა. შეეწირებიო... მიდი რა, ჯუმბერ, იკითხე, ამ ბუტკაში, ვინ რას გეტყვის, მაგრამ იკითხე მაინც! _ თხოვა ერთ-ერთს მურადმა.

ჯუმბერი გადავიდა, სხვები კი მანქანიდან უყურებდნენ, როგორ ელაპარაკებოდა ჯუმბერი გამყიდველს. გამყიდველი გოგია, მელხიორას მამა ჯიხურიდან გამოვიდა და ის და ჯუმბერი მანქანისკენ წამოვიდნენ.

_ ბიჭებო, რაშია საქმე? მელხიორა ჩემი ბიჭია. _ შეეკითხა მანქანაში მსხდომთ გოგია.

_ სად დადის მერე, არ იცი? _ შეეკითხა მკაცრად მურადი

_ შინ დავტოვე, კაცო? _ გაუკვირდა გოგიას.

_ შინ რომ არ არის. ეს არის, ხომ? _ მურადმა ფოტო უჩვენა.

_ ჰო, შენ ეგ ფოტო საიდან? _ გაუკვირდა გოგიას.

_ ტუმბოჩკიდან... _ უპასუხა მურადმა, _ სად წავიდოდა? სად იქნება?

_ ვა, აბა რა ვიცი. არაფერი რო არ უთქვამს? _ მხრები აიჩეჩა გოგიამ.

_ მუშაობს სადმე? _ შეეკითხა მურადი.

_ ვინა, ჩემი ბიჭი? _ გაუკვირდა გოგიას. _ რა მუშაობს, რაც მარილის ქარხანა დაიხურა, ვინღა მუშაობს!? ან შინა გორაობს, ან საბილიარდოში გდია დღე და ღამე... შინ დავტოვე, კაცო, აბა ავიდეთ!

_ ვიყავით უკვე, არ არის... საბილიარდო ახლოა?

_ ჰოო, მაგრამ ახლა დაკეტილია ჯერა... ხუთზე აღებს რობიზონა... აექ შაუხვევ თუ არა, პირველ სართულზეა. და რაშია საქმე რო, არ მეტყვით, ხალხო? _ ვერ მიმხვდარიყო რა იყო მის თავს გოგია.

_ მიდი, მიდი, დაურეკე ბესოს, ჩამოვიდეს და დავახვიოთ, რა? თუ ძმა ხარ... _ მხარზე ხელი დაჰკრა ერთ-ერთმა სპეცნაზელმა მურადს.

_ სად გამოვიჭყლიტე, ჩემი დედა მოვტყან! _ შეიკურთხა მურადი.

_ ჩაგხდიან... ასიანი! _ ანუგეშა ჯუმბერმა.

მერაბ პერტენავას კაბინეტში სტუმრად ბეჟან გვერდწითელი ჰყავდა.

_ შემოდი, შემოდი! _ უთხრა მან ნიკოს. _ თქვენ არ იცნობთ ერთმანეთს? ბატონი ბეჟან გვერდწითელი...

_ ა-ა! _ ნიკომ ხელი გაუწოდა მინისტრს.

_ თქვენ იცით, ვინც გახლავთ ჩვენი ნიკო... _ მიმართა ბეჟანს მერაბმა.

_ ვიცი, _ მოჭრა მინისტრმა, _ პროფესიას გვეცილება...

_ მეგონა, გეხმარებოდით, _ უპასუხა ნიკომ.

_ გაქცევიათ გუშინ თქვენი მელხიორა... _ აუხსნა მერაბმა ნიკოს.

_ რა-ა? რას ნიშნავს, გაქცევიათ?! _ განცვიფრდა ნიკო.

_ გაჟონა ინფორმაციამ, ეტყობა, _ თქვა მინისტრმა.

_ და ჩვენ გინდათ დაგვაბრალოთ?.. _ იკითხა გულუბრყვილოდ ნიკომ.

_ არა, ბატონო, ყველანი საფრთხის ქვეშ ხართ... _ განაწყენდა მინისტრი.

_ თქვენი წყალობით, ცოცხლები რომ ვართ და ჰაერს ვყლაპავთ, ესეც სასწაულია, _ მიახალა ნიკომ.

_ რა-ა?!. _ გაბრაზდა მინისტრი. _ ვინ აღარ დავკითხეთ, ვინ აღარ დავიჭირეთ, ვინ აღარ გადავიმტერეთ _ იმ საცოდავის ცოლიო, საყვარლის მამაო... ვის გამო? ვიღაც, ბოდიში თქვენთან და, ბოზანდარა ჟურნალისტკას ტრაკა-ტრუკის გამო?!.

_ იმიტომ, რომ ამ ქვეყანას სწორედ მდივნები და ბოზები მართავენ... _ მოახსენა საკუთარი თეორია ნიკომ. _ იმიტომ კიდევ, რომ მთელი ქალაქიც რომ გადაჟლიტონ, თქვენ ძარღვიც არ შეგიტოკდებათ.

_ კარგი, რა, მორჩი, ნიკო! _ ჩაერია მერაბი. _ დაუგდე კაცს ყური.

_ მარტო ჩვენ ვცოდავთ?! _ განაგრძო ბეჟანმა. _ თქვენ? თქვენ რა, არ სცოდავთ?! აბა, მე მკითხეთ! რა ფილმებს უჩვენებთ, რას ასწავლით, რას აყურებინებთ საზოგადოებას?!. ან _ რა ენით ელაპარაკებით ხალხს!.. დედაჩემი ქართულის მასწავლებელი გახლდათ და იმ დალოცვილმა, ეს მაინც მასწავლა. ერთი რეკლამა არ მიდის ეთერში, ერთი, შიგ რაიმე ენობრივი ლაფსუსი რომ არ ერიოს!..

_ პირდაპირი აზრი აქვს, პროფესიები გავცვალოთ... _ იხუმრა მერაბმა.

_ მე იმას ვამბობ, რომ იმ სამყაროს თავისი კანონები აქვს და თქვენსას _ თქვენი... _ განაგრძო მინისტრმა. _ ჰო, ჰო. სანამ თქვენთან არ ამოშრება ჭაობი და არ დაიწმინდება წყალი, მანამ ჩვენ არაფერი გვეშველება. წარმოიდგინეთ გველეშაპი. თავი _ თქვენა ხართ, ხომ?.. კუდი _ ჩვენ... თავში რომ ტვინი აირევა, კუდი რას იზამს, რას გაუგებ?! ვერაფერს, ხომ?.. შვილი რომ დედას ახრჩობს და დედა _ შვილებს, ვინ არის დამნაშავე _ ჩვენ თუ თქვენ?.. ყველამ ჩვენ ჩვენს ამბავს მივხედოთ, რა! ამიტომ, ერთმანეთს ნუ დავაბრალებთ, ვინ, სად, რა ჭუჭყში აფათურებს ხელებს... ახლა, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით... მოკლედ, მე ჩემი სათქმელი გითხარით, ბევრად იმაზე მეტიც, ვიდრე ვაპირებდი... კარგად იყავით! _ ბეჟანი წამოდგა და კარისკენ წავიდა. მერაბიც წამოხტა, რომ გაეცილებინა, მაგრამ ბეჟანმა კარი გამოაღო, გავიდა და გაიკეტა.

მერაბი კი ნიკოს მოუბრუნდა:

_ დიდი ფილოსოფოსი რომ მყავხარ, ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის ამხსნელი!.. კაცი თავისი ფეხით მოვიდა!..

_ იმიტომ, რომ ქურდს კუდი ეწვის, _ უპასუხა ნიკომ.

_ დაანებე, რა, ამ ციცერონობას თავი! _ ავარდა მერაბი.

_ რა მეციცერონება, თუ ძმა ხარ!.. _ ეწყინა ნიკოს.

_ მე ვერაფერს გიშველი. თქვენ აფუჭოთ, მე ვასწორო?! მე მგონი, წერას ჰყავხართ ატანილი, მთელი რედაქცია... წადი და საქმეს მიხედეთ! არ გამომივიდნენ სიმართლის მაძიებლები?!

_ არ დამელია, რა, სადარდებელი! ტყვიაგაუმტარი ჟილეტი არ გექნება, რომ მათხოვო ცოტა ხნით?.. _ ჰკითხა ნიკომ მერაბს, მაინც გააცინა და მერეღა გავიდა მისი კაბინეტიდან.

განრისხებულმა დარჩიაშვილმა მურადი თავის კაბინეტში იხმო.

_ მურად, წამოიღე იაშვილის საქმე და ჩემთან შემოდი! _ დააგდო ყურმილი ზაურმა. _ ერთუჯრედიანი!..

_ შეიძლება, ბატონო ზაურ? _ შემოიხედა მურადმა.

_ შემოდი!

მურადი შევიდა. ზაურს საქაღალდეში ჩასმული საქმე მაგიდაზე დაუდო და დაჯდა. ზაურმა საქაღალდე გახსნა. შიგ მხოლოდ ათიოდე ფურცელი იდო. ზაურმა ფურცლები გადაშალა. რამდენიმე დაკითხვის ოქმი, ჩხრეკის ოქმი და მხოლოდ ინვენტარიზაციის ფურცელი იყო... თავი ასწია და მურადს მიაჩერდა.

_ რას მიყურებთ? _ ხელები გაშალა მურადმა.

_ სულ ეს არის? დანარჩენი? _ იკითხა ზაურმა.

_ რა დანარჩენი?.. რა, "დათა თუთაშხიას" კი არ ვწერდი, _ უპასუხა მურადმა.

_ რას მიჰქარავ, ბიჭო?! ეს სამი გვერდი დავუდო მინისტრს?! ჰო თავზე დამახია, ისედაც ცოფებსა ჰყრის დილიდან, ერთი ცხრაჯერ მაინც დამირეკა... _ წამოხტა სკამიდან ზაური.

_ კარგი, რა, ბატონო ზაურ! როდის, რა უნდა მოვასწრო?! ერთ საქმეს დავიწყებ _ მეორეს შემომტენით, მეორეს დავიწყებ _ მესამეს და მე ფიგარო კი არა ვარ, ერთად ასი საქმე ვაკეთო! _ არ დაუთმო გამომძიებელმა.

_ გააჩნია, კაცო, საქმეს. არსებობს გადაუდებელი და _ მეასეხარიხოვანი. ასე არ არის? _ შეეკითხა ზაური.

_ კარგით, რა! თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, ვინც გააფრთხილა და რატომაც გააფრთხილა! _ საქმეზე გადავიდა მურადი.

_ ვინ გააფრთხილა, მე-ე?! _ გაგიჟდა პროკურორი.

_ თქვენ _ არა, _ უპასუხა მურადმა.

_ მაშ, ვინ?

_ არ იცით, არა?

_ არა, არ ვიცი! შენ იცი?.. რას მიყურებ? თუ იცი, რატომ არ იტყვი? _ განცვიფრდა ზაური.

_ ჰო, აბა! ვიტყვი და კაი კურდღელსაც დამაჭერინებთ, განა არ ვიცი... _ ეჭვით შეხედა პროკურორს გამომძიებელმა.

_ რა კურდღელს დაგაჭერინებ?.. თუკი ეჭვი გაქვს ვინმეზე, თქვი ბარემ და მოვრჩეთ, რაღა!

_ იტყვი _ ვაია, არ იტყვი და _ უია... აქეთ წახვალ, მგელი შეგჭამს, იქით წახვალ _ ტურა, არა?.. ვინ იყო თავიდანვე ამ საქმის ჩაფარცხვით დაინტერესებული, მე ხომ არ ვიქნებოდი, არა?.. _ შეეკითხა მურადი.

_ რა-ა?! რას არაკუნებ, შენ, ა?.. მე ერთი სიტყვა მაინც მითქვამს?!. ან _ სხვას, ვინმეს... _ გადაირია ისევ პროკურორი.

_ არა!

_ მაშინ, აიღებ ახლა ამ საქმეს, გახვალ, დაჯდები და დაწერ დასკვნას. დაწერ ყველაფერს დაწვრილებით _ გვამის ეგსჰუმაციიდან, ამ წუთამდე... დაწვრილებით. ორ საათში სამი ამხელა მედოს მაგიდაზე!

მურადმა საქმეს წამოავლო ხელი და კარისკენ გასწია.

_ ვინა ვარ, მემატიანე ვარ თუ გამომძიებელი, ველარ გავიგე, რა!.. _ ჩაილაპარაკა მან გზაში.

_ ჰო, არ დაგავიწყდეს _ ბარები, რესტორნები, ქალები, გარშემოწერილობები, მკერდის, ტრაკის... ყველაფერი დაწვრილებით ჩაწერე... დინამისტკები, მინეტჩიცები, არავინ გამოგრჩეს! _ დაადევნა ზაურმა.

მურადი გავიდა და კარი გაიკეტა.

_ არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო საქმე მისი... _ ჩაიბურტყუნა გამწყრალმა პროკურორმა.

როცა ანი მხარზე გადაკიდებული ჩანთით რედაქციაში შებრძანდა, სამივე თანამშრომელი ოთახში დახვდა. და ანიმ, მისდა გასაკვირად, სამივეს მომნუსხველი მზერა იგრძნო. მას კი, როგორც სჩვეოდა, ყველა ფეხზე დაიკიდა, ჩანთა მაგიდაზე დადო, მიუსალმებლად დაჯდა თავის სკამზე და წელში გასწორდა, მერე კი, თავი ასწია და მშვიდად იკითხა:

_ ვისი პანაშვიდია?..

_ ალბათ, შენი... _ უპასუხა ვასიკომ.

_ შე-ენც, ვასილ?! _ ბრუტოსის პონტში გაიყვანა ვასიკო ანიმ. _ მე მეგონა, პირველი სიტყვა ბატონ ნიკოს ეკუთვნოდა.

სამივემ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

_ გისმენთ, _ თვალი თვალში გაუყარა სამივეს ანიმ.

_ არა აქვს აზრი... _ თქვა ნიკომ.

_ რატომ? _ ირონიულად იკითხა ანიმ.

_ იმიტომ, რომ შენ, ჩვენ კი არა, _ გესტაპოც ვერ გამოგტეხს!.. _ უპასუხა ნიკომ.

_ პირი გაქვთ შეკრული? _ ისევ თვალი მოავლო სამივეს ანიმ და ირონიულად იკითხა: _ მე _ ერთი და თქვენ _ სამნი, არა?

_ ვისი ბრალია მერე, მარტო რომ ხარ?! _ ავარდა ნიკო. _ ჩვენი? თუ შენი?!. შეიძლება, ადამიანში, ერთ... ქალი ვერ მითქვამს, არ ვიცი, რა დაგარქვა... შეიძლება, ამდენი მინუსი

იყოს ერთად თავმოყრილი?! რატომ გააფრთხილე მელხიორა, რომ გაქცეულიყო და დამალულიყო?

_ დიახ!.. _ მშვიდად მიუგო ანიმ.

_ მინისტრი იყო ამ ორი წუთის წინ აქ და დედა არ შეუგინებია, თორემ, დანარჩენი ყველაფერი მითხრა!.. მოხარშულ-მოხრაკულს გიცნობ!.. ერთი სიტყვა კი არა, ერთი ასო არა მჯერა შენი, ასო! _ მიაყარა გამწარებულმა ნიკომ. _ კაცი გადარეულია _ მანიაკი გამაგდებინეთო ხელიდან! _ გაიძახის...

_ ის მხოლოდ შემსრულებელია, ნამდვილი მკვლელი კი _ სულ სხვაა, სხვა! მელხიორა არაფერ შუაშია! _ აყვირდა უეცრად ანი.

_ და ისიც იცი, არა, ვინც არის? _ ირონიულად ჩაეცინა ნიკოს.

_ ვიცი, ვიცი! _ დაუღრიალა ნიკოს ანიმ.

ნიკო დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

_ იცი და არ ამბობ? _ შეეკითხა ის ბოლოს.

_ არა, არა! იმიტომ, რომ მე სიცოცხლე მინდა!.. _ დაუყვირა ისევ ანიმ და დაამატა: _ და თავი დამანებეთ, აღარაფერი მკითხოთ!..

ნიკო გაჩუმდა. მიხვდა, რომ რაღაც, უფრო რთულად იყო საქმე, ვიდრე თვითონ ეგონა და ანისთვის აღარაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, როგორც კი ანი მოიცილა, დაუყოვნებლივ მერაბთან გავარდა და ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა. ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ცუდი დრო იყო და თავის სკამს ისიც მაგრად ებღაუჭებოდა... მერაბმა კი, თავის მხრივ, ეს ყოველივე ბეჟან გვერდწითელს მოახსენა. ლევან იაშვილის მკვლელობის საქმე სულ სხვა ხასიათს იძენდა...

ანის მობილურზე მესიჯი მოუვიდა. ნიკომ თავი ასწია. ანიმ მობილურის ეკრანს დახედა. “ანი, უნდა შევხვდეთ აუცილებლად, მურადი”. ის ამ ზარს ელოდა. ეჩქარებოდა კიდეც მურადის ნახვა. თუმცა, მაინც შეეკითხა: “რატომ?” და პასუხად მიიღო: “მოხვალ და გაიგებ”.

ანიმ მობილური ჩანთაში ჩააგდო და ოთახიდან გავიდა. კორიდორში მობილურზე ზარი გაუშვა. მათ შორის ასეთი მესიჯური დიალოგი გაიმართა: “რა გინდა, ვერ გავიგე, მოიწყინე უკვე შენი მანონი?..” _ ჰკითხა მურადს ანიმ. _ “ის ბატისტვინა?” _ იყო პასუხი. _ “ბატისტვინა აღმოჩნდა?.. მე რის ტვინა ვარ?..” _ “შენ, გენაცვალე, გველისტვინა, მგონი...” _ “გველისტვინა?.. დიდი მადლობა”. _ კაი, ჰო, “კინტოს” ჰოლში გელოდები”. _ “სად? რესტორან “კინტოს” ჰოლში? მოვდივარ”. და რამდენიმე წუთში, ანი უკვე ტაქსიში იჯდა.

მურადი რესტორნის ვესტიბიულში უცდიდა.

_ რა საქმე გაქვს? _ ცივად ჰკითხა ანიმ.

_ შევიდეთ, დავსხდეთ და ყველაფერს აგიხსნი, _ სთხოვა მურადმა.

მომცრო დარბაზში შევიდნენ. მეტი ინტიმისთვის, “კინტო” ნახევრად ჩაებნელებინათ და დაბალი მაგიდებისთვის სამფეხა სკამები შემოეწყოთ. მარჯვნივ, ერთ-ერთ სუფრასთან ორი კაცი იჯდა. ერთს ჭაღარა ერია, მეორე _ ქერა იყო. უკვე შექეიფიანებულიყვნენ და ყაყანებდნენ. ანი და მურადი ერთი მაგიდის გამოტოვებით დასხდნენ.

_ პირველ რიგში, შუბლი გახსენი, რა! მეშინია, რამე არ გამომიქანო... _ სთხოვა მურადმა.

_ არ მეხსნება, _ უპასუხა ანიმ.

_ კაი. მაშინ, დავლიოთ თითო ჭიქა და გაგეხსნება... _ გაეცინა მურადს.

ამ დროს, ოფიციანტიც წამოადგათ თავს.

_ მენიუ გნებავთ თუ?..

_ არა, არ გვინდა. ერთი შამპანური, პირველ რიგში, “ბაგრატიონი”. ხომ გაქვთ? _ ოფიციანტმა თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. _ შოკოლადი. ცოტა ზეთისხილი და თხილი კიდევ, მოშუშული...

_ სხვა არაფერი? ლიმონათი?

_ არა, ჯერჯერობით, არაფერი.

ოფიციანტი შეკვეთის მოსატანად წავიდა. ანი კი, თვალს არ აცილებდა მურადს.

_ ჰიპნოზს მიკეთებ?.. დაახამხამე, რა, ერთხელ მაინც! _ სთხოვა მურადმა.

_ ვერ ვახამხამებ! _ უპასუხა ანიმ.

_ კაი, ჰო, შემეშალა, ვჭამე დედიჩემის, ბოდიში! _ აღმოხდა მურადს.

_ ჰო, არა?! ბოდიში!.. მაშინ, მეც ავდგები, შენ თვალწინ პირველსავე კაცს დავუწვები და მერე ბოდიშს მოგიხდი. ბოდიში!..

_ მე სამსახურს ვკარგავ... _ ჩაილაპარაკა მურადმა.

_ მეც, სხვათა შორის, _ უპასუხა ანიმ.

_ შე-ენც? შენ რატომ? _ გაუკვირდა მურადს.

_ რატომაც შენ, _ უპასუხა ანიმ.

_ რა-ა? შენ რა შუაში ხარ?! _ ვერ მიხვდა მურადი.

_ ვინ გააფრთხილა ის კაცი, რომ გაგქცეოდათ, რა გგონია შენ?.. _ მიახალა ანიმ.

_ მე კიდევ, ჩვენებს ვაბრალებდი. რატომ მითხარი? არ გეშინია, რომ ჩაგიშვა?

_ ვერც დამიმტკიცებ და თავსაც გაიპაზორებ, _ მიუგო ანიმ.

ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა. შამპანურიც გახსნა და ორი ჭიქა შეავსო.

_ ხელები მინდა დავიბანო. საითაა ტუალეტი, იცი? _ იკითხა ანიმ.

_ აი, იმ თაღში შეხვალ და _ მარჯვნივ, ბოლოში.

ანი წამოდგა. თაღთან მისვლამდე იმ მაგიდას ჩაუარა, რომელთანაც ორი მთვრალი ყაყანებდა. ისინი ძირითადად, კაცურ საკითხებზე: საჭმელზე, არაყსა და ღვინოზე ლაპარაკობდნენ: “კაი, რა, ბიჭო, რა თაფლის არაყი, რის თაფლის არაყი?! _ ეუბნებოდა ერთი მეორეს. _ ბებიაჩემი თუთისგან არაყს ხდი-ის!.. ოცი წლის თუთა გვიდგას სახლის წინ. წაქცეულია, ხო იცი, ფესვები მიწაში აქვს და ისხა-ამს!.. აი, თუთა! _ ბიჭმა ცერი უჩვენა. _ ხართუთას რომ ეძახიან, ხომ იცი?! თეთრი _ არა, ნარინჯისფერი, _ თეთრი, კანეშნა!

_ ვა, შავი თუთაც ხოა, არა?!

_ მასე, ჭროღა თუთაც არი, განა არ არი! შავიც არი, თეთრიც, ასეთი, შავთეთრაა რა, და ჭროღა ჰქვია.

_ ჭროღა _ რა, ძროხაა?! _ იკითხა მეორემ.

_ ძროხა შენა ხარ, რა გააჩმახე! _ უპასუხა პირველმა. _ მე თუთის არაყი მირჩევნია თაფლის არაყს და შენ, გინდ დაიჯერე, გინდ _ არა.

უეცრად, ანი მელხიორას თვალებს შეეფეთა და იცნო. გვერდით დადებული იარაღიც შენიშნა და გზა განაგრძო...

მურადი მოუთმენლად უცდიდა. ნერვიულად აკაკუნებდა ჩანგალს მაგიდაზე. ჯიბიდან ფული ამოიღო, გადათვალა და უკანვე ჩაიდო.

მალე, ხელდაბანილი ანიც გამოცხადდა, რომელიც ზურგით იჯდა იმ მაგიდასთან, სადაც მელხიორა ქეიფობდა. მურადმა ჭიქა აიღო. ანიმაც.

_ ჩვენს შერიგებას გაუმარჯოს! _ ბრძანა მურადმა.

_ გაუმარჯოს!.. არ მიიხედო, იმ მაგიდასთან მელხიორა ზის, _ გაანდო ანიმ.

_ რა-ა?! _ პირი დააღო მურადმა, თან, ჭიქა მიუჭახუნა.

_ მარჯვნივ, კედლის მხარეს. იარაღიც უდევს, გვერდით.

_ როგორ მოვიქცეთ? _ იკითხა მურადმა.

_ ეგ შენი გადასაწყვეტია... _ უპასუხა ანიმ.

_ არც მე და არც შენ სამსახურის დაკარგვა არ გვინდა, ხომ ასეა?.. _ შეეკითხა მურადი.

_ ჰო, _ უპასუხა ანიმ.

_ მაშინ, ყური დამიგდე... _ მურადმა შამპანური დაასხა. _ ჩვენ ჩხუბს გავითამაშებთ. მე წავალ და ბიჭებს მოვიყვან. შენ მაგათთან გადაჯდები და გააღიზიანებ, შენებურად... დაიმახსოვრე, პაროლი იქნება _ "ცეცხლი"...

_ არა, არ არსებობს, ორი თავი კი არა მაქვს!.. _ ავარდა ანი.

მაგრამ მურადი უკვე როლში იყო შესული. ის წამოხტა და ანის დაუყვირა:

_ რა-ა?! რას მიჰქარავ, რამდენჯერ უნდა მაყლაპო?! _ და შამპანური პირდაპირ სახეში შეასხა.

ანიც წამოხტა და თავისი შამპანური შეაფრქვია.

_ მხეცო, ნადირო, პირუტყვო! _ დააყოლა მან.

_ უნდა მიგახრჩოს, კატასავით, კაცმა!.. _ და მურადმა სილა გააწნა ანის. ანიც ებდღვნა და ბრჭყალებით ჩამოკორტნა.

_ რა გინდა, რა?! რა გველი შეგიწვი?! _ გაჰკიოდა ქალი.

_ ხელი გასწი, გასწი ხელი, გეუბნები! _ ხელებს უჭერდა მურადი.

გვერდით სუფრიდან კაცები წამოხტნენ და გააშველეს.

_ რას შვრები, ბიჭო, ქალია, ეე!

_ ვინ არის ქალი, ეს არის ქალი, ეს წაკლა?! თქვენთვის მიჩუქნია!.. _ და მურადი სამზარეულოდან გამოვარდნილ ოფიციანტს მიუბრუნდა: _ რამდენია ჩემზე?

_ წაკლა დედაშენია, გაიგე?! _ არ ცხრებოდა ანი.

_ ოცი ლარი, _ უპასუხა ოფიციანტმა.

მურადმა ფული მაგიდაზე დააგდო.

_ აი, გადახდილია! _ და ანის მიუბრუნდა: _ წადი, შე ახვარო!.. _ და დარბაზიდან გავიდა.

_ ახვარი მაგის ცოლია! ვინ ეხვეწებოდა, დამპატიჟეო, ვერ გავიგე... _ ანი თავის სკამზე დაჯდა.

_ კაი, ნუ დარდობ, დაიკო... _ დაამშვიდა ერთ-ერთმა.

_ ვინ დარდობს? ერთი, მაგისიც!.. _ მიაგინა ანიმ და შამპანური დაისხა. _ ფსიხი!.. _ ჩაილაპარაკა მან.

_ თუ გინდა, ჩვენთან გადმოჯექი, _ შესთავაზეს ბიჭებმა, _ აი, ერთი ადგილი გვაქვს, შენთვის შენახული...

_ რატომაც არა?! _ ანიმ ჩანთა და ბოთლი აიღო და ბიჭებთან გადაბარგდა.

_ ნაგავი. როგორ დამასველა! _ თქვა მან. თან, ვითომ პერანგიდან ნამი ჩამოიფერთხა, _ ჩაჰკრა და მკერდი გამოიჩინა.

_ გაგიშრება, დაიკო, ორ წუთში... არაყს დალევ თუ შამპანურს გააგრძელებ? _ ჰკითხა ქერათმიანმა.

_ დავაი, არაყი!.. _ თქვა ანიმ.

_ ოჰო, ჩვენიანი ყოფილა, ტო! _ თქვა ქერამ.

_ შენ რა გქვია, დაიკო? _ ჰკითხა ჭაღარამ.

_ მე-ე? ლოლა, _ იცრუა ანიმ.

_ ე, მართლა?! _ გაიკვირვა მანვე. _ ჩემ პირველ ნაშასაც ლოლა ერქვა. ლოლიტა!..

_ ჰოდა, ეს ბოლო იქნება, _ მიუთითა ქერამ ანიზე.

_ ვინ იცის? ბედს ვერ უკარნახებ! _ თქვა ანიმ.

_ ჰოდა, შენ გაგიმარჯოს! ყველა თავისი ბედნიერებისთვის იბრძვის. ასე არ არის?.. ასეა. დავლიეთ! _ თქვა ჭაღარამ და არაყი გადაკრა.

_ ბედნიერება. ბედნიერება _ არა!.. _ ქერამ სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

_ აბა? _ იკითხა ჭაღარამ.

_ ლუკმა-პურისთვის იბრძვის ყველა, _ თქვა ანიმ.

_ მართალია. ჭკვიანია... _ თქვა ჭაღარამ ანიზე.

_ რომც არ გინდოდეს, ისეთი ცხოვრება გვაქვს, მოგიყვანს ჭკუაზე... აი, რა უნდოდა ახლა, რას ამიხტა?! _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ ჰო, რა უნდოდა? _ ჰკითხა ჭაღარამ.

_ რა ენდომებოდა?.. კარგი, რა, ვითომც არ იცი, რა! _ უპასუხა ანიმ.

_ მაინც? _ ჩაეძია ჭაღარა.

_ ჩემს დას ჟიმავს და ახლა მეც დამიწყო შეკერვა... _ ჩაილაპარაკა ანიმ.

_ დედას გაფიცებ! _ უთხრა ისევ ჭაღარამ. მელხიორა კი გაჩუმდა.

_ შაყირს მოუკვდა პატრონი! _ თქვა ანიმ. _ დაასხი, რა!

_ შაყირი რა შუაშია? ასეა! _ თქვა ჭაღარამ.

_ რა შუაშია? _ იკითხა ანიმ. _ უბრალოდ, ყველა კაცი ხამია: ქალი თუ დაინახა, მორჩა _ ყველა ბოზი ჰგონია!..

ანიმ შენიშნა, რომ ორი ტიპი შემოვიდა და გვერდით მაგიდასთან დაჯდა. ერთ-ერთმა სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან და მოსაკიდებლად მათი მაგიდისკენ წავიდა.

_ ცეცხლი არ გექნებათ? _ იკითხა უცნობმა.

_ რა-ა? _ ვითომ ვერ გაიგო ანიმ.

_ ცეცხლი, _ თქვა უცნობმა და სიგარეტი დაანახვა. ჭაღარამ სანთებელა აიღო. ანიმ კი, იარაღისკენ წაიღო ხელი. მაგრამ მელხიორამ დაასწრო.

_ დააგდე იარაღი! ხელები კისერზე! _ დაიღრიალა უცნობმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მელხიორას ანი შებოჭილი ჰყავდა და იარაღის ლულა _ მის საფეთქელზე მიდებული. უცნობებს კი, პისტოლეტების "მუშკაზე", მელხიორა და მისი მეგობარი ჰყავდათ აყვანილი.

...ანი მძევალი იყო. ვაჟის მუშტი ნიკაპქვედა ჯირკვალს აწვებოდა და საშინლად სტკენდა. მელხიორამ, ანის თრევა-თრევით, კარისკენ აიღო გეზი. ჭაღარამ კი, ქალს ხელი ფეხებში მოჰკიდა და მელხიორას საქმე გაუადვილა.

_ გარეთ თუ გამოხვალთ, ვესვრი! ფეხს არ გამოდგამთ არც ერთი! _ დაიღრიალა მელხიორამ.

ანი ასევე შეტენეს მანქანაში. ის და ჭაღარა უკანა სავარძელზე მოხვდნენ. საჭესთან მელხიორა დაჯდა და ადგილიდან "მოხია". ჭაღარა ზემოდან ეწვა ანის და მისი ოხშივრიანი არყის ამონასუნთქი ქალს თავბრუს ახვევდა. მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა.

...ანიმ ყელზე მამაკაცის ტუჩების სიმხურვალე იგრძნო. თუ დამიჯერებთ, სასქესო ჯირკვლებმა გაღვიძება ხშირად, ყველაზე უადგილო ადგილას და ყველაზე უდროო დროს იცის. ეს შემთხვევაც ასეთი აღმოჩნდა... მოკლედ, კაცმა ანის ჯერ გულისპირი ჩაახია და ძუძუებზე დააკვდა, მერე კი, ტრუსიც შემოაფლითა და, ჯერაც საშინლად შეშინებული ქალი დამათრობელი ორგაზმის უტკბილეს წამებს მინებდა...

"ღმერთო ჩემო! _ გაიფიქრა ანიმ, როცა ორგაზმმა საბოლოოდ გაუარა და ისევ სინამდვილის ამოუცნობ ქაოსს შეეჯახა. _ იმ კაცს რა ხანია, ვაწამებ და ამან კი რაღაც წუთებში გამჟიმა!.."

ანის თვალები ადგილზე მისვლამდე აუხვიეს და რატომღაც, ხელებიც გაუკოჭეს. როცა მანქანა გაჩერდა, ჭაღარამ ანი ზურგზე მოიკიდა და ცოტა ხანს ასე ატარა. ხოლო, როცა ქსოვილი შეხსნეს და კარი დაუკეტეს, ანიმ სინათლეს თვალი შეაჩვია და დაინახა, რომ პატარა, უფანჯრო, რაღაც საკუჭნაოს მსგავს ოთახში დაემწყვდიათ, რომელიც ნაგვითა და ათასგვარი ხარახურით იყო სავსე. იქვე ხის ტახტიც იდგა, ძველი ლეიბითა და "ადიალით"... სანამ გავიდოდა, ჭაღარამ სულ ორი სიტყვა უთხრა: არ იხმაურო, თორემ ჩაგაძაღლებენო, _ და გავიდა. ამას ურდულის გაწევისა და ბოქლომის ჩაკეტვის ხმა მოჰყვა. "ოღონდ ცოცხალი გადავრჩე, ოღონდ ცოცხალი გადავრჩე!!!" _ ლამის ეკივლა და ებღავლა ანის. "ეკლესიასაც ვიწამებ, ღმერთსაც ვიწამებ, სანთელსაც ვიწამებ და მღვდელსაც ვიწამებ!!!" იწამებდა კი?..

ანი ისე უეცრად გაქრა, რომ თაზომ მისი გაფრთხილება ვერ მოასწრო. ოჯახი ანუ _ გაიოზი, თაზო და ნუციკო _ საქმის გასარჩევად შეიკრიბა.

_ თუ გვინდა, რომ ცოცხლები გადავრჩეთ, ჩვენგან პოლიციამ არაფერი არ უნდა გაიგოს, _ თქვა გაიოზმა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

_ მაშ, სად ვეძებო, ტო, როგორ ვეძებო, რანაირად, ვის მივადგე?! _ ხელებს შლიდა თაზო.

ნუციკო ჩუმად იჯდა და ხან ერთს შეხედავდა, ხან _ მეორეს. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. არც ერთი მხარე არ იყო სანდო _ არც პოლიცია და არც ქურდული სამყარო... მათი შემხედვარე, ერთ აზრს თუ გამოიტანდა კაცი: ქვეყანა ორი ძალის ხელში იყო _ პოლიციის და ქურდების. ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო?! თუმცა, არც მთლად უმოქმედობა იქნებოდა. მაგრამ რა უნდა ეღონათ?! სამივემ იცოდა, რომ ანი ბოლო დღეებში, ლევან იაშვილის მკვლელობის საქმის ჟურნალისტურ ძიებაში იყო ჩართული, ისიც იცოდნენ, რომ მკვლელზე გავიდნენ. ეჭვი ჰქონდათ, ანიმ მიამიტა ხომ არ ახსენა ვინმესთან და ამ ამბავს ხომ არ ემსხვერპლაო?.. მაგრამ ანი რომ ასეთი გულუბრყვილო არ იყო?!. გადაწყვიტეს _ ერთი-ორი დღე მოვიცადოთ, იქნებ, თვითონ, რაიმე ნიშანი მოგვცესო... ნუციკო კი ტელევიზიაში გაუშვეს _ წადი, გაიგე, იქნებ, იმათ იცოდნენ ხელჩასაჭიდი რამეო...

ანის ოჯახში კი, დედამისი ვერიკო არც ანის გაქრობის და არც მთელი ამ ამბის პერიპეტიების ბაიბურშიც არ იყო. ისე სწრაფად, სულ რაღაც ერთ კვირაში დატრიალდა ეს ყველაფერი...

პოლიციას ასე სამარცხვინოდ ჩაშლილი ოპერაციის გახმაურება არ უნდოდა. გამომძიებელი მურად ოქროპირიძე კი, სამსახურსაც კარგავდა და ანისაც, რა თქმა უნდა... ის კი არა, სულ თავზედს იწყევლიდა _ ეს ვის გადავეყარეო?!. რომ მოკლან, რომ კიდევ უფრო უარესიც მოჰყვეს ამ ამბავს?.. ვინ იცის, საკანშიც კი მოუწიოს თავისი საყვარელი კაბინეტიდან "გადასკუპება"?!. მოკლედ, ტვინი მაგრად უხურდა და რა გამოსავალი ეპოვა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ერთადერთი, ვინც უმოქმედოდ არ იყო და თავის გადარჩენის უსაზღვრო წყურვილი ჰქონდა, ისევ ანი იყო... მიუხედავად მისი თანამედროვე ბუნებისა, ის მაინც ქალი იყო და რადგან არც კარატეზე და არც ძიუდოზე არ ევლო, აბა, შეიარაღებულ ბანდიტებთან თავისი ნაზი მკლავებით რას გახდებოდა და იძულებული იყო, შესაფერის მომენტს დალოდებოდა. ყური და ყნოსვა _ გიყვარდეს, გამახვილებული ჰქონდა და არაფერი გამოეპარებოდა ამქვეყნად. მაინც ძალიან მაგარი ვინმე იყო: არავითარი სენტიმენტი, არავითარი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა! _ ადგა და ყველაფერი ფეხზე დაიკიდა,

მხოლოდ შესაფერის მომენტს უცდიდა... მოკლედ, რაღა ანი და რაღა ნიცშეს "ზეადამიანი". მანქანის უკანა სავარძელზე გაუპატიურებაც ხახვივით შეირჩინა. პირიქით: ცოცხალი გადავრჩე და დედაც არ ვატირეო?! _ ფიქრობდა.

ქურდებმა თუ მკვლელებმა ანი "პარაშაზე" დასვეს _ დიდი პლასტმასის ვედროები დაუდგეს. საჭმელი ვიღაც ნიღბიან ტიპს შეჰქონდა... პირველ ხანებში, ანი ამ ნიღბიანის დანახვაზე ერთ სიკვდილს ათავებდა, ლამის ჩაეფსა, ისე ეშინოდა, ფიქრობდა _ ან ახლა მტაცებს ხელს, ან _ ახლაო, მაგრამ ნიღბიანი ზედაც არ უყურებდა და ქალიც ნელ-ნელა შეეჩვია... ნიღბიანს მუდამ რაღაც უცნაური სუნი შემოჰქონდა მასთან. ანიმ, რადგან ვერაფრით ახსნა, რისი სუნი იყო, მას სიკვდილის სუნი დაარქვა... ის მალევე მიხვდა, რომ ნიღბიანი პერმანენტულ კაიფში იმყოფებოდა და ეს თავისებურ, პატარა იმედს აძლევდა... კვებით, კარგად კვებავდნენ, ნასუფრალით. თავიდან, ცოტა ეჩოთირა, მაგრამ მერე აღარას დაგიდევდათ... მარჯვენა კედლის მხრიდან ზოგჯერ რაღაც ბუბუნი ესმოდა. კედელს აყურადებდა, იძაბებოდა, მაგრამ სიტყვებს მაინც ვერ არჩევდა. როდის-როდის გაახსენდა, ოდესღაც გაგონილი _ რომ ჭიქა უნდა მიედო კედელზე და ისე მიეყურადებინა... მისდა გასაოცრად, სიტყვები გაარჩია. ეს მისთვის ბორბლის გამოგონების ტოლფასი იყო...

მიამიტა, რომელიც ოცდამეთხუტმეტეში იყო, სამოცდაათი წლის მოხუცს დამსგავსებოდა... არა, ციხეს ამას ვერ დააბრალებდა კაცი... ციხეში ქურდების უმეტესობა ისე ვარჯიშობს და ისეთ ილეთებს ხვეწს, ოლიმპიურ მედალოსნებს შეშურდებათ, ალბათ... მითუმეტეს, დღეს ბევრი სპორტსმენი ატარებს იქ, თავის "ღირსეულ" წლებს... ამას გარემო არ შეხვდა... მართლა ისე ხომ არაა, ქურდობა, რომ ოქროს პედესტალზე შემოსვა დღევანდელი ქართველობის დიდმა პროცენტმა... ფეკალს რომ გაგასინჯებენ და ღირსებას ამოგწოვენ სულის ყველაზე ბნელი კუნჭულებიდან, კლდესავით ძლიერიც რომ იყო, შეიძლება ისე მოიკუნტო და მოიხარო ბეჭებში, იმ ქვეყნიდან მოსულს დაემსგავსო... ზოგი გარეთ ეწევა სიგარეტს და თუ ციხეში მოხვდა, იქ ეშვება, რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივოს. ის დიდი ეგოიზმი, რომელიც ამ პროფესიის ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, მიამიტასაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და ისიც ციხის კედლებთან ერთად, სიხარბის გამო, ნარკოტიკისა და წამლის ტყვედ გადაიქცა... გარეთ დიდი ხანია ცოცხალი აღარც იქნებოდა, მაგრამ ხან უფულობა, ხან უწამლობა და ცოცხლობდა ისიც, თუ ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია... სიბირსკის კოლონიიდან გაიქცა... ლამის ხელით ათრია, მასთან ერთად სხვა თორმეტმა გაქცეულმა... ვორკუტელმა "ძმამ" ჟიგლომ მაგარი კუში დაახვედრა და მანაც თბილისში არჩია დამალვა... აქ ნაკლებ საშიშიც იყო, ვიდრე სხვაგან და ნაკლებ ჩამშვებიც იყო, ამ კატეგორიის ხალხისთვის ეს ქალაქი. კილერიც ბევრად იაფი ღირდა, ვიდრე სხვაგან, რომელიც ნაღდად სჭირდებოდა მიამიტას... რომ გაიგეს ანის ქმარს ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ჰქონიაო, მაგრად გაუსწორდათ, ცოტა გავუფრთხილდეთ, ბიჭო, ეს რა კაი "მწვანე" დედალი დაგვითრევიაო...

თაზოს რომ დაურეკეს, ცოლში რამდენის გადამხდელი ხარო, ენა ჩაუვარდა, რა უნდა ეპასუხა? შეეშინდა კიდეც, ცოცხალი ყოფილაო... ვინ იცის, იმედი ჰქონდა, ეგებ ვეღარც დაბრუნდესო... რის გადამხდელი იყო თაზო? დიდი-დიდი, ოცი-ოცდახუთი ათასის... მაგდენისას, ბიჭო, ორ დღეში ვიშხაპუნებთო, უპასუხეს... მოკლედ, ასს ერთი ცენტი არ დააკლდებაო... რომც მქონდეს, ღიირს ჩემი ცოლი ამდენიო? კითხულობდა გადარეული თაზო ოჯახში.

ნუციკომ ნიკო მიქაძეს დაურეკა და საშვის დაშვება სთხოვა, თქვენი ნახვა მინდაო. ნიკო მარტოდ-მარტო იჯდა თავის რედაქციაში.

_ ვეუბნებოდი მაგ ბავშვს, არ გვინდა, არ გვინდა... _ უყვებოდა აღელვებული ნიკო ნუციკოს... _ მაგრამ იცით, ალბათ, რა ჯიუტიც არის... თხარა, თხარა და ხომ ხედავთ, რამხელა ჩხრიალა გველი გამოთხარა? მე ხომ ბეწვზე ვარ გადარჩენილი. ან ვაარ გადარჩენილი? აქ ვაღამებ და ვათენებ, დაიჯერებთ? შინ ვეღარ მივდივარ, გენაცვალე, რაც მე დამემართა... მინდა დავიძინო, მაგრამ, თვალს დავხუჭავ თუ არა, ვირთხები მელანდება...

_ რა ვირთხები? _ დაინტერესდა ნუციკო.

ნიკოს ახლაღა გაახსენდა, რომ "უნიტაზზე და ვირთხაზე" არავის არაფერს უყვებოდა. იცოდა, კუდებს გამოუბამდა ქალაქი, უგენიტალიებოდ რომ დატოვებდნენ... წადი და მერე უმტკიცე...

_ არა, იმას ვამბობ, რომ რა დამაძინებს? რაც მე ამის გამო გადამხდა... არ იცით თქვენ? _ შეეკითხა ნიკო ნუციკოს.

_ არა. _ მაგრად დაინტერესდა ამ ახალი ამბით ნუციკო და ნიკოც მოუყვა.

_ სახლში ავდიოდი, საღამოს, ასე თორმეტის ნახევარზე, ნასვამი ვიყავი, პლატოზე, მეორე მიკროში ვცხოვრობ ხომ... შევდგი სადარბაზოში ფეხი და რაღაც მძიმე არ დამეცა თავში? გამოვფხიზლდი... რა ხნის მერე, არ ვიცი... ნაბეგვი და ნაცემი ვარ... ყბა, თვალი, ნეკნი... ბეჭები მთლად დასერილი... რას მირტყამდნენ, არ ვიცი... აი, სპეცნაზელები, რომ სცემენ მაგრად ხალხს, ასე ვიყავი ნაცემი...

"მიამიტა, მიამიტა" ... იმეორებდა და იმეორებდა ამ ერთ სიტყვას ნუციკოს ტვინი.

_ მერე? _ ჰკითხა მან მექანიკურად ნიკოს.

_ სადღაც გადაკარგულში, ვარკეთილის სულ ბოლოში, სულ თავში, რომელიღაც კორპუსის სარდაფში დავუგდივარ შიშველ-ტიტველი, ხელფეხშეკრული... ათას ლარამდე გავისროლე იმ ღამეს თავის მობილურიანად, აბა? არ ვიცი, არ ვიცი, ვინ იცის, ცოცხალიც აღარ არის? მუშაობა ხომ ჩაშალა რედაქციაში, არა? ზედაც გადაყვა, ალბათ... დაგვაწიოკა, მოკლედ, ასე, ყველანი... თქვენც, ალბათ, ცოცხალ-მკვდრები ხართ ოჯახში... როგორ უძლებს მაგას, ის თავის საცოდავი ქმარი, წარმოდგენა არა მაქვს.....

_ უძლებს, რომ? _ ჩაილაპარაკა ნუციკომ. _ რატომ მოვედი თქვენთან, ხვდებით, ალბათ...

_ მე ვერაფერს ვერც გეტყვით, ვერც გირჩევთ... _ თავი გადააქნია ნიკომ, _ ისევ იმ გამომძიებელს უნდა მიმართოთ, იმას თუ დაეკონტაქტებით, შესაძლოა, იმან იცოდეს რამე, ვისთანაც მაგ ამბებზე დარბოდა... მე სხვას ვერაფერს გირჩევთ...

ნუციკომ ნიკოს რჩევა ყურად იღო, მურად ოქროპირიძეს დაურეკა და კაბინეტში ეახლა.

_ ჩემი დღეებიც დათვლილია, ალბათ... _ ჩაილაპარაკა მურადმა, როცა ნუციკო მის წინ დაჯდა.

_ ვერ ვხვდები, რას ამბობთ... _ მართლაც ვერაფერს მიხვდა ნუციკო.

_ რა მიხვედრა უნდა, მთელი პოლიცია ფეხზე დავაყენეთ, ცხენებიან-ძაღლებიანად, ვიცით ვინც არიან, მუჭში მყავდა მკვლელი, მაგრამ ამ ჩვენმა დებილებმა ჩაშალეს ოპერაცია... გაგვექცნენ და მძევალიც გაიყოლეს.

_ მოიცათ, მოიცათ, რა ოპერაცია, ვინ მძევალი? _ სკამიდან წამოდგა ნუციკო.

_ ჰო, დღეს უნდა დამერეკა მე თვითონ, თქვენთვის... _ მოიბოდიშასავით მურადმა. _ მე და ანი ერთად ვიყავით სამშაბათს იმ კაფეში...

_ თქვენ და ანი ერთად კაფეში? _ რას წარმოიდგენდა აბა ნუციკო...

მურადი კი მიხვდა, რომ რაღაც უნებლიედ შეეშალა და გამოსწორება სცადა.

_ ჰო, ასეთი მეთოდები გვაქვს... მე სამსახური მავალებს, იმათ კი საკუთარი ინიციატივით წამოიწყეს ეს ყველაფერი...

_ და რა მოხდა მერე იმ კაფეში, როგორ, ჩვენ, ოჯახი, თეთრად ვათენებთ ღამეებს და არ უნდა ჩაგვაყენოთ საქმის კურსში? _ გაბრაზდა კიდეც და მიაწვა კიდეც ნუციკო მურადს, _ ჰო, მერე, მერე!? _ რაღაც ინტიმი და სიყვარულობანა მათ შორის, თავში არც გაუვლია.

_ "კინტო" იცით? რაღაც ბარიც არის, კაფეც... ცოტა წაირესტორნებს კიდეც... იქ ვისხედით, კუთხეში მე და ანი.. თვითონ ანიმ ამოიცნო, შემთხვევით, თავის საუბედუროდ, მელხიორა, მკველი, სავარაუდოდ, კილერი, თორემ დამკვეთი იქნებ, სულ სხვაა. ეგენი რომ დაგვეჭირა, ახლა გვეცოდინებოდა ყველაფერი... გვერდით მაგიდაზე ისხდნენ, ის და ერთიც კიდევ, ჯერ არ ვიცით, ჭაღარაგარეული ტიპი იყო, ქართული სახე ჰქონდა, უკვე შემთვრალები იყვნენ გემოზე... ისინი თუ გაექცეოდათ ამ დებილებს... მოკლედ, მე გავედი და ოპერები გამოვიძახე... აღარ შემოვბრუნდი, რამე არ იყნოსონ-მეთქი... რას წარმოვიდგენდი, რომ გაექცეოდნენ და ანისაც გაიყოლებდნენ...

_ თქვენ მაგ ამბებს არ შესწრებიხართ, საერთოდ? _ საშინლად გააკვირვა, მურადის მონათხრობმა, "ეს ვის ხელში ვართ, ეს რა კრეტინების ხელში ვართო", გაიფიქრა ნუციკომ.

_ მე? შიგნით რაც მოხდა, ამათი მონაყოლიდან ვიცი, და გარეთ კი, როგორ შეტენეს ანი მანქანაში, როგორ ჩასხდნენ და გაიქცნენ, ამ ყველაფერს ჩემი თვალით ვუყურე... _ თქვა მურადმა.

_ რა მანქანით მოიტაცეს? _ დაინტერესდა ნუციკო. ოდნავ დამშვიდდა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

_ მანქანა? ძველისძველი "ნოლცხრა" იყო, ყვითელი, წინწკლებიანი პერლამუტრი...

ნუციკომ ძლივს დააჭირა ენას კბილი, რომ არ ეყვირა, ვისაც ეს მანქანა ეკუთვნოდა... თავი შეიკავა და, ალბათ, კარგადაც მოიქცა... მანქანა მიამიტას დეიდაშვილის, ჯაბა აფციაურისა იყო... მიამიტას დაჭერის შემდეგაც, ჯაბა ხშირად აკითხავდა ამ მანქანით ნუციკოს და ფულს აძლევდა ხოლმე, თან კონტროლზედაც ჰყავდა. ნუციკოს არც საყვარლის ყოლის და არც გათხოვების უფლება არ ჰქონდა... ამ მოჯადოებულ წრეს ხომ, მხოლოდ მიამიტას ყალბი სიკვდილის გაგების შემდეგ დააღწია ნუციკომ თავი... კვალი, რა თქმა უნდა, მის ყოფილ ქმართან მიდიოდა, რომლის გახსენებაზედაც კი ნუციკოს მუდამ ზიზღის და შიშის ჟრუანტელი უვლიდა... მაშ სხვა რა დაემართებოდა "მურტალოს" პროტოტიპის გახსენებაზე?

_ ნომერი? _ ჰკითხა მან მურადს.

_ უნომრო იყო, მაგრამ ნომერი რომც ჰქონოდა, ვიღაცის, სულ სხვა მანქანის ნომერი ექნებოდა, თავისი ხომ არა...

_ მერე, რას აპირებთ, ახლა? _ იკითხა ნუციკომ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ამ შეკითხვას ტყუილად უსვამდა გამომძიებელს, რადგან მურადის პირისახეზე, იმ მომენტში ჭკუის მაგვარი არაფერი იკითხებოდა და აშკარად ჩანდა, რომ არც სხვა დროს მოეკითხებოდა, ალბათ, ამ კაცის ჭკუას დიდი გამჭრიახობა.

_ რა ვიცი, ერთი ინტერპოლი არ ჩაგვირთავს მარტო და... ალბათ, გავალთ მაინც, ბოლო-ბოლო, სწორ კვალზე...

_ მაგრამ თქვენი დღეები, რომ დათვლილია? _ შეახსენა ნუციკომ თავში ნათქვამი სიტყვები მურადს...

_ მარტო ჩემი? იქნებ თქვენიც? _ უკბინა მურადმაც.

“ვინ იცის, მართალსაც ამბობს”, გაიფიქრა ნუციკომ, რადგან კარგად ახსოვდა, რა ფეთქებადი, უკონტროლო ხასიათის იყო მისი ყოფილი ქმარი, მიამიტა.

თაზოსთვის კიდევ დაერეკათ: ჰა, რას შვრები, ბიჭო, მოგაქვს ფარა, თუ გამოვჭრათ ყელიო... უთქვამთ. მთლად გაითიშა იმ დღეებში თაზო... რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, არაფერი იცოდა... გაიოზი საერთოდ, გაჩუმდა, სიტყვას ვერ ამოაძრობდა კაცი გაზით... მარტო იღრინებოდა... მალე, ალბათ, ყეფაზეც გადავაო, ფიქრობდა თაზო.

ისევ შეიკრიბა ოჯახური “კონსილიუმი”. თუმცა, ნუციკომ ვერც მურადთან შეხვედრის შემდეგ, სანუგეშო ვერაფერი მოიტანა რძლის შესახებ... ვერც ის უთხრა თაზოს, რომ ბოლოს, საიდანაც გაიტაცეს, იმ რესტორანში მურადთან ერთად იყო ანი.

_ ვიღაც პოლიციელს დაუნახავს, როგორ ჩაუსვამთ ძალით მანქანაში ანიო, ყვითელი პერლამუტრის, უნომრო ნოლ-ცხრაშიო, ასე მითხრა გამომძიებელმა. _ თქვა ანიმ და კაცებს მიაჩერდა. _ მიამიტას დეიდაშვილის მანქანა უნდა იყოს, ჯაბასი, აფციაურის... მელხიორა უცვნიათ, ვინც ჯაბასთან ერთად იყო და ჯაბაზე წარმოდგენა არა აქვთ... როგორც დამიხატეს, ჯაბაა... საშუალო სიმაღლის, ჭაღარა, ქართული სახითო... _ ყვებოდა ნუციკო.

_ მაშ ცოცხალია, მართლაც შენი ქმარი... _ თაზო, რატომღაც დას ადანაშაულებდა, თითქოს, ამ ყველაფერში. _ ეგ ჩვენ აღარ მოგვეშვება...

_ მოგვეშვება... _ მუქარით წარმოთქვა გაიოზმა, რაზედაც თაზოს, რაღაც ნერვულ-სტრესული წიკის მაგვარი დაემართა.

_ შენ კიდევ... _ აუხტა ის მამას. _ როგორ მოგეშვება, რატომ მოგეშვება!? შვილი მოგტაცა, გაგიუპატიურა... ახლა ანი...

_ ნუციკო ცოლად მოიყვანა... _ არ გადაყლაპა შეურაცხყოფა გაიოზმა.

_ უფრო უარესი... _ არ იცოდა, რა ეთქვა თაზოს... _ საიდან გამოვთხარო ასი ათასი? შენ ამომიღებ მუთაქებიდან? ვინ იცის, რას უშვრებიან ანის... სად წავიდე, ვის ვენდო, პოლიციას? უარესი ბანდიტები რომ არიან მაგათზე? მაშინვე უნდა მოგეკლა, მოგეკლა უნდა... _ ტირილს არაფერი უკლდა თაზოს.

_ მაშინ ჩვენ არავინ გვაცოცხლებდა, ყველას ამოგვხოცავდნენ... _ თავი იმართლა გაიოზმა და დაამატა. _ ახლა კი მოვკლავ, ახლა ნამდვილად მოვკლავ!

_ როგორ, სად მიაგნებ? ვისი მომკვლელი ხარ, გაჩუმდი მაინც, რა!? _ ხელი ჩაიქნია თაზომ.

_ მაშ, რა უნდა ვქნათ? _ იკითხა ნუციკომ? _ იქნებ აღარცაა ცოცხალი... ან თუ ცოცხალია, ვისხდეთ, ასე გულხელდაკრეფილი და ველოდოთ, როდის მოკლავენ? დედამისს არ დავურეკოთ?

_ რომ ახლა ისინიც ჩავხოცოთ? _ ჩაიბურტყუნა თაზომ.

_ ძმა რომ ჰყავს ამერიკაში? ის ვერ გადაიხდის ასი ათასს? _ მიამიტურად იკითხა ნუციკომ.

_ ასიათასი ანიში? _ კიდევ უფრო მიამიტურად იკითხა თაზომ. _ მაგის ძმამ აქ ჩადო თუ რამე ჰქონდა და ამათაც ეგრევე ნოლზე დასვეს... მალე სუნთქვასაც აგვიკრძალავენ, ამათ კაცი ენდობა?

გაიოზმა არყის ბოთლი და ორი ჭიქა დადგა მაგიდაზე.

სხვა დროს, ამ შემთხვევაში, ნუციკო ბოთლს თუ არ წაართმევდა, ეტყოდა მაინც, არ დალიოთო. ახლა კი არაფერი უთქვამს.

_ პოლიციას რომ შევატყობინოთ? ფული რომ დავუნომროთ? _ ყოველ შემთხვევაში, მაინც იკითხა თაზომ. და პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო. _ მაშ რომელი რობინ-ჰუდები ჩვენა ვართ, აბჯარი ავისხათ და ტყეში გავიდეთ... მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ...

_ ვერც მე... _ დაემოწმა ნუციკო.

მხოლოდ გაიოზი იყო ჩუმად და ამღვრეული თვალებით უყურებდა ორივეს. ნეტა ამის ტვინში ჩამახედა, რა დომხალი აქვს, ვიცოდეო, გაიფიქრა თაზომ.

დალიეს. მაგრამ გაიოზს მაინც ვერაფერი ათქმევინეს და თაზომ გადაწყვიტა პლიციისთვის ეთქვა ყველაფერი. რომ თუ მიამიტაზე კრინტს ვერ დასძრავდა, ჯაბა აფციაური მაინც ჩაეშვა თავის ყვითელი_პერლამუტრი მანქანიანად და მისი მისამართიც მიეცა... დანარჩენი კი, როგორც პოლიცია დაგეგმავდა, ისე იქნებოდა... ასეც მოიქცა... ხმაშეცვლილმა ქუჩის ტელეფონიდან მურადს გადაურეკა და ჯაბას მისამართი უთხრა...

მძევლად მყოფი ანი კი, ჭიქით შეიარაღებული, გვერდით ოთახში მყოფთა საუბრებს გაფაციცებული ისმენდა... იქ მყოფნი, როცა ერთმანეთს მიმართავდნენ, სახელებს უფრო ხმამაღლა ამბობდნენ, ალბათ. ამიტომ, სახელების გარჩევა ძალიან ჩქარა შეძლო... ყველაზე ხშირად: ოთარა, ნუკრა, ბომჟო და შარო ესმოდა... ისიც დაასკვნა, რომ სიგარეტი იქ მყოფებს ვინმე ჩლეხოს ჯიხურიდან ამოჰქონდათ. ასე, რომ თუკი აქედან თავს დააღწევდა, შესაძლოა, ამ ბანდის ადგილსამყოფელისთვის მიეგნო კიდეც...

თაზოსთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, მურადის ტვინსა და მის ნამდვილ იარაღს შორის, რომელიც მამაკაცის სხეულის უცილობელი ატრიბუტია, დიდი ჭიდილი გაიმართა. ტვინი რასაც კარნახობდა, იარაღი უარყოფდა, რასაც იარაღი

კარნახობდა, ტვინი უარყოფდა და იყო ასე, ორ წყალს შუა გაჩხერილი... და, რომ ვერც ვინმეს გაუმხელდა მოქმედების გეგმას? ამიტომ, ადგა და მანაც ძველ, ნაცად, უბრალო ხერხს მიმართა. "არიოლი და რეშკა" ააგდო. და რადგან "არიოლი" დაჯდა, თავის უფროსს, ზაურ დარჩიაშვილს დაურეკა. საქმეში, იმავე წამს, "ძერჟინსკის" ხალხიც ჩაერთო და ყველაფერი ისევ უკუღმა დატრიალდა. მურადი კი მიხვდა, რომ მაგრად ჭამა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ხოლო რატომ და როგორ დატრიალდა უკუღმა ყველაფერი, ახლავე გიამბობთ.

არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ, მაგრამ თუკი ოდესმე რაიმე შეხების წერტილი მქონია პოლიციასთან, (ხვდებით, ალბათ, რომ "ძაღლს" შეგნებულად არ ვხმარობ) მომჩვენებია, რომ მათზე საზიზღარი კარიერისტები ქვეყანაზე არცერთი პროფესიის ადამიანები არ არიან. კარიერის გამო, რომ მიუშვა, ყველა მათგანი მთელ მსოფლიოს გადაჟლეტს... აი, ამ ლირიკული გადახვევის შემდეგ კი მოგახსენებთ, რომ ჯაბა აფციაურმა და მელხიორამ, რადგან ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ჩაშვებულები იყვნენ, ანის "დაბინავება-დაბევების" შემდეგ, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება განაგრძეს. ყოველდღიური სადავო, წვრილმანი თუ მსხილმანი გარჩევები, დაწერები, ანუ ფულის აკრეფა მათგან, ვისაც პატარა თუ მსხვილი ბიზნესი აქვს, ანუ იგივეს კეთება არალეგალურად, რასაც პოლიცია ლეგალურად აკეთებს, და ბევრად მსხვილი მაშსტაბებითაც. გახსოვთ, ალბათ, ერთმა ჩვენმა ბიზნესმენმა საქვეყნოდაც კი განაცხადა, რამდენიმე ასეული მილიონის შესახებ, რომელიც ამ გზით, მათკენ, ანუ ძალოვანებისკენ მდინარესავით მიედინება. (თუკი ეს მართალია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი არნახული მასშტაბის ბანდიტიზმი არც არასოდეს მოხდარა და არც ასეთი დიდოსტატი ბანდიტი თუ ბანდიტთა ჯგუფი დაბადებულა როდესმე დედამიწის ზურგზე) თვით ეს სიტყვაც "ძალოვანები", შესანიშნავად გვამცნობს, ამ პროფესიის ხალხის ნამდვილი ბუნების შესახებ.

როგორც კი მძევალი პატრონს ჩააბარეს, არც ერთი და არც მეორე კილერი მიამიტას ახლოს აღარ გაჰკარებია... ძალოვანებმა კი მათი "ნოლ-ცხრა" "სლეჟკაზე" აიყვანეს და მისი გადაადგილების მარშრუტი შეისწავლეს. რადგან ფოტოები ჰქონდათ, მელხიორას ამოცნობა აღარ გასჭირვებიათ.

ანი, რის ანი იყო, ქურდებს არ გაჰპარვოდა. ერთხელაც, (ანიმ არ იცოდა, დილა იყო, საღამო თუ შუადღე) როცა სიკვდილის სუნიანმა ნიღბიანმა საჭმელი შეუტანა და უკან გავიდა, მისი გასვლის შემდეგ, ანიმ, რადგან ურდულის გაწევის და გაჩხაკუნების ხმა ვერ გაიგონა, კარის გაღება სცადა. სულ ოდნავ მიაწვა და კარი მართლაც გაიღო. სუნთქვაშეკრულმა, ცოტაზე კიდევ გამოაღო და დაინახა, რომ მის წინ კორიდორი იყო. ანის საშინლად გაუხარდა. თავი გამოყო და დარწმუნდა, რომ სხვა ოთახები მისი საკუჭნაოს მიყოლებით მდებარეობდა. ფანჯრებიდან სინათლე კი გამოდიოდა, მაგრამ კარი დაკეტილი იყო. ჩაკუზულ ანის, სწრაფად და უხმაუროდ უნდა გაევლო კორიდორი და თუკი არავინ გამოვიდოდა, გადარჩენილი იყო. ანი დაიხარა და კატასავით უხმაუროდ გასცდა კარსაც და სინათლიან ფანჯრებსაც. კიბეებიც უხმოდ, კედელზე აკრულმა ჩაათავა და ქუჩაში აღმოჩნდა. ღამე იყო, მაგარი, კუნაპეტი... რატომღაც, მარცხნივ, ზევით გაიქცა და არა ქვევით. ალბათ, ინტუიციამ უკარნახა, რომ იმ სახლის წინ, რომელშიც დამწყვდეული იყო, არ გაევლო და რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა. ცოტას გასცდა ჩუმი სიარულით იქაურობას და როგორც კი შესახვევი დახვდა, მთელი ძალით მოძუძგა. მოკლედ, დაღმართებზე აწვებოდა და მალე

ცენტრალურ ტრასაზეც გამოვიდა. აქ უკვე მანქანების მაგარი მოძრაობა იყო და ანი მიხვდა, რომ “ნაძალადევში”, მეტროსთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ანიმ პირველივე მანქანას აუწია ხელი. ჩაჯდა თუ არა, საათს დახედა. ციფერბლატი ოთხის ნახევარს უჩვენებდა. მძღოლმა კი იმ წამს გაკვირვებულმა მოხედა.

_ რა არი, გოგო, როგორ ყარხარ, საიდან მოდიხარ?

_ შენი ჭირიმე, ვერაზე უნდა წამიყვანო, ორმაგს გადაგიხდი, სამმაგს. ანი ბერიძე ვარ, ანი, ჟურნალისტი... _ ატირდა უცებ ანი. _ არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, მოტაცებული ვიყავი... წუთი არ მძინებია, ერთი... _ ანიმ ამოისლუკუნა და გაჩუმდა.

_ მოტაცებული? შეყვარებულმა მოგიტაცა? _ შეეკითხა მძღოლი.

_ შეყვარებულმა კი არა... მკვლელებმა მომიტაცეს, ნაგვებმა, ველურებმა... ფული ეგონათ იშოვეს, აი, მიიღეს, ახვრებმა... _ სამი თითის კომბინაცია უჩვენა მძღოლს გულმოცემულმა, სამშვიდობოს გასულმა ანიმ...

_ რამდენს ითხოვდნენ? _ რატომღაც თანხის რაოდენობით დაინტერესდა მძღოლი.

_ ასი ათასს...

_ ეჰეე! _ შეუსტვინა მძღოლმა. _ მერე, მაგდენი ფულის გადამხდელი არიან შენი მშობლები?

_ ქმარს სთხოვდნენ, ჩემს ქმარს, მშობლებს კი არა... _ ეწყინა ანის.

_ ვინ არი შენი ქმარი, ბიზნესმენია?

_ იმას რომ ჰკითხო, კი... ვალუტჩიკია, პუნქტები აქვს ვალუტის გადამცვლელი...

_ და როგორ დააღწიე თავი, რანაირად გამოექეცი მაგ ნაბიჭვრებს?

_ კარის დაკეტვა დაავიწყდა, გათიშული იყო სულ, იჩხირავდა ალბათ, ვისაც საჭმელი შემოჰქონდა ჩემთან... სიგარეტი არ გექნება? _ სთხოვა ანიმ.

მძღოლმა პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა ამოუღო და მანქანის “ტორპედოზე” დაუყარა. ანიმ მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. ახლაღა შეამჩნია, ჭუჭყით თითები რომ გაშავებოდა. დაიკიდა. გვერდზე გაიხედა. ფიქრებში წავიდა. მძღოლმაც აღარაფერი უთხრა, სადგურის ქუჩა გაიარა და ვარაზის ხევისკენ აუხვია. და, უცბად, სიგარეტით ხელში, ანის ჩაეძინა მანქანაში. მძღოლმა გააჩერა. ანთებული სიგარეტი თითებიდან ამოაძრო და გადააგდო. ცოტახანს უყურა. მერე მანქანა მოატრიალა, მოძრაობა დაარღვია, ხერძულა ხაზი გადაკვეთა და უკან დააწვა. კატასტროფულად არ უმართლებდა ანის... …

ახალი სამყოფელი, სადაც ანის გამოეღვიძა, ჩვეულებრივი, თუნუქის ავტო-ფარეხი იყო. ძველი, ადამისდროინდელი ჟიგულის უკანა სავარძელზე ნებივრობდა მიყუნტული. ზედ კი ლურჯი ადიალა ეფარა, ოდესღაც საავოდმყოფოებში რომ ეფარათ ავადმყოფებს. ჯერ ვერ მიხვდა სად იყო, ან რატომ ეძინა, ჯართადქცეულ მანქანაში. და როცა ნელა-ნელა დაუბრუნდა ცნობადობა, როცა გაახსენდა როგორ გაექცა გამტაცებლებს, როგორ გააჩერა მანქანა და... კრიჭა შეეკრა, ეგონა ყბა მოეღრიცა... მიაწვა კარს. მერე წიხლი ჰკრა. მაგრად იყო დაკეტილი. მთელი ძალით დაუშინა მუშტები მანქანის სახურავს და აბღავლდა, როგორც მხეცი, ნადირი, როგორც დაჭრილი ვეფხვი გალიაში. იქვე დაგდებული რაღაც რკინის არმატურის ნაჭერი იპოვა, აიღო და მთელი

ძალით დაუშინა, ისედაც გაუბედურებულ მანქანას, არაფერი დაუტოვა მთელი, დალეწა, ნაფშხვენებად აქცია ყველა ფანჯარა, წინა და უკანა მინა... დაიღალა, დაეცა ბეტონის იატაკზე, ფხოჭნიდა მიწას თითებით და გმინავდა, მისტიროდა, ხელიდან უნებურად გაშვებულ თავისუფლებას, აგინებდა მთელ სამყაროს, ყველას და ყველაფერს, ცოცხალსაც და მკვდარსაც, ზეცასაც და მიწასაც... ბოლოს დაიღალა, ჩაჯდა მანქანის მინის ნამსხვრევებით სავსე წინა სავარძელში და ბედს მინებდა. მიხვდა, რომ დიდხანს არ მოუწევდა ლოდინი, იცოდა მოაკითხავდნენ, მიხვდა ასი ათასს რომ დახარბდა ტაქსის მძღოლი... ფარეხის უკანა თუნუქში მკლავის სიმსხო ნაჩვრეტი იყო, საიდანაც მხოლოდ ორიოდ მეტრში ახორხლილი მიწაყრილი ჩანდა, მეტი არაფერი... რაღაც ფიცრის ნაჭერი იპოვა, ამ ნაჩვრეტის გვერდზე დაჯდა და დაელოდა, გადაწყვიტა, თუ ვინმე აქედან შეეხმიანებოდა, რკინის ნაჭრით თავი გაეხეთქა. იმედი ჰქონდა, მოასწრებდა და თვალს მაინც გამოსთხრიდა... უკვე ბნელდებოდა, როცა ფარეხთან მანქანა გაჩერდა და ვიღაცამ კარზე მოუკაკუნა. “ცოცხალი ხარ”? გაისმა კარს იქიდან მამაკაცის ხმა. ანიმ სული შეიგუბა, ხმას არ იღებდა. იქნებ ნაჩვრეტთან მოვიტყუოო, ფიქრობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ის კაცი ნაჩვრეტთან მისვლას სულაც არ აპირებდა. აკაკუნებდა და ხმა გამეცინო, გაიძახოდა. ანის მობეზრდა ლოდინი. მთელი ძალით მოიქნია არმატურა და კარს ხეთქა. კარმა ჟღრიალი მოიღო და დადუმდა. “ოჰო”, ჩაილაპარაკა კაცმა, “კაი ღონიერი ყოფილხარ. მომისმინე. შენ ქმარს ველაპარაკე ტელეფონზე, ორ-სამ დღეში სახლში იქნები”. “ვინ მოგცა ჩემი ტელეფონი?” შეეკითხა ანი. “ტელევიზიაში დავრეკე, შენთან სამსახურში, ასე რომ, ცოტა უნდა მოითმინო”... და კაცმა კარს მაღლა ნაპრალიდან ცელოფანში გახვეული მრგვალი ლავაში შემოუგდო. “აბა კარგად, თუ მოგწყურდეს, უკან სავსეა კასრი”, მოისმა ისევ გარედან და მანქანის დაქოქვის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, ის ვიღაც ახვარი თავისი გზით წავიდა. ანიმ პური მოიტეხა და მადიანად გაკბიჩა. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მას გადახდა, ორი-სამი დღე ბევრი არ ეჩვენა.

მურადმა რომ გაიგო, გამტაცებლები ოცი ათასზე ჩამოვიდნენო, ძალიან გაუკვირდა.

_ ეს უკვე რეალური ფასია. _ უთხრა მას თაზომ. _ იქნებ ჯობდეს, თქვენ საერთოდ გახვიდეთ თამაშიდან? თქვენი ამბავი რომ ვიცი, მეშინია რამე უარესი არ მოჰყვეს ამ ამბავს.

_ უარესი ის იქნება, ფული წაიღონ და ცოლი არ დაგიბრუნონ. _ გააფრთხილა მურადმა, _ ან რა გარანტია გაქვს, რომ ცოცხალია?

_ თუ პოლიცია ჩაერია, გააცოცხლებს? _ შეეკითხა თაზო, რომელმაც არ იცოდა, რომ მისი ლაპარაკი უკვე ისმინებოდა და პოლიცია ოპერაციის ჩასატარებლად, უკვე მომზადებული იყო. ასე რომ, თაზოს უნდოდა თუ არ უნდოდა, აღარავინ ეკითხებოდა.

_ მე პოლიციას კატეგორიულად გამოვრიცხავ, ამ ამბავში არ ჩაერიოთ! ეს ჩვენი თხოვნაა, მთელი ოჯახის! _ უთხრა ბოლოს თაზომ.

_ როგორც გინდა, არ ვიცი, ბოლოს სანანებელი არ გაგიხდეს... _ მაინც ურჩია მურადმა.

_ ეგ ჩვენი პრობლემაა. _ უთხრა თაზომ და ტელეფონი გათიშა.

ყველაზე რთული ფულის გადაცემის პროცესი აღმოჩნდა. ანის დაბრუნებაზე, უცნობი მაგრად ახტა. ეგრევე დედის გინებაზე გადავიდა, რა თქმა უნდა, საკუთარი დედის.

_ როგორ, ჩემი დედა... ქურდის სიტყვას არ ენდობი? _ ყვიროდა მიკროფონში უცნობი. _ ქურდებს ელაპარაკები, ბიჭო, ვინმე ნაბოზრებს კი არა! ფარა ჩავიდოთ და სიტყვას გადავიდეთ? ფუფლოჩნიკები კი არა ვართ...

_ კაი, კაი, გასაგებია... _ უთხრა თაზომ. _ სად მოვიტანო?

_ მომისმინე, ჯიგარო? _ ნორმალურ ლაპარაკზე გადავიდა მოპასუხე. _ ასე შევთანხმდეთ. ზუსტად შვიდზე, საღამოს. ბარათაშვილის ხიდს გადმოსცდები თუ არა, მარცხენა სანაპიროზე, იქვე, როგორც კი მარჯვნივ დაუხვევ, მუქი ფერის ბეემვეში ვიჯდები... ჰო, იცი, პატარა საეჭვოც რომ შევნიშნოთ, ძმაო? ჩათვალე რომ ტრუპი ხარ!

_ რა საეჭვო, გამორიცხულია. მე გოლფით მოვალ. ღია, იასამნისფერი. ანი? _ ჰკითხა თაზომ.

_ ის თვითონ მოვა სახლში, გელოდები მაშ. შევთანხმდით...

ტელეფონი გათიშეს. ფულს იმდენად არ ჩიოდა თაზო. მართალია, ეს ძალიან დიდი ფული იყო მისთვის, მაგრამ ორ ან სამ ვალუტის პუნქტს შეველევი და დღეს-ხვალ მაინც ამოვალ ვალებიდანო, ფიქრობდა. კი, ათასნაირი ეჭვი ღრღნიდა, მაგრამ რა ექნა, სხვა გზა არ ჰქონდა, რისკზე უნდა წასულიყო და თაზოც საღამოს შვიდისთვის, რომ დაინახა ხიდს იქით ბეემვე გაჩერდა. თავისი მანქანა იმ მანქანას მარჯვნიდან მიაყენა. ბეემვეს შუშები ჩამუქული ჰქონდა. თაზომ მარჯვენა შუშას ჩაუწია. ბეემვემაც ჩამოწია წინა შუშა და თაზომ ოციათასიანი დოლარების პაჭკა ფანჯარაში გადაუგდო. ბეემვე დაღმართზე დაეშვა. თაზომ კი მოძრაობა დაარღვია, შემოატრიალა და სახლისაკენ დაგაზა.

ოჯახის წევრები ტელევიზორს უყურებდნენ და ანის გამოჩენას ელოდნენ. ამაოდ. უკვე ათი საათი გახდა. ანი კი არსად სჩანდა. ტელევიზორში “ახალი ამბები” მიდიოდა. ყველას რაღაც ცუდს უგრძნობდა უკვე გული, როცა დიქტორმა საშინელება გადმოსცა.

_ დღეს სროლის ხმა ისმოდა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც სპეცნაზსა და მუქი ფერის უნომრო ბეემვეში მსხდომთა შორის, ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. თავდაპირველად, საეჭვოდ მოძრავი უნომრო ბეემვე არ დაემორჩილა პატრულის თანამშრომელთა მოთხოვნას და მოძრაობა განაგრძო. ამიტომ საჭირო გახდა სპეცნაზის გამოძახება. სპეცნაზელთაგან არავინ დაშავებულა. ორი რეციდივისტიდან ერთმა მოახერხა მიმალვა, ხოლო მძღოლი, ტარიელ ილურიძე ადგილზე ჩაცხრილეს... რის გამოც ბეემვე ბორდურზე ავარდა და განათების ბოძს შეეჯახა. ვარაუდობენ, რომ მოკლულიც და გაქცეულიც გახმაურებულ ლევან იაშვილის მკლელობასთან არიან კავშირში. თუმცა გამოძიებას ზუსტი დასკვნების გამოტანა ამ ეტაპზე უჭირს...

ეკრანზე აჩვენებდნენ დამტვრეულ მანქანას. ნიღბიან სპეცნაზელებს. უსულოდ, ნახევარი ტანით გადმოკიდებულ მძღოლს და მის მართვის მოწმობას.

თაზომ მანქანა იცნო და რადგან დიქტორმა ფულის შესახებ არაფერი თქვა, მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა. პირველი, რამაც თავში გაუელვა, ის იყო, რომ გამომძიებელმა მოატყუა. პოლიციამ, მისი და გამტაცებლების შეხვედრის შესახებ, ყველაფერი იცოდა. ერთი ჩაცხრილეს, მეორე გაიქცა. ისედაც და ასედაც,

რეციდივისტების ჩაშვება, ყველა ვარიანტში მას ბრალდებოდა. ეს კი იგივე იყო, რომ ანისთან ერთად ისიც სასიკვდილოდ გასწირა პოლიციამ. იმხელა მონსტრთან ომი, რამხელაც ქართული სპეცნაზია, თაზოსთვის წარმოუდგენელი იყო და სანამ ანის მოკლავდნენ, სასწრაფოდ ჯაბა აფციაურზე უნდა გასულიყო, როგორმე. ასე, დიმიტრი თავდადებულივით ცოცხალი თუ ჩაბარდებოდა მტერს, თორემ ისე, ქურდების თქმისა არ იყოს, ასიანი "ტრუპი" იყო ჩვენი თაზო. თაზომ არ იცოდა ფული ვინ წაიღო, _ თუ გაქცეულმა და არა პოლიციამ, რაღაც იმედის ნაპერწკალი რჩებოდა.

დაწოლა არც უფიქრია. იჯდა სავარძელში და მაინც უცდიდა ანის, ვინ იცის? დილასღა, გათენებისას წასთვლიმა...

გაეღვიძა თუ არა, ეჭვი, რომ ფული სპეცნაზმა ჩაიჯიბა, რადგან ანი არ დაბრუნდა, თაზოს გაუათკეცდა. და რადგან არც ტელეფონზე შეეხმიანა ვინმე, თაზო ჯაბა აფციაურის მოსაძებნად მის ძველ უბანში, ნაძალადევში გავარდა. ჯაბას დიდი ხანია სახლი გაეყიდა და სხვაგან გადასულიყო. მაგრამ სად, მის სახლში მცხოვრებმა ახალმა მობინადრეებმა არ იცოდნენ. სამაგიეროდ, მეზობელმა, ვილი მარდალეიშვილმა იცოდა, რომ მანქანების ბაზრობის ახლოს, სამ ბოქსიანი პროფილაქტიკა ჯაბასი იყო და სულ იქ არის დღე და ღამეო, უთხრა. თაზოს ჯაბა პროფილაქტიკაში არ დახვდა, კვირაზე მეტია ჩვენც არ გვინახავს თვალითო, უთხრეს ხელოსნებმა. შიგადაშიგ, ტელეფონზე თუ შეგვეხმიანებაო და ჯაბას მობილურის ნომერი მისცეს.

თაზომ იმ წამს გადარეკა ჯაბასთან და ანის ქმარი ვარ, თაზო კელაპტრიშვილი, თქვენი ნახვა მინდაო, უთხრა. აი, ასეთ მეგა-ტრაგიკულ მომენტში, კომიკური სიტუაცია ჩაჯდა. რა უნდა ეფიქრა ჯაბას? რატომ უნდა სდომებოდა იმ ქალის ქმარს მასთან შეხვედრა, რომელიც მოიტაცა, გააუპატიურა და სულელურად გაექცათ? იმ ქალბატონმა ჩამიშვა და ახლა ქმარი, ალბათ, მოკვლას მიპირებსო, სხვა რა? ერიჰაა, ესღა მაკლდაო, გაიფიქრა, მაგრამ "სტრელკაზე" უარს ხომ ვერ ეტყოდა და ნახევარ საათში, ვაგზალზე, გადასასვლელი ხიდის თავში, ნაძალადევის მხარეს, ყვითელ "ნოლ-ცხრაში" ვიჯდებიო, უთხრა. ასე რომ, ნახევარ საათში შეიარაღებულ ჯაბას და მელხიორას, ცოცხალ-მკვდარი, მიტკალივით გათეთრებული ჯაბა მანქანაში ჩაუჯდათ და ხელები ასწია.

_ მე არაფერ შუაში ვარ, ჩემი დედა მოვტყან, მე თუ გამეყიდნეთ! _ ეს კი მოახერხა თაზომ და ხელები დაუშვა.

ორივე რეციდივისტი გაკვირვებული მოტრიალდა მისკენ. არ იცოდნენ რა უნდა ეკითხათ. ბოლოს ისევ მელხიორამ მოიფიქრა.

_ მაშ ვინ? იცი, ვინც გაგვყიდა? _ მკაცრად ჰკითხა მან თაზოს. თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას ეკითხებოდა.

_ არც მე ვიცი. _ ამოღერღა თაზომ. _ მე ოცი ათასი, რაც უნდა მომეტანა, მოვიტანე და ჩემ გზაზე წავედი. _ და მეტი ვეღარ მოითმინა. _ ანი ხომ ცოცხალია? _ რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჯერ ეს აინტერესებდა თაზოს.

რაღაც გაუგებრობას რომ ჰქონდა ადგილი და ეს გაუგებრობა, რომ მათ წისქვილზე ასხამდა წყალს, ორივე ქურდმა ეგრევე მოწვა... მაგრამ რა ეპასუხათ? ხანგრძლივი, მძიმე დუმილი ჩამოწვა...

ძალიან მაგრად შეეშინდა ასეთი ხანგრძლივი პაუზის გამო თაზოს.

_ ჰო ცოცხალია? _ იკითხა ისევ თაზომ.

_ ჰო, ცოცხალია? ჯერ-ჯერობით... _ თქვა ბოლოს მელხიორამ.

_ ფული ვინ წაიღო? ერთი ხომ გაექცათ? _ ახლა ფულის ამბავი აინტერესებდა თაზოს.

და მელხიორამ ეგრევე იყიდა რაზეც იყო საუბარი. მთელი წინა საღამო ამ ამბავს არ არჩევდნენ? ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ აბრალებდა ლევან იაშვილის მკვლელობას პოლიცია ვიღაც ტარიელ ილურიძეს, რომელსაც ნამდვილი მკვლელები საერთოდ არც იცნობდნენ. ანი შინ არ დაბრუნებულა, სხვებმა "მოჯოკრეს", ამან დააბოზა პოლიციასთან, იმათაც ქეშზე ინადირეს და ამას კი ჰგონია, ისევ ჩვენთან არის ანიო. სწორზე-სწორი დასკვნა გამოიტანა მელხიორამ. ფეხზე არ ეკიდა, ანი ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი? ამ ამბავს კაი კუშის სუნი ასდიოდა.

_ რომელი ფული? პოლიციამ რომ წაიღო? შენ გაგიგია, ძმაო, ბოზობას და ჩათლახობას რომ ვინმეს პატიობდნენ? _ ადგა და პირდაპირ დააჯახა თაზოს.

_ არ დამიბოზებიხართ, რა დავიფიცო!? დანომრილ ფულს პოლიცია რატომ წაიღებდა? ჩემი ტელეფონი ისმინება, ეტყობა... _ ეს უკვე ნაფიქრი ჰქონდა თაზოს. იცოდა, ეს თუ გადაარჩენდა, მასაც და ანისაც, სხვა არაფერი...

_ სწორს ბაზრობს... _ ჩაერია ჯაბა. _ დანომრილ ფულს პოლიცია ხელს არ მოკიდებდა... _ მიხვდა, თუ ანი მკვდარი იყო, ან ერთი-ორი დღე არ გამოჩნდებოდა, ამ პინგვინს თავისუფლად აახევდნენ ორ იმდენს, რაც პოლიციამ წაიღო... და უმაღლესად მიაწვა. _ შენ რა? გარიგებაზე წამოვალთ, გგონია? ძმა გავყიდო, სიმონ, პოლიციამ რომ ჩამიცხრილა, ჯერაც რომ არ გაციებულა?

თაზომ ახლა კი მიხვდა, რომ გადარჩა. ანიც, თუ ჯერ ცოცხალი იყო... ქურდები გარიგებაზე მოდიოდნენ.

_ მეც რომ მართალი ვარ? _ ჩაილაპარაკა და პასუხს დაელოდა.

_ ჰო, სულ აირ-დაირია ყველაფერი... _ ჩაილაპარაკა მელხიორამ. _ ის კაცი დასამარხია. პოლიცია ჩვენ მოგვაწვება... მაყუთის გარდა, ამ ყველაფერს ვერაფერი ჩაფარცხავს...

_ მე გადამხდელი ვარ... _ გავყიდი ყველაფერს, ოღონდ გადავრჩეო, ფიქრობდა თაზო.

_ ასი შეგიძლია? _ აღარ დაელოდა ჯაბა მელხიორას.

_ არა, მაგდენი საიდან? _ ალალად წამოსცდა თაზოს. _ თუნდაც ოცდაათი კიდევ, ჰო... ოღონდ ცოლიც უნდა დამახსნევინოთ...

_ ოცდაათი, ბიჭო, დასაფლავებას და სასაფლაოსაც კი არ ეყოფა, არ იცი შენ?

_ სასაფლაოს გააჩნია... _ თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ და როგორ წამოსცდა თაზოს.

მელხიორამ კუშტად გამოჰხედა.

_ შენ, ბიჭო, ტყვია ხომ არ მოგნატრებია?

_ წამომცდა... _ აღიარა თაზომ.

_ კაი, ორმოცდაათი... _ სასწრაფოდ ჩაერია ჯაბა, რომ შეატყო სხვა მხარეს მიდიოდა საუბარი.

_ სახლი უნდა გავყიდო. _ ისევ წამოსცდა თაზოს...

_ ეგ შენი პრობლემაა! _ მიაგება ჯაბამ. _ ჩვენ, თუ ცინკის კუბოთი არ გინდა ჩაიბარო ცოლი, ხვალ დილის თორმეტ საათამდე გაძლევთ ვადას... მერე გინდ სახლი გაყიდე, გინდ აგარაკი, რა ჩემი საქმეა?! შენ ამბობ, რომ შენი ნომერი ისმინება, ხომ? აქ გელოდებით, თორმეტზე. დამთავრდა! _ ორივე ხელი ასწია ჯაბამ.

_ კაი! _ თქვა თაზომ და მანქანიდან გადავიდა. რას წარმოიდგენდა, რომ ანი, სადღაც სამგორის მიტოვებულ აგარაკებზე, ავტო-ფარეხში გამომწყვდეული, შიმშილის გამო, მიწას ჭამდა?

კიდევ დიდხანს იფხრიწებოდნენ სიცილით მანქანაში დარჩენილი ჯაბა და მელხიორა, თაზოს პინგვინობაზე და დიდი ქეშის მოლოდინში, ტუჩებს ილოკავდნენ. თუმცა, “ბევრმა სიცილმა მწარე ტირილი იცისო”, კიდევ, “ღმერთი ბჭობდა და პოლიცია იცინოდაო”, ნათქვამია. ანი გაქრა. ოცი ათასი დოლარი სპეც-ნაზელებმა ჩაიჯიბეს და გაიპარაშვილმა სხვა მოწმეების მოცილებაც გადაწყვიტა. მერე რა, რომ სპეცნაზელები იყვნენ, “მკვლელს მკვლელობა უტკბებაო”, ნათქვამია. როგორც კი “გოლფი” და “ყვითელი პერლამუტრი” დასცილდნენ, სპეცნაზელები, რომლებიც იმ დღეებში თაზოს უთვალთვალებდნენ და მშვენივრად იცოდნენ, “ნოლ-ცხრაში” ვინც იჯდებოდნენ, “ყვითელ პერლამუტრს” დაედევნენ. ნოლ-ცხრამ ხიდთან გადაუხვია და კუკიას გზას დაადგა, სპეცნაზელები გვერდით ამოუდგნენ და ცეცხლი გახსნეს. “ნოლ-ცხრა” ბორდურზე შეხტა, და გორაზე ავარდა, მერე ცხვირი დაჭრილივით ცაში ასწია, უკან გადაბრუნდა და დაღმართზე სამჯერ ამოტრიალდა. ამ ამბის თვითმხილველი არავინ იყო.

შინ მისული თაზო პირდაღებული უმზერდა, ტელევიზორს. ტანისამოსზე იცნო ორივე, ვისაც ცოტა ხნის წინ ესაუბრებოდა. მისი და ანის სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი ისევ სასწორზე იდო. რა თქმა უნდა, თუკი ანი ჯერაც ცოცხალი იყო. და საბოლოოდ მოთავებული და კურდღელივით შეშინებული თაზო მურად ოქროპირიძის სანახავად გავარდა.

_ რა ხდება ეს, გამაგებინეთ, რატომ ხოცავენ ამდენ ხალხს? _ ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელიც მან გამომძიებელს დაუსვა. _ სად არის ჩემი ცოლი? როგორ გამოვიხსნა?

_ მე პატარა კაცი ვარ... მე რა შემიძლია? _ მხრები აიჩეჩა გამომძიებელმა. და თაზოს შეხედა. _ დარჩა ნეტავ კიდევ ვინმე ცოცხალი? _ იკითხა მან და სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

_ მიამიტა, რომელიც ციხეში მოკვდა, ამ სამი წლის წინ... _ მოახსენა თაზომ.

_ მიამიტა? თუ მოკვდა ცოცხალი როგორღაა? _ გაუკვირდა გამომძიებელს.

_ ჩვენ მაგის სახელის ხსენებაც არ გვინდოდა თქვენთან... _ მერე კი, თავისი დის ამბავი დაწვრილებით მოუყვა. მიამიტას ბოლო წერილის შესახებაც...

_ მოიცა, მოიცა... _ და, ალბათ, ცხოვრებაში პირველად ამუშავდა მურადის ტვინი. _ წუხანდელი ინციდენტის შემდეგ, მაგათ შენ არ დაგირეკეს, შენ თვითონ დაურეკე, ხომ?

_ რა ინციდენტი?! ინციდენტია, ამდენი ხალხის ხოცვა-ჟლეტა? _ გადაირია ისევ თაზო.

_ იმ კაცს ვისაც შენ ფული მიეცი, მე გადავამოწმე და მაგ ბანდასთან არაფერი კავშირი არ აღმოაჩნდა, ეგენი ერთმანეთს არ იცნობდნენ... _ თაზოს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და თავის ინტუიციას მიჰყვა გამომძიებელი. _ ჰო... ის მათი ბანდის წევრი რომ ყოფილიყო, შენ ახლა მკვდარი იქნებოდი... შენ ვის მიეცი ფული?

_ ვინც გუშინ საღამოს მოკლეს. ტარიელ ილურიძეო, ასე გამოაცხადა დიქტორმა... _ უპასუხა დაეჭვებულმა თაზომ.

_ ჰოდა, იცი ვინ იყო ეგ კაცი?

_ საიდან უნდა ვიცოდე? _ ხელები გაშალა თაზომ.

_ ჰოო, ტაქსაობდა... მაგრამ იქამდე, სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, ეგ კაცი "მესამე რეოს" დირექტორი იყო, იცი შენ?

_ "რეო" რაღა ჯანდაბაა? _ იკითხა თაზომ.

_ იგივე პროფტექნიკუმი, ხარატობას და რაღაც ამდაგვარ ხელობას ასწავლიდნენ მოწაფეებს... რატომ უნდა დაერეკა მაგას, თუ იმ ბანდის წევრებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა?

_ აბა, მე რა ვიცი... _ თავში ხელი შემოირტყა თაზომ.

_ ჰოდა, წავედით მე და შენ მაგის სახლში!

_ რატომ? _ ვერაფერს მიხვდა თაზო.

_ წამოდი მივუსამძიმროთ, ვითომ მოწაფეები ვიყავით მაგისი და ჩვენი დირექტორი იყო.

თაზომ, რომელიც ცოლის "გოლფით" დადიოდა, მანქანა დაკეტა და მურადს ჩაუჯდა. ვაჟას მეორე კვარტლის, ერთ-ერთ ცხრასართულიან "ხრუშჩოვკასთან" გააჩერა მურადმა და გადავიდა. მე ავალ, შენ იყავიო, თაზო მანქანაში დატოვა და თვითონ, ვითომ ჭირისუფალთან სამძიმარზე ავიდა.

გაიოზი, რომელიც გაკვირვებული და დაკვირვებული უყურებდა ტელეეკრანზე "ახალ ამბებს", გაოცებას და გაცოფებას ვერ მალავდა, ძალოვანების მორიგ არამზადულ ტყუილზე, რომლებმაც ლევან იაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილად, ხოლო ყაჩაღთა ბანდა ლიკვიდირებულად გამოაცხადეს. ხოლო, როცა დიქტორისგან შეიტყო, რომ ორივეს გვამი პროზექტურიდან რესპუბლიკური საავადმყოფოს მორგში გადაასვენესო, დანა აიღო, პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო და თავისი ყოფილი სიძის მოსაკლავად წავიდა. იცოდა, მიამიტა აუცილებლად იქ, სადმე, მორგთან შორიახლოს იტრიალებდა. ასეც იყო, მიუხედავად დიდი განსხვავებისა, სიბერისა თუ წვერისა, დაინახა თუ არა, მაშინვე იცნო. ორნი ისხდნენ თეთრ "ნივაში". ერთი ლაწირაკი, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭი საჭესთან და გვერდით სავარძელში კი მიამიტა. გაიოზი მივიდა, "ნივის" კარი გამოაღო და გაკვირვებულ და პირდაღებულ "მიამიტას" თავისი ღორის დასაკლავი, ხანჯლის პირიანი დანა მთელი ძალით ჩასცხო მუცელში. მიამიტამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, დანაზე ორივე ხელი უტაცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გაიოზმა ამდენი წლების განმავლობაში დაგროვილი ბოღმა, ერთ წამში ამოიღო, დანა მუცელში დაუტრიალა და გულის მხარეს აახია. იგრძნო, როგორ გაკვეთა შიგნეული დანის პირმა. მიამიტამ თავი გვერდზე გადააგდო და პირიდან სისხლი წასკდა. გაიოზმა დანას ხელი უშვა, შიგ ჩაუტოვა და მოკლულს კეთროვანივით მოსცილდა.

_ მოვკალი! მოვკალი! _ იყვირა მთელი ხმით და სისხლიანი ხელები და თავი ზეცისაკენ ასწია. თითქოს ღვთის დავალებას ასრულებდა. ტყვია შიგ საფეთქელში მოხვდა. ხელებაწვდილი ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა და ასფალტზე უსულოდ გაიშხლართა.

მურადი კარგა ხნის მერე გამოვიდა მიცვალებულ ტარიელ ილურიძის ბინიდან. მანქანაში მობილიზებული ჩაჯდა.

_ წავედით! _ ეს ერთი სიტყვა თქვა და გაზის აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა თაზომ.

_ სამგორში, მიტოვებულ აგარაკებზე. _ თქვა თავის თავში მაგრად დარწმუნებულმა მურადმა. _ ასით არა, მაგრამ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დარწმუნებული ვარ.

_ და როგორ მივაგნებთ მერე? _ ვერ დაიჯერა თაზომ მურადის ნათქვამი.

_ გაგვაგონებს, ალბათ... არ გაგვაგონებს? _ იკითხა დაბნეულმა მურადმა.

_ მაგრამ თუ მკვდარია? _ იკითხა თაზომ.

_ თუ მკვდარია? მაშინ ვერ გაგვაგონებს, ნაღდად... _ თქვა მურადმა და ამ სიტყვებზე ორივეს გაეღიმა. დაძაბულობაც მოეხსნათ.

მანქანა კახეთის გზატკეცილზე მიქროდა და ბღაოდა.

ერთ დროს სუფთა და მოვლილი აგარაკები, ისე იყო დანგრეული და გაპარტახებული, ომგამოვლილს, დაბომბილს ჰგავდა იქაურობა.

_ ანი! ანი! _ ყვიროდნენ მანქანიდან გადმოსული ქმარი და საყვარლობის პრეტენდენტი.

_ აქა ვარ, აქ? _ აშკარად შემოესმა ორივეს იმ წუთას ანის ხმა.

_ მომეჩვენა? _ ვერ დაიჯერა თაზომ და ძახილი გაიმეორა. პასუხი ისევ შემოესმათ.

ორივე იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

_ ანი, ანი! _ დაიყვირა კიდევ თაზომ.

_ აქა ვარ, აქ! _ უკვე ახლოდან უპასუხა ქალის ხმამ.

_ აქა ხარ? _ დაუბრახუნა ფარეხის კარს თაზომ, რომელმაც მურადს გაასწრო და პირველი მივიდა. _ ცოცხალი ხარ?

_ ჰო, ჰო! _ უპასუხა ანიმ.

_ გაიწი! _ მოარიდა თაზო კარს მურადმა, იარაღი ამოიღო და მთელი მჭიდი დააცალა ბოქლომს.

_ რუსული ჯართია, ამას რა გატეხავს, მე ამის... _ შეიგინა მურადმა, როცა ნახა, რომ ბოქლომი არ გაიხსნა. მხოლოდ პატარა ნაჭდევები დაეტოვებინა ტყვიებს. _ წავალ, ნაჟოვკა მაქვს მანქანაში, მოვიტან და გადავხერხოთ. _ თქვა მან და ხერხის მოსატანად წავიდა.

_ რა ხდება? _ იკითხა შიგნიდან ანიმ.

_ ხერხს მოიტანს და ბოქლომი უნდა გადავხერხოთ. სხვანაირად ვერ გავაღებთ. _ უპასუხა თაზომ. _ როგორა ხარ?

_ ყველაზე უკეთესად... _ უპასუხა ანიმ.

სანამ ბიჭები ბოქლომს ხერხავდნენ, ანის ეს დრო საუკუნედ ეჩვენა, "რა ხდება? იხერხება?" მოუთმენლად კითხულობდა შიგნიდან ანი.

_ ცოტაც, ცოტაც... _ პასუხობდნენ ბიჭები. ბოლოს, როგორც იქნა, გადახერხეს, ბოქლომი.

თაზომ გამოაღო კარი და ხელი ჰკრა.

კართან ლურჯ ადიელაში გახვეული, ჭუჭყიანი, თითებდაჭმული, დაღლილი, მშიერ-მწყურვალი ანი იდგა და თვალებს ველური ტყის ალივით აბრიალებდა. ის, მიუხედავად ყველაფრისა; ტყვეობისა, შიშისა და შიმშილისა, მაინც იგივე ანი იყო, მებრძოლი, გაშმაგებული მტაცებელი...

ვერ გეტყვით, ვინ, რამ, როგორ უკარნახა მურად ოქროპირიძეს ამ გორდიას უკანასკნელი კვანძის გახსნა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო, ანის სამყოფელის აღმოჩენა, ჯერ-ჯერობით, მისი ყველაზე წარმატებული და მისთვის თუ ანისთვის და ყველასთვისაც, ალბათ, მნიშვნელოვანი საგამოძიებო პროცესი გახლდათ.

ვერც გაიოზის უეცარმა სიკვდილმა მიაყენა ამ ყოველივეს ჩრდილი. ვერც იმას გეტყვით, როგორ წარდგება უმაღლეს სამსჯავროზე მისი სული, მაგრამ ის, რომ მის ქმედებაში იყო რაღაც ამაღლებული და ღირსებასთან მიახლოვებული, ეს უდავოა.

II წიგნის დასასრული

თამაზ მეტრეველი

ველური წაბლის ხეივანი

ნ ო კ ა უ ტ ი

წიგნი III

მაიამ ქარელის ბორდელს, სულ რაღაც, ორი-სამი საათის წინ დააღწია თავი. ჩაძინებული მთვრალი თურქის საფულედან ზუსტად იმდენი ამოიღო, რამდენიც თურქს უნდა გადაეხადა, ორმოცდაათი დოლარი. მოკიდა ზიზის ხელი, მკერდზე მიიხუტა, ჩაყვინთულ მორიგეს ჩუმად აუარა გვერდი და ტრასამდე სულ სირბილით ჩაეხეთქა. მის ბედზე, რაღაც "კრაზმა" გამოიარა, ხე-ტყით დატვირთულმა და გაუჩერა. მაიამ კაბა ლამის ტრიკომდე აიწია, გაუშვი, დატკბეს ეს ვირიშვირილიო, გაიფიქრა. მძღოლი მთლად ახალგაზრდა ბიჭი აღმოჩნდა. შეეცოდა, ალბათ, ღამის სამზე, ტრასაზე მარტოდ მყოფი ქალი, ან დამლაპარაკებელი სჭირდებოდა და მაია ამიტომ თუ აიყვანა. მაიამ ეს დასკვნა იმიტომ გამოიტანა, რომ მძღოლს მისი მსუქანი "ლიაშკებისთვის" ზედაც არ შეუხედავს. ატრიალებდა საჭეს და თავისთვის ღიღინებდა. მაიამ უმზირა, უმზირა და გაიცინა.

_ რა გაცინებს? _ მიუბრუნდა მძღოლი.

_ სასაცილოა, აბა რა, მღერი. _ უპასუხა მაიამ.

_ ერთ გზაზე, ხუთასი ლარი შენც რომ ჩაიჯიბო, შენც ამღერდები. _ უპასუხა მძღოლმა და დაამუხრუჭა. მერე სარკეზე სამაგრით დაკიდებულ ხუთლარიანებს, ერთი გამოაძრო და კაბინასთან მოახლოვებულ ინსპექტორს მიაწოდა.

უხმოდ განაგრძო გზა.

_ ახლა რატომ აღარ ღიღინებ? _ გაეცინა მაიას.

_ რომ გავკარი ყველა ინსპექტორს ერთად... _ თქვა მძღოლმა და სიგარეტს მოუკიდა.

_ მომაწევინე! _ თხოვა მაიამ.

მძღოლმა კოლოფი წინ დაუგდო.

_ ამათ გამო, საათნახევარს მაინც ვკარგავ გზაში... ნეტავ, ხდება სხვაგან ასეთი რამე?

_ არა მგონია, _ თქვა მაიამ, _ ვინ დააღუპინებს მაგათ ქვეყანას ჩვენს მეტი...

_ მართალი ხარ! _ დაეთანხმა მძღოლი. _ საიდან მოდიხარ?

_ საიდან და ბარდელიდან გამოვიპარე. საიდან უნდა მოვდიოდე ამ შუაღამისას? _ უპასუხა მაიამ.

_ სუფთა ტეხასი და დალასია, _ თქვა მძღოლმა.

_ რას ამბობ, ბიჭო, დალასი და ტეხასი რომ იყოს, გამოვიპარებოდი? ჯუნგლებია, კონგო, მოზამბიკა, კამბოჯა...

_ ჰოო, მართალი ხარ! _ გაიცინა მძღოლმა. _ მეც შევადარე რა? სამუდამოდ წამოხვედი?

_ კი, თუ ვეღარ მომაგნო ჩემმა საყვარელმა შვილმა...

_ შვილმა? _ შეუსტვინა გაკვირვებულმა მძღოლმა.

_ ჰო, წამალზე ზის. რა გაგიკვირდა? _ ეწყინა მაიას.

_ განა რამხელა შვილი გყავს? _ შეეკითხა მძღოლი.

_ ოცდაორის... _ უპასუხა მაიამ. ღრმა ნაფაზი დაარტყა და ჰაერს ლამის გულიც ამოაყოლა.

ორივე გაჩუმდა. მძღოლი აღარ ღიღინებდა. მაია კი ფიქრებში წავიდა.

_ შენ ძაღლს რა ჰქვია? _ იკითხა მძღოლმა, ისე რომ მისკენ არ მიუხედავს.

_ ამას? ზიზი. შენ? _ შეეკითხა მაია.

_ მე? რა ვიცი, ტკუცას მეძახიან. ჩემი ნამდვილი სახელი აღარც მახსოვს წესიერად, _ თქვა მძღოლმა. _ სად მიდიხარ?

_ არ ვიცი... თბილისში... _ უპასუხა მაიამ.

_ რომელ უბნელი ხარ? _ დაინტერესდა ტკუცა.

_ სემიონოვკის დასახლება იცი? ვერის ძველ სასაფლაოზე ვარ გაზრდილი და ასე ვთქვათ, აღზრდილიც.

_ აღზრდა მაგრად გეტყობა, _ გაიცინა მძღოლმა.

_ შენც, _ მიუგო მაიამ. _ რას იცინი? ჩემი ქალიშვილობაც სასაფლაოზე, ძველ ლოდზე ჩავაბარე ჩემ პირველ სიყვარულს... რა იყო, ვუყვარდი, იცი, რა მაგრად?

_ შეგაცდინა?

_ არა, რატომ? მე შევაცდინე, იქით!

_ ეე, ესენი რას შვრებიან? _ იყვირა უცებ ტკუცამ და აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მათ წინ ორი მსუბუქი მანქანა ერთმანეთს შეეჯახა და აქეთ-იქით გაფრინდა, მათ უკან კი რაღაც ჭახანი მოისმა. “კრაზი” გზიდან გადავიდა, გვერდზე გადაწვა, ფერდობზე გასრიალდა და დაწვა. ტკუცა შეშინებულ მაიას და მის ძაღლს დაეცა. ორივე ზიზის ყეფამ გამოაფხიზლა.

_ რა მოხდა? _ იკითხა მაიამ, _ ცოცხალი ხარ?

_ გადავბრუნდით ამის დედაც ვატირე. თუ “სროკიც” არ ამკიდეს? შენ, იტკინე რამე? _ თქვა ტკუცამ და საჭეს მოეჭიდა, შეეცადა აწეულიყო და კარს მიწვდომოდა. გააღო და ზევით აძვრა. ძაღლი არ ჩუმდებოდა. _ ხელი მომეცი! _ ტკუცამ მაიას ხელი ჩამოუწოდა.

_ ჯერ ეს გადასვი! _ მაიამ ძაღლი მიაწოდა.

ტკუცამ ძაღლს კისრის ბალანზე მოკიდა ხელი და მიწისკენ მოისროლა. ძაღლი წკმუტუნით გაგორდა ფერდობზე. მერე კი მაიაც ზევით აათრია და მიწაზე ჩასვლაში დაეხმარა. ძაღლი სიხარულის წკმუტუნით და კუდის ქიცინით მივარდა მაიას.

_ ახლა კი “მარშ” აქედან, მე შენ არ გიცნობ! _ უთხრა ტკუცამ მაიას, როგორც კი მიწაზე დახტა.

_ სადა ვართ? _ შეეკითხა მაია.

_ ას მეტრში მცხეთის ხიდია. ერთ-ორ საათში ფეხითაც მიხვალ თბილისამდე, _ უპასუხა ტკუცამ.

უკვე ბლომად მანქანები მოგროვილიყვნენ. ხალხი გარბოდ-გამორბოდა, იყო ერთი ყვირილი, გნიასი და სიგნალების ჭყვიტინი.

“ჩემი უბედურება არ მეყოფოდა?” გაიფიქრა მაიამ და თბილისისკენ ფეხით გაუტია. მიხვდა, ვინმემ რომ დამინახოს ამ გზაზე ასე ეულად მავალი, იქნებ შეჯახება მე დამბრალდესო და როგორც კი ხიდზე გადავიდა, მცხეთისკენ შეუხვია. ამ ღამეს მცხეთის ვაგზალზე გადავათევ და დილაზე გავყვები რამეს თბილისისკენო.

მაია დაღლას სულ არ გრძნობდა. ავარიამ, რომლის მთელმა სისასტიკემ, მის სხეულს დენივით დაუარა, ისე შეაძრწუნა, კი არ მიდიოდა, ლამის გარბოდა, რათა იქაურობას რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა. ხიდზე რომ გადაირბინა, მოშიშვლებული ტრასა გაიარა და ისევ მოასფალტებულ გზაზე გავიდა. თავი სამშვიდობოს მხოლოდ მაშინღა დაიგულა და ფიქრებში წავიდა. ვერც კი გაიგო, როგორ წამოეწია უკნიდან პატრულის მანქანა. მხოლოდ მაშინღა შეშინდა, როცა მის გვერდით გაჩერდა. მძღოლის გვერდით მჯდომმა კი ხელის ცერით ანიშნა და: დაჯექი გენაცვალე, თუ მცხეთაში მიდიხარ, წაგიყვანთო, უთხრა. მაიამ მაშინვე მოტვინა, როგორც ჩანს, ამათ ავარიის შესახებ არაფერი იციანო და ჩაუჯდა.

_ მცხეთელი ხარ? _ შეეკითხა მძღოლი.

_ თბილისელი, _ უპასუხა მაიამ და დაიძაბა. იცოდა, ენისთვის კბილი უნდა დაეჭირა, მისთვის კი ეს არც ისე იოლი იყო, მით უმეტეს, “ძაღლებთან”.

_ თბილისელი? ამ ტყეში ღამის ოთხ საათზე რას აკეთებდი მერე, ალქაჯი ხარ? _ გაიცინა მძღოლმა.

_ არ ეშინია, დამცველი უბით დაჰყავს მაინც... _ გაიცინა მეორემ, _ რა ჯიშია?

_ პეკინესი. ცოტას ჰყავს ძალიან.

_ წმინდა სისხლისაა თუ ნაჯვარი? იცნობდი მაგის მშობლებს? _ ირონიულად იკითხა იმავემ.

_ კი, ბებია-ბაბუასაც, _ უპასუხა მაიამ.

_ ჰო, რას აკეთებდი მაშ ამ ტყეში? აღარ დაამთავრე. _ შეეკითხა ისევ მძღოლი.

_ იცი, რას გეტყვი? _ შეტევაზე გადავიდა, ბოლო-ბოლო, მაია, _ ნება რომ მქონდეს? ყველა კაცს სათითაოდ ხის კენძეროებს გამოვაბამდი და შუაზე გავხლეჩავდი...

_ რათა, რათა, ასეთი რა დაგიშავეთ? _ გაიცინა მძღოლმა.

_ მაშ ვინ ჩამომაგდებდა, ამ შუაღამისას, ამ ტყეში... ჩათლახები ხართ ყველანი, ნაბიჭვრები... _ იცრუა მაიამ.

ამ სიტყვებზე მძღოლის გვერდით მჯდომი შემოტრიალდა და მაია კარგად აათვალ-ჩაათვალიერა. ზიზიმ იმწამს შეუყეფა. მაიამ პატარა დრუნჩში ჩაჰკრა და გააჩუმა.

_ მოგიწყინა, ალბათ... _ თქვა კაცმა. _ იკბინება შენი პეკინესი? _ კაცმა ხელი წაიღო ძაღლისკენ. ძაღლმა არ შეჰყეფა. კაცმა ძაღლს ზურგზე გადაუსვა და მაიას გულმკერდისკენ გადავიდა. მაია არ გატოკებულა. სამაგიეროდ, ზიზიმ შეჰყეფა და თავისი წვრილად ჩაწიკწიკებული კიჭები გამოაჩინა. კაცმა ხელის უკან წაღება მოასწრო, მაიამ კი გადაიხარხარა.

_ გაწვრთნილი გყავს? _ გაიცინა კაცმა.

_ კაცს გააჩნია, _ უპასუხა მაიამ.

_ რა, არ მოვეწონე? _ ისევ გაიცინა კაცმა, _ მე ჩემი თავი სიმპატიური მგონია... _ და კაცმა გვერდით სარკეში ჩაიხედა.

_ ალბათ იეჭვიანა, _ თქვა მაიამ და ძაღლს მოეფერა. _ იეჭვიანე, ზიზი? ჩემი ეჭვიანი, ჩემი პატარა ოტელო...

_ სად მიგაბრძანოთ? _ იკითხა მძღოლმა, როცა ქალაქს მიუახლოვდნენ.

_ სადგურში... მატარებლების... _ ჩაიბურდღუნა მაიამ.

_ პირველი მატარებელი ათზე გამოივლის, იქამდე ექვსი საათია. რა უნდა აკეთო, მაგ შენ საწყალ ძაღლთან ერთად, სადგურში ექვსი საათი? _ იკითხა მძღოლის გვერდით მჯდომმა.

_ მაშინ შენთან წავიდეთ, _ უთხრა მაიამ და პასუხს დაელოდა.

_ კაი, _ დაეთანხმა კაცი.

_ ვაჟკაცურად, რა გქვია? _ შეეკითხა მაია.

_ მეე? გელა. შენ?

_ მე მაია.

_ გელა და მაია. რა გინდა, სახელები მაგრად უხდება, _ ჩაილაპარაკა მძღოლმა.

_ სად წავიყვანო? _ იკითხა გელამ.

_ ტერეზას სასადილოში. გაწყობს? _ შეეკითხა მძღოლი. _ რვამდე არავინ მოვა.

მანქანამ აღმართზე აუხვია, ასფალტიდან გადავიდა და გზა ნაყარ მიწაზე განაგრძო.

_ მოგაკითხო? _ შეეკითხა მძღოლი გელას, და მანქანა დაამუხრუჭა.

_ ჰო, რა?! _ თხოვა გელამ.

_ კაი, _ უთხრა მძღოლმა და წავიდა.

ჯერ კიდევ მაგრად ბნელოდა. მაიამ სიბნელეში პატარა ერთსართულიანი სახლი გაარჩია. სახლამდე კარგა მანძილი იყო. გელამ ჭიშკარი შეაღო.

_ ყარაული არ ჰყავს? _ იკითხა მაიამ.

_ ჰო, მაგრამ სძინავს, ალბათ... _ უპასუხა გელამ და სახლს რომ მიუახლოვდნენ, ფანჯარაში გადაახედა. იქ მართლაც ეძინა ვიღაც წვერმოშვებულს და გემოზე ხვრინავდა. _ გამტყვრალია, ალბათ... _ თქვა გელამ.

_ საიდან დაასკვენი? _ იკითხა მაიამ.

_ არ გესმის, რა გემოზე ხვრინავს? _ უპასუხა გელამ. სახლს წინ შუშაბანდი ჰქონდა. გელამ ხელი ჰკრა კარს. კარი შეიღო.

_ აკი სასადილოაო? _ იკითხა მაიამ და კარი შეიკეტა.

_ სასადილოა, აი! _ გელამ შიდა ოთახის კარი შეაღო, სინათლე აანთო და მაიამ სასადილოს მსგავსი დარბაზი დაინახა. სკამები მაგიდებზე შემოელაგებინათ. _ ის კი სამზარეულოა, _ დაანახა გელამ სამზარეულო. _ დასვი ეგ ძაღლი, გაიქცევა?

მაიამ ძაღლი დასვა. ზიზი იმწამსვე შეუდგა იქაური სივრცის გადამოწმებას.

_ რას დალევ? _ შეეკითხა გელა.

_ რასაც შენ, _ უპასუხა მაიამ.

_ ტუალეტი ეზოშია. თუ ხელის დაბანა გინდა, სამზარეულოში შედი! _ უთხრა გელამ და მაცივარი გამოაღო.

მაია სამზარეულოში შევიდა, სადაც კედელთან, მიყოლებით, რამოდენიმე გაზქურა იდგა. იქვე იყო სამუშაო მაგიდები და სკამები.

მაიამ ხელი გადაიბანა, შეეცადა ცოტა მოლამაზებულიყო და გამოვიდა.

გელას სუფრა თითქმის გაეწყო. მაცივარში მწვანილი, კიტრი, მოხარშული კვერცხი, ნიგვზიანი ბადრიჯანი და ხაჭაპურიც კი მოეძიებინა.

_ რა სწრაფად გაგიწყვია? _ გაუკვირდა მაიას, _ ეტყობა ხშირად გიწევს.

_ ციც! _ უპასუხა გელამ, რადგან შეკითხვის აზრს მიუხვდა.

_ ვა, შენ რა ჭკვიანი ყოფილხარ, ე! _ გაუკვირდა მაიას.

იქნებ დავათრო და გადავრჩეო, ფიქრობდა მაია, მაგრამ არა... გელას მართლაც აღმოაჩნდა გამოცდილება. მაია ჭიქას უვსებდა, ის კი ორ ყლუპს თუ მოყრურწავდა მხოლოდ და ამიტომ არც დალევა დასტყობია. მაია თვითონ დათვრა და გადარჩენაზე კი არა, პირიქით, ერთი სული ჰქონდა, პარტნიორის ხელი მკერდის არეში შეეტყუებინა. გელა არ ჩქარობდა, ალბათ, ქალს ეჩვეოდა.

_ ვერ წარმოიდგენ, რა სუსტი ვარ. უარის თქმა, საერთოდ, არ შემიძლია, _ თქვა ქალმა, როცა გელას ხელი უბეში დაიგულა და მოეფერა. მაია იმ ასაკში იყო, დამწყები ბიჭები რომ გიჟდებიან.

_ წავედით ლუქსში, _ ჩასჩურჩულა გელამ და არყით გამთბარნი და სასიამოვნოდ გათანგულები, ერთმანეთს აკრულნი, ამურის ტკბილი ნაჩხვლეტის მოსარჩენად, რწევა-რწევით წავიდნენ... ზიზი კი მათ გარშემო დარბოდა, დახტოდა და იყეფებოდა.

“ლუქსში” გრილოდა, რადგან ფანჯრები ღია იყო და უკვე რიჟრაჯის სიო უბერავდა.

ნამდვილი “სექს-ბომბაა”, გაიფიქრა გელამ, როცა ქალის მრგვალ, გაშიშვლებულ, ქერა, ოდნავ ჭორფლიან მხრებს დახედა. ზიზიმ ყეფას უმატა, თითქოს რიტმს აჰყვაო, გელას შიშველ წელზე დახტოდა და თავდაყირა გადადიოდა. ქალი რიტმს ანელებდა, გელა კი ძაღლის გამო ჩქარობდა და რაღაც არათანაბარი, უცნაური რიტმი გამოსდიოდათ.

_ შენ, ალბათ, შეჩვეული ხარ და მე კი ამ ძაღლის შიშით მოვრჩებოდი თუ არა არც მეგონა, _ ამოისუნთქა გელამ, როცა ექსტაზიდან გამოვიდა.

_ არ მოგეწონა? _ გაეცინა მაიას.

_ რატომ? პატარა სექს-ბომბა ხარ! _ თქვა გელამ და წამოდგა.

_ სპორტსმენი ხარ? _ შეეკითხა მაია, როცა მის შიშველ, ლამაზ ტანს შეხედა.

_ კი, თუ შეშის ჩეხვა სპორტია... _ გაეცინა გელას.

_ მწვადს შევჭამდი, _ თქვა მაიამ.

_ მეც, _ თქვა გელამ.

წალამმა უცბად დაყარა სამწვადე ნაკვერჩხალი. ყარაულს ჯერაც ღრმა, ალბათ, უკვე დილის ძილით ეძინა, როცა გელას მობილური ახმიანდა, გელა და მაია ეზოში, ნაკვერჩხალთან, აქეთ-იქიდან, დაბალ კუნძებზე ისხდნენ და მწვადებს მიირთმევდნენ.

_ სადა ხარ, ბიჭო, რატომ გქონდა გამორთული მობილური, რა ხდება, იცი, ტრასაზე?

გელას პარტნიორმა გამოუარა, ჩაისვა და წაიყვანა. მაიამ ლუქსში გამოიძინა, ზიზი მის ფეხებთან იწვა და ფხიზლობდა, პატრონს ყარაულობდა. მაია, სწორედ მისმა ალერსმა გამოაღვიძა. პირველი რაც გაიფიქრა, რა ცოტა უნდა ადამიანს ბედნიერებისთვისო. მზე კარგად გადასულიყო. ლუქსის კარი ღია იყო, მაიამ ჩაიცვა და სასადილოს დარბაზში გამოვიდა. მაგიდებიდან სკამები ჩამოელაგებინათ, ბართან ვიღაც კაცი ტრიალებდა. ზიზი მაიას ფეხებში ედებოდა. უძილო ღამეს, სასმელს და სექს თავისი ექნა და მაიას სახეს დაღლილობა დასტყობოდა.

_ გაიღვიძეთ? _ შეეკითხა ბარში მოტრიალე. _ როგორ გეძინათ?

_ გენიალურად... ეგაა, ცოტა თავი კი მიბრუის.

_ არაყი, ღვინო... აგირევიათ და აბა რა? _ უთხრა ბარმენმა.

_ კი, მომიწია, _ დაეთანხმა მაია. მაგიდასთან დაჯდა, რატომღაც ეგონა, რომ ასაუზმებდნენ, კაცი კი ყურადღებას არ აქცევდა.

_ ვინ მოგასწავლათ, ეს ჩვენი ბაითი? _ ჰკითხა კაცმა.

_ გელამ, _ უპასუხა მაიამ და ძალიან გაუკვირდა, რომ კაცი ვერ მიხვდა, რომელ გელაზე იყო საუბარი. _ პატრულმა, _ დაამატა მაიამ.

_ პატრულმა გელამ? მასეთი არავინ ვიცი, _ თქვა კაცმა და მხრები აიჩეჩა.

მაია შეცბა, რაღაც ცუდი იყნოსა, თუმცა, რაც წინ ელოდა, როგორ წარმოიდგენდა. წამოდგა და კარისაკენ წავიდა.

_ წავედით, ზიზი! _ უბრძანა ძაღლს, რომელიც უთქმელადაც მისდევდა.

_ დანახარჯს ვინ გადამიხდის? _ იკითხა კაცმა მშვიდად.

_ რა დანახარჯს? _ ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა მაიას, რადგან ასეთ შეკითხვას არასგზით არ ელოდა.

_ ხაჭაპური, ნიგვზიანი ბადრიჯანი, სალათი, ყველი, პური, ღვინო, არაყი, ლუქსი და მწვადი... გამომრჩა რამე? _ ჩამოთვალა და ისევ მშვიდად იკითხა კაცმა.

მაიასთვის ეს ყოველივე, სამყაროს გადაბრუნებას ნიშნავდა. ვინ იცის, პატრული არც იყო და ვიღაც ვიგინდარების წერა გავხდიო, გაიფიქრა. თავში სისხლის ჩაქცევას არაფერი უკლდა, მაგრამ თურქის საფულედან ამოცლილი დამსახურებული ორმოცდაათდოლარიანი გაახსენდა და ინსულტს გადარჩა.

_ რამდენია? _ კი არ ამოთქვა, ამოიკნავლა და კაცს საცოდავად მიაჩერდა. ზიზიმ შეჰყეფა, თითქოს ამ მძიმე სიტუაციის მთელ ტრაგიზმს მიხვდაო და ისიც კაცს მიაჩერდა.

კაცმა "კალკულატორი" მოიმარჯვა და ანგარიში დაიწყო. ლამის საუკუნედ ეჩვენა ის წუთი მაიას. ალბათ, უკან, ქარელში დაბრუნება მომიწევსო, გაიფიქრა.

_ ორმოცდაათ ლარში გამოგიყვან. ოცდათხუთმეტი პურმარილი და თხუთმეტიც "ლუქსი".

მაია მეტს მოელოდა და გუნება ცოტა გამოუკეთდა. გახსნა ჩანთა, გაწია ელვა, ჩაჰყო ხელი, მაგრამ ჩანთაში ფული არ აღმოჩნდა.

_ ვინ ამოიღო აქედან ფული? _ ხმა მოიცა, რადგან აღარაფერს კარგავდა და თვალებში მიაჩერდა მამაკაცს. ეჭვმიტანილები სამნი იყვნენ. გელა, დარაჯი და ეს, მაღალი, ალბათ, ორმოცს მიტანებული, შავთმიანი და შავულვაშებიანი ბარმენი, არ იცოდა რა დაერქმია კაცისთვის მაიას.

_ ჰოო... არ ვიცი, _ თქვა კაცმა და თითქოს ახლაღა დაინახაო, ახედ-დახედა მაიას. _ ბევრი გქონდა?

_ ჰო, ორმოცდაათი დოლარი, _ თქვა მაიამ და იქვე, გვერდით სკამზე მოწყვეტით დაეშვა. ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ღერი ამოაძრო, მოუკიდა და ნერვიულად მოქაჩა.

_ ნატურით მოგიწევს, _ ჩაილაპარაკა თავდახრილმა კაცმა.

_ რა? _ ეგონა მოესმა მაიას.

_ ნატურით მოგიწევს გადახდა, _ თავი ასწია და თვალებში ეშმაკურად მიაჩერდა ულვაშა მაიას. _ გასაუზმებ, ცოტა გამოდი პახმელიაზე და... _ აღარ დაამთავრა კაცმა.

_ ბებიაშენისამ... _ ამოხეთქა უცბად მაიას. _ მაშინ დამიბრუნე ჩემი ფული!

_ ქურდობასაც მაბრალებ? _ მშვიდად გაიკვირვა კაცმა.

_ გაბრალებ, გაბრალებ, მარტო ქურდობას კი არა, მკვლელობას, სადისტობას, მანიაკობას... _ მიაყარა აღრიალებულმა მაიამ და კაცისკენ გადააფურთხა.

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა ქალს, მაიასაც მუდამ ჰქონდა შემონახული გრძნობათა არსენალში ცრემლები, რომლებსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებდა. მაგრამ შინაგანი ინტუიცია კარნახობდა, რომ ამ კონკრეტულ მომენტში, ცრემლები ვერ გაჭრიდა. კაცი იმდენად მშვიდად და კარგად გრძნობდა თავს, მაიას ცრემლები, უბრალოდ გააცინებდა. რაღაც კოზირი აქვს ამ ვირიშვილს და იმიტომ არის ასე მშვიდად, თორემ ოდნავ მაინც აღელდებოდა, ან სულაც შევეცოდებოდიო, გაიფიქრა მაიამ. დასტაცა ზიზის ხელი და უკანალის მაგარი ქნევით, დემონსტრაციულად, დატოვა სასადილო დარბაზი. შუშაბანდის კარი გამოაღო და ის იყო ეზოში უნდა გადაებიჯებინა, რომ უზარმაზარი, ხახადაფჩენილი, აღრენილი, შავწინწლებიანი დოგის წინ აღმოჩნდა. მაიამ შეშინებულ ზიზის თვალებზე ხელი ააფარა და სასწრაფოდ შემოიკეტა კარი. დოგის ყეფამ და კარზე ბრჭყალების ღრჭიალმა სასადილო დარბაზში შეაბრუნა. ეგონა კაცს გაეცინებოდა. ის კი იდგა და გულგრილად, დაკვირვებით უმზერდა მაიას ქცევას. მაიამ ზიზი დასვა, სკამზე დაჯდა, თავი დახარა და ჩაილაპარაკა.

_ თანახმა ვარ...

და, რა თქმა უნდა, ასეთ მომენტში, როგორც მისი ხელობის ბევრი მიმდევარი მოიმოქმედებდა, მანაც თავისებური, მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრა. რა უნდა ექნა? ხშირად საკუთარი თავი ეზიზღებოდა, მაგრამ მაინც ამ უძველესი პროფესიით გაჰქონდა თავი. იმიტომ, რომ ხელის გატოკება ჭირივით მეზარებაო, ხშირად გამოსტეხია საკუთარ თავს მაია.

კაცმა მაგიდაზე თეფშები, ჯონჯოლი, კიტრის მწნილი და შეცხელებული ხაჭაპური დააწყო და არყის ფუჟერები დადგა. პატარა, იაფფასიანი კონიაკის ბოთლიც მოიტანა და გახსნა. დაასხა თუ არა, მაიამ ეგრევე გადაყლურწა. სითხეს, სიტკბოსთან ერთად, ვანილის გემოც დაჰკრავდა. გრადუსმა ყელი სასიამოვნოდ ჩასწვა და ტვინი გაუნათა. საფეთქლებთან კი სისხლის ცემა იგრძნო. კაცმა მაშინვე შეუვსო, მაიამ მკაცრად ახედა. ხაჭაპური გატეხა და ერთი ნაჭერი ზიზის დაუგდო. ზიზიმ ჯერ კარგად შეამოწმა რა მიართვეს და მხოლოდ ამის მერე შეუდგა ღეჭვას.

_ დილის მადლი შეგვეწიოს, _ თქვა კაცმა და კონიაკი გადაჰკრა.

შიშველი მაია ნაცნობ “ლუქსში” ლეშივით ეგდო ტახტზე. არც ხელს ატოკებდა და არც კოცნაზე პასუხობდა. კაცის თხოვნაზე, დამეხმარეო, არაფერი უპასუხია. ძნელია, ასეთ მომენტში კაცმა რაიმე იღონოს. რომც მორჩეს კიდეც, სიამოვნების განცდა იმდენად უღიმღამოა და უსიამოვნოც კი, რომ კმაყოფილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. უმეტესწილად, კაცის მცდელობა კრახით მთავრდება და სილაქების და მუშტების მოშველიებაც უწევთ ხოლმე. ქალსაც გააჩნია ამ დროს და, რა თქმა უნდა, კაცსაც. ასე რომ, კაცი იმწამს მიხვდა, რა დონის კახპასთანაც ჰქონდა საქმე. საბოლოო იერიში მიიტანა და რადგან მაინც ვერაფერს გახდა, წამოდგა.

_ ცოლის გაჟიმვა მერჩია, მილიონჯერ... _ ჩაიბურტყუნა თავისთვის, ამოიცვა ტანისამოსი და გავიდა.

“ნაბიჭვრები, ნაბიჭვრები”... მალე მცხეთის სადგურისკენ გარბოდა, მკერდზე ატატებული ძაღლით, უთეთროდ დარჩენილი მაია.

ტრასა პატრულის პოლიციელებით იყო გადატენილი. ოთხი მკვდრის დანაწევრებული სხეული ასფალტსა და გზის გადასწვრივ ეყარა, ორი კი ჯერაც მანქანაში იყო ჩაჭედილი. ექვსი მიცვალებულიდან ერთი ქალი იყო. ის, რომ ავარიის მიზეზი სისწრაფე და ტრასის შემაღლებული ადგილი უნდა ყოფილიყო, ეს ადვილი დასადგენი იყო. მაგრამ რა ბრალი მიუძღოდა, ამ ყოველივეში, ტრასიდან

გადავარდნილ, ხე-ტყით დატვირთულ, გადაბრუნებულ “კრაზს”, რომლის მძღოლიც არსად ჩანდა, ეს იყო ძნელად დასადგენი. პოლიცია და ექსპერტები, რა თქმა უნდა, ჩქარობდნენ, თუმცა, ქართულ ხასიათს ამ შემთხვევებში მაინც თავისი გააქვს და სულ მალე ისეთი საცობი გაკეთდა, ყველა იმას იფიქრებდა, აქ მოძრაობა აღარასოდეს აღდგებაო. დილისთვის გზა მთლიანად გაწმენდილი იყო. მიცვალებულთა ვინაობა გარკვეული. დამტვრეული მანქანები კი მცხეთის საჯარიმოზე გადატანილი. “კრაზის” მძღოლი და ხე-ტყის პატრონი, რა თქმა უნდა, არ გამოჩენილა. თუმცა გამომძიებელი ლერი კაპანაძე დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან პატრონს მიაგნებდა, რადგან ძელქვის მასალის წარმომავლობის დადგენა არ უნდა გასჭირვებოდა. ის კი არა, კაი მცოდნე ხელოსანი, ალბათ, ადვილად მიათითებდა ადგილმდებარეობას, სადაც მსგავსი ხე იზრდებოდა და სადაც ეს მასალა იყო მოჭრილი. მართლაც, სამიდან ორმა ხელოსანმა მარტვილის რაიონზე მიანიშნა და მანაც იქაურ კოლეგებს გადაურეკა. მართალია, კოლეგები რაღაცას ბლანდავდნენ, რას ამბობ, ერთი ხეც რომ მოიჭრას გამგებელი განგაშს ასტეხდაო, ლერი კაპანაძეს, რა თქმა უნდა, მათი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

როგორც ხელმოცარულთა დიდი უმრავლესობა, რეზიმაც გამდიდრება და ბიზნესმენთა გილდიაში ჩაწერა წინასწარ იზეიმა. იზეიმა რას ჰქვია. ნუ, თუ ზეიმი ჰქვია, დიდუბეში, ლუდის ბარის წინ, მტკვრის ბეტონის თეჯირზე, ვობლით, არყით და ლუდით, ძერასთან და ბერდიასთან ერთად გატყვრომას... მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ვერაფრით გაიხსენებდა, როგორ მიაღწია სახლამდე თავისი მინჯღრეული და მოფახფახებული “ნოლ-რვათი”. თუმცა, როგორც მსმელთა უმრავლესობა, რაც არ უნდა ნასვამი ყოფილიყო, სახლისკენ მიმავალ გზას უშეცდომოდ აგნებდა. რაც დაქორწინდა, მას მერე, კუკიაზე, სიდედრთან და ცოლთან ერთად ცხოვრობდა. ამათ, ცოლის პირველი ქმრის ვაჟიშვილი, ცხრა წლის თორნიკე და, ალბათ, მისი შვიდი წლის სანდროც უნდა მივათვალოთ. მოკლედ, იმ დილას, როცა ძელქვის ხით დატვირთული კრაზი მცხეთის გზაზე ამოტრიალდა, იმ ღამის ნაზეიმარი რეზი “განგრეული” პახმელია იყო და რომ არა ტკუცას მოსვლა, ექვს საათზე ტრაქტორითაც ვერ ააგდებდა ლოგინიდან კაცი. ძლივს დააცილა ერთმანეთს დამძიმებული ქუთუთოები და ტკუცას მიაჩერდა.

_ შენა ხარ, ტო? რომელი საათია? _ ჰკითხა მან ტკუცას და თვალები ისევ დახუჭა, რადგან თავი უსკდებოდა. და უცბად მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა, თორემ ასე ადრიანად ტკუცა თავზე არ დაადგებოდა. თავი შეაჭანჭყარა, წამოჯდა და ტკუცას მიაშტერდა. ტკუჩას შუბლზე “ბინტი” ჰქონდა დახვეული და პირმოკუმული უყურებდა რეზის. თითქოს, რაღაცის თქმა უნდა და ვერ ამბობსო.

_ გადავბრუნდი, მაგის დედა ...! _ ამოღერღა ბოლოს, როგორც იქნა, ტკუცამ.

რეზისთვის, იმწამს, ამ სიტყვების გაგონება ბევრად უარესი იყო, ვიდრე თავის დროზე, ვთქვათ, ქართველებისთვის აფხაზეთის დაკარგვა, ან დედ-მამის თუ ცოლის სიკვდილი. მერამდენედ, მერამდენედ უნდა მოცარვოდა ხელი... თუმცა, რა ხელის მოცარვა, თუ არა რაიმე სასწაული, გამდიდრება და ბიზნესმენობა კი არა, ციხის კედლები და “პარაშაზე” ჯდომა გარანტირებული ჰქონდა.

_ როგორ გადაბრუნდი, ბიჭო! _ გაუაზრებლად წამოვიდა მისი პირიდან ეს სამი სიტყვა.

_ ნელა მოვდიოდი, მოვღოღავდი, ჩემი დედა ..., ბრახ, და ჩემ წინ ორი მანქანა რომ შეასკდა, ჯიპი და მერსედესი? გადავედი გზის პირიდან და როგორ ამოვბრუნდი, მეც არ ვიცი...

_ აუ, ჩემი ბედი... _ ხელი-ხელში ჩაირტყა გამწარებულმა რეზიმ და ბალიშზე მიესვენა.

ლერი კაპანაძეს, გამომძიებელს, გამოუცდელობას ვერ დასწამებდი, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ავარიას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, სხვაც იყო, რაღაც, არც ისე ადვილი აღსაქმელი. საქმე ისაა, რომ თუ გერმანულ "ბეემვეში" ზღვიდან მომავალი სამი ბიჭი და ერთიც ქალი იჯდა, ერთ-ერთის ახლად შერთული მეუღლე. "მერსედესში" ორნი ისხდნენ, ქართველები, მაგრამ რუსეთის მოქალაქენი. ერთ დროს ოზურგეთის მკვიდრნი და როგორც გამომძიებელმა მათი დოსიეთი დაადგინა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, იარაღით მოვაჭრენი. არ ვიცი, ჭორის დონეზე საუბრობდა ხალხი, თუ მართალს ამბობდნენ, მაგრამ რუსული იარაღით ვაჭრობდნენო, ცხელ წერტილებში. ვინ იცის? ჯონი ქორიძე და უჩა მოლოდინი... ჯონის საქართველოში მამა ჰყავდა, ცოლ-შვილი კი რუსეთში, კემეროვოში. უჩას, რომელსაც ბოლოს რუსთავში უცხოვრია, აქ აღარავინ ჰყოლია, მშობლები დაჰხოცვია და ცოლშვილი მასაც რუსეთში, კემეროვოში გაუხიზნავს. მათ სიმდიდრეზე პატარა ლეგენდებიც კი გაჩენილა ხალხში. გამოძიება ჩიხში იყო, არავინ იყო თვითმხილველი, ალბათ, გარდა "კრაზის" მძღოლისა, რომელიც ძელქვის მასალის გამო მიიმალა და ახლა, მხოლოდ, მისი ვინაობის აღდგენა თუ მოჰფენდა ნაწილობრივ მაინც ნათელს ამ ყოველივეს. მაგრამ ჯერ "კრაზის" წარმომავლობა იყო დასადგენი. მძღოლს ჭკუა ეხმარა და ნომრები ჩაეხსნა. მიდი და ეძებე, ასეთი საბჭოთა გადმონაშთის ჯართის პატრონი.

თუმც, ჯობს, ჯერჯერობით, ისევ რეზის ოჯახში გადავინაცვლოთ.

რეზი ადგა, თავი უსკდებოდა. რა შხამი დავლიე, ნეტაო, ფიქრობდა. მაცივრიდან წინა ღამის გადანახული ლუდის ბოთლი გამოიღო, გინდაო? ტკუცასაც შესთავაზა, მაგრამ იმან იუარა, ლუდი უშველის ახლა ჩემ გაჭირვებასო?

_ შენ რა, ხუთას ლარს მისტირი? _ გაუკვირდა რეზის.

_ შენ გგონია, მარტო ხუთასი ლარი დავკარგე? _ შეუბრუნა კითხვა ტკუცამ. _ ვინღა დამსვამს საჭესთან?

_ შენ, ბიჭო, სანთელი დაანთე, რომ არ ჩაგიშვას ვინმემ! რას მიჰქარავ! რა საჭე, რის საჭე! ვერა ხარ, შენ, ხომ იცი! _ საფეთქელთან მიიდო თითი რეზიმ.

_ რა ხდება, ბიჭებო? _ სამზარეულოში მთქნარებით შემოიხედა მათ ლაპარაკზე გამოღვიძებულმა ნელიკომ.

_ რას წამოხტი, წადი დაიძინე! _ გაუწყრა ცოლს რეზი.

_ რამე მოხდა, ტკუცა? _ ტკუცას მიაჩერდა რაღაც ცუდის მოლოდინში ნელიკო.

ტკუცამ რეზის შეხედა. რეზიმ წარბის აწევით ანიშნა, არაფერი თქვაო და ტკუცამაც მოკეტა. ნელიკო შემოვიდა და სკამზე დაჯდა. ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს.

_ მითხარით, რა მოხდა?! _ ბრძანებაში ხვეწნაც გაურია ნელიკომ.

_ არაფერი-მეთქი, ჰო გითხარი! წადი რა, დაიძინე! _ გაუმეორა რეზიმ. მაგრამ ნელიკო დასვენებას აღარ აპირებდა.

_ სანამ ყველაფერი ისევ ხუხულასავით თავზე დამენგრევა, მინდა ვიცოდე, რა ხდება ჩემ თავს... _ თქვა მან და რეზის სიგარეტის კოლოფიდან ღერი ამოაძრო. ტკუცამ კი კაი კავალერივით მიუმარჯვა სანთებელა. მისი მოძრაობა რეზის არ გამოპარვია. ამას ყველაფერი ცალ ფეხზე ჰკიდიაო, გაიფიქრა.

_ რატომ არ მეუბნები, მტერი ხომ არა ვარ, ბიჭო, შენი?! _ ისევ ქმარს ჩააცივდა ნელიკო. _ როგორ, დილაუთენია ეს კაცი უმიზეზოდ დაგვეცა თავს?

_ რა ქალის საქმეა, კაცი კაცთან რატომ მიდის დილაადრიან, ვერ გავიგე! _ აყვირდა რეზი.

_ შენ ცოტა, ტონს დაუწიე, გაიგე? ჩემი საკუთარი სახლის ბედი დევს სასწორზე და მე არ უნდა ვიცოდე, რა მოხდა? ისეთი სიფათები გაქვთ, დაძმარებული... _ აღარ დაამთავრა ნელიკომ.

_ არაფერი არ მოხდა, ყველაფერი კარგად არის... _ თავს ძალა დაატანა რეზიმ და წამოდგა, _ მოდი, წავიდეთ მე და შენ, ტკუცა, თორემ ეს ქალი აქ არ დაგვალაპარაკებს... _ ჩაიბურდღუნა, სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიტენა და კარი გამოაღო.

ნელიკო, რომელიც აქამდე, ასე თუ ისე მშვიდად ლაპარაკობდა, ახლა მთლად გამოვიდა "მწყობრიდან". წამოხტა, ქმართან გაჩნდა, მკლავზე სწვდა და მოატრიალა.

_ არ მეტყვი, რა მოხდა? ხომ მაინც უნდა გავიგო, არა? ხომ ვიცი, რომ ჩემი გადასარჩენი უნდა იყო, ბოლოს, მაინც?! _ თვალებში უყურებდა საბოლოოდ წამხდარ ქმარს ნელიკო.

_ გაიგებ და გაიგე... რას იმუქრები, ბიჭოს! _ ხელი აუქნია, გააშვებინა ცოლს და ტკუცას ანიშნა, _ წავიდეთ, სანამ ხორცებს გამომაგლიჯავს, ეს ჩემისა, გადმოადგი, რა, ფეხი, დაგიპნოზებული ხარ, თუ რა არის, ტო! _ პარტნიორზე ამოიღო ბოღმა რეზიმ და კაცები გავიდნენ.

ნელიკოს სისხლი თავში აუვარდა, ყელის ძარღვები კი გასკდომამდე დაბერვოდა. პირი გამშრალი ჰქონდა. სკამზე დაჯდა, ღრმა, გრძელი ნაფაზი დაარტყა და თავი ხელებში ჩარგო.

_ დედა, რა მოხდა? _ იკითხა ცარიელ ტრუსში სამზარეულოსთან გამოჩენილმა სანდრომ.

_ მოდი ჩემთან... _ ხელით ანიშნა ნამძინარევ შვილს ნელიკომ და სიგარეტი საფერფლეში ნერვიულად ჩასრისა. ბავშვი მივიდა და კალთაში ჩაუჯდა. სანდრო შვიდი წლის იყო. პირველ კლასში.

_ რატომ გაიღვიძე, დღეს ხომ კვირაა, გძინებოდა კიდევ... _ თავზე ხელი გადაუსვა შვილს დედამ.

_ შენმა ყვირილმა გამაღვიძა, _ უსაყვედურა სანდრომ.

დედამ მხარზე ყელთან დაადო თავი შვილს. სანდრომ მკერდზე სისველე იგრძნო და მიხვდა, რომ დედა უხმოდ ტიროდა. ეს უკვე მერამდენედ.

_ ნუ ტირი, დედა, ტირილით ვერაფერს უშველი... _ დიდი კაცივით ჩაილაპარაკა სანდრომ.

ნელიკომ თვალები შეიმშრალა. ყელთან ბურთი მოადგა, რაღაც მაინც ახრჩობდა. "ესენი, ჩვენხელები, ღრმა მოხუცებულები იქნებიან, ალბათ..." გაიფიქრა და შვილი ჩამოსვა.

_ წადი, პირი დაიბანე. ჩაის დაგალევინებ! ოღონდ ჯერ ტელევიზორი ჩამირთე!

სანდრომ ტელევიზორის ღილაკს თითი მიაჭირა და სამზარეულოდან გავიდა. ტელე-ეკრანზე ახალი ამბები მიდიოდა.

_ გუშინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა გორი-მცხეთის ტრასის მონაკვეთზე... _ ამცნობდა საზოგადოებას, სერიოზული სახით, დიქტორი, _ ერთმანეთს შეასკდა ჯიპის მარკის ავტომობილი და უცხოური წარმოების მერსედესი, ორივე ავტომობილში მსხდომი ექვსივე ადამიანი დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ ავტო-ავარია გამოიწვია ნორმაზე მეტად გადაჭარბებულმა სისწრაფემ, რომლითაც ორივე ავტომობილი მოძრაობდა. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ავტო-ავარიის მიზეზი, ტრასიდან გადასული და ამობრუნებული რუსული წარმოების, უნომრო "კრაზიც" იყოს.. რომლის ძარაც უკანონოდ მოჭრილი, აკრძალული ძელქვის ხის მასალით იყო დატვირთული.

როგორც მცხეთა-მთიანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, რუსლან ბურდულმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

_ აღძრულია სისიხლის სამართლის საქმე, _ ეკრანზე ახალგაზრდა პროკურორის ნაყვავილარი ანფასი გამოჩნდა. _ ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და დგინდება "კრაზის" მძღოლის და კონტრაბანდის, ანუ ძელქვის მორების გადამზიდველის ვინაობა. სავარაუდოდ, ძელქვა სამეგრელოს რაიონში უნდა იყოს მოჭრილი, _ დაამთავრა საუბარი პროკურორმა და ნელიკოსთვის სავსებით ცხადი გახდა, ტკუცას ასე ადრიანი ვიზიტის მიზეზი მათ ოჯახში და კაცების დაძმარებული სიფათების გამომეტყველება. ერთადერთი შანსი, სახლის გადასარჩენად, მხოლოდ დედამისიღა იყო, რომელმაც დიდი ბრძოლის ფასად, სიძეს, ესე იგი, რეზის, კრედიტში გამოტანილი ფულის ნახევარი, ანუ ათი ათასი დოლარი წაართვა და იმჟამად, ავტობუსით, იტალიაში, შოპ-ტურში იმყოფებოდა. არადა, დოდოც, ანუ ნელიკოს დედა და რეზის სიდედრი, პირველად იყო წასული საქონლის ჩამოსატანად. აჰყვა მეზობლის, რუსიკო ღონღაძის რაკარუკს, როგორც თვითონ ამბობდა და წავიდა.

ვისაც გამოუცდია, თუ რა არის, ავტობუსში, მთელი სამი კვირის განმავლობაში ძილი და ცხოვრება, თანაც ისეთ ავტობუსში, რომელიც საქართველოს გზებზეა ნავალი, დამეთანხმება, რომ ეს, საშუალო ასაკს მიღწეული ქალისთვის, ჯოჯოხეთი თუ არა, კატორღა ნამდვილად არის. თანაც, ყველაფერთან ერთად, ჩვენი გაცვეთილი ქალების კომპანიაც წარმოიდგინეთ და სრულიად ნათელი გახდება თქვენთვის ყველაფერი. სამაგალითოდ, თუნდაც, რიმინის (იტალიის საპორტო ქალაქია, სადაც უზარმაზარი, საბითუმო სავაჭრო საწყობებია) ერთ-ერთ საწყობში, ჩვენს "მშვენიერ" მანდილოსნებს შორის საქონლის დასათრევად გამართული ბრძოლის ეპიზოდებს მოგიყვებით, რომელიც თვითონ დოდოს გადახდა.

საწყობის მეპატრონე, იტალიელი ივო, ისე ჰგავდა ქართველს, რომ ქალებმა ეგრევე ქართული "ბაზარი" გაუმართეს, ამ სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც. თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ იტალიელები უკვე კარგად იცნობდნენ ჩვენი ქალების ხასიათს და რადგან თვითონაც არ გამოირჩეოდნენ დიდი კორექტულობით და ინტელექტით, თავისუფლებასაც აძლევდნენ და ხშირად აჰყვებოდნენ ხოლმე კიდეც იმ ხელჩართულ ომებში, რომელიც უკეთესი საქონლის დასაკუთრებაში, ქართველ ქალთა შორის იმართებოდა. დიახ, დიახ, თუ დიდი ბრძოლისუნარიანობით და "სხვატკით" არ გამოირჩევი, ისეთ ნაგავს შემოგტენიან, ისინიც და ჩვენებიც, რომ მერე, ათ წელიწადსაც კი ვერაფრით გაასაღებ.

_ ახლა, _ საწყობის ალაყაფთან შეაჩერა საბრძოლველად გამზადებული თავისი ლაშქარი მზიამ, შოპ-ტურის ფირმის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, _ წინასწარ გაფრთხილებთ, ამ კაცს ნუ გამიგიჟებთ, თქვენ შეიძლება, აღარ წამოხვიდეთ, მაგრამ მე, თქვენს გარდა, სხვების წამოყვანასაც ვაპირებ, იცოდეთ!

_ ოოჰ, აღარ მოგბეზრდა, შენც, ამ საწყობების წინ სიტყვაში გამოსვლები? _ "გაუპუსტიაკა" ეგრევე თამრიკო ზაქაიძემ ნათქვამი მზიას.

_ თამრიკო, შენ, ყველაზე მაგრად მიშლი ყოველთვის ხელს! _ მიახალა იმ წამს მზიამ.

_ რატომ, რატომ? ნებას რომ არ გაძლევ შენ ხოშზე გადამიარო და გადმომიარო, არა? კარი როგორც გაიღება, პირველი შენ გარბიხარ, გენაცვალე, და ყველაზე კარგ საქონელსაც მუდამ შენ იჩემებ!

_ მართალია... _ დაუდასტურეს აქეთ-იქიდან გოგოებმა თამრიკოს.

მზიამ მწვავე, გამჭოლი მზერა ესროლა ყველას.

_ გამომიხვედით, აღდგომის ბატკნები! არ გამიგიჟოთ-მეთქი ეს კაცი, რა გთხოვეთ ისეთი?!

ივო იდგა, ულვაშებში იღიმებოდა და ელოდა, როდის დაამთავრებდა მზია კრებას, კარი რომ გაეღო. მზიამ მიიხედა და ანიშნა. ივომ კარი გამოაღო და იმ წამს განზე გადგა, რადგან კარგად იცოდა, რომ ეს ქალთა "ჯოგი", თუ არ გამოერიდებოდა, უკან მოუხედავად გადათელავდა და გადაუვლიდა. ჰო, ჰო, ეს ნამდვილი მონღოლების შემოსევა იყო. როგორც ყოველთვის, პირველი მზია გარბოდა. "ოჰ, მაჟეჟინა რა ეს, ერთი", გაიფიქრა თამრიკომ და უკან გამოუდგა... სხვებიც მაშინვე მიჰყვნენ. დაახლოებით ოცდახუთამდე, სქელ თუ თხელ საჯდომიანი ქალი, საწყობის დახურულ სივრცეში, დოღის ცხენებივით გარბოდნენ. ივო, რომელსაც აღარ ეღიმებოდა და დაგეგმილი შემოსევის შესახებ, ბიჭებიც წინასწარ გაფრთხილებული ჰყავდა, მაინც პირდაღებული უმზერდა მორბენალთა უცნაურად მოქანავე უკანალებს და თავს აქეთ-იქით აქნევდა.

_ ეს ჩემია! _ დაიძახა მზიამ და, ერთ-ერთ მანეჟთან, საბრძოლო პოზა მიიღო.

_ გიცხონდა, აი! _ დაეტაკა მასზე ორჯერ უფრო მსუქანი თამრიკო და გვერდზე გასწია.

_ ჩემია-მეთქი, თამრიკო, ვერ გაიგე, შენ?! _ დაჰკივლა მზიამ და შემოტევა ხელის კვრით მოიგერია.

_ კაი, გავიყოთ! _ შესთავაზა უცბად გარიგება თამრიკომ, რადგან იცოდა, მზია დათანხმდებოდა და საქონლის ასარჩევად ახლა სხვაგან გავარდებოდა. მზიას ხუთჯერ მეტი საქონელი მოჰქონდა მუდამ, ვიდრე მას და მზია, მართლაც, იმწამს დათანხმდა.

_ კაი, აქ დადექი, ჯერჯერობით, არავინ მოუშვა! დააწერე ყველას! _ უთხრა მზიამ და შემდეგ მანეჟში გადაინაცვლა.

_ მე მოვედი, პირველი! _ გაცხარებული უმტკიცებდა რუსიკო ნატოს, ერთ-ერთი მანეჟის წინ და ფეხებგაჩაჩხული ცდილობდა თავის საქონელს გადაჰფარებოდა.

_ როგორ გეკადრებათ, გენაცვალე, ხელი პირველად მე დავადე ამ სამივე ყუთს! _ ცდილობდა თავისი მსუქანა უკანალით მისწოლოდა ნატო რუსიკოს.

_ იცოდე, არც მე ავიღებ და შენც ცარიელზე დაგტოვებ, გიტირებ ყოფას! _ არ ეპუებოდა რუსიკო, _ ნუ მაწვები რა, ამ შენი სქელი ტრაკით! _ და მთელი ძალით გაუშალა გაშლილი სილა დუნდულაზე, მსგავს ბრძოლაში საკმაოდ კარგად გამობრძმედილმა და გამოწრთვნილმა რუსიკომ ნატოს.

_ გოგო, რომ მოგკიდო ხელი, ჰო ცხრა მეტრზე უნდა მოგისროლო, არა? არ აწკმუტუნდება ხოლმე ციმფია ძაღლივით? დავანებოთ ერთმანეთს თავი და დავაწეროთ, ვინც მოასწრებს, იმისი იყოს! _ შესთავაზა რუსიკომ და ფლომასტერით თავისი სახელის მიწერა დაიწყო ყუთებზე.

ეს ორთაბრძოლები, საუკეთესო ნაწარმზე, ძირითადად, ძველ, ცხრაჯერ ერთად ამ მოგზაურობებში ნამყოფ, გამოცდილ ვაჭრებს შორის იმართებოდა. ახალბედები და გამოუცდელები კი, მათ რაც გადარჩებოდათ, იმას სჯერდებოდნენ, თუმცა, მათ შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებიც თავიდანვე გამოაჩენდნენ ხოლმე კბილებს, ზოგჯერ კი ეშვებსაც. ახლაც, მოასწრო დოდომ და "ჩულოჩნი ჩექმების" პატარა პარტია დაითრია. ზომებითაც ძალზე კმაყოფილი იყო, წარწერებიც გაუკეთა, ზედაც გადააჯდა და ხელებიც კი დააწყო თავის ყუთებზე.

მარტო ზინა და ლილი ვერ გააშველეს ვერაფრით, ვერც ქართველებმა და ვერც იტალიელებმა. რაღაც საქონლის ნაწილი გადაედოთ და უკვე მიესაკუთრებინათ ორივეს. ჩხუბი კი ერთ დიდ ყუთზე ჰქონდათ, რომელშიც ქალის იაფფასიანი ტყავის

ხელჩანთები იდო... გვერდებზე, ფერდებზე და თმებზე უკვე ნამუშევრები იყვნენ, ახლა კი, რადგან ქალებს გაეკავებინათ, პირად, სიტყვიერ შეურაცყოფებზე გადასულიყვნენ.

_ პირველად ხომ არ მიკეთებს, არა? _ ხელებს შლიდა მოსეირეებისკენ ზინა, _ სულ იმას ვამბობ, ეს თუ წამოვიდა, არ წავალ-მეთქი და...

_ ვინ ვის უკეთებს, საკითხავია... სულ უკან დამდევს გველივით, გეფიცებით! მაინცდამაინც, რაც მე მომეწონება, ის უნდა, იმიტომ რომ გემოვნების ნასახი არ გააჩნია თვითონ და რა უნდა აიღოს, წარმოდგენა არა აქვს... _ უმტკიცებდა ქალებს ლილი.

_ ვაიმეე? _ თვალები შუბლზე ამოასხდა ზინას, _ მე ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, მუსიკას ვასწავლიდი ნიჭიერთა ათწლედში და ეს ორკლასდამთავრებული ჩემზე ამბობს გემოვნება არა აქვსო, გესმით?

_ კარგით ახლა, დაამთავრეთ, გეყოთ! _ დაუყვირა ორივეს მზიამ. _ დედას ვფიცავარ, ვამბობდი, არ წამოვიყვან-მეთქი და მაინც შემომეტენნენ ორივენი! _ და ისევ მოჩხუბრებს მიუბრუნდა, _ დაუთმოთ უნდა ერთ-ერთმა!

_ შენ უთმობ, ვინმეს რამეს?! არ არსებობს, არ დავუთმობ, მე ამ ყუთს, ამას! _ ავარდა ისევ ლილი.

_ მე არ გითმობ, გენაცვალე! შენ რა შუაში ხარ? _ გამწარდა ახლა ზინა.

_ მაშინ არცერთს! მე ვიღებ ამ ყუთს! _ გამოაცხადა მზიამ, რაზეც ორივე მოჩხუბარი ისევ დასაბმელი გახდა.

_ გიცხონდა, აი! მე ვიღებ! _ გამოაჯავრა მზიას ზინამ. _ აიღებ და, ცინკის კუბოთი მოგიწევს ამ ყუთთან ერთად საკუთარ სახლში შებრძანება! ზედ დაგაკლავ ამ ყუთს!

_ აბა, როგორ გაგაშველოთ, ვერ გავიგე, ეე! _ გაიკვირვა მზიამ. _ გაუშვით ხელი, გოგოებო, დაუხოცავთ და დაუჭამიათ ამ ხლამისთვის ერთმანეთი... მე ამ იტალიელებისა მრცხვენია, თორემ, რომც მაჩუქონ რა სირად მინდა, ეს ათთეთრიანი "პიდარასტკები", არ ვიცი... _ თავი მოიქავა და სოფი ლორენის პოზა მიიღო მზიამ.

_ ბრავა! _ ტაში დასცხეს რატომღაც იტალიელებმა. დარწმუნებული ვარ, მრავლისმნახველები იყვნენ, რადგან ამ ბოქსებს მთელი მსოფლიოს მოვაჭრენი ესეოდნენ, მაგრამ ასე ჰგვანებოდათ ვინმე ქცევასა და ტემპერამენტში იტალიელებს, ალბათ, არცერთი ერი.

ვერ გეტყვით, რამდენად შეეფარდებოდა, ერთ დროს ასე მიუწვდომელ, ახლა კი ლამის ქალაქის გარეუბნად ქცეულ, იტალიის ამ საკურორტო ზონაში, ჩვენი ქალების საქციელი, ჩვენს ნამდვილ იერსახეს, ქართულს, ასე მშობლიურს და ახლობელს, მაგრამ ჩვენების ყველა ჩასვლაზე რომ იქ, მსგავსი საბრძოლო და საომარი ბატალიები მეორდებოდა, ეს ცხადია...

მოკლედ, აქ უნდა მივატოვოთ ჩვენ ეს ჩვენი ფათერაკიანი მოგზაურები და ისევ საქართველოში გადავინაცვლოთ.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელი ლერი კაპანაძე, ერთი იმ იურისტთაგანი გახლდათ, ვისაც მწარე და უიღბლო ბავშვობის მოგონებანი, სამუდამო, მოურჩენელ დაღად ატყვიათ და სიმდიდრისა და გალაღებული ცხოვრების მიმართ, სიკვდილამდე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ამიტომაცაა, რომ თუ ხელთ ვინმე მდიდარი და გავლენიანი კაცის საქმე ჩაუვარდათ, ბევრად შეუვალნი და მიუკერძოებელნი ხდებიან და სანამ აღრიალებულს და აქვითინებულს არ ნახავენ ამ ხალხს, ვერ ისვენებენ. ახლაც ამ პროფესიის ადამიანთათვის "დამახასიათებელი ყნოსვით" მწარე ბოლის სუნს გრძნობდა, და იცოდა, რომ ვიღაც-ვიღაცებს უკვე საკმაოდ მაგრად "ეწვოდათ კუდი". ჰოდა, ამ თავის სანუკვარ სიამოვნებაზე აბა უარს როგორ

იტყოდა და ისიც სასწრაფოდ ჩაქანდა მარტვილში. როცა ავტობუსი ქალაქის სადგურში შევიდა, ჩვეულებრივი, დასავლური ნესტიანი დილა თენდებოდა. გვარიანად ჟინჟლავდა, მაგრამ მომავალი სიამოვნების განცდა, იმდენად დიდი იყო, რომ ლერი კაპანაძეს, ამისთვის სულ არ მიუქცევია ყურადღება. სადგურის ბუფეტში, ფენოვანი ხაჭაპური იყიდა და პოლიციის შენობისაკენ ღეჭვა-ღეჭვით გაუყვა.

იცოდა, იქაურებს დიდად არ გაუხარდებოდათ მისი დანახვა, მაგრამ ლერის ეს ამბავიც არაფრად მიაჩნდა და არც აწუხებდა.

_ მაშ კრაზი არავის ჰყავს რაიონში? _ კიდევ ერთხელ გაუმეორა შეკითხვა დედაქალაქიდან ჩასულმა რიგითმა გამომძიებელმა რაიონის პროკურორს, ელიზბარ თელიას და მეტი დამაჯერებლობისთვის თვალებში დაჟინებით მიაცქერდა.

_ კრაზი, კრაზი... _ დააკაკუნა მაგიდაზე კალმის ძირი რაიონის პროკურმა და ვითომც ახლაღა მოაგონდა, _ უნდა ეგდოს მგონი, ახალაია ხვიჩას სახლის წინ, თუ არ ვცდები, მარა, დაგორავს თუ არა ჯერ კიდევ, არაფერი ვიცი... _ იცრუა პროკურორმა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ ის კრაზი, აგერ უკვე სამი თუ ოთხი წელია, არამარტო ახალაიებს, მგონია, მთელ უბანს ინახავდა და ასეთ პატარა ქალაქში კიდევ, ნემსი, რომ ნემსია, ის არ იმალება და კრაზი როგორ დაიმალებოდა, სასაცილო არ არის?

_ თუ ადგილზე არ დაგვხვდა, მაშ დაგორავს, _ გამოიტანა ლოგიკური დასკვნა გამომძიებელმა და წამოდგა. პროკურორიც ადგა, მაგრამ ლერიმ ხელები გაასავსავა. _ მე თვითონ, მე თვითონ, თქვენ რატომ შეგაწუხოთ... _ თქვა და კარისკენ წავიდა...

_ რა შეწუხება, როგორ გეკადრებათ! _ დაადევნა ზრდილობისთვის, როგორც იქაურთა წესია, პროკურორმა, თორემ გაყოლას სულაც არ აპირებდა, რადგან, თბილისიდან ჩამოსული გამომძიებელი, როგორც კი მისი კაბინეტის ზღურბლს გასცილდებოდა, ამ ვიზიტის შესახებ, აუცილებლად, სასწრაფოდ უნდა გაეფრთხილებინა გამგებელიც, კრაზის პატრონიც და შპს "ქორი"-ს მფლობელიც, დარეჯან ქოიავა. მოკლედ, საქმე არ მქონდა და გამომიჩინესო, გაიფიქრა, და კიდევ ისიც გაიფიქრა, ალბათ უკანასკნელი ხელფასი ავიღეთო ყველამ, რადგან კოჭებში შეატყო გამომძიებელს, ამ საქმეს, რომ ბევრად ცუდი სუნი უდიოდა, ვიდრე იმ დილას ეგონა, ტელე-ეკრანზე ახალაიების გადაბრუნებული კრაზი რომ დაინახა...

_ ხვიჩა არაა სახლში, პირადად ხვიჩა გნებავთ, თქვენ? შემობრძანდით! _ ხვიჩა შინ არ დახვდა გამომძიებელს. მაგრამ ეზოში მაინც შევიდა და იქვე გაჩერდა.

_ თქვენ მეუღლე ბრძანდებით?

_ დიახ! _ ცოტა შემკრთალი უმზერდა უცხოს ქალი, რომლის გვერდით სამი პატარა იდგა და რომლებიც აგრეთვე გამომძიებელს მისჩერებოდნენ.

_ თქვენ რა გაინტერესებთ მაინც, მე ვერ გაგცემთ პასუხს? _ შეეკითხა ქალი.

_ კრაზი გყოლიათ... _ იკითხა, თითქოს სხვათაშორის, გამომძიებელმა.

_ კი... მაგრამ, მე რომ მაგ საკითხის შესახებ პასუხს ვერ გაგცემთ, _ ზრდილობიანად უპასუხა ქალმა.

_ უკვე გამეცით პასუხი, _ უპასუხა ლერი კაპანაძემ. _ ხვიჩაზეა გაფორმებული?

_ არა, ბატონო, ხვიჩა რა შუაშია, ეგ მანქანა ჩემი ქმრის კი არ არის.

_ აბა? _ დაინტერესდა გამომძიებელი.

_ ეგ მანქანა იაპონელების იყო... _ "მოხია" უცბად ქალმა.

_ იაპონელების? კრაზი? _ ვერ დაიჯერა გამომძიებელმა.

_ კი, კი! _ ლამის იყვირა ქალმა, რომ გამომძიებელი დაერწმუნებინა. _ მაგის გარდა, ორი სხვა მექანიზმიც იდგა აქ... ერთი ამწე, "კატო" რომ აწერია ხორთუმზე და მეორე, ტრაქტორი, ისიც წითლად შეღებილი... უფრო სწორედ, ფორთოხლისფრად...

_ მერე? _ გაგრძელებით დაინტერესდა გამომძიებელი.

_ მერე, წაიღეს იაპონელებმა ის ორი... ათი წლის მერე წაიღეს, კი... შემობრძანდით, ხვიჩა მოვა მალე და ის უკეთეს პასუხს გაგცემთ, თუ გაინტერესებთ... _ თქვა ქალმა და სახლისკენ გაიშვირა ხელი.

_ კი მაგრამ, რას აკეთებდნენ აქ იაპონელები? _ ვერ დაიჯერა ქალის ნათქვამი გამომძიებელს.

_ ასფალტს აგებდნენ, ხომ...

_ მოკლედ, მე ვერ გავიგე, ის მექანიზმები წაიღეს, კრაზი დატოვეს... თქვენი ქმრისაა ახლა ეს კრაზი? _ შეეკითხა ქალს ლერი.

_ შინ თუ არ შემობრძანდებით, აქ მაინც დაბრძანდით, ბატონო! _ თხოვა ქალმა, _ ვინ ბრძანდებით, ვერ გვეტყვით? თორემ მაგ კრაზის და, საერთოდ, მაგ მექანიზმების წასაღებად, ვინ აღარ იყო აქ მოსული...

_ ვისზე ამბობთ?

_ დაწყებული მერიიდან პოლიციის უფროსით დამთავრებული, მაგრამ ხვიჩამ არ დაანება.

_ რას ნიშნავს, არ დაანება, თავისი ხომ არ იყო, იაპონელებისა იყოო, ასე არ თქვით? _ ვერ მიუხვდა კაცი, რას ამბობდა ქალი.

_ დიახ, და იმათვე წაიღეს... იმ ორ მექანიზმში ორიათასი დოლარი გადაუხადეს ხვიჩას იაპონელებმა...

_ და “კრაზი”? რა, აჩუქეს? _ ისევ კრაზს დასტრიალებდა გამომძიებლის ტვინი.

_ ათიათასი ეკუთვნოდა თურმე ხვიჩას, მაგრამ არ ვიცოდით ეს ჩვენ, ისე გაგვიხარდა, ის ორიათასი... გვეგონა მობრუნდებოდნენ და კრაზსაც წაიღებდნენ, მაგრამ რომ წავიდნენ, მას მერე აღარ გამოჩენილან... ხვიჩას დარჩა ეს კრაზი, დაუტოვეს იმათმა...

_ ახლა სადაა?

_ ხვიჩა? ხვიჩა საპარიკმახეროშია, თმა უნდა გაიკრიჭოს... მოვა მალე...

_ თვითონ კრაზი?

_ კრაზს აქირავებს ხვიჩა, მაგრამ ბოლოს, ვინ წაიღო არ იცის... დილას გამოვედით და არ დაგვხვდა....._ გენიალურად იცრუა ქალმა.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო და პურით ხელში, ეზოში კაცი შემოვიდა.

_ ა, მოვიდა თვითონ და ის გაგცემთ პასუხს ახლა, ჩემზე ბევრად უკეთესად იცის რა უნდა თქვას... ა, შენ გკითხულობს, _ მიანიშნა სტუმარზე ქმარს ცოლმა. _ წამოდით, თქვენ აქეთ, წამოდით! _ დასტატანა მან მაშინვე ბავშვებს და სახლისკენ გაირეკა.

ხვიჩას აშკარად შეეტყო, რომ უცხო კაცის დანახვა არ ესიამოვნა. ხელი ჩამოართვა.

_ გამომძიებელი ლერი კაპანაძე.

_ ხვიჩა... _ ჭაღარაშერეული, დაბალი, გრძელცხირა კაცი აღმოჩნდა ხვიჩა.

_ შენი კრაზი სად არის?! _ ეგრევე მიახალა გამომძიებელმა.

_ ჩემი არ არის ის კრაზი... _ გულზე ხელი მიიდო ხვიჩამ.

_ შენ რომ აქირავებ? _ არ დაუთმო გამომძიებელმა.

_ მე ვაქირავებ მარტო, პატრონს ხომ უნდა დავახვედრო და დაჟანგულს ხომ არ დავახვედრებ? მაგრამ ვინ წაიღო ახლა და სადაა, რომ არ ვიცი, რა გითხრათ... _ მხრები აიჩეჩა კაცმა, _ დიდი ხანია მოხვედით?

_ არც ისე... _ მიუგო გამომძიებელმა.

_ მაგული, გარეთ დასვი, ქალო, ეს კაცი? _ და რაღაც მეგრული მიაყოლა. ალბათ, ცოლს შეუკურთხა. _ შემობრძანდით, გარეთ რატომ დაგსვათ ამ ქალმა, ძაღლს და მამაძაღლს სავარძელში წამომისვამს და...

ლერი კაპანაძე იმ წამს მიხვდა, რომ ამ კაცს ვერაფერს დააცდენინებდა, “კაცი იაპონელებს საკუთარ მექანიზმებში ფულს აწერს და გაუფორმებელ კრაზზე ათქმევინებ რამეს?” _ გაიფიქრა და ხელი ჩაიქნია, თუმც მაინც ჰკითხა:

_ არც ეჭვი გაქვს ვინმეზე, ვისაც შეეძლო რომ წაეღო?

_ არ ვიცი, ძმაო, რა გითხრათ, ვის დავადო ხელი, თუ არ გჯერათ, საფლავში მძინარე მშობელი მამა დაგიფიცო, შემიძლია... ქუჩაში გდია დღე და ღამე, “სეკრეტებზე” ხომ არ მეყოლება, გამოვიხედე დილას და აღარ იდგა... ცოტა კი შევფიქრიანდი, მაგრამ თუ თბილისში წაიღებდნენ, მაგას ხომ ვერ წარმოვიდგენდი... მანქანას პასპორტიც არ გააჩნია, პასპორტი!

_ ხვიჩა, შემოიპატიჟო ეგებ ეგ კაცი. რატომ ზიხართ, ბატონო, გარეთ? შემობრძანდით სახლში! _ გამოსძახათ კარიდან მაგულიმ.

ლერიმ ცოლსაც შეხედა და ქმარსაც და მერე მშვიდად უთხრა ხვიჩას.

_ ეს რომ დიდი ქალაქი ყოფილიყო, იქნებ დამეჯერებინა კიდეც შენი ნათქვამი, მაგრამ თუ გამოძიებას ხელს უშლი და სიმართლეს არ ლაპარაკობ, შენს თავს დააბრალე! _ მიტრიალდა და სწრაფად გააბიჯა.

_ როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ... _ გამოუდგა ხვიჩა, ხელიც მოკიდა, მაგრამ ლერიმ იხეშად გამოგლიჯა და გზა გააგრძელა.

მანქანის მძღოლი, რომ უბრალო “პაიკი” იქნებოდა და “მეფე-დედოფალი” სხვაგან უნდა ეძებნა, ბევრად ზედა ფენაში, გამომძიებელმა ძალიან კარგად უწყოდა....თუმცა, ჩვენ დროში, ამ გაძვალტყავებული ქვეყნის ამ მიყრუებულ კუთხეში, რა დონის მეფე-დედოფალი ბატონობდა, არც ისე ადვილი წარმოსადგენი იყო მისთვის. ეს მისთვის, თორემ, მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ იქაური ხალხის მამები არც ისე ცუდად გრძნობდნენ თავს. როგორ გგონიათ, ვინმეს რამეს შეარჩენდნენ? და როგორც რუსები ამბობენ “ქონშიც ცურავდნენ”. უკანონო ხე-ტყის მოჭრა და, მითუმეტეს, აკრძალული ტყის გაკაფვა, არც ისე პატარა დანაშაული გახლდათ და იქაურები, მართლაც, მაგრად შეფუცხუნდნენ. მოქრთამვაში გაწაფული კი გახლდნენ, მაგრამ ასეთი გახმაურებული საქმის ჩაფარცხვა და თან ისეთი ფიგურების სიკვდილი, როგორიც იარაღის გამყიდველები იყვნენ, ვინ იცის, რა ძალების ამოქმედებას გამოიწვევდა და ეს ჩვენი ჩინოვნიკებიც მაგრად დადგომას აპირებდნენ.

როგორც ყველგან, მათაც ჰყავდათ თავიანთი “სვეტა”, რომელიც მაღალ ფეხებთან ერთად, მშვენიერ თეძოებს და მკერდსაც ფლობდა. წითელ, მარწყვის ტუჩებს და ჟუჟუნა, ულამაზეს თვალებს. მოკლედ, სვეტა თუ იხსნიდა, უგემურ, თითქმის სასოწარკვეთის ზღვარზე მყოფ რაიონის მამებს და, არც თუ უსაფუძვლოდ, მათ შეშფოთებულ მეორე ნახევრებსაც, რომლებიც მუდამ “პირველნი” არიან, თუმც, რატომღაც, ხალხი დღემდე “მეორეებს” უწოდებს.

_ არა, არა, ვერაფრით ვერ მოიცალა ჩემთვის ამ ღმერთმა... _ წამოიწყო თუ არა საუზმისას, რაიონის გამგებლის პირველმა-მეორე ნახევარმა, ნორა ქადაგიძემ, ქმარი, ენვერ ჭუბაბრია, იმ წუთას სკამიდან წამოხტა და პირში ეცა.

_ აბა, ეს რაა, მაშ?! რა ჰქვია ამას, მაშ?! არ ჰქვია ამას ხიზილალა? ამას არ ჰქვია ანანასი? ან ამას არ ჰქვია ზუთხი? გავმაზოთ რაზეც გინდა, რომ ოთხმოცდაათ პროცენტს, ბოლო ათი წელი, ქელეხში თუ უნახავს თვალით, ან ერთი, ან მეორე, ან მესამე!

_ კი, კი, მართალია, მაგრამ ცხვირში, რომ უნდა ამომდინდეს ეს ყველაფერი, გენაცვალე, ცხვირში? იმას ვჩივი მე! _ მიაჩერდა პირში პასუხის მოლოდინში ნორა ენვერს.

_ აპა, შენ, ბაბაც გინდა და ჩიჩიაც, ხომ, ამ წარღვნაში! იცხოვრე ხომ ორი წელი, ტრაპიზუნდის ხონთქრის ცოლივით... ახლა ინებე კეთილი, გენაცვალე, და გოზინაყის ნაცვლად...

_ ჰო, რა, რა? _ დაინტერესდა ცოლი, ენვერი კი მაგრად ჩაფიქრდა.

_ ჭამე რძე და ყველი, ბატონო, არ გეტყვი, რაც მოსდევს მაგას...

_ რძე და ყველი, არა? რძე და ყველი, ხომ? _ ძალიან მაგრად გამწარდა, რატომღაც რძეზე და ყველზე ნორა...

_ აბა, ბალანდას მთხოვ, ქალო? _ მთლად გაგიჟდა ამაზე ენვერი, _ პატრონს შენსას...

_ შენ პატრონს, თუ კაია... როგორ გინდა გაძლო ამ დებილი კაცების ხელში? _ აქეთ-იქით იყურებოდა ნორა. გამზიარებელს ეძებდა, მაგრამ ვის ნახავდა, შვილები, კარგა ხანია, დაბინავებული ჰყავდა უცხოეთში, მამა საფლავში და დედა კი ვერაფრით წამოიყვანა სოფლიდან.

_ შენ ნუ ღელავ... _ ჩაესმა უცბად ყურში თავისი "დებილი" ქმრის ხმა, _ ადამიანია, ალბათ, ეს კაციც, ეს გამომძიებელი... ისეთი პირუტყვი ხომ არ იქნება, რომ არ შევიდეს ჩვენს მდგომარეობაში? ან დაგვიმტკიცოს ხომ, უნდა, რომ ჩვენია ის ხე-ტყე... მანქანა უპატრონოა, მძღოლი აორთქლებული და ჩემკენ გამოიშვერს, მაინცდამაინც, თითს?

_ ის თუ არ გამოიშვერს, შენი მტრები გამოიშვერენ, შენი! _ ხმას აუწია ნორამ, _ მრეწველები, ლეიბორისტები, ტრადიციონალისტები და ათასი ოხერი და მამაძაღლი... მტრის მეტი რა გახვევია გარშემო ტარაკნებივით... ერთი სული აქვთ, მიწა მოგაყარონ მუჭით... არც მე ვიტყოდი ამაზე უარს, რაც ახლა შენ გამიკეთე... რა იყო, ახლა, ორი კაპიკით ნაკლები გეშოვათ და იმ ძელქვას არ მისდგომოდით... კოპიტი და მუხა მოგეჭრათ, რომ გაცეტდით, გაღორდით და გამუცელდით...

_ მუხის ფულით გაისეირნებდი მერე? პარიზი და მეხიკო რომ ამოიდე ტრაკქვეშ... არ მათქმევინო, ახლა, არ მათქმევინო, იცოდე, ყველაფერი...

_ მე ვნახავ იმ კაცს... _ წამოსცდა უცბად ნორას.

_ აპ, აპ, აპ... არ დამღუპო, არ ჩამაკეტინო შენი თავი ცხრაკლიტულში, არც გაივლო მეორედ!!! _ საშინლად აღელდა ენვერი. _ ჩვენ თვითონ მოვუვლით მაგ კაცს... _ ამ დროს მაგიდაზე დადებული ენვერის მობილური ახმიანდა, _ ა, რეკავენ უკვე... არ გავიგო შენი ხმა! _ ტუჩზე თითი მიიდო და ტელეფონი აიღო ენვერმა.

_ ჰო, ელიზბარ, გისმენ!

_ ენვერ, მოდის... _ გაისმა ელიზბარის ხმა ყურმილში.

_ კაი, გენაცვალე! ჩემზე იყოს...

_ აბა, კარგად! _ გაისმა ყურმილში და გაითიშა.

_ მოდის? ვინ მოდის, გამომძიებელი? _ აღელდა ნორა. _ როგორ უნდა დავხვდე, რანაირად, რომ არ ვიცი?

_ არა, არა! აქ არავინ მოდის, რა უნდა ჩემს სახლში გამომძიებელს, თუ დასჭირდათ, იქით დამიბარებენ... სხვა რამეზე იყო ლაპარაკი, სხვა, და ნუ დამჩხავი ყვავივით! _ გაბრაზდა ენვერი.

საუბარი მართლაც სხვა რამეზე იყო, ელიზბარი იმ კაცის მოსყიდვაზე საუბრობდა, ვისაც ხე-ტყის მოჭრა და გაყიდვა თავის თავზე უნდა აეღო. ეს გეგმა კარგა ხანია მოფიქრებული ჰქონდათ მომავალ ეჭვმიტანილებს, რომელიც სწორედ ასეთ, განსაკუთრებული შემთხვევისას უნდა ამუშავებულიყო. თანხაც თავიდანვე გადადებული ჰქონდათ და ის საცოდავიც შერჩეული, ვისაც ფულის გამო, თავი უნდა

გაეწირა. რამდენად გაამართლებდა ეს ტაქტიკა, ეს სხვა იყო. თუმცა, გამგებელმა ენვერ ჭუბაბრიამ თავი დააჯერა, რომ კოჭი ალჩუზე დაჯდა. ის კი, თუ იმ მხარეს რა ხდებოდა, საითაც აკრძალული ხე-ტყე მიდიოდა, რატომღაც ფეხზე დაიკიდა... მთავარი ჯგუფური დანაშაულის თავიდან აცილებაა, ფიქრობდა...

"სვეტა" _ გაჭირვების ტალკვესი, ასეთ მომენტებში, მომავალი ორგიისთვის უცნობ მამაკაცთან, განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებოდა. იგი ჯერაც სასტუმროს ადმინისტრატორად იყო გაფორმებული, თუმცა, არალეგალურად, არანაკლებ ხელფასს იღებდა, ვიდრე ქალაქის პროკურორი და, ალბათ, გამგებელიც... მისი გარეგნობა აგიწერეთ, "სამუშაოს" ამბავსაც მიხვდით, ალბათ... მოკლედ, როცა ის ლერი კაპანაძეს, შემთხვევით, ქალაქის საკრებულოს ვიწრო და ბნელ დერეფანში შეეჯახა, გამაოგნებელ, თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდა...

_ ვაი, ბოდიშით, ვერ შეგამჩნიეთ... _ ჩაილაპარაკა ქალმა და თითქოს მამაკაცთან არამცთუ ოდესმე წოლილიყოს, არამედ, ნამდვილად პირველად ხედავსო, ისე უმანკოდ და მიმნდობად გაუღიმა ქალაქიდან ჩამოსულ გამომძიებელს, რომ მას ასეთი ანგელოზის დანახვაზე, თითქმის გული წაუვიდა და ქალს რომ ხელი არ მიეშველებინა, შესაძლოა, მის მკლავებშიც აღმოჩენილიყო. მოკლედ, რა დასამალია და, ასეთი ტანადობის მდედრი, თავისი ღია მკერდით და თეთრად ამოფეთქილი ძუძუებით, ნებისმიერ მამაკაცს მოხიბლავდა და რაღა ჩვენი ლერი კაპანაძე იქნებოდა გამონაკლისი?

_ მაპატიეთ! _ ამ ერთ სიტყვაში ლერიმ ყველაფერი ჩააქსოვა, რაც კი შეეძლო: რომ მაგრად დაევასა, რომ თავისუფალია, რომ ქვეყნის დასალიერამდე გაჰყვებოდა და რომ ჯელტმენიც იყო, აქაურებისგან განსხვავებით...

ქალმა ნაზად დაუკრა თავი, რატომღაც თლილი და მოვლილი თითები ძუძუს თავიდან ჯერ თეძოსკენ წაიღო, მერე კი იქიდან მუხლამდე ლამაზად ჩააცურა და უმშვენიერეს უკანალიანად დერეფნის სიღრმეში გაუჩინარდა. ამ მეტად ეფექტური ნომრის გაგრძელება საღამოსთვის იყო გადადებული, თუმცა, ქალის ტანის უაღრესად ნატიფი და სექსუალური კონტურები, იმ წუთიდან სამუდამოდ ჩაიბეჭდა, მრისხანე და მიუკერძოებელი გამომძიებლის ქვედა ორგანოების გამაღიზიანებელ უჯრედებში.

წინააღმდეგობას, რომელსაც გამომძიებელი ლერი კაპანაძე პირველივე ეჭვმიტანილთან, ანუ "კრაზის" არაოფიციალურ მეპატრონესთან წააწყდა, რა თქმა უნდა, ელოდა. მაგრამ თუ "კრაზი" იაპონელებისა იქნებოდა და გამოძიებას ასეთი რთული გაგრძელება ექნებოდა, ამას როგორ წარმოიდგენდა. როგორც საკრებულოში გაარკვია, რაიონში არა მარტო ლეგალური, არამედ, ულიცენზიო სახერხი ცეხები თუ ინდმეწარმეებიც არსებობდნენ და, რა და რა სახის მეწარმეობას ეწეოდნენ, ეშმაკმა უწყოდა. ვინ პანტაზე და მაჟალოზე მუშაობდა, ვინ ტყის თხილსა და წიფლის ნაყოფზე და ვინ კიდევ მგელსა და დათვს დასდევდა, ვინ იცის...

_ ნიავდება, თუ რამე დარჩა კიდევ გასანიავებელი! _ მიაწოდა გამომძიებელს იქაური ოპოზიციის ერთ-ერთმა რიგითმა წარმომადგენელმა უტყუარი ინფორმაცია და გამოძიების სწორად წარმართვაში დახმარება აღუთქვა. არადა, რაიონის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკთა ნებართვის გარეშე, ნაკრძალში ძელქვის მოჭრა კი არა, ხვლიკიც რომ ვერ გაფხლაკუნდებოდა, ლერი კაპანაძემ ისედაც ძალიან კარგად უწყოდა... ხვლიკზე ვლაპარაკობთ და ძელ-ქვით დატვირთული "კრაზი", რომ მათი ნებართვის გარეშე, არამცთუ, ქალაქიდან გასულიყო, სამ-ოთხ მეტრსაც ვერ გაივლიდაო, ფიქრობდა. მოკლედ, ჩაიწყო ჯიბეებში ხელი და იმ ჟინჟვლიან დღეს ნაკრძალი

მოინახულა. გაჩეხილი ის სიტყვა არ არის, არც გაკაფული, ტყე მიწასთან იყო გასწორებული... მოჭრილი და ხის ძირი დამწვარი, ყველგან, ყველგან... მიდი და გაიგე, როდისაა გაკაფული... გითხრათ, ახლა, გული დაეწვაო, არა... კონკრეტულ დავალებას ასრულებდა ლერი კაპანაძე და სენტი-მენტებისთვის არ სცხელოდა. თუმც, ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მის კვალს ჩუმად მიჰყვებოდა და გულდაგულ სდარაჯობდა, მსუბუქი ავტო-მანქანის უკანა სავარძელზე თბილად მოკალათებული, საკრებულოს დერეფანში მოფარფატე ანგელოზი, რომელთან უნებურად შეეჯახებამ მისი ეროტიკული ნერვების დაბოლოებებზე ასე დადებითად იმოქმედა.

და ისინი მეორედ შეეფეთნენ ერთმანეთს. და ეს ისეთ უადგილო ადგილას მოხდა, როგორიც რაიონული ბიბლიოთეკაა. (სიმართლე თუ გინდათ, ამ ოცი წლის წინ რომ დამეწერა ეს ყველაფერი, ალბათ სასტუმროს რესტორნის შესასვლელში შევაფეთებდი ამ ორ გმირს ერთმანეთთან, ახლა კი...) შემთხვევით, ვიწრო კარში შეიჭყლიტნენ ერთდროულად და გარდა იმ თავბრუდამხვევი სურნელებისა, რომელსაც ქალის ზედა ტანი, ყელი და თმებიც აფრქვევდნენ, ალბათ, ქვედა, მუხლის თავის ზედა რბილმა ხორცმაც ისე ხორციელად იმოქმედა ჩვენი გამომძიებელის ბიოლოგიურ ველზე, რომ მაშინვე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა...

_ არა, ჩემს იქით, გზა არა გაქვთ! _ და უძირო, ულამაზეს თვალებში, ლამის ფსკერამდე ჩახედა.

_ ოჰ, მაპატიეთ, ისევ თქვენ? _ მკერდზე მოიკიდა უნებურად ხელი ქალმა და შემთხვევით, პატარა ვარდისფერი ღილი გაეხსნა, რამაც კიდევ უფრო დიდებულად წარმოაჩინა მისი თეთრად მოლივლივე მკერდის უპირატესობანი.

არა, ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. სისხლი ტვინში აასკდა გამომძიებელს და რომ არა, პროფესიული თავშეკავება, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე.

_ ვინ ბრძანდებით, რატომ ვერ გცნობთ? _ კარს გასცდნენ თუ არა, კეკლუცად იკითხა ქალმა და ქერა თმის ხუჭუჭა კულული, ლამაზ, მომცრო ყურის აწითლებულ ნიჟარაზე გადაიდო, რომლის ბიბილოზე თეთრად ელვარებდა, პატარა, მოოქროვილ ბუდეში ჩასმული მარგალიტი და ლერის ტატო გაახსენა. კერძოდ, “ჰოი, საყურეო, გრძნობათ ამრევო”, მერე ისიც გაიფიქრა, ეს ანგელოზი მეთვრამეტე საუკუნის რომანებიდან თუ მოფრინდაო, მაგრამ ეროტიკული ნერვების დბოლოებებმა, მაინც თავისი გაიტანა და ისიც ოცდამეერთეს მშფოთვარე, რეალურ დღეებს დაუბრუნდა.

_ ჩამოსული ვარ, ორიოდე დღით... _ ამოილუღლუღა ლერიმ და საკუთარი ხმის ტემბრმა გააკვირვა.

_ ვისთან? თუ საიდუმლო არაა? _ წაათამამა ქალმა და ძუძუთა შუა, ძეწკვზე დაკიდულ მედალიონს დაუწყო წვალება.

_ კონკრეტულად არავისთან, საქმეზე ვარ ჩამოსული, _ თქვა ლერიმ და დააყოლა, _ მეორედ ვეჯახებით ერთმანეთს, შემთხვევით...

_ ვინ იცის? იქნებ შემთხვევით სულაც არა? ამ ბიბლიოთეკაში იცნობთ ვინმეს? _ შეეკითხა ქალი და თავისი ლამაზი თვალები მიანათა, თან თეთრი, მწყობრად ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

“აუ, ღიმილი აქვს? “მონალიზა” მიმიქარავს”, გაიფიქრა გამომძიებელმა და გაუბედა.

_ არა, არავის, ამ ქალაქში, თქვენს მეტს არავის... უბრალოდ, დროის მოკვლას ვაპირებდი...

_ გინდათ, მე დაგეხმარებით, დროის მოკვლაში, უკეთეს ვარიანტს შემოგთავაზებთ... _ უთხრა ქალმა და გვერდიდან ლამაზად გაუღიმა.

_ ჩემს საშველად ჩამოფრენილხართ ციდან, _ მთლად გაუტია გამომძიებელმა.

_ ჰოდა, ძალიან კარგი, წამოდით მაშინ! _ ქალმა სწრაფად მოკიდა ხელი დაბნეულ მამაკაცს და გარეთ გამოიყვანა, _ ნუ გაგიკვირდებათ, ამ ქალაქში არც ისე ხშირად ხვდება ქალი ნამდვილ მამაკაცს...

ანგელოზი ძალიან სწრაფი ტემპით იღებდა რეალურ, მიწიერ სახეს, ეს ხელის თითების მოჭერაშიც იგრძნობოდა.

სულ მალე ორივენი კერძო რესტორნის, ასე, ექვსკაციან მაგიდასთან იჯდნენ და ერთმანეთს ახლოს ეცნობოდნენ.

_ მართალი გითხრა, ვერაფერი გავუგე აქაურ კაცებს... _ გულს უხსნიდა ლერის ქალი.

თბილისში, ასეთი რამ, ათას წელში არ გადახდებოდა, თბილისი შორს იყო ოჯახიანად და ლერი, მიუხედავად ოდნავი აწითლებისა და სიმორცხვისა, თანდათან ფორმაში შედიოდა და თამამდებოდა. მით უმეტეს, ქალი სულ არ ერიდებოდა და თვალებშიც სიყვარულით და, თითქოს, სინანულითაც კი უმზერდა. ყოველ შემთხვევაში, ლერის ასე ეჩვენებოდა. ვისკს (რომლებშიც ლერი საერთოდ ვერ ერკვეოდა, მაგრამ ოფიციანტს დაუჯერა და კარგიც გავაკეთეო, ფიქრობდა), თავისი გაეტანა და ლერიმ, ჯერ თქვენნაირი ქალი არ შემხვედრიაო, ქალის მტევანს სალოკი და შუათითი ფრთხილად შეახო. ქალს ისე ესიამოვნა, ლერი ამას ვერ წარმოიდგენდა. მოეჩვენა, რომ ოდნავ თვალიც კი ჩაუკრა და თვითონ მოიქცია მისი ხელი ლამაზ თითებში. ქალებში უკეთესად გარკვეული კაცი, რა თქმა უნდა, იმ წამს შეტევაზე გადავიდოდა, ლერიმ კი მაინც დაახანა, ვერ დაიჯერა ასეთი სწრაფი გამარჯვება. ქალმა კი, რომელიც მამაკაცის ამოცნობაში იშვიათად იჭრებოდა და მაგრად ფრთხილობდა, მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენლის ასეთი ინერტულობის გამო, ვაიმე, ხომ არ შემეშალაო, გაიფიქრა. ხოლო, როგორც ასეთ შემთხვევებში, ლერისნაირ კაცთა უმრავლესობა, ისიც სკამის ზურგზე გადაწვა და თვითკმაყოფილმა სიგარეტი გააბოლა. ქალმა ერთი წუთით გავალო და გავიდა. ლერი დამშვიდდა, ვისკი ტკბილად მოძრაობდა მის ძარღვებში და სასიამოვნოდ თენთავდა. ახლაღა გაახსენდა, რომ ქალის სახელი არ იცოდა და ძალიან გაუკვირდა. თუმცა, არც იმან იცის ჩემიო, გაიფიქრა. არადა, ქალმა მარტო ლერის სახელი კი არა, მგონი, ბიოგრაფიაც იცოდა. ქალი გარედან საოცრად აგზნებული შემოვარდა.

_ იცით, რა ხდება დარბაზში? ჩვენები გრიალებენ... წამოდით, რა, შევუერთდეთ, მაგარ ვიღაცეებს გაგაცნობთ! ეს იყოს, არ ავალაგებინოთ... _ ანიშნა მან სუფრაზე და პასუხს აღარ დაელოდა, მოკიდა კაცს ხელი, კუპედან გამოიყვანა და დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, გაშლილი სუფრისკენ გაუძღვა.

სუფრას ათიოდე კაცი და ქალი შემოსხდომოდა. ალბათ, შუა ქეიფში იქნებოდნენ, რადგან კაცებს პერანგები მოეღეღათ და ჯდომის მანერაზეც ეტყობოდათ, რომ თითო ბოთლზე მეტი მაინც ჰქონდათ მიღებული. ქალები სიგარეტს აფუილებდნენ და ლოყებიც უკვე წითლად უღუოდათ.

_ ოჰ, მობრძანდით, მობრძანდით! _ დიდი სიხარულით მიიღეს სუფრის წევრებმა შემოსწრებულები.

_ სტუმარი ღვთისაა, _ გამოაცხადა, ალბათ, თამადამ, რადგან ყველანი დასხდნენ, ის კი მაინც ფეხზე იდგა, _ სვეტა, გენაცვალე, გაგვაცანი შენი კავალერი, მიმართა მან ლერის პარტნიორს.

_ ბატონი “ინკოგნიტო”! _ თქვა სვეტამ და რატომღაც გადაიკისკისა. ლერი ფეხზე წამოდგა.

_ ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! _ ანიშნა ლერის თამადამ, მაგრამ ლერი არ დაჯდა.

_ ლერი კაპანაძე! _ გააცნო მან თავი სუფრის წევრებს და მზერა სვეტაზე შეაჩერა. მოკლედ, ლერი კაპანაძე ვარო, უთხრა.

_ პროფესია? _ შეეკითხა თამადა.

_ ინჟინერი ვარ, _ იცრუა ლერიმ.

_ გადარჩენილხართ, _ თქვა თამადამ, _ თავის რჩენას ახერხებთ, ალბათ. მარტო დახლი და ამწე მუშაობს, დღეს ყველგან, ასე არაა? ძალიან კარგი, მეტს არაფერს გკითხავთ. ეს ერთი პატარა ყანწი დაგვილიეთ, წამოგვეწიეთ ცოტა და გავაგრძელოთ მერე ჩვენი გრიალი, თანდათან...

ლერი ამ ყანწს ვერსად გაექცეოდა, კი ჩამოჰხედა ცალი თვალით სვეტას, რომელიც მას აღარ აქცევდა ყურადღებას და დაილოცა, რაც თქვენ წარმოთქვით ჩემამდეო, ჩამოცალა. სუსტი ღვინო იყო, თხელი, ქარხნული წესით დაყენებული. ლერი ცოტა ერკვეოდა ღვინოებში... სუფრაზე წყვილებად ისხდნენ, ოთხი კაცი და ოთხი ქალი.

_ ციცქაა, სუფთა, თავს არ ატკიებს, _ მიაწოდა ცნობა თამადამ.

როგორც ჩანს, მათ შემოსწრებამდე სუფრის წევრები რაღაცაზე დაობდნენ.

_ ბედოვლათები ვართ ქართველები და იმიტომ, _ ამბობდა მის პირდაპირ მჯდარი, ფართო ყვრიმალიანი მამაკაცი, რომელსაც მხარზე მშვენიერი "დამა" ჩამოყრდნობოდა და სიგარეტის ბოლს, გამომწვევად, პირდაპირ სახეში აბოლებდა. _ დანგრევას ერთი წუთი სჭირდება, აშენებას საუკუნეები... არა ვართ, ალბათ, საცოცხლებელი, ევროპაში თურქები საშინლად არ უყვართ... მალე ჩვენც შევძულდებით. სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობსო, ტყუილად ხომ არაა ნათქვამი...

_ რამდენი საუკუნეა უკვე, რაც ეს ქალაქი არსებობს, წყალი, რომ წყალია, წყალი არა აქვს ქალაქს... _ ჩაერია, მის მარჯვნივ მჯდარი, მაღალი, ყელმოღერებული მამაკაცი.

_ ხე აღარ დატოვეს ტყეში და ბუჩქი და როგორ გექნება წყალი, რანაირად?

_ ძელქვას რომ კაცი მოჭრის, ნაკრძალში, საუკუნეზე მეტი რომ სჭირდება, რომ ცოტა ტანი აიყაროს, არ უნდა მოაჭრა მკლავი ძირში? _ დაუდასტურა მაღალმა.

_ პირდაპირ დაადეს ჩვენს რაიონს ხელი, ტელევიზორში... _ ჩაერია თამადა.

_ ნუკრი გობეჩიასი ყოფილა, თურმე, ასე ამბობენ და მე არ ვიცი, არ მიყურებია, როგორ ჭრიდა, ამ ცოდვას ვერ დავიდებ... _ თქვა ყვრიმალამ.

ლერი კაპანაძე, რომ ნამდვილად წამოეგო ამ ანკესს, სუფრის წევრებმა ადვილად იყიდეს. რადგან, მან მაშინვე თავი გადასწია და სვეტას რაღაც წასჩურჩულა.

სვეტამ სათითაოდ გააცნო მეინახენი. ეს გიმნაზიის დირექტორია, ნოშრევან ლაკობია, ეს მსახიობი ამირან გომართელი, ეს კი საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლიაო, ანიშნა მაღალზე...

_ ქალები? _ დაინტერესდა ლერი.

სვეტამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

_ მოგეწონნენ? _ ჰკითხა მან ეშმაკურად და მაგიდის ქვეშ მის თითებს თითები ჩააწნა. მერე კი აიღო და მისი ხელი ბარძაყზე ჩაიტარა. ქალი თუმცა აშკარად მიანიშნებდა, თავის ნამდვილ პროფესიაზე, ლერი ჯერაც ჰაეროვან ქალად თვლიდა და ნეტარებით ელოდა მომავალ საათებს, რომლებიც სასიამოვნო განცდას პირდებოდა. ნუკრი გობეჩიას კი ცუდი დღე ელოდა.

სუფრა ყაყანებდა. ამ ყაყანს მუსიკოსების მიერ ბოლომდე აწეული გამაძლიერებლების ხმაც იწვევდა, რადგან მუსიკის ხმის გადაფარვას ცდილობდნენ მოქეიფენი. მალე კოცნა-პროშნა, კაცი-ქალი, ყველაფერი ერთმანეთში აირია. სვეტამ ხელი მოკიდა ლერის და თავიანთ კუპეში შეათრია. მართალია, ორივენი გვარიანი მთვრალები იყვნენ, მაინც გაშმაგებით დაუწყეს ერთმანეთს კოცნა. სვეტამ კაცს ლიფის

კნოპები შეახსნევინა. თეთრი, მსხვილი ძუძუები შადრევანივით ამოფეთქდა და კაცის ვნებისგან გახელებული ოცნება მის კერტებს დააკვდა...

_ კაი, კაი, აქ არ ღირს... _ ხელი გააშვებინა და “კოფთის" ღილები შეიკრა სვეტამ, _ ვინმე არ შემოვიდეს... წავიდეთ! _ წასჩურჩულა და ყურზე უკბინა.

_ სად? _ ლამის იყვირა გამომძიებელმა.

_ ეგ მე ვიცი! _ ხელი მოკიდა სვეტამ და რესტორნიდან გაიტაცა.

ქუჩის გრილმა, ნესტიანმა ნიავმა, ორივენი სწრაფად გამოაფხიზლა და დააცხრო. თუმცა გრძნობდნენ, რომ წინ ეროტიკული გრძელი ღამე ელოდათ და სწრაფად მიიწევდნენ იმ ადგილისკენ, სადაც სექსუალურ მორევში უნდა ჩაძირულიყვნენ და ჩანთქმულიყვნენ.

ეს ადგილი, ფართო აივნიანი, ლამაზი, ორსართულიანი სახლი აღმოჩნდა.

_ პატრონები რუსეთში არიან, აქაურობა მე ჩამაბარეს, _ უთხრა სვეტამ და სინათლე აანთო. “ბლუზკა” შემოიძრო და მოისროლა. ცარიელ, წითელფოჩებიან, ლიფში დარჩა. დარბაზში “სერვანდი” და ლამაზი, ჩიხოლებგამოკერებული “სამეული” იდგა. სვეტამ სერვანდის თაროდან ერთი ბოთლი “ხვანჩკარა” და ღვინის ჭიქები გადმოდგა. დაჯდა და ბოთლი და ხრახნი ლერის მიაწოდა. გარედან ჭრიჭინების ხმა შემოდიოდა. ხელში ხვანჩკარით სავსე სასმისი ეჭირა, წინ ულამაზესი, ნახევრად შიშველი ქალი ეჯდა და ლერისთვის მეტი იდილია, ამ ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანაში, ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ასე არაა? სვეტამ მაგნიტოფონს ჩაჰკრა თითი. ოთახში ტანგოს ნელი, ტკბილი და ვნებიანი მელოდია გადმოიღვარა. ქალი წამოდგა, კაციც... ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და მიეწებნენ. ორი ნაბიჯი კი გადადგეს და მაშინვე იატაკზე, რბილ ხალიჩაზე გაგორდნენ. ტანგოს ნელი, მოჭრილი რიტმი, ორივესთვის მისაღები აღმოჩნდა. ქალის თეძოები, ტოტზე შემორჩენილი ობოლი ფოთოლივით ათრთოლდა და კაცი და ქალი უმაღლესი ნეტარების მწვერვალზე აიტაცა, საიდანაც კაცი ერთ წამში მიწაზე ენარცხება, ხოლო ქალი ძირს ნელ-ნელა მობობღავს. ვიოლინოს ჯადოსნური ბგერები კი, ჯერ ისევ ცეკვას განაგრძობდნენ.

მეორე დღეს გამომძიებელი ლერი კაპანაძე თბილისში გამობრუნდა. ...მისია შესრულებული ჰქონდა. ახლა მხოლოდ ძელქვის ხის მყიდველის ვინაობა იყო დასადგენი. ვისაც კი თითო თეთრი ერგო, იმ ვიღაც ნუკრი გობეჩიას ბოლომდე ამოვაშაქრინებო, ფიქრობდა.

პატრულის ყველა მორიგე დაიკითხა, ვინც კი იმ ღამეს მუშაობდა ან რაიმე შეხების წერტილი ჰქონდა იმ ავარიასთან, რომელმაც ამდენი სიცოცხლე შეიწირა. ბოლოს, მცხეთის საპატრულოს თანამშრომლებიდან, ერთმა ძაღლიანი ქალი გაიხსენა. ძაღლის სახელიც, ზიზი... ქალის სახელი კი ვერაფრით აღიდგინა. პროკურორმა ორდერი გამოწერა.

ქარელის გზაზე, ლეგალურად მომუშავე, არალეგალური ბარდელი იმ წუთიდანვე გაჩნდა, როგორც კი კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანას თავს მეხივით დაეცა. სწორედ, აქ იცხრობდნენ ქართველ ქალებთან, ორიათას წელს უიმედოდ ნაოცნებარ ჟინს ქურთის გაზინზლული, უტიფარი, მატყუარა კაცები. ეს ამბავი, სულ ერთი წამითაც რომ დასიზმრებოდა ქეთევან დედოფალს, ვინ იცის, ანაცვალებდა კი ქრისტეს სჯულს საკუთარ სიცოცხლეს?

მოკლედ, პოლიციელები ქარელის ბორდელს, ლამის მთელი ასეულით, ისე მოულოდნელად დაეცნენ, რომ არამცთუ, შიშველ-ტიტველი და მიჟიმულ-მოჟიმული ქალები, თაგვი რომ თაგვია, ისიც ვერსად გაასწრებდა... და ატყდა ერთი დგანდგარი, ვინ სად გარბოდა და ვინ ვის ტრიკოს და ნიფხავს იცვამდა, ვერავინ მიხვდებოდა... ჰო,

მაგრად ევასებათ, ჩვენს... კინაღამ “ძაღლი” წამომცდა, პოლიციელებს, ასეთ მომენტებში, თავიანთთვის სპექტაკლების დადგმა. საინტერესოც არის, არა?.. მოკლედ, მათ დიდი სისწრაფით ჩამოურბინეს ყველა უბრალო, თუ “ლუქს” კაიუტას და, ასე დედიშობილა, კაცი თუ ქალი, ყველანი გარეთ, მაღალ გალავანშემოვლებულ ეზოში გამოყარეს. იდგნენ ეს ტანტარა თურქის კაცები და ჩვენი ქალები და სარცხვინებლებზე იფარავდნენ ხელს, ან სამოსს, მოკლედ, იმას, რისი აღებაც მოასწრეს. ნორმალურ ენაზე, ვინ იცის, ამ ყოველივეს, სადიზმიც ერქვას, აი, გორის რაიონის (ზოგჯერ ახლომდებარე რაიონები, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, ერთმანეთს ცვლიან, თუმცა, “მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ტურა”, რა აზრი აქვს?) პოლიციის უფროსისთვის კი, თემურ ლელიასთვის, ეს მორიგი, საინტერესო სპექტაკლი იყო. ის პირში სიგარა გაჩრილი, შიშველი ბოზანდარების წინ, დინჯად სცემდა ბოლთას და თავისი გენიალურად დადგმული სპექტაკლის ყურებით ტკბებოდა. აი, მან თავის თანაშემწეს სიგარიანი ხელით ანიშნა და მანაც ლამაზი, პროპორციული ტანის გოგო, რიგიდან წინ გამოაგდო.

_ რა გქვია? _ შეეკითხა პოლიციელი.

_ ნინი, _ უპასუხა გოგონამ.

_ ესე იგი, ნინო, _ დაასკვნა პოლიციელმა, _ გვარი?

_ დიაკვნიშვილი.

_ არაა? _ პირი დააღო პოლიციელმა, _ შვილო, თუ ნინო გქვია და გვარად დიაკვნიშვილი ხარ, რა გინდა ამ გადამთიელებთან, ვის უწვები, იცი?

_ ჯერ ერთი, სახელი და გვარი მე თვითონ არ ამომირჩევია, და მეორე _ შენც რომ ჩემ ადგილზე ყოფილიყავ, შენც იგივეს გააკეთებდი. მიშოვე სამუშაო და ვინც ამათ გაეკაროს... _ მშვიდად უპასუხა ნინიმ.

პოლიციელი გაჩუმდა, სიგარიანი ხელიც კი გაუშეშდა, ქალის ლოგიკამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ასეთ ქალზე არც მე ვიტყოდი უარსო, გაიფიქრა, თვალები მკერდიდან ქვემოთ ჩააყოლა და თანაშემწეს ანიშნა, ეს ლამაზად მოტლიკინე ბავშვი, უკანვე, რიგში დაებრუნებინა.

მიხვდით, ალბათ, რა განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობენ ადგილებზე, ნებისმიერი მსგავსი უწყების ხელმძღვანელები. მაშ რა გასაკვირია, რომ მათმა შეფმა, მთლა ზემოთ ვინცაა შემოსკუპებული, საქართველოს ნებისმიერ ტრასაზე, “მარიაჟულ” პონტში, მეოცე საუკუნის მილიარდერის პოზაში, შავი სათვალით და ჰავანური სიგარით ხელში, ჯიპის წინა თუ უკანა სავარძელზე გადათხლეშილმა, გვერდით ჩაგიაროს? არაფერი ამ “უძაღლო” ქვეყანაში, არ უნდა გაგიკვირდეთ. ყველაც “მარიაჟობს”, ძალოვნების ჩინოვნიკებიც და “სალდაფონების” მხედრობაც. იქ, სადაც თვითონ პრეზიდენტი “მარიაჟობს” და ნარცისობს, სხვებს რა მოეთხოვებათ... თუმცა, მოდით, ისევ ქარელს დავუბრუნდეთ. მოკლედ, როცა, “მარიაჟი” გორის პოლიციის უფროსი, შიშველი ტყვეების წინ ბოლთას სცემდა და ფიქრობდა, ალბათ, ჩემი ქარელელი კოლეგა ამ ბორდელიდან ურიგო ფულს არ უნდა შოულობდესო, “მამაშას” ოთახში, ამ დროს, მაგარი ვაჭრობა მიდიოდა... მოკლედ, თურქებიც მაგრად დაატყავეს და “მამაშასაც”, ვაჟა ბაბუხადიას, კაი გვარიანი კუში აახიეს. პარალელურად, ძაღლიან ქალზეც ჰკითხეს, ძაღლის სახელიც მოახსენეს, ზიზი რომ ჰქვია და თანაც გააფრთხილეს, ამა და ამ დღეს, ნამდვილად იყო აქ და ჟიმაობდაო, ასე რომ, სიმართლე უნდა თქვაო. იმანაც _ კი, ბატონო, მაიაზე მეკითხებით, ალბათ, ქვრივიშვილზეო. იმ ღამეს კლიენტის ჯიბიდან საფულე ამოიღო და გაქრაო. მე რაც ვიცი, ესაა და სად ცხოვრობს, აბა მე რა ვიციო. მოკლედ, ლერი კაპანაძეს მაია ქვრივიშვილისთვის უნდა მიეგნო.

ლერიმ სამსახურში გოგოებს დაავალა, კახპების დოსიეებში მოეძებნათ. მერე, იაფფასიანი კვარტლების უბნის ინსპექტორებს დაკავშირებოდნენ და იქნებ მიეგნოთ სადმე, როგორმე, მაია ქვრივიშვილის ადგილსამყოფელისთვის. თვითონ კი, ადგა და ცირკის კახპებს ჩამოუარა.

_ რომ მიგასწავლო, რამდენს გადაიხდი? _ ჰკითხა ერთმა სახეგადათხაპნულმა ბოზმა და თვალი ჩაუკრა.

_ სხვები რამდენს გიხდიან? _ შეეკითხა ლერი.

_ გააჩნია, რაში როგორ, _ უპასუხა ქალმა.

_ მაინც? _ ჩაეძია ლერი.

_ სამიდან ზევით, რა? გააჩნია რაში-მეთქი, ჰო, გესმის, არა? _ ისევ თვალი ჩაუკრა ქალმა.

_ წამოდი, დაჯექი! _ უთხრა ლერიმ.

_ მერე? _ არ გატოკდა ქალი. როგორც იყო ხეზე მიყუდებული, ფეხი-ფეხზე გადადებული, ისევ ისე იდგა.

_ რა მერე? _ ვერ მიუხვდა ლერი.

_ რამდენს იძლევი? _ შეეკითხა ქალი.

_ თუკი მაპოვინებ, ორჯერ მეტს, ვიდრე სხვები, _ უპასუხა ლერიმ.

ქალმა ხელი გაუშვირა.

_ “ძენგი ვპირიოდ”!

ლერიმ ფული ამოიღო და ქალს ხელში თუმნიანი ჩაუკუჭა.

_ სუზან! _ ხელი დაუქნია ხესთან მჯდარ მსუქანს ქალმა. სუზანა ადგა და მიუახლოვდა.

_ აჰაა, აი, “რაშოტში” ვართ, _ და ფული გაუწოდა.

_ ჰო, კაი! _ სუზანამ კაბა აიწია და ის ფული ჩულქჩი ჩადებულ ფულს მიამატა.

_ სიფთაა, ჰო იცი... _ ჩაილაპარაკა და უკან წავიდა.

_ ამანაც ნახა რა, გულისსწორი... _ შემოესმათ მანქანაში ჩამსხდრებს, ხის მეორე მხარეს მდგარი ჭროღა-თვალება მეძავის ხმა.

ქალმა მანქანის ფანჯრიდან იმწამს გადაყო ხელი და მეძავს ბრანწი უჩვენა.

_ ეე, შე სამშაურიანო, აი, შენ დაიადებ ამაზე მსხვილს! _ და ლერის მიუტრიალდა, _ წავედით, ამის შათლახი... _ და მაგარი უწმაწური მიაყოლა.

_ რა გქვია? _ შეეკითხა ლერი, როცა მანქანა დაძრა.

_ ვარდო, _ უპასუხა ქალმა, რომელსაც ყავისფერ კაბაზე ვუალი ჰქონდა გადაცმული და მეტი უგემოვნება, უბრალოდ წარმოუდგენელი იყო.

_ თანაც ვარდო? _ გაეცინა ლერის.

_ როცა ერთი იცინის, თავის თავს დასცინისო... _ ეწყინა ვარდოს.

_ საით მივდივართ? _ იკითხა ლერიმ.

_ მალვინას ბარდელში, _ უპასუხა ვარდომ.

_ რომელ უბანშია რომ? _ შეეკითხა ლერი.

_ ეე, რა არიფი ყოფილყარ. მალვინას ბარდელი ვინ არ იცის... _ გაუკვირდა ვარდოს.

_ მე არ ვიცი... _ ჩაიბურდღუნა ლერიმ.

_ კაი, ჰო, ელიაზე უნდა ავიდეთ! ელია ხომ იცი? _ შეეკითხა ქალი.

_ ვიცი, _ უპასუხა ლერიმ. _ მალვინას ბორდელი, რა, პრესტიჟულია?

_ “ხუი ევო ზნაეტ”, _ ჩაიბურტყუნა ქალმა, _ ყველაც ერთი ქაქია, თვითონ ასიანებს იჯიბავენ და შენ ორ თეთრს გიგდებენ.

_ და რატომღა უჩერდებიან, მერე? _ დაინტერესდა ლერი.

_ იმიტომ რომ “პასტაიანნი” კლიენტი ჰყავს. აქ კიდევ, უნდა იდგე და ელოდო, ან იქნება, ან არა! თანაც კლიენტიც სუფთაა. აქ კიდე ათასი ნაბიჭვარი მოდის. ზოგს ფულის გადახდაც არ უნდა... შარიც მეტია.

ხიდქვეშ გაძვრნენ და რკინიგზის ზედა მხარეს დაადგნენ. ერთმანეთზე მიყრილ, კერძო, ერთ და ორსართულიან სახლებიან უბანს აუყვნენ.

_ აქ გააჩერე! _ უთხრა ვარდომ და მანქანა გააჩერებინა, _ აგე, იმ სახლშია. ცისფრად როა “გაკრასკული”. გარედან არ ეტყობა, შიგნიდან დიდია. მე არ მახსენებ, იცოდე. მე ჩამოვალ და რამეს გავყვები. მანდ იქნება, პონტი არ არი... მალვინა იკითხე მარტო, სხვას არ დაელაპარაკო, რა იცი... მე გამქცევი არა ვარ, ჩემ პოვნას რა უნდა... ჰო, ნახე, არა, სად ვდგები... _ ქალმა კარი მიკეტა და ქვევით დაეშვა.

ლერიმ მანქანა დაკეტა და ბორდელის კარზე დარეკა. კარი სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდა ავტომატიანმა კაცმა გაუღო, ლერი დაინახა, მაგრამ, რატომღაც თავი გარეთ გამოყო, ჯერ გზას აქეთ-იქით გახედა და მერეღა ჰკითხა.

_ თქვენ ვინ გნებავთ?

_ მალვინას ნახვა მინდა.

_ მალვინა? ჩვენი კლიენტი ხართ? _ შეეკითხა ბიჭი.

_ ჰო, _ იცრუა ლერიმ.

_ შემოდი! _ უთხრა ბიჭმა.

ლერი შევიდა. ავტომატიანმა ერთხელ კიდევ შეამოწმა ქუჩა და კარი შიგნიდან გადაკეტა. მერე გამომძიებელი კარგად შეამოწმა. ყველგან აუსვ-ჩაუსვა მოურიდებლად ხელი და მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიხვდა, იარაღი არ ჰქონდა, პატარა, ნახევრად ბნელ კორიდორში წინ გაუძღვა. ბიჭმა იქვე, ერთ-ერთი კარი შეაღო და შესძახა.

_ მალვინ, შენთან არიან, _ და ლერის ანიშნა, შედიო.

ლერი შევიდა და ლამაზ, აღმოსავლური სტილის პატარა დარბაზში აღმოჩნდა. ერთი კი გაიფიქრა, ამათ სულ გაუბერიათო, რომ პირდაპირ, მუთაქებიან ტახტზე წამოგორებული და თავით იდაყვზე დაყრდნობილი ქალი დაინახა, რომელსაც წინ დაბალი მაგიდა და ზედ ტკბილეულიანი ტაბლა ედგა. ზუსტად ისე, როგორც ეს აღმოსავლურ მინიატურებშია. მაგრად გაუკვირდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ქალისკენ გააბიჯა. ქალი კი დაკვირვებული თვალით უმზერდა, როგორ მოიქცეოდა კაცი... ლერიც მივიდა და გვერდით მდგარ სავარძელში ჩაეშვა.

_ გისმენთ! _ ცნობისმოყვარედ მიაჩერდა კაცს მალვინა.

_ ქალი მინდა, _ თქვა ლერიმ.

_ სიაში ხართ? _ შეეკითხა მალვინა.

_ არა, პირველად ვარ, _ აღიარა ლერიმ.

_ პირველად? მერე როგორ შემოგიშვეს, რამდენჯერ უნდა გავაფრთხილო ეს კრეტინი? _ და მალვინამ გაშლილი ხელი გაუშვირა. ლერიმ იფიქრა ფულს მთხოვსო.

_ რამდენი?

_ რა რამდენი? _ გაიკვირვა მალვინამ, _ რეკომენდაცია არ გაქვთ?

_ რეკომენდაცია? ვისი? _ მაგრად გაუკვირდა ლერის.

_ ხომ ვთქვი, რომ არ უნდა შემოეშვით... _ თქვა მალვინამ და განაგრძო, _ ჩვენთან ასეთი წესია. კლიენტსაც და თანამშრომელსაც რეკომენდაცია სჭირდება, როგორც უცხოეთშია.

_ არ ვიცოდი, _ უთხრა ლერიმ და დააყოლა, _ მე ფული მაქვს.

_ ფული იმდენი მაქვს, რომ გესროლო, წაგაქცევს... _ ჩაიბურდღუნა მალვინამ, _ მე რეკომენდაცია მჭირდება, ისე ვერ მიგიღებ!

_ არც ეს ჭრის? _ ლერიმ ჯიბიდან თავისი წიგნაკი ამოიღო და ქალს მიაწოდა. ქალმა გამოართვა, ცოტა საეჭვოდ შეათვალიერა კაცი და წიგნაკი გადაშალა.

_ ფინანსური პოლიციის, _ ხმამაღლა დაიწყო კითხვა ქალმა, _ საგამოძიებო დეპარტამენტის, მესამე ოპერატიული საგამოძიებო სამმართველოს... რამსიგრძეა... გამომძიებელი, ლერი კაპანაძე... _ ასე გეთქვა, შე კაცო, თავიდანვე... _ ახლაღა წამოჯდა ქალი და ლერის ტაბლაზე გაწყობილი ტკბილეული შესთავაზა, _ არ მიირთმევთ?

ლერიმ ყურძენს ერთი მარცვალი მოაწყვიტა.

_ გიყვართ თითა ყურძენი? _ მაშინვე გაუშინაურდა მალვინა და გაუხარდა. რადგან კაცმა უარი არ თქვა, საქმე არც ისე ცუდად უნდა ყოფილიყო.

_ რა დროს სიყვარულებია, რა გვიყვარს, რა არ გვიყვარს... _ გაეხსნა იმ წამს ლერიც. რადგან ქალის ნდობის მოპოვება, მისთვისაც აუცილებელი იყო. _ ერთ ქალბატონს ვეძებ... მისგან მხოლოდ ინფორმაცია მჭირდება, მეტი არაფერი... ვიცი, რომ აქ მუშაობს.

_ მესმის, ინტიმის დროს რამეს დააცდენინებთ, ხომ? სულ მაგარი "ნაშები" მყავს... გემოვნებასაც გააჩნია... ვისზეა ლაპარაკი?

_ მაია ჰქვია, ქვრივიშვილი... _ და ლერი მაგრად დაიძაბა, არ უნდოდა უარი მიეღო... მალვინა კი ორჭოფობდა... ვითომ ფიქრობდა... ბოლოს კი სულ სხვა რამ თქვა.

_ კონკრეტულად?

_ რა კონკრეტულად? _ ვერ მიუხვდა გამომძიებელი.

_ რა სახის ინფორმაცია გაინტერესებთ? _ ისე, თითქოს არც აინტერესებსო, იკითხა მალვინამ.

_ ამის თქმა გამოძიების ინტერესებში არ შედის... _ თქვა ლერიმ, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გააბოლა. _ ალბათ, არც თქვენს ინტერესებში შედის, რომ მოგაყენოთ ხალხი და დაგაწიოკოთ, ხომ? კი, მესმის, "უკრიშოდ" არ იქნებით, ისე, ეს საკითხი, თქვენს დაწესებულებას არანაირად არ ეხება.

_ კაი რა? ნუ იმუქრები, _ გაეცინა მალვინას, _ თუ კი მე არ მეხება, მაშინ კისერიც უმტვრევია... მე შეგიშვებთ, შეგახვედრებთ და დანარჩენი თქვენ იცით. მომავალშიც შეგიძლიათ გვესტუმროთ, თუ კი გამოგადგებით... _ და მალვინამ თავთან ჩამოშვებული გამონასკვული ბაგირი დაწია, კორიდორში ზარმა გაიწკრიალა. _ ეს როგორ მოგწონთ? _ ღიმილით შეხედა მან გამომძიებელს, _ ზუსტად ისეა, როგორც აღმოსავლურ ჰარამხანებში... _ და გადაიკისკისა. ლერიმ ახლაღა შეხედა ისე, როგორც ქალს. მალვინას ეს არ გამოპარვია.

_ აბა, აბა, მუშტრის თვალით ნუ მიყურებთ, მე ძალიან მეძვირე ვარ...

_ მაინც? _ დაინტერესდა ლერი.

_ ვიხუმრე, _ თქვა მალვინამ, _ ქმარიც მყავს და შვილებიც, წესიერი ოჯახი მაქვს...

ლერი კაპანაძეს ასეთი პარადოქსი სულ არ გაჰკვირვებია. ისეთი უცნაური კონტრასტების ეპოქასა და ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რაღა უნდა გაუკვირდეს ადამიანს? მართლაც, რა შედევრებსა და პარადოქსებსაც ეს ცხოვრება ქმნის, თვით ტიტანი გენიოსების ტვინიც ვერასოდეს შექმნიდა.

მოკლედ, ზარის ხმაზე მალვინას უკან სურათის ჩარჩო გადაიხსნა და ლამაზმა გოგონამ შემოიხედა.

_ მაია გააფრთხილე! _ უთხრა მალვინამ გოგოს და ლერის მიუბრუნდა, _ შემოიხედავს და გაჰყვებით!

მართლაც კარი გაიღო და იმავე ქალმა შემოიხედა.

_ წასვლისას შემომიარეთ, _ თხოვა მალვინამ ლერის და ეშმაკურად გაუღიმა, _ ქალი ვარ და მაინტერესებს... არ დამძრახოთ...

_ კარგით. დაეთანხმა ლერი. დროში არა ვარ შეზღუდული, ხომ?

_ არა, არა, როგორ გეკადრებათ, რამდენხანსაც გნებავთ... _ დაეთანხმა მალვინა.

“ჩვეულებრივი, სამუშაო სიტუაციაა”, _ გაიფიქრა ლერიმ და გოგონას გაჰყვა.

გოგონამ, ნახევრად ჩაბნელებული დერეფნის ბოლოს, ორფრთიანი კარი შეაღო, საიდანაც გამოჭრილმა უეცარმა სინათლემ ლერის თვალი მოსჭრა და როცა შეაჩვია, თვალებს ვერ დაუჯერა. ჭრელი, მხატვრული მინით გადახურული ეზოს, მრგვალ, შადრევნიან აუზში, სუფთა, კამკამა წყალი ლივლივებდა. და ლერის უნებურად წამოსცდა.

_ კი მაგრამ, რა ღირს ეს ყველაფერი?

გოგონა შემობრუნდა და ლერიმ მის თვალებში შიში შენიშნა.

_ არა, რამდენი დაჯდებოდა. სადა ვართ, თეირანში? _ შეეცადა შეცდომის გამოსწორებას ლერი.

_ დიახ, შაჰ-თამაზის აუზის ასლია, _ თქვა გოგონამ და თეთრად შეღებილი, ჩუქურთმებიანი კარი შეაღო. ოთახიდან ყეფით გამოვარდა პატარა თეთრი “პეკინესი” და შეყვარებულივით, კუდის ქიცინით მიეახლა გამომძიებელს. გოგონამ გამომძიებელი მიატოვა და დერეფანში შებრუნდა.

_ ზიზი! _ მოისმა სიღრმიდან და ძაღლიც ყეფითა და წკმუტუნით უკანვე შევარდა.

ლერი კაპანაძე, რომელიც მიხვდა, რომ ასეთი დაწესებულება ვინმე მაგარი “ტუზისა” უნდა ყოფილიყო, ცოტა არ იყოს, დაფრთხა. ეჭვმიტანილი გამჭვირვალე, ნეილონის კაბასა და თათრულ, გრძელ, ქვედა სამოსში გამოწყობილიყო.

_ ტახტის ქვეშ, ჩქარა! _ უბრძანა ძაღლს ქალმა და ხელი დაუბრახუნა.

ძაღლი ტახტის ქვეშ შეძვრა და გადასაფარებლის ფოჩებიდან დაუწყო მზერა ლერის.

_ რა არი, ხაში იყო ასე ადრიანად?.. _ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულობით მიაჩერდა მაია უცნობ მამაკაცს.

ლერის თითქოს სადღაც ენახა ეს ქალი. ქალის სილამაზემ და ფამილარობამ იმწამს მოუხსნა დაძაბულობა და, კინაღამ, მთავარი მისიაც დაავიწყა. მაია, მართლაც, ბადრი მთვარესავით ანათებდა. სულ არ ეტყობოდა წლები. გამომძიებელი უცხო, სასიამოვნო სურნელებამ ოდნავ გააბრუა. “როგორც ჩანს, ნელსაცხებლებსაც სპარსულს ხმარობენ, ალბათ”, გაიფიქრა, ქალის პირდაპირ სავარძელში ჩაეშვა და ფეხი ფეხზე გადაიდო. ქალი თვალს არ აცილებდა, ალბათ, მაფასებს, ეს ბოზიო, გაიფიქრა ლერიმ. მაღალყელიან, დაბალმუცლიან ცისფერ და თეთრ გრაფინებში სხვადასხვა სითხე ესხა. ლერის მწარე, ნაღდი, გრადუსებიანი კონიაკის გადაყლურწვა მოუნდა.

_ რომელია, კონიაკი? _ იკითხა მან და ქალს მიაჩერდა.

_ ვარდისფერში უნდა იყოს, _ მიუთითა Qქალმა.

ლერიმ დაისხა და ქალს შეხედა, რომელი ჭიქა შეევსო არ იცოდა. ქალმა ვერცხლის პატარა სათითე გაუშვირა. ლერიმ შეუვსო და თავისი ჭიქა მაღლა ასწია.

_ ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! _ თქვა მან და დაცალა.

_ გაუმარჯოს! _ მაიამ სწრაფად მოსვა და ნამცხვარს მოატეხა. _ ეტყობა, გიყვართ დალევა, ისე მამა-პაპურად გეჭირათ სასმისი, _ გაეცინა მას.

_ კი, იღლია და იდაყვი მართკუთხეს უნდა აკეთებდნენ, _ თქვა ლერიმ, ისევ შეავსო ორივე სასმისი და ისევ მაღლა ამართა ხელი.

_ თქვენ რა, გამობრუჟვას აპირებთ, აქ? _ გაიკვირვა ქალმა.

_ არა... იცით, ეს სიტუაცია, აუზი, თქვენისთანა ქალი, რომელსაც სულ არ ველოდი და ცოტა ავღელდი, რა თქმა უნდა... _ თქვა ლერიმ. აბა ნამდვილ მიზეზს ხომ არ ეტყოდა, რომ ქალის დათრობა სურდა, იქნებ რაიმე დავაცდენინოო.

_ “ბრუდენშაფტი” არ გაწყობთ? _ ჰკითხა ქალმა.

... “ალბათ, მეტი ფულის გაკეთება უნდა და სწრაფად უნდა მომიცილოს”... _ გაიფიქრა ლერიმ და შეეცადა მომენტით ესარგებლა, _ მაშინ ცოტა დიდი სასმისები შევავსოთ, _ თქვა და პასუხს არ დაელოდა. იქვე მდგარი არყის ჭიქები გაალიცლიცა და ერთი ქალს მიაწოდა.

_ მე აღარც მეკითხებით? _ უთხრა ქალმა და ჭიქა ჩამოართვა.

წამოდგნენ... ორი უცხო სხეული, გაცნობიდან სულ რაღაც ხუთიოდ წუთში, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა. ისე ახლოს, რომ ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. როგორც კი მათი მკლავები გადაეჭდო, ლერის მაგრად მოუნდა ქალი.

_ ორჯერ ლოყაზე, ერთხელ ტუჩებში, _ ეგონა წამოსცდა ლერის, იმიტომ რომ, “სად მეჩქარებაო”, _ გაიფიქრა.

დალიეს. ლოყებზე ნაზად აკოცეს ერთმანეთს და ტუჩებზე გადავიდნენ. ორივენი თავ-თავის მოვალეობას ასრულებდნენ. თუმცა, ეს მხოლოდ კაცმა იცოდა, ქალს კი, წინ რა საშინელებაც ელოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა.

ვნება დაიცხრეს და, იქვე, აუზის ცივ წყალში განიბანეს ცოდვა. ზიზი აუზის კიდესთან ყურდაცქვეტილი იჯდა. ლერი კაპანაძე კი, იწვა აუზის ზედაპირზე მკლავგადაშლილი და ფიქრობდა, “ჩემი პროფესია რომ არა, აბა, ასეთ “ძვირფას” დაწესებულებაში, მე ვინ შემომაჭყიტებდა ან მკლავზე ასეთ ქალს ვინ “დამიგორებდაო”. მალე ტანი შეიმშრალეს და ისევ სმაზე გადავიდნენ.

ლერიმ არ იცოდა, როგორ დაეწყო იმ თემაზე საუბარი, რაც ასე აინტერესებდა. სტუდენტობისას რაღაც კი ასწავლეს, ასეთ მომენტებში, როგორ უნდა წაეყვანა საუბარი, მაგრამ, როგორც უმაღლესდამთავრებულთა უმეტესობას, არც მას ახსოვდა აღარაფერი. მხოლოდ თავის ცოდნას და ისევ, უფრო ინტუიციას უნდა ნდობოდა.

_ მოდი, ამ სასმისით ვინც ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს, იმათი ხსოვნისა იყოს... სულ ახლახანს, ბიძაშვილი დავმარხე... გეცოდინება, ექვსი კაცი, რომ მოკვდა ავარიაში, მცხეთა-თბილისის გზაზე... _ წამოიწყო ლერიმ და შუბლშეკრული მიაჩერდა მაიას, _ ბედისწერას ვერსად წაუხვალ...

_ რომელში იჯდა, “ჯიპში” თუ “მერსედესში”? _ შეეკითხა მაია.

_ აბა რა ვიცი, მკვდარი ეგდო ქუჩის პირას და იქნებ სულაც “კრაზში” იჯდა? კრაზიც იყო გადავარდნილი...

_ “კრაზში” რომ მჯდარიყო, გადარჩებოდა... _ მაია ფიქრებში წავიდა და გამომძიებელი მიხვდა, რომ იმ ავარიის დროს, იმდენად დარწმუნებით თქვა ეს სიტყვები ქალმა, ნამდვილად, იქ უნდა ყოფილიყო, და იქნებ, “კრაზშიც” კი იჯდა. ამ “ძაფს” ჩაებღაუჭა და ამოწევა სცადა.

_ ისე ამბობ, თითქოს იქ ყოფილიყავ, რატომ გადარჩებოდა, ვითომ? ის “კრაზი”, იცი, როგორ იყო ამობრუნებული?

_ შენ საიდან იცი, ასე კარგად, შენ რა, იქ იყავი მაშინ? _ შეეკითხა რატომღაც, დაეჭვებით ქალი, რომელსაც ერთ დროს, ერთი სიტყვის გამო, მთელი სამი თვე ქალთა კოლონიაში მოუხდა ყურყუტი, და ახლა, ასეთ მომენტებში, ძალზე გამახვილებული ჰქონდა ინტუიცია. რა მივქარე, გადარჩებოდაო, რომ ვთქვი, ეს ფრაერი, აქ საბოზაოდ კი არა, იქნებ, “ბოზის” პონტშიც არის მოსულიო, გაიფიქრა და ზუსტადაც მოარტყა... ყურში კი ტკუცას ნათქვამი სიტყვები ჩაესმა: შენ მე არ მიცნობ და მე შენ!

_ არა, იქ რა მინდოდა, იმ შუაღამისას, “ახალ ამბებში” ერთი ცხრაჯერ მაინც დაატრიალეს... _ ჩაილაპარაკა კაცმა და მიხვდა, რომ არც ისეთ გულუბრყვილო ქალთან ჰქონდა საქმე, როგორც თავიდან მოეჩვენა. ის წუთი იყო და მაია, მხოლოდ “ჰო” და “არა”-თი პასუხობდა, რის გამოც, მაგრად გაუტყდა ლერის. მერე კი, ზემოდან მოქცეული, როცა საქანელას რიტმში ირწეოდა და “აკრძალულ ხილს” ასე უსინდისოდ

მიირთმევდა, თვალებში ჩაჰყურებდა ქალს და ემუქრებოდა, _ ”სად წამიხვალ, სად? ჩემს კლანჭებს ვეღარსად გაექცევი, სულ სიტყვა-სიტყვით დაფქვავ ყველაფერსო"!

ზიზი კი მათ გარშემო დაქროდა, კაცს მხრებზე ახტებოდა და ეჭვიანი ქმარივით იყეფებოდა და იმუქრებოდა.

_ აბა, გამოვიდა რამე? _ ჰკითხა შინაურულად მალვინამ, როცა, დაპირებისამებრ, ამ იძულებითი სექსის შემდეგ, გამომძიებელი მასთან შევიდა.

_ გამოვიყვანთ, _ თქვა ლერიმ და დააყოლა. _ მაგისთანები აგვიმღერებია...

_ ჰოდა, ძალიან კარგი... _ გაუღიმა მალვინამ, _ სულ ასორმოცდაათი ლარია გადასახდელი.

_ რა? _ ასეთ რამეს კი არამცდაარამც არ მოელოდა ლერი, _ მე გამომძიებელი ლერი კაპანაძე ვარ, ქალბატონო მალვინა!

_ კაი რა? არ გამაფრენინოთ, მთლად, ახლა! _ ხელები გაშალა მისდა გასაკვირად მალვინამ, _ გამომძიებელი რომ ბრძანდებოდით, გენაცვალე, სწორედ მაგიტომ არ გაგიტეხეთ ხათრი და ურეკომენდაციოდ დაგაკმაყოფილებინეთ თქვენი ბიოლოგიური მოთხოვნილება.

_ როგორ პოლიციასაც ფულს ახდევინებთ? _ ისევ გულწრფელად გაიკვირვა ლერიმ.

_ რა? _ კინაღამ გადაიხარხარა მალვინამ, _ რას ნიშნავს, პოლიციას ვახდევინებთ თუ არა? აბა, რა გგონიათ თქვენ, ვინ დაეხეტებიან ჩვენთან, ძირითადად? ჰო, ჰო, აბა მოტვინეთ ცოტა კარგად... ვისაც ერთი-ორი თეთრი უჭყავის ჯიბეში, არა? ამ ქალაქში მილიონი შენისთანა გამომძიებელია და ყველას ვისაც ქალი მოუნდება, აქ რომ შემოირბინოს, ეე! მეცხრამეტე საუკუნე ხომ არ გგონიათ, თავადები და გენერლობა რომ იყო მოდაში. მთელი ჩემი კლიენტურა, პოლიცია, პარლამენტი და მთავრობაა, სხვებს არცა აქვთ და, რომც ჰქონდეთ, ასეთ თანხებს ჩემთან გადაყრიან, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა?

_ არა, ვერ გადავიხდი, მაშინ თავიდანვე უნდა გეთქვათ.

_ რა? _ ვარდოს ხმა გაუცივდა. _ კი ბატონო, ხომ იცით, რომ აქედან თქვენი ნებით ვერ გახვალთ? _ და მალვინამ ტელეფონზე რაღაც ნომერი აკრიბა, _ ნოდარ, ბევრი გყავს სამსახურში, ამნაირი ჭკვიანი, ლერი კაპანაძე როა?.. რა, გენაცვალე, და, ჯერ ხომ ორ-საათნახევარს იჟიმავა, არც შამპო-შოკო-კონო დაიკლო, ბოლოს გურჯაანის ნაყინიც გადასანსლა და ფულს ღმერთი გადაგიხდისო, მეუბნება... _ და მალვინამ ყურმილი განცვიფრებულ ლერის მიაჩეჩა ხელში, _ უპასუხე, უპასუხე!

_ დიახ, გისმენთ! _ გაუბედავად თქვა ლერიმ.

_ ბიჭო, ლერი ხარ? _ გაისმა ყურმილში პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს უფროსის ნოდარ აგლაძის ხმა.

_ დიახ... _ ამოღერღა ლერიმ.

_ მერე, რამ გამოგაყეყეჩა, შე ჩემისა? _ გაუწყრა ნოდარ აგლაძე თანამშრომელს, _ მალვინას წყენინება იქნება? ქალი, ლამის, პრეზიდენტებს ხსნის და ნიშნავს... ეს მინდა მე ამ სიკეთის ჟამს? ფული თუ არ გაქვს, ჯერ რას ჟიმაობდი და... მოკლედ, ბოდიშს მოუხდი, ტრაკზეც აკოცებ და რომ უნდა გადაიხადო სიამოვნებისა, ამას ჩემი თქმა უნდა? შენ რა, დღეს ჩამოფრინდი ციდან?

_ გავიგე, ბატონო ნოდარ, მესმის...

_ ჰოდა, მიეცი ახლა მალვინას ყურმილი! _ უბრძანა ნოდარ აგლაძემ ლერის და მანაც უყოყმანოდ მიაწოდა ყურმილი ქალს.

_ ჰო, ნოდარ... _ თქვა ქალმა.

_ კაი, მალვინა, გადაიხდის, ალბათ, თუ არადა, საიდანაც გამომძვრალა, უკან რომ შევაძვრენ, ხომ დარწმუნებული ხარ? კაი, აბა, გკოცნი...

_ კარგად, კარგად... _ მალვინამ ყურმილი გათიშა.

_ ამდენი არ მიდევს ჯიბეში და აი, ამ წიგნაკს დავტოვებ და მოვიტან... _ ჩაილაპარაკა დამნაშავესავით ლერიმ.

_ არ მინდა, გენაცვალე, რად მინდა შენი წიგნაკი, მოიტან, აბა სად წახვალ? _ უთხრა ქალმა ცივად და გამონასკვულ ბაგირს დაქაჩა.

ოთახში ავტომატიანმა მცველმა შემოიხედა.

_ გააცილე! _ უბრძანა ბიჭს მალვინამ.

_ მეპატიება, ნამდვილად არ ვიცოდი, არ ცოდნა, არ ცოდვაარ? _სცადა შერიგება ქალთან ლერიმ.

ქალმა უცნაურად შეხედა, თითქოს შეაფასა, თავი გადააქნია და ოდნავ ტუჩიც კი აიბზუა. შენი დედა ვატირეო, ამბობდნენ მისი თვალები, თუმცა... კაი, კაიო, ჩაილაპარაკა და ანიშნა, რომ თავისუფალი იყო.

“მიღირდა ასორმოცდაათ ლარად, ვიღაც ბოზთან წოლა?” _ გაიფიქრა ლერიმ, როცა მანქანა დაქოქა და თავქვეზე დაეშვა. ან როგორ გინდა გამოათრიო, ეს ბოზანდარა, გარეთ? _ და გამომძიებელი ლერი კაპანაძე ღრმა ფიქრებში წავიდა.

მართალია, რაიონის პროკურორი, ელიზბარ თელია, მთელი ცხოვრება იმას გაიძახოდა, მე როგორიც ბავშვობაში ვიყავ, ისევ ისეთად დავრჩიო, ანუ დღემდე პატიოსანი და გულუბრყვილო ვარო, მაინც მრავლისმნახველი და მრავლისმქმნელი კაცი იყო. აბა, მხოლოდ თეთრი და ქათქათა ანგელოზის ფრთების გამო, რომ რაიონის პროკურორის რბილ და თბილ სავარძელში არავინ ჩაგსვამს კაცს, ეს პატარა ბავშმაც იცის... (თუმც, ჩვენი დღევანდელი მთავრობა ისეთ “საბავშვო ბაღობანას” და “დაჭერობანას” გვეთამაშება...).

იმ მომენტში, რომელზედაც უნდა გესაუბროთ, ელიზბარ თელიას შუბლი ცივ ცვარს დაენამა და იმაზე საუბარი კი, თუ მის ქვედა კორპუსში რა ხდებოდა, ძნელი სათქმელია... სასწრაფოდ დედაქალაქში იბარებდნენ და, მიუხედავად მისი მცდელობისა, გაერკვია, რატომ და რისთვის, არაფერი გამოუვიდა. საქმე, რომ ძალიან, ძალიან ცუდად იყო, ამას ტელეფონის ზარის ხმაზეც კი მიხვდა, მაგრამ “დასაჭერად” იბარებდნენ, “მოწმის” სახით თუ “აღსარების” სათქმელად, ეს ვერ გაერკვია. მან, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ ჩააყენა გამგებელი ენვერ ჭუბაბრია საქმის კურსში და გამგზავრების თადარიგს შეუდგა. ერთმა ეჭვმა კი გაჰკრა, ნეტავ, დაზმირ ბაღათურიას საქმის გამო მიბარებდნენო, მაგრამ მაშინვე თავიდან მოიცილა, ჯობს ცუდზე ვიფიქრო და კარგი აღმოჩნდეს, ვიდრე კარგზე და ცუდიო. ბაღათურიას საქმე, ჩვეულებრივ, ნარკოტიკის, სუბოტექსის აბის ჩადებას მოჰყვა... მოგეხსენებათ, რაიონში ოჯახი არ არის, თექმსმეტიდან ოცდახუთ წლამდე ვაჟი ჰყავდეთ და იმ ოჯახიდან, დაახლოებით, ათი ათას დოლარამდე პოლიციამ ერთხელ მაინც არ ამოიღოს, მაგრამ ეს საქმე რატომღაც გაჯანჯლდა... დაზმირის დედამ და ნათესაობამ, როგორც იტყვიან, “რკინის ქალამნები ჩაიცვა” და დედაქალაქში, “ღუბერნატორის” სანახავად, ფეხით გაუტია.

ხოლო, სანამ ელიზბარი წასასვლელად ემზადებოდა, ნორა ქადაგიძემ ლამის სული ამოართვა ქმარს. ეგ დეგენერატი თავის თავსაც დაღუპავს და ჩვენც დაგვღუპავსო, ჩასჩიჩინებდა...

_ გადაწყდა, მე წავიყვან, გამოვიყვან ჩემ ჯიპს და სამ საათში თბილისში ვიქნები, _ უთხრა მან ქმარს და ტელეფონი აიღო.

ენვერ ჭუბაბრიამ ჯერ კი ცოტა ეჭვით შეხედა, ასე ხალვათად ჩაცმულ, რაიონში, თავის დროზე, სილამაზით სახელგანთმულ ცოლს, რომლის დამწუნებელს Dდღესაც

ძნელად თუ იპოვიდა კაცი... მერე, მის გვერდით, ჭაღარაშერეული ელიზბარიც წარმოიდგინა და უცბად აფეთქდა.

_ ჰო, რომ მერე მთელი რაიონი ააყიყინო, არა?

ნორა, რომელიც ქმრის საქციელზე, დღის განმავლობაში, ძალზე ხშირად ოგნდებოდა, ამჯერადაც გაოგნდა.

_ რაო, რაო, ვაჟბატონო? თქვენ, თქვენი უგუნურობით, წყალი ისე აამღვრიეთ, ღმერთი რომ ჩამობრძანდეს ციდან, ვეღარაფერს უშველის და, მე თქვენს გამო, როგორ გგონია, ძალიან მინდა ყულფში თავი გავყო?

_ არა! _ წამოსცდა რაიონის გამგებელს უნებურად და დადუმდა.

_ ვერ გავიგე? _ აამოქმედა თავის "საინფორმაციო წყარო" ისევ ნორამ. რას ნიშნავს შენი "არა"? არ წავიდე, მაშ თქვენი ჩაოხრებული საქმის შემოსატრიალებლად?

_ არა! _ ისევ წამოსცდა ენვერ ჭუბაბრიას და მიხვდა, რომ ახლა, საერთოდ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. რადგან მისი ორივე "არა" სულ სხვა რამეს ეხებოდა. მან, უბრალოდ, წარმოიდგინა, რომ რაიონის ფარგლებს გასცდებოდა თუ არა მისი "ჯიპი", მისი ლამაზი მეუღლე პროკურორის მკლავებში აფართხალდებოდა და ამაზე ამბობდა მხოლოდ ამ თავის აკვიატებულ "არას", და არა იმაზე, რომ ცოლს ქალაქში წასვლაზე ეუბნებოდა უარს.

_ არა, შენ წახვალ, მაგრამ ელიზბარის მანქანით, _ უთხრა მან ნორას და კიდევ ერთხელ მაგრად გააოგნა.

_ შენ რა? სიზმარი ნახე ცუდი? _ მრისხანედ მიაჩერდა ნორა ქმარს და პასუხს აღარ დაელოდა. _ ჩავაღწევთ მერე, იმ დანჯღეული კატაფალკით თბილისამდე?

ეს არგუმენტი ისე მაგრად მოხვდა გამგებელს თავში, რომ ის ოდნავ შებარბაცდა კიდეც. მოკლედ, განიარაღებული იყო და, როგორც ყველა წყალწაღებული, ისიც ხავსს ჩაეჭიდა.

_ რომელ კაბას იცვამ? _ ჰკითხა მან ნორას და მიხვდა, რომ საბოლოოდ გაიყიდა.

და იმის ნაცვლად, ნორა აფეთქებულიყო და რაიმე სცენა გაეთამაშა, პირიქით, ღიმილით მიუახლოვდა ქმარს, თვალებში შესციცინა და ლოყაზე თითებიც კი მოუთათუნა.

_ აი, თურმე რა გაღელვებს. არ გრცხვენია, ბიჭო? დაილია კაცი ამ საკაცეთში, რომ იმ დებილ ელიზბარში გაგცვალო? ამოიგდე ეგ სისულეები თავიდან და უთხარი, იმ შენს პირუტყვებს, რომ მანქანა გაძეძგონ. მე კი ის პერსპექტივა უფრო მაშინებს, "პერედაჩების" შეგზავნა რომ ჰქვია ციხეში, გასაგებია?

და ენვერი მიხვდა, რომ რაღაც სისულელეებზე ფიქრობდა, რომ ამ გამოუვალ საქმეს, მისი ჭკვიანი ცოლივით კარგად, მართლაც, ვერავინ მიხედავდა და საბოლოოდ დანებდა.

_ აბა, თქვენ იცით, თუ ამ საქმეს თავს მოაბამთ, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ... _ დაიქადნა მანქანაში ჩამსხდარ, წასასვლელად გამზადებულ საკუთარ ცოლთან და რაიონის პროკურორთან გამგებელმა და, დამშვიდობების ნიშნად, ხელი აუწია.

_ ნუ გეშინია, ბიჭი იქნება, ბიჭი! _ მიაძახა ელიზბარმაც და ნორამაც დაძრული მანქანა მთელი სისწრაფით მოხია. მერე კი ელიზბარს მიუბრუნდა.

_ მეტი ვერაფერი მოიფიქრე? ბიჭის და შვილის ხსენება უნდოდა კიდევ? ისედაც ლამის შემჭამოს კაცმა ეჭვიანობით...

_ მის ადგილას, მეც თავს ჩამოვიხრჩობდი... _ თქვა ელიზბარმა და გაიცინა, _ ახლა გადავრჩებოდეთ და ქრისტეს წინ დავიჩოქებ, თუ ერთი თეთრიც კი ჩავიდო ჯიბეში, უკანონო.

_ ტყუილია, როგორც ძაღლის კუდს ვერაფერი გაასწორებს, ისე ვერც შენ და ვერც ჩემ ქმარს, ვეღარაფერი გიშველით... _ ანუგეშა ნორამ და ყელთან კულული გაისწორა, რაც, როგორც მოგახსენეთ, მრავლისმნახველი პროკურორის თვალს არ გამოეპარა და ნორას თეთრი მკერდის ვნებიანი ჭრილისკენ გააპარა თვალი.

_ ჰაა, აბა! _ გააფრთხილა საღერღელაშლილი კაცი ნორამ და მკერდზე მოსრიალე მედალიონი გულისპირში ჩაიცურა. რითაც კიდევ უფრო გააღიზიანა პროკურორი, რომლის ფიქრი ულმშვენიერეს ბედში ჩავარდნილ მედალიონს დასტრიალებდა და მის ადგილას ნატვრას ლამობდა.

_ რა დაგემართა, ბიჭო? _ სწორედ მკერდი შეაქანა და მისკენ მიატრიალა ქალმა.

კაცმა თვალები აახამხამა და გულში ამოიბღავლა. თუმცა ხმამაღლა სულ სხვა რამ წამოსცდა.

_ არაფერი, ცოტა წნევა ამითამაშდა... _ თქვა მან და ქალს ისეთი მშიერი თვალებით მიაჩერდა, ეს მალე მორჩება კიდევაცო, გააფიქრებინა. ამიტომ სასწრაფოდ დასტაცა ნორამ მის მტევანს ხელი და უბისკენ გააქანა, _ ამან გაგაცოფა? _ ჰკითხა და მანქანა, ტრასიდან გადაიყვანა, პატარა, მეჩხერ ტყიანში შეაგდო და დაამუხრუჭა. ქალის მსხვილი ძუძუ მოიგდო თუ არა ხელში, ელიზბარი მთლად გადაირია. ლიფი წამებში მოიცილა, ქალი ბალახიან მიწაზე გადაიტაცა და მის ბროლის ყელს გაშმაგებული დააკვდა. მერე კაბა წამოხადა და თავისი, ჭენებას მოწყურებული მერანი, გრილ ლელიანში შეაგელვა... ეს ყველაფერი ისე სწრაფად და რაღაც წამებში მოხდა, რომ ელიზბარს გამარჯვებული არწივის ყივილის, რომელიც მისი ხახის სიმებმა გამოსცა, მხოლოდ უკანასკნელი, ბოლო ბგერა ჩაესმა ყურში და სექსის სიტკბოებით გათანგული, ქალის ყელზე დაკიდულ მედალიონს მიბნედილი დაეკონა. არის ცხოვრებაში უტკბილესი და დაუვიწყარი წამები, რომლებიც სამუდამოდ პოულობენ ადგილს ადამიანის ტვინის მგრძნობიარე უჯრედებში და აღარასოდეს სტოვებენ კაცს. კი, კი, გაუცნობიერებლად დღეში ათჯერ და ხან ასჯერაც გახსენებენ თავს და ქვეყნად შენს მოვლინებას გამართლებას უძებნიან. აი, სწორედ ასეთ ნეტარებას განიცდიდა ელიზბარი, როცა საპატრულო მანქანის გამაფრთხილებელი საყვირების ხმა ჩაესმა ყურში და ნორას მკერდიდან დაფეთებულმა პირდაპირ ჯიპის სავარძელში მოადინა ტყაპანი.

_ ვერთობით, ძვირფასებო? _ შეეკითხა ელიზბარს, ასე ოცდახუთიოდე წლის, ჯაშუშის სიფათიანი, მგელივით წინ წამოგრძელებული სახის ვაჟი და კაბის სწორებით წამოსულ ნორას გამომცდელად დააკვირდა.

_ თქვენიანები ვართ, _ გაუღიმა ელიზბარმა ვაჟს და პროკურორის მოწმობა დაანახა.

ბიჭს აშკარად შეეტყო, რომ მაგრად გაუტყდა.

_ გვეპატიება, ალბათ... გზიდან გადასული მანქანა დავინახე და ვიფიქრე ხომ არაფერი უჭირთ-მეთქი... _ ხელები გაშალა ჩაჭრილმა ინსპექტორმა და უკან გატრიალდა. მალე მისი მანქანაც აღმუვლდა და იქაურობას გაეცალა.

_ არა, რა... ამ ქვეყანაში გემოს ვერაფერს ჩაატან! _ ჩაიბურდღუნა ელიზბარმა და ქალს დამნაშავესავით შეხედა.

_ ერთი მაგათიც... _ შეიკურთხა ნორა, _ გვითვალთვალებდა, ალბათ, ვირიშვილი... _ მანქანა დაქოქა და აქსელერატორს ფეხის ტერფი მიაბჯინა. ჯიპი ტყიდან ტრასაზე დამფრთხალი შველივით გამოხტა და მანქანების ნაკადს შეუერთდა.

_ ცოტა მიაჭირე, თორემ, მგონი მთელი ძროხა ჩადეს, არაფერი დაემართოს! _ ჩაილაპარაკა ელიზბარმა და გააბოლა.

_ დამარტყმევინე ერთი ნაფაზი, _ თხოვა ნორამ.

ელიზბარმა სიგარეტი თვითონ მიუტანა პირთან, ნორამ მოქაჩა და კაცის თითებს, სველი მხურვალება შეატოვა, რის გამოც, მომდევნო ნაფაზი ბევრად ეგემრიელა ელიზბარს. სავარძელზე გადაწვა და წარსულის მძიმე წლებში გადავარდა, როცა მთელ ტრასას ისე გაივლიდა კაცი, გზად ერთი მანქანაც არ შეხვდებოდა.

ნორა ოდნავ გაბრაზებული და გაღიზიანებული იყო თავის თავზე. ეს რა სისულელე გავაკეთე, დღევანდელ კაცებს პირში ენა არ უჩერდებათ და ამ ამბავს, რომ სადღაც, აუცილებლად წამოაყრანტალებს ესეც, რად უნდა ლაპარაკიო, ფიქრობდა. წამოსვლისას თავშიაც არ გამივლია და გზაში რა ჟინმა მომიარა, თავი რომ ვერ შევიკავეო... მოკლედ, მოდით, ეს ორი ახლად გამომცხვარი საყვარელი დედაქალაქისკენ მიმავალ გზაზე მივატოვოთ და სხვაგან გადავინაცვლოთ.

_ შენ, ბიჭო, სადა ბანაობ? _ მიაჩერდა საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე სამმართველოს უფროსი თავის ხელქვეითს, _ რა ხდებოდა, ერთი ამიხსენი! ბორდელებში დაძვრები, ჟიმაობ და ფულს არ იხდი?

_ კაი, თუ ძმა ხარ, _ სიგარეტს მოუკიდა ლერიმ, _ ბორდელებში დავძვრები... ძელქვას მიმიხედეო, დღეში ცხრაჯერ რომ მაფრთხილებ, შენ არა ხარ?

_ მერე? _ გაეცინა ნოდარ აგლაძეს.

_ გეფიცები, თუ მცოდნოდა რამე, რომ ქალაქში ასეთი სპეც-ბორდელებიც იყო... ტყემალზე ვიჯექი, ჰო, დამიჯერე...

_ რამდენი გაისროლე?

_ ასორმოცდაათი ლარი...

_ ღირდა მაინც?

_ ღირდა არა... ცეცხლის ფასი აქვს ყველაფერს... _ და ლერიმ ხმამაღლა გადაიხარხარა.

_ კაი, დავაი, ახლა, საქმე... ძალიან მაგრად მაჩქარებენ.

_ საქმეზე მივედი, აბა რა მინდოდა, დილის ათის ნახევარზე ბორდელში? ის ძუკნა გავჟიმე, იქ რომ "დაგულაობდა" იმ ღამეს...

_ მერე?

_ როგორც კი ერთი სიტყვა გადავუკარი, ეგრევე მოტვინა და მოკეტა. უნდა გამომათრევინო, როგორმე იქიდან და წესიერად დავკითხოთ...

_ აუ, შენ ისეთ რამეს მთხოვ? _ მაგრად ჩაფიქრდა ნოდარ აგლაძე.

_ დარწმუნებული ვარ, რომ იმ ავარიას შეესწრო...

_ არა, იქიდან ვერ გამოვათრევთ. მაგას, მგონი, პრეზიდენტიც ვერ უშველის... კაი მე მივხედავ, რა ჰქვია, რა გვარია?

_ ქალს მაია და ძაღლს ზიზი...

_ ძაღლს ზიზი? ეგ რაღას ნიშნავს? _ დაიბნა ნოდარი.

_ ჟიმაობისას ზურგზე რომ დაგახტება და ყეფას და ღრენას რომ დაგიწყებს, მაშინ მიხვდები, რასაც ნიშნავს... _ უთხრა ლერიმ და სიცილით ჩაბჟირდა.

_ ეგ რაღაა, ახალი სახეობაა სექსის? _ დაინტერესდა იმწამს ნოდარი.

_ რა ვიცი, რომ გავცხე ყველა ბორდელს ერთად... _ შეიკურთხა ლერი და სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა. _ ქვრივიშვილია ეგ მაია, ჰო... იქნება ასე ორმოც წლამდე, მაგრამ არ ეტყობა... ჰო, პატარა სექს-ბომბაა, მაგარი გასაჟიმი...

_ და იმხელა გზაზე, რომ წახვედი, იქ ვერაფერს ჩაავლე? _ შეეკითხა მარტვილის შესახებ ნოდარი.

_ კი, რატომ... ჯერ რეზერვში მყვანან... მაგრამ იქ სვეტა ჰყავთ, ერთიი? აუ, რა ტორტია? კაი, ნუ გამახსენებ...

_ მოგიგზავნეს?

_ კი...

_ მერე?

_ მეც მოვაჩვენე თავი, რომ მაგარი გულუბრყვილო ვარ და ვერაფერს მივხვდი... სად წამივლენ? უნდა დავატყაო, სათითაოდ...

_ კაი თავისუფალი ხარ! _ და ნოდარმა საათზე დაიხედა, _ ამ თათბირებმაც ხომ...

რა უნდა მოჰყოლოდა ამ საუბარს? თათბირიდან გამოსულმა ნოდარმა მალვინას დაურეკა და "მაიას გასაჟიმად" ესტუმრა. გითხრათ, ახლა, ძველი მგელი იყო-მეთქი ამ კაცზე, არა. არც კაი "ჟუკი" მოუხდება, მაგრამ თავისი საქმე არც ისე ცუდად იცოდა, და სკამსაც კარგად მოერგო. ამ უცნაური საქმიდან, რომ დიდი მაყუთის "გამოჟიმვა" შეიძლებოდა, ეს გაცნობიერებული ჰქონდა და ყველანაირად უწყობდა ხელს გამომძიებელს. მალვინა რომ არ დაეფრთხო, უთხრა, გამასულელა იმ კაცმა, რა გყავს ასეთი, ვინ არი, ძაღლიც უნდა გავჟიმო თუ მარტო ქალიო, ეხუმრა...

_ ძაღლი ვაჟკაცია, ასე რომ კოვზი ნაცარში ჩაგივარდა, _ გაეხუმრა მალვინაც.

_ ზიზი რომ ჰქვია?

_ ჰო, რას გაუგებ, დღეს ყველაფერი აირდაირია... _ და მალვინამ კაცს თვალი თვალში გაუყარა, _ შენ ტყუილად არ მოხვიდოდი...

_ ჰო, საქმემ მომიყვანა, _ გამოუტყდა ნოდარი.

_ კაი, გასაგებია... _ ჩაილაპარაკა მალვინამ და თოკს დაქაჩა.

მან კარგად იცოდა, რომ მისი "მსუბუქი ყოფაქცევის" ქალთა უმრავლესობა, თავიანთი პროფესიის გამო, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად, კრიმინალთან დაკავშირებულნი იყვნენ. ამიტომ, "რაც მოგივა დავითაო"-ს სიბრძნით ხელმძღვანელობდა და თვითონ "ხელებს იბანდა".

როცა, ნოდარი მაიასთან შევიდა, მაია უგუნებოდ იყო... დილიდან ძაღლს პირში არაფერი ჩაედო და იმას ნაღვლობდა. ძაღლიც მაიასავით ჩაპუტკუნებული იყო და ნოდარმა ისიც კი გაიფიქრა, მაგრად ჰგვანან ერთმანეთსო, როგორც ძაღლებისა და მათი პატრონების უმრავლესობა.

_ მაგრამ შენ რა შუაში ხარ? _ ჩაილაპარაკა მაიამ და წელში გასწორდა, _ დალევ რამეს?

კაცმა ხმა არ გასცა, თითქოს რაღაცას ეძებდა ოთახში. მაია ცოტა დაიბნა.

_ რას ეძებ? _ ჰკითხა მაიამ და კაცს მიაჩერდა.

_ არა, არაფერს... ჩვევა მაქვს ასეთი. ციხეში დამჩემდა, _ იცრუა ნოდარმა.

_ რაზე იჯექი, ნარკოტიკზე? _ შეეკითხა მაია და ლიფი მოიხსნა. თან შიშველი მკერდი წინ გამოსწია.

ნოდარმა ტაბლაზე დადებულ მტევანს მარცვალი მოაწყვიტა და გემო გაუსინჯა.

_ შენ პირველად არ უნდა იყო ჩემთან, მაგრამ ვერ გიხსენებ, _ თითქოს გამოტეხვა უნდაო, ისე იკითხა ქალმა.

_ მე სულ ვიღაცას მამსგავსებენ. ერთმა სამი წლის ბავშვსაც კი მიმამსგავსა, _ ჩაილაპარაკა ნოდარმა.

_ გინდა ვიჭყუმპალაოთ? _ შესთავაზა მაიამ.

_ ვიჭყუმპალაოთ? გენიალურია. სად? _ მოეწონა კაცს.

_ არა, აუზში კი არა, აი, საუნა. _ და ვარდომ უკანა კედელზე გაკეთებულ სახელურს ხელი გაჰკრა. კედელი მარჯვნივ გასრიალდა და ნოდარმა პატარა ხელოვნური აუზი დაინახა. _ წამო, წამო! _ და მაიამ გახსნილი ქვედა კაბა ლამაზად მოისრიალა. მერე კი

მრგვალი კურტუმოს ვნებიანი რხევით აუზში ჩავიდა. ოდნავ შესცურა, მოტრიალდა და ბავშვივით ააჭყაპუნა ხელები.

ქალი არ თამაშობდა, ყველაფერს ისე ბუნებრივად აკეთებდა, ნაღდად დავევასეო, გაიფიქრა ნოდარმა. ის მთლიანად გაშიშვლდა. ტრუსიც მოისროლა და წყალში ჩახტა. როგორც ქართველ კაცთა უმრავლესობა, ნოდარიც მოხდენილი მამაკაცი იყო, კარგადაც ცურავდა, ქალს ჯერ წრე დაარტყა, მერე ზურგიდან მოექცა, თავი ლაჯებში ამოუტარა და მხრებზე შეისვა. მაია შეფართხალდა, კაცის ხუმრობა კი მოეწონა, მაგრამ ცოტა შეშინდა და რომ არ გადმოვარდნილიყო, თმაში სტაცა ხელი.

_ ხელი ფაფარს, ფაფარს ხელი უშვი! _ იყვირა კაცმა და უკან გადაიწია. მაიამ შეშინებულმა მართლაც გაუშვა ხელი, კაცმა თავი ვეღარ შეიკავა და ორივენი უკან გადავარდნენ, წყალი ამოქაფდა... კაცი და ქალი კი, ერთმანეთის შველაში, წყალი რომ არ ეყლაპათ, ერთიმეორეს ჩაეხუტნენ და სიცილით ამოცვივდნენ წყლის ზედაპირზე.

_ კაი ღრმაა, ხომ იცი... _ ჩაილაპარაკა ნოდარმა და ქალის უკანალს ორივე ხელი ამოსდო. ქალიც დაჰყვა და მკერდით სახეზე მიელამუნა. კაცმა ქალს სისხლისფერი ტრიკო ჩააძრო და აუზის კიდეზე შემოსვა. ვისაც გამოუცდია, კარგად იცის, რომ წყალში სექსი, დიდი არაფერი ხვითოა. თუმცა ფილმებში ხშირად ისე ხატავენ, თითქოს უმაღლესი სიამოვნება და ნეტარება იყოს. არაფერი ხვითოა-მეთქი, იმიტომაც ვამბობ, რომ ნოდარიც მაგრად გაწვალდა და, რომ არა მაიას უმაღლესი პროფესიონალიზმი, ეგებ არაფერიც გამოსვლოდა. მოკლედ, ამ ჭყუპალ-ჭყუპალაობაში, სექსითაც ისიამოვნეს და ნოდარი ძირითადი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, რაც მოგეხსენებათ, ბევრად ძნელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბორდელის ერთ ჩვეულებრივ მეძავთან სექსი და ნოდარიც გვარიანად გაწამდა. მიუხედავად, გამომძიებლის მიერ უნაკლოდ შესრულებული მახრჩობელა ილეთებისა, მაიას ერთი სიტყვაც ვერ დააცდევინა, მოკლედ, ქალი იქ ყოფნას უარობდა და აუტანელ ტკივილებს უძლებდა. ნოდარი გაცოფდა, ქალს ორივე ხელი აუგრიხა, უკნიდან მიაჯდა და გააუპატიურა.

_ მაინც და მაინც ფრჩხილები უნდა დაგაძრონ და დენზე მიგაერთონ, რომ თქვა? ასეც მოგიწევს, ალბათ... _ თქვა კაცმა, ტანი შეიმშრალა და ჩაიცვა. მაია კი ძუ მგელივით უმზერდა. _ ჩაიცვი, ჩემთან ერთად წამოხვალ! _ უთხრა კაცმა და ოთახიდან გავიდა.

_ ვერ გაგატან, არ არსებობს! _ უთხრა მალვინამ ნოდარს და თავი უკან გადაწია.

_ ექვსი კაცია მკვდარი, იქიდან ორი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ეს რომ დაგვეკარგოს, შენ მოგთხოვენ, იცოდე, პასუხს! _ თითით დაემუქრა ნოდარი მალვინას, მაგიდაზე ორასი ლარი დაუგდო და ბორდელი განრისხებულმა დატოვა.

მალვინამ კი თავისთან იხმო მაია.

_ შენ იცი, ვინ იყო ახლა შენთან? _ ჰკითხა და პასუხს დაელოდა.

_ ვიცი, დრაკულა. _ მოკლედ მოჭრა მაიამ.

_ იცნობდი? გამომძიებელია, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

_ არა, დღეს გავიცანი. ჯერ ორივე მკლავი ამომიგდო და მერე გამაუპატიურა.

_ კი მაგრამ, რა ჩაიდინე, მაინც ასეთი? _ დაინტერესდა მალვინა, _ შენი წაყვანა უნდოდა და უარი ვუთხარი.

მაია შეყოყმანდა. იცოდა, მისი სული მალვინას ხელთ იყო და სავარძელში ჩაეშვა. მერე სიგარეტი მოსრისა და მოუკიდა.

_ კი, იქ ვიყავი, ის ექვსი კაცი ჩემს თვალწინ მოკვდა, ისიც ვნახე ის ორი მანქანა, როგორ შეასკდა ერთმანეთს და ნამსხვრევებად გაიფანტა... _ ამოთქვა, როგორც იქნა და მხარზე მოივლო ხელი, _ მხეცი!

_ არ გამაგიჟო, გოგო, მართლა?

_ მე რა შუაში ვარ, მე “კრაზში” ვიჯექი, უკან მოვყვებოდით მაგათ. ჩვენ მოვცურდით და ამოვტრიალდით. მძღოლმა ძლივს ამოგვათრია მე და ზიზი მაღლა და ჩვენც დავახვიეთ იქიდან. ჩვენ რომ არ გადავბრუნებულიყავით? გადავუვლიდით ზედ, იმ, ისედაც მიჭეჭყილ მანქანებს და იმ საწყალ ტკუცას დაბრალდებოდა ყველაფერი.

_ ტკუცა ვიღაა?

_ მძღოლი იმ “კრაზის” რომელშიც ვისხედით მე და ტკუცა.

_ მერე? _ შეეკითხა მალვინა.

_ რა მერე? _ ვერ მიუხვდა მაია.

_ შენ რა შუაში ხარ, რა უნდათ შენგან? შენი ვანაა ის ტკუცა?

_ ვინ უნდა იყოს, ხელი ავუწიე და გამოვყევი.

_ მერე?

_ რა მერე, იმ დროს იქ ყოფნა თუ დამიმტკიცდა, ექვსი წელი ციხე მაქვს... ან ცოცხალს დამტოვებენ, ტკუცა რომ ჩავუშვა? ხომ ყელს გამომჭრიან...

_ და, როგორ გაიგებს შენ რომ ჩაუშვი?

_ ჩემს მეტი იქ არავინ იყო, მარტო მე და ის ვიყავით. გადააბრალებენ იმ ავარიას და გაფცქვნიან კომბოსტოსავით...

_ არა, ვერ გავიგე, რა? შენ რა შუაში ხარ? _ არ ეშვებოდა მალვინა.

_ იმ ღამეს პატრულმა გამომიჭირა იმ გზაზე. მერე ერთი-ორმა გამჟიმა კიდეც, ფულიც კი მომპარეს, ვერ მივხვდი რომელმა. იმათი ჩაშვებული ვარ, ეტყობა. მაგათ მძღოლის ვინაობა აინტერესებთ, იმ ხე-ტყის პატრონებზე გასვლა უნდათ, ოღონდ, ჩუმად, უხმაუროდ, რომ ძირფესვიანად გაფცქვნან. დაჭერით იმათ არავინ დაიჭერს, დაჭერით მე დამიჭერენ, ამკიდებენ ავარიასაც, იმ “გრუზსაც” და, თუ დასჭირდათ, სამუდამო პატიმრობასაც მომარტყამენ. ტკუცამ თუ თქვა ჩემზე, არ ვიცი ვინ არის, ჩემთან არ მჯდარაო? ყველაფერი მე დამბრალდება. ჰო, უბრალოდ, ის რომ თქვას, დავინახე როგორ გადაურბინა წინ მანქანებსო, წასულია ჩემი საქმე. რაზეა ბაზარი? გამაფრთხილა, არ გიცნობ, არ მიცნობო. აკრძალული “გრუზი” ედო, ძელქვა მოჰქონდა...

_ ბოლოს მაინც მე გავეხვევი ხოლმე ხათაბალაში, შენ ჩემთვის ამ ამბავზე არასოდეს არცერთი სიტყვა არ გითქვამს, იცოდე! _ უთხრა მალვინამ და თვალით ანიშნა თავისუფალი ხარო. ბუნდოვნად კი ხვდებოდა, ამ ქალს არაფრით შეეშვებიან ეს წურბელები, თავისას გაიტანენო და თუმცა შეეცოდა, მაინც, როგორც ხშირად, თვითონ ისევ ხელების დაბანა ამჯობინა.

მართალი გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს, რაზე უნდა წერდეს დღეს ქართველი მწერალი, რაზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, მაგრამ თვალის ახელა რომ ეზარება, ეს ცხადია. საითაც არ უნდა გაიხედოს, ისეა ყველგან ყველაფერი პრობლემებით დახუნძლული... იქნებ, ახალ, ნუშისფერთვალებიან ჭირს ჭირდება მიხედვა, რომელიც სარეველასავით ედება უკვე აქაურობას და სულ მალე, შესაძლოა, ქართულის სახსენებელი, საერთოდ განდევნოს ამ მიწიდან, თუ ისევ ძველ, ამ მოურჩენელ ჭირს, ჩვენს ტვინამორეცხილ, ძალოვანებს უნდა მიექცეთ ყურადღება, რომლებიც, აი, ლამის საუკუნეა, ერის დეგრადაციას უწყობენ ძირითადად ხელს და ათას უკეთურ და მოურჩენელ დაავადებას ავრცელებენ? ის კი თვალნათლივ ჩანს, რომ ეს ხელისუფლებაც უძლურია მათ წინაშე, ან შეგნებულად უყრუებს ყურს ამ უუდიდეს პრობლემას. არ ვიცი, მე ამ საკითხების ექსპერტი ნამდვილად არ გახლავართ, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ ათასი ილიაც რომ გაჩნდეს, ჩვენს წახდენილ ქვეყანას, ფეხზე ვეღარაფერი წამოაყენებს. მხოლოდ ღვთის ნებაზე, როგორც დღეს ვართ მიგდებული, თქვენი მტერი იყოს, ჩემო... არა, ასე ჩემ გულს ვავნებ, ჯობს, ისევ ჩემ გმირებს მივხედო, იქნებ თითო-

ოროლა მაინც გადავარჩინო, თუმც, ესეც მაგრად მეეჭვება, რადგან ესენიც, როგორც ქართველთა უმრავლესობა, თავისას ერეკებიან და მე არაფერს მიჯერებენ...

აი, ავიღოთ თუნდაც ნორა, ერთ დროს მეოცნებე, ალბათ რომანტიკული ბუნების ქალიც. მოგეხსენებათ, როგორ უყვარდათ რომანტიკა ჩვენს პერიფერიებში აღზრდილ ლამაზმანებს... ვინაა, რა ამოძრავებს? დაშორდა თუ არა, რაღაც ხუთიოდ წუთში, ორი შვილის დედამ ქმარს ისე უღალატა, წამითაც არ ჩაფიქრებულა. ახლაც ზის და სურსათით დატვირთულ, იაპონურ "ჯიპს" დედაქალაქისკენ მიაგელვებს. რისი იმედი აქვს, ალბათ, იმ ხარბი ბუნების, რომელიც დღეს მთელი სამყაროს სენია? არ ვიცი...

_ მარჯვნივ ნუ გაიხედავ....._ ურჩია ელიზბარმა ნორას, როცა ავარიის ადგილს მიაუხლოვდნენ.

_ რატომ? _ იკითხა ნორამ და სწორედ მარჯვნივ გაიხედა.

_ ხედავ, რა საცოდავად გდია ახალაიას "კრაზი"? _ შეეკითხა ელიზბარი, _ არ შეანელო, ვინმე არ უთვალთვალებდეს.

ხე-ტყე აღარსად ჩანდა. მანქანა კი, როგორც ჩანს, გაძარცული უნდა ყოფილიყო, რადგან ზედა საბურავები აღარ ჰქონდა და კაბინის კარიც კი მოპარული ჩანდა, და საერთოდ, რაღაც თვალგამოთხრილივით და ფრთამოტეხილივით გამოიყურებოდა.

_ თუ თქვენ გიყურეთ, მეც ეგ მომელის, რაც მაგ მანქანას... _ ჩაილაპარაკა ნორამ და ელიზბარს რამოდენიმე საათის წინ მიღწეული გამარჯვების ფასი ნულამდე დაუყვანა. უკვე სულ სხვაგან, ალბათ, ძალოვანთა კაბინეტებში თუ ჰქროდა, ჩვენი "თინათინის და ნესტანის შთამომავლის" გონება.

_ დამიზარე, როცა გათავისუფლდე! _ უთხრა ნორამ ელიზბარს და მანქანა ძალოვანთა სამინისტროსთან გააჩერა. ელიზბარი მოყავისფრო შენობის კარში გაუჩინარდა. ნორამ კი, სანამ ელიზბარი დაბარების მიზეზს გაარკვევდა, ქალაქში გასვლა და სადმე, თავისთვის, პატარა, მყუდრო კაფეში შესვლა გადაწყვიტა. არავითარი ნაცნობ-მეგობრების ნახვა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მის, და მისი ოჯახის თავსაც, დამოკლეს მახვილი ბედისწერასავით ეკიდა. მაგრამ, ვერა და ვერ შეარჩია, სად, რომელ კაფესა თუ ბარში შესულიყო. სოკოებივით მომრავლებულანო, გაიფიქრა და როგორც მოსალოდნელი იყო ღერძულა ხაზი გადაჭრა... არ უნდა გადაეჭრა, რადგან, რაც შემდეგ მის თავს დატრიალდა, ამას ნორა კი არა, ეშმაკიც ვერ წარმოიდგენდა. მოკლედ, "პატრულის" მანქანა წამოეწია და გააჩერეო, უბრძანა. ნორამ დამცინავად შეხედა, ახალგაზრდა ქერა ბიჭს, რომელმაც პატაკი აუღო და მიესალმა.

_ საბუთები უნდა მომცეთ, _ უთხრა ინსპექტორმა და სალონი მოურიდებლად, რაღაც საეჭვოდ, მოათვალიერა, _ რა გიდევთ სალონში? _ ჰკითხა და მართვის მოწმობა და მანქანის პასპორტი ჩამოართვა.

_ რა შენი საქმეა? _ ამოსკდა უნებურად ნორას.

_ რა? _ მაგრად არ დაევასა ნორას სიტყვები ინსპექტორს, _ თქვენ ფიქრობთ, რომ ენა მექავება და ამიტომ გეკითხებით? _ და პოლიციელმა რაღაც მესიჯი გაუშვა თავის მობილურით. რაც უკვე ნორას არ მოეწონა, მაგრამ ვეღარაფერი თქვა. ინსპექტორმა, იქვე ძრავის "კაპოტზე" გაშალა თავის მუყაოს ყდა, ოქმის ფურცელი ამოიღო და ჯარიმის წერას შეუდგა.

_ რას აკეთებ? _ იკითხა თვალებგაფართოებულმა უკვე მანქანიდან გადმობრძანებულმა ნორამ.

_ ჯარიმის ქვითარს ვწერ... _ თავაუწევლად უპასუხა ვაჟმა და წერა განაგრძო.

_ და მე არაფერს მეკითხები მერე? _ აღელდა ნორა.

_ რა, არ გადმოჭერით ღერძულა ხაზი? _ ისეთი მუქარით მიუბრუნდა უცბად ვაჟი, რომ ნორამ უკან დაიხია, ეს ალბათ გამომიქანებს კიდეცო, გაიფიქრა.

ამ დროს მათ გვერდით, სირენის ბღავილით პატრულის მეორე მანქანამ დაამუხრუჭა, საიდანაც ვიდეოკამერამოკიდებული ოპერატორი და ჟურნალისტი გადმოხტნენ და მათკენ წამოვიდნენ.

_ ესენი ვინღა არიან? _ იკითხა გაკვირვებულმა ნორამ და მათკენ მიტრიალდა.

ჟურნალისტი პირდაპირ პატრულს მიეჭრა და მიკროფონი მიუშვირა.

_ სალონია შესამოწმებელი... _ შეკითხვის დაუსმელად ჩასძახა მიკროფონში ინსპექტორმა და ნორას მანქანის საბარგულზე მიანიშნა, _ გამიღეთ საბარგული! _ ხოლო ოპერატორი ამ ყოველივეს დიდად საქმიანად იღებდა.

_ ვინა ხართ, ხალხო, თქვენ რა? _ მთლად გადაირია ნორა, რომელიც ასეთ თავხედობას პირველად წააწყდა ცხოვრებაში. _ რა თქვენი საქმეა რა მიდევს მანქანაში, გგონიათ მოპარულია? თუ, რა... კონტრაბანდაა?

_ ჯერ გადახადეთ, რა, რა გიდევთ და მერე ვილაპარაკოთ! _ და ინსპექტორმა ნორა თავხედურად გაწია გვერდზე. გადაფარებულ ნაჭერს ხელი მოავლო და გადახადა. იქ მყოფთ ახლად დაკლული ხბოს ბარკლებმა, გასუფთავებულმა მეგრულმა გოჭებმა და დედლებმა შემოანათა, _ ოჰოო! _ წამოსცდა ინსპექტორს.

ნორამ მოიხედა და გარშემო შემოხროვილი უამრავი ხალხი დაინახა, რომლებიც ისე შესცქეროდნენ, თითქოს მისგან პასუხს ელიანო. საინტერესოა არა? საიდან გაჩნდებიან ხოლმე ასე სწრაფად, ამ ჩვენს დაქცეულ ქალაქში, მთელი ეს მილეთის ხალხი, სწორედ იქ, სადაც მათ არავინ არაფერს ეკითხება?

_ საიდან მოგაქვთ და სად მიგაქვთ, საბუთები გაქვთ, რამე? _ შეეკითხა ინსპექტორი.

რა უნდა ეპასუხა ნორას, ჩემი დაზრდილია ეს ყველაფერი, მარტვილიდან მოვდივარ, რომ ქრთამის სახით აქაურ ჩინოვნიკობას ჩამოვურიგოო, თუ რა?

_ არსად არ მიმაქვს, არსაიდან არ მომაქვს, ჩემია, მანქანაში დევს და აქ უნდა იდოს! _ უპასუხა ნორამ და დოინჯი შემოიყარა.

_ გასაგებია, მომეცით მანქანის გასაღები! _ მკაცრად წარმოთქვა და ხელი გაუშვირა ვაჟმა.

_ მიეცით! _ ურჩია მეორე ინსპექტორმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იქვე იდგა, მაგრამ ხმას არ იღებდა, _ გირჩევთ, თუკი არ გინდათ რომ ბევრად ძვირი დაგიჯდეთ...

ნორა ახლა უკვე ძალიან, ძალიან აღელდა. რა თქმა უნდა, მობილურს ეცა და რეკვა დაიწყო, მაგრამ არც ელიზბარის და არც ქმრის მობილურები არ პასუხობდა და არც წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოქცეულიყო.

_ რა, არაა გასარკვევი? იქნებ კონტრაბანდაა, საბუთი თქვენ არ გაგაჩნიათ და არაფერი...

_ მიეცით, მიეცით გასაღები, თქვენთვისაც აჯობებს. ბევრად წყნარ და მშვიდ ატმოსფეროში არ გირჩევიათ რომ გადაწყდეს? _ ისევ ურჩია იმ მეორემ.

_ და გასაღები რატომ უნდა მოგცეთ, მერე, მე ვერ დავჯდები საჭესთან? _ აღელდა ისევ ნორა.

_ კაი მაშინ, მიდი, აკა, გამოიძახე საბარგო, შევაგდოთ და საჯარიმოზე გადავიყვანოთ.

_ საჯარიმოზე? _ არ მოეწონა ნორას, _ კარგით, რომელს მივცე გასაღები?

_ მე! _ თქვა პირველმა და გასაღები გამოართვა.

_ ქალბატონო, რა უნდათ თქვენგან? _ პირდაპირ პირთან მიუტანა მიკროფონი, ნორას აზრით, მახინჯმა ჟურნალისტმა. საიდან თხრიან ამნაირებს? ფიქრობდა ნორა.

_ მაგათ რა უნდათ, ვიცი, მაგრამ, აი, თქვენ რა გინდათ ჩემგან, ეს ვერ გამიგია... _ უპასუხა ზიზღით და მიკროფონი გააწევინა.

ნორა უკანა სავარძელზე მოათავსეს. მერე, საიდანღაც, სულ სხვა ინსპექტორიც გაჩნდა და ის მოუჯდა გვერდით, პირველი კი, მისი ჯიპის საჭეს მიუჯდა და წავიდნენ. სანამ ქალაქს გასცდებოდნენ, ნორა ჩუმად იყო, მაგრამ დიღმის ტრასაზე მანქანა უკან რომ არ შემობრუნდა და მცხეთისკენ დააწვა, ბიჭებს მკაცრად მიუბრუნდა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა მან და კაცების უცნაურად ჩაფიქრებულ და მკაცრ სახეებს, რომ შეხედა, ცოტა გააჟრიალა კიდეც.

_ პანიკის გარეშე! _ უთხრა გვერდით მჯდომმა და იარაღი ამოიღო, _ მობილური! _ და ხელი გაუწოდა.

_ თქვენ ინსპექტორები არ ხართ! _ თითის ქნევით აპირებდა ამ სიტყვების თქმას ნორა, მაგრამ ფერდზე იარაღის ლულა რომ მიაჭირეს, ხმა პირზე შეეყინა. დადუმდა. მანქანა დიდი სისწრაფით შორდებოდა ქალაქს.

ელიზბარს ძალიან გაუკვირდა, როცა მინისტრის მდივანმა, საგამოძიებოში კი არა, პოლიციის სამმართველოში გაუშვა. ალბათ ბაღათურიას საქმეში თუ იქექებიანო, გაიფიქრა და გულზე ცოტა მოეშვა. მაგრამ ამ სურსათს რა ვუყოთ, წინასწარ ხომ არ დავარიგებთ, სად გინდა წაიღოო, ფიქრობდა. შენობიდან გამოვიდა და ნორასთან ზარი გაუშვა. გასულია მომსახურების ზონიდანო, პასუხობდა ავტომატი. ყოველ ხუთ წუთში იმეორებდა. ტელეფონი კი იგივეს პასუხობდა. გაგიჟდა კაცი, რა ხდებაო.

ნორა, რომელიც იმას ვერაფრით წარმოიდგენდა, რაც დაემართა, მხოლოდ თავის გადარჩენაზეღა ფიქრობდა. თხუთმეტიათას დოლარიანი იაპონური "ტოიოტას" ფირმის ჯიპიც ფეხზე ეკიდა, ქმრის ციხეც და შვილების მომავალიც. ალბათ, ასეთ აზრზე დგება მათი უმრავლესობა, ვინც ბედისწერის გამო, უეცრად, დღისით-მზისით, მოწმენდილი ციდან, ასეთ ღრმა ჯურღმულში ვარდებიან. ბიჭებმა ნორას სავარძლებს უკან ჩაწოლა უბრძანეს. თან რაღაც ძონძიც მისცეს, თვალები აიკარიო. ისიც ჩაწვა, რა უნდა ექნა. მის გვერდით მჯდომმა იარაღიანმა პირდაპირ მუცელზე დაალაგა ფეხები, თუმცა ნორას ამაზე პროტესტი სულ არ გამოუთქვამს. მანქანამ ეტყობა გზიდან გადაუხვია, ნორა ამას იმით მიხვდა, რომ მანქანამ სვლაც შეანელა, ოდნავ არტყამდა კიდეც ორმოებში და სლალომზეც გადავიდა. ნორა ვერ ხვდებოდა რამდენი დრო გავიდა, იმდენად უსასრულოდ გაიწელა მისთვის წუთები. მანქანა გაჩერდა.

_ ადექი, გადადი! _ უბრძანა უკანამ ნორას და ფეხი წაჰკრა.

ნორამ რატომღაც ხელების ფათური დაიწყო, რადგანაც თვალები ისევ ახვეული ჰქონდა. აშკარად რაღაცას ეძებდა და ამ ფათურში უკანა სავარძელზე მჯდარ ბიჭსაც მოუფათურა.

_ რას დაეძებ? _ შეეკითხა ბიჭი.

_ ჩემ ჩანთას, _ აკანკალებული ხმით უპასუხა ნორამ. იმ ჩანთაში მას ძალოვნების მოსაქრთამად წამოღებული ათიათასი დოლარი ედო.

_ ჩანთაც რომ მოუნდა? _ ირონიულად ჩაიცინა პირველმა.

_ რად გინდა საიქიოში ჩანთა, რაში გამოგადგება? _ შეეკითხა მეორე და ნორა მიხვდა, რომ საქმე უფრო ცუდად იყო, ვიდრე მას ეგონა.

_ არ მომკლათ, არ მომკლათ, არ მომკლათ!!! _ ეგრევე ისტერიკაში ჩავარდა, კარი გამოაღო, მანქანიდან გადახტა და გაიქცა, მაგრამ პირველივე ხეს პირდაპირ სახით შეასკდა და გონდაკარგული, იქვე, ხის ძირში ჩაიკეცა.

როცა გამოფხიზლდა, იგრძნო, რომ საშინლად სტკიოდა სახე და პირველი რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ თვალებიდან ქსოვილი მოიძრო და შუბლზე მოისვა ხელი. მიმხმარ სისხლს წააწყდა. ცხვირზე მოიკიდა და ბევრად ედიდა. მერე კი, ხახაში ცხვირიდან გადასული სისხლის გემოც იგრძნო. მალე ყველაფერი აღიდგინა, რაც გადახდა და საშინლად გაუხარდა, რომ ცოცხალი გადარჩა. წამოდგა, ნაბიჯი გადადგა და მაშინვე იგრძნო, რომ მარცხენა ფეხის მუხლისკვერიც მაგრად სტკიოდა. მანქანა აღარსად იყო და ნორამ ბალახებში მანქანის ნაკვალევს დაუწყო ძებნა. ვერსად მიაგნო. ალბათ, ბევრი ვირბინეო, გაიფიქრა. ტყეში კალიების გაბმული ჭრიჭინი, მწერების ბზუილი და ჩიტების ჟივილ-ხივილი ისმოდა. ლამაზ, ქართულ, ნეკერჩხლის ხშირ, ბარდებიან ტყეში იდგა ნორა და არ იცოდა საით წასულიყო. გაახსენდა, რომ ოდესღაც სკოლაში რაღაცას ასწავლიდნენ, თუ კი ტყეში დაიკარგებოდა, საით უნდა წასულიყო, როგორ გაეგნო გზა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარაფერი ახსოვდა. ვერც იმას მიხვდა ვერაფრით, საიდან, რომელი მხრიდან მოვიდნენ. მზე ჩასულიყო, თუმცა ჯერ კიდევ ნათელი იყო და თუ სწორად ივლიდა, იქნებ დაბინდებამდე გაეღწია კიდეც გზამდე და ნორაც, როგორც ყველა ამ შემთხვევაში, ბედს მიენდო, დაადო თავი და კოჭლობით, მაგრამ ჩქარი სიარულით დაძუძგა.

ელიზბარი კი იდგა და ყოველ ხუთ წუთში რეკავდა. თითქმის ორი საათი გავიდა. ნორა კი არსად სჩანდა და არც მისი მობილური პასუხობდა. ორ წყალს შუა იყო. ერთადერთი, ვისთვისაც შეიძლებოდა დაერეკა, ნორას ქმარი ენვერ ჭუბაბრია იყო, მაგრამ, არ გინდა, რაიონში მარტოდ დარჩენილ ქმარს მოახსენო, რომ შენი ცოლი დავკარგეო? თანაც თუ მის ცოლთან, იქვე, რაიონის ყურის ძირში, გაქანებული სექსი გქონდა? ჰოდა, ისიც ელოდა როდის გამოჩნდებოდა ან ნორას "ჯიპი" ან როდის შეატყობინებდა რაიმეს ტელეფონზე. სულ მალე იმის ეჭვმაც გაჰკრა, თუკი ჩემთან ასე მოიქცა, ალბათ, აქაც ვინმე საყვარელი ჰყავს და იმასთან ერთობაო... ეწყინა, მაგრად, გულიც კი შეეკუმშა, ერთი დღეც არ გამახარა, ეგრევე მიღალატაო... რას იფიქრებდა, რომ მისი დილით შეძენილი საყვარელი, შიდა ქართლში, ცხინვალთან ახლოს, ტყეში "დანავარდობდა" და თვალგაფართოებულს ელიზბარი კი არა, მგლები და დათვები ელანდებოდა... მოკლედ, ამასობაში ელიზბარს მაგრად მოშივდა. და, საერთოდ, ქართველ ქალზეც ყველანაირი შეხედულება დაეკარგა და დარეკავს, ბოლო-ბოლო, მაშ სად ჯანდაბაში წავაო, გაიფიქრა. ადგა, "მარშრუტკაში" ჩაჯდა და ქალაქის ცენტრისკენ დაახვია. ერთ პატარა სახინკლეში ხინკალი მიირთვა, ლუდიც დააყოლა და პოლიციის სამმართველოს ესტუმრა. ისინი ვინც ელიზბარს დაზმირ ბაღათურიაზე ესაუბრებოდნენ, რანგითაც და წლოვანებითაც მასზე ბევრად უმცროსები იყვნენ. მათთვისაც და ელიზბარისთვისაც, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო და ძალიან სწრაფად შეთანხმდნენ, რომ დაზმირ ბაღათურია ციხიდან უნდა სასწრაფოდ გაეშვათ, თან რაიონში მომუშავე ორიოდ პატარა "პაიკიც", ხალხის თვალის ასახვევად დაესაჯათ, ან ჩამოექვეითებინათ, ან, საერთოდ, თუ საქმე მოითხოვდა, გაეთავისუფლებინათ კიდეც...

მოკლედ, განყოფილებიდან გამოსულ ელიზბარს მარტო ისღა ჰქონდა სანაღვლო, ნორა რომ გამოჩნდებოდა, ის იმდენი ხორცი და სანოვაგე, სანამ გაუფუჭდებოდა, სად ჯანდაბაში წაეღო. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ ამ საქმისგან უკვე აბოლუტურად გამოთავისუფლებული იყო და შეეძლო მშვიდად ყოფილიყო...

ცოტას კი, მაინც, ნორაზეც ბრაზობდა, რა დაემართა ამისთანა, რით ვეღარ გაძღა ეს ქალიო.

გაძღომა კი არა, ნორას ტყეში, სუფთა ჰაერზე, ისე მოშივდა, ლამის ზვიგენივით საკუთარი თავი შეეჭამა. სვლას მაინც არ ანელებდა, ერთი მიმართულებით ფეხათრეული, რომ იტყვიან, ჩოჩორიკით მიქროდა. და ჰოი, საკვირველებავ, შორიდან, ძალიან შორიდან, ორი ნამდვილი, ცოცხალი, ჩვეულებრივი ადამიანი დაინახა. თუმცა, ნამდვილი ადამიანებისგან განსხვავებით, მთლად შიშვლები იყვნენ და ისე უცნაურად იქექებოდნენ, თითქოს ტილები დაჰხვევიათო. ნორა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიუახლოვდა "მაუგლებს" და დაინახა, რომ კაცები, უფრო სწორად, ორი რუსის ბიჭი, სუფთა, წკრიალა ნაკადულის კალაპოტში იდგნენ, ისაპნებოდნენ და იღვრიჭებოდნენ. ავტომატები ხეზე მიეყუდებინათ, ლულებით ზემოთ, ხოლო ტანისამოსი კი არსად ჩანდა. ნორა რაიონის გამგებლის ცოლი გახლდათ და ასეთ ოჯახებში, რომ იარაღი მუდამ არის, კარგად მოგეხსენებათ. ნორამ ავტომატის ხმარებაც იცოდა, და მცირეკალიბრიანებიც უტრიალებია სალოკ თითზე, ასე რომ, ამ ორი შიშველ-ტიტველი რუსის განიარაღება და დატყვევება მისთვის არაფერი იყო. ნდობით კი, ისე იყო დაშინებული, ამათ კი არა, მათ მთავარსარდლობასაც, არ ენდობოდა. იმასაც ადვილად მიხვდა, რომ სადღაც, სამხრეთ ოსეთის, უფრო სწორად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და თუ სწრაფად და მოქნილად იმოქმედებდა, თავის გადარჩენის შანსი, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე მაინც ჰქონდა. არა, ტანისამოსს სადღაც აქვე გაიხდიდნენ, აბა ასე დედიშობილა ხომ არ მოტლაკუნდებოდნენ? გაიფიქრა ნორამ და იქაურობის მოთვალიერებას შეუდგა. და, ჰოი, საკვირველებავ, ხეებს შორის, ოდნავ ქვემოთ, რუსული სამხედრო ჯიპის ანუ "კოლხოზნიკის" ძარა არ შენიშნა? და სანამ რუსის ბიჭები თავიანთ ენაზე რაღაცას როხროხებდნენ და ნაკადულის ცივ წყალში ნებივრობდნენ, ნორამ ორივე ავტომატი მოიპარა, რომლების მჭიდებიც, როგორც ნორა ვარაუდობდა, მართლაც, ტყვიებით იყო სავსე. ნორას ყველაფერი გადაავიწყდა, მუხლის ტკივილიც, შიმშილიც, თავის უბედურებაც კი, რაც იმ დღისით დაემართა. ასეთი იდილიური სურათი, იდილიური ტყე და იდილიური მომენტი, არც ოდესმე ენახა და არც ჰქონია აქამდე. მისთვის, თუკი მანქანის მოპარვასაც მოახერხებდა, ეს თვით აღამახმადხანის ურდოების დამარცხების ტოლფასი იქნებოდა, და ისიც, სამხედრო "კოლხოზნიკში" ტურასავით შემძვრალი, მანქანის ძრავის გასაღებს გაფაციცებული ეძებდა. მაგრამ არც გასაღები და არც მისი კლიტე, არსად ჩანდა. უცბად ნორამ რაღაც კნოპს დაადგა თვალი. ეს უნდა იყოს, დაჰკრა თავში და ცერი მიაჭირა. მანქანა მაშინვე ისეთ მაღალ ხმაზე აგუგუნდა და ისე სწრაფად და მუხანათურად გასცა ქურდი, რომ ნორას ბევრი აღარც უფიქრია, აქსელერატორს მიაჭირა და გაფრინდა. თუ ჩქაროსნული სლალომი რაიმეს ჰქვია, ნორას შლიგინს იმ მომენტში, იმ ხეებს შორის, ზესლალომი შეიძლება დავარქვათ. რუსების სამხედრო ტანისამოსი მანქანაში იყო და ნორა მიხვდა, რომ ისინი შიშველ-ტიტველი დაყარა. და სულ მალე, ამ შლიგინ-ჯლიგინში, უასფალტო, მაგრამ სამანქანო გზაზე გავიდა. ახლა მთავარი იყო ამ გზას ასფალტიან გზაზე გაეყვანა და ნორა გადარჩენილი იყო... და თუკი მის ქმარს ციხეში ჩასვამდნენ და "სროკს" აჰკიდებდნენ, დიდად აღარც ეს ანაღვლებდა. როცა ტყე გათავდა და სულ ახლოს, იქვე, მარჯნივ, ასფალტიანი გზაც გამოჩნდა, უკვე ბნელდებოდა. "იეს, იეს!!!" იყვირა ნორამ და ასფალტზე გადავიდა. მარჯვნივ, სულ მარჯვნივ, ასე ჩაიფიქრა და მიაწვა. "ტორპედოზე" საწვავის მაჩვენებელს დაუწყო ძებნა, ვერ მიხვდა, რომელი იყო. სანამ მეყოფა ვივლი და სადაც გამითავდება იქ მივაგდებო, გაიფიქრა. და ასე, შეუგნებლად, ნორამ რუსების სამხედრო მანქანით, უკან, დასავლეთისკენ გასწია. სწორედ მასზე იყო ნათქვამი: "სადაურსა სად წაიყვანო"... ნორა ცოცხალი იყო, ესე იგი, სიკვდილს გადარჩენილი. მაგრად უხაროდა სიცოცხლე, ძალიან მაგრად. არ დააცალეს, გვერდით, სირენების ბღავილით, პატრულის მანქანა ამოუდგა და გააჩერეო,

მეგაფონით უბრძანა. ნორამ დაუფიქრებლად გადმოუღო მარჯვენა ხელით ავტომატი და პატრულის მანქანას საბურავებში მიუშვა, ეტყობა მოარტყა, რადგან მანქანა გზიდან გადავიდა და გაჩერდა. ნორამ იფიქრა თავისუფალი ვარო და აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა, მაგრამ ამ დროს მის გარშემო ისეთი სროლა ატყდა, ნორა ამას რას წარმოიდგენდა. ვაიმე, ეს რა ხდება, მგონი "კატიუშებიდან" მიშენენო, გაიფიქრა, მუხრუჭს მიაჭირა, მანქანა გააქვავა, გადმოხტა და კივილით გაიქცა. გვერდით, მოშიშვლებულ მინდორში გარბოდა და გაჰკიოდა: ნუ მესვრით, მუ მესვრითო! საპატრულო მანქანები მინდორშიც გამოუდგნენ, დაეწივნენ, გზა ყველა მხრიდან გადაუჭრეს და ნორამაც ხელები ასწია. მანქანების ფარები თვალებს უჭრელებდა და ნორა ხელს იჩრდილავდა... რამდენიმე კაცი ერთად მივარდა, წააქციეს, შებოჭეს და ბორკილები დაადეს... როგორ მოხდა, რომ არ ესროლეს და არ მოკლეს, ამაზე ვერაფერს გეტყვით...

_ ვინა ხარ, ქალო, რეებს აკეთებ? ლამის, ომი დაიწყო, შენ გამო, ომი! _ უყვირა პირველივე პოლიციელმა, როგორც კი მანქანაში შეაგდეს.

და ნორამ ყველაფერი მოყვა. როგორ გენიალურად დააწერეს პატრულის თანამშრომლებმა თხუთმეტათასიანი იაპონური "ჯიპ-ტოიოტა", როგორ წაართვეს ჩანთა, რომელშიც ათიათასი დოლარი ედო და როგორ გაექცათ ტყეში, როცა მოკვლა დაუპირეს...

მთავარი გარჩევა რუსი სამშვიდობოების საგუშაგოსთან მოხდა. რომლებმაც, როცა ტიტველი სალდათების მონათხრობი მოისმინეს, განგაში ასტეხეს თურმე და მთელი საბრძოლო შემადგენლობა მოქმედებაში მოიყვანეს. ცოტაც და ომს დაიწყებდნენ, ალბათო, ხარხარებდნენ ბიჭები. აი, რისთვისაც იყო დედაქალაქში ქალბატონი ნორა ჩამობრძანებული, ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. ჩემი "ჯიპი" უნდა გამეყიდა და ახალი მეყიდაო, იცრუა. ელიზბარი არც უხსენებია, რომელიც ნორას ასე უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო, შავ დღეში იყო-მეთქი, რომ ვთქვა, ის არ იქნება... კაცი, მართლაც, დასაბმელი იყო და რომ არა და არ გამოჩნდა ნორა, ღამის პირველზეღა გადარეკა ჭუბაბრიასთან, ნორას ქმართან, რომელსაც საერთოდ ენა ჩაუვარდა და ტელეფონი გათიშა. აუ, მგონი კაცი მოვკალი, სისხლი თუ ჩაექცა თავშიო, გაიფიქრა ელიზბარმა. სინამდვილეში კი, გამწარებულმა ენვერმა, თავი ვერ შეიკავა, ტელეფონი სამზარეულოს მეტლახზე დაათხლიშა და ნაწილ-ნაწილ დაფშვნა. ახლა ის ჩვეულებრივი ტელეფონით ურეკავდა, ელიზბარი კი მობილურიდან და რადგან ორივე ერდროულად აკეთებდა ამ ოპერაციას, ერთმანეთს ვერასდიდებით ვეღარ დაუკავშირდნენ.

მოკლედ, ოდნავ გაიწელა ეს ამბავი. მოდით, აქ გავჩერდეთ და რეზისთან გადავინაცვლოთ.

რეზი, რომელიც, მართლაც, ცოტა მივივიწყეთ, რომ იტყვიან თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. ბანკიდან გამოტანილ კრედიტს საცაა ვადა გაუვიდოდა, და აქაური ბანკი კი, რომ არავის არცერთ დღეს კი არა, არცერთ წუთს არ პატიობს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. მისმა ბიზნესმა, რომ სამუდამოდ ჩაილურის წყალი დალია, რეზიმ ეს მშვენივრად იცოდა და, რა თქმა უნდა, დანა პირს არ უხსნიდა. საკუთარი სახლი ხომ ადრევე დაკარგა და ახლა სიდედრისაც ზედ რომ უნდა მიეყოლებინა, რომელი კაცი გაუძლებდა? თან, რა თქმა უნდა, საციხოდაც ემზადებოდა, თუმცა, პატარა იმედის ნაპერწკალი, რომ რაიონის ჩინოვნიკობა "ძელქვის" საქმეს ჩაფარცხავდა და თავს საციხოდ არ გაიხდიდა, მაინც უბჟუტავდა გულში. ხოლო კრედიტის დაფარვას, სიდედრის მარიფათით, იტალიიდან ჩამოტანილი საქონლიდან ამოღებული ფულით აპირებდა. მოკლედ, პატარა შანსი, მისი აზრით, ამ საქმიდან გამოსაძვრენად მაინც იყო,

მითუმეტეს, დოდო იტალიიდან მაგრად აიმედებდათ, გოგოები მეუბნებიან, ერთს-ერთში აუცილებლად ამოიღებო. რაც თანხის გაორმაგებას ნიშნავდა და რეზიც კრედიტს მაინც დავფარავთო, ფიქრობდა. სვამდა. ყველაზე კარგი გამოსავალი (ბრჭყალებში), ცალ ფეხზე დაიკიდო კაცმა: ცოლი, შვილი, ოჯახი, სახლი, კარი, მეზობელი, მეგობარი, ნათესავი და შეუბერო შენს ხოშზე...

რეზიმ იმ დილასაც საშინელი თავის ტკივილით გაიღვიძა. საწოლში წამოჯდა და ფეხები დაბლა გადმოყო.

_ ნელიკო! _ დაიყვირა, როგორც იყო დაჩვეული.

_ რა გინდა? _ შემოიხედა ნელიკომ და სიტუაცია შეაფასა.

_ სად წავიდა, ჩემი ფლოსტები? _ იკითხა რეზიმ და ქუთუთოები ძლივს ასწია, რომ ცოლისთვის შეეხედა.

ნელი უხმოდ მიტრიალდა, ფლოსტები შემოუტანა და წინ დაუყარა.

_ როგორც მტერს ისე მიყურებ, არა? _ მიაჩერდა რეზი გულ-ხელდაკრეფილ ცოლს, რომელიც მისგან შემდეგ ბრძანებას ელოდა, _ შარვალი რა იქნა? _ არ დაიგვიანა მეორე ბრძანებამ.

_ სადაც მოისრიალე, _ უთხრა ნელიმ, იატაკზე დაგდებული შარვალი აიღო და მიუგდო.

_ რატომ ბრაზობ? რატომ ბრაზობ, გენაცვალე? _ ხუმრობის ხასიათზე დადგა რეზი.

_ იცინე, იცინე! თხუტმეტი დღეღა დაგვრჩა, იცი შენ? _ შეახსენა ქმარს ცოლმა კრედიტის დაფარვის თარიღი.

_ მერე დოდო რისთვისა გვყავს, ჭირიმე, ჰა, დოდოშკა? _ გააგრძელა ხუმრობა რეზიმ. თავისთვის კი გაიფიქრა, არა, ამ ბერდიას და ძერას აყოლა მე არ გამომადგებაო... თითქოს რაიმეთი მათზე უკეთესი იყო, ამ ორივეს მუდამ თავს ამეტებდა.

_ ჩაის დალევ? _ შეეკითხა ცოლი.

_ ჩაის? _ თავი მოიქავა რეზიმ. _ რატომ, კონიაკი გაგვითავდა? _ ისევ ხუმრობას აგრძელებდა, _ კაი, რძე იყოს, ჩაი არ მინდა... _ და უცებ აყვირდა: _ შხამს დავლევდი, შხამს... ცოტა შხამი მომიდუღე რამე, შენი მეოჯახე თავის ამბავი რომ ვიცი, გექნება ცოტაოდენი შავი დღისთვის გადანახული... თუ ჩემთვის არც შხამი გემეტება?

_ კაი, ახლა, სიტყვაში ნუ გამოდიხარ, ჩემს მეტი მაინც არავინ არის შინ! _ მკაცრად უთხრა ნელიკომ.

_ ერთი ხარ, მაგრამ მთელ ქვეყანას მირჩევნიხარ, ჰო, რა იყო? _ ვერ ჩუმდებოდა რატომღაც რეზი და უცებ გაახსენდა, _ ბიჭები სად არიან?

_ სად იქნებიან, სკოლაში... რომელი საათია, რა გგონია შენ?

_ თრობის საათია, ღვინის საათია... _ დაიწყო რეზიმ, მაგრამ ცოლმა მიაკეტინა.

_ ეგ შენთვის და ჩემთვის?

_ შენთვის...

_ ხრჩობის, სიკვდილის, მიწაში ჩადების... _ მიაყარა ნელიკომ.

_ მდაა, ძალიან მძიმე სურათია... _ ჩაილაპარაკა რეზიმ. ნელიმ კი ხელი ჩაიქნია და გავიდა.

...რეზიმ შარვალი მოიჩხრიკა. უკანა ჯიბეში ჩაჭმუჭნილი ლარიანი აღმოაჩინა. მაგრად გაუკვირდა, რადგან ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. საერთოდ, დალევისას, უკანასკნელ კაპიკამდე, სადაც სვამდა, იქვე სტოვებდა. ახლა ის იყო გადასაწყვეტი, ლუდი ეყიდა თუ ტოტალიზატორში ჩაედო. მოდი ავაფრიალებ, თუ ნახატზე დაჯდა, ჩავდებო და ფული მაღლა აისროლა. ამ დროს ნელი შემოვიდა და მის დანახვაზე რეზი რატომღაც ასე ხელაქნეული გაშეშდა. ეჰეე, ეტყობა, უფრო ცუდადაა ჩემი საქმე ვიდრე მეგონაო, გაიფიქრა ნელიკომ და ქმარს მიაჩერდა.

_ რა ხდება, მოგიარეს? _ დაუსვა მეტად არაეთიკური შეკითხვა ქმარს ნელიკომ.

_ მომიარეს? _ საცოდავად შეხედა ცოლს რეზიმ და იატაკზე დაგდებული ლარიანი აიღო, _ ნეტავ, მართლაც, ვინმე მომივლიდეს, _ თქვა და, რატომღაც, ფულს სინათლეზე გახედა.

_ რა, ყალბია? _ დაინტერესდა ნელიკო.

_ ჰო, აბა რა, როგორც თვითონ ჩვენი მთავრობაც... _ უპასუხა რეზიმ და ლარიანი ისევ უკანა ჯიბეში ჩაიკუჭა. _ დოდოს ხომ არ დაურეკავს? წესით დღეს უნდა გადმოეკვეთათ, არა, საზღვარი, უკვე...

აი, სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. ყურმილი ნელიკომ აიღო.

_ გისმენთ.

_ ნელიკო, დედა, გამოვედით ბათუმიდან. მთელი ღამე სარფის საზღვარზე გვაყურყუტეს მებაჟეებმა. ჰო, უკვე ჩოლოქს გამოვცდით. არსად წახვიდეთ, ხუთ-ექვს საათში თბილისში ვიქნებით, _ მოაწოდა, ასე სასიხარულო ცნობა დოდომ და გათიშა.

რეზი ტოტალიზატორში ფულის ჩასადებად წავიდა. მალე მოვალო, დაიბარა. ნელიკო კი ძალიან, ძალიან ღელავდა, როგორ ჩამოვიდოდა დოდო, რას ჩამოიტანდა, როგორ განაბაჟებდნენ საქონელს და ამ ყველაფერს როგორ მოევლებოდა. საშინლად, საშინლად ეშინოდა... წინ, მართლაც, რთული, მძიმე და კიდევ ვინ იცის, რა დღე ელოდა...

როცა მოგვიანებით დოდომ ხელმეორედ დარეკა და უთხრა, ჩვენი საქმე ცუდადაა, ჩვენი ავტობუსი ფინანსურმა პოლიციამ დაატყვევა და ტერმინალში მიჰყავთო, ნელიკო გაზქურასთან ტრიალებდა, დედაჩემს ქართული საჭმელი მოენატრებოდაო და ჩახოხბილს უმზადებდა. კინაღამ დაეცა, შიშით გული მუხლებში წაუვიდა. არიქა, ბიჭო, რეზი, დაქოქე და გავვარდეთო, დაუძახა, პახმელიიდან, წვალებით, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, გამოსულ რეზის და თავიანთ დანჭყრეულ მანქანაში ჩახტა.

ავტობუსი ფინანსური პოლიციის ბიჭებს ლილოს ტერმინალში შეეყვანათ. საქონლის მეპატრონეები, ესე იგი, ვაჭრები დაბლა გადმოეყარათ და ახლა ავტობუსს ცლიდნენ. ყუთები გადმოჰქონდათ და თავიანთ საწყობში შეჰქონდათ.

ქალები თითებს იმტვრევდნენ, ცრემლს ღვრიდნენ და გაცხარებული ყაყანებდნენ. რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ უსმენდნენ, მე კი რადგან, არც ტელეჟურნალისტი ვარ, არც რადიოს თანამშრომელი, რომ მათი ლაპარაკი, ანუ მთელი ეს მგლოვიარე აბდა-უბდა, ერდროულადვე მოგასმენინოთ, რაც იქ, იმ დღიდან ხდებოდა, როგორც მოვახერხებ, ისე მოგიყვებით.

დამხვდურებს მანქანები გარეთ ჰყავდათ გაჩერებული. რეზიმ და ნელიკომაც თავიანთი გადაადგილების საშუალება გარეთვე მიაგდეს და შიგნით შექანდნენ. როცა შვილი და სიძე დოდოს მიეახლნენ, დოდო სხვებისგან ცოტა მოშორებით იდგა. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდა კაცი, რომ სიტუაცია საშინელად იყო დაძაბული. დაახლობით ისეთი, ძველად მტერი ქართულ სოფელს რომ დაეცემოდა, ქართველის სახლ-კარს გადაბუგავდა, უკანასკნელ სარჩოს და საბადებელს მოსტაცებდა და გარბოდა. ეს კი შინაური მტერი იყო. მშვიდად გადმოჰქონდათ, რა სიმწრით, რა ომში, რა ხელჩართულ ბატალიებში მოპოვებულ-მონაგარი საქონელი და ღიღინ-ღიღინით შეჰქონდათ თავიანთ საწყობში, რომელსაც სულ მალე ლუქსაც დაადებდნენ და დედიშენის ბიჭი იყავ, გაგეღო მერე და წაგეღო.

_ კონტრაბანდად გვიფორმებენ... _ კბილებში გამოცრა მიახლოებულ თავისიანებთან დოდომ, თვალი კი მაინც არ მოუცილებია მუშებისთვის, რომლებიც მათ ყუთებს მიათრევდნენ, _ აის ხელმძღვანელობს, ახლოს არავის იკარებს... _ დაანახა მან

თავისიანებს, ახალგაზრდა, მართლაც საოცრად ლამაზი, ქართული გარეგნობის ბიჭი, რომელსაც ჰოლივუდის ვარსკვლავობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფინანსური პოლიციის თანამშრომლობა. _ მცხეთის გზაზე დაგვხვდნენ, ვიღაცის ჩაშვებულები უნდა ვიყოთო, მზია ასე ფიქრობს.

_ მერე? _ იკითხა შეშინებულმა რეზიმ.

_ აბა რა ვიცი, ფირმის სახელზეა მთელი ტვირთი გაფორმებული და გასწვდებიან კი, რასაც ეგენი მოითხოვენ?

_ ხალხო, წყალი! _ იყვირა ამ დროს თამრიკომ და ერთად შეჯგუფებულ ხალხში ისეთი ალიაქოთი ატყდა, მტრისას. ყველა ისეთნაირად გამოეცალა ასფალტზე მწოლიარე ქალს, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომელს აუცილებლად დაენახა, როგორ კვდებოდა რუსა.

_ ენა არ ჩაყლაპოს, ენა! _ დაიძახა მზიამ და ზინამაც ეგრევე გააღებინა პირი გულწასულს და ენა ამოუწია. რუსა, ანუ რუსიკო და დრუსტიკოც, როგორც გოგოები ეძახდნენ, რა თქმა უნდა, არტისტობდა, თვალებს ატრიალებდა და წარა-მარა გული მისდიოდა. ვიღაცამ წაიფხუკუნა კიდეც, მაგრამ ეგრევე მოკეტა, რადგან ეს სცენები, ქალებს, ფინანსური პოლიციის თანამშრომლის გულზე ჰქონდათ გათვლილი. ეგებ როგორმე მოელბოთ და თავი შეეცოდებინათ. ის კი მათკენ არც იყურებოდა, როგორც, ვთქვათ, სამშობლოს მოღალატეებს ვერ შეიცოდებს კაცი, იდგა და მშვიდად ითვლიდა და იწერდა ყუთების რაოდენობას, რომლებიც საწყობში შედიოდა.

რეზი, ცოტა ნასვამი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მოკლავდა ამ ფინანსური პოლიციის თანამშრომელს. თუ არ მოკლავდა, ცემით ხომ მაინც ნაღდად გაასიებდა, ახლა კი იდგა ყურჩამოყრილი, მომავლის პერსპექტივით შეშფოთებული და ტვინს ამუშავებდა, ცდილობდა, როგორმე გარკვეულიყო, ამდენი ხალხის თავს ეს რა ხდებოდა, და ან რა შეიძლებოდა ეღონა. რუსა-რუსიკო-დრუსტიკო გონზე მოიყვანეს და, ეს დასაღუპად და მიწასთან გასასწორებლად გამზადებული ხალხი, ცოტა გამხიარულდა კიდეც. თუმცა, ის აგრესია, რომელიც მათ სხეულებში იმწამს ჩაბუდებულიყო, ენერგიად რომ ქცეულიყო, ალბათ, მარტო ლილოს ტერმინალს კი არა, ყველა ტერმინალს ერთად გადასწვავდა. რეზიმ დრო შეურჩია, მზიას ხელკავი გაუკეთა და გვერდზე გაიყვანა.

_ რამდენს ითხოვენ? _ ჰკითხა მან ჩუმად.

_ ათ იმდენს, ვიდრე ეკუთვნით. პირველად ხდება ასეთი რამე.

_ და რას აპირებთ?

_ რატომ უნდა მივცე? ვერც მივცემ, თუ მთელი ფული ამათ ჩავაყარე, მე რაღა დამრჩება?

_ მაშ რას აპირებთ? _ გაუკვირდა რეზის.

_ უკვე მუშაობს ხალხი. მეც მყავს, თამრიკოსაც ჰყავს პარლამენტში, მდივნად მუშაობს თოდაძესთან.

_ მდივნის იმედზე ხართ? _ გაუკვირდა რეზის.

_ აბა, ვინ მართავს სახელმწიფოს, ვინ გგონია შენ? _ მიაშტერდა მზია დამცინავად თვალებში რეზის.

_ ეშმაკმა უწყის, _ ჩაიბურტყუნა რეზიმ და თავისიანებს შეუერთდა.

_ მაგრად დგას! _ ჩაულაპარაკა მან სიდედრს.

_ მე არა მაქვს იმედი. ნახე რა ფერი ადევს თამრიკოს, ცხრაჯერ მაინც არის ნამყოფი...

თამრიკო მართლაც მთლად გათეთრებულიყო. შუბლი მუქარით შეეკრა და ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ისეთი დაბღვერილი უმზერდა, რომ მიეშვათ,

ნამდვილად ცოცხლად გადაყლაპავდა. რეზი დაინტერესდა, რას ეტყოდა თამრიკო. მიუახლოვდა.

_ მე დოდოს სიძე ვარ, _ უთხრა მან თამრიკოს, რათა გასცნობოდა.

_ მივხვდი, _ უპასუხა თამრიკომ, ისე რომ მტრისთვის თვალი არ მოუშორებია, _ მთელი გზა შენზე ქაქანებდა.

_ რას ამბობდა? _ გაუკვირდა საუბრის ასე შემობრუნება რეზის.

_ ფსიხიაო, _ გამოსცრა კბილებში თამრიკომ.

“ჩორტებს მიგდებს ეს ჩემისაო”, _ გაიფიქრა რეზიმ.

_ თვითონ? გამოვა მაგისგან ვაჭარი? _ მისი ნათქვამი ყურებს შუა გაატარა რეზიმ.

_ გამოვაო? ისეთი “სხვატკა” აქვს? გამოსულია და ეგ არი! _ უპასუხა თამრიკომ.

_ ავტობუსი რომ დაატყვევეს? _ თამრიკოს აზრი აინტერესებდა ამ საკითხზე რეზის.

_ კაციჭამიების ხელში ვართ და რა გიკვირს? _ უპასუხა თამრიკომ.

_ შეიძლება, რომ საქონელიც ჩამოგართვან? _ ყველაზე მაგრად ამის ეშინოდა რეზის.

ამ დროს, ერთად შეჯგუფებული ხალხის წრიდან წივილით გამოვარდა ზინა და საწყობის კარი ხელებგაშლილმა გადაკეტა.

_ არ შეგატანინებთ, არა! _ კიოდა ზინა. _ სახლი გავყიდე, ხალხო! რატომ? რატომ? რა დავაშავეთ, რა უფლებით, რატომ უნდა გამოგვწოვოთ საბოლოო სისხლი, რატომ? სამი შვილი და ქმარი მყავს, ხალხო, სარჩენი, ქმარი! გაუშვი ხელი, გაუშვი, მხეცო! _ ზინამ თავის ყუთს ფეხი ჰკრა და მუშას ხელიდან გააგდებინა, _ ვერ შეიტან, აბა ხელი დააკარე! _ უკვე ხელიც ჰკრა გამხეცებულმა ზინამ მუშას.

ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა ოფისში დარეკა და დაცვა გამოიძახა. ზინა კი შეტევაზე გადავიდა და მუშას უკვე მუშტებსაც უშენდა. მუშას კი ეცინებოდა და ისე იგერიებდა.

_ რატომ იცინის, ხალხო, რატომ? _ კიოდა ზინა, _ მე რასა მთხოვენ, მოსთხოვონ ფირმას, ჩემგან რა უნდათ? _ და უცებ ხალხს მოუბრუნდა, _ ბატებო, ბატებო! რას დგახართ ცხვრებივით, მეტის ღირსნი ხართ, მეტის! ვის ყუთებს მიათრევენ, ხალხო, ჩვენი ფულით, ჩვენი სისხლით ნაყიდს? რატომ, რატომ დგახართ ცხვრებივით? ფუჰ, თქვენი!

ამ დროს ზინას დაცვის თანამშრომლები მივარდნენ, შებოჭეს და ავტობუსში აათრიეს.

_ ხმა, რა გაყვირებს? რა? _ დაჰკივლა მაღალმა, მოდღლეზილმა ტიპმა და ბორკილით სკამის ზურგს მიაბა, _ ყარე ახლაც ტლინკი! _ და გამარჯვებული ბიჭები ავტობუსიდან ჩამოვიდნენ. ზინა კი ხმამაღლა აზლუქუნდა...

_ წყნარად იყავით თორემ, ყველას თქვენ-თქვენ სკამებზე მიგაბამთ! _ დაემუქრა ის მოდღლეზილი სხვებსაც, ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ხელი აუწია და მეორესთან ერთად უკან წავიდა.

მუშებმა ყუთების თრევა განაგრძეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომელი კი ისევ თავის ადგილას იდგა, ყუთებს ბრძნული გამომეტყველებით ითვლიდა და ინიშნავდა. რეზიმ ამ უსამართლობას ვეღარ გაუძლო, ეგებ წინა დღის შემორჩენილმა ალკოჰოლმაც იმოქმედა, არ ვიცი... ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მოკლედ, მიდამო მიზვერ-მოზვერა, ნაღდად გავასწრებო, გაიფიქრა და ფინანსური პოლიციის თანამშრომელს თავს დაესხა. პირველი მუშტი, სადღაც, ყურს უკან დაარტყა, მეორე კი ააცილა, რადგან ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა, ვაიო, დაიძახა და ჩაიმუხლა. რეზიმ კი თავი ვერ შეიმაგრა, წამოედო და ძირს გაიშხლართა. ფინანსისტი კი ზემოდან დაახტა და ცხვირი მიუჭეჭყა, თან მთელი ხმით აბღავლდა:

_ მიშველეთ, მკლავენ, ჯორჯიკ, ღობე, ლევან!

ისეთი წივილ-კივილი ატყდა, ინდონეზია ოკეანის ტალღამ რომ წაიღო, მარტო ის თუ აჯობებდა. სანამ დაცვის ბიჭები მოცვივდებოდნენ, კაცებს ქალები მივარდნენ გასაშველებლად, თუმცა, ფინანსისტმა ამ გაშველებისას ჩქმეტა და იდაყვის ჩარტყმებიც იგრძნო, სხეულის უადგილო და ოდნავ რბილ ადგილებშიც. ერთ მომენტში, მოკასინის წვერის შეხებაც კი იგრძნო კვერცხებთან... მოკლედ, როცა დაცვის ბიჭები გამოცვივდნენ, მთელი ეს კაცები და ქალები, ისე იყვნენ დაგორგლილი, კარგახანს, ვერც გაერკვნენ ვითარებაში. მერე კი მიყარ-მოყარეს ხალხი და სარცხვინებელზე ხელმიფარებულმა ფინანსისტმა რეზის ჩაშვება მაინც მოახერხა, სწორედ მაშინ, როცა ის გაქცევას ლამობდა.

_ ეგ დაიჭით, ეგ! ეგ იყო, ეგ ჩემისა! _ დაიყვირა მან და ყველანი რეზის გამოუდგნენ, ჭიშკართან დაეწივნენ, წააქციეს და გადაუარეს. რეზი ხელებით სახეს იფარავდა და, მგონი, წკმუტუნებდა კიდეც. სად გაექცეოდა, მოკიდეს დასისხლიანებულს ხელი და სამორიგეოში შეათრიეს.

რა უნდა მოჰყოლოდა ამას? ჯერ პატარა ქუჩური გარჩევა, როგორც ხდება ხომ? დაახლოებით ასეთი.

_ შენ, ბიჭო, ვინა ხარ, რეებს ბედავ! მიგაწეპებ ჯვარზე, შენი! _ და ორი თითი თვალებისკენ.

რეზი ხმას ვეღარ იღებდა, მძიმედ სუნთქავდა და სიძულვილით სავსე, ამღვრეული თვალებით მიშტერებოდა მოძალადეს. “ცუდ დროს ჩამიგდეთ ყოვებოო”, რაღაც ამდაგვარი სიგიჟე უტრიალებდა მიჩეჩქვილ თავში. სულ პატარა იმედი უბჟუტავდა, კარი გაიღება, დოდო ან ნელიკო შემოვა და დამიხსნიანო, მაგრამ არავინ შემოდიოდა.

_ გინდა ბოთლზე დაგვსვა, გინდა ბოთლზე დაგსვა? _ უმეორებდა ერთსა და იმავეს, ვიღაც პუჭურა, ბრტყელთავიანი დრაკონი და ცერს ზედ გულისკოვზზე აჭერდა, რაც ისეთ სულისშემხუთველ ტკივილს იწვევდა, რომ რეზის სიკვდილი ერჩივნა.

_ კაი, შეეშვი, გამოდი აქეთ! _ ხელი მოკიდა ერთმა ბრტყელთავას და გვრდზე გაიყვანა.

_ ვინა ხარ, ბიჭო! _ რაღაც სერიოზულში გადაიტანა მაგიდასთან მჯდარმა ჯორჯიკამ საუბარი, _ ეგ საქონელი ერთი ფირმისაა, ვიღაც მზია არაშიძის, შენ რა შუაში ხარ, ცოლია შენი?

რეზი მიხვდა, ხმა არ უნდა ამოეღო, თუმცა, ისე იყო გადარეული ამ თავის მდგომარეობით, ისედაც ვერ ამოათქმევინებდა კაცი სიტყვას.

_ შენ გეკითხებიან, ბიჭო! _ ისევ თავი გამოიდო ბრტყელთავამ.

_ არ ვიცი, რაზე მელაპარაკებით, რაზე მასამართლებთ... _ ამოღერღა ბოლოს რეზიმ.

_ ამხელა კონტრაბანდას ეზიდებით და აქეთ გვეყიყინები კიდე? _ მუშტი დაჰკრა მაგიდას ჯორჯიკამ.

_ ცოლის სახლი ჩავდე ბანკში. _ თავისი ნათქვამის თვითონვე გაუკვირდა რეზის.

_ მინიმუმ, ხუთწლიანი მუხლი გაქვს აწეპილი და ცოლის სახლს მისტირი, შე ახვარო? _ გამოტყვრა ისევ ის პუჭურა.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ორი პოლიციელი შემოვიდა.

_ რა ხდება, ბიჭო, ყველა რომ აქეთ გამოგვრეკეთ? _ იკითხა ერთ-ერთმა.

_ ამას ჰკითხე, აი, ამ ნახიშტარს, ვიღაცაა... _ მიუთითა რეზიზე ჯორჯიკამ.

პოლიციელებმა რეზის შეხედეს. რომელიც ცოტა დამშვიდებულიყო. მიხვდა, ციხეს ვერ გადარჩებოდა... ის ეგოიზმი, რის გამოც, იქნებ სასმელსაც მიეძალა, მუდამ ღუპავდა, მაგრამ იყო რეზი ამის გამცნობიერებელი, როგორც სხვა ათასობით მისი მსგავსი კაცი? არა მგონია. მოკლედ, პოლიციელებს ბევრი აღარ ულაპარაკიათ, ისედაც

ყველაფერი ნათელი იყო და რეზიც იქ მიაბრძანეს, სადაც ასეთ შემთხვევებში მიჰყავთ დამნაშავენი.

ხოლო, სულ მალე, ტერმინალის დირექტორის ოთახში, ნაბერტყი ფინანსური პოლიციციის თანამშრომელს, ტერმინალის დირექტორსა და დაყადაღებული ავტობუსის პატრონს, ე.ი. მზია არუშიძეს შორის, დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

_ სულ მინიმუმ, ნახევარი მილიონის საქონელია, ალბათ, მეტისაც... _ ამბობდა ფინანსისტი.

_ როგორი? _ დაინტერესდა ტერმინალის დირექტორი, რომელიც მთლად ახალგაზრდა ჩანდა და ჟელე-გადაგლესილი თმებით, ძველ კომკავშირელს ჩამოჰგავდა.

_ რა ვიცი, ყველანაირი. ჩანთა, ფეხსაცმელი, იტალიური... ჭურჭელიც კი და ჭაღები, ბრები... ყველაფერი იტალიური... როგორ გამოაპარა, რა გადაიხადა ვერ ვათქმევინეთ, არ ამბობს...

_ ნუ, არ უნდა, რომ ჩაუშვას ხალხი, გასაგებია, მერე?

_ რა მერე, სადღაც, ასოციათასზე მაინც ადის ბაჟი და ეს კი ოცი ათასზე მეტის გადამხდელი არა ვარო, ამბობს.

_ მიეცი მაშინ მსვლელობა და იყურყუტოს ათი წელი ციხეში, შენ რაში გენაღვლება? _ მხრები აიჩეჩა ტერმინალის დირექტორმა.

_ რა ნახევარი მილიონის? ეგ საქონელი მაქსიმუმ ასი ათასის იყოს, სულ სეილებზეა ნაყიდი და ვიხდი ათი ათასს... ადრე, ორი ათასზე მეტს ხომ არ ვიხდიდით, არა? _ გაცხარდა მზია.

_ რა სეილებზე, სულ სეზონური საქონელია და ბავშვივით უნდა რომ მოგვატყუოს... კაი, რა, ვინღა ჭამს მაგას... ჭაღი და სეილი? _ არ დაუჯერა ფინანსისტმა.

ამ დროს ტერმინალის დირექტორის მობილურმა დარეკა.

_ დიახ! _ უპასუხა მან, _ კი, კი, როგორ არა, გიცანით... არა, ამ ერთი საათის წინ კიდევ შეიძლებოდა რაღაც... კი, მაგას ვამბობთ, დავხუჭავდი თვალს, ბოლო-ბოლო... ჰო, თუნდაც შენი ხათრით... არა, საბუთები რომ არ აქვთ, ეგ ერთია და, ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ნეკნები ჩაუმტვრიეს, დაცვის ბიჭები წიხლქვეშ გაიგდეს და... მეტი რა უნდა ექნათ? არა, ლუიზა, როგორ გეკადრებათ, რა ფულზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, ასოცდაათი ათასია გადასახდელი, ჰო... მე ყველაფერს ვცდილობ, აქაა ფირმის მეპატრონე ამ წუთას, ჩემ კაბინეტშია... ნუ, ხომ იცი, რომ არ არის ეს ტელეფონით სალაპარაკო... კაი, ვეცდები... კი, კი... _ ტერმინალის დირექტორმა ტელეფონი დადო და მზიას შეხედა, _ აუ, ეს მოწოლებიც ხომ... ლუიზა იყო, გოგიშვილი...

_ მულია ჩემი... _ თავი გადააგდო გვერდზე მზიამ.

_ ესე იგი, “კრიშა”... _ თქვა ტერმინალის დირექტორმა და მაგიდაზე დადგმულ სარკეში ჩაიხედა.

“ნაბიჭვარი”, _ გაიფიქრა მზიამ.

_ ძალიან ცუდი სახე მიიღო ამ ყველაფერმა და, რანაირად ეშველება რამე, მე თვითონაც არ ვიცი... მთელი ქალაქია ჩარეული უკვე... დილიდან ერთი ცხრა კაცმა მაინც დამირეკა. გამაგიჟებს ეს ხალხი... _ და ტერმინალის დირექტორი მზიას მიუბრუნდა, _ რაც მეტ ხალხს ჩარევთ, უარესია, გეფიცებით! აი, ნახავთ, რას დაიჭერთ ბოლოს... ახლა სხვა დროა, რით ვეღარ გაიგეთ, წავიდა ის დრო, ჩაბარდა ისტორიას...

_ ქრთამობანას დრო? _ ეტყობოდა, რომ ათწლიანი მუხლი სულ არ ადარდებდა მზიას... როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ამ სისტემასაც და ამ ხალხსაც, _ კიდევ მილიონი საუკუნე რომ გავიდეს, მაინც არ წავა მაგის დრო... ჰო, სანამ ყველას ფრთები

არ ამოგვივა ზურგზე და ანგელოზებად არ ვიქცევით... _ და ამ ყველაფერს კიდევ უფრო ბრძნული აზრი დააყოლა, _ რაც დრო გადის, ადამიანი უკან-უკან მიდის, არა? წინ ხომ არ მიდის...

სიმართლეს ამბობდა, ალბათ, მზია.

მოკლედ, მივატოვოთ ტერმინალის ტერიტორია და ნორა გავიხსენოთ. ის, როგორც ნამდვილი სახელმწიფო დამნაშავე დედაქალაქში გამოაქანეს და კაპეზეში, ანუ წინასწარი დაკავების საკანში შეაგდეს. სხვათა შორის, ის და რეზი, ბედის ირონიის წყალობით, "აბიზიანკაში", გვერდიგვერდ მყოფ საკნებში მოხვდნენ. მათ მხოლოდ არმატურის ბადე ჰყოფდათ, სხვა არაფერი, რის გამოც ნორა საშინელ დისკომფორტს განიცდიდა. ჩვენი საკნები კი, ხომ იცით, თვითონ სამორიგეოდან დაწყებული... არა, არ ღირს ამაზე ლაპარაკი... რეზის ამღვრეულ ტვინს ამის შეფასება რანაირად შეეძლო და, აი, ნორას კი მაგარი პრეტენზიები ჰქონდა...

_ რას ჰგავს ეს, ხალხო, ასეთ საკნებში, ადამიანების კი არა, ცხოველების დატუსაღებაც არ შეიძლება, ალბათ... _ ეუბნებოდა ის მორიგე პოლიციელს.

_ მე პატარა კაცი ვარ, ქალბატონო, მე რა შუაში ვარ? _ თავს იმართლებდა, მორიგე.

_ აქ ყველანი პატარები რანაირად არიან, არავინაა დიდი? _ უკვირდა ნორას.

_ მორჩით რა, ქალბატონო, თქვენ რა, იმპერატრიცას ბუდუარში გეგონათ, რომ მოგათავსებდნენ? _ ცეცხლს უკიდებდა რეზი, რომელიც ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ამ "ჭერქვეშ" მეორედ მოხვედრისას, ისინი ერთ, უარეს კრიმინალში იქნებოდნენ დადანაშაულებული.

ხოლო პოლიციის უფროსის, რამინ ძოწენიძის კაბინეტში, სადაც მათი ბედი წყდებოდა, იმიტომ, რომ ცოლის დაბადების დღე იყო თუ ნამდვილად გაუნათდა გონება, არ ვიცი, როგორც პოლიციელები ფიქრობდნენ, კაცი უკუღმა იქცეოდა. მოკლედ, უკვირდა, ამ ქალს რას ვერჩით, ოძელაშვილივით, მტრები დააშიშვლა და უნდა დავაჯილდოვოთ, ჩვენ კი ვიჭერთო? გაუშვი წავიდეს, საიდანაც მოსულაო და ნუ გაგიკვირდებათ, მართლაც გაათავისუფლა. თუმცა, რეზის საკითხიც რომ დადებითად გადაწყვიტა, ეს რეზის ილუზიების სფეროს უფრო განეკუთვნებოდა. ისე დაუხასიათეს რეზი, ალ კაპონე ბატკნად მოეჩვენებოდა ადამიანს. როგორ, კაცმა ლამის ხალხი დაგვიხოცა და უშვებო? იმან კი, რისი და ვისი მცემელია, ფეხზე ძლივს დგასო და რეზიც შინ გაუშვა. რა ვიცი, იქნებ იმასაც მიხვდა რამინ ძოწენიძე, რომ რეზის შინ უარესი ჯოჯოხეთი ელოდა, ვიდრე ციხის, თუ "აბიზიანკას" საკანში, ვინ იცის...

ელიზბარს ისე გაუხარდა ნორას დანახვა, მისი ცოლი რომ ჩაესვათ და გამოეშვათ, არა მგონია ასე გახარებოდა. თუმცა, ორიოდ წუთში იფიქრა. ეე, ამას მგონი მაგრად უნდა ჰქონდეს გარეკილიო. ნორა თავის თავს აღარ ჰგავდა, დაღეჭილი კაბით, ცარიელ-ტარიელი გამოცხადდა პაემანზე. თან ცხვირს ზემოთ, შუბლზე, მაგარი ნაჭდევი ჰქონდა, ახლად შეხორცებული. არც არაფერს ჰყვებოდა, საერთოდ, არ იღებდა ხმას და რატომღაც წარამარა უკან იყურებოდა, თითქოს თავდასხმას ელისო, თავზე ხელსაც კი იფარავდა. ელიზბარს კი, როგორც უცხოს, ისე უყურებდა და, თითქოს, დისტანციასაც კი იცავდა. ისინი სადაც დასცილდნენ ერთმანეთს, იქვე შეხვდნენ. ხოლო ათიოდ წუთში, როცა, ჩვეულებრივი "მარშრუტკით", დასავლეთისკენ მიემგზავრებოდნენ, ნორა ნელ-ნელა დაუბრუნდა რეალობას და ენაც ამოიდგა.

_ რა დღეა დღეს? _ იკითხა მან და ელიზბარს დაეჭვებული მიაჩერდა.

_ ხუთშაბათი, _ უპასუხა ელიზბარმა.

_ რაც დავცილდით, ერთი დღე გავიდა, მეტი არა?

_ აბა? _ გაუკვირდა ელიზბარს. _ რა მოხდა, ნორა, სად დაიკარგე, ან მანქანა რა უყავი, დაამტვრიე?

_ ნეტავ დამემტვრია, _ სინანულით ჩაილაპარაკა ნორამ, _ რაღაც დავარღვიე, ხერძულა ხაზი გადამიკვეთია, თურმე, როგორც ამიხსნეს იმ ბანდიტებმა...

_ და მაგიტომ მანქანა ჩამოგართვეს?

_ ნეტავ ჩამოერთვათ, ბიჭო, კი არ ჩამომართვეს, საჯარიმო სადგომზე უნდა გადავიყვანოთო, დამემუქრნენ და მეც გამოვდებილდი. მერე გადმომაბრძანეს მანქანიდან, თვითონ მიუჯდნენ საჭეს, მე უკან ჩამისვეს და გარეკეს. ჰო, კრეტინივით უკან ჩავუჯექი... _ და უცბად ნორას ტირილი აუვარდა. მთელი "მარშრუტკა" თვალად და ყურად იყო ქცეული.

_ ვინ? პატრულის ხალხმა?

_ ჰო, მაგრამ ბანდიტები აღმოჩდნენ, მაგათ ფორმაში გადაცმული. მოკვლა დამიპირეს, თვალები მქონდა ახვეული. მანქანიდან რომ გადავხტი მახსოვს და მეტი არაფერი... მარტო მანქანა? ჩანთაში ათი ათასი დოლარი მედო... ჩემი მობილური...

_ "კაპეზეში" როგორღა მოხვდი, რა დააშავე?

და ნორამ დანარჩენიც უამბო. როგორ დატოვა მშრალზე შიშველ-ტიტველი რუსის სალდაფონები, როგორ ესროდა პატრულს, როგორ გარბოდა მინდორში და როგორ გაება. უკვე მეხუთე შემთხვევაა ამ გადაცმული ბანდიტების მხრიდან თურმე, მაგრამ ვერ დაუჭერიათ ჯერ...

_ იქნებ თვითონაც არიან? _ გამოთქვა ეჭვი ელიზბარმა.

_ ბანდიტი ბანდიტია. რა მნიშვნელობა აქვს რა აცვია, ან რომელ სკამზე ზის?

"ჰო, ეს კი მართალია", გაიფიქრა ელიზბარმა და რატომღაც თვალები დახუჭა. "ჩვენ კი რა, არა ვართ ბანდა?" _ გაიფიქრა და ყველა, ვინც ხე-ტყის ჭრის უკანონო ბიზნესში იყო ჩართული, გისოსებს იქით ჩამწყვდეული წარმოუდგა თვალწინ... სასწრაფოდ აახილა თვალი და მანქანაში მსხდომთა სახეების დანახვაზე ცოტა დამშვიდდა, თუმცა ზვავი უკვე აგორებულიყო და, ადრე თუ გვიან, რომ ყველას ქვეშ მოიყოლებდა, ელიზბარისთვის ეს ცხადზე-ცხადი იყო.

ბოლო-ბოლო, ძალოვანები მალვინას ყველა მხრიდან რომ მიაწვნენ, იმანაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და თავისი ბიზნესის გაწირვას ისევ მაიას გაწირვა ამჯობინა. ვთქვა, რომ "რაშჩოტი" ააღებინა და პანჩური ამოსცხო-მეთქი, ცოტა უხეშად გამომივა, თუმცა მაია, სწორედ ასე ფიქრობდა. თავის გადარჩენის ინსტინქტი კი, მოგეხსენებათ, როგორ ჰქონდა გამძაფრებული და თავის ზიზისთან ერთად, ცირკის მიდამოებთან გასეირნება გადაწყვიტა. ჩვენი ძალოვანები კი, გამომძიებელ ლერი კაპანაძის ჩათვლით, რომ დიდი გონება-გამჭრიახობით არ გამოირჩევიან, თქვენც მოგეხსენებათ, მაგრამ "ბოზების" საკითხში ხშირად შესანიშნავად ერკვევიან და ახლაც ჩვენს "პრიმადონას" სწორედ ცირკის მიდამოებში ელოდნენ. თუმცა, მას-მედიის ყურადღება რომ არ მიექციათ და ოპერაცია "ძელქვა" სუფთად ჩაეტარებინათ, მათი აზრით, საოცრად მაგარ ხერხს მიმართეს.

მაიას ცოტაოდენი დაზოგილი ფულით, ქალაქის გარეუბანში, ანუ გლდანში, პატარა ბინის დაქირავება არ გასჭირვებია. დამატებით, მას, მალვინას აღმოსავლური ბორდელიდან, არც ისე ცოტა, ტანისამოსიც ერგო. იმდენად მრავალფეროვანიც კი, რომ იმ დილას, ცირკთან გასასვლელად რომ ემზადებოდა, ცოტა გაუჭირდა კიდეც სამოსის შერჩევა. უსაზიზღრესი უგემოვნება, ამ პროფესიის ქალთათვის რომაა დამახასიათებელი, რა თქმა უნდა, მაიასაც სჭირდა და მანაც რაღაც ჭრელა-ჭრელა მოკლე კაბაზე, რომელიც მხოლოდ მრგვალ საჯდომს უფარავდა, ნეილონის

გამჭვირვალე, მოვარდისფრო ქვედა ბოლოც გადაიცვა და თავის განუყრელ ზიზისთან ერთად, ცირკიდან თამარ მეფის გამზირს, უკანალის ნაზი რხევით, გაუყვა. ან განა, ბედის ირონია არაა, რომ ამ ქუჩას, სწორედ თამარის გამზირი ჰქვია?

მისეირნობდა მაია და თვალს მოსრიალე მანქანებისკენ აპარებდა. კლიენტის დაჭერაც უნდოდა და ისიც აინტერესებდა, კაცებზე რა ეფექტს ახდენდა. ვერც კი მოასწრო საკუთარი სილამაზით ტკბობა, რომ მის გვერდით, თეთრმა, ჩამუქებულმინებიანმა "ნოლ-თერთმეტმა" დაამუხრუჭა და ვიღაც დაბალი, ღიპიანი ტიპი დაეხატა. "ვაჭარი იქნება", გაიფიქრა მაიამ და კაცმაც, მართლაც, ვაჭრობა გაუმართა.

_ რამდენი გინდა? _ ეს იყო მისი პირველი კითხვა.

_ შენ ვერ ჩაეტევი, _ უპასუხა მაიამ.

_ რა შემატყვე ასეთი? _ გაიკვირვა კლიენტმა.

_ მანქანაზე გეტყობა, _ მიახალა მაიამ.

_ რამდენი გინდა, მაინც, აღარ იტყვი? _ არ დაუთმო კლიენტმა.

_ ვისთვის, როგორ... _ ცივად უპასუხა მაიამ. მოკლედ, მაგრად არ დაევასა, _ გითხარი, შემეშვი, რა?

_ რა, არ დაგევასე? _ პირდაპირ ჰკითხა ტიპმა.

_ ეგ რა შუაშია, აბა, გადაიხდი შენ ორმოცდაათ დოლარს?

_ ბებიაშენისამ, აი... წამო, ჩაჯექი, ოც ლარს ვიხდი. მეტი რა ჩემი ფეხები გინდა? _ მთლად გაჯეჯილდა კლიენტი.

მაია სიბრაზისგან გაწითლდა. მიიხედ-მოიხედა და მისკენ მომავალი ახალგაზრდა ბიჭი დაინახა. მანქანას გახედა, მერსედესი აღმოჩნდა. ოღონდ ეს ტიპი მომაცილოს და ამას უფასოდ მივცემო, გაიფიქრა. რას წარმოიდგენდა, რა ელოდა.

ბიჭი მიუახლოვდა და შეეკითხა.

_ შენ მაია არა ხარ?

თავისი სახელის გაგონებამ, მაია მაგრად შეაშფოთა. თუ ჩემთან ნამყოფია, რატომ ვერ ვცნობო, გაიფიქრა. შიშით კი იმიტომ შეშინდა, ვაითუ სოსოს, ჩემი ბიჭის მოგზავნილიაო. იმ დაბალმა კი არც აცია, არც აცხელა და ბიჭს მიახალა.

_ ჩემი რიგია, ძმაო, ჯერ ხომ არ დამიმთავრებია, არა, მე ლაპარაკი?!

ბიჭი დაიბნა, რადგან გამომძიებლის მიგზავნილი იყო, რომელმაც ოპერაცია ისე დაგეგმა, მაია ჯერ უნდა გაეჟიმათ, და მერე, როგორც წესია, ისე დაეკითხათ. მოკლედ, თუ საჭირო გახდებოდა, ეწამებინათ კიდეც. იმის გათვლა, რომ ვიღაც ჩაეჩხირებოდათ და ხელს შეუშლიდათ, თავშიაც არ მოსვლიათ. ასე რომ, ბიჭს წარმოდგენაც არ ჰქონდა, იმწამს, როგორ და რანაირად უნდა მოქცეულიყო, რომელი ინსტრუქციით ესარგებლა.

_ უთხარი რა, დამანებოს თავი! _ ბიჭი მაიას ხმამ გამოაფხიზლა, _ გადამკიდებია, გინდა თუ არა, ოც ლარად უნდა წამოხვიდეო.

_ მაშ რამდენი გინდა? _ უნებურად წამოსცდა ვაჟსაც.

_ რა ხდება, ვერ გავიგე, ტო! _ რატომღაც ძველბიჭური დაუჭირა დაბალმა შემცილებელს, _ გითხარი არა, ჯერ მე ველაპარაკები-მეთქი! _ მერე ეგრევე ჯიბიდან ბებუთი გააძრო და ბიჭისკენ წავიდა, _ დავაი, რა, დაახვიე აქედან, დროზე!

არ ვიცი, ბებუთის დანახვაზე, არ ვიცი, სიტუაციას მიხვდა, ზიზიმ ისეთი ვაი-უშველებელი ყეფა ასტეხა, მაიას უნდოდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ზიზი ბებუთიანისკენ იწევდა და მაია ვერ ერეოდა.

ბიჭი კი გავარდა და თავის მერსედესში ჩახტა, სადაც თავისი "ნაპარნიკიც" ეჯდა.

_ ეს ვინ გამოტყვრა, ეს ჩემალალა, ბებუთი არ გამიძრო, ტარიანი?

"ნაპარნიკს" გაეცინა.

_ ჰო, გიჟია, ეტყობა, ეგ დედამიწერილი.

_ გააჩუმე, თორემ დაგიბრედავ ამ ლეკვს! _ ახლა მაიას მიუბრუნდა ბებუთიანი. და ძაღლმაც თითქოს გაიგოო, დადუმდა. _ ჰა, ჩაჯდები თუ წამოგაგო მწვადივით! _ დაემუქრა ისევ მაიას დაბალი.

მაია მიხვდა, ეს გიჟი გამკეთებელიაო, აღარ გასძალიანებია, ზიზი მკერდზე მიიხუტა, წავიდა და ჩაუჯდა. თან მერსედესისკენ სინანულით იყურებოდა.

მერსედესელები კი "ნოლ-თერთმეტს" გაჰყვნენ და ლერი კაპანაძეს გადაურეკეს.

_ ლერი, ძმაო, ვიღაც გიჟი ჩაგვეჭრა, ბებუთი ამოგვიღო, ქალის უნახავია, ალბათ, ჩაისვა და მივდევთ, რა ვქნათ?

_ საით მიდიან? _ იკითხა ლერიმ.

_ დაარღვია და გმირთა მოედნისკენ უბერავს ჯერ.

_ რა მანქანაა?

_ "ნოლ-თერთმეტია", თეთრი. "ემემვე ცხრაასთერთმეტი". ვიღაც ნაგიჟარია.

_ კაი, არ გაუშვათ, ბიჭებს წამოვიყვან, _ ეს იყო ლერის ბოლო ფრაზა.

"ნოლ-თერთმეტმა", რატომღაც, გმირთა მოდანს მოარტყა წრე და უკან თამარის ქუჩაზე დაბრუნდა. ალბათ გადმოსვამსო, იფიქრეს მდევრებმა, მაგრამ მანქანა არ გაჩერებულა, ძველ კინოსტუდიასთან მარცხნივ ჩაუხვია, მერე სანაპიროსკენ დაახვია და მარჯვნივ დააწვა. დიდუბის ხიდის ქვეშ გაძვრა, ღრმაღელეს მეტროსკენ აუხვია და სარაჯიშვილის მეტროსკენ წავიდა. მეტროსთან ისევ დაარღვია, მარჯნივ გადავიდა და რესტორან "ქართულ-მწვადთან" გაჩერდა.

მდევრებმა თავისი თვალით დაინახეს, როგორ გადმოვიდნენ მაია თავის ძაღლით და ის ტიპი და რესტორნის ეზოში შევიდნენ. მალე მერსედესის უკან ლერი კაპანაძის "ბეემვე" გაჩერდა, რომელშიც ორი სხვა პოლიციელიც იჯდა. მაგრამ სანამ ესენი მოითათბირებდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ის დაბალი ტიპი რესტორნის ეზოდან უკან გამოვიდა, მარტო იყო, ჩაჯდა თავის მანქანაში და წავიდა. სიტუაცია ბევრად უცნაურად ვითარდებოდა, ვიდრე მდევრებს ეგონათ. რა ბევრი ფილოსოფია უნდოდა იმას, რომ რესტორანში უნდა შესულიყვნენ და მაგიდას მისჯდომოდნენ. დანარჩენს კი სიტუაცია უკარნახებდათ. ასეც მოიქცნენ.

დარბაზი უკვე სავსე იყო. თუმცა ცარიელი მაგიდები მაინც იყო და ისინიც ერთ-ერთს მიუსხდნენ, კუთხეში.

როცა ბებუთიანმა ტიპმა მაია მანქანიდან გადმოიყვანა და რესტორნის ეზოში შეიყვანა, მაიას ეგონა, მარცხნივ, კედელთან ჩამწკრივებულ, რომელიმე კუპეში შეიყვანდნენ და ცოტა ხასიათზეც კი მოვიდა. იმ ტიპმა კი, რაღაც სარდაფში ჩასასვლელ კიბეებთან მიიყვანა და ჩადიო, უბრძანა. მერე ბებუთიანმა რკინის კარზე დააკაკუნა, რომლის სარკმელიც გაიღო და იქიდან პოლიციის სამოსში გამოწყობილმა ავტომატიანმა ბიჭმა გამოიხედა. ბებუთიანის დანახვაზე კარი მაშინვე გააღო და მაია მალე, კარს იქით აღმოჩნდა. მაიას უბიძგეს და ისიც ნეონის შუქით განათებულ კორიდორს გაუყვა. კორიდორის ბოლოში ბებუთიანმა კარს ფეხი ჰკრა და ისინი, რაღაც უცნაურ, პატარა დარბაზში აღმოჩნდნენ. რომელსაც პატარა სცენაც ჰქონდა, რკინის ორი, თეთრად შეღებილი მილით.

_ დასვი ეგ ძაღლი, გაიხადე და ადი სცენაზე! _ უბრძანა ბებუთიანმა და მაიამაც მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა. მიხვდა, ყველაზე უარეს ხათაბალაში გაება, როგორიც კი მის ტვინს შეეძლო წარმოედგინა და ზიზის გამო, არ მომიკლანო, ყველაფერზე წამსვლელი იყო. ზიზი ძირს დასვა და ისიც სასწრაფოდ იქაურობის შესწავლას შეუდგა. თვითონ კი სცენაზე ავიდა და თავისებურ "სტრიპტიზის" შესრულებას შეუდგა.

_ ეგენი გეცვას. არ მოიძრო! _ უთხრა ლიფსა და ბიკინის ტრიკოზე გაშიშვლებულ მაიას ბებუთიანმა, _ შემობრუნდი! _ მაია მიტრიალდა, _ მდაა... _ აშკარად მაგრად მოეწონა მისი უკანალი ბებუთიანს.

ამ დროს კარი გაიღო და მეორე, ზუსტად მისი მსგავსი დაბალი ტიპი შემოვიდა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ბებუთიანს და მაია მიხვდა, რომ კაცები ტყუპები უნდა ყოფილიყვნენ.

_ საღოლ... _ ჯერ მხოლოდ ეს ერთი სიტყვა თქვა შემოსულმა მაიას დანახვაზე, მერე კი როცა უფრო კარგად შეაფასა, დააყოლა... _ სუპერია, სად დაითრიე?

_ რა ვიცი, ცირკის წინ არ დაგულაობდა? დავინახე, ეე, ამას აქ რა უნდა-მეთქი, გავიფიქრე... ვიღაც ნაბიჭვარი მომადგა მერსედესით და მაწერდა, ხომ იცი... ბებუთი დავანახე და რო მოხია...

_ რამდენის ხარ? _ შეეკითხა ახლად შემოსული მაიას.

_ ქალს წლოვანებას არ ეკითხებიან... _ "განაგლდა" მაია.

_ მე მუდამ ვეკითხები ბოზებს წლოვანებას... _ რაღაც მუქარით წარმოთქვა კაცმა და მაიამ სწრაფად უპასუხა.

_ ოცდაცხრამეტის.

კაცმა გაკვირვებულმა შეუსტვინა.

_ არადა, ოცდაათსაც ვერ მისცემ... _ ჩაილაპარაკა პირველმა.

_ კაი ჩაიცვას და გაიყვანე ქალებთან... _ უთხრა მეორემ ბებუთიანს და მაია მიხვდა, რომ რესტორნის პატრონი ის იყო. იმასაც მიხვდა, რომ რესტორანს თავისი ბორდელიც ჰქონდა, "ტრეფინინგი" კი რატომღაც არ გახსენებია. ან იქნებ, ყველაფრისმნახველს, ტრეფინინგი, ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო მოვლენად მიაჩნდა, ვინ იცის...

ძალოვანებს, რომ მუდამ კაი მადა აქვთ, ყველას მოეხსენება, ერთ დროს "კაი პურის მჭამელ ბიჭებს" რომ ეძახდნენ, ალბათ, ესიც იცით, ასე რომ, ჩვენმა ოთხეულმაც, რადგან ლერი კაპანაძე არ შეჰყვათ, მაიამ არ მიცნოსო, ხინკალი, ქაბაბი, მწვადი და ლუდი შეუკვეთა და იცდიდნენ. თან დარბაზს ათვალიერებდნენ, ეგებ რაიმე საეჭვო შევნიშნოთო. არაფერი ამდაგვარი და მათაც გადაწყვიტეს, ოფიციანტისთვის ჩაეგდოთ სიტყვა. ლუდს არ დასჯერდნენ და არაყიც მოატანინეს. შეზარხოშდნენ და უფრო გაბედულად დაიწყეს საქმის მიხედვა. დავარქვათ სახელები, რაც ერქვათ, რა თქმა უნდა: ზორო, ტრისტანა, ილია და თემო. მოკლედ, ზორომ ითმინა, ითმინა და: აქ მაგარი "წიომნი" სუნი დგასო, თქვა.

_ ხახახახა, _ გადაიხარხარა ტრისტანამ, _ ხინკლისა და მწვადის სუნი "წიომნია"?

_ მაგას კი არ ვამბობ, შე, დებილო! _ წაუთაქა თავში ზორომ და სხვებს მიუბრუნდა, _ გეფიცებით, ამას თუ ოპერაცია არ ჰქონდეს გაკეთებული...

_ რა ოპერაცია... _ ეწყინა ტრისტანას.

_ ტვინის, _ სხვებს უყვებოდა ზორო, _ მოხდილი აქვს თავის ქალა და ტვინი აქვს ამოცლილი, მთლიანად.

_ ჰო, არა? _ წაეშველა თემო, _ მიაკერა სკალპელი ექიმმა და მერეღა შენიშნა, რომ ტვინის ჩადება დაავიწყდა...

_ ჰოდა, წაუთაქა თავში, პოლიციელი მაინც გამოხვალო, არა?

ტრისტანას გარდა, ყველას გაეცინა.

_ არც იცინის, ტო, მართლა ხისთავიანია, ეს ჩემისა... _ ჩაილაპარაკა ილიამ და წამოდგა, _ გავალ, ცოტას მივზვერ-მოვზვერავ...

ილიამ ტუალეტის საბაბით, მართლაც ბევრი იბოდიალა. შიგნითაც და გარეთაც... მეორე სართულზეც კი ავიდა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. ეზოშიც, თითქმის ყველა

ფანჩატურში შეიხედა, არცერთი არ გამოუტოვებია, თუმცა, მაიას სახეს მაინც ვერსად მოჰკრა თვალი. სარდაფის კიბეებსაც მიადგა, მაგრამ იმდენად დანაგვიანებული ეჩვენა, ეს, ალბათ, საუკუნეა არ გახსნილაო, გაიფიქრა. მიუჯდა თავის მაგიდას, გაიხედ-გამოიხედა და წარბი ასწია.

_ არ ვიცი, მე ვერაფერს წავაწყდი საეჭვოს...

ტრისტანამ ოფიციანტი იხმო. ოფიციანტი გოგონა მაშინვე მიეახლათ.

_ ინებებთ კიდევ რამეს?

_ ქალის საშუალება თუ იქნებოდა, სიამოვნებით... _ უთხრა ტრისტანამ და გაიცინა.

_ როგორ გეკადრებათ! _ ისე შეიცხადა გოგონამ, თითქოს იმდენად მოკლე კაბა არ სცმოდა, "ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო", რომ ჰქვია.

მოკლედ, სიტუაცია მაგარ ჩიხში შევიდა და ილიამ "ვა-ბანკზე" წასვლა გადაწყვიტა.

_ დირექტორი სად ზის? _ ძალიან რბილად შეეკითხა ოფიციანტს, რომ არ შეეშინებინა. ის კი მაინც დაფრხა.

_ არ მოგეწონათ რამე? _ გოგონამ ხელოვნური წამწამები ააფახულა.

_ არა, არა, რაღაც მინდა დავაზუსტო, რესტორანი არაფერ შუაშია, _ გაუქარწყლა ეჭვი ილიამ.

_ სამზარეულოს გვერდით ადმინისტრატორის ოთახია, _ მიასწავლა გოგონამ.

ადნისტრატორი, მაღალი გრძელცხვირა კაცი აღმოჩნდა, ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ ილიამ ვერაფრით გაიხსენა, თუმცა, მაინც ჰკითხა.

_ ჩვენ უნდა ვიცნობდეთ, არა, ერთმანეთს?

_ შენ კი, და, მე კი, არა მგონია, _ უპასუხა უცნაურად კაცმა.

_ ვერ მივხვდი, _ დაიბნა ილია.

_ საწევროს ვკრეფავდი, ერთ დროს დეზერტირებში და ყველა მაგას მეკითხება.

_ ჰო, კი, როგორ არა... _ გაუხარდა ილიას, _ ფულზე არ გალაპარაკებთ, ოთხნი ვართ და თუ დაგვავაჟკაცებდი... _ არ დაამთავრა ილიამ.

_ რა? _ ისე შეიცხადა ადმინისტრატორმა, ილიამ უკან დაიხია, _ მიდი რა, საქმე ნახე... დალევენ და მერე რას მიედ-მოედებიან თვითონაც არ იციან. მიდი, მიდი! _ ხელი აუქნია, რადგან დაინახა, რომ ილია ადგილიდან არ იძვროდა.

_ კაი, გენაცვალე, რატომ ბრაზობ? გასაგებია... _ უთხრა ილიამ და გამოვიდა. ბიჭები მის პასუხს ელოდნენ. _ მაგრად აქვთ გასაიდუმლოებული... ვერც იმას დავაცდენინე. ვინმე კლიენტი უნდა დავიჭიროთ, უნდა ჩავუსაფრდეთ...

_ და როგორ უნდა მივხვდეთ? _ იკითხა ტრისტანამ.

_ როგორ და ვისაც დუქანი ექნება ჩახსნილი, იმას უნდა ვტაცოთ ხელი... _ გაიცინა ზორომ.

_ კაი, კაი... ისევ ის "ნოლ-თერთმეტი" უნდა დავიჭიროთ და იმას დავაფქვევინოთ, სხვა გზა არ არის... _ ჩაილაპარაკა თემომ.

_ როგორ უნდა დავიჭიროთ? _ იკითხა ისევ ტრისტანამ.

_ სად წავა, ცირკთან ეგდება, ვერ ნახეთ, ქალებზე ნადირობს ბიჭი!

_ და შევთხაროთ ის თავისი ბებუთი უკან.

_ რატომ, სიმონ, ხოშიანად გვაქეიფა. _ გადაიხარხარა ტრისტანამ.

ნომერი იცოდნენ, მანქანა იცოდნენ და მათაც ისევ ცირკისკენ გასწიეს. ვერც გზაში და ვერც ცირკთან თეთრი "ნოლ-თერთმეტი" ვერსად დალანდეს.

_ რა ვქნათ? _ იკითხა თემომ.

_ პატრულს რომ გადავცეთ? _ იკითხა ზორომ.

_ მოიცა რა, თუ ძმა ხარ, ახლა ტელევიზორში მარიაჟობა მინდა მე? _ ხელი აუქნია ტრისტანამ.

_ უნდა დაველოდოთ! _ ისეთი ტონით თქვა ილიამ, ბიჭებმა ვეღარაფერი უთხრეს და დაცდა არჩიეს.

არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რომ თეთრი “ნოლ-თერთმეტი” მართლაც გამოჩნდა. თუმცა საჭესთან სულ სხვა ტიპი იჯდა, ის დაბალი კი უკანა სავარძელზე გადათხლეშილიყო და იქიდან “ალივერებდა” ქუჩას.

_ ორნი არიან, _ თქვა თემომ.

_ თუნდა ორასნი იყვნენ, მიდი, მიაჭირე, შენ, ფარები აუნთე და მიუყენე გვერდზე! _ ბრძანება გასცა ტრისტანამ. ჰო, დამავიწყდა, ტრისტანა ისეთი მჭამელი იყო, რომ მიგეშვათ, ერთ ჯერზე ერთ ხარს გაათავებდა. კუნთები ბატიბუტივით ეყარა და ძალის დრემონსტრირებაც უყვარდა. კაცს კი არა, ბიჭო, თუ მომინდა, ბუღას გავტეხავ ხერხემალშიო, ხშირად უყვარდა ამის თქმა. დამნაშავის დაჭერისას აზარტში შედიოდა და, მოკლედ, მაგრად არსენობდა. რას წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც ხუთიოდე წუთიღა დარჩენოდა სიცოცხლის.

როგორც კი “ბეემვე” გვერდიდან გაუსწორდათ, ბიჭებმა ფანჯრებიდან ხელი გადაყვეს და ჟიგულში მსხდომებს გადაშლილი წიგნაკები დაანახეს.

_ პოლიცია! გადააყენე მანქანა! გააჩერე!

მანქანა გაჩერდა. პირველი სწორედ ტრისტანა გადახტა და პირდაპირ უკანა კარი გამოაღო, რათა დაბალი გადმოეთრია, მაგრამ მისკენ მიშვერილი იარაღის ლულა დაინახა და გაშეშდა. სროლის ხმა არ გაუგია, და საერთოდ, არაფერი გაუგია. ეს რა მემართებაო, ესღა გაიფიქრა უკანასკნელად და ამხელა კაცი, ასფალტზე უსულოდ გაიშხლართა.

სამაგიეროდ სხვებმა გაიგონეს სროლის ხმა.

_ მოკლა, ჩემი დედა მ-----ნ! _ თავზე იტაცა ორივე ხელი საჭესთან მჯდარმა თემომ და გაქცეულ ჟიგულს დაედევნა.

ასფალტზე უსულოდ გაშოტილ ტრისტანასთან მხოლოდ ილია დარჩა.

_ ამას “შესტიორკას” ძრავი უდგას ასიანი, თორემ “ადინაცეტი” გამექცეოდა მე? _ გამოიტანა დასკვნა თემომ, რადგან მანქანას ვერა და ვერ დაეწია. ორივე მანქანა სანაპიროზე ორთაჭალისკენ მიჰქროდა.

ზორომ პატრულს გადასცა და ქალაქის მთელი საპატრულო მანქანები მათკენ გამოცვივდნენ. “ნოლ-თერთმეტი” მანქანების ნაკადში მაინც დაეკარგათ და ბოლოს, ორთაჭალჰესთან ხიდს იქით დაგდებული ნახეს. შიგ მსხდომნი კი გაქცეული. შეკრეს მთელი სანაპირო, მაგრამ მათ კვალს, ვერაფრით, ვეღარსად მიაგნეს.

და გამომძიებელი ლერი კაპანაძე მიხვდა, რომ ბევრად დიდ დანაშაულთან ჰქონდა საქმე, ვიდრე მას ეგონა. ქალაქის მთელი პოლიცია, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგა. და ვის გამო? ერთი ჩვეულებრივი მეძავის, ცირკის ძუკნას გამო? ლამის გაეფრინა ლერის.

მოკლედ, ისეთი გნიასი ატყდა, მესამე, ბირთვული მსოფლიო ომის დაწყება ეგონებოდა ადამიანს. ყველა ტელევიზია და სპეცნაზი ერთდროულად დაეცა რესტორან “ქართულ-მწვადს”, უფრო სწორად, “გრუზინსკი შაშლიკს” და ყველა, უკლებლივ, ქალიან-კაციანად დაიჭირეს. ის ორივე ნაძირალაც, რომლებმაც, ასე უბრალოდ, ცივად, დაუნანებლად გამოასალმეს სიცოცხლეზე, ოჯახზე და, თქვენ ჯვარი გწერიათ, საკუთარ კუჭზე ასე უზომოდ და უსაზღვროდ შეყვარებული ტრისტანა, რომელიც სიკვდილის მერე, “ნოლ-თერთმეტის" კარის ვაჟკაცურად გამოღებისთვის, გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო მისი ცხედარი კი, მუხათგვერდის მიცვალებულთა მილიონიან არმიას მიამატეს. ეს ცოტა იმას ჰგავდა, კომუნისტები მამის მკვლელებს გმირებად რომ ასაღებდნენ და მილიონების მისაბაძ მაგალითად ხდიდნენ.

როცა ტრეფინინგის მსხვერპლთა რიგებიდან, მაია, თავის ზიზისთან ერთად, გამოიყვანეს და მოახსენეს, ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, მაიამ რაღაც საშინელი იყნოსა და გაჯიქდა. არსადაც არ წამოვალ, სადაც სხვები იქაც მეო, მაგრამ აღარავინ მოუსმინა, ასე თარსს და, მასთან ერთად, ქუდ-ბედიან მანდილოსანს და ლერი კაპანაძეს მიჰგვარეს.

_ არა, არ ვყოფილვარ მე იმ ავარიის დროს იქ... კი, იმ ღამეს ქარელის ბორდელიდან, მართლაც, გამოვიქეცი და ვიღაც ტიპს ჩავუჯექი, რომელმაც გამჟიმა და მცხეთის გზაზე ჩამომაგდო, ჰო... მაგრამ მაგ ავარიასთან არავითარი შეხების წერტილი არ მქონია და მოგატყუოთ? _ ისე ოსტატურად ცრუობდა მაია, ნებისმიერ მსმენელს დააჯერებდა, მაგრამ არა ლერი კაპანაძეს, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო და ისეთი სილა სტკიცა, ძაღლი ხელიდან გააგდებინა.

მოკლედ, ლერი იძულებული გახდა "ჯალათი" გამოეძახა, რომელმაც წვრილი თოკი მოიტანა, მარყუჟი გამონასკვა და ჰაერში აკონწიალებულმა ზიზიმ რომ წკმუტუნი და ფეხების ფშეკა დაიწყო, მაიას გული წაუვიდა. ლერი ვერ მიხვდა, იქნებ თამაშობდა კიდეც, ყოველი შემთხვევისთვის, თავზე მთელი ვედრო წყალი ჩამოაპირქვავეს და გონზე მოვიდა თუ არა, სასიკვდილო ნომერი, ანუ ზიზის ჩამოხრჩობის პროცესი განაგრძეს. და როგორც კი მაიას მეორედ წაუვიდა გული, ნიშადური შეასუნთქეს და სამუდამოდ მოიყვანეს აზრზე. მაინც ვერაფერი ათქმევინეს. ვერც მაშინ, როცა ძაღლმა თვალები გადმოკარკლა, ენა გადმოაგდო და მოკვდა.

მაია ქვად იქცა. გუნებაში, ლერიც და "ჯალათიც" ორივენი დააშიშვლა და ჩამოახრჩო. მერე თოკიდან ჩამოხსნა და თავისი ხელებითაც მიახრჩო. ესეც არ აკმარა. აჩეხა, დაჩეხა, კოცონზე დაწვა და, ეშმაკმა უწყის, კიდევ როგორ დასჯიდა და რა სახის სიკვდილს მიუსჯიდა, რომ ლერის ხმას არ გამოეფხიზლებინა.

_ წადი, წადი, შემოიტანე, მე ამის გიჟი დედა მ-----ნ! რამდენ ხანს ველოლიავოთ...

და მაია მიხვდა, რომ რაღაც საშინელებას უპირებდნენ.

_ ცხელი ნემსი რომ გავუყაროთ ფრჩხილქვეშ? _ იკითხა "ჯალათმა".

_ მიდი რა, მოიტანე და მოვრჩეთ, ნუ გიყვარს ხოლმე რა? იქნებ დავაუთოვოთ კიდეც, რომ კარგად გვიჩივლოს...

_ რა უნდა შემოიტანოს? _ იკითხა მაიამ, როცა "ჯალათი" გავიდა.

_ წინასწარ თუკი გითხარი, რაღა ეფექტი ექნება? _ ხუმრობის ხასიათზე დადგა ლერი.

_ ჯალათებო, სისხლისმსმსმელებო, მკვლელებო! _ მიაყარა მაიამ და აქვითინდა.

_ კაი, კაი, ბოზანდარების ცრემლების კი არა, წმინდანების ცრემლებისაც აღარ მჯერა... _ დაჰყვირა ლერიმ, _ ვერ გავიგე, რატომ არ ამბობ სიმართლეს, რატომ?

_ იმიტომ, რომ ცოცხალი გადავრჩე, რომ არ ჩამაძაღლონ! _ აღიარა მაიამ.

დიტომ ანუ "ჯალათმა" რაღაც აპარატი შემოიტანა და ჩამრთველში შეაერთა. მერე კი მაიას ხელების შეკვრა დაუპირა. მაია გაუძალიანდა, მიაგინა და ფეხიც კი გაუქანა ლაჯებისკენ, მაგრამ დიტომ რაღაც ილეთი ჩაუტარა, ისე, რომ მაგიდაზე პირდაღმა მიაწვინა და ხელებგაშლილი, აქეთ-იქით მაგიდის ფეხებზე მიაბა. მერე მაიას ფეხის კოჭებთან მავთულის შიშველი ბოლოები მიამაგრა, ტრუსი ჩახადა, ელვა შეიხსნა და მიაწვა. მაიას კივილვა იქაურობა გააყრუა. დიტომ კი აპარატი ჩართო და დენის იმპულსებმა, რომელიც მჟიმავებზე ელვისებურად გადავიდა, ორივე ისეთ რიტმში ააქანავა, რომ ადამიანს ქაჯთა ორგია უფრო ეგონებოდა, ვიდრე ჩვეულებრი ქალისა და მამაკაცის ჟიმაობა.

_ აუ, ეს, იცი, რა არი? ორმაგი სიამოვნება, არა, ათმაგი! _ თქვა დიტომ და ელვა შეიკრა. მერე დენს აუწია და მაიას ისეთი ქანაობა დააწყებინა მაგიდაზე, და ისე

ააკივლა, ლერიმ იფიქრა, ვარიანტი არ არის გაუძლოსო. მაიას სახე კოსმოსში გაფრენილი კოსმონავტივით დეფორმაციას განიცდიდა, კბილებს აღრჭიალებდა და პერმანენტულად კიოდა.

დიტომ აპარატი გამორთო. მაია შეშლილს ჰგავდა.

_ ვიტყვი, გამომრთეთ დენიდან, გეხვეწებით! _ შეევედრა მაია.

“ჯალათმა” მაიას ფეხებიდან მავთულები შეხსნა, მერე მაგიდის ფეხებიდანაც აუშვა და სკამზე დასვა.

მაიამ ყველაფერი მოყვა. როგორ მოიპარა ფული, როგორ გამოიქცა ბარდელიდან, როგორ აიყვანა ტკუცამ, როგორ ღიღინებდა, როგორ გადაბრუნდნენ, როგორ დაემუქრა და გაუშვა. როგორ აიყვანა პატრულმა, როგორ გაჟიმეს იმ ღამეს და დილითაც, როგორ მოპარეს მოპარული ფული და როგორ დარჩა უთეთროდ.

_ მომისმინე! _ თითქოს გიპნოზს უკეთებსო, ისე დაჟინებით ჩააცქერდა ლერი თვალებში მაიას და წინ ფურცელი და კალამი დაუდო, _ თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, მე რასაც გიკარნახებ იმას დაწერ, გაიგე? _ მაიამ არაფერი უპასუხა. ლერიმ კარნახი დაიწყო, მაიამ წერა.

_ აღიარებითი ჩვენება. სათაურია. მე მაია... ვისი ასული ხარ?

_ დავითის.

_ დავითის ასული ქვრივიშვილი, ვაღიარებ, რომ ვარ სახელმწიფო დამნაშავე.

_ მე არა ვარ დამნაშავე. მე ბოზი ვარ, მარტო, ისიც თქვენ გამო... _ შეიცხადა მაიამ.

_ თუ სიცოცხლე გინდა, მოკეტე და წერე რასაც გკარნახობ! _ დაუღრიალა ლერიმ, _ თუ ისევ დენზე გინდა მიგაერთო?

მაიამ მოკეტა.

_ რადგან, იმ ღამეს, ანუ ცხრა სექტემბერს, ვიმყოფებოდი, მცხეთა-თბილისის ტრასის იმ მონაკვეთზე, სადაც მოხდა საშინელი ავარია... არა საშინელი არ გინდა... სადაც მოხდა ის ავარია, რომელმაც ექვსი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

_ კი არ იმსხვერპლა, შეიწირა. _ ჩაიბურდღუნა მაიამ.

_ იმსხვერპლა და შეიწირა, _ მოეწონა გამომძიებელს და კარნახი განაგრძო, _ მე სწორედ იმ “კრაზის” კაბინაში ვიმყოფებოდი ანუ ვიჯექი, რომლის გამოც მოხდა ზემოთ აღნიშნული ავარია...

_ არ მომხდარა “კრაზის” გამო, ჩვენ წინ მოხდა ავარია... ჩვენ არაფერ შუაში არ ვყოფილვართ. ჩვენ მაგათ გამო გადავბრუნდით, ჩვენ უკან მივდევდით, იმ “ბეემვეს”, _ გააპროტესტა მაიამ.

_ ახლა თუ ბევრს გაატრაკებ, იმ “კრაზის” წინ გადაგარბენ და ყველაფერს შენ შეგტენი, გინდა? _ ქაღალდზე ხელი დაუფარა და ისე შეეკითხა გამომძიებელი, _ ერთადერთი მოწმე შენა ხარ, გესმის? ფეხებს ვერ მოგვჭამს ვერავინ.

_ კაი... _ დაემორჩილა მაია.

_ მძღოლმა, ტკუცა... ნამდვილი სახელი არ იცი?

_ არა, არ მახსოვსო.

_ არც გვარი?

_ არა.

_ კაი, დაწერე! ტკუცამ, გადაასწრო “ბეემვეს” და შემხვედრ მანქანას გზა გადაუკეტა, მან, ანუ შემხვედრმა მანქანამ, “მერსედესმა” მარცხნივ აიღო და ბეემვეს შეასკდა, ჩვენი კრაზი კი გადაბრუნდა.

_ გამოდის რომ მარცხივ გადავბრუნდით? პირიქით, ჩვენ მარჯვნივ გადავბრუნდით.

_ მარცხნივ, მარჯვნივ, რა მნიშვნელი აქვს, ნახევარი თბილისიც ვერაფერს მიხვდება, დაწერე რა, რასაც გკარნახობენ. _ ლერიმ კარნახი განაგრძო. _ მძღოლმა ტკუცამ

მიატოვა გადაბრუნებული მანქანა, რომელიც დატვირთული იყო, ძელქვის ხის კონტრაბანდული მასალით და ავარიის ადგილიდან მიიმალა, რასაც ვაღიარებ, რადგან ეს ყველაფერი, ჩემი თვალით ვნახე. მე კი როგორ აღმოვჩნდი მცხეთა-თბილისის გზატკეცილზე არაფერი მახსოვს. ჩემი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ არ მოვახსენე შესაბამის სტრუქტურებს საქმის ნამდვილი ვითარება და დეტალები და არ გამოვცხადდი მაშინვე პოლიციაში. გთხოვთ, შემიმსუბუქოთ დანაშაული. წერტილი. მოაწერე ხელი! გარკვევით. მაია ქვრივიშვილი. დასვი თარიღი. თოთხმეტი. ათი. წელი. მასე.

გამოძიებელმა სწრაფად წამოავლო ხელი ქაღალდს და პოლიციელი გამოიძახა.

მაია გაიყვანეს. ლერი კაპანაძე კი ტკუცას საპოვნელად გავარდა.

მდივანი გოგონები უბან-უბან ყველა “სტუკაჩს” დაუკავშირდნენ და ტკუცა ლოტკინის უბანში აღმოაჩინეს. ტკუცა ავადმყოფი კაცი იყო, “ზაპოი” სჭირდა, ხან წელი ისე გავიდოდა, სასმელს ახლოს არ გაეკარებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ერთი წვეთი ჩაეშვა პირში, რომ მთელ თვეს ჭიქას ხელიდან ვეღარავინ გააგდებინებდა. დილის ექვსზე, როცა პოლიცია მიადგა და ჩაიცვიო, უბრძანეს, გახეული მთვრალი იყო. ვერაფრით მიხვდა მისგან რა უნდოდათ, უაზროდ მისჩერებოდა უცნობებს და ხელებს იქნევდა, თავი დამანებეთო. ბავშვებს ეძინათ, ხოლო ცოლი, რომელიც მაგრად გაბეზრებულიყო ტკუცას გადაბმული სმის გამო, თითქოს გაუხარდა კიდეცო, ტანისამოსს ფართა-ფურთით აცვამდა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. მოუსავლეთში წასულა და ვეღარ მობრუნებულაო, ქმარს თავზე რაღაც ამდაგვარებს აფრქვევდა. ბოლო-ბოლო, პოლიციელებმა მთვრალი გარეთ გაათრიეს და მანქანაში ჩატენეს. მოგვიანებით, როცა ტკუცა ცოტა გამოფხიზლდა და აღმოაჩინა, რომ “აბიზიანკის” გისოსებში იმყოფებოდა, ისეთი ღრენა და გინება ატეხა, ყველაფრის მნახველი მორიგეც კი განაცვიფრა. ახლავე გააღეთ კარი და გამიშვითო, გაჰკიოდა, მე სკოლაში, სამადაშვილის გვერდზე ვიჯექი მერხზეო. თუ არა გჯერათ, დაურეკეთ და ჰკითხეთო, ირწმუნებოდა... ბოლოს დაიღალა და ხვეწნაზე გადავიდა, ერთი ჭიქა დამალევინეთ, ღმერთი არა გწამთ, ადამიანები არ ხართო?

მერე გამოძიებელთან შეიყვანეს. პირველი, რაც ლერი კაპანაძეს აინტერესებდა, ამ კაცის სახელი და გვარი იყო.

_ რა მნიშვნელი აქვს, ტკუცა დამიძახე. რა, არ მოგწონს ჩემი “კლიჩკა”? _ შეეკითხა ტკუცა და უაზროდ გაიღრიჭა.

_ სახელი და გვარი! _ უკვე მკაცრად თქვა გამომძიებელმა.

_ დამისხი და გეტყვი! _ ამოასლოკინა უცბად ტკუცამ.

ლერიმ მაგიდის უჯრა გამოაღო, იქიდან პატარა ჭიქა და წყლის ბოთლი ამოდგა და შეავსო. ტკუცამ ხელი ჭიქისკენ წაიღო. ლერიმ კი დაუფარა.

_ ჯერ მეტყვი, რაც მაინტერესებს და მერე დალევ... გაიგე? _ მკაცრად უთხრა და ჭიქა და ბოთლი თავისკენ მიიწია.

_ კარგი, _ თქვა ტკუცამ და ნერწყვი გადაყლაპა.

_ სახელი და გვარი.

_ როლანდი შაკიაშვილი.

_ პროფესია.

_ “შოფერი” ვარ. რა ვიცი ვიყავი აქამდე და... ახლა უმუშევარი ვარ, კაი ხანია. დამალევინე, რა?

_ მაცალე! თუ სიმართლეს ილაპარაკებ, დანაშაული შეგიმსუბუქდება, თუ დამალავ, დაგიმძიმდება, გაიგე?

_ რომელი დანაშაული, რა დანაშაული?! _ ხელის მტევანი გაკვირვებით გადაატრიალ-გადმოატრიალა ტკუცამ.

_ მაშ მე მომქონდა ძელქვა დასავლეთიდან. მე მომყავდა ის “კრაზი”?

_ რა “კრაზი”, რის ძელქვა? _ გაიკვირვა ტკუცამ, _ რა დასავლეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი... არა, ძმაო, როგორ გეკადრება...

ლერიმ მორიგე გამოიძახა და შემოუშვიო, ვიღაცაზე უთხრა. მორიგემ დასაპირისპირებლად საგამოძიებოში მაია შემოიყვანა.

_ ამ ქალს თუ სცნობ? _ შეეკითხა ტკუცას გამომძიებელი.

_ არა, ძმაო, არ მინახავს არასდროს. პირველად ვხედავ... _ იუარა ტკუცამ.

_ შენ? _ შეეკითხა მაიას ლერი.

_ ჰო, ისაა, ამას მოჰყავდა კრაზი. ტკუცა.

_ კაი, გაიყვანე! _ უთხრა მორიგეს ლერიმ და მაია გაიყვანეს.

_ ადვოკატის გარეშე ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი, _ თქვა ტკუცამ.

ლერიმ სავსე ჭიქა მიუწია.

_ აკი ვიტყვიო?

ტკუცამ ჭიქას ხარბად შეხედა.

_ რა გაინტერესებს...

_ ვისი იყო ის ხე-ტყე?

და ტკუცამ რეზი ჭიქა არაყში გაცვალა.

_ რეზისი.

_ გვარი იცი?

_ როგორ არ ვიცი, ბერიძის.

_ სად ცხოვრობს?

_ კუკიაზე.

_ ოჯახი? ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

_ როგორ არა ჰყავს, თავისი შვილიც ჰყავს და ცოლისაც. სიდედრიც კი ჰყავს. აიღე რა, ხელი.

ლერიმ ჭიქიდან ხელი აიღო. ტკუცამ ხელი დაავლო ჭიქას და კბილებზე რაკარუკი აუტეხა, რადგან ხელი უკანკალებდა. გადაჰკრა. წყალი იყო. მიხვდა, რომ მოატყუეს. ძაღლოო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

ლერიმ მორიგე გამოიძახა და სანამ ტკუცა მოსულიერდებოდა, გაიყვანეს კიდეც.

_ როდის უნდა დამთავრდეს შენი ახალგაზრდობა, აღარ დადგა დრო? _ ნელიკო თან გაზქურასთან ტრიალებდა და თან მეორე ოთახში საწოლში გაშხლართულ ქმარზე ბრაზობდა.

_ შენ იმისა დაუკარი, რომ ხუთწლიანი “სროკი” არ ამკიდეს. _ გამოსძახა საწოლიდან ცოლს რეზიმ.

_ მე უნდა დავუკრა, არა? მაინც მე უნდა დავუკრა... _ რატომღაც საშინლად ეწყინა ასეთი ნათქვამი ნელიკოს, _ შენ ხელების ქნევას არ იშლი და მაინც მე უნდა დავუკრა, ხომ? _ სამზარეულოს დანით და ხინკლის ხის გასაბრტყელებელით ხელში შეუვარდა ნელიკო რეზის, _ შენი ცოლშვილის გარდა, რამდენ ოჯახს გამოსჭერი ყელი, დაფიქრებულხარ მაინც?

რეზიმ შეხედა კბილებამდე შეიარაღებულ ცოლს და ხმა ვერ ამოიღო. ბათქაშჩამოცვენილი ჭერისა და გახუნებული ნაცრისფერი შპალერის ფონზე, თმადაუვარცხნელი ნელიკო ნამდვილ “ბაბა იაგას” ჰგავდა.

“აუ, ახლა ერთი კარგი ცოცხი და რას გაფრინდებოდა, ბიჭო”... გაიფიქრა რეზიმ და გვერდზე გადაბრუნდა.

არა, ადრე რეზი ამდენს ვერ ბედავდა. ადრე თავს მაინც იმართლებდა ხოლმე. ახლა კი ადგა და ტრაკი მიუშვირა. და ნელიკომ საჯდომზე მთელი ძალით ჩასთხლიშა ხინკლის გასაბრტყელებელი რეზის.

_ ვაიმე დედა! _ იღრიალა რეზიმ და საწოლში წამოჯდა.

_ გაგიჟდი, ქალო? ისედაც დაჟეჟილი ვარ, ერთი სანტიმეტრი არ დამრჩა, რომ არ მტკიოდეს და კეტს მირტყამ კიდევ? _ უსაზღვროდ გაკვირვებული იყო რეზი.

_ არ ვიცი მე! ადგები ახლავე, ჩაიცვამ და წახვალ! მუხლის ჩოქზე დაუდგები ყველას, ხოხვით, ხოხვით ჩამოუვლი და შეეხვეწები, შეევედრები, რომ გაპატიონ და გამოგვატანინონ ჩვენი საქონელი... _ ნელიკო კი ამბობდა ამას, მაგრამ, რა თქმა უნდა, თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამის. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეზი არსად წამსვლელი და არავისთან შემსვლელი არ იყო. მეორე, იმიტომ, რომ ყელიც რომ გამოეღადრა რეზის, უფულოდ ერთ ყუთსაც არავინ გამოატანინებდა. მზია კი, ფირმის მეპატრონე, ფულს არ იხდიდა, არ მაქვს და რა მივცეო, გაიძახოდა. მოკლედ, ცოტაც და, ალბათ, ამ საქმეს პროკურატურას გადასცემდნენ. და მერე კი, მართლაც, ფაფუ, ნაოცნებარო დოლარებო და ლარებო, სახლ-კარო და მშვიდო მომავალო... მოკლედ, სანამ ნელიკო პომიდორში ერბოკვერცხს სწვავდა და თავის დუხჭირ, უპერსპექტივო მომავალზე ფიქრობდა, რეზი ამასობაში ამდგარიყო, ხელ-პირიც დაებანა და საუზმის მოლოდინში, მაგიდასთან წამოჭიმულიყო. გამწარებულმა ნელიკომ კი, დასხმული ჩაის სავსე ჭიქა ისე დაუხეთქა წინ, რეზის ცხელი წყალი შარვალზე გადაასხა და სკამიდან წამოახტუნა.

_ კაი, რა, ამის დედა ვატირე, რა ჩავიცვა ახლა, რით წავიდე? როდის ეს გამიშრება? _ აყვირდა რეზი, _ ამით შევიდე იმ ხალხთან? ასეთი შარვლით?

_ რასაც იმსახურებ, ის მიიღე! _ უპასუხა ნელიკომ, _ განა არ ვიცი, სად აპირებ წასვლას. წადი, წადი, მე კი დღეიდან ყველაფრის ჩალაგებას ვაპირებ...

_ რაში უნდა ჩაალაგო? _ მექანიკურად იკითხა რეზიმ.

_ ნოეს კიდობანში... _ უპასუხა ნელიკომ, _ რა ვიცი, გამოვკრავ რაიმეში, თუნდაც ჩიხოლებში.

რეზის გულზე არ მოხვდა ეს ყველაფერი-მეთქი, ვერ ვიტყვი. მოხვდა და ძალიან მაგრადაც. დავლევო, გაიფიქრა და იქვე გადაიფიქრა. არა, მოდი წავალ, ირაკლის ვნახავო. ონკანთან მივიდა, შარვალი წყლით ჩამოიფერთხა და კარისკენ წავიდა. ნელიკო იდგა და დაჟინებული უმზერდა. რეზი კართან შედგა. მოტრიალდა.

_ რას მიყურებ... _ ჰკითხა და თითქოს ხმა აუკანკალდა, _ მე მაბრალებ, არა? მაინც არ იყო ის ქალი, ის მზიაა თუ ჩემი ფეხებია, მაგ ფულის გადამხდელი. მაინც ჩამოართმევდნენ ყველაფერს...

ოთახში თვალების ფშვნეტით, ნამძინარევი სანდრო შემოვიდა.

_ ესეც შემობანცალდება ხოლმე რა, ყველაზე მაგარ დროს... _ ხელები გაშალა რეზიმ ბავშვის დანახვაზე.

_ რა გინდა ამ ბავშვისგან, რას ერჩი, რას გიშავებს? _ მაგრად ეწყინა ნელიკოს და ბავშვი კალთაზე მიიკრა.

_ სახლს გვართმევენ, დედა? _ ახედა ბავშვმა დედას.

_ ვერ წაგვართმევენ! _ თქვა მტკიცედ რეზიმ, მიტრიალდა და გაალაჯა.

ნელიკო ჩაჯდა, ბავშვი მიიხუტა, ხელში აიყვანა.

_ ვერ წაგვართმევენო, მამიკომ, ხომ თქვა? მაინც წაგვართმევენ? _ იკითხა ისევ სანდრომ.

რა უნდა ეპასუხა შვილისთვის დედას? ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი, ათასტონიანი მატარებელი უახლოვდებოდათ, ცოტაც და ზედ გადაუვლიდათ. და ნელიკომ ყველაზე უცნაური, დაუჯერებელი რამ გადაწყვიტა.

რეზი ძმის სადარბაზოს კიბის საფეხურებს, უსაზიზღრეს ხასიათზე, მძიმე, ბორკილდადებული ნაბიჯებით აუყვა. ირაკლი მარტო იყო. ალბათ, იწვა და ლოგინიდან წამოდგა. რეზის დანახვაზე მაგრად გაუტყდა, რაც რეზის შეუმჩნეველი არ დარჩენია. რეზის კი ძალიან შეცვლილი მოეჩვენა ირაკლი. თმები გაეზარდა და კეფაზე კოსა დაეკოსებინა. როცა ირაკლიმ კარი მიხურა და უკან ლოგინში დასაბრუნებლად გასწია, რეზის თვალები შუბლზე აუვიდა.

_ შენ რა, კოსას ხმარობ? _ თავისთავად წამოსცდა რეზის.

_ შენღა მაკლდი, რა?! _ ჩაიბურდღუნა ირაკლიმ და საწოლში შეწვა.

_ რა არის, არ ალაგებ ამ სახლს? _ იკითხა რეზიმ და სკამს დახედა, რამე არ იყოს ზედ, არ გამსვაროსო. იმდენად დაულაგებელი და ჭუჭყიანი ეჩვენა რეზის იქაურობა.

_ ვალაგებ, არ ვალაგებ, შენ რა? _ უპასუხა ირაკლიმ.

_ არაფერი. რა იყო, რა გეწყინა ჩემი დანახვა, გკითხე არ შეიძლება? გამიკვირდა, ასე ნაგავში ყელამდე, როგორ მოახერხე ჩაჯდომა...

_ ჰო, არა?! _ ზედმეტად აგრესიული იყო ირაკლი, _ მე კი ამოვალ ამ ნაგავიდან, მაგრამ, აი, შენ როგორ ამოხვალ მაგ შენი ვალებიდან, საინტერესო ესაა. _ წაუკბინა იმწამს ძმას.

რეზი დაჯდა. მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო, ღერი ამოაძრო, მოუკიდა და გააბოლა.

_ შენ რისთვის მყავყარ, მაშ? _ ეს იყო მისი პასუხი ირაკლის შეკითხვაზე.

_ მართალია, მარტო ფულის ასახევად... რომ აღარ დამრჩა არაფერი, რომ ამახიეს უკვე ყველაფერი? ჰო, რა იყო, რა განცვიფრებული მიყურებ? არა გჯერა? პანჩური მკრეს, აჩუო და გამომაგდეს სამსახურიდან. არ იცოდი? დალუქულია ჩემი კაბინეტი, მინიმუმ ათწლიანი "სროკი" მაქვს, თუ ამომითხარეს ყველაფერი. აიღე, აბა, წინ გიდევს გაზეთი, განცხადებაა შიგ დაბეჭდილი, ვყიდი ამ ბინას, თუ მოვასწარი...

_ აბა, რა უნდა ქნა? _ უთანაგრძნო რეზიმ.

_ რა უნდა ვქნა? შენ რისთვის მყავხარ, შენთან გადმოვალ, არ მიმიღებ?

_ დამცინი? _ ჰკითხა რეზიმ.

_ რა? _ კითხვა დაუსვა ირაკლიმ.

_ რა და, ბანკშია ჩემი ბინა ჩადებული, კრედიტი მქონდა გამოტანილი. ოთხ დღეში გასდის ვადა...

_ საღოლ, ძმაო, მაგარი ხარ! _ ლოგინში წამოჯდა ირაკლი, და ჩემთან ფულის სასესხებლად ამოხვედი... ვის სახლს დებდი, ტო, ცოლის? ასე როგორ გამოსირდი ამხელა კაცი, რატო რისკავდი, რისი ტრაკით, შენი მარიფათით? გადავარდი, არა, ისევ? ვინ გადაგაგდო?

_ ირაკლი, არ არი მასე საქმე, როგორც შენ გგონია... შენ რა, ძმაო? ცოლი შენ არ გიჩმახებს და შვილი შენ არ გიტირის... ახლა ჩემ გულში ჩაიხედე? ტყვია მაქვს შიგ ჩასხმული, მთელი ტონა ტყვია, ისე მაქვს დამძიმებული.

_ არყის ჭიქებმა იცის ეგ, არაყში, იცი, რამდენი რკინაა? _ შაყირის ხასიათზე დადგა ირაკლი.

_ მომისმინე, _ დასერიოზულდა რეზი, _ ჩვენებთან ადიხარ? ნახულობ? როგორ არიან, ხომ არ იცი?

ირაკლის სახე მოეღუშა, თითქოს გულში ტყვია დაახალესო, არც ადიოდა და არც აპირებდა თავისიანებთან ასვლას. ვერ ადიოდა, ვერ ბედავდა.

_ შენ? _ ჰკითხა რეზის.

_ მეე? _ ჩაფიქრდა რეზი, _ კაი ხანია არ ავსულვარ, მე ხომ წითელი მინთია.

_ წითელი? ვინ აგინთო? _ დაინტერესდა ირაკლი.

_ ყველამ! _ მოკლედ მოჭრა რეზიმ, _ წამო, გინდა, ერთად ავიდეთ!

_ რატომ, რომ მაგრად გავახაროთ ჩვენი ამბებით?

_ არა.

_ მაშ? _ ირაკლი მიხვდა, რომ რაღაც მაგარი ჩათლახური რამე ჩაიფიქრა რეზიმ.

_ რა ვიცი, ვნახოთ როგორ არიან, გავიგოთ, იქნებ ნიკა გამოჩნდა, იქნებ რა ხდება?

_ იცი რა? შეეშვი მაგ აბდა-უბდას და პირდაპირ მითხარი, რას აპირებ! _ დაუკონკრეტა ირაკლიმ.

_ არაფერს, ძმაო, რას უნდა ვაპირებდე? _ ხელები გაშალა რეზიმ.

_ კაი, წავიდეთ! _ თქვა ირაკლიმ და წამოხტა. ამაზე უკეთეს დროს, თავისიანებთან ასასვლელად ვერ მონახავდა.

როცა ვერიკომ კარი გააღო და ზღურბლზე რეზი და ირაკლი ერთად დაინახა, მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

_ შემოდით, შემოდით! _ ჩაილაპარაკა მან და ხელითაც ანიშნა.

ძმები შევიდნენ, დედას აკოცეს და ჩვეულებისამებრ, ჯერ სამზარეულოსკენ გასწიეს, ელისოს სანახავად. ის, ვისაც მათი დანახვა ნამდვილად გაუხარდა, მართლაც, ელისო იყო.

_ ასე უნდა, შვილო? ასე უნდა გადაიკარგოთ, ბიჭო? სანთლით საძებარი უნდა იყოთ? _ უწყრებოდა ელისო შვილიშვილებს.

ბიჭები მაგიდას აქეთ-იქიდან მიუსხდნენ და სიგარეტი გააბოლეს. ვერიკომ შეამჩნია, რომ ირაკლი რატომღაც თვალს ვერ უსწორებდა. მაგიდასთან დაჯდა და იკითხა.

_ რაშია საქმე?

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს, არ იცოდნენ, რომელს უნდა ეპასუხა.

_ ირაკლი, რაღაც უცნაურად გამოიყურები, თითქოს... _ ვერ მოითმინა დედის გულმა.

_ სამსახურიდან წამოვედი, _ თქვა ირაკლიმ და მაინც ვერ გაუსწორა თვალი დედას.

_ რატომ, შვილო? _ შეიცხადა ელისომ. რომელიც მაგიდის გასაწყობად, სამზადისს შედგომოდა.

_ მოკლედ, წამოვედი... _ მწყრალად თქვა ირაკლიმ, _ რატომ, როგორ, რისთვის... ახალ მთავრობას ახალი ხალხი სჭირდება.

_ მარტო ეგ არ იქნებოდა მიზეზი... _ თქვა ვერიკომ და შვილს მიაჩერდა, იქნებ კიდევ რაიმე ვათქმევინოო.

_ ჰო, ცუდადა მაქვს საქმე, _ თქვა ირაკლიმ და მაგიდას ჩააჩერდა.

_ გიჭერენ? _ იკითხა შეშფოთებულმა ვერიკომ, _ დღეს ყველას იჭერენ, ვიცოდი, ვიცოდი, რომ შენი ამბები ცუდად უნდა დამთავრებულიყო.

რეზი იდგა და ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. მე არავის ვახსოვარ, ჩემი დარდი არავის აქვსო, გულში იბოღმებოდა. ამ დროს კარი გაიღო და სამზარეულოში, საბავშვო, პლასტმასის სათამაშო იარაღებით ხელში, სოლომონი გამოცხადდა. “შორტი” და მაისური ეცვა, თავზეც რაღაც ჩაჩი დაედო და კლოუნს უფრო წააგავდა, ვიდრე მეომარს.

ბიჭებმა შეხედეს და მთლად სახტად დარჩნენ.

_ ვის უნდა ომობანა? _ იკითხა სოლომონმა.

_ მე! _ ბავშვივით თითი ასწია ვერიკომ.

_ მეც! _ მხარი აუბა ელისომ.

_ მაშინ დავიწყოთ! _ თქვა სოლომონმა, _ დავიმალოთ! _ და უკანვე გავიდა.

_ აი, ამ დღეში ვართ, სულ... _ ჩაილაპარაკა ვერიკომ.

_ ნეტავ, მარტო ეგ გვქონდეს სადარდებელი და მეტი არაფერი... _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ შენ, შენ რას შვრები? _ მიუტრიალდა უფროს შვილს ელისო, _ ან თქვენი ერთად ყოფნა და ერთად მოსვლა რას მივაწეროთ?

_ რასაც გინდა იმას მიაწერე... _ ჩაიბურტყუნა რეზიმ.

_ მაინც? _ არ მოეშვა ელისო.

_ მე, მაგალითად, იმიტომ ამოვედი, რომ, _ დაიწყო რეზიმ, _ ნიკას ამბავი მაინტერესებდა, არაფერი იცით, არ გამოჩენილა?

_ შენ ნიკა კი არ გაინტერესებს, მე ძალიან კარგად ვიცი, რაც გაინტერესებს... _ მიახალა ვერიკომ.

_ ჰო, ფული მაინტერესებს, ჰო, მერე? _ აყვირდა უცებ რეზი.

_ არ გამოჩენილა, არც დაურეკავს, არც არაფერი... ფული კი არა, ცოცხალია თუ მკვდარი, ისიც არ ვიცი, ან მე რა უნდა ვიღონო?! სად ვეძებო, როგორ, რანაირად? მაინც რამდენი გჭირდება?

_ ბევრი, _ ჩაიბურტყუნა რეზიმ.

ვერიკო წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

_ სად გავარდა? _ იკითხა რეზიმ დაეჭვებით.

_ არ ვიცი, _ უპასუხა ელისომ.

_ ვერ მიტანს, _ თქვა რეზიმ.

_ აბა რას ამბობ?! _ ეწყინა ელისოს, _ ვერ მიტანს... ისე რა ასატანი შენა ხარ, კაცმა რომ თქვას? რაც თავი მახსოვს, მარტო დარდი და პრობლემები შემოგაქვს ამ ოჯახში, ერთხელ არ მახსოვს სიხარული შემოგეტანოს.

ახლა უკვე ირაკლი აკვირდებოდა ყურადღებით ახლობლებს.

_ ბახ! ბახ! _ გაისმა ამ დროს სოლომონის ხმა, _ მოგკალი, მოგკალი, მოკლული ხარ! _ და რაღაცის დაცემის ხმა გაისმა.

_ მიშველეთ! _ მოისმა ვერიკოს ბღავილი.

სამივენი სამზარეულოდან გამოცვივდნენ. ვერიკო დაბლა ეგდო, ზემოდან კი სოლომონი ეჯდა და სათამაშო ხმალს უღირებდა.

_ დახუჭე თვალები, თვალები დახუჭე! _ დაჰკიოდა მაღლიდან ცოლს სოლომონი.

_ მიშველეთ! მთლად გადაირია ეს უბედური! _ შეეხვეწა შვილებს ვერიკო.

ბიჭებმა ძლივს ააგლიჯეს მამა დედას. ის კი მაინც თავისას გაჰკიოდა.

_ მე გავიმარჯვე, მე გავიმარჯვე! მოვკალი, მოვარტყი, გავიმარჯვე!

_ კაი, ჰო, გაიმარჯვე, შენ გაიმარჯვე! _ ამშვიდებდნენ მამას ბიჭები.

_ კიდე რა, კიდე ვითამაშოთ? _ შეეხვეწათ სოლომონი.

_ კარგი, კარგი! წადი, დაიმალე! _ უთხრა ირაკლიმ და თავის ოთახისკენ მიუთითა. სოლომონიც მაშინვე შევიდა და დაიმალა. ირაკლიმ კარი გადაუკეტა.

ვერიკომ რაღაც პატარა ზარდახშა დადო სამზარეულოს მაგიდაზე და გახსნა.

_ აი, შვილო, აი, ესაა სულ, რაც გადავარჩინე... _ თქვა და ყუთიდან ერთი ოქროს საათი ამოიღო, თავისი სამაჯურით და ერთიც გულსაბნევი, რომელსაც თავთავის გამოსახულება ჰქონდა და, როგორც ჩანს, ისიც ოქროსი იყო. _ ეს ერთი ნიკას მომავალი ცოლისთვის მქონდა გადანახული, _ თქვა საათზე და სამაჯურზე. _ ეს თავთავი კი შენი

მეუღლისთვის, _ ხელში აიღო ოქროს თავთავი ვერიკომ, _ შენს მეუღლეს ხომ ვაჩუქე, ჩემი ქორწინების ბეჭედი, ბაჯაღლოსი? _ მიუბრუნდა ის რეზის.

_ კი... _ ჩაილაპარაკა რეზიმ, _ ეს მე ვერაფერს მიშველის. მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა... _ და უცებ ამოთქვა სათქმელი, _ მე ხომ მეკუთვნის ჩემი წილი ამ სახლიდან?

სამივე ადგილზე გაქვავდა, ირაკლიც. ისიც კი არ მოელოდა რეზისგან ასეთ რამეს.

_ მერე? _ ამოღერღა ვერიკომ.

_ კი ბატონო, მობრძანდი და იცხოვრე! _ უთხრა გაკვირვებულმა ელისომ შვილიშვილს.

_ არა, მე მაგას არ ვგულისხმობდი... _ ჩაიბურდღუნა რეზიმ.

_ აბა, რას გულისხმობდი? _ შეეკითხა ვერიკო.

_ სახლი რომ გაყიდულიყო და ჩემი წილი მოგეცათ... _ ჩანდა, რომ სიკვდილი იყო რეზისთვის ამის თქმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო მისთვის უკანასკნელი გამოსავალი, სხვა აღარაფერი...

_ და ეგ გიშველის გგონია? _ გაბედა ისევ დუმილის დარღვევა ელისომ, _ ორ-სამ თვეში მაგასაც შეჭამ და მერე?

და ამ დროს, არცერთი რომ არ მოელოდა.

_ არც მე მაწყენდა, სხვათა შორის, ჩემი წილი, არც მე ვიტყოდი უარს... _ თქვა ირაკლიმ და გაიცინა.

ვერიკოსთვის ეს უკვე მეხის გავარდნა კი აღარ იყო, ეს მეხის დაცემა და ნამდვილი, თავზარდამცემი კატასტროფა იყო.

_ ანიმაც რომ თავისი წილი მოითხოვოს, ჩვენ სად წავიდეთ, მერე? ჩვენ ხომ უბინაოდ დავრჩებით, ვის მივეკედლოთ, ვის შევაფაროთ თავი? ჩვენ ხომ იმ ფულით, რაც დაგვრჩება, აღარაფერი მოგვივა? _ იკითხა მან და შვილებს მიაშტერდა.

ბიჭები დუმდნენ. იმ დღეს ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

_ მიდი, აბა, მოუყევი! _ უთხრა ძერას ბერდიამ, როგორც კი რეზიმ არყის პირველი ჭიქები შეავსო. ისინი, საბურთალოზე, მეტრო დელისის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი კორპუსის შიდა ეზოში, სამეზობლო ფანჩატურის ხის სკამებზე ისხდნენ და თავიანთ, ყოველდღიურ რიტუალს შედგომოდნენ, _ შენ კიდევ, კარგად დაუგდე ყური!

_ ამ ცოტა ხნის წინ, მარნეულში, იქაური პოლიციის უფროსის სახლში ვმუშაობდით მე და სევდა. სევდა ხომ იცი?

_ მაშ ვინღა ვიცი? _ ჩაიბურდღუნა რეზიმ.

_ მაშინ ახალი გამოსული იყო ციხიდან. ჰოდა, კაფელსა და მეტლახს ვაგებდით, რა? გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ და იქვე, ერთ ოთახში გვეძინა. დაწვებოდა, ეს ჩემალალა, ეს სევდა ტახტზე... ტახტზე ეძინა, რა... ამოიდებდა თავქვეშ ხელებს და ოცნებობდა. რაზე იოცნებებდა?

_ ფულზე, სხვა რაზე? _ უპასუხა რეზიმ.

_ ჰო, ახლა, რომ ამდენი და ამდენი მომაპარინა. მოდი, ეს გავძარცვოთ და, მოდი იმას თავში ჩავარტყათ და, მოკლედ, ტვინი მქონდა შეჭმული, მარტო ფულზე ლაპარაკობდა, იწვა და ოცნებობდა.

_ მაშ რაზე უნდა ეოცნება, ქალებზე? _ გაეცინა რეზის.

_ მოუსმინე, მოუსმინე! _ უთრა ბერდიამ.

_ ჰოდა, ვიმუშავეთ, რა... დაახლოებით, თვენახევარში მოვრჩით. კაი დიდი სახლი იყო. და ორივეს სულ იქ, იმ ოთახში გვეძინა. მოკლედ, დავამთავრეთ, დავლიეთ იმ დღეს, ერთად, დავილოცეთ რა... ჩავალაგეთ, ჩვენი იარაღები, ტანისამოსი, რამე-რუმე,

ყველაფერი და უნდა “გავრაშჩოტდეთ”... ჰო, ამ პოლიციის უფროსმაც ჩვენთან ერთად დალია, რა? და წამოდით, მოგცეთ თქვენი ფულიო... შევიდა ამ ჩვენ ოთახში, სადაც ჩვენ გვეძინა და იმ ტახტს ახადა, რომელზეც ეს სევდა იწვა ის თვენახევარი. ჰოო, გეფიცები... სავსე იყო ის ტახტი ფულით, სავსე, ზედ ეძინა თურმე ამ სევდას, მთელი თვენახევარი ფულზე ეძინა, თურმე, და ის კიდევ იწვა და ოცნებობდა... აბა?

ძერამ მაგარი რამე მოყვა, მაგრამ სწორედ ისეთ მომენტში მოყვა, რომ თქმა არ უნდა, სადღაც სულ სხვაგან უკაკუნებდა... ამიტომაც იკითხა რეზიმ.

_ მერე?

_ ხომ არ აგვეკითხებინაო? _ მიაცქერდა რეზის ბერდია.

_ რა ვიცი, იქნებ იქ ინახავს დღესაც ის კაცი ფულს? _ დააყოლა ძერამ.

_ მიდი, გამოიყვანე შენი ტრანგალეტკა და დავახვიოთ! _ რეზის პასუხს უცდიდა ბერდია.

_ ცხოვრებაში არაფერი მომიპარავს და ახლა ვჭამო დედიჩემისა? _ იუარა რეზიმ.

_ რა? ჩვენ თუ ეს გამოგვივიდა? _ არ დაეთანხმა ბერდია, _ “სპრავედლივოსტი” იზეიმებს, სხვა რა!

_ მოიცა რა, გამომიხვედი შენც არსენა ოძელაშვილი! _ ხელი აუქნია რეზიმ.

_ ჩვენ შენთვის, ძმაო, შენა ხარ გაჭედილი, შენ კარგავ სახლ-კარს, ჩვენ კი არა... _ ჩაიბურდღუნა ბერდიამ.

_ ორი სახარება... _ მიუჭახუნა ჭიქა ძერამ ბიჭებს.

მეორე დილას, სამივენი რეზის მანქანაში ისხდნენ და მარნეულის გზაზე მიჯანჯღარებდნენ. რანაირად აპირებდნენ იმ ფულის წამოღებას, წარმოდგენა არ ჰქონდათ. ერთი-ორი დღე ვალივეროთ და გამოჩნდებაო, გადაწყვიტეს. ნასესხები ასი ლარი ედოთ ჯიბეში და მაგარ გულზე იყვნენ.

მარნეული, აზერბაიჯანელებით დასახლებული, ერთი პატარა, ტალახიანი ქალაქია, თბილისიდან ორმოც, ორმოცდაათ კილომეტრში, სადაც რვასართულიანი “ხრუშჩოვკებიც” კი დგას, მაგრამ ძირითადად, მაინც ერთ და ორსართულიანი, უაივნო, რაიონული ტიპის, ქვიტკირისა და აგურის სახლები ჭარბობს. აი, სწორედ ასეთი ორსართულიანი აგურის სახლი გაურემონტებიათ ძერას და სევდას, რომელიც მთავარ ქუჩაზე ბაზრის გვერდზე იდგა. სახლი ძერამ კი ადვილად იცნო, მაგრამ იმდენი ხალხი ირეოდა, ეტყობა მიცვალებული წევსო, დაასკვნეს ბიჭებმა.

_ აუ, ნაღდად იმ ტახტზე იწვება, ფული რომელშიც არის, აი, ნახეთ თუ არა, _ მაგრად გაუტყდა ბერდიას.

_ ქელეხში ჩამოვსულვართ, _ ჩაილაპარაკა ძერამ.

_ მოიცა, ქართველები არიან თუ თათრები? _ ახლაღა დაინტერესდა რეზი.

_ ქართველები, ტო, რა თათრები, _ უპასუხა ძერამ.

_ აბა სულ თათრები რომ შედიან და გამოდიან? _ იკითხა რეზიმ.

_ ამდენი ხალხი, მიცვალებული, ეე, ესენი ერთ კვირას მაინც იგლოვებენ.

_ გააჩნია ვინ არის მკვდარი, იქნებ ასი წლის მოხუცებულია? _ იკითხა ბერდიამ.

_ ჰოდა, გავიგოთ რაღა... _ თქვა ძერამ, _ მიდი, აბა, აიმ მაღაზიასთან მიაყენე.

ასეც მოიქცნენ. ძერა გადახტა, შევიდა მაღაზიაში და იქიდან ასეთი ამბავი გამოიტანა.

_ ის მომკვდარა, ტო, ის პოლიციის უფროსი. გელოდი შავიშვილი. ხვალ ასაფლავებენ.

_ ბედი გინდა, რა... ერთი-ორი დღე დაგვლოდებოდა, რა მოხდებოდა? _ გაუტყდა რეზის, _ ესეც დაითარსა, მოკვდა, ტო, დაუმიზნა...

_ მოიცათ, რა? გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს! _ გააჩუმა ბიჭები ბერდიამ, _ მოკვდა და მოკვდა, ხომ ვეღარ გავაცოცხლებთ, არა?

_ და რანაირად მოიპარავ იმ ფულს, ქვეყნის ხალხი ირევა, ვერა ხედავთ? _ ხელი ჩაიქნია რეზიმ.

_ თუ გული გულობს? დამიგდეთ ყური... _ ოპტიმისტურად იყო განწყობილი მაინც ბერდია, _ გადავიდეთ, მაგარი მგლოვიარე დავიჭიროთ, შევიდეთ სამძიმარზე და აღარ გამოვიდეთ...

_ ჰოო? იქნებ საფლავშიც ჩავყვეთ? _ გაეცინა რეზის.

_ მაცალე, რა? _ ეწყინა ბერდიას.

_ ჰო, მერე? _ დაინტერესდა ძერა.

_ აზრზე მოდით, რა? ხოშიანი მომენტია... _ აზარტში შედიოდა ბერდია, _ ვითომ კურსელები ვართ...

_ რა კურსელები, ტო, ერთი ათი წლით მაინც იქნებოდა ჩემზე დიდი... _ არ დაუჯერა ძერამ.

_ შენ, იცი, რამდენი წლისას გავხარ, მერე? ვინ მიხვდება მაგას... _ არწმუნებდა ბერდია.

_ კაი, მერე? _ შეეკითხა რეზი, _ რამდენ ხანს დავრჩეთ.

_ რავი, მანამ იმ ტახტს გავჩითავთ, _ ჩაილაპარაკა ბერდიამ.

_ თუ ზედ წევს, მაშინ?

_ ბევრად უკეთესი, ძმები ვიყავით ვითომ და ბოლო ღამე გვინდა ვუთიოთ. შენ გცნობენ? _ შეეკითხა ბერდია ძერას.

_ რას მიცნობენ ამხელა წვერში? მაგრამ ერთი რამე ვერ გავიგე, ღამე რატომ უნდა ვუთიო? რა გაათევს ამხელა ღამეს?

_ დებილია, რა ველაპარაკო... _ გადაირია ბერდია.

_ ტახტში რომ ჩავიხედოთ, _ აუხსნა რეზიმ.

_ მაშინ ვითომ გვიან ჩამოვედით და ათზე ან თერთმეტზე ავიდეთ, _ მოიფიქრა ძერამ.

_ ჰო, ასე აჯობებს, _ დაეთანხმა რეზი, _ შენ სახლი ხომ კარგად იცი?

_ ათიანზე! _ თქვა დარწმუნებით ძერამ.

_ თუ ასე არ აჯობებს? აი, ნახავთ. რას ვკარგავთ? ჰაა, დიდი-დიდი, გამოგვყარონ, სხვა რაა? _ დაასკვნა ბერდიამ.

რა უნდა ეკეთებინა ათ საათამდე, სამ გამოუსწორებელ ლოთს უცხო ქალაქში? ყოველი შემთხვევისთვის, მანქანა დაკეტეს. თუმცა, იმ ჯართის წამღები რომ არავინ იყო, იცოდნენ. ბაზარში შევიდნენ, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ლარიანი ჭაჭა იყიდეს, ერთი ბოთლი, ერთი პური და ერთი კილოც ყურძენი და იქვე, ცარიელ დახლზე დაუწყეს იმ ჭაჭას წრუპვა. საღამომდე თავისუფლად გამოვფხიზლდებითო, თქვეს. სად ეჩქარებოდათ? სვამდნენ, ბაზრობდნენ, ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ და გაჰყავდათ დრო. ჩამობნელდა და ბაზარიც დაიკეტა. რვა იქნებოდა, ალბათ. ისინიც გამოვიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წაუძინეს. ათისთვის გაიღვიძეს, გადმოვიდნენ და თავიანთი ჩამჟავებული სიფათებით, ჭირისუფალს დაეხატნენ. არაყი ჯერ არ გამონელებოდათ და, რა თქმა უნდა, ისევ მთვრალები იყვნენ.

სახლს სიმდიდრისა, მაინცდამაინც, არაფერი ეტყობოდა. რემონტი კი მართლაც ახალი გაკეთებული ჩანდა. ჭირისუფალი, უფრო, ეზოში და სამზარეულოში ფუსფუსებდა. საქელეხო სუფრის სამზადისში იყო მეორე დღისთვის. რამოდენიმე ქალი, მათ გამო, საქმეს ჩამოსცილდა და კუბოს მიუჯდა. სამეულმა კი კუბოს შემოვლა დაიწყო, რომ ქალებისთვის ხელი ჩამოერთმიათ. კუბოს გარშემო, ვაზებში ჩალაგებული

ყვავილები ეწყო. კუბოს თავთან კი პატარა ტაბურეტზე, ხორბლით სავსე ჯამში სანთელი ბჟუტავდა. ჭაღი კი, რომელიც ჭერში ეკიდა, მთლიანად იყო გაჩახჩახებული. დაიწყეს თუ არა შემოვლა, ძერა წაბანცალდა, ერთ-ერთ ყვავილის ვაზას ფეხი წამოჰკრა და გადააყირავა. ყვავილები გადმოცვივდა და პარკეტზე წყალი დაიღვარა.

_ არაუშავს, არაუშავს... _ ქალები წამოხტნენ ტილო შემოიტანეს და იატაკი აწმინდეს.

კაცებმა მოიბოდიშეს, კუბოს შემოუარეს, სკამზე დარჩენილ ქალს ხელი ჩამოართვეს და ოთახის კუთხეში სკამებზე ჩამოსხდნენ.

_ რა კაცი... რა კაცი... _ თქვა ძერამ.

_ როცა უნდა გაეხარა... _ დააყოლა ბერდიამ.

_ რა არი ჩვენი სიცოცხლე, დღეს ხარ, ხვალ აღარა ხარ... _ ჩაილაპარაკა რეზიმ.

_ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... _ თქვა ისევ ძერამ.

_ ჰო, ვერავინ გავექცევით, _ დააყოლა ბერდიამ.

_ ირბინე რამდენიც გინდა, ბოლოს მაინც მიწაში ჩავალთ ყველანი... _ დააყოლა ძერამ.

_ შენ მაგრად უყვარდი, _ უთხრა ძერას ბერდიამ ქალების გასაგონად.

ქალებს მართლაც აინტერესებდათ, ვინ იყო ეს სამი კაცი, ამ შუაღამისას თავზე რომ დაადგნენ, სკამებზე დასხდნენ და წასვლას აღარ აპირებდნენ.

_ სამსახურში კი არ მომაწყო, ერთხელ და ორჯერ? _ ჩაილაპარაკა ძერამ.

_ ეჰ, მარტო შენ? ყველას გულის მოგება უნდოდა... _ ჩაილაპარაკა ბერდიამ.

_ ჰო, მაგარ ვალში ვართ ყველანი, _ დაამატა რეზიმ.

_ სხვა გზა არაა, ღამე უნდა ვუთიოთ... ამით მაინც ვცეთ პატივი, თორემ შენი ვალიდან მაინც ვერ ამოვალთ ჩვენ, გელოდი! _ მიმართა მეტი დამაჯერებლობისთვის მიცვალებულს რეზიმ.

ამის გაგონება იყო და ქალებიდან, რომელიც ყველაზე უფროსი უნდა ყოფილიყო, წამოდგა და გავიდა. იმ დროს მიცვალებულთან უკვე მხოლოდ შინაურებიღა იყვნენ შემორჩენილი და ამიტომ, ამ სამი უცნობი კაცის გამოჩენა და, მით უმეტეს, მათი ჩანაფიქრის განხორციელება, რომ გელოდისთვის ღამე ეთიათ, მისი დაქვრივებული მეუღლის, ციალას გეგმებში სულ არ შედიოდა. ამიტომ თავის ძმა, იასონი, რომელიც ცხვარს ატყავებდა და კაცებთან ცხვრის სხვადასხვა ნაჭრების უპირატესობაზე საუბრობდა, გვერდზე გამოიყვანა და წასჩურჩულა.

_ არ ვიცი, ვინ არიან, ვიღაც სამი კაცია შემოსული, თანაკურსელები ვართო ამბობენ, დასხდნენ და მგონი წასვლას აღარ აპირებენ, ღამე უნდა გავუთიოთო, ამბობენ.

_ რატომო? _ გაუკვირდა იასონს.

_ ეშმაკმა უწყის, რა ვიცი, ამის ვალიდან მაინც ვერ ამოვალთო და იქნებ ამით მაინც ვცეთ პატივიო.

_ აქაურები არიან? _ შეეკითხა იასონი.

_ არა, ჩამოსულები უნდა იყვნენ, აქაურებს ხომ ვიცნობდი...

_ თბილისელები იქნებიან, იმათ იციან ღამის თევა. ხალხი ჩამოსულა და ხომ არ გავყრით? დაანებე თავი, თუკი ვალში არიან, მაშინ ფულსაც დადებენ, ალბათ... თქვენ გამოდით, გამოერიდეთ, იქ ხომ არ ისხდებით. მე, აი, ცხვარი დავკალი, ხორცს დავაბინავებ და შევალ მერე, დაველაპარაკები.

ასე მოილაპარაკეს, აბა, სამძიმარზე მოსულ ხალხს ხომ ვერ გაყრიდნენ მართლაც? და ქალები გამოვიდნენ. ოთახში მხოლოდ მიცვალებული და სამეული დარჩა.

ძერა იმ წამს წამოხტა, ხალიჩა ასწია და ტახტს დააკვირდა.

_ ის არის! _ თქვა და იმწამს უკანვე დაჯდა და აჩურჩულდა, _ ის არის, ტო, ამ ტახტში იყო ის ფული, რა უნდა ვქნათ?

_ კუბო უნდა გადმოვიღოთ და ავხადოთ, სხვა რა? _ იკითხა რეზიმ.

_ არც არაფერი... _ დაუდასტურა ბერდიამ.

_ მაშინ, ჰე, რაღას ვუცდით? _ აჩქარდა ძერა.

_ და არაფერი რომ არ გვაქვს, ჩანთა ან რამე? ფული რაში უნდა ჩავალაგოთ? _ გაიხსენა რეზიმ.

_ მართლა რა, დებილები ვართ სამივენი... არაუჭირს, ჯიბეებში და თუ ბევრია _ უბეებში მერე... _ მოისაზრა ძერამ.

_ ჰო, _ დაეთანხმა რეზი.

ნორმალური ხალხისთვის ეს ყოველივე იქნებ ბოდვასაც ჰგავს, მაგრამ სპირტით დაბინდული ტვინებისთვის რეალობაა, ალბათ...

_ თქვენ ორმა კუბო ასწიეთ და მე კი ტახტს ავხდი... _ შესთავაზა ძერამ, _ უნდა "ვიშუსტროთ", ვინმემ არ შემოგვისწროს... აბა, "დავაი"!

_ მოიცათ, ე-ე, ეს ყვავილები? _ იკითხა რეზიმ.

_ ჰო, მაგრამ ამის გადმოწყობას ერთი წელი მოვუნდებით... _ გამოთქვა თავის მოსაზრება ბერდიამ, _ მოდი, თავთან რომ სანთლიანი სკამი დგას ეგ გადავდგათ მარტო და ფეხებთან რომ ვაზაა. მერე თავში და ბოლოში მოვკიდებთ და ისე ავწევთ.

_ დროზე, ჰოდა! _ მაგრად ჩქარობდა ძერა.

რეზიმ და ბერდიამ სკამი და ვაზა გადადგეს და კუბოს მოკიდეს ხელი. საშინლად ემძიმათ, მაგრამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ასწიეს. კუბოს აწევა და სინათლის ჩაქრობა ერთი იყო. უკუნი სიბნელე ჩამოწვა, მხოლოდ კუთხეში გადადგმული სანთელი ბჟუტავდა ოდნავ, რომლის სინათლე ტახტამდე არც აღწევდა. არ ვიცი, სიჩქარის გამო თუ სიხარბის გამო, ძერამ ტახტის თავს მოკიდა ხელი და ადვილად რომ ვერ ახადა, მთელი ძალით აჰკრა. ახლა კი ისე ადვილად აიხადა, კუბოს შეასკდა, რომელიც იქვე, ტახტის თავზე ეჭირათ ბიჭებს და ხელიდან გააგდებინათ. მერე ეტყობა, კუბოს ერთმა მხარემ ტახტის ნაპირს ჩამოჰკრა, რადგან ამოტრიალდა და გადმოვარდნილ მიცვალებულს ზედ გადაემხო. ჩანს ვაზებიც გადაცვივდა, რადგან ბიჭებს ფეხებზე, აშკარად, შეესხათ წყალი. მაგრამ ძერას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სასწრაფოდ მოაფათურა ხელები ტახტში და ხელთ, რომ მართლაც დაპაჭკული ფულების მსგავსი მოხვდა, იყვირა.

_ იეს, იეს!

იმ ორმაც კუბოს და მიცვალებულს თავი ანება და ტახტს დაეძგერნენ. ნამდვილად ფული უნდა ყოფილიყო, თანაც უამრავი. დიდი სისწრაფით ამოიტენეს ჯიბეები და უბეები, ტახტი დახურეს და ახლა რა ვქნათო, იკითხეს. დავდგათ კუბო თავის ადგილას და "პლეტიო", თქვეს.

სანთელი დაანათეს და დაინახეს, რომ კუბო ამოტრიალებული ეგდო, მიცვალებული კი ყვავილებში და წყალში თავდაღმა. სიჩუმეში, კიბეებზე ნაბიჯების ხმა გაისმა.

_ უნდა მოვასწროთ! _ თქვა რეზიმ.

იმან და ბერდიამ კუბოს მოკიდეს ხელი და ტახტზე დადგეს, ძერამ კი მიცვალებულის აღება და კუბოში ჩადება გადაწყვიტა. რისთვისაც ხელები იღლიებში შეუყარა და ასწია.

სწორედ ამ დროს მოვიდა სინათლე და ოთახი გააკაშკაშა.

კარებში იასონი იდგა, რომლის თვალებსაც შემდეგი სურათი წარმოუდგა.

კუბოს თავსა და ბოლოში რეზი და ბერდია იდგნენ და შეშლილი სახეებით მისჩერებოდნენ. ხოლო გულხელდაკრეფილი მიცვალებული ფეხზე იდგა და ორი თავი ება. უცბად, ასე წარმოიდგინა იასონმა, რადგან ძერას ტანი, მიცვალებულის ტანს ჰქონდა დაფარული. მკვდრის ფერი დაედო იასონს. ხელები გაშალა, რა ხდებაო,

უნდოდა ეკითხა, მაგრამ იმდენად აბსურდულ, დაუჯერებელ და თავზარდამცემ სცენას წააწყდა, რომ პირი კი დააღო, რაღაც ბგერებიც ამოიხრიალა თითქოს, მაგრამ რა თქვა, ვერავინ მიხვდებოდა.

მიცვალებულის ერთმა თავმა კი ჩვეულებრივი ხმით უთხრა.

_ სიბნელეში წამოვედეთ და კუბო გადმოგვივარდა. უნდა გვაპატიოთ. _ მერე ძერამ გვამი "მოგვერდით" კუბოში ჩაუძახა და დააყოლა, _ არაფერია, მაინც მკვდარია და ვერაფერს გაიგებს...

შეძრწუნებულმა იასონმა ახლა იატაკს დახედა, სადაც წყალი, ვაზები და ყვავილები ერთმანეთში არეულიყო. მერე კაცებს შეხედა და შეეკითხა.

_ რა ხდება, რა გიქნიათ ეს, ხალხო?

_ არა, არაფერი, ცოტა ნასვამები ვართ, სანამ მოვიდოდით, ორი სამი ჭიქა წავუქციეთ, გელოდის შესანდობარი... ამიტომ დაგვემართა, ალბათ... _ თავი იმართლა ბერდიამ.

ჯერაც შეშინებული იასონი მიტრიალდა და გავიდა. წავიდა და თავის და მონახა, რომელიც ქალებთან ერთად მხალეულს ამზადებდა. მოკიდა ხელი და გარეთ გამოიყვანა.

_ ადი, ქალო, მიხედე, წაბილწეს, მგონი, მკვდარი... ვიღაც ნახიშტარ-ნაციხარები ჩანან, გამწარებულები თუ ჰყავდა... ცოცხალს რომ ვერ დააკლეს ვერაფერი, ეტყობა, მკვდარზე იყარეს ჯავრი...

_ წაბილწეს? _ გაუკვირდა ციალას, _ ესღა მაკლდა...

_ ისეთი არაფერი უთხრა, უარესი არ ქნან, იქნებ მკვლელებიც არიან, რა იცი... მიდი, მიდი, მიხედე! ამოუყირავებიათ ყველაფერი: ვაზები, ყვავილები... _ მკვდარი რომ გადმოაგდეს, იმაზე აღარაფერი უთხრა, მთლად არ გადაირიოსო.

_ უი, კიდე? _ ციალა მიტრიალდა, კიბე აირბინა და სასტუმრო ოთახში შევარდა.

კაცებს ვაზები წამოეყენებინათ და ახლა შიგ ყვავილებს აწყობდნენ.

_ ვაიმე, რა ხდება ეს? თქვენი ჭირიმე, წადით რა? თქვენ გენაცვალეთ, თუ რამე გაწყენინათ, ჩვენ გვაპატიეთ! _ თითქმის ტიროდა ციალა, _ ძალიან გთხოვთ რა, ნუ გეწყინებათ, მე მაპატიეთ!

კაცებსაც ეს უნდოდათ.

_ სინათლე ჩაქრა, ერთს წამოვკარით ფეხი და სხვებიც გადააყირავა, _ მოიფიქრა ბერდიამ.

_ გასაგებია, კი, ბატონო, კი, ბატონო, ოღონდ ახლა მიბრძანდით! _ შეეხვეწა ციალა.

სამეული თუმც ვერაფერს მიხვდა, მაშინვე მიატოვეს იქაურობა. ეზოს გასცდნენ თუ არა, რეზის "ტრანგალეტკისკენ" გიჟებივით გაიქცნენ. ჩასხდნენ და იმწამს ჯიბეებიდან ფულების ამოყრა დაიწყეს. რეზიმ სინათლე აანთო სალონში და რომ ეგონათ, მილიონერები გახდნენ, რადგან დოლარებისა და ლარიანების პაჭკები დაითრიეს, გაპლუტებულები დარჩნენ... ძველი, რუსული "რუბლის" ოცდახუთიანები და წითელი თუმნიანები აღმოჩნდა. და რეზის გაახსენდა, ერთი დღე რომ მისცეს ოთხმოცდაათიან წლებში ხალხს, ფულის გადასახურდავებლად და უამრავი ხალხი რომ დაიწვა... ეს, სწორედ, ის ფული უნდა ყოფილიყო, გაუქმებული რუსული ფული, ბევრს რომ შეეშინდა დაჭერისა და არ გამოაჩინა.

_ როდის გააკეთეთ, ბიჭო, რემონტი? _ შეეკითხა ის ძერას.

_ რა ვიცი, დიდი-დიდი, ორი წელი გასულიყო. _ ამოღერღა დაძმარებულმა ძერამ.

_ ორი წელი? _ წამოიყვირა რეზიმ.

_ რავი, ჰაა-ჰაა სამი... _ ვერ გაიხსენა კარგად ძერამ. _ ამ დამპალს, ალბათ, ახალი და ძველი ფული ერთად ეწყო.

_ მერე ყეყეჩი ხარ, შე ჩემისა? აუ, ისევ გადავვარდი... _ გამწარდა რეზი.

_ რა ყეყეყჩი, ტო... რო ახადა, ხელი ჩაყო და ის ერთი შეკვრა ამოიღო და სხვები თუ გაფუჭებული ფული იყო, რას წარმოვიდგენდი...

_ დედაც ვატირე! _ და რეზიმ ყალბი ფული ფანჯარაში მოისრიალა.

ძერამ და ბერდიამაც მას მიბაძეს და თავიანთი ნადავლისგან გათავისუფლდნენ. მერე თბილისისკენ დაგაზეს, ნიაზასთან ჩაუსხდნენ და ის ნასესხები ასი ლარიც იქ მიაფშვნიტეს. მოკლედ, შინ, როგორებიც მარნეულისკენ მიქროდნენ, ისევ ისეთივე ღარიბ-ღატაკები დაბრუნდნენ.

ნელიკო ოცდაათს კი გადაცილდა, მაგრამ მშვენიერი სწორი ფეხები და ლამაზი თეძოები ჰქონდა. საშუალო ზომის ვაშლის მკერდიც კი, ჯერაც ისევ შემაღლებულად ედგა. ასე რომ ქუჩაში გავლისას, იშვიათად, კაცს თვალი არ გაეყოლებინა და მისკენ არ მიეხედა. სახეს ნაკლს ვერ უპოვიდი და ხშირი, მსხვილი თმაც, როცა შხაპს მიიღებდა და გალამაზდებოდა, მაგრად ამშვენებდა. გემოვნებასაც ვერ დაუწუნებდა კაცი და, აი, სწორედ ასე გალამაზებულმა დატოვა იმ დილას თავისი სახლი, რომელიც ჯერ კიდევ, მართლაც, მისად ითვლებოდა, მაგრამ სამ-ოთხ დღეში კი ვისი იქნებოდა, არავინ უწყოდა. არ დაგავიწყდეთ, რომ რეზი მისი მეორე ქმარი იყო და ნელიკო ამის გამო თუ დაბადებიდან დაჰყვა, კაცებში მშვენივრად ერკვეოდა.

მოკლედ, ტერმინალის დირექტორის კაბინეტში უპრობლემოდ შეაღწია და შესვლისთანავე ისე ოსტატურად შეისწორა მკერდის ამოჭრილი ოვალი, რომ ჟელეთი თმაგადასლოკილმა ბატონმა მალხაზ ცერცვაძემ ნერწყვი დაუფარავად გადაყლაპა.

_ შეიძლება? _ მოხდენილად მიატკუცა ფეხები და ოდნავ გვერდულად გახედა კაცს ნელიკომ.

_ კი, კი, როგორ არა, რა თქმა უნდა, შეიძლება... _ რატომღაც ძალიან აჩქარდა მალხაზ ცერცვაძე, სკამიდანაც წამოხტა და ლამის გაეგება კიდეც.

ნელიკომ ტუჩი ლამაზად მოიკვნიტა და სკამისკენ, მოდელივით, თეძოების რხევით გაემართა. მალხაზს კი ლამის თვალები ბუდეებიდან გადმოსცვივდა. ქალი დაჯდა თუ არა, ტერმინალის დირექტორი ენად გაიკრიფა:

_ არ ვიცი ვინ ხართ, მაგრამ ზეციური ანგელოზივით, რომ ანათებთ და ბრწყინავთ, ამას წყალი არ გაუვა...

ნელიკომ თავისი ლამაზი, მოყავისფრო ტყავის ჩანთიდან, სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა და კაცისკენ გაემართა.

“თუ გადმოიხარა, ნაღდად იძლევა”, გაიფიქრა მალხაზ ცერცვაძემ და მაგიდაზე სანთებელას დაუწყო ძებნა. ქალი მისკენ, მართლაც, მაგრად გადაიხარა და მისი მკერდის თეთრად ამობურცული ძუძუების დანახვაზე, მალხაზს გულს საბოლოოდ შემოეყარა.

_ თქვენ რა, ჩემი მოკვლა გაქვთ გადაწყვეტილი? _ იკითხა მოჯადოებულმა ტერმინალის დირექტორმა და სკამის ზურგს უღონოდ მიესვენა.

_ მე არა და, თქვენ კი, მართლაც უნდა გქონდეთ ჩემი მოკვლა გადაწყვეტილი. _ მიუგო კეკლუცად ქალმა.

_ მართლა? თუ ასეა, ვაღიარებ რომ ნამდვილი სისხლისმსმელი გველეშაპი ვყოფილვარ. ვერ გამოვასწორებ ჩემ შეცდომას?

_ გააჩნია, როგორ მოიქცევით... _ თქვა ქალმა და ფეხი ფეხზე გადაიდო. ამ დროს ერთხელ კიდევ გაიბრწყინა ფეხსქვედა ხორბლისფერმა ხორცის ვნებიანმა დეტალმა და მალხაზს სისხლი საბოლოოდ აუჩქროლა.

_ ვეცდები ძალიან, ძალიან კარგად მოვიქცე, _ თითქოს ის კი არა, სულ სხვა ვინმე ლაპარაკობსო, ვიღაც კაზანოვას ორეული ჩანაცვლებოდა მალხაზ ცერცვაძეს სხეულში.

_ სახლი მაქვს ჩადებული კრედიტში და იმ ფულით შეძენილი საქონელი თქვენს საწყობშია დალუქული... _ რატომღაც დაიმორცხვა თითქოს ქალმა.

_ სულ ეგ არის? _ შვებით ამოისუნთქა ტერმინალის დირექტორმა. _ როცა მოისურვებთ, მაშინ გაგატანთ, როგორ შემაშინეთ!

_ რატომ? _ მაგრად, ძალიან მაგრად გაუხარდა ნელიკოს, მაგრამ არ შეიმჩნია.

_ ისეთი მიუწვდომელი მეგონეთ, მეგონა უფრო რთულად იყო საქმე. ერთი-ორი საათი ხომ გეცლებათ? _ ჩქარობდა, იმიტომ, რომ ისევ ის სხვა ლაპარაკობდა მალხაზ ცერცვაძის პირით.

_ ორი კი... _ კედლის საათს დააკვირდა ქალი.

_ მაშინ წავიდეთ! _ წამოდგა და ისე აჩქარდა, კინაღამ უდიდესი შეცდომა დაუშვა ტერმინალის დირექტორმა.

_ სად? _ ისე მიამიტურად და ისე გულუბრყვილოდ იკითხა ქალმა, რომ მალხაზ ცერცვაძე საბოლოოდ გადარია.

_ სადაც თქვენ იტყვით, თუნდაც ჯოჯოხეთში... _ არა, ნამდვილად ვიღაც სხვა, ვიღაც უცხო ლაპარაკობდა ტერმინალის დირექტორის ნაცვლად.

კი, ნელიკო დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში, მაგრამ ასე იოლს კი მაინც არ ელოდა.

_ არა, ვერ წამოვალ, ჯერ... _ არ იცოდა, როგორ მიენიშნებინა ასე ამჩატებულ და აცეტებულ კაცისთვის ნელიკოს.

_ რა დროს ეგაა, საწყობი სად გაგვექცევა, წავიდეთ, წავიდეთ... _ თქვა კაცმა და პიჯაკი გადაიცვა.

“ან ეს კაცი სადღა გამექცევა?” გაიფიქრა ნელიკომ და კარისკენ ლამის სირბილით გაქცეულ კაცს უკან გაჰყვა.

ტერმინალის ალაყაფის კარი რკინის ლერსზე გასრიალდა და დირექტორის იაპონური ჯიპი გარეთ მთელი სისწრაფით გაიჭრა. აქამდე, ასე-თუ ისე, მაინც დაძაბულად მყოფი მალხაზ ცერცვაძე, ახლა მთლიანად გათავისუფლდა და ქალაქის ცენტრისკენ გაფრინდა.

ალბათ, ცოტა მეტი მომივიდა, თორემ რამ გააცოფა ასე ეს კაციო, ფიქრობდა ნელიკო. მალხაზ ცერცვაძე კი, თავის მხრივ, როგორც ჩანს, ბალზაკის ასაკს არ გადასცილებოდა და იქნებ ამით აიხსნას, სწორედ, მისი ასეთი ბრმა მორჩილება, იმ ორეულისადმი, რომელიც მის ნაცვლად მოქმედებდა და ლაპარაკობდა? შესახედაობას არ უჩიოდა, მაყუთი ჩეჩქივით ჰქონდა, ერთადერთი ცოტა გამოცდილება აკლდა მხოლოდ და იმასაც ვიღაც კარნახობდა. პირველი, რაც ძალიან, ძალიან უნდოდა, ქალისთვის თავბრუ ისე დაეხვია, დიდხანს რომ ვერ მოსულიყო გონზე. მაგრამ რაღაც ხომ უნდა მოემოქმედა ამისთვის? რა? ეს ერთადერთი კითხვაღა აწვალებდა და უცბად, ახლაც გაუნათდა გონება.

_ არ დამიჯერებთ, მაგრამ პირველად ვარ ამ სიტუაციაში, _ ჩაილაპარაკა მან, როცა ცოტა ამოისუნთქა.

_ მაშინ ეგებ შეანელოთ ოდნავ მაინც, თორემ მეშინია სადმე არ გადავიჩეხოთ. შეხედეთ, თითქმის ასოთხმოცზე ავარდა სპიდომეტრი, _ თქვა მთლად გაფითრებულმა ნელიკომ.

_ ასოთხმოცზე? _ თავში დაჰკრა მალხაზს და ოდნავ დაამუხრუჭა. თუმცა, როგორც ჩანს, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მანქანა ჯერ შეჭანჭყარებულიყო და შემდეგ რამდენჯერმე დაბზრიალებულიყო, თან ისე, რომ დაახლოებით ორას

მეტრამდე წინ გასრიალებულიყო და ზედ ბორდურის პირზე, რომელიც ფერდობის გამო გაეკეთებინათ, ცხენივით შემდგარიყო.

_ გადავრჩით... _ ჩაილაპარაკა მალხაზმა, _ სასწაულია, რომ არავის შევასკდით... ხომ არ შეგეშინდათ?

_ ცოტა კი... თქვენ რა, ეს ტრიუკი დამუშავებული გაქვთ? _ ამოთქვა უზომოდ შეშინებულმა ნელიკომ, _ ეს ხომ სუფთა ქართული სიგიჟეა.

_ ალბათ, მაგრამ თქვენისთანა ქალი? ბევრად უარესებსაც ჩაადენინებს ადამიანს... _ რატომღაც გაიღიმა მალხაზმა, რომელიც უკვე ნორმალური სვლით მიდიოდა, _ კარგით, დავივიწყოთ რაც იყო...

_ დავივიწყოთ... სათქმელად ადვილია... _ ჩაილაპარაკა ქალმა.

_ იქნებ რაიმე ინატროთ, მაინტერესებს რას ინატრებდით! _ სცადა ცოტა რეალურ სიტუაციას დაბრუნებოდა კაცმა.

_ უცხო პლანეტაზე ყოფნას... _ ნელიკოს სწორედ ის წამოსცდა, რასაც ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ნატრობდა.

_ წეღან სულ ცოტა დაგვაკლდა, რომ მართლაც იქ აღმოვჩენილიყავით... _ თქვა კაცმა და ორივეს, უეცრად, ლამის ჰომერული სიცილი აუვარდათ. იცინოდნენ, ხარხარებდნენ და გრძნობდნენ, რომ ერთმანეთი იპოვეს. მოდით, აქ გავჩუმდები, რომ იმ უცნაურ მოვლენებს, რომელიც ამ ორ არსებას მოელის, წინ არ გავასწრო. ისე, მართლაც, რა არ ხდება ქვეყანაზე.

რესტორნის ის ლამაზი და პატარა კუპე, რომელშიც ეს ორი არსება მაგიდასთან მოთავსდა, ქალაქის შუაგულში მდებარეობდა. ჩამოსხდნენ თუ არა, ერთმანეთს ჩახედეს თვალებში და მიხვდნენ, რომ ერთმანეთი იპოვეს. არა, არ იყო აქ ლაპარაკი, არც სიძვაზე, არც სექსზე, არც სიყვარულზე... ჰო, რომ იცოდეთ, ეს რაღაც ბევრად მეტი იყო, ვიდრე ის, რასაც სიყვარული ჰქვია. ჩაჰყურებდა ნელიკო მენიუს და ვერაფერს ხედავდა, ასოები ერთმანეთში ირეოდნენ, სიტყვებს კი კითხულობდა, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა.

_ არ ვიცი, რა დამემართა, ვერ ვკითხულობ... _ უთხრა მან ვაჟს და მენიუ მიაწოდა.

ოფიციანტი მაგიდასთან იდგა და მოთმინებით იცდიდა.

მალხაზმა მენიუ დაკეცა და ოფიციანტს მიაწოდა.

_ მოგვიტანეთ ყველაფერი საუკეთესო, პირველიც, მეორეც, მესამეც... რაც კი რაიმე დელიკატესი გაქვთ... ჰო, და ერთი ბოთლიც წითელი ღვინო, ყველაზე ძვირფასი.

_ ყველაზე ძვირფასი? ერთი ბოთლი რვაასი ლარი ღირს...

_ ჰო, სწორედ ეგ...

_ გასაგებია, _ თქვა მრავალმნიშვნელოვნად ოფიციანტმა და შეკვეთის შესასრულებლად გატრიალდა.

ვაჟმა ხელი მაგიდაზე დადო. ქალმა, თითქოს ამ მომენტს ელოდაო, მაშინვე დააფარა მის ხელს თავისი მტევანი. ვაჟი გადაიხარა და ქალის მტევნის ზურგს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეახო ტუჩები. მტევანი შეკრთა და ღონივრად მოუჭირა თითები ვაჟის ხელს, თითქოს, დახმარებას ითხოვსო, როგორც პატარა, უმწეო, პაწაწინა ღობემძვრალა ჩიტი.

_ სულ გადამწვარა თუნდაც მთელი საწყობი და ყველა ტერმინალიც ერთად მსოფლიოში... _ თქვა მალხაზმა და სიგარეტი გააბოლა.

_ ასე მგონია, ამ წუთას დავიბადე... _ თქვა ქალმა, ვაზაში ჩაწყობილი ფორთოხლებიდან ერთ-ერთი ამოარჩია, გაფცქვნა, ნახევარი ვაჟს დაუდო ლარნაკზე, ნახევარი კი მთლიანად ჩაიდო პირში და გადასანსლა, _ მგელივით მშია. შენ?

_ მეც... _ თქვა ვაჟმა.

იმ საღამოს, რესტორან “თეთრ გედში” შეყვარებულებს ზღაპრული სუფრა გაუწყეს. მაგიდაზე ჩინური, იაპონური, ქართული თუ იტალიური დელიკატესები დაახვავეს, თუმცა კერძების დასახელებები, რომლითაც ის ულამაზესი სუფრა იყო გაწყობილი, ჩემს ძალებს აღემატება. ამიტომ შევეცდები, იმ ემოციებზე გესაუბროთ, რომელიც იმ საღამოს ჩვენი ახლადგაცნობილი მეუღლეების განწყობილებიდან, ნიაგარის ჩანჩქერივით ჩქეფდა და გადმოჩქეფდა.

როგორც კი პირველი ჭიქა მოსვა, მალხაზს რესტორნის კუპე ეპატარავა.

_ ისე, რას ვაკეთებთ ამ პატარა კამერაში? ვის ვემალებით? _ იკითხა ვაჟმა.

_ არ ვიცი... _ თქვა ქალმა.

_ მართლა, რა გქვია? _ შეეკითხა ქალს ვაჟი.

_ ნელი, _ უპასუხა ქალმა, _ შენ?

_ მე მალხაზი. ნელი და მალხაზი, რაღაც ძალიან ძველმოდურად ჟღერს, არა?

_ ისე ნელიკოს მეძახიან, _ თქვა ქალმა.

_ მე კი მახოს. მახო და ნელიკო, ამას უკვე არაუშავსრა...

კუპეში ტანგოს მელოდია შემოიჭრა. ქალ-ვაჟმა ხელი ერთმანეთს ჩაჭიდეს და გარეთ გამოვიდნენ. დარბაზი სავსე აღმოჩნდა. პატარა სცენაზე ცოცხალი “ბენდი” იდგა და ვიღაც, უმოკლეს “მინში” გამოწყობილი, თოჯინის მსგავსი ზანგის ქალი, სიმღერას ნამდვილი აფრიკული ტემპერამენტით ასრულებდა. ტანგო, მილიონების საყვარელი მელოდია, მილიონი ორანჟირებით შესრულებული და მოსმენილი, მილიონი წყვილის ბედის გადამყვეტიც, ალბათ... ახლაც თავის მიზანს აღწევდა. წყვილი ბანგმოკიდებულივით დაბორიალობდა სხვა წყვილთა შორის და თავდავიწყების ტკბილ ბურუსში ეხვეოდა... ზანგის ქალის ჩახლეჩილი ბანი დარბაზის კადლებს ტალღებივით ეხლებოდა და მოცეკვავე წყვილებს შეუმჩნეველი სერპანტინების ხაფანგში აბამდა. მუსიკა გათავდა. მახომ იქვე ახლოს თავისუფალი მაგიდა შენიშნა, ქალს ხელი მოკიდა, მაგიდისკენ წაიყვანა და დასხდნენ.

_ ჩვენ რომ აქ არ ვზივართ... _ წაიკეკლუცა ნელიკომ.

_ ვითომ? _ იკითხა მალხაზმა, _ მე კი მეჩვენება, რომ ყველა მაგიდა ჩვენია, და საერთოდ, მთელი სამყაროც... ასე არაა?

_ კი, კი, გეთანხმები... გაგიჟება შეიძლება... _ ჩაილაპარაკა ქალმა.

მალე მათთან ოფიციანტი მიიჭრა.

_ გული გამიხეთქეთ, რა ხანია გეძებთ... _ თქვა მან და დააყოლა, _ გაგიახლოთ, ხომ?

_ კი, და ცოტა ჩქარა! _ უბრძანა მალხაზმა.

_ ახლავე იქნება! _ უპასუხა ოფიციანტმა და გატრიალდა.

წყვილი დარბაზში მყოფთა სახეების თვალიერებამ გაიტაცა. ნელიკოს აღარც ახსოვდა, როდის იყო ბოლოს რესტორანში. ხალხის სიჭრელემ გააკვირვა. თურქი, ჩინელი, ამერიკელი, რუსი თუ ყაზახი, ყველა ეროვნების ხალხს მოეყარა დარბაზში თავი...

_ ხალხს ფული არა აქვს, რესტორნები კი სავსეა... _ ჩაილაპარაკა ნელიკომ, უკვე გვარიანად გაცვეთილი ფრაზა.

_ ინერციით დადიან... _ გაეცინა მალხაზს, _ რაში გენაღვლება? ჩვენ ხომ გვაქვს... _ თქვა და ჭიქები შეავსო, _ იმ წამს, ჩვენ რომ შეგვახვედრა.

_ წამს და მერე მთელ სიცოცხლეს, _ დააყოლა ქალმა და სასმისი დაცალა, _ ნაზი ბუკეტი აქვს, ვეღარ ვიხსნი პირიდან... _ თითქოს მოიბოდიშაო.

_ მეც მომწონს, _ თქვა ვაჟმა და დააყოლა, _ იცი, რა მგონია?

_ რა? _ ლამაზად ასწია წარბი ქალმა.

_ ასე მგონია, შუა ოკეანეში ვწევარ და წყალი აქეთ-იქით მარწევს. რაღაც სასიამოვნოდ, როგორც ნირვანაში.

_ უკვე? _ გაიცინა ქალმა და ვაჟი მიხვდა, რომ "იმის" დრო მოვიდა.

ოფიციანტი იხმო, გადაიხადა და გარეთ გამოვიდნენ.

_ სად მივდივართ? _ იკითხა ქალმა როცა ვაჟმა ძრავი ჩართო.

_ ეგ მე ვიცი... _ უპასუხა მახომ და აქსელერატორს მიაჭირა.

_ ნელა იარე! აღარსად გვეჩქარება... _ უთხრა ქმარს მკაცრად ცოლმა.

_ შენ არ გეჩქარება, მე მეჩქარება, _ ჩაილაპარაკა მალხაზმა, _ მე ძალიან მეჩქარება.

_ მეც, რომ იცოდე... _ აღიარა ქალმა.

_ ნეტავ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? _ იკითხა კაცმა.

_ იმას, რომ ჩვენი ბედი ზეცაში იწერება და არა აქ, მიწაზე... _ თქვა ქალმა.

მალე ქალაქს გაცდნენ და ქალმა შენიშნა, რომ ქუჩის გამყოლი ზოლი გამქრალიყო და აღარც ლამპიონები ანათებდა.

_ მაინც სად მივდივართ, არ იტყვი? _ იკითხა ცნობისმოყვარედ ქალმა.

_ ბებიაჩემთან... _ უპასუხა სერიოზულად კაცმა, სვლა შეანელა და მობილური აიღო. სახელი მოძებნა და ზარი გაუშვა, _ სოფიკო, გძინავს? მახო ვარ.

_ ჰო, მშვიდობაა? _ იკითხა ქალმა.

_ კი, მშვიდობაა. მაგრამ პატარა სიურპრიზი მაქვს შენთვის. ნახევარ საათში მანდ ვიქნები.

_ ოჰო! _ თქვა ქალმა, _ კაი გელოდები.

_ ბებიას ელაპარაკე, მართლა?

_ აბა ვის?

_ ასეთი ახალგაზრდა ბებო გყავს?

_ კი, მთლად ახალგაზრდა. ორმოცდახუთისაა.

_ მერე, ჩემს დანახვაზე გული არ გაუსკდება?

_ პირიქით, მაგრად გაუსწორდება, აი, ნახავ...

მანქანამ მთავარი გზიდან გადაუხვია.

ქალი დიდი დაკვირვებით იხედებოდა ფანჯარაში. მთვარიანი, გრილი, სასიამოვნო ღამე იყო, ერთ-ერთი იმათგანი, შემოდგომობით რომ იცის ჩვენში. გზა აღარ იყო ასფალტით მოკირწყლული და აღარც სწორი. მანქანა ოდნავ შემაღლებულზე, ბექობიან გზაზე მიდიოდა. ახლო-მახლო სახლებიც მოჩანდა, პატარა, სუფთა, ხეხილიანი ეზოებით. რაღაც კაკლების პატარა ჩრდილოვანი აიარეს, ვიწრო ჩიხში შეუხვიეს და გაჩერდნენ. მახომ შუქფარები აათამაშა. მანქანის წინ, ალაყაფის კარი გამოჩნდა, რომელიც ნელა და მძიმედ გაიღო. კარს საშუალო, შუახანს გადაცილებული, ლამაზი, მრგვალი სახის ქალი აღებდა, რომელიც ფარების შუქის გამო, თვალებზე ხელს იჩრდილავდა. მანქანა ეზოში შევიდა და გაჩერდა.

_ მოვედით. _ თქვა ვახომ, _ გაგიჟდება ბებიაჩემი... მოკლედ, მოტაცებული ხარ, ხომ გინდოდა?

_ კი, ძალიან! _ მართლაც, აღტაცებით წამოცდა ქალს.

მანქანიდან გადავიდნენ.

_ ჩემი სიხარული, ჩემი გვრიტი... _ მოეფერა ახალგაზრდა ბებია შვილიშვილს და ქალს შეხედა.

_ აი, მოვიყვანე! ტვინს რომ მიხვრეტავდი დღე და ღამე... _ ვახომ ბებოს ნელიკოზე ანიშნა.

ქალმა ახედ-დახედა დაბნეულ რძალს, რომელიც მანქანის ცხვირთან იდგა და არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. რძალს, რომელსაც ორი პირი ქმარ-შვილი უკვე

ჰყავდა და ახლა მესამედ თხოვდებოდა... მართალია, ბებიამ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა, მაინც იგრძნო ქალური გუმანით, რომ თუმცა ქალი მშვენივრად გამოიყურებოდა, რაღაც ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. მისვლით კი, მივიდა და გადაკოცნა.

_ წამოდით, წამოდით! _ თქვა მან და ახლადგამომცხვარ ცოლ-ქმარს სახლისკენ გაუძღვა.

მიხვდით, ალბათ, ეს არ იყო, ბებია, იმ გაგებით, როგორც ეს, სამოციან წლებამდე კიდევ მოდიოდა. ეს იყო, უკვე ის ბებია... (მახოს ბებოზეა საუბარი, სოფიკოზე), რომელიც თმებსაც იხვევდა, რომ იღებავდა, თავისთავად, ახალგაზრდობდა კიდეც და, თუ სჭირდებოდა, თავსაც აწონებდა კაცებს. თუმცა, ათი მცნების იმ ქვეპუნქტს, რომელიც ღალატს ეხება, არღვევდა თუ არა, ვერ გეტყვით. მოკლედ, სოფო პირდაპირ, თავის განთმულ მარანში შეუძღვა ქალ-ვაჟს. ჰო, სულ დამავიწყდა. სოფო, ამ ძნელ-ბედობამ გადმოაგდო სოფელში, თორემ მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა, კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და ტელევიზიაშიც კი მუშაობდა, მცირე ხანს, მუსიკალურ გამფორმებლად. ქმარი, ანუ მახოს პაპა, რომელიც სოფიკოზე ათი წლით მაინც იყო უფროსი, ჟურნალისტი გახლდათ, რამოდენიმე დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღეს მისი სცენარით... ჰოდა, როგორც კი აირია ქვეყანა, რადგანაც საშინელი ემოციური კაცი იყო, დაადო თავი და იმ ქვეყნად გადასახლდა. მაშინ ძალიან ბევრი წავიდა ასე, ბევრზე-ბევრი ქართველი, ვისაც ყველაზე მეტად სწყუროდათ დამოუკიდებლობა. სოფიკომ ნელიკოს შეხედა თუ არა, იმწამს მიხვდა, რომ მისი შვილიშვილისთვის ქალის სილამაზეს დაეხვია თავბრუ. აი, ქალს კი რა უნდა დამართნოდა და რატომ გაცოფდა ასე მახოზე, ამას როგორ მიხვდებოდა და, აკი, ვერც მიხვდა.

არც მარანი გახლდათ ჩვეულებრივი, იმ ძველი გაგებით, როგორც ჩვენს წარმოდგენაშია. მარანი, მართლაც, არაჩვეულებრივი ჰქონდა სოფიკოს. ორი ბუხრით, რომლებიც გამუდმებით ღუღუნებდნენ. გერმანული როიალით, იაპონური ბილიარდით და, რაც ყველაზე მთავარია, გიტარით, სოფოს განუყრელი მეგობრით. ახლაც, როგორ მოასწრო და რანაირად, ვერ გეტყვით, ორივე ბუხარი უკვე ბრიალებდა და ბუხართან მდგარი, დაბალი, მოგრძო მაგიდაც, ახალგაზრდებს ქარვისფერი რქაწითელით, გუდის ყველით, შოთებით და ჯონჯოლისა და კომბოსტოს ვარდისფერი მწნილით გაწყობილი დახვდათ. რა თქმა უნდა, ხაჭაპური, ცივად მოხარშული დედალი და ნიორ-წყალი, თავისთავად იგულისხმება. მოკლედ, სოფომ შვილიშვილს “მიდი-მოვდივარო” სუფრა დაახვედრა და მაგრადაც შეუბერეს. როგორც კი სუფრას მიუსხდნენ, ქალებს შორის ისეთი იდილია დამყარდა, თითქოს ნახევარი ცხოვრება ერთად ჰქონოდათ გატარებული. ხოლო, როცა ნელიკო ფორტეპიანოს მიუჯდა და “ყვავილების ნამქერი” წამოიწყო, სოფიკოს გული საბოლოოდ მოიგო. რა ამღერებდა ქალს, რომელიც, ჯერ კიდევ, სულ ახლახანს, ყველაზე უბედურ, ყველაზე განადგურებულ ქალად თვლიდა თავს? ალბათ, სიყვარული, რომლითაც ის ლამაზად გაწყობილი, თანამედროვე მარანი, ერთიანად გაჟღენთილიყო. გარშემო ყველაფერი, სულ ყველაფერი სიყვარულის ალით აბრიალებულიყო: კედლებიც, ჭაღებიც, ჭერიც, იატაკიც და თვითონ საჭმელიც, რომლითაც ასე გულიანად ილუკმებოდნენ ჩვენი სტუმარ-მასპინძელი.

უკვე გარიჟრაჟებულიყო, როცა მახო წამოდგა.

_ სოფო, ჩვენ ავალთ, დავიძინებთ... _ თქვა მან და ცოლს ხელი გაუწოდა.

_ კი, კი... _ თქვა სოფომ, _ ადით, ლოგინი გაშლილია.

მარნის კარი გაიღო და ქალ-ვაჟი გარეთ გამოვიდა. ჩვეულებრივი, ქართული შემოდგომის ოდნავ სუსხიანი დილა თენდებოდა. აქა-იქ მამლის ყივილი ისმოდა, აქა-იქ ძაღლის ყეფა... მართკუთხა მარმარილოს კიბის საფეხურები აიარეს და ლამაზად მოჩუქურთმებულ აივანზე ავიდნენ.

მოკლედ, როცა ხელჩაკიდებულმა ორმა საწინააღმდეგო სქესის არსებამ საძინებელი ოთახის კარი შეაღო, ორივე ფანჯარა გამოღებული, ხოლო, მაგიდაზე, ლამაზ, ცისფერ ვაზაში, ახლად მოწყვეტილი ვარდების დიდი თაიგული დახვდა. ჰაერიც მთლიანად ვარდის მძაფრი სურნელებით გაჟღენთილიყო.

მარჯვნივ, ძველებური ჩუქურთმიანი კაკლის ხის კომოდი იდგა. მარცხნივ კი ასეთივე დიდი, მაღალი სარკე. წყვილმა, რატომღაც ხელი გადახვია ერთმანეთს, მივიდა და სარკეში ჩაიხედა. იქიდან ორი ლამაზი სახე შემოსცქეროდათ, დაახლოებით ისეთი, ძველ, მეცხრამეტე საუკუნის ფოტოებზე რომაა. და უცბათ ერთმანეთი საშინლად მოუნდათ, ისე, როგორც არასდროს, არავის, არავინ მონდომებია. ერთმანეთისკენ შეტრიალდნენ და ისეთი გახელებით დაუწყეს კოცნა, თითქოს უნდა მოასწრონო... ვაჟმა ქალის კაბას ქვემოდან მოკიდა ხელი და გადააძრო. მერე დახედა და ძუძუების სუნთქვამ გადარია. ქალის მკერდი გალიაში დაჭერილი ჩიტივით თრთოდა და ფეთქავდა.

_ ღმერთო! _ აღმოხდა ვაჟს, ქალი საწოლზე მიაწვინა და ძუძუებს ისეთი ძალით დაუწყო სრესა, რომ ქალმა ოდნავ შეჰკივლა კიდეც და თავი გადააგდო... სიტკბოება, რომლითაც ზეცა აჯილდოვებს ამ დროს შეყვარებულებს, ორივეს სხეულს ცეცხლივით მოსდებოდა. მოკლედ, მათთვის, როგორც ამ დროს ხდება, აღარც სამყარო არსებობდა, აღარც წარსული, აწმყო თუ მომავალი, ყველაფერი ერთიანად ვნების აღტკინებულ ჟინს და სურვილს წაელეკა, ჩაენთქა და ერთ მთლიან, ველურ, ცხოველურ აქტად ექცია.

სოფიკოს, რომელსაც მარანში ჩამოსდიოდა ძველი საწოლის ჭრაჭუნის და რიტმული რაკარუკის ხმა, არ ეძინა. თვალგაშტერებული ჭერს მიშტერებოდა და შეშფოთებული პირჯვარს იწერდა, “ღმერთო, კეთილად მიმყოფეო”, იმეორებდა და სიყვარულის მარადიულ ჰიმნს გასუსული აყურადებდა.

ბოლო, ვნებიანი ამოხვნეშ-ამოკივლებები და შეყვარებულები რეალობას დაუბრუნდნენ. ისევ გაჩნდა სამყარო, თავის მზით, მთვარით და ვარსკვლავებით. ისევ მოედო ოთახს ვარდის ფურცლების მძაფრი სურნელი და ისევ შემოვიდა გარედან მამლის ხმამაღალი ყივილი.

_ ეს ჩვენი მამალია, იცი, რა მაგარი ვინმეა? უნდა ნახო, ფრთას რომ დაწევს და დედალს კაი მოცეკვავესავით წრეს დაარტყამს. მოკლედ, მაგარი ვიღაცაა, მერე გაგაცნობ... _ გადასარევ ხასიათზე იყო მახო და არც არაფერი ანაღვლებდა.

მას მერე, არც ერთი აღარავის უნახავს. გაქრნენ. ცოტა უცნაური კი იყო, მაგრამ, მათთან ერთად, სოფიკოც გაქრა. ამბობენ, უცხოეთში გაიქცნენო. ვახო უცოლო იყო და მისი ქცევა, მაინცდამაინც, არავის გაკვირვებია. აი, ნელიკომ კი, ქმარზე აღარაფერს ვიტყვი, შვილები რომ ასე უცნაურად მიატოვა თუ უპატრონოდ დაყარა, ეს მთელ ქალაქს ძალზე დიდხანს აკვირვებდა და აყაყანებდა ანუ აჭორავებდა. იმასაც ამბობდნენ, მახოს ტერმინალის მილიონები ჰქონდა შეჭმული და აქ აღარ დაედგომებოდაო, ვინ იცის, ასეც იყო. მე ახალს ვერაფერს გეტყვით.

რეზიმ დილას რომ გაიღვიძა და ბღავილი ატეხა, ნელიკო შარვალი მომაწოდეო…და ცოლის ნაცვლად სიდედრი გამოეცხადა, ფუი ეშმაკსო, გაიფიქრა და კინაღამ მეორე მხარეს გადაბრუნდა.

_ ნელიკო სად არის? _ იკითხა გამწყრალმა და სიდედრს თვალი აარიდა..

_ არ ვიცი, მთელი ღამე არ მოსულა. გაგიჟებას არაფერი მიკლია... _ უპასუხა დოდომ და შარვალი მიაწოდა.

_ რატომ არ გამაღვიძეთ?

_ მთვრალი იყავი და შემეშინდა ბავშვებს დამიფეთიანებს-მეთქი. _ უპასუხა დოდომ.

_ სად იქნება, სად წავიდა, საერთოდ, არ იცით?

_ წარმოდგენა არა მაქვს... ბაზარში ვიყავი, მოვედი და არ დამხვდა.

_ მე რომელზე მოვედი? _ იკითხა რეზიმ.

_ დაახლოებით პირველზე, ორი იყო დაწყებული...

_ სად იქნება? _ არა, რეზი არ ეჭვიანობდა, ეს საერთოდ არ ახასიათებდა. ამას როგორ გაუბედავდა ცოლი, ხომ გამოჭრიდა კიდეც ყელს. არა, ეს გამორიცხული იყო... მაშ რა ხდება? ჯერ ასეთი რამ არასოდეს მომხდარიყო, ღამე შინ არ გაეთია ნელიკოს... _ როგორ, არც დარეკა, არც არაფერი?

_ არა, _ მოკლედ მოჭრა დოდომ.

_ თქვენ? თქვენ დაურეკეთ ვინმეს?

_ კი, ქეთის ველაპარაკე.

_ მერე?

_ არ ვიცი, არაფერი უთქვამს, მეგონა შინ წამოვიდაო.

_ სხვაგან?

_ სხვაგან რა? პოლიციაში უნდა დამერეკა? _ თვალები აახამხამა დოდომ.

_ ეე, რა ხდება? _ საგონებელში ჩავარდა რეზი.

_ არ ვიცი, არ ვიცი... დილას, რომ გავიდა სამსახურში, რაღაცას ამბობდა, ვიღაც პარლამენტარი უნდა მოვიდეს “პრიმერკაზე”, გამოსასვლელ კაბას იკერავსო... თითქოს, ცუდ ხასიათზე არ იყო?

_ ეგ რა შუაშია, თუ ცუდ ხასიათზე იყო, შინ არ ათევდა თუ რა?

_ საშინელი წინათგრძნობა მაქვს... _ თქვა დოდომ და გულზე დაიდო ხელი.

_ რაღა დროს წინათგრძნობაა? წინათგრძნობა გუშინ უნდა გქონოდათ. უნდა დაირეკოს, პატრულს შევატყობინოთ... ეცოდინებათ, თუ რამე მოხდა...

პატრულს გადაურეკეს, იმათაც ჩაიწერეს მათი ტელეფონი და დააიმედეს, ყველაფერს გაგირკვევთ და გადმოგირეკავთო... ისევ განაგრძეს ახლობლებთან რეკვა... არავინ, ახლობლებსა თუ მეგობრებში, არავინ არაფერი იცოდა. დავიცადოთ, ეგებ სამსახურში მივიდესო, გადაწყვიტეს. სანდრომ გაიღვიძა თუ არა, დედა მოიკითხა. მოატყუეს სამსახურშიაო. მერე, უფროსმა, თორნიკემაც მოიკითხა ნელიკო, ისიც მოატყუეს. ბავშვები სკოლაში გაისტუმრეს. მალე პატრულიდან დარეკეს, ისეთ ქალზე, რა მონაცემებიც მოგვეცით, არავინ არაფერი იცის, არც საავადმყოფოებში აღმოჩნდა, არც პოლიციის განყოფილებებშიო, უთხრეს. გახდა ათი. გადარეკეს სამსახურში, არ მოსულაო. გახდა თერთმეტი, ისევ არ მოსულაო. არა, რაღაც უბედურება იყო მათ თავს, თორემ ტელეფონზე ხომ უნდა დაერეკა ნელიკოს, არ არსებობს... ისხდნენ სიძე-სიდედრი ტელეფონთან და მარჩიელობდნენ... დაახლოებით, თორმეტი ხდებოდა, როცა იმ საბედისწერო ზარის ხმა გაისმა, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. არა, ნელიკოს სახლიდან წასვლა და გათხოვება არაფერ შუაში იყო, სულ სხვა ზარზეა საუბარი. ზარმა რომ დაიწკრიალა, დოდო გიჟივით ეცა ყურმილს, ეგონა ნელიკო იქნებოდა... ბანკიდან დარეკეს, ერთ საათში ფულს თუ არ შემოიტანთ, დღესვე ბინის დაცლა მოგიწევთო. ეს კი უკვე ისეთი წარმოუდგენელი კატასტროფა იყო, რეზი პახმელიაზე რომ არ ყოფილიყო, ნაღდად ტვინში სისხლი ჩაექცეოდა, მაგრამ რადგან ალკოჰოლი, რეაქციას არც ისე ურიგოდ ანელებს, გადარჩა. აი, დოდოს კი გულს

შემოეყარა. ჰო, ნატურალურად შეუღონდა. მოგეხსენებათ, სიდედრი მაინც სიდედრია, რაც არ უნდა უმაღლესი ხარისხის იყოს და რეზისაც გულზე არ ეხატებოდა, თავისი ცოლის დედა... თამაშობს, ნაღდად, ეს ჩემისაო, ფიქრობდა და ჭიქას, რომლითაც სახეში წყალს ასხამდა, მთელი ძალით იქნევდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოასულიერა და თავის საწოლზე მიასვენა.

_ იცით რა? _ მკაცრად უთხრა მან სიდედრს... _ გულის წასვლების და, მით უმეტეს, ავად გახდომის და სიკვდილის დრო, ახლა ნამდვილად არ არის... მაგას აჯობებს, სანამ პოლიცია მოვიდოდეს და ყველაფერს ქუჩაში გადაგვიყრიდეს, ჩვენ თვითონ ჩავალაგოთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და აქედან ავახვიოთ.

_ სად უნდა წავიდეთ, მერე? _ იკითხა მიკნავებული ხმით სიდედრმა.

_ ჩემებთან! _ მოკლედ მოჭრა რეზიმ. ამ ახალმა უბედურებამ, ცოლის უცნაური გაუჩინარებაც კი გადაავიწყა. ძერას და ბერდიას დაურეკა და დახმარება თხოვა. იმათ კი უკვე გადაეხუხათ დილის პორცია და მთვრალები გამოეცხადნენ. მათ დანახვაზე დოდოს კინაღამ მეორედ გაუხდა ცუდად გული, “მაგრამ თავი შეიკავა”.

აბა ხელცარიელები ხომ არ მივიდოდნენ მეგობრის ოჯახში და იმათაც ჭაჭა და თევზი ამოეყოლებინათ.

_ აუ, რომ იცოდე, რა ციკლოპი მოგიყვანე... _ თვალი ჩაუკრა ბერდიამ რეზის და სამზარეულოსკენ მიანიშნა.

_ ციკლოპი? რა ციკლოპი? _ გაეღიმა რეზის. მგონი, გაუხარდა კიდეც, თითქოს, გვირაბის ბოლოს სინათლე დაინახაო და სამზარეულოსკენ გაუძღვა, _ მაჩვენე, აბა, მაჩვენე ერთი!

_ იცი, რა მაგარი ციკლოპია? _ რეზიმ ცელოფანის პარკი გადახსნა და იქიდან მხოლოდ თავი ამოაყოფინა ქამბალას, _ აი, ნახე! ააქვს ერთი თვალი? _ და მთლიანად ამოაძრო, _ არ არი ციკლოპი? ცალი თვალი აქვს, ამ ჩემისას, მარტო... ციკლოპია, მაშ ვინ არი, არ არი?

_ ქამბალა, ე... სად იშოვეთ?

_ შენთვის რას არ გავაჩენთ... _ თქვა ძერამ და გულის ჯიბიდან არყის ბოთლი დააძრო.

ბერდია კი უკვე ქამბალას ფცქვნიდა. მე მარტო ერთს დავკრავო, გაიფიქრა რეზიმ და არყის ჭიქები გადმოაწყო. ის, რომ ერთ ჭიქაზე ლოთები გალეწილ მთვრალებს ემსგავსებიან, ყველას მოგეხსენებათ და როცა დოდომ ბიჭებს შემოუსწრო, მათ უკვე ორი სახარება ჰქონდათ ნათქვამი და უფლის დალოცვას უკვე მესამედ აპირებდნენ. მოკლედ, დიდი კი არაფერი, უბრალოდ, კაი ხასიათზე იყვნენ ბიჭები...

_ ფუჰ! _ ლამის მაგიდაზე დააფურთხა დოდომ და უკან გავიდა.

_ ე, ეს როგორ მოიქცა, ნახეთ? _ გაიკვირვა რეზიმ.

_ სიდედრი მაშ რისაა, სხვანაირად მოქცეულიყო! _ ცეცხლზე ნავთი დაუსხა ბერდიამ.

_ სწორია ქალი, სამუშაოდ ამოვედით და ჩვენ კიდევ ვზივართ და ვუჭახუნებთ... _ გაამართლა დოდოს საქციელი ბერდიამ.

_ მორჩა, აი, ეს იყოს ბოლო ჭიქა და მე ერთი თვე სასმელს აღარ ვეკარები! აბა ჰე! წავედით! _ თქვა რეზიმ და გადახუხა.

ბიჭებმაც გადაჰკრეს და ბერდიამ ბოთლს ხუფი დაახურა, რათა სპირტი არ აორთქლებულიყო, შიგ ცოტა კიდევ იყო ჩარჩენილი.

_ ეს მერე, სამუშაოს როცა მოვრჩებით... _ თქვა და ბოთლი, ყოველი შემთხვევისათვის, ისევ პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო.

სამივენი მისაღებში გავიდნენ, სადაც გულჯავრიანი და სევდიანი დოდო ჯურჭელს კარადიდან იღებდა, გაზეთის ქაღალდებში ძალიან ფრთხილად, სათითაოდ ახვევდა და ქვაბებში ალაგებდა.

_ აბა, რით დაგეხმაროთ? _ თქვა ომახიანად ბერდიამ.

_ გადით, თქვენი ჭირიმე, არ მინდა თქვენი დახმარება, არაფერი დამიმსხვრიოთ, _ თხოვა დოდომ.

_ არა, რატომ? სად ორი ხელი და სად რვა ხელი ხელი ერთად... _ გადათვალა ბერდიამ ხელები.

დოდომ აღარაფერი უთხრა, მაინც ვერაფერს შევასმენო, გაიფიქრა.

ბიჭებმა ისეთი უცნაური ბოდიალი დაიწყეს და ისე ედებოდნენ ფეხებში, რომ დოდოს ბოლოს მაინც დაემართა ისტერიკა.

_ წადით! წადით! _ ისეთ არაადამიანურ ხმაზე აღრიალდა უცებ, რომ ბერდიას, რომელსაც ამ დროს, დოდოს საყვარელი ბროლის ვაზა ეჭირა, რომელზეც ტყის იმიტაცია იყო გამოსახული, და რომელიც, ვინ იცის როდინდელი იყო, ხელიდან გაუვარდა და ოთახში წვრილ, პატარა ნამსხვრევებად გაიფანტა. ამის დანახვაზე დოდოს თითქოს თავში კეტი ჩაარტყესო, ისე დაპატავდა, ლამის საერთოდ გაქრა.

_ ბედნიერების ნიშანია... _ დაასკვნა ბერდიამ. ალბათ, იმიტომ რომ როგორმე თავი ემართლა.

_ წადით! _ ახლა უკვე ძლივს ამოიკნავლა დოდომ და ბიჭები გარეთ გავიდნენ.

წადით, წადითო, ხელებით ანიშნა ჩუმად რეზიმაც და პირზე თითი მიიდო, ხმა არ ამოიღოთო. ბერდიამ მხრები აიჩეჩა, ძერამ კი ხელკავი გამოსდო და ასე ჩუმად გაიძურწნენ...

_ წავიდნენ, _ მოახსენა რეზიმ დოდოს, რომ დაემშვიდებინა.

_ კი არ წავიდნენ, წაშავდნენ... _ არ შეარჩინა დოდომ, _ თქვენ ნორმალურები ხართ, ბიჭო?

_ არა! _ დაეთანხმა რეზი.

_ ეეჰ... _ ხელი ჩაიქნია დოდომ.

_ კაი, რა, დოდო, ჩვენებმა ყველაფერი იციან, ოთახი გაგვითავისუფლეს და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ... _ მთელი ოთხი წინადადება გადააბა რეზიმ. რაც დოდოს მაგრად გაუკვირდა.

_ ვინ ყველა, რომელი საათია და ბავშვი არ გამოჩენილა ჯერაც, _ მიაჩერდა დოდო სიძეს.

_ ვინ ბავშვი? _ ვერ მიუხვდა რეზი.

_ ვინაა გადაკარგული? ახლა ამას კი არ უნდა ვაკეთებდე, ნელიკოს უნდა ვეძებდე.

_ გამოჩნდება, სად წავა? _ დაამშვიდა რეზიმ.

დოდომ ტირილი დაიწყო, ღრმა ამოსუნთქვებით.

_ მეშინია თავი ხომ არ მოიკლა.

_ რატომ მოიკლავდა, ორი ანგელოზივით შვილი ჰყავს... მარტო მე ხომ არ გადავვარდი, შენც ხომ გადავარდი? _ დაადანაშაულა სიდედრი სიძემ.

_ მე მართლაც გადავვარდები, აი, ნახავ, თუ საღამომდე ნელიკო არ გამოჩნდა, მე, მართლაც, გადავვარდები, მე სხვა აღარაფერი დამრჩენია. _ დაიმუქრა დოდო.

_ ვა, ბავშვებს ვინღა მიხედავს მერე, მე? _ შეიცხადა რეზიმ.

დოდოს ეს პატარა ნაპერწკალიღა აკლდა და აბურბურდა კიდეც.

_ მაშ რატომ გქვია მამა, რატომ? მაშ ვინ უნდა მიხედოს! ვის გამო ხდება ეს ყველაფერი, ვინ დაანგრია ეს ოჯახი, მე?

_ ყველამ... _ დაასკვნა რეზიმ.

_ მაგ სიმართლით იარე! _ მიახალა სიდედრმა.

_ დავდივარ კიდეც! _ უპასუხა ჯიბრით რეზიმ.

_ კი, რვიანებით... ხან ერთ კედელს მიახლი თავს, ხან მეორეს, ხომ?

_ დიახ, იმიტომ რომ კედლების სიმაგრეს ვამოწმებ... _ იანგლა რეზიმ.

სიძე-სიდედრმა ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგათ თავს ბანკის წარმომადგენელი და ორი პოლიციელი.

_ კედლები მართლაც მაგარია... _ ჩაერთო მათ "ტკბილ" საუბარში ბანკის წარმომადგენელი და დააყოლა: _ ბინა უნდა დავლუქოთ.

_ და ხომ ხედავთ, ვალაგებთ? _ დააყოლა რეზიმ.

_ მაგდენი დრო არ გვაქვს. გარეთ გამოგიტანთ ყველაფერს და იქ ჩაალაგებთ. _ თქვა ბანკის წარმომადგენელმა და პოლიციელებს მიუბრუნდა: _ მიდით, უთხარით ბიჭებს და დავეხმაროთ.

_ რა? _ რეზის უნდოდა აყვირებულიყო, მაგრამ პოლიციელმა მკაცრად აუწია ხელი.

_ კაი, კაი! ჯობს წახვიდე და მანქანა მოიყვანო!

და დოდო და რეზი განცვიფრებული უცქერდნენ, როგორ გაჰქონდათ მათი ავეჯი, ჭურჭელი და ათასი სხვა საოჯახო ხარახურა აღმასრულებლებს, რომლებიც ლამის მთელი ასეული იყვნენ.

_ ნელა, ნელა, არ დამიმტვრიოთ! _ მარტო ამის თქმასღა ახერხებდა დოდო.

_ აქ რაღა ხდება? _ იკითხა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელმა ლერი კაპანაძემ, როცა რევაზ ბერიძის დაჭერის ორდერით და სამი პოლიციელით იმ სახლს მიადგა, სადაც იმჟამად რეზი ცხოვრობდა.

პოლიციელებს მთელი საოჯახო ავლა-დიდება უკვე გამოეზიდათ ქუჩაში, რომელიც მთასავით დამდგარიყო და ახლა ბინას ადებდნენ ლუქს.

_ ეს ნომერია, ოცდაცამეტი, მაგრამ რა ხდება? _ გაიმეორა შეკითხვა ლერი კაპანაძემ.

_ ითესება, ალბათ, ან გაყიდა სახლი, რა ვიცი, გაიგებდა რომ იჭერენ... _ თქვა ლერის გვერდზე მჯდარმა პოლიციელმა.

_ გადავედით! _ ბრძანა გამომძიებელმა და ოთხივე სწრაფად გადავიდა მანქანიდან.

რეზი და დოდო სწორედ ამ დროს მოათრევდნენ დაშლილი როიალის იმ ნაწილს, რომელზეც კლავიშებია მოთავსებული.

პოლიციელებმა მაშინვე იცნეს რეზი, რადგან წინასწარ სპეციალურად აჩვენეს მათ მისი ფოტოები. ისე, მათ რანაირადაც რეზი დაიჭირეს, მიწაზე დააგდეს, ხელები გადაუგრიხეს და კეფაზე იარაღიც კი დაადეს... უცხოეთში, ალბათ, ასე მხოლოდ, უმძიმეს დამნაშავეებს, ქილერებს, მაფიოზებს და მანიაკებს იჭერენ.

როიალის მუცელი მიწაზე დაეცა და ზურგზე გადავარდა, რის გამოც, ისეთი ჟღრიალი და უცნაური ბგერები გამოსცა, როგორც სასიკვდილოდ განწირული გედი მღერის, ალბათ, თავის უკანასკნელ სიმღერას.

ხოლო, რეზი ისეთი ამბით გააქანეს პოლიციელებმა და მანქანაში ჩატენეს, რომ დოდომ როგორც დააღო პირი, ასევე დარჩა პირგაღებული. როგორ ფიქრობთ? რა უნდა ეფიქრა ამ დროს დოდოს? მას ხომ რეზის მიერ წამოღებული ძელქვის მასალის ამბავი, იმ მიზეზთა გამო, რაც მის თავს უკნასკნელ დღეებში დატრიალდა, საერთოდ გადავიწყებული ჰქონდა? დიახ, დოდომ ყველაზე საშინელი რამ გაიფიქრა. რომ მისმა სიძემ, ამ ბედოვლათმა, მისი ქალიშვილი მოკლა... და დოდოს გული წაუვიდა.

ამ ყველაფერს ერთი უცნაურობაც დაერთო. რადგანაც დოდოს სახლი, ზედ კორტოხზე, მეზობლების სახლებისგან ცოტა მოშორებით იდგა, ამის გამო, მათ

გამოსახლებას და რეზის დაჭერას არავინ შესწრებია. აი, სკოლის ბავშვები კი, პატარები, რომლებსაც გაკვეთილები დაუმთავრდათ და სახლში ბრუნდებოდნენ, ისე შეესივნენ დოდოს ავლა-დიდებას, მთლიანად თუ არა, ნახევარი მაინც გაზიდეს. დოდოს კი არაფერი გაუგია. არც ბავშვებს მიუქცევიათ მისთვის ყურადღება, რადგან ვიღაც მათხოვარი ეგონათ, ქუჩაში მძინარე. ხოლო მისი ქონება კი გადაყრილი. დოდოს შვილიშვილები კი, გახანგრძლივებულიდან მხოლოდ ექვსზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. ასე რომ, როცა დოდო გონზე მოვიდა და თავის ქონებასთან მოფუსფუსე ბავშვები დაინახა, კინაღამ ხელმეორედ წაუვიდა გული. უნდოდა დაეკივლა ბავშვებისთვის, მაგრამ კივილის ნაცვლად რაღაც უცნაური, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები ამოუვიდა პირიდან. არ ვიცი, სხვა მის ადგილას, გაუძლებდა თუ არა ერთდროულად ამდენ უბედურებას, დოდომ კი ვერ გაუძლო. წამოდგა, კაბა ჩამოიფერთხა, თავი ასწია და ქვევით დაეშვა. მისი გვამი კი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგღა დაინახა ვიღაცამ მტკვრიდან გამორიყული. ხოლო, რადგანაც, ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმც, არც ძალიან შეუწუხებია ვინმეს ამისთვის თავი, დოდოს საერთო სასაფლაოზე მოუწია დამარხვა. თუმც, ესეც ბედნიერება იყო, ალბათ, რადგან ჩვენს დროში, ბევრი ისე მოკვდა და გაქრა, მიწაში ჩაფლვაც არ ღირსებია...

ვის უნდა ამოეცნო გვამი? ვერიკოს ან ელისოს? ალბათ... ისინი კი ამ პროცესზე არ გამოცხადებულან. არა, იმიტომ კი არა, რომ უმძრახად იყვნენ. იმ მომენტში მათ საკუთარი მკვდარი ესვენათ კუბოში, სოლომონი. რომელსაც ინსულტმა გაუმეორა და ხუთ წუთში გაათავა. სწორედ მაშინ, როცა რეზიმ ციხიდან დარეკა და მამას ელაპარაკა. იმ მომენტში სოლომონი მარტო იყო და ვერავინ დაეხმარა. ან სოლომონის დამარხვა რომ მოახერხეს... ოთხი შვილის მამა, სამი ვაჟკაცის და ერთი ქალიშვილის, სიძის, თაზოს დასამარხი გახდა. კაცი, რომელიც კომუნისტების დროს კუბაში მსახურობდა და ფიდელ კასტროს ნაჩუქარი ჩიბუხით, სავარძელში თბილად მოკალათებული, ერთ დროს, მწარე, ჰავანურ თუთუნს აბოლებდა.

ზუსტად, სამი-ოთხი დღით ადრე კი, იმ საღამოს, როცა თორნიკე და სანდრო გახანგრძლივებულიდან შინ მივიდნენ, სახლი დაკეტილი და დალუქული დახვდათ, ოჯახის წევრები კი სადღაც გადაკარგული. მათი ავეჯი, საწოლები, მაგიდები, სკამები, ძველისძველი მაცივარი და სხვა ათასი ხარახურა კი გარეთ, ქუჩაში გამოყრილი. ბავშვებს შიოდათ. ცოტას ელოდნენ კიდევ, იქნებ ბებო მაინც გამოჩნდესო, მაგრამ რომ არავინ გამოჩნდა, დიდ ბებოსთან დარეკეს და ყველაფერს მოუყვნენ. ოთხმოცდახუთი წლის ელისო გულგახეთქილი გამოვარდა პატარებთან. იმდენი კი მოახერხა, რომ მანქანა იქირავა, მუშები აიყვანა, და რაც ბავშვებს და მეზობლებს გადარჩენოდათ, საბარგულზე დაადებინა და თავის სახლში ააზიდვინა. ჰოდა, სწორედ მეოთხე დღეს დაერეკა რეზის. ვინ იცის, სოლომონს, იქნებ იმწამს მართლაც გაუნათდა წუთით გონება, იქნებ სწორედ ამან დაღუპაო, ასკვნიდნენ ვერიკო და ელისო.

ვერიკომ ისე მწარედ განიცადა ქმრის სიკვდილი, ელისომ იფიქრა, ეს ალბათ საფლავშიც ჩაჰყვებაო. მაგრამ მარტო ქმარს მისტიროდა და მის სიკვდილს განიცდიდა ვერიკო? ალბათ, არა. რეზი რომ რაიმე სერიოზულს უნდა გადაყროდა და ცუდად უნდა დაემთავრებინა, ამას დიდი ხნის შეგუებული იყო დედის ფიქრი, მაგრამ როცა ამ დასასრულს უკვე პირისპირ შეეჯახა, ეს ყოველივე იმდენად მტკივნეულად განიცადა და მიიტანა გულთან, ისეთ საშინელ დეპრესიაში ჩავარდა, ვერაფრით ველარ გამოვიდა ამ საშინელი მდგომარეობიდან. ახლა კიდევ, ეს ორი ობოლი, ეს ორი პატარა ბავშვი, რომლებმაც ერთ დღეში ასე უცნაურად დაკარგეს ბავშვობა და, რაღაც აუხსნელ, ბუნდოვან მომავალში გადასახლდნენ... ან ელისოს, რომელიც ასე ხანდაზმული ასაკის

იყო, ეს მძიმე დარტყმები, რანანაირად უნდა გადაეტანა და გადაეხარშა? კაი, ვთქვათ, ვერიკომ ამ ყველაფერს გაუძლო, გადაიტანა, გაიმარჯვა საკუთარ თავზე... ნიკა? ნიკა რომ წავიდა და გაქრა?

ალბათ, ყველაფერს წარმოიდგენდა ვერიკო, ყველაფერს... მაგრამ თუ ოდესმე ციხის კარზე მოუწევდა ატუზულს დგომა და შვილისთვის "პერედაჩების" შესაგზავნად, ათასობით ხალხში ჭყლეტა და ჯგლეთა, ამას როგორ წარმოიდგენდა? როგორ გაივლებდა თავში? ახლაც, სწორედ "პერედაჩის" სანოვაგეს ამზადებდა. ხოლო, ამ საქმეში მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოცდილი და გამოწრთვნილი ელისო კი რჩევებს აძლევდა.

_ კარგია, რაც არ ფუჭდება, _ ეუბნებოდა ელისო, _ ჩურჩხელა, თაფლი, ჩირი ყველანაირი, რაც დიდხანს ძლებს. თბილი მატყლის წინდები, თბილი ჯემპრი, სქელი, რომ ძვლები გაუთბოს...

_ რას ამბობ, ქალო, ციმბირში კი არ არის გადასახლებული, რა თბილი ჯემპრი, რის მატყლის წინდები... თხუთმეტკაციან კამერაში სამოცნი ვართო იწერება, არა? ჰაერი რომ ჰაერია, იმასაც კი რიგრიგობით ვსუნთქავთო...

_ რა ვქნა, შვილო, მე რაც ვიცი, იმას გასწავლი და, რაც არ ვიცი, ის როგორ გასწავლო? _ ეწყინა ელისოს და გაიბუტა.

_ კაი რა, დედა, ვეღარაფერი ვერ უნდა გითხრა? პატარა ბავშვივით იბუტები ყველაფერზე. შენ თუ ოთხმოცდახუთს გადასცილდი, მე სამოცს მივუკაკუნე, არა? მეც რაღაც გამეგება უკვე ამ ქვეყნის... ისე გავბეზრდი ამ წლებში, ჩემი ქმრის ნაცვლად, ნეტა, მე ვესვენო იმ კუბოში და მაღლა არ ამომახედა აღარასოდეს. რომ წარმოვიდგენ, რამდენი ღამე უნდა ვათიო, ვიღაც ვიგინდარებს ვეხვეწო და ვეღრიჯო, ათასმა ადამიანმა მჭყლიტოს და მირეგვოს უნდა ფერდები, აღარც შვილი მინდა ასეთი და არც სიცოცხლე... _ ლაპარაკობდა ვერიკო და დარდი გულიდან ამოჰქონდა, მაგრამ იმდენი დაგროვებოდა, ასი წელიც რომ ელაპარაკა, ვერ ამოიღებდა, ალბათ.

მოკლედ, ჩაალაგა ვერიკომ, რაც რამე მოახერხა, გაავსო ჩანთა და დილის ექვსის ნახევარზე გავიდა სახლიდან. უნდოდა პირველივე ავტობუსისთვის მიესწრო, რომელიც რუსთავისკენ მიდიოდა. ვერიკოს ის ორმოცწუთიანი გზა, რა დროსაც ავტობუსი თბილისიდან რუსთავამდე ჩასვლას ანდომებდა, მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა. ეგონა, მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ შვილი ციხეში ჰყავდა... მასწავლებელს, სხვების აღზრდას რომ ცდილობს და თავის შვილს ვერ გაზრდის... არა, დიდხანს სიცოცხლე, ქმარივით, არც ვერიკოს ეწერა და ამას დღითი-დღე მეტად და მეტად გრძნობდა. რეზის უბედობას თავის თავს აბრალებდა. მოსმენა არ ვასწავლე, ყურის დაგდებაო...

იცოდა, ციხის კარზე უამრავი ხალხი დახვდებოდა, მაგრამ ამდენი? არა, ამას მაინც ვერ წარმოიდგენდა ვერიკო. გაწამებული, გატანჯული, ღამენათევი ხალხი, ისეთ დაუნდობელ ომში ჩართულიყო, ცოცხალი თუ გამოვიდოდა იმ რიგებიდან კაცი, ძნელი წარმოსადგენი იყო. მოგეხსენებათ ქართველების რიგი, ან სულაც, გემახსოვრებათ კომუნისტების დროინდელი, ჯერ "ხრუშჩოვის", შემდეგ კი ოთხმოციანი წლების პურის რიგები. ერთმანეთის დასისხლიანება, ცემა-ტყეპა, გინება, ფურთხება და ტანისამოსის შემოფლეთ-შემოფხრეწა. მთელი საქართველო ციხეში ჩასვეს და მაშ რა იქნებაო, ჩიოდნენ ტუსაღების პატრონები და იბრძოდნენ ხელებით თუ ფეხებით, კბილებით თუ ფრჩხილებით...

მთელი კვირა დადიოდა ვერიკო და ბოლოს, როგორღაც, შეაღწია პაემანზე, "რაღაც მანქანებით", როგორც პოეტი ამბობს. ნეტავ ვერ შეეღწია. რეზის დანახვაზე, გული რომ შეეკუმშა, ასე შეკუმშული დარჩა. მთლად გაყვითლებული, ჩამობერტყილი და

დამშეული ეჩვენა შვილი. ამას კიდევ გაუძლებდა როგორმე ადამიანი, მაგრამ რეზიმ რომ თვალების ბრიალი და ღრიალი მორთო, გაყიდეთ ჩემი სახლი და ჩემი წილი მომეცით, გამომიყვანეთ ამ ჯოჯოხეთიდანო... როგორ გინდა გაუძლო ამ ყველაფერს? მერე ჩვენ სად წავიდეთო? რაღაცას ლუღლუღებდა, ემუდარებოდა ვერიკო, მაგრამ რეზის მისი ხმის გაგონებაც არ სურდა. წამოვიდა გულმოკლული, არ გავყიდი, არ არსებობსო, გადაწყვიტა. მერე თვითონ მეტყვის მადლობასო... მოკლედ, ვერიკომ კი ასე გადაწყვიტა, მაგრამ, ვინ იცის, იქ, ზევით, ცაში, ასევე იყო გადაწყვეტილი? არა მგონია.

ანიმ, რომელსაც საიდანღაც გაეგო, ჩვენები სახლს ყიდიანო, ყველაფერი მიატოვა და ოჯახში აქანდა.

_ ხალხო, თქვენ ნორმალურები ხართ? _ დაეტაკა ის ვერიკოს და ელისოს. რომლებიც, როგორც ჩვეოდათ, სამზარეულოში ისხდნენ და საქვეყნო და საერო საქმეებს არჩევდნენ, _ სახლს ყიდით და მე არაფერს მეკითხებით?

ვერიკოს და ელისოს ენა მუცელში ჩაუვარდათ.

_ არ გავყიდოთ? _ შეეკითხა ვერიკო. იფიქრა, იქნებ ამ გიჟმა გადაგვარჩინოს და არ გაგვაყიდინოსო.

_ არა, მაგას ვინ ამბობს, სახლი აუცილებლად უნდა გაიყიდოს, _ იქვე ჩაუკლა ეს მცირე იმედი ანიმ ვერიკოს. _ მაგრამ მე ხომ ვარსებობ, მართალია, თქვენ არ მთვლით, თქვენს შვილად, იმიტომ, რომ არ მახსოვს, ერთხელ დარეკოთ და ერთი სიტყვით მაინც მომიკითხოთ. მაგრამ თქვენ გინდათ თუ არ გინდათ, ხომ თქვენი შვილი ვარ. კარგი ვარ თუ ცუდი ვარ, ეს სხვა არის. მაგრამ მე ხომ ცოცხალი ვარ, ჯერ ისევ? მკვდარი ხომ არ ვარ. კუბოში ხომ არ ვწევარ. მე ხომ ვარსებობ, არა?

_ ნეტავ არ არსებობდე... _ უნებურად წამოსცდა ვერიკოს, რაც ანის სულ არ სწყენია და, როგორც ბევრჯერ, ახლაც ყურებში გაატარა.

_ მე არ უნდა ვიცოდე, რამდენად ყიდით, რა ფასს ადებთ? ან გყავთ, ვინმე ნორმალური მაკლერი? იქნებ გატყუებენ, იქნებ ვის ხელში ჩავარდეთ?

_ შვილო, არ შეგიძლია, ცოტა მშვიდად, დაბალ ხმაზე ილაპარაკო? გამისკდა ყურის ბარაბნები, _ თხოვა ანის ელისომ.

_ რა? _ ავარდა ანი... _ ვყვირი და ვერაფერს გაგებინებთ და მშვიდად რომ ვთქვა იმას გაიგებთ თქვენ?

_ რას ვერ გვაგებინებ, ვერ გავიგებთ და ხომ შეგვჭამე ცოცხლად, _ აღარ მოერიდა ვერიკო.

_ სხვანაირად, თქვენი ამბავი რომ ვიცი, ყველაფერს ისევ ბიჭებს შეახვედრებთ და მე კი ნოლზე დამსვამთ. _ არ ცხრებოდა ანი, _ და საერთოდ, არ გეშინიათ, რომ გადაგაგდონ?

_ როგორ? _ დაინტერესდა ელისო.

_ როგორ და კარგად... ბინას გადაგაფორმებინებენ და მერე, შიშ, ფულს აღარ მოგცემენ. ერთი და ორი ხომ არ გადაუგდიათ... _ ორივე მტევნით გააკეთა სამი თითის კომბინაცია ანიმ.

_ მოკლედ, რა გინდა შენ ჩვენგან, დაგვიკონკრეტე! _ თვალებში მიაჩერდა ანის ვერიკო.

_ დედა, როგორ მიყურებ შენ, იცი? როგორც უცხოს, როგორც ქუჩიდან შემოსულს... _ მოუნდა ოდნავ მაინც შეეცოდებინა თავი დედისთვის ანის.

_ ერთი უცხოეთში გადაიკარგა, მეორემ ციხეში ამოყო თავი, მესამემ საერთოდ ამოიკვეთა ფეხი ოჯახიდან და მეოთხე მარტო იმაზე ფიქრობს, როგორ და რანაირად დაგვატერორროს... ჩემი ბედი რა ვთქვი... _ კინაღამ შეიგინა ვერიკომ.

_ მე გატერორებთ? _ იმხელა თვალები გაუხდა ანის, ვერიკოს შეეშინდა, ბუდეებიდან არ გადმოსცვივდესო. რაც წლები გადიოდა, ვერიკოს აზრით, თანდათან ნიანგს ემსგავსებოდა ანი, ერთხელაც მოვა და ცოცხლად გადაგვყლაპავს ყველასო, ფიქრობდა.

_ არ გვატერორებ? არ გვემუქრები? ამდენი ხანია, შინ არ შემოგიხედავს. არ დაინტერესებულხარ, ცოცხლები ვართ თუ დავიხოცეთ. ერთი ჩულქი ამოგეტანა, უბრალო, ან ჩემთვის ან ელისოსთვის...

_ ჰო-ო-ო... შემდეგ მოსვლაზე მოგიტანთ. მოკლედ, ჩემი რამდენია, მინდა, ვიცოდე. რას აფასებთ, ან როგორ გგონიათ რომ გაიყიდება, რამდენად? _ თავი უკან გადააგდო ანიმ.

_ ორმოცდაათად მაინც ხომ გაიყიდება, არ გაიყიდება? _ იკითხა ელისომ.

_ ორმოცდაათად? და რა უნდა შემხვდეს მერე მაქედან, თორმეტი ათასი? _ არ მოეწონა ანის.

_ რა? რამდენზე გაყავი? _ შეეკითხა ვერიკო.

_ ოთხზე... მაშ რამდენზე უნდა გამეყო? _ გაუკვირდა ანის.

_ მერე ჩვენ? _ იკითხა ელისომ.

_ თქვენ? თქვენ იცხოვრებთ რომელიმესთან და ეგ იქნება... _ დაასკვნა ანიმ.

_ შენთან? _ გაიცინა ელისომ.

_ რატომ ჩემთან? _ ანის უნდოდა ეთქვა, რეზისთან, ირაკლისთან, მაგრამ მიხვდა ეს დიდი სისულელე იქნებოდა და გაჩუმდა.

_ აი, ხედავ? _ უთხრა ვერიკომ, _ ჩვენ ჰაერში ვრჩებით. _ სად წავიდეთ, ერთადერთი ადგილი, რომელიც შენ ჩვენთვის შეიძლება გამოიმეტო, ალბათ, სასაფლაოა...

_ დედა, თქვენთან საუბარი, საერთოდ აღარ შეიძლება... რას მეუბნები, სასაფლაო...

_ მაინც იქ არის ყველას ბოლო... _ ჩაილაპარაკა ელისომ.

ანი კი ისევ ფულს დაუბრუნდა.

_ იცით რა? რატომ ვყოფთ ოთხზე?

_ ხუთზე გავყოთ? _ იკითხა ვერიკომ.

_ რატომ ხუთზე? სამზე... _ ნიკა აქ რომ აღარ დაბრუნდება აღარასოდეს, თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ!

_ ეს რომ კრივზე ან კარატეზე გვეტარებინა, მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონი იქნებოდა, წლების განმავლობაში. _ თქვა ვერიკომ.

_ დიდი შეცდომა გვაქვს დაშვებული... _ დაამატა ელისომ.

_ მორჩით, ახლა! _ ეწყინა ანის, _ მოკლედ, უჩემოდ, არავის დაელაპარაკოთ! როგორ გგონიათ, რამდენ მიარტყამენ რეზის?

_ რა ვიცი, რამდენიც ეკუთვნის, ალბათ... _ თქვა ვერიკომ.

_ ეგ, მაშინ, თუ ფულს მიიტან... თუ არა და... ვინ იცის... _ თქვა ანიმ.

_ საბოლოოდ დაგვადო თავზე ლაფი... _ ჩაილაპარაკა ელისომ.

_ მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ტელეეკრანიდან არაფერი თქმულიყო... – თქვა ანიმ.

და საუბარი ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში მოექცა. საუბარი კი, მაგრამ ცხოვრება, რომ კიდევ უფრო უნდა აწეწილიყო, ამას სამივე კარგად გრძნობდა. ბერიძეების ოჯახი იმ კარტის ხუხულასავით ინგრეოდა, ერთ დროს სოლომონი რომ ცდილობდა აშენებას...

კაცმა რომ თქვას, რეზისთვის პატიმრობაში ყოფნა იქნებ შვებაც კი ყოფილიყო, მაგრამ მის თავმოყვარეობაზე ეს ამბავი იმდენად უარყოფითად მოქმედებდა, ერთი სული ჰქონდა გარეთ გამოსულიყო. თუმცა, დამარცხებებს იმდენად შეგუებოდა, თუ

სახლს გაყიდიდნენ და დედამისი და ელისო უსახლკაროდ დარჩებოდნენ, არაფრად მიაჩნდა. ან რატომ ეგონა, რომ მისიანები ფულს ჩაყრიდნენ მის საქმეში, გაათავისუფლდნენ და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, ვერაფერს გეტყვით. მოკლედ, საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და გარეთ იწევდა.

ვერიკო იმას კი მიხვდა, რომ დოდო ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აი, რეზის ქალბატონი კი სად გაქრა და გადაიკარგა, ამან მთლად საგონებელში ჩააგდო. თავიდანვე, გაჩენის დღიდანვე, თარსი იყო და ბოლოს, სწორედ, ამან უნდა მომიღოს ბოლოო, ფიქრობდა რეზიზე.

_ დედა, ცუდადა ვარ, _ უთხრა ერთ დილას ელისოს, როცა ის სამზარეულოში ტრიალებდა და მაკარონს ხარშავდა. მაკარონი და კარტოფილი უკვე კარგა ხანი იყო, რაც მათი კვების მუდმივ რაციონში შესულიყო. როგორც ამბობენ, ორივენი კუდზე ფეხს იდგამდნენ, რომ როგორმე რეზის ბავშვები ეკვებათ და სკოლაში ეტარებინათ, რომელიც გამოუცვალეს, სკოლას ვგულისხმობ.

_ რა გტკივა? _ გული გაუსკდა ელისოს.

_ ყველაფერი... _ უპასუხა ვერიკომ, _ ფეხის ფრჩხილებიდან დაწყებული, თმის ღერებით დამთავრებული.

_ მაშ არაფერი გტკიებია, _ მიუგო ვერიკომ, _ ისეთ რამეს ამბობ.

_ არა, დედა, მართლა, ძალიან ცუდადა ვარ. მართლა, ყველაფერი მტკივა, _ უთხრა ვერიკომ.

_ ამ წუთას, გტკივა რამე?

_ თავი მისკდება, წნევა უნდა მქონდეს მაღალი.

ვერიკომ წნევა გაუზომა და მართლაც ასოთხმოცი ასოცზე აღმოაჩნდა.

_ არ შეიძლება შენი სკოლაში წასვლა, წამლები უნდა დალიო და დაწვე, _ ურჩია ელისომ.

_ არა, რომ მოვკვდე, ვერ გავაცდენ გაკვეთილებს... _ უთხრა ვერიკომ და მაინც წავიდა სკოლაში.

“იმ გიჟებში უარესი დაემართება”, ფიქრობდა ელისო, მაგრამ ვერც ის ხედავდა რაიმე გამოსავალს. ნეტავ, გაწყდეს ერთხელაც და ჩამიტანდეს უფსკრულშიო, ხშირად იტყოდა ხოლმე, ბოლო დროს.

ერთსაც და მეორესაც ანუ ვერიკოს და ელისოს, რა თქმა უნდა, არ სურდათ ბინის გაყიდვა, მაგრამ ანი ისე აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, გაზეთები იყო თუ კერძო ფირმები, ყველგან დააგზავნა ინფორმაცია. ძალზე ბევრიც რეკავდა, მაგრამ ეძვირებოდათ თუ რა, ჯერ კონკრეტულად არავინ არაფერს სთავაზობდათ.

რეზიმ პირველივე დაკითხვაზე ყველაფერი დაფქვა. ავარიის შესახებ, როგორ მოხდა და რანაირად არაფერი ვიციო და, რაც შეეხება ხე-ტყეს, ანუ ძელქვის მასალას, ყველანი პირწმინდად ჩაუშვა. იმას კი უარობდა, რას წარმოვიდგენდი, თუ ძელქვის მოჭრა აკრძალული იყო, რატომ წამოვიღებდი, თითს როგორ დავაკარებდი, ეგ რომ მცოდნოდაო. საბუთები მომცეს, სამი კაცი აწერდა ხელს, რაიონის გამგებელი ენვერ ჭუბაბრია, ოლქის პროკურორი ელიზბარ თელია და შპს “ქორის” მფლობელი, სახერხი ქარხნის მეპატრონე, დარეჯან ქოიავაო. მოკლედ, ამდენი და ასეთი წონის ხალხი ერთად მარწმუნებდა, ყველაფერი კანონიერად არის გაფორმებული და როგორ არ დამეჯერებინაო. გამომძიებელ ლერი კაპანაძეს, რომელსაც, მოგეხსენებათ, დიდი ხელფასი არ ჰქონდა, ამ საქმიდან, მაინც, არც ერთი თეთრის აღება არ სურდა. ის კი ძალიან უნდოდა, როგორც ადრე მოგახსენეთ, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩავარდნოდნენ ხელთ და ბავშვობის დროინდელი ჯავრი ამოეყარა. ამიტომ რეზის

საქმის დამძიმებას არც ცდილა, აი, გამგებელს, პროკურორს და “ქორის” მფლობელს კი, ერჩიათ, ალბათ, ნილოსის ნიანგს ჩავარდნოდნენ ხახაში, ვიდრე ლერის ხელში ჩავარდნილიყვნენ.

როცა ლამის შიშველ-ტიტველი ნორა ქადაგიძე, უმანქანოდ და უფულოდ, ქმარს თბილისიდან უკან ჩაუბრძანდა, საღამო ხანი იყო. ენვერი, რა თქმა უნდა, შინ არ დახვდა. კიდევ კარგიო, გაუხარდა ნორას, ალბათ, უფრო ის, რომ ქმრის რისხვა დროში ცოტა კიდევ გადაიწევდა, თუმცა, მთლად რომ ვერ ასცდებოდა, ეს ძალიან კარგად იცოდა. სააბაზანოში შევიდა, შხაპი გადაივლო, ცოტა მოლამაზდა და ენვერს, რომელმაც გვარიანად დააგვიანა, სავარძელში, ფეხი-ფეხზე გადადებული და ყელმოღერებული დახვდა.

ენვერმა ცოლი რომ ამ პოზაში დაინახა, შუბლი საშინლად შეჭმუხნა. ეს ისე გაბრტყელებულა ამ თავის სავარძელში, მაგრად თუ არ დავუდექი, ყველაფერს მე გადმომაბრალებსო, გაიფიქრა. ცოლი და ქმარი, ერთ არსად ქცეული, ეს, ყველაზე საოცარი და ამოუცნობი ფენომენი... არსებობს კი ცოლ-ქმარი, რომლებიც, ერთმანეთში, რაც არ უნდა გადახდეთ, ყოველივეს ერთმანეთს არ აბრალებდნენ? არ არსებობს, გულში მაინც არ გადააბრალონ ერთი-მეორეს საკუთარი დანაშაული. ვნახოთ, ამჯერად როგორ დაიცავს თავს ქალბატონი ნორა ქადაგიძე.

_ რა გამიკეთე, ნორა, ეს? _ ჯერ, ამ, სულ პატარა შეკითხვით შემოიფარგლა ქმარი.

_ მე გაგიკეთე, თუ შენ გამიკეთე? _ გაღმა შეედავა ნორა.

_ როგორ, ახლაც მე ვარ დამნაშავე? _ გადაირია ენვერი.

_ მაშ ვინ? _ შეუვალი იყო ნორა.

_ იცი რას გეტყვი? _ მკაცრი იყო ენვერი. _ სხვა, შენს ადგილზე, გაჩუმდებოდა, ალბათ, და ბოდიშს მოიხდიდა. შენ კი?

_ რა? _ წამოხტა და ხელები გაშალა ნორამ. რაღაც სლოკინის მსგავსიც კი ამოუშვა პირიდან, რამაც ენვერი უსაზღვროდ გააკვირვა, რადგან ნორას არასოდეს სჩვეოდა ასეთი რამ. _ მე რაც ჯოჯოხეთი გამოვიარე და სიკვდილს ჩავხედე თვალებში, ისევ მე მაქვს ბოდიში მოსახდელი შენთან? _ და ნორა, დამაგვირგვინებელ შეტევაზე გადავიდა. _ შენ, რომელსაც ოცი წელი მაინცაა, რაც გიცნობ, სულ პატარა წინააღმდეგობაზე რომ იფსამ, და როგორც კი რამე საშიშროება გიახლოვდება, მაშინვე რომ მე ამიფარებ ხოლმე ფარად და შენ კი თაგვის სოროში წრუწუნასავით მიძვრები, შენ მე მთხოვ ბოდიშის მოხდას? არც კი გრცხვენია... _ და ნორამ ისე მოიწმინდა ყველაფერი, როგორც თეთრფრთიანმა ანგელოზმა.

რა დაემართებოდა, ნებისმიერ ქმარს ამ შემთხვევაში? ცოლს რომ მისი საყვარელი მანქანა და შავი დღისთვის გადანახული ფული, ასე უპრაკუნოდ მიეკარგა? ის, რაც, ალბათ, გამგებელ ენვერ ჭუბაბრიას დაემართა. ჯერ მთლიანად გალურჯდა, მერე გაყვითლდა, მერე გათეთრდა და მხოლოდ ამის შემდეგღა გადაჰკრა მოვარდისფრო ფერი-ფურმა. რამაც დიდი დაკვირვებით მზირალ მის მეუღლეს აუწყა, რომ, ჯერ არც ისე ცუდად იყო საქმე და, რომ მისი ქმარი, უახლოეს ორ სამ საათში მაინც არსად აპირებდა (საიქიო ჰქონდა მხედველობაში) გამგზავრებას. მოკლედ ნორა ისევ შეტევაზე გადავიდა.

_ რა ფერი-ფური მიგდის და მოგდის... არ გეუბნები მართალს? მე რომ გამიშვი იმ ხახადაფჩენილ მგლებთან და ნიანგებთან, და შენ, აქ, ვისთან გრიალებდი და ვისთან ათენ-აღამებდი, რომ არ გეკითხებიან არაფერს და არასოდეს პასუხს არ გთხოვენ, ის ხომ კარგია?

_ ქალო, არ გამაგიჟო მთლად, ახლა! ნუ ამწიე ჭკუიდან, ნუ გადამიყვანე, საერთოდ! გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, არა? _ მიუხვდა ცოლს ენვერი, _ მე გაგიშვი? მე დაგაძალე? შენი ინიციატივით არ წაბრძანდი? შენ არ გაიძახოდი, კაცები დებილები ხართ, საქმეს გააფუჭებთ და მერე ქალებმა უნდა ვიტეხოთ თავი, როგორ გამოგაძვრინოთო? მე ვიყავი? შოკში ვარ კაცი, რა ვიფიქრო აღარ ვიცი... გუშინ მანქანაც მქონდა, ფულიც... დღეს კი ჯიბეები რომ ამოვიტრიალო, ერთ თეთრს ვერ მივაგნებ... თან ისეთი შავი ღრუბლები ირევა ჩემ თავზე, როგორ წამოაყრის და რას წამოაყრის და წამოუშენს, ერთმა ღმერთმა იცის, მარტო... გაგიჟდები კაცი... _ ის იყო მიამთავრა თავისი დასკვნითი სიტყვა ენვერმა, რომ ტელეფონმაც დარეკა და სვეტამ გამომძიებელ ლერი კაპანაძის ჩამობძანება ამცნო.

_ "ინკოგნიტო" ჩამოვიდა, ვეცდები დილამდე ჩემთან იყოს, _ მოახსენა სვეტამ გამგებელს ყურმილში.

ენვერს, თითქოს, ურო ჩასცხესო თავში, მოწყდა და სავარძელში ჩაესვენა. რაც ნორას ყოვლისმხედველ თვალს არ გამოპარვია.

_ რაო, კაცო, რა მოგახსენეს ასეთი? _ ჰკითხა მან ქმარს და თავისთვის კი გაიფიქრა, "ისევ ჩაისველა, რა მეშველება? დაიჭერენ და დაიჭირონ"... და თითქოს ქმარიც ფიქრს მიუხვდაო.

_ მე, ალბათ, დამიჭერენ... _ თქვა და ცოლს უაზროდ მიაჩერდა.

_ არაუშავს, კაცმა ყველაფერიც უნდა ნახოს, ციხეც, ომიც, მშვიდობაც... _ არ ვიცი, წაკითხული ჰქონდა თუა არა, ნორა ქადაგიძეს ჰემინგუეის რომანები, ერთი კია, რომ მისი აზრი გაიმეორა. მაგრამ ჰენინგუეის აზრი მის ქმარს საშინლად არ მოეწონა და ისეთი და იმდენი სისულელე მოხია...

_ რა მინდა ციხეში, რატომ უნდა ჩავჯდე მე ციხეში? კაკი, მანფრედა და გოგიტა გარეთ დადიოდნენ და მე კარცერში? _ მეზობლები ჩამოთვალა. მგონი, ისინი, სამეზობლოში ვისი "ზუბიც" ჰქონდა. თუმც, რას წარმოიდგენდა, რომ ამ სამიდან, ერთს, გოგიტას, ძალზე ხშირად უფათურებია ხელი მისი მეუღლის ძვირფას საცვლებში, როცა ისინი ნორას მშვენიერ ნაკვთებს ათბობდნენ.

მოკლედ, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძესთვის მთელი ამ საქმის პერიპეტიები, უკვე დღესავით იყო ნათელი. ის ბრალდებანი, რომელიც რეზი ბერიძის აღიარებაში იყო ჩამოთვლილი, რა თქმა უნდა, დამნაშავეთა ჯგუფის გამოსავლენად, საკმაოდ მყარ მასალას წარმოადგენდა. მაგრამ რადგან უკვე აღარსად ეჩქარებოდა და, მისი აზრით, ვერცერთი მათგანი ვეღარ ასცდებოდა ფემიდას მახვილის ბასრ პირს, გადაწყვიტა, ადგილზე ჩასულიყო და იქაურებისთვის, როგორც ქორს ისე ჩამოექროლა და წიწილებივით დაეფრთხო. ან, უფრო სწორად, კატა-თაგვობანას მსგავსად, სიკვდილმისჯილები, სიკვდილის წინ, თაგვებივით ეთამაშებინა. თან ფიქრობდა, რომ რადგან რაიონის დონის მაგნატებთან ჰქონდა საქმე, რაიმე, თუნდაც პატარა მიზეზის გამო, რომ არ გაჯანჯლებულიყო ძიება, კიდევ ცოტაოდენი მტკიცებულებანი მოეპოვებინა ადგილზე და საქმე მერე დაეხურა.

მოკლედ, თუ მარტვილში პირველი ჩასვლისას ის ტურა უფრო იყო, ვიდრე სხვა ცხოველი, ახლა უკვე ლომის ფაფარით უნდა მოვლინებოდა იქაურებს.

საღამოხანს, როცა ის მარტვილში ჩავიდა, ლერი მშვენიერ ხასიათზე იყო. დაახლოებით ისეთზე, აი, ვთქვათ, მეცნიერი რომ დაამთავრებს თავის შრომას, და ახლა უკვე ამ შრომის ნაყოფის მომკის მოლოდინშიღაა. რას გააკეთებდა მის ადგილზე სხვა პირველ რიგში? რა თქმა უნდა, სვეტას მიაკითხავდა, როგორც, ვთქვათ, დაფნის

გვირგვინიანი, წითელ ტოგაში შემოსილი რომის იმპერატორი, ან, თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი. თუ დამიჯერებთ, სწორედ ასეთი გრძნობა ჰქონდა. მოკლედ, “იმპერატორი” იმ სასტუმროს წინ გაჩერდა, რომლის ადმინისტრატორიც მისი “კლეოპატრა” იყო და პიჯაკის ჯიბიდან, “ქემელის” კოლოფი ამოიღო. გააბოლა, საოცრად ესიამოვნა, “ქემელის” კვამლის რბილი, მოყავისფრო გემო და ჰოლში გაჯგიმულმა შეაბიჯა.

_ ვინმე გნებავთ თუ ნომრის აღება გინდათ? _ შეეკითხა სასტუმროს მორიგე, რომელიც, ალბათ, კლიენტებს იღებდა.

_ სვეტას ნახვა მინდოდა, ადმინისტრატორის, თუ არის, რა თქმა უნდა, _ უპასუხა ლერიმ და ჰოლი მოათვალიერა.

_ არის, მაგრამ უნდა დავურეკო, დაბრძანდით, ერთი წუთით... _ თხოვა მორიგემ და შიდა ტელეფონის ყურმილი აიღო. ლერი არ დაჯდა, მივიდა და კედელზე დაკიდული უგემოვნო ნახატის, რომელზეც, ალბათ, იქაური პეიჟაზი იყო გამოსახული, შესწავლას შეუდგა. თან, ცალი ყური, რა თქმა უნდა, მორიგისკენ ჰქონდა.

_ სვეტა, შენთან არიან, ამოვუშვა? არ ვიცი, ერთი წუთით... _ და მორიგემ ლერის მიმართა, _ ვინ ბრძანდებითო?

ლერი ცოტა კი დაიბნა, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ინჟინერი იყო.

_ ინკოგნიტო ინჟინერი, _ უპასუხა მორიგეს და თავისი სიტყვამოსწრებულობა თვითონვე მოეწონა.

_ ინკოგნიტო ინჟინერიო, _ გადასცა მორიგემ ყურმილში ლერის ნათქვამი სვეტას, _ კარგი გადავცემ, _ და მორიგე ისევ ლერის მიუბრუნდა, _ ცოტა ხანს დამელოდოსო.

ლერის რატომღაც ეჩქარებოდა, ალბათ, აინტერესებდა რა ეფექტს მოახდენდა სვეტაზე “იმპერატორის” რანგში წარდგენა და რომ უნდა დალოდებოდა, მაინცდამაინც არ მოეწონა. სხვა გზა არ იყო, ჰოლში დადგმულ, კლიენტებისთვის განკუთვნილ დივანზე ჩამოჯდა და ბედს შეურიგდა. თან წარმოიდგინა რას აკეთებდა იმ მომენტში სვეტა. მისი აზრით, ის იმ წუთას, მთელი სისწრაფით იხდიდა იმ სამოსს, რომელიც ეცვა... და ლერის სვეტას შიშველი, თეთრი ტანის სილამაზე ცხადლივ გაახსენდა. იმდენად ცხადლივ, რომ ნერწყვიც კი გადაყლაპა. ახლა კი სვეტა ახალი სამოსით იმოსებოდა, თმებს ივარცხნიდა, პომადას ისვამდა და ა.შ... სინამდვილეში კი, სვეტასთან სულ სხვა რამ ხდებოდა, და არა ის, რასაც ლერი კაპანაძე ფიქრობდა.

მოკლედ, სვეტა, იმ მომენტში, ადგილობრივი კადრებიდან შერჩეულ საყვარლის უხეშ მკლავებში ფართხალებდა და ბოლო ბგერებს, ერექციასთან ერთად, გახშირებულ ტკბილ ხვნეშას აყოლებდა. ეს იმ ბგერებზეა საუბარი, რომელიც ორივე სქესის არსებებში, ქვენა გრძნობებს აღვიძებენ და სურვილის გრძნობას, როგორც სხვა არაფერი, ისე რომ ამძაფრებენ.

ასე რომ სვეტა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რანაირი ინჟინერიც იყო ის ინკოგნიტო, რომელიც ასე არასასურველ მომენტში გამოეცხადა, ძალზე შავ დღეში გახლდათ. რადგანაც თავისი უშუალო უფროსებისგან მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ ამ “ინკოგნიტოს” გამოჩენა მათთვის აუცილებლად ეცნობებინა. თანაც, რაც შეიძლება დიდხანს უნდა დაეყოვნებინა ის თავისთან. მაგრამ უჩას, ანუ სვეტას ახალი საყვარლის, სექსუალური რაციონი, მინიმუმ შვიდი “პარტიისგან” მაინც შედგებოდა, მათ კი მხოლოდ პირველი პარტია მიამთავრეს. მოკლედ, იმ წუთას სვეტასათვის, უჩა ისეთი თავსატეხი იყო, ეროსის ყველა დემონები, ერთადაც რომ მოეხმო და მიწაზე ჩამოეყვანა, ისინიც ვერაფერს უშველიდნენ. და სვეტამაც ერთდროულად ორ ფრონტზე ომი გადაწყვიტა. სხვანაირად უჩა არაფრის დამთმობი არ იყო და, შესაძლოა, ინგოგნიტო ინჟინერი, მის, ანუ უჩას, უარყოფით ენერგიას, უბრალოდ ემსხვერპლა ანუ უჩას ის ქალის საძებნელად საიქიოშიც კი გაესტუმრებინა.

_ რაღაც გაუგებრობაა, ვიღაც კლიენტი აჩმახებს, შენ აქ დამელოდე, გარედან ჩაგკეტავ, რომ ვერავინ შემოვიდეს ან ვინმემ არ მოგატანოს და ათ წუთში ამოვალ, კარგი? _ უთხრა მან თავის, უკვე საკმაოდ ეშხში შესულ, გამხეცებულ უკანონო "მეცხედრეს" და კარი ჩაუკეტა. და მაშინვე, კიბეზე, სირბილით, ჩანჩქერივით ჩაემზღვრა.

მოკლედ, სვეტას თავისი აღელვება და პატარა ნერვული შოკი რომ დაეფარა, ლერის აღტაცებული მიეჭრა და დიდი ხნის უნახავი ქმარივით მოურიდებლად "დაუზასა". ლერიმ ძლივს გაითავისუფლა მისი ცხელი ტუჩებისა და მკერდისგან თავი, ცოტა კი გააკვირვა, სვეტას ასეთმა მხურვალე მისალმებამ, მაგრამ არ შეიმჩნია და მის ნება-სურვილს დაჰყვა.

_ წამოდი, წამოდი! _ სვეტამ ხელი დასტაცა და ლერი ზევით გაიტაცა. მერე ასეთივე სისწრაფით შეაგდო სასტუმროს ერთ-ერთ "ლუქსში", საწოლზე მიაწვინა, ელვა გაუხსნა და სანამ ჩვენი გამომძიებელი აზრზე მოვიდოდა, რაღაც სამიოდ წუთში ყველაფერი მომთავრებული იყო.

_ ვერაფერიც ვერ გავიგე, _ თქვა ასეთი უცნაური მიღებისგან, ცოტა არ იყოს, განცვიფრებულმა, საწოლზე გულაღმა მწოლიარე ლერიმ და ელვა შეიკრა.

_ რა ვერ გაიგე? მოვკვდი შენი ლოდინით, აკი სულ მალე გესტუმრებიო? მთელი თვე გავიდა... _ და უცებ შუბლზე იტკიცა ხელი. _ ვაიმე, მგონი უთო დამრჩა ჩართული... _ და ხელით ანიშნა. _ შენ აქ დამელოდე, გაიგებ, გაგაგებინებ. ვიცი რაც გინდა, შენზე კარგად ვიცი. ვეღარსად გამექცევი, გარედან ჩაგკეტავ, ცოტა მოითმინე და ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა. კარგი? _ რა თქმა უნდა, კეკლუცობდა და მთელ თავის ნიჭს აქსოვდა ამ "ტირადისას" სვეტა. ასე რომ კაცის გული მოინადირა და უკეთესის ლოდინში თავბრუდასხმული საწოლზე დატოვა.

მერე სვეტა პირველ სართულზე ჩაქანდა. ენვერ ნიჟარაძის, ანუ გამგებლის ნომერი აკრიბა და მოახსენა.

_ "ინკოგნიტო" ჩამოვიდა, ვეცდები დილამდე ჩემთან იყოს.

ის, თუ რა რეაქცია მოჰყვა, რესპოდენტის მხრიდან ამ ინფორმაციას, უკვე მოგახსენეთ. ახლა კი, ისევ ჩვენს ახლად გამომცხვარ, სუსტი სქესის "ფიგაროს" ქცევას მივადევნოთ თვალი.

მიაწოდა თუ არა, საჭირო ინფორმაცია, როგორც ევალებოდა, სვეტამ თავის "ლუქს-კაბინეტში" ჩაკეტილ "შვიდიანისკენ" გასწია. თან გზად, თავის ტვინს, მთელი სისწრაფით, დაუნდობლად ამუშავებდა. როგორ მოეცილებინა თავიდან უჩა. რადგან შვიდჯერ, ერთ ღამეში, ასეთი ოპერაციების ორჯერ გამეორება, იცოდა მის ძალებს აღემატებოდა და აუცილებლად დაიწვებოდა. თან "თოთხმეტი" რიცხვის პერსპექტივაც, რა თქმა უნდა, ცოტა აშინებდა.

რა უნდა გაეკეთებინა? გამოეთრო? გამორიცხული იყო, რადგან ჩვენი კაცები იმდენ ღვინოს და არაყს ისხამენ სტომაქში, ზოგჯერ ქვევრებსაც კი ცლიან, ხომ? ერთადერთი გამოსავალი წამალი იყო, არა ნარკოტიკი კი არა, უბრალო, ძილის წამალი. რომელიც უჩასთვის ჭიქაში უნდა ჩაეყარა. ამიტომ ისევ მორიგესთან ჩაქანდა და თხოვა. შენი ჭირიმე, აფთიაქში გადაირბინე და ძილის წამალი, თუნდაც "დიმედროლი" მიყიდე და როცა მოიტან, ჩემთან ვიქნები და დამირეკეო. ოღონდ, სანამ დამირეკავდე, ჩვენ რომ ვიცით, ისეთი სუფრა ორ კაცზე, ორი შამპანურით, ორასჩვიდმეტში შეიტანეო, თხოვა. ის კაცი ჩაკეტილი მყავს და კარს შენ თვითონ გააღებო, ესეც დააყოლა. მერე კი ავიდა და დატუსაღებულ უჩას ესტუმრა, რომელიც მაგიდას მისჯდომოდა და გემრიელად ილუკმებოდა.

_ სად გადაიკარგე, აკი ათ წუთში ამოვალო? _ უსაყვედურა უჩამ.

_ მთელი კვირა იცხოვრა და ფულის გადახდა არ უნდოდა. კიდევ კარგი, დაიჭირა ირმამ, თორემ გვეპარებოდა, თურმე... _ იცრუა ოსტატურად სვეტამ.

_ შენი წითელი ტუჩები მინდა ვადღეგრძელო, მოკიდე შენც ხელი! _ მიანიშნა არყის ჭიქაზე უჩამ სვეტას.

_ წითელი პომადაა, თორემ, წითელი ტუჩები კი არ მაქვს, _ უპასუხა სვეტამ და ჭიქა ასწია.

_ მაშინ წითელპომადიანი ტუჩები... გაუმარჯოთ! _ თქვა უჩამ და გადაჰკრა. თან გრძელ, უკან გადაწეულ შავ თმაზე გადაისვა ხელი.

_ პაჩი? _ ტუჩები გამობურცა სვეტამ.

უჩამ ლუკმა გადაყლაპა, წამოდგა, სვეტას ადგომაში დაეხმარა და მის ტუჩებს დააკვდა. მერე თეთრი ძუძუები მაღლა ამოუყარა, ორივე ხელი ამოსდო ბარძაყებში და საწოლზე მიაწვინა. ქალიც მაგრად ეხმარებოდა, ცოტას ჩქარობდა კიდეც... ხელის თითებს ინტიმურ, აღმგზნებ წერტილებში ისე ოსტატურად უსვამდა, რომ კაცი ლამის გააცოფა, გააგიჟა და რიტმი გაუათკეცა.

_ აუუუ! _ აღმოხდა მგელივით ყმუილი უჩას და ექსტაზში წავიდა, ეგონა მთის მწვერვალიდან წამოსულმა ზვავმა ჩანთქა და ჩაიყოლა... იწვა ასე მთის ძირში და წამოდგომა აღარ უნდოდა.

სამაგიეროდ, სვეტას უნდოდა წამოდგომა, რომ ისევ იმ “ინკოგნიტოსთან” გაქცეულიყო, რომელიც დაუკაკუნებლად ანუ გაუფრთხილებლად გამოეცხადა და ამ უცნაურ სიტუაციაში ჩააგდო. თუმც, თავისი საქმის პროფესიონალისთვის, როგორიც სვეტა გახლდათ, ასეთი სიტუაცია აზარტულიც იყო, და ისიც თამაშობდა, აინტერესებდა ფინალი, რომელიც, რადგან ყველაფერს ვერ გათვლი, ზოგჯერ ტრაგიკულად და ზოგჯერ კი კომიკურადაც მთავრდება. მოკლედ, არ იყო საინტერესო, ამჯერად, რით დამთავრდებოდა?

ტელეფონმა დარეკა და ირმამ სვეტას ამცნო, რომ მისი დავალება შესრულებული იყო. სვეტამ ერთხელ კიდევ მოიმიზეზა იგივე კლიენტი და “ინკოგნიტოსთან” გავარდა. ძილის წამლისთვის კი, მისგან რომ გამოვიდოდა, მაშინ უნდა მიეკითხა. რადგან უჩა უნდა დაეძინებინა, ღამე კი ლერისთან გაეტარებინა.

ლერის შამპანური გაეხსნა და ერთი ჭიქა გადაეყლურწა კიდეც... მშვენიერ ხასიათზე ბრძანდებოდა, სასტუმროს მშვენიერ ნომერში ნებივრობდა და არსად ეჩქარებოდა.

რა უნდა გაეკეთებინა სვეტას, რომ თავისი უცაბედი სტუმარი შესვლისთანავე აღეგზნო? ალბათ, რაღაც არაორდინალური, როგორიც სვეტას მსგავს არსებებს ყოველთვის მოეძევებათ რეპერტუარში და საჭიროების დროს, შეძლებისამებრ, გამოყენებასაც ახერხებენ.

ნამგზავრი და სასმელ-გადაყლურწული გამომძიებელი, პირველი პარტიის შემდეგ, ოდნავ მოთენთილი და მომჩვარულიც კი ჩანდა და სვეტამ გაიფიქრა, უჩა კი არა, იქნებ ეს მივაძინო და ბევრად ადვილად გადავჭრა ჩემი პრობლემაო. მოკლედ, ტვინი გადაუბრუნდა და ასეც გადაწყვიტა. ჯერ კი მის აღსაგზნებად, ყველაზე აპრობირებულ მეთოდს მიმართა _ სტრიპტიზს. შევიდა თუ არა ნომერში, მუსიკას ბოლომდე აუწია, ლამაზი, გრძელი ფეხები, სექსუალურად (მერილინ მონროს პონტში) გაჩაჩხა, მერე ოდნავი რხევით, კაბის ბოლო ნელ-ნელა, სულ ნელა ააცურა მუხლს ზემოთ და როცა ბარძაყებს შორის ტრიკოს შემაერთებელი ქსოვილი გამოიჩინა, მაშინღა გადაიძრო თავს ზემოთ და მოისრიალა. რა თქმა უნდა, იმან, ვისთანაც ეს ამბავი პირდაპირპროპორციულად იყო დაკავშირებული, სასწრაფოდ გამოიღვიძა, და ამის შესახებ იმპულსები მამაკაცის ტვინის იმ უჯრედებისკენ გაგზავნა, რომლებიც შემდეგ, ძლიერი სქესის უმრავლესობას, უმეტესწილად, გონებასაც კი აკარგვინებენ და

ხათაბალაშიც კი ჰხვევენ. უფრო უბრალო ენით რომ ვთქვათ, კაცს შარვლის უბე დიდი სისწრაფით გამოებერა. ხოლო როცა ქალმა ლიფიც მოისრიალა, შემოტრიალდა და თავისი ულამაზესი უკანალი პაპუასთა დედოფალივით აათამაშა, ლერის ის უკვე მკერდზე ჰყავდა ატატებული და საწოლისკენ მიარბენინებდა. მოკლედ, კაცმა ქალი საწოლზე გარდიგარდმო მიაგდო და ისეთი გამალებით დააცხრა ზურგიდან, რომ მის ხერხემალს ლამის ჭრიალი და ჭახაჭუხი აუტეხა. არ ვიცი ვის უხდიან მამაკაცები, ასეთი უტკბილესი წამების დროს მადლობას, ერთი კია, რომ თავს მაღლა-მაღლა სწევენ და თვალებსაც ისე ატრიალებენ, როგორც მლოცველები განსაკუთრებული ექსტაზისას... აი, სწორედ ამ პოზაში იმყოფებოდა, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელი ლერი კაპანაძე, როცა ლუქსის კარი გაიღო და ნომერში უჩა ურიდიამ შემოიხედა.

შემოიხედა და რას ხედავს, მის სვეტას, მის საყვარელს, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ, მის ხელებში, წყლიდან ახლად ამოგდებული კალმახივით სხმარტალებდა, ვიღაც უჯიშო მელოტი შემოჯდომოდა ზურგზე და ვინ იცის, საით, რა სისწრაფით მიაქროლებდა. რას გააკეთებდა ამ დროს ნებისმიერი მამაკაცი? თუ მას მართლაც კაცი ჰქვია? ალბათ, იმას, რაც უჩა ურიდიამ გააკეთა.

_ ვის ქალს ეხვევი, ვის ქალს?! _ საშინლად დაიღრიალა და კაცს, პირდაპირ, ფეხებში დასწვდა, დაითრია, გადმოაბრუნა, და სანამ, განცვიფრებული, შეშინებული და დაფეთებული, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელი ლერი კაპანაძე შარვლის ელვას იკრავდა, თავისი მსხვილი და უხეში მუშტები, ისეთი ძალით და სისწრაფით დაუშინა, რომ რაღაც სამიოდ წამში, კაცს სახე კატლეტად უქცია. მერე კი ისეთი სისწრაფით შეუდგა, მოწინააღმდეგის ყელის დახმარებით, მის იმ ქვეყნად გასტუმრებას, რომ ასეთ შემთხვევებში, ასე თუ ისე, გამოცდილ სვეტას რომ არ ემარჯვა, მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ უჩას, ოც წლამდე "სროკი" ნამდვილად გარანტირებული ჰქონდა. ქალმა კი, თავისი იძულებითი საყვარლის გადასარჩენად, ერთ-ერთ უუძველეს და საუკეთესო ხერხს მიმართა. აიღო შამპანურის ბოთლი და ისეთი გამეტებით და სიძლიერით დაუშვა, ადგილობრივი კადრებიდან შერჩეულ საყვარელს თავში, რომ იმან იმწამს მიანება თავი ლერის ყელს, თვალები გადაატრიალა და გონდაკარგული თავის მსხვერპლს ჩაეკონა.

როგორ აღმოჩნდა სვეტას კაბინეტში მარტოდ დატოვებული უჩა ურიდია ლერის ნომერში? ვინ იცის, ალბათ, ქალმა რომ დააგვიანა, მოენატრა და მის საძებნელად გამოვიდა. მით უმეტეს, იმ შვიდი "პარტიიდან", რომელსაც მუდამ კეთილსინდიესიერად თამაშობდა და არასოდეს ღალატობდა, ახლა მხოლოდ ორი ჰქონდა მომთავრებული. ან, იქნებ, უბრალოდ, რაიმე იეჭვიანა კიდეც, რადგან სვეტას საეჭვო წარსულის შესახებ არც ისე ცოტა რამ სმენოდა, ვინ იცის... ის კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ გამომძიებელს თავის სახეზე და ყელზე ანაბეჭდი რომ აეღო, ზედ, უეჭველად, უჩა ურიდიას თითების ნაკვალევს მიაგნებდა.

მოკლედ, ეს გაუთვალისწინებელი ინციდენტი იქაურებისთვის, ვინც კი ოდნავ მაინც იყო იმ ავარიასთან რაიმეთი დაკავშირებული, რომლის გამოც მთელი ეს ისტორია იწერება, ნამდილ კატასტროფას რომ მოასწავებდა, სვეტამ მაშინვე გაიაზრა. რა უნდა ექნა? იძულებული იყო, სასწრაფოდ ეცნობებინა ელიზბარ თელიასთვის, ანუ იქაური პროკურორისთვის და მოვლენების შემდგომ მსვლელობას დალოდებოდა. ჯერ კი, უჩა იმავე "ლუქსში" ჩაკეტა, ნაცემ-ნაბეგვი ლერი კაპანაძე კი სასწრაფოდ თავის კაბინეტში, ანუ უკეთეს "ლუქსში" გადაიყვანა. დაჟეჟილ და, მართლაც, კატლეტად ნაქცევ სახეზე კი პირსახოცის სველი, ცივი, კომპრესი დაადო. მერე ჰოლში ჩაქანდა და

ელიზბარს დაურეკა. ელიზბარმა ეს ამბავი ისე მიიღო, როგორც თავზე ბომბის დაცემა და, თავის მხრივ, გამგებელ ენვერ ჭუბაბრიას მოახსენა ყოველივე. საჭირო იყო სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქმეს კი ის ართულებდა, რომ სვეტას "შპიონაჟში" მონაწილეობა, არამც და არამც არ უნდა გამჟღავნებულიყო.

ბიჭები, ანუ გამგებელი და პროკურორი, ელიზბარის მანქანით, სასწრაფოდ სასტუმროსთან მიქანდნენ და სვეტას დაურეკეს.

_ სვეტა, სასტუმროს წინ გელოდებით, ცოტა ხნით ხომ შეგიძლია გამოხვიდე? _ შეეკითხა ელიზბარი.

_ კი, როგორ არა, ამ წუთას ჩამოვალ, _ უპასუხა სვეტამ, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოკლედ, ყოველი შემთხვევისთვის, სვეტა მაინც უმზადებდა ძილის წამალს სახედასიებულ გამომძიებელს. ის კოვზით ურევდა ფხვნილს ჭიქაში და ლერის ეფერებოდა. თან თავს იმართლებდა. _ საკმარისია, ვინმე უცხო ჩამოვიდეს ამ ქალაქში და იმწამს ყველამ უნდა გაიგოს. ღმერთო ჩემო, კაცს არ გავკარებივარ, ალბათ, ხუთი წელია, სკოლის დამთავრების მერე... საიდან გაიგო, ვინ გამოაგზავნა... გეფიცები, არ მინახავს, სამი წელია... აი, ეს დალიოსო, აფთიაქში მომცეს... _ და სვეტამ ბალიშზე მისვენებულ ლერის ჭიქა მიაწოდა.

"წეღან ხუთი წელი თქვა, ეხლა სამი..." ბუნებრივია, იეჭვიანა ლერი კაპანაძემ და წამალზე იკითხა.

_ ეგ რა არის?

_ არ ვიცი, ამას თუ დალევს, ბევრად ჩქარა დაუცხრებაო. _ უპასუხა ქალმა.

_ სახელი? რა ჰქვია?

ქალმა წამლის ყუთს დახედა

_ ალფასტაზონი. რა, არ გიყვარს წამლები?

_ წამლები ვის უყვარს... ვაი, ვაი! _ წამოიყვირა კაცმა, როცა წამლის დასალევად წამოიწია. როგორც ჩანს, ფერდებიც დაზელილი ჰქონდა.

_ მე უნდა ჩავიდე, მორიგე მეძახის. მალე ამოვალ, არ მოიწყინო უჩემოდ, _ უთხრა სვეტამ, როცა დაცლილი ჭიქა გამოართვა. _ აი, სიმღერებს მოუსმინე! _ და რადიოს აუწია.

_ კარი ჩაკეტე! _ გააფრთხილა კაცმა, ალბათ, იგივეს გამეორების პერსპექტივა აშინებდა.

სვეტა სასტუმროდან გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და ელიზბარის მანქანაში, უკანა სავარძელზე მოთავსდა.

_ რა მოხდა, სვეტა? _ შეეკითხა იმწამს ენვერი.

_ არ ვიცი, არ ვიცი, საიდან გაჩნდა ის გიჟი, _ დაიწყო სვეტამ გამოგონილი ამბის შეთხზვა. _ ვიჯექით ჩვენთვის და ყავას ვსვამდით. ის კი შემოგვივარდა და ისე წაუშინა, ისე წაუშინა... ასეთი შავი, მუშტისხელა ფანარი აზის ორივე თვალზე, ვერ ახელს... ალბათ, ერთ კვირას ფეხზეც ვერ დადგება... _ უჩვენა სვეტამ ხელით.

_ წინასწარ უყრია ჩვენი ჯავრი, მაგ ვირისთავს... _ ჩაილაპარაკა ენვერმა.

_ რა იცოდა, რომ ერთად იყავით? _ შეეკითხა სვეტას ელიზბარი.

_ აბა, მე რა ვიცი? _ უპასუხა სვეტამ.

_ რაო, ისევ ინჟინერია, თუ გითხრა, ვინც არის? _ შეეკითხა სვეტას ენვერი.

_ მოვასწარით რომ დალაპარაკება? _ გაიკვირვა სვეტამ.

_ ახლა რას აკეთებს? _ იკითხა ელიზბარმა.

_ ახლა წევს... _ თქვა სვეტამ და ძილის წამალი გაახსენდა, _ სძინავს.

_ მგონი ტუზი დაგვეცა, _ თქვა ელიზბარმა.

_ რატომ? _ იკითხა ენვერმა.

_ იქნებ როგორმე მოვთაფლოთ, სანამ ეგ ფეხზე დადგება.

_ მაგას კი მოთაფლავ, მაგრამ იმ იარაღით მოვაჭრეებს რას უზამ?

_ ეს მომათაფლინა როგორმე და სანამ ისინი ჩემამდე მოვლენ, დუბაის იქით ვიქნები... _ ჩაილაპააკა ელიზბარმა.

_ ის მეორე გიჟი? _ იკითხა უჩაზე ენვერმა.

_ გაიქცა, მაშინვე! _ იცრუა სვეტამ.

_ კაი, წადი! _ უთხრა ენვერმა, _ დაგირეკავთ, რასაც მოვიფიქრებთ... მოარჩინო უნდა.

_ კაი, ციანისტი კალის ჩავაცეცხლებ. _ თქვა სვეტამ და მანქანიდან გადავიდა.

_ მოუხდებოდა, _ ჩაილაპარაკა ელიზბარმა და მანქანა დაქოქა.

სვეტამ იცოდა, რომ ლერი დაძინებული დახვდებოდა, მაინც გადაამოწმა და რომ დარწმუნდა მართლაც ეძინა, უჩასთან გასწია. თუ ენვერის ბანდას გამომძიებელი ჰყავდა მოსათაფლი, სვეტას უჩა უნდა მოეთაფლა, რომელსაც თავის მისია ჯერაც შესასრულებელი ჰქონდა. დარჩენილ ხუთ "პარტიას" ვგულისხმობ. იმედი ჰქონდა, რომ ცოცხალი დახვდებოდა, თუმც, კარგად იცოდა, რომ თავგაჩეხილი უჩას მოთაფლვა, შესაძლოა, ბევრად რთულიც კი ყოფილიყო, ვიდრე თვით ლერი კაპანაძის.

_ ბედზე შემომისწარი, ბედზე. ვინ იყო ის გიჟი, ჰა? _ იმხელა ტყუილი მოჩმახა სვეტამ, მიუნჰაუზენს შეშურდებოდა, როცა ნომერში შევიდა და დაინახა, რომ უჩა საწოლზე მიწოლილიყო და თავზე კი სველი პირსახოცი დაედო. _ შესამოწმებლად შემოვედი და რომ მტაცა ხელი და მიმაგდო საწოლზე, დაყვირებაც ვერ მოვასწარი.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე კარგად იყო საქმე, როგორც სვეტას ეგონა. უჩა ხმას არ იღებდა, თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა და გაჭიმული იწვა.

ქალი დაეჭვდა, ხომ არ მოვკალიო, მივიდა და მაღლიდან დააცქერდა. უჩამ თვალები მისკენ მოატრიალა და სვეტა დამშვიდდა.

_ დედა მინდა, _ ამოიჩურჩულა ვაჟმა.

_ დედიკო? _ შაყირის ხასიათზე დადგა სვეტა.

_ არა, დედა! _ გაიმეორა ვაჟმა, _ ვერ ვტოკდები, მგონი ტვინი გადმომივიდა თავიდან.

_ ტვინი გადმოგივიდა? შენ? _ განაგრძო შაყირი სვეტამ, _ გქონდა რომ?

_ არ ვხუმრობ, დედა მინდა, დედაჩემი ექიმია, _ თქვა უჩამ და თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა.

_ ტირი? _ ალბათ, უკანასკნელ ათ წელიწადს ასე არაფერი გაჰკვირვებია სვეტას.

_ ჰო, იმიტომ რომ ვკვდები, _ თქვა ვაჟმა.

_ კვდები კი არა... აბა მაჩვენე! _ უთხრა სვეტამ და პირსახოცი ფრთხილად ააცალა. და სვეტას თვალებს, მართლაც საშინელი რამ წარმოუდგა. ბიჭს მუშტისხელა კოპი ეჯდა, გარშემო კი შედედებული სისხლის უზარმაზარი კოლტი გასჩენოდა. გრძელი, ქალივით თმებიც, მთლად ბუნდოვანს ხდიდა, ჭრილობის სიღრმე-სიდიდეს. ასე რომ, სვეტა ცოტა დაფეთდა კიდეც.

_ იწექი, არ გაინძრე, დედას მოგიყვან. _ დაპირდა და დერეფანში გამოვარდა.

როცა, ქალბატონ მარიამს დაურეკეს, შენ შვილს თავი აქვს გაჩეხილი და სასტუმროს ამა და ამ ნომერში წევსო, რადგანაც შვილის სიცელქის ამბავი კარგად მოეხსენებოდა, ბევრად უარესი იფიქრა და თავის თეთრი თმების წეწვა-გლეჯით და ტირილით და კივილით მოვარდა სასტუმროში.

_ დედუუ! _ დაიყვირა მან, როცა შვილის თავზე გაჩენილ უზარმაზარ კოპსა და ჭრილობას დახედა, _ მომკალით! _ ამის ამოთქმაც მოასწრო და ბავშვთა პედიატრი მარიამ ლაკერბაია სვეტას მკლავებში გულწასული ჩაესვენა.

ხომ, საოცრად კომიკურ სიტუაციას ჰგავს ეს ყოველივე, ხშირად, ბევრად მწვავე სიტუაციებში, ამაზე უარესადაც იქცევიან ჩვენი საყვარელი სამეგრელოს კუთხის წარმომადგენლები. თეატრალურობა, რომელიც მათ ტრაგედიებს ასე ახასიათებს, უცხო თვალისთვის, მართლაც კომიკურ და სასაცილო ელფერს იძენს. უჩას კი, ნამდვილად ცუდად ჰქონდა საქმე. დედის კივილზე თვალები რომ მილულა, მთელი ათი დღე აღარ გაუხელია. დიახ, მეათე დღესღა გაახილა თვალი. თბილისში, "არმიანცის" საავადმყოფოში. არც ერთი ექიმი არ ჰკიდებდა ხელს. ბოლოს მიშა გვარამიამ, ისევ მისი მხრის წარმომადგენელმა გარისკა და, მისი კეფა, თითქმის, ტვინთან ერთად აზელილი, დამსხვრეული, დანაკუწებული ძვლებისგან გაათავისუფლა. უჩა გადარჩა და რადგან ელიზბარ თელია მისი ღვიძლი დეიდაშვილი იყო, როგორც კი ლაპარაკი შეძლო, ის, რაც ახსოვდა, სწორედ მას მოუყვა. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ, იცით, რა ახსოვდა? რომ "მარშრუტკაში" იჯდა, რომელიც ზუგდიდიდან მარტვილში მოდიოდა. რომ მოძრავი მანქანის კარი გამოაღო და გადახტა. სხვა არაფერი ახსოვდა. როდის და რატომ გაჩნდა მის ტვინში ასეთი ჰალუცინაცია, არავინ იცის... ცრუობდა, რომ სვეტა გადაერჩინა? და იმასთან ერთად, გამომძიებელი ლერი კაპანაძეც? თუ, უბრალოდ, დაჭერის შეეშინდა, არავინ იცის. რადგან ის, თუ როგორ მოხვდა თავგაჩეხილი უჩა ურიდია სასტუმროს "ლუქსში", მთელ იმ შემოგარენში, ვერავინ გეტყოდათ. ხოლო მისი მონაყოლის გამო, ელიზბარმა დაასკვნა, რომ ბიჭს ტვინთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში ვერ უნდა ჰქონოდა. რაც ძალიან კარგი იყო. რადგან თუ ვინმე იჩივლებდა, მომავალ გართულებებს თავიდან აიცდენდნენ.

იქამდე კი, მოკლედ, უჩას და ელიზბარის შეხვედრამდე, მოვლენები ასე განვითარდა.

გახსოვთ, ალბათ, ქალის გამო ნაჟეჟმა ლერი კაპანაძემ ძილის წამალი რომ გადაყლურწა. რა გგონიათ, რამდენ დღეში გამოიღვიძა? ზუსტად, მეოთხე დღეს და, პირველად, რატომღაც, საწოლის ქვეშ შეიხედა და ხელი მოაფათურა. სვეტამ, რომელიც იმ დროს ნომერში იმყოფებოდა და გამომძიებლის ამსიგრძე საღათას ძილის გამო, მაგარი შეშფოთებული ბრძანდებოდა, რა თქმა უნდა, შეეკითხა თუ რას ეძებდა საწოლქვეშ ლერი.

_ ჩანთას ვეძებ... სად წავიდა? _ უპასუხა გამომძიებელმა, რომელიც უცნაურად ქანაობდა, ვერც თავს იჭერდა და ვერც ტანს და თვალებზეც თითქოს ლიბრი გადაჰკვროდა.

_ რომელ ჩანთას? _ შეეკითხა გაკვირვებული სვეტა, რადგან კარგად ახსოვდა, რომ როცა გამოეცხადა, კაცს არავითარი ჩანთა არ სჭერია ხელში.

_ ფული რომ იყო შიგ, ჩემი ფული, მილიონი... _ თქვა თვალებდაბრეცილმა ლერიმ, ბალიშზე მიესვენა, მილულა თავის დაბრეცილი თვალები და ისევ მიიძინა.

_ ეჰეე? ამან თუ მილიონი მომთხოვა, კარგად არის ჩემი საქმე... _ ჩაილაპარაკა სვეტამ და რადგან შეატყო, რომ კაცმა ისევ საღათას ძილით მიიძინა, ენვერს გადაურეკა და ის სიგიჟე, რაზეც გამომძიებელი ლაპარაკობდა, დაწვრილებით მოახსენა.

_ ხომ არ გაგიჟებულა? მილიონს ითხოვს? _ გაჰკენწლა გულში გამგებელს და ელიზბარს დაუკავშირდა.

რაღაც ათიოდ წუთში, "კონსილიუმის" ანუ კლანის ყველა მონაწილე თუ "მეწილე" ადგილზე იყო. სამი მამაკაცი: ენვერი, ელიზბარი და ნუკრი გობეჩია, რომელიც შპს "ქორის" მფლობელის დარეჯან ქოიავას ქმარი გახლდათ და მათი ცოლები, ანუ სამივე ქალბატონი: ნორა ქადაგიძე, მელანო აქუბარდია, ანუ ელიზბარ თელიას კნეინა, და თვით, დარეჯან ქოიავა.

წინასწარ მინდა გითხრათ, რომ არავითარი სურვილი არ მაქვს, მათი ეს კრება, იუმორესკას დავამსგავსო, რადგან ყველანი უმძიმეს დღეში იყვნენ ჩავარდნილნი და ისეთი დაძმარებული სიფათები ჰქონდათ, როგორც იმ პანაშვიდზე, სადაც, "მინიმუმ", ორი კუბო მაინც დგას.

_ მილიონის კი არა, ორმოცდაათის და ასის შემგროვებლებიც რომ არ ვართ, ყველამ კარგად იცით... _ წამოიწყო ენვერ ჭუბაბრიამ. _ ეს დალოცვილიშვილები, როგორც ჩანს, ყველაფერს თავიანთი საზომით ზომავენ...

_ ჰო, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, _ ჩაურთო სალომემ.

_ ამიტომ სასწრაფოდ რაიმე უნდა მოვიფიქროთ, თუ არა და, ციხე და კარცერი, რომ არსად გაგვექცევა, თქვენც კარგად იცით... _ დააბოლოვა ენვერმა.

_ ზოგჯერ საქმე რომ გაჯანჯლდება, ციხეც სანატრელი ხდება... _ ჩაიბურდღუნა ნუკრი გობეჩიამ.

_ ეგ თქვენთვის და ახლა მეც მკითხეთ. მინდა, ახლა, მე კარცერში ჯდომა? _ მხრები აიჩეჩა დარეჯან ქოიავამ. რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე მაგრად იყო შეშინებული.

უცბად რაღაც უცნაური ყაყანი ატყდა, რაღაცის ერთიმეორეზე გადაბრალება დაიწყეს ქალებმა.

_ თუ არ გინდოდა, არც ტყე უნდა გაგეჩეხა, _ უსაყვედურა დარეჯანს მელანომ.

_ მაშინ მაკალათიების "ტროიკას" რით იყიდდა? _ "გამოესარჩლა" დარეჯანს ნორა.

_ მე გავჩეხე ტყე? _ ახტა და შემობზრიალდა დარეჯანი.

_ მაშ ვინ? _ თვალები კაკლებივით ამოასხდა ნორას.

_ აუ, ამათ ახლა ზარბაზანიც ვერ შეაჩერებს, _ ჩაილაპარაკა ელიზბარმა და მართალიც იყო, რადგან ქალებმა იმწამს გაიწიეს ერთმანეთზე და კაცებს ხელის გამოღება დასჭირდათ.

_ გაჩერდით, გაჩერდით! თქვენ ხელს არავინ გახლებთ, ჩვენ ვიღებთ ყველაფერს ჩვენ თავზე, ჩვენ! _ აშველებდა ქალებს ნუკრი გობეჩია.

_ რა გამოდის? _ მაინც ვერ დაწყნარდა დარეჯანი, _ გამოდის, რომ კაცებს ციხეში გინდათ ჯდომა და ჩვენ არ გიშვებთ, ხომ?

_ მინდა, რომ გაგაჩუმოთ! _ დაჰყვირა ცოლს ნუკრი გობეჩიამ, _ იმიტომ, რომ ტვინი არ გაქვთ ქალებს!

_ დიიდი მადლობა! _ მოახსენა იმწამს მელანომ.

_ რა, ტყუილია? იცით, რა წერია ბიბლიაში? ეკლესიასტეში? _ დაიმოწმა ბიბლია ელიზბარმა, _ რომ ჭკვიანი ქალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს ქვეყნად!

_ მაგრამ იქვე ისიც წერია, რომ ათას კაცში მხოლოდ ერთია ჭკვიანი. _ გააჩუმა გამგებელი მელანომ და დააყოლა, _ რაღა თქვენში იქნება ის ერთი?

_ მართალია! _ დაუდასტურა ნორამ, _ ასე რომ ყოფილიყო, ახლა ჩვენ ამ დღეში არ ვიქნებოდით.

_ რამე უნდა მოვიფიქროთ, ხალხო! თავს უნდა ვუშველოთ, თავს! _ დაიღრიალა ენვერმა, _ რა დროს ბიბლია და ათი მცნებაა!?

_ მაგის გამოა სწორედ ყულფში რომ გავყავით ყველამ თავი, მაგ ათ მცნებას რომ არ ვიცავთ! _ შეეკამათა ცოლი.

_ გამაგიჟებთ, თქვენ მე, ყველანი! ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვლაპარაკობდეთ, რა ვუთხრათ იმ კაცს, რა შევთავაზოთ, რომ გაიღვიძებს, რით დავაბათ, რით შევკეროთ, როგორ? ამაშია საქმე! _ როგორც იქნა გააჩუმა და ჩააფიქრა ყველა ენვერმა.

_ წილში შემოვიყვანოთ, დავპირდეთ, რომ თუ ამ საქმეს ჩაფარცხავს, ოცი პროცენტი მისი იქნება... _ გაიცინა ნუკრიმ.

_ ნუ გიყვარს რა, შენ ყველაფერზე შაყირი. დარეჯანს რომ მოაკითხავენ, წაიყვანენ და... _ გაგიჟიმავენო, უნდოდა ეთქვა გამგებელს, მაგრამ თავი შეიკავა.

დარეჯანი იმ წამს წამოდგა და კარისკენ დემონსტრაციულად გაემართა. კართან შედგა, მოტრიალდა და თითი გამგებლისკენ გაიშვირა.

_ ყველამ თავის ცოლს მიხედოს და მის უკანალს! _ თქვა, კარი გამოაღო, გავიდა და ისე გაიჯახუნა, ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა.

_ მდაა, მძიმე სიტუაციაა... _ ისევ გაიცინა ნუკრიმ.

_ შენ ყველაზე ცუდად გაქვს საქმე და შენ იცინი, ბიჭო? _ გადაირია ენვერი.

როგორ უნდა დამთავრებულიყო ასეთი შეკრება? ისინი ხომ ყველანი ერთმანეთის ახლო ნათესავები ბრძანდებოდნენ, ერთი "კლანის" წევრები. ერთად ძარცვავდნენ და ანიავებდნენ იმას, რაც კომუნისტებს გადაურჩათ და მათ შთამომავლობასაც ეკუთვნოდა. ამ საკითხზე აქ დავსვამ წერტილს. რადგან ძალიან ბევრი მოიქცა და იქცევა მათსავით. ისინი, სამწუხაროდ, გამონაკლისები არ არიან. მათი რწმენით, ერთადერთი გამოსავალი ფული იყო, რომელიც ან ჰქონდათ ან არა. ან იმდენი მართლაც არ ჰქონდათ, რომ მათი "საქმე" გადაეძალა. შეიკრიბნენ, იყაყანეს, იჩხუბეს და დაიშალნენ.

გამომძიებელმა ლერი კაპანაძემ მხოლოდ საღამოსღა გაიღვიძა, თვალები დაწმენდოდა და სვეტა მიხვდა, რომ კაცი საღათას ძილიდან გამოვიდა.

_ სადა ვარ? _ პირველად ეს იკითხა ლერიმ.

_ სასტუმროში, ჩემთან, _ უპასუხა სვეტამ.

_ ჰოო... _ როგორც ჩანს, გაახსენდა სადაც იყო ლერის, _ ბევრი მეძინა? _ ჰკითხა მან სვეტას და ნაცემ სახეზე მოიკიდა ხელი.

_ არც ისე, ოთხი "სუტკა", _ უპასუხა სვეტამ.

_ არა? _ ვერ დაიჯერა ლერიმ.

_ ჰო, ჰო... _ დაარწმუნა სვეტამ და შეეკითხა, _ აღარ გეძინება?

_ არა, მაგრამ რატომ უნდა მძინებოდა ამდენი? _ იკითხა ლერიმ.

_ ალბათ, ნაცემი რომ იყავი... _ უთხრა სვეტამ.

_ ან სასმელი იქნებოდა მოწამლული. შამპანური დავლიე, რამდენიმე ჭიქა, ხომ? შენც ხომ დალიე? _ შეეკითხა ის სვეტას.

_ მეც დიდხანს მეძინა... _ იცრუა სვეტამ.

ლერიმ სარკეში რომ ჩაიხედა, მიუხედავად იმისა, რომ სახე დასცხრომოდა, მაინც შეეშინდა. ტკივილს კი გაევლო, მაგრამ გუგები ჯერაც ჩაშავებული და ჩალურჯებული ჰქონდა. ზედ ოდნავი სიყვითლეც გადაჰკრავდა.

საღამოს ათი საათი იყო.

_ მე დილა მგონია, _ თქვა ლერიმ, _ მთლად გამოფხიზლებული ვარ, გამოდის დღე და ღამე ამერია. რა უნდა ვაკეთო დილამდე?

_ ნუ გეშინია, არ მოგაწყენენ, _ უთხრა სვეტამ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. ლერი ვერ მიუხვდა, რას გულისხმობდა. ცხელი, ლიმნიანი ჩაი ესიამოვნა.

_ ტუალეტში ჩემით დავდიოდი? _ იკითხა.

_ მე დაგათრევდი, _ უპასუხა სვეტამ.

_ რას აღარ გადაეყრები კაცი... _ ჩაილაპარაკა ლერიმ, _ ვინ იყო ის გიჟი?

_ ხომ გითხარი, სკოლის შეყვარებული... _ უთხრა სვეტამ.

_ ააა, სულ გადამავიწყდა... ან, საერთოდ, რომ ვაზროვნებ... _ ჩაილაპარაკა ლერიმ.

კარზე დააკაკუნეს. სვეტამ კარი გააღო და ოთახში ძალიან ლამაზი ქალი შემოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ლერის ასე მოეჩვენა.

_ მე გავალ, _ თქვა სვეტამ და გავიდა.

ქალი სავარძელში ჩაჯდა, ფეხი-ფეხზე გადაიდო და სიგარეტი გააბოლა.

_ გისმენთ, _ ცივად უთხრა ლერიმ. ქალი, მართალია, მოეწონა, არ შეიმჩნია და გულგრილად უმზერდა,

_ მე ენვერ ჭუბაბრიას მეუღლე ვარ, ნორა ქადაგიძე, _ მოახსენა ქალმა.

_ მე ინჟინერი ლერი კაპანაძე, _ თქვა ლერიმ, გუნებაში კი გაიფიქრა, ჩემს ხელში ხართ ყველანიო.

_ კარგით ერთი. ძალიან კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებით.

_ უფრო კარგი, რა გაინტერესებთ?

_ რას გვიპირებთ!? _ ჰკითხა ქალმა.

_ მე გიპირებთ? _ იქით შეეკითხა ლერი, _ მე რა შუაში ვარ, არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი...

_ კოდექსი, რომელიც ქაღალდზეა დაწერილი? _ შეეკითხა ქალი.

_ ჩემგან რა გინდათ? _ მიახალა ლერიმ.

_ თქვენგან? ძალიან... როგორ გითხრათ, ჩემი ქმარი მინდა გადავარჩინო.

_ ეგ გავიგე.

_ ჰოდა, ჩემს თავს გთავაზობთ... _ თქვა ქალმა და წამოდგა.

ლერიც წამოდგა და ხელები გაასავსავა.

_ არა, არა, არავითარ შემთხვევაში, არ შემიძლია...

მაგრამ ქალმა მაინც ჩაიხსნა ქვედა ბოლო, რომელიც ნარნარით წავიდა იატაკისკენ და მისმა მსხვილმა და ვნებიანი კიდურების ხორბლისფერმა კანმა რაიონული სასტუმროს, ერთ რიგით, ჩვეულებრივ "ლუქსს", სულ სხვა ბრწყინვალება შესძინა.

ლერის ასეთი რამ არასოდეს მოსვლია. ვერ მიხვდა, ქალს ბარძაყები ჰქონდა ასე სექსუალური თუ ტრიკო ეცვა ლამაზი, ისეთი ცეცხლი წაეკიდა, რაღაც საოცარი მხურვალება იგძნო, რომელიც, თავდაპირველად, ქვემოდან წამოვიდა და შემდეგ მთელ მის ტანს კოცონივით შემოეგზნო.

ქალი მისკენ დაიძრა და ლერის მოეჩვენა, რომ მას რაღაც ისეთი რამ მოჰქონდა, რაშიც არ ჩაფლვა და არ ჩანთქმა შეუძლებელი იყო...

_ არა, არა... _ ლუღლუღებდა ისიც და ქალის რბილ სხეულში, როგორც უტკბილეს, სურნელოვან ტორტში, ისე ეფლობოდა.

მერე კი ხორციელმა ვნებამ ისე გაახელა, ქალის შიშველ მკერდს კბენდა, ჭამდა თუ ლოკავდა, აღარაფერი ახსოვდა. ქალიც ისე ლამაზად უძალიანდებოდა, რომ საბოლოოდ გააცოფა კაცი.

_ არა, არა... _ ისევ უარი იყო, მისი ბოლო სიტყვები. თუმცა, ყველაფერი უკვე მომხდარი იყო და ქალი მის თავზე შემორჩენილ ღერა-ღერა თმებს ეფერებოდა.

ყველაფერი დამთავრდა. ისინი კი იწვნენ გაყუჩებული და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

"ღმერთო, რა იყო ეს"? _ ფიქრობდა ლერი და თუმცა ცდილობდა რეალობას დაბრუნებოდა, ვერაფერს ახერხებდა. ვინ იცის, რამდენ წამს ან რამდენ წუთს გრძელდებოდა ეს ყველაფერი, ლერის კი ის ლამის უსასრულობად მოეჩვენა. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ყოველივეს აქვს დასასრული და, როცა ქალი წამოდგა და ლერიც რეალობას დაუბრუნდა, საშინლად მოუნდა, რომ დრო უკან დაბრუნებულიყო. რატომ? იმიტომ რომ, ენვერ ნიჟარაძეს ის ვეღარაფრით გადაარჩენდა. არადა, ერთი ჩვეულებრივი ქალის გამო, რომელსაც ახლა უკვე, კახპას იარლიყიც მიაკერა, კაცი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. თითქმის, ყულფში გაყო თავი... მოგეხსენებათ, "სექს-აქტის" შემდეგ, მამაკაცს, თუნდაც "მის მსოფლიოსთან" იწვეს, შესაძლებელია, ის ერთ ჩვეულებრივ დედაკაცადაც კი მოეჩვენოს... ჰოდა, ალბათ, სწორედ ასეთ დღეში

ბრძანდებოდა, ჩვენი “კაზანოვაც”, თორემ ორიოდ წუთის წინ ისეთ ნეტარებასა და განცხრომაში გახლდათ, ლამის “შეჩერდი წამოო”, ებღავლა. ქალმა მშვიდად ჩაიცვა, ლერის ერთხელ კიდევ გაეხახუნა, მოკლევადიანი “დაუზასა” და გავიდა.

გამოძიების ამდაგვარი გზით გაგრძელება ლერის გეგმებში, ნამდვილად, არ შედიოდა... ეს უფრო, ბრმა ტყვიას ჰგავდა, რომელიც შემთხვევით გავარდა და პირდაპირ ლერის მოხვდა. მაგრამ “მოხვდა კი”? _ გაიფიქრა ლერიმ. მიბრძანდება ახლა ეს ქალბატონი და თავის ქმარს მოუყვება, როგორ ნებივრობდა ჩემ მკლავებში, თუ რა? არა მგონია, _ გაიფიქრა ისევ, და “რის ყულფი, რა ყულფი, რა ტყვია, რომელი ტყვიაო”, _ ფიქრებშივე დაამატა. და მართლაც, განა ასე არ იყო? გამოძიების ბოლომდე მისაყვანად, ლერი კაპანაძეს გზა სხნილი ჰქონდა. ის კი არადა, თავისუფლად შეეძლო, დამნაშავეთა გასამტყუნებლად, ეს ამბავი კიდევ ერთ მტკიცებულებადაც კი გამოეყენებინა. თუმცა, ასეთ მზაკვრულ გეგმაზე მაშინვე უარი თქვა... ვინ იცის, რა ამბები დატრიალდეს და, ბოლოს, უკან არ დამიბრუნდეს, რიკოშეტით, ჩემივე დამპლობაო, გაიფიქრა.

კარი გაიღო და, ლერის რომ ეგონა, სვეტა იქნებაო, მისდა გასაკვირად, ნომერში წინამორბედზე არანაკლები სილამაზის არსებამ შემოანათა. როგორც ლერიმ განჭვრიტა, ქალს მოკლე ბოლოიანი და ამოღებულ ზურგიანი კაბა უნდა სცმოდა, ლამის უკანალის ჭრილამდე რომაა ჩახსნილი. და როცა ქალმა კიდევ ერთი ეჭვმიტანილის, რაიონის პროკურორის სახელი და გვარი დაუსახელა, მე მელანო აქუბარდია, ელიზბარ თელიას ცოლი ვარო. ლერიმ არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ საწოლზე მიუთითა.

_ ყველაფერი გასაგებია, შეგიძლიათ გაიხადოთ და ჩაწვეთ!

ქალმა ყურებს არ დაუჯერა.

_ რა ბრძანეთ? _ იკითხა მან და ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძეს განრისხებული მიაჩერდა. _ თქვენ შუბლში ტყვია გდომებიათ, ჩემო კარგო, და მიიღებთ კიდეც! _ ქალი გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, ლერის მოეჩვენა, რომ უკვე მოხვდა შუბლში ტყვია და მოკვდა კიდეც.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ კარზე დააკაკუნეს.

_ მორძანდით! _ გასძახა ლერიმ.

ეს უკვე მამაკაცი იყო, უცხო. და ლერის გაეღიმა. რატომ? რაღაც ანეგდოტის მსგავსი გაახსენდა, კაცი ქალს რომ ელის და იქით რომ ჟიმავენ. მოკლედ, ოთახში ნუკრი გობეჩიამ შემოიხედა და მოკრძალებით იკითხა.

_ შეიძლება?

_ ვინ ბრძანდებით! _ მკაცრი იერი მიიღო გამომძიებელმა.

_ ნუკრი გობეჩია ვარ, დარეჯან ქოიავას ქმარი.

_ ეგ რომელი? სახერხი ქარხანა რომ აქვს? _ გაიხსენა ლერიმ.

_ დიახ, _ უპასუხა კაცმა.

_ რა გნებავთ? _ ლერი კაცს ოთახში არ ეპატიჟებოდა. ის კი მაინც შემოვიდა, სკამი გაისწორა და დაჯდა.

_ ცოტა დელიკატური საქმე მაქვს, _ თქვა მან და გამომძიებელს თვალი გაუსწორა.

_ ბრძანეთ! _ თქვა ლერიმ ცივად.

_ ოჯახს ნუ დამინგრევთ, _ ამოღერღა საბრალოდ კაცმა.

_ თქვენ მე გოგოლის “რევიზორი” ხომ არ გგონივართ? _ აღელდა ლერი, _ თქვენ უკვე მესამე ხართ, ვინც ამ საქმეზე მაწუხებს.

_ ვიცი, _ თქვა კაცმა, _ მე ქართული ოჯახი მაქვს. ბავშვები მყავს თოთხმეტ-თხუტმეტი წლის, გოგონები... ხომ უნდა გათხოვდნენ... _ კაცი გაჩუმდა, თითქოს

ლერისგან რაღაცის თქმას ელისო, ის კი ხმას არ იღებდა, _ არ შეგიძლიათ, ისე გააკეთოთ, რომ ჩემი ცოლის ნაცვლად მე დამიჭირონ?

_ გამორიცხულია! _ მკაცრად თქვა ლერიმ, _ ქალაქის პროკურატურაში, იქ თბილისში, უკვე ყველაფერი იციან. მე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, რადგან თქვენივე ფეხით გამოცხადდით ყველანი...

_ მაგრამ ჩვენც რომ გვაქვს თქვენს წინააღმდეგ სამხილი? _ უცბად ტონი შეცვალა ნუკრი გობეჩიამ.

_ სამხილი? რა სამხილი? _ გაიცინა ლერიმ.

_ ტყუილად იცინით... _ თქვა კაცმა, _ ადგა, კედელზე დაკიდულ სარკესთან მივიდა და ჩამოხსნა. კედელზე დიდი, მრგვალი ნაჩვრეტი აღმოჩნდა, _ აი, ხედავთ? _ მიანიშნა ნაჩვრეტზე ნუკრი გობეჩიამ გამომძიებელს. მერე კი სარკე მიუტრიალა, _ აი, ხომ ვჩანვარ? _ მეორე მხრიდან სარკე მართლაც გამჭვირვალე იყო, ასე რომ, ნუკრი მართლაც მშვენივრად ჩანდა. მერე კი სარკე ისევ თავის ადგილზე ჩამოკიდა და ლერის მიუტრიალდა, _ ყველაფერი გადაღებული გვაქვს, რაც აქ მოხდა, კასეტაზეა ჩაწერილი. მე თვითონ ვიღებდი.

ახლა კი, მაგრად დასცხა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძეს.

_ არ მითხრათ, რომ მისი ქმარიც თქვენს გვერდით იდგა და თქვენთან ერთად გვიღებდა.

_ არა, იმან არაფერი იცის. ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით. მე, ნორა ქადაგიძემ და სვეტამ... მის ქმარსაც იმავეს ვეტყვით, რასაც სხვებს. რომ დაემუქრეთ, დააშანტაჟეთ და ძალაც იხმარეთ. გახსოვთ თქვენი თავი? გიჟი, ასპროცენტიანი... თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სექსუალური ძალადობა...

_ მაგრამ მე "არა, არას" ვამბობდი... _ გაახსენდა გამომძიებელს და გაიფიქრა: "წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო".

_ მაგ ყველაფერს წავშლით, რა პრობლემაა? _ და ნუკრიმ საწოლზე მიანიშნა, _ აი, აქ ხდებოდა ყველაფერი, პირდაპირ კამერაში იყურებოდით, ამღვრეული, გიჟის თვალებით... ნორა ამ წუთას ექიმთანაა, ცნობის ასაღებად. დაჟეჟილობებს აფასებინებს.

_ ყოჩაღ, მაგრამ ეს საქმე უკვე გახსნილია, მძღოლიც, ხე-ტყის მყიდველიც და მოწმეც, დაჭერილები არიან. ჰო, ვინც კი ამ საქმეში გადის, ყველას დოსიე უკვე შეკერილია.

_ ჰოდა, თქვენზეც შეიკერება ერთი დოსიე. შენი ცოლი რომ დაეჭირათ, შენ როგორ მოიქცეოდი? _ შენობით ლაპარაკზე გადავიდა ნუკრი. გამომძიებელმა ვერაფერი თქვა. _ თქვენა ხართ ჯერ ყველანი დასაჭერი და მერე ჩვენ! _ და ნუკრიმ მაგიდაზე "ვიზიტკა" დააგდო, _ აი, ჩემი "ვიზიტკა", თავის ტელეფონებით! _ დაამთავრა სათქმელი ნუკრი გობეჩიამ და კარისკენ წავიდა. კართან შედგა და მოტრიალდა. _ გოგოლის რევიზორობა მოუნდა ბიჭს... _ თქვა და კარი გაიკეტა.

ლერი, რომ იტყვიან, გამოქლიავდა. საწოლზე დაეშვა და უაზროდ მიაშტერდა კედელზე დაკიდულ სარკეს. "ალბათ, ახლაც მიყურებენ", _ გაიფიქრა და რატომღაც შეეშინდა. გავები, ახლა კი მართლაც გავყავი ყულფში თავიო, გაიფიქრა. საწოლზე გადაწვა და თვალები დახუჭა.

დრო გადიოდა. კარზე კი აღარავინ აკაკუნებდა. მიხვდა, სვეტას კვალს ვეღარსად მიაგნებდა. ნუკრის დატოვებული ვიზიტკა აიღო და მობილურზე მისი ნომერი აკრიბა.

_ ნუკრი ხართ?

_ დიახ.

_ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

_ სად?

_ სადმე ცარიელ მინდორში, რომ კამერები არ გვიყურებდნენ. თქვენ თქვენსას ცდილობთ, ჩვენ ჩვენსას. გამგეობის პირდაპირ რომ ბაღია, იქ დამელოდეთ!

_ სხვებიც წამოვიყვანო?

_ არა, არა... არც ერთი... მხოლოდ მე და თქვენ შევხვდებით.

_ კარგით!

ლერიმ პიჯაკი აიღო, მობილური ჯიბეში ჩაიდო, სიგარეტის კოლოფიც. მიიხედ-მოიხედა, ხომ არაფერი მრჩებაო, მერე სასტუმროს გრაფინს მოკიდა ხელი და სარკეს ესროლა. ორივე, გრაფინიც და სარკეც ნამსხვრევებად იქცა. ნაჩვრეტში კამერის ობიექტივი გამოჩნდა.

_ თქვენი იყოს ეს ქალაქი, ეს სასაფლაო. არ გავხდი ამ მკვდრების დასაცინი?! _ ობიექტივისკენ ჩაილაპარაკა და გავიდა.

ჰოლი ისე გაიარა, მორიგეს თავი არ აუწევია.

ქალაქის გამგეობის ბაღში სასიამოვნოდ გრილოდა. ნუკრი გობეჩია უკვე ბაღის ძელსკამზე იჯდა და გამომძიებელს ელოდა. ლერი მივიდა, მის გვერდით დაჯდა, სიგარეტი გააბოლა.

_ მაგრები ყოფილხართ! კარგადაც მჟეჟეთ და ყველაფრიდანაც გამოძვერით... _ ნუკრი გაჩუმდა, არაფერი უპასუხა, _ კაი, რას ითხოვთ მაგ ჩემ კასეტაში?

_ საქმის შერბილებას, ჯგუფური დანაშაულის მოხსნას და ყველაფრის ერთ დამნაშავეზე გადაბრალებას.

_ ვისზე? _ დაინტერესდა გამომძიებელი.

_ ჩემზე, _ მშვიდად უპასუხა ნუკრი გობეჩიამ.

_ როგორ მერე, შენი გვარი საერთოდ არ ფიგურირებს ამ საქმეში.

_ ვიცი, მაგრამ თუ დამიჯერებ, ჩემი ხელით დავუდე მთელი ის მასალა. მუშებიც კი არ ამიყვანია. ჩემ ცოლს ალიბი აქვს, დუბაიში იყო. ჰო, ჰო.

_ დაგვიჯერებენ?

_ რატომ არ დაგვიჯერებენ. ტრანსპორტის “პუტიოვკაზე” ჩემი ხელმოწერებია, სამივეს მე მოვაწერე, ყველას მაგიერ. ჩაატარებინეთ ექსპერტიზა!

_ რომელი ექსპერტიზა. სადღაა ის ქაღალდი, გამქრალია.

_ ჰოდა, უფრო კარგი.

_ მყიდველი რომ მაგათ ადებს ხელს? _ გაახსენდა ლერის.

_ ეგ ადვილია, შეაცვლევინებ ჩვენებას. რა, არ გაგიკეთებია? _ გაიცინა ნუკრიმ.

_ კასეტა?

_ კასეტა შენს თვალწინ განადგურდება. გიჟები კი არა ვართ, ჩვენს ინტერესებშია, არა?

ლერი წამოდგა.

_ თქვენი დედა ვატირე! _ ჩაილაპარაკა და თვითონ გაუწოდა დასამშვიდობებლად ხელი.

_ ეცადე რა, ნაკლები მომისაჯონ...

_ ეგ მოხერხდება, მთავარია, არ გაჟონოს...

_ არა, როგორ გეკადრება, ჩვენი თავის მტრები ხომ არა ვართ, არ არსებობს...

_ კაი წავედი... _ ჩაილაპარაკა ლერიმ, _ სვეტა მომიკითხე, აუცილებლად!

_ გადავცემ... _ დაპირდა ნუკრი.

ლერი მიტრიალდა და ბაღიდან გავიდა.

“ოჯახის ღირსების” გადამრჩენი მომავალი ტუსაღი კი იდგა და უყურებდა, სანამ გამომძიებელი თვალს არ მიეფარა. მერე შეხტა, რაღაც ყიჟინის მსგავსი დასჭექა და “კლანის” წევრებთან გავარდა, რომ ეს სასიხარულო ამბავი ეცნობებინა.

ლერი კაპანაძე კი საზიზღარ ხასიათზე ბრუნდებოდა უკან. მაინც აჯობეს ბობოლებმა, მაინც გამოძვრნენ. ყველა, ყველა დრო მაგათია, ალბათო, ფიქრობდა და იმასაც დარდობდა, ყოველგვარი დიდი ბოროტების სათავე ორი სქესის არსებობა რომაა. მხოლოდ ერთი სქესი რომ არსებობდეს, არავითარი ომები და ძარცვა-გლეჯა, არავითარი კონკურენცია არ იქნებოდაო... ვინ იცის?

სასამართლო, რომელსაც ავარიის გამომწვევ მიზეზთა და დამნაშავეთა დასჯა ევალებოდა, სწორედ იმ სცენარით წარიმართა, როგორიც ძალიან, ძალიან არ სურდა გამომძიებელ ლერი კაპანაძეს. მოკლედ, პირობებს მთლიანად დამნაშავე ჩინოვნიკები კარნახობდნენ. ის, რომ რაიონიდან დაბრუნდა თუ არა, ლერიმ ჩვენებები ყველა ტუსაღს შეაცვლევინა, თავისთავად ცხადია. საქმეში აღარ ფიგურირებდნენ რაიონული მაშსტაბის ჩინოვნიკები. სამაგიეროდ, გაჩნდა ვინმე ნუკრი გობეჩიას გვარი და დანაშაულის მთელი სიმძიმეც ამ გვარის მხარეს გადაიხარა. მიუხედავად, დიდი ბრძოლისა და უარყოფისა, ავარიის გამომწვევი მიზეზი ტკუცას შესტენეს, ხოლო, კონტრაბანდის საქმეში მონაწილეობის მიღება მოუხსნეს. მაია, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. თუმცა, ხმა გამოვიდა, რომ სამართალდამცავებს ვიღაცამ მის გადასარჩენად ფრიად სოლიდური თანხა გადაუხადა. რეზის, რომელმაც ძალიან სწრაფად გაითქვა პატიმრებში სახელი თავისი ჭინჭყლი და არამდგრადი ხასიათის გამო, სასამართლოზე თავი იმდენად ღირსეულად ეჭირა, რომ ყველა გააკვირვა. დგება, ალბათ, გამონათების წუთები იმ ადამიანთა დანგრეულ სულებში, რომლებიც დროის, თუ სხვა არაობიექტურ მიზეზთა, თუნდაც, დამნაშავე საზგადოების შეცდომების გამო, ისჯებიან. ან, განა ჩვენ ყველა, დამნაშავე საზოგადოების ღირსეული წევრები არა ვართ? ალბათ, კი. ცხრა წელი... რეზის გაეცინა. მოგეხსენებათ, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და ყველაფერს ეგუება. მხოლოდ გამონაკლისების ანუ რჩეულთა ხვედრია მარადიულ ომში სიკვდილი. რეზი კი, ამ გამონაკლისებს ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა.

ვფიქრობ, უნდა მაპატიო, მკითხველო, თუ ამ ამბების თხრობისას, ხშირად ღია, შიშველ ნატურალიზმს მივმართავდი. მაგრამ, განა ჩვენი დრო ამას არ იმსახურებს? განა დღეს, ყველგან და ყველაფერში, აგრესიული ნატურალიზმი არ დომინირებს? განა დღევანდელი მანიაკალური პოლიტიკური ვნებანი, რომლითაც ასეა გაჟღენთილი ჩვენი ყოველდღიური ყოფიერება, გაშიშვლებულ-გატიტვლებული ნატურალიზმი არ არის? განა, რაც უფრო და უფრო ვითარდება და ტექნიკურად სრულყოფილი ხდება საზოგადოება, სულიერად უფრო და უფრო არ ღატაკდება? სამწუხაროდ, ჩემი აზრით, ასეა და ამას ვეღარც რელიგიური ქადაგებანი და ვეღარც ხელოვნების მრავალფეროვანი დარგები ვეღარაფერს შველიან. ასე მგონია, კაცობრიობა, თანდათანობით, საყოველთაო სასოწარკვეთის ეპოქაში გადადის, სადაც მთავრდება ჰორიზონტი და მარადიული წყვდიადი იწყება. დეკადანსი, რომელზედაც წინა საუკუნის დასაწყისში ამდენს საუბრობდნენ, ვფიქრობ, ამ საუკუნის დასაწყისში თავის აპოგეას მიაღწევს. მოკლედ, უნდა მაპატიოთ, ეს ჩემი ფილოსოფიურ-ლირიკული გადახვევა და სჯობს, ისევ, ჩვენს გმირებს დავუბრუნდეთ.

ვერიკო, რომელზედაც საშინლად იმოქმედა რეზის დაპატიმრებამ, რომ იტყვიან, თვალს და ხელს შუა ქრებოდა. ელისო, რომელიც ამ ყველაფერს თავისი თვალით

უყურებდა და საშინლად განიცდიდა, ვეღარაფერს შველოდა. ისეთი წამლებით ჭყიპავდა, ლამის, ნარკომანად აქცია შვილი. ანი, რომელიც რეზის ამბავს იმიზეზებდა, მთელ თავის ენერგიას აქსოვდა, რომ როგორმე ჩქარა გაეყიდა მშობლების ბინა. ცოტაც და მაკლერობას დაიწყებსო, ამბობდა ელისო. რეზიც ციხიდან ისე აჩქარებდათ, ლამის ყოველდღიურად უთვლიდათ, ფული, ფულიო... ასე რომ ვერიკომ გადაწყვიტა, ოღონდ მყიდველი გამოჩნდეს, სულ რომ გადავაგდო, მივაოხრებ და მივყიდიო. მყიდველი კი, არა და არ ჩანდა. უფასო სარეკლამო გაზეთები გადაჭედილი იყო განცხადებებით ბინის გაყიდვის თაობაზე. ჩვენს ჯიბრზე, ყველა ბინას ყიდისო, ფიქრობდნენ ბერიძეები. მოვკვდე მაინც, მოვასწრო, რომ ჩემი ბინიდან გამასვენონო, ხშირ-ხშირად აცხადებდა, ბოლო დროს, ვერიკო. და მოკვდა კიდეც, მოასწრო. ღამის სამ საათზე, თავის ლოგინში, მაგრამ ჩუმად არა, როგორც, ხშირად, ოთხმოცდაათს მიღწეულები მიდიან. არა, ვერიკო სამოცისა ხდებოდა და ისე მოკვდა, როგორც მის წლოვანებას ეკადრებოდა. გული გაუსკდა. ელისოს საშინელი ყვირილის ხმა შემოესმა. გამოვარდა, შევარდა მის ოთახში გულგახეთქილი, ვერიკო კი უკვე აღარ იყო. მკვდარი დახვდა დედას შვილი. ღმერთო, რა ტკივილი უნდა ენახა, რომ ამხელა დაეყვირაო, სიკვდილთან ერთად, ამასაც ძალიან განიცდიდა დედის გული. ვერიკოც, სოლომონივით სიძის დასამარხი გახდა. თქვენი მკვდრები გამაკოტრებენო, შაყირობდა ანისთან თაზო. ძმებმა მომიკლეს დედაო, ამბობდა ანი. ირაკლი, რომელიც დაკრძალვაზე კი მოვიდა, ჭირისუფლებს თვალს ვერ უსწორებდა. სასაფლაოზე კი გაჰყვა ნათესაობას, მაგრამ ქელეხში აღარ მიბრუნებულა. ისეთი რა საშინელება გჭირს, რომ მეც კი არ მეუბნებიო, უნდოდა გამოეტეხა, რამენაირად ანის, მაგრამ ვერაფერს გახდა და შეეშვა. მოკლედ, ანის დარჩა ბურთი და მოედანი. მაინც გაყიდა სახლი. მაინც მოძებნა ბოლოს მყიდველი. ორმოცი ათას დოლარად გადააგდო. ფული სამად გაყო: თავისზე, ირაკლიზე და რეზიზე, თანაბრად. ელისო და რეზის ბიჭები ვითომ თავისთან გადაიყვანა, მამამთილის ბინაში, დიღომში, სადაც გაიოზის სიკვდილის შემდეგ, მულთან, ნუციკოსთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ორ კვირასაც ვერ გაუძლო. ადგა და ბიჭები "ბავშვთა სახლში" ჩააბარა, ელისო კი "მოხუცებულთა თავშესაფარში" მოაწყო. არ გაჭირვებია, ასეთ ამბებში თავისი პროფესია, ჟურნალისტობა მაგრად ეხმარებოდა. მართალია, რეზი ფულს სთხოვდა, იმუქრებოდა კიდეც ციხიდან, გამოვალ და დაგახრჩობო, მაგრამ ანიმ ცალ ფეხზე დაიკიდა, ფული ბიჭების სახელზე შეიტანა, სრულწლოვანებამდე გამოტანის აკრძალვით და რეზის მისი გამოტანის საშუალება მოუსპო.

აი, დაახლოებით, ასეთი იყო ვითარება, რომლითაც ბერიძეების ოჯახის ისტორიის ეს მონაკვეთი მინდა დავასრულო.

III წიგნის დასასრული

2006. სექტემბერი. თბილისი

თამაზ მეტრეველი

ველური წაბლის ხეივანი

გველის ქერქში

და-ძმებში ყველაზე უმცროსს, ირაკლის და მის ხასიათს, ასე თუ ისე, რომანის პირველ ნაწილში გავეცანით, შემდეგ კი კარგა ხნით მივივიწყეთ. გემახსოვრებათ, ალბათ, ძმასაც კი რომ ესროლა, თუმცა სროლასაც ვერ დავარქმევთ... დედის დასაფლავებას კი დაესწრო, მაგრამ ქელეხში აღარ დარჩა. ჰოდა, როგორ გგონიათ, რატომ არ დარჩა?! იმიტომ, რომ დედის სიკვდილი განიცადა? არა, როგორც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ირაკლის დედის სიკვდილი გაუხარდა კიდეც. რატომ? _ იმიტომ რომ, ერთადერთი, ვისიც ეშინოდა, სწორედ ვერიკო იყო... ელისო, რომელიც ერთ დროს ოჯახს აზანზარებდა, ირაკლის დიდი ხანია, არარაობად მიაჩნდა და მის ბრძნულ შეგონებებს არაფრად აგდებდა. აი, დედას კი თვალს ვერ უსწორებდა, ასე ეგონა, ყველაფერი იცოდა; ეშინოდა _ აი, ახლა დამსვამს სკამზე და ყველაფერს გადმომილაგებსო... და როცა, მისი უეცარი სიკვდილის შესახებ შეიტყო, ასე ეგონა, ბორკილები ახსნეს და გათავისუფლდა. ვინ იცის, ეგებ ის აწუხებდა, თვითონ რომ ასე სწრაფად შემოეფლანგა ის აბსტრაქტული რამ, რასაც ადამიანები სინდის-ნამუსს ეძახიან და რომელიც დედის მუცლიდან თუ არ დაგყვა, ვეღარასოდეს შეიძენ?! ოღონდ საკუთარი კი არა, რა თქმა უნდა, დედის სინდისი. ახლა კი დედა მოუკვდა, რომელმაც თავისი სინდისი საფლავში ჩაიტანა და ირაკლიმაც შვებით ამოისუნთქა, რადგან ბოლოდროინდელ ყველა გაუმართლებლობასა და ხელის მოცარვას, რატომღაც დედას _ ასე ვთქვათ, დედის ინტუიციის მატერიალიზაციას აბრალებდა. რას აღარ მოიგონებს კაცობრიობა, რომ ბედისწერას როგორმე გვერდი აუაროს.

მოკლედ, თუ გახსოვთ, ირაკლის ოფისს საფინანსო პოლიციის თანამშრომლები ამოწმებდნენ. ირაკლი კი, რომელიც აქედან კარგს არაფერს ელოდა და გვარიანად შეშინებულიც იყო, თავის გადასარჩენად ნემსის ყუნწში ძვრებოდა. როგორც კი "საფინანსო" დაეცა და მის ბუღალტერიას ჩაუჯდა, ირაკლიმ ლადოსთან ააჭრა და დახმარება სთხოვა. ლადომ შორს დაიჭირა, _ მე რა შემიძლია, რომელი იუსტიციის მინისტრი მე მნახე, ჩემი თავისთვის ვერ მომივლია, შენ რა გიშველოო?! ირაკლი, მართალია, თითქმის ნახევარ პარლამენტს იცნობდა, მაგრამ ვისი იმედი უნდა ჰქონოდა?! აი, თუნდაც ილია ჭიჭინაძე _ მისი ბავშვობის მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი თანამდებობა ეკავა, ხელს არავის უმართავდა _ არც მეგობრებს და ალბათ, არც მშობლებს... რა ექნა, თბილ სკამს უფრთხილდებოდა... მაინც მიაკითხა. ილიამ ყურადღებით მოუსმინა; თუკი დარღვევები არ გაქვს, ვინ რა ფეხებს მოგჭამსო, _ უთხრა და თვალებში მიაჩერდა.

_ კი, მაგრამ, თუ მოუნდათ, ისეთ დარღვევას აღმომიჩენენ...

_ მაშინ ყველაფერს არ მეუბნები, _ მოკლედ მოჭრა ილიამ.

_ ყველაფერი რომ გითხრა, შენ თვითონ დააჭერინებ ჩემ თავს, _ გაეცინა ირაკლის, _ ახლა კი მეცინება, მაგრამ ხომ იცი, სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა, _ დააყოლა იმწამს.

_ მაშ როგორ დაგეხმარო, ძმაო? შენც ხომ იცი, რომ მაგათთან არანაირი შეხების წერტილი არ მაქვს, არა?!

_ ჰოდა, მაგათ უფროსს დაელაპარაკე.

_ და გგონია, დამიჯერებს? არ იცი, ვისაც უჯერებს ყველა? და რომ იცოდე, რომც დაველაპარაკო, უარესს იზამს... დამიჯერე, არ გინდა არავინ, ვინც გამოწმებენ, იმათ მიხედე, იქვე.

_ როგორ მივხედო?! ახლოს არ მიკარებენ. არც კაფეში მომყვებიან. რესტორანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფინანსური პოლიციის რევიზორები ბუტერბროდებს ჭამენ შესვენებაზე, გეფიცები... შენ, აზრობ?

_ მაშინ ტყუილად დარბიხარ. თუ ბუტერბროდებს ჭამენ, გამორიცხულია...

_ რა არის გამორიცხული?

_ რა და არ წამოგყვებიან რესტორანში, რობოტები ყოფილან, რობოტები!

ირაკლი მიხვდა, რომ ილიასთან ტყუილად ამოვიდა; რომ მისი "ტრუსიკის მეგობარი", _ ვიხრჩობი, თოკი გადმომიგდეო, რომ ეთქვა, მაინც არ იყო ხელის გამტოკებელი. წამოდგა.

_ ბოდიში, _ უთხრა და თვალები აუწყლიანდა.

_ შენ იცი, როდის ჩაიჭერი? _ უთხრა ამ დროს ილიამ.

_ შენთან? შენთან რაში ჩავიჭერი? _ ავარდა უცბად ირაკლი.

_ არა, ჩემთან კი არა, ის მინდოდა მეთქვა, რომ თავიდანვე ჩემსავით უნდა მოქცეულიყავი, შემძვრალიყავი შენც რომელიმე პარტიაში და მერე იქიდან მისწოლოდი.

_ ჰოო?

_ ჰო, მაგრამ შენ ბევრად მეტი მოინდომე, თავში გინდოდა ყველასთვის ჩაგერტყა და ეგ შენი რაღაც "ფირმაჩობა" არჩიე...

_ კაი, რაც იყო _ იყო, დავანებოთ მაგას თავი. კარგად იყავი, ყველაფერი გასაგებია... _ უთხრა ერთხელ კიდევ იმედგაცრუებულმა ირაკლიმ ფეხზე წამომდგარ მეგობარს; არც ხელი გაუწოდა, არც დაემშვიდობა და მისი კაბინეტიდან დაბოღმილი გამოვიდა.

რას საქმიანობდა და რა ფირმა ჰქონდა ირაკლის, რომც მინდოდეს, ვერ ჩამოგირაკრაკებთ. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რას აღარ საქმიანობდა-მეთქი. ჰო, ირაკლის იმდენი ფირმა ჰქონდა გახსნილი, თვითონაც ვეღარ ითვლიდა, მგონი... და თითქმის ყველა ფირმა ერთდროულად მიულუქეს. მართალია, იმის ჩიტი არ იყო, რომელიმე ფირმა თავისზე გაეფორმებინა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ თუკი ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდნენ, ყველაფერს ამოუტივტივებდნენ. ამიტომ თანამიმდევრობით მივყვები და თქვენც გაგიყოლებთ იმ ბნელ ლაბირინთებში, რომლის ჩიხიდან გამოსვლა ჩვენს ნაბოლარა ძმას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნად მიაჩნდა და ალბათ, მართალიც იყო. თუმცა ფირმა _ ბევრი, მაგრამ ბუღალტერია კი ერთი ჰქონდა, ერთი ბუღალტერი ჰყავდა და ერთიც _ მისი თანაშემწე. ჰოდა, პირველი, რაც გააკეთეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა, სწორედ ბუღალტერია დაულუქეს. შედიოდნენ, მუშაობდნენ და მერე ისევ ლუქს ადებდნენ. მართლაც, რომ არაფერმა გაჭრა და ირაკლიც რომ დარწმუნდა _ მასთან საგანგებო დავალებით იყვნენ შემოსულები, თავისი ბუღალტერი, ლაშა დაიმარტოხელა და იმას მიაწვა.

_ შენ თავზე აიღებ, გაიგე? მე, ძმაო, ქიმიკოსი ვარ და ბუღალტერიის არაფერი გამეგება...

_ რა?! მე ერთი ქაღალდიც არ მაქვს, შენი ხელმოწერა რომ არ იყოს ზედ...

_ უხსენი ახლა ამას... _ გამწარდა ირაკლი. _ კაი, მე ჩავჯექი, გაქვს შენ იმის ტრაკი, რომ იქიდან გამომათრიო? არა, ხომ?

ლაშამ ჩაიცინა და გვერდზე გაიხედა.

_ სად იყურები, ბიჭო, ეე, ხისთავიანო, აქეთ მოიხედე! არა, თუ გამომათრევ და გყავს ხალხი, მაშინ მე წავალ...

_ მე ვარ, არა, ხისთავიანი?!. ფულს შენ იდებდი ჯიბეში და ციხეში მე წავიდე? _ თქვა თავისი სათქმელი ლაშამ. _ გეუბნებოდი, “მივატორმუზოთ”, ძმაო, “მივატორმუზოთ”- მეთქი! შენ კი, _ არა, “მიაჭი”, “მიაჭიო”, გაიძახოდი და მაინც მე უნდა წავიდე ციხეში?

რას იზამდა ამ დროს ირაკლისნაირი ხასიათის ბიჭი? იმას, რაც ირაკლიმ გააკეთა _ მოაგროვა, რაც კი რამ გადარჩენოდა (წინასწარ უნდა გითხრათ, რომ სალაროსა და ცეცხლგამძლე სეიფებში, ფულს არასდროს ინახავდა, რადგან _ როდის რა მოხდება, ვინ უწყისო, და მართალიც იყო...) და თავის ბოლო სიყვარულს დაურეკა. ისიც გამოიქცა ზუსტად იმ სისწრაფით, რა სისწრაფითაც შეიძლებოდა გამოქცეულიყო, თერთმეტსანტიმეტრიან ქუსლებზე შემხტარი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი და ირაკლის მიუზარა.

კაცი, რომელიც ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ ორ-სამ დღეში ციხეში უნდა ამოეყო თავი და წარმოდგენაც არ ჰქონდა, იქიდან ცოცხალი გამოაღწევდა თუ გააციმბირებდნენ, ხელგაშლილი, სიცოცხლის ტკბობით აღტკინებული შეეგება თავის “ნესტანს”. იმანაც შემოაჭდო მკლავები, კისერზე ჩამოეკონწიალა და მის ბაგეს ბაგე შეაგება. ირაკლიმ კარი ფეხით მიხურა, ოთახში შეიყვანა და ასე, ხელში ატატებული პირდაპირ დივანზე მიაწვინა. სექსმა, ჩვენი საუკუნის ყველაზე სრულქმნილმა და სრულყოფილმა სიმბოლომ, ოთახში პეგასივით გაინავარდა და გაიჭიხვინა. “წინ, წინ!!!” _ გაჰკიოდა ირაკლი და საკინძეაწყვეტილ და პერანგიდან ძუძუამოგდებულ ქალს ისე მხნედ და ისეთი შემართებით უბათქუნებდა, როგორც კომუნისტური, დამკვრელური ბრიგადის წევრები, ერთ დროს, ქვანახშირის საბადოებს ელექტროუროს უხათქუნებდნენ. “მიდი, მიდი!!!” _ გაჰკიოდა ქალიც და ისე აქანავებდა ზევით-ქვევით ვაჟს, ლამის დივნის ზამბარები ჩაეწყვიტა.

_ ბოლო ზეიმი მაქვს, ბოლო გრიალი... _ თქვა ბიჭმა და გაირინდა, ერექციის სიტკბოებას მინებდა. ამ ყოველივეს ქალის გახშირებული სუნთქვა და კივილიანი კვნესაც ზედ დაერთო და რამდენიმე წამში ყველაფერი დამთავრდა.

_ დამძიმებულხარ, იცი? _ ახლაღა იგრძნო კაცის სიმძიმე ქალმა და ქვემოდან გამოეცალა. ირაკლი ამოტრიალდა, ხელები უკან გადაშალა, გადაითხლიშა და გაყუჩდა. მგონი, “ყოფნა-არყოფნის” საიდუმლოებაზეც კი ჩაფიქრდა და გააჟრიალა, რადგან წარმოიდგინა, რომ “ყოფნა” ციხის გარეთ არსებობას, სიცოცხლით ტკბობას და განუწყვეტელ ზეიმს ნიშნავდა, რომელიც მან “მოტეხილი” ფულით უკანასკნელ წლებში მოიწყო; ხოლო, “არყოფნა” კი, ამ ფულის ფლანგვით გამოწვეული სიამოვნების გამო, “ცხრაკლიტულში” მოხვედრას მიაწერა.

_ ირაკლი!

ამ ღრმა და ფილოსოფიური ფიქრებიდან ისევ ბაიას ხმამ გამოიყვანა.

_ ირაკლი! _ ისევ გამოსძახა ბაიამ, რადგან ვაჟმა ხმა არ გასცა.

_ რა იყო? _ რაღაც ყრუდ გაისმა ცარიელ ოთახში ვაჟის ხმა.

_ მოდი, რაა!

ქალი აბაზანაში ჭყუმპალაობდა და ირაკლისაც იქ უხმობდა.

_ მოვდივარ! _ უპასუხა ქალს ვაჟმა. თუმცა, უხალისოდ წამოდგა, მივიდა და სააბაზანოს კართან აიტუზა. მერე კი თავი შეყო და შეიხედა. ქალი ზურგით იდგა, თავი აეწია, თმა ჩამოეშალა და სახე ჭავლისთვის შეეშვირა. ბაიას შესანიშნავი ტანი ჰქონდა, ამიტომაც ახერხებდა, ალბათ, ისეთ მაღალ საზოგადოებაში ტრიალს, როგორიც ჩვენი პარლამენტი თუ აღმასრულებელი ხელისუფლება გახლავთ. ანდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის მეორე პირი, ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო, სახელმწიფოს ხელიდან გამოეცლება, იმ ქვეყანაში განა რაიმეა გასაკვირი? თუმცა, სად წავედით? სააბაზანოს კართან შევჩერდით, ხომ? ჰოდა, როცა ბაია სანახევროდ შემოტრიალდა და თავისი,

შიშველი მარცხენა ძუძუ, პროფილში კერტიანად გამოაჩინა, ირაკლის ტვინს ქვემოდან ტკბილი ბიოლოგიური იმპულსები გადაეცა და ისიც აბაზანაში ჩახტა. მერე მკლავები ქალის სლიკინა, ხორბლისფერ ტანს, მკერდს ქვემოთ ძლიერად შემოხვია და თავისი უკანალიანად, მოჭიდავესავით დაითრია. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი ხელმეორე "შერკინება", რადგან არ მგონია, ამ დროის ზუსტი განმსაზღვრელი ვინმე იყოს... მოკლედ, პირდაპირ იმ რესტორანში გადავინაცვლოთ, სადაც ჩვენი წყვილი იმ საღამოს გრიალებდა.

რა თქმა უნდა, ირაკლიმ ჩემზე და თქვენზე კარგად იცოდა, მოსალხენად რომ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ რადგან ქართველების ოთხმოცდაათ პროცენტს, თუ მეტს არა, ამქვეყნად მოვლინება მხოლოდ საგრიალოდ და საქეიფოდ მოსვლა ჰგონია, უნდოდა მოესწრო და ცხოვრებით ბოლომდე დამტკბარიყო. სავალალო შედეგებს კი, როგორც აგრეთვე ქართველ კაცთა უმრავლესობა, არად დაგიდევდათ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ირაკლი სწორედ ამ საბოლოო გრიალმა გადაარჩინა. თუ როგორ _ ამას ახლავე შეიტყობთ.

სუფრასთან ხუთნი ისხდნენ, ერთი მამრი და ოთხიც მდედრი _ ისინი, ვისაც ირაკლიმ დაურეკა და შეხვედრაზე დაითანხმა. მაშასადამე: ირაკლი, ბაია, ფეფო, დეა და ლელა-თათიკო. ბოლო ორი გახსოვთ ალბათ, პირველი ნაწილიდან. ამ ოთხი მდედრიდან ირაკლის სამი "გაფორმებული" ჰყავდა: ბაია, ფეფო და დეა. მხოლოდ ერთი, ლელა-თათიკო ვერაფრით დაითანხმა... არც ახლა ჰყავდა დაპატიჟებული. ლელა დეამ დაუპატიჟებლად მოიყოლა, რაც ამგვარ თანამეინახეებში, მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი ამბავია. ირაკლიმ სუფრა ნაირ-ნაირი კერძით აავსო. ისხდნენ და უბერავდნენ, წითელი "ხვანჭკარით"...

რესტორანი, სადაც ჩვენი გმირები ისხდნენ და რომელსაც "მიდი-მოვდივარ" ჰქვია, დიღმის ტრასაზე, მარჯვენა მხარეს მდებარეობს და თავისი ღრეობებითა და ორგიებით ქალაქში სახელი აქვს გავარდნილი. ჰოდა, იმ საღამოსაც იგივე დატრიალდა. როგორც კი ხალხი შეზარხოშდა, ბენდმა მაგრად აიწყვიტა და მსოფლიო სამუსიკო რეპერტუარის "კოქტეილი" დაატრიალა: ერთმანეთში აირია ფრანგული, ქართული, იტალიური, მექსიკური თუ ამერიკული ბლუზი. დატრიალდა ქართული კარუსელი, გადაპატიჟ-გადმოპატიჟება და ალკოჰოლური ძღვენის ერთი სუფრიდან მეორეზე გაგზავნ-გამოგზავნა. ბზრიალებდა დარბაზი და ტრიალებდნენ თავდავიწყებით წყვილები. მოკლედ, შეუბერეს ძველიც და ახალიც, ტანგოც და კინტაურიც... აი, სწორედ, ამ ჯაგაჯუგში იყვნენ, რომ უეცრად რაღაც გაუგებრობა მოხდა _ დაახლოებით იმდაგვარი, ჩვენში რომ იციან თქმა, ბევრმა სიცილმა ბევრი ტირილი იცისო. მათ სუფრას საკუთარი სასმისითა და სკამით, გვარიანად შეზარხოშებული ახალგაზრდა მიადგა და _ შეიძლება, თქვენთან დავჯდეო? _ იკითხა. დასვით კაცი, სტუმარი ღვთისააო, _ სთხოვა ქალებს ირაკლიმ და მათაც გაუთავისუფლეს ადგილი უცნობს, რომელსაც მსხვილნაკვთებიანი თეთრი პირისახე და ცისფერი თვალები ჰქონდა.

_ მაგრად დამევასა თქვენი კომპანია... გუტა გელაშვილი, _ გაეცნო ბიჭი და ქალებს სათითაოდ გადახედა. _ ერთს ვერ მივხვდი ოღონდ, ამდენ დედალში, ერთი მამალი ცოდვა არ არის? ჰოდა, ამიტომაც გავბედე და თქვენთან გადმოვჯექი. ცუდად მოვიქეცი?

_ ძალიან! _ არც აცივა და არც აცხელა, პირდაპირ მიახალა ლელამ, რომელსაც, უნდა გითხრათ, რომ ვაჟისგან განსხვავებით, მაგრად არ მოეწონა შემოსწრებული.

_ ძუძუს აგახევ, შე ახვარო! _ იყვირა გუტა გელაშვილმა და ქალს სავსე სასმისი პირდაპირ სახეში შეასხა, ცარიელი ჭიქა კი ძირს დაახეთქა და ნამსხვრევებად აქცია. ქალები წამოიშალნენ და ისე აწივლდნენ, ვირთხების შემოსევა გეგონებოდათ.

მერე კი, რაღაც ისეთი მოხდა, რასაც იმ სუფრის წევრებიდან თათიკოს გარდა ვერავინ მიხვდა. მუსიკა დადუმდა, ყველა მათი სუფრისკენ მიტრიალდა და სანამ გუტა გელაშვილი ქალისკენ ნაბიჯის გადადგმას მოასწრებდა, ვიღაც ტიპებმა გზა გადაუღობეს და ისეთი სისწრაფით გააქანეს კარისკენ, მათთვის ხელის შეშლა ვერავინ მოასწრო. იმ სუფრის წევრები, სადაც გუტა გელაშვილი იჯდა, მაშინვე მის მისაშველებლად გარეთ გაცვივდნენ. ქალებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა გარეთ, რადგან გუტას მეინახეები მალევე უკან შემობრუნდნენ და მათ მაგიდას მიეჭრნენ, ხელში კი თითქმის ყველას გახსნილი დანა ეჭირა.

_ ვინ იყვნენ, ტო, სად წაიყვანეს? დაურეკეთ ახლავე, დააბრუნონ, თორემ აგწევთ სუყველას! _ განსაკუთრებით, ერთი მსუქანი, მაღალი, ლამაზსახიანი ბიჭი აქტიურობდა.

თათიკომ ჩანთაში ჩაყო ხელი და იარაღი დააძრო.

_ ერთი სიტყვაც და დაგაჭედე შუბლში!

მომხდურებმა, ორი წამის წინ რომ ასე ყაყანებდნენ, მოკეტეს და გაიძურწნენ. მსუქანამ კი უკან დაიხია და ხელები ასწია.

_ არ გაინძრე, მასე იდექი! _ უბრძანა თათიკომ ვაჟს და თავისიანებს მიუბრუნდა, _ დავახვიოთ აქედან, ამათი დედაც...

ირაკლიმ ანიშნა და ოფიციანტიც მაგიდასთან დაერჭო.

_ ახლავე გიანგარიშებთ, _ თქვა მან და კალამი და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

_ არ გინდა, _ უთხრა ირაკლიმ და პიჯაკის შიდა ჯიბიდან საფულე ამოიღო. გადახსნა. მერე იქიდან ოთხი ასლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

_ ყოფნის? _ იკითხა მან ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად და ოფიციანტს შეხედა.

K_ კი, კი, რა თქმა უნდა, _ სწრაფად წარმოთქვა დაბნეულმა ოფიციანტმა და ფულს ხელი დასტაცა.

ირაკლიმ და მისმა "ბოზებმა" კი დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი, მანქანაში ჩასხდნენ და მოუსვეს.

_ სად წავიდეთ? _ იკითხა, როგორც კი ცოტაზე გასცდნენ იქაურობას. _ თათიკო, შენი მანქანა სად არის? უმანქანოდ იყავი?

_ ჰო, სხვებმა მომაცილეს... _ ჩაილაპარაკა თათიკომ, რომელსაც წეღანდელი განრისხება ჯერაც არ ჩასცხრომოდა.

_ ვინ? გუტა გელაშვილი რომ მოტეხეს, იმათ? _ ირონიულად იკითხა ირაკლიმ.

_ ჰო... _ მოჭრა თათიკომ. _ და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, დრო გავატაროთ, მაგათი ახვარი დედაც... "დავაი" მცხეთისკენ დავახვიოთ, იქ ერთი მაგარი "ხატა" მეგულება და იქ ჩავუსხდეთ.

ირაკლიმ მანქანა მოატრიალა და მცხეთისკენ აიღო გეზი.

მალე პატარა, მოჩუქურთმებულ ხის ფანჩატურში ისხდნენ, ქოთანში ამოლესილ, ნედლ, სირსვლის ლობიოს მიირთმევდნენ და იცინოდნენ.

_ აუ, რა ფერი დაედო იმ ტიპს, ლელამ რომ პისტოლეტი გაუძრო... _ უხაროდა ირაკლის.

_ შენ, შენ რა ფერი გედო, იცი? _ მიუტრიალდა ბაია.

_ რა ფერი მედო? _ გაუკვირდა ირაკლის.

_ რა ფერი და იცი, როგორი? მომწვანო-მონაცრისფრო... ჰო, იცი, როგორ გაშავდი?

_ ალბათ, სიბრაზისგან, _ თქვა ლელამ.

_ არა, მე კი მგონია, რომ ჩაიფსა... _ არ დაუჯერა ბაიამ.

_ ჩაიფსა? აუ, რა კაია... _ გულიანად გადაიკისკისა ამაზე ფეფომ.

_ შენ, იცი, რას გეტყვი? ფეფო ხარ თუ ბებიაჩემი... მოკეტე, თორემ გაიჟიმები! _ დაემუქრა ფეფოს ირაკლი.

_ მერე, მეც ეგ მინდა სწორედ! _ და ფეფომ წინ გაზნექილი მკერდით ირაკლისკენ წაიწია.

_ ჰა, აბა, აბა! _ ხელი ჰკრა და უკანვე დასვა ფეფო ბაიამ. _ მე ვერ მხედავთ აქ, "ბოზისტოლას"?

ამაზე ყველამ ერთად გადაიკისკისა.

_ შენი იყოს, არსად დაგეკარგოს, _ წაუკბინა ბაიას დეამ.

_ დეა, მოყევი რა, დედამისმა რომ შემოგისწროთ... _ შეეხვეწა ფეფო დეას.

_ აუ, რამდენჯერ უნდა მოვყვე? _ ხელი ჩაიქნია დეამ.

_ მოყევი, რა, მოყევი, მაგრად გვევასება, _ შეეხვეწნენ სხვებიც დეას.

_ კაი, ჰო. ჰოდა, ეს ჩვენი ირაკლი მაგარი ვაჟიშვილია რა! ქალისთვის თითიც არ დაუკარებია, _ დაიწყო დეამ თხრობა.

_ მართლა? მართლა ვაჟიშვილი იყავი? _ მიუბრუნდა ფეფო ირაკლის.

_ შენ რომ დაიბადე, ქალიშვილი არ იყავი? _ თვალები დაუქაჩა ირაკლიმ.

_ ვა, რა მაგარია, მერე, მერე? _ მიუბრუნდა ისევ დეას ფეფო.

_ ერთი ძმაკაცი ჰყავდა ამას, პინგვინა. ახალი გადასული იყო იმ ბინაში და პინგვინასთან ერთად ცხოვრობდა. ჰოდა, პინგვინა ცისოს იცნობდა, ჩემ დაქალს და მე და ცისო ამასთან აგვიყვანა, თან წინასწარ გაგვაფრთხილა, ვაჟიშვილია და რომელიმემ უნდა დაავაჟკაცოთო! ორივეს მოგვეწონა. ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინ კარგი ბიჭი იყო... ჰოდა, მოგვივიდა მე და ცისოს ერთმანეთში ჩხუბი. პინგვინამ გვითხრა, _ კარგი, დაწყნარდით, კარტი ეთამაშეთ რიგრიგობით და რომელსაც მოგიგებთ, იმასთან დაწვებაო. ვეთამაშებით, რომ მოვაგებინოთ. ორი საათი ვეთამაშეთ, ვერც ერთი ხელი ვერ მოიგო. ასხამს კაცს ცივი ოფლი, ჩვენ ვიფხრიწებით სიცილით, ლამის თავდაყირა დავდგეთ და ეს კი ვერა და ვერ იგებს...

_ ეგ არა, დედამისმა რომ შემოგისწროთ, დედამისმა, _ უკარნახა დეას ფეფომ.

_ ბოლოს ისევ "არიოლ და რეშკა" ავაგდეთ და ცისოს ერგო... _ თითქმის დაგვათენდა, რა, თავზე... ჰოდა, ერთი დიდი საწოლი ჰქონდა და ოთხივეს იმაზე გვძინავს მკვდრებივით. კარზე აკაკუნებენ. დედამისმა იცის, რომ ორნი ცხოვრობენ, ბიჭები. ამას მემაწვნე ჰგონებია და გააღო.

_ ძილბურანში ვიყავი, ნაქეიფარი, "ნაწერავები"...

_ გაუღო და შემობრუნდა. ვერიკოც შემოჰყვა უკან, ლაპარაკ-ლაპარაკით. პინგვინამ რომ გაიგო დედამისის ხმა, _ აუ, დაგვადგაო, _ და გადასაფარებელი, ერთი გადასაფარებელი გვეფარა ყველას, თავზე გადაიფარა, რომ დამალულიყო, ვითომ, თავის ჭკუით. მოკლედ, ეს ექვსივე ფეხი გამოჩნდა. უყურებს ქალი გაკვირვებული ამ ჩვენს ფეხებს თურმე და ირაკლის ეკითხება: ეს რამდენი ფეხია, შვილო? ესეც ითვლის: ერთი, ორი, სამი... და გავარდა ქალი, ყვირილით. ჩვენც წამოვცვივდით. ტუალეტში შევარდა თურმე და "პოლის" ჯოხი აიღო.

_ კარი მინდა დავუკეტო, მაგრამ ვერ ვკეტავ, დედაჩემი იქიდან აწვება, _ თქვე გათახსირებულებო, თქვე გაფუჭებულებოო! ჩქარა, დროზე "პლეტი"-მეთქი, ვყვირი... _ დაამატა ირაკლიმ.

_ აუ, რომ გავცვივდით, ყველანი შიშვლები და ეს პინგვინაც კიბეზე შიშველი მოგვდევს... მერე ამან ტანისამოსი აივნიდან გადმოგვიყარა, _ განაგრძო დეამ.

_ მთელი კორპუსი ამათ უყურებდა, _ დაასრულა ირაკლიმ.

_ შენთან რომ დრო გვაქვს ნატარები, ტყუილია... _ კმაყოფილი იყო დეა.

უხაროდათ, თვრებოდნენ და სიცილით კვდებოდნენ... სულ გადაავიწყდა, სადღა ახსოვდა ირაკლის თავისი დალუქული ოფისები. ოთხ-ხუთ საათზე ოფიციანტმა სთხოვა, ვიკეტებითო და ისინიც თბილისში დაბრუნდნენ. რაც ფული მორჩა, სამორინეში შევიდა და იქ დატოვა... ასეთი ჩვეულება ჰქონდა ირაკლის. მხოლოდ მთვრალი შედიოდა სამორინეში, ფხიზელი არასოდეს ყოფილა...

ახლა კი ისეთ რამეს მოგიყვებით მასზე, იქნებ არც დამიჯეროთ. რას? რას და იმას, რომ თანამშრომლებს ხელფასს არ უხდიდა, სანამ გემოზე არ მიჟეჟავდნენ. კი, უყვარდა ფლანგვა, უცნობების სუფრასთან მიპატიჟება, ფულის ჩუქებაც... მოკლედ, ჭიმიაობა, დარდიმანდობა თუ ყარაჩოღელობა, არ ვიცი, რა დავარქვა, სისხლში ჰქონდა გამჯდარი. აი, მევალეს კი, ჭიპზეც რომ გამსკდარიყო, ფულს არაფრით დაუბრუნებდა, სანამ არ მიჟეჟავდნენ ან სხვას არ აჟეჟინებდნენ. როგორც კი ფულს იშოვიდა, იმას ხომ მიაფლანგავდა და კიდევ ერთ იმდენს _ ვალს იდებდა... ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ფულთან. ეს რა ხასიათი აქვს, ვის ჰგავსო?.. _ გიჟდებოდა ვერიკო.

თათიკოს ჯერ ისევ ტკბილად და თბილად ეძინა ფუმფულა ლოგინში, თავის პატარა აგარაკზე, ხოხბები, ციცრები და თევზებიც კი რომ ჰყავს, როცა თავს მამამისი _ მურაზ ლეშკაშელი წამოადგა.

_ შენ ისევ ლოგონში გორაობ? იცი, რომელი საათია? _ შეაჯანჯღარა მამამ შვილი.

თათიკომ ძლივს წამოსწია წინაღამეს ალკოჰოლით დამძიმებული თავი და თავისი ლამაზი, ელამი თვალებით მამას მიაჩერდა.

_ შენ აქ რა გინდა?

მურაზმა ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა და თათიკომ ახლაღა შენიშნა, რომ მამამისის სახის ნაცვლად, რაღაც უცნაური, გაცოფებული “ნიღაბი” უმზერდა.

_ სად იყავი წუხელ? _ შეეკითხა “ნიღაბი”.

_ ვაიმე, მამა, რა დაგემართა? _ წამოჯდა ლოგინში თათიკო, _ არსად, სად უნდა ვყოფილიყავი?

_ არსად, არა? არსად, ხომ? _ უარესად გაცოფდა “ნიღაბი”. _ შოლტით უნდა გცემოს კაცმა, შოლტით. ვერ გავიგე, რა დაგიშავეთ, ან მე, ან დედაშენმა, რატომ არ დაგვასვენებ, რატომ? _ მთელი ხმით ღრიალებდა ნიღაბი.

_ რა მოხდა, რამ გაგაცოფა ასე? დაწყნარდი, გამაგებინე, დამელაპარაკე ადამიანურად... _ იქით შეუტია თათიკომ.

_ ადამიანურად... ადამიანურად, არა?! მერე, ვარ მე ადამიანი?! ვაარ რო?! ძალიან კარგი! ადამიანურადაც დაგელაპარაკები. მაგრამ ჯერ ამას უყურე! _ და მურაზმა ოთახის კუთხეში მდგარი ტელევიზორი ჩართო! მერე კი იმ არხზე გადართო, სადაც ახალ ამბებს გადმოსცემდნენ.

_ ცხედარი სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით არის მოკლული. ამ ვერსიას ავრცელებენ ძალოვნები, რომელთაც მასმედიას ცხედრის ნახვისა და გადაღების უფლება არ დართეს. მოკლული, რომელიც ანთებული სიგარეტითაც უნდა იყოს ნაწამები, რადგან, არაერთ ადგილას, აშკარად ეტყობა დამწვრობის კვალი, წუხელვე პროზექტურაში გადაასვენეს. მიუხედავად სამართალდამცავების თხოვნისა, ახლობლებმა უარი განაცხადეს გვამის გაკვეთაზე და ცხედრის გადაცემას ითხოვენ...

ეკრანზე ოციოდე წლის გოგოს გამწარებული სახე გამოჩნდა. რომელსაც ტირილისგან ხმა საშინლად ჩახლეჩოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ჯერაც შოკში იყო.

_ დამიბრუნეთ ჩემი ძმა, დამიბრუნეთ ჩემი საყვარელი ძმა! _ გაჰკიოდა ქალი, _ გამიცოცხლეთ, გამიცოცხლეთ, სასწრაფოდ! _ ეჩხუბებოდა ეკრანიდან მთელ ქვეყანას ჭკუიდან გადასული ჭირისუფალი.

ეზოდან ფარშევანგის კივილის ხმა გაისმა და ისედაც დამძიმებულ სიტუაციას, რაღაც არაამქვეყნიური ელფერი შესძინა.

_ გაგიჟდნენ? ვინ მოკლა, რატომ მოკლეს, რისთვის? _ იკითხა ერთბაშად გამოფხიზლებულმა და შეშინებულმა თათიკომ.

_ ეგ შენ უნდა გკითხოს კაცმა, შენ გადებენ ხელს! _ არ დაინდო შვილი მურაზმა.

თათიკო ამაზე მთლად გადაირია. წამოხტა და ჩაცმა დაიწყო.

_ ვინ მადებს ხელს, მე რა შუაში ვარ, ჩემგან რა უნდათ?

ეს იმდენად გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ მურაზი ცოტათი დამშვიდდა.

თათიკომ თმაზე ხელი გადაისვა, საწოლზე ჩამოჯდა, ხელები ჩამოუშვა და თუმც გაგონილით და ეკრანზე ნანახით ჯერაც გაოგნებული იყო, მაინც ძალა მოიკრიბა და უკვე მშვიდად იკითხა.

_ გამაგებინე, მამა, ვინ მადებს მე ხელს, შენ ვინ გითხრა, ვინ ნახე?

მურაზი მაგიდასთან დაჯდა. საფერფლე ახლოს მიიწია და სიგარეტს მოუკიდა.

_ ჯერ შენ მომიყევი, რაც იყო და როგორც იყო, არაფერი დამიმალო.

თათიკო წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, მამის კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოაძრო და მოუკიდა. მერე კი მის პირდაპირ დაჯდა.

_ იქ არაფერი ყოფილა ისეთი, არაფერი... _ თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. და უცბად ავარდა, _ ხომ გეუბნებოდი, არ მინდა-მეთქი ეგ შენი დაცვა, არა! რაში მჭირდებოდა, გამაგებინე! ეგენი მე კი არ მიცავდნენ, შენ გიკაკლავდნენ ყველაფერს, შენ! მაგათ შეეძლოთ მეც მოვეკალი, ალბათ! _ ჩაილაპარაკა ბოლოს თათიკომ და მოჰყვა, რაც რესტორანში მოხდა.

_ რაში მჭირდებოდა, რომ სტაცეს ხელი და გააქანეს. მე თვითონ ვერ მოვუვლიდი მაგ საცოდავს?! დავჭმუჭნიდი, გადავყლაპავდი... იმან თუ ერთი ჭიქა ღვინო შემომასხა, მე მთელი გრაფინი მინდოდა ჩამომესხა თავზე და მაგით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ მოქანდნენ ეგ შენი პირუტყვები, წაიყვანეს, მოკლეს და მე მაბრალებენ?

_ კაი, დამიგდე ყური... შენ მაგათ არ იცნობდი, გასაგებია? არც იმ საცოდავს და არც მათ, ვინც ის რესტორნიდან გაათრია. შენ სუფრასთან იჯექი და იქვე დარჩი, ხომ ასე იყო?

_ კი!

_ თქვენს სუფრაზე შენს გვერდით ვინ იყვნენ?

_ არავინ. გოგოები ვიყავით და ჩვენთვის ვკაიფობდით.

_ კაცი? კაციც რომ გყავდათ სუფრაზე, ის კაცი ვინ იყო?

_ კაცი კი არა... რა კაცი, ნიკას ძმა იყო, ირაკლი. მისი მიპატიჟებულები ვიყავით. ის არც გატოკებულა, როგორც იყო სკამზე მილურსმული, ისევე დარჩა.

_ ჰო, კაი, კაი... _ უთხრა მურაზმა და ტელევიზორს მიუტრიალდა. სხვა არხზე გადართო, რომელზეც, აგრეთვე, იმ ღამით მომხდარ მკვლელობაზე საუბრობდნენ.

_ სამართალდამცავები, რომლებსაც უშუალოდ ბრალდებათ ეს მკვლელობა და რომელთა ვინაობაც და გვარებიც უკვე ცნობილია პოლიციისთვის, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ გვარებს ჯერ არ ასახელებენ, _ ამცნობდა საზოგადოებას დიქტორი, _ უარყოფენ რაიმე მონაწილეობას ამ მკვლელობაში. ისინი დაკითხეს და შინ გაუშვეს. როგორც ისინი ამბობენ, მათ მხოლოდ სიტუაცია განმუხტეს და გუტა გელაშვილს ურჩიეს, იქაურობას გაცლოდა; მერე კი ისინიც დაიშალნენ. თუმცა არსებობენ თვითმხილველები, რომ გუტა გელაშვილი “ნისანის” მარკის ჯიპში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ჯერჯერობით მხოლოდ ასეთი ძუნწი ცნობები მოგვეპოვება, მოვლენათა შემდგომ განვითარებას ჩვენს მომდევნო საინფორმაციო გამოშვებებში გაგაცნობთ. ვეცადეთ, გავსაუბრებოდით რესტორნის

მეპატრონეს, მაგრამ მან კომანტარისგან თავი შეიკავა, _ აი, ასეთი ტექსტი ჰქონდა დადებული იმ მასალას, რომელსაც ეთერში გადმოსცემდნენ. ეკრანზე კი მოჩანდა მიცვალებული, რომელიც ასფალტზე ეგდო და თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

_ მოკლედ, რაც ახლა მითხარი, ყველას მაგას ეტყვი, შენც და ეგ შენი... _ მურაზმა პატარა პაუზა გააკეთა, _ დაქალებიც. გასაგებია? ეტყვი, რომ ენას კბილი დააჭირონ.

_ გასაგებია, _ თქვა თათიკომ და სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

როგორც კი მურაზი წავიდა. თათიკომ დეას დაურეკა, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა და იმ ღამეს მომხდარი მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა. მოკლედ, თათიკომ გოგოები და ირაკლიც გააფრთხილა: თუ ვინმე რაიმეს გკითხავთ, ყველაფერი როგორც იყო, ისე ილაპარაკეთ, ზედმეტი არავისთან არაფერი წამოგცდეთო. ამ ახალმა ამბავმა ყველაზე მეტად ირაკლი დააფრთხო: ეს მინდოდა კიდევ? ყველა მხრიდან ერთნაირად მეხაზებაო, _ ფიქრობდა.

შუადღე გადასული იყო, როცა ოფისში მივიდა. სამსახურში ახლადმიღებულმა მდივანმა (ასეთ მდივნებს ირაკლი წარამარა იცვლიდა, ფული რომ არ გადაეხადა), უთხრა:

_ რევიზორები ისე წავიდნენ, ბუღალტერიისთვის ლუქი აღარ დაუდვიათ. მითხრეს, შეგიძლიათ მუშაობა განაგრძოთ, არანაირი დარღვევა არ გაქვთო.

ირაკლი ამის გაგონებაზე უარესად დაფრთხა, რადგან იფიქრა: რაღაც საშინელებას მიმზადებენ, თორემ ასე ჩუმად რატომ წავიდოდნენო?! მაშინვე სხვა ფირმებსაც ჩამოურბინა და ყველგან ერთი და იგივე სიტუაცია დახვდა: ლუქი არც ერთს აღარ ედო და მუშაობის გაგრძელება ჩვეულებრივ შეიძლებოდა. ეს გამოცანა იყო ირაკლისთვის და მანაც თათიკოს დაურეკა, _ რა ხდება ჩემს თავს, შენ ხომ ვერ მეტყვიო? თათიკომ, რა თქმა უნდა, ვერაფერი უთხრა და ირაკლისთვის გამოცანა კვლავ გამოცანად დარჩა. სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა:

მურაზ ლეშკაშელი სამსახურში მივიდა თუ არა, მაშინვე მათი დოსიეები მოითხოვა, ვინც მის ქალიშვილთან ერთად, იმ საღამოს რესტორანში სუფრას უსხდნენ. ერთ-ერთი ქალი, ბაია მღებრიშვილი მათივე აგენტი აღმოჩნდა, ორი _ ჩვეულებრივი ქუჩის კახპა, ხოლო მამაკაცი, ირაკლი ბერიძე კი, როგორც ჩანდა, უამრავ საეჭვო საქმიანობას ეწეოდა _ ფულის სესხება-გასესხებას; სამუშაოდ და სასწავლებლად მსურველების საზღვარგარეთ გაგზავნას; აგრეთვე, შოუბიზნესთანაც ჰქონდა კავშირი და ვიდეოფილმების გადაღებითაც ერთობოდა.

ირაკლი, იმ მომენტში სწორედ, თავის ვიდეოსტუდიაში იჯდა და გამალებული ტვინს იჭყლეტდა _ რა ექნა, როგორ მოქცეულიყო...

_ წავიდნენ და თქვეს, მუშაობა გააგრძელეთო, არა?

_ დიახ, _ უპასუხა მაკამ და მაგიდაზე დადებული დიდი ალბომის ფურცვლა განაგრძო, _ იცით, ვინ მოიყვანეს გუშინ?

_ ვინ?

_ ზინაიდა გარდაფხაძის ქალიშვილი.

_ არა-ა?!

_ კი, კი... იცით, რა გოგოა? დათომ სინჯებიც გადაუღო უკვე და ფულიც გადაიხადეს.

_ ჰოო? რამდენი?

_ ორასი ლარი. პირველი შემოსატანი.

_ გაატარე?

_ არა. თქვენ არ მითხარით, უჩემოდ არ გაატაროო?

_ ქვითარი მიეცი?

_ კი.

_ მომეცი ფული და დათოს უთხარი, ფოტოები შემომიტანოს.

მაკამ სეიფი გახსნა, ირაკლის ფული გადასცა და ფოტოების მოსატანად გავიდა.

ირაკლის ფოტოებიდან მაღალი, ტანწერწეტა, სუფთა ქართული იერის მქონე, ლამაზი გოგონა შემოსცქეროდა.

_ რამდენი წლისაა?

_ თვრამეტის. _ უპასუხა მაკამ.

_ მაგარია...

_ ძალიან საყვარელია.

_ სწავლობს?

_ კი, სამსახიობოზე, პირველ კურსზეა.

_ მართლა, ის მჯღაბნელი აღარ გამოჩენილა?

_ რომელი მჯღაბნელი?

_ აი ის მწერალი, დრამატურგი ვარო, ტვინი რომ წაიღო ტრაბახით იმ დღეს, დევი მოსაშვილი...

_ კი, როგორ არა, გუშინ ორი საათი მაინც გელოდათ და მერე წავიდა. ხვალაც შემოვივლიო... ალბათ მოვა.

_ ამ ბავშვის ტელეფონები და მისამართი ხომ ჩაიწერე? _ ხელი დაადო სურათს ირაკლიმ.

_ კი, რა თქმა უნდა.

_ რა ჰქვია?

_ მელანო. მელანო გარდაფხაძე.

_ სახელიც ლამაზი ჰქონია.

_ კი...

ირაკლი გაჩუმდა. სურათს ჩაფიქრებული დაჰყურებდა და ხმას არ იღებდა. რაღაც ძალიან მოეწონაო, გაიფიქრა მაკამ. მერე მაინც მოახერხა და ირაკლი და მწერალი ანუ მჯღაბნელი, როგორც ირაკლი ეძახდა, ერთმანეთს შეახვედრა. ერთი შეხედვით, ამ შეხვედრაში უცნაური არაფერია _ ირაკლი ანუ ვიდეოსტუდიის მეპატრონე ხვდება რომელიღაც მწერალს, რათა სცენარი დაუკვეთოს.

_ მე უკვე ყველაფერი ვიცი თქვენს შესახებ; ვიცი, რომ კარგად წერთ, _ ეუბნებოდა ირაკლი, _ ამიტომაც დაგირეკეთ, თორემ კარგად მოგეხსენებათ, ამ ქალაქში ქვა რომ ააგდო, მწერალს ან ჟურნალისტს დაეცემა თავში...

_ მწერლობა სხვა რამ არის და ჟურნალისტობა _ სხვა... _ შეეკამათა იმწამს მწერალი.

_ კი, კი, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები მწერლებთან ვერ მოვლენ, რასაკვირველია...

_ რატომ? კარგი ჟურნალისტი, შესაძლოა, ცუდ მწერალს სჯობდეს კიდეც. ეს სხვა საკითხია... _ გაცხარდა მაინც მწერალი, რომელიც, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა ლაპარაკობდა და ეტყობოდა, ნერვიულიც უნდა ყოფილიყო.

_ გასაგებია, ამაზე კამათს ნუღარ გავაგრძელებთ, დროს ნუღარ დავკარგავთ... მიხვდით, ალბათ, რატომაც დაგიბარებდით, არა?

_ ნუ, დაახლოებით... _ დამშვიდდა მწერალი.

_ ალბათ იცით, რომ ფილმებს ვიღებთ...

_ კი, კი...

_ ვიღებთ და კასეტებს ვყიდით. მშობლებიც ყიდულობენ, ბავშვებიც, მაგრამ მოგებას მაინც ვერ ვხედავთ, იმიტომ, რომ პროდუქცია არ გვივარგა. და რატომ, ალბათ ხვდებით!.. სულ ვტრაბახობთ, რომ ქართველები მაგარი ნიჭიერები ვართ, მაგარი

მსახიობები გვყავს, მაგარი კომპოზიტორები, მაგარი მხატვრები, მაგარი მწერლები, ნორმალური სცენარი კი მაინც ვერავინ დამიწერა...

_ თუ იმდენს უხდით, რამდენიც ამ ორი წლის წინ მე შემომთავაზეთ...

_ თქვენ შემოგთავაზეთ? ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს? _ გაუკვირდა ირაკლის.

_ არ გახსოვთ, ორმოცსერიიანი სერიალის სცენარში მხოლოდ ოთხასი ლარი რომ შემომთავაზეთ?

_ არა, არ მახსოვს, მაგრამ ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. მე ვიცი, რომ თქვენ კარგი სცენარის დაწერა შეგიძლიათ.

_ წინასწარ მაგას ვერავინ გეტყვით და რომც გითხრან, არ დაუჯეროთ... _ გაცხარდა ისევ მწერალი.

_ არც თქვენ დაგიჯეროთ? _ შეეკითხა ირაკლი.

მწერალი ჩაფიქრდა.

_ გააჩნია, რა გსურთ.

_ ჰოო, ეს უკვე ეს უკვე საქმიანი შეკითხვაა, _ ირაკლი ფეხზე წამოდგა და მაკას მიუბრუნდა: _ მაკა, გადი, რა, ცოტა ხნით დათოსთან! კონფიდენციალური საუბარი გვექნება.

_ კი, ბატონო! _ თქვა მაკამ და გავიდა.

_ რა გვინდა, რა გვინდა... რა გვენდომება, თქვენი აზრით? _ რატომღაც ოფიციალური იყო ირაკლი, რადგან ვერანაირად მიუდგა იმ კაცს, რომელიც მის პირდაპირ იჯდა.

_ აბა, მე რა ვიცი, სონა მკითხავი კი არა ვარ... _ გაეცინა მწერალს.

_ ის ხომ იცით, რასაც ეტანება ხალხი, რა აინტერესებს და რისი ნახვა სურს?

_ სადღა გვყავს ხალხი? _ ხელები გაშალა მწერალმა. _ იმ დღეს ქალი გამოდიოდა ტელევიზორში და _ ნახირად, პირუტყვებად გვაქციესო, გაიძახოდა. არ იყო მართალი? დღეს ბრბოსაც ვერ დაარქმევ იმათ, ვინც დაგვრჩა.

_ რას გულისხმობთ?

_ აბა, რა ვიცი... აირია ქვეყანა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, ნახევარი ციხეში ჩაყარეს...

ციხის გაგონებაზე, ირაკლის უსიამოვნოდ გაჰკენწლა.

_ კარგი, გინდ ბრბო დავარქვათ და გინდ _ ნახირი. მე გიკარნახოთ, როგორი ფილმი დაინტერესებთ?

_ კი, ბატონო, გისმენთ! _ სკამზე გასწორდა მწერალი.

_ რა ენდომებათ?! _ თითებზე ჩამოთვლა დაიწყო ირაკლიმ. _ მკვლელობა, სისხლი, გაუპატიურება, ძალადობა, სექსი, ღალატი, ორგულობა და რა ვიცი, ამგვარი თემები, “უჟასები”, მოკლედ...

_ თქვენ ხომ საბავშვო ფილმებს იღებთ? _ გაოცდა მწერალი.

_ მართალია, მაგრამ შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ვიდეობიზნესში, იატაკქვეშა ბიზნესიც არსებობს და უფრო დიდი ქსელიც, ვიდრე გამჭვირვალე ანუ ჩვეულებრივ ბიზნესში. მართალია, ცენზურა გაუქმებულია, მაგრამ მაინც ხომ არის აკრძალული ფილმები ანუ ტაბუდადებული თემები...

_ აკრძალული ფილმის გადაღებას აპირებთ?

_ თქვენ როგორ ფიქრობთ?! თუკი იქ, სადაც კანონის უზენაესობა, ასე თუ ისე, დაცულია, მაინც იღებენ ასეთ ფილმებს, აქ, სადაც კანონი ყველას ცალ ფეხზე ჰკიდია _ დაწყებული მაღალი ეშელონებით და დამთავრებული ბაზრის მოვაჭრეებით _ ამის გაკეთება უფრო ადვილი არ იქნება? აი, მაგალითად, მაგარ მანიაკზე რომ გადავიღოთ,

რომელიც, დავუშვათ, შედის დაბომბილ ჰოსპიტალში და იქ, გირებზე ფეხებდაკიდებულ, დაჭრილ და დაჩეხილ ჯარისკაცებს აუპატიურებს...

_ კაცებს? _ წარბები აზიდა მწერალმა.

_ ჰო, კაცებს, კაცებს და ზოგიერთ მედდასაც. რა მოხდა, მერე?!

მწერალი ერთბაშად ვერ გაერკვა, თუ ვის კაბინეტში იჯდა _ საბავშვო სტუდიის დირექტორის, თუ ვიღაც მონსტრის, რომელსაც პითონის თავი ება და თავისი ჭრელი, სლიკინა, ცივი კანით, მის მოხრჩობას ლამობდა.

_ არ ვიცი, მე ჯერ ასეთი შინაარსის არც წიგნი წამიკითხავს და არც ფილმი მინახავს.

_ ჰოდა, მით უმეტეს. სწორედაც რომ რაღაც ისეთის გადაღება მინდა, რაც ჯერ არავის გადაუღია...

_ რეჟისორი გყავთ?

_ აბა რა! რეჟისორებს ორ ლუკმას გადავუგდებ და გოშიებივით დამიწყებენ უკან დევნას. მაგრამ ჯერ სცენარი მჭირდება.

_ თქვენ ისეთი სცენარი გინდათ, როგორიც შესაძლოა, ვერც ვერავინ დაგიწეროთ! _ სკამიდან წამოხტა და ხელები გაშალა უცბად მწერალმა. _ და არც ის ვიცი, რას მთავაზობთ, რა უნდა გადამიხადოთ!

_ ასი დოლარი, _ მოუჭრა ირაკლიმ.

_ ასი დოლარი? ანუ ასსამოცდაათი ლარი?

_ დიახ.

_ თქვენ იცით, რას უხდიდა ავტორს ერთ სცენარში კომუნისტების დროს კინოსტუდია? _ თხუთმეტი ათასს ანუ თხუთმეტი ათას დოლარს! სამოთახიან ბინას იყიდდი იმ ფულით.

_ ასეთნაირად თუ შევხედავთ საკითხს, ტარანტინოს ოც მილიონსაც უხდიან სცენარში, მაგრამ დაწერთ თქვენ ტარანტინოსავით? ვერ დაწერთ. მოკლედ, მე მეტს ვერ გადავიხდი, ას დოლარს კი ნამდვილად ჩაგახუტებთ... თუ გინდათ, დაწერეთ, თუ არა და, სხვას მოვნახავთ.

_ მაგრამ ისიც არ ვიცი, რა უნდა დავწერო... _ მხრები აიჩეჩა მწერალმა.

როგორც ჩანს, ფულზე თანახმააო, დაასკვნა მაშინვე ირაკლიმ.

_ ხომ აგიხსენით, რაც მინდა, რაც ხალხს უყვარს-მეთქი _ სისხლი, ჩხუბი, მკვლელობა, გაუპატიურება. ან თუნდაც ნგრევა... არ გიხაროდათ, მანჰეტენი რომ ინგრეოდა? "ტყუპებს" თვითმფრინავები რომ შეეჯახა, ხალხი ფანჯრებიდან რომ ცვიოდა და ცოცხლად იხრუკებოდა ცეცხლში, როგორი სანახაობა იყო?.. ანდა ინდონეზიაში, ზღვა რომ გადმოვიდა და ნახევარი ხმელეთი წალეკა... გცალიათ ერთი-ორი საათი?

_ კი, რა საქმე მაქვს, თორმეტი წელია, უმუშევარი ვარ... _ ხელი ჩაიქნია მწერალმა.

ირაკლიმ უჯრიდან ვიდეოკასეტა ამოიღო.

_ მაშინ, აი, ჩაგირთავთ ამ კასეტას, უყურეთ და თვითონვე მიხვდებით...

_ რა ფილმია, აკრძალული?

_ დიახ, _ და ირაკლიმ კასეტაზე დაწერილი სათაური წაიკითხა, _ "კოშმარი, რომელმაც ცხრა დღე გასტანა". ნანახი გაქვთ?

_ არა.

_ ჰოდა, რასაც ახლა ნახავთ, ასეთი რაღაც მინდა! აი, ჩაგირთავთ და წავალ. მაკა შემოვა და რომ დამთავრდება, ის გამოგირთავთ, _ ირაკლიმ ვიდეომაგნიტოფონი ჩართო, მწერალს დაემშვიდობა და წავიდა.

ეკრანი აინთო. ჯერ ტიტრები გამოჩნდა, მერე კი ფილმიც დაიწყო. მაკა შემოვიდა, ჭიქა ყავა და თეფშით შოკოლადი მიართვა მწერალს. მერე კი, რატომღაც, კარი შიგნიდან

გადაკეტა, მწერლის პირდაპირ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, კანჭი ბოლომდე გამოაჩინა და ისიც ეკრანს მიაჩერდა.

მაკა ქერა, ოდნავ ჭორფლიანი იყო, ცოტათი გაბუშტული ცხვირი და ამობურცული ტუჩები ჰქონდა. ჯინსის მოკლე შორტი ეცვა და ჭიპი მუცლიანად უჩანდა. მოკლედ, მთლიანად "რაღა დაგიმალოს" პონტში იყო გადაწყვეტილი და თვალებით ისეთ ვნებას აფრქვევდა, მხოლოდ ქართველ ქალს რომ შეუძლია.

ეკრანზე რაღაც აღმოსავლური ფილმი მიდიოდა. მოქმედება უდაბნოში ხდებოდა და მუსლიმანები ბედაურებს დააგელვებდნენ.

_ ეს რა ჩაუდვია, ეს რა ფილმია? _ ამოიკივლა მაკამ ცოტა ხნის შემდეგ და ვიდეო გამორთო.

_ რატომ გამომირთეთ, ჩართეთ რა, მაგრად მაინტერესებს, _ უთხრა კაცმა სრული სერიოზულობით.

_ იცით, თქვენ სულ სხვა ფილმი უნდა გენახათ. ეგ კასეტა მე გამოვცვალე, სხვა კასეტა ჩავდე ყუთში და ირაკლის შეეშალა. აი, თქვენ ეს ფილმი უნდა გენახათ.

მაკამ კასეტა გამოცვალა და ვიდეომაგნიტოფონი ისევ ჩართო.

ფილმი რუსული იყო, რომელშიც ისეთი საზიზღრობა ხდებოდა, ვერც ერთ ჟანრს ვერ მიაკუთვნებდით. მოკლედ, სექსუალურ ურთიერთობათა აღრევა მიდიოდა: ავადმყოფი, ინვალიდი, ჯანმრთელი, დიდი, პატარა, ბავშვი თუ მოხუცი _ ყველა და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და აზელილი... ერთი სიტყვით, გენიტალიების ცვენა ანუ სიწმინდეთა მსხვრევა და ყველა ის მანკიერება იყო ნაჩვენები, ჩვენმა "სახელოვანმა" ანტისაუკუნემ რომ მოგვიტანა.

მაკა იჯდა და მწერალთან ერთად, სრულიად გულგრილად უმზერდა იმ სიბილწეს, რაც ეკრანზე ხდებოდა.

ფილმი დასრულდა. მწერალი პირმოკუმული იჯდა და აღშფოთებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

_ მოგეწონათ? _ შეეკითხა მშვიდად მაკა მწერალს. _ აი, დაახლოებით, ასეთ მანიაკებზე უნდა, რომ გადაიღოს. ჯერ ჩვენთან ასეთი რამ არავის გადაუღია. დაწერთ?

მწერალს ხმა არ ამოუღია, ქალს უმზერდა და ეჩვენებოდა, რომ ის ფილმში ნანახი პერსონაჟებისგან არაფრით განსხვავდებოდა. "არარაობა გამიგია, მაგრამ ასეთი? არარაობათა არარაობაა, ეს ჩემალალა", _ დაასკვნა გუნებაში და წამოდგა. კართან მივიდა, გამოაღო და მაკას თითით დაემუქრა.

_ მაგ შენს ნაბიჭვარ უფროსს გადაეცი ჩემგან, _ არსად შემხვდე, თორემ დედას მ...-თქო! _ მერე კარი მთელი ძალით გაიჯახუნა და იქაურობას გაეცალა.

როცა ირაკლი დაბრუნდა და მაკას ჰკითხა, _ რაო, იმ მჯღაბნელმა, რა თქვაო? მაკამ კეკლუცად უპასუხა.

_ აუცილებლად მოვიფიქრებ რამეს, დავწერ და მოგიტანთო.

_ ყველა ასე ამბობს და ბოლოს ნაგავი და მაკულატურა მოაქვთ მარტო.

_ იცით, ერთი ფილოსოფოსი ბიბლიოთეკებს რას უწოდებდა?

_ რას?

_ "უბორნიებს", ტვინის ნეხვის "უბორნიებს".

მოდი და გაუგე ამ ქვეყანას რამე...

ალბათ გაინტერესებთ, რატომ არ დაიჭირეს ირაკლი. ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომ, რომ სამართალდამცავები მიხვდნენ _ ირაკლი რა მოტივითაც არ უნდა დაეჭირათ, მასმედიის მიერ აგორებული გუტა გელაშვილის მკვლელობა გადაწონიდა და მის დაჭერას, ვინ იცის, რას დაუდებდნენ სარჩულად... მოკლედ, საფიქრებელია, რომ

ირაკლი რესტორანში მომხდარმა ინციდენტმა გადაარჩინა, რადგან ნაკლებსავარაუდოა, პარლამენტარ ილია ჭიჭინაძეს ამოეღო ხმა... თუმცა, ვინ იცის?! ყველაზე მეტად კი, ალბათ, ისევ მურაზ ლეშკაშელის მცდელობამ გაჭრა, რომელსაც შვილის ბედი, თავის სკამზე ნაკლებად არ ანაღვლებდა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ირაკლი გადარჩა და ისევ თავის "საზოგადოებრივ მოღვაწეობას" დაუბრუნდა.

ამასობაში, ანიმ, რომელმაც ირაკლის ბოლოდროინდელი თავგადასავლების შესახებ არაფერი იცოდა, დაადო თავი და მისი წილი ფული სახლში აუტანა. იქ კი უცნობი ტიპები დახვდნენ.

_ მობრძანდი, დაიკო! _ შეიპატიჟა ანი შავსათვალიანმა და შავმაისურიანმა ბიჭმა.

ანი სახლში შევიდა თუ არა, ცხვირში წამლის უცნაური სუნი ეცა. იქაურობა ისევ ნაგვით იყო სავსე. ანი უცნობ ბიჭებს არ მოერიდა.

_ რა ხდება, საღორეა? _ იკითხა და მაგიდაზე დაყრილ "პლანის" მომწვანო-მონაცრისფრო ფხვნილს დააცქერდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

_ ჰო! _ მოკლედ მოჭრა სავარძელში გადათხლეშილმა ტიპმა, რომელიც რკინის მუნდშტუკით, ალბათ "პლანს" აბოლებდა.

_ ირაკლი სად არის? _ იკითხა ანიმ, რომელიც ჯერ ისევ ფეხზე იდგა და ჩანთა გულში ჩაეხუტებინა.

_ ციხეში... _ თქვა იმავემ და მუნდშტუკი სათვალიანს მიაწოდა. იმანაც გამოართვა და ბოლი შეისრუტა. _ დილას წაიყვანეს... _ განაგრძო იმავემ. _ ხვალ, ალბათ, ორთვიანს შეტენიან და მერე გაასამართლებენ.

_ სად წაიყვანეს, რომელ განყოფილებაში? _ იკითხა ანიმ.

_ ალბათ, ვაკეში ჯერ... ან კაპეზეში... _ თქვა სავარძელში გაბრტყელებულმა.

ძმის დაჭერა ანის არც გაჰკვირვებია და არც სწყენია. არც ის იცოდა, რა უნდა ეთქვა და უცბად წამოსცდა.

_ თქვენ ვინ ხართ?

_ შენ? _ იქით დაუსვა შეკითხვა სავარძელში ჩაფლულმა ტიპმა და უკან დაბრუნებული მუნდშტუკი შეათვალიერა.

_ მე ირაკლის და ვარ, _ უპასუხა ანიმ.

_ ჩვენ პოლიციას ველოდებით. სახლი უნდა დალუქონ და ხელს რომ არაფერი გააყოლონ, ვდარაჯობთ! _ თქვა სავარძელში მჯდომმა და მეორეს შეხედა, _ ხომ ასეა?

_ ჰო! _ თქვა მან და ფეხი ფეხს მიატკუცა.

_ პოლიციას ელოდებით და "პლანს" ექაჩებით? _ გაიკვირვა ანიმ. _ თან მაგიდაზეც გიყრიათ?

_ თორმეტზე მოვალთო და თორმეტამდე ამის მოწევას რა უნდა?! _ თქვა სავარძელში მჯდომმა და "პლანი" სამი თითით მოსრისა. _ აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო? _ და ეს გაცვეთილი, "პლანაქეშების" საყვარელი ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა.

_ რაზე დაიჭირეს? _ იკითხა ანიმ.

_ ფინანსური მაქინაციები, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დატაცება და გაფლანგვა...

_ დიდი ოდენობის? მაინც რამდენის? _ დაინტერესდა ანი.

_ სამასი ათასის.

_ სამასი ათასის? ირაკლიმ სამასი ათასი შეჭამა? _ პირი დააღო ანიმ. _ კაი მადა ჰქონია.

_ გიყვარდეს... მადა ჭამაში მოდისო. გინდა? _ და სავარძელში მჯდომმა, ანის მუნდშტუკი გაუწოდა.

ანის, მართალია, არასოდეს მოეწია “პლანი” და არც ახლა აპირებდა, მაგრამ მომენტი ჩაუვარდა; თანაც იცოდა, ერთი ნაფაზი არაფერს ავნებდა. ბოლოს და ბოლოს, მის გარშემო არავინ იყო ისეთი, ერთხელ მაინც არ ჰქონოდა გასინჯული. ჰოდა, მანაც გამოართვა.

_ სკამზე დაჯდომას არ მთავაზობთ და “პლანს” მტენით? ძალიან კარგი... _ და ანიმ ოდნავ შეახო ტუჩები მუნდშტუკის პირს და მოქაჩა. მშრალი, რაღაც გრილი მასა ჩაეფინა ფილტვებში და მერე მთელ სხეულში ტალღასავით დაუარა.

_ საღოლ! _ მიაშტერდა სავარძელში მჯდომი, _ უარს იტყვის-მეთქი, ვიფიქრე... მაგარი ყოფილხარ!

_ პირველად გავსინჯე... _ თქვა ანიმ და გაიცინა, _ უბრალოდ, მაინტერესებდა.

_ მერე? როგორი იყო? _ შეეკითხა სავარძელში მჯდომი.

_ ასე მგონია, ავფრინდები, რაღაც ძალიან ავმჩატდი... _ თქვა ანიმ და კიდევ გადაიკისკისა. მერე კი ბიჭებს შეხედა. ნეტავ რა მემართებაო, _ გაიფიქრა. ბიჭებიც იკრიჭებოდნენ.

_ დაგველოდე და სამივე ერთად გავფრინდეთ, აბა ჰე, ავაფართხუნოთ ფრთები. სამი, ორი, ერთი, ფრიი! მივფრინავთ, მივფრინავთ!

_ მე წავედი, თქვენ იფრინეთ! _ თქვა ანიმ და გავიდა.

პირველი, რაც ანის უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ ირაკლის ფული დაებინავებინა. მაგრამ ბანკში რომ მის სახელზე შეეტანა, შესაძლო იყო, ირაკლის ფული დაჭირვებოდა და მიეფლანგა. ანიც ადგა და თავის სახელზე შეიტანა. ბანკიდან გამოსვლის შემდეგ, ირაკლის ამბის გასაგებად, პოლიციაში მისვლა გადაწყვიტა და ავტობუსში ჩაჯდა. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო, ქუჩა კი _ მანქანებით გადატენილი. ნელა, ტაატით მიიწევდნენ წინ. ანი რაღაც უცნაურ გამოფიტვას და დაღლას გრძნობდა. ვერც კი გაიგო, როდის და როგორ გადავიდა რეალური სამყაროდან ირეალურში.

...პატარა იყო, ალბათ, სულ ოთხი-ხუთი წლის. ფეხზე მწვანე “ბოსანოშკები” ეცვა და დედასთან ერთად, ყვავილებიან ველზე პეპლებს დასდევდა.

_ დავიჭირე, დავიჭირე, პატარა პეპელა დავიჭირე, _ დაიყვირა ანიმ, როგორც კი პეპელას თავისი ბუნჩულა ხელი დააფარა. უეცრად ხელისგულზე ისეთი მწარე ჩხვლეტა იგრძნო, სიმწრით აღრიალდა და ხელი მაშინვე აუშვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ფუტკარს მის რბილ კანში ნესტარი ჩაესო და ზედვე დაჰკონწიალებდა.

_ მიკბინა, მიკბინა, პეპელამ მიკბინა! _ ღრიალებდა ანი და გამწარებული ხელს იქნევდა, ფუტკარი რომ მოეცილებინა... და უცებ, ისე მაგრად მიარტყა ავტობუსის წინა სკამის რკინის საზურგეს თითები, რომ იმწამს რეალობას დაუბრუნდა.

“ნუთუ ჩამეძინა?” _ გაიფიქრა და მიიხედ-მოიხედა. სწორედ იმ ქუჩას მიახლოებოდნენ, სადაც პოლიციის შენობა იყო.

_ რა გვარია? _ შეეკითხა მორიგე პოლიციელი, როცა ანიმ საქმის ვითარება აუხსნა.

_ ბერიძე. ბერიძე ირაკლი, _ გარკვევით წარმოთქვა ანიმ.

_ არა, ასეთი არავინ გვყავს.

_ სხვაგან ხომ არ ეყოლებათ?

_ მაცალე და ამწუთას გაგიგებ. _ უპასუხა პოლიციელმა და ტელეფონის ყურმილი აიღო. _ აქვსენტ, გიორგი ვარ... ნახე რა, თუ ძმა ხარ, ბერიძე...

_ ირაკლი, _ უკარნახა ანიმ.

_ ბერიძე ირაკლი თუა დაკავებული? _ და ანის მიუბრუნდა. _ ახლავე, კომპიუტერში შეამოწმებს... _ და ისევ ყურმილში, _ გუშინ ან დღეს, რა ვიცი... ჰო?

_ კი, კი... _ უპასუხა ანიმ.

_ არაო, არც დღეს, არც გუშინ და არც ბოლო კვირას, ასეთი არავინ აუყვანიათო.

_ იქნებ, არ არის კომპიუტერში შეყვანილი?

_ გამორიცხულია, როგორ გეკადრებათ! თქვენი ვინ არის?

_ მეგობარი... _ იცრუა ანიმ, მორიგეს მადლობა გადაუხადა და გარეთ გამოვიდა.

ქუჩა თავისი ჩვეული რიტმით ხმაურობდა. ანი ხალხის ნაკადს შეუერთდა.

ირაკლის, თქვენთვის ცნობილი, ობიექტური მიზეზების გამო, იმ დღეებში მობილური გამორთული ჰქონდა და ანიც ამიტომ ვერ უკავშირდებოდა. ისევ სცადა დაკავშირებოდა, მაგრამ კვლავ _ უშედეგოდ.

თვითონ ირაკლის კი ანისთან დაკავშირება, აზრადაც არ მოსვლია. რას წარმოიდგენდა, მათი ბინა რომ გაყიდული იყო... მაშინ ხომ აღარც იმ შანტაჟზე წავიდოდა, რომლის გამოც, კინაღამ კისერი წაიმტვრია.

სარდაფი, სადაც ირაკლი ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა, ანჩისხატის უბანში, ერთი სომეხი ბიჭის _ მოლეკულასი იყო. მისი მშობლები რუსეთში წასულიყვნენ, ის კი სტუდენტი იყო და მათ ამიტომ ვერ გაჰყოლოდა. მოლეკულა კომპიუტერის კარგი სპეციალისტი იყო, სამსახურს ეძებდა და ირაკლის _ რომელსაც "კომპიუტერშჩიკი" სჭირდებოდა _ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მეშვეობით მიაგნო. ირაკლი დანახვისთანავე მიხვდა, რომ ზუსტად ასეთ კაცს ეძებდა: სომეხი ისეთი გარეგნობისა იყო, თვალში ზედმეტად არავის მოხვდებოდა; ამასთანავე, ოთხი ენა წყალივით იცოდა _ ქართული, რუსული, ინგლისური და თავისი, მშობლიური სომხური. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, მოლეკულას იარაღიც ჰქონდა, თანაც ერთი კი არა, სამი: ერთი "კალაშნიკოვი" და ორიც "მაკაროვის" პისტოლეტი. მისი ტრაბახით ირაკლის ყურები ჰქონდა გამოჭედილი...

ერთ სიტყვით, იმ სარდაფის არსებობის შესახებ, ამ ორი კაცის გარდა, არავინ არაფერი იცოდა. სპეციალურ ქაღალდს ირაკლი შოულობდა, კლიენტურაზე კი მოლეკულას უნდა ეზრუნა, რომელსაც თავისი ქსელი ჰქონდა. მოკლედ, საქმე ააწყეს და შემოსავალსაც არა უშავდა. მათ საქმეში ღალატი არ შეიძლებოდა; როგორც თვითონ ამბობდნენ, _ მოღალატე "ტრუპი" იყო.

_ ჰა, როგორია? ამის ქაღალდი რომ გვაშოვნინა!.. _ და მოლეკულამ, ახალი, თავისი დამზადებული ყალბი ასდოლარიანი უჩვენა ირაკლის.

_ მოიცა, რა, სამუდამო ციხე მინდა? შენ ნორმალური ხარ, ტო? _ ერთსა და იმავეს პასუხობდა ყოველთვის ირაკლი.

_ არა, ხომ მაგარი ვარ, არა?! _ არ ეშვებოდა მოლეკულა.

_ მომისმინე, უკეთესი ვარიანტი მაქვს.

_ აბა... _ სმენად იქცა იმწამსვე მოლეკულა.

_ ომის დაწყებას ვაპირებ.

_ ომის დაწყებას? გაგიჟდი?!

_ ჰო, მაგრამ თუ მოვიგეთ, ავშენდებით.

_ კაი, თუ ძმა ხარ, აგე, აფხაზებმაც მოიგეს, მაგრამ აშენდნენ?

_ მოიცა რა! აფხაზებმა კი არ მოიგეს, წააგეს და ძალიან მაგრადაც...

_ ჰო, რუსი მაგათაც გადაყლაპავს. ერთი და ორი გადაუყლაპავს?!

_ მომისმინე, რა, ერთი მაგათიც და...

_ ჰაა! სომხებზე არა თქვა...

_ ჰოო, ვიცი, თქვენ ყველაზე "ჩესტნი" ხალხი ხართ...

_ მაშ!

_ შენი აზრით, ყველაზე მეტი ფული სად მიდის?

_ ენერგეტიკაში. მაგას ლაპარაკი რად უნდა? _ არც დაფიქრებულა მოლეკულა.

_ საღოლ! _ გაუკვირდა ირაკლის. სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და მოლეკულა მიხვდა, რომ ირაკლი რაღაც სერიოზული რამის თქმას აპირებდა.

_ ჰოდა, უნდა დავაშანტაჟო, _ გამოცრა ირაკლიმ კბილებში.

_ მერე წამოეგება? _ შეეკითხა მოლეკულა.

_ უნდა წამოვაგო, _ არ ხუმრობდა ირაკლი.

_ ვინ? მაგათი მინისტრი? _ ყურებს არ დაუჯერა მოლეკულამ.

_ არა, ვინც საერთოდ არ ჩანს და ვისთანაც მიდის მთელი ფული.

_ მერე, შენ იცი, ვისთან მიდის მთელი ფული?

_ კი, _ მოკლედ მოჭრა ირაკლიმ.

_ ის მარტო არ იქნება, ბევრნი იქნებიან.

_ ჰოდა, ეგ არა ვთქვი, ომს ვიწყებ-მეთქი?!

_ აუ, შენ რა შავი ხარ, ტო! რა მაგარი ფერი ხარ! რომ დაგვხოცონ?

_ გამორიცხულია.

ენერგეტიკის მართვის ინსტიტუტის რექტორს, ცოლი, სიდედრ-სიმამრი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც უკვე სტუდენტი იყო და მომავალ პროფესიას მისსავე ინსტიტუტში ეუფლებოდა. გარდა ინსტიტუტისა, ბატონ არჩილ მამულაძეს, ერთი პატარა შპს-ც ჰქონდა, რომლის დამფუძნებელიც თავადვე ბრძანდებოდა. ეს პატარა შპს, ძირითადად, ენერგეტიკული ობიექტების სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა. თუმცა, საიდუმლოდ უნდა გითხრათ, რომ მუშებად, თავისსავე პროფესორ-მასწავლებლები ჰყავდა აყვანილი, რომლებიც მასთან ერთად დადიოდნენ ობიექტებზე, არც მაღალი ძაბვის ანძებზე ძრომიალს თაკილობდნენ და არც კოშკურებზე ასვლას. ჩაიცვამდნენ გაზეპილ "ბუშლატებს" და ხან სვანეთში ამოყოფდნენ თავს და ხან ახალციხეში _ მოკლედ, ყველგან, სადაც კი მოუწევდათ. უნივერსიტეტის საქმეებს და სტუდენტებთან ურთიერთობას კი, როცა არჩილი მივლინებებში მიდიოდა, მისი მეუღლე, ქალბატონი ლიანა ცისკარაძე აგვარებდა. არჩილს ნაძალადევში, ძველი, მამაპაპური ორსართულიანი კერძო სახლი ჰქონდა, რომლის პატარა ეზოში მდებარე ავტოფარეხში, თავის ყველგანმავალ "ნივას" აჩერებდა. ერთი შეხედვით, არჩილის ოჯახი ძალზე ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. სინამდვილეში კი რას წარმოადგენდნენ თავად არჩილი და მისი ოჯახის წევრები, ამ პატარა ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ, ადვილად მიხვდებით.

სამუშაოდან დაბრუნებულმა არჩილმა, რომელსაც ბაზარში შევლაც მოესწრო, "ნივა" გარაჟში შეიყვანა, ჩაკეტა და ნავაჭრით ხელში შინ შევიდა.

_ ლიანა! _ გასძახა მან ჰოლიდანვე ცოლს, რომელიც გამოვიდა და ქმარს გამოხედა. _ რას დამდგარხარ და მიყურებ, გამომართვი და დააბინავე!

ლიანამ უხმოდ ჩამოართვა ქმარს ნავაჭრი და სამზარეულოში შეიტანა. არჩილმა ფეხსაცმელი გაიძრო, ფეხი ფლოსტებში წაყო და სააბაზანოსკენ გასწია. გზად, სიმამრის ოთახში შეიხედა. მოსე, რომელიც ადრეც და ახლაც ტაქსის მძღოლი იყო, როგორც ყოველთვის, თავის სამუშაო დაზგასთან მიმდგარიყო და რკინის რომელიღაც დეტალს გულმოდგინედ ჩარხავდა. არჩილმა ამ გაუგებრობის გამო, როგორც ყოველთვის, ხელები გაშალა და სააბაზანოში შევიდა.

_ რა მოიტანა? _ ჰკითხა სამზარეულოში შესულმა ნინიმ დედას.

_ რას მოიტანდა?! რა ვიცი, კიტრი, პამიდორი, ღვიძლი... მე მგონი ხბოსი უნდა იყოს. ნიორი მქონდა დაბარებული... ჰოო, აი უყიდია. შეხედე, შეხედე, ეს ნიორია? რომ ვუთხრა, ეწყინება, _ დაანახვა შვილს დედამ მომცრო ნივრის თავი.

_ შენც ნუ ეტყვი რა, რით ვეღარ შეისწავლე მაგის ინტრავერტი თავი...

_ არ ეტყვი და მეორედაც ასეთს მოიტანს.

არჩილი, რომელმაც დედა-შვილის საუბარს ყური მოჰკრა, სამზარეულოში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა.

_ რაო, რაო? ვინა ვარ? ინტრავერტი? ეგ რაღა ჯანდაბაა?

_ ნუ, როგორ გითხრა, _ დაიწყო ნინიმ ახსნა, _ ინტრავერტი ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც, ძირითადად, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმ ყველაფერთან, რაც მის გარშემო ხდება.

_ რა? _ გაიკვირვა შვილის შეხედულება მასზე არჩილ მამულაძემ. _ თუ გარს უარყოფითი პიროვნებები გახვევია, _ უნდოდა ეთქვა, აი თუნდაც შენ და დედაშენიო, მაგრამ შესაძლო შედეგის გათვალისწინებით, ენას კბილი დააჭირა, _ როგორ გინდა, დადებითი იყო?

_ მე ვარ, არა, უარყოფითი?! მონასავით გემსახურები ოც წელზე მეტია... _ ეწყინა ლიანას.

_ მე კი არ მემსახურები, შენს თავს ემსახურები... _ შეუსწორა არჩილმა. _ ამ შენს შვილსაც შენი იმედი რომ აქვს, იმიტომ დაუგრძელდა ენა და მე მგონი, ცხვირიც...

ნინის მართლაც გრძელი ცხვირი ჰქონდა, რასაც საშინლად განიცდიდა და ახლა, მამამ რომ ასე უადგილო ადგილას გაუსვა მის ნაკლს ხაზი, ძალიან ეწყინა. ანდა, რომელ ქალს ესიამოვნებოდა ამგვარი "ქათინაური"?

_ ინტრავერტი ხშირად სადისტიც არის და ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ საშინელი მშიშარაა, _ დაასრულა ინტრავერტის შესახებ ახსნა-განმარტება ნინიმ.

_ მშიშარაა, აბა რა! _ გაუხარდა ლიანას. _ ოცი წლის სიცოცხლეღა დამრჩენია ალბათ და ქურქი არ მცმია ცხოვრებაში. ორას დოლარად ზუსტად ჩემი ზომა, გადასარევი ქურქი იყიდებოდა და _ მეზობლები რას იტყვიანო, არ მაყიდინა. ორასდოლარიანი ქურქი... რექტორის ცოლი მაინც არ ვიყო!

_ არ გაჩუმდებით თქვენ? _ თვალები გადაუბრიალა ცოლ-შვილს არჩილმა.

_ არა! _ განაგრძო ლიანამ. _ დაგვხოცავ, ბატონო? დაგვხოცე!

_ ამას რომ ვუყურებ, იცი, რა მაგონდება ხოლმე, დედა?

_ რა? _ იკითხა თვითონ არჩილმა.

_ "ამარკორდში" ოჯახის მამა შვილს ჩანგალს რომ ჩაარჭობს ხელში _ საჭმელს რატომ გადასწვდიო!.. ხომ გახსოვს, დედა, ზეთი რომ დაალევინეს ფაშისტებმა...

_ ამასაც მოუხდებოდა, ცოტაოდენი ზეთი... _ და დედა-შვილს სიცილი აუტყდა.

_ კაი, ბატონო! ინტრავერტი ვარ, სადისტი ვარ, მშიშარა ვარ, ზეთის ღირსი ვარ... რისი ღირსი ვარ კიდევ? _ იკითხა არჩილმა და სიგარეტი გააბოლა.

_ რისი და აი, ამისი! _ უთხრა მამას ქალიშვილმა. მერე კარადის თავიდან რაღაც კონვერტი აიღო და მამამისს დაუდო წინ! _ ეზოში ეგდო.

კონვერტზე სამად სამი სიტყვა იყო დაბეჭდილი: "ბატონ არჩილ მამულაძეს". არჩილმა კონვერტი გახსნა, შიგ ჩადებული, აგრეთვე ნაბეჭდი ფურცელი ამოიღო და ტექსტს თვალი გადაავლო:

"ბატონო არჩილ, მე ძირისძირობამდე შევისწავლე მთელი თქვენი საქმიანობა და მსურს საზოგადოებას გავაცნო, რა დამსახურებაც მიგიძღვით სამშობლოს წინაშე. თუ გსურთ ეს უსიამოვნება თავიდან აიცილოთ, წილში უნდა ჩამსვათ. თქვენი კეთილისმყოფელი. მოემზადეთ და მალე დამატებით ინფორმაციასაც მიიღებთ. რაც ხალხისაა, ხალხსვე უნდა დაუბრუნდეს".

არჩილს ფერიფურმა გადაჰკრა, რაც ნინის შეუმჩნეველი არ დარჩენია.

_ აი, თუ არ არის მშიშარა. შეხედე, დედა, რა დაემართა! _ გაუკვირდა ნინის.

_ რა იყო, კაცო, რა წერია მაგ წერილში ისეთი, რა მოგივიდა? _ შეშფოთდა სერიოზულად ლიანა.

_ არა, არაფერი... _ თქვა არჩილმა, კონვერტი დაკეცა, ჯიბეში ჩაიტენა და უცებ აყვირდა: _ მაჭამეთ რამე, თუ მაჭმევთ, უნდა წავიდე!

_ რა იყო, რა დაგემართა, მინდოდა სუფრა ნორმალურად გამეშალა, ყველას ერთად რომ გვევახშმა.

_ ჰოდა, გაშალეთ მაშინ და ივახშმეთ ნორმალურად! _ იყვირა ისევ არჩილმა, წამოხტა და ჰოლს მიაშურა.

_ მამა! _ მეტი ვერაფერი თქვა ნინიმ, რადგან დედამ გააჩუმა.

_ გაუშვი, წავიდეს, მაინც ვერაფერს შეასმენ!

ენერგეტიკის მართვის ინსტიტუტის დირექტორი, არჩილ მამულაძე, ქალაქის ცენტრისკენ, უფრო სწორად, საბურთალოსკენ მიჰქროდა. “დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა”, _ მეტი არაფერი მოსდიოდა თავში. ყოველ შემთხვევაში, მისი ცხოვრების ერთი ეტაპი რომ დამთავრდა, მისთვის აშკარა იყო. გზაში კოტეს დაურეკა, _ ხუთ წუთში ჭიშკართან დამხვდი, საქმე მაქვსო.

მალე ორივენი სახინკლე “მაროს” პატარა კუპეში ისხდნენ და ხინკალს ელოდებოდნენ. მანამდე კი არჩილმა კოტეს მუქარის წერილი წააკითხა.

_ აქედან ვერავითარ დასკვნას ვერ გამოიტან, _ ქვედა ტუჩი დაბრიცა კოტემ.

_ რატომ? _ ვერ მიუხვდა არჩილი.

_ არ არის გამოკვეთილი, რა უნდათ და იმიტომ.

_ წილში უნდა ჩამსვათო, ხომ წერია?! _ არ დაეთანხმა არჩილი.

_ რის წილში, მერე? იქნებ ინსტიტუტზეა ლაპარაკი?

_ არა მგონია, _ სინანულით ჩაიდუდღუნა არჩილმა, _ ვინ არ იცის, რომ ნახევარი სტუდენტობა ფულს არ იხდის...

_ ჰო, შანტაჟია, ორი აზრი არ არსებობს...

_ აგაშენა ღმერთმა.

_ იქნებ რა მიზერულ თანხას ითხოვს... იქნებ უბრალოდ, ნაბიჭვარია ვინმე?!

_ შენ მირჩევ, რომ ფეხებზე დავიკიდო?

_ არა, ფეხებზე რატომ უნდა დაიკიდო, მაგრამ არც ის უნდა იფიქრო, რომ ყველაფერი დამთავრდა...

_ იმას სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, მე რას ვიფიქრებ. წილი უნდა... აი, გარკვევით წერია.

_ ჰოდა, უნდა დაელოდო, რა უნდა, რამდენ ითხოვს და ისე იმოქმედო.

_ სხვა რა გზა მაქვს...

ოცდაათ ცალ ხინკალ “თბილისურს” სამ-სამი კათხა ლუდი დააყოლეს და იქაურობა დატოვეს.

სამი დღის შემდეგ, არჩილ მამულაძეს, სახეზე გრიმწასმული მოლეკულა ინსტიტუტთან, ქუჩაში დახვდა; მანქანიდან გადასულს ხელში რაღაც ვიდეოკასეტა შეაჩეჩა და თვითონ, იქვე, მრავალსართულიანი კორპუსის სადარბაზოში მიიმალა, რომელსაც მეორე გასასვლელი ეზოში ჰქონდა.

ვინმეს თუ ჰგონია, მაღალი ძაბვის ანძების მწყობრიდან გამოსაყვანად ან რომელიმე ბლოკის ასაფეთქებლად, ბევრი ხალხის მონაწილეობაა საჭირო, ძალიან ცდება. ამ ყველაფრისთვის ერთი კაციც სრულიადYსაკმარისია, თუკი ის შესაბამისი ხელსაწყოებითა და ნივთიერებებითაა აღჭურვილი.

მოკლედ, ჩემთან არავინ შემოუშვათო, _ ბრძანა ენერგეტიკის მართვის ინსტიტუტის რექტორმა. შემდეგ კაბინეტში ჩაიკეტა, შეჩეჩებული კასეტა ვიდეომაგნიტოფონში შეაგდო და ტელევიზორი ჩართო.

ეკრანზე მისი "ნივა" გამოჩნდა, უკანა მხარეს სახელმწიფო ნომერი "გვო 202" გარკვევით იკითხებოდა. წვიმდა და მანქანა ჩაბნელებულ, გუბეებიან წერეთლის გამზირს მიუყვებოდა. მერე შეუხვია და "თელასის" შენობასთან გაჩერდა. ბუშლატში გამოწყობილი არჩილი მანქანიდან გადავიდა, შენობაში შევიდა, მალევე გამობრუნდა, ისევ მანქანაში ჩაჯდა და ზედა ქუჩისკენ განაგრძო გზა. "მაცივრებთან" შეჩერდა, ეზოში შევიდა და იქიდან ცელოფანის სავსე პარკით დაბრუნდა... მალე რომელიღაც სუპერმარკეტის წინ გაჩერებული მანქანა გამოჩნდა, მერე კი _ ბექობის ძირში, განმარტოებით მდგარი დენის გადამცემი ჯიხური და არჩილმა ნუცუბიძის ფერდობი შეიცნო. ჯიხურის რკინის კარი, რომელზეც თავის ქალა და ელვა იყო გამოსახული, გაიღო და იქიდან თვითონ გამოვიდა. სამუშაო ხელთათმანები ეკეთა, გამორბოდა და თან უკან-უკან იყურებოდა. მერე მისიA "ნივა" გამოჩნდა. სიბნელეში ჯიხურს ვეღარ ხედავდა, მაგრამ უეცრად ეკრანი განათდა და აშკარა იყო _ ჯიხური აფეთქდა. ფირი დამთავრდა.

არჩილი გაოგნებული იჯდა და ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყურებით იყო დაჭერილი.

ირაკლი თავის სტუდიაში იჯდა და მელანო გარდაფხაძის ფოტოს დაჰყურებდა. "ალბათ, მიაცილებენ და მოაცილებენ; მარტოს ამას არავინ გაუშვებს", _ ფიქრობდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თხუთმეტამდე ბავშვი მოგროვდა. ცეკვისა და ვოკალის გაკვეთილები უკვე უტარდებოდათ. ახლა სასწრაფოდ საჭირო იყო სცენარი და გადაღებების დაწყება. იქ, გადასაღებ მოედანზე, ადვილი იქნებოდა იმის განხორციელება, რაც მან ჩაიფიქრა: მელანოზე დაქორწინება და ამ გზით, მისი მშობლების ქონების ხელში ჩაგდება. ირაკლიმ "ბალზაკის ასაკს" უკვე გადააბიჯა და ნორჩი გოგონებისკენ გაურბოდა თვალი. მართალია, ფოტოზე გამოსახულ ჰაეროვან არსებას ჯერ ერთხელაც არ შეხვედროდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ის უკვე უყვარდა.

_ მაკა, დაურეკე იმ მწერალს, იმ მჯღაბნელს, იმ უთავო დევს და უთხარი, თემა შეცვალოს: ქალიშვილისა და მასზე ბევრად უფროსი მამაკაცის სიყვარულზე გვინდა რომ დაწეროთ-თქო. კარგი?

_ შეგიყვარდათ? _ ფოტოზე ანიშნა მაკამ.

_ შემიყვარდა კი არა! _ ხელი გაჰკრა ფოტოს ირაკლიმ და სტუდიის კარი გაიჯახუნა.

ახლა კი, ვფიქრობ დროა, იმ "მჯღაბნელის" ოჯახსაც გავეცნოთ, რომელმაც ასეთ დიდ შეურაცხყოფად მიიღო, იმ ვიდეოფილმის ნახვა, რომელიც სტუდიაში აჩვენეს.

მწერალი დევი მოსაშვილი, რომელიც, დაახლოებით, ორმოცდაათი წლის იქნებოდა, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ერთხელაც, დღისით-მზისით, აბსოლუტურად ყველანაირ ფუნქციას დაკარგავდა: როგორც მამაკაცი, როგორც ოჯახის უფროსი, როგორც ტელევიზიის თანამშრომელი და ბოლოს, როგორც მწერალი... ერთადერთი, რაც მას ანუგეშებდა, ის გახლდათ, რომ მისი აზრით, მთელი ქვეყნის მოსახლეობის მამრობითი სქესის ოთხმოცი პროცენტი, მასავით ფუნქციადაკარგული იყო. ეგებ მართლაც ასე იყო, ვინ იცის?! თუმცა მისი მეუღლე, იათამზე ბოკუჩავა, ვის კისერზედაც დევი, ლამის ათ წელზე მეტი იყო, რაც იჯდა, მის აზრს ნაკლებად იზიარებდა და ამ ნიადაგზე, საკმაოდ ცხარე კამათიც მოსდიოდა ხოლმე ქმართან. აი, დაახლოებით ამდაგვარი:

_ არც ჰო, გითქვამს და არც არა, ხომ? _ ჰკითხა ქმარს დილით, სამსახურში წასვლამდე, რადგან წინა საღამოს, დევი ისევ “გამსკდარი” დაბრუნდა და იათამზეს სერიოზულ თემაზე საუბარი მთვრალ ქმართან კი არა, ფხიზელთანაც არ გამოსდიოდა.

_ ჰო... _ მოკლედ მოჭრა დევიმ, რომელიც სამზარეულოში ონკანთან იდგა და თავის ერთადერთ, ოჯახურ თუ საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებდა ანუ ჭურჭელს რეცხავდა.

_ რას აპირებ მერე?

_ არ ვიცი... _ ისევ მოკლედ მოჭრა დევიმ.

_ რას ნიშნავს, არ ვიცი? მაშ, ვინ იცის?!@როდემდე შეიძლება ასეთი კუდაბზიკობა! ყველამ რაღაც მოახერხა, ყველამ სადღაც შეყო თავი. როლანდი რომ როლანდია _ მუნჯი კაცი, ისიც კი ოჯახს ინახავს... იცოდე, დაჯდები და დაწერ, რასაც გთხოვენ, იმას!..

_ იცი, რას მთხოვენ? იცი?

_ არ ვიცი და არც მაინტერესებს... ფულს იძლევიან? _ დაჯექი და დაწერე რა, ეს ოხერი! შენი რა მიდის, გამაგებინე, რა?!

_ რა მიდის და ყველაფერი, რისთვისაც გავჩნდი, რაზეც ვოცნებობდი, რაც ღმერთისგან მაქვს დავალებული...

_ რა გაქვს ღმერთისგან დავალებული, რა? _ საუზმობას მორჩა, ხელსახოცით ტუჩები შეიმშრალა და ფეხზე წამოდგა იათამზე. _ სხვისი წამება, სხვის კისერზე ჯდომა, არა?!

_ სამოც გვერდში ას დოლარს მოგცემო, მეუბნება. თან, იცი, რას მთხოვს? ჰოსპიტალში ჯარისკაცებს უნდა შეუვარდეო, თოკებზე ჩამობმულებს, დაბინტულებს, დაცხრილულებს და უნდა გააუპატიუროო... კაცებიო, შენ გესმის? თუ აგიდგება, შეგიძლია, მედდებიც “გაჟიმოო”. მანიაკზე უნდა მაინცდამაინც, რომ გადაიღოს...

_ მერე? დაწერეო, კაცი გეუბნება, შემსრულებელი იყავიო, იმას ხომ არა?!

_ როგორ დავწერო, როგორ? არ იცი, რა სუნი დგას ჰოსპიტალში? მე ხომ რასაც ვწერ, იმ ყველაფერს თან განვიცდი, არა?!. იმ სუნში კაცი როგორ გავაუპატიურო, რანაირად?

_ შენც ჯერ დაალაგებინე, დაასუფთავებინე დამლაგებლებს; მერე რომელიმე მნახველს, დავუშვათ ვინმე ლამაზ ქალს, ამოაღებინე ფრანგული სუნამო, თუნდაც გააგდებინე ხელიდან, გაატეხინე და ეგებ ისეთი სურნელი დადგეს, კვაზიმოდო მის მსოფლიოდ მოგეჩვენოს... წერაც მე გასწავლო, კაცო? ერთ თვეში ვერ დაწერ? ასი დოლარი ცოტაა? დაჯდები და დაწერ! არ დაწერ და ერთხელაც, ჩაგილაგებ მაგ შენ ხარახურას და ისეთ პანღურს ამოგკრავ, შენი მოწონებული... ჯერ ერთს შეგიკვეთს, თუ კარგად დაუწერ, მერე მეორესაც დაგავალებს. შანსი გაქვს და გამოიყენე, რა! მე წავედი, აღარაფერი მათქმევინო, იცოდე!

_ ასეთ საქართველოზე ვოცნებობდი?! იმისთვის მენატრებოდა დამოუკიდებლობა, რომ ჰოსპიტლებში ცოცხალმკვდარი ჯარისკაცები გამეუპატიურებინა? ამისთვის გადავიმტერეთ სამუდამოდ რუსები?

_ რას იზამ?! ოცნება და რეალობა ერთმანეთს ხშირად, ძალიან ხშირად არ ემთხვევა და ამიტომ თავები ხომ არ უნდა დავიხოცოთ?! სათითაოდ რომ ამოვიგლიჯოთ ყველა კბილი, რაც კი გაგვაჩნია, მაინც ვერაფერს ვუშველით!

იათამზემ მობილური დამტენიდან გამოაძრო, ჩანთაში ჩაიგდო, ფეხები ფეხსაცმელებში წაყო და შინიდან გავიდა. იათამზე ქირურგი სტომატოლოგი გახლდათ და ქმარს ხუმრობით, კბილების ამოგლეჯით ემუქრებოდა ხოლმე.

_ იათა მზე... იათა კი არა, გველების მზეა, _ ჩაილაპარაკა მარტოდ დარჩენილმა მწერალმა, _ მონსტრებისაა ეს ქვეყანა, გველეშაპების... როგორ დავწერო ასეთი სიგიჟე? დაჯდეს, აბა, თვითონ და დაწეროს. დაწერს?!

ამ დროს ტელეფონმაც დარეკა. მაკა იყო, რომელმაც ირაკლის დანაბარები გადასცა მწერალს.

_ სიყვარულზე იყოსო; ასე, ოცდათხუთმეტი წლის კაცს შეუყვარდება თავისზე ბევრად პატარა, ოცი წლის ქალიშვილიო. შეიძლება, ასე პატარა გოგოს, ამ ასაკის მამაკაცი შეუყვარდეს? _ ჰკითხა მაკამ მწერალს.

_ დღეს? დღეს ყველაფერიც შეიძლება, გენაცვალე! გუშინ ფილმს ვუყურე, ორანგუტანგი შეუყვარდა მილიონერის ქალიშვილს და ქალს რომ კაცი შეუყვარდეს, თუნდაც ოთხმოცი წლის, რა გასაკვირია?!

_ მაგრამ არსებობს რომ სიყვარული? _ დაუსვა ადამის დროინდელი შეკითხვა მწერალს მაკამ.

_ რა თქმა უნდა, არსებობს, _ სერიოზულად უპასუხა მწერალმა, _ რომ არ არსებობდეს, არც რომეო და ჯულიეტა იარსებებდნენ, არც რუსლანი და ლუდმილა, არც დე გრიე და მანონი და არც ნესტანი და ტარიელი... _ მოუყვანა უტყუარი არგუმენტები.

_ ჰო, ჰო, მართალს ბრძანებთ... _ დაეთანხმა მაკა.

და დევის მაგრად გაუხარდა, სიყვარულზე რომ უნდა დაეწერა, თანაც არასტანდარტულ, არაორდინარულ სიყვარულზე _ დაახლოებით ისეთზე, ინგლისელი მწერლის, აირის მერდოკის რომანში რომ არის მოთხრობილი. გახსოვთ, ალბათ, იმ რომანს "შავი პრინცი" ჰქვია... თუმცა ირაკლის მიმართ წყენა თუ ანტიპათია მაინც არ განელებია: ამ სცენარს კი დავწერ, მაგრამ იმ ნაბიჭვარს, მაინც არ ვაპატიებო, _ გაიფიქრა. მაგრამ მისი სიხარული ცოტა ნაადრევი გამოდგა, რადგან ყურმილში ისევ მაკას ხმა გაისმა:

_ აბა ჩაიწერეთ, თემა უნდა გიკარნახოთ!

_ კი, კი, ვიწერ, გისმენთ! _ მწერალმა კალამი მოიმარჯვა.

_ რუსთაველის სახელობის თეატრში, ახალგაზრდა _ ოცდაცამეტი წლის ანუ ქრისტეს ასაკის რეჟისორი დგამს შექსპირის პიესას _ "რომეო და ჯულიეტა". ჯულიეტას როლის შემსრულებელ, ახალგაზრდა, ძალიან ლამაზ მსახიობ გოგონას, თავისი რეჟისორი შეუყვარდება; გოგონა კი _ რომეოს როლის შემსრულებელ, აგრეთვე, ახალგაზრდა მსახიობს, რომელიც ეჭვიანობის გამო, ჯერ რეჟისორს კლავს, შემდეგ კი შეყვარებულს... და შემდეგ, მათ, ორივეს ერთად, საგვარეულო აკლდამაში დაასვენებენ. იცოდეთ, ყველაფერი გარეთ უნდა ხდებოდეს, ქუჩაში ან თუნდაც ტყეში, რომ ფული არ იყოს გადასახდელი. მოკლედ, სცენარის მიხედვით, თეატრში რემონტია და სპექტაკლს ბუნების წიაღში დგამენ.

"აუ, რა ნაბოდვარია", _ გაიფიქრა მწერალმა, თუმცა მაკას სხვა რამ უთხრა:

_ ეს ხომ ტყუილია?

_ რატომ არის ტყუილი? _ გაიკვირვა მაკამ.

_ იმიტომ, გენაცვალე, რომ რუსთაველის თეატრში რაც ხდება, ჩემზე კარგად არავინ იცის.

_ იცით, მე ამის შესახებ პასუხს ვერ გაგცემთ, ეგ ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

_ თანაც ის, რაც თქვენ მიკარნახეთ, გენაცვალე, "რომეო და ჯულიეტა" კი არა, "ოტელო" უფრო გამოდის. ასე არ არის? როგორ კლავს თავის რეჟისორს რომეო, დაშნით? თუ ახრჩობს, როგორც ოტელო, ცარიელი თითებით? თანაც, რომ დახოცავს ამ შეყვარებულებს ეს რომეო, მკვდრები არ გავაუპატიურებინოთ? რამე მაზოხისტური არ შევიტანოთ? ხომ იცით, როგორ უყვარს ხალხს მკვდრების გაუპატიურება; ან იქნებ, სანამ დახოცავს, ჯერ გააუპატიუროს ორივე და თან აყურებინოს, ერთსაც და მეორესაც... ასე ხომ არ აჯობებდა?

_ მე რაც დამავალეს, ის გიკარნახეთ.

_ არ დაკიდოთ, ერთი შეკითხვაც! რეჟისორი როგორია, ისიც ლამაზია?

_ არც ისე, მაგრამ აუცილებელია, რომეოს როლის შემსრულებელს ცოტათი მაინც სჯობდეს!..

_ ირაკლი თვითონ აპირებს რეჟისორის როლის თამაშს?

_ დიახ, როგორ მიხვდით? _ გაუკვირდა ისევ მაკას.

_ სიზმარში ვნახე წუხელ... რამდენ ხანში უნდა მოვიტანო, როდისთვის გნებავთ?

_ მინიმუმ ერთ კვირაში და მაქსიმუმ ათ დღეშიო.

_ რა? კინოსცენარი ერთ კვირაში? თქვენ მე ლოპე დე ვეგა ხომ არ გგონივართ?! ერთ კვირაში მთლიან კინოსცენარს კი არა, სათაურსაც ვერ მოიფიქრებს ხეირიანად კაცი.

_ ძალიან, ძალიან გვეჩქარება. ჯერ თუნდაც პირველი ნაწილი მაინც, გადაღება რომ დავიწყოთ... შეგიძლიათ?

_ იცით, რას გეტყვით? დაიჯერებთ, რომ მე ცოცხალი კლასიკოსი ვარ?.. _ მაგარი გაცეცხლებული ჩანდა მწერალი დევი მოსაშვილი. _ ჰოდა, როგორ გგონიათ, ვინ უფრო კარგად იცის, რა სჭირდება დღევანდელ ახალგაზრდობას _ მე თუ მაგ თქვენმა "სირმა" ირაკლიმ, რომელსაც წიგნი, ალბათ, ხურმა ჰგონია?!

_ გეთანხმებით, _ უპასუხა მაკამ, _ რაც გინდათ, ის დაწერეთ! ოღონდ დროზე მოგვიტანეთ. გასაგებია?

_ ძალიან კარგი, ვეცდები, გმადლობთ, ნახვამდის! _ დაკიდა ყურმილი მწერალმა და გაბოროტებულმა შესძახა:

_ წამოვაგებ დაშნაზე და მერე ბუხარში, ცხელ ნაღვერდალზე, მწვადივით ავაშიშხინებ!

ეს მისი ბოლო სიტყვები იყო, რადგან როცა ის წერდა, მის მეუღლეს ხმის ამოღება აკრძალული ჰქონდა. ოჯახში სამარისებური სიჩუმე უნდა ყოფილიყო. იათამზეს ერთი ზედმეტი სიტყვაც რომ დასცდენოდა, დევის ღრიალი მთელ უბანს ესმოდა.

"იწყება ახალი ერა, გადავდივართ კინოსცენარებზე!" _ გაიფიქრა "სახალხო" მწერალმა დევი მოსაშვილმა და ცაში ცქერა დაიწყო. "სახალხოს" თვითონ უწოდებდა ხუმრობით საკუთარ თავს, თორემ ელიტური მწერალი ხარო, რომ გეთქვათ, გგონიათ ითაკილებდა?

_ რა ქენი? _ შეეკითხა ირაკლი მოლეკულას, რომელიც თავის საგამომცემლო სარდაფში იჯდა და ყალბი ასდოლარიანი კუპიურის დახვეწაზე მუშაობდა.

_ კასეტაზე მეკითხები? გადავეცი.

_ მერე? როდის მივაკითხოთ?

_ როცა იტყვი. რამდენზეა ლაპარაკი?

_ ნახევარ მილიონზე.

მოლეკულა გაშეშდა, ამდენს არ ელოდა.

_ ნახევარ მილიონზე? ეგრევე გაგვაგორებენ, შენც და მეც.

_ შენ იცი, რამდენი მილიონი აქვთ შეჭმული?

_ მერე, ნახევარ მილიონს შენ და მე ვინ წამოგვაღებინებს?! მაგას ერთი "როტა" უნდა, პოლკი!

_ მაშ, რამდენი? _ იკითხა ირაკლიმ და მოლეკულას პასუხს დაელოდა.

_ რავი, ერთი ასი ათასი არ გვეყოფოდა?

_ ასი ათასი? ასი ათასს თუ მოვითხოვთ, ისინი ნახევარზე დაგვიყვანენ და რა გამოვა, ტილაობა?

_ ჩვენც ორასი მოვითხოვოთ და ასზე დაგვიყვანენ.

_ კარგი, შევთანხმდით... მაგარი პონტი გავჩითე!

_ ჰო! _ სმენად იქცა მოლეკულა.

_ “ბუმერანგი” იცი?

_ არა, ძმაო, წამალი? აღარ გავეკარები... რაც პროპელა მოკვდა...

_ რა წამალი, მომისმინე! მაგათ, ხომ იცი, რამხელა ქსელი აქვთ აფთიაქების?

_ ჰო. მერე? რით გამოიჭერ? გადასახადებში? საფინანსო პოლიციის პონტში? რა სისულელეა, ეგენი “პრიამოი” უხდიან, ალბათ! ეგრევე იყიდიან...

_ მაცალე, რა, შე ჩემისა! რას მიაყარე “პულიმიოტივით”! ერთ-ერთის ქალიშვილი ჩემთან მოიყვანეს. ფილმში უნდა გადაღება.

_ არა, მართლა... _ პირი დააღო მოლეკულამ. _ ბატკანი მგლის ხახაში?

_ ჰოდა, უნდა შევკერო, რა! და დიდი მაყუთი მინდა.

_ შენი სახლი? _ გაახსენა მოლეკულამ ირაკლის, ბინა რომ ჰქონდა გასაყიდი.

_ სახლი ეყოფა ჩემ ვალებს? ლეგრანა და შარო შემომისახლდნენ. რომც გავყიდო, მთელი მაყუთი მაგათ უნდა წაიღონ. ეგრეც იქნება, ალბათ, სხვანაირად როგორ მოვიშორო?

_ რას “უმაზავდი”... რომელი ვანგა შენ იყავი?!

_ მოკლედ, მაგ არჩილას უნდა მივაწვეთ ისევ, ცოტა დავაჩქაროთ, მაგრამ “ტონკად”...

_ რა უნდა დავაჩქარო, ეე! ჩქარა რომ წავიდე ციხეში? მოიცა, რა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. უნდა მომწიფდეს! ეგრე ჩქარა-ჩქარა არ გამოვა...

_ ეგ მეც ვიცი...

_ ჰოდა, უნდა დავიცადოთ.

_ რომ მოიტაცონ? იცი, რა ნაშაა?! გადაყლაპავ!

ამ ლაპარაკში იყვნენ, მობილურმა რომ დარეკა. ირაკლიმ ტელეფონს დახედა. მართა იყო, “ევრო თრეველიდან”. ფული ენდომებაო, გაიფიქრა ირაკლიმ და გაუთიშა. ტელეფონმა კვლავ დარეკა.

_ ჰო, მართიკო, გისმენ! _ რბილად უპასუხა ირაკლიმ.

_ სასწრაფოდ უნდა მოხვიდე, ირაკლი! _ ბრძანებასავით გამოუცხადა მართამ.

_ რა ხდება, ისევ გვამოწმებენ? _ შეეკითხა დაეჭვებული ირაკლი.

_ არა, რაღაც ჯგუფს საბერძნეთში უნდა წასვლა... _ მოახსენა მართამ. _ შენთან შეხვედრას ითხოვენ.

_ მოვდივარ! _ გაუხარდა ირაკლის.

გათიშა თუ არა, ტელეფონმა ისევ დარეკა. დახედა ნომერს, ანი იყო.

_ ჰო, ანი, რა გინდა? _ შეეკითხა ირაკლი.

_ მთელი კვირაა, გეძებ, ბიჭო. რატომ გქონდა გათიშული ტელეფონი? შენთანაც კი ამოვედი და ვიღაც ნარკომანები დამხვდნენ. სად დადიხარ, სად გძინავს, რას დაიკარგები ხოლმე?

_ ისინი ნარკომანები კი არა, ჩემი კლასელები არიან, ლეგრანა და შარო. შარმაზანაშვილი ვერ იცანი?

_ ნარკომანი ნარკომანია, რა მნიშვნელი აქვს, შენი კლასელია თუ შენი დეიდაშვილი?

_ აუ, შენი ნოტაციები მინდა ახლა მე, ანი? მითხარი, რა გინდა და შემეშვი!

_ კაი, ბატონო, თუკი არ გინდა შენი წილი, მითხარი და არც დაგელაპარაკები! _ უთხრა ანიმ.

_ ჩემი წილი? რა წილი? შენ რა, სახლი გაყიდე? _ აენთო იმწამს ირაკლი.

_ ჰო! _ უპასუხა ანიმ.

_ სად ხარ, სად მოვიდე?

_ ჩემთან, სახლში! _ უპასუხა ანიმ.

_ თხუთმეტ წუთში მანდ ვიქნები, არსად წახვიდე! _ პასუხს აღარ დალოდებია, ტელეფონი ჯიბეში იკრა და მოლეკულას მიუბრუნდა. _ მე წავედი! ხომ იცი, სანამ მე არ გეტყვი... აბა, ჰე! _ და გიჟივით გავარდა.

დოლარების სუნს უკვე გრძნობდა, თვალები კი იმ მგელივით უელავდა, ბატკანს რომ ფლეთს და სხვა მგლებს უღრენს, არ მომეკაროთო. "რომ არ ვკითხე, რამდენია? მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მელანოს მაინც შევკერავ", _ გაიფიქრა. ამ დროს ანიმ ისევ დაურეკა, _ გამოვდივარ, ტელევიზიასთან მოდი, ჩემს მანქანაში ვიჯდები, ფულიც თან მექნებაო.

_ აი, ძმაო, შენი თორმეტი ათასი დოლარი და აბა, შენ იცი, რაც შეიძლება, ჩქარა მიაფლანგე და ერთი მაგდენიც, ვალად დაიდე! _ დააყოლა ანიმ, როგორც კი ირაკლი მანქანაში ჩაუხტა.

_ თორმეტი ათასი? საღოლ! ჯიგარი ხარ! _ ირაკლიმ ახლაღა გადაკოცნა და.

_ დათვალე, _ უთხრა ანიმ, _ ფულს თვლა უყვარს.

_ კაი, რა! რა უნდა დავთვალო, რომც აკლდეს, ალალი იყოს! _ ირაკლიმ ანი ერთხელ კიდევ გადაკოცნა და თავის "ევრო თრეველში" გავარდა.

შესვლამდე ფული პიჯაკის ჯიბეებში გადაინაწილა და ოფისის კარი შეაღო. ოფისში, მართასთან ერთად, ორი უცნობი მამაკაცი დახვდა, რომლებიც სავარძლებში ისხდნენ და, როგორც ჩანს, მას უცდიდნენ.

ირაკლიმ ფეხზე წამომდგარ მართას თვალი ჩაუკრა, შემდეგ კი უცნობებთან მივიდა, ორივეს ხელი ჩამოართვა და თვითონაც სავარძელში ჩაჯდა.

_ რით შემიძლია გემსახუროთ? _ საქმიანად მიმართა მან უცნობებს.

მარჯვნივ მჯდომმა ხელი პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიყო, იქიდან ლურჯყდიანი წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და ირაკლის ცხვირწინ დაუდო.

_ ჩვენ საგამოძიებოდან ვართ. თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს.

ირაკლის კეფა ცვრით დაენამა, ლამის გული გაუსკდა... ეს ფული მაინც არ მედოს ჯიბეშიო, გაიფიქრა. ენა მუცელში ჩაუვარდა, მიხვდა, რომ მართამ მოატყუა.

_ სანამ შეგეკითხებით, მანამდე ეგებ... _ მართაზე ანიშნა ერთ-ერთმა.

_ მართა, გადი, რა! გაისეირნე ცოტა ხანს. მე დაგირეკავ! _ ფერი აღარ ედო ირაკლის. მართა უხმოდ გავიდა.

_ იცნობდით გუტა გელაშვილს? _ შეეკითხა მარცხნივ მჯდომი.

ირაკლი იმწამსვე მოეგო გონს. უარესს ელოდა. კიდევ კარგი, შემეშინდა და ხმა ვერ ამოვიღე, ჯობს კარგად დავფიქრდე და ისე ვუპასუხო, ზედმეტი რომ არ წამომცდესო, გაიფიქრა.

_ ეს დაკითხვაა? ადვოკატი არ მჭირდება? _ იკითხა მან და ორივეს შეხედა.

_ არა, დასაკითხავად უწყებას გამოგიგზავნიდით. აქ კი არ გეახლებოდით, იქით დაგიბარებდით... _ უთხრა პირველმა.

_ მასმედიას გვინდა დავასწროთ, სანამ ააგორებდნენ, როგორც იციან, _ დაუმატა მეორემ, _ ჩვენ თქვენთვის კარგი გვინდა და ამიტომ სიმართლე უნდა ვიცოდეთ. იმ სუფრასთან თქვენც იჯექით ხომ, მასთან ერთად?

_ არა, ჩვენ ჩვენთვის ვისხედით! _ მაინც აჩქარდა ირაკლი და ხმასაც აუწია. _ ის მოვიდა და ჩამოგვიჯდა. პირველად ვნახეთ, არც ერთი არ ვიცნობდით... გინება დაგვიწყო...

_ პირდაპირ გინებით მოვიდა? _ შეეკითხა პირველი.

_ არა, ჯერ დაჯდა, ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და მთვრალიც იყო. მომეწონეთო, _ თუ რაღაც ამდაგვარი გვითხრა და დავსვით.

_ თქვენ რამდენი იყავით? _ შეეკითხა იგივე.

_ ჩვენ ხუთნი: მე ვიყავი და დანარჩენი ქალები...

_ მერე? _ შეეკითხა მეორე.

_ მერე... მერე რაღაც ეწყინა და თათიკოს შეაგინა, სულ ტყუილად... ჰო, წამოუხტა და ღვინო შეასხა სახეში. მეტი არაფერი...

_ მეტი არაფერი? _ გაუკვირდა მარჯვენას.

_ ჰოდა, სტაცეს კიდეც უცბად ხელი. არ ვიცი, დაცვა იყო თუ ვინ იყო... სტაცეს ხელი და გაიყვანეს. ორ წამში მოხდა ყველაფერი.

_ არც ცემა, არც ტყეპა, არც დანების ტრიალი, არც იარაღი... ამდაგვარი არაფერი ყოფილა?

_ არა, აპ-აპ-აპა, არაფერი... როგორც ვიჯექი სკამზე, ისევე დავრჩი, არც გავტოკებულვარ... _ თვალებში შეჰყურებდა გამომძიებლებს ირაკლი.

_ გაიყვანეს და ყველაფერი ამით დამთავრდა? _ იკითხა მარცხენამ.

_ არა, მერე მისი სუფრის წევრები მოგვიცვივდნენ; ჩვენც ავდექით და გამოვედით, გამოვერიდეთ! _ არ იცოდა, უნდა ეთქვა თუ არა, თათიკომ იარაღი რომ დაუძრო...

მამაკაცები წამოდგნენ.

_ კარგი! _ უთხრა ერთ-ერთმა. _ რაც ჩვენთან თქვით, ყოველთვის ყველგან იმავეს იტყვით, მეტს არაფერს... რომც ჩაგეძიონ, უთხარით, არ მახსოვს, ცოტა ნასვამი ვიყავი-თქო! გასაგებია?

_ დიახ, გასაგებია! _ გაუხარდა ირაკლის.

კაცები დაემშვიდობნენ და გავიდნენ.

ირაკლიმ მართას გადაურეკა. მართა მალევე შემოვიდა.

_ რა იცოდნენ, რომ ჩემია ეს ფირმა, ვინ ჩამიშვა, აქ როგორ მომაგნეს? _ არ დამალა სიბრაზე ირაკლიმ, _ ან რომ მირეკავ და მიბარებ, არ უნდა მანიშნო?

_ როგორ მენიშნებინა, რა უნდა მეთქვა, პირში მიყურებდნენ, არა? _ გაცხარდა მართაც.

_ შენ იცი, ჯიბეები ფულით რომ მაქვს სავსე? რომ ეტაცნათ ხელი და გავექანებინე, რა უნდა მექნა? _ ხელებს შლიდა ირაკლი.

_ ფულით გაქვს სავსე ჯიბეები? მართლა? _ ნიშნის მოგებით შეეკითხა უცბად მართა, _ მაშინ მომეცი ჩემი ხელფასი, მესამე თვეა უფულოდ დავდივარ, ერთი თეთრიც ხომ არ მოგიცია, არა?

_ რა მოგცე, ჩემი კი არ არის... _ იმწამს მოტვინა ირაკლიმ.

_ მაშ ვისია? _ იქვე შეაგება შეკითხვა მართამ, _ მთელი ჯგუფი გავუშვი დუბაიში, ათასი საბუთი გავამზადე და ერთი თეთრი არ ვიცი, როდემდე გელოდო? იცოდე, ჩემ ძმას ვეტყვი, აღარ გავჩუმდები, მომბეზრდა შენი ლოდინი!

_ მოიცა, რამდენი გეკუთვნის? _ ჯობს გავაჩუმო და მოვიცილო ეს ქალიო, გაიფიქრა ირაკლიმ.

_ ოთხას ლარზე მეტი. ოთხასოცდაათი! _ დაუკონკრეტა იმწამს მართამ.

_ აი, შენ ორასი დოლარი და ცოტახანს თავი დამანებე! _ ირაკლიმ თითქოს ესროლაო, ისე გადაუყარა ფული მართას მაგიდაზე.

_ ეს სამასსამოცი გამოდის, სულ, და დანარჩენი? _ მაშინვე ხელი სტაცა და ჩაბღუჯა ფული მართამ.

_ კაი, რა მართიკო, არ გრცხვენია? გამატყავე კაცი, უთეთროდ დამტოვე და კიდევ ფულს მთხოვ?

_ შენ ვინ გაგატყავებს, იქით გაატყავებ ყველას... _ მაინც კმაყოფილი დარჩა მართა, რომ ძმის ჩარევა არ დასჭირდა.

ირაკლის კი უკვე აექავა კანი ჯიბეებთან, შანსი ჰქონდა ბიჭს “წატრიპაჩების”, ქვეყნის ფული ედო ჯიბეში... მოვალეების მეტი რა ჰყავდა, მაგრამ როცა უფულოდ რჩებოდა, ისინი მხოლოდ მაშინ თუ ახსენდებოდა... ახლა კი მისი იყო, ცაც და დედამიწაც... არც ანის შეგონება გახსენებია, აბა შენ იცი, ეგ მიაფლანგე და ერთი მაგდენიც ვალად დაიდეო, რომ უთხრა.

ამოიღო მობილური და სტუდიაში, მაკასთან გაუშვა ზარი.

_ მაკა, ირაკლი ვარ! რაო შენმა მწერალმა?

_ უარი არ უთქვამს, _ მოახსენა მაკამ.

_ დაურეკე და უთხარი, თუ ხუთ დღეში მოიტანთ, ორმოცდაათ დოლარსაც გიმატებთ-თქო. რამდენსაც შეძლებთ-თქო, თუნდაც თხუტმეტი, ოცი გვერდი იყოს-თქო.

_ ვეტყვი! _ დაპირდა მაკა.

ირაკლიმ მობილური გამორთო.

_ ესეც ასეე! _ ჩაილაპარაკა და მობილურითDბაიას დაურეკა.

_ ბაა, რას აკეთეებ? სადა ხაარ? _ გატყლარჭა სიტყვები ირაკლიმ, რაღაც “წასვეტების” პონტში.

_ რას უნდა ვაკეთებდე, სახლში ვარ, ტახტზე წამოგორებული და ჭერზე ბუზებს ვითვლი!

_ მერეე, “პრასვეტი” არ არის არსაიდაან? _ ისევ გატყლარჭა სიტყვები ირაკლიმ.

_ რა “პრასვეტი” უნდა იყოს, ამ დამპალ ქვეყანაში? “პრასვეტი” კი არა, ისეთი წყვდიადია გარშემო, თვალთან ვერ მიიტან თითს...

_ და გოგოებიი, სადა გყვანან, როომ? _ აგრძელებდა თამაშს ირაკლი.

_ დეას გრიპი სჭირს, ოცდაცხრამეტებით, სად გაცივდა, არ იცის. თათიკოს “დამაშნი” არესტი აქვს, მურაზსა ჰყავს დამწყვდეული და, შენ ვინ გინდა, რომ?

_ შენ, ჩემო სიცოცხლევ, შენ და სხვა არავინ! _ უპასუხა ირაკლიმ სიცილით.

_ შენ, რა, ფული იშოვე? რაღაც კარგ ხასიათზე ჩანხარ. _ მიუხვდა ბაია.

_ ჰო, _ გამოუტყდა ირაკლი, _ გინდა მოვხიოთ სადმე სამდღიან “პაეზდკაში”, მე და შენ, მარტო, სანამ ჩამოვალთ, მანამდე აქ რაღაც-რაღაცეები დალაგდება, ჰა?

_ ოჰ, კარგი რა, შენც რიო-დე-ჟანეიროში არ წახვიდე, ერთბაშად. ერთი ხლამია, ყველგან... _ ჩაიბურტყუნა ყურმილში ბაიამ.

_ რიო-დე-ჟანეირო... _ ირაკლიმ პატარა პაუზა გააკეთა, _ მგონი კარნავალი აქვთ, არა?

_ მაგათ სულ კარნავალი აქვთ, რა ვიცი..... _ უპასუხა ბაიამ.

_ რატომ არა? მოსულა... საბუთები წესრიგში გაქვს?

_ არ გამაგიჟო, _ გაისმა ყურმილში ბაიას კივილი, _ მართლა? არ მომატყუო, არ დამშოკო!

_ მართლა, მართლა! წამოიღე შენი პასპორტი და მოდი ჩემთან, “ევრო-თრეველში”.

_ მოვფრინავ! _ შეჰკივლა ბაიამ და ტელეფონი გათიშა. ირაკლი კი მართას მიუბრუნდა. _ მართა, ნახე რა, ერთკვირიანი რიო-დე-ჟანეირო, სამ ვარსკვლავიანი სასტუმროთი, ოთხიანიც ნახე, ორ კაცზე, რა ჯდება...

_ რა იშოვე ამისთანა? _ თითქოს ეწყინაო მართას, _ აკი, ვალები მაქვსო?

_ ვალები მოიცდის... მაინც ჩემი გადასახდელია... _ ხელები გაშალა ირაკლიმ.

“არავინ მაპატიებს, თუ მართლაც ამათი მოკლულია, ვინ მაპატიებს?” თითქოს საფეთქლებში ჩაქუჩებს სცემდნენ, ისე ნერვიულობდა მურაზ ლეშკაშელი, წინ თავისი სამი თანამშრომელი, ანუ სამი მკვლელი ეჯდა და სიგიჟეს არაფერი უკლდა.

_ გეფიცები, ჩემ ორ შვილს და ცოლს, _ უმტკიცებდა ზვიად მოლაშვილი, _ ვცემეთ, კი, მაგრადაც... წაუთაქეთ-მეთქი, ვერ ვიტყვი... _ ორივეს, მაგრამ ორივენი გავუშვით...

_ პანტიანთან და სახინკლე როა, "ცხრამეტი ნაოჭი", იქ შევედით. _ წაეშველა ზვიადს მარლენ ბარათაშვილი.

_ მეორე, მეორე ვინ იყო, თქვენ რა, სხვაც გყავდათ წაყვანილი? _ მაგრად გაუკვირდა, ეს ახალი ამბავი, ლეშკაშელს.

_ აბა იმან დაგვახურა, იმ მეორემ, მკვდარი და ცოცხალი არ დაგვიტოვა, არცერთს...

_ ქალაქში ვერ ჩამოყარეთ? პანტიანში რას მიათრევდით? _ თითქოს მიზეზს ეძებსო, არ ეშვებოდა მურაზი.

_ დაგვიჯერებ, რომ? _ უნდოდა დაეწყნარებინა როგორმე ზვიადს მურაზი.

_ ჰო, ჰო... _ თავი დაუკანტურა სვანამ.

_ ჩავსვით თუ არა მანქანაში, ბიჭებო-მეთქი, _ განაგრძო ზვიადმა, _ რად გვინდა ეს შუღლი და გადაკიდება, შევრიგდეთ, თითო ჭიქა მივუჭახუნოთ და არ ჯობს, მეგობრებად დავცილდეთ-მეთქი? კაი ბიჭები იყვნენ, რო შეხედავდი, ვერ იტყოდი, რა?

_ ჰო, ჰო... _ წაეშველა მეგობარს მარლენი.

_ ვისთან უნდა ავწიო ჭიქაო, თქვენი ძაღლი დედაო, თქვენთან ღვინოს დავლევ, თქვენი დედის რძეო, ნაცხიო, მოკლეედ!.. _ აღარ გააგრძელა ზვიადმა.

_ კაი, რომელმა ახსენეთ ჩემი შვილი კახასთან? _ აინტერესებდა მურაზ ლეშკაშელს.

გუტა გელაშვილის მკვლელობას გამომძიებელი კახა ლაფერაძე იძიებდა, მას ყველანი კარგად იცნობდნენ, უფრო მეტიც, ის მარლენ ბარათაშვილის თანაკურსელიც კი იყო.

_ მე... _ როგორც იყო ამოღერღა სვანამ და ფერი-ფურმა გადაუარა.

_ ამიტომაც ზიხარ, არა, მუნჯივით? _ რატომღაც ხელი აუკანკალდა მურაზს. სვანას ეგონა, სილა უნდა მტკიცოსო და მექანიკურად სახე უკან გასწია, მაინც მოხვდა, სილა კი არა, ხელუკუღმა მოქნეული, თან ისე მაგრად, რომ გემოზე შეაჭანჭყარა.

_ მაშინ ადგები და მიწიდან ამომითხრი, იმ მეორეს, ცოცხალი რომელიც გადარჩა! _ და მურაზი სხვებსაც მიუბრუნდა, _ ეს თქვენც გეხებათ, ორივეს! დღესვე, სანამ დაგიჭერდნენ. იპოვით? ვეცდები გადაგარჩინოთ! ვერ იპოვით და ჩემს შვილს კი არა, თქვენ თავს დააბრალეთ! თავისუფლები ხართ! კიდევ, მაგ ზღაპრების მოყოლას, რამე ისეთი მოიგონეთ, რომ სხვებმაც დაგიჯერონ! _ დაადევნა კარებთან მისულებს მურაზმა.

ერთკვირიანი ბრაზილია, ორ კაცზე, ოთხი ათას ხუთას დოლარამდე ჯდებოდა, ეს მართამ ინტერნეტით მანამდე გაარკვია, სანამ ბაია პასპორტს მიუტანდა. ირაკლის თანხა ეცოტავა და მაგრად გაუსწორდა. მერე მართას იმ სააგენტოს მისამართი და ტელეფონები ამოაბეჭდინა და საყვარელს ქუჩაში დახვდა. რა თქმა უნდა, ბაიას ბოლომდე არ სჯეროდა და ამიტომ სულელივით ეღიმებოდა, ეს მაშინ, როცა ირაკლის მანქანაში უჯდებოდა. მაგრამ, მერე, როცა ირაკლიმ სააგენტოში მიიყვანა, რომელსაც უცნაური სახელი: "შენ და პლუს დელ მონდო" ერქვა, მერე კი იქაურ თანამშრომლებს პასპორტების მონაცემები ჩააწერინა და ოთხი ათას ხუთასი დოლარიც დაუტოვა, დაუჯერა.

ასეთი უეცარი სიურპრიზის აღნიშვნა აუცილებელი იყო და ისინიც სანაპიროზე, ფრიად რომანტიკული სათაურის რესტორანში, "ედელვაისში" შებრძანდნენ.

_ ვაიმეე! _ დარბაზში შევიდნენ თუ არა, იკივლა ბაიამ და მათ მარცხნივ მდებარე მაგიდას მიეჭრა, _ თამთა არა ხარ, შენ!?

თამთას, რომელიც ტანისამოსით კლასიკურ სტილში იყო გადაწყვეტილი, ანუ კოსტიუმი ეცვა და თმებიც ლამაზად, კეფაზე ჰქონდა დახვეული, ისეთი ქალის

დანახვა, როგორიც ბაია იყო, ნამდვილად გაუკვირდა. როგორც ჩანს, ერთბაშად ვერც იცნო. ბაიას მუხლს ქვემოთ გადაჭრილი, ამოჭიმული ჯინსის შარვალი ეცვა, რომელზედაც სქელი, ტყავის განიერბალთიანი, ჯაჭვებითა და ზიზილ-პიპილოებით გაძეკილი ქამარი ეკეთა. შარვალს, რა თქმა უნდა, მოკლე უბე ჰქონდა და ქალს თუ წინიდან ჭიპი და მზეზე გახრუკული მუცელიც საკმაოდ მაგრად მოუჩანდა, უკან, ლამის, უკანალის ხაზი გამოსჩენოდა. თამთას კი ევროპული იერი დასდებოდა, და სახით, ოდნავ, მადონას წააგავდა. მოკლედ, ამ ორ ქალს შორის, იმხელა კონტრასტი იყო, წესით, მათ ერთმანეთი არ უნდა სცნობოდათ, მაგრამ, რადგან ეს ყველაფერი პოსტ-საბჭოთა საქართველოში ხდებოდა, სადაც არაფერია გასაკვირი, ისინი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, რადგანაც, ერთ დროს, ერთ კლასში სწავლობდნენ და ერთ მერხზედაც კი ისხდნენ.

_ ბაია? _ მაგრად გაუკვირდა თამთას და აიტკრიშა, ანუ ოდნავ გაწითლდა, _ ძლივს გიცანი! ძალიან შეცვლილხარ!

_ შენც, სხვათა შორის, შეცვლილი კი ხარ, მაგრამ ისევ ისეთი ნაზი ჩანხარ, როგორიც იყავი.

_ ჰო, რა ვიცი... _ ჩაილაპარაკა თამთამ, რომელმაც ამ უეცარი თავდასხმის გამო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, უნდა გაეცნო, თუ არ უნდა გაეცნო, თავისი საქმრო, რომელიც მასავით, ახალი ჩამოსული იყო გერმანიიდან და მის მეგობარს, ანუ უცნაურ არსებას, რომელიც მარსიდან ჩამოფრენილ უცხოპლანეტელს უფრო ჰგავდა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული უმზერდა. მომავალი ნეფე-პატარძალი ისევ ბაიამ გამოიყვანა მდგომარეობიდან!

_ შენს "ბოი-ფრენდს" არ გამაცნობ? _ კეკლუცად შეხედა ფეხზე მდგომ დაბნეულ თანაკლასელს და ვაჟს ხელი გაუწოდა.

_ კი, კი, გაიცანი! _ თქვა თამთამ და ირაკლის შეხედა.

_ ვაჟა, _ ხელი გაუწოდა ბაიას, ფეხზე წამომდგარმა თამთას კავალერმა.

_ ეს კი ჩემი "ბოი-ფრენდია", _ ისე ხმამაღლა წარუდგინა ირაკლი ბაიამ თანაკლასელს, რომ მთელმა დარბაზმა მათკენ მოიხედა.

ირაკლიმ ქალ-ვაჟს ხელი ჩამოართვა.

_ დავსხდებით, რა, თქვენთან? _ სთხოვა ბაიამ მოურიდებლად ვაჟას, და მასაც, რა ექნა, მოულოდნელი სტუმრები, იძულებული იყო მაგიდასთან მიეპატიჟა.

ბაიამ სწრაფად გამოუწია სკამი ირაკლის და თვითონ კი მეორე სკამზე დაჯდა.

_ იცით? _ ჯერ არ გასწორებულიყო ხეირიანად სკამზე, რომ იმწამსვე ჩაირთო ბაია, _ ჩვენ ორ კვირაში, რიოში მივფრინავთ ფესტივალზე, საგზურების ფული უკვე გადახდილი გვაქვს.

_ მართლა? _ გულწრფელად გაუკვირდა თამთას და ირაკლის შეხედა, თითქოს, უნდოდა ეთქვა, არა, თქვენგან, ამას, ნამდვილად არ მოველოდიო.

_ მართლა, მართლა! იცი, მინდა ჩავტატუირდე, გავშიშვლდე და სხვებთან ერთად ვიცეკვო ქუჩაში. იქ ხომ ყველას აქვს ამის უფლება?

_ ალბათ, კი... _ ჩაიბურტყუნა ვაჟამ, რადგან ბაია პასუხისთვის სწორედ მას შესცქეროდა თვალებში. ბაია კი ისევ ირაკლის მიუტრიალდა.

_ როგორ მოგწონს თამთა? _ ჰკითხა და თამთას შეხედა, _ როგორი სიფრიფანა და ნაზია, არა, სული რომ შეუბერო, _ და ბაიამ თამთას ნაზად შეუბერა, რაზედაც თამთა წელში გასწორდა და ოდნავ გაეღიმა, _ შეიძლება ალვასავით გადაიხაროს... რა საყვარელია, არა?

_ კი, ძალიან, _ გათამამდა ირაკლიც, რაზედაც ოთხივეს გაეცინა და მთელი დაძაბულობაც მოიხსნა. ბაია კი თამთას კავალერს მიუტრიალდა.

_ თქვენც გერმანიაში სწავლობთ?

_ არა, მე ვმუშაობ... _ უპასუხა ვაჟამ.

_ სად? თუ საიდუმლო არ არის? _ არ მოეშვა ბაია.

_ ახლა კოსოვოში ვარ, გაეროს ხაზით...

_ ვაიმეე? _ საოცრად გაუკვირდა ბაიას, _ მართლა?

ალბათ, თამთამ იფიქრა, მეც უნდა ჩავერიო საუბარშიო და ბაიას შეეკითხა:

_ შენ? შენ რას აკეთებ?

_ მე? მე ბევრად დიდი მისია მაკისრია, ვიდრე შენს ელეგანტურ კავალერს, _ თავი მრავალმნიშვნელოვნად გააქნია ბაიამ.

_ მაინც? _ ყოველი შემთხვევისთვის იკითხა თამთამ და ისეთი პასუხი მიიღო, როგორსაც არაფრით არ მოელოდა.

_ ბიჭების დავაჟკაცებაში შემაქვს ჩემი წვლილი.

_ შვილების? _ გააგრძელა დაკითხვა თამთამ მორცხვად.

_ შვილებისო? _ თვალები წამოასხდა ბაიას, _ რას ამბობ, ღმერთმა დამიფაროს, პროსტიტუციაზე ვთქვი, იცი, რა საჭიროა დღეს?

ამაზე ვაჟას გულიანად გაეცინა.

_ კარგით, კარგით, გასაგებია ყველაფერი... _ ჩაილაპარაკა მან და სიგარეტს მოუკიდა.

_ არა, რატომ? მართლა, მართლა, იცით, რა ხდება თბილისში? _ არ გაჩუმდა ბაია, _ როგორ აგიხსნათ, როგორც დაავადება, რაა, როგორც ჭირი, ისეა მოდებული გაუკუღმართებული სექსი, ხმას კი არავინ იღებს. არა ვარ მართალი? _ მიუტრიალდა ის ირაკლის.

_ კი, მაგრამ ასეთ სუფრაზე ეგ რა მოსატანია? _ შეეცადა გაეჩუმებინა ბაია ირაკლიმ.

_ კი, ბატონო, გავჩუმდები და მალე კაცის სახსენებელი, საერთოდ, გაქრება ამ ქალაქში... _ ეწყინა ბაიას.

_ გასაგებია, ბაია, მაგრამ კაცი კოსოვოდან ჩამოსულა, არ ჯობს, ვკითხოთ, რა ხდება მსოფლიოში?!

_ ეგ მე მკითხეთ, _ ისევ აღელდა ბაია, _ ხდება ის, რაც ყოველთვის ხდებოდა, გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ომი, ქრისტიანებს და მუსულმანებს შორის, და სანამ ერთიმეორეს არ გაჟუჟავენ, არც გაჩერდებიან, ასე არ არის? _ მიაჩერდა ის ვაჟას, რომელმაც არ იცოდა, რა და როგორ ეპასუხა და ისევ დანებება არჩია.

_ ალბათ...

_ ალბათ კი არა, ასეა! _ დაუსვა თავის ნათქვამს ბეჭედი ბაიამ.

მოკლედ, ხდებოდა ის, რაც ასეთ სუფრებზე ხდება, ყველაზე მეტს ის ჭიჭინებდა, ვინც ნაკლებ განათლებული და ალბათ, ნაკლებ კულტურულიც იყო. ოფიციანტს, რომელიც მათ მაგიდას მენიუს ყდით ხელში მიუახლოვდა, მენიუ, რა თქმა უნდა, ბაიამ ჩამოართვა და კერძებიც მანვე შეუკვეთა. ოთხივესთვის, რა თქმა უნდა, და თანაც, ბლომად ყველაფერი, რადგან იცოდა, რომ ირაკლი, არც ფულს გადაახდევინებდა ვინმეს და არც იწუწურაქებდა.

_ ბაია, არ უნდა გეკითხა? იქნებ ამ ხალხს მარტო ერჩია ყოფნა?

_ არა, არა, პირიქით, _ დაასწრო, ვაჟამ თამთას, _ ერთადერთი, ვინ უნდა ჭამოს და დალიოს, ამდენი რამე რომ შეუკვეთეთ?

_ თქვენ მშვიდად იყავით! _ მაშინვე გააჩუმა ვაჟა ბაიამ, - ევროპაშიც გეყოფათ ბუტერბროდების ჭამა, ახლა კი უნდა გემოზეც გამოვძღეთ და მამაპაპურადაც შევუბეროთ, თორემ ეს თქვენი კნეინა, ასეთი სიფრიფანა რომაა, შესაძლოა ისე გაიცრიცოს, სანამ სუფრიდან ავდგებით, გაქრეს კიდეც...

_ მე ისეთ დიეტას ვიცავ, არ გავსუქდე-მეთქი და... _ გაეცინა თამთას.

_ დიეტა ევროპაში... საქართველოში ჭამის კულტი გვაქვს და უნდა კბილებით შევინარჩუნოთ! _ გამოაცხადა ბაიამ.

_ კბილებით, კი, მართლაც კბილებით! _ გაიცინა ვაჟამ.

ოფიციანტმა მათ მაგიდასთან ურიკა მოაგორა. ხაჭაპურთან და სასმელთან ერთად, სალათეული და მწნილეულიც ჩადგა მაგიდაზე. ამ დროს, რესტორანში მუსიკოსები შემოვიდნენ, თავიანთ პატარა სცენაზე ავიდნენ და ინსტრუმენტების შემოწმებას შეუდგნენ, რის გამოც დარბაზს ურიტმო მუსიკის ხმაური მოედო.

ირაკლიმ მოწყურებულივით, ბოლომდე შეავსო ჭიქები.

_ მე არა, მე ნუ შემივსებთ, მაინც ვერ დავლევ... _ იუარა თამთამ.

_ დალევ! _ უბრძანა ბაიამ, _ თორემ, რომ გიყურებ, მეშინია ატროფია არ დაგემართოს, სასმელში რომ კალორიებია, ორგანიზმისთვის აუცილებელი, არაფერში არ არის. თან, თითქმის ათი წელი იქნება ერთმანეთი არ გვინახავს... _ ჭიქა ასწია და დაილოცა, _ გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ და ერთმანეთისთვის თვალი არასოდეს აგვერიდებინოს! რა ჭკვიანი მამა მყავდა და, იცით, რისი თქმა უყვარდა? ხელი ისეთ ადამიანს უფრო უნდა ჩამოართვა, რომელიც შენზე ნაკლებია, ან დაბალი წრის წარმომადგენელია, რადგან შენი ხელის ჩამორთმევა მინისტრისთვის და თანამდებობის პირისთვის არაფერია, აი, პატარა ადამიანს კი, უხარიაო. ხომ ასეა?

_ ჭკვიანურია... _ დაეთანხმა ვაჟა.

_ ჰოდა, დავცალოთ და სანამ მუსიკა გაჩუმდება, მინდა თქვენთან ერთად ვიცეკვო, ხომ შეიძლება? _ მიიტანა იერიში ვაჟაზე ბაიამ.

_ სიამოვნებით! _ უპასუხა ვაჟამ, გამოცალა და წამოდგა.

_ შენ კიდევ, თამთა გაიწვიე! _ უბრძანა ბაიამ ირაკლის, _ ოღონდ, ხელი ფრთხილად მოკიდე, თორემ, შესაძლოა, მიხაკის ყუნწივით წელში გადაგიწყდეს...

ის, რომ ჩვენს რესტორნებში, მუსიკა ყურთასმენის წაღებამდე ღრიალებს, ყველას მოგეხსენებათ. იმდენად ყურისწამღებამდეც კი, რომ ხშირად, ხეირიანად, თანასუფრელსაც ვერ დაელაპარაკები. არ ვიცი, რა, რომელი და როგორი კულტურის მანიშნებელია ეს, მაგრამ, ამჯერადაც, ასე იყო და ჩვენი ახლადდაწყვილებული მოცეკვავეებიც, ერთმანეთისთვის რომ ხმა გაეგონებინათ, იძულებულნი იყვნენ ტუჩები ერთიმეორის ყურთან მიეტანათ. ბაიაც სწორედ ასე მოიქცა და ვაჟას წასჩურჩულა:

_ არა გაქვთ სურვილი, თქვენს “დამაჩკას” უღალატოთ?

_ არა! _ უპასუხა ღიმილით ვაჟმა.

_ არასოდეს? _ შეეკითხა ბაია.

_ არასოდეს! _ უპასუხა ვაჟმა.

_ მე კი ისე მომეწონეთ, ასი ქმარიც რომ მყავდეს, ყველას დაუფიქრებლად ვუღალატებდი.

_ ჩემ გამო? _ გაიცინა ვაჟმა.

_ არა, თამთას გამო...

_ არ გიყვართ? _ დაეჭვდა ვაჟა.

_ არა, ეგ რა შუაშია, კარგი გოგოა, მაგრამ მაინც ქალია და, ალბათ, მაგიტომ... ხომ ასეა?

_ არ ვიცი, ქალი რომ ვიყო, იქნებ მივმხვდარიყავ რამეს, მაგრამ კაცი ვარ და არ მესმის... _ გაიღიმა ვაჟამ.

ბაია არ ერიდებოდა, ცდილობდა აკვროდა მამაკაცს და არც მომენტს უშვებდა, რომ გახახუნებოდა.

_ კარგით, თორემ ცოდოა თამთა... იეჭვიანებს... _ სთხოვა ვაჟამ.

_ ძალიან გიყვართ? _ შეეკითხა ბაია.

_ არ არის საყვარელი? დილა-საღამოს სანთლებს ვანთებ და ღმერთს მადლობას ვუგზავნი, რომ შემახვედრა...

_ საინტერესოა, თაფლობის თვის მერეც ასე იტყვით? არ გიცხოვრიათ ჯერ ერთმანეთთან?

_ არა და ჯვრისწერამდე არც ვაპირებთ... _ სერიოზულად უპასუხა ვაჟამ.

_ და ქალიშვილი რომ არ აღმოჩნდეს? _ თვალები მოწკურა ბაიამ.

_ გამორიცხულია, _ არ მოეწონა ვაჟას.

_ ვთქვათ, მაშინ?

_ არ ვიცი, ალბათ, მოვკვდები, არა, არა, მაშინ წინასწარ მეტყოდა.

_ რუსებსა აქვთ: "წყნარ ტბაში, ეშმაკები ბუდობენო", არ გაგიგონიათ?

_ არა, პირველად მესმის. რამე იცით თამთაზე?

_ აი, ხომ დაგაეჭვეთ, მაინც? არა, რა სისულელეა, არც გაივლოთ თავში, უბრალოდ, ჩემი აზრით, ყველა ქალშია პატარა გველის წლოკი, თავისი ნესტრით, ასე არ არის?

_ კი ბევრში პითონიცაა და ანაკონდაც...

_ ჩემში, არა? _ გადაიხარხარა ბაიამ.

ხოლო ირაკლი და თამთა კი სულ სხვა თემაზე საუბრობდნენ.

_ წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ძლებთ იმ უცხოეთში ასე დიდხანს. _ უთხრა ირაკლიმ, რომელიც მართლაც ფრთხილობდა არ გადაეტეხა თამთა, _ რომელიღაც მომღერალს თუ მსახიობს მაგონებთ, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომელს.

_ მადონას ვგავარ ფერით, მოლურჯო ფერი დამკრავს მეც... _ თქვა თამთამ.

_ ჰო, ჰო, მართლაც... _ გამოცოცხლდა ირაკლი, _ გიცქერთ და ასე მგონია, რომ გამჭვირვალე ხართ, გეფიცებით, სულ სხვანაირი სილამაზე გაქვთ, აბსოლუტურად უცხო, არ ვიცი, რა დავარქვა, ფერადი ბროლის სილამაზე?

_ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი თანამგზავრი ძალიან ახლოს ცეკვავს თავის კავალერთან? _ შეეკითხა თამთა და თვალებით ანიშნა, რომ ირაკლის მეორე წყვილისკენ გაეხედა.

_ არაუშავს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ცუდს ვერაფერს უზამს, ის ხომ, როგორ თქვა? "ბიჭების დავაჟკაცებაში შემაქვსო წვლილი", ხომ?

_ იცით, სკოლაში მუშტებით ცემდა ბიჭებს, მართლა, მართლა...

_ ნუ გეშინიათ, ვაჟას ეგ არ ელის, არა მგონია ცემას უპირებდეს, ეგ მე უფრო მელის, ალბათ... _ და ირაკლიმ ხმამაღლა გადაიხარხარა.

_ ჩუმად, როგორ შეიძლება... _ აილეწა სახეზე თამთა.

_ ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ თქვენ ევროპიდან ახალი დაბრუნებული ხართ... _ მოუბოდიშა ირაკლიმ.

მუსიკა დამთავრდა. წყვილები მაგიდას დაუბრუნდნენ.

_ რაზე იცინოდით ასე გულიანად? _ შეეკითხა თამთა ვაჟას და ბაიას, როგორც კი მაგიდასთან დასხდნენ.

_ არაფერი, ისე... _ ჩაილაპარაკა ვაჟამ.

_ შენ რა, იეჭვიანე, ჩემო კარგო? _ დაუტკბა ბაია თამთას, _ სად მე და სად შენ? რა გგონია, მაგდენიც არ მესმის?

_ არა, მეც მინდოდა გამეცინა და...

_ იცით რა? მეც მეჩვენება, რომ ჩვენს სუფრაზე მაგარი მოწყენილობაა? თქვენ? _ იკითხა ირაკლიმ.

_ იმიტომ, რომ ამ მაგიდასთან ორი სხვადასხვა კლასი დაეჯახა ერთმანეთს, _ დაიწყო ბაიამ, _ ჩვენ, ლუმპერპროლეტარიატი და ესენი ახალი ქართველები...

_ თქვენა ხართ ლუმპერპროლეტარიატი? მე ვერასოდეს გავბედავ, ამდენი რამ შევუკვეთო ერთდროულად... _ მხრები აიჩეჩა ვაჟამ.

_ რატომ? შენც თუ გაყიდი სახლს და იმ ფულით რესტორანს ესტუმრები...

_ რა? სახლი გაყიდეთ და რესტორანში ფლანგავთ იმ ფულს? _ გაიკვირვა თამთამ.

_ ჰო, თავად ფანტიაშვილის შვილიშვილია, მაშა! _ თქვა ბაიამ.

_ იცით რა? _ წამოიწყო ირაკლიმ, _ ქართულ ოჯახში რომ იგრიალებ და თავდაყირა დადგები? ვერცერთ რესტორანში ასეთ დროს ვერ გაატარებ! ამიტომ, წინადადება შემომაქვს, თითო განსხვავებული სასმისი დავაყუდოთ და სადმე, მაგარ აზარტულ პონტში გავიჩითოთ, რას იტყვით, სამორინე, "მოიგე, ალალი იყოს", მოსულა?

_ და ეს ამდენი რამე ასე ხელუხლებლად დავტოვოთ? რამდენი შრომაა ამ ყველაფერში ჩაყრილი... _ დაენანა თამთას.

_ კი, ბატონო, შეჭამეთ, ჩვენ დაგელოდებით, შეჭამთ? _ შეეკითხა ირაკლი და გაიცინა. მერე კი ოფიციანტს ანიშნა და ისიც იმწამს მათთან გაჩნდა.

_ გნებავთ რამე?

_ ანგარიში. მივდივართ! _ უთხრა ირაკლიმ და სუფრაზე ანიშნა.

_ რატომ, გეწყინათ, რამე? _ გაუკვირდა ოფიციანტს.

_ არა, პირიქით, გენიალური იყო ყველაფერი... _ უპასუხა ირაკლიმ.

_ ახლავე! _ ოფიციანტმა თავისი ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა და თვლას შეუდგა.

_ ბოდიშით, ცოტა უხერხული შეკითხვაა, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, რაც სუფრაზე რჩება, რას უშვრებით? თანამშრომლებს მიგაქვთ? _ შეეკითხა მაინც თამთა.

_ როგორ გეკადრებათ, იყრება ყველაფერი, ნაგავში... აკრძალული გვაქვს, შინ ვინ რას გაგატანს...

თამთამ ვეღარაფერი უპასუხა, ირაკლიმ თანხა გადაიხადა და გარეთ გამოვიდნენ, სადაც ასიათასობით მათი მოშიმშილე თანამემამულე ცხოვრობს. სამორინეში დილამდე დარჩნენ, არა, დილამდე სათამაშო მაგიდას, მხოლოდ ირაკლიღა შემორჩა, დანარჩენებმა ვერ გაუძლეს და გაექცნენ, ბაიამაც კი მიატოვა უიღბლო მოთამაშე, რომელიც საკუთარი ოჯახის წარსულს, ასე დაუფიქრებლად აგებდა. დაღლილი და ჯიბეამოსუფთავებული ირაკლი დილასღა გამოვიდა სამორინედან. ახლა უკვე შეეძლო თავისუფლად ესუნთქა და აღარაფერზე ეფიქრა, არც თავის მოვალეებზე, რომლებიც ყოველთვის ფეხებზე ეკიდა. ირაკლის ერთი თეთრიც აღარ ჰქონდა იმ ფულიდან, რომელიც ანიმ მისცა. სამაგიეროდ, რიო-დე-ჟანეიროს ორი საგზური ედო ჯიბეში, ჩვენს "ახლადგამომცხვარ ოსტაპ ბენდერს", ერთი თავისზე და ერთიც ბაიას სახელზე...

ირაკლის შუადღისას მაკამ დაურეკა, დევი მოსაშვილმა სცენარის ათი გვერდი მოიტანა და ხომ არ წაიკითხავდიო.

_ მაშინ, იცი, რა? _ მოტვინა იმწამს ირაკლიმ, _ დაურეკე ბავშვებს და ხუთისთვის სტუდიაში დაიბარე ყველა, უთხარი, სცენარის პირველ ნაწილს ვკითხულობთ და მოვიდნენ, როლებიც განაწილდება-თქო, მეც ვიქნები აუცილებლად.

ხუთზე ყველანი შეიკრიბნენ. ირაკლის, განსაკუთრებით, მელანოს ნახვა აინტერესებდა. დიდი გეგმა ჰქონდა დასახული, უზარმაზარი...

მაკას ყველა სკამი ინტერიერში გამოეტანა, სადაც, საერთოდ, კითხულობდნენ ხოლმე, გადაღებების დაწყების წინ, კინოსცენარებს. ირაკლიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ მელანო, საერთოდ, ვერც შეამჩნია. ამან მელანოს თავმოყვარეობაზე, რა თქმა უნდა, იმოქმედა.

მწერალს დაერეკა და მაკასთვის მოეხსენებინა _ თქვენი თემა არ მომეწონა, იმიტომ, რომ ვიცი, პლაგიატობას დამწამებენ, ამიტომ ჩემს საკუთარ, ორიგინალურ კინოსცენარს გთავაზობთო. რეჟისორმა _ ახალგაზრდა სათვალიანმა ბიჭმა _ გია ციხისელმა, რომელსაც ინსტიტუტი იმ წელს ჰქონდა დამთავრებული, ბავშვებს სთხოვა, ყურადღებით იყავითო და კითხვა დაიწყო:

“ჩემი სცენარი იმ უაღრესად მწვავე პრობლემას ეხება, _ წერდა მწერალი, _ რომელსაც ჩვენში, დღეს რატომღაც ტაბუ აქვს დადებული, _ ესაა თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობაში უვიცობით თუ სიბნელით გამოწვეული, ბერად აღკვეცისკენ სწრაფვა. ეს ყოველივე, ჩემი აზრით, იმ აგრესიული რელიგიური პოლიტიკის გამო უნდა ხდებოდეს, რომელსაც, როგორც წესი, გარდამავალი პერიოდების დროს ატარებენ ხოლმე ზოგიერთი, ანაფორაგადაცმული ღვთის მსახურნი, რომლებსაც “ბიბლიაც” კი არ აქვთ წაკითხული და ღვთისმსახურებას საკუთარი გამორჩენის მიზნით მიეკედლნენ. ეს მწვავე პრობლემა დღეს არაერთ ქართულ ოჯახს შეეხო და ფაქტობრივად, ანადგურებს ქართულ გენოფონდს. ჩვენს სცენარში, ისევე, როგორც ილიას “განდეგილში”, მოთხრობილი იქნება იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ბერად აღიკვეცნენ ისეთ მონასტრებსა და ქვაბულებში, სადაც ადამიანთა ნაკლებობაა და სიდუხჭირეც სუფევს. ჩვენი წვერმოშვებული, ბერად დაყუდებული, მართლმადიდებელი ახალგაზრდობა რომ თანამედროვე კათოლიციზმის მიმდევრებმა ნახონ, ისეთ შოკს მიიღებენ, ვერც ქრისტე და ვერც ქრისტეს ახლობლები ვეღარ გამოიყვანენ იმ შოკიდან. იგივე ეხება ახალგაზრდა ქართველ მონაზვნებს. მაყურებელს მოვუთხრობთ ერთი ბერისა და მონაზვნის ამბავს, რომლებიც შემთხვევით შეხვდნენ ერთიმეორეს და ერთმანეთი შეუყვარდათ და რომლებიც უმდიდრესი ოჯახებიდან არიან გამოქცეული და ტვინიც ერთმა და იმავე მოძღვარმა აურია. სამოქმედო ასპარეზად ანუ გადასაღებ მოედნებად გთავაზობთ, უკვე განადგურების პირზე მყოფ, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს, რომლის სიახლოვეს რუსი ბარბაროსების საწვრთნელი სასროლეთი მდებარეობს. თბილისიდან ჩასული ექსკურსანტები დაუახლოვდებიან მონასტრის მღვიმეებში დაყუდებულ ახალგაზრდა ბერებს, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეში ანუ ტექნიკის არნახული აღზევების პერიოდში შუა საუკუნეების “გადმოწევას” ცდილობენ. მაგრამ ხერხები, რომლებსაც ჩვენს სცენარში გამოვიყენებთ, _ საუბარია თანამედროვე ადამიანის მიზანსა და დანიშნულებაზე, _ შესაძლოა, იგივე იყოს, რაც ილიას ნაწარმოებსა თუ ევროპულ მწერლობაში გვხვდება. მაგრამ სანამ ეკრანზე დავითგარეჯის გადახრუკული ველები და კომპლექსის საუკუნეთა განმავლობაში გადარჩენილი ნანგრევები გამოჩნდება, ეკრანზე სასტუმრო “კონტინენტალის” წინ დადგმული, რუსთაველის ქანდაკება და სკვერი მოჩანს. ქანდაკების პედესტალზე, პოეტის ფეხებთან მუყაოს დიდი ყუთი დევს, რომელსაც სიგარეტის სარეკლამო ფურცელი ახატია და ზედ “პირველი” აწერია. სწორედ აქ, ამ სკვერში უნდა შეიკრიბონ ფილმის მომავალი გმირები და ჟურნალისტები”.

ის, თუ როგორ შეიკრიბნენ მსახიობები და როგორ გაემგზავრნენ დავითგარეჯაში (რაზედაც მწერალი წერდა) არცთუ ისე საინტერესო უნდა იყოს, თუმცა ერთი კურიოზი მაინც მოხდა. მსახიობები სასტუმრო “კონტინენტალის” წინ შეიკრიბნენ, სადაც მათ უკვე ელოდა “იკარუსი”, რომელშიც ფილმის მომავალმა გმირებმა თავიანთი ჩანთები შეყარეს და როგორც ეს მათ კასტას სჩვევია, გამგზავრების წინ საუბრით ირთობდნენ თავს. დათქმულ დროს ყველანი ავტობუსში ავიდნენ და გზას აღმოსავლეთისკენ გაუყვნენ. ასე რომ, როცა ერთ-ერთი მხცოვანი მსახიობი, რომელსაც წლოვანების გამო გახშირებული შარდვა ჰქონდა, “კონტინენტალის” ტუალეტიდან გამოვიდა, დაინახა,

რომ ავტობუსი მისი ჩანთიანად გამქრალიყო. რა თქმა უნდა, მხცოვანმა მსახიობმა გადაწყვიტა, პროტესტის ნიშნად, აღარასოდეს მიეღო მსგავს "მაიმუნობაში" მონაწილეობა და ეს გადაწყვეტილება "შეასრულა" კიდეც, რადგან _ ინერვიულა, გულის შეტევას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ასე რომ, მსახიობებმა მხცოვანი მსახიობის ავტობუსში არყოფნის შესახებ მხოლოდ გარეჯაში შეიტყვეს, რადგან, როცა თავიანთი ჩანთები ჩაიტანეს, ერთი ჩანთა ავტობუსში დარჩა. იმას, რომ ამ ფაქტმა გულიანად აცინა და ახარხარა ყველა, თქვენც მიხვდებოდით _ ცხადია, არა მსახიობის გარდაცვალებამ, არამედ, თბილისში მისმა უნებურმა დატოვებამ... აი, სწორედ ეს პატარა კურიოზი გახლდათ, სცენარის პირველი ეპიზოდი, რომლის გადაღებაც უკვე მეორე დილას უნდა დაწყებულიყო.

მაკამ, რომელიც ერთდროულად ფილმის დირექტორიც ანუ მენეჯერიც გახლდათ, პროდიუსერიც და ბუღალტერიც, პირველი ეპიზოდის გადაღების სიძნელეები იოლად მოაგვარა, ორი ცნობილი მსახიობი ძალზე მიზერულ ჰონორარზე დაითანხმა, ავტობუსიც იქირავა და, როცა ათი საათისთვის უცნობი და ცნობილი მსახიობები შეიკრიბნენ, გადაღებისთვის ყველაფერი მზად იყო.

რადგან გადაღება იმით უნდა დაეწყოთ, თუ როგორ გროვდებიან რუსთაველის ძეგლის წინ მსახიობები, რეჟისორმა ოპერატორი უჩა დვალიშვილი, ფარული კამერის "პონტში", მოედნის ნაპირას მდგარ კიპაროსზე შემოსვა და ყველაფრის ფირზე აღბეჭდვა დაავალა. უჩაც იღებდა _ როგორ მოვიდნენ "პირველი მერცხლები", ორი ცნობილი მსახიობი _ დოდო ღამბაშიძე და ელვირა ნიკოლეიშვილი, რომლებსაც მონაზვნები უნდა ეთამაშათ; მერე და მერე, ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ, რომლებიც თავისუფლად იქცეოდნენ, თავიანთ ჩანთებზე წამომსხდრები სიგარეტს აბოლებდნენ და ლაზღანდარობდნენ... მათ შორის იყო მელანოც, რომელსაც ყელზე ლამაზი კაშნე მოეგდო... მალე მასმედიის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ და მსახიობებს შეესივნენ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ოთხმოცს მიტანებული დოდო ღამბაშიძე და თორმეტი წლის ირინე ხუციშვილი მოექცნენ, რომელსაც პატარა მათხოვარი უნდა ეთამაშა.

_ ხომ არავინ იცით, ეს ყუთი ვისია? _ იკითხა სათვალიანმა რეჟისორმა გია ციხისელმა და თითი რუსთაველის ძეგლის პედესტალზე შემოდებული მუყაოს ყუთისკენ გაიშვირა. მისკენ მიბრუნებულმა უცნობმა და ნაცნობმა მსახიობებმა კი უარყოფის ნიშნად მხრები აიჩეჩეს. _ მოაშორეთ, რა, აქედან! _ სთხოვა მან იქვე მდგარ ახალგაზრდა მსახიობებს, რომლებიც უხალისოდ ავიდნენ პედესტალის პირველ საფეხურზე და შეეცადნენ, ყუთი აეღოთ. მაგრამ ნურას უკაცრავად _ ყუთი საოცრად მძიმე აღმოჩნდა და ბიჭებიც გაკვირვების ნიშნად რეჟისორს მიუბრუნდნენ.

_ აუ, მაგარი მძიმეა, იცი? _ თქვა კობამ და ახალი ბრძანების მოლოდინში რეჟისორს მიაჩერდა.

_ გამოდით აქეთ! ხელი არ ახლოთ, ჩქარა! _ ბიჭებს მიეჭრა და ხელი ჰკრა ირაკლიმ.

_ რა ხდება? _ გაუკვირდა კობას.

_ რა უნდა ხდებოდეს, იქნებ ბომბა დევს შიგ?! ცოტა მტერი გვყავს? ახლახან არ იყო, პოლიციის ორი თანამშრომელი რომ გააგორა მასეთმა ყუთმა? _ აუხსნა ირაკლიმ, მობილური ამოიღო და ზარი გაუშვა.

_ მაშინ უნდა წიკწიკებდეს, _ თქვა კობამ და ყუთს მიაყურადა.

_ გამოდი, რა, აქეთ! _ სთხოვა ირაკლიმ და ტელეფონზე ლაპარაკი განაგრძო. _ ალო, პატრული მინდა გამოვიძახო... დიახ... მე _ ვიდეოსტუდია "არტგეოფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი... ირაკლი ბერიძე გახლავართ... სასტუმრო

“კონტინენტალის” წინ, რუსთაველის ძეგლთან, საეჭვოდ მძიმე სიგარეტების ყუთი დევს, “პირველი” აწერია. კი... კარგი...

ირაკლიმ ის იყო, ტელეფონზე ლაპარაკი დაასრულა, რომ კობამ, რომელიც ყუთს აყურადებდა, დაიყვირა:

_ წიგწიკებს! დედას გეფიცებით, წიკწიკებს! _ და კისრისტეხით სასტუმროსკენ გავარდა.

_ აუ, რა დაგაზა, ეე! _ თქვა თედო ჯორბენაძემ და ახარხარდა.

_ რა გაცინებს, ბიჭო? გამოდი შენც, გამოერიდე, უცებ რომ მართლაც ბუთქოს, სად მიდიხარ მერე?! _ გაუწყრა თედოს ირაკლი.

_ ბუთქოს კი არა, პამპულა არ არის? წაგვეკაიფა, არტისტობს, ასიანი! _ არ დაუჯერა თედომ.

_ გამოდი აქეთ მაინც! სიფრთხილეს თავი არ სტკივა! გამოერიდეთ, რა, სხვებიც! მოვა პატრული და იმათ იმტვრიონ თავი! _ სერიოზულად ბრაზობდა ირაკლი.

_ აუ, არ ატყდა ამ ერთ ყუთზე ამდენი ბალამუტი? _ თქვა კობამ და სხვებთან ერთად ძეგლს პატარა მანძილზე მოსცილდა.

_ მაკა, სად არის შენი ავტობუსი? _ მიუტრიალდა მაკას ირაკლი.

_ რა ვიცი, ათზე მოვალო, _ ჩაიბურტყუნა მაკამ.

_ თვეობით უმუშევარი ზის, თითს წუწნის, რომ შიმშილით არ მოკვდეს, ფულს აძლევ და არ მოდის... _ ბრაზობდა ირაკლი.

_ მაგიტომაა, რომ ასე მშვენივრად ვცხოვრობთ... _ კვერი დაუკრა დოდო ღამბაშიძემ.

ამ დროს პატრულის მანქანა ისეთი სისწრაფით და წუილით შემოვარდა მოედანზე, ყველას პირი დააღებინა. პირველს სხვებიც ასევე ჩართული სირენებით მოჰყვნენ და ძეგლთან გაჩერდნენ. მანქანებიდან ერთი თხუთმეტი კაცი მაინც გადმოლაგდა და ყუთს შემოეხვია.

_ ესენი ჭკვიანები არიან?.. მართლაც ბომბა რომ იყოს და გასკდეს, ხომ მიაწვინა ყველა ერთად! _ გადაულაპარაკა არანაკლებ გაკვირვებულ მაკას ირაკლიმ.

მერე ერთ-ერთი პატრული ბიჭებს გამოეყო, ყუთთან ახლოს მივიდა, დახედა და მიაყურადა.

_ წიკწიკებს? _ შეეკითხა თედო.

_ ჰო, წიკწიკებს და კურანტებსაც რეკავს... _ თქვა პატრულმა და ყუთს თავი ახადა.

_ ჰოდა, თუ გრეკა... _ ჩაილაპარაკა რომელიღაც პატრულმა, რის გამოც სხვებს სიცილი წასკდათ.

პატრულმა კი ყუთის სახურავის მუყაო გადასწია და შიგ გაკვირვებულმა ჩაიხედა.

_ ვაა, ვაა! _ მოისმა ამ დროს ყუთიდან ბავშვის ბღავილი და შეშინებულმა პატრულმა შეჰყვირა:

_ ცოცხალია, ცოცხალი! _ მერე ხელი ჩაჰყო და იქიდან თბილ თეთრეულში გახვეული თოთო ბავშვი ამოიყვანა.

_ სუფთა საგიჟეთია! _ ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

ატყდა ერთი ჩოჩქოლი, ჟურნალისტების აქეთ-იქით სირბილი და მობილურებზე ლაპარაკი. პოლიციელების გაღიმებული, ყურებამდე “გახეული” ყბები, _ თითქოს კარგი რამ ხდებოდეს, დედები რომ თოთო ბავშვებს ქუჩებში, სკვერებსა და ტუალეტებში ყრიან.

_ ალბათ “კონტინენტალის” წინ იმ აზრით დატოვეს _ ვინმე მდიდარი უცხოელი ნახავს და ის აიყვანსო... _ გამოიტანა დასკვნა მაკამ. ხოლო ირაკლიმ, რომელსაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პირთან მიკროფონი მიუტანა, დიდი ენთუზიაზმით უპასუხა:

_ ჩვენ რომ ვერც გადავიღოთ ის ფილმი, რომლის შექმნასაც ვაპირებთ, ამ პატარა, თოთო ბავშვის პოვნის მერე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი მისია შესრულებული გვაქვს...

მალე ყველანი ავტობუსში ისხდნენ და დავითგარეჯისკენ მიჰქროდნენ. ირაკლი, თითქოს შემთხვევით, სკამზე მელანოს გვერდით მოხვდა. მელანო გაინაბა. ოდნავ გაიპრანჭა კიდეც. იმ ასაკს, რომელშიც გოგონები ისე იღიმიან, თითქოს რაღაც საიდუმლოება იცოდნენ, რომელიც უფროსებისთვის სრულიად უცხოა, უკვე გადაცილებული ბრძანდებოდა. პირველი უიღბლო სიყვარულიც გამოვლილი ჰქონდა და, როგორც მისი ასაკის გოგონათა უმრავლესობას, კოცნის გემოც _ გაგებული. თუმცა არც ისეთი გულუბრყვილო ბრძანდებოდა, რომ ქალწულობას იოლად შელეოდა... ამბობენ, ქალები ბავშვობიდანვე გრძნობენ ხვადის სუნსო და მელანომაც, მიუჯდა თუ არა მას ირაკლი, რაღაც ამდაგვარი სუნი იკრა, ამიტომ ოდნავ დაიძაბა და მაგრადაც დაინტერესდა, თუ რას ეტყოდა პირველად მამაკაცი. ირაკლი კი ჩაფიქრებული ჩანდა.

_ ცხრა თვე რომ ბავშვი მუცლით მეტარებინა, დახვრეტაც რომ მოესაჯათ, ვერ გადავაგდებდი... _ თქვა და მელანოს გადახედა. _ ქალის დანახვაც კი შეგძულდება...

მელანომ გულუბრყვილო მზერა მიაპყრო.

“არც ისეთი მიამიტი ჩანს, როგორც თავს მაჩვენებს”, _ გაიფიქრა ირაკლიმ.

_ იმ ბავშვს ალბათ მამაც ჰყავდა... _ წამოსცდა მელანოს.

_ ჰო, მაღაზიაში ნაყიდს ნამდვილად არ ჰგავდა... _ იხუმრა ირაკლიმ.

_ მე ბავშვობაში მარწმუნებდნენ, რომ ლატარიაში მომიგეს... _ გაიღიმა მელანომ.

_ “გადაფხიკეთი”?.. _ შეეკითხა ირაკლი.

_ იცით, მარჯვენა თვალი მიფრიალებს, აი, ნახეთ! _ თავი ასწია მელანომ.

“ალბათ, თვალებში უნდა, რომ ჩავხედო: გაგონილი ექნება, თუ ადამიანს თვალებში ჩახედავ, აუცილებლად შეგიყვარდებაო...” _ გაიფიქრა ირაკლიმ.

მელანოს მომწვანო ნუშისებრი თვალები ჰქონდა და ისე ლამაზად აჟუჟუნებდა, _ ეს იქით მიპირებს მგონი, შებმასო, _ გაიფიქრა ირაკლიმ.

_ რომელი? _ შეეკითხა ირაკლი.

_ მარჯვენა, აი, ეს... _ თითი მიიტანა მარჯვენა თვალთან მელანომ.

_ კი არ გიფრიალებს, მე მგონი, გიჟუჟუნებს... _ თვალებში ჩასცქეროდა ბავშვის გატკიცინებულ თეთრ სახეს ირაკლი.

_ ნეტავ რას ნიშნავს? _ შეეკითხა გულუბრყვილოდ მელანო.

_ მე მგონი, იმას, რომ ძალიან მალე მოგიტაცებენ... _ უთხრა და _ ეს რა სისულელე მოვხიეო! _ გაიფიქრა ირაკლიმ.

_ მართლა? აუ, რა საინტერესოა: დედაჩემიც მოტაცებულია, დეიდაჩემიც მოტაცებულია... _ დაიწყო ჩამოთვლა და უეცრად გაჩუმდა მელანო.

_ მამიდაც? _ შაყირის ხასიათზე დადგა ირაკლი.

_ არა, დღეს აღარავის იტაცებენ... _ ჩაილაპარაკა მელანომ. _ დღეს მარტო ფულის გამოძალვისთვის იტაცებენ.

_ ჰოდა, მეც მაგას ვგულისხმობდი... _ უთხრა ირაკლიმ და გაჩუმდა.

_ ნეტავ რა გამიხარდება? _ იკითხა მელანომ.

_ მარჯვენა თვალი რომ გიფრიალებს? _ გაეცინა ირაკლის.

_ ჰო... _ თქვა მელანომ. _ დილიდან მიფრიალებს.

_ ალბათ წარბის დამბლა გაქვს... _ გაიცინა ირაკლიმ.

_ ეგ არ ვიცი, მაგრამ ქალს თუ თვალის ზედა ქუთუთოს კანი აქვს ჩამოვარდნილი, ძალიან ლამაზ ქალად ითვლება...

_ ამბობენ, ყველა ქალი ლამაზიაო, არადა, ზოგი ისეთი მახინჯია... _ თითქოს წამოსცდაო ირაკლის და მელანოს მიუბრუნდა. _ ხომ არ გეწყინა?

_ რატომ, ასეთი მახინჯი ვარ?.. _ იკითხა განცვიფრებულმა მელანომ.

_ პირიქით, ბროწეულის ყვავილივით ლამაზი ხარ! უფრო ლამაზიც... _ უთხრა ირაკლიმ და გაჩუმდა. მიხვდა, რომ მიუხედავად ასეთი ბუნებრივი დოალოგისა, საოცრად დაძაბული ყოფილა. ახლაღა ჩაესმა ყურში, რომ ავტობუსი "ყვავილების ქვეყანას" მღეროდა და როგორც ჩანს, ნახევარი გზაც გაევლოთ. მელანოსთან საუბრის შედეგად ასეთი დასკვნა გამოიტანა: ჭკვიანიც უნდა იყოს და ცოტა გიჟიცო...

_ რაზე ფიქრობთ? _ გამოარკვია მელანოს ბოხმა და გაბზარულმა ხმამ. ამბობენ, ქალის ხმა მსოფლიოს პირველი საოცრებააო... მელანოს ხმა კი, ქალის ხმათა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელიც თითქოს მუდმივად აღმგზნებ ჯადოს ატარებს და მსახიობისთვის განსაკუთრებულად ძვირფას განძს წარმოადგენს.

...ალბათ საუბრის გაგრძელება სურს და ჯობს, რაიმე ისეთი "მოვარტყა", რომ ჩემით დავაინტერესოო, გაიფიქრა ირაკლიმ.

_ რა ვიცი, რაღაც ბანალურზე, ოჯახის შექმნაზე... აი, თუნდაც შენ: ვიღაც უნდა გააბედნიერო ალბათ ცხოვრებაში, ვიღაცის ცოლი ანუ თანამეცხედრე უნდა გახდე...

_ თანამეცხედრე?! ეგ როცა მოვკვდები?.. ცხედარი ხომ მკვდარს ნიშნავს?! _ მელანოს თამაშის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ირაკლი მისმა დასმულმა შეკითხვამ საგონებელში ჩააგდო.

_ აბა, რა ვიცი. ქართულში იმდენი და ისეთი სიტყვაა, ალბათ ცოლ-ქმრის საფლავამდე ერთად ყოფნას უნდა ნიშნავდეს, ანდა ერთად, გვერდიგვერდ რომ ასაფლავებენ, იმას... მე ის მინდოდა მეთქვა, რომ მეც ვიღაცის ქმარი უნდა გავხდე და შენ თუ უნდა გააბედნიერო, მე უნდა გავაუბედურო, ალბათ...

_ რატომ? ცუდი ხასიათი გაქვთ? _ მელანო ისევ თქვენობით ელაპარაკებოდა ირაკლის.

_ საშინელი... _ თქვა ირაკლიმ და გაჩუმდა.

_ თუ ჩემს მშობლებს დავუჯერებ, მეც საშინელი ხასიათი მაქვს...

_ მართლა? მე კი ნამდვილი ანგელოზი მეგონე. მე, ჩემ გარდა, ყველა ანგელოზი მგონია. ჰო, ჰო, ჩემთან შედარებით... _ ირაკლი ისე კარგად თამაშობდა, მელანო აზრზეც ვერ მოვიდა.

_ რამდენი წლის ხართ? _ შეეკითხა გოგონა და თვალებში მიაჩერდა.

_ ბევრის... _ მოჭრა ირაკლიმ.

_ მაინც? _ არ მოეშვა მელანო.

_ თითქმის ქრისტეს ასაკის... არ მინდოდა და მაინც მათქმევინე... _ ცოტა ბრაზიანად თქვა ირაკლიმ.

_ რატომ, რატომ არ გინდოდათ? _ დაინტერესდა მელანო და ირაკლი მიხვდა, რომ ეს უკვე გამოწვევა იყო, რომელიც უნდა მიეღო...

_ გითხრა სიმართლე?

_ კი... _ უპასუხა გოგონამ, თან თვალებში ეშმაკურად მიაჩერდა...

_ უბრალოდ, არ მინდოდა გცოდნოდა, რამხელა განსხვავებაცაა ჩვენს წლებში...

_ რატომ? _ გოგონა მეტ გულახდილობას ითხოვდა და ირაკლიმ აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი: შეეშინდა, ყველაფერი არ გაეფუჭებინა და გაჩუმდა. სიყვარულის თესლი ჩაგდებული იყო, ახლა ყველაფერი მხოლოდ იმაზეღა იყო დამოკიდებული, თუ რა სახის და როგორი ნიადაგი დახვდებოდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ _ თუ რა ჩიტთან ჰქონდა საქმე, აკენკავდა თუ აცლიდა გაღვივებას...

დამუნჯებული ირაკლის ბედზე, ავტობუსმა გარე კახეთის ცენტრალური გზიდან გადაუხვია, გარეჯის მოუხრეშავ გზას დაადგა და უცნაურად აქანავდა.

_ ზაფხულში აქ ისეთი ხვატი იცის, _ თქვა მძღოლმა, _ იმხელა ხვლიკები და იმხელა გველები... მკლავის სიმსხო გველი ვნახე ერთხელ... აქ ხომ კიბეა, მღვიმიდან მღვიმეში ასასვლელი და პირდაპირ იმ კიბეზე არ იყო დახვეული?! კინაღამ ფეხი დავადგი, ისეთი შიში ვჭამე, გული გამისკდა. მაგრამ, ეტყობა, იმას ჩემზე მაგრად შეეშინდა და ერთი გაიზუზუნა და გაქრა, ხვრელში შესრიალდა. მაშინ დავიფიცე, აქ ფეხს აღარ დავადგამ-მეთქი და მაინც არ მომიწია?!

_ საშიშია? გველების კი არა, მე ხვლიკებისაც მაგრად მეშინია... _ მოიბღუნძა მელანო.

_ ზაფხულში _ კი, მაგრამ ახლა ყველა ქვეწარმავალს მაგრად სძინავს. ეგენი ცივსისხლიანები არიან, მარტო სიცხის დროს მოძრაობენ. ისე, ყველაზე საშიში ცხოველი მაინც ადამიანია, ყველაზე საშინელი ქვეწარმავალიც ალბათ!.. _ დაასკვნა ირაკლიმ.

_ ბიჭო, გველი! _ დაიღრიალა ყველასათვის მოულოდნელად მძღოლმა, მანქანა დაამუხრუჭა, ხელში მოფართხალე მწვანე გველი მაღლა ასწია და მის ზურგსუკან მშვიდად მობაასე მგზავრებისკენ ისროლა.

ელდამ, რომელიც ყველას ეცა, მგზავრები წამით დაძაბა, ხოლო როცა გველი პირდაპირ ირაკლის დაეცა და ფეხზე წამომხტარი მელანოს კივილმა გარეჯის უდაბნოს გადაუარა, დოდო ღამბაშიძეს გული შეუღონდა... მიხვდით, ალბათ, რომ მძღოლი ხუმარა კაცი აღმოჩნდა და გველი, რომელსაც კობრასავით ბრტყელი თავი ჰქონდა და სიგრძით სამოც-სამოცდაათ სანტიმეტრამდე იქნებოდა, უბრალო რეზინის სათამაშო იყო და არა ნამდვილი კობრა.

ირაკლიმ, რომელიც გველს კი არა, მგონი, თაგვსაც უფრხთოდა, ისეთი შიში ჭამა, სიყვარული და მელანო კი არა, ალბათ საკუთარი სახელი და გვარიც კი გადაავიწყდა. მოეჩვენა, რომ ყელში ბურთი გაეჩხირა და იხრჩობოდა... ყველა დაზაფრულიყო, მხოლოდ ხუმარა მძღოლი ხარხარებდა, რომელსაც თავისი გველი ხელში აეღო და მგზავრებს ამშვიდებდა:

_ ხომ მაგრად შეგეშინდათ, ნამდვილსა ჰგავს. არადა, უბრალო რეზინაა, სხვა კი არაფერი... _ უჩვენებდა რეზინის სათამაშო გველს მგზავრებს და მეტი დამაჯერებლობისთვის მაჯაზე იხვევდა: _ აი, ნახეთ!

_ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო... _ ამოღერღა ირაკლიმ და ნეტავ სადაურია ეს გიჟიო? _ გაიფიქრა.

მძღოლმა რომ დაინახა, არავინ ხმას არ იღებდა, საჭეს მიუჯდა. თავისი გველი კი "ბარდაჩოკში" შეაგდო...

_ ეეჰ, არა გცოდნიათ ხუმრობა... _ ჩაილაპარაკა, ხელი ჩაიქნია და ავტობუსი დაძრა.

ახლა კი, დროებით მივატოვოთ ჩვენი ნორჩი და მხცოვანი მსახიობები გარეჯის უდაბნოში და ისევ თბილისში გადავინაცვლოთ.

მოლეკულა კასეტის გადაცემიდან მეორე დღესვე ჩაუსაფრდა არჩილ მამულაძეს. და რადგანაც კასეტა უკვე მიცემული ჰქონდა და, ლამის, სამშობლოს ღალატშიც კი დაადანაშაულა, უფლება მიეცა, ცოტა გახსნილად და უშიშრადაც ემოქმედა. მოკლედ, მანქანით სახლთან ჩაუსაფრდა. არჩილი ვიღაცამ "მერსედესით" მოაცილა და როგორც კი ეზოში შევიდა, მოლეკულამ ალაყაფის კარზე მიაზარა. ის იმავე ფორმაში და ისეთივე გრიმითა და ნიღბით გახლდათ მოსული, როგორითაც კასეტის გადაცემისას. ამიტომ არჩილმა იმწამსვე იცნო გამომძალველი და შინ, უფრო სწორად _ ფარეხში შეიპატიჟა.

_ რამდენს ითხოვთ? _ შეეკითხა არჩილი, როცა სინათლე აანთო და კარი მიკეტა.

_ მე შუამავალი ვარ, მე ერთ თეთრსაც არ ვითხოვ... _ უპასუხა მოლეკულამ და ჩაახველა.

_ რამდენს ითხოვენ? _ გამოასწორა შეცდომა არჩილმა.

_ ძალიან ცოტას... ორასი ათასს... _ უპასუხა მოლეკულამ და მანქანას დააკვირდა. _ თქვენ რა, მანქანა გადააღებინეთ?

_ ჰო, _ უპასუხა არჩილმა.

_ ნომერიც შეაცვლევინეთ? _ ახლა ნომერს დააკვირდა მოლეკულა.

_ კი. რა, ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს თქვენთვის? _ გაუკვირდა არჩილს.

_ საბუთებიც შეაცვლევინეთ? _ შეეკითხა მოლეკულა. _ თქვენ რა, პატრული მოისყიდეთ? გგონიათ, დაგიჯერებენ? ჩვენ რაღაც ორასი ათასს ვითხოვთ და თქვენ რა, მილიონები გინდათ დაკარგოთ?

_ რომელი მილიონები, მუთაქებში რომ მაქვს შენახული?.. მე ვარ მილიონერი?! _ ისე გაიოცა არჩილმა, კინაღამ მოლეკულამაც დაიჯერა.

_ კი, ბატონო, ასე გადავცემ!.. _ თქვა მოლეკულამ და მიბრუნდა.

_ მოიცა, სად გარბიხარ?! _ აფორიაქდა არჩილი. _ ორმოცდაათი შემიძლია მოვახერხო, ისიც უნდა ვისესხო...

_ კი, ბატონო, მასე ვეტყვი. მაგრამ არა მგონია, ეყოთ... _ ჩაილაპარაკა მოლეკულამ.

_ მე "რემონტიორი" ვარ, მუშის ხელფასს მაძლევდნენ... გაგიჟდები კაცი!.. _ ხელები გაშალა არჩილმა.

_ ჰოდა, მასე ვეტყვი, მე შუამავალი ვარ, მე ისიც არ ვიცი წესიერად, რა შემხვდება...

მოლეკულამ კარს ხელი ჰკრა და გავიდა. ორმოცდაათი ათასი ალბათ ის თანხა იყო, რომელსაც უნდა დასჯერებოდნენ... სწრაფად გასცილდა იქაურობას და ირაკლის დაუმესიჯა _ გამომიარეო.

რას ვკარგავთო?.. _ თქვეს და შეთანხმდნენ _ ჯერ ორმოცდაათი ავახიოთ და დანარჩენს დრო გვიჩვენებსო.

იმ დღეებში ყველა ტელევიზია გუტა გელაშვილის მკვლელობაზე გადასცემდა მასალებს. ცალკე არასამთავრობოები გაჰკიოდნენ, ცალკე კი _ "დემოკრატიული კოლეჯის" თინეიჯერმა აქტივისტებმა დაიწყეს შიმშილობა. "ძირს მკვლელთა ბრიგადები!" _ ამ და სხვა მსგავსი წარწერებით აჭრელდა ქალაქის ქუჩები. მოკლედ, ვისაც ეკითხებოდა და არ ეკითხებოდა, ყველა გამოძიების გამჭვირვალობას ითხოვდა. მოითხოვდნენ არა მარტო მკვლელების, არამედ დამკვეთების დასჯასაც და პირდაპირ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილს, ქალბატონ ლელას ადებდნენ ხელს, რომელიც საკუთარ კაბინეტშიც კი გადაიღეს... ლელა ცივად უარყოფდა ყოველივეს და ჟურნალისტებს მეზღაპრეებს ეძახდა, რომლებსაც თითიდან გამოწოვილი სენსაციებით გატაცებას აბრალებდა. ჟურნალისტმა ლიკა ქანთარიამ ამ ამბავს თავისი საავტორო გადაცემაც კი დაუთმო, სადაც ძალოვნები და ჟურნალისტები ერთმანეთის პირისპირ დებატებში შეახვედრა...

მოკლედ, საპარლამენტო ოპოზიციას "ცოცხალი ბატკანი" ჩაუვარდა ხელში და ერთი სული ჰქონდა, "ძვალიან-ტყავიანად" გადაესანსლა. გადაწყვიტეს, ბოლომდე მისწოლოდნენ. თუ კამათელი შაშზე დაჯდებოდა, ხომ კაი, თუ არა და, ხელისუფლებას ერთ სილას ხომ მაიც გავაწნავთო! _ ფიქრობდნენ.

შემოდგომის პირი იყო და დილ-დილობით უკვე ოდნავ სუსხავდა კიდეც, იმ დილას კი ისე წვიმდა, გადაღებას არ აპირებდა. ამიტომ უნივერსიტეტის ბაღში იმაზე ბევრად ნაკლები ხალხი მივიდა, ვიდრე ოპოზიცია ელოდა. პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებიც მთავრობას გონს მოსვლასა და დამნაშევათა საკადრისად დასჯას ურჩევდა,

გაშალეს თუ არა, წვიმამ ისე დაასველა, სასწრაფოდ დაკეცეს და მთავრობის სასახლის წინ დაგეგმილი მიტინგისთვის შეინახეს.

პატარა მიტინგი ცივი შხაპის ქვეშ მაინც ჩაატარეს. ცნობილმა ციცერონებმა ცოტა მოიქაფეს პირი და მელიქიშვილით რუსთაველისკენ დაეშვნენ. ეს არ იყო სპონტანურად შეკრებილი საზოგადოება, რაც იქიდანაც ჩანდა, რომ ყველა იმ განაწყენებული ჯგუფის წარმომადგენლები შეგროვილიყვნენ, რომელთა მყუდროებაცა და ჯანმრთელობაც ხელისუფლებამ ცნობილი "შოკური თერაპიის" წყალობით საგრძნობლად შეარყია. საუბარი მაქვს მწერლებზე, მეცნიერებზე თუ სხვა პროფესიონალ კადრებზე, რომლებიც მთავრობამ მოსვლისთანავე ნაგვის ყუთში ჩაუძახა. ანუ ლაპარაკია იმ ხალხზე, ვინც ესოდენ განაწყენებული იყო და პროტესტის გამოხატვის ნებისმიერ შანსს იყენებდა. მასმედიას კი, როგორც ყოველთვის, საქმე თავზე საყრელი ჰქონდა: კორესპონდენტები თავდაუზოგავად დარბოდნენ და ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ პიროვნებებს მოურიდებლად უტევდნენ...

ათას კაცამდე მაინც შეკრებილიყვნენ. დაუყვნენ თუ არა მელიქიშვილს, ორივე მხრიდან პოლიციის გაწვრთნილი თანამშრომლები ამოუდგნენ და შევიწროება დაუწყეს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქუჩის სავალი ნაწილიდან, ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის საბაბით ხალხი ტროტუარისკენ "მიყარეს", რამაც დემონსტრანტები საშინლად გააღიზიანა და გადააწყვეტინა, არაფერი დაეთმოთ ამ "უსახო და უტვინო რეგვნებისთვის", რასაც ტელეეკრანზე გამოსული ყველა ოპოზიციონერიც ერთხმად აღნიშნავდა. ხალხისა და პოლიციელების მიწოლ-მოწოლა ბევრგან ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლასა და ჭიდაობაშიც კი გადაიზარდა. თუმცა პოლიციას, ალბათ, ჯერჯერობით, მანიფესტანტთა დარბევის ბრძანება არ ჰქონდა მიღებული და არავის იჭერდა. აქციაში ბევრი ცნობილი სახეც მონაწილეობდა და რადგან ისინი ფიქრობდნენ, ხელისუფლება ჩვენ ხელს ვერ გვახლებსო, პოლიციელებთან ძიძგილაობაში ისინი უფრო აქტიურობდნენ... ეკრანზე ერთი-ორი თავდასისხლიანებული ახალგაზრდაც უჩვენეს, რომლებიც ღიად აგინებდნენ მთავრობას დედას. კომუნისტების დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან ბრიგადირის თავკაცისთვის შობელძაღლო რომ გეთქვა და იმას ეჩივლა, ორი წელი ციხეში ყურყუტი გარანტირებული გექნებოდა, ახლა პრეზიდენტსაც რომ ცოლი და დედა უტრიალო, დაჭერა კი არა, მგონი, მადლობაც შეიძლება უთხრან კაცს... "არ ვაპატიებთ, არ გავჩერდებით, სანამ ნამდვილ მკვლელებსა და ნამდვილ დამკვეთებს არ დავსჯით, ხელისუფლებას სისხლში აქვს ხელები გასვრილი!" _ ერთხმად აცხადებდა ყველა გამომსვლელი. განსაკუთრებით ხშირად გუტა გელაშვილის დასა და მეუღლეს უჩვენებდნენ ტელეეკრანებზე, აგრეთვე _ "დემოკრატიული კოლეჯის" გოგონებს, რომლებმაც მთავრობის სასახლის წინ კარვის დაცემაც კი სცადეს, მაგრამ პოლიციამ არ დაანება და კარავი წაართვა. მაშინ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, იმ თქეშში პირდაპირ მთავრობის სასახლის წინ ასფალტზე დაწოლილიყვნენ და გაჰყვიროდნენ _ აქ, ჩვენ ქვეშ იუნკრების ძვლების წმინდა ნარჩენებია, ცხრა აპრილს კი რუსებმა ალესილი ნიჩბებით აჩეხეს მომიტინგე გოგონებიო!..

ესენი რომ გაცივდნენ, ამას უარესი ამბავი არ მოყვესო, _ ალბათ ასე იფიქრა ხელისუფლებამ და პოლიციამ მანიფესტაციის ლიდერები, უმეტესწილად ქალები, მიუხედავად მათი პროტესტისა, რაც წიხლებისა და ხელების გაშმაგებულ ქნევაში გამოიხატებოდა, საპატრულო მანქანებში ჩატენა და წინასწარი დაკავების იზოლატორისკენ მიმავალ გზას გაუყენა. შემდგომ რაც ამას მოჰყვებოდა, ყველასათვის ნათელია, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდები და იმას მოგიყვებით, რაც თქვენთვის არ არის ცნობილი. აი, თუნდაც, მართლაც "როგორ ამოთხარეს მიწიდან" ლეშკაშელის

ბიჭებმა გუტა გელაშვილის მეგობარი და მაღალჩინოსანს მიჰგვარეს... ნეტავ, რით განსხვავდებიან ის დამნაშავენი, შაჰინშაჰებს რომ მიჰგვრიდნენ ხოლმე და მის წინ პირქვე დაამხობდნენ, პოლიციის უფროსის წინ მდგარი, უმოწყალოდ ნაცემ-ნაბეგვი დამნაშავისგან? ალბათ, იმით, რომ იმათ, ვინც შაჰის წინ პირქვე იყვნენ დამხობილნი, შეწყალების იმედი მაინც ჰქონდათ, ამათ კი, ვინც პოლიციის უფროსის ხელთ ვარდება, შეწყალების იმედი არა მგონია, ჰქონდეთ...

_ იქნებ დაგეწერა განცხადება და წამოსულიყავი, შეშვებოდი მაგ დაწყევლილ თანამდებობას... _ უთხრა ერთხელაც იმ მძიმე დღეებში ცოლმა მურაზს.

_ ეგ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მართლაც შენს ქალიშვილს დაბრალდეს... _ უპასუხა მურაზმა მედიკოს და დააყოლა: _ იქნებ შენ გითხრას სიმართლე, მე ვერაფერი ვათქმევინე, საიდან არ მოვუარე, მაგრამ ვერაფრით გამოვტეხე. შენს მხეცებს ჰკითხეო, _ ერთსა და იმავეს გაიძახის.

_ შენ არ გეუბნება და მე მეტყვის?.. _ გაუკვირდა მედიკოს, მაგრამ როგორც კი ლელა დაიმარტოხელა, მაშინვე შეაპარა: _ ლელა, დედიკო, იქნებ მე მაინც მითხრა სიმართლე, რა მოხდა იმ დასაწვავ რესტორანში? თუ მართლაც არაფერ შუაში ხარ, რატომ გადებენ ხელს, რაღა შენზე ამბობენ და არა სხვაზე?

_ შენღა მაკლდი, რა, დედა! _ ეწყინა ლელას. _ იმ რესტორანში, სადაც მე ვიჯექი, არაფერი მომხდარა, არა! ის კაცი მოვიდა და თქვენს მაგიდასთან დამსვითო, გვთხოვა... ჰო, გვთხოვა.

_ დაგესვათ მერე თქვენც, რატომ არ დასვით? _ გაუკვირდა მედიკოს.

_ იმიტომ, რომ არ დამევასა, ნაყვავილარი სახე ჰქონდა და გატრეტილი მთვრალი იყო.

_ ღმერთო ჩემო! მერე?

_ რა _ ღმერთო ჩემო, დედა, რას ნიშნავს ეს შენი "ღმერთო ჩემო"? _ გადაირია ლელა.

_ რას და მაგიტომ როგორ შეიძლებოდა ახალგაზრდა ბიჭის მოკვლა?..

_ შენ რამე შხამიანი ხომ არ გიჭამია ამ დილას? შენც გგონია, რომ მართლა მე დავავალე ვინმეს მაგ კაცის მოკვლა?!

_ აბა?.. _ გულუბრყვილოდ იკითხა მედიკომ.

_ იცოდე, დედა, აქ დამთავრდეს ჩვენი ლაპარაკი! მე არც მომიკლავს და არც დამივალებია. როგორ დაგარწმუნო, ქალო, რანაირად? ჯერ ერთი, წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ის კაცი გაიტაცა, უცნობებს ხომ ვერ დავავალებდი _ წაიყვანეთ ეს კაცი და მოკალით-მეთქი!

_ მე მითხრეს, რომ შენ იქ იარაღს ატრიალებდი! დიახ! _ პირში მიახალა შვილს მედიკომ. _ აი, რატომ არ მჯერა შენი! მე შენი ყველა ნაბიჯი ვიცი, შენ გგონია, არ ვიცი? ისიც ვიცი, რომ დიდი ხანია, ქალიშვილი აღარ ხარ, მაგრამ რა ვქნა, როგორ აგიკრძალო გარეთ გასვლა ამხელა ქალს?..

ლელა ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ დედამისს მისი ყველა ნაბიჯი ეცოდინებოდა, ამას _ ვერასოდეს.

_ იმ ღამეს არც მე მძინებია, მეც არ მომიხუჭავს თვალი, _ ჩაილაპარაკა მედიკომ.

_ რომელ ღამეს? _ ვერ მიუხვდა ლელა.

_ იმ ღამეს, როცა შენ ქალიშვილობა დაკარგე. მე ამას ინტუიციით, გულის კარნახით მივხვდი, დედის გულის კარნახით... მეც მთელი ღამე ვტიროდი, შენსავით... _ დაამთავრა მედიკომ და ამოიოხრა.

არადა, ლელას იმ ღამეს ნამდვილად არ უტირია, ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია, პირიქით _ ისე გაუქვავდა გული, ძალიანაც რომ ნდომებოდა, ვერ იტირებდა... დედას კი გაუჩუმდა, ტყუილად გულს ვატკენო, _ გაიფიქრა და აღარაფერი უთხრა.

_ ნეტავ, რა გველის, ლელა?.. როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი? _ შეეკითხა მედიკო და შვილს მიაჩერდა.

_ არ ვიცი, ამ ქაჯებისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მეც მაინტერესებს, ვინ მოკლა ის ბიჭი ან რატომ მოკლა.

...მედიკომ ეს დიალოგი ქმარს სიტყვასიტყვით მოახსენა, მაგრამ მურაზმა აქედან ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა. ან რა დასკვნა უნდა გამოეტანა დედა-შვილის საუბრებიდან, რომლებიც ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ისევ თვითონ უნდა ეძებნა ნასკვის ბოლოები, რომ როგორმე გამოეხსნა და ქალიშვილი გადაერჩინა. თავს კი აღარ ჩიოდა, ყველაზე მეტი, სამსახური დაეკარგა, მაგრამ ამას, იცოდა, რომ როგორმე გაუძლებდა, შვილის უბედურებას კი _ ვერა. მურაზს მაგრად უყვარდა თავისი ქალიშვილი: კაცად უნდა გაჩენილიყო ეს ჩემალალაო... _ ხშირად უფიქრია.

არადა, გაცოფებული მურაზ ლეშკაშელი მართლაც არაფრით განსხვავდებოდა არც გაცოფებული თემურ ლენგისგან, არც ბათო ყაენისგან და არც შაჰ-აბასისგან... “გაცოფებულს” სპეციალურად ვუსვამ ხაზს, რადგან თუ ძველ ტირანებს რაღაც აღმატებულის და ვაჟკაცობის დანახვის უნარი ჰქონდათ, ამ ჩვენი დროის ტირანებისთვის ეს ისეთი უცხო ხილია, რომელიც არასდროს უგემიათ. ამიტომაცაა, რომ ფეხქვეშ ითელება პიროვნების უფლება და ღირსება, ამიტომაცაა, ამდენი უდანაშაულო დამნაშავე, რომელიც ჩვენს უსასტიკეს ციხეებში დაუმსახურებელ სასჯელს იხდის...

მურაზ ლეშკაშელის წინ მგლისთვალებიანი ოცდახუთიოდე წლის ბიჭი იჯდა და კუშტად, თავხედურად უყურებდა თვალებში. მურაზი ორასი-სამასი წლის წინანდელი ქართველი თავადი რომ ყოფილიყო, ბიჭს უკვე გადაჭრილი ექნებოდა ორივე მუხლის მყესი ან ორივე თვალი _ დათხრილი, მაგრამ მურაზს თანამედროვე მეთოდებით უნდა ეხელმძღვანელა: უნდა დაეკითხა და საკუთარი ყურით მოესმინა ყველაფერი _ რა მოხდა იმ ღამით, ვინ მოკლა გუტა გელაშვილი... რა თქმა უნდა, ბიჭის სრული დოსიე მურაზს უკვე მაგიდაზე ედო და მის შესახებ ყველაფერი იცოდა.

მაღალჩინოსნის კაბინეტი ძალზე უბრალოდ იყო მოწყობილი: სამფრთიანი მაგიდა, ერთი წიგნების კარადა, პატარა ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი და ათიოდე სკამი. და კიდევ, მის თავთან, კედელზე, ჩარჩოში ჩასმული, პრეზიდენტის სურათი.

_ ნაცემი ხარ? _ შეეკითხა მურაზი ვაჟს. ბიჭმა არაფერი უპასუხა. _ ნაცემი კი არა, მოსაკლავი ხარ!.. _ უთხრა მურაზმა და კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოაძრო. _ მოწევ? _ შეეკითხა და პასუხს აღარ დაელოდა, სიგარეტი მიაწოდა და მოუკიდა. ბიჭმა ხარბად შეისუნთქა პირველი ნაფაზი, მერე ცოტა ხანს კვამლი ფილტვებში გააჩერა და ისე ამოისუნთქა, თითქოს გულიც ამოაყოლაო. _ თუ წესიერი კაცი ხარ, რატომ გვემალებოდი? _ იცოდა, რომ პასუხს ვერ მიიღებდა და მაინც შეეკითხა: _ შენ იცი, რომ ერთადერთი კაცი ხარ, ვინც სიმართლე იცის?

_ მე არაფერიც არ ვიცი... _ თქვა ბიჭმა და ტუჩზე იკვნიტა.

_ ჰო, არავინ არაფერი არ იცის, კაცი კი აღარ არის _ მკვდარია!..

ბიჭმა არაფერი უპასუხა, თავი აიღო და მურაზს თვალებში დაჟინებით მიაშტერდა.

_ რას მიყურებ, რა, ტყუილს ვამბობ?

_ მოკალით და მკვდარია! რომ არ მოგეკლათ, ცოცხალი იქნებოდა... _ კბილებში გამოსცრა ბიჭმა და გვერდზე, ფანჯრისკენ გაიხედა.

_ რა გქვია? _ შეეკითხა მურაზი.

_ ბეჟანი, _ უპასუხა ბიჭმა.

_ "კლიჩკა"?

_ პასარელას მეძახიან.

_ ფეხბურთელი ხარ?

_ ვიყავი...

_ მერე, რატომ შეეშვი?

_ თამაშისას ფეხი მოვიმტვრიე კოჭში და ცუდად შემიხორცდა.

_ მაგიტომ კოჭლობ?

_ ჰო.

_ რა გვარი ხარ!

_ მოლოდინაშვილი.

_ გივისი რა ხარ?

_ შვილი...

_ შვილი? გივი დიდი ფეხბურთელი იყო. შენც თავდამსხმელი იყავი?

_ ჰო, _ მოკლედ მოჭრა ვაჟმა.

_ შენ მოკალი? _ შეეკითხა უეცრად მურაზი და მის რეაქციას დაელოდა.

ბიჭმა კი შუბლი შეიკრა, წამოხტა და ხელები გაშალა:

_ მე-ე?! მე როგორ მოვკლავდი, კარის მეზობლები ვართ, ერთ ეზოში გავიზარდეთ და ფეხბურთსაც ერთ გუნდში ვთამაშობდით!..

_ მაგრამ იმან შენ ფეხი მოგტეხა, იმიტომ, რომ შენ ბევრად მაგრად თამაშობდი. ხომ ასე იყო?

_ და მაგიტომ მოვკალი?.. რა სისულელეა! _ თქვა ბიჭმა და დაჯდა.

_ მაგიტომ, მაგიტომ... ან _ რა ვიცი, იქნებ სხვა მიზეზიც გქონდა.

_ დაუჟლეტიათ მაშინ მთელ ფეხბურთელებს ერთმანეთი, _ გაიკვირვა ბიჭმა და მხრები აიჩეჩა, მერე შეხედა და მშვიდად უთხრა: _ არ გამოვა, რა, ვერ შემტენი.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მურაზმა მორიგე გამოიძახა და "მკვლელი" კაბინეტიდან გააყვანინა.

_ მკვლელებო, მხეცებო, ნადირებო! სისხლიმსმელებო! _ ისეთ ხმაზე დაიწყო კივილი პასარელას დედამ, როგორც კი კართან პოლიცია დაინახა, რომ მთელი მეზობლები მაშინვე გარეთ გამოეფინნენ.

_ რა გინდათ ჩემი შვილისგან, რა?!! თქვენ მოკალით და უდანაშაულო ბავშვს გინდათ გადააბრალოთ?! სად არის, რატომ დაიჭირეთ, რატომ არ უშვებთ, რა-ტომ?! ვერ წამართმევთ შვილს, არ მოგცემთ ამის უფლებას, არა! არ შემოგიშვებთ, არა! _ და ქალმა კარის ჩარაზვა სცადა.

კაცებმა იძალეს და შევიდნენ. მერე გაგიჟებული ქალი, როგორც იქნა, დააშოშმინეს და აუხსნეს, რომ ისინი არაფერ შუაში იყვნენ და რომ მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ; რომ თან ჰქონდათ პროკურორის სანქცია ეჭვმიტანილის ბინის ჩხრეკის უფლებაზე და რომ ოჯახის წევრებს უფლება ჰქონდათ, ჩხრეკისას მოწმეებად მეზობლებისთვისაც დაეძახათ.

მეზობელი, რომელსაც მოწმის სტატუსი მიენიჭა, შემოიყვანეს, ბეჟანის დედა კი, ქალბატონი სევდია, როგორც იყო მისვენებული სავარძელში, ჩხრეკის ბოლომდე ისევე დარჩა. პოლიციელებმა გამომძიებელ კახა ლაფერაძესთან ერთად, ბინა ისე

გადაჩხრიკეს, ერთი კუთხე-კუნჭულიც კი არ დატოვეს უნახავი. ტუალეტში უნიტაზი და გამწმენდი მილიც კი შეამოწმეს, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერსად ნახეს. ბოლოს ოქმი შეადგინეს და რადგან ბეჟანის დედამ უარი თქვა ხელის მოწერაზე, მხოლოდ მოწმეს მოაწერინეს. ბოლოს "ეჭვმიტანილის" ერთი შარვალი, ჯემპრი და ქურთუკი წაიღეს და წავიდნენ.

ირაკლიმ "მაკაროვი" ქამარში გაირჭო და საკუთარი სახლის კარზე მიაზარა. კარი შარომ გააღო და გაშტერდა:

_ ე! _ ეს ერთი ბგერა აღმოხდა და დადუმდა.

_ შედი სახლში! _ უბრძანა ირაკლიმ. შაროც მიტრიალდა და შევიდა.

ტახტზე მწოლიარე ლეგრანა გადმობრუნდა და წამოჯდა.

_ ეს ნახე, ვინ მოვიდა, _ უთხრა შარომ ლეგრანას და ირაკლის მაგიდასთან სკამი გამოუწია: _ დაბრძანდით, "კნიაზ"!

_ ვა, შენა, ტო?! რა ხანია, კაცის ხორცი არ მიჭამია! მარტო ხარ? _ გაუკვირდა ლეგრანას.

ირაკლი ისე დაჯდა, რომ ორივე მხედველობის არეში ჰყოლოდა. მერე ქამრიდან იარაღი ამოაძრო და წინ დაიდო.

_ აქეთ გვემუქრები, ტო?! _ ჩაიქირქილა ლეგრანამ. ეტყობოდა, "სტოსი" მას მიჰყავდა, რადგან შარო ისევ ფეხზე იდგა და ხან ერთს შეხედავდა და ხან _ მეორეს. _ რამე ცუდი სიზმარი ნახე წუხელ?.. რა ნახე, "დავაი", აბა, მოყევი, _ უთხრა ლეგრანამ და მიაჩერდა.

_ აცალე, იქნებ ფული მოიტანა... _ ჩაილაპარაკა შარომ.

_ მომისმინეთ! _ თქვა ირაკლიმ, მიიხედ-მოიხედა და შუბლი შეჭმუხნა. ოთახი ნაგვით იყო სავსე...

_ ჰო, აბა! _ წარბი ასწია ლეგრანამ.

_ ხომ უნდა მოვრჩეთ, არა, ბოლო-ბოლო!

_ მა რა! _ მიაგება ლეგრანამ.

_ ჰოდა, ეს ბინა უნდა გაიყიდოს.

_ "კანეშნა"! _ დაეთანხმა ლეგრანა.

_ ჰოდა, კლიენტი მინდა მოვიყვანო.

_ მოიყვანე, მერე! სად არი, გარეთ გელოდება? _ შეეკითხა ლეგრანა.

_ ამ ნაგავში როგორ მოვიყვანო? ან ეს "კოკნარი" ასე უნდა ეყაროს ამ მაგიდაზე?

_ მოიცა, მოიცა, აბა, ერთი ტონით ქვემოთ ჩამოდი! შენა გაქვს ჩემი ვალი, არა?! გაცალე, არა?! ერთი თვე, ორი თვე, სამი... _ დაიწყო თითებზე ჩამოთვლა ლეგრანამ. _ და არც პროცენტი მოდის და არც თავანი. მარტო მოვალეები მოდიან, დღეში "მილიონ-ტრისტა" და შენს ფულს ჩვენა გვთხოვენ _ მე და შაროს. ეს ბინა მე გადავარჩინე, აქამდე ცხრაჯერ იქნებოდა გაყიდული, არა?!

_ რა პროცენტი, რომელი პროცენტი?! _ გამწარდა ირაკლი. _ პროცენტზე როდის იყო "ბაზარი"?!

_ შენ, ძმაო, კარგადა ხარ?! _ ახლა კი წამოდგა შარო და ირაკლისკენ წაიწია.

ირაკლიმ ეგრევე იარაღისკენ წაიღო ხელი.

_ ხელი, ბიჭო, არ გავარდეს, დატენილი არ იყოს, ეე! პროცენტით მინდა მე ვალი, აბა, უპროცენტოს ვინ ვის აძლევს დღეს ფულს? ხუთი წაიღე? ათი გაქვს მოსატანი, მაშ, როგორ?! ჩვენგან რას ითხოვ?

_ არ გამოვა, ხუთი წავიღე, ხუთს მიიღებთ და მორჩეს აქ პროცენტზე "ბაზარი"! _ ამის თქმა იყო და იარაღს დაავლო ხელი. მაგრამ წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სახეში შაროს წიხლი მოხვდა.

გასროლის ხმამ ოთახი შეაზანზარა. ტყვია ფანჯრის მინას მოხვდა, გახვრიტა და გარეთ გავარდა. შარომ მოასწრო, ხელი გადაუგრიხა და იარაღი გააგდებინა. მერე კი _ გინება, ცემა-ტყება, სტვენა და ოთახში სირბილი ერთმანეთში აირია. მართალია, ორნი იყვნენ, მაგრამ ირაკლი მაინც ახერხებდა მათ მოგერიებას და ხურდასაც ოსტატურად უბრუნებდა... მაინც მოასწრო _ ხელიდან დაუსხლტა, რევოლვერიც აიღო და გარეთ გავარდა. ლეგრანა გინებით გამოუდგა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და კიბეზე დაგორდა.

ირაკლი მეოთხე სართულზეც არ იქნებოდა ჩასული, რომ სირენების "წიოკი" გაიგონა და უკან ასვლა გადაწყვიტა. იარაღი მაშინვე მოიცილა _ ნაგავსაყრელს თავსახური ახადა და შიგ ჩაუძახა... მეხუთეზე კიბეზე ჩამომჯდარი ლეგრანა დახვდა, რომელსაც ფეხი ღრძობოდა, იჯდა და უშნოდ იმანჭებოდა. ირაკლი წაეხმარა, აათრია და ორივენი შინ შეიკეტნენ. ლეგრანა ტახტზე მიაწვინა, თვითონ კი წინსაფარი აიფარა და ჭურჭლის რეცხვას შეუდგა.

სირენების ბღავილი შაროსაც გაეგონა, კოკნარი მოეხვეტა და ფანჯრიდან გადაეყარა.

მალე კარზე ისეთი ბრახუნი ატყდა, კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა. კარი ირაკლიმ გააღო, რომელსაც ხელში თეფში და ჟელეიანი "ღრუბელი" ეჭირა. პოლიციელები სამნი იყვნენ, ასე ოცდახუთ-ოცდაათი წლისები, სამივეს ხელში იარაღი ეჭირა. უკან კი, კამერით ხელში, ოპერატორი მოჰყვებოდა და ყველაფერს იღებდა. პოლიციელებმა ირაკლი გვერდზე მიაგდეს და ბინაში შეცვივდნენ.

ლეგრანა ტახტზე, კედლისკენ პირშექცეული იწვა, შაროს კი ხელში კარტი ეჭირა და მაგიდაზე პასეანს შლიდა. მოკლედ, რაც იქ ხდებოდა, მხოლოდ ოჯახური სიმშვიდისა და კეთილდღეობის იდილიურ სურათად თუ ჩაითვლებოდა.

_ არ გაინძრეთ! დაწექით! _ შეცვივდნენ თუ არა მისაღებში, მაშინვე იყვირეს პოლიციელებმა.

შარო წამოდგა და ხელები ასწია, სახეზე განცვიფრება ეხატა. ლეგრანა გადმობრუნდა და იმანაც ხელები ასწია.

_ მეტი როგორღა დავწვე? ვწევარ, რა! _ უთხრა და დაბნეულ პოლიციელებს მიაჩერდა.

ირაკლი ჭურჭლის მრეცხავის პოზაში შემოვიდა და გაოცებულმა იკითხა:

_ რა ხდება?

_ დაწექით! _ ისევ დაიღრიალა პოლიციელმა და ირაკლიცა და შაროც მაშინვე იატაკზე დაწვნენ. ორივეს იმწამსვე ზურგზე შემოაწყობინეს ხელები და ბორკილები დაადეს, მესამესაც იგივე ოპერაცია ჩაუტარეს, მერე მოპირდაპირე ბინიდან მეზობელი, ფარვიზი გამოიძახეს, რომელიც უმუშევარი იყო, სულ შინ იჯდა და ბინის ჩხრეკას შეუდგნენ.

როცა ვერაფერი, მათ შორის, გასროლილი ტყვიის მასრაც ვერ იპოვეს, ბიჭებს მიუბრუნდნენ:

_ რა იქნა იარაღი?

_ რა იარაღი? _ მაგრად გაუკვირდა სამივე პირქვედამხობილს.

_ აქ სროლა იყო! _ მკაცრად თქვა ერთ-ერთმა.

_ სროლა იყო, კი, მეც მომესმა, მაგრამ მე უფრო "ხლაპუშკას" მივამსგავსე _ ბახ-ბუხო _ კი... _ თქვა ლეგრანამ.

_ აქ ისროლეს? _ მიუბრუნდა პოლიციელი ფარვიზს.

_ მაშ? _ უპასუხა ფარვიზმა.

_ ეს სხვას რას იტყვის? კარის მეზობელია! _ იწყინა ირაკლიმ.

_ კაი, თუ კაცი ხარ, ბოზები დაყავთ, რია-რიაა... ორი წუთის წინ აქედან ისეთი გინების ხმა გამოდიოდა!.. "არტისტები" არიან სამივენი, არ დაუჯეროთ! ამოსულია ყელში ამათი ტაშფანდურა!.. _ აღარ გაჩუმდა ფარვიზი.

_ ვა, ხან დავლევთ, ხან ვიცეკვებთ, ხან ვიმღერებთ, სხვაგან რა, ასე არ არის? _ გაიკვირვა ლეგრანამ.

შარო კი ოპერატორს დაემუქრა:

_ რას მიღებ, ბიჭო?! მოაშორე ეგ კამერა! თუ გადაღება იცი, წადი, ფილმი გადაიღე, ჩემი ტრაკის მეტი ვერაფერი ნახე გადასაღები?!

_ ნარკომანების ბუნაგია! არ მეშინია მე ამათი. თუ დამიჯერებთ, სროლაც ნაღდად აქედან იყო! _ თქვა ფარვიზმა და ბორკილდადებულებს ზიზღით მიაჩერდა. _ ჰო, რა იყო? დასაჭერები კი არა, ბომბა უნდა ესროლო და ამოწყვიტო ყველანი!.. აქ ოჯახები ვცხოვრობთ, შვილები და შვილიშვილები გვყავს ყველას.

_ როლანდ, შენ აქ დარჩი, _ მიუბრუნდა ალბათ რანგით უფროსი ერთ-ერთ პოლიციელს, _ თქვენც არ გახვიდეთ ჯერ, ოქმზე უნდა მოგვიწეროთ ხელი, _ მიმართა მან ფარვიზს და მესამეს უთხრა: _ ჩვენ ჩავიდეთ დაბლა, ბუნკერში და ეზოში მოვძებნოთ, ბუნკერიანი სადარბაზოა.

ასეც მოიქცნენ. მალე, დაბლა ჩასულები უკან ამობრუნდნენ და ცხვირსახოცში გახვეული იარაღი ამოიტანეს.

_ ხომ ვთქვი, ბუნკერში იყო, _ უთხრა მან ბიჭებს, მერე ქაღალდის ფურცელი დაიდო, მაგიდას მიუჯდა და ოქმი შეადგინა. ფარვიზსაც ხელი მოაწერინა, სხვებსაც, კარი დალუქა და სამივე, პოლიციაში წააბრძანა.

ირაკლიმ იმდენი მოახერხა, მაინც მოქრთამა ღამის მორიგე და თავისი მდგომარეობა თათიკოს შეატყობინა, თათიკომ კი მამამისი ჩააყენა საქმის კურსში. ვინაა ეგ შენი ირაკლი, ახლა არ იყო, ამ მკვლელობის გამო, მილუქული ფირმები რომ გავაღებინე?! რა დონის აფერისტია, გამაგებინე, შენც ხათაბალაში გაგხვევს და მეცო! _ გადაირია მურაზი... თუმც იმასაც მიხვდა, რომ იმ მომენტში ირაკლის აყვანა არ შეიძლებოდა: ამის გამო მასმედია უარესად აყაყანდებოდა _ გუტა გელაშვილის მკვლელობა უდანაშაულო კაცს უნდათ შეაწმინდონო! _ ატყდებოდა ერთი ვაი-უშველებელი...

სამივე კი გააშვებინა და მერე თათიკოს სთხოვა _ მომიყვანე ეგ შენი ირაკლი, მინდა დაველაპარაკოო.

ირაკლიც "ჩაჰალსტუხდა" და ისე გამოეცხადა. მურაზმა ახედ-დახედა და გაკვირვებულმა ჰკითხა: შენნაირი "ჰალსტუხიანი პეპლებიც" თუ იარაღით დადიოდნენ, ამას ვერ წარმოვიდგენდი; როგორც მითხრეს, შენც მჯდარხარ იმ სუფრაზე გუტა გელაშვილის მკვლელობისას და რა მოხდა, როგორ იყო, იქნებ შენ მაინც მითხრა სიმართლეო... ირაკლიმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ისიც უთხრა, რომ ის ღამე დილამდე ლელამ მათთან ერთად გაატარა და მხოლოდ დილასღა დასცილდნენ ერთმანეთს. მურაზი საგონებელში ჩავარდა: ყველა გამოირიცხა, ბიჭები ისე იფიცებოდნენ, თავს კედლებს უხათქუნებდნენ _ არ მოგვიკლავსო... ერთადერთი, ვისაც შეეძლო, რაიმე სცოდნოდა, პასარელა იყო... მურაზმა ისიც კარგად იცოდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სპორტსმენთა დიდი ნაწილი შავ სამყაროს მიეკედლა და ეჭვი პასარელას მიმართ გაუსამმაგდა.

პრესა ისევ ყაყანებდა, ოპოზიციური ტელევიზიები უკვე სატანისტური ორგიებისა და მასობრივი ზომბირების შესახებაც ალაპარაკდნენ. ცოტაც და მზესაც კი გადააყლაპვინებდნენ გველეშაპს და ხალხიც უყოყმანოდ დაუქნევდა თავს. განსაკუთრებით, "დემოკრატიული კოლეჯის" მასწავლებელი ქალები და მოსწავლეები

აქტიურობდნენ, ტრანსპარანტებითა და მეგაფონებით ხელში დაეხეტობოდნენ და ხალხს აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ. პოლიციამ რამდენიმე მასწავლებელი და გოგონა დაიჭირა კიდეც, გაასამართლეს და ყველას "თხუთმეტდღიანში" უკრეს თავი. მურაზს აფრთხილებდნენ _ არ გინდა, ამას უარესი ამბები მოჰყვება, მთელი ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვაო, _ მაგრამ არ დაუთმო და ამჯერად არც შემცდარა: ახალგაზრდობა, ვისიც მთავრობას, საერთოდ, ყველაზე მეტად ეშინია, ინდიფერენტული იყო და არავითარ ინიციატივას არ იჩენდა. "დემოკრატიული კოლეჯი" გაიფიცა, საკნებში მყოფნიც შიმშილობდნენ და გარეთ დარჩენილებიც. მაგრამ მალე ამ ყოველივეს სხვა მეტნაკლებად სენსაციური პროცესებიც "წამოეწია" და გუტა გელაშვილის მკვლელობამაც მეორე პლანზე გადაიწია.

ირაკლი, რომელიც დროებით ისევ გადარჩა, თავის ჩვეულ საქმიანობას აგრძელებდა: ღამეს სტუდიაში, დივანზე ათევდა და ფულზე მოლეკულას "აწვებოდა". ისიც თავისებურად აქტიურობდა, აღარ ერიდებოდა არჩილ მამულაძეს, უკვე აშკარად ემუქრებოდა _ იცოდე, კასეტებს ყველა ტელევიზიას ჩამოვურიგებო. მაგრამ მამულაძე ითხოვდა, ერთი-ორი დღე დამაცადეთ, ფული ვერ მიშოვიაო. ამ უფულობაში იყო ირაკლი, როცა უცხოეთის ტურნედან დაბრუნებული პიანისტი რომან კახეთელიძე საკუთარი ფეხით ეახლა და "პოსლეზე" ხუთასი ცალი სუბუტექსი დაუტოვა. რეალიზაცია მოლეკულას საქმე იყო, თვითონ მოლეკულასაც სხვა ჰყავდა გამსაღებელი _ პოლიციელი ჰამლეტა. ის სად და რანაირად ასაღებდა, ეს მოლეკულას საქმე აღარ იყო... და ირაკლის ისევ გაუჩნდა ცოტა ფული, ყოველ შემთხვევაში, ფილმის გადაღება თავისუფლად შეეძლო გაეგრძელებინა და ასეც მოიქცა.

მწერალი დევი მოსაშვილი თანამედროვე ქართული სინამდვილის ისეთ უცნაურ მოვლენას აეღელვებინა, როგორიცაა შუასაუკუნეობრივი ბერობის და მონაზვნობის აღორძინება: იმას, რომ უკვე ბევრი ახალგაზრდა, ბიჭი თუ გოგო, საკუთარ ოჯახას ტოვებს და ეკლესიას ეკედლება... მოკლედ, ირაკლის, კლდეში გამოკვეთილ ღვთის ტაძარში დაყუდებული ბერის სახე უნდა შეექმნა ეკრანზე, ხოლო მელანოს, რომელიც, სცენარის მიხედვით, საექსკურსიო ჯგუფს მოჰყვა, _ მისი გაცივებული სული უნდა გაეთბო და მიწიერი არსებობის სიამტკბილობისკენ მიებრუნებინა... მართალია, მწერალი გაიძახოდა _ ეს არ გახლავთ რიმეიქი, ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფიაო, _ ირაკლისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ ის მელანოსთან ერთად გარეჯის მღვიმეში მარტოდ დარჩენილიყო და მისთვის როგორმე თავბრუ დაეხვია...

როლში ირაკლი ყინულივით ცივი და ჭინჭარივით უკარება უნდა ყოფილიყო. ჯვალოს ტომარაგადაცმული და ფეხშიშველი, ცდილობდა, შესვენებებზეც ასეთივე ყოფილიყო და მისდა გასაოცრად შენიშნა, რომ გოგონა მაგრად იყო აგზნებული და თვითონვე ცდილობდა ირაკლის დამარტოხელებას. ის კი არა და, ერთხელ _ ვაიმე, ღამურაო! _ და ირაკლის პირდაპირ კისერზეც კი ჩამოეკონწიალა, რამაც კაცი მაგრად შეაშინა და საკუთარი მისია გადაავიწყა კიდეც... სწორედ ამ დროს მისმა მობილურმაც დარეკა და ირაკლი გამოაფხიზლა, ჯვალოზე მიკერებული ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და უპასუხა. ბაია იყო: სად დამეკარგე? ხომ მივდივართ რიოში, ახალი რამე ხომ არ არისო? _ ეკითხებოდა. მელანომ რაღაც იყნოსა: ვინ იყო? _ ჰკითხა და თვალები შეანათა.

_ მელანო, ჩამობრძანდი! _ ცივად უთხრა ირაკლიმ და კისრიდან ფრთხილად ჩამოსვა. _ ბევრის ცოდნა თავს აგატკივებს, _ უთხრა და ორი ათასი წლის წინ გამოთხრილ ტალანს გაუყვა.

მელანო დაედევნა და წინ გადაუდგა.

_ ვინ იყო? _ ჩანდა, რომ უკან დახევას არ აპირებდა.

ირაკლი ეჭვებში ჩავარდა: თუ უფროსები თაობათა შორის დროში განსხვავებას, ოც წელს და კიდევ უფრო უფროსები _ ოცდახუთ წელსაც აცხადებენ, მის ტოლებს ათი წელიც საკმარისად მიაჩნდათ. ასე რომ, იფიქრა _ ვაითუ, სექსსა თუ სიყვარულის გაგებაში ამათი თაობა ისე წინ გავარდა, რომ მე ამათთან აღარაფერი მესაქმებაო?..

_ რატომ არ მეუბნები, რატომ? _ კიდევ სცადა მელანომ პასუხის მიღება.

_ რა შენი საქმეა?! _ სრული სერიოზულობით უპასუხა ირაკლიმ და უფრო ცივი და უხეში გახდა, ვიდრე მისი ეკრანული გმირი.

მელანოს სიბრაზისგან ჯერ სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, მერე კი უეცრად თავი ჩაჰკიდა და ირაკლის რომ ხელი არ ეტაცა, ალბათ იმ ცივ, ქვისფილებიან იატაკზე მოწყვეტით დავარდებოდა.

_ მელანო, მელანო! _ ყვიროდა ირაკლი და სილასაც ულაწუნებდა, თუმც კი ვერაფრით დაეჯერებინა, რომ გოგონას ნამდვილად წაუვიდა გული და არ თამაშობდა. მაგრამ რომ დაინახა, გონზე ვერ მოჰყავდა, ხელში აიტატა და გასასვლელისკენ მოძუძგა. სულ რაღაც ოცი ნაბიჯი უნდა გაევლო, მაგრამ ტვირთი ისე ემძიმა, კინაღამ ხელიდან გაუვარდა. გარეთ მზე აცხუნებდა და ირაკლიმ გულწასული მელანო მაშინვე მღვიმის კიდეზე მიაწვინა, თვითონ კი საშველად, სხვების მოხმობა სცადა:

_ მაკა, გიგო, ნელი! _ ყვიროდა, ვისი სახელიც გაახსენდა, მაგრამ არავინ პასუხობდა. ეტყობა, ყველანი ცრემლის წყაროსთან იყვნენ გაკრეფილნი, რომელიც მღვიმეებიდან არცთუ ისე ახლოს იყო და საითაც ყოველი შესვენებისას გარბოდნენ ბავშვები.

ამ ღრიალში იყო, რომ მელანომ ჯვალოზე დაქაჩა და განცვიფრებულმა და შეშინებულმა ირაკლიმ დაინახა, რომ გოგონა გაცოცხლებულიყო, წამომჯდარიყო და უღიმოდა კიდეც.

_ მომატყუე?! _ იყვირა მოტყუებით გამწარებულმა ირაკლიმ.

_ ჰო! _ უპასუხა სიხარულით მელანომ და ხელით ანიშნა, ჩემ გვერდით დაჯექიო.

_ შენ იცი, ვინა ხარ?!. _ დაჯდა მის გვერდით ირაკლი, რომელმაც არ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი განრისხება.

_ ვინ? _ მაგრად დაინტერესდა მელანო ამ რიტორიკულ შეკითხვაზე ირაკლის პასუხით.

_ გველეშაპი!.. არა _ გველი, სამთავიანი!.. არა, გველეშაპიც, გველიც და ბეჰემოტიც _ ერთად!

_ ბეჰემოტიც?!! _ მაგრად გაუკვირდა მელანოს. _ ეგ რაღა შუაშია?! _ და ერთი გემრიელად გადაიკისკისა. მისი დაბალი გაბზარული ხმა გამჭვირვალე ჰაერმა აისხლიტა, გაიტაცა, ექოდ აქცია და ახლგაზრდებს უკან დაუბრუნდა. მერე მელანომ ხელის მტევნები შეაერთა და თითქოს გაიზმორაო, უკან გადაწვა. მას მოკლე ჯინსის შორტი და პატარა მწვანე მაისური ეცვა, ბავშვისკანიანი მუცელი მთლიანად მოუშიშვლდა და როცა ბარძაყებსაც დაუწყო ერთმანეთზე ხახუნი, ამ ხახუნმა ირაკლი ისე აღაგზნო, როგორც ნებისმიერ მამაკაცს აღაგზნებდა. ქალის გვერდით დაბნევა მისთვის უცხო იყო, მაგრამ ამჯერად სწორედ ასეთი ფაქტის წინაშე დადგა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: გოგო თვითონ ეწებებოდა, თავში კი რა ჰქონდა, ირაკლიმ არ იცოდა... მართალია, “ნაყოფი” მომწიფებული იყო და “შეჭმაღა” უნდოდა, მაგრამ რაღაცამ _ შესაძლოა, სწორედ გოგონას უეცარმა ზედმეტმა აქტიურობამ და

ყველაფრისთვის მზადყოფნამ _ ირაკლი აბსოლუტურად განაიარაღა. ის წამოდგა, მელანოს დახედა და ქვემოთ დაეშვა.

მელანო წამოჯდა... მაგრად გამწარდა. მან არც პატიება იცოდა და არც უკან დახევა. ისიც თავისი ეპოქის შვილი იყო, განებივრებული, გაუმაძღარი მესაკუთრე და მიუხედავად ასაკისა, ირაკლის ვეღარავის დაუთმობდა... რა ჰქვია ამას _ გატაცება? ვნება? სიყვარული?..

ირაკლი თვალს მიეფარა. მელანო ცოტა ხანს გაუნძრევლად იწვა. დამარცხებამ მასზე "ტოტალურად" იმოქმედა, მაგრამ მზის სხივებმა თავისი გაიტანა, დააცხუნა და წამოახტუნა.

ის იყო, ქვემოთ ჩაირბინა და წყლისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს დაადგა, რომ მისკენ ჭენებით მომავალი ორი ცხენოსანი დაინახა. მხედრებმა აღვირი მოქაჩეს და ცხენები გოგონას წინ გააჩერეს.

_ აქ რაღაც ფილმს იღებენო, მართალია? _ ჰკითხა ერთ-ერთმა მელანოს და პასუხს დაელოდა.

_ ჰო, ვიღებთ... _ უპასუხა მელანომ, რომელიც ბილიკიდან გადასული, ქვემოდან შეჰყურებდა ცხენოსანს.

_ ჩვენ არ გადაგვიღებთ? ცხენები არ გჭირდებათ? _ შეეკითხა იგივე და მელანომ ორივე ცხენოსანი ახლაღა შეათვალიერა. უბელო ცხენებზე შემომჯდარი, ჯინსიანი, მზით გარუჯული, გარეკახეთელი ბიჭები კოვბოებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადგილობრივ მწყემსებს ან გლეხებს.

_ თქვენ ვინა ხართ, რომ? _ შეეკითხა დაეჭვებული მელანო.

_ ვინ ვიქნებით? აქაურები ვართ, გარეჯელები, _ უპასუხა ისევ პირველმა და გაიცინა: _ არსენა ვარ, ოძელაშვილი...

_ შემომისვამ? _ შეეკითხა გათამამებული მელანო.

_ მერე არ გეშინია, რომ მოგიტაცო? _ შეეკითხა ბიჭი და მეორეს გასძახა: _ ჩამო, გუჯი, მიეხმარე!

ისიც იმწამსვე ჩამოხტა და მელანოს შეეკითხა:

_ მჯდარხარ ცხენზე?

_ არა, _ მოკლედ მოჭრა მელანომ.

_ არ შეგეშინდეს, არაფერია...

_ არც მეშინია... _ უპასუხა გოგონამ.

_ მაიტა მარჯვენა! _ ხელი ჩამოუწოდა ცხენზე მჯდომმა.

_ მე აგწევ... _ უთხრა ქვემოთამ და შეუდგა. _ აი, მხარზე უნდა შემომიჯდე, უცბად აგისვრი!

მელანოც შეეცადა და ბიჭებმა გოგო ცხენზე შეაგდეს.

_ მაგრად ჩამავლე! _ უთხრა პირველმა და ცხენს მუცელზე ფეხები შემოსცხო.

ცხენი ჯერ თოხარიკით დაიძრა, შემდეგ ოთხზე გადავიდა. ასე რომ, როცა ისინი "ცრემლის წყაროსთან" დაბანაკებულ ბავშვებს მიუახლოვდნენ და გაუქროლეს, მელანომ ხელი ასწია და თავისი ბოხი, გაბზარული ხმით შემოსძახა კიდეც:

_ ჰე-ჰე-ე!

მხედრებმა ბავშვებს ერთი წრე შემოარტყეს და გაჩერდნენ. ყველა მათ შესცქეროდა. მოკლე ჯინსის შორტიანი, მხედარს მხრებში ჩაფრენილი, სავსემკერდიანი მელანო მშვენიერი სანახავი იყო.

_ ჩვენც გადაგვიღეთ კინოში, აი, ვითომ ქალი მოგტაცეთ! _ თქვა პირველმა. _ თორემ მართლაც მოგტაცებთ, რა იყო?!

_ ჩამოდი! რომ ჩამოვარდეს და კისერი მოიტეხოს?!. _ აღარ დაამთავრა ირაკლიმ.

_ ჩამომსვი! _ უთხრა მელანომ.

ირაკლიც მივიდა და ჩამოსვლაში მიეხმარა. მაგრამ ბოლომდე გადმოწოლილი ქალი ვერ დაიკავა და ორივენი ბალახში გაგორდნენ.

_ შენ თავად არ მოიტეხო კისერი, თორემ... _ ჩაილაპარაკა ცხენოსანმა და ბავშვებში სიცილი ატყდა. ის იყო, მხედრები ჩამოხტნენ, რომ ქალაქელები მიესივნენ.

_ დამსვი, რა, მეც დამსვი, რა!

იმ დღეს გადაღება ჩაიშალა.

ბეჟან მოლოდინაშვილს, მიუხედავად საზოგადოების, ანუ არასამთავროების და ოპოზიციის მხრიდან წინააღმდეგობისა, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მაინც შეუფარდეს. მოსამართლის მიერ განჩინების წაკითხვის მერე, რომ სტვენა და ყიჟინა ატყდებოდა, თქვენც მოგეხსენებათ, მერე ამ ყველაფერს, ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიაც რომ აიტაცებდა, ესეც, მაგრამ ის, თუ რა მოხდა მის საკანში, ეს ბევრს არ მოეხსენება და მეც ამის შესახებ მოგიყვებით.

ბეჟანი, რომელიც ერთადერთი იყო, რომელსაც შეიძლებოდა ამ მკვლელობის შესახებ სიმართლე სცოდნოდა, იწვა თავის ნარზე და სასჯელს იხდიდა. “ნასადკა” კი, რომელიც ორი წუთის წინ შეუგდეს, არა ჩუმდებოდა.

_ ძაღლები, ტო, სუფთა სადისტები, ტო... გავრბივარ და მესვრიან ეს დამპლები, ტო, წუუ, წუუ... ხან აქ გამიწუილებს და ხან აქ... _ ხელი კისერთან მიიტანა “ნასედკამ”. _ მკლავენ, ტო, ცოცხალ კაცს, რაზე, ტო! ქალი გავიტანე, ტო! მეტი კი არაფერი, ეგონა გადამასწრებდა და მივუშვი, რას გამასწრებდა?! რომ ვხიე, აუ, როგორ გაფრინდა, იცი, ოცდაათ მეტრზე. რას მიფრინავდა, იცი? არ მომდევენ თურმე ძაღლები, ტო? გმირთა მოედანზე რო “ტუნელია”, მეთქი, დავემალები, იმ “ტუნელში” ხო იცი, ცხრა გასასვლელია, იქით-აქეთ! არ ამიტეხეს ბათქი? წუუ, წუუ! აუ, რა გაძლებს, ტო, უწამლოთ, სანამ ტელეფონს დავიადებ, სამი თვეც ვერ გავძელ “სვაბოდაზე”... გააქ მოსაწევი?

ბეჟანმა სიგარეტი და ასანთი მიაწოდა. მიხვდა, თანამესაკნე თამაშობდა... იცოდა, ენაზე კბილი უნდა დაეჭირა, ან, პირიქით, ის ელაპარაკა, რაც სურდა.

_ მეე? _ გაჩუმდა ბეჟანი, როცა მიტომ შენ რაღაზე ზიხარო, ჰკითხა. _ ძმაკაცის მოკვლას მაბრალებენ.

_ გაბრალებენ თუ შემოგაკვდა?

_ თუ გარეთ იყავ, გეცოდინება, პოლიციელებმა რომ მოკლეს, გუტა გელაშვილი, მურაზ ლეშკაშელის შვილის დაკვეთით...

_ აუ, მართლა, ტო... _ ავარდა ეგრევე “ნასედკა”, _ მერე, მერე... შენგან რა უნდათ, ამ მართლა ძაღლებს, ტო! შენ როგორ გადარჩი, მერე! წესით, ორივე უნდა დაებრიდეთ, არა?

_ ალბათ... _ ჩაფიქრდა ბეჟანი.

_ მაშ შენ როგორ გადარჩი?

_ გადავრჩი, რა... თავი დამანებე! _ მაგრად ეზარებოდა ლაპარაკი ბეჟანს.

_ მომისმინე! შენ დაგკითხეს ამ შობელძაღლებმა? _ არ მოეშვა მიტო.

_ მერე? _ იქით დაუსვა კითხვა ბეჟანმა.

_ მერე, სუნი არ მოგივიდა, ტო, ქეშის?

_ რა სუნი? _ ვერაფერს მიხვდა ბეჟანი.

_ შენ რა, მართლა ვერ ხვდები, ტო, რატომ გტენიან ამ მკვლელობას?

_ თვითონ რომ გამოძვრნენ, მაგას რა მიხვედრა უნდა? _ შეეკითხა ბეჟანი.

_ არა. ქეშს იძლევიან ასიანი.

_ რა?

_ რა და მაყუთს დაგიადებენ, თუ შენ თავზე აიღებ!

_ მოკეტე! _ იღრიალა უცბად ბეჟანმა და სანამ მიტო გონს მოვიდოდა, ბეჟანს უკვე ქვეშ ჰყავდა მოგდებული და ყელში უჭერდა თითებს, თან ზედ დაჰკიოდა: _ მკვდარი ძმა გავყიდო, ფულზე, შე ახვარო, შე ნაბიჭვარო? _ მიტო კი ფეხებს ცარიელ ჰაერში იქნევდა და ხრიალებდა.

როგორც ჩანს, ტუსაღებს საიდანღაც უთვალთვალებდნენ, რადგან ზედამხედველები შემოცვივდნენ და გამხეცებული ბეჟანი ქვეშ მოგდებულ "ნასედკას" ააგლიჯეს.

როცა მურაზ ლეშკაშელის უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ ტელეეთერში გადაცემა მიდიოდა, მურაზი სამსახურში თავის კაბინეტში მარტოდმარტო იჯდა და ეკრანს ნაღვლიანად მისჩერებოდა. ყველაფერი, სულყველაფერი გადაეღოთ: სოფელი, აგარაკები, მთაში თუ ზღვაზე, სპორტული მოედნები და გუნდებიც კი წვთნისას, ქარხნები თუ ფაბრიკები, მოქმედიც და გაპარტახებულიც... მისი თუ სხვისი, ყველაფერი ერთმანეთში აერიათ... ზვრებიც კი აჩვენეს, ღვინის ქარხანაც, თავის ცისტერნებით და მისი და მევენახეების ურთიერთდაპირისპირებაც კი...

_ თუ არ გაჩუმდებით და ბევრს ილაპარაკებთ, ამ თქვენს ველურ, მწკლარტე ყურძენში, მაგ ოცდაათ თეთრსაც ვერ მიიღებთ, ჰო, რა იყოთ, ჩაგყრით ციხეებში და ეგ თქვენი ყურძნის ფული "პერედაჩებისთვისაც" არ გეყოფათ! _ ემუქრებოდა მურაზი გლეხებს.

_ ბარემ მოგვაყენე შენი ხალხი და დაგვხვრიტე ამ ზვრებში. შენ მილიონები ჩაიდო და ჩვენ მშივრები ვიხოცებოდეთ? გავკაფავთ ჩვენც, ავჩეხავთ, სხვა რა დაგვრჩენია, ხალხო! _ ახმაურდნენ გლეხები.

_ უნდა მოაყენო ტანკები და გადაუარო ზედ! _ ჩაილაპარაკა მურაზმა.

_ ჯერ დაპირებული სამაჩაბლო და აფხაზეთი დაიბრუნეთ და მერე გადაუარეთ ამ მიწას მაგ ტანკებით! _ დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან.

თუმც, ამ ყველაფერს, ასე თუ ისე, კიდევ აიტანდა და გაუძლებდა კაცი, მაგრამ როცა ლელას ქონებაზე გადავიდნენ და მისი ფიტნეს კლუბიდან, თუ გოგირდის წყლის აუზებიდან და საუნებიდან დაწყებული, საირმეზე ოთხსართულიანი სასახლეც და მტკვრის პირას აშენებული, პატარა ზოოპარკივით აგარაკიც აჩვენეს, მურაზი მაგრად გამწარდა. მერე კი, როცა ქალაქგარეთ აშენებული სამსართულიანი ვილაც მიაყოლეს, თავისი წაბლის ხეივნით, საერთოდ გადაირია. მოკლედ, ლამის ნახევარი საქართველოს მისაკუთრებაში დასდეს ბრალი. მთელი ეს სიმდიდრე, მართლაც, მისი და მისი მცირერიცხოვანი ახლობლების, ანუ ერთი ძლიერი კლანის ხელთ იყო მოქცეული და ნათესავებზე გაფორმებული. სიმდიდრე, რომელიც ცალკე, ანუ განყენებულად არსებობს, შენია, მაგრამ მთელი ასი სიცოცხლეც რომ გაჩუქოს ღმერთმა და ჭამო, მის მეასედსაც ვერ შეჭამ... რის თქმა მსურს, იცით? ვინ უფრო მდიდარია, ვთქვათ, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, რომელსაც საკუთრებაში ერთი-ორი ოთახი ჰქონდა, მაგრამ ნიჭი და განათლება, ანუ უამრავი წაკითხული წიგნი და ცოდნა, რომელსაც "ხელი არ დაეკარების", თუ ლამის მთელი ქალაქების მფლობელი ზოგიერთი მილიარდერი? თუ თემიდას სასწორზე ავწონით, ხომ ყველა ვარიანტში თუმანიშვილის ქონება გადასწონის, ასე არაა? ან ერთ დღეს, რომც აჩუქო, სხვისი მილიარდები ჩვენს დიდებულ მაესტროს და იმავე დღეს ყველაფერი უკან წაართვა, ინაღვლებს კი ერთ წამს? არა მგონია... მაგრამ, აბა გაბედეთ და მურაზ ლეშკაშელს ერთი სახლი წაართვით, შესაძლოა, თან გაჰყვეს კიდეც, და ეს, არც არავის გაუკვირდეს. მოკლედ, მისი უზარმაზარი ქონების "ქონა-არქონის" საკითხი, ბედის ირონიის გამო, თემიდას

სასწორზე იყო შეგდებული და ახლა, მხოლოდ ერთი კაცის გუნება-განწყობილებაზეღა იყო ყველაფერი დამოკიდებული. თუმც, ერთი საშინელი მკვლელობისას კარტში ამოსული ჯოკერი მურაზს ჰქონდა ხელთ და არც თუ უსაფუძვლოდ, სწორედ ამ "ჯოკერის" იმედი ჰქონდა. ნუ, რომელი მკვლელობაც ვახსენე, თქვენც კარგად იცით. როგორმე, საზოგადოების ყურადღება, სასწრაფოდ, სხვა სენსაციურ მოვლენებზე იყო გადასატანი და მურაზის ტვინიც სწორედ ამ ხაზით მუშაობდა, თუმცა, ასეთ მოვლენათა ხელოვნურად გამოგონება და თავს მოხვევა, ისეთი გამოწრთობილი და გამოჯეკილი საზოგადოებისთვის, როგორიც ჩვენია, არც ისე ადვილი იყო.

შემოდგომის წვიმები ერთმანეთს გადაება და ირაკლიმ ფილმის გადაღება, მცირე ხნით შეაჩერა.

მელანო, რომლის მყიფე ფსიკიკაშიც ასე უეცრად ჩაიბეჭდა ირაკლის სახე, მარტო ვეღარ ძლებდა, ანუ ირაკლის უნახაობას და მასთან არყოფნას საშინლად განიცდიდა. ვერც იმას ივიწყებდა, რომ მისი შეტევა ასე გულგრილად მოიგერია ირაკლიმ.

მამამისის მშობლები, ანუ მელანოს ბებია-ბაბუა, ნაზო და მალხაზ გარდაფხაძეები, ცნობილი ტრავმატოლოგები იყვნენ, პროფესორები, ორივეს რუსეთში, ნოვოსიბირსკის სამედიცინო ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული, სადაც ერთმანეთი გაეცნოთ, შეჰყვარებოდათ და იქორწინეს კიდეც. მამამისიც, ნოდარ გარდაფხაძე, მშობლების კვალს გაჰყვა და ტრავმატოლოგი იყო, აი დედა კი, ზინაიდა მერაბიშვილი, ერთ დროს, გამოცდილი ფარმაცევტი, როგორც კი კაპიტალისტურმა სიომ დაუბერა, მედიკამენტების ბიზნესზე გადაერთო და საკმაოდ წარმატებითაც. ისე სწრაფად და უცბად გამდიდრდნენ, თვითონაც არ სჯეროდათ... იმ პერიოდში, როცა ოჯახი შვილის აღზრდით უნდა ყოფილიყო დაკავებული, გამოეპარათ და მელანოც ჭირვეულზე-ჭირვეული ბავშვი გამოვიდა. ადრეულ ასაკშივე მომწიფდა და აღარ იცოდნენ, როგორ დაებათ სახლში. სკოლაში გაუშვებდნენ და ის სადმე ღამის ბარში ან კაფეში, ზოგჯერ კი რესტორანშიც ამოჰყოფდა ხოლმე თავს. ამას მშობლები ბავშვურ სიცელქედ უთვლიდნენ და ამიტომ არც სჯიდნენ, დატუქსვით კი, რა თქმა უნდა, ტუქსავდნენ. დედამისი კი, მის აღზრდაში შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. რადგან ბავშვს სწავლა-განათლება არ აინტერესებდა, დედამ არ იცოდა, რა მოემოქმედა, თვითონ, ფული როგორც კი გაუჩნდა, მეშჩანობის მიდრეკილება აღმოაჩნდა და დილიდან რომ დაადებდა თავს, ყველა მაღაზია და უნივერმაღი უნდა შემოევლო, ბავშვსაც თან დაათრევდა და, თუ დამიჯერებთ, მელანომ, სკოლა ისე დაამთავრა, მერვე კლასიდან გაკვეთილზე აღარც მჯდარა. მართალია, სამხატვრო აკადემიაში მოაწყვეს, მაგრამ იმდენად უნიჭო აღმოჩნდა, მალევე გამოიყვანეს და მელანომაც თეატრალურზე ამოჰყო თავი. აი, მსახიობობის ნიჭი კი მართლაც აღმოაჩნდა, მაგრამ იმდენი ბიჭები ურეკავდნენ და ისიც ისე დააჭენებდა ქალაქში, მშობლებმა რამე შარს არ გადაეყაროსო და დაკავებული რომ ყოფილიყო, ირაკლის ფილმში გადასაღებად ამიტომ მიუყვანეს. ფულს, რომელსაც დედამისი დღის განმავლობაში ვერ ხარჯავდა, "ტრილიაჟის" უჯრაში ყრიდა და, ჩვენი პატარა მელანოც ამ ფულს ძალიან ადვილად იპარავდა. იმ დილასაც, იმავე უჯრიდან, მელანომ მთელი ათასი დოლარი ამოიღო, ამდენი ფული, მას ჯერ არასოდეს მოეპარა, რომ გამიგონ მომკლავენო, გაიფიქრა, მაგრამ ფეხებზე დაიკიდა და რადგან ირაკლის მობილურის ნომერიც ჰქონდა, დაურეკა. თქვენი ნახვა მინდა, იცით, გადაღებებთან დაკავშირებით, ოჯახში რაღაც პრობლემები მაქვს და როგორ და რანაირად შეიძლება გნახოთო. ირაკლის, იმ ობიექტური მიზეზების (ფულის ნაკლებობას ვგულისხმობ), რომელიც ხასიათის გამო, ძალზე ხშირად ექმნებოდა, ისეთი

მსახიობის დაკარგვა, როგორიც მელანო იყო, არასგზით არ აწყობდა და სტუდიაში ვიქნები, დილიდან და შეგიძლია მოხვიდეო, უთხრა.

მელანომ სტუდიაში როცა მიაკითხა, ირაკლი თავის მაგიდასთან იჯდა და ტელეფონზე საუბრობდა. მისი ძირითადი საქმიანობა, სწორედ ტელეფონზე საუბარი გახლდათ, რითაც თავის ფირმებს მართავდა. მაკაც თავის მაგიდას მისჯდომოდა და რაღაც სიებს ჩაჰყურყუტებდა. მელანოს გემოვნებით ჩაეცვა, რაც ირაკლიმ მაშინვე შეამჩნია. შავი შარვალი, მწვანე კოფთა და მომწვანოვე, ყვავილებიანი პიჯაკი ძალიან უხდებოდა, ხელშიც ლამაზი შავი ტყავის ჩანთა ეჭირა. დახვეული თმები და სახის მაკიაჟიც გემოვნებით გაეკეთებინა, ასე რომ, ირაკლიმ გაიფიქრა, ეს ნაღდად, ან ოპერაში, ან სულაც კონსერვატორიაში თუ მეპატიჟება, რაიმე კონცერტზეო. მალე ირაკლიმ ტელეფონზე ლაპარაკი დაამთავრა და თავი აიღო, გისმენო. მელანომ კი თვალებით მაკაზე უცნაურად მიანიშნა და ირაკლი მიხვდა, მელანოს რაღაც ისეთის თქმა სურდა, მაკას, რომ არ უნდა გაეგო და მანაც სთხოვა მაკას:

_ მაკა, გენაცვალე, ეგებ ორიოდე წუთით გახვიდე, რა, დათოსთან? მოსული უნდა იყოს. მელანოსთან რაღაც სერიოზული საქმე მაქვს და მე თვითონ დაგიძახებ, კარგი?

მაკა წამოდგა და უხმოდ გავიდა, მელანო კი წარბაწეულმა კარგად "ჩაალივერა".

როცა კარები დაიკეტა და ოთახში ორნი დარჩნენ, ირაკლი მელანოს მიაჩერდა. მელანომაც იმწამს შეაგება სახე და თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა. ირაკლი ვერ მიხვდა, რა უნდოდათ მისგან და შუბლი შეჭმუხნა.

_ მიყვარხარ, აღარ შემიძლია უშენოდ, _ თქვა მელანომ და თავი ჩაღუნა.

_ რა? _ გულწრფელად გაუკვირდა ირაკლის, _ ასე უცბად, ასე შეგიყვარდი? _ წამოსცდა თავისდაუნებურად.

_ ჰო! _ თქვა მელანომ და დადუმდა.

_ ეჰეე! _ შეუსტვინა ლამაზად ირაკლიმ, _ შენ აღარ ხუმრობ... _ თუმცა, გულში მაგრად გაუხარდა.

_ ჰო! _ თქვა ისევ გოგონამ და თვალებში შეხედა, _ მართლა აღარ შემიძლია, არა! მე პატარა აღარ ვარ, ოცის ვხდები... _ ორი წელი მოიმატა მელანომ.

_ მერე? _ არ იცოდა, რა ეთქვა ირაკლის.

_ წავიდეთ სადმე ერთად, წამოხვალ? _ შესთავაზა, უცბად, მელანომ.

_ სად? _ ბრინჯივით დაიბნა ირაკლი, რადგან ვერ მიხვდა, რას სთავაზობდა გოგონა.

_ სადაც გინდა, მე გპატიჟებ! _ უთხრა მელანომ დამაჯერებლად.

_ კარგი, წამოვალ, მაგრამ ექსცესების გარეშე, კარგი!? _ გადაწყვიტა ირაკლიმ.

_ რა ექსცესების? _ რაღაცას მიხვდა, მაგრამ მაინც შეეკითხა მელანო.

_ შენებური... რა ვიცი... ღამურა, ვირთხა და მიშველე, ირაკლი, აღარ იქნება!

_ ჰო, კარგი, კარგი! _ გაეცინა თავის ბოხ ხმაზე მელანოს.

ირაკლიმ სტუდია მაკას გადაულოცა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

ირაკლის თავისი "ნოლ-ცხრა", რომელიც, აი, უკვე, რა ხანია, ვერაფრით გამოცვალა, სტუდიასთან, ქუჩაში ედგა, მაგრამ არ უნდოდა მელანოს მისი ძველი მანქანა ენახა და უმანქანოდ ვარო, უთხრა. და რადგან გოგონა ეპატიჟებოდა, შენ დამპატიჟე, სადაც გინდოდესო.

K_ კარგი, _ უთხრა მელანომ და ტაქსის ხელი აუწია. უკან ჩასხდნენ, _ ფუნიკულიორზე შეგიძლია აგვიყვანოთ? _ ჰკითხა მელანომ მძღოლს.

_Fფულს თუ გადამიხდით, ფუნიკულიორზე კი არა, თუ გინდათ, ბაკურიანში აგიყვანთ, პირდაპირ კოხტა გორაზე, _ უპასუხა მძღოლმა.

_ ასი დოლარი გეყოფათ? _ შეეკითხა მძღოლს მელანო.

_ რა? სად მივდივართ, ბაკურიანში? _ თავი მოაბრუნა და ქალიშვილს შეხედა მძღოლმა.

_ შენ, რა, მიტაცებ? _ მიუტრიალდა მელანოს ირაკლი.

_ ჰო, შეგეშინდა? _ შეეკითხა მელანო.

_ მერე, მე არაფერს მეკითხები? რა მინდა ბაკურიანში, თოვლი იქ არ არის ახლა და არაფერი...

_ არაფერი. ჯერ წამოდი და მერე ილაპარაკე, რომ არაფერი არ არის, შენ ხომ არ იცი, სადაც მიმყავხარ!?

_ არ ვიცი და არც მაინტერესებს, არავითარი სურვილი არა მაქვს, ორ საათში თავი ბაკურიანის ტყეში ამოვყო.

_ ტყეში აქა ხარ, სულელო, ჯერ იცი, სად მიმყავხარ?

_ ჰა, სად მივდივართ, გამაგებინეთ! _ ხელები გაშალა მძღოლმა.

_ ბაკურიანში. _ თქვა მელანომ.

_ წავედით? _ უკვე სარკიდან შეეკითხა ირაკლის მძღოლი.

_ წავედით! ჯანდაბას! _ მხრები აიჩეჩა ირაკლიმ.

_ "დავაი", მიაჭირე! _ უბრძანა მძღოლს მელანომ.

_ მართლა? _ მაინც გადაამოწმა სარკიდან ირაკლის აზრი მძღოლმა.

_ წავედით, ჰო, თუ "ბე" გინდა? _ გაიცინა ირაკლიმ.

_ კი, ბატონო! წავედით და წავედით, ოღონდ, ერთი, ოცდაათი ლარიც დამიმატეთ, ბენზინის, _ როგორც ჩვევიათ, მაინც იმათხოვრა მძღოლმა და გასაღები გადაატრიალა.

_ კარგი, _ უპასუხა მელანომ.

მანქანამ გეზი დასავლეთისკენ აიღო.

"ეშმაკმა უწყის, რას მიპირებს, რაც იქნება, იქნება!" _ გაიფიქრა ირაკლიმ და სავარძელზე გადააგდო თავი. მელანოც ზუსტად მასავით მოიქცა. "ნისანი" კი, როგორც სხვა იაპონური მანქანები, ტრასაზე სისინით მიჰქროდა.

_ ო, ლალაა! _ აღმოხდა ირაკლის, როცა მანქანა გაუშვეს და შუა ბაკურიანში, ლამაზ სამსართულიან სახლს მიაყენა მელანომ.

ჭიშკარი დაკეტილი იყო. მელანომ ზარის ღილაკს თითი მიაჭირა და გვერდით მდგომ, ჩვეულებრივ, ერთსართულიან სახლზე მიათითა.

_ ახლა ნახე, როგორ გამოიქცევა, _ და რომ იტყვიან, იმ სახლიდან, მართლაც, ფართხა-ფურთხით გამოვარდა, ასე, ორმოციოდე წლის ქალი და მათკენ გამოიქცა.

_ უი, მელანო, რატომ არ დამირეკეთ, თუ მოდიოდით? _ თან ჭიშკარს აღებდა და თან ირაკლის აკვირდებოდა ქალი.

ეზოში, ჯაჭვზე გამობმული ქართული ნაგაზი, მელანოს დანახვაზე მთლად გადაირია. მელანოც პირდაპირ მას მიეჭრა და მეგობრებმა ერთმანეთი მოისიყვარულეს.

_ მოდით, მოდით! _ პირველი სართულის კარი შეხსნა და შინ შეიპატიჟა ქალმა ირაკლი.

გარშემო ყველაფერი კაკლის ხის მასალაში იყო ჩასმული, მოჩუქურთმებული, ხვეული, რიკულებიანი კიბე მეორე სართულზე ადიოდა. ფანჯრების ჩარჩოებიც და რაფებიც კი მოეჩუქურთმებინათ. თითქმის ყველა ფანჯარასთან და კუთხეშიც, ლამაზი, მრგვალი, ძველებური სამფეხა მაგიდები იდგა, მაღალზურგიანი ძველებური სკამებით და, იქვე, კედლებზე კი, ძველებური, მოოქროვილი ბრეები ანათებდა.

_ ამ წუთას ბუხარს დავანთებ და გათბებით, _ თქვა ქალმა, _ თორემ ძალზე თხლად გაცვიათ, აქ, იცით, როგორ ცივა, უკვე, ღამღამობით?

ოთახში კედრის სურნელი იგრძნობოდა და ირაკლიც ღრმად ისუნთქავდა ბაკურიანის სუფთა ჰაერს.

ქალმა ასანთს გაჰკრა და ბუხარში წინასწარ მომზადებულ ფიჩხს მიუმარჯვა. ფიჩხს ცეცხლი სწრაფად მოედო, საიდანაც ცეცხლი ხმელ კუნძზე გადავიდა და ბუხარი სულ მალე აღუღუნდა.

_ მარტო თქვენ ჩამოხვედით? თქვენები? _ ჰკითხა ქალმა შინ შესულ მელანოს.

_ ჰო, მარტო ჩვენ ჩამოვედით, ეს ჩემი ბიძაშვილია, ირაკლი, _ გააცნო ქალს თანამგზავრი მელანომ, _ ეს კი ციურია, _ ირაკლის კი ქალი გააცნო და ხელები ბუხარს მიუფიცხა.

_ რით ჩამოხვედით? მანქანა რომ ვერ დავინახე? _ იკითხა ქალმა.

_ ტაქსით... _ თქვა მელანომ.

_ თქვენებმა იციან? _ რატომ წინასწარ არაფერი შემატყობინეთ? _ შეეკითხა ციური.

_ როგორ არ იციან, ისე ვინ გამოგვიშვებდა? _ ისე გაიკვირვა მელანომ, რომ მის გულწრფელობაში ციურის ეჭვი არ უნდა შეპარვოდა.

_ როგორ არიან, რას შვრებიან?

_ რა უჭირთ. აქ, აქ რა ხდება, ბაკურიანში? _ შეეკითხა მელანო.

_ აქ? აქ დიდი ამბები ხდება. მთელი მიწა გაყიდეს, დიდი მუშაობა მიდის, სათხილამურო ტრასების, საციგურაო მოედნების... რა მოგიმზადოთ, რა გესიამოვნებათ?

_ არაფერი არ გვინდა, ჩვენ გავალთ, მარტო თბილი ლოგინი... _ სთხოვა მელანომ.

_ კარგი, მაშინ ხაჭაპურს გამოგიცხობთ, მაცივარში წვენები ისევ ისევეა ხელუხლებელი... _ თქვა ციურიმ და გავიდა.

წყვილი ქუჩაში გამოვიდა. ირაკლი კოსტიუმში იყო, თუმცა პერანგზე პულოვერიც ეცვა. მელანომ ვაჟს ხელკავი გაუკეთა და ისინი ბაკურიანის ცენტრისკენ დაიძრნენ, დაბა იმდენად შეცვლილიყო, რომ ირაკლი ვეღარაფერს სცნობდა. მელანო კი ზედ ეკვროდა და ცდილობდა ყველაფერი აეხსნა. ჯერ ისევ შუადღე იყო, ცაზე მზე ანათებდა და მაგრადაც ათბობდა.

_ გშია? _ შეეკითხა მელანო.

_ აბა? არ მომშივდებოდა ასეთ ჰაერზე? _ თქვა ირაკლიმ და ღრმად ჩაისუნთქა.

_ მაშინ შევიდეთ.

_ სად? _ იკითხა ირაკლიმ.

_ აი, რესტორანში! _ უთხრა მელანომ და ორსართულიან შენობაზე მიუთითა, რომლისთვისაც თავზე დიდი ტრაფარეტი გაეკეთებინათ და ქართული შრიფტით “ტორეადორი” ეწერა.

“ტორეადორი” მთლიანად მინის კარკასში იჯდა და უფრო გასტრონომს ჰგავდა, ვიდრე რესტორანს. დარბაზი, რა თქმა უნდა, ცარიელი იყო და ჩვენი წყვილიც ერთ-ერთ მაგიდას მშვიდად მიუსხდა.

ოფიციანტი, რომელიც სამზარეულოდან გამოვიდა, ცოტა დაბნეულიც კი ჩანდა, რადგან, ალბათ, ასე უდროო დროს, კლიენტურას არ ელოდა. მან მენიუ მაგიდაზე დადო.

_ ჯერჯერობით, მხოლოდ ცივი საჭმელები შემიძლია მოგართვათ. _ უთხრა და ჯერ ერთს, შემდეგ კი მეორეს შეხედა.

_ რა? _ მელანოNგადაშლილ მენიუს დაჰყურებდა, _ მოგვიტანეთ ზეთისხილი, ეს “შუბა” რა არის?

_ სალათია, რუსული...

_ ეს აქაც სწერია….

_ ძალიან გემრიელი სალათია... _ გამოასწორა შეცდომა ოფიციანტმა გოგონამ.

_ ვენდოთ? _ შეეკითხა მელანო ირაკლის.

_ ვენდოთ.

_ შამპანური, ხომ? _ სასმელებზე გადავიდა მელანო, _ ფრანგული...

_ კი, ბატონო! _ დაეთანხმა ირაკლი.

_ და ხბოს მწვადი, რამდენ ხანში იქნება? _ იკითხა მელანომ.

_ ალბათ, ოც, ოცდახუთ წუთში.

_ ძალიან კარგი, მაშინ ორი მწვადი, შამპანური, ზეთისხილი და შუბა, თქვენი შუბაც დავხიე! _ გაიცინა მელანომ.

_ წვენი, ფანტა, კოკაკოლა...

_ არა, არაფერი... _ უარი თქვა მელანომ.

ოფიციანტი წავიდა.

_ რიო-დე-ჟანეირო გაგიგონია? _ შეეკითხა, ისე, სხვათა შორის, ირაკლი.

_ კი, როგორ არა, ბრაზილია, კარნავალები, შიშველ-ტიტველი ქალები...

_ და კაცები... _ დაამატა ირაკლიმ.

_ მერე? _ შეეკითხა მელანო.

_ წამოხვალ?

_ სად, რიო-დე-ჟანეიროში? _ ვერ დამალა განცვიფრება მელანომ.

_ ჰო! _ მოკლედ მოჭრა ირაკლიმ.

მელანო უცბად დასერიოზულდა.

_ შენ, ალბათ, საქორწინო მოგზაურობას მთავაზობ, ხომ?

_ თუნდაც... _ გამოსცრა ირაკლიმ.

_ მაშინ უნდა გავიპაროთ... _ თქვა მელანომ.

_ რატომ, ოფიციალურად რომ ვითხოვო შენი ხელი, არ შეიძლება?

_ არ ვიცი, რომ ჩაგვეშალოს? მერე ყველაფერი უფრო გართულდება, _ ჩაფიქრდა მელანო.

_ მაშინ გავიპაროთ, _ დაეთანხმა ირაკლი.

_ გენიალურია, მაგრამ აქ რომ ვართ? _ თითზე იკბინა მელანომ, _ ჩვენებმა არ უნდა გაიგონ, უნდა დავრეკო და რაღაც მოვიტყუილო.

_ უთხარი, გარეჯაში ვართ გადაღებაზე, დილას მზის ამოსვლა უნდა გადავიღოთ და ყველანი ვრჩებით, აქ ვათევთ ღამეს-თქო... _ უკარნახა ირაკლიმ.

მელანომ იმ წამს გადარეკა.

_ სად ხარ, მელანო? _ შეეკითხა დედა.

_ დედიკო, გარეჯაში ვართ გადაღებაზე და გვტოვებენ ყველას. აქ ვათევთ ღამეს, დილას მზის ამოსვლა უნდა გადავიღოთ...

_ გაგიჟდნენ? _ გაუკვირდა ქალბატონ ზინაიდას, რასაც მელანო, რა თქმა უნდა, მოელოდა.

_ რატომ, ზინა, რა მოხდა? ხვალ საღამოს დავბრუნდებით, აქ კი არ ვრჩებით სამუდამოდ...

_ კაი, მაშინ ჭკვიანად იყავი! _ უთხრა დედამ და გათიშა.

_ ე, მეგონა გადაირეოდა... _ გაუკვირდა მელანოს.

ოფიციანტი გოგონა შემოვიდა, ზეთისხილი და "შუბა" დადგა და შამპანურის ბოთლი უხმაუროდ გახსნა. პირველი ჭიქებიც მანვე შეავსო და გავიდა.

ირაკლიმ ჭიქა ასწია.

_ "თრობის საათია, ღვინის საათია", _ თქვა და მელანოს გადახედა.

_ "გულში ქარიშხალმა ღამე გაათია", სიყვარულით შევცვლიდი, "გულში სიყვარულმა ღამე გაათია", _ დაამატა მელანომ.

_ თანახმა ვარ! _ დაეთანხმა ირაკლი და ჭიქა მიუჭახუნა.

მალანომ ოდნავ მოსვა, ირაკლიმ კი ბოლომდე გამოსცალა.

_ ახლა მეც დავრეკავ! _ ახლა ირაკლიმ გაუშვა ზარი თავის მობილურზე.

_ ჰო, ირაკლი... _ უპასუხა მართამ.

_ მართა, რიო-დე-ჟანეიროს ერთი საგზური უნდა გამოცვალო, ერთი ხომ ჩემზეა და მეორე ბაია მღებრიშვილის სახელზე რომ არის, ეგ უნდა მელანო გარდაფხაძის სახელზე გადაკეთდეს, კარგი?

_ მერე მონაცემები? _ იკითხა მართამ.

_ მონაცემებს მერე ჩაგაწერინებ, ახლა არა ვარ ქალაქში, ქალაქგარეთ ვარ...

_ ოკეი, მელანო გარდაფხაძე, სხვა არაფერი? _ შეეკითხა მართა.

_ არა, კარგად, _ დაემშვიდობა ირაკლი და მობილური გათიშა.

_ რიო-დე-ჟანეირო, პალმები, მზე, ოკეანე... მაგრად ასწორებს... _ გაიზმორა მელანო, თითქოს, უკვე რიოს სანაპიროზე იწვა, ცხელი მზის გულზე. _ არ მინახავს ოკეანე...

_ ზღვა? _ შეეკითხა ირაკლი.

_ ზღვის გიჟი ვარ, _ თქვა მელანომ, _ საათობით შემიძლია ზღვაში ვეგდო და ცას ვუყურო. შენ, შენ არ გიყვარს, ზღვაში გულაღმა წოლა და ცაში ყურება?

_ მე? მე პლაჟზე უფრო მიყვარს ჯდომა...

_ და ლამაზი გოგოების ყურება, არა? _ გაიცინა მელანომ.

_ შენ როგორ ფიქრობ, ლამაზი ცოცხალი ქალის ყურება სჯობს თუ მაგარი ნახატისა, თუნდაც რენუარის გოგონების?

_ არა, აი, ამათი... _ თქვა მელანომ და ირაკლი კარისკენ მიახედა, საიდანაც ოთხი ყაზახური სახის ტიპაჟი შემოვიდა და მაგიდას მიუსხდა. ამ ოთხი "ტროყის" (მოდღლეზილი ტიპი იყო ოთხივე) შემოსვლა და რესტორანში სიტუაციის შეცვლა ერთი იყო. დარბაზში იმ წამს საცეკვაო მელოდიაც შემოიჭრა. ოფიციანტი გოგონაც, რომელსაც არც ისე ურიგო უკანალი ჰქონდა, რაღაც ღიღინითა და ცეკვა-ცეკვით შემოგოგმანდა და ისე ეახლა ყაზახთა ოთხეულს. ოფიციანტის ასე უეცარი მეტამორფოზა ირაკლის ჯერ კი მაგრად გაუკვირდა, მაგრამ შემდეგ, როცა რესტორნის მეპატრონის სახე დაიჭირა, რომელმაც სამზარეულოდან წამით გამოიხედა და დარბაზი "დაალივერა", მიხვდა, გოგონა სპეც-დავალებას ასრულებდა, ანუ უკანალს, გამომწვევად, სხვისი დავალებით "ათამაშებდა", და რომ აქაური გოგონები უკვე ფულიანი ყაზახების ხასებად ქცეულიყვნენ და რომ მალე აქაურობას ახალი რასაც მოევლინებოდა, ანუ ქართულ-ყაზახურ ნერგზე დამყნილი ნუშის თვალება თაობა. და, რომ ამ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებდა. თუ გახსოვთ, ტოლსტოის თეორია, "ომი და მშვიდობიდან", უკვე დაწყებულიყო რასების აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადმონაცვლება. თვით რომშიც კი, შიგ ცენტრში, რომაელი იმპერატორის, "პიაცა ემანუელე სეკონდოს" სახელობის რაიონი, მთლიანად ჩინელებითაა დასახლებული.

_ მე მგონი, ყაზახები თვალებით გჭამენ... _ უთხრა მან მელანოს, როცა მეორე ჭიქაც გამოცალა.

_ ერთი მაგათიც... მთელი ხეობა იყიდეს... _ თქვა მელანომ.

_ ევროპა გაერთიანდა და, ალბათ, აზიასაც ბოლოს იგივე ელის, ასე რომ, გადარჩენის შანსი ნულის ტოლია... _ თქვა ირაკლიმ.

_ თუ ომი არ დაიწყო, კი... მამაჩემი სულ იმას გაიძახის, ომი არ აგვცდებაო, _ თქვა მელანომ და უცბად დააყოლა: _ მე ცეკვა მინდა, შენ?

_ ვიცეკვოთ! _ თქვა ირაკლიმ, წამოდგა და ხელი გაუწოდა.

დარბაზში რაღაც ძველი, როკ-ენ-როლის მსგავსი რიტმული მუსიკა იღვრებოდა. ორივემ სწრაფად აუღეს ალღო და ისეთი გახელებით და თავდავიწყებით აცეკვდნენ, თითქოს, საბოლოო ცეკვას ასრულებენო. ორივე მძაფრად გრძნობდა ერთმანეთის

სუნთქვას და სხეულის სურნელებას, მათი ლაღი, თავისუფალი მოძრაობები აშკარად მიანიშნებდა, რომ როგორც ქართველ ბავშვთა უმრავლესობას, მათაც, რაღაც ქართულ-ევროპული "ცეკვის" სკოლა, უნდა ჰქონოდათ გავლილი. ბოლო, უკანასკნელი აკორდები მუსიკისა, ბოლო, თავბრუდამხვევი ტრიალი და ვაჟი და ქალი ერთ სხეულად იქცა... პირველი კოცნა, ქალის ტკბილი ტუჩების თრთოლა და ვაჟის აღტკინება სულ რამოდენიმე წამს გაგრძელდა.

ორივე ყაზახების ტაშმა გამოაფხიზლა და ისინიც თავიანთ მაგიდას დაუბრუნდნენ.

_ წავალ ხელს გადავიბან... _ თქვა ირაკლიმ და წამოდგა.

_ მოიცა, ბაია მღებრიშვილი ვინაა? _ ხელზე მოკიდა წამომდგარ ვაჟს მტევანი მელანომ.

_ არავინ, იყო ერთი... _ თქვა ირაკლიმ და ხელი გააშვებინა, _ გამიშვი!

_ კაი... _ მეტი აღარაფერი ჰკითხა მელანომ და ირაკლი ტუალეტში გავიდა.

რესტორანს მხოლოდ ორი, თითოკაციანი ტუალეტი აღმოაჩნდა, ერთი ქალების და ერთიც კაცების. პირველს ქოლგა ეხატა, მეორეს ყალიონი. როცა ირაკლიმ ხელების გადაბანა დაიწყო და სარკეში თავისი სახე დაინახა, მოეჩვენა, რომ მაგრად შეცვლილიყო, ქუთუთოებიც ჩამშავებიაო, გაიფიქრა, მიზეზს კი ვერ მიხვდა. ალბათ, შამპანურის ბრალიაო და ეს აზრი თავიდან მოიცილა. მერე სახეზეც შეისხა წყალი, ხომ არ ავჩქარდი, ყველაფერი არ გავაფუჭო, რა უცბად ამაგდო ამ ბავშვმაო, გაიფიქრა. სახე თავისი ცხვირსახოცით შეიმშრალა და გამოვიდა.

გამოვიდა და კართან გაშეშდა, იმ მაგიდასთან, სადაც ამ ორიოდე წუთის წინ, ის და მელანო ისხდნენ, ვიღაც ორი კოსტიუმში ჩაცმული ტიპი იჯდა, მელანო კი აღარსად ჩანდა. ალბათ, მეშლებაო, გაიფიქრა და დარბაზი მოათვალიერა, მაგრამ სხვა არც ერთი მაგიდა, გარდა იმისა, რომელთანაც ყაზახები ისხდნენ, გაწყობილი არ იყო. გამოდიოდა, რომ არ ეშლებოდა, ის ორი ტიპი, სწორედ მათ მაგიდასთან იჯდა. აი, ერთ-ერთმა დაინახა კიდეც ირაკლი და ხელი დაუქნია. სხვა გზა არ იყო, უნდა თავის მაგიდასთან მისულიყო და გაერკვია რა ხდებოდა, თუმცა გული კარგს არფერს კარნახობდა. ბიჭები წამოდგნენ და ირაკლის საკუთარ სკამზე მიუთითეს, ხელი კი რატომღაც არცერთმა არ ჩამოართვა, არც მისალმებია. ირაკლი მათ გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ რაღაც არასასიამოვნო რამე უნდა მოესმინა და მოემზადა.

_ მელანო სახლში წავიდა. მოკლედ, თავისუფალი ხართ. ჩვენ მხოლოდ ამის სათქმელად დაგელოდეთ... _ თქვა ერთ-ერთმა და ორივე სახეში მიაჩერდა, ალბათ, მის რეაქციას ელოდნენ.

ირაკლი მოიღუშა, არ იცოდა რა ეთქვა. მიხვდა, რომ კითხვების დასმას აზრი არ ჰქონდა.

_ სად წავიდე მერე, ერთი თეთრიც არა მაქვს... _ თქვა მან და მხრები აიჩეჩა.

_ ეგ თქვენი პრობლემაა, _ უთხრა მეორემ და მწვადი გადაიღო.

ირაკლი მიხვდა, რომ ეს არც მარტივი თამაში იყო და არც ხუმრობა. საქმე ბევრად უფრო სერიოზულად იყო და კიდევ _ რაიმე შეცდომა რომ დაეშვა, შესაძლოა, უარესიც მოსვლოდა: ვთქვათ, დანახარჯის გასტუმრება, რაც ეშმაკმა უწყოდა, კიდევ რა პრობლემას შეუქმნიდა და როგორ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებდა. ამიტომ წამოდგა, კარგად იყავითო, _ დაემშვიდობა უცნობებს და კარისკენ გაემართა. თუმცა მაგრად ეშინოდა _ აი, ახლა დამიძახებენ, მიმაბრუნებებ და სუფრის ფულს მომთხოვენო... "მთავარია, არ მივიხედო", _ ფიქრობდა ირაკლი და ისე გავიდა გარეთ, რომ უკან არ მიუხედავს.

გამოვიდა თუ არა, ზამთრის სუსხი ჯერ სახეში ეცა, მერე კი ქვემოთაც დაუარა და ირაკლიმ განცვიფრებულმა შენიშნა, რომ მზე დამალულიყო, მოღრუბლულიყო, ცივად

ცრიდა და წვრილი, ნემსივით ხოშკაკალაც აყრიდა ციდან. “ეს რაღა სიგიჟეა?!” _ გაოგნდა და სწრაფად დაუყვა ქუჩას. ჯერ რკინიგზის სადგურს შევაფარებ თავს და მერე რაიმეს ვიღონებო, _ გაიფიქრა.

სადგურს მალე კი მიაღწია, მაგრამ კოსტიუმი უკვე მთლად სველი ჰქონდა და ფეხსაცმელიც... დარბაზში ვერც შევიდა, რადგან კარი დაკეტილი იყო. თუმცა, ბაქანი გადაეხურათ და თავზე აღარ აწვიმდა. ფილტვების ანთება ზედა მაქვსო, _ ნერვიულობდა და მობილურით ზარს ზარზე უშვებდა. მობილური კი დუმდა. არც სტუდიიდან, არც მისი სხვა ოფისებიდან თუ მობილურებიდან არავინ პასუხობდა... ბოლოს ანიმ უპასუხა, მაგრამ _ მე თვითონ კვარიათში ვარ, ბიჭო, და აქედან როგორ გიშველოო? _ უთხრა... ირაკლი იგინებოდა, იფურთხებოდა და იმუქრებოდა, მაგრამ რას გახდებოდა?.. მოკლედ, დრო სწრაფად გადიოდა და რაიმე უნდა ეღონა. ბაქანზე ორმა პატარა ბიჭმა შემოირბინა, რომლებიც ალბათ, ერთმანეთს დასდევდნენ და ერთობოდნენ.

_ ბიჭებო, _ გააჩერა ბავშვები ირაკლიმ, _ ბორჯომში მატარებელი არ დადის?

_ არა, _ უპასუხა უფროსმა, _ ლიანდაგი ააფეთქეს ხომ... აყრილიაო წაღვერში, დივერსიაო...

_ დიდი ხანია? _ იკითხა ირაკლიმ.

_ უკვე ერთი კვირაა... აკეთებენ, _ უპასუხა იმავემ.

_ ბორჯომში მიდიხარ? _ შეეკითხა პატარა.

_ ჰო! _ უპასუხა ირაკლიმ.

_ მანქანები დადის, ტაქსებიც. ავტოსადგურიდან. იქ უნდა წახვიდე! _ ურჩია უფროსმა.

_ ფული არა მაქვს... _ გამოუტყდა ბავშვებს ირაკლი.

_ თუ ფული არა გაქვს, “სამასვალები” დადის ხოლმე, დიდველის გზა გაჰყავთ და იმათ უნდა გაჰყვე... ბევრი მანქანა დადის იქიდან. ხელს აუწევ და გაგიჩერებენ. ოღონდ გზაზე უნდა გახვიდე, აქედან ერთი კილომეტრია, მეტი არა... _ ანუგეშა ბავშვმა. _ სირბილით თუ წახვალ, ათ წუთში გახვალ...

_ გასაგებია, _ თქვა ირაკლიმ, შემშრალი კოსტიუმის საყელო აიწია და დაძუძგა. გარბოდა და აღარაფერზე ფიქრობდა, გარდა იმ თვითმცლელისა, რომელსაც უნდა გადაერჩინა და ბორჯომამდე მაინც ჩაეყვანა. იქნებ მსუბუქმა მანქანამაც გამოიაროს და გამაყოლოსო, ფიქრობდა. სველდებოდა, მაგრამ სირბილში გახურდა და სიცივეს ვეღარ გრძნობდა. გზები იცოდა, ჯერ კიდევ დღე იყო და ბაკურიანის შემოსასვლელს სწრაფად მიაღწია.

პირველი თვითმცლელი ძალიან მალე გამოჩნდა. ირაკლიმ ხელი აუწია, მაგრამ მანქანა არ გაჩერდა და ჩაუარა. ირაკლიმ შენიშნა, რომ კაბინაში მძღოლიანად სამნი ისხდნენ და ალბათ ამიტომ არ გამიჩერაო, იფიქრა. როცა მეორე თვითმცლელმაც არ გაუჩერა და კაბინაში მხოლოდ მძღოლი შენიშნა, ირაკლი, რომელიც აღარ მოძრაობდა და ამიტომ ცოტა შესცივდა კიდეც, მაგრად შეფიქრიანდა: იქნებ არავინ გამიჩეროს და სად წავიდეო? _ ფიქრობდა. ცისფერმა “გოლფმა” გაუარა, მაგრამ მიუხედავად ირაკლის ხელ-ფეხის ქნევისა, ისე ჩაუარა, თითქოს ვერც შენიშნა. როცა მომდევნო “სამასვალმაც” არ გააჩერა, ირაკლი მიხვდა, რომ რაიმე სხვა უნდა ეღონა, ამიტომ მოსახვევთან დადგა და იქ დაელოდა. მალე მანქანაც გამოჩნდა, მოსახვევთან შეანელა და ირაკლის გასცდა. ირაკლი გამოუდგა და სცადა შეხტომოდა, მაგრამ სველ რკინაზე ხელი დაუსხლტა და რადგან მიხვდა, თავქვე, პირდაპირ სახით ეცემოდა, გვერდით შეტრიალდა და სველ ასფალტს მხრით დაასკდა, მერე კი რამდენჯერმე გადატრიალდა კიდეც... სწრაფად

წამოხტა. თავიდან ტკივილი ვერც იგრძნო, მერე კი მარჯვენა მუხლის კვერი და მხარიც მაგრად ასტკივდა... ნეტავ, მოტეხილი მაინც არ მქონდესო, _ გაიფიქრა.

მალე ისევ გამოჩნდა ცარიელი "სამასვალი". ირაკლი ამ დროს შუა ქუჩაში იდგა და იქ ელოდებოდა, ეგებ ასე მაინც გამიჩერონო, ფიქრობდა. მისმა ხერხმა მართლაც გაჭრა და მანქანა გაჩერდა... სველი და გამწარებული ირაკლი კოჭლობით მიუახლოვდა კაბინას. კარი გაიღო და ირაკლიმ დაინახა, რომ კაბინაში ოთხნი ისხდნენ და მისი ადგილი იქ ნამდვილად ვერ იქნებოდა.

_ გამოყვებით, რა, საფეხურზე დავდგები, _ სთხოვა ირაკლიმ.

_ მერე, ინსპექციამ რომ დამიჭიროს, ცოლ-შვილს შენ შემინახავ?.. _ შეეკითხა მძღოლი.

_ შეგინახავ! _ სერიოზულად უპასუხა ირაკლიმ და მძღოლი მიხვდა, რომ ირაკლის ცუდად ჰქონდა საქმე.

_ ძარაზე რომ ახვიდე, მაშინ არაფერს მეტყვიან, გაწყობს? _ შეეკითხა მძღოლი.

_ გაცივდება, ეე, მოკვდება! _ ჩაილაპარაკა მის გვერდით მჯდომმა.

_ არა, არა, მაწყობს... _ უთხრა ირაკლიმ. _ ავალ, ერთი წუთი მაცალე! _ უთხრა და მიუხედავად ფეხსა და მხარში ტკივილისა, საბურავიდან მაინც გადაძვრა ძარაზე და წავედითო, მძღოლს გადასძახა.

მანქანა დაიძრა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა დღეში ჩავარდებოდა, თავისი გრძელცხვირიანი ფეხსაცმლით, შავ, ასფალტის მზიდავი მანქანის ძარაზე, წვიმის ცივი შხაპის ქვეშ, სიცივისგან თოკივით დაგრეხილი ირაკლი... ისე გაიყინა, რომ მალე ტკივილის შეგრძნებაც კი დაკარგა და სიცივეს როგორმე რომ შერკინებოდა, ფეხზე წამოდგა და მთელი ხმით ამღერდა. მალე თაზოს მთელი რეპერტუარი ჩააბულბულა და გამეორებაზე გადავიდა... სხვათა შორის, სიმღერამ მართლაც უშველა, თორემ შავ დღეში იყო...

ჯერ კიდევ მანქანის ძარაზე იყო, როცა ჯიბეში ხელი ჩაიყო და თავისი მობილურის დაკარგვის შესახებ შეიტყო. მოლკედ, ყველაფერი მის წინააღმდეგ მუშაობდა _ ცაც, მიწაც და ხალხიც... მელანო არც კი გახსენებია... ბინდდებოდა...

_ ცოცხალი ხარ? _ ბორჯომში ვაგზალთან გააჩერა მანქანა მძღოლმა. კაბინიდან სამივე მგზავრი გადავიდა და დიდი ინტერესით უმზერდა, როგორ ჩამოძვრა ძარადან გალუმპული თანამგზავრი.

_ დიდი მადლობა, _ ხელი ჩაიქნია ირაკლიმ და ვაგზლისკენ კოჭლობით გასწია, სადაც ბაქანზე, რომელიც განათებული იყო, ბაკურიანისგან განსხვავებით, საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა. "ელექტრიჩკა" უკვე ჩამომდგარი იყო და ხალხი ვაგონებში ადიოდა.

ვაგონში ასვლისთანავე ირაკლი პირველსავე სკამთან გაჩერდა და გაკვირვებული ხალხის თვალწინ "სტრიპტიზის თადარიგს" შეუდგა: ჯერ ფეხსაცმელი გაიძრო, მერე კოსტიუმი გაიხადა, პიჯაკიც და შარვალიც, მერე კი _ პულოვერიცა და პერანგიც მიაყოლა და ცარიელ ტრუსში დარჩა. რაც გაიძრო, ყველაფერი გაწურა, იქვე მიფინა, სკამზე ახტა და ლოტოსის პოზაში მოკალათდა. დაჯდა და ორ წუთში კბილის კაწკაწი დააწყებინა.

_ რა დღეშია ეს კაცი?! _ ჩაილაპარაკა კაცმა, რომელსაც იქვე მდგომი ქალიც წამოეშველა.

_ ხალხო, უშველეთ ბიჭს, არაყი არავის გაქვთ? _ დაიძახა მან და გვერდით მყოფ ბიჭს მიმართა: _ ნოდარ, გაიხადე, ბიჭო, ეგ შენი ჯვალო, ათხოვე ამ საცოდავს ცოტა ხანს. რა ისე შენა გცივა?! შენი ამბავი რომ ვიცი, დილიდან "გრადუსებში" იქნები... _ ქალს წინ თავისი ყუთები ეწყო, რომლითაც ქალაქში ხილი მიჰქონდა. საერთოდ, მთელი ვაგონიც

და ტამბურიც ყუთებით იყო გადატენილი: მოგეხსენებათ, ამ ყუთებით ბორჯომის რაიონის გლეხობა, თბილისში, “ბორჯომის ვაგზლის” ბაზრობაზე ხილსა და სხვა ჭირნახულს ეზიდება.

ნოდარამ იმწამს გაიძრო თავისი “ჯვალო”, რომელიც ჩვეულებრივ, ლურჯი მიტკლის ხალათს წარმოადგენდა და ირაკლის ჩააცვა. მერე ვიღაცამ თბილი “კურტკაც” მოახურა, რაღაც სამუშაო შარვალიც მისცეს... მალე პლასტმასის ლიტრიანი ბოთლით არაყიც გააჩინეს, ცოტა შემრაშული პომიდორიც დაჭრეს, ცოტა ვაშლი, ყველი, ნივრის კბილებიც გაფცქვნეს, შოთებიც დააწყვეს და გახურდა დღევანდელი ქართლური სახელდახელო ქეიფი.

გადახუხა თუ არა პირველი ჭიქა, ირაკლის თავისი მუხლისკვერი გაახსენდა. ხელი მოიკიდა, გასიებული ეჩვენა. მისაყოლებელი მიაწოდეს და იმწამსვე მეორეც შეუვსეს. ირაკლიმ ისიც გადახუხა და ცოტა ამ ქვეყნისკენ მოიხედა.

_ ჰა, როგორა ხარ, გაბაბანებს კიდევ? _ შეეკითხა ტანმორჩილი კაცი, რომელსაც მარჯვენაზე ცერა თითი აკლდა.

_ ცოტა მეშველა... _ ჩაილაპარაკა ირაკლიმ და გააჟრიალა.

_ ცერავ, გაუვსე ერთიც! _ მიმართა დაბალს მის გვერდით სკამზე მოკალათებულმა ნოდარამ. _ ღმერთი სამობით არის...

_ ჰა, გადაკრავ კიდევ ერთს? _ შეეკითხა ცერა ირაკლის, რომელმაც თანხმობის ნისნად თავი დაუქნია.

ცერამ დაუსხა და ირაკლიმ ერთიც გადაჰკრა. მერე შოთი და ყველი გაღეჭა და გაიღიმა. ცოტა გამთბარიყო, თანამეინახეებს გადახედა და ხელი აიქნია.

_ ჩემი ჭკუა რა ვთქვი, თორემ რა მინდოდა ბაკურიანში?..

_ ჰო, სად იყავი, ბიჭო, სად დაჟივდი ასე, ვერსად შეეფარე? _ შეეკითხა ცერა და ნივრის კბილი დაუდო. _ ნიორი ჭამე, თუ გინდა, რომ არ გაცივდე!

ირაკლიმ ნივრის კბილს მოაკბიჩა და იკითხა:

_ რომელზე გადის მატარებელი?

_ ასე, თორმეტისთვის და დილის ექვსზე ჩადის.. _ უპასუხა ნოდარამ.

_ მუხლისკვერი მაქვს მგონი, გატეხილი... _ თქვა ირაკლიმ და ფეხზე ხელი მოიკიდა.

_ რას ამბობ? აიწიე, აბა, ვნახოთ! _ უთხრა ნოდარამ.

ირაკლიმ აიწია და დაიხედა. კვერი მართლაც გაზრდილი და გასიებული ეჩვენა.

_ გასიებული კია, მაგრამ მაგრად გტკივა? _ შეეკითხა ნოდარა და ხელი ფრთხილად შეახო.

_ მტკივა, რა ვიცი, _ თქვა ირაკლიმ.

_ ფეხს ხო ადგამ? _ შეეკითხა ცერა.

_ კი, _ უპასუხა ირაკლიმ.

_ დაჟეჟილი გექნება, თორემ გატეხილი რომ გქონდეს, დადგმისას დაგაყვირებდა... _ უთხრა ნოდარამ.

_ არყით ხომ არ დაგვეზილა? _ იკითხა ცერამ.

_ არა, ცივები სჯობია, არაყი დამწვარზე უხდება... _ გამოამჟღავნა თავისი ცოდნა ტრამვატოლოგიაში ნოდარამ.

_ ჩაიწიე, ქორწილამდე მოგირჩება! _ უთხრა ცერამ და პლასტმასის ჭიქები შეავსო.

ქორწილის ხსენებაზეღა გაახსენდა ირაკლის მელანო. ალბათ, ციურიმ ჩაგვიშვაო, _ გაიფიქრა და მართალიც იყო.

_ ცოლშვილიანი ხარ? _ შეეკითხა ნოდარა.

_ არა, _ თქვა ირაკლიმ.

_ რატო იყავ ბაკურიანში, ბიზნესი გაქვს ყაზახებთან?

_ ბიზნესი კი არა... რაც მე დამემართა... _ ხელი ჩაიქნია ირაკლიმ და აღარ გააგრძელა.

_ არა, რატო გკითხე, _ გააგრძელა ნოდარამ. _ ამ ორი დღის წინ ერთი ქალაქელიც დაგვემგზავრა და მთელი ღამე იმასა ტიროდა, დილის ექვსზე თბილისში რომ ჩავალ და შინ მივალ, ასე დილაადრიან ცოლი როგორ გავაღვიძო, როგორ შევაწუხოო?.. ჰო, ჰო, გეფიცები, ასე იყო, აი, ცერამა თქვას...

_ ქალაქელი კაცი იყო და პატივისცემაში ეყოლებოდა ცოლი, რა იყო, შენც... _ უპასუხა ცერამ.

ასე საუბარ-საუბარსა და არყის სმაში, დრო მალე გავიდა და მატარებელიც დაიძრა.

გამომძიებელმა კახა ლაფერაძემ, რომელსაც საქმის სასწრაფოდ დამთავრება ჰქონდა დავალებული, აღარ იცოდა, რა ექნა. საზოგადოება მკვლელების და განსაკუთრებით, დამკვეთის დასჯას ითხოვდა. დამკვეთად კი ლელა ლეშკაშელი მიაჩნდა, რომლის შესახებაც ათასი ჭორი და მითქმა-მოთქმა გაჩნდა იმ დღეებში, ლამის პრეზიდენტის საყვარლობაც კი მიაწერეს, ამიტომაც ვერ იმეტებენო, _ ასკვნიდნენ... პასარელამ შიმშილობა გამოაცხადა თუ არა, ხალხში ხმა დაირხა და მასმედიამაც აიტაცა, რომ "ბავშვს" დიაბეტი აქვს და შესაძლოა, უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლოს კიდეც ამ ჯალათების ქმედებასო. "დემოკრატიული კოლეჯის" "მოზარდობამ" სწავლას თავი ანება და ბეჟან მოლოდინაშვილის სოლიდარობის ნიშნად, სასწავლებელში პერმანენტული შიმშილობის აქცია წამოიწყო, რომელიც მხოლოდ მაშინ უნდა გაუქმებულიყო, როცა მას გაათავისუფლებდნენ და დამნაშავეებს საკადრისს მიუზღავდნენ. მოკლედ, მურაზ ლეშკაშელის ოჯახს ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცა.

_ კი, დარწმუნებული ვარ ასი პროცენტით, რომ მაგის მოკლულია, _ პასარელას გულისხმობდა მურაზის კაბინეტში შესული გამომძიებელი, _ მაგრამ ისე იქცევა, იტალიელ მაფიოზსაც კი შეშურდება. იოტისოდენი სამხილი ვერ ვუპოვეთ ვერავითარი... ისე აქვს ყველაფერი გათვლილი... ისევ ტყუილს თუ მოვუგონებთ _ სისხლის ლაქები შარვალსა და "კურტკაზე", წამოღებული მაქვს მისი ბინიდან... "დეენემის" ანალიზი, ვითომ...

_ არავინ დაგიჯერებს! _ გააწყვეტინა მურაზმა. _ ერთად სცემეს ორივე და კაცს რომ მეგობრის სისხლი მისცხობოდა, რა გასაკვირიაო, გეტყვიან.

_ მაშ, როგორ მოვიქცეთ? _ იკითხა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა გამომძიებელმა. _ როგორ გავაჩუმოთ ეს აყაყანებული ბრბო, რანაირად?

_ არ ვიცი, ჩემი ნება რომ იყოს, "ჩეკას" არქივებს დავხსნიდი და იმდენ "წმინდანს" გამოვყრიდი დღის სინათლეზე, ეს მკვლელობა ბავშვურ გართობად მოეჩვენებოდათ... _ ამოთქვა ჩაფიქრებულმა მურაზმა.

"ესენი საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოსაც გადაყლაპავენ", _ გაიფიქრა პატარა გველეშაპმა დიდ გველეშაპზე და სასხვათაშორისოდ მაინც ჰკითხა:

_ ლუსტრაციას გულისხმობთ?

_ რაიმე დიდი პოლიტიკური სკანდალიც გადამარჩენდა, მაგრამ რა?.. შენც იფიქრე ამაზე, რა!

_ ვიფიქრებ! _ მტკიცედ უპასუხა გამომძიებელმა, რადგან მურაზ ლეშკაშელის კეთილგანწყობა, "ცისკენ მიმავალ კიბეზე" ასასვლელად, მისთვისაც აუცილებელი იყო, ხოლო ყოველ გამომძიებელში მინისტრის ორიოდ წვეთი სისხლი რომ აუცილებლად ჩქეფს, ეს ყველა ძალოვანმა კარგად უწყის...

ირაკლის ფეხისა და მხრის ტკივილმა მალევე გაუარა.

_ რა ხდება, არ აპირებს ფულის მოცემას ეგ მართლა ვირთხა?! _ შეეკითხა ის მოლეკულას, რომელიც რაღაც საბუთებს ახარისხებდა მაგიდასთან.

_ ერთი-ორი დღე მაცალე, უნდა ვისესხო, ჯიბეში კი არ მიდევსო, _ სულ ამას მიმეორებს, _ ჩაიბურდღუნა მოლეკულამ.

_ არ აწვები, ალბათ, წესიერად... _ უსაყვედურა ირაკლიმ.

_ რა, ვესროლო?! _ შეეკითხა მოლეკულა. _ იცი, რა დამპალი ჩანს?!. იცი, რა დასკვნა გამოვიტანე? ან მართლაც, ძალიან დიდი ფული აქვს და ამიტომ არ ეშინია, ან ნაღდად არა აქვს, რა, როგორც ამბობს.

_ იარაღი რომ დავანახოთ ან ტყუილად ვესროლოთ და "ავაცილოთ"?.. _ შეეკითხა ირაკლი.

_ მერე იმან რომ გესროლოს და მოგარტყას?!. შენც ამბობ, რა, არიფივით... ხმალს თუ ამოიღებ, უნდა "მოჩრა თავი" კიდეც, ეე! _ გაიკვირვა მოლეკულამ.

_ წამლის ფული არ შემოვიდა? _ შეეკითხა ირაკლი.

_ რომ შემოსულიყო, არ მოგცემდი?

_ მომისმინე. ნახე კიდევ ერთხელ ეგ ჩათლახი ელექტრიკი და დრო დაუთქვი: მოიტან, ძმაო, ორ დღეში? _ ხომ კაი, არა და, ვხსნი-თქო კარტებს, კაი?

_ კაი! დღესვე შევუვლი, რა ფეხებს მომჭამს?!

_ შენ იცი, იმ ჩემმა მომავალმა "კნეინამ" ბაკურიანში რომ წამიყვანა? მიტაცებდა, დედას გეფიცები! მე კი არ ვიტაცებდი, ის მიტაცებდა თვითონ!..

_ მერე?

_ მაგარ, სამსართულიან ვილაში გამჩითა და მერე რესტორანში დამპატიჟა. აუ, რა კანფეტია, იცი?! სადაც ხელს დააკარებ, იქვე სკდება.

_ ჰოო? უკვე?

_ არა, რა უკვე?! ჩაგვიშვეს იქაურებმა და რესტორნიდან ააორთქლეს თავისიანებმა. ტუალეტში გავედი ორი წუთით ხელების დასაბანად და...

_ სულ ეგ იყო? მერე აღარ გამოჩენილა?

_ არა. ეტყობა, "დამაშნი არესტი" აქვს. ამწაპნეს, რა, სამშაურიანივით... მოკლედ, მე წავედი და მიაწექი იმ ვირიშვილს, არ დავკარგოთ ეგ მაყუთი, გაიგე?

_ კაი, კაი!

ბაიას არც "რიო" დავიწყებია და არც ირაკლი. გაფრენამდე აღარაფერი რჩებოდა, ირაკლი კი არ პასუხობდა, მობილურს უთიშავდა. ბაიამ ძალიან კარგად იცოდა მამაკაცების არამდგრადი, მერყევი ხასიათის ამბავი და ცოტა შეფუცხუნდა. "რიო" რომ ჩაშლოდა, თავსაც მოიკლავდა, რადგან იმდენი იოცნება, ლამის ფესტივალის დედოფალი გახდა: "რატომაც არა, ვითომ? _ ფიქრობდა ბაია. _ ვისზე ნაკლები მკერდი მაქვს და მით უმეტეს, უკანალი?! რატომ უნდა მაჯობონ ვითომ, ზანგებმა და მულატკებმა? ისე მივიქნ-მოვიქნიო, მთელ ბრაზილიას დავახურო თავზე!.." მოკლედ, ამ ოცნებებში იყო, როცა ეჭვი შეეპარა და ამ ეჭვის გადასამოწმებლად, ირაკლის ოფისში მართას ეწვია.

_ ირაკლი არ დადის ოფისში? _ რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა, ჯერ ის ჰკითხა მართას.

_ იშვიათად თუ გამოჩნდება, ან აქ რა უნდა აკეთოს?! _ იქით შეეკითხა მართა და დააყოლა: _ ჰო, მართლა, რატომ უთხარი უარი რიო-დე-ჟანეიროში გასეირნებაზე? შენ ხომ მაგაზე ოცნებობდი?

_ რა-ა? უარი ვუთხარი?! _ ავარდა იმწამს ბაია. _ ვინ თქვა, რომ უარი ვუთხარი?

_ ვის უნდა ეთქვა, ბაია, ვინ იტყოდა, ირაკლის მეტი?! ვის რა უფლება ჰქონდა? შენზე გამოწერილი ბილეთი გამაუქმებინა და, აი, ამწუთას გეტყვი, ვის სახელზეც გადამაკეთებინა... რომ არ შემეშალოს... _ და მართამ კომპიუტერში გადაამოწმა. _ მელანო გარდაფხაძე, მელანო გარდაფხაძის სახელზე გადამაკეთებინა...

ბაიასთვის ეს ისეთი მოულოდნელობა გახლდათ, როგორც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა და ისიც მუხლმოკვეთილი, სავარძელში ჩაესვენა. გარდა იმისა, რომ ბრაზილია და რიოს ფესტივალის დედოფლობა ჩაეშალა, ირაკლიმ, როგორც ჩანს, უღალატა... არა, არა მარტო უღალატა, რაღაც იმაზე მეტი უჩათლახა, ვიდრე ღალატია, უგოთვერნა, _ აი, ეს თათრული სიტყვა ამოუტივტივდა თავში და ვეღარაფრით მოიშორა.

_ ხომ არ იცი, ვინაა? _ შეეკითხა ის მართას და პასუხის მოლოდინში თვალებში მიაჩერდა, რათა გამოეცნო, იცრუებდა თუ სიმართლეს ეტყოდა მართა.

_ წარმოდგენა არ მაქვს. ტელეფონზე დამირეკა ირაკლიმ, არც შემოუვლია, იცი? _ უპასუხა მართამ.

და ბაიამ წარმოიდგინა, თუ როგორ კლავდა ის ვიღაც მელანოს, რომელიც საშინელი მახინჯი იყო... დაბალი, გონჯი, კოჭლი და კუზიანი... ჯერ თექვსმეტსართულიანი დაანგრია და იმის ნანგრევებში მოაყოლა; მერე მის ბინას კამიკაძე მუსულმანების მიერ გატაცებული თვითმფრინავი შეაჯახა და იმ თვითმფრინავის პროპელერზე მუცლით წამოაგო და გამოფატრა; მერე ჯვარზე გააკრა და ჟანა დ'არკივით კოცონზე დაწვა; მერე ცაში ააფეთქა თვითმფრინავი, რომლითაც ის და ირაკლი რიო-დე-ჟანეიროში მიფრინავდნენ და ისე გამოუყვანა წირვა... მოკლედ, ვერ გაიძღო გული ირაკლის და მელანოს სისხლით... ისე დაიბოღმა, ეგონა, ახლა კი გავსკდებიო და რეალობას დაუბრუნდა. რეალობა კი ბევრად უფრო საშინელი იყო, ვიდრე მისი ოცნება, როგორ მოეკლა მელანო. რეალობა ის გახლდათ, რომ ის თბილისში რჩებოდა, ბრაზილიაში კი, მის ნაცვლად, ვიღაც მელანო მიფრინავდა... თუმცა, ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი, ირაკლიზე შური ეძია, მთავარი იყო, ყურები არ ჩამოეყარა და ემოქმედა. პირველ რიგში, მელანოს ვინაობა უნდა დაედგინა: ვინ იყო, ვინ ჩაუხტა შუაში და ვინ აახია ასე, დღისით-მზისით, ირაკლი...

რაღაც ერთ საათში, ბაიამ მელანოს შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. იმასაც მიხვდა, საით უმიზნებდა ირაკლი. "ინსტიტუტი", რომელსაც ბაია ემსახურებოდა, მხოლოდ ღმერთმა უწყოდა, რომელი საუკუნიდან მოდის: პოლიციის აგენტობას ვგულისხმობ. გახსოვთ ალბათ, თვით მერილინ მონროც კი _ პლანეტის ულამაზესი მდედრი _ ისიც კი ვერ ასცდა ამ "საპატიო" ხელობას. და ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ აგენტთა უმრავლესობა ორმაგ თამაშშია ჩათრეული და რადგან ქართველი ქალის მარიფათისა და სიეშმაკის ამბავიც არ გესწავლებათ, არც ის გაგიკვირდებათ, რომ ჩვენები მხოლოდ ორმაგს კი არა, სამმაგსაც და მეტსაც თამაშობდნენ... მოკლედ, ბაია, რადგან ირაკლი სათავისოდ ჰყავდა "დათრეული", მისი ნამდვილი დოსიეს გამჟღავნებას არ აპირებდა და საიდუმლოდ უნახავდა იმ ყველაზე დიდ ცოდვასაც, რომელსაც ის მოლეკულასთან ერთად "მუშაკობდა". მაგრამ ახლა ბაიას განრისხება ზღვარს გადაცდა და მანაც სასწრაფოდ, გუტა გელაშვილის მკვლელობის გამოძიების უშუალო მონაწილეს, გამომძიებელ კახა ლაფერაძეს დაურეკა, შეხვდა და ყველაფერი ჩაურაკრაკა: მოლეკულასთან ირაკლი ბერიძის ურთიერთობა და მათი შავბნელი საქმიანობა, ნარკოტიკების გასაღება თუ ყალბი დოკუმენტაციის დამზადება და სხვა... არც ისაა გამორიცხული, გუტა გელაშვილი, მისი ხელით თუ არა, მისი იარაღით იყოს მოკლული, რადგან როცა ჩვენ იმ ღამეს მცხეთაში ვგრიალებდით, ირაკლი ასე, საათ-

ნახევრით სუფრიდან გაქრა და რომ ვკითხეთ _ სად იყავიო? _ გვიპასუხა _ გული ამერია და შინ წავედი, ტანისამოსი გამოვიცვალეო... და როცა გამომძიებელმა ჰკითხა _ რატომ ეს ამბავი აქამდე არ თქვიო? _ ბაიამ მშვიდად უპასუხა: ვის აწყობს მკვლელობაში თანამონაწილეობა, გაგიჟდიო?!. საიდან უნდა სცოდნოდა გამომძიებელ კახა ლაფერაძეს, თუ რა ბოღმა ედო გულში ბაიას ან ასეთ მტკნარ სიცრუეს თუ მოიგონებდა?!. არ იცოდა და არც აინტერესებდა. ახლა მთავარი იყო, ირაკლის საქმიანობა ბოლომდე შეესწავლა და სიმართლე დაედგინა. ასეც მოიქცა.

_ ბატონო მურაზ, კახა ვარ ლაფერაძე. თქვენი ნახვა მინდა, რაღაც გამოჩნდა, ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, მაგრად უნდა მოუხდეს მაგას... _ ეუბნებოდა მობილურში კახა მურაზ ლეშკაშელს.

_ მოდი, მერე! სამსახურში ვარ. უთხარი, ურიგოდ შემოგიშვან, _ უპასუხა მურაზმა.

სულ რაღაც თხუთმეტ წუთში კახა მასთან იჯდა.

_ მეგობრებში სულ იმას გავიძახი, რომ გენიოსი ვარ, მაგრამ არ სჯერათ, _ უყვებოდა თავის ჩანაფიქრს კახა მურაზს. _ ეს კაცი შანტაჟისტია, მაგრამ მარტო შანტაჟისტი და ტერორისტი კი არა, მრავალმხრივი "მოღვაწეცაა": შულერიცაა, ბარიგაც და ბანდიტიც, ამ ყველაფერთან ერთად. გვეგონა, მარტო მუშაობდა, მაგრამ როგორც ჩანს, მთელი ბანდა უნდა იყოს.

_ რაზე მუშაობენ? _ დაინტერესდა მურაზი.

_ ყველაფერზე, რისგანაც ფულის გამოწოვა შეიძლება, _ უპასუხა კახამ.

_ მაინც?

_ პირველი, რომ აშანტაჟებენ და როგორც ჩანს, ბევრსაც სწველიან. მეორე _ თავიანთი სტამბა აქვთ და ყალბ დოკუმენტაციას ამზადებენ. მესამე _ საიდანღაც ნარკოტიკს შოულობენ და ასაღებენ, მაგრამ ეს ცოტა სახიფათოა, მთელ საბაჟოს ხომ ვერ დავიჭერთ!.. თუმცა ერთი კონტეინერი რომ შევწიროთ, მე მგონი, შეიძლება.

_ კაი, მაგრამ მე რაც შენ გთხოვე, იმასთან ამ ყველაფერს რა კავშირი აქვს?

_ მაგარი! ეს ტიპი სომეხია! _ ისე გამოაცხადა კახამ ეჭვმიტანილის ეროვნება, თითქოს სომხობა განსაკუთრებული პრივილეგიის საფუძველი ყოფილიყო.

_ ვერ მივხვდი.

_ ჩვენ ხომ სახელმწიფო სკანდალის აგორება გვჭირდება?! მომისმინეთ, მე ყველა სამხილი ხელში მაქვს, ისინიც ვიცი, ვინც ამ საქმეებზეა "დაკიდული"... ჩვენი კანონებით ამ სომეხს, სამუდამო პატიმრობა თუ არა, მინიმუმ თხუთმეტი წელი მიწებებული აქვს... შპიონაჟი "შევტენოთ", დიდი "სროკით" დავემუქროთ და "ასიანი", წამოვა... "ვერბოვკა" რუსული, მაგრამ აქვე, ჩვენს მეზობელსა და მეგობარ სომხეთს გადავულოცავთ. მობილურს დავაჭერინებ ხელში და რასაც მინდა, იმას ვათქმევინებ...

_ ის "დაკიდულებიც" სომხები არიან?

_ არა, ქართველები... ერთი _ შულერი უნდა იყოს და მეორე _ ჩვენი კოლეგაა, ნარკოტიკზე ვინც ჰყავს... ციხეში შეაქვს, პატიმრებზეც და ჩვენებზეც ასაღებს, ალბათ...

_ და ის შულერი? რა საქმიანობას ეწევა, ვინ არის?

_ ვინა და ამ მკვლელობაში რომ ფიგურირებს, ირაკლი ბერიძე, მაგისგან გავედით ამ სომეხზე, ტურისტული ფირმა აქვს ამ ირაკლის და ბუნებრივია, ყალბი დოკუმენტები სჭირდება, თან შანტაჟისტიც აღმოჩნდა. ახლა ერთი კერძო სასწავლებლის რექტორს დასდევენ. გეტყვით პირდაპირ _ ენერგეტიკის ინსტიტუტის რექტორს, არჩილ მამულაძეს, რომელიც მე ვფიქრობ, "მოლარეც" უნდა იყოს...

_ ენერგეტიკის ფულების? ჩვენ ხომ არ დაგვეშანტაჟებინა, ბიჭო, თვითონ?

_ ჰო, ასე უნდა იყოს.

_ მილიონერია?

_ კი, მაგრამ მეჯღანუაშვილივით ცხოვრობს. მგონი, ცოლ-შვილმაც არ იცის...

_ მაგის მათხოვარი დედა ვატირე!..

_ ჰო, მაგარი "ნიუხი" აქვთ ამ შულერებს, ეტყობა...

_ ეგ ბერიძე უნდა ამოვარდეს?

_ ჰო, რა თქმა უნდა, ბერიძეც და პოლიციელიც. ზედამხედველია ციხის... ნაციხარიც არის, თავის დროზე... მგონი, მოვლილი აქვს მთელი არქიპელაგ-გულაგი.

_ და აქამდე შემორჩა მაინც?! საღოლ! _ და მურაზი ცოტა ჩაფიქრდა. _ მომეწონა, მე მგონი, უნდა მოვარტყათ!

_ მეც ვფიქრობ, რომ უნდა აგორდეს...

_ კაი, მოვდივარ. დაელაპარაკე მაგ სომეხს...

_ თავისთავად...

_ მოსაკლავი მყავს შვილი, მაგრამ რა ვუყო, შვილია!..

_ არა, ჩათვალეთ, რომ ეგ ბერიძეც და პოლიციელიც გამორიცხულია. პირდაპირ რუსეთის აგენტზე იყო "დაკიდული", რომელმაც გაგვასწრო და სამშობლოში გაფრინდა.

_ ამ სომეხს ვინ ჰყავს აქ? ოჯახი, მშობლები?

_ არავინ. მშობლები ჰყავდა, მაგრამ დიდი ხანია, რუსეთში გადასახლდნენ. ეს აქ მარტოა, მგონი, სწავლობს სადღაც და ამიტომ.

_ ძალიან კარგი, მიაწექი მაშინ! თუ გამოვიდა, ჩემზე იყოს...

_ ჩათვალეთ, რომ გამოსულია. ამათ?.. ჩვენს ქაჯებს?.. ერთი ლუკმა უნდა მიუგდო და ისე ააგორებენ, ხომ იცით!..

_ კი, კი...

კახა ლაფერაძემ პირველი მისია დაასრულა. ახლა პატარა ოპერაციაღა იყო საჭირო, ჟურნალისტებთან ერთად ჩასატარებელი და იცოდა, რომ დანარჩენს მასმედიაც კარგად მიხედავდა.

ასეც მოხდა...

მელანო, რომელიც, როგორც იტყვიან, პირდაპირ "ჯიბიდან ამოაცალეს" ირაკლის, მშობლებს სახლში ჰყავდათ ჩაკეტილი. "ჩაკეტილი" ის სიტყვა არაა _ ტელეფონზე ლაპარაკიც კი აკრძალული ჰქონდა! გამწარებულმა ისე უკბინა დედას ხელზე, მთელი კბილები დააჩნია. იმუქრებოდა _ თუ არ გამათავისუფლებთ, იცოდეთ, თავს მოვიკლავო! _ და ზინაიდა ცოტა შეაშინა კიდეც.

ბინა რკინის გისოსებში იყო ჩამჯდარი და შვილს კარს გარედან უკეტავდნენ. ზინაიდა ეჩიჩინებოდა ქმარს _ ხომ იცი, რა გიჟია, მართლა რამე არ აუტეხოს თავსო, _ მაგრამ გაყინული და გაქვავებული ქმრის გული ვერაფრით ვერ გაათბო და გაალღო: ეგ რომ გარეთ გავიდეს და ერთი ნაბიჯიც გადაადგას, სასწრაფოდ ნაბიჭვარს გამიჩენს და ოჯახს დამინგრევსო, _ გაიძახოდა. _ თავს მოიკლავს, ბიჭო, თავსო! _ ჩასჩიჩინებდა ზინაიდა, რაზედაც ქმარმა _ ძალიან კარგი, დავმარხავ და დიდ პრობლემასაც მოვიცილებთო, _ უთხრა. _ ქართველი კაცები?.. ყველა ერთად უნდა შეკრა და მტკვარში გადაუძახოო! _ იმეორებდა ამ "აქსიომას" გამწარებული ქალი. ვერ უძლებდა დედის გული შვილის ტყვეობას... მოკლედ, დედაც და შვილიც გარედან იყვნენ ჩაკეტილი და გაპარვის შანსი არ ჰქონდათ. ასეFფიქრობდა რაფიელი და ასე ფიქრობდა ზინაიდაც.

აი, მელანო კი სულ სხვა რამეს ფიქრობდა. და არა მარტო ფიქრობდა, არამედ აკეთებდა კიდეც. დიახ, რომ ამბობენ _ სიყვარულს სალი კლდის დანგრევა შეუძლიაო, _ მართალი ყოფილა. დაიჯერებთ? მელანომ მამის უჯრაში, კომპიუტერის მაგიდის, "ნაჟოვკა" აღმოაჩინა, თავის პირებიანად, და თავისი ოთახის, რომლის ფანჯარაც ქუჩაში

გადიოდა, გისოსების ხერხვა დაიწყო. დიდი ხანი კი მოანდომა, მაგრამ სამივე ქვედა გისოსი გადახერხა და მთელი ძალით მიაწვა. არც ეგონა, თუ ზედა გისოსებს ასე ადვილად გაღუნავდა. ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო გადაძრომა. თავდაპირველად მივიდა და დედამისს ტრილიაჟის უჯრიდან ევროების, დოლარებისა და ლარების კარგა მოზრდილი დასტა ასწაპნა, მერე, შევიდა სააბაზანოში, კარგად გაიღვრიჭ-გამოიღვრიჭა, ცოტა მილამაზ-მოლამაზდა კიდეც და დაბნელდა თუ არა _ ჰაიდაა... ჩანთა მხარზე გადაიკიდა, თოკად ქცეული ზეწრების ბოლო, დაზღვევის მიზნით, წელზე შემოირტყა, მეორე ბოლო კი საწოლის ფეხზე რამდენჯერმე გამონასკვა და ახალ, გამოფლეთილ ჯინსში გამოწყობილი, ორსართულნახევრიან კედელს მთამსვლელივით ჩაუყვა. ადრე მოპარული ფულიც ისევ მას ჰქონდა, რადგან დედამისს იმ უჯრაში ჯერაც არ ჩაეხედა...

დაადგა თუ არა ფეხი მიწაზე, მაშინვე "გმირის კომპლექსით" დაავადდა, რადგან ამსიმაღლე სახლიდან გაქცევა მისთვის ბასტილიის ციხიდან გაპარვას უდრიდა.

სტუდიაში კი, სწორედ მაშინ წამოადგა თავზე ირაკლის, როცა მას მელანოს ნახვის იმედი თითქმის მთლიანად გადასწურვოდა. არა, ეს აღარ ჰგავდა იმ პირველ, ხანმოკლე კოცნას, რომელიც ბაკურიანში მოჰპარეს შეყვარებულებმა ამ ჩვენს რთულსა და აწეწილ დროებას, ეს კოცნა სულ სხვა _ სხვანაირი მონატრებითა და ვნებით იყო სავსე. ეს ნამდვილი "გამარჯვების კოცნა" გახლდათ და საკმაოდ დიდხანსაც გაგრძელდა, ალბათ მანამდე, სანამ შეყვარებულებს სული არ შეეხუთათ _ დაახლოებით სამი უგრძელესი და უტკბილესი წუთი მაინც...

_ წავიდეთ, ავახვიოთ აქედან, თორემ პირველად აუცილებლად აქ მოგვაკითხავენ! _ მიაყარა მელანომ, როგორც კი მათი ტუჩები ერთმანეთს მოსწყდა.

_ სწორია თქვენი გამოსვლა! _ დაეთანხმა ირაკლიც და სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

თუკი პირველად, როცა ირაკლი მელანოს ბაკურიანში გაჰყვა, შეუგნებლად შეცდა, ახლა უკვე შეგნებულად "ცდებოდა".

_ სად წავიდეთ? _ მიუბრუნდა ირაკლი მელანოს, როგორც კი თავისი "დანჯღრეული მერნის" საჭეს "მოახტა".

_ "მამა-მიაში" გაწყობს? _ შეაგება იმწამს მელანომ.

_ მეპატიჟები? _ შეეკითხა ირაკლი.

_ ჰო! _ სიხარულით უპასუხა გოგონამ.

_ კაი, _ თქვა ირაკლიმ და გასაღები გადაატრიალა, სტარტერი ახრიალდა და მანქანა ძლივს დაიქოქა, რაზედაც მელანოს მაგრად გაეცინა. "იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს", _ გაიფიქრა ირაკლიმ და აქსელერატორის პედალს მიაწვა.

პროჟექტორების თვალისმომჭრელი სინათლით განათებული, ჭრელაჭრულად გაფორმებული, ",მამა-მიას" დისკოთეკის "ჰექტარიანი" დარბაზი ათასფრად ელავდა და ბრჭყვიალებდა. მოკლედ, როცა ჩვენი "პაბეგში" მყოფი წყვილი იქაურ ზეიმს შეუერთდა, უკვე მაგარი "დაგნარი და ლივლივი" მიდიოდა. ირაკლიმ და მელანომ, როგორც იქნა, მიაგნეს ერთ-ერთ კუთხეში პატარა, შემაღლებულზე დადგმულ შუშის მრგვალ მაგიდას, თვითონაც მაღალ სკამებზე აფოფხდნენ და ვისკიანი ქოქოსის კოქტეილი შეუკვეთეს, სახელწოდებით _ "თეთრი სისხლი". მერე საწრუპი ჩხირები გაირჭვეს პირში და მოცეკვავეთა "დალივერებას" მიჰყვეს ხელი. მთელ ქართულ ფსევდო-ბომონდს იქ მოეყარა თავი _ თავგადახოტრილი ქალებით თუ საყურემოკონწიალე, გაურკვეველი სქესის მქონე "თავშალწაკრული" მამაკაცებით.

მოკლედ, იქ რომ შემთხვევით, ნამდვილი კავკასიელი “ჯიგიტი” მოხვედრილიყო, მართლაც “მამა-მიას” წამოიყვირებდა...

დიჯეი უფრო როკ-რეპსა და სოულს “უბერავდა” და ჩვენს წყვილსაც, როგორც კი ტკბილ-მწარე კოქტეილის სითხემ ძარღვებში სისხლის ნაწილაკები აუფორიაქა, მაშინვე აუქავდათ ქვედა კიდურები და ისინიც მოცეკვავეთა მრავალფეროვან არმიას შეუერთდნენ.

მალე ბარძაყების ოდნავმა წახახუნ-წამოხახუნებამ ერთურთის ისეთი სურვილი აღუძრა, ჩაეწან-ჩაეტკბილნენ ერთმანეთს და გაყუჩდნენ. დარბაზი კი, მხატვრულ განათებასთან ერთად, მათ თავს ზემოთ, ცეცხლზე შემოდგმული ტკბილი ბადაგივით ტრიალებდა და მოცეკვავეებს თავბრუს ახვევდა. ირაკლი უფრო და უფრო მაგრად იკრავდა და იზიდავდა ქალს თავის ტანზე, რომელიც ცეკვის რიტმს მინებებული, ლოყა-ლოყაზე მინაბული, გამტკნარებულიყო და ვნების წყურვილმოდებული, ეროსის ქვაბში იხრაკ-იწვებოდა...

“ან ახლა, ან _ არასოდეს”, _ გაუელვა თავში ირაკლის და ქალი ხუთასლარიანი, დახურული თეთრი “ზიმისკენ” წაათრია, რომელიც მოგეხსენებათ, ერთ ადგილას კი დგას, მაგრამ ტალღებში მოხვედრილ, მოდრეიფე კატერის იმიტაციას წარმოადგენს და მსუბუქად ქანაობს.

_ ფული რამდენი გაქვს? _ ჩასჩურჩულა მან მელანოს ყურში.

_ ბევრი... _ უპასუხა მელანომაც ჩუმად.

_ მაინც? _ ჩაეძია ირაკლი.

_ არ ვიცი, ორი ან სამი ათასი, ალბათ _ მეტიც... _ უპასუხა მელანომ და ირაკლიმაც დაუფიქრებლად გამოაღო “ზიმის” უკანა კარი. მერე, მელანოს ჩანთიდან ორასევროიანი და ასლარიანი კუპიურა ამოაძრო და საჭესთან მჯდომ ქალს გაუწოდა. ქალმა ფული გამოართვა, მანქანიდან გადავიდა, წყვილს ბედნიერი მგზავრობა უსურვა და კარი მიხურა. ირაკლი და მელანო ულტრამარინის ფერში მოციმციმე “ზიმში” მარტონი დარჩნენ.

“ზიმი” რიტმულად ქანაობდა და ისედაც თავბრუდახვეულ წყვილს, ეროსის ტკბილი, თაფლიანი ფსკერისკენ მიაქანებდა. ირაკლი ფრთხილად, საქმიანად მოქმედებდა. ცალი ხელით საკინძის ღილებს უხსნიდა, ცალით კი, ქვემოთ, “უადგილო ადგილას” დაძვრებოდა, რაც გოგონას კიდევ უფრო მეტად აღაგზნებდა და ნდომას უათკეცებდა. ირაკლი ქალიშვილის მკვრივმა, ვაშლებივით ძუძუებმა უარესად გაახელა და... მოკლედ, იცოდა კაცმა თავისი საქმე, რა და როგორ ეკეთებინა...

მაგრამ მარტო მან ხომ არა, სხვებმაც იციან თავისი საქმე ამ ორმილიონიან ქალაქში და ერთ-ერთი მათგანი ბაიაც იყო, რომელიც ერთი, ჩვეულებრივი “ბეემვეთი”, როგორებიც ჩვენში ასე მომრავლებულია, დილიდანვე “კუდზე დასჯდომოდა” ირაკლის და ახლა თურმე მხოლოდ თავის მომენტსღა უცდიდა.

ბაიამ მძღოლ გოგონას, რომელიც “ზიმიდან” გადმოვიდა, ხელში მთელი ბღუჯა ფული ჩასჩურთა და _ მანქანაში ორი წუთით უნდა შემიშვაო, _ სთხოვა. გოგონაც, როგორც მისი ასაკის მქონეთა უმრავლესობა, შტერი ხომ არ იყო, ციდან ჩამოცვენილ ფულზე უარი ეთქვა და იქაურობას სასწრაფოდ გაერიდა.

ბაიამ ჯერ ყური მიადო მანქანას, მაგრამ დარბაზში ისეთი ზრიალი იდგა და ისე გუგუნებდა გამაძლიერებლები, რომ არაფერი ისმოდა. მანაც ცოტა კიდევ მოიცადა, მერე _ ახლა კი დრო იქნებაო, _ გაიფიქრა, კარი გამოაღო და მანქანაში შეხტა.

ორივენი _ კაციც და ქალიც _ მთლად გაშიშვლებულიყვნენ და ლამის “ბოლოშიც გასულიყვნენ”, რადგან ვიდეომომარჯვებულ ბაიას აშკარად ჩაესმა ყურში ქალის

თავდავიწყებული კვნესა, რომელიც კულმინაციისას ზუსტად იმდენნაირია, რამდენი ქალიც დედამიწაზე გაჩენილა.

_ ღალატი ასეთი არ უნდა, აი, ღალატი როგორი უნდა! _ დაიყვირა ბაიამ და დედიშობილა ქალსა და კაცს აპარატი მიუმარჯვა.

ირაკლიმ, რომელიც ჯერ ისევ ეროსის ბრჭყალებში იმყოფებოდა, ვერაფრით დაიჯერა, რომ ეს, რეალობა იყო და არა _ წარმოსახვა. ალბათ მეჩვენებაო, _ გაიფიქრა, წამოხტა; უნდოდა, ბაიასთვის აპარატი გამოეგლიჯა, მაგრამ ბაიამ ისე სწრაფად მოუქნია ხელი და ისე გაულაწუნა, რომ ირაკლის თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა, მერე, ეს ფერადი ნაპერწკლები მის წინ ფეიერვერკად გაიშალა და ბაიასთან ერთად გაქრა.

_ რა მოხდა? ვინ იყო? _ მუხლებზე იდგა "ზიმის" უკანა, გრძელ, გადაშლილ სავარძელზე გაოგნებული შიშველი მელანო, რომელსაც ქალწულობა ორიოდე წუთის წინ დაეკარგა და რომლის სწორი და გრძელი ბარძაყის თეთრ, "უმანკო" კანს ახლაც მიუყვებოდა მკრთალად, სისხლის მოწითალო წვეთი.

_ ჩაიცვი დროზე! უნდა გავიქცეთ! _ უხეშად დაუყვირა ირაკლიმ და მელანო მიხვდა, რომ ის ამ კაცს არ უყვარდა. არ უყვარდა კი არა, იქნებ, სძულდა კიდეც _ იმდენად უხეშად იყო ეს სიტყვები ნათქვამი _ და მელანოს საშინლად დასწყდა გული. და იმწამს, როგორც კი გაიაზრა, თუ რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, პატარა, სულ პატარა ბავშვივით აქვითინდა.

_ შენ არ გიყვარვარ, შენ მატყუებდი! _ უყვირა მან ირაკლის და თავისი ნაზი მუშტები, როგორც პატარა ბავშვებმა იციან, სწორედ ისე დაუშინა.

ირაკლი იძულებული გახდა, მისთვის ხელები დაეჭირა და თავი ემართლებინა. გულში კი სწორედ იმას ფიქრობდა, რასაც მელანო ეუბნებოდა, _ რომ არ უყვარდა, იქნებ, მართლაც, სძულდა კიდეც ეს მოტყუებით შეცდენილი და გაუპატიურებული, განებივრებული გოგო, რომელიც სიშიშვლეს არად დაგიდევდათ და გულქვაობაში სდებდა ბრალს ირაკლის, რომელმაც ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ასაკში იგემა ეროსის ნექტარი და მას მერე, ქალის ქვედაბოლოს ერთიმეორისგან ვეღარაფრით არჩევდა _ ანუ მისთვის მთავარი, მხოლოდ სექსი იყო და სხვა არაფერი.

_ ჩაიცვი! _ უბრძანა გოგონას ირაკლიმ და ხელით ტანისამოსისკენ მიუთითა.

_ არ ჩავიცვამ! _ გამწარდა მელანო და სახეზე კატასავით ჩამოპორჭყნა.

_ წადი, შენიც!.. _ მიაგინა ირაკლიმ, ფეხსაცმელი ამოიცვა, პიჯაკს ხელი დასტაცა, მოდრეიფე მანქანიდან გადმოხტა და კარი მიაჯახუნა.

ეს მათი პირველი სერიოზული ჩხუბი იყო...

შემდეგ კი, მართლაც, მოხდა ის, რაზედაც მერე, მთელი კვირა ქირქილებდა ჩვენი, ჭორების მოყვარული ქალაქი.

დიახ, დედიშობილა მელანო, მანქანიდან გადმოვიდა და გასასვლელისკენ გაემართა. ის ჯერ ერთი-ორმა შენიშნა, მერე _ მეტმა და მეტმა, ბოლოს კი _ მთელმა დარბაზმა. შიშველი, ზურგზე ჩანთამოგდებული, მაღალი, სავსემკერდიანი, თეთრი ვარდივით მოელვარე, ქალად ქცეული ქალიშვილი ხალხში გზას იკვლევდა... არა, გზას კი არ იკვლევდა _ უთმობდნენ... ჩუმად, უსიტყვოდ... მუსიკაც კი მიწყდა... მერე კი, აქა-იქ, კანტიკუნტად გაისმა ტაში... ტაშს სტვენა მოჰყვა, მერე _ გაძლიერდა, "გაიზარდა" ტაში და სტვენასთან ერთად, ნამდვილ ოვაციაში გადაიზარდა. ვერ გეტყვით, რას უკრავდნენ ტაშს _ ქალის სილამაზეს თუ გაბედულებას. ალბათ, ორივეს ერთად... არადა, რომ გეკითხათ მელანოსთვის _ რატომ მოიქეციო ასე? _ რას გიპასუხებდათ, რა გგონიათ?.. ძნელი სათქმელია. ეშმაკმა უწყის, ქალის ჩახლართული ტვინის უჯრედების წყობის საიდუმლობანი...

ბაიამ, რომელიც მოღალატის მიმართ შურისძიების წყურვილს ფეხის ფრჩხილებიდან თმის ბოლოებამდე აენთო, პირდაპირ მელანოს მშობლებს მიაკითხა სახლში. ღამის სამ საათზე, როცა ყველა ნორმალურ ოჯახს (ნეტავ, დარჩა კიდევ ასეთი ოჯახები ჩვენში?..) მშვიდად სძინავს. თუმცა რაფიელსა და ზინაიდას რა დააძინებდათ და რადგანაც გაპარული მელანო ღამის ორ საათამდე არ გამოჩნდა, მთელი ნათესაობა ფეხზე დააყენეს, ახლა კი პოლიციაც სურდათ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ.

როგორც კი კარზე ზარის ხმა გაისმა, ზინაიდა მის გასაღებად გავარდა, რაფიელმა კი ხელი ჩაიქნია, რადგან ეგონა, მელანო გამოჩნდა.

კარი რომ გამოაღო და ზღურბლზე უცხო ქალი დაინახა, ზინაიდას გული ფეხებში წაუვიდა. ინანა, ჯაჭვის ახსნა.

_ ვინა გნებავთ? _ იკითხა დაეჭვებულმა ქალმა.

_ მე? _ წარბი აჭიმა ბაიამ. _ ან ქალბატონი ზინაიდა, ან ბატონი რაფიელი.

_ ზინაიდა მე გახლავართ... _ მიუგო დიასახლისმა.

_ ჰოდა, უნდა შემომიშვათ, თქვენთვის ძალიან, ძალიან საინტერესო ინფორმაცია მიდევს ჩანთაში, _ ბაიამ მხარზე მოგდებულ ჩანთაზე თითები მიაკაკუნა.

_ ცუდი? _ შეეკითხა მაშინვე ზინაიდა.

_ ჰო, ძალიან ცუდი! _ უპასუხა ბაიამ და ჰოლში შევიდა.

_ ცოცხალია? _ იკითხა შეშინებულმა ზინაიდამ და კარი მიხურა.

_ საით? _ კითხვაზე პასუხი არ გასცა ბაიამ.

_ პირდაპირ! _ მიუთითა ზინაიდამ მისაღებზე.

რაფიელი უცხო ქალის დანახვას არ ელოდა, ფეხზე წამოდგა.

_ რაღაც იცის ჩვენს ქალიშვილზე... _ მოახსენა ქმარს საქმის ვითარება ზინაიდამ.

_ არა მარტო ვიცი, ფირზე მაქვს ყველაფერი გადაღებული! _ თქვა ბაიამ და ჩანთიდან ვიდეოკასეტა ამოიღო. _ შეგიძლიათ, თქვენი თვალით ნახოთ...

_ ხომ ცოცხალია? _ იკითხა ახლა რაფიელმა.

_ ვერ გეტყვით!.. _ დაამძიმა ვითარება ბაიამ.

_ რას ნიშნავს _ ვერ გვეტყვით? _ ვეღარ გაუძლო ზინაიდამ. _ მე დედა ვარ, ღამის სამი საათია, ვიღაც უცხო ქალი მიზარეს, კარს ვუღებ, შემოდის, ვეკითხები, ცოცხალია ბავშვი? ის კი ორაზროვნად მპასუხობს...

_ ცოცხალია, კი, მაგრამ ჯერ ნახეთ, რა, ფირი და შეკითხვები მერე დამაყარეთ!

ზინაიდამ ფირი გამოსტაცა და ვიდეომაგნიტოფონში შეაგდო.

ბაიას ყველაფერი გადაეღო: სტუდიიდან ირაკლისა და მელანოს გამოსვლა, მანქანაში ჩაჯდომა, გზა, "მამა-მიას" სარეკლამო აბრა, მოზიზინე დარბაზი და თეთრი "ზიმი", ჯერ _ გარედან გადაღებული, შემდეგ კი _ კაბინაში ერთმანეთს ჩაწნული ორი შიშველი სხეული, თავისი ხმოვანი გაფორმებით...

_ აი, ეს _ თქვენი "მონაზონი" და ეს კიდევ _ ბერი, _ გაახსენა ბაიამ შეყვარებულთა როლები მაყურებლებს.

_ ან ხვალვე დაიწერენ ჯვარს, ან ციხეში ამოვალპობ! _ თქვა განრისხებულმა რაფიელმა და ბაიას მიუბრუნდა, _ რამდენი უნდა გადაგიხადოთ? რა ღირს თქვენი ფირი?

_ თქვენ გინდათ, რომ თქვენი შვილი ამ ვაჟბატონს გააყოლოთ? _ ვერ მოითმინა ბაიამ. ცოლ-ქმარმა ეჭვით შეხედა ქალს და ვერაფერი უპასუხა. _ იცით, ვის ატანთ, მერე, შვილს?..

_ არა! _ უპასუხა ზინაიდამ, რადგან მიხვდა, ქალს რაღაცის თქმა სურდა.

_ ის ხომ სატანაა!..

_ ჰოო? _ ახლაღა ჩაეძია რაფიელი.

და მოხსნა გუდას პირი ბაიამ. თუკი რამ შეიძლებოდა დაებრალებინა, ყველაფერი ირაკლის დააბრალა: ქურდობიდან დაწყებული _ ნარკომანიით, სადიზმით, მანიაკობითა და მკვლელობით დამთავრებული; გუტა გელაშვილის მკვლელობაც კი... ირაკლის აჰკიდა.

_ თუ ასეა, თქვენ ჩვენთან კი არა, პირდაპირ პოლიციაში უნდა წასულიყავით, _ უთხრა რაფიელმა და დააყოლა: _ თქვენ... თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით ან რა კავშირში ხართ ამ ყველაფერთან?

_ მე?.. მე... _ დაიბნა ბაია: ვინ იყო _ მართლაც, რა უნდა ეთქვა? რომელი ტყუილი გამოდგებოდა? და ისიც "ვა-ბანკზე" წავიდა: _ მე ირაკლის საყვარელი ვარ! _ თქვა და გაქვავდა.

_ საყვარელი? _ რატომღაც უცნაურად წამოიყვირა ზინაიდამ.

_ ახლა ყველაფერი გასაგებია... _ თითქოს შვებით ამოისუნთქა რაფიელმა.

ბაია კი მიხვდა, რომ რაღაც ძალიან მაგრად შეეშალა. ეგონა, ამ ფირს თუ უჩვენებდა, მშობლები ყველაფერს დაბდღვნიდნენ, მათ კი, თითქმის გულგრილად მიიღეს ეს ყველაფერი, გულთანაც კი არ მიიტანეს. რას წარმოიდგენდა, რა ნაწამები ჰყავდა მელანოს ორივე და რომ ირაკლის გამოჩენა მათთვის, იქნებ გადარჩენის ტოლფასიც კი იყო.

_ მომეცით ჩემი ფირი! _ თქვა ცივად ბაიამ და ინანა, რომ ასლი არ გააკეთებინა.

_ ვერ მოგცემთ, _ თქვა მუქარით რაფიელმა, _ რადგან ზედ ჩემი ქალიშვილის ინტიმური სცენებია გადაღებული, თქვენ კი დაინტერესებული მხარე ხართ! _ და როცა გაცოფებული ბაიას გამომეტყველება დაინახა, დააყოლა: _ შეგიძლიათ გვიჩივლოთ!

_ გიჩივლოთ? _ და ბაიამ ყველაფერი ფეხზე დაიკიდა: _ მეტი საქმე არა მაქვს! მე ვიცი, რასაც ვიზამ და როგორც მოვიქცევი, თქვენი კარნახი არ მჭირდება! არც ეგ ფირი! _ თითქოს რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა და მერე კი უცბად ამოთქვა: _ კი, ბატონო, მიათხოვეთ, მაგრამ სხვებს ნუ გადააბრალებთ, რაც მაგ თქვენს საყვარელ ქალიშვილს... თუმცა რაღა ქალიშვილს?!. ჰო, ჰო, თქვენს თავს დააბრალეთ ყველაფერი! ახლა კი კარი გამიღეთ, მივდივარ! _ და ხელი კარისკენ გაიშვირა.

ვფიქრობ, დროა, მივატოვოთ ფიზიკურად თუ სულიერად გაშიშვლებული ეს ჩვენი გმირები და სხვა თემაზე გადავიდეთ... მოკლედ, თათიკოს თემას მინდა დავუბრუნდე. თუმცა მანამდე, ოპერაცია "მოლეკულა" იყო, რომელიც ჩვენი, მოსახლეობისგან "ნდობამოპოვებული" პოლიციის თანამშრომლებმა სიცილით დაიწყეს და ყველაფერი კი ტირილით დამთავრდა.

...მოლეკულა თავის ჩვეულ ამპლუაში იყო, ნარკოტიკით "ბარიგობდა", ყალბ დოკუმენტაციას ამზადებდა და არჩილ მამულაძეს ატერორებდა. მოკლედ, ბოლო ულტიმატუმი წაუყენა და დროც და ფულის გადაცემის ადგილიც დაუთქვა. არჩილს, XXI საუკუნის ამ პირწავარდნილ მეჯღანუაშვილს, შოთების საცხობი თონე, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა, რომ იქ თავისი შრომით ნაშოვნი მილიონები ჩაეყარა, მაგრამ ფული როგორ და რანაირად დაემალა, ეს კი იცოდა. უბრალოდ, მუთაქის გამოკერილი თავის გახსნა ეზარებოდა, თორემ იქიდან მარტო ორმოცდაათი და ასი ათასი კი არა, ათჯერ მეტიც გადმოცვივდებოდა. აქამდეც გადაიხდიდა, მაგრამ რა გარანტია ჰქონდა, რომ შეეშვებოდნენ? არავითარი. ამიტომაც აჭიანურებდა, ეგებ ამ ხალხმა სხვა რაიმეზე წაიტეხოს ცხვირი და გადავრჩეო, იმედოვნებდა. მაგრამ როცა შინ გამომძიებელი კახა ლაფერაძე ესტუმრა და ტერორის შესახებ ყოველივე დაწვრილებით უამბო, საშინლად იუარა: როგორ გეკადრებათ, რა შანტაჟი, რის ტერორი, რა ქონების პატრონი მე ვარ, რომ

ვინმე ჩემი ფულებით დაინტერესებულიყოო?! _ საშინლად გაიკვირვა. ამის გამო კახამ დაასკვნა _ აქ ბევრად უფრო დიდ თანხასთან უნდა გვქონდეს საქმეო, _ და ყველა კარტი გაუხსნა.

_ თქვენი ფული და კავშირები, თუნდაც უმაღლეს ეშელონებში, ჩვენ არ გვაინტერესებს... _ ცოტა გაბრაზებულმა დაიწყო კახამ. _ კაცი, ვინც თქვენგან ფულის გამოძალვას ცდილობს, უბრალო ტერორისტი და შანტაჟისტი კი არა, ბევრად იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ და გგონიათ... კი, ბატონო, მესმის, თქვენთვის, ორმოცდაათი და ასი ათასიც იქნებ, არაფერია, მაგრამ...

_ როგორ გეკადრებათ, რომელი ორმოცდაათი?!. _ თვალები გაუფართოვდა არჩილ მამულაძეს, მაგრამ კახამ იმწამს გააჩუმა:

_ მაცალეთ! მე უტყუარი ცნობები მაქვს თქვენი საქმიანობის შესახებ. თქვენ რა, ძალიან გინდათ, რომ ამ ყველაფრით პროკურატურა დაინტერესდეს?..

_ აბა, თქვენ ვინა ხართ? _ შეეკითხა ოდნავ შემკრთალი არჩილი.

_ კი, მართალია, დეტექტივი გახლავართ, მაგრამ ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ეგ თქვენი ფული! უკვე გითხარით _ თქვენ უბრალოდ, უნდა დაგვეხმაროთ იმ, რბილად რომ ვთქვათ, დამნაშავის დაკავებაში: თქვენ მიგაქვთ დანომრილი თანხა, ჩვენ მას ფაქტზე ვაკავებთ და რადგან თქვენ ითანამშრომლებთ ჩვენთან, როგორც წესი, უდანაშაულო ხართ... მოკლედ, მეტი აღარაფერი გეხებათ. გასაგებია თუ უნდა გავიმეორო?

_ მერე, უჩემოდ ვერ დაიჭერთ?.. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ უნდა გადავცე მაინცდამაინც მე დანომრილი ფული კაცს, რომელსაც არც ვიცნობ და არც არავითარი შეხება მქონია? _ გაჯიუტდა არჩილ მამულაძე. _ რა შუაში ვარ მე?

_ ასე, არა? _ ველარ შეიკავა თავი გამომძიებელმა. _ კაი, ბატონო, დავიხურავ მე ჩემ ქუდს და წავალ, მაგრამ ერთს კი დაგპირდებით, რომ რაც კი გიშოვიათ, ყველაფერს დაგაყრევინებთ...

_ რა მიშოვია, საიდან, რა მეტყობა, რომ რამე მიშოვია?.. _ განაგრძო არჩილმა.

_ კარგი, კარგი, საკმარისია. არ გიშოვიათ? გამოჩნდება... _ თქვა კახამ და წავიდა.

_ აი, ასე... "დამიატკაზა", _ უხსნიდა გადარეული კახა ლაფერაძე მურაზ ლეშკაშელს, _ ასე მხოლოდ მილიონერები თუ იქცევიან.

_ უნდა იყოს... "იატაკქვეშა მილიონერი"... გახსოვს ალბათ, არსებობდა ასეთი გამოთქმა კომუნისტების დროს. თუ შენ პატარა ხარ? დრო არ მაქვს, თორემ მე ვიცი, როგორც მოვამტვრევდი რქებს... იქნებ, გადაუხადა და ამიტომაც შეჯდა ასე ვირზე?..

_ გამორიცხულია, იმიტომ, რომ დილანდელი ჩანაწერიც გვაქვს მაგათი ლაპარაკის... მე სხვა რამეს ვფიქრობ...

_ აბა?..

_ აი, რას... _ დაიწყო კახამ. _ პირველი _ რომ ბევრად უფრო შებერტყილია, ვიდრე მეგონა, მეორე _ ბევრად მაგარი "კრიშაც" ჰყავს, ალბათ... ვისი იმედიც აქვს... და რადგან ჩვენ ანუ პოლიცია გამომძალველზე გავედით, თავი ქუდში აქვს, ფულს მაინც აღარ კარგავს და საქვეყნოდ გამოჩენაც არ უნდა... მოკლედ, თავს უფრთხილდება, შორს იყურება...

_ კარგი, მაშინ, გამოაწერინებ ორდერს, მე დავურეკავ ნაცვლიშვილს... წაიყვანე ბიჭები და გაჩხრიკე, დანარჩენი შენ იცი... რა გელაპარაკო, აქეთ მასწავლი... _ აღარ დაამთავრა მურაზმა.

ასე გადაწყვიტეს და როცა არჩილ მამულაძეს “სიაფანდი” კამერით მიადგნენ, მერე კი, ერთ მხარეს გაუფორმებელი იარაღი და ნარკოტიკი, მეორე მხარეს კი _ დანომრილი ფული დაუდეს, მამულაძე გონს მოეგო და, რა თქმა უნდა, დანომრილი ფული არჩია.

ოპერაცია “მოლეკულა” გაგრძელდა.

როგორ გგონიათ _ რა მისამართს მისცემდა ტაქსის მძღოლს, სულ ახლახან დაქალებული, რატომღაც მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ამხედრებული მელანო გარდაფხაძე?.. დიახ, ირაკლის სტუდიაში წაყვანა სთხოვა. და რა გგონიათ _ ირაკლიმ რომ კარი გააღო და ზღურბლზე ჯერაც შიშველი მელანო დაინახა, რა დაემართებოდა?.. დაიჯერებთ? _ მაგრად გაუხარდა, გულში ჩაიკრა და კოცნა და კოცნა... რა თქმა უნდა, ისინი ერთი ყაიდის გიჟები არ იყვნენ, მაგრამ რაღაც მაინც ჰქონდათ ალბათ საერთო და მათ უცნაურ რომანსაც ჯერ კიდევ ეწერა გაგრძელება.

ირაკლიმ მელანოს თავისი ტანისამოსი მისცა, ტრუსიც, რომელიც დიდად აღარაფრით განსხვავდება ქალის ტრიკოსაგან და მელანომაც ყველაფერი, ასე თუ ისე, ტანზე მოირგო და სარკის წინ ლამაზადაც პრანჭიაობდა...

ხოლო როცა რაფიელი, თავის ორ მეგობართან ერთად, თავს დაადგა, უკვე თენდებოდა კიდეც. ამ დროს შეყვარებულებს დილის იმ ტკბილი ძილით ეძინათ, როგორითაც ღამის ბობოქარი თავგადასავლის შემდეგ შეიძლებოდა სძინებოდათ და რაფიელის დანახვა, თან ვიღაც ტიპებთან ერთად, ამ კონტექსტში, არაფრით არ ჯდებოდა. მელანო შიშველი ბრძანდებოდა, ირაკლიმ კი სასწრაფოდ ამოიცვა შარვალი და სტუმრებს სკამები შესთავაზა...

ჩანდა, რომ რაფიელი ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. ალბათ, ყველაფერთან ერთად, იმ ნათესავების გამოც, რომლებიც თან მოიყოლა. მელანო, რომელსაც გაბუტულის პოზა ეჭირა და საბანს იფარავდა, გაკვირვებული აცეცებდა თვალებს.

რაფიელი მაგიდასთან იჯდა და თითებს მაგიდის ზედაპირზე აკაკუნებდა.

_ ყველაფერი გასაგებია... _ ჩაილაპარაკა მან და შვილს შეეკითხა: _ ახლა?.. ახლა რას აპირებთ?

_ რას უნდა ვაპირებდეთ, მამა? ირაკლის ჩემთვის ჯერ თითიც არ დაუკარებია!.. _ ეს ისეთი გულწრფელობით იყო ნათქვამი, რომ რაფიელს ფირზე რომ არ ჰყოლოდა თავისი გაშიშვლებული მელანიკო ნანახი, ალბათ მის ნათქვამს დაიჯერებდა კიდეც.

_ კაი, შვილო, ფიცი მწამს, მაგრამ... _ აღარ დაამთავრა რაფიელმა. _ უკვე მოედო მთელ ქალაქს, არა?

_ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს... _ თქვა ირაკლიმ და შეშინებული, მომავალი სიმამრის რეაქციას დაელოდა.

_ აქ რატომ ცხოვრობ, მერე? მშობლები არ გყოლია, მაგრამ არც სახლი გაქვს? _ შეეკითხა რაფიელი.

_ ძმა ჰყავს კიდევ, ციხეში და ერთიც _ გადაკარგულიო... _ დაამატა დაბალმა, ჯინსის “ქვედა-ზედაში” გამოწკეპილმა, “პეპელიანმა” სტუმარმა.

_ “გადავარდა” ჩემი ძმა, ბანდიტი კი არ იყო... _ ეწყინა ირაკლის.

_ მოკლედ, ჯვარს დაიწერთ და დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს.

ირაკლის მაგრად არ მოეწონა თავისი მომავალი სიმამრის ასეთი ნათქვამი და თავისდაუნებურად წამოსცდა:

_ თუ არ დავიწერთ?

_ ძალით დაგწერთ, ბიჭო! _ ახლა უკვე მესამეც ჩაერია, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და ხმას არ იღებდა.

_ მოდი, პოლიცია მაინც გამოვიძახოთ, იქნებ დავაფიქსიროთ ეს ამბავი... _ თქვა "პეპელიანმა".

_ მამა, შენ თუ პოლიციას გამოიძახებ, მე თავს მოვიკლავ, იცოდე! _ თქვა მელანომ და მთქმელს მიმართა: _ გაგა, წადი, რა, შენ შენს ცოლს მიხედე, რა!..

_ კი, ბატონო, როცა თქვენ იტყვით, მაშინ წავიდეთ, გინდათ _ ეკლესიაში და გინდათ _ მმაჩის ბიუროში! _ თქვა გადაჭრით ირაკლიმ.

_ ჩვენ საქორწინო მოგზაურობაში მივდივართ, ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში... _ თქვა მელანომ.

_ ვინ გაფინანსებთ? _ იკითხა რაფიელმა.

_ მე თვითონ მაქვს ტურისტული ფირმა და ის! _ რაღაც, ბრაზიანად თქვა ირაკლიმ.

_ რა უნდა აკეთოთ იმ ქაჯებში, თორემ კი... _ ჩაიქირქილა "პეპელიანმა".

_ კაი, გაჩუმდი! _ მიმართა მას რაფიელმა.

_ კი, ბატონო, გავჩუმდები! ან _ შეიძლება, მოგილოცო? _ შეეკითხა ის რაფიელს.

_ გაგა! _ იყვირა მელანომ. _ გინდა, ხმა აღარ გაგცე აღარასოდეს?!.

_ კაი, გავჩუმდი, აი, მოვკეტე! _ ტუჩებთან თითი მიიტანა გაგამ.

_ მაშინ, წავედით, ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება... _ თქვა მესამემ.

_ თქვენც ჩვენთან ერთად წამოხვალთ. ესეც, _ თქვა რაფიელმა ირაკლიზე, მელანოს კი თითით დაემუქრა: _ და შენც! მანქანაში დაგიცდით, _ და ბიჭებს მიუბრუნდა, _ წავედით, წავედით.

სტუმრები გავიდნენ, მელანომ და ირაკლიმ კი ჩაცმა დაიწყეს.

ირაკლი ვერც წარმოიდგენდა, თუ ასე იოლად ჩამთავრდებოდა ის ამბავი, რომლისთვისაც მთელი "ოპერაცია" თავად ჰქონდა ჩაფიქრებული. ახლა კი გული ეთანაღრებოდა, რაღაც აკლდა, რაღაც ისე არ იყო, როგორც თავიდან ჩაიფიქრა თუ ეგონა...

შინ სამნი დაბრუნდნენ _ რაფიელი, მელანო და ირაკლი. სიდედრმა ისეთი განმგმირავი მზერა სტყორცნა ირაკლის, პირდაპირ კარზე მიაჭყლიტა. ზინაიდამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ ყოველივეს, ოჯახში შემოვარდნა ჰქვია და რომ ძალიან ხშირად, ასეთი "ტრიუკი" სავალალოდ მთავრდება. ირაკლიმ კი ისეთი "დაიჭირა", თითქოს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მელანოზე დაქორწინებისა და აძალებდნენ; რიჩარდის როლში რამაზ ჩხიკვაძე რომ ხელებს ასავსავებდა _ გვირგვინი არ დამანახვოთო, _ დაახლოებით ასე იქცეოდა, ბუნებრივად, ზედმეტად ბუნებრივადაც კი... საუზმე კი ზინაიდამ აზას, თავის მოსამსახურეს, სანახევროდ სადილის მსგავსი გააშლევინა. ჭურჭელიც კი საშუალო სიძვირფასისა გადმოაღებინა, ასე რომ, რაღაც, ნახევრად ოჯახური სიტუაცია შეიქმნა.

რაფიელმა გრაფინი აიღო და ფუჟერებში კონიაკი ჩამოასხა. ცოლს თვალით ანიშნა _ შეგივსოო? _ და მანაც თავი დაუქნია. მოკლედ, რაფიელმა სასმისები შეავსო და ჭიქა ასწია.

_ ოჯახში ახალი წევრი შემოდის, _ დაიწყო რაფიელმა, მაგრამ მელანო იმწამსვე ჩაეჭრა:

_ მამა, ჩვენ ცალკე უნდა ვიცხოვროთ, თქვენ ისედაც აქ მყავხართ, აი! _ და მელანომ ყელთან მიიტანა თითი.

_ შენ იცი, ვინ მოგყავს ცოლად? _ მიუბრუნდა რაფიელი სასიძოს.

_ მაცალეთ, რომ გამეცნო?.. _ პირში მიახალა ირაკლიმ.

_ ჰოდა, გაიცნობთ, ძალიან მალეც, ორ-სამ დღეში... _ ჩაერია მათ კამათში ზინაიდა....

_ უნდა ინატრო, რა, ასეთი დედა და მამა!.. _ ჩაიბურტყუნა მელანომ.

_ ოღონდ თქვენ ცალკე იცხოვრეთ და სადაც თითს დამიდებთ, იქ გიყიდით ბინას... _ გამოაცხადა რაფიელმა.

ახლაც ყოველივე ისე ვითარდებოდა, როგორც ირაკლიმ ჩაიფიქრა. იმასაც მიხვდა, ეს ოჯახი არა მარტო ბინას შეუძენდა შვილს, ალბათ, უკვდავების წყალი რომ ენატრა, იმასაც კი გაუჩენდნენ და მიურბენინებდნენ. მაგრამ რაღაც, უცნაური შიშის მსგავსი გრძნობა მაინც უღიტინებდა გულში და გუნებას უშხამავდა. იქნებ ის, რომ ამ ოჯახთან შედარებით, თვითონ თითქმის არაფერი გააჩნდა და ვერაფრით დაიტრაბახებდა, ვერც იმას დაიქადნიდა _ მე ირაკლი ვარ, ბერიძეო, _ როგორც ეჭიმებოდა მუდამ, იმათაც კი, ვისი ვალიც ჰქონდა... ან იქნებ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომელიც ყველა ქართველს, გოლიათიც რომ იყოს, ცოლის შერთვისას დააფიქრებს კითხვაზე _ ხომ არაფერი მივქარეო?.. ასე იყო თუ ისე, ირაკლი ფრიად მოშხამულ ხასიათზე იყო. მელანოს საერთოდაც ვეღარ ამჩნევდა, ის სულ პატარა, პა-ატარა წერტილიღა იყო, თეთრ ფურცელზე უადგილო ადგილას შემთხვევით დასმული...

აი, ასე უგემურად იღეჭებოდნენ სუფრასთან მსხდომნი, როცა ტელეეკრანზე მოულოდნელად მოლეკულა გამოჩნდა და ამის გამო, ირაკლის გული ისე შეეკუმშა და დაუპატარავდა, რომ ხელში აწეული კონიაკიანი ჭიქა რომ არ გადაეკრა, შესაძლოა, ენაც კი გადაეყლაპა და საიქიოსკენაც "მოეკურცხლა". მართლაც, რა იქნებოდა, იმწამს, ეკრანზე მოლეკულას გამოჩენა ირაკლისთვის? მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა?.. არა, ირაკლითვის ცა მოწმენდილი კი არა, შავი ღრუბლებით იყო ისედაც დაფარული. მაშ, რას შევადარო _ კოცონზე დაწვას, თავის მოკვეთას თუ ძელზე გასმას?.. თუ ხის კენწეროებით შუაზე გახლეჩას? აი, ერთადაც კი, ეს ყველაფერი _ არაფერია იმასთან შედარებით, რა საშინელმა ტოტალურმა ძრძწოლამაც და შიშმაც აიტანა ჩვენი გმირი...

ვიღაც მოყვარულ ოპერატორს, ლამის, მთელი ფილმიც კი გადაეღო. თავდაპირველად, ფულის გამოძალვის ეპიზოდი უჩვენეს, რომელიც არჩილ მამულაძის "ნივაში" იყო დაფიქსირებული. "ასი ათასს ითხოვდით? ჰო, ასე იყო? ორმოცდაათზე შევთანხმდით? ორმოცდაათია, თუ გინდა დაითვალე!" _ ეუბნებოდა მოლეკულას არჩილ მამულაძე და დანომრილი ფულის ასიანების დასტას აწვდიდა, რომელიც მოლეკულამ გულის ჯიბეში გააქანა. "აქედან მე ბევრი კი არ მხვდება, ჩემი, დიდი-დიდი, ხუთი ათასია", _ ჩაილაპარაკა მოლეკულამ. მერე არჩილ მამულაძე ლაპარაკობდა: "რა შემაგულეს, ამიხსენით, "რემონტიორად" ვარ გაფორმებული, რიგით "რემონტიორად" და მთელი წელია, დამდევს, რა უნდა მექნა? ავდექი და სამართალდამცველებს მივმართე", _ და ჟურნალისტმაც მამულაძე, პირდაპირ, ქართველი ერის "გაჭირვების ტალკვესად" და მამულიშვილადაც კი მონათლა. მაგრამ მთავარი წინ იყო. უეცრად მოლეკულამ იარაღი ამოიღო და ისროლა. ეკრანზე გამოჩნდა, როგორ განათდა ლულის ხვრელი და მერე, გაქცეული მოლეკულა როგორ არბოდა სადარბაზოს კიბეზე და როგორ ისროდა რევოლვერიდან... როგორ შეასვენეს ორი პოლიციელი საკაცით "სასწრაფო დახმარების" მანქანაში და როგორ გაათრიეს ხელებგადაგრეხილი და სახედალილავებული მოლეკულა სადარბაზოდან. აჩვენეს მიცვალებულთა ოჯახებიც, თმაგაწეწილი, ტირილით თვალდამდუღრული ქალები და პრეზიდენტიც კი, რომელიც ჭირისუფალთ უსამძიმრებდა და მატერიალურ დახმარებას ჰპირდებოდა. მერე კი, მოლეკულას სარდაფიც აჩვენეს, კომპიუტერის მაგიდაზე დალაგებული გადაშლილი ყალბი დოკუმენტები, ნიღბები და თმის შინიონები, იქვე სუბუტექსის აბები და ფული: დოლარი, ევრო, ლარი და ოქროს მონეტებიც კი, ალბათ _ "ნიკოლოზის"... მაგრამ როცა დიქტორმა მოლეკულას ანუ ლოვა გრიგორიანს, ყველაფერთან ერთად, ჯაშუშობაშიც დასდო ბრალი და კრემლის აგენტად ანუ "გრუს" თანამშრომლად მოიხსენია, ირაკლიმ ყურებს ვერ დაუჯერა, ეკრანზე კი

სუბტიტრებით სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიდიოდა, რაც ნანახის უტყუარობას ამტკიცებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ირაკლიზე გავიდოდნენ, სამუდამო პატიმრობა გარანტირებული ჰქონდა. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამონაწილეებს ჯერჯერობით არ ასახელებდნენ, რამაც ირაკლის იმედის პატარა ნაპერწკალი გაუჩინა _ იქნებ, გავასწროო? _ და ჭიქა ასწია.

_ მეშინია, არ გადავიფიქრო, _ გამოაცხადა მან მოულოდნელად, _ ამიტომ, თუ თანახმა ხართ, მინდა, რომ მე და მელანომ დღესვე დავიწეროთ ჯვარი, ყველა წესის დაცვით!

სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა. ვერ მიხვდნენ, ასე უცბად რატომ გადაწყვიტა ირაკლიმ ამხელა რამ.

_ მერე, ქორწილი, ხალხი?.. მომზადება არ გვინდა? _ ამოღერღა ზინაიდამ.

_ ჩვენ იმხელა ნათესაობა გვყავს... _ დაამატა რაფიელმა.

_ აკი, ერთი კვირის მერე მიფრინავდით? _ იკითხა ზინაიდამ.

_ ეგ რიო-დე-ჟანეიროში და მანამდე პარიზში გვინდა გავისეირნოთ, _ გამოაცხადა ირაკლიმ.

რა ფულით აპირებდა პარიზში გასეირნებას, _ ამაზე არც დაფიქრებულა. გვერდით ისეთი "ბომბა" ეჯდა, როგორიც მელანო იყო, მხოლოდ ფიტილისთვის უნდა მიგეცა ცეცხლი და ფულიც თავისით გაჩნდებოდა. უნდა გაესწრო, გაესწრო...

_ ნათესაობა მოიცდის. დღეს მხოლოდ სიმბოლურად აღვნიშნავთ, მეგობრებთან ერთად, ისიც _ ძალიან ვიწრო წრეში... ქორწილს კი, რომ ჩამოვალთ, მერე გადავიხდით! _ განმარტა ირაკლიმ.

_ კი, კი, ასე ვაპირებთ! _ მხარი აუბა მაშინვე პატარძალმა.

_ მერე _ ბილეთები, სასტუმრო?.. _ წამოიწყო ზინაიდამ, მაგრამ მელანომ იმწამსვე გააჩუმა.

_ რაც შენი საქმე არაა, რატომ ყოფ შიგ ცხვირს, დედა?!

_ მართლაც! _ ზემოდან გადახედა ცოლს რაფიელმა. _ დღეს უნდათ?.. დღეს იყოს! _ თავისთვის კი გაიფიქრა _ ვაითუ, უფრო ადრე შესცოდეს და ბავშვიც უზის ამ პატარა ურჩხულს უკვე მუცელშიო?..

_ ჰო, ჩემი საქმე მარტო ფულის ხეზე მოკრეფაა... _ ჩაიბურტყუნა შეურაცხყოფილმა ზინაიდამ.

და აგორდა... რამდენიმე ნათესავს დაურეკეს თუ არა, რაღაც ორ-სამ საათში მთელმა თბილისმა იცოდა, რომ რაფიელი ქალიშვილს ათხოვებდა. არც ბილეთები აღმოჩნდა პრობლემა და არც პარიზში სასტუმროს დაჯავშნა. ოთხზე ხელს აწერდნენ, ხუთზე სვეტიცხოველში იწერდნენ ჯვარს, ექვსიდან კი, იქვე, მცხეთაში, რესტორან "იბერიის ვარსკვლავში" იკრიბებოდნენ, ვერცხლისფერ საბანკეტო დარბაზში. ყველაფერი რაღაც, ოცდან ოცდაათი ათასამდე ჯდებოდა.

ირაკლიმ, პირველ რიგში, ანის შეატყობინა თავისი გაბედნიერების შესახებ.

_ რა კარგია! _ გაისმა ანის ხმა ყურმილში. _ თაზოსთან გაბუტული ვიყავი და შერიგების მიზეზი გამომიჩნდა. გასაგებია, სანაპიროზე, ბერიკებთან რომ მმაჩის ბიუროა, ხუთზე იქ ვიქნებით! გილოცავ წინასწარ, მაგრად "გამისწორდა"...

ირაკლის არც ბიზნესმენი დეიდაშვილი _ ლადო დავიწყებია, რომელიც ისევ საქართველოში აგრძელებდა თავის მოღვაწეობას. თანამშრომლებსაც დაურეკა და ყველა დაპატიჟა. მხოლოდ ელისო არ გაახსენდა _ ბებიამისი, რომელიც მოხუცებულთა თავშესაფარში ატარებდა დარჩენილ სიცოცხლეს და აღარავის ახსოვდა, ან იქნებ, ახსოვდათ კიდეც, მაგრამ არავინ აკითხავდა... ელისო იმ დღეს ანისაც არ გახსენებია და

ძალიან კარგიც, რადგან ქორწინება “იბერიის ვარსკვლავში”, ასე ვთქვათ, უშედეგოდ დასრულდა, თუ რატომ _ ამას მოგვიანებით მოგახსენებთ...

_ პირველ რიგში, თმა მინდა დავიხვიო... _ გამოაცხადა მელანომ და საქმროს მიაჩერდა. _ შენ? შენ არ გაიკრეჭ?

_ არა, მინდა, გავიზარდო და “კოსა” გავიკეთო, _ სერიოზულად თქვა ირაკლიმ, რაზეც გაკვირვებული სასიმამრო, კითხვის ნიშანივით მიაჩერდა.

_ როლისთვის მჭირდება, ბერს ვთამაშობ... _ განუმარტა ირაკლიმ.

_ ჰო, მაგრამ ჩემთან ერთად ხომ წამოხვალ? _ შეეკითხა მელანო.

_ თუ შენ ასე გინდა... _ უპასუხა ირაკლიმ, თუმცა ქალთა სალონში ჯდომის პერსპექტივა ძალიანაც არ მოეწონა.

ცოტა ხნის შემდეგ, მელანო ზემელზე, სტილისტ ოლეგ ზასლავსკის სავარძელში იჯდა და რადიოში, რომელიღაც “ეფემს” უსმენდა. მას ჰოლში მდგარ დივანზე, მისი საქმრო, ირაკლი ბერიძე ელოდა და ვიღაც სტილისტ ოლეგზე საშინლად ეჭვიანობდა. მელანოს მამის “მერსედესით” აქეთ რომ მოდიოდნენ, ირაკლის თავშიც არ გაუვლია, რომ მისი მომავალი მეუღლე ვიღაც კაცს უნდა ჩასკუპებოდა სავარძელში და იმ კაცს მისი თავი, საკუთარი ხელებით, საითაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე ეტრიალებინა, თმა ეკრიჭა და ესწორებინა. ირაკლის თვითონაც ვერ გაეგო, რა დაემართა, ლამის ცოფიან ძაღლს დაემსგავსა. ერთი სული ჰქონდა, მელანოსთან ერთად იქაურობას გასცლოდა და “ახლადგამომცხვარი” პატარძლისთვის მოეხსენებინა, რომ მომავალში, ათგზის ცისფერიც რომ ყოფილიყო, მამაკაც სტილისტს სავარძელში აღარასოდეს ჩასჯდომოდა. მოკლედ, ისე მაგრად ეჭვიანობდა, ნამდვილი, შავი ოტელო მიმიქარავს...

ამ დროს სულ სხვა სადარდებელი ჰქონდათ იმ პოლიციელებს, რომლებსაც მისი აყვანა ჰქონდათ ნაბრძანები, თითქმის გარიჟრაჟიდან ეძებდნენ ირაკლის და სალონში თუ წააწყდებოდნენ, ამას ვერაფრით წარმოიდგენდნენ. მოკლედ, როცა ირაკლის ეჭვიანობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ლამის წამომხტარიყო და იმ ვიღაც ოლეგს შევარდნოდა, _ აი, სწორედ მაშინ დაადო მის გვერდით ორიოდე წუთის წინ მარჯვენა მხრიდან მიმჯდარმა ჰალსტუხიანმა ტიპმა საფეთქელზე იარაღი, მეორემ კი, რომელიც მარცხენა მხრიდან ეჯდა, ისე მაგრად ჩაარტყა მოულოდნელობისგან ფეხზე წამომხტარ ირაკლის გაშლილი ხელის ნავარჯიშევი, ქვასავით მტევანი კისერში, რომ ირაკლი ეგრევე იატაკზე დაემხო, ხოლო პოლიციელებმა ორივე ხელი ამოუგრიხეს და ბორკილი დაადეს. ხმაურზე, ყვირილზე, გინებასა და რაღაც შეძახილებზე, სალონის კაბინეტიდანაც გამოცვივდნენ. ერთ-ერთი მათ შორის, მელანოც იყო, რომელსაც დახვეულ თმაზე “ბიგუძები” ეკეთა და რომ დაინახა, მის ხელებგადაგრეხილ საქმროს ვიღაც ტიპები გასასვლელისკენ მიათრევდნენ, გაგიჟდა, გადაირია და სამოქალაქო სამოსში გამოწყობილ პოლიციელებს ებდღვნა:

_ გაუშვით ხელი, გაუშვით! ვინა ხართ, სად მიათრევთ, მხეცებო, პირუტყვებო!

_ ნელა, ქალო, თორემ შენც ჩაგაყუდებთ! _ დაემუქრა ერთ-ერთი, მელანოს და ხელი ისეთი ძალით მოუქნია, ის რომ მელანოს მოხვედროდა, “ნაწილებად დაშლიდა”, ნაღდად...

_ მე დაგელოდები, სიკვდილამდე!.. _ ამის თქმაღა მოასწრო მელანომ, რადგან ირაკლის, მანქანის კარი გამოუღეს. მელანომ გაიფიქრა, რომ საქმროს ვეღარასოდეს ნახავდა. ირაკლი კი ვერც მიხვდა, რას უყვიროდა გოგო ან რატომ უნდა დალოდებოდა, თანაც _ სიკვდილამდე...

_ თქვენ ბრალი გედებათ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დივერსიული აქტის მომზადების მცდელობაში. შეგიძლიათ მოითხოვოთ დამცველი და გაქვთ დუმილის უფლება... _ მოახსენეს მანქანაში "ჩატენილ" ირაკლის, რომელმაც გაბრაზებულმა უპასუხა:

_ მარჯვენა ჯიბეში მანქანის გასაღები მიდევს, მაგ გოგოს მიეცით!

მანქანა უკვე დაძრული იყო, როცა პოლიციელმა, სირბილით დადევნებულ მელანოს გასაღები გადაუგდო.

მელანო, რომელმაც საქმროს შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ ირაკლის რაღაც ვიდეოსტუდია ჰქონდა და ფილმში მისი შეყვარებული, დაყუდებული ბერის როლი უნდა ეთამაშა, საქმროს დაჭერის გამო ისეთი განცვიფრებული და პირდაღებული დარჩა, რომ რა უნდა ექნა და როგორ უნდა მოქცეულიყო, წარმოდგენა არ ჰქონდა. უნდა ეთქვა თავისიანებისთვის თუ არ უნდა ეთქვა?.. მოგეხსენებათ, ქალის სიეშმაკის ამბავი. ჰოდა, მელანოს გამჭრიახმა ტვინმაც მას ცოტა ხნით დალოდება უკარნახა, ვიდრე ირაკლისგან რაიმე ცნობას მიიღებდა, თორემ ახლა რომ მშობლებისთვის ეს თავზარდამცემი ამბავი შეეტყობინებინა, ყველაფერი ისე აირეოდა, რაღა დაალაგებსო?! _ ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში, ირაკლის რომ სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა, ეს ცხადი იყო...

მოკლედ, თმა დაიხვია და სპარსულ საუნაში გადაინაცვლა. მას ჯერ ვარდის ფურცლის მისაღებში მოუმზადეს აბაზანა, მერე კი გვირილის აუზში გაღვრიჭეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაავლეს ირმის რძის შხაპი. მერე კი, სპარსული ნელსაცხებლების მაგიდაზე დააწვინეს და სხეულის ყველა წერტილი და უჯრედი ისეთი ნაზი და სურნელოვანი სუნამოების ხსნარებით შეუზილეს, როგორსაც ალბათ, მხოლოდ აღმოსავლეთის ჰარამხანების ფავორიტები თუ ღირსებიან... მოკლედ, ახალი, "ფულიანი" საქართველოს ახალი თაობა ახლებურად რომ ცხოვრობს, _ ეს, ფაქტია და ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. დიახ, არის თბილისში მსგავსი "გამაჯანსაღებელი ცენტრები", რომლებსაც არც სახელი აქვს და არც რეკლამა, მაგრამ ვისაც ემსახურებიან, მათ ამ დაწესებულებების ადგილმდებარეობაც კარგად იციან და იქაური, ფანტასტიკურად ძვირი ნიხრებიც...

ირაკლის, რომელმაც საკუთარი თავი გამოიგლოვა და სამუდამო პატიმრობის პერსპექტივასაც რატომღაც, გულგრილად შეხვდა, ხელზე ბორკილი ახსნეს, მურაზის კაბინეტის კარი გაუღეს და შეუშვეს.

_ მოდი, დაჯექი, _ მშვიდად მიმართა მას მურაზმა და თავისთან ახლოს მდგომ სკამზე მიუთითა.

ირაკლის თავში რაღაც პატარა ნათურა აკიაფდა, რომელიც იმედის სხივს ჰგავდა და მამაკაცის თხოვნას დამორჩილდა.

ლეშკაშელი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული უყურებდა ირაკლის: ამდენი უარყოფითი იარლიყის გაგონების შემდეგ, სულ სხვა ტიპს ელოდა და სულ სხვაგვარი პიროვნება შერჩა ხელში.

_ იცი, მე შენ ძმას კარგად ვიცნობდი, ნიკას, სულ არ ჰგავხართ ერთმანეთს... _ დაიწყო ლეშკაშელმა, მაგრამ ირაკლიმ რატომღაც, არ დააცადა.

_ მერე? _ ჰკითხა მან უეცრად, რადგან იფიქრა, ჩემი ხელით ნიკას დაჭრის ამბავიც იცისო.

_ მერე? _ ვერ მიუხვდა ლეშკაშელი, რას ეკითხებოდა. _ მერე, ის, რომ თავიდან წვრილმანი ყალთაბანდი და შულერი მეგონე, ახლა კი ვხვდები, რომ ოკეანის ზვიგენი გაგვიბია ბადეში.

_ ჰო, თუკი მეც სახელმწიფოს ღალატი ამკიდეს, როგორც მოლეკულას... _ ირონიულად თქვა ირაკლიმ.

_ რა, უარყოფ? გრიგორიანი შენ გასახელებს შემკვეთად, მხოლოდ შენ გადებს ხელს, მეტს არავის...

_ ლოვა და "გრუს" აგენტი?! ეგ ხომ შეთითხნილია, ტყუილია!..

_ ისევე, როგორც შენი "პაძელნიკობაა" ტყუილი, არა?

_ დიახ! _ მიუგო ირაკლიმ.

_ არ არის გამორიცხული, მაგრამ სამხილები საწინააღმდეგოს ამტკიცებს...

_ რა სამხილები, თვითონ რა, აღიარა?

_ ვინა, მოლეკულამ?.. აღიარა და მერე როგორ! _ ისეთი ტონით ჩაილაპარაკა ლეშკაშელმა, რომ ირაკლიმ მისი ნათქვამი დაიჯერა. _ ჰო, როგორც სომხეთის აგენტმა. თუმცა რუსეთში ექსტრადირება მოუწევს... ხვდები ახლა?

_ მე? _ იკითხა ირაკლიმ.

_ შენ?.. შენ ადგილზე, ჩვენი კანონმდებლობით გასამართლდები...

_ როგორც მოღალატე?

_ ჰო! _ დაუდასტურა ლეშკაშელმა.

_ მე არა ვარ მოღალატე და არც ოდესმე ვყოფილვარ... _ გულწრფელად წამოსცდა ირაკლის.

_ ჰო, მაგრამ საქმემ მოითხოვა ასე... _ ჩაილაპარაკა ლეშკაშელმა და კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო. _ მოსწევ? _ შეეკითხა ის ირაკლის და კოლოფი მიუგდო.

ირაკლიმ სიგარეტის ღერი ამოიღო. ლეშკაშელმა ჯერ თავის სიგარეტს მოუკიდა, შემდეგ _ ირაკლისას.

_ რა საქმემ? _ იკითხა მშვიდად ირაკლიმ, რადგან მიხვდა, რომ ლეშკაშელი რაღაცის შეთავაზებას აპირებდა, თუმცა ვერაფრით ხვდებოდა _ რას.

_ იმ საქმემ, რომლის გამოც, შენ ჩემ წინ ზიხარ ახლა.

_ ვერაფერი გავიგე! _ ხელები გაშალა ირაკლიმ.

_ კარგი. რა გგონია, რატომ ახსნეს ლუქები შენს ფირმებს? შენ ხომ დიდი ხანია, ციხეში უნდა იჯდე, თუნდაც _ გადასახადებისგან თავის არიდების გამო! ან ისეთი ჯარიმები უნდა გეხადა, რომელსაც ვერაფრით დაფარავდი, ასე არ არის?

_ არ ვიცი... _ მხრები აიჩეჩა ირაკლიმ.

_ მშვენივრად იცი! _ ხმას აუწია ლეშკაშელმა. _ შენ გგონია, ჩემი ქალიშვილის პროტეჟეობამ გაჭრა? ასეა?

_ არა?.. _ გაიკვირვა ირაკლიმ.

_ არა! შენ მაშინ, გუტა გელაშვილის მკვლელობამ გადაგარჩინა...

_ რა-ა? ახლა ახალ შარშიც გინდათ გამხვიოთ?! _ სკამიდან წამოხტა ირაკლი, მაგრამ მურაზ ლეშკაშელის გამჭოლმა მზერამ ისევ სკამზე დააბრუნა.

_ ჰო, ახალ შარში მინდა გაგხვიო, რომელიც სამშობლოს მოღალატის სახელს და სამუდამო პატიმრობას აგაცილებს...

_ და სამაგიეროდ, მკვლელის იარლიყს მომაწებებს, არა?..

_ ჰო, მაგრამ არჩევანი შენზეა... _ მოკლედ მოჭრა ლეშკაშელმა.

_ ...და მურაზ და ლელა ლეშკაშელები გადარჩებიან, არა?!. _ ირონიულად იკითხა ირაკლიმ.

_ შენც! _ უპასუხა ლეშკაშელმა.

_ მეც, ხომ?.. მინიმუმ, ცამეტ წელს მაინც მომარჭობენ, ეს რა გადარჩენაა?

_ და ცოტა ხანში ციხიდან გაქცევასაც მოგიხერხებენ... _ ლეშკაშელი პირდაპირ თვალებში უმზერდა ირაკლის, რომ თავისი დაპირების შესრულებაში დაერწმუნებინა.

_ ვინ დაიჯერებს, რა სისულელეა!.. _ თითქოს წამოსცდაო ირაკლის. _ მთელი ღამე "მაზურკას" ვუბერავდით მცხეთაში.

_ რატომ? ისინი, ვისთან ერთადაც "მაზურკას" უბერავდი, იტყვიან, რომ შენ ბოდიში მოიხადე და რამდენიმე საათით სადღაც წახვედი, საიდანაც რატომღაც, ძალიან ანერვიულებული დაბრუნდი... დანარჩენი კი უკვე შენზე იქნება...

ირაკლი დუმდა. მისი ტვინი კი გამალებული მუშაობდა.

_ სხვა არაფერი? _ იკითხა მან ბოლოს.

_ რა? _ ვერ მიუხვდა ლეშკაშელი.

_ ვთქვათ, გავიქეცი ციხიდან. სად წავიდე მერე, ცარიელ-ტარიელი?

_ ფულს ითხოვ, ბიჭო?! _ შუბლი შეკრა ლეშკაშელმა.

_ მაშ, ისევ დამიჭირონ და უკან შემაგდონ?!. _ შეეკითხა ირაკლი.

_ კაი, იყოს, როგორც შენ გინდა. უცხოეთში წასასვლელს და ჯიბის ფულს მიიღებ და დავამთავროთ...

_ გარანტიები? _ იკითხა ირაკლიმ.

_ გარანტია, ჩემი ოჯახია და ლელა _ ჩემი შვილი, პირველ რიგში...

_ ვის მივცე ჩვენება, თუ "აბიზიანიკში" მტოვებენ?..

_ არა, ჯერ არ გიჭერთ. გახვალ და ერთი-ორგან დაიტრაბახებ, მიხვდი?.. ჩვენ კი არა, თვითონ რომ იყვნენ ინიციატორები...

_ და რომ დაგეთესოთ?

_ რომ შენს თავს უფრო ცუდი განაჩენი გამოუტანო?.. მოკლედ, ეგ ჭორი უკვე ვრცელდება ქალაქში, შენი თანხმობაღა იყო საჭირო.

_ ნამდვილი მკვლელი?

_ ნამდვილიც შენ იქნები და "ტყუილიც"... _ უპასუხა მურაზმა.

_ თქვენ ალბათ, მადლობასაც გადამახდევინებთ... _ ჩაფიქრდა ირაკლი.

_ არ არის საჭირო, თავისუფალი ხარ! _ უთხრა ჩაფიქრებულმა მურაზმა და კარისკენ მიანიშნა. _ გაგაცილებენ... იცოდე, ერთი ზედმეტი ნაბიჯი და _ არავინ გაპატიებს!..

_ ვიცი, _ უპასუხა ირაკლიმ, წამოდგა და გავიდა.

მურაზმა ყურმილი აიღო.

_ თენგიზ, გაამზადებინე ოლიას ბრძანება, ბეჟან მოლოდინაშვილის გათავისუფლებაზე _ სამხილის არარსებობის გამო, შემომიტანე და ხელს მოვაწერ... _ მურაზმა ყურმილი დაკიდა. _ ნაგავი!.. _ თქვა და თავი უკან გადააგდო. უმძიმესი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა.

ირაკლის, რაც აყვანის დროს ჯიბეში ჰქონდა, გასასვლელში ყველაფერი უკან დაუბრუნეს. გარეთ გამოვიდა თუ არა, მელანოს დაურეკა. გაგიჟდა ბავშვი და მამიკოს სამსახურის მანქანით, მასთან შესახვედრად, გიჟივით გამოვარდა. ჯვრისწერამდე ორი საათი კიდევ იყო დარჩენილი...

_ რაღაც გაუგებრობაში მოვხვდი, ვიღაცას მიმამსგავსეს, _ აუხსნა ირაკლიმ მელანოს, როცა მან _ რატომ დაგიჭირესო? _ ჰკითხა.

_ იცი, მე ისედაც მიყვარდი, ახლა კი შენ ჩემთვის, რაღაც დიდი იდუმალებითაც შეიმოსე... ჰო, ჰო, რა, არ გჯერა? არც ჩემებისთვის მითქვამს არაფერი, გელოდებოდი, ჰო მაგარი ვარ?! _ უხაროდა მელანოს.

_ სასწრაფოდ უნდა დავიბანო, თორემ ასე მგონია, ბაღლინჯოები მახვევია, _ შესჩივლა ირაკლიმ, როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ. _ ტანისამოსიც უნდა გამოვიცვალო სასწრაფოდ...

_ ნუ ღელავთ! _ დაამშვიდა მელანომ. _ შალვა, ვეძისში, ელჩების უბანში, იცი, ხომ?

მძღოლმა თავი დაუქნია და მანქანა საბურთალოსკენ მიაბრუნა.

ჰალსტუხში, თეთრ პერანგსა და ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ირაკლი, თავის გრძელი თმით, ნამდვილ ჰოლივუდელ ვარსკვლავს დაემსგავსა.

კახამ, მისმა თანაკლასელმა, მეჯვარეობაზე უარი ვერ უთხრა... თუმცა _ საიდან გაგიჩითო, უმუშევარმა არქეოლოგმა, ოქროს ჯვარიო?.. _ ეს კი შესჩივლა. _ შენ ხომ არ გაგიჟებულხარ? იქით გიყიდი შენხელა ოქროს ჯვარს, ნორმალურად ჩაიცვი და სასწრაფოდ მოდიო, _ უბრძანა ირაკლიმ...

მელანოს, თეატრალურიდან თანაკურსელი ნინიკო ჰყავდა მეჯვარედ. ირაკლის მოეჩვენა, რომ ნინიკო ცოტა სხვანაირადაც უჟუჟუნებდა თვალებს... თვითონ კი თავი ცივად ეჭირა, ალბათ, ცხადი სიზმრებიც არსებობსო, _ ფიქრობდა. იცოდა, მურაზი ხალხს აუცილებლად მიუჩენდა. უნდოდა, დაენახა ისინი, მაგრამ ეჭვი ვერავისზე მიეტანა.

მმაჩის ბიუროსთან ორმოცამდე ნათესავ-მეგობარი მოგროვილიყო. ამათ შორის იქნებიან გარეულიო, _ ფიქრობდა ირაკლი. მერე, ვიღაც თავგადაპარსულ, ბლანჟეიან ტიპზე გაიფიქრა _ ეს იქნებაო. ის ტიპი ღიმილით მიუახლოვდა და გადაკოცნა, მიულოცა და დააყოლა: ვიცოდი, არ დაიკარგებოდიო. ირაკლიმ ძლივს იცნო თაზო, თავისი სიძე, ანის ქმარი. აუ, ეტყობა, ამასაც ჩემსავით გაურეკავსო, _ გაიფიქრა... ანის გრძელყლორტებიანი, ვარდების თაიგული ეჭირა და ყველას უღიმოდა. ახალგაზრდობას ისე უცნაურად ეცვა, ქალებს ვგულისხმობ, რომ ვერავინ დაასკვნიდა, ფარერის კუნძულებზე იყვნენ თუ თბილისის ძველ უბანში. თვითონ მელანოც, საქორწინო კაბის ნაცვლად, რაღაც მოქსოვილ, გამჭვირვალე თეთრ შარვალსა და მოკლე ბლუზაში გამოწყობილიყო, წელზე კი განიერი, ზიზილ-პიპილოიანი, ფერადი ქვებით მოოჭვილი ქამარი შემოერტყა. ფეხები, სპარსული ქოშების მსგავს, რაღაც მაღალქუსლიან პლატფორმებში წაეყო და _ ერთი, ამის დიზაინერი მაცემინა გემოზეო! _ გაიფიქრა ირაკლიმ... როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, აქცენტი ნეფე-პატარძალზე იყო გადატანილი და ისინიც ცდილობდნენ, ლამაზები და კარგები ყოფილიყვნენ. ხოლო ფოტოაპარატები, მობილურები თუ ვიდეოკამერები ამ ყოველივეს აფიქსირებდნენ.

დამთავრდა მენდელსონის საქორწინო მარში, საბუთებზე ხელმოწერები, მილოცვები, კოცნა-პროშნა და პროცესია, ხმოვანი სიგნალების ყურისწამღები ხმაურით, მცხეთისაკენ დაიძრა. მერე კი _ გასწრება, გადასწრება და “გონკაობა” რომ წავიდოდა, თქვენც მოგეხსენებათ...

როგორც ყოველთვის, სვეტიცხოველში ახლაც ხალხმრავლობა იყო. საეკლესიო, ყვითელგვირგვინიანი ნეფე-პატარძალი დასერიოზულებულიყვნენ და მოძღვრის ლოცვას თითქოს დიდი გულისყურითაც უსმენდნენ. მორჩა, ჯვარსა თუ ხელზე მთხვევანი და პატარა ფიალიდან ნაკურთხი ღვინის მოსმა... ირაკლი, რომელსაც, საერთოდ, არა გაეგებოდა რა, რა ხდებოდა მის თავს, ან რა სახის ცოდვას სჩადიოდა, როცა ყოველივე წინასწარ მომხდარია, როცა არ გიყვარს და ცოლად მოგყავს, როცა ციხის საკანი გამზადებულია შენთვის და შენ კი, მილეთი ხალხის თანდასწრებით, ჯვარს იწერ, უწონადო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვერ გაეგო, იყო თუ არც იყო, არსებობდა თუ არც არსებობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავისი ორეულის

ქორწილს იმ ქვეყნიდან, საიქიოდან აკვირდებაო. ყველაზე მეტად კი ის აკვირვებდა, ამ ხალხს რა უხარია, რატომ იცინიანო. მიხვდით, ალბათ, ირაკლი სულ სხვაგან იყო, სხვაგან "ჰქროდა" მისი გამჭრიახი გონება.

რესტორან "სათავადოს" უზარმაზარ საქორწინო დარბაზში სუფრა ხუთას კაცზე მაინც იყო გაშლილი. რა შეიძლება დაარქვას ასეთ დღევანდელ ქორწილს კაცმა? ძველებური, ნაღდი ქორწილების იმიტაცია თუ სუროგატი? როცა არაფერი გიხარია და ვითომ გიხარია, როცა არავინ გიყვარს და ვითომ გიყვარს, როცა არ გემღერება და ვითომ გემღერება, გეცეკვება და საერთოდ... ან იქნებ სწორედ ესაა, ჩვენი არსებობის თუ ყოფის დღევანდელი ქვაკუთხედი? მოკლედ, სუფრას, ჭრელი ხალხი ესხდა, ყველა ფენის და სახის. "ელიტაც" და მდაბიონიც... მოგეხსენებათ, ყველაფერი შედარებითია, მით უმეტეს, დღეს... ირაკლის შესახებ, თუ რას ფიქრობდა და რას განიცდიდა, ორიოდ სიტყვით უკვე მოგახსენეთ, აი მელანო კი, თუ დამიჯერებთ, ნამდვილად მეცხრე ცაზე იყო. ყველას უღიმოდა, კოცნიდა, ეჭიკჭიკებოდა, ჭიქასაც კი უჭახუნებდა და ისე თავისუფლად იქცეოდა და იმდენად თავის "კომპოტში" იყო, რომ ირაკლის მაგრად გაუკვირდა, არ ეგონა, თუ ამხელა სიხარულის მომტანი იქნებოდა მასზე დაქორწინება და გულიც კი დასწყდა, რომ მასთან ერთად, ვერც პარიზში და ვერც, მით უმეტეს, რიო-დე-ჟანეიროში ვერ მიდიოდა. აი, რიო-დე-ჟანეიროს საგზურის პირველი მფლობელი, ანუ მიზეზიც, იმ ღამეს, იმ დარბაზში იჯდა, თუმცა, ნეფე-პატარძლისთვის გაბედნიერება ჯერ არ მიელოცა, რადგან ამის გაკეთებას ფრიად ორიგინალურად აპირებდა...

ზინაიდასთვისაც და რაფიელისთვისაც, ეს ქორწინება ისეთ მოულოდნელობას წარმოადგენდა, რომ იმ ორომტრიალსა და მზადებაში, ცოლ-ქმარი ერთმანეთს არცკი დალაპარაკებია. მხოლოდ ახლაღა, როცა სტუმრები დასხეს და თამადამაც სუფრა წაიყვანა, ოდნავ ამოისუნთქეს და ერთმანეთს შეხედეს. დაღლილები კი იყვნენ, მაგრამ ცუდად არ გამოიყურებოდნენ.

_ თუ ვინმეს აქვს, ამ სუფრაზე რაიმე მისალოცი, ალბათ, ყველაზე მეტად მე და შენ! _ ჩაულაპარაკა მეუღლეს რაფიელმა.

_ ვიწვები მაგის ცოდვით! _ ჩაილაპარაკა ზინაიდამ.

_ ვისი, სიძის? თავის თავს დააბრალოს, ყოველ შემთხვევაში, მეც და შენც გასამართლებელი საბუთი ნამდვილად გვაქვს.

_ რას გულისხმობ? _ შეეკითხა ზინაიდა, _ იმას ეტყვი, ჩემი გაზრდილი არ არისო?

_ არა, ერთხელ ხომ წავართვით, წამოვიყვანეთ და ჩავკეტეთ!

_ ჰო, მაგრამ კარგად რომ გაიცნობს, არ დაგვიჯერებს...

_ რა ვქნათ, რამდენ ხანსაც გაუძლებს, გაუძლებს... _ ჩაიბურტყუნა რაფიელმა.

_ ისიც კაია, რომ ცოტახანს დავისვენებთ, ცოტას ხომ მაინც ამოგვასუნთქებს... _ თავი გადააქნია ზინაიდამ.

სუფრას რომ "ჩიტის რძეც" არ ეკლდებოდა, ამის თქმა ვფიქრობ არცაა საჭირო. ქორწილი ეშხში შედიოდა. ესტრადა უმაღლესად "უბერავდა" და ქართული "ტანცი-მანცების" მოყვარული საზოგადობაც ერთობოდა, ხელებს შლიდა და ესტრადის წინ დაფრიალებდა. განსაკუთრებით პატარძალი აქტიურობდა, ნუ "დავლურს უვლისო", გაიფიქრა, მისმა შემხედვარე ირაკლიმ, რომელიც საცოლემ სკამს ვერაფრით ააგლიჯა და რომელმაც ვინ იცის, იმ დღეს მერამდენე "ჩესტერფილდის" კოლოფი ჩაამთავრა...

ირაკლი სვამდა, ჭიქას არ ტოვებდა, მაგრამ ვერ თვრებოდა. იქნებ, ძალზე დიდი საფიქრალი რომ ჰქონდა, მექანიკურად გამოთიშა ტვინიდან თრობის უჯრედი? იცოდა, ციხეს ვეღარ ასცდებოდა, ვერც ვერსად გაიქცეოდა. ბედს კი შეურიგდა, მაგრამ, ახლა, როცა გონებით და ფიქრით უკვე სატუსაღოს კედლებში ეგონა თავი, მიუხედავად,

მოზიზინე, მოყაყანე და მოყიჟინე მექორწინე საზოგადოებისა, იმდენად მარტოსულად და განდგომილად გრძნობდა თავს, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამთავრდებოდა ქორწილი და საკანში მარტო დარჩებოდა... მაგრამ ზეიმის დამთავრებამდე დიდი დრო იყო და ირაკლის ისღა დარჩენოდა, ბედს დამორჩილებოდა. ესტრადა ბლუზზე გადასულიყო და ირაკლიმ მელანო შენიშნა, რომელიც თავისი ტოლი ბიჭის მკლავებში გაყუჩებულიყო და ნებივრობდა. ირაკლის ჯერ პატარა ეჭვმა გაჰკრა, მერე კი ეშმაკურად მომღიმარე მელანოს სახეს დააკვირდა და ეჭვი დიდი სისწრაფით გაუორმაგდა, მერე კი, ამ ეჭვმა გეომეტრიული პროგრესიით მოიმატა და ირაკლი ფეხზეც კი წამოახტუნა. ხოლო, როგორც კი მელანო იმ ბიჭს წაართვა და ბლუზის რიტმს აჰყვა, იმწამს ჰკითხა:

_ ვინ იყო, ეგ ბიჭი, რას უღიმოდი?

_ ვინ იქნებოდა, ჩემი მამიდაშვილი იყო, თორნიკე. რა დაგემართა, რა სახე გაქვს, კაცის მკვლელს ჰგავხარ, გეფიცები! _ უპასუხა თვალებგაფართოებულმა მელანომ, _ მეტკინა მკლავი, როგორ მიჭერ?

ირაკლი მელანოს ნათქვამმა ვერ დაამშვიდა. ვერ გეტყვით, ღვინო მოქმედებდა, თუ რაიმე ისეთი ინსტიქტი, რომელიც, თუ შეგიჩნდა, მარტო მამიდაშვილ-ბიძაშვილობას კი არა, ყველანაირ ნათესაობას გადაგავიწყებს. მოკლედ, ირაკლის რაღაც არ "დაევასა", ის ბიჭიც ცოტა უცნაურად გადგა და სხვანაირად უყურებდა.

_ გეწყინა რამე? _ გამომწვევად ჰკითხა ირაკლიმ თორნიკეს, მაგრამ, სანამ მელანოს მამიდაშვილი რამეს ეტყოდა, თვითონ მელანომ დაქაჩა საქმროს.

_ ირაკლი! რა დაგემართა, ვცეკვავდით...

მაგრამ უკვე გვიანი იყო, რადგან თორნიკეც ნასვამი გახლდათ და, როგორც ჩანს, მაგარი თავმოყვარეც... ის მაშინვე საყელოში სწვდა ირაკლის, და გემოზე შეანჯღრია.

_ რა მითხარი, ბიჭო!? გაიმეორე? _ და პასუხს აღარ დაელოდა, მოუქნია და ისეთი გლიჯა ყბაში, მელანოს რომ არ დაეჭირა, ირაკლი დაეცემოდა.

მართალია, ახლო მყოფი ბიჭები მაშინვე ჩაუხტნენ მოჩხუბრებს, უცბად გააშველეს და თორნიკე გარეთაც გაიყვანეს, მაგრამ ეს ინციდენტი რომ ქართული ქორწილის კონტექსტში არ ჯდებოდა, ცხადი იყო და ხალხიც მაგრად ააყაყანა. რა მოხდა, რატომ იჩხუბეს? რატომღაც ყველა მელანოს ეკითხებოდა და ისიც _ არაფერი, არაფერიო, პასუხობდა, რაღაც მოეჩვენათო. თუმცა ეს ჩხუბი რომ ჭორების და მითქმა-მოთქმის საბაბი გახდებოდა, ცხადი იყო. ირაკლიმ, რომელიც მაინც იწევდა თორნიკეზე და არა და არ ცხრებოდა, მაგრად შეაფიქრიანა მელანო.

_ ვერ გავიგე, შენ რა, იეჭვიანე? _ შეეკითხა ის, როგორც კი ცოტა გაჩუმდა ირაკლი.

_ ჰო. რა ვიცი, ისე ეკრობოდით ერთმანეთს...

_ ვაიმე! _ მეტი ვერაფერი თქვა მელანომ, რადგან ეს მისთვის, იმწამს შეურაცხყოფა კი არა, ბევრად მეტი იყო, ვიდრე ეს სიტყვა გამოხატავს.

_ ალბათ, მაგარი ეჭვიანი ვარ... _ მოიბოდიშა თუ რა, ირაკლიმ, ვერ მიხვდა მელანო.

_ გიჟი, ეჭვიანი კი არა, გიჟი... _ ჩაილაპარაკა მელანომ.

_ ჰო, გიჟიც და ეჭვიანიც... _ დაუდასტურა ირაკლიმ და უეცრად იმ მოზიზინე ბრბოში მღვდელი დაინახა, ჩვეულებრივი მღვდელი, რომელსაც ანაფორა ეცვა და ყელზეც გრძელი, მსხვილი ვერცხლის ძეწკვით დიდი ჯვარი ეკიდა. ირაკლიმ მაშინვე სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და წამოდგა.

_ სად მიდიხარ? _ ხელი სტაცა მელანომ.

_ გამიშვი ხელი! _ მკაცრად უთხრა ირაკლიმ.

_ მითხარი, სად მიდიხარ!? _ თხოვნაც გაურია ბრძანებაში მელანომ.

_ არსად, მღვდელი მინდა ვნახო, აგერ იქ რომ ზის. _ დაანახა ირაკლიმ მღვდელი მელანოს.

_ ნაცნობია შენი?

_ ჰო! _ უპასუხა ირაკლიმ, რადგან გაიფიქრა, რომ ახსნას აზრი არ ჰქონდა და აღსარების სათქმელად გაემართა.

დარბაზს, რაღაც ჩურჩულმა გადაუარა, რადგან დაინახეს, რომ ნეფე წამოდგა და სადღაც გაემართა. მღვდელი, რომელიც, როგორც, საერთოდ, მათი ძმობა, უმადობას არ უჩიოდა, ჩვეულებრივ საუბარსა და სმა-ჭამაში იყო გართული. ასე რომ, როცა თავის მხარზე ირაკლის ხელი დაინახა და შეხედა, ძალიან გაუკვირდა, მაშინვე წამოდგა და ყური მიუშვირა.

_ აღსარების თქმა მინდა, მამაო... _ უჩურჩულა ირაკლიმ, რამაც ყოვლისმცოდნე და ყოვლისმნახველი მღვდელი კიდევ უფრო მეტად განაცვიფრა, მაგრამ არ დაიბნა და სასწრაფოდ უჩურჩულა:

_ რა დროს აღსარებაა, შვილო ჩემო, წინ პირველი ღამის სიტკბოება გელის...

რაზედაც არც ირაკლი დაიბნა და მანაც სასწრაფოდ უჩურჩულა.

_ ეგ უკვე ვიგემე, მამაო, და სწორედ ამიტომაც მინდა გითხრა აღსარება.

_ ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია, შვილო ჩემო, მოინანიებ და დამთავრდება, ეგ რა სადარდებელია, ჩვენს დროში? _ როგორ ჩანს, მღვდელს ძალიან ენანებოდა სუფრის მიტოვება, თან ისიც კარგად იცოდა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ბევრად ადრე ცდილობს ეზიაროს პირველი ღამის საიდუმლოს, ვიდრე ეს დასაშვებია და ჯვრისწერას არ უცდის.

_ სხვაც მაქვს სათქმელი, მამაო, აუცილებლად უნდა გითხრათ!

მღვდელი აქეთ-იქით მიტრიალდ-მოტრიალდა, აღარ იცოდა რა ეთქვა.

_ სად, სად უნდა განვმარტოვდეთ მერე? _ იკითხა მან დაბნეულმა.

ირაკლიმ დარბაზს გადახედა და მისკენ ცნობისმოყვარედ მომზირალი უამრავი თვალი შენიშნა.

_ წამომყევით! _ კი არ სთხოვა, თითქოს უბრძანაო მღვდელს და გასასვლელისკენ გაემართა.

მღვდელმა ბოდიში მოუხადა თანამეინახეებს და ირაკლის გამოუდგა.

ზინაიდა, რომელიც, წეღანდელი ჩხუბის გამო, საერთოდ, გადარეული იყო და ირაკლის თვალს არ აცილებდა, მელანოსთან მიიჭრა.

_ რა ხდება? რა უნდა იმ კაცისგან, სად მიჰყავს? _ მიაყარა მან შეკითხვები მელანოს.

_ არ ვიცი, ნაცნობიაო ჩემი... დაანებე თავი, წადი დაჯექი მამასთან! _ უთხრა მელანომ და ზინაიდაც უკან გაბრუნდა, თუმცა, მაგრად იყო აფორიაქებული და ერთი სული ჰქონდა, ეს ქორწილი როგორმე მშვიდობიანად ჩაემთავრებინა.

ირაკლიმ, რომელიც "ინტრიგომანიის" ნიჭით ისედაც გვარიანად იყო დაჯილდოვებული, ყველაფერი გენიალურად გათვალა. მღვდელი, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რის თქმა სურდა ირაკლის, ტუალეტში უნდა შეეტყუებინა, მერე აღსარება ეთქვა, ბოლოს, პატარა "შიპიტიც" და აურზაურიც უნდა აეტეხა, რომ კაცი წყობიდან გამოეყვანა და მერე გამწარებული, რაღა თქმა უნდა, ჩემს ნათქვამს მთელ ქორწილს მოსდებსო, ფიქრობდა.

მოკლედ, ირაკლიმ ტუალეტის კარი ბოლომდე შეაღო და საპატიო სასულიერო პირი შიგ შეიპატიჟა.

_ გთხოვთ, მამაო.

_ კონსტანტინე, _ უკარნახა სახელი მღვდელმა, რომელსაც საკმაო სითხის მიღება მოესწრო, მონდომებოდა კიდეც თურმე ტუალეტი და სიამოვნებით დათანხმდა. _ ჯერ საქმე ოღონდ... _ თითი ასწია მან და ერთ-ერთ კუპეში შეიკეტა.

ირაკლის შიგნიდან კარი ჰქონდა გადაკეტილი და მოთმინებით იცდიდა. გარედან მუსიკის ხმა შემოდიოდა, შიგნით კი წყლების ჩხრიალი ისმოდა. მამა კონსტანტინე, ანაფორის სწორებით გამოვიდა, ნიჟარასთან მივიდა, ხელები გადაიბანა, სარკეში სახე გადაამოწმა, წვერზე ხელი ჩამოისვა და სარკიდანვე ჰკითხა:

_ მზად ხარ, შვილო ჩემო?

ირაკლის "შვილო ჩემო", რა თქმა უნდა, ეუცხოვებოდა, თვითონ "მამაოს" როცა ამბობდა, შიგ ირონიას ურევდა, არ იყო დაჩვეული, როგორც ჩვენი მოსახლეობის დიდი პროცენტი. მზად, რა თქმა უნდა, იყო, თუმცა საიდან დაეწყო, არ იცოდა. უნდა მოესწრო, სანამ ვინმე გაჭირვებული მოუკაკუნებდათ.

_ მამაო, იმედია, ჩემს ნათქვამს ღმერთის მეტს არავის ეტყვით!

_ კი, რა თქმა უნდა, შვილო ჩემო, თუ გინდა ღმერთსაც არაფერს ვეტყვი... _ რა თქმა უნდა, როგორც ქართველ მღვდელთა თუ საეკლესიო მოღვაწეთა უმრავლესობა, მამაო კონსტანტინეც, იუმორის გრძნობას არ იყო მოკლებული.

_ მე დიდი, ძალიან დიდი ცოდვა მაწევს კისერზე, _ სწრაფად თქვა ირაკლიმ და მამაო მიხვდა, რომ ირაკლი მექანიკურად ამბობდა ამ სიტყვებს...

_ თუ კი ეგ ცოდვა, ქართველთა გამრავლებას წაეშველება, ჩათვალე, რომ მოინანიე, უკვე, შვილო ჩემო!

_ არა, მამაო, ეგ რა ცოდვაა. მკვლელი ვარ, მამაო, მკვლელი... _ ჩქარობდა თქმას ირაკლი.

_ მკვლელი? რას ამბობ, ბიჭო! _ გაოგნდა მღვდელი.

_ ჰო, მე მოვკალი გუტა გელაშვილი, ჩემი მოკლულია, ხომ უყურებთ ტელევიზორს? _ თავი ჩაქინდრა ირაკლიმ.

_ შენ შვილო... _ ვეღარ გააგრძელა მამაომ.

_ ჰო... _ მეტი დამაჯერებლობისათვის დაამატა ირაკლიმ.

_ და ქორწილს იხდი? _ ეგრევე, მსაჯულად იქცა მამაო კონსტანტინე, _ ეს ამხელა ზვავი შენი აგორებულია და იმალები?

_ ჰო, მაგრამ ეს ხომ აღსარებაა... _ შეუდარებელი მსახიობი აღმოჩნდა ირაკლი.

მღვდელი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ირაკლის კი, თავისმა ნამდვილმა, დიდმა ცოდვებმა გაუელვა თვალწინ... ნიკას, ძმას რომ ესროლა და დაჭრა, ფულის გამო. "გადაგდებული" მოვალეები, მიტოვებული მშობლები და კიდევ, ღმერთმა უწყისო... _ გაიფიქრა. ან განა ამწამსაც ღმერთს არ ატყუებდა?! მაგრამ ეს უფრო აზარტია, ვიდრე ცოდვაო, _ გაიფიქრა...

_ შემინდე, მამაო! არ მინდა, ჩემი ცოდვები ჩემს შვილებზე გადავიდეს... _ ხელები იაპონელივით შეატკუცა ირაკლიმ და თავისთვის კი გაიფიქრა _ რას აპირებს, ნეტავ, ეს ყეყეჩიო?..

მღვდელი მართლაც, დიდ გაჭირვებაში იყო, არ იცოდა, რა ექნა. მიიხედ-მოიხედა. ტუალეტში წყალი შხუოდა და ჩხრიალებდა.

_ აქ, ამ ვითარებაში? ტუალეტში ვართ, შვილო ჩემო... ა-არა, აქ ვერ შეგინდობ. ეკლესიაში, ჰო, ეკლესიაში წადი და ღმერთს შეევედრე, იმან შეგინდოს, ღმერთმა...

ირაკლი ამაზე კარგ მომენტს ვერ იპოვიდა. მღვდელს ტუალეტის კარი გაუღო:

_ გადი, მამაო! გამასწარი, თორემ, ძალიან მალე მოგიწევს ღმერთის მონახულება!..

მღვდელი ანაფორის კალთებს დასწვდა და ტუალეტიდან გავარდა, რომლის კართანაც დიდი რიგი დამდგარიყო. ირაკლიმ გაოცებულ ხალხს მოუბოდიშა და საკუთარი სკამისკენ დაიძრა. დარწმუნებული იყო, რომ მამაო კონსტანტინე სიტყვასიტყვით ჩაუკაკლავდა სუფრის წევრებს, რაც ტუალეტში გადახდა თავს, გარდა ამისა, შესაძლოა, ტუალეტის რომელიმე კუპეშიც იმ მომენტში ვიღაც იმყოფებოდა...

მართლაც ასე იყო, თუმცა იმის გამო, რაც სულ მალე დარბაზში დატრიალდა, ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

...მელანომ, რომელიც ირაკლის იქ არყოფნისას ისევ აცეკვებულიყო, მის დანახვაზე პარტნიორი მიატოვა და საკუთარ სკამს დაუბრუნდა. ირაკლი, რომელიც ჯერ ისევ მღვდელთან საუბრის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, მელანოს ვეღარ ამჩნევდა. რატომღაც, ხალხის მასამ დააინტერესა. მათი მაგიდა ანუ _ ნეფე-დედოფლისა და ნათლიებისა, წესისამებრ, შემაღლებულზე იდგა და იქიდან თითქმის მთელი დარბაზის "მოლივერება" შეიძლებოდა.

მამაო კონსტანტინემ, რომელიც ამ უცნაური აღსარების შემდეგ, თავის მაგიდას დაუბრუნდა, რა თქმა უნდა, ყველაფრის მოყოლა სცადა. ოღონდ, არა როგორც სიმართლის, არამედ როგორც ხუმრობის: ხომ წარმოგიდგენიათ? სიძე, რომელიც ახლა დედოფალს უზის გვერდით, მეუბნება, გუტა გელაშვილის მკვლელი ვარო... თავის ქორწილში!.. არა, სულიერება ჯერაც ჩვენი ერისთვის ძალზე უცხო ხილია და ალბათ, ისე მოვკვდები, ნამდვილ, ღვთის მოშიშ და მოყვარულ მრევლს ვერ ვეღირსებიო...

ხუმრობაში ნახევარი სიმართლეაო, _ ნათქვამია და ამუშავდა "გაფუჭებული ტელეფონი", აირია ტყუილი და მართალი ერთმანეთში... რაღაც საათში, საათ-ნახევარში, მობილურების წყალობით, ნახევარმა თბილისმა მაინც იცოდა ქორწილში ნათქვამი აღსარების შინაარსი. ქორწილი კი ზენიტისკენ მიდიოდა, ესტრადაზე უკვე სტუმრები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს _ რომლის ნახევარზე მეტი, მარტო ქართულ ესტრადას კი არა, ლამის ოპერის სოლისტობასაც შეძლებდა. ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველობა და ეს ყველაზე მეტად ჩვენს სუფრებზე მჟღავნდება, ხომ ასეა?!.

მიუხედავად ყველაფრისა, იმ დღეს, იმ ქორწილში მყოფი ხალხი ყველაფერს წარმოიდგენდა, ნეფის მკვლელობას კი _ ვერაფრით... ირაკლი, რომელმაც მურაზის დავალება ხუთიანზე შეასრულა, ისევ თრობაზე ანუ ჭიქების დაცლაზე გადავიდა... დიახ, კიდევ ერთი ყანწი "დააყირავა" და ცეკვის ეშხზეც მოვიდა. და თავისი მელანო გაიწვია. ხალხმა გაიწია და წრე გააკეთა. ალბათ გახსოვთ, რომ ორივეს, ქართული ცეკვის სკოლა ჰქონდა გავლილი და ორივემ ლამაზადაც გაშალა მკლავები... გნოლი და არწივი, არწივი და გნოლი... მათ ცქერას არაფერი სჯობდა...

თორნიკე, მელანოს მამიდაშვილი, ორთაჭალაში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციასთან ცხოვრობდა. ისიც მელანოსავით ჭირვეული გახლდათ, თან უკვე ოცი წლის იყო და როგორც ამ ასაკის ქართველ ვაჟთა უმრალესობას, სისხლი მასაც მაჭარივით უდუღდა. მანძილი მცხეთიდან სახლამდე მამამისის "ბეემვეთი", რომელსაც, პატრონის უცხოეთში ყოფნის გამო, თვითონ "მოახტა", სულ რაღაც ორმოც წუთში დაფარა. მერე გეროს (ბიძაშვილის, რომელიც ნარკოტიკის გასაღება-მოხმარებისთვის იმ დროს სასჯელს იხდიდა) მიბარებული, ძველი, ლამის დაჟანგული კოლტი, ადამისდროინდელი კომოდის საიდუმლო უჯრიდან ამოიღო და დაშალა. დაშლა-აწყობაში გაწაფული იყო, რადგან ამაზე ბევრს მეცადინეობდა. შეამოწმა, ისევ თუ იდო "ბარაბანში" ის ერთადერთი ტყვია, რომელიც გერომ დაუტოვა და ისევ მცხეთისკენ გასწია.

ბაია, რომელმაც ვერც ირაკლის ღალატი და ვერც რიო-დე-ჟანეიროს საგზურის დაკარგვა ვერ გადაიტანა, საბოლოო, ყველაზე ნაღდი მომენტისთვის ემზადებოდა. მოგეხსენებათ, რა გაუფასურებულია ჩვენში ადამიანის სიცოცხლე. არც ბაიასთვის გახლდათ ირაკლის მოკვლა ძნელი... მაგრამ _ მოკვლაცაა და მოკვლაც. თუ კაცს მაშინ კლავ, როცა სიცოცხლე სძულს და სიკვდილს ისედაც ნატრობს, ეს, მოკვლა კი არა, _

შვებაა. მაგრამ როცა კაცს სიცოცხლე სწყურია და ლამის ბედნიერების მწვერვალზე დაფრინავს, მაშინ თუ დააჭედებ შუბლში, ეს სულ სხვა რამეა...

ბაიამ მოცეკვავე წყვილისკენ გასწია. გაგიკვირდებათ, მაგრამ ხელებგაშლილმა ირაკლიმ მისკენ მომზირალი, ვერცხლისფერი ლულის შავი ხვრელი საკუთარი თვალით დაინახა... და იმის გაფიქრებაც კი მოასწრო, რომ ეს, სწორედ მისი სიკვდილი იყო, მეტის გაფიქრება კი _ ვეღარ... უეცრად გონება დაკარგა, არც გასროლის ხმა გაუგონია...

ტყვიები მიყოლებით გავარდა, ორი მხრიდან, ჯერ ერთმა იჭექა, მერე _ მეორემ... პირველი ტყვია თორნიკეს კოლტიდან იყო ნასროლი, მეორე კი _ ბაიას "სმიტ-ვენსონიდან".

მუსიკა დადუმდა. ირაკლი შეტორტმანდა, გაშლილი ფრთები ჩამოყარა და აწივლებულ მელანოს "დაეკიდა". მელანო გამოეცალა და ირაკლი იატაკზე გაიშხლართა, თავი გვერდზე გადაუვარდა და გაღებული პირიდან სისხლი წამოუვიდა, რომელმაც მის თავთან პატარა გუბე გააჩინა.

ქორწინება, რომელიც ასეთი ზარ-ზეიმით დაიწყო, ჩაიშალა.

ისედაც გაღიზიანებული საზოგადოებისთვის, ქორწილში მომხდარი მკვლელობა საბოლოო ნაპერწკალი იყო და კოცონიც აგიზგიზდა. ვერავის, ვერც ერთ ადამიანს ვეღარავინ დააჯერებდა, რომ ეს მკვლელობა ზემოდან არ იყო დაკვეთილი, რათა გუტა გელაშვილის მკვლელობის ნამდვილი კვალი საბოლოოდ წაშლილიყო და სიმართლე აღარასოდეს გამოაშკარავებულიყო. მით უმეტეს, ერთ-ერთი მკვლელის, ბაია მღებრიშვილის პოლიციის აგენტობაზე უცბად დაირხა ხმა და, როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც, თემიდას ტოგა საზოგადოებამ მოისხა, მისი მახვილიც აღმართა და სამართლის აღსადგენად, მურაზ ლეშკაშელის ადგილ-მამულებისკენ დაიძრა.

შესაძლოა, ყველაფერი ჰქონდეს ადამიანს _ თუნდაც თავზე საყრელი, უთვალავი, აუწონავი სიმდიდრე, მაგრამ მაინც უბედური იყოს, ბევრად უბედურიც კი მათზე, ვისაც არაფერი აბადია, არც სახლი, არც კარი, ღამეს მუყაოს ყუთში ათევს, მაგრამ მაინც ბედნიერია, თუნდაც მაშინ, როცა ძაღლივით, ნაგვის ყუთში გადაგდებულ დაობებულ კახურ ჩურჩხელას აღმოაჩენს და ჩამტვრეული კბილებით გამურღძლავს... ჰოდა, შესაძლოა, სწორედ ასეთი ხვედრიც კი ენატრა იმ დღეს ლელას _ იმავე თათიკოს...

ბრბო მუდამ დიდ შეურაცხყოფად იღებს, როცა მას თავის ნამდვილ სახელს არქმევენ ანუ _ "ბრბოს", ასე არაა? დიახ, ასეა! მაგრამ მითხარით, სხვა რა სახელი დავარქვა ხალხის იმ მასას, რომელიც თათიკოს კარ-მიდამოს, თემურ-ლენგის ურდოსავით შეესია, გადასწვა და გადაუარა ყველაფერს, რაც კი რამ შეიძლებოდა გადაეწვა, და _ არ გაგიკვირდეთ _ გაძარცვა კიდეც...

როცა "დემოკრატიული კოლეჯის" მოშიმშილეთა ბანაკი აიშალა და მთელი ეს აგრესიული ლაშქარი, არაგველებივით, კრწანისისკენ დაიძრა, დილის ხუთი საათი იქნებოდა... მიუხედავად ამისა, მათ გზად ოპოზიციონერთა და სხვა არასამთავრობოების "მხედრიონიც" უერთდებოდა და ბოლოს, ხალხის ეს დიდი მასა საკმაოდ მძლავრ "ზვავად" გადაიქცა.

ლელას, რომელიც იმ ღამეს თავის "ბიო-ზოოლოგიურ" აგარაკზე ათევდა, ამ დროს ღრმა, ნეტარი ძილით ეძინა და ტკბილ სიზმრებს ნახულობდა... ის სულ პატარა, ხუთი-ექვსი წლის თუ იქნებოდა და დედასთან ერთად, "ბორჯომ-პლატოს" მუსიკოსთა შემოქმედებითი სახლის კოტეჯში ისვენებდა... ეზოში, მაღალ ნაძვნარში ქალის ტორსის თეთრი მარმარილოს ქანდაკების გვერდით მდგარ წითელ როიალთან, მოაგარაკე რუსი

ბიძია იჯდა და ბეთჰოვენის “აპასიონატას” ასრულებდა... გვერდით კი ყვავილებიან, ნეილონის გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი ლელა ეჯდა და ნოტების წიგნს ფურცლავდა... აი, ასეთ ტკბილ სიზმარში იყო ლელა, როცა საშინელმა ღრიანცელმა და სროლის მაგვარმა ტკაცატკუცმა გამოაღვიძა. მერე კი კარზე ატეხილმა ბრახაბრუხმა საწოლიდან წამოაგდო და ფანჯარაში გაახედა.

გადასწია თუ არა ფარდა, რაღაც აუტანელი მხურვალება იგრძნო... მერე კი, წითელი ალი დაინახა, რომელიც თითქოს ფანჯრებს აწყდებოდა და სახლში შემოვარდნას ლამობდა. იმწამს ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა, კარზე ბრახუნი და ბრაგაბრუგი კი მეორდებოდა და ლელა უცბად შიშის კანკალმა აიტანა, რომელიც რამდენიმე წამს გაგრძელდა.

დიდი სისწრაფით ამოიცვა შარვალი, ზემოდანაც _ რაც ხელს მოხვდა, და რათა გაეგო, გარეთ რა ხდებოდა, ერთხელ კიდევ მიადგა ფანჯარას, საიდანაც ჯერ ეზოში მობორიალე ლანდები დაინახა და შემდეგ, ცეცხლის ალში გახვეული თავისი მარანიც შენიშნა, რომლის სახურავიც უკვე ჩამოქცეულიყო და, როგორც ჩანს, ტკაცატკუციც სწორედ სახურავის ქართულ კრამიტს გაჰქონდა... ლელამ მანტო მოიგდო, ჩანთა აიღო და რევოლვერი ამოიღო. საკეტი გახსნა და როცა ბრახუნი წამით მიწყდა, კარი გამოაღო და გაისროლა. რევოლვერის ხმამ ხანძრის და კრამიტის ტკაცატკუცი გადაფარა და ექოც გამოსცა. კარზე მიხროვილმა ბიჭბუჭობამ, შეშინებულმა, უკან დაიხია და გაავებულ-გამეხებულ ქალს გზა მისცა. და რადგან ლელას იარაღი პირდაპირ ჰქონდა მიშვერილი, მის წინ სასწრაფოდ გაჩნდა კორიდორიც... ლელამ ერთიც დააჭექა და მთელი ეს ქალა-ბიჭობა იმწამსვე შემოიფანტა, ლამის ერთმანეთიც კი გადათქერეს.

კარის ზღურბლთან მისი კავკასიური ნაგაზი, მისი ქოჩორა ეგდო მკვდარი. ლელამ გადააბოტა და ახლაღა შენიშნა, რომ ეზოც და ხეხილიც ცეცხლის ალში იყო გახვეული. ფარშევანგების და ხოხბების ვოლიერებიც იწვოდა. ხოლო მოყიჟინე ხალხის მასა, მაშხალებით ხელში, გამარჯვებულის ყიჟინით აქეთ-იქით დარბოდა და რაც გადარჩენილიყო, იმასაც ცეცხლს უკიდებდა... აუზსაც კი, რომელშიც წინა საღამოს, ოქროს თევზები ლივლივებდნენ, ცეცხლი მოსდებოდა; ალბათ, ბენზინი თუ ჩაასხესო, _ გაიფიქრა ლელამ და საშინელი გრუხუნი მოესმა. მარჯვნივ გაიხედა, ეს ალბათ, მისი “ნისანი” თუ აფეთქდა, რადგან ავტოფარეხიდან ჯერ ცეცხლის ალი გამოვარდა, მერე კი, ყველაფერი რაღაც მოშავო-მონაცრისფრო კვამლში გაეხვია.

ლელამ მტკიცე ნაბიჯით გადაჭრა ეზო, კართან მოტრიალდა, რათა თავი დაეზღვია. არავინ მოსდევდა. ლელა სწრაფად გამოვიდა გარეთ და თავდაღმართზე, სანაპიროსკენ დაეშვა...

სახლში არ პასუხობდნენ, არც მურაზის და არც მედიკოს მობილური... არც მურაზის მძღოლი _ ზაური... ლელამ შორიდანღა გამოხედა თავის აგარაკს და მოეჩვენა, რომ ცეცხლის ბოროტი ენები ცას სწვდებოდა, ხოლო იმ გავარვარებულ ალში თითქოს ვიღაც შავწვერიანი, “ყარაბას-ბარაბასივით”, შიშველი კაცი იდგა და ხარხარებდა... კი არ მოეჩვენა, ეს კაცი ლელამ აშკარად დაინახა, რომლის ხილვამ ისეთი საშინელი შიში მოჰგვარა, კინაღამ იქვე ჩაიკეცა. მერე ეს ხილვა და მოჩვენება გაქრა და მხოლოდ ცეცხლის ალიღა ქანაობდა...

ლელა მიტრიალდა და “ორთაჭალჰესისკენ” ჩქარი ნაბიჯით გაემართა. ტრასაზე გავიდა თუ არა, ტაქსი შენიშნა, რომელსაც აგრეთვე შეემჩნია ქალი და სვლას უნელებდა. ლელამ ხელი აუწია, ჩაჯდა და კარი მიიხურა, მიიხურა და სავარძელზე გადაწვა. გადარჩა.

_ გცალიათ? _ ჰკითხა მან მძღოლს.

_ კი, როგორ არა! _ სხარტად უპასუხა მძღოლმა.

_ ქალაგგარეთ რომ წამიყვანოთ, არაგვის ხეობაში...

_ კი, ბატონო, სადაც გნებავთ... თუკი გადაიხდით... _ უპასუხა მძღოლმა.

_ გადავიხდი... _ თქვა ცივად ლელამ.

მანქანა დასავლეთისკენ წავიდა. შემოდგომის ნისლიანი, ცივი დილა თენდებოდა. ლელას ცხოვრებაში, რაღაც ახალი, დემონური ერა იწყებოდა, სწორედ ასე, "დემონურ ერად" მონათლა ლელამ იმ დღის მშფოთვარე თავგადასავალი, რომელიც ბევრად უარესად განვითარდა, ვიდრე მას, ან მის მშობლებს ეგონათ.

მცხეთას კარგა დიდ მანძილზე იყვნენ გაცდენილნი, თუმც, ჯერ ნახევარი გზაც არ ჰქონდათ გავლილი, როცა ლელას მობილურმა სიცილი ატეხა. მურაზი იყო.

_ ცოცხალი ხარ? _ კითხულობდა მურაზი.

_ ჰო! _ უპასუხა ლელამ.

_ სადა ხარ? _ შეეკითხა მამა.

_ მანქანაში, ანანურისკენ მივდივარ... _ უპასუხა ლელამ, _ შენ?

_ მე აეროპორტისკენ, მივფრინავ... _ უპასუხა მურაზმა და დააყოლა, _ ზაური მოძებნე, ის გეტყვის, როგორც მოიქცე!

_ კარგი! _ უპასუხა ლელამ და ტელეფონი გაითიშა. ლელა მიხვდა, რომ მურაზს მეტის თქმა არ შეეძლო და, ალბათ, არც იყო საჭირო, ლელამ ისედაც კარგად იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ როცა თავის მაღალგალავნიან აგარაკს მიადგა და გადავარდნილი ჭიშკარი დაინახა, გაშრა. გადმოვიდა, ეზოში შევიდა და გაქვავდა. ოთხსართულიანი ვილა აღარ იყო, მის ადგილას სახლის ცარიელი, კვამლისგან აქა-იქ გაშავებული ჩამონგრეული კედლებიღა დარჩენილიყო. გამომწვარი ფანჯრები კი, თვალებდათხრილი, მუნჯი, ბებერი ბუს ფიტულივით უმზერდა.

ლელას გული შეეკუმშა და შიგ ისეთი ნაპრალი გაჩნდა, როგორც ზღვის უზარმაზარი ტალღისგან წალეკილ სანაპიროზე ორმოები და ღრმულები. იქ კი, სადაც ველური წაბლის ხეივანი ეგულებოდა, ცარიელი ღველფი დაინახა. ჩანავლულ ნაკვერჩხალს ჯერ ისევ ასდიოდა ალმური და ლელას ისევ მოეჩვენა, რომ იმ გადამწვარ ნაღვერდლებში, მათხოვარი ბავშვების მთელი გუნდი დაბორიალებდა და რაღაცას ეძებდა. ლელამ მოიხედა, უნდოდა მძღოლისთვის დაეძახა და ეკითხა, ისიც ხედავდა თუ არა, ნაკვერჩხლებზე მობორიალე ბავშვებს, მაგრამ მძღოლი მისკენ არ იყურებოდა, ალბათ, ისევ თავის, თანამედროვე, "ქართულ-ხალხურ-ქაჯურ" მუსიკას უსმენსო, გაიფიქრა ლელამ და მოტრიალდა. ახალი, "დემონური ერა" თავის გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. მძღოლი, მართლაც, ისევ იმ თავის სიმღერებს ატრიალებდა, რაზედაც ლელას უეცრად ისეთი ისტერიკული ხარხარი აუტყდა, როგორიც დიდი ნერვული სტრესის მერე აუვარდებათ ხოლმე ადამიანებს. მძღოლს კი რატომღაც ეწყინა, მანქანა დაქოქა და დაძრა. ლელა-თათიკო გაურკვეველი მომავლისკენ მიჰქროდა, ისევე, როგორც მისი საყვარელი სამშობლო.

რაღა თქმა უნდა, აქ უკვე წერტილის დასმა და რომანის ამ მეოთხე ნაწილის დამთავრება თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ იმ ღამეს, აეროპორტის ტრასაზე, ისეთი უცნაური ავარია მოხდა, რომელსაც მხოლოდ ცხოვრება სთავაზობს ადამიანს, თორემ ასეთი დამთხვევანი, ხელოვნების სფეროში გადატანილი, რომანი იქნება ეს, მოთხრობა, ნოველა თუ პიესა, საშინლად ხელოვნურად გამოიყურება ხოლმე, და როგორც წესი, შემოქმედიც იძულებულია თავი აარიდოს. მე კი, ამ, ერთი შეხედვით, სისულელეზე, სხვას ვერაფერს დავარქმევ, მაინც მინდა მოვყვე.

დიახ, სწორედ იმ ღამეს, როცა სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი მურაზი, საქართველოდან გადახვეწას აპირებდა და თავის ცინცხალი "მერსედესით" აეროპორტისკენ აწვებოდა, ამასვე აკეთებდა თქვენთვის კარგად ცნობილი მწერალი

დევი მოსაშვილი, თუმც, სულ სხვა მანქანით და სულ სხვა მოსაზრებით. მისი ვაჟიშვილი, რომელიც აგერ უკვე მთელი ექვსი წელი უცხოეთში, კერძოდ ესპანეთში იყო სამუშაოდ წასული, უკან ბრუნდებოდა. ის გერმანიიდან, მიუნხენით, საქართველოს ავიახაზების კუთვნილი საჰაერო ლაინერით მოფრინავდა. ხოლო შვილის ნახვას უსაზღვროდ მოწყურებული მამა, აეროპორტისკენ საკუთარი "ჩეტირისტა-დვენადცატით" მიიჩქაროდა. ეს "ჩიტირისტა-დვენაცეტი" მან ექვსიოდე წლის წინ, სულ რაღაც ას დოლარად შეიძინა. ის ასი დოლარი კი, შუამავლობის საშუალებით იშოვა. მისმა თანაკურსელმა ვლადიკავკაზიდან ორი ტონა "ჰალვა" ჩამოიტანა. დევიმ კი ეს ჰალვა "დეზერტირების" ბაზარში თავის ნაცნობ რაჭველებს გააყიდვინა. ეს მანქანა, თუ კი მას მანქანა შეიძლებოდა რქმეოდა, მას თავისმა მეზობელმა ილო ბერიაშვილმა მიჰყიდა, რომელიც, თავის დროზე, გაის პოლკოვნიკიც კი იყო, მაგრამ იმ წლებში ისე გაუჭირდა, რომ თავის მანქანასაც კი შეელია და იმ ფულით, თავის ტყუპ ქალიშვილს ფეხსაცმელები უყიდა. მართალია, მანქანამ, უკვე დევის ხელში, სამ დღეში "სტუკიც" მისცა, მაგრამ დევიმ "რასპრედვალი" გამოაჩარხინა და ახლა, თუმცა "გლუშიწელი" საერთოდ არ ჰქონდა, მაინც უკიდერესი საჭიროებისას დააგრიალებდა. ჰოდა, როდინდელი უნახავი ვაჟიშვილი ჩამოსდიოდა. მანაც ადგა და თავისი "მერსედესი" დაქოქა. ჰო, ესეც საინტერესოა, თუ ამ თავის ჯაბახანას მერსედესს რატომ ეძახდა... იქამდე, აი, კაი, "ხოშიანი კომუნისტების წლები" რომ იყო, იაპონიიდან ექვსი ათას იენად ანუ ორმოცდაათ რუსულ რუბლად ნაყიდი და ხაბაროვსკიდან თავის "ხოდით" ჩამოყვანილი "ჰონდა-სივიკი" ჰყავდა, მაშინ რატომღაც ღმერთმა ისეთი ოცნება აუსრულა, მთელი სიცოცხლე რომ ნატრობდა, და სწორედ იმ "ჰონდას" რომ დააფრიალებდა ქალაქში, მაშინ ტრაბახობდა, ამ მანქანიდან მერსედესზე უნდა გადავჯდეო, დროებამ კი "ჩეტირისტა-დვენადცატზე" გადაასკუპა და იმანაც, რა ექნა, ადგა და ამ თავის ჯართს მერსედესი დაარქვა.

მოკლედ, ნამდვილ მერსედესში მურაზ ლეშკაშელი იჯდა, ტყუილში კი დევი მოსაშვილი. არ ვაჭარბებ, ყველაფერი, როგორც მოხდა და რანაირადაც იყო, სწორედ ისევე ვყვები.

დევი მოსაშვილი მესამე მასივს გასცდა თუ არა, აეროპორტის ტრასაზე ანუ კახეთის გზატკეცილზე ყველა ლამპიონებმა ერთად დახუჭა თვალი. ღრუბლიანი ღამე იყო და ამიტომ ისეთი კუნაპეტი ჩამოწვა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. დევის მანქანას კი მარტო "ბლიჟნები" უნთებდა, ხოლო, "ზადნი" და "სტოპები" კი, საერთოდ ანთებდა თუ არა, ოდესმე, საკითხავი იყო. მოკლედ, მანქანა იმ სიბნელეში ნელა მიტრახტრახებდა და დევიც უსინათლობას კი უჩიოდა, მაინც უშიშრად მიიკვლევდა გზას იმ წყვდიადში და, როგორც მწერლების უმეტესობას ხშირად ემართება, როგორ გადაერთო ამ დროს რეალური ცხოვრებიდან ირეალურში თვითონაც ვერ მიხვდა. მოკლედ, თავისდაუნებურად, ფიქრით სცენარის წერა განაგრძო და როცა თავი, კლდეში წინაპართა მიერ გამოკვეთილ მღვიმეში ეგონა, უცბად, აღმოაჩინა, რომ აეროპორტის გადასახვევს გასცდენოდა და ლილოსკენ უბერავდა... მოგეხსენებათ, იმ გზაზე, მოძრაობა ცალმხრივია და დევიც დიდ საფიქრალში ჩავარდა, მოეტრიალებინა მანქანა თუ "ზადნი" მიეცა, ბოლოს მაინც "კრიჟანგობამ" სძლია და მოატრიალა, რადგან "ზადნით" მისი "მერსედესი" ორმაგ საწვავს დაწვავდა და მისი გვარიანად შეთხელებული საოჯახო ბიუჯეტი კი ამ დარტყმას არც ისე ადვილად გადაიტანდა. აი, დაახლოებით, ასეთ ფიქრებში ბრძანდებოდა, როცა საწინააღმდეგო ზოლში, თოხარიკით მავალმა მისმა მანქანამ, აეროპორტის გადასახვევის, მარჯვენა სანაპირო ზოლში შეაჭენა, შედგა და მერე კი უკან დაიხია, რათა ცხვირით აეროპორტისკენ შეტრიალებულიყო... აი, სწორედ, ამ მომენტში გაწყდა სცენარის ის ეპიზოდი,

რომელსაც დევის ტვინი იმჟამად ამუშავებდა... რატომ? ახლავე მოგახსენებთ... იმიტომ რომ, როცა დევის მანქანამ "ზადნი" მისცა, რომელსაც უკანა "სტოპები" და არც "პადფარნიკები" არ უნთებდა, უკნიდან ტყუილ "მერსედესს" ნამდვილი "მერსედესი" შეაჯდა, ანუ შეასკდა, თან ისეთი ძალით, რომ თუ ტყუილი "მერსედესის" საბარგულის სახურავი აწყდა და ჰაერში აფრიალდა. ნამდვილმა "მერსედესმა" ცხვირის მარჯვენა მხარე, თავის ფრთიანად და "ლანჟერონიანად" ტყუილის საბარგულში გაცვალა და მარჯვენა საბურავიც, თავის დისკიანად ცხვირის ქვეშ მოიყოლა. ამ ყველაფერმა, როგორც ორი ცხენი შეასკდეს ერთმანეთს, რაღაც ჭიხვინის მსგავსი ხმა გამოიღო და ეს ხმაც იმ წყვდიადში ჩაიკარგა. ყველაზე დიდი სასწაული კი ის გახლდათ, რომ ორივე მერსედესის პატრონი, აბსოლუტურად საღსალამათი ბრძანდებოდა და თუ გაოგნებული მურაზი აზრზე ვერ მოდიოდა რა მოხდა, მისგან განსხვავებით, დევი სწრაფად დაუბრუნდა რეალობას და ჯერაც სავარძელში მჯდარ, გაოგნებულ მურაზს მიეჭრა.

_ რას შვრები, კაცო, რას? წინ არ უნდა იყურო? ექვსი წელიწადია შვილი არ მინახავს და რანაირად დავხვდე, რა ვუყო ამ მანქანას, სად წავიღო?

მურაზი ახლაღა მიხვდა, რომ ავარიაში მოყვა და მანქანიდან გადმოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მერსედესის ცხვირის მარჯვენა მხარე წაღებულიყო, მარცხენა ფარი ისევ ანათებდა და განცვიფრებულმა მურაზმა თავისი მანქანის უბედურება თავისივე თვალით იხილა. ხოლო, ეს ვიღაც ჭიაყელა რომ ეჭიმებოდა და რაღაცას სთხოვდა, ამას ყურადღებას არ აქცევდა.

_ საბუთები ამოიღე, შენი საბუთები მომეცი! _ კიდევ ერთხელ შეანჭყრია მურაზ ლეშკაშელი დევი მოსაშვილმა.

_ გაიწი იქით, თორემ გაგასაბუთებ მე შენ! _ იმხელა უღრიალა მურადმა, თავისი ხმის თვითონვე გაუკვირდა.

_ რა ხმას უწევ, შენ ვინ გგონივარ მე? _ გაეჭიმა ისევ ჭიაყელა და მურაზი წამით, იუმორის ხასიათზეც კი დადგა.

_ მე? მე ვინ გგონივარ, შენ? _ შეეკითხა და ხელები გაშალა, თან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს მოწმის დანახვა სურსო, მაგრამ იმ წყვიადში ვინმეც რომ ყოფილიყო, რას გაარჩევდა.

_ ვინც გინდა ის იყავი, დამარტყი უკნიდან? შენა ხარ დამნაშავე, მოძრაობის წესები არ იცი? _ არ ცხრებოდა მწერალი.

მურაზი კი აღარ უსმენდა, აღარც მანქანა ანაღვლებდა, ერთადერთი, რაც ახლა აწუხებდა, იქნებ ვინმეს მანქანაში გადამჯდარიყო და აეროპორტამდე მიეღწია, რომ თვითმფრინავზე არ დაჰგვიანებოდა. მაგრამ რას წარმოიდგენდა ვის გადაეყარა, როგორ იფიქრებდა?…

_ სად იყურები, ძმაო, მე ეს მანქანა, ამ წუთას, ჩემ წონა ოქროდ მიღირს, იმიტომ რომ ექვსი წლის უნახავ შვილს უნდა დავხვედროდი, აქეთ მოიხედე, კაცო, ვის ველაპარაკები! _ ხელი მოჰკიდა ისევ დევიმ მურაზს, რომელმაც უკვე მერამდენედ აუქნია ხელი.

_ თავი დამანებე-მეთქი, არ გესმის? _ ისევ გააკვირვა თავისმა ხმამ მურაზი, _ იცი ვის ელაპარაკები?

_ შენ, შენ იცი, ვის მანქანას დაარტყი? _ გაეჭიმა ისევ დევი.

_ შემეშვი რა, კაცო, ამ ხლამს ეძახი მანქანას, ამ ნაგავს? _ თვალებს არ უჯერებდა, მურაზ ლეშკაშელი.

_ შენ ძმაო, სიტყვები შეარჩიე, ხლამია თუ რაც არის, ჩემია... შენ თუ გავა ყავარზე გიდევს, ამ დაწყევლილ ქვეყანაში ოთხმოცი პროცენტი სიღატაკის ზღვარზეა.

_ ჰოდა, წყალსაც წაუღიხარ შენი ქვეყნიანად, არ გამომივიდა აქ დედა ტერეზა?.. ვერ ხედავ მანქანას ვაჩერებ, თვითმფრინავზე მაგვიანდება.

_ რომელ თვითმფრინავზე, მერე, მე ვინ გამიკეთებს ამ მანქანას?! _ ისევ ახტა დევი.

_ კაცო, შენ შემომიხტი, არა, თვითონ ტრაკით... ან როგორ მოხვდი ამ ზოლში ქალაქისკენ ცხვირით, რანაირად? _ ვერ მიმხვდარიყო მურაზი.

_ ეგ რა შენი საქმეა? დამიმტვრიე? უნდა გამიკეთო, არა?

_ მე მურაზ ლეშკაშელი ვარ, გენერალი მურაზ ლეშკაშელი, გაგიგია? თავი დამანებე, ვიღაცა ხარ! მომწყდი რა? _ ხელს უქნევდა აეროპორტისკენ დიდი სიჩქარით მოძრავ მანქანებს მურაზ ლეშკაშელი, ისინი კი არ აჩერებდნენ. თან მობილურით ვიღაც-ვიღაცებთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ იმის გამო, რომ ღამის ოთხი საათი იყო, არავინ პასუხობდა.

_ რომელი? მინისტრის მოადგილე?? _ ირონიით იკითხა წარბებაზიდულმა დევიმ.

და მურაზმა ისევ შენიშნა, რომ ამ კაცზე, არც მისმა თანამდებობამ გაჭრა.

_ დიდი რამე, გასაგებია, პოლიციელი ყოფილხარ, ერთი ჩვეულებრივი ჩინოვნიკი, რომელსაც საკმარისია სკამი გამოგაცალონ და არარაობად უნდა იქცე. მე კი მწერალი დევი მოსაშვილი გახლავარ... ჰო, ჰო, რას მომჩერებიხარ? დიახ, მე აი აქ, _ შუბლზე მიიკაკუნა მწერალმა, _ თავში რაც მიდევს, იმან მაქცია კაცად, შენ კი, უბრალო, ხისგან გამოჩორკნილმა სკამმა, სხვამ რამ? დიახ, მე დღესვეც რომ მოვკვდე, კიდევ ორ-სამ საუკუნეს არ დამივიწყებს ხალხი, შენ? უსკამოდ, ორი წუთი ემახსოვრები ვინმეს? დიახ, მე სულ ცალ ფეხზე მკიდია შენი თანამდებობა, დამიმტვრიე მანქანა, უნდა გამიკეთო, მაშ როგორ!? მოიტა მანქანის საბუთები, გეუბნები!

_ რა საბუთები, კაცო, ვინა ხარ, გიჟი ხარ? ჭკვიანი ხარ? _ მთლად გადაირია მურაზი, _ საბუთები რა ჯანდაბად მინდოდა, საიდან უნდა მოგცე, ვერ გაიგე ვინა ვარ? არ დამანებებ თავს? წაიღე, აი, ეს მანქანა, მიჩუქნია, შენი იყოს! ამის დედაც... _ წიხლი ჰკრა და გემრიელად მიაგინა თავის მანქანას მურაზ ლეშკაშელმა.

_ რა? _ ამაზე მთლად გაგიჟდა მწერალი, _ ვის რად უნდა შენი მანქანა! შენ მე ოქროს კოშკი რომ მაჩუქო, ვიჩუქნი გგონია? მე, მწერალი დევი მოსაშვილი, შენნაირ ჯალათს, ხალხის სისხლით გამძღარ, ვიღაც ცხრათავიან მონსტრს, ერთ ზედმეტ თეთრს გამოვართმევ, გგონია? ან ღმერთი გაპატიებს, რომ შენ და შენისთანა ზვიგენებმა ეს საცოდავი ქვეყანა ლუკმა-ლუკმა გადასანსლეთ?

მურაზს რაღაც აზრმა გაუელვა თავში. ჯიბიდან Fფულის დასტა ამოიღო, იქიდან ორასი დოლარი ამოაძრო და ოთხას-თორმეტის "კაპოტზე" დააგდო.

_ აჰა, აი, ორი ამნაირი მანქანა მოგივა და თავი დამანებე!

_ რა? _ ისევ ავარდა დევი და ბანკნოტებს ხელი დასტაცა. _ აი, აი, აი! _ დევიმ დიდი სისწრაფით დაანაკუწა ფული, ხოლო მერე რისი კეთებაც დაიწყო, ამაზე მურაზს თვალები ცაში აუვიდა. დევი ენას გარეთ ჰყოფდა, მერე ზედ ფულის ნაკუწს იდებდა, ღეჭავდა და ყლაპავდა და ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, ეტყობა გაწაფულიაო, გაიფიქრა მურაზმა. და, როგორც კი მთელი ამ სულელური სიტუაციის აბსურდულობა მის ტვინამდე დავიდა, ისეთი სიცილი აუტყდა, ვერაფრით სული ვერ მოიბრუნა. ეტყობა, სწორად ვიქცევი უცხოეთში რომ გავრბივარ, ან აქამდე ამ ქაჯებში რანაირად გავძელიო, გაიფიქრა.

_ შენ ხომ შვილს უნდა დახვედროდი? ჰოდა, უკვე ხუთი საათია, რომელზე ჯდება შენი თვითმფრინავი?

_ ექვსის ნახევარზე. _ აზრზე მოვიდა მრისხანებაგადავლილი მწერალი.

_ ჰოდა, ეს წაგვიყვანს, წინ ხომ მთელია? _ ხელი დაჰკრა დევის მანქანას მურაზმა.

_ მაშ გარბიხარ, არა? იპარები... _ შეეკითხა დევი მურაზს, სანამ იმ სამ-ოთხ კილომეტრიან მონაკვეთს გაივლიდნენ, რომელიც აეროპორტამდე დარჩენოდათ. მურაზმა ხმა არ გასცა. _ შენი ბედი, რომ მე დამარტყი, მართალია, მწერალი გახლავარ, ინტრიგანი და ჩამშვები არასდროს ვყოფილვარ. ჰო, რა იყო? _ მურაზის ჩაფრუტუნება არ გამოტოვა დევიმ. _ თანამშრომელიც კი არ ჩამიშვია, არასოდეს.

_ რატომ მეუბნები მაგას? _ შეეკითხა მურაზი.

_ რა ვიცი, მაინტერესებდა, ის მკვლელობა, მართლაც შენი ქალიშვილის დაკვეთილი იყო? _ დევიმ ტრასის ყურებას თავი ანება და მურაზს შეხედა.

_ არა მგონია, _ ჩაილაპარაკა მურაზმა, _ ჩვენ ვერ გამოვტეხეთ, ვერც მე და ვერც დედამისმა.

_ ისე, შეიძლებოდა? _ არ მოეშვა დევი.

_ არა, არა, ღმერთიც რომ ჩამოვიდეს ციდან და მითხრას _ ასე იყოო, მაინც ვერ დავიჯერებ! _ აღელდა უცბად მურაზი.

_ გყვარებია შვილი... _ ჩაილაპარაკა დევიმ, _ არ მეგონა, თუ შენისთანებმაც იცოდნენ სიყვარული.

...მურაზი იმ ღამეს უცხოეთში გაფრინდა. დევი მოსაშვილიც დახვდა თავის ვაჟიშვილს, ავარიის შესახებაც მოუყვა...

მე კი, მართალი გითხრათ, მისმა ხასიათმა, მწერალზე მოგახსენებთ, ნამდვილად დამაინტერესა, მაგრად რომ აქვს გარეკილი და "მანია გრანდეც" რომ სჭირს, თქვენც ხედავთ, თუმცა, ვის არა აქვს გარეკილი, ამ ჩვენს გადაბრუნებულ დროში? მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ამ რომანის, დასკვნით, მეხუთე წიგნში, ამ ჩვენს მწერალს და მის თავგადასავალს, ვფიქრობ ცოტა მეტ ადგილს დავუთმობ, ვიდრე მეოთხე ნაწილში ხვდა, რომელიც ახლა კი ნამდვილად დასრულდა.

IV წიგნის დასასრული

თბილისი. დეკემბერი. 2006.

თამაზ მეტრეველი

ველური წაბლის ხეივანი

შურისგება

წიგნი V

რაღა ჯეკ ლონდონის დროინდელი ინგლისი და რაღა დღევანდელი ჩვენი საქართველო. არა, სიღარიბესა და გამათხოვრებას არ ვგულისხმობ. "თეთრი ეშვი" გახსოვთ? თუ წიგნი არ წაგიკითხავთ, ფილმი მაინც გექნებათ ნანახი.

ამბობენ, ძაღლების ჩხუბი აკრძალულიაო. წარმოდგენა არა მაქვს, ასეა თუ არა. ერთი კი ვიცი, რომ ვაკის პარკის თავზე, ბუჩქნარი რომ იწყება, იქ არკინებენ თავიანთ ფალავნებს თბილისელები. დიდ მაყუთსაც ჩადიან. ჯერზე, არ არსებობს, ასი ათასს არ ასცდეს. არის ერთი სტვენა და ყიჟინა. ისეთი ძლიერი და ყურისწამღები, იქვე, მიშა მესხის სტადიონის გუგუნიც კი შეუძლია გადაფაროს.

ჯერ ჩხუბი დაწყებულიც კი არ იყო, როცა ჯაყოს ბულდოგმა რამინას ბულტერიერი მიწაზე დააჭყლიტა და თითქმის ყელშიაც სწვდა. კაცების ყიჟინა, იმათი, ვისაც ბულდოგზე ედო, ცაში ავარდა. თუმცა ბულტერიერიც გამოცდილი იყო და ბულდოგის დინგმა მიწა ღორივით მოთხარა. ახლა ბულტერიერი გადავიდა შეტევაზე და ისეთი ძალით დაახტა ბულდოგს ზურგზე, რომ ხერხემალში ჩაზნიქა, მაგრამ მოქნეული, აყეფებული და დორბლიანი ხახა ვერ დაიმორჩილა, ააცდინა და გვერდზე გადატრიალდა. ბულდოგი ისევ დაეტაკა, მაგრამ მასაც ინერციამ სძლია და იძულებითი სალტო გამოუვიდა. კაცებიც ლამის ღრენით და ყიჟინით მიაწყდნენ მარჯვნივ... ისინიც სწორედ ძაღლებივით იქნევდნენ ყბებს და "გლადიატორებს" აგულიანებდნენ. ბულდოგმა იძალა და ბულტერიერი თითქოს ჩოქბჯენში გადაიყვანაო, ზურგზე მოექცა. კისერში უნდოდა სწვდომოდა, მაგრამ რამდენჯერაც დაღებული ხახა გაიქნია, იმდენჯერ ააცდინა.

_ გაჟიმა, ამ ჩემისამ, გაჟიმა! _ გაისმა აქა-იქ...

_ მიდი, მიდი! _ გაჰკიოდნენ ჯაყო, ხახო და სურიკა. ჯაყოს თვალები ისე უელავდა, ლამის გადამხტარიყო და ძაღლებს თვითონ სწვდომოდა კბილებით. ყვირილისგან ხმა ჩახლეჩოდა და ახლა ხავილიღა ამოსდიოდა ყელიდან.

მაგრამ ბულტერიერს მსხვილი კისერი ჰქონდა და ბულდოგის პატარა ხახა მასთან ვერაფერს გახდა. ბულტერიერმა მოახერხა და შემოუტრიალდა. ძაღლები უკანა თათებზე დადგნენ და მოჭიდავეებივით ერთმანეთს წელში შეუვარდნენ, მათმა ღრენამ და ყეფამ კულმინაციას მიაღწია. ეს კი ნამდვილ მოგვერდსა ჰგავდა, ბულდოგი ჰაერში აიწია და მიწას პირდაპირ ბეჭით დაასკდა. ძაღლები რამდენჯერმე გადაკოტრიალდნენ და ერთმანეთს დასცილდნენ. მერე, ორივე ერთდროულად წამოფრინდა და ადგილზე გაქვავდა. იდგნენ და ამღვრეული, ჩასისხლიანებული თვალებით დაშტერებოდნენ ერთიმეორეს, თან დაბალ ხმაზე უღრენდნენ და ტონს ნელ-ნელა უმატებდნენ. ასევე ნელ-ნელა ეძაგრებოდათ ბალანიც ზურგზე, და როცა, მოცეკვავეებივით, პატარა ნახევარწრეც დაარტყეს, უცბად ერთმანეთს დაეტაკნენ. დაეტაკნენ და უკან გადავარდნენ. ეს ილეთი რამდენჯერმე გაიმეორეს. კაცები კი უსტვენდნენ, უკიჟინებდნენ და აქეზებდნენ.

როცა ჯაყოს თავისი ბულდოგი მოუტრიალდა და თვალი ჩაუკრა, ჯაყომ იფიქრა მომეჩვენაო, მაგრამ როცა ძაღლი საშინელი ყეფითა და ღრენით ჰაერში აფრინდა, ორივე თათით მის სახეს მისწვდა და ლოყა ჩამოკორტნა, მიხვდა, რომ არაფერი მოსჩვენებია და მოუსვა. არავინ იცის, იმ ჩხუბში რა მოიფიქრეს და გადაწყვიტეს ძაღლებმა, რადგან ბულტერიერმაც იგივე გააკეთა და კაცებს დაერია. კაცებმა კი დაძუძგეს, ვინ საით და როგორ გარბოდა შეშინებული და გაკვირვებული ვინ უწყის... იარაღი არავის ჰქონდა. რადგან ისეც ხდებოდა, რომ პატრული უსაფრდებოდათ და ხშირად "ბანკსაც" კი აწერდათ. ხოლო თუ კი იარაღს უპოვიდნენ, მოგეხსენებათ, ვისი და რა წრის ხალხის ჩარევა აღარ დასჭირდებოდათ თავის დასახსნელად. ის იყო, თავქვედაშვებულმა ჯაყომ, რომელიც ასკილისა თუ კვრინჩხის ბუჩქებს უკანმოუხედავად აფრინდებოდა, გაიფიქრა, გავასწარიო და გაივაკა, რომ უკანალზე ძაღლის კბილების შეხება იგრძნო. ან იმას რას წარმოიდგენდა, რომ მის ძაღლს ამხელა ძალა ექნებოდა, რადგან ჰაერში აფრიალდა და მიწას დაასკდა. ეგონა, ხერხემალში გადავტყდიო, რომ ძაღლი ეცა და მტევნიდან დაწყებული მისი ხელი იღლიამდე, ისე დაფლითა, ჯაყომ ვერაფერი დაუპირისპირა. მის ბედზე, ძაღლი უცბად გაჩერდა, ადგილზე დატრიალდა, პირიდან დორბლი და დუჟი გადმოუვიდა, გვერდზე გადავარდა და ფეხები გაფშიკა.

რა თქმა უნდა, არც ბულტერიერმა დააკლო და იმანაც რამდენიმე კაცი დაგლიჯა. მაგრამ ეს იმდენად საინტერესო არაა, რამდენადაც ის, რომ ხახომ ჯაყო საავადმყოფოში

გააქანა, რესპუბლიკურში. სურიკა კი ფულის საშოვნელად გავარდა. მაგრამ სანამ დაიშლებოდნენ, დაგლეჯილი ჯაყო რაღაც სისულელეს უმტკიცებდა ბიჭებს.

_ თვალი ჩამიკრა, ტო, სანამ გამომიდგებოდა, გეფიცებით! ჯერ თვალი ჩამიკრა!

გარეკა, ალბათ, ამ საცოდავმაო, დაასკვნეს ბიჭებმა და აღარ აუხირდნენ.

ჯაყო კი, პირდაპირ, საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა.

_ შეუჭამია კაცი... _ თქვა ექიმმა და ხახოს მიუბრუნდა. _ სამასი ლარია შესატანი, სხვანაირად ხელს ვერ ვახლებ.

_ მოიტანს, ძმაკაცია წასული. სამასი რა ამბავია?

_ რა? არკი უნდა ილოცოთ, თუ მარტო სამასს გადარჩით? ძაღლი ვისია, ძაღლის პატრონს ვერ წაართმევთ?

_ ძაღლი ამისი იყო.

_ იყო? _ გაუკვირდა ექიმს. _ ძაღლი მოკვდა? _ იკითხა მან და შრატის ფლაკონს თავი წაატეხა.

_ ჰო, ჩაძაღლდა, _ უპასუხა ხახომ.

_ რამ მოკლა? _ დაინტერესდა ექიმი.

_ აბა, მე რა ვიცი... შეგვიჭამა ეს კაცი და დატრიალდა. და გაფშიკა, რა, ფეხები...

_ მერე თავი? თავი არ მოსჭერით? _ შეეკითხა პირდაღებულ ხახოს გაკვირვებული ექიმი.

_ მკვდარ ძაღლს? _ კიდევ უფრო მაგრად გაუკვირდა ხახოს. _ ისედაც მკვდარი იყო...

ჯაყო იწვა და ჩუმად კრუსუნებდა.

_ გამაგიჟებთ თქვენ მე, _ ხელები გაშალა ექიმმა. _ მაშინ სამასი კი არა, იქნებ ათი ათასიც არ გეყოთ.

_ სად უნდა გამიკეთო? _ ამოიკვნესა ჯაყომ.

_ ეს შრატია, მუცელში კეთდება, _ უპასუხა ექიმმა.

_ აუ, მუცელში თანაც? არ შემიძლია, რა? ვერ ვიტან ამ ნემსებს.

_ რა? ამას გარდა, ერთი, ასი ნაკერი მაინც უნდა დაგადო. ნემს ვერ იტან, კარგია. თან თუ ძაღლის თავს ექსპერტიზაზე არ მიიტანთ, ორმოცდათორმეტი ნემსი მაინც დაგჭირდება. თანხაც, რაც გითხარით.

_ რა? უნდა წავიდე, ძაღლს თავი მოვაჭრა და ექსპერტიზაზე წავიღო? _ შეიცხადა ხახომ.

_ მაშ როგორ გავიგოთ, ცოფიანი იყო თუ არა? რა, არ იცოდით? თქვენ რა, რომელი პლანეტიდან ჩამოფრინდით? _ მხრები აიჩეჩა ექიმმა.

_ ვაიმე, დედა! _ იმხელა იყვირა ჯაყომ, კინაღამ ნემსი ჩაატეხინა ექიმს მუცელში.

_ რა ხდება, ნემსი არ გამატეხინოთ! _ ეწყინა ექიმს.

_ ექთანი არ გყავთ? _ იკითხა ხახომ.

_ არა, _ მოკლედ მოჭრა ექიმმა.

_ იქ რო არ დამხვდეს? _ იკითხა ხახომ.

_ ვინ? _ ვერ მიუხვდა ექიმი.

_ ძაღლი, _ თქვა ხახომ.

_ ჰოდა, წადი, რა, ბოლო-ბოლო, ყნოსვით მაინც მიაგნებ! _ ამოიკვნესა ჯაყომ.

_ ეგრევე? _ იკითხა ხახომ. _ იცი, რომელი საათია? იმ ტყეში, ამ სიბნელეში?

_ წადი, ჰოდა, მგელმა არ შეჭამოს, ან ტურამ, რა ვიცი... ორმოცდაათი ნემსი სად გავირჭო, სიმონ, ან ფული სად არი, მაგდენი? _ ჯანსაღი ხელი აუქნია ჯაყომ.

_ ვა, მერე რო შემჭამონ იმ მგლებმა?

_ აუ, შენ გეკაიფება, სიმონ? ვკდები კაცი!

_ სად უნდა მივიტანო?

_ ძაღლის თავი? ნუცუბიძეზე, ძაღლების პოლიკლინიკა, იცით? _ შეეკითხა ექიმი.

_ იცის, როგორ არ იცის, _ ამოიკვნესა ჯაყომ.

_ აუ, მკვდარ ძაღლს თავი როგორ უნდა მოვაჭრა, ჩემი დედა... აუ!

_ როგორ და როგორც ადამიანს აჭრიან, ისე... რამდენს ბლატაობ, ტო, წადი, რა!? დანა გაქვს?

_ წავედი, _ თქვა ხახომ და მიტრიალდა.

_ ფული? _ იკითხა ექიმმა.

_ ფულს მოიტანს-მეთქი, ჰო ვთქვი. რა პონტია, ბაზარი არ არი! მძევალს ჰო გიტოვებთ, არა, აქ?! _ თქვა ხახომ და კარი გაიკეტა.

ამასობაში ექიმს მკლავზე ნაკბენები დაემუშავებინა კიდეც, ძაფიც აეგო და პირველი ამოუყარა.

_ აუ, ჩემი დედა! რას შვრები, ტო! _ იღრიალა ჯაყომ და წამოჯდა. _ აუუუ! ეს რა იყო, ტო? აუ, ჩემი დედა...

_ ნელა, ბიჭო, რა ხდება, რას წამოხტი, არ გავკეროთ? მე რა, კი არ მეხალისება.

_ აუ, "ჩერესჩურ" მწარე იყო, ტო, დედას გეფიცები. _ დაიკნავლა ჯაყომ.

_ აბა, ნემსს ვუყრი ხორცში, შე კაი კაცო, და მწარე იქნება, მაშ ტკბილი?

_ მერე, მხიე რა, ერთი-ორი პრომიდოლი, ან მორფინი, ხო მოვკვდი ასე!?

_ შრატზე ეგენი რომ გაგიკეთო, ორ-სამ წუთში მორგში გაგიტანენ და გაწყობს?

_ აუ, ჩემი დედა... ეს რა დამემართა, ტო, _ საღი ხელი შუბლში შემოიკრა და უკანვე გადაწვა ჯაყო.

_ აბა, ეს რომ არ გავკერო, დაგიჩირქდება და მოსახერხი გაგიხდება. რომელი გირჩევია? _ შეეკითხა ექიმი.

_ აუ, ჩემი დედა, მოსახერხიო, ტო, რას მეუბნება. ჰო, მიდი კემსე, კაი, რა მოსახერხი, შეშა კი არ არი, მკლავია, ტო, თანაც ჩემია, ტო, საკუთარი. ვაი! _ იღრიალა ისევ ჯაყომ, როცა ექიმმა მეორედ ამოუყარა ნემსი და ისევ წამოჯდა.

ექიმმა კი ნემსს ხელი უშვა...

_ არ გინდა, ძმაო? ვინც გინდა იმან გაგიკეროს! _ უთხრა და საოპერაციოდან გავიდა.

_ თავს მოგაჭრი, შე ახვარო, სად წახვედი, დაბრუნდი! _ ყვიროდა ჯაყო და თან იმას აკვირდებოდა, ძაფზე დაკიდული ნემსი აქეთ-იქით როგორ ქანაობდა.

მარინას, ჯაყოს იმჟამინდელ საყვარელს, ვისთანაც სურიკა გავარდა ფულზე, ბინა ორთაჭალაში, ბალნეოლოგიურის ზემოთ, ერთ-ერთ იტალიურ სახლში ჰქონდა. მეორე სართულზე ხის კიბით უნდა ასულიყო და ვიწრო დერეფანში, რომელიც ძველი კომოდებით და კარადებით იყო გადატვირთული, იქვე, ხის კარზე უნდა დაეკაკუნებინა. სურიკა ასეც მოიქცა და როცა მარინამ კარი გამოუღო, ოთახიდან სიგარეტის კვამლი და დახუთული, რაღაც შემწვარ-მოხრაკულის სუნი გამოვარდა.

_ შემო! _ შეიპატიჟა მარინამ.

_ მარტო ხარ? _ შეეკითხა სურიკა.

_ ჰო, გოგოები ვართ, ვბუჟბუჟებთ პატარას...

სურიკამ თვალი შეაჩვია და კვამლში გახვეულ მრგვალ მაგიდასთან მიმჯდარი ორი გოგო შენიშნა. მარინამ მაგიდას ერთი სკამიც მიამატა.

_ "პრაშუ"! _ მიანიშნა მან სკამზე სურიკას.

_ აი, ერთი ხვადი გვაკლდა და ისიც თავის ფეხით მოვიდა, _ თქვა იმ გოგომ, რომელსაც ოდნავ წაგრძელებული სახე და წინ გამოდგმული ქვედა ყბა რაღაც თავხედურ იერს აძლევდა.

_ არა, დაგლოცავთ და უნდა წავიდე, _ თქვა სურიკამ და მაგიდას მიუახლოვდა.

_ ღვდელია? _ შეეკითხა მეორე გოგო მარინას და სამივე ქალს სიცილი წასკდა.

_ ღვდლის გარდა ყველაფერია, _ გამოაცხადა მარინამ. _ იცნობდეთ სურიკა კარბელაშვილი.

_ კაი, რა! თქვენ აქ დაბოლილები სხედხართ და შენი ჯაყო თავისმა ძაღლმა შეჭამა.

_ რა? ვინ შეჭამა? ძაღლმა? _ მიაყარა მარინამ.

_ ჰო, რავი, გაცოფდა მგონი. რესპუბლიკურში, რეანიმაციაში, საოპერაციო მაგიდაზე დევს.

_ დევს? რომელი? ძაღლი თუ ჯაყო? _ გადაირია მარინა.

_ ჯაყო, ჯაყო... ძაღლი ვის ახსოვს.

_ რა, მოკვდა? _ მთლად გაგიჟდა მარინა.

_ არა, დაგლეჯილია და რავი, გასაკერ-გამოსაკერია, რა!

_ აუ, ცოფი მინდა მე ახლა? ათასი დოლარი მისცა, არა, მაგ ძაღლში? _ შეეკითხა მარინა.

_ ჰოო, მაგრამ რო დაგვცლოდა, ათი მაგდენი უნდა ამოგვეღო.

_ გაცოფდა და ვეღარ იღებთ? _ ვერ მიუხვდა მარინა.

_ არა, მარო, ტო! მოიცა, რა? რა გაცოფდა. ვაჩხუბეთ რაა, მაზიანზე და... ისინი კიდე, ეს ძაღლები ჩვენ გამოგვიდგნენ და ჯაყო დაგლიჯეს, რა?

_ და ფულისთვის გამოგაგზავნა ჩემთან, არა? _ მიუხვდა მარინა.

_ ჰო! ერთი ხუთასი ლარიო...

_ თქვე ჩემალალებო, ამხელა ხალხი ხართ, გოგრასავით თავები გაბიათ და გრამი ტვინი არ უნდა გედოთ შიგ, ამის დედაც ვატირე!? _ შეიკურთხა მარინა და მეორე ოთახში გავიდა.

_ დაგვლოცე, მამაო, _ მიაწოდა ღიმილით შამპანურით სავსე ჭიქა სურიკას, იმ პირველმა.

_ გაგიმარჯოთ, ხშირად აგეშვიროთ ფეხები! _ "განაგლდა" სურიკა.

_ მიდი რა?! წეპო უნდა, ერთი! _ დააყოლა ისევ პირველმა.

_ ე, დაგვლოცეო, თქვენ არ მითხარით? _ შაყირის ხასიათზე დადგა სურიკა. _ მეც, რაზეც თქვენ ოცნებობთ ის გისურვეთ, სხვა რა?

_ შენ ბიჭო, მორჩი აქ ბაზარს, თორემ, ვინ ვის წააკოზირებს, მაგასაც ვნახავთ, _ თქვა იმ მეორემ და შამპანური დაისხა. _ არა, რა, მთლად გაფუჭდა ხალხი, _ თქვა მან და ამაზე ორივე გოგო სიცილით ჩაბჟირდა.

მარინა შემოვიდა და სურიკას ხელში ქაღალდში შეხვეული წამალი ჩაუდო.

_ სამი აბია, გაყიდე და როგორც გინდათ ისე მოიხმარეთ. და, საერთოდ, რა? ცოფიან ძაღლებს მოერიდეთ, რა? _ და ქალები ისევ ახარხარდნენ.

_ ჯიგარი ხარ! _ სურიკამ მარინა გადაკოცნა და, წამლის გასასაღებლად, ნაცნობ ზედამხედველთან გავარდა.

საოპერაციოდან გამოსული ხახო შინ წავიდა. იარაღი გამოიტანა. მერე, პირველივე, მოყავისფრო მაწანწალა ძაღლს შუბლში დაახალა, თავი მოაჭრა და გათენდა თუ არა, ვეტ-პოლიკლინიკაში წაიღო. აბა, იმ შუაღამისას ტყეში წასვლის თავი ვის ჰქონდა?

ძაღლი ცოფიანი აღმოჩნდა და ხახომაც ექიმს დადებითი პასუხი მიუტანა. რაში ენაღვლებოდა, რამდენ ნემსს ხევდნენ ჯაყოს. რაც მეტი, მით უკეთესიო, გაიფიქრა. ჯაყოსთვის ხელი გაეკერათ და ახლა უკვე, ერთ-ერთ, ექვს საწოლიან პალატაში იწვა. ჭერს მიშტერებოდა და დანა პირს არ უხსნიდა.

რომ გაიგო ცოფიანი ყოფილაო, მთლად გადაირია.

ცოფიანი ძაღლი მოგვყიდა, მაგის დედა?! “ტრუპია”, ნაწლავები ხელში უნდა დავაჭერინო, მაგის ასე და ისეო... _ იგინებოდა და იფურთხებოდა.

_ არა, ტო, თვალი ჩამიკრა, გეფიცები, შემომხედა და თვალი ჩამიკრა, აშკარად! _ დაუწყო ისევ მტკიცება ხახოს.

აუ, ეს აქ კი არა, ფსიქიატრიულში უნდა წაგვეყვანაო, გაიფიქრა ხახომ.

აბა, რას წარმოიდგენდნენ ჯაყო და მისნაირი “მაზავიკები” თუ “ძაღლების რინგთან” ახლოს მდებარე ტენისის კორტების დარაჯი, იაშა, ძაღლების ყეფა-ღრენით გაბეზრებული, ძველ ხერხს მოიფიქრებდა და იმ ადგილებში ნემსებიან და შუშის ნამსხვრევებიან პურის გუნდებს “კისლატაში” ამოავლებდა და “რინგზე” დაყრიდა? გაავებულ ძაღლებს კი, ქვების ჭამაც რომ სჩვევიათ, თქვენც მოგეხსენებათ. “ბანკირი” კი ისე გაქრა და ისე წაიღო მთელი იმ დღის “კუში”, ვეღარსად მიაგნეს. აშკარა იყო, რომ საზღვარგარეთ დაითესა. მოკლედ, იმას ჭირი ხეირად ექცა, ჯაყო, ხახო და სურიკა კი ისევ მშრალზე დარჩნენ. ერთი თეთრიც აღარ უჭყაოდათ.

თუ ნიკა ბერიძეს პირველ ჩამოსვლაზე საქართველოსკენ მოუხაროდა, ახლა უკვე პაპუნა ილურიძედ ქცეულს, არამცთუ მოუხაროდა, საკუთარი მიწა-წყლის დანახვა, ერთი გაცვეთილი ფრაზა რომ ვიხმაროთ “გულს ლახვრად ესობოდა”. ტრანზიტი მიუნჰენზე ჰქონდა. ცოტა გააკვირვა კიდეც სილამაზით იქაურმა აეროპორტმა, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი ქართული აერ-ნავიგაციის თვითმფრინავში, მისი გაგებით, იმდენად შემზარავ სახეებს წააწყდა, თავი ჯოჯოხეთში ეგონა. და თუ თბილისის აეროპორტში ეს გრძნობა გაუათმაგდა, აეროპორტიდან გამოსულს, არამცთუ გაუათმაგდა, გაუასკეცდა და რომ არა, ის წმიდათა-წმიდა მისია, რომლის გამოც სამშობლოსკენ გამოსწია, ანუ შური ეძია იმ ყოველივესთვის, რაც პირველად ჩამოსვლისას გადახდა, აუცილებლად უკანვე “დაახვევდა”. მაგრამ თუ პირველად ის იმ თანხით მოდიოდა, რომელიც საკმაო ინვესტიციისა და ნორმალური ბიზნესისთვის თავისუფლად კმაროდა, ახლა ის უკვე მილიონერი გახლდათ. თუმცა იატაკქვეშა ანუ არალეგალური მილიონერი და მისი მიზნების განხორციელებაც ბევრად ადვილი უნდა ყოფილიყო. ის, რომ პაპუნა ილურიძემ ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია, ვფიქრობ, ამ წიგნის მკითხველისთვის სრულიად გასაგებია და ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ. პაპუნას ამერიკიდან არავინ ჩამოჰყოლია. სასტუმრო წინასწარ დაჯავშნა, ერთ-ერთ იმ სასტუმროთაგანში, სადაც უცხოელები ჩერდებიან და ყოველგვარი კომფორტითაც უზრუნველყოფილია. თუმცა, საკმაოდ მოყუჩებულ ადგილზე მდებარეობს და თვალშიც არავის ეჩხირება. ის გრძნობა კი, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთში მოხვდა, ვერაფრით მოიცილა და ასე თუ ისე გამოძინებულმა და სასტუმროს მომცრო რესტორანში დანაყრებულმა, თავისიანებისკენ გასწია. სასტუმროს კარიდან გამოსულმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მის ტიტულს. “ევრაზია” _ ბრჭყვიალებდა წითელი ნეონით განათებული ასოები სასტუმროს თავზე. ლესელიძე ფეხით აიარა. და თუმცა ეს ქუჩა, ამ ბოლო დროს რაღაცას დაემსგავსა, მასზე მაინც მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და ტვინის უჯრედები კიდევ უფრო ჩაუმუქა. დრო თავზესაყრელად ჰქონდა და მანაც სახლამდე ფეხით წასვლა გადაწყვიტა. თანაც, ვერამდე ხომ არც ისე დიდი გზა იყო. თავისი სადარბაზოს წინ გაჩერდა და დიდხანს შეჰყურებდა კორპუსს თავაწეული. ფასადი მწვანედ შეეღებათ, რაც ისე უცხოდ ეჩვენა, კორპუსი ხომ არ მეშლებაო, ისიც კი გაიფიქრა. მერე ბიჭების ყიჟინა შემოესმა, რომლებიც თქარათქურით ჩამორბოდნენ კიბეზე და გარეთ ერთი ყოფით გამოცვივდნენ. სამნი იყვნენ, ეტყობა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. პაპუნამ ვერცერთი ვერ იცნო. როგორც ჩანს, ახალი თაობა წამოსულაო, გაიფიქრა. გული კარგს არაფერს უგრძნობდა. მძიმედ, ტაატით აუყვა საფეხურებს.

თავის სართულზე ავიდა და წინ, ხის კარის ნაცვლად, რკინის მძიმე კარი დახვდა. ზარის ღილაკს თითი მიაჭირა. “ძიინ”, გაისმა შიგნით რაღაც მელოდია.

_ ვინ არის? _ იკითხეს შიგნიდან, ქალის ხმა იყო, რომელიც პაპუნამ ვერ გამოიცნო. როგორც ჩანს, საჭვრეტელაში გამოიჭვრიტეს და ვერ იცნეს. პაპუნას გულში გაჰკენწლა.

_ პაპუნა ვარ!

_ ვინ პაპუნა! _ მოისმა იმავე ქალის ხმა შიგნიდან.

_ ნიკა, ნიკა, ნიკა ვარ!

_ ჯერ პაპუნაო. ახლა ნიკა. აბა, ვინ ნიკა? _ მოისმა ისევ შიგნიდან. კარი კი მაინც არ გააღეს.

_ თქვენ თვითონ რომელი ხართ? ნიკა ვარ, კარი გამიღეთ, ნიკა! _ გაუწყდა მოთმინების ძაფი პაპუნას.

_ ჩვენ უცხოებს კარს არ ვუღებთ! _ თქვეს იქითა მხრიდან და როგორც ჩანს, პასუხს დაელოდნენ.

_ აქ ბერიძეები აღარ ცხოვრობენ? _ ესიკვდილებოდა ამ სიტყვების წარმოთქმა პაპუნას.

_ ბერიძეები? _ რაღაც გაჩხაკუნდა, ეტყობა ურდული გასწიეს და კარი გაიღო, პაპუნას ერთი წამით გამოუკეთდა გუნება, მაგრამ ზღურბლთან უცხო ქალი რომ დაინახა და ვერც თავიანთი შესასვლელი ეცნო, შეცბა.

_ აქ ბერიძეები...

_ კი, ცხოვრობდნენ, გენაცვალე, ორი წლის წინ...

_ მერე? _ წამოსცდა პაპუნას.

_ აღარ ცხოვრობენ, ახლა ჩვენ ვცხოვრობთ... _ უპასუხა ქალმა, რომელსაც თავზე ჩალმა დაედო და ნიკას ურცხვად აშტერდებოდა, აშკარად ეუცხოვებოდა კაცი. _ არ იცოდით? _ შეეკითხა ის პაპუნას და ახლა თავიდან ფეხებამდეც ჩაათვალიერა.

_ გადავიდნენ? _ შეეკითხა პაპუნა.

_ არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, როცა ჩვენ ეს ბინა ვიყიდეთ, აქ არავინ ცხოვრობდა, ეს სახლი დაკეტილი იყო.

_ დაკეტილი? _ მთლად გაუტყდა პაპუნას. _ და ვისგან იყიდეთ, რომ?

_ იცით ვისგან? ანი ბერიძემ მოგვყიდა. იმან გადმოგვიფორმა, ჟურნალისტი რომ არის, კორესპონდენტი, გეცოდინებათ! დიახ, ისიც ბერიძეა.

_ ანიმ რატომ მოგყიდათ? _ ისევ უნებურად წამოსცდაო თითქო პაპუნას.

_ ეგ იმას უნდა ჰკითხოთ, მე ვერაფერს გიპასუხებთ... _ გაიღიმა როგორც იქნა ქალმა. _ იცით, როგორ უნდა მიაგნოთ?

_ არა, ისევ იმ არხზეა? _ შეეკითხა პაპუნა. რადგან გაიფიქრა, ეგებ ქმართან აღარც ცხოვრობს და უხერხულობაში არ ჩავვარდეო.

_ კი, კი, რაღაც გადაცემაც მიჰყავს. თუ არ ვცდები: “საათის ცხელი ისარი”. ჰო, ყველა უბედურება, მაგან უნდა გვახაროს...

_ ტელეფონი ხომ არ გაქვთ...

_ არა, წარმოდგენაც არა მაქვს... ასეა... _ თქვა ქალმა და ხელები გაშალა. _ სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცი...

_ კარგი, გმადლობთ, _ უთხრა პაპუნამ. ერთი კიდევ შეავლო თვალი თავიანთ ყოფილ ბინას და მიტრიალდა. _ კარგად ბრძანდებოდეთ.

პაპუნას გული ჩასწვა და ჩასწყდა-მეთქი, რომ ვთქვა, სწორი არ იქნება. გაურკვევლობამ, რომელიც ამ მომენტმა მოახვია თავს, მაგრად შეაშინა. კარგი, თუ უფროსები აღარ არიან, ირაკლი და რეზი სადღა გაქრნენო, ფიქრობდა. გაახსენდა, ტელეფონები რომ ისმინებოდა და ანის მოძებნა მეორე დღისთვის გადადო. ვერც

ყოფილ ცოლს, ვერც ძმებს და ვერც სხვას, ვერავის, პაპუნა ვერ დაენახვებოდა. ერთადერთი, დის შემდეგ ვისაც ენდობოდა, თათიკო იყო და მანაც მისი აგარაკის მონახულება გადაწყვიტა. თუ ბედი მაქვს, დამხვდებაო, ფიქრობდა. მაგრამ ჰქონდა ბედი ვითომ პაპუნას?

ტაქსი ცენტრალურ გზაზე გააჩერა. უკვე საკმაოდ გვიანიც იყო. გადავიდა და ფეხით დაუყვა იმ ვიწრო ჩიხს, რომელსაც თათიკოს აგარაკთან უნდა მიეყვანა.

არა, ეს არ იყო სიზმარი. ეს ისევე ცხადი იყო, როგორც ის შემზარავი სინამდვილე, რომელსაც პაპუნა შესცქეროდა. რას შესცქეროდა პაპუნა? ნახევრად ჩამოგლეჯილ, გადავარდნილ ჭიშკარს, რომელიც ერთ სამაგრზეღა ეკიდა. შიგნით კი... შიგნიდან გამომწვარ-გამონახშირებული, უსახურავო, უკარ-უფანჯრო, კედელჩამოშლილი და ბათქაშჩამოცვენილი თათიკოს სახლი შემოჰყურებდა. მარნის ადგილას კი ცარიელი ქვა-ღორღი ეყარა. ელდანაკრავი მოტრიალდა და სწრაფად გასცილდა იქაურობას. ეს ის შოკი იყო, რომელმაც მის ისედაც პირამდე ავსილ მოთმინების ფიალას, სწორედ ის ერთი წვეთი დაამატა, რომელსაც შხამი იქნება თუ ბადაგი, ფიალიდან გადმოჰყავს. შურისგების ცეცხლი კი, რომელიც მის გულში ამდენი ხანი ჩაუქრობლად გიზგიზებდა, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. ტაქსი გააჩერა და სასტუმროში წაყვანა სთხოვა. მერე გადაიფიქრა და, სადმე მაგარ რესტორანში წამიყვანეო, უთხრა.

_ დიღომში ვიცი, ერთი მაგარი რესტორანი, ვისაც ფული აქვს და დროსტარება უნდა, იქ მიმყავს ხოლმე. გაწყობს? _ შეეკითხა მძღოლი, რომელმაც მაშინვე მოტვინა, რაც შორს წავიყვან, მეტს გადამიხდისო.

_ კაი, წავიდეთ, _ დაეთანხმა პაპუნა და მძღოლმაც სანაპიროზე ჩაუხვია.

“მიდი-მოვდივარ” ეწერა ორსართულიან რესტორანს, რომლის კარიბჭესთანაც მანქანა გაჩერდა. პაპუნამ მძღოლი გაისტუმრა, რესტორანში შევიდა და პირველივე სართულზე, კუთხეში, თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. საჭმელი და სასმელი შეუკვეთა და ქართულ ღვინოს დახარბებული მიეძალა. ოფიციანტმა გოგონამ, რომელთაც დღეს საგანგებოდ არჩევენ და ამ რესტორანშიც ასევე გახლდათ, ღვინის სმა აცალა. მერე კი, როცა ხალხი შეთხელდა და მათი გამორჩეულად ლამაზი კლიენტი, ისევ მარტო იჯდა და არა და არ მიდიოდა, მივიდა და მის მაგიდას მიუჯდა.

პაპუნას, რომელიც უცხოთაგან ასეთ ქცევას გადაჩვეული გახლდათ, ჯერ კი ეუხეშა, მაგრამ გოგონას მომღიმარე სახე და ჩაწიკწიკებული კბილები რომ დაინახა, წყენამ იმწამს გაუარა.

_ არ მოგბეზრდათ მარტოობა? _ შეეკითხა გოგონა და ცარიელი ჭიქა მიუმარჯვა. _ თქვენსავით აქ მარტო უცხოელები იქცევიან.

პაპუნამ ჭიქა შეუვსო. გოგონა თვალს უსწორებდა.

_ ლამაზი თვალები გაქვთ, _ დაუმოწმა პაპუნამ.

_ თქვენ... მგონი, არც მინახავს თქვენნაირი მამაკაცი... მაპატიეთ! _ დააყოლა გოგონამ. _ გულს აყოლებთ?

_ გულს, ბოღმას, შხამს... ჯოჯოხეთში მგონია თავი... _ აღიარა პაპუნამ.

_ ვაართ კიდეც... ორი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ოფიციანტად ვმუშაობ, შეიძლება? _ სიგარეტის კოლოფზე მიანიშნა გოგონამ.

_ კი, კი, _ თვითონ შესთავაზა პაპუნამ.

გოგონამ ღერი ამოაძრო. პაპუნამ სანთებელა მიუმარჯვა.

_ ღმერთო, რა მანერები გაქვთ, ყველა პრინცი ერთად მიმიქარავს... რა, არა? _ გააბოლა და გაუღიმა გოგონამ.

_ მაბამთ? _ გაეცინა პაპუნას.

_ არც მიფიქრია. გაკვირდებოდით, უბრალოდ... “ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა”... _ გაიცინა გოგონამ. _ არა?

_ “ვითა ლეკვთა, ჰხოცდა ვეფხთა”?

_ მასეთი რამეც სწერია “ვეფხის-ტყაოსანში”? რაღაც არ მახსოვს...

_ არც მე, _ გაიცინა პაპუნამ. _ მეც ერთ ქალს ვეძებ, მურაზ ლეშკაშელი ხომ იცით, მის ქალიშვილს ვეძებ, _ ვა-ბანკზე წავიდა პაპუნა.

_ თქვენ რა, პოლიციიდან ხართ? _ რატომღაც შეცბა და დასერიოზულდა გოგონა.

პაპუნამ დაეჭვებულმა შეხედა. გოგონას შეშინებული სახე ჰქონდა.

_ საშინელება წამომცდა რამე? იმიტომ, რომ პოლიციელის ქალიშვილს ვეძებ? _ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა პაპუნას.

_ თქვენ რა, ჭურში ზიხართ? _ მხრებში აიწურა და თვალები გაუფართოვდა გოგონას. _ ის ყველაფერი ხომ აქ მოხდა, ამ რესტორანში, სწორედ ამ მაგიდასთან?

_ მე გუშინ ჩამოვედი, არაფერი ვიცი, _ გამოუტყდა პაპუნა. _ რა მოხდა ამ მაგიდასთან? სად ვზივარ, რომელ რესტორანში? პოლიციელიც არა ვარ, ვერ ვიტან მაგათ გილდიას. უბრალოდ, მის ქალიშვილს ვიცნობდი ერთ დროს...

_ აქ ჩხუბი მოხდა და მკვლელობა კი გარეთ მოხდა, _ აღარ გააგრძელა გოგონამ. _ თქვენ რა, მართლა არაფერი იცით? მაგას იცით, მერე, რამდენი რამე მოჰყვა?

_ არა, არ ვიცოდი... ვინ მოკლეს, თათიკო მოკლეს? _ პასუხს ელოდა მოუთმენლად პაპუნა.

_ არა, სხვა მოკლეს და მაგას აბრალებდნენ, მაგ ლეშკაშელის ქალიშვილს. მაგრამ იმას ლელა ერქვა, სხვა ქალიშვილიც ჰყავდა? _ შეეკითხა გოგონა.

_ არა, მარტო ეგ ერთი ჰყავდა, ლელაც ერქვა და თათიკოც... და რა მოჰყვა მაგ მკვლელობას? _ მაგრად აინტერესებდა ნიკას.

_ აუ, იმხელა ყაყანი... _ გოგონამ პაუზა გააკეთა, ნაფაზი დაარტყა. _ რატომ ეძებთ მაგ თათიკოს?

_ იმიტომ, რომ მისი სახლი გადამწვარი დამხვდა.

_ ჰო, ეგ მერე იყო, ყველაფერი დაუწვეს და დაუნგრიეს, მაგასაც და მამამისსაც. აბა ვინ შეარჩენდა? ისეთი ბიჭი მოკლეს, მაგ თათიკოს დაკვეთით.

_ და ეგენი, რა, დაიჭირეს?

_ არა, ვერ დააჭერინეს. ვითომ შემსრულებლები დაიჭირეს, მერე კი ისინიც გაუშვეს. ხალხი ქუჩაშიც კი გამოვიდა, მთელი დემონსტრაციები იყო, შიმშილობა და რა ვიცი... მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ... თუ “კრიშა” გყავს? არ იცით, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? კამბოჯაა, რა, ბანანის რესპუბლიკა.

_ და, ლეშკაშელი და მისი ქალიშვილი?

_ ეგენი ხომ დაიკარგნენ.

_ რას ნიშნავს დაიკარგნენ?

_ რა ვიცი, გაქრნენ. ზოგი ამბობს, დახოცავდნენო, ზოგი გაიპარნენო.

პაპუნას თითქოს საწამლავი ჩაუწვეთესო ჭიქაში. გაფითრდა. რაც გოგონას არ გამოჰპარვია.

_ არ იცოდით?

პაპუნამ სავსე ბოკალი გამოცალა.

_ გათხოვილი ხართ? ჰკითხა მან გოგონას და აათვალიერა.

_ ჰო, მაგრამ გამოთხოვებაც მოვასწარი. თექვსმეტისაც არ ვიყავი, ვაფრენდი. არ ვნანობ... ქალიშვილი დამრჩა და ვზრდი... მის გვარზეა.

_ როგორ ზრდით, თუ დილამდე აქ ხართ? _ დაეჭვდა პაპუნა.

_ დღეგამოშვებით გამოვდივართ. სხვანაირად რას გავუძლებთ... კიდევ რა გაინტერესებთ? _ გაეღიმა გოგონას.

_ დანახარჯი, _ თქვა პაპუნამ.

_ ვიანგარიშებ და მოგიტანთ, _ თქვა გოგონამ. სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და ქვითრის გამოსაწერად გაემართა.

პაპუნამ თავი ხელებში ჩარგო და ფიქრებში წავიდა.

ტელევიზიის გვერდით, ხეხილის ხეივნის მსგავს ხილნარში, იმდენი მანქანა იდგა, "სტაიანკა" გეგონებოდათ. პაპუნა ილურიძე "გოლფის" წინა კარს მიყუდებოდა და თავის დას უცდიდა. თუ რაიმე არ შეაფერხებდა ან გადაცემა არ ჰქონდა, ანი სადაცაა უნდა გამოსულიყო. მართლაც ასე მოხდა. ანი გამოჩნდა. თავაწეული ამაყად მოაბიჯებდა და წითელ ტყავის ჩანთას მოიქნევდა. კაკაოსფერი მანტო მოესხა და ყელზე შინდისფერი შარფიც მოეგდო. ეტყობოდა, კარგ ხასიათზე იყო. თავის მანქანასთან ვიღაც ბიჭი შორიდანვე შეამჩნია. დაინტერესდა, რა თქმა უნდა. ვინაა ეს ჩემალალა, არ აყუდებულა ჩემს მანქანაზეო? _ გაიფიქრა და მიუახლოვდა. მიუახლოვდა და იმწამსვე იცნო.

_ ღმერთო, ნიკა, ღმერთო! _ წამოიკივლა და კისერზე ჩამოეკიდა.

მათი შეხვედრა არავის დაუნახავს, რადგან ბაღში კაცის ჭაჭანებაც არ იყო. იმდენად გაუხარდა ანის ნიკას დანახვა, რომ იმ სიხარულის სიტყვებით გადმოცემა მიჭირს კიდეც. მანქანაში ჩაჯდა. თვალებზე ხელი აიფარა, ატირდა, ასლუკუნდა, თან მოტრიალდებოდა ხოლმე, ჰკოცნიდა და ეხვეოდა, ამდენი ხნის უნახავ ძმას.

_ ერთხელ არ უნდა დაგერეკა? რამენაირად არ უნდა შემომხმიანებოდი? _ უსაყვედურა მან ძმას და კიდევ ერთხელ მოეფერა. _ ღმერთო, როგორ დამშვენებულხარ, რა ლამაზი ხარ, ნიკა!?

_ როგორ დამერეკა, ინტერპოლი მეძებს... და ნიკაც აღარ მქვია. აღარც ბერიძე ვარ. პაპუნა ვარ, ილურიძე... _ თქვა პაპუნამ და მანქანის სავარძელზე გადაწვა. _ დანარჩენი?

_ რა დანარჩენი? _ ვერ მიუხვდა ანი.

_ რა მოხდა ჩემს აქ არყოფნაში. შინ არ შემიშვეს, იქ ვიღაც უცხო ქალი დამხვდა.

_ როგორ, შენ არაფერი იცი? _ თვალები გაუფართოვდა ანის. _ სულ არაფერი?

_ საიდან უნდა ვიცოდე? _ წყენით თქვა პაპუნამ.

_ ვაიმე! _ თქვა ანიმ და გაჩუმდა. _ მაშინ ასე ვერ მოგახლი. სადმე უნდა დავსხდეთ! იცი, წამოდი, ჩემთან წავიდეთ.

_ სად შენთან?

_ თაზოს სახლში გადავედი. გაიოზი მოკლეს, თაზოს მამა. მე, თაზო და ჩემი მული ცხოვრობს კიდევ ჩვენთან, თავისი შვილით.

_ რა ხდება, ერთმანეთის ხოცვის მეტს აღარაფერს აკეთებს აქ ხალხი?

_ ჰო, მაგრამ ის ვაჟკაცურად მოიქცა. წინასწარ მინდა გაგაფრთხილო, რომ კარგს ნურაფერს ელი. მეც კი ბეწვზე ვარ სიკვდილს გადარჩენილი. მოკლედ, ყველაფერს გიამბობ, მაგრამ ჯერ ცოტა უნდა დაგალევინო, თორემ შეიძლება, გულიც კი გაგისკდეს.

_ გული სადღა მაქვს... _ წაიბურტყუნა პაპუნამ.

_ იცი, ერთი პატარა კაფეა, აქვე ახლოს, კარგი? _ შესთავაზა ანიმ და მანქანა დაძრა.

ისინი დიდუბეში, ახლად გახსნილ, ხუთიოდე მაგიდიან, კაფეში ისხდნენ და კონიაკს სვამდნენ. პაპუნას მაგრად გაუკვირდა, ანიმ მანტო რომ მოიხსნა და ტანზე ამოტმასნილ შავ რეიტუზში დარჩა. რა ხდება, ეს გინდ სცმია, გინდ არაო, გაიფიქრა...

_ ასე იყო, ყველაფერი უკან-უკან წავიდა. რეზის დავაბრალო, ჩემს თავს თუ არ ვიცი, ვის... _ დაასრულა მოყოლა ანიმ.

თითქოს ცხელი, გამდნარი ტყვია ჩაასხესო გულში პაპუნას. ელოდა, კი, ცუდს, მაგრამ მშობლებისა და ძმის ასეთ უეცარ სიკვდილს მაინც ვერაფრით წარმოიდგენდა.

_ თეონასი რა იცი ან ნატოსი? მაგათ აღარ ხვდები?

_ მე შევეხმიანე რამდენჯერმე და თვითონ ნატომ არ მოისურვა, გენაცვალე, ჩემთან ურთიერთობა, _ გვერდზე გაიხედა ანიმ. _ ისევ ის თავისი უძრავ-მოძრავი ქონების ბიზნესი აქვს, მგონი... თუმცა დანამდვილებითაც ვერ გეტყვი.

_ მადლობა ღმერთს, რომ ეგენი მაინც ცოცხლები ყოფილან. ელისოს თუ ნახულობ?

_ ელისოს? კი, როგორ არა... კარგად გამოიყურება, სხვათა შორის... ხომ იცი, ძველებს სულ სხვა "ზაკალკა" აქვთ, _ თავი გააქნია ანიმ და სახეზე ჩამოშლილი თმები უკან გადაიყარა. _ ასეა, გენაცვალე, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო, ხომ გაგიგონია.

_ შეგიძლია, სასაფლაოზე წამიყვანო? _ შეეკითხა პაპუნა.

_ არა, თაზოს გარეშე მე ვერც მივაგნებ, ალბათ, იმათ საფლავებს. იცი, რა ხდება მუხათგვერდში?!. _ გაიკვირვა ანიმ.

"ყველაფერი თავიდან იწყება, სულ თავიდან..." გაიფიქრა პაპუნამ და დას შეხედა. ანი უაზროდ იმზირებოდა ფანჯარაში. "ეს ისევე ყვება თავისიანების სიკვდილზე, როგორც ეკრანიდან ახალ ამბებს", _ გაიფიქრა პაპუნამ და მოიღუშა.

პაპუნას დანახვაზე, ნატოს ისეთი ელდა ეცა, გულის წასვლას არაფერი უკლდა. წამოდგა და მისკენ გაემართა. ერთმანეთს აკოცეს და ნატომ პაპუნას სავარძელზე მიანიშნა.

_ შენ მე მომკლავ, ნიკა! მესამედაც რომ ასე გამომეცხადო... ტელეფონზე მაინც დაგერეკა.

_ ტელეფონზე ლაპარაკი აკრძალული მაქვს. ძებნაში რომ ვარ, დაგავიწყდა? ნიკა აღარ დამიძახო, პაპუნა მქვია, პაპუნა ილურიძე.

_ და რამ ჩამოგიყვანა? ახლა ხომ ყველას იჭერენ, ყველას!..

_ მე ვერ დამიჭერენ... კაი, შენს თავზე გადადი, შენზე მომიყევი.

_ ჩემზე თუ თეონაზე?

_ შენზეც და თეონაზეც.

_ მე რა მიჭირს. შენი წყალობით, სული მოვითქვი და ორი ასეთივე სხვა ფირმაც გავხსენი. "კიტებზე" _ მოკლედ, მხოლოდ იმათზე ვმუშაობ, ვისაც დიდი ფული აქვს. მაგარი ნაცნობობაც გავიჩინე და რომ იცოდე, არც არაფერს ვიკლებ. ხომ კარგად გამოვიყურები?

_ საკმაოდ...

_ გაიმეტე, ბიჭო, ერთი კომპლიმენტი, რა დაგემართა? განა არ ვიცი, რომ ქალები ბევრად სწრაფად ვბერდებით.

_ თეონა რას შვრება, რამხელაა? _ სიგარეტი გააბოლა პაპუნამ.

_ თეონა? აი, შენი თეონა, _ და ნატომ კედელზე დაკიდულ სურათზე მიანიშნა. _ პაპუნა წამოდგა და სურათთან ახლოს მივიდა.

სურათზე დაქალებული თეონა და ვიღაც ბიჭი იყვნენ გამოსახული. ორივენი ველოსიპედებზე ისხდნენ და ფეხები მიწაზე ედგათ. თეონას წაბლისფერი თმა მხრებზე ეყარა და საოცრად ლამაზი იყო.

_ ეს ბიჭი ვინ არის? _ იკითხა მამამ.

_ ჩემი დაქალის შვილია. ნინო ნაფეტვარიძის.

_ სადაა ეს სურათი გადაღებული, საზღვარგარეთ?

_ არა, რა საზღვარგარეთ?! ეგ, უკან, ჩვენი სახლია. ჰო, კერძო სახლი ვიყიდე, პრესტიჟულ უბანში, როგორც დღეს იციან თქმა.

_ ჰოო? _ გაეღიმა პაპუნას. _ არ მკითხულობს თეონა? _ იკითხა ეჭვიანად მამამ.

_ გკითხულობს, დამშვიდდი. აბოდებს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან უყვარხარ. სანთელს ანთებს შენს სახელზე ყოველ კვირას ეკლესიაში.

პაპუნას მაგრად ესიამოვნა, თითქოს თვალებიც კი გაუნათდა, რაც ნატოს არ გამოეპარა.

_ სწავლობს? ჩემი გათვლით, ოცის უნდა იყოს უკვე.

_ კი, ნოემბერში ხდება. ოცდაოთხშია ხომ დაბადებული. სწავლობს, მეორე კურსზეა, მენეჯმენტის ფაკულტეტზე, "ემეემში". სკოლა ფრიადებზე დაამთავრა, გენაცვალე. უგამოცდოდ ჩაირიცხა.

_ ჩემი ნიჭი აქვს, ეტყობა, _ იხუმრა პაპუნამ.

_ მე უნიჭო ვიყავი, არა? _ გაეცინა ნატოს.

_ ჩემზე უნიჭო იყავი, რა, არა? _ ისეთი სერიოზულობით თქვა პაპუნამ, რომ ნატოს სიცილი აუტყდა. _ კარგი, კარგი... მომისმინე! ელისოს ნახულობ?

_ ელისოს? ძალიან ხშირად! მინდოდა, ჩემთან გადმომეყვანა, მაგრამ არ წამომყვა: _ ამათ ვერ დავტოვებო, _ მოხუცებზე თქვა... _ მკაცრი, საქმიანი იერი მიიღო ნატომ. _ არ იცი, რა ტიპია? მე მგონი, დირექტორი კი არა, ეგ მართავს იქაურობას.

_ მომისმინე, ჯერჯერობით, ვერ გამოვჩნდები, ვერც თეონასთან და ვერც ელისოსთან. თუ რამე ფული მოგივიდეს, არ გაგიკვირდეს...

_ არა, არ მინდა, მე ჩემს სამყოფს თავისუფლად ვშოულობ...

_ გაჩუმდი! ძალიან დამამშვიდე, მადლობა მინდა გითხრა...

_ არ გშია? კარგი ნამცხვარი მაქვს, ხაჭაპური! _ აშკარა იყო, არ უნდოდა პაპუნას გაშვება ნატოს.

_ არა, არ მშია, კარგად იყავი! არავისთან არაფერი წამოგცდეს. მე ჯერ ისევ უცხოეთში ვარ. ან საერთოდ აღარა ვარ! _ ხელები გაშალა პაპუნამ, მიბრუნდა და კარი გაიხურა.

ნატო კი, კიდევ დიდხანს იდგა ასე, გაყუჩებული და ოდნავ თავბრუდახვეულიც.

ლადომ, ნიკას ბიძაშვილმა, რომლის გამოც პაპუნა იძულებული გახდა ისევ ამერიკაში დაბრუნებულიყო, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა და მყარად დასახლდა თავის მამა-პაპეულ მიწაზე. რა მგელიც იყო, ისევ იმ მგლად დარჩა. მას, ზოგიერთებივით, არც ბატკნის ქურქი სჭირდებოდა და არც მელიისა. მგელი ვარ, მგელიო, გაიძახოდა და თავის ნათქვამს ამართლებდა კიდეც.

ეს მგელი, რომელიც, ამასობაში, გამინისტრებულიყო კიდეც, იმ დილას ძალზე მოჟამულ ხასიათზე ადგა. მოჟამულ ხასიათზე კი იმიტომ გახლდათ, რომ მთელი ღამე რაღაც კოშმარები ესიზმრებოდა. რა? საშინელება. ჯერ ის ესიზმრა, თითქოს რომელიღაც მუსლიმური ქვეყნის ფაშა იყო და თავისი ურდოებით საქართველოს მოადგა. ქართველებმა ხარკი შეაძლიეს, "თხუტმეტი წყვილი დარჩეული ქალ-ვაჟი", როგორც ძველად იყო მიღებული. ფაშამაც ქალების გაშიშვლება და მათი გამოყვანა ბრძანა. ბრძანა და უეცრად კედლებიდან, ფანჯრებიდან, ჭერიდან და ყველა მხრიდან უმახინჯესი ქალები შემოცვივდნენ და გაშიშვლებულ ლადოს, რომელიც, რატომღაც უწყლო აუზში ჩაათრიეს, ლოკვა დაუწყეს. ლადოს კი მათი ენები საშინლად სუსხავდა. ყველგან, სადაც კი პირი დააკარეს იმ გონჯებმა, საზიზღარმა მუწუკებმა და წყლულებმა გამოაყარა, რომლებშიც უამრავი მატლი ფუთფუთებდა. უნდოდა ეყვირა, მსხნელი და მშველელი ეხმო, მაგრამ პირს აღებდა, ხმა კი არა და არ ამოსდიოდა. ლადოს ხომ

გამგმირავი, ნამდვილი ბრჭყალებიანი თვალები ჰქონდა. ჰოდა, ერთ-ერთმა ბრტყელსახიანმა, რომელიც ლადოს ზედ გულზე აჯდა და თავის შხამიან ენას სახეზე შოლტივით ულაწუნებდა, მისი თვალის ბრჭყალი ხელზე დაიხვია, მერე უეცრად ამოსწია და ბუდიდან კაკლიანად ამოუგდო. ხარხარებდა, თავის მწკლარტიან ენას პირში უყოფდა და თვალის კაკალს ჰაერში ატრიალებდა. ლადო კი, თითქოს, სწორედ იმ თვალით საფლავებს ხედავდა, საიდანაც დადუმებული მკვდრები ამოდიოდნენ და მისკენ იწვდიდნენ ხელებს. წადით, წადით, გაჰკიოდა ის გონჯი, რომელიც ლადოს გულზე აჯდა და სულს უხუთავდა. თან ხელზე დახვეულ, ლადოს თვალის ბრჭყალს იქნევდა და გვამებს ჰკაწრავდა. გვამები კი მაინც მისკენ იწვდიდნენ ხელებს და ჭუჭყიანი ფრჩხილებით, ხორცებს აგლეჯდნენ. “დედა!” _ იყვირა უეცრად ლადომ და საწოლში წამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. თმა ყალყზე დადგომოდა და ოფლში ცურავდა. გვერდზე მიბრუნდა, ვენერა საწოლში არ დახვდა. მერე გაახსენდა, რომ წინა დღეს მისი ცოლისძმის, ავთოს დაბადების დღე იყო და ვენერა თავისიანებთან დარჩა. ცოტა ხანს ასე გაყუჩებული იჯდა საწოლში, მერე კი, როცა იმის აზრზე მოვიდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო, უკან გადავარდა. ლადოს აქამდეც ენახა ცუდი სიზმრები, მაგრამ ასეთი? არა, ეს რაღაცას უნდა ნიშნავდესო, გაიფიქრა და თვალებზე ხელისგული დაიფარა. თვალები, თავის ბრჭყალებიანად ისევ ბუდეებში ესხდა. მერე ხელი გაიქნია, თითქოს ფიქრის თავიდან მოცილება უნდაო და მასში ისევ მგლურმა ბუნებამ გაიღვიძა. ისიც გადაბრუნდა და ძილის შებრუნება სცადა. ჩაეძინა და ახლა ის ესიზმრა: ვითომც გაშიშვლებული, ხარის რქაზე, საჯდომით უკუღმა წამოეცვათ და ვიღაც ლილიპუტი, რომელსაც ხარისთვის თოკი გამოება, ქალაქში ქუჩა-ქუჩა დაატარებდა. მართალია, ქუჩებში სულიერის ჭაჭანება არ იყო და ქალაქი მკვდარს ჰგავდა, ლადო გრძნობდა, რომ მიხურული დარაბებიდან და ფანჯრებიდან მაინც ათასობით თვალი უმზერდა... ლადოს სინდისი არ ჰქონდა, თუმცა _ ეს როგორ გამიბედესო?! უნდოდა ებღავლა და ხარის რქიდან გადმომხტარიყო, მაგრამ რამდენჯერაც გაიბრძოლა, იმდენჯერ რქა უფრო და უფრო ღრმად ჩაესო და გულ-ღვიძლამდეც კი უწია. და იჯდა ლადოც ხარის რქაზე გაბუსული. იჯდა და ფანჯრებს აკვირდებოდა. უნდოდა, ვინმესთვის მაინც მოეკრა თვალი, ვინც მის შეურაცხყოფას გახარებული უთვალთვალებდა. მაგრამ ვერავინ დალანდა და ისიც, ბედს შეგუებული და დამორჩილებული, ცდილობდა, არ გატოკებულიყო, რომ ხარის რქა უარესად არ შესობოდა. უეცრად ქალაქი გაქრა და ლადო საშინელ, აქოთებულ ტბაში აღმოჩნდა. ხედავდა, რომ იძირებოდა, მაგრამ ხელები ზურგს უკან ჰქონდა გაკოჭილი და თავს ვერაფრით შველოდა. ტბას საზიზღარი ორთქლი ასდიოდა და ლადომ დაინახა, რომ ფეკალური სითხე ზემოთ იწევდა. მერე კი, როცა პირშიც ჩაუვიდა და ბუყბუყი დააწყებინა, როცა, გაიფიქრა, ვიხრჩობიო და ველარ ამოისუნთქა, სწორედ მაშინ გამოეღვიძა.

_ სადა ხარ, ქალო?! რაღაც საშინელი სიზმრები ვნახე, შენ არაფერი გესიზმრა? _ უყვიროდა ცოლს შეშინებული ლადო ყურმილში.

_ კაი, კაცო, რა გული გამიხეთქე, ცუდი სიზმრების მეტი რა მინახავს?! _ უპასუხა ვენერამ. _ მაინც რა ნახე ისეთი, რა დაგესიზმრა?

_ რა და, მძღნერში ვიხრჩობოდი, მძღნერში! _ დაიღრიალა ისევ ლადომ.

_ მერე, მაგას რა სჯობს, რა კარგი სიზმარი გინახავს და შენ კი...

_ რა არის კარგი, რომ ვიხრჩობოდი? _ ვერ მიუხვდა ლადო.

_ ეგ ფულია, ფული! ეგ ფულს ნიშნავს, ეტყობა, დიდ ფულს იშოვი... _ გაისმა გახარებული ვენერას ხმა ყურმილში.

_ ჰოო, კაი, კაი... _ ლადომ ყურმილი დადო. _ ამ ქალებს მარტო ფული ელანდებათ, _ ჩაიბურდღუნა. თუმც გაახსენდა, რომ დიდ ფულს მართლაც ელოდებოდა. უკვე თვეზე

მეტი იყო, მოსახლეობისთვის გაზის გაძვირებაზე ჩალიჩობდა და თუ გამოუვიდოდა, გაზის მომწოდებელი კომპანიებიდან არცთუ ურიგო ფული უნდა რგებოდა. ტელეფონი ლოგინზევე მიაგდო. ადგა, ფეხები "შლოპანცებში" წაყო, საძინებლიდან გამოვიდა და აუზში მოადინა ტყაპანი. ღამის კოშმარები უნდა ჩამოერეცხა და საღამოს დღესასწაულზე ეზრუნა. შინ, ცოლთან ერთად აპირებდა გიორგობის აღნიშვნას. სტუმრებად კი, თავის ახალ გათხოვილ ქალიშვილსა და სიძეს ელოდა. დილით კი, მათთან ერთად, ისეთ წვეულებაზე იყო მიპატიჟებული, სადაც თითო-ოროლას თუ ეღირსება მიწვევა.

აუზიდან ამოსული ლადო ტანს იმშრალებდა, როცა საშინელი გრუხუნი შემოესმა. საათი გაჭიმულ ცხრას უჩვენებდა. გრუხუნი იმდენად შემზარავი იყო, რომ ლადოს ეგონა, მის სახლს მეხი დაეცა. ტრუსი ამოიცვა და დაცვის ბიჭებს მიკროფონში ჩასძახა.

_ რა ხდება, რა გრიალი იყო?

_ არ ვიცით, ბატონო ლადო, ჩვენც გადარეულები ვართ. ცა მოწმენდილია და თითქოს მეხი გავარდაო. ალბათ, რაღაც აფეთქდა. ატომური ბომბის აფეთქებას ჰგავდა...

_ ატომური კი არა... _ ლადომ პულტი აიღო და ტელევიზორი ჩართო. ყველა ტელევიზია ამ გრუხუნზე "ბაზრობდა", ცოდნით კი, რა მოხდა, არავინ იცოდა. ქალაქში არსად არაფერი დანგრეულა. აფეთქების ხმასაც არ ჰგავდა და მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა რა ბუნებრივი, ან ზებუნებრივი მოვლენისთვის მიეწერათ, ვერავინ მიმხვდარიყო. ლადომ ეკრანი ჩააქრო და სასადილო ოთახში ყავის დასალევად გავიდა.

_ დაუკელი, ბიძა, რა, ტო! რა ამბავია, სამოცდაათი ლარი? ინდაურია, ბოლო-ბოლო, მაკე ღორი ხომ არაა, არა? თუ თავის ჭუკებიანად ყიდი, რა უყავი ჭუკები, სად არიან? _ ეკითხებოდა დახეულ ჯინსში "გამოჭედილი" ხახო ინდაურების პატრონს, რომელსაც ბაზარში ვერ შეეღწია და ტომრით ალაყაფის კართან მიჭყლეტილიყო. _ ნახე, ტო, სურიკ, რა პატარაა და _ სამოცდაათიო, _ მიუბრუნდა ის უკან მდგარ მეგობარს და ინდაური გადააწოდა.

_ მაიტა, აქ, მაიტა! არა ვყიდი, აღარა ვყიდი, _ შეეშინდა გლეხს, რომ დაინახა, მისი გაპუტული ინდაური როგორ მიფრინავდა. ტომარას თავი ანება და ხახოს დაეტაკა.

_ რა იყო, ტო, ბიძა, რა დაგემართა, ვყიდულობ. აჰაა, შენ, აი, ორმოცი ლარი, მეტი რა გინდა? _ არ დაანება ხახომ გლეხს ინდაური.

_ არ მინდა, ათასი თუმანიც რო მამცე, არ მინდა! _ გამოსტაცა გლეხმა თავისი ინდაური და თავის ტომარას დაუბრუნდა. _ ძალია? რაც მე ამათთვის სიმინდი მიჭმევია, დამიზდია, დამისუქებია და ორმოც ლარად რა მამივა?! ორმოცად აგე, წიწილასა ჰყიდის, აგე, აგე, ეგ დედაკაცი, ჰო! _ მიუთითა კაცმა იქვე მდგომ ქალზე, რომელსაც ხელში ვარიები ეჭირა.

_ ეს არი, კაცო, წიწილა?! _ შეიცხადა ქალმა. _ ნახე, რა ნაფერდალი აქ, ერბო სდის და წიწილაო, ე!

_ შენც კარგისა ჰყოფილხარ. სიტყვამ მაიტანა და წამამცდა. რა იყო, რა, შენც ხელიდან არა გტაცებდნენ, ერთბაშად! _ არ დაუთმო გლეხმა.

_ ე, ამას უყურეთ. არ დაადგა თვალი ჩემს დედლებს? შენ მაგ შენს მჭლე ინდაურებს მიხედო, გირჩევნია! _ ურჩია ქალმა.

_ ვაიმე! ვაიმეე! _ გლეხი ტომარაში იყურებოდა. _ რა იქნა, გო? ინდაური მაკლია!

_ ინდაური თავი რო გაბია, ეგ მაგიტომ დაგემართა, _ დასცინა ქალმა და ტუჩი აიბზუა. _ ვინ გამოუშვა ეს ქალაქში, ნეტა?!

_ მე რო იქეთ მივტრიალდი, მაშინ ამამაცლიდნენ. დამღუპეს კაცი, დანა გამამისვეს ყელში, დანა! რა ფეხზე წამოველ, მეც რა დამემართა, როგო არ დამარიგა დედაკაცმა და, აჰა, მაინც... გამამჭრეს ყელი, გამამჭრეს!.. _ ჩაჰყურებდა ტომარას გლეხი.

ხახო, სურიკა და ჯაყო კი გზას იკვლევდნენ ხალხში და სხვა დახლებისკენ მიიწევდნენ. ინდაური მოაყუჩეს და ღორის სამწვადეზე ისევ ჯაყო მიუშვეს. ყასბების გაცურება ასე ადვილი არ იყო, მაგრამ იმ აყალმაყალში მათაც მოსდიოდათ შეცდომები. და ჯაყომაც ყველაზე ნაცად ხერხს მიმართა. ნაცადი ხერხი კი ის იყო, რომ ჯერ ხორცს დაუწუნებდნენ, მერე შეკითხვებით ტვინს ამოუღებდნენ, მერე ერთს ააწონინებდნენ და მეორეს დაადებინებდნენ სასწორზე. რომელიმე ანეგდოტს წამოიწყებდა, მეორე _ მასე კი არა, ასეაო... მესამე გაშველებას დაუწყებდა და ბოლოს გამყიდველს ხორცს რომ გამოართმევდნენ, ხურდას სთხოვდნენ და უმტკიცებდნენ _ არ მოგიციაო. ეს ხერხი, ხშირად ამართლებდა და ხორცთან ერთად ფულსაც შოულობდნენ. იმ ფულით მწვანილი და მწნილი ნაღდად მოსდიოდათ და რადგან მეარყე გადამყიდველი ქალები სცნობდნენ, არაყში იძულებული იყვნენ ფული გადაეხადათ. მერე თემქის მეორე მიკრო-რაიონში, ხახოს ფარეხში, სადაც წყალიც ჰქონდათ და პატარა მაგიდაც ედგათ, ისეთ პურმარილს შლიდნენ, მთელი უბნის "ხარახურა" ბიჭები იქ იყრიდნენ თავს.

იმ დღესაც ადრიანად დაიწყეს ყლურწვა. სამწვადე კარგად გარეცხეს, დაჭრეს და ტაფაზე, დენის ქურაზე ააშიშხინეს. ის იყო, პირველი ჭიქა ასწიეს, მიუჭახუნეს, რომ ფარეხის კარში ვიღაც დაბალი ტიპიც გამოჩნდა. თავზე ნაქსოვი ქუდი ეხურა და სამხედრო შარვალსა და "კურტკაში" იყო გამოწყობილი. ხელში კი, რომელიღაც მანქანის დაშლილი "დინამო" ეჭირა. მიესალმა და ხახო იკითხა.

_ აქ მომასწავლეს, ელექტრიკიაო... _ თქვა კაცმა.

_ მაგის მოტანას, ამ ადრიანად, კუპატი ან შემწვარი გოჭი მოგეტანა, გვერჩია... _ უთხრა ხახომ და "დინამო" გამოართვა. _ ე, ეს რა უცნაური რამეა, მანქანა სად არი? _ შეეკითხა ის უცნობს.

_ რავი, ცაში... _ უპასუხა უცნობმა და სუფრას დააშტერდა.

_ ცაში? _ გაუკვირდა ხახოს და ბიჭებს თვალი ჩაუკრა _ ეს, ალბათ, ცოტა ვერ არიო, ანიშნა. _ დაუსხი, ბიჭო! _ უთხრა მან სურიკას და იმანაც არყის ბოთლს მოავლო ხელი.

_ არა, არ გინდათ, მაინც ვერ დავლევ... _ თქვა უცნობმა და პირი დააღო, _ შიგნეული მაინც არა მაქვს. ისე ჩამოვჯდები. მოგისმენთ.

ბიჭებს გაეცინათ. თუმცა ფარეხში რაღაც მღვიმის სიცივე და ხავსის სუნი დადგა. ჩაიჩოჩეს და უცნობიც ჩამოჯდა.

_ რაო, რაო? _ შაყირის ხასიათზე დადგა ხახო. _ შიგნეული არა მაქო? რა უყავი მერე? გადააგდე?

_ გადამაგდებინეს... _ თქვა უცნობმა და ჯაყოს დააკვირდა, _ აი, ამან! ჯაყომ!

_ საიდან იცი ჩემი სახელი, ტო? ვინა ხარ, მიცნობ? _ გაუკვირდა ჯაყოს.

_ მე მკვდარი ვარ, _ ჩაილაპარაკა უცნობმა. _ მკვდრები კი ყველას სცნობენ.

_ დიდი ხანია? _ შეეკითხა ჯაყო და გაიცინა.

_ მკვდრებს დრო არა გვაქვს... _ თქვა უცნობმა. _ ამაში შენც მალე დარწმუნდები.

_ მე? _ მკერდზე თითი მიიდო ჯაყომ.

_ ჰო! _ თქვა უცნობმა.

_ ჯიგარო, შენ რა, ასათიანიდან ხარ გამოპარული?

_ ხომ გითხარი, მკვდარი ვარ-მეთქი. ასათიანზე კი შენ მოხვდები. _ და ხახოს და სურიკას მიუბრუნდა: _ აი, ნახავთ.

_ ე, _ პირი დააღო ჯაყომ, _ ეს რაღაც ძალიან მაგრად უკრავს, ხო იცი... გაგვასწარი, ძმაო, აქედან, აახვიე დროზე, თორემ განედი და გრძედი ჰო გაგიგია, არა? აი, იმ სიგანეს და იმ სიგრძეს შეგტენი, ჩემი დედა!..

_ ჰოო? აი, თქვენი ნახელავი! _ უცნობმა ქუდი მოიძრო და თავი დახარა. თავზე ჩაზნექილი მუშტისხელა ნახვრეტი ჰქონდა, საიდანაც ნათლად მოჩანდა სიცარიელე, იმდენად ნათლად, რომ შეშინებულმა ჯაყომ უკან დაიხია. უცნობმა კი ნახვრეტში მუშტი იდაყვამდე ჩაყო და ხელის მტევანი პირიდან გამოუყო. მერე კი იმ ხელით სამი თითის კომბინაციაც უჩვენა.

ჯაყოს ისე გააცია, როგორც მიქელ-გაბრიელის დანახვაზე მომაკვდავს.

_ ახლა კი წავედი... _ თქვა უცნობმა და გაქრა.

შიშმა, რომელმაც ჯაყო დაზაფრა, იმდენად უსაზღვრო და უშველებელი იყო, ნამდვილად გასწვდებოდა განედებსა და გრძედებსაც.

_ რა ხდება, სიმონ? _ როგორც იქნა ამოღერღა ჯაყომ. _ მკვდარი იყო, ტო, ასიანი. თქვენც დააალივერეთ?

_ რა? _ ვერ მიუხვდნენ ბიჭები.

_ რა და თავში რომ ჩაიყო ხელი და პირიდან ხვიშტი გვიჩვენა.

_ აუ, მორჩი, რა, ესეც იტყვის ხოლმე, რა! _ ხელი აუქნია სურიკამ.

_ არა, ასიანი, ჩემ დედას გეფიცები, ვერც ნახვრეტი დაინახეთ, თავზე რომ ჰქონდა? _ არწმუნებდა ჯაყო.

_ კაი, რა! რას ბლატაობ, ნახვრეტი არა, აეროპლანი! _ გაიცინა ხახომ.

_ აუ, მგონი, ჰალუცინაციები დამეწყო, ჩემი თვალით დავინახე, აი, ამხელა ნახვრეტი რომ ჰქონდა თავზე. მერე კი შიგ ხელი ჩაიყო და პირიდან გამოყო.

_ მგონი, “ზელაია გარიაჩკა” სჭირს... _ ჩაილაპარაკა სურიკამ.

_ იმიტომ, რომ აკრძალული აქვს ამ ჩემისას და მაინც ჭიქაში ძვრება, _ თქვა ხახომ.

_ ვამბობდი, არა, ერთი ეკლესია ავაგოთ-მეთქი და არ დამიჯერეთ, - ჩაილაპარაკა ჯაყომ.

_ ეკლესია კი არა, სახლი არა მაქვს და ის ვერ ამიგია, _ ხელი ჩაიქნია ხახომ.

ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა და ხახომაც უპასუხა.

_ გისმენთ!

_ ხახო, მაგარი კლიენტი გავჩითეთ, სამიათას დოლარზე წამოვიდა, მზად ხართ? _ გაისმა სერგის ხმა ყურმილში.

_ ვინ არის, რომ, ნაღდია? _ შეეკითხა ხახო.

_ ეს კი ნაღდია, პარლამენტარია, მაგრამ, თქვენ ხაართ რო ნაღდები? _ იქით შეეკითხა სერგი.

_ რა მანქანა ჰყავს? _ იკითხა ხახომ.

_ სპორტული კაბრიოლეტი. ორკარიანი “შევროლე", _ უპასუხა სერგიმ.

_ მოსულა! _ თქვა ხახომ დარწმუნებით.

_ კაი, შევუთანხმდები დროის თაობაზე და დაგირეკავ... _ უპასუხა სერგიმ.

ხახომ ტელეფონი გამორთო და ბიჭებს მიუბრუნდა.

_ სამი ათასი დოლარია გასაჩითი. არი შანსი?

_ ისევ მამიდაჩემი უნდა დავატერორროთ, _ თქვა ჩაფიქრებულმა სურიკამ.

_ გაგიჟდება, _ თქვა ჯაყომ. _ წავალთ-წამოვალთ და მაგ ქალს უნდა მივახტეთ... ვალი რომ გაქვს?

_ რა ვალი მაქვს, ტო, რაღაც პროცენტები მაქვს ორასი დოლარი მისატანი. ხუთზე თუ არა, ათ პროცენტზე ნაღდად წამოვა.

_ მაშინ გავარდი და დაგელოდებით, _ უთხრა ჯაყომ და იმ ტიპის დატოვებულ "დინამოს" დააცქერდა. _ ე, ეს ნახეთ, ტო? არსად "ვინტი" არა აქვს... როგორ უნდა გახსნას კაცმა? _ მოკიდა ხელი და ძვრაც ვერ უყო. _ ვა, რა მძიმეა, სიმონ, ეს რა არი?

_ აუ, ამან თუ ყველაფერი არ გააშარჟა... ჯერ ნაჩვრეტიო, ახლა... ისე, მართლაც ერთ ყალიბშია ჩამოსხმული, ხო იცი... _ ხელი მოკიდა "დინამოს" ხახომ. _ ე, მიალურსმა იმ ჩემისამ? _ გაუკვირდა მასაც, რადგან ვერც მან აიღო ხელში მანქანის ნაწილი. _ ეჰეე!

_ ო, მორჩით, რა! ვისთვისაც გიყლაპებიათ, იმას აყლაპეთ, _ ფეხით სცადა ნაწილის შეტოკება სურიკამ, მაგრამ რომ ვერ გაატოკა ვერაფრით, მერე ხელითაც წაეპოტინა. _ არაა! ე, იქნებ მართალსაც ამბობდა, ტო, ცაში მყავს მანქანა დატოვებულიო, რო თქვა...

_ გეფიცებით, რა! ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩაიყო თავში ხელი. არც ახლა დამიჯერებთ? _ ჯაყომ "მანტიროვკას" წამოავლო ხელი და დინამოს გადაბრუნება ახლა იმით სცადა.

_ მოდი, რა, მოვხიოთ აქედან. ბომბა არ იყოს, ტო, არ აფეთქდეს, _ გამოიტანა დასკვნა სურიკამ.

_ აუ, შენ რა ყველაფერზე იფსამ, კიდევ. ბომბა არა, დინოზავრი... _ გაიცინა ხახომ.

_ ავახვიოთ, ამის დედაც!.. მაინც მაყუთი გვაქვს მოსატანი... _ თქვა ჯაყომ და წამოდგა.

ან როგორ უნდა მიხვედრილიყო, ეს სამი მკვლელი, რომელთა ცხოვრების ეპიზოდებსაც ამდენ ადგილს ვუთმობ და გიხატავთ, ვინ იყო მათი სტუმარი? როგორ ვთქვა, გამიჭირდა კიდეც. დღევანდელი მკვლელი ხომ არაფრით ჰგავს, თუნდაც ერთი საუკუნის წინანდელ მკვლელს? მოკლა, გადაალაჯა და აღარც ახსოვს... სული, სინდისი და მორალი ხომ აბსოლუტურად უცხო ცნებებია მისთვის... რატომ? წიგნი კინომ შეცვალა. მკვლელი კი, თანამედროვე კინოხელოვნების მიერ გმირის რანგშია აყვანილი. მიმიხვდით, ხომ? დიახ, სტუმარი ბესოს (ნიკას ანუ იგივე პაპუნას მკვდარი მეგობრის) აჩრდილია, ის კიდევ ბევრჯერ მოგვევლინება, თუმცა რა სახის გამოცანებს შემოგვთავაზებს, ჯერ მეც არ ვიცი...

პაპუნა, რომელსაც ახლობლების ასეთმა განადგურებამ გული მთლად ქვად უქცია, პირველ ადგილზე მაინც თავის მისიას აყენებდა და, სენტიმენტებისთვის მერეც მოვიცლიო, _ ფიქრობდა. ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ საკუთარი თავისთვის მიეხედა და კახას მიადგა.

_ მთელი ბლოკი მინდა, ამერიკულია ეგ "ქემელი"? _ უთხრა მან და დახლს იქით მდგარ კახას, რომელსაც თავისი სარდაფისთვის კარი გამოეჭრა და პატარა წვრილმანი საქონლის მაღაზიად ექცია, ასდოლარიანი მიაწოდა.

კახამ ჯერ ასდოლარიანს დახედა, მერე, რადგან მისი დახურდავება არ შეეძლო, ვინ მომაწოდაო? _ დაინტერესდა, ფულის პატრონს მიუბრუნდა და ნიკა არ შერჩა ხელში?!.

_ ნიკა? _ თვალებს არ უჯერებდა კახა. _ შენ გარეთა ხარ, ბიჭო? მე ციხეში მგონიხარ, გაგითავდა "სროკი"?

_ ციხეში შენა ხარ... _ და პაპუნამ კახას მის სარდაფ-მაღაზიაზე მიანიშნა.

_ აუ, რა გამისწორდა! _ და კახამ ისე გულიანად ჩაბღუჯა პაპუნა, რომ მას კინაღამ ცრემლი მოადგა თვალზე. _ ციხიდან გამოსულს არ ჰგავხარ.

_ რა ციხე?! მე ერთი თვეც არ ვმჯდარვარ... ნიკა აღარ დამიძახო, ჯერჯერობით, პაპუნა მქვია, პაპუნა ილურიძე.

კახამ მაშინვე მიკეტა თავისი მაღაზიად გადაქცეული სარდაფი და პაპუნას იქვე მდებარე სახინკლეში შეუძღვა.

_ გინდა, დიდი ფული გაშოვნინო? _ შეეკითხა პაპუნა კახას, როგორც კი ერთი-ორი ჭიქა არაყი გადაჰკრეს და პაპუნამ ორიოდ სიტყვით საკუთარი ამბების მოყოლაც მოასწრო.

_ მინდა?!. ძალიან მინდა! _ სკამზე გასწორდა კახა. _ როგორ?

_ ჩემი საქმე უნდა გამოითხოვო და ხელახალ ძიებაში დააბრუნო.

_ და გასამართლებელი განაჩენი გამოვატანინო?.. მერე, რომელი იურისტი მე მნახე?!

_ მაგას იურისტობა არ სჭირდება.

_ ჰო, ფული სჭირდება, ბლომად, _ და კახა პაპუნას მიაჩერდა, აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა მის მეგობარს იმდენი ფული, რამდენიც ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა.

_ ფულს მოგცემ. არ დაინანო, _ უთხრა პაპუნამ და კახა მიხვდა, რომ მის მეგობარს დიდი ფული ჰქონდა. _ შენ შენსას მიიღებ. მანამდე კი, მე არ ვარსებობ... მოკლედ, წარმოდგენა არ გაქვს, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი.....

_ მესმის, _ თქვა კახამ და ისევ გასწორდა სკამზე.

_ მაშინ, წადი! _ უთხრა პაპუნამ და კახა მიხვდა, რომ მის მეგობარს ამ საქმის მომთავრება მაგრად ეჩქარებოდა. სინანულით შეხედა ნახევრად ჩამოცლილ ბოთლს და წამოდგა.

_ მე გადავიხდი. აბა, შენ იცი! _ პაპუნა წამოდგა და კახას ხელი გაუწოდა. მერე ჯიბიდან სასტუმროს "ვიზიტკა" ამოიღო და მისცა. _ თუ დაგჭირდე, აი, აქ მომაკითხავ. ჰო, ისედაც _ არ დამეკარგო, თორემ შეიძლება, მოწყენილობისგან ავყმუვლდე...

კახამ საქმიანი კაცივით ჩამოართვა ხელი. მიხვდა _ თუ ამ საქმეს "მოახრჩობდა", მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყებოდა... გარეთ გამოვიდა და "კურტკა" ჩაიცვა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ასდოლარიანი მოხვდა. შევბრუნდეო? _ ერთი კი გაივლო გონებაში, მაგრამ გადაიფიქრა და დასახურდავებლად, სავალუტო სალაროს მიადგა. მერე ტაქსი გააჩერა და ცოლის ახლობელთან, ქალბატონ თამარასთან "ააჭრა". ქალბატონი თამარა ძველი ადვოკატი გახლდათ, რომელიც სადგურის ქუჩაზე, ახლა რომ თამარ მეფის გამზირი ჰქვია, ერთ-ერთ ძველ სახლში, თავის შინაბერა ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა.

თამარა პირველსავე სიტყვებზე მიხვდა, რომ საქმეს "მწვანეების" სუნი ასდიოდა და _ ჩათვალე, რომ ეგ საქმე გამოსულიაო, _ უთხრა კახას. მაშინვე წამოდგა, თავისი გაქუცული, შავი "ნორკის" ქურქი გადაიცვა. პატარა, ორკარიანი "მიცუბიში" დაქოქა, კახა ჩაისვა და საბურთალოს სასამართლოში, ბუხარის გარშემო მიმსხდარ, არქივის გოგოებს დაადგა.

ყავისფერ ყდას, რომელიც გოგოებმა მოუძებნეს და მაგიდაზე დაუდეს, თამარამ სული შეუბერა და მტვერი გადაფერთხა. კახა გვერდით ეჯდა და თამარას მოქმედებას აკვირდებოდა. გაეცნო თუ არა საქმეს ძველი ადვოკატი, რა თქმა უნდა, დარწმუნდა, რომ ის შეთითხნილი იყო. თუმცა ამდენი ხნის შემდეგ ამ საქმის დაძვრა, არც ისე იოლი იქნებოდა და ქალმა, სასამართლოდან გამოვიდნენ თუ არა, კახას შემდეგი მოახსენა:

_ იცი, რა, კახა? თუ მაგ შენს მეგობარს ბევრი ფული აქვს, ჯობს, პირდაპირ სათავიდან დავიწყოთ, თორემ თუ გამომძიებელს მივახტით და აქაურ პროკურორს, ჯერ ერთი, იქნებ, არც ნაკლები დაჯდეს და თანაც, შეეშინდეთ კიდეც და გაგვიჯანჯლონ. ამიტომ ჯობს, პირდაპირ უზენაესში წავიდეთ და იქიდან ჩამოვყვეთ ქვემოთ. მაგრამ ასე რომ მოვიქცეთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, არა, რა თანხის პატრონები ვართ?..

_ არა, _ თქვა კახამ, _ ჯერ გავიგოთ, რამდენია საჭირო.

_ ქვემოთ თუ ზემოთ? _ შეეკითხა თამარა.

_ ზემოთ. ფული არ დაგენანოსო, მითხრა.

თამარამ ხმამაღლა ფიქრი დაიწყო:

_ ზაქარაია ზურაბი, მთლად ლაწირაკია, ვინ გამოვუძებნოთ?.. ვა-ბანკზე რომ წავიდეთ? _ მიუბრუნდა ის კახას.

_ ეგ რას ნიშნავს?

_ ფულში ხომ არ ჩავიჭრებით?

_ არ არსებობს! _ დარწმუნებით თქვა კახამ.

_ მაშინ მივალ, საქმეს დავუდებ და ვკითხავ, რამდენში გამოვალთ. იმაშიც დავარწმუნებ, რომ წაუგებელია ეს საქმე!

_ უარესი არ ვქნათ, _ შეშინდა, რატომღაც, კახა.

_ არა, დამიჯერე, შუამავლები არც მას აწყობს და არც ჩვენ. დაიბარებს ამ გაიძვერებს, ამ გამომძიებელს და მოსამართლეს, დაუბრახუნებს მუშტს მაგიდაზე და ამით დამთავრდება. მაინც, არც ერთი აღარ ზის თავის ადგილზე. დამიჯერე, ასე აჯობებს.

_ გენდობი! _ უთხრა კახამ.

_ ხვალ საღამოს პასუხი მეცოდინება.

ასე დაცილდნენ.

პაპუნა ორ ფრონტზე აპირებდა ბრძოლას: იმ ჩინოვნიკების წინააღმდეგ, ვინც იძულებული გახადა, სამშობლოდან გადახვეწილიყო და აგრეთვე, _ ბესოს მკვლელისა და დამკვეთის ვინაობაც უნდა გაეგო. გრძნობდა, რომ ეს ორი ხაზი ერთმანეთს კვეთდა და ბოლოს, მაინც თავის გაქსუებულ ბიძაშვილთან, ლადოსთან მიიყვანდა. თუმცა, მანამდე ლადოს ოჯახურ ტრაგედიას უნდა შევეხოთ, რომლის ქალიშვილი, დალილა, თავისი მუცლით ისეთ საიდუმლოს დაატარებდა, ჯერჯერობით, დალილას მეტმა, რომ არვინ იცოდა. არადა, სულ ერთი თვის გათხოვილი იყო, მუცელი კი უკვე მაგრად დატყობოდა. ქმარი კი, რომელიც მუდამ თავისი სპირტის ცისტერნების ბიზნესზე ფიქრობდა და სხვა არაფერი ახსოვდა, ვერაფერს ამჩნევდა...

იმ დილასაც, როგორც ყოველთვის, პირველად, დალილამ გაიღვიძა. გაიღვიძა თუ არა, ჯერ თავის მუცელს დახედა და, თითქოს ნემსი ეჩხვლიტოთ, _ აუ, რა სწრაფად იზრდებაო! _ გაიფიქრა. მერე კი თავის ლოქო ქმარს გადახედა. დათოს პირი დაეღო და ტკბილად ხვრინავდა, ხორხით თითქოს რაღაც მელოდიას აჩუხჩუხებდა, რომლის ნოტები, მის გარდა, არავინ იცოდა. ხვრინავდა და ცოლის მუცლის გაზრდა-გაფართოების შესახებ არაფერი უწყოდა...

ჯობს, ტუალეტი, კბილები, თვალები, საღებავები, თმები და სარკესთან ტრიალი გამოვტოვოთ და პირდაპირ საუზმის გაწყობილ სუფრასთან გადავინაცვლოთ. ცოლ-ქმარს ყავა უკვე მიერთმიათ და ახლა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ, ჭიქაში იხედებოდნენ.

_ ვირთხა გყავს, იცი? რას უნდა ნიშნავდეს ვირთხა? _ შეეკითხა დათო დალილას და თავისი მსუქანა სალოკი თითით ყავის ჭიქაში ამოსულ ვირთხაზე მიანიშნა.

დალილას, რადგან ამ ბოლო დროს ყველაფერს, თავის გამობერილ მუცელს უკავშირებდა, ვირთხისა მაგრად შეეშინდა.

_ აი, ნახე, ამ დიდ ვირთხას პატარა ვირთხუნებიც ჰყავს. რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავ? _ ჰკითხა დათომ ცოლს და პირიდან ზეთისხილის კურკა გადმოაგდო.

_ ვირთხებს ოქრო ჰყვარებიათ, თუ იპოვეს, სოროში ეზიდებიან თურმე... _ გამოიტანა ვირთხის თაობაზე საკუთარი დასკვნა დალილამ.

_ შეხვედრა გაქვს ვიღაც კაცთან. აი ნახე: ეს შენა ხარ, ეს კიდევ, ვიღაც ტიპია, მე არ უნდა ვიყო, ვიღაც სხვაა. იცი, ვის ჰგავს? მსახიობი როა, “მხიარულ შოუში”, რომან მოდებაძე... ჰო, ჰგავს, არა? ნახე, ნახე!

დალილას ჯერ კი შეეშინდა, ვიღაც ტიპი რომ უხსენა ქმარმა, მაგრამ მსახიობს რომ მიამსგავსა, გადაუარა.

_ აუ, ეგ ტიპი არ მევასება, რა! საშინელი უნიჭოა. რაღა მაგას მიამსგავსე?! _ ვითომ უსაყვედურა ქმარს. _ კაი, მერე?

_ ვა, ეს მე მგონი, ცეცხლი უნდა იყოს... _ განაგრძო მკითხაობა დათომ. _ ღვთის ცეცხლი არ იყოს, ტო!

_ მოიცა, რა! ღვთის ცეცხლი, არა _ ბატიბუტი!.. _ მოღიავებული ძუძუ მოისრისა დალილამ.

_ ბატიბუტი ფულს ნიშნავს, მაგრამ ჭიქაში ვერ ვხედავ... მართლა, რა ვაკეთოთ, არ გავიდეთ?

_ მე _ ჩემთვის, შენ _ შენთვის. ერთად ხომ არ წავალთ?! _ გაიკვირვა დალილამ.

_ რატომ? _ ვერ მიუხვდა დათო.

_ როგორ, სიურპრიზები არ გავუკეთოთ ერთმანეთს? _ თავისთვის კი გაიფიქრა: აუ, რა სიურპრიზს ვუმზადებ, რომ იცოდეს, ხომ მომკლავდაო!..

_ მაშინ, მე ჩემს "კარეტას" გამოვიძახებ და წავალ, _ თქვა დათომ და მობილური აიღო.

დალილა კი, ცოტა ხანში ბაჩის მკლავებში ფართხალებდა და ტუჩებს უკოცნიდა.

_ რა ვქნა, ბაჩი, მითხარი, როგორ მოვიქცე?

_ უნდა გასცილდე, სხვა რა?! _ იქით ჰკითხა ბაჩიმ.

_ გასცილდე... თქმა ადვილია, ხომ მომკლა მამაჩემმა! _ ჩაიბურტყუნა დალილამ.

_ მე ჯერ არ გამიგია, რომ ვინმეს, ქმართან გაყრის გამო, შვილი მოეკლას, შენ?

_ ჰოდა, მამაჩემი პირველი იქნება, _ მტკიცედ თქვა დალილამ.

_ კაი, რა, მორჩი, რა!@ _ ხმას აუწია ბაჩიმ. _ სადისტია, შვილი მოკლას?..

_ აუ, უარესია, შენ არ იცნობ. მონსტრია, ნამდვილი ურჩხული!

_ აუ, რაებს ამბობს მამაზე, გავგიჟდი!.. _ შუბლზე მიირტყა ხელი ბაჩიმ. _ გამოდის, რომ თუ ეს ამბავი "გასკდა", მეც "ტრუპი" ვარ?

_ ალბათ, _ ჩურჩულით თქვა დალილამ, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგონოსო.

_ რას მაძლევდი, მერე, ტო?! არ გადამრიო!.. _ გაბრაზდა ბაჩი. ფეხის ტერფის ცერა თითით ტრუსი მოძებნა და ამოიცვა. _ არ გაწუხებდა, სანამ მაგხელა გახდებოდა? როგორ ვერ მიხვდი, რომ ორსულად იყავი?

_ მოიცა, რა! ნუ იცვამ, საშინლად მომინდა... _ ლოყა ლოყაზე აუსვა ბაჩის დალილამ და რამდენიმე მოკლე კოცნით ეროტიკისკენ უბიძგა.

ქალს ღაწვები ატმისფრად უღვიოდა, თვალები მიბნედოდა და რაღაც სექსუალურ ვნებიან ყვავილს დამსგავსებოდა. ბაჩიმ იგრძნო, როგორ ნიაღვრებივით მიასკდა სისხლი მის სასქესო ორგანოს და ისეთი გახელებით დააკვდა ქალის ძუძუებს, როგორც მთელი წლის ნაშიმშილები მგლის ლეკვი... ბაჩი მთელი ძალით აწვებოდა, თითქოს სურდა, მუცელი მოეშალაო, ქალს კი მისი ვნება გადასდებოდა და _ კიდევ, კიდევო!.. _ ლოკავდა, კოცნიდა და აქეზებდა...

_ რა საინტერესოა, არა? ნეტავ, რამდენი წყვილი ჟიმაობს მთელ დედამიწაზე ერთდროულად? _ იკითხა ბაჩიმ, როცა მორჩნენ და სიგარეტს მოუკიდა.

_ ...დედას რომ ვუთხრა? _ კაცისგან განსხვავებით, სულ სხვა რამ აინტერესებდა ქალს.

_ დედიკოები, მამიკოები... როდემდე უნდა ვიყოთ ქართველები პირველყოფილი ხალხების დონეზე?!

_ იცი, ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ მალე უნდა მოვკვდე.

_ და ვინ მოგკლავს, მამაშენი? _ იხუმრა ბაჩიმ.

_ აუ, ერთი შენ გეჯდეს უკანონო შვილი მუცელში და ჩემნაირი მამა გყავდეს, გნახავდი, როგორ იხუმრებდი.

_ შენ მგონი, მამაშენის უფრო გეშინია, ვიდრე შენი ქმრის.

_ ქმრის სულ არ მეშინია, ქმარი სულ ცალ ფეხზე მკიდია.

_ მაშინ შენ უნდა დაასწრო, შენ უნდა მოკლა მამაშენი: ყურში მარილი და _ "პრაშჩაი ლუბიმიი გოროდ"...

_ აუ, რომ შემეძლოს!.. მართლა გავაგორებდი, გეფიცები!

_ ეჰეე, მე ვშაყირობ და ეს!.. _ გულწრფელად გაიოცა ბაჩიმ.

იმ ულაყებიდან, რომლებიც დათოს უჩვენეს, მან ყველაზე პატარა ამოარჩია, მაგრამ ისეთი ფასი "მოუხიეს", მასაც კი გაუკვირდა:

_ თქვენ მე ციდან ჩამოფრენილი ხომ არ გგონივართ! რა ორმოცდაათი ათასი?! გადავფრინდები ზაპოროჟიეში და ათი ათასად ათჯერ უკეთესს ჩამოვიყვან.

_ გადაფრინდი... _ უპასუხა ჟოკეიმ, რომელსაც კეფაზე თმა "გაებანტა" და სომხური, კეხიანი ცხვირი ჰქონდა.

_ ეს? _ იკითხა მარჯვენა საჯინიბეში მოჭიხვინე, დიდთავიან ნაცრისფერ ულაყზე დათომ.

_ მაგას ოცდაათი უნდა, _ უპასუხა ჟოკეიმ.

_ სულ დაგიჟებულხართ! _ ისევ გაიოცა დათომ.

_ რატომ?.. _ არ დაუთმო ჟოკეიმ. _ დღეს უკვე სამი ცხენი გაიყიდა დილიდან.

_ სამი ცხენი _ არა!.. _ ყურს არ დაუჯერა დათომ.

_ რა? აგე, მარსელა. გაიყიდა ოცდახუთი ათასად? გაიყიდა! მზიურა _ ოცად. გაიყიდა? გაიყიდა. ამაზე კიდევ, აი, ობოლაზე, ამის დედა მშობიარობას გადაჰყვა. ნახე, რა მკერდი აქვს!.. პასუხს ველოდებით, ოცდაათს ერთ ცენტსაც არ უკლებს პატრონი. იცი, ვისია? ბესოშვილის.

_ ჰო, ის ისეთი "ჟმოტია", არც დააკლებს, _ დაეთანხმა დათო.

_ ვა, უყვართ საყვარლები ამ ხალხს და რა ქნან? _ ხელები გაშალა ჟოკეიმ. _ თქვენ ვის უნდა აჩუქოთ?

_ ცოლს, _ კბილებში გამოსცრა დათომ.

_ რა დრო დადგა! ჩემს მეზობელს, მინისტრის მოადგილე როა, ნუგზარ შათირიშვილი, დაბადების დღეზე ჩოკინა მიუყვანა თანაკურსელმა, _ გაიცინა ჟოკეიმ.

_ მერე? _ შეეკითხა დათო.

_ ორივე გამოყარა, მაგრად ეწყინაო.

_ იუმორის გრძნობა არ ჰქონია.

_ რა შუაშია იუმორი? შენ ხომ არ გაგიჟდი?! სად წავიყვანო, მეშვიდე სართულზე, ვირთან ერთად, როგორ ვიცხოვროო?..

_ მოიცა, მოიცა, ჩოკინაზე გამახსენდა, კვიცი რომ მეყიდა? _ შეეკითხა დათო.

_ კვიცებიც გვყავს, მაგრამ რამდენში აპირებ?

_ თუნდაც ათში, კვიცს გააჩნია.

_ მომისმინე, გინდა, მაგარი ვარიანტი გიკარნახო? _ გამოცოცხლდა უცბად ჟოკეი.

_ რა ვარიანტი?

_ რა და, ორ თვეში გამოიარე და შენ თვალწინ დავამაკებინებთ, რომელ ცხენზედაც ხელს დაგვიდებ. მოსულა?

_ მერე, ცოლს რა ვუთხრა _ შენი საჩუქარი, ორ თვეში რომ დავამაკებ და ცხრაში რომ გამოძვრება, ის არის-მეთქი?!. წამო, წამო, მანახე კვიცები.

_ სულ ორი კვიცი გვყავს და გაყიდიან თუ არა, ეგეც არ ვიცი...

იმ ორს შორის, დათოს შავი, თეთრგულა კვიცი მოეწონა.

_ იცი, ვისია? _ შეეკითხა ჟოკეი. _ შოთა გოგოჭურის, გენერალი რომ იყო, ვაკის სასაფლაოსთან იარაღის მაღაზია რომ გახსნა. გიჟდება ამ კვიცზე. არა მგონია, გაყიდოს. აი, ამწუთას დავურეკავ.

ჟოკეიმ მობილური დააძრო, ნომერი მოძებმა და ზარი გაუშვა.

_ შოთა ბრძანდებით? შოთა ბატონო, ნური ვარ, ჟოკეი. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, შობას... გმადლობთ, გმადლობთ... შოთა ბატონო, საყვარელოს კლიენტი გვყავს, თქვენი კვიცის, ხომ არ გაყიდდაო, აინტერესებს... ჰოო? ახლავე ვკითხავ... ათი ათასი დოლარი მომცეს და ვაჩუქებო, _ მიუბრუნდა ჟოკეი დათოს.

_ ათი ათასი თუ მივეცი, ეგ რაღა ჩუქებაა?! მოვიფიქრებ-თქო, უთხარი, _ უპასუხა დათომ.

ჟოკეიმ შოთა გოგოჭურს დათოს ნათქვამი გადასცა, დაემშვიდობა და მობილური გათიშა.

_ არ მეგონა, თუ ასეთ დაბალ თანხაზე წამოვიდოდა... _ გაუგორა მან დათოს.

_ ათი ათასი დაბალი თანხაა? _ დაეჭვდა დათო.

_ ამის მამას... _ ხელი შეუყო კვიცს ფაფარში ნურიმ. _ ტოკიოს დერბი აქვს მოგებული. ე, როგორ გეკადრებათ?!

_ კაი, ჩემია. დღესვე გადავურიცხავ, _ გადაწყვიტა დათომ და კვიცს ლამაზ თვალებში ჩახედა. _ საყვარელო? _ და შუბლზე აკოცა. აკოცა და, მოეჩვენა თუ მართლა ასე იყო, _ თითქოს კვიცმა თვალი ჩაუკრა.

სწორედ ამ დროს დალილამაც აკოცა, მაგრამ _ არა კვიცს და არა შუბლზე, როგორც დათომ, არამედ ბაჩის _ პირდაპირ ტუჩებში. სიტყვად კი, მანაც ქმარივით _ საყვარელოო, _ დააყოლა და კიბეზე დაეშვა. ჯერაც არ გადაეწყვიტა, ქმრისთვის რა ეყიდა. ოქროს ჯვარს ვუყიდიო, თავისი "ცეპით", _ მაგრამ სწრაფადვე ამოიგდო თავიდან: ვღალატობ, სადაცაა, ჩემი ამბავი "გასკდება" და ღმერთი როგორღა ჩავრიიო?! _ გაიფიქრა. მოდი, გავისეირნებ, შევივლი მაღაზიებში და იქნებ, სულაც "ანტიკვარებში" წავაწყდე რაიმესო, _ გადაწყვიტა ბოლოს.

კახამ პაპუნას იმ საღამოსვე მიაკითხა. სასტუმროს ჰოლმაც გააოცა და ნომერმაც...

_ გარედან არაფერი ეტყობა და შიგნით მაიამიზე ეგონება კაცს თავი, _ აღტაცება ვერ დაფარა კახამ.

_ რა ქენი? _ პაპუნას, კახას დასკვნები არ აინტერესებდა.

_ ხვალ საღამოს მეცოდინება ყველაფერი, _ უპასუხა კახამ.

_ მაშინ, წავიდეთ! _ თქვა პაპუნამ და პალტოს წამოავლო ხელი.

_ სად მივდივართ? _ იკითხა კახამ.

_ შენ რა, საქმე გაქვს რამე? _ ჰკითხა პაპუნამ.

_ საქმე კი არა... _ ჩაიბურდღუნა კახამ.

_ რა იყო, "მაზოლზე" დაგადგი ფეხი?.. _ გაეცინა ნიკას.

_ ჰო, _ თქვა კახამ.

_ მაპატიე, _ მოუბოდიშა პაპუნამ.

_ აუ, ვინც კი უცხოეთიდან ბრუნდება, იმდენ ბოდიშს და მადლობას იხდის, თითქოს იქ მეტს არაფერს ასწავლიდნენ... _ გაიცინა კახამ.

_ მაგაში ცუდი არაფერია, _ თქვა პაპუნამ და ტაქსის კარი გამოაღო.

_ სად მივდივართ? _ იკითხა "მერსედესის" უკანა სავარძელზე გადაწოლილმა კახამ.

_ რესტორანში, _ უპასუხა პაპუნამ.

კახა გაჩუმდა და ფანჯარაში დაიწყო ყურება. მანქანა დიღმის ტრასაზე გავიდა და მცხეთის გზას გაუყვა. როცა ხიდზე გადავიდნენ და მცხეთას გაუსწორდნენ, მძღოლმა იკითხა:

_ რომელ რესტორანთან უნდა მიგიყვანოთ?

_ "ყაყაჩო" ერქვა, როგორც მახსოვს, _ ჩაილაპარაკა პაპუნამ.

_ ეგ ხომ აიღეს!.. რა ხანია... _ განმარტა მძღოლმა. _ იმის ადგილზე სამჯერ დიდი წამოჭიმეს და "შენ დაუკა" დაარქვეს.

_ "შენ დაუკა" რა ჯანდაბაღაა! _ ჯერ ძველის აღება ეწყინა პაპუნას, შემდეგ _ ახლისთვის ასეთი სახელის დარქმევა.

_ წალეკა სოფელმა!.. _ აღარ დაამთავრა კახამ.

_ მოვედით, _ თქვა მძღოლმა. პაპუნა და კახა გადავიდნენ. მათ ორსართულიანი, გრძელი აგურისფერი შენობა შემოჰყურებდათ. თავზე ქართული ხელნაწერი ასოებით ეწერა: "შენ დაუკა!"

ციოდა. შევიდნენ. დარბაზი თითქმის სავსე იყო და თავისებურ ქართულ ხმაზე გუგუნებდა. პაპუნამ მტკვრის მხარეს, ფანჯარასთან დაჯდომა მოისურვა. ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. აღარც საცეკვაო მოედანი იყო გადაკიდებული მტკვარზე.

_ ადრე აქ წყალზე საცეკვაო მოედანი იყო, _ უთხრა მან კახას.

_ ალბათ, ვინმე გატრეტილი მთვრალი გადავარდა და დაიხრჩო... _ ჩაილაპარაკა კახამ.

პაპუნას თვალწინ წარმოუდგა, როგორ ცეკვავდნენ ის და თათიკო ოდესღაც, იმ, წყალზე გადაკიდებულ ხის მოედანზე და კახას მიუბრუნდა:

_ მურაზ ლეშკაშელი გახსოვს?

_ კი, როგორ არა!

_ მის ქალიშვილს იცნობდი?

_ არა, საიდან?! მაგან ხომ კაცი მოაკვლევინა, შენ რა, არ იცოდი?

_ დარწმუნებული ხარ? _ თვალებში მიაჩერდა პაპუნა კახას.

_ რა ვიცი, აბრალებდნენ და მაგრადაც აწვებოდა მთელი ქალაქი. მაგათ დღე დამართეს!..

_ რა დამართეს? _ იცოდა, მაგრამ მაინც იკითხა პაპუნამ.

_ ყველაფერი გადაუწვეს, გაუოხრეს, წაართვეს, რაც კი რამე ჰქონდათ. ისიც თქვეს _ დახოცესო...

_ არა მგონია, _ თავი გააქნია პაპუნამ.

_ რა საერთო გქონდა შენ მაგათთან? _ დაინტერესდა კახა.

_ მიყვარდა თათიკო... ჰო, რა ვიცი, შემიყვარდა ბოლოს... _ ღრმა ნაფაზი დაარტყა პაპუნამ.

_ მოგცლია შენც, ერთი... ქართველი ქალის შეყვარება?! დღეს კიდევ?! გაგიჟდი?!! _ გაიკვირვა კახამ.

_ რა-ა?.. აბა, რა გითხრა, მაინც არაფერი ჩაგივა თავში... _ ეწყინა პაპუნას.

_ ჰო, არა მწამს...

_ ვერ ვიპოვი, ვითომ? _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა პაპუნამ.

_ თუ ცოცხალია, კი. ერთ რუსულ არხზე, სამამულო ომში დაკარგული და გადახვეწილი და-ძმა პოულობს ყოველდღე ერთმანეთს... კაი, რა, ვინ დაგაცდის, ბიჭო?! სანამ იმას იპოვი, შენი ამბავი რომ ვიცი, ერთ დუჟინ ქალს შეიყვარ-გადაიყვარებ, ალბათ!..

მაგიდას ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა და მენიუ დადო.

_ შეუკვეთე, რა, _ თხოვა პაპუნამ კახას.

კახამ მენიუ გადაშალა.

_ რა შევუკვეთო?

_ რაც გაგიხარდება, ყველაფერი!

კახა მიხვდა, რომ შეკითხვებით თავს მოაბეზრებდა ნიკას და ოფიციანტს სთხოვა, სამი წუთი მაცალეო. ისიც გაერიდა მათ მაგიდას. კახა მენიუს ისე ჩაუღრმავდა, რომ პაპუნას გაეღიმა...

_ ასე! _ თქვა კახამ და ოფიციანტი იხმო. ყველა დელიკატესი, რომელიც კი შეუკვეთა, რესტორნის სამზარეულოს აღმოაჩნდა და კახამ თვითკმაყოფილმა შენიშნა: _ მაგრად მოგვირტყამს, ხო იცი... ზოგჯერ მენიუში უწერიათ, მაგრამ არაფერი აქვთ... _ და ისევ ოფიციანტს მიუბრუნდა: _ რომელი ღვინო ავიღოთ? რომელი გაქვთ სუფთა?

_ კარგ ღვინოს გულისხმობთ? _ შეეკითხა გოგონა.

_ ჰო, აბა!

_ რა ვიცი, ყველა "კახურს" სვამს, ჩამოსასხმელს. დაბეჭდილს იმას ამჯობინებენ. გლეხურია. მოგიტანოთ?

_ მოსულა, _ უპასუხა კახამ და პაპუნას მიუბრუნდა: _ ვცადოთ და თუ არ მოგვეწონა, სხვას მოვატანინებთ.

_ რამდენი? _ იკითხა გოგონამ.

_ ჯერ ერთი ბოთლი და მერე ვნახოთ, _ უპასუხა კახამ.

გოგონა შეკვეთის მოსატანად წავიდა.

_ ვინ მოკლა ჩემი ძმა, დაიჭირეს? _ იკითხა პაპუნამ.

_ მართლა არ იცი? _ შეეკითხა კახა.

_ ანიმ მითხრა, საყვარელმა მოკლაო, მაგრამ ქალის მხარემ სხვას დააბრალაო.

_ მეც ეგ ვიცი. საყვარელმა მოკლაო, ქორწილში, ვინმე ბაია მღებრიშვილმა. მიგზავნილი ყოფილა სპეციალურად. ჰო, ჰო, "სტუკაჩი", პოლიციასთან შეკრული ყოფილა. ხმა გამოვიდა, ირაკლის ვიღაც მთავრობის წევრზე ვიდეოკასეტა ჰქონდაო, დატერორება უნდოდაო. კი. ის ბიჭი კი, ვისაც დააბრალეს, პატარძლის ნათესავი ყოფილა თურმე... ზოგი იმასაც ამბობს _ რა ვიცი, ნათესავები კი იყვნენ, მაგრამ ერთმანეთი უყვარდათო... ხომ იცი, რა ჭორიკანა ქალაქია.

_ რომელია მერე დაჭერილი?

_ ბიჭი. ქალი მეორე დღესვე გამოუშვეს.

"მაშინ დეას ან ბაიას ეცოდინება თათიკოს ამბავი", _ გაიფიქრა პაპუნამ. თუმცა, დეასა და ბაიას თვითონ ვერ ნახავდა. ტელეფონს გავიგებ და ისევ კახას ვაკითხვინებო...

ოფიციანტმა ურიკა მოაგორა და შეკვეთილი კერძები მაგიდაზე დააწყო, ღვინო კი გრაფინით ჩადგა.

კახამ თონის პურს ყუა მოამტვრია და გემრიელად ჩაკბიჩა.

_ აუ, რა გემრიელია, ასწორებს!.. _ და თიხის დაბალ ჯამში ჩახრაკულ შამპინიონს გადასწვდა.

პაპუნამ გრაფინს მოკიდა ხელი, ასწია და გახედა.

_ ფერი კაი აქვს. აბა, გემოც ვნახოთ, _ ჭიქებში ჩამოასხა და ის იყო, სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, რომ დარბაზში ხმაურით შემოცვივდნენ ნიღბოსანი სპეცრაზმელები და მაგიდებიდან ხალხის წამოყრა დაიწყეს.

_ აბა, ჩქარა, ჩქარა! ყველანი გარეთ! გარეთ!

პაპუნას ჭიქა ხელში შეაცივდა. ეჭვით გახედა მთელ ამ უსახო მასას. ან რა უნდა ეფიქრა, ძებნაში მყოფს?

_ გავედით, სწრაფად! _ ეგრევე “მოტვინა” კახამ. პაპუნა რომ არ დამორჩილებოდა, ახალი ცხოვრების პერსპექტივა ხელიდან ეცლებოდა. _ წავედით! წავედით! _ ჭიქა გამოართვა, დადგა და ლამის ხელიც კი ჰკრა.

ვიღაც სპეცრაზმელები მათ მაგიდასთანაც მოსულიყვნენ...

_ ჩქარა! ჩქარა! გარეთ ყველანი, დროზე! _ დაჰკიოდნენ ისინი შეჩოჩქოლებულ და შეშინებულ ხალხს და ავტომატებით ხელში გარეთ ერეკებოდნენ.

კახამ სასწრაფოდ ჩამოხსნა პაპუნას პალტო და თავისი “კურტკა” საკიდიდან, ხელი გამოსდო და ისეთი სირბილით გააქანა გარეთ პაპუნა, მერე საკუთარი მოხერხებულობისა თვითონვე უკვირდა.

_ სადა ვართ? _ იკითხა გარეთ გასულმა პაპუნამ. _ ფაშისტებიც არ ექცეოდნენ ალბათ, ხალხს ასე...

_ წამო, წამო! არ დაგვიხეთქეს გულები?! _ სადღაც ქვემოთკენ ექაჩებოდა კახა პაპუნას.

_ ვინ ყოფილან ესენი! _ ჩაილაპარაკა პაპუნამ და კახას მიუბრუნდა: _ სად მიმათრევ, თან როგორ!.. კარგი, ჰო, ვერ ხედავ, მოგყვები!

_ რესტორნების მეტი რა არის, მაგათ დედაც ვატირე და მაგათი მთავრობისაც! _ ერთი მაგრად შეიკურთხა კიდევ კახამ. _ ოსვენციმის ტყვეები ვართ. ჰო, რა იყო?.. ძლივს რესტორანში მოვხვდი და ლუკმა არ ჩამაყლაპეს ამ ველურებმა! _ იფურთხებოდა კახა.

_ ხალხი ბავშვებით იყო შემოსული, ჩვენ გვერდით პატარებიც ესხდათ სუფრაზე... _ უკვირდა პაპუნას.

_ ამათ, დიდი, პატარა, ეროვნება, სარწმუნოება საიდან უნდა იცოდნენ?! მარტო თვითონ არიან ამ ქვეყანაზე, დანარჩენები, ჭია-ღუა ვართ, არარაობა!.. _ ვერაფრით მოენელებინა შეურაცყოფა კახას. _ წამო, წამო, რესტორნების მეტი რაა?! სადმე სახინკლეში ჩავუსხდეთ და არაყი ვწრუპოთ, არ გვინდა ეს ფორსობა, თორემ დაგვეცემიან ისევ თავზე და აგვაწიოკებენ...

ქვემოთ დაუყვნენ. ეტყობა, ხმა გავარდნილიყო და ყველა რესტორანი მიეკეტათ. იმდენი ხალხი გამოფენილიყო, საყოველთაო სეირნობა გეგონებოდათ. მათსავით ბევრი ეძებდა დროებით თავშესაფარს. ბევრიც მანქანებს მოახტნენ და ისევ თბილისისკენ დაუბერეს.

_ ხომ არ გაგვაყოლებთ, ძმებო? _ ერთ-ერთ “ბეემვეში” ჩამჯდარ ბიჭებს სთხოვა კახამ.

_ დასხედით! _ თავი დაუქნია მძღოლმა და ისინიც დაემგზავრნენ.

_ საით მიდიხართ? _ იკითხა კახამ.

_ მაგარი შეკითხვაა, _ წაიფილოსოფოსა მძღოლმა. _ ასით, პირდაპირ ჯოჯოხეთში. ეს ცხოვრებაა? პურის ჭამასაც აღარ გაცლიან...

_ იმან ფიზიკურად და ფინანსურად მოგვსპო და ეს, მგონი, ამოძირკვას გვიპირებს, საერთოდ... _ წაეშველა მძღოლს გვერდით მჯდომი.

_ გესტაპო მიმიქარავს... _ დააყოლა მძღოლმა.

_ დათვი წავა, მელა მოვა, მელა წავა ტურა მოვა და ბოლოს ისევ ჩვენ ვიჭყლიტებით, კურდღლები და კრავები. _ ახლა წაიალეგორია მძღოლმა.

_ ჰო, შენც რომ კრავი ხარ, ბიჭო! _ გაიცინა მეორემ.

_ დათვში ვინ იგულისხმეთ? _ იკითხა კახამ.

_ რუსეთი, სხვა ვინ? _ უპასუხა მძღოლმა.

_ ვაცალოთ, ვაცალოთო და, წავიდა ეს ცხოვრება, ამის დედაც ვატირე! _ შეიკურთხა მეორე.

_ “წავიდა ჰეე, ის ცხოვრება აღარ არი”... _ წაუღიღინა მძღოლმა.

გაჩუმდნენ. კითხვის ნიშანი, რომელიც ახალმა მთავრობამ დასვა, არც ისე ადვილი ამოსაცნობი იყო. მანქანა დიღმის გადასახვევს უახლოვდებოდა.

_ თქვენ საით? _ იკითხა მძღოლმა.

_ ვაჟას დასაწყისში ჩამოვალთ, გზას აღარ გაგიმრუდებთ, თუმცა... _ აღარ დაასრულა კახამ.

_ კი, ბატონო. _ დაეთანხმა მძღოლი და გზა განაგრძო.

მალე ვაჟაზეც შეუხვია და მიამუხრუჭა.

_ გაწყობთ, აქ? _ სარკიდან შეეკითხა ის უკან მსხდომთ.

_ კი, კი... _ კარი გააღო კახამ.

მადლობა გადაუხადეს და მანქანა წავიდა.

_ გამომყევი! _ უთხრა კახამ პაპუნას და დაიძრა.

მალე ორივე დაბალ მაგიდას მისხდომოდა და ხინკალს მიირთმევდა.

_ მაგათ ჩავაშხამებინებდი ჩვენს შეხვედრას? ხინკალს რამე სჯობს? ასე არ არი? _ გემრიელად ილუკმეზოდა მოშიებული კახა.

_ ჰო! ჩემი ჰალსტუხი მაგრად უხდება. _ გაიცინა პაპუნამ.

_ შენც მოიხსენი, რა, და ჩაიდე ჯიბეში! ყველაფერი მე უნდა გიკარნახო? _ ურჩია კახამ.

პაპუნამაც დაუჯერა. ჰალსტუხი მოიხსნა და ჯიბეში ჩაიტენა.

_ ჰო, მაგრად წავიდა? _ შეეკითხა არაყზე კახა და ლუდის კათხას მოკიდა ხელი. _ იმ ნიღბიანებსაც გაუმარჯოთ, პატიოსნად რომ ასრულებენ თავიანთი დამპალი უფროსების დავალებას.

_ გაუმარჯოთ! _ ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა პაპუნამ.

შეჭამეს, დალიეს. წასულები გაიხსენეს, ახლები... ზოგი ტრადიციული, ზოგი არატრადიციული, დათვრნენ და გამოვიდნენ.

უკვე ხუთი იქნებოდა დაწყებული. ზედა მხრიდან საბურთალოს ცივი ნიავი უტყლაშუნებდა. მიუხედავად ყველაფრისა, პაპუნა სიამოვნებას განიცდიდა. თავის მიწაზე იდგა, თანაკლასელთან, მეგობართან, ძმაკაცთან ხელგადახვეული... თუმცა, ჯერ ისევ კანონგარეშედ გამოცხადებული...

ზამთარი ძალაში შედიოდა.

რალი, სწორედ იმ ღამეს, ოთხზე იყო დათქმული. სტარტიც და ფინიშიც ქავთარაძის ბოლოში იყო დანიშნული. ყაზბეგის მერე ვაჟასკენ უნდა აეხვიათ და ვაჟადან კი ქავთარაძის ბოლოში დაშვებულიყვნენ.

სამ-სამი ათასი ნეიტრალურ კაცს, ვიღაც ცეზარას ჩააბარეს და ორივე გუნდის პილოტები მანქანების საჭეებს მიუსხდნენ.

პირველი მხარე, ჯაყო და მისი ამფსონები იყვნენ. მეორე მხარე კი _ ძალად გამინისტრებული ლადო ბერიძე გახლდათ. რომელიც ახალთახალ, შინდისფერი “კაბრიოლეტის” საჭეს ჩაფრენოდა და იარაღის გასროლის ხმას კრიჭაშეკრული უცდიდა.

სამასიან “ბეემვეს” საჭესთან კი, სუბოტექს გადაყლაპული ანუ ჩადოპინგებული ჯაყო იჯდა და გასროლასაც ამიტომ სრული სიმშვიდით უცდიდა.

რალისტებს, რათა შემოწმების შანსი ჰქონოდათ, თითო კაცი სტარტთან ჰყავდათ დაყენებული, თითოც, კიდევ, ვაჟას დასაწყისში.

მაგრამ, სანამ ოთხი შესრულდებოდეს, მოდით იმას გიამბობთ, როგორ დააწერეს სურიკას მამიდას ის სამიათასი, რომელსაც ჩვენი გმირები “მაზიანზე” ჩავიდნენ.

როცა ქალბატონმა ცისომ კარი გამოაღო და ზღურბლთან სახეგაქვავებული ჯაყო და ხახო დაინახა, რა თქმა უნდა, გულს შემოეყარა. რადგან კარგად უწყოდა, როდის სტუმრობდნენ ძმისშვილის მეგობრები. როცა ფული სჭირდებოდათ. თანაც ისეთ უტყუარ არგუმენტებს დაუხლიდნენ ხოლმე, რომ არ მიეცა, ხან სესხად, ხანაც დროებით, ვარიანტი არ იყო. თუმცა ისეთი მამალი ქალი იყო (მგონი სულ მამლებად იქცნენ ისეც ყველანი), ადრე თუ გვიან, პროცენტის ამოღებასაც ახერხებდა და თავნსაც იბრუნებდა. მოკლედ, მაგარი მიმწოლი იყო. მაგრამ თუ სხვა დროს, ხუთას დოლარზე მეტს არ სთხოვდა სურიკა, ახლა სამი ათასი რომ უთხრეს, ისე ებევრა, ხელები გაასავსავა.

_ არა, თქვენი ჭირიმე, აღარა თქვათ, არც წამოგცდეთ... მე სიცოცხლე მინდა, გენაცვალე, მაგის დაბრუნებას კი ოცდაათ წელსაც ვერ ვეღირსები. თქვენ მასწავლით მე ჩემი ძმისშვილის ხასიათს?

_ და დამარხვა, რა, ნაკლები დაგიჯდებათ? _ მიახალა ეგრევე ჯაყომ.

_ ნუ მაშინებ, შენი ჭირიმე! უკვე მილიონჯერ მოკვდა და გაცოცხლდა ეგ კაცი თქვენს ხელში! _ ირონიულად უმზერდა ბიჭებს ქალბატონი ცისო.

_ წამო, წამო, წავიდეთ! _ მიუტრიალდა ჯაყო ხახოს. _ მაინც ჩვენ დაგვბრალდება და შევეშვათ, რაა?

წამსვლელი რომ არც ერთი არ იყო, ეს ქალბატონმა ცისომაც კარგად იცოდა, მაგრამ სამი ათასი დოლარიც რომ წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო, ესეც მოეხსენებოდა.

_ სად უნდა წამოვიდე, მარტო ფულზე ხომ არ არის, არა? _ ხმა ამოიღო ხახომაც, თითქოს თავის რიგს უცდიდაო. _ საბავშვო ბაღიდან ერთად მოვდივართ, ტო! მთელი ფუთი მარილი გვიჭამია, ეხუმრები?

_ მე არ ვიცი რამდენი ფუთი მარილი გიჭამიათ, ან ზედ რა დაგიყოლებიათ, მაგრამ ძალიან ბევრჯერ რომ მაგრად გიჭამიათ და მერე ჩემი ხათაბალა ხდებით ხოლმე, ამაშია საქმე! _ თავისაზე იდგა ქალბატონი ცისო.

_ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, გეფიცებით! _ თვალებს ახამხამებდა ჯაყო. _ გვერდზე გავიყვანე, გცემ-მეთქი, ბიჭო! ჩემი ხელით დაგახრჩობ!

_ არა, გინდა თუ არა, მოიგებსო! “ბარსა” მოიგებს, “ბარსა” მოიგებს... _ გააგრძელა ჯაყოს დაწყებული წინადადება და სურიკას გამოაჯავრა ხახომ.

_ მოკლავენ! _ ისეთი ინტონაციით თქვა ჯაყომ, ჯოჯოხეთის ათივე მოციქულიც კი, ბელზებელიდან დაწყებული _ სათაელით დამთავრებულიც რომ დაიჯერებდა.

_ ნაღდად! _ ბეჭედი დაუსვა ხახომ.

_ ბიჭებო, მე პატარა ხომ აღარა ვარ, არა? იცით, რომ არ ვმუშაობ. მაგ ფულით მიდგას სული, მაგის პროცენტით, არა? ეგაც რომ დავკარგო...

_ რა უნდა დაკარგოთ, _ აქტიურობდა ჯაყო. _ მანქანას ვყიდით, დამიჯერეთ, არ გვინდა გადავაგდოთ. გამოვიხსნით მაგ კაცს და მერე, წყნარად, მშვიდად შევასაღებთ ვინმეს.

_ ასეა, _ დაუდასტურა კახამ.

_ მოკლავენ, დამიჯერეთ! _ მიაწვა ისევ კახა.

_ მაშინ მე თვითონ მივუტან, მინდა ჩემი თვალით ვნახო, მართლა მძევლად ჰყავთ თუ მატყუებთ. _ თვალებში უყურებდა ბიჭებს…ქალბატონი ცისო.

_ და თქვენ გგონიათ, ჩვენ კი ვიცით სად ჰყავთ? _ ხელები გაშალა ჯაყომ.

_ ეგ რომ ვიცოდეთ, ისეთ ჯარს მივუქსევდით... _ კვერი დაუკრა ხახომ.

_ არა, ასე არ გამოვა! _ რაღაც გადაწყვიტა ქალბატონმა ცისომ.

_ მაშ როგორ? _ აჩქარდა ჯაყო.

_ მანქანას წინასწარ გადმომიმტკიცებთ! _ წამოუყენა თავისი პირობა ქალბატონმა ცისომ.

_ მერე, იცით მაგას რამდენი ფული უნდა? რატომ დავკარგოთ ტყუილად? _ არ დაეთანხმა ჯაყო.

_ ან გენერალურ მინდობილობას მომცემთ, გაყიდვის უფლებით და მანქანას ჩემს ეზოში გააჩერებთ. ჰა, რას იტყვით? _ მიაჩერდა თავისი ჭკვიანური თვალებით ბიჭებს ქალბატონი ცისო. _ ასე ადვილია, ხუთ პროცენტში ფულის შოვნა?

ეს უკვე ჭკუასთან ახლოს იყო. _ მთავარია, ფული ჩავიგდოთ ხელში და მერე როგორმე გამოვძვრებითო, _ გაიფიქრეს ბიჭებმა და ამ პირობაზე მორიგდნენ.

_ მხოლოდ ხელი-ხელში! _ ბოლო სიტყვა მაინც ქალბატონ ცისოსი იყო. ვინ იცის, ეგებ იცოდა კიდეც, რომ ბიჭები რაღაცას მაიმუნობდნენ, მაგრამ აწყობდა. პროცენტში აძლევდა, ისე ხომ არა. _ სად წამივლენ, არ შევარჩენო, _ ფიქრობდა.

მინდობილობა გააფორმეს, მანქანა სურიკას მამიდის ეზოში გააჩერეს, ფული ჩაიჯიბეს და სურიკას კი მამიდამისთან დაარეკინეს: _ მამიდა კი არა, ოქრო ხარო _ და რალისთვის მოემზადნენ. თავიანთი მანქანის მოპარვა და აწაპნა რალის ღამეს რომ არ გაუჭირდებოდათ და მათი ხელობა იყო, ისედაც იცოდნენ.

გაიჭიმა ოთხი წამებში და სროლის ხმაც გაისმა. ორივე მანქანა ისეთი ღმუილით მოწყდა ადგილიდან, ახლო-მახლო მაცხოვრებლებმა გაიღვიძეს და ფანჯრებიდანაც კი გადაიხედეს. ჯაყო ძველი რალისტი იყო და მის მანქანას მაყუჩი ჩახსნილი ჰქონდა. რკინის მილებიც ჩამონტაჟებული და გამაგრებული. ძრავიც, რომელიც ტურბო იყო, გაძლიერებული. თუმცა, თანაბარ პირობებში, კაბრიოლეტ "შევროლეს" რომ ვერ მოუგებდნენ ეს კარგად იცოდნენ. ამიტომ ტრასაზე კანტი-კუნტად მოძრავი მანქანების და ჯაყოს გამოცდილების იმედზე იყვნენ. ორივემ ერთნაირად აკრიფა და, გვერდიგვერდ, ორივე ერთ ხაზზე მიფრინავდა. ქავთარაძის ბაზრობასთან გზაჯვარედინს, როგორც "ტრამპლინს", ისე გადააფრინდნენ და გაივაკეს. სადღაც, ასათიანის ასახვევთან, უკვე "კაბრიოლეტი" დაწინაურდა. ჯაყოს სისხლი გაეყინა ძარღვებში. თითქმის მიადუღა ფეხი აქსელერატორს. "კაბრიოლეტი" კი, უფრო და უფრო, შორდებოდა. ეს ორი პილოტი, ერთმანეთს არ იცნობდა, თუმცა მათი გზები, ერთხელ უკვე გადაკვეთილიყო. სწორედ ლადო იყო იმ მკვლელობის დამკვეთი, რომელიც ჯაყომ, როგორც ქილერმა შეასრულა. ნიკას ძმაკაცის, ბესოს მკვლელობაზეა ლაპარაკი. თუმცა, მოდით, ისევ რალს დავუბრუნდეთ. მოკლედ, მხოლოდ რაიმე შემთხვეთითობაღა თუ გადაარჩენდა ჯაყოს და იმანაც არ დააგვიანა. ზედ ყაზბეგის ბოლოში, შუა ქუჩაზე, ორი ხელგადახვეული მთვრალი ტიპი გადადიოდა.

"ზედ მოსახვევთან, ბედი არ გინდა?" _ გაიფიქრა ლადომ და წაუსლალომა, რის გამოც, მანქანა ოდნავ შეანელა. თუმცა წამის ეს მეასედიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ "ბეემვეს" ოდნავ გაესწრო და პირველი შევარდნილიყო ვაჟა-ფშაველაზე. მაგრამ ამ ხელის მოცარვამ იმდენად არა, რამდენადაც იმ ორი ტიპის დანახვამ გააკვირვა ლადო. ერთ ნასვამში, თავისი გადახვეწილი ბიძაშვილი, ნიკა ბერიძე ამოიცნო. ჰო, აშკარად ნიკა იყო, მილიონში არ შეეშლებოდა ლადოს. მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო და სცადა წინ წასულ "ბეემვეს" დასწეოდა. და, ალბათ, დაეწეოდა და გადაასწრებდა კიდეც, რომ არა, ერთი აბსოლუტურად გაუგებარი და რაღაც ტუტუცური გარემოება. მათ წინ, მწკრივზე, უამრავი ახალი ამერიკული ნაგვის მანქანა მიჰქროდა, რომლებსაც გზა მთელ სიგანეზე გადაეკეტათ. მოკლედ, ერთი "პარადი" გაემართათ. ფიქრის დრო აღარ იყო, ლადომ თავისი იტალიური სიგნალები ააჭყვიტინა და ორი ნაგვის მანქანის შუაში შეეტენა. შეეტენა და მიხვდა, რომ მაგრად მიჰქარა. თითქოს განტევების ვაცივით

“ოთხში” ამოღებას და გატყავებას უპირებენო, ისე მიაჭყლიტეს ლადოს ახლთახალი შინდისფერი “კაბრიოლეტი” მენაგვეებმა თავიანთი მანქანების ყვითელ კედლებს. ლადოს გინება და ღრიალი მის მეტს არავის გაუგონია. რადგან ნაგვის მანქანების დაგუდული ხმის ფონზე, ლადოს ხმა კატის კნავილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლომის ღრიალს. მეტალის ერთმანეთზე გახახუნების ხმა კი, უთვალავი ნამგალას ჭყივილს წააგავდა. ასე რომ, როცა ორივე გვერდწაღებული და წაცლილი “კაბრიოლეტი” ფინიშთან მიხრიალდა, გამარჯვებული “ბეემვე” უკვე იქ იცდიდა.

_ ფულს მაინც ვერ მიიღებთ, ვერა! _ მანქანიდან გადმოხტა და ყვირილით მიეჭრა გამარჯვებულებს ლადო.

_ ვითომ რატომაო? _ დინჯად იკითხა და წარბი ასწია ჯაყომ.

_ იმიტომ, რომ მენაგვეების პარადი ჩაწყობილი იყო! _ დაიყეფა ჯაყომ და ცეზარას ფული გამოსტაცა. _ აჰაათ თქვენი სამი ათასი და გააჯვით აქედან!

და ლადოს წინ, ეგრევე, სამი ტიპი აეფარა, რომლებმაც ჯაყოს და სურიკას იარაღის ლულები მიუშვირეს.

ჯაყოს ხმა არ ამოუღია. ჯერ მიწაზე დაყრილი კუპიურები წამოკრიფა, მერე კი ჯიბეში ჩაიტენა და თავის ბეემვეში ჩაჯდა. სურიკაც გვერდით მიუჯდა.

_ ხახო სწორე იყო... არა ღირს მილიარდერებთან ჭიდაობა. _ ჩაიბურტყუნა სურიკამ.

_ მიუბეგვეს მანქანა და ჩვენზე იყარა ჯავრი. ვნახოთ, თავის ხელით თუ არ მოარბენინებენ, შენ მაცალე! _ დაიმუქრა ჯაყო და ძრავი ჩართო. _ არა, ბიჭო!

მანქანა მოაბრუნა, მერე ღრიალით მოწყვიტა და ქვემოთ დაეშვა.

_ დედა, ჩემ ცოლს, იცი, რამხელა მუცელი აქვს? _ ისევ დედას გაენდო დაეჭვებული დათო.

_ რამხელა? _ ელდა ეცა მანანას, რომელიც გაზის ღუმელთან იდგა და “ნაპოლეონს” აცხობდა.

_ რა ვიცი, ხელს აშველებს, აქეთ-იქით როცა ბრუნდება ლოგინში.

_ არ გადამრიო. ერთ თვეში ამხელა მუცელი? _ თვალგაფართოებული მიაჩერდა შვილს მანანა.

_ არა, ორ კვირაში.

_ რატომ ორ კვირაში, ერთი თვის წინ არ დაიწერეთ ჯვარი? _ ახლა ამაზეც გადაირია მანანა.

_ ორ კვირას ხელი არ დამაკარებინა, რა ვიცი, მენსტრუაცია მაქვსო...

_ რაო? მერე ვერ მითხარი, ბიჭო?

_ მაშ ახლა რას ვაკეთებ? არ გეუბნები? ხან გული მისდის, ხან ამოერევა, ხან ფერს დაკარგავს, რა ვიცი... ჰო, ჰო!

ძალიან, ძალიან არ მოეწონა შვილის ლაპარაკი მანანას. ჯერ თავიდანვე იმან გააკვირვა, რატომ მიჰყვებოდა მის ცოლგანაშვებ ვაჟს ასეთი თანამდებობის პირის ქალიშვილი... ახლა კი...

_ რამხელა მუცელი აქვს?

_ აი, ამხელა მაინც ექნება. _ ხელით აჩვენა დათომ ცოლის მუცლის ზომა დედას.

_ დღესვე წაიყვან ეხოსკოპიაზე, დღესვე! ორ კვირაში მაგხელა კი არა, სამ თვეს არაფერი ეტყობათ ქალებს. გავგიჟდები მე... _ მანანა მაგიდასთან მდგარ ტახტზე მიესვენა.

_ ცუდად ხარ? _ შეეშინდა დათოს.

_ ამიტომაა, რომ ყველამ თავისი წრის ქალბატონი უნდა მოიყვანოს ცოლად... _ ჩაილაპარაკა თავისთვის მანანამ.

_ შენ კიდევ რას ამოიჩემე, წრე, წრე... ის თუ გაზების ტრასების დირექტორია, მე ბიზნესმენი ვარ. _ ეწყინა დათოს.

_ მამაშენი? _ შეეკითხა მანანა.

_ რა გინდა, რას გადაეკიდე ამ მამაჩემს. ყველა მინისტრი ხომ არ იქნება, არა? შენ ტორტებს აცხობ, ის დოლზე უკრავს. ხელოვანია კაცი...

_ ეგ შენი ქალბატონი, თუ შენ როგორც ლაპარაკობ, სხვისგან არის დამაკებული, მოკვდება მამაშენი, ვეღარ გადაიტანს. ერთს გასცილდი, ეს მეორე... ეგაც რომ მიუბრუნო...

_ კაი, კაი, ნუ გახვედი, რაა, დამკაში! მე წავედი!

დათომ ქუდი და კურტკა აიღო და გარეთ გავიდა. "დღესვე მივგვრი გინეკოლოგს". _ გადაწყვიტა და ასეც მოიქცა.

გინეკოლოგი, ქალბატონი ლილი დათომ წინასწარ გააფრთხილა. _ ცოლს კი მოგიყვანთ, მაგრამ მერე შემოგივლით და სიმართლე უნდა მითხრათო. _ ხოლო ცოლს რომ უთხრა, ჩაიცვი გინეკოლოგთან უნდა წავიდეთო, _ დალილამ წამწამები ააფახულა და ისე მიამიტურად ჰკითხა, _ რატომო, _ რომ ქმარი თითქმის განაიარაღა.

_ რატომ და იმიტომ, რომ ძალიან დიდი მუცელი გაქვს. _ მიახალა დათომ.

_ ჰოოო? _ მუცელზე დაიხედა დალილამ. "ცოდვამ მიწიაო", გაიფიქრა. _ წავიდეთ, კი, ბატონო. _ თქვა და ჩასაცმელად გავიდა.

_ კი, ექვს თვეზე მეტის მაინც უნდა იყოს... _ მოახსენა ქმარს ქალბატონმა ლილიმ ცოლის მუცლის შესახებ. _ ბიჭია.

_ ბიჭი? _ დაიბნა დათო.

_ იცი, ას დოლარიანს მტენიდა, ჩემ ქმარს ნუ ეტყვითო... _ ჩაუშვა ბოლომდე დალილა გინეკოლოგმა. _ მერე მე სად წავიდე, გენაცვალე, ბავშვი რომ გამოძვრება-მეთქი, ვუთხარი.

_ მერე? _ ტვინი გადაეკეთა დათოს.

_ რა მერე, არ გამოვართვი... _ ვერ მიუხვდა გინეკოლოგი, რას ეკითხებოდა დათო.

_ რა უნდა ვქნა? ეს უკვე მეორეა. _ შეეკითხა დათო.

_ პირველიაო ძნელი, ამბობენ, თორემ, მეორე და მესამე...

_ ეგ ტყუილია, _ გააწყვეტინა დათომ. _ მეორე ბევრად ძნელია და მესამე და მეოთხე კი არა, ქალს არ გავეკარები კილომეტრზე...

_ მოიცა, მოიცა! თავიდან ყველა მასე ამბობს, მაგრამ გადაგრილდებიან და მერე იქით ეძებენ... _ ცივი წყალი გადაასხა ქალბატონმა ლილიმ.

_ დედა, მიშველე, დედა, რა უნდა ვქნა, დედა! იცი, როგორ მიყურებს დათო? მე მგონი ჩამიშვა გინეკოლოგმა, ასე მგონია მომკლავს. _ შესჩიოდა დედას დალილა.

ვენერასთვის შვილის ამბავი მოწმენდილ ცაზე საშინელი მეხის გავარდნა იყო. ნამდვილი დამთხვეული, გიჟი ქმარი და თავზე ამხელა ლაფი? მარტო შვილი კი არ ეღუპებოდა, ოჯახიც ენგრეოდა. სასწრაფოდ რაიმე უნდა ეღონა.

_ ჯერ ერთი, ვერ მოგკლავს, მე აქა ვარ და გადაგეფარები... მაგრამ რატომ აქამდე არ მითხარი, რატომ? _ ჭკუიდან გადავიდა ვენერა.

_ მეგონა მამასთან ჩამიშვებდი და მომკლავს-მეთქი, მეშინოდა.

_ დროზე რომ გეთქვა, იქნებ გვეშველა კიდეც და ახლა მართლაც ხარ მოსაკლავი, არა ხარ? _ გამწარებული იყო ვენერა.

_ ვარ! და, ალბათ, მოვიკლავ კიდეც თავს. _ გამოუტანა საკუთარ თავს სასჯელი დალილამ.

_ რაიმე უნდა მოვიფიქროთ, სანამ ქვეყანა გაიგებს, თორემ შენ კი არა, მამაშენს არ აპატიებენ, მამაშენს!

_ რა, სამსახურს დაკარგავს?

_ სამსახური რა შუაშია, იმხელა ლაფს დაგვადებენ თავზე, შავი ზღვაც ვერ გაგვრეცხავს. გადააჭრელებენ მთელ პრესას.

_ მიშველე, დედა, არ მინდა სიკვდილი, სიცოცხლე მინდა.

_ იცი, რომელიღაც სერიალის გმირივით მელაპარაკები. ის მაინც იცი, ვისგან აჩენ?

_ ვიცი. შენ გგონია, სხვასთანაც მიცხოვრია? ეგ რა მოხიე, დედა?

_ მოვხიე, ვგლიჯე, მოვარტყი ცხრიანში. ვბლატაობ, ვალივერებ, მაგარი როჟა ხარ. არ გვინდა, რა, ეს რიჟა ბაზარი. კი არ მოვხიე, ვთქვი, მაინტერესებს... _ იჯდა, სიგარეტს ჭამდა და რგოლს რგოლში უშვებდა ვენერა. _ გადაწყდა, ერთ კვირაში გაფრინდები, პარიზი, ლონდონი... აირჩიე რომელიც გინდა.

_ მერე დათო?

_ დათო? რა? იტყვის? ნუ გეშინია, მამაშენს ვეტყვი და გააჩუმებს.

_ ჩემ წასვლამდე მამაჩემს ნურაფერს ნუ ეტყვი, კარგი?

_ ჰო, აბა რა? არც შენმა ქმარმა და არც მამაშენმა არაფერი უნდა იცოდნენ. და მოვრჩეთ ამაზე, დავამთავროთ. მოკლედ, გავარდები და ბილეთს დაჯავშნი. იქ გინდ ტყუპი გააჩინე, გინდ გააშვილე და გინდ გადააგდე!

_ რომ გავზარდო?

_ ვისგან აჩენ, ქალო!? ნორმალური მაინც არის?

_ აუ, ისეთი საყვარელია, ისეთი...

_ მერე, რატომ არ გაყევი მაგას?

_ იმიტომ, რომ მე არა ვარ საყვარელი. ცოლშვილიანია და იმიტომ... ისეთი აფთარი ცოლი ჰყავს, რომ გაიგოს ორივეს ცოცხლად გადაგვყლაპავს.

“გავიგებ და ვინ ვის გადაყლაპავს, მაგასაც ვნახავთ”, _ გაიფიქრა ვენერამ, _ “ცხვირ-პირის ამონაყვა არ ასცდება”...

ხვდებით, ალბათ. ჯერ-ჯერობით, პარალელურად, სამი სხვადასხვა თემა ვითარდება. ლადოს ოჯახი, ნიკას ჩამოსვლა და ბესოს მკვლელთა პერიპეტიები. და რომ არ მოგაწყინოთ, სამივე თემას ერთდროულად ვამუშავებ. თუმცა, მომიწევს სხვა წიაღსვლებშიც შერბენ-გამორბენა, ალბათ. საქმე ისიც გახლავთ, რომ ეს მეხუთე, დასკვნითი ნაწილი, აწმყოსთან ერთად, მთელ წინა პერიოდსაც მოიცავს. ამიტომ, უნდა მაპატიოთ, თუკი ბევრად მეტ მასალას და ახალ გმირებსაც ითხოვს. ახლა კი, ისევ სამეულის გარაჟში გადავინაცვლოთ. მერე ნიკას დავუბრუნდეთ და შემდეგ კი ისევ ლადოს ქალიშვილის ტრაგედიას.

გახსოვთ, არა, ხახოს ფარეხში “დინამოს” რომ ძვრა ვერ უყვეს ბიჭებმა. ჩაბოღმილებმა, ლადომ რომ მოგებული ფული, როგორც გოიმებს ისე დააწერათ, მანქანა სურიკას მამიდის ეზოში გააჩერეს და თვითონ კი, იმ დილაადრიან, ხახოს ფარეხს მიაკითხეს. გამოაღო კარი სურიკამ და...

_ ეჰეე! დინამო რა იქნა, ტო? _ წამოიძახა ხახომ.

_ ვა! _ თქვა ჯაყომ.

_ ე! _ თქვა სურიკამ.

_ აუ, მე გავაფრენ, სიმონ! _ თქვა ხახომ.

_ აფიორაა, რა! დედას გეფიცებით! _ თქვა ჯაყომ.

_ რომელ დედას, წამლის ფულისთვის დანით რომ სჭრი ხოლმე ყელს? _ შეეკითხა სურიკა.

_ შენ ხომ ერბოკვერცხს უწვავ ხელის გულზე, არა? _ ეწყინა ჯაყოს.

_ მოიცათ, რა? სადა ბანაობთ, ტო! "დინამო" აღარ არი.

_ კაიფში ხომ არ ვიყავით და ხომ არ მოგვეჩვენა ყველაფერი, ე! _ წამოაყენა თავის ვერსია ჯაყომ.

ამ დროს კართან "დინამოს" პატრონი გამოჩნდა.

_ აი, ძაღლი ახსენეო... _ ჩაილაპარაკა და ფხუკუნით ტუჩზე მიიდო თითი ჯაყომ.

_ გააკეთეთ? _ იკითხა მისულმა, ისე რომ არც მისალმებიათ.

_ რა? _ ჰკითხა ხახომ.

_ ჩემი "დინამო", _ თქვა კაცმა.

_ შენი "დინამო"? ფრიი, ფრიი, და გაფრინდა? _ თვალი ჩაუკრა და ცალი წარბი ასწია ხახომ.

_ აბა ქუდი მოიძრე, თავი ისევ გახვრეტილი გაქვს? _ შეეკითხა ჯაყო.

_ თქვენ რა, დაბოლილები ხართ, ძმებო? _ გაეცინა მოსულს.

_ რა დაბოლილი, შენ არ იყავი, თავში ხელი რომ ჩაიყავი და პირიდან ხვიშტი გამოგვიყავი? _ შეეკითხა ჯაყო. _ ესენი დაიბრიდებიან და შენ კიდევ ფსიქიატრიულში წახვალო... რას მიყურებ, ასე არ გვითხარი?

_ თქვენ რა, შაყირობთ თუ შარზე ხართ, ვერ გავიგე! თუ არ გაგიკეთებია ან ვერ აკეთებ, მითხარი და სხვას მივუტან. _ დასერიოზულდა ისევ სტუმარი.

_ მოიხადე, რა, ქუდი! _ სთხოვა ისევ ჯაყომ.

_ ქუდი მოვიხადო? მუხლის ჩოქზეც ხომ არ დავდგე, რა, შაჰინ-შაჰი ხარ? აჰაათ! _ ქუდი მოიშვლიპა უცნობმა.

ჯაყომ ფეხისწვერებზე აიწია და თავზე დახედა. უცნობი კი მისმა ამ ქცევამ გააკვირვა.

_ თქვენ რა, ასათიანის ხალხი ხართ? _ უკან დაიხია მან. _ მომეცით ჩემი "დინამო" და წავალ ჩემ გზაზე, რა ხდება?

_ დაკეტილი გვქონდა კარი, ძმაო! მოვედით, გავაღეთ, აღარ არი შენი "დინამო".

_ ჰოო? კბილებზე რა გჭირს? _ შეეკითხა ის ჯაყოს და ჯაყოს მოეჩვენა, რომ უცნობი გაქრა.

_ დაინახეთ, სიმონ, როგორ გაქრა? _ მიუტრიალდა ის ბიჭებს.

ხახომ კი შეხედა ჯაყოს, პირი დააღო, რაღაცის თქმასაც აპირებდა, მაგრამ სახეზე ისეთი ძრწოლა და შიში გამოეხატა, ჯაყო ვერაფერს მიხვდა, რა დაემართა.

_ აუ, ჩემი დედა... _ ესღა თქვა და უკან დაიხია ხახომ, თითქოს გაქცევასაც კი აპირებსო.

_ რა მჭირს, ბიჭო! რა დაგემართა? _ გადაირია ჯაყო და სურიკას შეხედა.

_ ვაიმე! _ ამოიხრიალა სურიკამ და იმანაც უკან დაიხია

_ თქვენ რა, გარეკეთ? _ მთლად გაგიჟდა ჯაყო და თაროზე, სარკის ნამტვრევში ჩაიხედა. ჩაიხედა და გული გაუსკდა. ორივე ყბა წინ წამოზრდოდა და იქიდან გარეთ გადმოყრილი ჩაყვითლებული ღოჯები გადმოეყარა.

_ ვა! ე! _ ეს ორი შორისდებული წამოსცდა ჯაყოს.

მერე კი ტვინში დაჰკრა და დაარეტიანა. მოიხედა. ორივე ძმაკაცი გარეთ გასულიყვნენ და იქიდან შიშით უმზერდნენ.

_ სად გარბიხართ, ბიჭო! _ დაუყვირა მან ბიჭებს და მიხვდა, რომ ხმაც მთლიანად შეცვლოდა. რაღაც ექოს მაგვარი, დაგუდული, ბოხი ხმა ამოუვიდა ხორხიდან.

ბიჭებს ხმა ვერ ამოეღოთ. იდგნენ მილურსმულები და ვერც უკან წასულიყვნენ და ვერც წინ დაძრულიყვნენ.

ჯაყო ისევ სარკეს მიაშტერდა. იფიქრა, სარკე ხომ არ მატყუებსო? მერე ყბებზე მოივლო ხელი და დარწმუნდა, რომ სარკე არაფერს ტყუოდა. მერე ისევ ბიჭებს მიუბრუნდა და დაინახა, ფეხების როგორი ტყაპატყუპით გარბოდნენ ორივენი. ჯაყო კი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა სარკეს, თვალები რამდენჯერმე გაახილა და დახუჭა, მაგრამ ვერაფერმა უშველა. სარკიდან ვიღაც ღოჯებგადმოყრილი მახინჯი ტიპი შემოჰყურებდა. და უეცრად ჯაყომ იგრძნო, რომ კბილები თუ ღოჯები საშინლად ასტკივდა. იმდენად საშინლად, რომ მზად იყო, დათვივით თავი კედლისთვის ერახუნებინა. გული გაიმაგრა. გარეთ გამოვიდა. აქეთ-იქით შეშინებული იყურებოდა, ვინმემ არ დამინახოსო. მერე "კურტკის" საყელო ლამის შუბლამდე აიქაჩა და უახლოესი სტომატოლოგიური პოლიკლინისაკენ დაძუძგა.

პოლიკლინიკა დაკეტილი დახვდა. საათს დახედა. რვის ნახევარიც არ იყო. პოლიკლინიკა კი ათზე იღებოდა. ყბები მოისინჯა. არა, ისევ "გამოდგმული" და ღოჯებიც ისევ ისე გადმოყრილი ჰქონდა. ტკივილები კი უკვე გაუსაძლისი ხდებოდა. "არა, რა, ორ საათს, ორ წუთსაც ვერ გავუძლებ", _ გაიფიქრა ჯაყომ და ვინმე კერძო ექიმს უნდა მივადგეო, გადაწყვიტა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ვიღაც ქალი მაღაზიის კარს აღებდა. მაშინვე მასთან მიიჭრა.

_ მომისმინე! კბილის ექიმი ხომ არ იცი სადმე ახლოს, კერძო? _ უთხრა და დაინახა, რა საშინელი შიში აღებეჭდა ქალს სახეზე.

_ კი, კი, როგორ არა. მეორე კვარტალში აქვს ერთს საკუთარი კაბინეტი. მესამე კორპუსში. იცით? _ და ქალმა ხელით მიანიშნა. მაგრამ აღარ იყო საჭირო, რადგან ჯაყო უკვე იქით გარბოდა.

მესამე კორპუსის შენობა ქუჩას გადმოსცქეროდა და ჯაყომ სასწრაფოდ ჩაურბინა პირველ სართულზე მდებარე მაღაზიების ვიტრინებს. "სუპერდენტი" _ ამოიკითხა მწვანე საღებავით გაკეთებული წარწერა ერთ-ერთ კარზე, რომელზეც დიდი თეთრი კბილიც იყო მიხატული და ზარის ღილაკს მაშინვე თითი მიაჭირა. კარი მალე გაიღო.

_ რა ამბავია? _ იკითხა თეთრ ხალათში გამოწყობილმა ქალმა და ჯაყოს კბილების დანახვაზე იკივლა: _ ااااااااا! _ მერე კი გულზე მიიდო ხელი: _ ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინეთ!

_ მე ექიმი მინდა. მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ! _ ყრუდ, გუგუნივით გაისმა ჯაყოს ხმა.

_ ჰო, გისმენთ! _ უპასუხა ქალმა.

_ უნდა მიშველოთ, სასწრაფოდ ყველა კბილი უნდა ამომაგლიჯოთ! ტვინს მიბურღავენ! _ დააგუგუნა ჯაყომ.

_ ხუმრობთ? _ ვერ მიუხვდა ექიმი.

_ ხუმრობით კბილებს დაგაგლეჯინებთ?! _ გაუკვირდა ჯაყოს.

_ როგორ, ეს თქვენი კბილებია? _ ვერ დაიჯერა ქალმა.

_ არ ვიცი, ვისია ეს ოხერი! უნდა დამაგლიჯოთ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ჩემია თუ სხვისი! დროზე, რა! მითხარით, სად დავჯდე!

_ აი, აქ, აქ, დაჯექით! ოღონდ, ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, თორემ შეიძლება ყურის ბარაბნები გამისკდეს!

_ თქვენ გგონიათ, მინდა, ასე რომ ვლაპარაკობ? ეს ჩემი ხმა არ არის, მე სულ სხვა ხმა მაქვს, _ ჯაყო დაჯდა და პირი დააღო.

_ ღმერთო ჩემო! _ შეჰკივლა ექიმმა. _ ამისთანა არაფერი მინახავს. რა არის, დევის კბილებია?

_ დროზე, სანამ ვუძლებ, დამაგლიჯეთ! რაღას დგახართ?! _ დაუყვირა ჯაყომ.

_ ფული? _ ამოღერღა შეშინებულმა ექიმმა, _ თითო კბილი ათი ლარია და აქ მგონი, ოცდათორმეტი კბილი კი არა, მთელი ასია.

_ ჩქარა! ვკვდები! _ იყვირა ჯაყომ და ტკივილისგან დაიკლაკნა. _ ფულს მოგიტანთ! აი, იარაღს დავტოვებ! _ ჯაყომ ზურგს უკან, ქამარში გარჭობილი "ტეტე" ამოიღო და ისედაც შეშინებულ ექიმს წამლებისა და ხელსაწყოების გვერდით დაუდო, რის გამოც ექიმს თვალები მართლაც, შუბლზე აუვიდა. _ დაიწყე, რა! სანამ დაგახლი! _ მუშტი დაჰკრა ჯაყომ წამლების მაგიდას.

ექიმმა ამპულა აიღო და თავი წაატეხა.

_ ნემსი ხომ მაინც უნდა გავაკეთოთ, _ თქვა მან და სითხე ამოწოვა.

_ არა, რა ნემსი! ნემსს მირჩევია, პირდაპირ დამაგლიჯოთ, ვერ ვიტან ნემსებს! _ დაუყვირა ჯაყომ და ექიმმაც საექიმო მაშა აიღო და ჯაყოს ხახაში ჩახედა.

_ ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება! ეს ღოჯები კი არა, ეშვებია. ამ "გაზით", მგონი, ვერც ამოვაძრობ.

_ სცადეთ! დროზე! _ დაუღრიალა ჯაყომ და ექიმმაც ჯერ წინა, ყველაზე დიდი ღოჯი ამოიღო მიზანში. მაშით კბილს ჩაეჭიდა, მოუჭირა და მთელი ძალით დაქაჩა! ჯაყოს ღრიალმა დედამიწა შეაზანზარა. ექიმმა კი იგრძნო როგორ ჩაემსხვრა კბილის ღია ნაწილი ხელში, ფესვები კი ღრძილში ჩარჩა.

_ ااااااااااااااااااا! _ ჯაყოს ხავილი თორმეტსართულიან კორპუსს ასცდა და ზეცაში ავიდა. მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტვინი გაეჩვრიტა და თუ ოდნავადაც კი შეტოკდებოდა, შიგ სისხლი ჩაექცეოდა.

_ ჩატყდა! _ თქვა შეძრწუნებულმა ექიმმა.

_ მაგას შეეშვი და სხვებზე გადადი! _ უბრძანა თავისი, ლითონის ხმით ჯაყომ.

_ ხელები მიკანკალებს, _ თქვა შეშინებულმა ექიმმა. _ ჯერ ასეთი რამ არ დამმართვია...

_ მომეცი აქ! _ დაუღრიალა ჯაყომ და მაშა ხელიდან გამოსტაცა. მერე წამოხტა და კედლის სარკეს ეცა. პირი დააღო და გამწარებულს უნდოდა, კბილები საკუთარი ხელით ამოეგლიჯა. მაგრამ დაინახა, რომ სარკიდან სწორედ ის ტიპი შემოჰყურებდა, რომელმაც ხახოს "დინამო" მიუტანა გასაკეთებლად! მერე იმ ტიპმა სარკიდან ხელი გამოყო და გადარეულ ჯაყოს მაშა გამოართვა. მერე კი ის ხელი მაშიანად პირდაპირ დაღებულ ხახაში გლიჯა.

გლიჯა და ყველა კბილი ერთიანად გადმოაყრევინა. ჯაყომ ნიჟარაში ჩაიხედა და დაინახა, რომ მის ღოჯებს, ლამის გაევსო ნიჟარა. აიხედა. ის ტიპი გამქრალიყო. პირი დააღო და არც ერთი კბილი აღარ ჰქონდა.

მიტრიალდა და დაინახა, რომ თვალებგაფართოებული ექიმი პირდაღებული უმზერდა.

_ ჰოდა, ასე! _ უთხრა მას ტკივილისგან გათავისუფლებულმა ჯაყომ, წყალი მოუშვა და ნიჟარაში ჩააფურთხა. მერე თავისი "ტეტე" აიღო, ქამარში გაირჭო და "დაახვია". კუჭი "უჩხაოდა". პირი კი სისხლიანი ჰქონდა. ე, რით უნდა დავღეჟო საჭმელიო? _ გაიფიქრა. რა იცოდა, წინ კიდევ რა ელოდა?!.

მეორე საღამოს, როცა კახა თავისი ცოლის ნათესავ ადვოკატს ესტუმრა, თამარა გადარეული დახვდა. მან ორი ყავა მოადუღა, ერთი კახას დაუდგა წინ, მეორეს თვითონ დაუწყო წრუპვა და თან, აღშფოთებას ვერ ფარავდა.

_ შენ იცი, რა დღეში ჩავვარდი? ქვეყანა, სადაც პროფესიონალი სამსახურებრივ საქმეზე პროფესიონალთან ვერ შეაღწევს, ფეხზე რანაირად წამოდგება, მითხარი?! ცხელ

ხაზზე დარეკეთ და გადაგიჭრიან პრობლემასო. შენ გესმის? ცხელ ხაზზე, ვიღაც "გოგოშკა" ჩაიწერს შენს ნათქვამს და მილიონი წელიც რომ მოგცენ, ბოლოში ვერ გახვალ. რადგან, ბოლოში ვინც ზის და ვინც პრობლემა შეიძლება გადაგიჭრას, იმ კაცთან თუ ქალთან, იმ დეგენერატთან, ვერასოდეს მიაღწევ. არადა, რა ამაყად თავაწეულები გველაპარაკებიან დემოკრატიაზე. შენ იმ ასაკის არ უნდა იყო, კომუნისტებს ვგულისხმობ. იცი, კომუნიზმის მშენებლობის რა მორალური კოდექსი ჰქონდა ბოროტების იმპერიას? ან ჰიტლერის "მცნებანი" წაგიკითხავს? ადამიანურობის და ჰუმანურობის აპოთეოზია.

_ არ შეგიშვეს?

_ შემიშვეს. მაგრამ _ იმერელმა ყურზე მოიკიდა ხელიო, ხომ იცი... მგონი, საკანალიზაციო მილშიც კი გავძვერი, იქამდე რომ მიმეღწია.

_ მერე?

_ ასი ათასიო.

_ რა, დოლარი?

_ ჰო.

_ შენ თავში ფეხი ხომ არა გაქვს-თქო, ვერ უთხარით? ხალხი კარტოფილის ნაფცქვენსა ჭამს, ლამის ძაღლის ხორცზე გადავიდნენ და ეგენი რა თანხებზე ბაზრობენ, თქვენ გესმით?! _ აღშფოთდა კახა.

_ აკი, იმ კაცმა არ დაინანოო?.. _ ახლა აქეთ დაუსვა შეკითხვა თამარამ კახას და კახამ იფიქრა _ იქნებ ეს ქალი მატყუებს და თავისი წაამატაო? თუმცა, თამარაც თითქოს ფიქრს მიუხვდაო.

_ მე რომ შევიცხადე, იცი, რა მითხრა? თქვენ ეგ ბევრი გგონიათ, "სემიჩკის" ფულიაო.

_ და დათანხმდით? _ გამიგიჟდება პაპუნაო, გაიფიქრა კახამ.

_ აბა, რა მექნა? იცი, რამსიგრძე კაბინეტში ზის? ჩინეთის იმპერატორსაც რომ არ ექნებოდა. გადის ეს, სადღაც უკან, რა ვიცი _ სააბაზანო, ტუალეტი... შემოდიან ეს მდივანი ქალები, ეჭიკჭიკებიან, ეფოფინებიან... თავს ისეთ პატარა, პატარა მწერად იგრძნობ...

_ მესმის. ასი ათასი დოლარი. ჩაიდებს პირში და ერთ ლუკმად გადაყლაპავს.

_ სამაგიეროდ, ერთ დღეში გადაწყდება ყველაფერი. ერთ საათში.

_ ასი ათასი დოლარი... რით უნდა შევუტანოთ, ჩემოდნით?

_ აუ! _ გაგიჟდა თამარა. _ ჩემოდნით არა, სკივრით! გაძლევს ანგარიშის ნომერს, ბანკის მისამართს და უცხოეთში, რომელიღაც ოფშორულ ფირმას ურიცხავ. ჩახვდი?

_ ააა! _ მიხვდა კახა.

_ როგორ მოვიქცეთ? _ შეეკითხა თამარა.

_ არ ვიცი. ვეტყვი და...

_ ექნება? _ არ აცალა თამარამ.

_ წარმოდგენა არა მაქვს. ჩემი თანაკლასელია, ძმაკაცია, გენიალური ვინმეა. ერთადერთია, _ დაამთავრა კახამ.

_ რით? _ დაინტერესდა თამარა. _ როგორ, ჩვენნაირი გიჟი არ არის, ქართველი არ არის? _ ირონიულად იკითხა მან.

_ არა, მაგარი ვინმეა. ძალიან მაგარი, _ თითქოს თავისთვის ამბობდა კახა.

_ რა კარგია, _ თქვა თამარამ.

_ რა არის კარგი? _ ვერ მიუხვდა კახა.

_ რომ კიდევ არიან ასეთები... _ თქვა თამარამ და კახამ დაინახა, რომ თამარას _ ადვოკატს, ძველ იურისტს, თვალზე ცრემლი მოადგა. ამან ისე გააკვირვა კახა, იმწამს

ფანჯრიდან: ფასკუნჯი, დევი და ჯინი ერთად რომ გადმოსულიყვნენ, ისე არ გააკვირვებდა, ალბათ.

_ წავედი, _ თქვა კახამ, _ რომ მომკლან, მაინც დავიხსნი პაპუნას მაგათი კლანჭებიდან, არ არსებობს...

_ დავიხსნით. შენ ისეთი რამე მითხარი მაგ ბიჭზე და ისე დამიხასიათე, რომ მეც თავს გადავდებ... მართლა, მართლა... _ გულწრფელად ამბობდა და პირდაპირ თვალებში უმზერდა კახას თამარა.

კახას გაუხარდა.

_ ძალიან კარგი... მადლობა, _ თქვა და კარი გამოაღო.

_ ტელეფონზე ნუ დამირეკავ, მოხვალ და გამაგებინებ, რას გეტყვის და ჩვენი გეგმა დავსახოთ, კარგი? _ დაადევნა თამარამ.

_ კარგი, _ უპასუხა კახამ და კარი გაიხურა.

პაპუნა ისევ სასტუმროს კაფეში დახვდა, იმავე სკამზე, იმავე მაგიდასთან.

_ გატყობ, შეგიყვარდა ეს ადგილი, _ უთხრა კახამ.

_ დაჯექი! _ უთხრა პაპუნამ.

კახა დაჯდა. პაპუნას აკვირდებოდა. სულ ოდნავ ჭაღარა კი შერეოდა, მაგრამ მოხდენოდა. არ შეცვლილა, არც წლები დასტყობიაო, გაიფიქრა კახამ და რატომღაც, გაეღიმა.

_ რა გაცინებს? გაგახსენდა რამე? _ შეეკითხა პაპუნა.

_ არა, არაფერი... ჰოლივუდის ვარსკვლავები მიმიქარავს... ყველას მოუჯოკრავს-მეთქი, გავიფიქრე, _ უპასუხა კახამ.

_ ჰოო? _ ირონიულად გადახედა კახას პაპუნამ. _ მაგის სათქმელად მესტუმრე?

მათ მაგიდას ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა და კახას, თურქულად მომზადებული ყავის ფინჯანი დაუდგა.

_ შენც კარგად იცი, რის სათქმელადაც მოვედი, _ უპასუხა კახამ.

_ რაღაც, ილია ჭავჭავაძის კაკო ყაჩაღივით მელაპარაკები, თქვი, რაღა, და მორჩი!

_ ასი ათასიო, ტო! _ ხელი უცნაურად გაიქნია კახამ და ყავის ფინჯანი გადააყირავა. _ ეს მინდოდა, რა, ახლა კიდევ!

_ კაი, ნუ ნერვიულობ, გადაწმენდენ, _ დაამშვიდა პაპუნამ.

კახამ დარბაზს გახედა. რამდენიმე კლიენტი მართლაც, იმზირებოდა მათკენ.

მათ მაგიდას კი, ქაღალდის ხელსახოცით ხელში, ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა და დაღვრილი ყავა გადაწმინდა.

_ ახლავე მოგართმევთ, _ უთხრა მან კახას და გაბრუნებას აპირებდა.

_ ერთი ლუდიც მოართვით, შავი, რომელიმე! _ შეუკვეთა პაპუნამ.

_ ყავის გარეშე! _ დააყოლა კახამ.

_ დიახ! _ უპასუხა გოგონამ და გაბრუნდა.

_ მე თვითონ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასეთ თანხებზეა დღეს ლაპარაკი. ეტყობა, დიდი ფული აქვთ ნაშოვნი... _ ჩაილაპარაკა კახამ.

პაპუნა ჩაფიქრდა. რატომღაც, პასუხს აგვიანებდა. აუ, მაგრად ხომ არ მივქარეო?!. _ ცოტა აღელდა კახა. პაპუნა კი ფიქრებიდან გამოერკვა.

_ ჰო, გასაგებია. მე უბრალოდ, ხალხი შემეცოდა, რა დღეში ჰყავთ, მაშ, ამ რეგვნებს... _ ჩაილაპარაკა პაპუნამ.

_ ეე! რას ამბობ! რა დღეში ჰყავთ? _ თავი გააქნია კახამ. _ ახლობლები იყრებოდნენ, სცილდებოდნენ, რა, ერთმანეთს... მივყევი, რა, სასამართლოში! როგორ უყურებენ “ძაღლები”, იცი, ადამიანებს ზემოდან? “პუსტა-პუსტა” “ძაღლები”. გავგიჟდი, თვალებს

ვაცეცებდი... _ არწმუნებდა პაპუნას კახა. _ იქ ათასი პროფესორი და ათასი დამსახურებული კაცი მიდის, ქვეყნისთვის რაღაც რომ უკეთებიათ. ისინი კიდევ, ისე ელაპარაკებიან და უყურებენ ამ ხალხს, თითქოს მაგათი "შესტიორკები" იყვნენ.

_ მეც მაგიტომ ჩავფიქრდი, რომ მაგ ნაგვებს ამხელა ფული უნდა მივადღლიზო, მაგ მათხოვრებს...

_ შეგიძლია? _ აჩქარდა კახა.

პაპუნას გაეღიმა. ხელი გაიწოდა და მხარზე წამოჰკრა.

_ კი!

_ უჰ! _ შვებით ამოისუნთქა კახამ.

_ მექანიზმები დამიზუსტე და აღარ ინერვიულო ასე, თორემ... _ აღარ დაამთავრა პაპუნამ.

_ ჰო, ან ინფარქტმა არ მხიოს და ან ინსულტმა, არა? _ კახამ შეხედა და მოეჩვენა, თითქოს პაპუნა სხვა, სულ სხვა კაცად ქცეულიყო. ძლიერ, საკუთარ ღირსებაში დარწმუნებულ მამულიშვილად, აი, ისეთად, როგორებიც სკოლის კედლებზე დაკიდებული ძველი ფოტოებიდან, თავიანთი უჭკვიანესი თვალებით საუკუნეებს გასცქერიან... კახას არასოდეს ენახა ასეთი პაპუნა. რატომღაც თვალები დახუჭა და გაახილა. მის წინ ისევ ძველი ნიკა იჯდა და ეკითხებოდა:

_ ე, სად წახვედი, ბიჭო, რა დაგემართა?

_ არა, არაფერი... სულ ეგ იყო? _ შეეკითხა კახა.

_ არა, სხვაც მინდა გთხოვო.

_ ჰო!

_ რეზი ხომ გახსოვს, ჩემი ძმა?

_ კი.

_ იცი, არა, ციხეში როა?

_ ჰო...

_ ხუთი წელი ჰქონია "სროკი"... რაღაც კონტრაბანდაზე... ფიზიკურად ამუშავებენ თურმე, რაც მუდამ ეჯავრებოდა... მოკლედ: გამოაძვრენ, სახლს უყიდი, პატარას, რამეს... ცოტას დავუდებ ანგარიშზე, პენსიასავით, ყოველთვიურად, ჯიბის ფულად რომ ეყოს...

_ კი, მაგრამ შვილები? ერთი თავისი და ერთიც ცოლის...

_ შვილები არღუნის ბავშვთა სახლში იზრდებიან. ნახე მაგათი დირექტორი და მერე დამელაპარაკე... მოკლედ, ჯერ რეზის უშველე და მერე მივხედოთ მაგათ, _ წამოდგა პაპუნა.

_ კარგი. მე გავფრინდი, მაგრად მიყვარხარ! _ უთხრა უეცრად ალალად პაპუნას კახამ, გადაეხვია, გადაკოცნა და დაბნეულს, კარშიც გაასწრო. პაპუნაც აპირებდა გასვლას, როცა უეცრად, ლამაზ, საოცრად ლამაზ თვალებს შეეფეთა. მარტო თვალებს? პაპუნამ ისიც იმწამსვე შენიშნა, რომ თვალებთან ერთად, გოგონას გამჭვირვალე, მოლურჯო-მოვარდისფრო სახის კანი და თუმცა თხელი, მაგრამ მაინც საოცრად პროპორციული ტანი ჰქონდა.

პაპუნას, რაც არ უნდა მოსწონებოდა ქალი, საკუთარ ღირსებას არასდროს გადააბიჯებდა და არ აგრძნობინებდა. ახლა კი, ქართულმა სილამაზემ, თუ რამ, თავისი გაიტანა და ქალს თვალი ვეღარ მოაცილა. როგორც ასეთ მომენტებში ხშირად ხდება, გოგონას თითქოს "ჯოკონდას" მაგვარმა ღიმილმა გადაჰკრაო სახეზე, სახტად დარჩენილ ვაჟს ლამაზად გახედა და დარბაზში შევიდა. პაპუნამაც, იქვე, ჰოლში წაიბორიალა და უკანვე შებრუნდა კაფეში.

გოგონას, რომელიც სწორედ მის სკამზე დამჯდარიყო, ვაჟის უკან შემოსვლა არ გამოჰპარვია. პაპუნას მოსაფიქრებლად მხოლოდ წამები ჰქონდა, თავს აჯობა და თავის ყოფილ მაგიდას მიუახლოვდა.

_ ელოდებით ვინმეს? _ ჰკითხა მან გოგონას და გაირინდა.

_ ჰოც და არაც... _ უპასუხა გოგონამ და ლამაზად, ოდნავ მორცხვად გაუღიმა.

_ ჰოც და არაც? ზღაპრებში პასუხობენ ხოლმე ასე... _ გაეცინა პაპუნას. _ იცით, თქვენ სწორედ იმ სკამზე ზიხართ, რომელზეც მე ამ ორი წუთის წინ ვიჯექი....

_ მართლა? _ გაუკვირდა გულწრფელად გოგონას, _ თქვენი ადგილი დავიკავე?

_ არა, არა... როგორ გეკადრებათ! პირიქით, ძალიან გამიხარდა, ჩემს სკამზე რომ შეგნიშნეთ! მე მხოლოდ თქვენ გამო დავბრუნდი და მიზეზსაც ვეძებდი, რომ რამე მეთქვა...

_ რა? _ გაეღიმა ისევ გოგონას. _ მაპატიეთ, მაგრამ არა მგონია, მიზეზის მოძებნა გაგჭირვებოდათ...

_ დაგიჯეროთ? _ და პაპუნამ სკამზე მიანიშნა. _ შეიძლება?

გოგონა თითქოს დაიბნაო. არ იცოდა, რა ეთქვა. პაპუნას ეს ორი წამი მთელ საუკუნედ მოეჩვენა.

_ დროებით, კი, ალბათ... _ როგორც იქნა ამოთქვა გოგონამ.

პაპუნა დაჯდა და ამოისუნთქა.

_ ჯერ ასე არასდროს გავწამებულვარ! გაცნობას ვგულისხმობ, ქალის... _ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. _ ინებებთ?

_ გმადლობთ, არ ვეწევი.

_ ჰოო? იშვიათად შევხვედრივარ... _ გაუკვირდა პაპუნას. _ მაშ, რა შემოგთავაზოთ?

_ არაფერი, მე უკვე შევუკვეთე ჩემთვის გლიასე! აი, მოაქვთ... _ თქვა გოგონამ და მათ მაგიდას მართლაც, მიუახლოვდა ოფიციანტი, რომელსაც თეფშზე დადგმული გლიასეთი სავსე მაღალი ჭიქა მოჰქონდა.

_ თქვენ ინებებთ რამეს? _ შეეკითხა ოფიციანტი პაპუნას.

_ დიახ, გლიასეს, _ და პაპუნას გულიანად გაეცინა.

ოფიციანტი გაბრუნდა.

_ რა გაცინებთ? მე ძალიან მიყვარს. დედა სულ გლიასეს მასმევდა ბავშვობაში, კანს უხდება.

_ ვის ელოდებით? _ დასერიოზულდა პაპუნა.

_ ამწუთას არავის, ისე კი _ ქმარს... _ თქვა სრული სერიოზულობით გოგონამ.

_ სჯობდა, პირდაპირ ტყვია დაგეხალათ... _ ნამდვილად ეწყინა პაპუნას ქალისგან ამის გაგონება. _ ბოდიშს ვიხდი, რაიმე ჩრდილი ხომ არ მივაყენე თქვენს რეპუტაციას? _ სრული სერიოზულობით იკითხა პაპუნამ.

_ არა მგონია... ვისთვის, როგორ... დიახ, არა! ჩავთვალოთ, რომ დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, გაწყობთ? _ და პაპუნას პასუხს არ დაელოდა: _ ღმერთო ჩემო, რაებს ვლაპარაკობ?!

_ მე? _ გულზე ხელი მიიდო პაპუნამ, _ მეც მგონი, ძველი თავადიშვილივით "გავუბერე". _ მაპატიეთ, რაიმე ჩრდილი ხომ არ მივაყენე თქვენს რეპუტაციას? _ პათეტიკურად გაიმეორა თავისი სიტყვები და წარბიც ძველი თავადივით ასწია.

ამაზე ორივეს გაეცინა. და პაპუნამ უეცრად გაიფიქრა: "ან დღეს, ან არასოდეს". ხმამაღლა კი თქვა:

_ მე მგონი, ჯადო გამიკეთეთ!

_ პირიქით, _ თქვა ქალმა და დაამატა. _ ისევ წამომცდა...

_ მე პაპუნა მქვია.

_ მე _ თამთა.

დიახ, ეს ის თამთა გახლავს, მკითხველო, რომელიც რომანის მეოთხე ნაწილში, რესტორანში შესულ ირაკლისა და ბაიას დახვდა. უნდა გახსოვდეთ _ მისი ქმარი გაეროს ხაზით, კოსოვოში იყო მივლინებული.

_ მე ოცდამეორე ნომერში ვარ, თქვენ? _ არ მოერიდა პაპუნა.

_ მე? _ დაფიქრდა ქალი. ისინი თვალებში უმზერდნენ ერთმანეთს, "თქვი" _ ამბობდა პაპუნას თვალები, "არა, ვერ გეტყვი!" _ ამბობდა თამთას თვალები და უეცრად, თითქოს რაღაც მუდარა გაისმაო მის ხმაში:

_ ვერ გეტყვით!

სად მოხვდებოდა? შიგ გულში, რა თქმა უნდა, პაპუნას... ტუჩი მოიკვნიტა. წამოდგა.

_ ასე ჯობს! თუმცა თქვენი სახელი უკვე ვიცი...

_ მაპატიეთ! _ თქვა ქალმა.

_ არა, არა! ვინ იცის, რა გვიწერია, იქ _ ზევით, ზეცაში?!. _ ჭერისკენ აიხედა პაპუნამ და გაბდღვრიალებული ჭაღი დაინახა.

_ ჰო, მაგის ცოდნა, არც ჩემს კომპეტენციაში შედის! _ იხუმრა ქალმა და დაძაბული სიტუაცია განმუხტა.

_ შევხვდებით! _ ხელი ლამაზად აუწია პაპუნამ და კარისაკენ გაემართა.

"ვაიმე!" ეს იმპულსი თამთას გულიდან წამოვიდა და სადღაც, ტვინის რომელიღაც უჯრედთან ჩაქრა. "რა დამემართა?" _ ესღა გაიფიქრა და ისიც წამოდგა. მერე კი ბევრად სწრაფად გაეცალა იქაურობას, ვიდრე პაპუნა. მოკლედ, სიყვარულის ცხელ სისხლში ამოვლებული ამურის ისარი გასროლილი იყო და თავისი მსხვერპლის გულისაკენ მიჰქროდა.

პაპუნამ კი ვერა და ვეღარ მოისვენა. რა ჯანდაბა მჭირსო?! _ ფიქრობდა, გონებაში სულ თამთას სახე და თვალები უტრიალებდა. არა, მის უნახავად ვეღარ გაძლებდა, და ტვინში ისევ გაუელვა: "ან დღეს, ან არასოდეს!" ნომრიდან გამოვიდა. კაფეში შეიხედა. "მათ სკამზე" არავინ იჯდა. მოდი, ქუჩაში გავალო, _ გაიფიქრა. თუ მოვეწონე, ისიც ქუჩაში გავიდოდა და აუცილებლად შევხვდებიო.

გავიდა. ციოდა, მაგრამ ესიამოვნა. ქვემოთ დაეშვა. ნელა, ტაატით მიაბიჯებდა და ყველა ქალს, რომელიც კი გამოჩნდა, ყურადღებით აკვირდებოდა. ისიც გაიფიქრა _ ვაითუ, ზამთრის ტანისამოსში ისე გაეხვიოს, გვერდით ჩამიაროს და ვერც ვიცნოო?! მიდიოდა, მიხეტიალობდა და ხვდებოდა, რომ დროს ტყუილად კარგავდა. ლესელიძეზე, რომელიღაც პატარა სკვერთან მდებარე კაფეს წინ შეჩერდა. კაფეს ღია ვიტრინები ჰქონდა და რადგან შიგნით კარგად იყო განათებული, მოჩანდა, როგორ ვახშმობდნენ იქ მყოფნი. გარეთ რაღაც ბლუზის მსგავსი მუსიკის ხმაც გამოდიოდა. ცოტა ხანს გაჩერდა. მერე მოიფიქრა, შევალ კაფეში, დავჯდები და იქიდან დავუწყებ ხალხს ყურებასო. ასეც მოიქცა: შევიდა, ფანჯრის სიახლოვეს მოკალათდა, ერთი ლუდი შეუკვეთა და ქუჩაში მოსეირნე თუ საქმიანად მოსიარულე ხალხს დაუწყო თვალიერება. თუმცა გვიანი იყო, ხალხი ჯერ კიდევ მიმოდიოდა. ლუდს ნელ-ნელა წრუპავდა და ის იყო, ნახევრამდე ჩავიდა, რომ ძვირფას ბეწვის ქურქში გახვეული, თამთას სიმაღლისა და მისი ტანის ქალი შენიშნა. ქალს ყელზე შინდისფერი, გრძელი შარფი ჰქონდა მოგდებული და თავზე წითელი ბერეტი ეხურა. პაპუნამ ფული მაგიდაზე დააგდო და კაფედან გამოვიდა. ქალი ქვემოთ, ლამაზად, მოკლე ნაბიჯებით, მაგრამ სწრაფად მიკუსკუსებდა. პაპუნამ ფეხს აუჩქარა. ქალმა თითქოს მოიხედაო და პაპუნამ მის პროფილს წამით ჰკიდა თვალი. ის არისო!.. _ და გულმა ისე დაუწყო ძგერა, პაპუნას მაგრად გაუკვირდა. ეს რაღა დამემართა, როდის იყო, ქალის გამო ასეთი რამ მჭირდაო?!

_ და წამოეწია კიდეც ქალს. უკანიდან მისწვდა, რბილად მოკიდა ქურქიან იდაყვთან და შეაჩერა. ქალმა შემკრთალმა მოიხედა, ვაიო, _ წამოსცდა და... ესეც შენი სიყვარული: პაპუნას თავისი ყოფილი ცოლი _ ნატო შერჩა ხელში.

_ უი, ნიკა! _ ნატო ისე გადაეხვია და ისე ჩაეკრა, თან ისეთ სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა, რომელიღაც ფრანგული სუნამოსი, რომ პაპუნას, ჯერ მოულოდნელობისგან და ახლა ამ სუნამოსგანაც ნამდვილად დაესხა თავბრუ. “ან დღეს, ან არასოდეს!”, გაუელვა უცბად ამ ფრაზამ თავში და კინაღამ ახარხარდა.

_ როგორ შემაშინე, ბიჭო! მეგონა, ვიღაც ბანდიტი დამესხა-მეთქი თავს. მგონი, შეგეშალე ვიღაცაში. ვინ გეგონე? გამოტყდი! _ უხაროდა ნატოს.

_ რა სისულელეა?! სად მიდიხარ? _ უფრო წამოსცდა პაპუნას, ვიდრე აინტერესებდა.

_ რა შენი საქმეა? _ ისე სასაცილოდ ჰკითხა ნატომ, თითქოს ეუბნებოდა, მე ხომ შენი ცოლი აღარა ვარ და ასეთ შეკითხვას რატომ მისვამო?

პაპუნას გაეცინა.

_ ჰო, მართალი ხარ, წამომცდა, მაგრამ ამ უბანში რას აკეთებ? შენ ხომ ზემო ვაკეში ცხოვრობ.

_ თუ მართლა გაინტერესებს, წამოდი ჩემთან ერთად, გცალია? _ ჰკითხა ნატომ.

პაპუნა ჩაფიქრდა.

_ ჰა, გადაწყვიტე, ნუ გეშინია, არ შეგჭამს არავინ! _ გაეცინა ნატოს.

_ წავიდეთ! _ თქვა პაპუნამ.

ნატომ ხელკავი გამოსდო და ქვემოთ დაეშვნენ. მეიდანთან მარჯვნივ, ზემოთ აუყვნენ.

_ აქ ერთი ებრაელი მეგობარი მყავს, ცარა. იმასთან მივდიოდი სტუმრად. აუ, ჭკუიდან გადავა, შენ რომ დაგინახავს.

_ მიცნობს? _ შეეკითხა პაპუნა.

_ არა, მაგრამ ჩვენი ამბავი იცის.

ისინი სამსართულიანი, ძველი სახლის სადარბაზოში შევიდნენ და ვიწრო, მრგვალ, ხისრიკულებიანი მოაჯირის მქონე კიბეს აუყვნენ. ნატომ, სულ ბოლო, მესამე სართულის თავში რომ კარი დახვდათ, იმაზე დარეკა. ზარმა ძველებური, ზრიალა ხმა გამოსცა. კარი გაიღო და ცარამ გამოიხედა.

_ მოხვედი, ნატო? სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს? _ და ცარამ ნატოს გვერდით მომღიმარი მამაკაცი შენიშნა. _ ვაიმე, მარტო მეგონე მოსული... _ რატომღაც წამწამები აახამხამა და უკან გადგა. _ შემობრძანდით!

სტუმრები შევიდნენ. რაღაც, სტანდარტული, ერთოთახიანი ბინის მსგავს სივრცეში, როიალიც კი იდგა. გარდერობის გვერდით კი დივანი იყო ჩაჭყუნული. კედელთან პატარა მაგიდა, ხოლო ფანჯარაზე, რომელიც, როგორც ჩანს, “იტალიურ” ეზოში გადიოდა, ელექტროქურა იყო შემოდგმული. ვარდისფრად შეღებილ კედლებზე კი, ძველი შავ-თეთრი ფოტოები ეკიდა. მაგიდას საკმაოდ მოსახერხებელი სკამები ჰქონდა მიდგმული. ცარამ მოსულებს პალტოები ჩამოართვა და შემოსასვლელში გაიტანა.

_ დაბრძანდით! _ სთხოვა მასპინძელმა სტუმრებს და მაგიდისკენ მიუთითა.

პაპუნა სკამზე მოკალათდა და როიალზე შემოწყობილი “ბეზდელუშკების” თვალიერებას შეუდგა.

ცარა იდგა და ეშმაკური ღიმილით ელოდა, როდის შეატყობინებდა ნატო თავისი კავალრის ვინაობას.

_ პაპუნა... _ და გვარი დაავიწყდა ნატოს.

_ ილურიძე, _ შეახსენა პაპუნამ.

_ აჰა! _ თქვა ცარამ და გაჩუმდა. როგორც ჩანს, უფრო ვრცელ ახსნა-განმარტებას ელოდა. _ პაპუნა ილურიძე. გასაგებია, _ და თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

_ დანარჩენი _ მერე, გზადაგზა, _ უთხრა ნატომ და ახლა მან გაიცინა.

_ ერთ დროს ცოლ-ქმარი ვიყავით, _ თქვა პაპუნამ და მაგიდაზე დადგმულ კამერტონის ისარს თითი გაჰკრა. ისარი ამოძრავდა და ერთხანს სამივე, მის მონოტონურ ხმას უგდებდა ყურს.

_ ახლავე გავაწყობ, _ თქვა ცარამ და დატრიალდა.

ელექტროქურა გადმოხსნა და იქიდან, თავის მიერ შემწვარი, “პიცის” მსგავსი ბუტერბროდები გადმოაწყო. მერე კი მაგიდაზე ბოსტნეულის სალათა და ტკბილეულიც ჩადგა.

_ არაყი მაქვს, მეგობრებო, _ საზეიმო ხმით ამცნო მან სტუმრებს და მომცრო გრაფინით ჭაჭაც ჩადგა.

ბროლის ჭიქებში დასხმულმა არაყმა ჯაჭვი გაიკეთა და პაპუნა მიხვდა, რომ ჭაჭას კარგი გრადუსი უნდა ჰქონოდა. ცოტა ახმაურდნენ, ალაპარაკდნენ, აყაყანდნენ კიდეც და სამიოდე ჭიქის შემდეგ, პაპუნას ყოფილი მეუღლის გულისპირისკენ არ გაექცა თვალი? “ან დღეს, ან არასოდეს!” _ და ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ნატოს სავსე მკერდმა, მასზე ისე უცნაურად იმოქმედა, რომ თვალი ვეღარ მოაცილა. ნატომაც იგრძნო იმწამს პაპუნას დაჟინებული მზერა და შეიშმუშნა.

_ ოჰო! _ თქვა პაპუნამ და ნატოს თვალებში ჩააცქერდა.

_ რა არის? _ შეეკითხა განცვიფრებული ნატო.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა. როგორც ჩანს, ცარას ის სამზარეულოში ჰქონდა გატანილი. წამოხტა და გავიდა.

სანამ ცარა ტელეფონზე ლაპარაკობდა, პაპუნამ ყოფილ მეუღლეს ყურში თავისი იმდღევანდელი დევიზი ჩასჩურჩულა:

_ ან დღეს, ან არასოდეს!

_ გაგიჟდი?! _ უპასუხა ნატომ და მკერდზე ხელი დაიფარა, თუმცა ჭაჭას მასზეც ემოქმედა და მამაკაცის ცხელმა სუნთქვამ და სიტყვებმა სხეულში დენივით დაუარა.

_ ბავშვებო, მე ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, _ ოთახში ცარამ შემოიხედა. _ სულ ცოტა ხნით, მეზობელი მეძახის, არ მოიწყინოთ უჩემოდ, ხომ? _ და ცარამ კარი გაიხურა.

პაპუნა იმავე წამს, ნატოს მკერდს წაეპოტინა. ქალმა კი უკან დაიხია.

_ რა ხდება? _ ქალი მკერდს კი იფარავდა, მაგრამ თავი აეწია და გამომწვევად უმზერდა.

_ თითქოს პირველად გხედავდე, გეფიცები! _ პაპუნამ ქალს წელზე ხელი შემოხვია და ყელზე დააკვდა.

_ ნელა, მხეცო! _ ჩასჩურჩულა ყურში ნატომ და ყურის ბიბილოს ქვეშ აკოცა. _ ვერ მოვასწრებთ, გაგიჟდი? _ თან კაცის გაკავებას შეეცადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

პაპუნამ ხელში აიტაცა და ლამის მიაჭყლიტა დივანზე. ორივეს ისეთი ჟინი მორეოდა, ასე გამხეცებულ-გაცოფებულები მგონი, თაფლობის თვეშიც არ ვყოფილვართო, გაიფიქრა ნატომ და კაცის გახელებულ სხეულს მინებდა.

_ რა მშვენიერი ყოფილხარ! _ ნატოს სავსე ძუძუებს ჰკოცნიდა კაცი და კამერტონის რიტმს აყოლილმა, ცარას ძველ დივანს ისეთი ჭრაჭუნ-ჭრიალი აუტეხა, ცარას რომც მოესწრო მათთვის, ოთახში მაინც არ შემოვიდოდა.

მორჩნენ. სასწრაფოდ მიისწორ-მოისწორეს სამოსი და თავის სკამებს დაუბრუნდნენ.

_ ან დღეს, ან არასოდეს! რატომ მაინცდამაინც არასოდეს? ან დღეს, ან ხვალ _ არ სჯობს? _ გაიცინა პაპუნამ და ახალ ნამდვილ სიყვარულთან შეხვედრა შემდგომისთვის გადადო.

ამ დროს კარზე ცარამ დააკაკუნა. მერე კი კარი გამოაღო და თავი შემოყო.

_ ბავშვებო, შეიძლება?

_ კი, კი! _ სწრაფად უპასუხეს საყვარლებად ქცეულმა მეუღლეებმა.

_ რამე ხომ არ იცელქეთ? რაღაც ეშმაკურად მიყურებთ ორივე, _ შეეკითხა მათ ცარა, რომლის თვალებიც და სახეც ამბობდა: ვიცი, კარგად ვიცი, ამ ორი წუთის წინ რა ამბავშიც იყავითო...

კახამ თამარას, პაპუნას თანხმობის ამბავი შეატყობინა და ახლა უკვე ჯერი თამარაზე იყო. და ისიც, რა თქმა უნდა, კახასავით გაფრინდა და იმ მოსამართლეს ეახლა, რომელსაც ნიკა ბერიძის საქმე უნდა გამოეთხოვა და ხელახალ ძიებაში დაებრუნებინა. ყველაფერი კარგად მიდიოდა. შენ ფული თქვი, თორემ... გახსოვთ, ზუგდიდელებზე კომუნისტების დროს რას ამბობდნენ? თუ ფულს მისცემ, ატომურ ბომბს იყიდიო. რა, ასე არ იყო?

ჰოდა, ზუსტად ოთხ დღეში, როგორც კი ფული საჭირო ანგარიშზე ჩაირიცხა, პაპუნას თავისი საქმის ხელახალი განჩინება ეჭირა ხელში, რომელზეც მისი უკანონო დაპატიმრების და გამართლების ამბავი იყო მოთხრობილი. ნიკას უფლება ეძლეოდა, ისევ საკუთარი გვარ-სახელით გამოჩენილიყო საზოგადოებაში, მაგრამ რატომღაც, არ ისურვა და ახალი სახელითა და გვარით მოევლინა თავის ახალ, ვინ იცის, საით მიმავალ ქვეყანას.

ლადომ, რომელსაც ნიკა ციხეში ეგონა, გადაწყვიტა, გადაემოწმებინა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მართლაც ნიკა ბერიძე შენიშნა თუ მოეჩვენა. და რომ უთხრეს, ნიკა ბერიძე ციხიდან რაღაც ერთ თვეში აორთქლდაო, მთლად გაგიჟდა. ვენერა კი, რომელიც მთლიანად თავისი გაბუშებული ქალიშვილის საზღვარგარეთ გასტუმრებაზე ფიქრობდა და ქმრისთვის არ სცხელოდა, რა თქმა უნდა, არაფერს უსმენდა და ქმრის გაავებულ, სხაპასხუპიან საუბარს ყურებში ატარებდა. ის საძინებელში, სარკის წინ იდგა და მაკიაჟით იყო დაკავებული.

_ ქალო, მე ვინა ვარ ამ ოჯახში, გესმის, რას გელაპარაკებიან? _ დაეტაკა ლადო იმ დილასაც თავის დამუნჯებულ მეუღლეს.

_ მე რა გიშველო, მერე, ლადო? მე შენი დიდი ხანია, აღარაფერი მესმის. შენ ხან ძაღლებს დასდევ, ხან ალპინისტობა გინდა, ხან უშბაზე უნდა ამოყო თავი, ხან მღვიმეებში მარგალიტებს აგროვებ და სად გეძებო, რომელ მკითხავს მივაკითხო, ვიცი?

_ მარგალიტები აქ არ მყავხართ, შენ და შენი ქალიშვილი? რა მინდა მღვიმეში!? _ წაუკბინა ქმარმა.

“ღირსი არაა, ყველაფერი პირში მივახალო?” _ გაივლო გუნებაში ვენერამ და საწოლში მოკოტრიალე ქმარს უსიტყვოდ მიაჩერდა.

_ ჰო, ჰო, ნამდვილად ის იყო, ნასვამი, შუა ქუჩაში!

_ იყო და იყოს, რა უნდა დაგაკლოს, ვერ გავიგე! _ მიაჩერდა ქმარს ვენერა ტრილიაჟის სარკიდან.

_ როგორ თუ რა უნდა დამაკლოს?! ის ჩემი გვარისაა და ჩემი სისხლისაა, ქალო!

_ ჰოდა, ყველა ერთად უნდა გადაგაბათ და გადაგყაროთ კაცმა მტკვარში! _ უპასუხა ვენერამ.

_ მტკვარში არა, არაგვში. მომისმინე! _ პიჟამო ამოიცვა ლადომ.

_ ჰო, _ მიუგდო ვენერამ.

_ დაცვის გარეშე, არც შენ და არც შენმა ქალიშვილმა ფეხი არ გაყოთ გარეთ ან სულაც, ნუ გახვალთ, გასაგებია?

_ რას ნიშნავს, ლადო, გარეთ ნუ გავალ? რა ვაკეთო შინ მარტომ? ჰო დავიხუთე?

ლადოს, რომელიც ამ დროს სარკეში იყურებოდა, ცოლის ბოლო სიტყვები არ გაუგონია, რადგან სარკიდან საკუთარი თავი კი შემოჰყურებდა, მაგრამ ის, რასაც ლადო ხედავდა, არავითარ რეალობას არ შეესაბამებოდა: ლადოს თავზე, ორი პატარა, შავი რქა წამოზრდოდა. თვალებს არ უჯერებდა. ხელი მოივლო თავზე და არ წააწყდა?!. დიახ, ორი პატარა რქა ედგა და ხელითაც კი ისინჯებოდა. ის მაშინვე გაგიჟებული მიუბრუნდა ვენერას, მკლავებში სწვდა და შეანჯღრია.

_ რა დაგემართა? _ გაფითრდა ვენერა.

_ შემომხედე, ქალო, შემომხედე, ვერაფერს მამჩნევ? _ დაიღრიალა ლადომ.

_ რა უნდა შემემჩნია? _ შეხედა შეშინებულმა, გაავებულ ქმარს ვენერამ.

_ თავზე შემომხედე, თავზე! ვერ ამჩნევ ვერაფერს?_ დაუღრიალა ქმარმა.

ვენერამ შეხედა ქმარს თავზე, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

_ ვერაფერს... _ ამოიკნავლა შეშინებულმა. _ გამიშვი ხელი, ნუ დამამტვრიე მკლავები.

_ როგორ, რქებს ვერ ხედავ? _ დაიღრიალა ისევ არაადამიანურ ხმაზე ლადომ.

“ვაიმე!” _ გაფითრდა ვენერა. რქებს, რა თქმა უნდა, ვერ ხედავდა, თუმცა ქმარს დიდი ხანია, ატყუებდა და, ალბათ, ბაზრობაზე თუ შეგვნიშნა ვინმემ, ორი წუთით ნეკჩაკიდებული რომ დავდიოდიო ტარიელთან (ლადოს მძღოლთან), _ გაიფიქრა.

_ რქეებს? _ არ იცოდა, რა ეთქვა ვენერას... _ რომელ რქებს, გადაირიე?!

ლადომ კი ხელი მოივლო ისევ თავზე. არა, რქები თავის ადგილზე ჰქონდა. ნამდვილად.

_ აი, ამათ, ამათ! _ იტაცა ორივე ხელი ლადომ რქებზე.

_ ლადო, ჩვენ ათასი მტერი გვყავს, _ გულზე ხელი მიიდო ვენერამ, _ შენ თუ ვინმემ რამე ჩაგაწვეთა და ყველას დაუჯერე, მაშინ აიღე დანა და პირდაპირ ყელი გამომღადრე, რაში გჭირდება მაგ სისულელეების ლაპარაკი და თავზე რქების ჩვენება?!

_ როგორ, მაშ, რქები არ მადგას მე ამწუთას თავზე? _ მთლად გაგიჟდა ლადო და ისევ სარკეს ეცა. მელოტი თავი, საერთოდ, როგორც ჰქონდა მოსუფთავებული, ისევ ისეთი დახვდა. _ არაა?

ვენერა კი შეტევაზე გადავიდა:

_ იმიტომ, რომ სკდები და რასაც დაინახავ, ყველაფერს მუცელში ისხამ! გამოტოვე ერთი-ორი დღე, არ შეიძლება? რქები! მე რომ რქები მადგას, მე? ამ უბანში იმხელა რქები არავის ედგმება, ხომ ვიცი, არა?

ლადო კი იდგა ხმაგაკმენდილი, სარკის წინ და ისევ თავზე ისვამდა ხელს, ვერაფერი გაეგო და ისევ ცოლს მიუბრუნდა.

_ არა, არ მომჩვენებია, დამიჯერე, ნაღდად რქები მედგა, ჰო, ჰო, პატარა, შავი რქები!

_ მჯერა, ვიცი, რა სატანაცა ხარ, აღარ გინდა! _ უპასუხა ვენერამ და გახარებულმა, რომ ყველაფერმა მაინც მშვიდობიანად ჩაირა, შეეკითხა: _ ბიჭო, ხომ არ ჩამკეტავ შინ, გადაგიარა?

_ არ ვიცი, არ ვიცი, სანამ საბოლოოდ დავაზუსტებ, ფრთხილად იყავი!

ამ დროს სარკის წინ დადებულმა ლადოს მობილურმა დარეკა.

_ ჰო! _ ლადომ მოუსმინა და ტელეფონი ხელში შეაცივდა. მერე ცოლს შეხედა, პირი გააღო, რაღაცის თქმა უნდოდა.

_ რა დაგემართა? _ შეეშინდა ვენერას.

_ მოდით, თქვენ ბოზ ქალიშვილს მიხედეთ, შვიდი თვის ფეხმძიმე რომ ყოფილაო!.. დათო იყო! _ გადარეული უყურებდა ცოლს ლადო, _ მართალია?

“დაგვასწრო, გაიფიქრა ვენერამ, _ დაგვხოცავს!”

_ მოვკლავ! _ თქვა ლადომ.

_ ვის? _ მეხი დაეცა ვენერას.

_ ყველას, ვინც მოსაკლავია! _ დაუღრიალა ლადომ _ შენ _ პირველ რიგში!

_ მაგრად აგივარდა, შენ, რაღაც თავში! _ ვენერა მიხვდა, ცუდად რომ იყო საქმე და რომ არ უნდა დაეთმო ქმრისთვის. _ გგონია, მუდამ შეგრჩება?!

_ მომიყვანე აქ ჩემი შვილი! _ დაუღრიალა ლადომ. _ დღესვე! ახლავე!

არადა, დალილა ხუთზე მიფრინავდა. რაღაც უნდა ეღონა ვენერას, მაგრამ რა? როგორც კი ლადო გაიგულა, შვილს გადაურეკა. სასწრაფოდ გაქრი, ისე, რომ შენი ადგილსამყოფელი ეშმაკმაც არ იცოდესო. დალილამაც მოხვეტა თავისი ფერუმარილი და "ტრიაპკები". სამგზავრო ჩემოდანშიც ჩაყარა. თითქოს ყველაფერიც გაითვალისწინა. მას დათო სამსახურში ეგონა. მანქანის გასაღების აღებაც კი მოასწრო, რომ ქმარმა კარი შემოაღო და შემოსასვლელში თავის ცოლს არ გადაეყარა, გასაქცევად მომზადებულს?

ალიყურმა, რომელიც დალილამ იწვნია, ქალის ისეთი გაცოფება გამოიწვია, დათო ვერაფრით წარმოიდგენდა. ქალმა "ველურო, ველუროს" წივილით ჯერ შუბლში გლიჯა მუშტი, მერე კი ქმარი კარს მიაჭყლიტა და ჩურჩხელის კაკლებში მუხლის კვერი ისეთი ძალით ამოსცხო, დათოს სუნთქვაც კი გადაეკეტა. თუმცა მაინც მოახერხა, ცოლი თმით დაითრია და გულის კოვზთან დაარტყა. რამდენიმე წუთი, დალილა, როგორც მკვდარი, ისე ეგდო იატაკზე. დათო შეშინდა კიდეც _ ხომ არ მოვკალიო?! _ მაგრამ როცა მთელი ქვაბი ცივი წყალი გადააქცია და ქალმაც თვალი ჭყიტა და ღრმად ჩაისუნთქა, შიშმა გადაუარა.

დათომ კარი შიგნიდან გადაკეტა.

_ ვინ გეგონეთ, ვითომ?! კურდღელი, არა? დედითქვენისამ, აი! _ და სახლის გასაღები შარვლის ჯიბეში ჩაიდო. _ უჩემოდ გინდათ, არა, გადაჭრათ პრობლემა, მე კი ხვიშტი გამირჭოთ! მამა გიცხონდათ ფეხს ვერ გაადგამ ვერსად!

_ რას მიპირებ? _ შეეკითხა დალილა, რომელსაც გულზე ხელი მიედო, რადგან გულის კოვზი სტკიოდა და ფეხებგაჩაჩხული, მუცელგადმოგდებული, იატაკზე იჯდა.

_ მოკვლას, სხვას რას?! _ დაადგა დათო თავზე და ფეხი მოუღერა. დალილამ სახეზე ხელები აიფარა. _ რას მომყვებოდი, თუ ორსულად იყავი, რატომ? სხვის გველს აჩენდი და ჩემთვის უნდა შემოგეტენა, არა?!

_ მაპატიე! _ ამოილუღლუღა დალილამ, რომელსაც მართლაც, ეშინოდა უკვე ქმრისა.

_ წეღან ყვერებში რომ ამომცხე, არ გეშინოდა და ახლა კვდები, არა? _ თავზე ადგა ცოლს დათო. _ რა გავაკეთო, სად წავიდე? ძლივს რაღაც ავაწყვე. რატომ მომყვებოდი, რატომ?! გეგონათ, გადამივლიდით "კატოკივით", არა?! მამით შემაშინებდი... ცალ ფეხზე მკიდია მამაშენი, იმიტომ, რომ თავის მოკვლა მინდა. რატომ გადამახდევინეთ იმხელა ქორწილი, რატომ?! ვინ გამოვდივარ!.. ყვერი, არა, ჭუჭუ, ნაბიჭვარი... მიპასუხე!

_ მაპატიე! მაპატიე! _ დაუღრიალა უცებ დალილამ.

_ მაინცა ყვირი! მაინცა ყვირი, არა?! _ ისევ მოუღერა წიხლი, მაგრამ ვერ ჩაარტყა.

_ ჩამომახრჩე! მომკალი! რაც გინდა, მიყავი! _ გამხეცებული ცხოველებივით უყურებდნენ ერთმანეთს მეუღლეები.

ეს რაღაც ჩიხი იყო. გამოუვალი სიტუაცია. არც ის იცოდა დათომ, უნდა გაეშვა ცოლი თუ უნდა დაეტოვებინა. გარეთ, არც ისე და არც ასე, აღარ გაესვლებოდა. თავზე ისეთი ლაფი ედო, საფლავამდე რომ უნდა ეტარებინა. პირველს გასცილდა და ამ მეორემ კიდევ... კი, ბევრს ცალ ფეხზე ჰკიდია თავმოყვარეობა. აქამდე დიდად არც დათო იკლავდა ასეთ ცნებებზე თავს, მაგრამ ახლა, როცა მთელი სიშიშვლით შეეჯახა, ახლა ვერც საკუთარი თავისთვის ეპატიებინა ასეთი დამცირება და ვერც, მით უმეტეს,

ცოლისთვის. ან სად წასულიყო, მართლაც?! რაღაც “უპაზორნესი” რამე დაემართა. მოკლავდა კიდეც, არ დაინდობდა, მაგრამ ციხისა ისე ეშინოდა!..

აი, ასეთ მწვავე სიტუაციაში არ მოაზარა ვიღაცამ კარზე?!

დალილას გაუხარდა. დათოს ეწყინა. საჭვრეტში გაიხედა. კართან დედამისი იდგა, მანანა. ტორტიანი სინით ხელში. დათომ გაუღო და შეუშვა. დალილა ისევ ისე იჯდა იატაკზე ფეხებგაშვერილი და მუცელგადმოგდებული. მანანამ დალილას გვერდი აუარა, ტორტი სამზარეულოს მაგიდაზე დადო და გამოვიდა.

_ თქვენ ისევ თქვენი “გამიშვი-დამიჭი” გაქვთ გახურებული? _ შეეკითხა ირონიულად ცოლ-ქმარს.

_ ხომ გეუბნებოდი, ნაბიჭვარს აჩენს! დააკვირდი, რამხელა მუცელი აქვს! _ ჩაუშვა იმწამს დედასთან ცოლი ქმარმა.

მანანას ჯერ ეგონა, რომ მოესმა შვილის ნათქვამი. ვერაფრით მიხვდა, რა აზრით თქვა ეს ფრაზა მისმა შვილმა. დალილა კი იჯდა და ველურივით ხან ერთს შეხედავდა და ხან _ მეორეს...

_ რაო, რაო? რა ნაბიჭვარს, ვერ მივხვდი?! მართლა?

_ შეხედე, რამხელა მუცელი აქვს, მეშვიდე თვეში ყოფილა ქალბატონი! ნაბიჭვარს აჩენს, ნაბიჭვარს! _ დაუღრიალა დათომ. _ “ეხომ” აჩვენა. ბიჭი ჰყავს!

_ მკლავს! _ შესჩივლა დალილამ.

_ არ არის მოსაკლავი? _ დაიღრიალა დათომ.

არ ვიცი, დედის ინსტინქტმა იმუშავა თუ მამაკაცის გამხეცებამ იმოქმედა ასე: მანანამ შვილს შემოსასვლელი კარისკენ მიუთითა.

_ გაეთრიე, მხეცო! შენ თვითონ ნაბიჭვარო! ჩქარა!

დათო ისე გააოცა დედის გაცოფებამ, ენა მუცელში ჩაუვარდა.

_ მე მეჩხუბები, დედა?! ამას იცავ, ამ გველს? სხვის შვილს აჩენს, დედა!

_ გაეთრიე! ჩქარა! _ იმხელა იკივლა მანანამ, თავისი ხმის თვითონვე შეეშინდა. მერე კი კარი გამოაღო და შვილს ხელი ჰკრა. _ წადი, წადი, შენს ბიზნესს მიხედე, ამას მე მოვუვლი!

_ თქვენ რა, შეკრულები ხართ? _ ესღა თქვა დათომ და დედამ ცხვირწინ მიუჯახუნა კარი. “მაინც მოვკლავ”, _ გაიფიქრა და კიბეზე დაეშვა.

დალილა წამოდგა და სამზარეულოში შელასლასდა. მანანა მაგიდასთან იჯდა, ხელის გულზე ნოშპას აბები დაედო, მეორეში კი წყლიანი ჭიქა ეჭირა.

_ წადი! _ უთხრა მან მშვიდად დალილას.

_ მივდიოდი და არ გამიშვა... _ თქვა დალილამ.

_ წადი! _ გაუმეორა მანანამ.

დალილამ მოკიდა თავის ჩანთას ხელი და კარი გაიკეტა. წავიდა.

ლადომ, დაცვას უბრძანა, არავინ გამეკაროსო და ჯიპ “ჩეროკით” ბარნოვიდან ცენტრისკენ მარტო აწვებოდა. კი არ აწვებოდა, მიფრინავდა. ლადო ის კაცი არ იყო, სასწაულების რომ სჯერა, მაგრამ თავზე ხელს მაინც მალ-მალე იკიდებდა, იმდენად ცხადი და აშკარა იყო დილის ზმანება. ახლა კი მეორე სასწაულიც მოხდა. ლადო უსაფრთხოების ბალიშმა სავარძლის ზურგს მიაჭყლიტა. ძროხა კი, რომელიც ეგონა, მოელანდა, მის გვერდით იჯდა და გაუთავებლად, “მუუ-მუუს” ბღაოდა. ალბათ ფეხები ჰქონდა მომტვრეული. ლადოს მარცხენათი საჭე ჩაებღუჯა, მარჯვენაში კი ძროხის მომტვრეული რქა ეჭირა. გარშემო უამრავი ხალხი დარბოდა, ზოგი იცინოდა, ზოგი კი გაკვირვებული და განცვიფრებული იმზირებოდა მანქანის სალონში. ლადოს უნდოდა, დაეყვირა: წადით, რას მიყურებთ, მომწყდით თავიდანო, ხელიც უნდოდა მოექნია და

ძროხის მომტვრეული რქა მოესროლა, მაგრამ ვერც ხმას იღებდა და ვერც ხელს ატოკებდა. ვერც ის გაეგო, რა სჭირდა. იყო ასე გაშეშებული და თვალსაც კი ვერ ახამხამებდა. ძროხამ კი თავი მოაბრუნა და ყურში ჩაზმუვლა: მუუუუუ! აი, სიზმარიც ამიხდაო, _ გაიფიქრა ლადომ და გაითიშა.

გონს მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა. თვალი გაახილა და თავს დამდგარ ვენერას განრისხებულ შუბლს წააწყდა. დამძიმებულიყო. ხელის გატოკება სცადა და ვერ გაატოკა. შეხედა თავის ხელს და დაინახა, რომ დაბინტული ჰქონდა და ბელადივით აწეული, როგორც ისინი ბრბოს ესალმებიან. მეორე ხელი კი გვერდით ესვენა და ვერც იმას ატოკებდა.

_ მთლად დაჩეხილი ხარ, ბიჭო! _ ახარა იმწამს ვენერამ.

_ ტრაკში, ტრაკში რა მაქვს გარჭობილი? _ ყველაზე მეტად რამაც გააგიჟა, ის იკითხა ლადომ ჩურჩულით.

_ მოისვენე! ისეთი არაფერი, რეზინის მილია, კუჭში გასასვლელად, _ უპასუხა ვენერამ და სველი ბამბით ტუჩები მოწმინდა.

_ რქა? _ რატომღაც რქა გაახსენდა ავადმყოფს.

_ რქა? _ გაუკვირდა ვენერას. _ ძლივს წაგართვეს, ისე გქონდა ჩაბღუჯული! გახსოვს?

_ მახსოვს, რომ ხელში მეჭირა, _ თავის წამოწევა უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. _ რატომ ვარ გაშეშებული, რა მჭირს, რა მოხდა?

_ ავარია მოგივიდა. ნუ ცქმუტავ!

_ ავარია? _ შუბლი შეეკრა ლადოს. _ რა დროს ავარია იყო, გაგიჟდი?!

_ ეგ შენ უნდა გკითხოს კაცმა, სად მოძებნე შუა ქალაქში ძროხა. გიჟივით რომ დადიხარ, იმის ბრალია. რაღას უხდი იმ კაცს ფულს, თუ საჭესთან არ დასვამ?

და ლადოს გაახსენდა. გაახსენდა, როგორ აფრინდა მის თვალწინ ძროხა ჰაერში და როგორ შეუვარდა სალონში. ისიც გაახსენდა, როგორ ეჭირა მისი მოტეხილი რქა ხელში და თავიდან რომ ვერ იცილებდა...

ექთანი შემოვიდა. ხელში გამზადებული ნემსი ეჭირა.

_ მოგონდა, _ უთხრა ვენერამ. _ ლაპარაკობს...

ექთანმა არაფერი უთხრა. ავადმყოფს შუბლშეკრულმა დახედა. მერე ნემსი გაუკეთა, ლადომ ისიც ვერ იგრძნო, სად ჩაჰკრა. ექთანმა ნემსი ოსტატურად ისროლა ურნაში და გავიდა.

_ რატომ არაფერი თქვა? სადა ვერ? _ იკითხა მან და ერთხელ კიდევ სცადა გატოკება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

_ "მიხაილოვში"... _ უპასუხა ვენერამ.

_ რა მჭირს, რატომ ვერ ვტოკდები? _ ამოილუღლუღა ავადმყოფმა.

და ვენერას უეცრად ტირილი წასკდა. ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლი, რომელსაც ცხვირსახოცით იმშრალებდა.

_ ხომ მიაღწიე შენსას, ხომ გამოითხარე, რაც გინდოდა?! მეც დამღუპე და შენი თავიც... ყველაზე მაგარი ვარ! პირველი! პირველი! _ გამოაჯავრა ვენერამ და გაჩუმდა.

ლადოს ვერ აეხსნა ვენერას საქციელი.

_ მკვდარი ვარ თუ ცოცხალი? _ ჰკითხა და პასუხს დაელოდა.

_ მკვდარი ხარ, მკვდარი! _ უპასუხა ვენერამ და ისევ აღრიალდა.

ლადო ვერ მიხვდა, რა უნდოდა ცოლს მისგან. ან რა აღრიალებდა, ან რატომ იყო მკვდარი, როცა ცოცხალი იყო და ლაპარაკობდა. ვენერა, როგორც იყო, გაჩუმდა, მხოლოდ თავისთვის სლუკუნებდა.

ლადომ ახლაღა დაინახა, რომ ორი წვეთოვანა ედგა. თუმცა, რაც სჭირდა არ იცოდა და ცოლიც რაღაც სხვანაირად "უკრავდა".

ექთანი ისევ შემოვიდა. ისევ ისე პირგამეხებულმა გაუკეთა ნემსი და გავიდა. ლადომ ისევ ვერ იგრძნო, სად ჩაჰკრეს ნემსი...

ვენერა ისევ ატირდა. ლადო გაგიჟდა, უნდოდა, ებღავლა, ეყვირა, რას დამჩხავი ყვავივითო, მაგრამ პირიდან რაღაც ხავილი ამოუვიდა და დადუმდა.

_ მოვკალი ვინმე? _ იკითხა, როგორც კი ვენერამ პატარა პაუზა გააკეთა.

_ ძროხა! _ უპასუხა ვენერამ და დააყოლა. _ და შენი თავი, _ და პალატიდან გავიდა.

“ძროხა და ჩემი თავი”... ლადო ვერაფერს მიხვდა. ან როგორ მიხვდებოდა? ტრანკვილიზატორებით იყო გაჭყეპილი! ვენერამ გადაკვრით მიანიშნა. ლადო მკვდარი იყო. არა, ცოცხალი იყო, მაგრამ ერჩია, მკვდარი ყოფილიყო. ხერხემლის მალები ჰქონდა ჩაშლილი. მართალია, ხელი ბელადივით ჰქონდა აშვერილი, მხოლოდ ლაპარაკი და აზროვნება შეეძლო, სხვა ყველა იმპულსი კი დაკარგული ჰქონდა. მოკლედ, სიკვდილზე უარესი რამ სჭირდა და არ ეუბნებოდნენ.

პირველი, რასაც პაპუნა მიხვდა, ის იყო, რომ მის ქვეყანაში, საზოგადოების ოთხმოცი-ოთხმოცდაათი პროცენტი იმას კი არ ფიქრობდა და აკეთებდა, რაც უნდა ეკეთებინა, არამედ ტვინი ისეთ აბსტრაქტულ ცნებებზე უხურდა, რისაც არაფერი გაეგებოდა და საერთოდაც, მისი საქმე არ იყო. და რომ ამ სიგიჟეს სპეციალურად უწყობდა ხელს, როგორც ხელისუფლება, ასევე მასმედია. მათ არავინ ეუბნებოდა _ ხალხო, გეყოფათ, დაანებეთ ამ სიშლეგეს თავი, ამ გაუთავებელ კაკაფონიას _ ვინ რატომაა ცუდი და ვინ რამდენს იპარავს, თქვენ თავს მიხედეთ, თქვენს ეზოს, სახლ-კარს, ახლობლებს, თქვენს საყვარელ საქმეს. მოკლედ, ხალხსაც და ქვეყანასაც, გარეშე თუ უცხო, მტერი თუ მოყვარე, თავის ხოშზე აბურთავებდა, გამკითხველი კი არავინ იყო. პაპუნა იმასაც მიხვდა, რომ ეს ის ქვეყანა იყო, სადაც პროგნოზები დღეში ცხრაჯერ იცვლებოდა და ვერც იმას გათვლიდა კაცი, ხვალ თავში ვის რა დაარტყამდა და როგორ მოიქცეოდა.

რა მისია უნდა ეკისრა, ასეთ ქვეყანაში ჩამოსულ, ერთ დროს სამშობლოზე ასე განაწყენებულ პაპუნას? დაიბნა და მის ადგილზე, ალბათ, ყველაც დაიბნეოდა.

მოკლედ, პაპუნა მშვენივრად მიხვდა, რა ქვეყანაშიც ჩამოვიდა, არც იმის სურვილი ჰქონდა, თვალში ვინმეს მოსჩხეროდა და არც თავისუფლების დაკარგვა უნდოდა. ამერიკაში მილიონერების მეტი ვინ იყო, მაგრამ ისე დააბიჯებდნენ ხალხში, როგორც გაუხარდებოდათ. აქ კი, ნებისმიერ უტვინო და გაუმაძღარ ჩინოვნიკს ლამის მთელი ჯარი დაცვა დაჰყვებოდა. აქ, ამ ქვეყანაში ხომ არავინ არაფერი უწყოდა მისი და მაკარტნების ქალიშვილის ურთიერთობის შესახებ და ისიც თავისუფლებით ტკბობას ამჯობინებდა. სასტუმრო გამოიცვალა, საბურთალოზე გადავიდა და იაპონური “ჰონდა-სივიკი” იქირავა. კახას ხელფასი დაუნიშნა და თავისი საიდუმლოც გაანდო.

_ ყველას საკადრისი მინდა მივუზღა, ყველას!

მეტი არაფერი თქვა, კახა ისეც მშვენივრად მიხვდა, ვის გულისხმობდა პაპუნა ამ “ყველაში”. მაინც ჰკითხა:

_ უნდა დახოცო?

_ დავხოცო? _ გაუკვირდა პაპუნას. _ რატომ? პირიქით!..

აი, რას გულისხმობდა პაპუნა ამ “პირიქითში”, კახა უკვე ვერ მიხვდა და _ რაიმე სისულელე არ წამოვროშოო _ არც აღარაფერი ჰკითხა.

_ არ მიუღიათ, არა, ჯერაც, ლუსტრაციის კანონი? _ იკითხა პაპუნამ.

_ რაში გაინტერესებს? _ ვერ მიუხვდა კახა.

_ რა, აღარ მოვიდა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას? მოღალეტეს _ მოღალატისა და მამულიშვილს _ მამულიშვილისა... შენ ხომ კარგად იცი, რომ

თითქმის ყველა მაღალ თანამდებობაზე სამშობლოს გამყიდველი ანუ “კაგებეს” წევრი იჯდა? ვფიქრობ, დავალებულიც კი ჰქონდათ, ყველა ქარხანა თუ ფაბრიკა ასეთი სისწრაფით რომ გაეპარტახებინათ. მაღალფარდოვნად ვაჩმახებ, არა? ვეღარ დაძღნენ ხალხის სისხლით.

_ ვის გულისხმობ?

_ ყველას, ვინც ჩვენი სისხლი დალია და სვამს.

_ შენ ხომ არ გარეკე ცოტა?! _ გაუბედა კახამ.

_ ჰო, ვინ იცის! მე ქვეყნის საქმე მინდოდა მეკეთებინა, ამათ კი ციხეში მიკრეს თავი... კაი, მოვრჩეთ. მოკლედ, ხომ მიხვდი, ღმერთის იმედზე ვერ დავრჩები. წახვალ და ორ დღეში ყველას დოსიეს მომირბენინებ.

_ სამ დღეში რომ იყოს? _ შეეკითხა კახა.

_ კაი, სამ დღეში, დამანებე თავი, წადი!

ერთ საათში პაპუნა თავის კარგა ხნის უნახავ შვილს უნდა შეხვედროდა. ნერვიულობდა, რა თქმა უნდა.

_ შეიძლება, მეგობრები წამოვიყვანო? _ შეეკითხა თეონა ტელეფონში და პაპუნა მიხვდა, რომ მისი შვილი ბევრად დამოუკიდებელი გამხდარიყო. უკვე თავისი წრე აქვს, თავისი ცხოვრება.

_ შეიძლება კი არა, ძალიან კარგი იქნება! _ წაათამამა მამამ შვილი.

ისინი ზემელზე, რუსთაველის ძეგლთან შეხვდნენ ერთმანეთს. პაპუნას ლამაზი იტალიური კოსტიუმი და შავი, მოკლე მსუბუქი პალტო ეცვა. პირველი მივიდა _ გოგონები არ ვალოდინოო.

მოვიდნენ. სამნი იყვნენ. სამივენი საოცრად ლამაზები, როგორც მათ ასაკს შეჰფერის. თბილად, ძალიან თბილად ჩაეხუტა მამა-შვილი ერთმანეთს. დაქალებს ცრემლი მოადგათ თვალზე.

_ აბა, მოგეწონე? _ შეეკითხა გამომცდელად თეონა, რომელსაც პლუშის ნაცრისფერი ქვედაბოლო და ცისფერი “კურტკა” ეცვა. პაპუნა სახეში ჩაჰყურებდა. თეონას თვალები დაეხატა. წარბებსაც იპუტავს, დაასკვნა _ პაპუნამ.

_ სულ დედაშენს დამსგავსებიხარ... _ უპასუხა და მის დაქალებს გაუღიმა.

_ კი, მამსგავსებენ... _ გაიცინა თეონამ. _ შენ კი სულ არ შეცვლილხარ.

_ კი, მეუბნებიან, _ უპასუხა პაპუნამ.

_ ესენი ჩემი თანაკურსელები არიან. ლელა და ირმა. სამეულს გვეძახიან... _ გააცნო თეონამ მამას მეგობრები. პაპუნამ გოგონებს ხელი გაუწოდა, კოცნა კი ვერ გაუბედა. გოგონები დაკვირვებით უმზერდნენ.

_ სად უნდა წაგვიყვანო? _ შეეკითხა თეონა მამას.

_ სადაც გინდათ, სად გირჩევიათ? _ შეეკითხა პაპუნა.

_ ბოულინგ-კლუბში შეგიძლია? _ ტუჩებთან მუჭი მიიტანა თეონამ.

_ ბოულინგ-კლუბში? _ წარბი ზემოთ აზიდა გაკვირვებულმა პაპუნამ. _ თქვენ მალე კაზინოსაც მომთხოვთ.

_ არა, არა... გვაინტერესებს, თანაც... იქ სხვა არავინ წაგვიყვანს, _ ეშმაკურად აიწურა თეონა.

_ წავიდეთ! _ გაეცინა პაპუნას და მანქანის კარი გამოაღო...

ბოულინგ-კლუბიდან გვიან გამოვიდნენ.

_ კმაყოფილი ხარ? _ ჰკითხა შვილს პაპუნამ.

_ მაგრად გაასწორა! _ თვალი ჩაუკრა თეონამ.

_ მინდა, ხვალ მოგაკითხო და ელისოსთან წავიდეთ, _ უთხრა პაპუნამ.

_ უნივერსიტეტში მომაკითხე, რა, ბავშვებს წავემარიაჟები, კარგი? _ შეეხვეწა თეონა.

_ კარგი. მაგრამ ალბათ, მაგ შენი "სიაფანდი" უნივერსიტეტის გამოცვლა მოგიწევს.

_ არა, რა! _ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად წამოსცდათ ლელას და ირმას.

_ მართლა? სად უნდა ვისწავლო? რომელში?

_ ყველაზე, ყველაზე საუკეთესოში. მაგრამ ჯერ მაგრად უნდა მოემზადო.

_ მოვემზადები, თავს მოვიკლავ! _ დაპირდა თეონა.

_ ჰოდა, ძალიან კარგი!

პაპუნამ გოგონები მანქანაში ჩასხა და სახლებში ჩამოარიგა. კმაყოფილი დარჩა. თეონა მაგრად გაზრდილიყო. არც მეშჩანობა ემჩნეოდა და თითქოს მისი იუმორიც კი ჰქონდა.

მეორე დღეს ისინი ელისოს სანახავად წავიდნენ. თავშესაფარი, რომელიც ლისის ტბასთან აშენებულ ორსართულიან ყაზარმის მსგავს შენობაში იყო განთავსებული, უგემურ შინდისფერში იყო გადაღებილი თუ გადათხაპნილი. ეზოსთვის მეჩხერი ხის მესერი შემოევლოთ. ალაყაფის კარი დარაჯმა გაუღოთ, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა და ყურებიანი ქუდი ეხურა.

_ ვინ გნებავთ? _ ჰკითხა მან მამა-შვილს მშვიდად.

_ ელისო სალაძე, _ უპასუხა პაპუნამ.

_ ელისო? _ რატომღაც მაგრად გაიკვირვა დარაჯმა.

_ რა? _ შეშინდა პაპუნა. ვაითუ რამე დაემართა და არავინ მოაკითხაო.

_ არა, არაფერი. რა ხანია არავის მოუკითხებია და, რა ვქენი ისეთი, გამიკვირდა, რა! _ ცოტა წაუაგრესია დარაჯმა და ხელი აუქნია. _ შემოდით, რას დადექით, ყველას ვუშვებ მაინც და, რაღას დამაყენეს აქ, არ ვიცი.

შევიდნენ თუ არა ეზოში, მათკენ ისეთი გაავებით და ღრენა-ყეფით გამოენთო საშუალო სიდიდის მოყავისფრო ძაღლი, რომ ორივეს გული გაუხეთქა. მაგრამ ძაღლი ჯაჭვით მიწაზე დამაგრებულ "კატოკის" მავთულზე ყოფილიყო გამობმული და მათამდე ვერ მიაღწია, თუმცა გაავებულმა ლამის ხრიალი დაიწყო, რატომ ვერ ვწვდებიო.

_ არ შეგეშინდეთ, არ იკბინება. ტუტუცია, ასე იყეფება და ხრიალებს, თითქოს რამის შნო ჰქონდეს. ჰაიტ! _ შეუძახა ძაღლს დარაჯმა და მოსულებს მიანიშნა. _ იმ კარში უნდა შეხვიდეთ!

ეზოში, მარცხნივ, მწკრივზე, კვიპაროსები დაერგოთ. აქეთ კი ეულად იდგა ფიჭვი, რომლის გარშემოც ძელსკამი გაეკეთებინათ. სკამზე მოხუცებული ქალი იჯდა, ხელში წკეპლა ეჭირა და მიწაზე რაღაცას ხაზავდა. მან სტუმრებს ერთი კი გამოხედა და ისევ თავის მიწას ჩააშტერდა. ნისლიანი დღე იყო, წამოცრას რომ აპირებს, ისეთი.

პაპუნა და თეონა ვიწრო კორიდორში აღმოჩნდნენ. პირდაპირ კედელზე კედლის გაზეთი იყო აკრული. "ცისარტყელა" _ ფერებით იყო სათაური დახატული. სათაურის ქვეშ კი დიდი შავი ასოებით ეწერა: "ვინ გვარცხვენს" და გვერდით საქართველოს პრეზიდენტის სურათი იყო მიკრული. მამა-შვილი გაკვირვებული მისჩერებოდნენ კედლის გაზეთს.

პაპუნამ აქეთ-იქით გაიხედა და მარცხნივ კიბის უჯრედი შენიშნა.

_ წამოდი! _ უთხრა თეონას და კიბისკენ წაიყვანა. მაღლიდან რაღაც ხმები ისმოდა.

კიბეზე მოხუცი ქალი ჩამოდიოდა, ხელში სასაპნე და პირსახოცი ეჭირა. ქალი უცხოების დანახვაზე შეჩერდა და რომ გაუსწორდნენ ჰკითხა:

_ თქვენ ვინ გნებავთ?

_ ელისო, _ შეჩერდა პაპუნა.

_ შვილიშვილი ხარ მისი?

_ დიახ, _ უპასუხა პაპუნამ.

ქალმა აათვალ-ჩაათვალიერა.

_ ნიკა?

_ დიახ... _ გაუკვირდა პაპუნას.

_ სულ შენზე გველაპარაკება, შეგვიკლა... _ და თეონას მიუბრუნდა: _ შენ?

_ მე? შვილთაშვილი.

_ არ ვიცი... _ რატომღაც მხრები აიჩეჩა ქალმა. _ ადით, ადით... _ ერთად არიან შეყრილები, მთელი ჯოგი. ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ და მიადგებით.

კიბის თავთან ორფრთიანი კარი დახვდათ, “დირექტორი”. ოქროს ასობით მიეკრათ იარლიყი.

აქ უკვე ფართო კორიდორი დახვდათ. ყაყანმაც იმატა. პაპუნა მიხვდა, რომ რაღაც დარბაზის მსგავსი ოთახის წინ იდგნენ. სწორედ ამ დარბაზის კარი შეაღო და შედგა. რადგან ყველამ, ვინც კი დარბაზში იყო და ისინი კი არც ისე ცოტანი იყვნენ, კარისკენ მოიხედა.

ის, რაც მან დაინახა, არც ისე ადვილი დასახატია. ოთახი, მართლაც, პატარა დარბაზისხელა აღმოჩნდა. მარცხნივ მაგიდები მიეყარათ. ცოტა წინ ერთმანეთზე სკამები მიედგათ და მოხუცთა უმეტესობა ამ სკამებზე ისხდა. მარცხივ, კუთხეში, თუნუქის ღუმელი გაეხურებინათ. მოკლედ, ბოლოში, რაღაც სცენა თამაშდებოდა, რომლის მონაწილე ელისოც იყო.

_ შემოდით და კარი დაკეტეთ! _ ბრძანა შორიდან რეჟისორმა. ბეთჰოვენივით თმაგაჩეჩილმა, ჭაღარა, სამოციოდე წლის კაცმა.

მამა-შვილი ოთახში შევიდნენ.

_ ვისთან ბრძანდებით? _ ეს ისევ რეჟისორი იყო.

_ აი, მაგ ქალბატონთან თქვენ გვერდით რომ დგას... _ უპასუხა პაპუნამ.

შემოსულებს, როგორც ჩანს, ჩრდილი არტყამდათ და კარგად ვერ ჩანდნენ.

ელისომ ხელი მოიჩრდილა და გაკვირვებულმა იკითხა.

_ ჩემთან?

პაპუნა ვერ მიხვდა, საიდან უნდა შემოევლო ხალხისთვის და ან რა ხდებოდა, საერთოდ.

_ ბოდიში, _ მოუბოდიშა ელისომ რეჟისორს და სტუმრებთან რომ მისულიყო, მარჯვნიდან დაუწყო სკამებზე მსხდარ ხალხს გვერდის ავლა.

_ შესვენება ათი წუთი! _ გამოაცხადა რეჟისორმა.

ელისო შეცვლილილიყო, დაპატარავებულიყო კიდეც, მაგრამ ისე მხნედ გამოიყურებოდა, იმ თავის ენერგიას ისევ ისე აფრქვევსო, გაიფიქრა პაპუნამ.

ელისო მიუახლოვდათ და ბებიას შვილიშვილი არ შერჩა ხელთ?

_ უი, ნიკა! _ თქვა ელისომ და გულისპირზე მოიკიდა ხელი, მერე კი თავის რეჟისორს მიუტრიალდა.

_ ბატონო დევი, შეიძლება ვიტირო?

_ იტირე! _ უბრძანა დევიმ.

ელისომ ხელი მოაფათურა, პაპუნამ სკამი შეაშველა, თან გადაეხვია, თან დაჯდომაში წაეხმარა. ელისო ატირდა. ერთი მხრიდან თეონა ეფერებოდა, მეორედან პაპუნა.

ელისომ უცბად თვალები შეიმშრალა და ისევ თავის რეჟისორს გახედა.

_ ბატონო დევი, შეიძლება მოვკვდე?

_ მოკვდი! _ უბრძანა დევიმ.

ელისომ რაღაც ფლაკონი ამოიღო ჯიბიდან, თავი მოხსნა და შიგ რაც იდგა, ერთი ყლუპით გამოსცალა. მერე კი საშინლად დაიჭყანა და მოკვდა.

_ არ დაუჯეროთ, თამაშობს, თამაშობს! _ დაუყვირათ შორიდან რეჟისორმა მამა-შვილს.

_ ჯულიეტა ვარ... _ ჩასჩურჩულა ყურში გადარეულ პაპუნას ბებიამ.

პაპუნა წელში გასწორდა.

_ საგიჟეთში რომ მოვდიოდი ვიცოდი, მაგრამ ასეთში? _ და რეჟისორს შეეკითხა.

_ რომეოც გყავთ?

პირველი რიგიდან ღრმად მოხუცებული ხელჯოხიანი კაცი წამოდგა ფეხზე. პაპუნას ეცნო, მაგრამ ვერ გაიხსენა.

_ მე რუსთაველის სცენაზეც კი მითამაშია, ერთ დროს, რომეო, _ თქვა კაცმა და ხელჯოხი შეათამაშა.

ელისომ ხელი ასწია.

_ ბატონო დევი, შეიძლება რეპეტიციიდან გამათავისუფლოთ?

_ თავისუფალი ბრძანდებით! _ გაათავისუფლა რეჟისორმა.

მალე სამივენი, საბურთალოზე, კაფე “დულსინეაში” ისხდნენ და ნამცხვარს, შოკოლადსა და “კაპუჩინოს” მიირთმევდნენ.

ელისო, ქვემოდან, გამომცდელად უმზერდა მამა-შვილს და ყველაფერზე მოკლე-მოკლე პასუხებს იძლეოდა.

_ ნიკა, რახან შენ გნახე, მე უკვე ნამდვილად შემიძლია მშვიდად მოვკვდე... _ ჩაილაპარაკა ელისომ და შუბლზე მიირტყა ხელი. _ მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემ თავზე...

_ არც მე მანებივრებს ბედი, _ თქვა პაპუნამ.

_ არც მე... _ მხარი აუბა თეონამაც და ამაზე სამივეს გაეცინა.

_ ელისო, შენ იცი, რომ ამერიკაში, შენი ტოლი და შენზე დიდი ბებიებიც კი, ჩვეულებრივ მარიაჟობენ და გათხოვებაზეც კი ფიქრობენ? _ უხსნიდა პაპუნა ბებიას. _ ასე რომ, ეგ შენი სიკვდილის საათი ცოტა შორს უნდა გადასწიო. მე ჩვენი ბინის გამოსყიდვას ვაპირებ და შენც იქ მინდა გადმოგიყვანო. ვინმე ქალს აგიყვან და ის მოგივლის...

_ რა? _ თითქოს ეწყინაო ელისოს. _ რომ ჯულიეტას როლი იმ შტერმა ლუიზამ ითამაშოს? არასოდეს!

_ აუ, არ გადამრიო, ელისო, რა მსახიობობა აგიტყდა ამ სიბერეში, გაგიჟდი? _ სერიოზულად ჰკითხა პაპუნამ.

_ მე მუდამ მსახიობობაზე ვოცნებობდი, ჩვენებმა არ გამიშვეს. ბალერინობაზეც ვოცნებობდი, ტანიც ხელს მიწყობდა. მაგრამ, ჩემებთან ვერაფერს გავხდი... ჰო, ჰო, ვტიროდი კიდეც, მაგრამ არ მატარეს. _ ჩაილუღლუღა ელისომ.

_ ეჰეე! _ გაიცინა პაპუნამ.

_ ბალერინობაზე ყველა გოგო ოცნებობს, _ დაამატა თეონამ.

_ კარგი რა!? _ მიუბრუნდა პაპუნა. _ ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ბებიაჩემი თუ ოთხმოცდაათი წლისა სცენაზე ჯულიეტას როლში უნდა მეხილა, რა სიგიჟეა?

_ გრიმი უნდა გავიკეთო, ბიჭო, გრიმი! _ აუხსნა ელისომ.

_ და თექვსმეტი წლისას დაემსგავსები? რა ყველაფერი თავდაყირა უნდა იდგას ამ ქალაქში, ვეღარ დამთავრდა? _ ჩაიბურტყუნა პაპუნამ.

_ თქვენ იცით, რომ პრეზიდენტიც უნდა დაესწროს ჩვენ სპექტაკლს? _ მოახსენა ელისომ მამა-შვილს.

_ რომელი პრეზიდენტი, კედლის გაზეთზე რომ გყავთ მიხატული, ვინ გვარცხვენს? _ ნიშნი მოუგო პაპუნამ.

_ დიახ, დიახ, ჭკუას რომ არიგებს მთელ ქვეყანას. ჯერ მობრძანდეს, ვნახოთ, ვინ ვის დაარიგებს ჭკუას... _ უპასუხა ელისომ.

ამაზე პაპუნამ გადაიხარხარა.

_ კი, შენ მთელი მსოფლიოს პრეზიდენტებს დაარიგებდი ერთად ჭკუას.

_ დიახ, რატომაც არა? _ სრული სერიოზულობით აზიდა წარბი ელისომ. _ დააქციეს მთელი მსოფლიო, ვინ არის დამნაშავე? ხალხი თუ ეგენი? _ და თეონას შეხედა. _ გყავს ვინმე?

_ ელისო! _ შეიცხადა თეონამ.

_ ელისო, ელისო და ისე გაგექცევა წლები, აღარ არის დრო? _ ეშმაკურად უმზერდა დიდი ბებია შვილთაშვილს, თითქოს უნდა რაღაცაში გამოსტეხოსო.

_ თეონამ ჯერ უნდა ისწავლოს, _ ჩაილაპარაკა პაპუნამ.

_ ჰო, ესენი ბევრ რამეს სწავლობენ, ჩვენ დროს რომ არც დაესიზმრებოდა ქალს... _ თქვა ელისომ.

_ რას გულისხმობ, ბებო? _ მაგრად ეწყინა თეონას.

_ ყველაფერს რაც დღეს ხდება, _ თქვა მკაცრად ელისომ. _ ან დღეს რაც ჩემს თავს არის... ახლა, რომ სულ სრა-სასახლეში მიმაბრძანოთ, მჭირდება? რატომ არ მეკითხებით? დღე-დღეზე სიკვდილმა უნდა მომაკითხოს...

_ შენ თვითონ არ ისურვე, დედამ ხომ გითხრა, ჩვენთან გადმოდიო? _ უსაყვედურა თეონამ.

_ ჰო, ჩემი ბრალია ყველაფერი, _ ნაწყენი იყო ელისო. _ მე ვარ დამნაშავე...

_ ეგ თქვენი რეჟისორი, სპექტაკლს ვინც აკეთებს, ნამდვილი რეჟისორია? _ შეეკითხა პაპუნა. _ უხდიან რამეს?

_ როგორ გეკადრება, ნიკა! ვინ რის გადამხდელია, ქველმოქმედებას ეწევა. მარტო ჩვენთან კი არ დგამს. ინვალიდ ბავშვებთანაც დგამს... ჰო, ნაცარქექიას. ზოგს, რომ იცოდე, თავის "კალიასკით" ათამაშებს... ჰო, ჯერ კიდევ მოიძებნებიან, მარტო თავის თავზე რომ არ ფიქრობენ...

არ ვიცი, სად და როგორ გავწყვიტო ეს საუბარი. რაღაც ისე აღარ იყო, რაღაც ისეთი რამ დაკარგულიყო, რომლის აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო. იქნებ მათი წლოვანებაც იყო ამის მიზეზი. ძველები მიდიან, ახლები მოდიან და ახლებურად აზროვნებენ და ცხოვრობენ. ახლებს ახალი მიზნები აქვთ. ახალი, ახალი, ახალი... ტკივილით კი ისევ ისევე სტკივა ადამიანს, სიხარულითაც ისევე უხარია... გულიც ძველებურადვე სწყდება, მხოლოდ მიზეზია სულ სხვა, მიზეზი... ადრე სამშობლოს დაკარგვა სიკვდილის ტოლფასი იყო. დედის, ძმის... დღეს კი, ვინ იცის? რაღაც გროშების დაკარგვას უფრო მეტად განიცდიან, ალბათ, ვიდრე საკუთარი სამშობლოსი... ვცდები? არ ვიცი, თქვენც იფიქრეთ ამაზე...

_ მოიცათ! მომისმინეთ! აუ, რა ძნელია თქვენთან ლაპარაკი... თქვენა ხართ, ჩუგუნის ტვინიანები, ჩუგუნის! _ ვერაფერს ასმენდა თავის ორ ძმაკაცს სურიკა.

_ ჩუგუნის კი არა, მოსაკლავია და უნდა მოკვდეს! _ დაუსვა ბეჭედი ჯაყომ.

_ კი, ბატონო, კი! _ ისევ ახტა სურიკა. _ მაგრამ მე არ მინდა რა, ციხეში წავიდე, თანაც სამუდამოდ! თქვენ თუ გინდათ, გზა დამილოცნია.

_ ტანკით უნდა გადავუარო, ტანკით! _ ჯორზე შეჯდა და არ ჩამოდიოდა ჯაყო.

_ ტანკით? ტანკით კი არა, კატოკით! _ დაამძიმა, თავისი აზრით, მკვლელობის იარაღი ხახომ.

_ მერე? ისინი ფლავს კი არ მიირთმევენ მარტო! ისინი ორჯერ უარესი ტანკით და ორჯერ მძიმე კატოკით რომ გადაგვივლიან? სად მიდიხართ, მერე? _ უმტკიცებდა სურიკა. _ რამე უფრო მაგარი უნდა მოვტვინოთ, არავისაც რომ არ მოუვა თავში... _ და თავის ხის თავიან დოსტებს დააჯახა: _ ძროხა უნდა ვესროლოთ! როგორც გუშინდელ კინოში! მაგის ფუფლო დედა... თან მივამტვრევთ, თან კონცერტს ვუყურებთ.

_ რა მეკონცერტება, სიმონ! რა ძროხა, თავში ფეხი ხომ არა გაქვს, ე?! _ იუარა ჯაყომ.

_ ძროხა, მოიცა, რა? _ გააჩუმა ხახომ ჯაყო, _ და რომ ვერ მოვარტყათ?

_ ბიჭო, პატარა ტყვიას ვარტყამთ და იმხელა ძროხას ვერ მოვარტყამთ? _ უმტკიცებდა სურიკა.

ჯაყომ თავი მოიქექა.

_ აუ, მაგარი პონტია, საკაიფო. მოსულა!

და ძროხის მოსაპარად წავიდნენ.

ეს, დაახლოებით, ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში. წავიდნენ მინდორში, ჩაუსაფრდნენ, გამოიარა ძროხამ, შეაგდეს მანქანაზე, მოიპარეს. ვხუმრობ. სინამდვილეში, "მაცივრებში" მომუშავე ჯაყოს მეზობელს, გიორგი კობალაძეს, დახურულ ძარიანი რაფი სთხოვეს და საქმეში, სწორედ, სურიკას ბიძაშვილი, ბიძინა ქევხიშვილი ჩართეს. რომელიც სართიღელეში ცხოვრობდა. ერთ ძროხას კი არა, თუ გინდათ, მთელ ფარას მოგაპარინებთო, დაჰპირდათ ბიძინა. მოგეხსენებათ, დღეს ყველას ერთმანეთის "ზუბი" აქვს, ჰოდა, ამ ბიძინასაც თავისი მეზობლის, ილოს "ზუბი" ჰქონდა. შურდა, სხვა რა? ილო ადრე "სვარჩიკი" იყო. ქვეყანა რომ გადაბრუნდა, ჯერ ღორი გაიჩინა და მეღორეობას მიჰყო ხელი, მერე ძროხაც იყიდა და ისიც მოამრავლა. ახლა კი, ღორიც ჰყავდა და ძროხაც. აბა, ბიძინას ის საიდან ეცოდინებოდა, რომ წინა ღამეს ილოს ვიღაცამ ორივე ძაღლი მოუკლა და თავისი ორლულიანით და "ჟაკანის" ტყვიებით, იმ ღამეს, როცა ბიძინა მისი ძაღლების დახოცვას აპირებდა, ილო, ქურდების მოლოდინში, გულდაგულ იქნებოდა საფარში ჩასაფრებული? ასე რომ, როცა ბიძინამ შუაღამისას ილოს ფარეხს, სპეციალურად, სტვენა-სტვენით მიაკითხა, რომ ძაღლები გამოხმაურებოდნენ და შხამიანი ხორცი გადაეგდო, ძაღლების მაგიერ ილო გამოუვარდა და: _ ამ შუაღამისას აქ რა გინდაო? _ ჰკითხა. _ რავი, შეყვარებული ვარ, უძილობა დამჩენდა და ღამღამობით მთვარეულივით ქუჩა-ქუჩა დავიარებიო, _ უპასუხა ბიძინამ.

_ ეგ შენი ზღაპრები, ბებიაშენ სოფოს მოუყევი, გაიგე? _ ეწყინა ილოს ბიძოს გადაკრული პასუხი. _ აბა, შამო კოლექტივში! დროზე, სიმართლე უნდა დაგაფქვევინო! _ და თავის ორლულიანი მიუშვირა.

_ შემოვალ, რას მაშინებ, გაწი ეგ ეშმაკის მოგონილი, რას მიმიზნებ, რა, მამაშენის გაჩენილი კი არა ვარ! _ შეალაჯა ილოს სამალავში ბიძინამ.

_ ვინ დახოცა, ჩემი ძაღლები? ჩამოყაჭე, დროზე, ჰო! _ ისევ ისე ჰქონდა თოფი მიშვერილი ილოს.

_ შენ ძმაო, გველცოფა ხო არ გიჭამია, ძაღლები დაგიხოცეს? _ ნამდვილად გაუკვირდა ახალი ამბავი ბიძოს და ეს ისე გულწრფელად გამოუვიდა, რომ ილომაც დაუჯერა.

_ ჰო, ორივეს გამოუყვანა ვიღაცამ წირვა. მაგრამ აქ არ მოვა? შენ რას დასეირნობ, ეგ რა გიჭირავს ხელში? _ თოფის ლულით მიანიშნა ხელში დაჭერილ ცელოფნის პარკზე ილომ ბიძინას.

_ ესა? ესა, აი, მოწამლული ხორცი მოვუტანე შენ ძაღლებს, უნდა დამეხოცა, მაგრამ ვიღაცას დაუსწრია. _ მიახალა ბიძინამ.

_ შენ გეხუმრება, ძმაო, და ახლა მე მკითხე... გავსკდი კაცი ბოღმისგან. მართლა ხორცია?

_ ჰო! _ უპასუხა ილომ.

_ ვისთან მიგქონდა?

_ მწყეროსთან.

_ მაგასთან პურს როგო სჭამ, ბიჭო, მაგის ღვინო დაილევა?

_ შენი ჰო თავანკარაა. იმ დღეს რევაზა რო დაგეთრო, იცი რას ამბობდა?

_ რას?

_ გინდ ფსელი დაგილევნია და გინდა ილოს ღვინოო. ცარიელი წყალიაო, ჰო, ჰო!

_ შენ მართლა გამამტყუებ ტყვიას, ჰო იცი! ჩემ ღვინოზე, ბიჭო? ამაზე? _ და ილომ პატარა, ჯორკოსავით მაგიდაზე, ღვინით სავსე ხუთლიტრიანი შუშის ბოცა შემოდგა.

_ შენ რა მომზადებული ყოფილხარ. ელოდები ვინმეს, თუ მარტოკა წრუპავ ეულივით? _ შეეკითხა ბიძო.

_ აბა, მამე აქ ეგ შენი სამწვადე! ღორია თუ ძროხა?

_ ღვიძლია ძროხის... _ უპასუხა ბიძინამ და პარკი გაუწოდა. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, ჩაძაღლდება და ჩაძაღლდესო, გაიფიქრა.

_ რო შეგვეწვა? _ იკითხა ილომ, როცა ხორცი გადახსნა და დახედა.

_ მა რა? _ უპასუხა ბიძინამ და ღუმელში შეკეთებულ შეშას შეუჩიჩხინა. _ დაუყრია ნაკვერჩხალი, ჩანავლდეს ცოტა...

ამ უცნაური მკვლელობის დეტალებს აღარ მოვყვები. ცოტა ხანში ილომ ფეხები გაფშიკა. მკვლელმა მისი თოფი აიღო, საქონელი გალალა, ფარეხს ცეცხლი წაუკიდა, მერე კი ერთი ჭრელა ტყისკენ გაიგდო და წავიდა. დილით ილოს სახლიდან საშინელი წივილ-კივილის ხმა გამოდიოდა. მოკლედ, როცა სოფელი წამოიშალა და გამოვიდა, ილო უკვე დამწვარ-დანახშირებული დახვდათ. მისი ღორი და ძროხა კი სოფლის ორღობეებს მოსდებოდა.

სწორედ იმ ჭრელამ გადაუჭრა გზა ორასით გაფრენილ ლადოს, იმ ძროხის რქა ეჭირა ხელში, როცა ავარია მოუვიდა. ასე, რომ არაფერი არარეალური და იმქვეყნიური, როგორც, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ადამიანს, არ მომხდარა. უბრალოდ, როგორც ნათქვამია, ბოროტება ბოროტებას ბადებდა და ეს ჯაჭვი დაუსრულებლად გრძელდებოდა.

აბა, როგორ და რანაირად უნდა მიმხვდარიყო, გამომძიებელი ელდარ დაღუნდარიძე, ციდან ჩამოვარდა თუ საიდან გაჩნდა შუა ქალაქში, ნამდვილი, თეთრწინწკლებიანი წითელი ძროხა, რომელიც ლადოს შეუფრინდა მანქანაში და კაცი სამუდამოდ დააინვალიდა? ლამის მთელი კვირა მასმედია ამ შემთხვევას აშუქებდა. გადაჭრელდა მისი და მისი ორსული ქალიშვილის ფოტოებით ჟურნალ-გაზეთები. ხოლო, მისი უძრავ-მოძრავი ქონება და აქციები, ასტრონომიული ციფრებით იზომებოდა. რა თქმა უნდა, ერთ-ორგან ისეთმა კითხვამაც გაიჟღერა, თუ რომელი ქვეყნის კაპიტალი იდგა, ლადოს ქონების უკან. მაგრამ კითხვა-კითხვადვე დარჩა და ამას აღარავინ გამოსდევნებია.

ერთადერთი, ვინც ამ კითხვით ნამდვილად იყო დაინტერესებული, ეს პაპუნა ილურიძე იყო. რომელიც შურისსაძიებლად ჩამოვიდა, მაგრამ ხელთ ლოგინზე მიჯაჭვული, უხელო და უფეხო ბიძაშვილი შერჩა. რომელსაც მხოლოდ აზროვნება და ჩვენი მთავრობასავით, ყველაფერ ქართულის მიმართ სიძულვილი ისევ ისე

შერჩენოდა. და, მოკლედ, “მგელი მგლობას არ მოიშლისო”, სწორედ მასზე იყო ნათქვამი. ვის მიაწერდა თავის უბედურებას ლადო, თქვენ როგორ ფიქრობთ? კი, რა თქმა უნდა, პაპუნას. მისი ბრალი, მის “ცოცხალ ტრუპად” ქცევაში, ნამდვილად იყო თუ არა, ის არას დაგიდევდათ. პაპუნა უნდა მომკვდარიყო და რაც შეიძლება სწრაფად. ასე ჰქონდა გადაწყვეტილი “კალიასკაში” ჩასვენებულ ლადოს. თქვენც ხომ იცით, რომ მას ამის უნარი, მკვდარსაც კი შესწევდა? მაგრამ სასწაულებიც ხომ ნამდვილად ხდება ქვეყანაზე? ან ხდება ან არაო, გაიფიქრებთ. არა, სჯობს მაინც დავიჯეროთ სასწაულების, რადგან ისე კატასტროფულად მიექანება სამყარო უფსკრულისაკენ, რომ ერთადერთი, რამაც ის, შესაძლოა, გადაარჩინოს, დამეთანხმებით, ნამდვილად სასწაულიღაა.

მართალია, ხახომ, ჯაყომ და სურიკამ, ძროხის ავარიაზე უმაღლეს პონტში იკაიფეს და გამარჯვების ნიშნად კარგადაც გამოიბრუჟნენ, მაინც მჟავე ხასიათზე ბრძანდებოდნენ. რადგან “ქეში” მაგრად შემოაკლდათ და კაპიტალიზმში კი “ქეშის” არქონა, რაც არის, ყველა ქართველსაც და არაქართველსაც უკვე კარგად მოეხსენება. ხელობა პოლიციამ დაგვაწერა, კვირა არ გავა ვინმე არ “გაასუხარონო”, იგინებოდა და იფურთხებოდა წარამარა ჯაყო. _ აღარ მოვიდა დრო, ცა გაიხსნას და ერთი “ფულიანი მკვლელობა” ჩვენც გადმოგვიგდოსო? _ ჰოდა, გაიხსნა ეტყობა ცა. ჯაყოს, კილერის პონტში, ვიღაც დამკვეთი იბარებდა.

რატომ უთხრა პოლიციამ ლადოს დაკვეთაზე უარი, ლადო ვერაფრით მიმხვდარიყო. უბრალო მიზეზი მოიდეს, მასეთი არავინ დადის ქალაქშიო და ლადოსაც რა ექნა? ისევ თავის ძველ კილერებს უნდა ნდობოდა. რომლებიც ვერასოდეს იგებდნენ ნამდვილი დამკვეთის ვინაობას. ისინი, უბრალოდ, პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და ამ გაჭირვებულ დროში, როგორც თვითონ იცოდნენ თქმა, იმ ფულით ცოტა სულს ითქვამდნენ. ლადოს საკუთარი სურვილის დაკმაყოფილების წყურვილი ახრჩობდა, რადგან პოლიციამ უარი უთხრა, ვეღარავის ენდობოდა. თვითონ, მხოლოდ თვითონ უნდა ენახა შემსრულებელი და თვითონვე დაეკვეთა. არადა, მის სინდისზე, რომელიც არასოდეს გააჩნდა, მხოლოდ ერთი მკვლელობა, რომ არ ეკიდა, ალბათ, თქვენც მიხვდებოდით. ის ყოველთვის იმახსოვრებდა კილერების ტელეფონებს და ახლაც, როცა მხოლოდ თვალების ბრიალი და ტუჩების ცმაცუნიღა შეეძლო, სამყაროსათვის მაინც მრისხანე სიავკაცის განსახიერებას წარმოადგენდა...

_ გაიხსნა! გაიხსნა! _ იყვირა ჯაყომ, როცა ლადომ მასთან ტელეფონზე ლაპარაკი მოამთავრა.

_ არ გამაგიჟო, მართლა? _ ლამის ცაში ახტა სურიკა.

_ ეგრეა! _ მუშტს ხელის გული დაჰკრა ჯაყომ.

_ დამპტა-დიმპტა, დიმპტა-დამპტა... _ დაუარა ხახომ.

_ წავედი! ერთ საათში რუსთაველის ძეგლთან უნდა ვიყო, _ თქვა ჯაყომ და სახლში გავარდა, რომ ტანისამოსი გამოეცვალა. ასეთ პაემნებზე ის ყოველთვის კოსტიუმში გამოწყობილი დაბრძანდებოდა.

აი, სწორედ ასე ეახლა ჯაყო “შოთა რუსთაველის ძეგლს” ზემელზე და შუამავალს დაელოდა.

_ წავედით! _ უთხრა მას ნახევრად გაზრდილმა უცნაურმა ტიპმა, რომელსაც ჩავარდნილი ლოყები და ნისკარტივით ცხვირი ჰქონდა. ისინი იქვე, ყოფილ მოსკოვის ქუჩას აუყვნენ და ერთ-ერთ ძველ სადარბაზოში შევიდნენ. სადაც ჯაყოს თვალები აუხვიეს და მეორე მხარეს, ალბათ ეზოში, მსუბუქ მანქანაში ჩასვეს. ხმა არავის გაუღია. დაახლოებით, ოცი-ოცდახუთი წუთი იარეს და მანქანა გაჩერდა. გადმოვიდნენ.

ნახევარკაცას ჯაყო ხელით მიჰყავდა. კიბის რამდენიმე საფეხური აიარეს და ჯაყომ კარის ჭრიალის ხმა გაიგონა. კარი დაიკეტა და ნახევარკაცამ თვალებზე ახვეული ქსოვილიც შეხსნა.

ისინი ვიწრო, ჩაბნელებულ დერეფანში იყვნენ.

_ პირდაპირ იარე! _ უბრძანა მან ჯაყოს და ხელი ოდნავ უბიძგა. ჯაყო ადრეც ყოფილა ასეთ სიტუაციაში, მაგრამ ახლა ყველაფერი ბევრად პირქუშად გამოიყურებოდა.

დერეფნის ბოლოს ჯაყოს სხვა კარი დახვდა. ჯაყომ ხელი ჰკრა. კარი შეიღო და იქიდან სუსტი სინათლე გამოვიდა. ჯაყო შევიდა. თან ცდილობდა ბნელისთვის თვალი შეეჩვია. შეაჩვია და შეკრთა. მარტო კი არ შეკრთა. შეეშინდა კიდეც. მის მოპირდაპირედ, კედელთან, მკვდარი იდგა და გახელილი თვალებით ბურღავდა. ჯაყომ კინაღამ დაიყვირა. ფეხები აუკანკალდა, ცოტაც და ჩაიფსამდა კიდეც, რომ მკვდარმა ტუჩები აცმაცუნა და სუსტი, თითქოს სამარიდან ლაპარაკობსო, ისეთი ხმით წარმოთქვა:

_ მაგიდასთან მიდი!

ჯაყომ მიმოიხედა და გვერდით, კედელთან, მაგიდა შენიშნა. მაგიდისკენ კი წავიდა, მაგრამ მკვდარს თვალს მაინც ვერ აცილებდა. მკვდარი რაღაც ძველებურ ჯავშანში იყო თითქოს ჩამჯდარი. ლიმონისფერი ედო და არ ტოკდებოდა. მაგრამ ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს გიპნოზს უკეთებსო. ჯაყო საკუთარ სხეულს ვეღარ გრძნობდა, მაგიდას მიუახლოვდა და შედგა.

_ კარგად დააკვირდი მაგ სურათებს! _ ისევ გაიღო ხმა "მიცვალებულმა".

ხმა თითქოს ეცნო კიდეც ჯაყოს, მაგრამ მაინც შეაჟრიალა. რა მაშინებს, რა მემართებაო, გაიფიქრა და სურათებს დახედა. ცალ თვალს კი მაინც "მკვდრისკენ" აპარებდა. ცოტა ხანში გაარჩია. შავ-თეთრი სურათებიდან ჯაყოს ახალგაზრდა, ჯანმრთელი ბიჭი უმზერდა _ ასე, თხუტმეტ-თექვსმეტი წლის. ჯაყო ოდნავ შეირხა.

_ გეცნო? _ შეეკითხა გვამი.

_ ვერა, ვერა ვცნობ... _ ჯაყოს თავისი ხმა ისე ეუცნაურა, რა ჯანდაბა მჭირსო... მერე ცოტა გული მოიცა და ერთი ფოტო ხელში აიღო.

_ დაიმახსოვრო უნდა. შეცვლილია. ახლა ორი მაგხელაა, ნიკა ბერიძე, _ უკარნახა "მკვდარმა".

_ ნიკა ბერიძე... _ გაიმეორა ჯაყომ. _ ადვილი ამოსაცნობია. _ და ისევ "მკვდარს" გახედა.

_ წადი! _ თითქოს ესროლაო "გვამმა" ჯაყოს. _ რაც ჩქარა მოკვდება მით უკეთესი!

_ სად ცხოვრობს, უბანი მაინც... _ იკითხა ჯაყომ.

_ თბილისში, _ უპასუხა "გვამმა" და ჯაყო მიხვდა, რომ მეტი აღარაფერი უნდა ეკითხა. _ ეგ სურათი შეგიძლია წაიღო!

_ ნახევარი _ წინასწარ, _ როგორც იქნა ამოთქვა ჯაყომ.

_ ჰო! მაგრამ ის თუ არ მოკვდა, შენ მოკვდები! სამი დღე უნდა გეყოს! _ თქვა "მკვდარმა" და ოთახში გამყინავი ზარის ხმა გაისმა.

"მკვდრის" უკან კედელი გაიხსნა და ისევე, როგორც იყო აყუდებული გვამი თავის ჯავშნიანად უკან გასრიალდა. კედელი დაიკეტა და ოთახში აბსოლუტური წყვდიადი გამეფდა. ჯაყო დამახსოვრებული კარისკენ წავიდა, ხელი ჰკრა და დერეფნის წყვდიადში შეტოპა. ვიღაცამ შეაჩერა. ალბათ, ისევ ის ნახევარკაცა იქნებაო, გაიფიქრა ჯაყომ. თვალები ისევ აუხვიეს და ისევ მანქანაში ჩასვეს. ოცი-ოცდახუთი წუთის მერე, ჯაყო ისევ იმ სადარბაზოში იდგა, სადაც პირველად აუხვიეს თვალები. ჯიბეში დოლარებით სავსე კონვერტი ედო. ათი ათასი უნდა ყოფილიყო. ჯაყო მოსკოვის ქუჩაზე დაეშვა. ცივი, მაგრამ მზიანი დღე იყო. ჯაყო ფიქრობდა, შიში გამივლისო,

რომლითაც მკვდართან შეხვედრის გამო დაიზაფრა, მაგრამ კი არ გაუარა, პირიქით, მგონი ემატებოდა კიდეც და ჯაყომ ისე მოძუძგა, თითქოს ვინმე მისდევდა. ერთი სული ჰქონდა, ბიჭები ენახა.

პაპუნა, რომელიც აღარ იმალებოდა, ქალაქში თავისუფლად დააბიჯებდა. თავს ისევ არ ამჟღავნებდა და თუ ჩამოსვლისას თათიკოს ნახვას აპირებდა, ახლა თავში სულ სხვა ხატება ჰყავდა და არ ასვენებდა. მიხვდით, ალბათ, თამთას ხატებაზეა, რა თქმა უნდა, საუბარი. და ისინი მართლაც შეხვდნენ.

თამთა, ზედ რუსთაველზე, მინებიან კაფეში, "ლოტოს ქვა" რომ ჰქვია, იმ კაფეში დაინახა პაპუნამ, ვიღაც მეგობართან ერთად იჯდა, წინ ყავის ჭიქები ედგათ და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობდნენ. პაპუნა არცერთს არ შეუნიშნავს. ისიც მივიდა და მათი მაგიდის გვერდით, თამთას ზურგს უკან ჩამოჯდა. თვითონაც ყავა მოითხოვა და ქალების საუბარს მიუგდო ყური.

_ სხვა ვერავინ გიშველის თამთა, შენ თავს ისევ შენ თუ უშველი, ვერავინ! _ უმტკიცებდა თამთას მეგობარი. _ უნდა ჩაუშვა, ყველა ვარიანტში უნდა ჩაუშვა და გადასცე სახელმწიფოს, იმათ უნდა მიხედონ.

_ არ შემიძლია, ჩემი შვილების მამაა, შენ გესმის? _ არ ეთანხმებოდა თამთა.

_ კარგი რა? მაგისი ტვინი უკვე აღარ მუშაობს. ხომ არ იცი, არა, რა ხდება მაგის ტვინში? შენ ხომ მისთვის უკვე აღარაფერი ხარ! მისთვის ხომ აღარ არსებობ? მარტო სისხლი უნდა გწოვოს მთელი ცხოვრება, ფული უნდა გამოგძალოს, არა? როდემდე გაუძლებ? ერთი წელი? ორი წელი?

_ არა და, რა კარგად იყო ყველაფერი... აწინაურებდნენ სულ, იცი? აქ რომ არ გადმოეყვანათ...

_ დაივიწყე, დაივიწყე რაც იყო... უკან ნუ იყურები, წინ გაიხედე, წინ, ხვალ რა გელის! ან შენ შვილებს რა ელის! შესაძლოა, დაგხოცოთ კიდეც! შენც და ისინიც, ჰო, წამოუაროს, რა იცი? არ გახსოვს? კაზარიანცის სახლში მასეთმა გარეკილმა ექვსი კაცი მოკლა... _ უმტკიცებდა ისევ რაღაცას მეგობარი თამთას.

_ თუ ეწევა ნორმალურია, იცი, როგორია? როგორც თაფლი. სულში ჩაიძვრენ.

_ კაი, კაი, შენი ჭირიმე! ფულს როცა გთხოვს და დანით დაგდევს, მაშინ როგორია?

პაპუნასთვის ყველაფერი ნათელი იყო. თამთას ნარკომანი ქმარი ჰყავდა. ამ სანთელივით, წმინდა, ულამაზეს ქალს (ყოველ შემთხვევაში, პაპუნას ასე ეჩვენებოდა), ნარკომანი ქმარი ჰყავდა და გამოუვალი მდგომარეობა ჰქონდა. და, ალბათ, არც მისი სიყვარულისთვის სცხელოდა. თამთას ისევ ლამაზად და გემოვნებით ეცვა. ვარცხილობაც თანამედროვედ, თმა ორ ფერში, ქერა-ყავისფერში შეეღება. რაც მის თეთრ, ოდნავ ხორბლისფერ კანს, საოცრად ეხამებოდა.

ერთ მომენტში, თამთას მეგობარი გოგონა წინ გადაიწია და თამთას საიდუმლოდ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. თამთა მოტრიალდა და ხელთ პაპუნა შერჩა. ეს იმდენად დიდი მოულოდნელობა იყო მისთვის, რომ თამთა ერთიანად გაწითლდა. არა, კი არ გაწითლდა, თითქოს წითელმა ღუდუდოებმა დააყარესო სახეზე. ასე უკარება ქალებს ემართებათ, როცა ვინმეს მიმართ სიმპათია უჩნდებათ.

_ ვაი! _ წამოსცდა თამთას და ნიკას მორცხვად და ლამაზად გაუღიმა. მიუხედავად მომენტის უარყოფითობისა, აშკარა იყო, რომ პაპუნას დანახვა მაინც გაუხარდა. პაპუნას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ, რა? წარმოდგენა არ ჰქონდა.

_ ყველაფერი მოვისმინე... _ თქვა მან დამნაშავესავით და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

_ თქვენ იცნობთ ერთმანეთს? _ საოცრად გაუკვირდა თამთას მეგობარ ქალს.

ამ შეკითხვას არცერთმა არაფერი უპასუხა.

_ დრო გაქვთ? _ ჰკითხა უეცრად პაპუნამ.

_ აურაცხელი, _ უპასუხა თამთას მეგობარმა.

_ სადმე სხვაგან რომ გადავინაცვლოთ, უკეთეს მაგიდასთან? _ შეეკითხა პაპუნა.

_ კი, კი, რა თქმა უნდა, _ რატომღაც ძალიან აჩქარდა თამთას მეგობარი ქალი და სასწრაფოდ თავის ჩანთას წამოავლო ხელი.

თამთას მის ქცევაზე გაეღიმა. ის თითქოს წამოდგომასაც არ აპირებდა, რის გამოც გაკვირვებულმა მეგობარმა მაშინვე დაუსვა თვალებით უხმო შეკითხვა. თამთა ორჭოფობდა.

_ თქვენ წადით, მე აქ დავრჩები... _ წამოსცდა უცებ, რის გამოც პაპუნამ ჯერ პირი დააღო და მერე კი მაგრად გაეცინა.

_ ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, _ დამარცვლით თქვა თამთას მეგობარმა.

_ ისევ სისულელე ვთქვი, _ გაიღიმა თამთამ.

_ ნუ მიაქცევ ყურადღებას, _ პირდაპირ შენობით ლაპარაკზე გადავიდა პაპუნასთან თამთას მეგობარი. _ ის ასეთია... _ და საფეთქელთან თითები აათამაშა.

_ ჰა, აბა! _ თქვა თამთამ და კიდევ ერთხელ წამოწითლდა. _ კარგით, წავიდეთ! _ თქვა მან და წამოდგა.

_ გადაწყვიტა, როგორც იქნა, _ გაუხარდა თამთას მეგობარს და პაპუნას ხელი გაუწოდა. _ ფატი!

_ პაპუნა, _ გაეცნო პაპუნაც და გაუღიმა.

მათ მოკლე მანძილის გავლა ფეხით მოუწიათ. რადგან მანქანა ოპერის ჩასახვევში გაეჩერებინა პაპუნას.

_ სად გაგიხარდებოდათ? _ შეეკითხა პაპუნა როცა ქალები “ჰონდას” უკანა სავარძელზე მოეწყვნენ.

_ ასეა საქმე? _ იკითხა გაშინაურებულმა ფატიმ.

_ კი, _ თქვა პაპუნამ.

_ მაშინ სანაპიროზე, “ჰოლივუდს” ვესტუმროთ! _ გამოაცხადა ფატიმ.

_ უნდა მიმასწავლოთ, _ თქვა პაპუნამ.

_ აჰა, ახალი ჩამოფრენილი ბრძანდებით, ამიტომაც ვერ გცნობთ, თურმე... _ გამოიტანა დასკვნა ფატიმ და პაპუნას გზა მიასწავლა: _ ელბაქიძეზე და მერე მარჯვნივ.

მალე სამივენი “ჰოლივუდის” ერთ-ერთ კუპეში ისხდნენ და საუბრობდნენ.

_ აუ, ძალიან გთხოვ, რა, ძალიან! _ კიდევ უფრო გაშინაურებოდა პაპუნას ფატი. _ იცი, რა საყვარელია? შეხედე, შეხედე, რომელი ჰოლივუდის ვარსკვლავი შეედრება. მერილინ მონრო, რომ მერილინ მონრო იყო, იყო ასეთი ლამაზი? შენ გაჩუმდი! ნუ წითლდები! ამას სწორედ შენ სჭირდები, შენნაირი კაცი! ჰო, ჰო! _ აჩუმებდა თამთას და უმტკიცებდა ისევ პაპუნას... თან კონიაკის ჭიქას ტუჩიდან არ იცილებდა.

_ ვა, მე არაფერს აღარც მეკითხება, _ უკვირდა თამთას.

_ შენ? შენ თუ ვინმემ ხელი არ მოგკიდა და უკან არ გამოგწია, უკანმოუხედავად გადახტები უფსკრულში. რა არა? _ უჯავრდებოდა ფატი მეგობარს. _ ურთულესი სიტუაცია აქვს, ურთულესი... გარეკა კაცმა და რა გინდა, რომ ქნა? პლანს ეწევა, მეტს კი არაფერს, მაგრამ გარეკა. თუ მოწევს ჭკვიანია, არ მოწევს და გიჟია. იცი, რა სამსახური დაკარგა? განყოფილების გამგე იყო, საგარეოში. ნარკოტიკზე დაიწვა, თუ გახსოვთ, ყველას რომ ამოწმებდნენ, ერთ დროს...

პაპუნა ყურადღებით უსმენდა. თან ურცხვად უმზერდა თამთას, რომელიც მართლაც ისეთ უცხო სილამაზეს აფრქვევდა, ისეთ იშვიათ ეგზემპლიარს წარმოადგენდა და ისეთი საყვარელი ვინმე იყო, ამას ხელი არც დაეკარებაო, ფიქრობდა.

თამთამ რამდენჯერმე შეხედა, თითქოს ანიშნა, ნუ მაკვირდებიო, მაგრამ პაპუნა თავისას არ იშლიდა. უყურებდა და თვალს არ აცილებდა.

_ განა ცუდი ბიჭი იყო, _ აგრძელებდა ფატი. _ ძალიან კარგი ბიჭი იყო, მაგრამ თავში აუვარდა თუ პლანმა იმოქმედა, განდიდების მანია დაემართა, ჰო! არავინ არაფრად მიაჩნია, თვითონ არის ყველაფერი... პრეზიდენტს რომ ტვინი აქვს, მე ნეკის ფრჩხილში მაქვსო, გაიძახის. არადა, ინსტიტუტიც არა აქვს დამთავრებული. მესამე კურსიდან შეეშვა... უცხო ენებზე სწავლობდა... გერმანულზე. _ და უცბად პაპუნას დაუსვა შეკითხვა: _ შენ? შენ რა განათლება გაქვს? სად სწავლობდი?

ამ კითხვაზე თამთამაც ყური ცქვიტა და დაკვირვებით შეხედა პაპუნას, თითქოს ამ შეკითხვის პასუხზე იყო დამოკიდებული, შემდგომში როგორ უნდა მოქცეულიყო.

_ მე? მე ერთ დროს, ამერიკაში ვსწავლობდი, ჰო, კოლუმბიის უნივერსიტეტში. არქიტექტორი ვარ, ჩვენებურად ხუროთმოძღვარი... ვიყავი, ახლა აღარაფერი ვარ... _ დაასრულა პაპუნამ.

_ არ თქვა, ახლა, მეც პლანს ვეწევი და “მანია ველიჩია” მჭირსო, _ ხელები უკან გადაყარა ფატიმ.

_ რა ვიცი, იქნებ მჭირს კიდეც, _ გაიცინა პაპუნამ.

_ ჰო, ცოტა ოფოფები ყველასაც გვყავს, ქართველებს... _ თქვა ფატიმ და თამთას შეხედა. _ აი, ამასაც კი, ჰო ასეთი ანგელოზია და მაინც ჰყავს, კი... საშინელი დაბნეულია...

_ კაი, რა? ნუ ლაპარაკობ, რაც პირზე მოგადგება! აღარ ჩერდება. _ მიუტრიალდა თამთა პაპუნას, _ ყველას მაგიერ ეს ლაპარაკობს...

_ აბა, შენ არაფერს ამბობ... _ არ დაუთმო ფატიმ.

_ იმიტომ რომ იმ თემებზე არ ვლაპარაკობთ, რა თემებზეც მე მიყვარს საუბარი, _ თქვა თამთამ.

_ ვაიმე, ვაიმე! ნეტა შენ ცოტა ტვინი მოგცა და მე ფული... _ მტევნები მიატკუცა ერთმანეთს ფატიმ. მერე ორი თითით ზეთისხილის მარცვალი აიღო და გაკვნიტა.

_ აი, ასე, შეუძლია შეურაცხყოფაც კი მოგაყენოს, არაფრად არ თვლის, _ გამოაცხადა თამთამ.

პაპუნამ შეხედა და უთხრა:

_ თქვენ მართლაც ლამაზი ხართ!

_ ვიცი... _ თქვა თამთამ, მერე კი გაწითლდა და რაღაც უცნაურად გაიცინა... _ ჰე, ჰე... _ და უცბად ძალიან გულწრფელად უთხრა პაპუნას: _ არ გაგიკვირდეთ, ხომ იცით, რა ქარაფშუტებიც ვართ ლამაზები...

_ ჰო, მშვენივრად თამაშობთ თქვენ როლს. გიხდებათ, მართლა! _ უპასუხა პაპუნამ და თამთას ხელის მტევანს დახედა, რომელიც მას მასთან ოდნავ ახლოს მიეტანა.

თამთა შეკრთა და მაშინვე უკან წაიღო ხელი. თან ისე დამფრთხალმა შეანათა კაცს თავისი თაფლისფერი თვალები, პაპუნამ გაიფიქრა, არა, ეს მართლაც ზეციდან უნდა იყოს ჩამოფრენილიო.

თუკი ეს ორი, ქვეყნად ახლადმოვლენილი შეყვარებული ცოტა ფრთხილობდა და ოდნავ ღელავდა კიდეც, ფატი ბედნიერების მწვერვალზე დაფრინავდა. ისიც იცოდა, რომ მისი ბედნიერება აბსოლუტური შემთხვევითობა ანუ თამთას სილამაზის ბრალი იყო. და რადგან არ იცოდა, რამდენ წუთს გაგრძელდებოდა კიდევ ეს დაუგეგმავი ბედნიერების ხანა, ცდილობდა ბოლომდე შეესრუტა ის დადებითი, თავბრუდამხვევი აურა, რომლის მელნისფერი სხივებიც მისკენ ასე უხვად მოედინებოდა პაპუნას ვაჟკაცური სხეულიდან.

რესტორნის კუპეში ქართული საგალობლების ღვთიური ჰანგი იღვრებოდა. ისიც თითქოს ზეციდან ისმოდა და პაპუნას, რომლის ყურიც ამ ჰანგებს გადაჩვეულიყო, ამ ორ ქართველ მანდილოსანთან ერთად, თავი ზღაპარში ეგონა. მისი მკრეხელური დამოკიდებულება ქალებთან, რომლის გამჟღავნებასაც ის არასოდეს ერიდებოდა, სადღაც გამქრალიყო. ძალიან, ძალიან მოსწონდა თამთა. მგონი, მიყვარს კიდეცო, ფიქრობდა.

მოდით, ამ ლამაზი ლირიკული გადახვევის შემდეგ, ისევ ჩვენს დაფთხვენილ სამეულს დავუბრუნდეთ და ისინი ისევ ხახოს ფარეხში შევახვედროთ ერთმანეთს.

ის რომ ხახო და სურიკა მოუთმენლად ელოდნენ ჯაყოს, თქვენც მიხვდებოდით. ჯაყოსაც რომ ერთი სული ჰქონდა ენახა კომპანიონები, ესეც არ უნდა იყოს გასაკვირი. ის იმდენად თავზარდაცემული იყო იმ პირქუში შეხვედრის შემდეგ, რომელიც ნახევარკაცამ ჩაუწყო და ისე არეული, რომ თავის მეგობრებსაც კი, ფარეხში რომ მივიდა, ეჭვის თვალით უყურებდა. ეგონა, ამათაც იციან ნაღდად, რაც ჩემს თავს ხდებოდა და სიაფანდობენ, რომ არ მეუბნებიანო.

_ ჰა, გვითხარი რა ხდებოდა, ეე, რას გამოლენჩდი, გარჭმული ხარ? _ შეეკითხა ხახო და როგორც გიჟს, ხელი თვალებთან მიუტარ-მოუტარა.

ჯაყო გამოფხიზლდა, მაგრამ ისეთი რამ თქვა, რასაც არც ერთი იქ მყოფთაგანი არ მოელოდა.

_ რა ხდებოდა და სამივენი “ტრუპები” ვართ! _ საიდუმლოსავით გაანდო ჯაყომ ბიჭებს.

_ აუ, ჩემი დედა, ამას ისევ მოლანდებები აქვს... როდის ეს გამოვა!? _ ხელი ჩაიქნია სურიკამ.

_ რა მოლანდება, ტო! მოლანდება არა, გადალანდება... _ წკლიპურტი მიარტყა ჯაყომ სურიკას. _ მკვდარს შემახვედრეს, ტო! ფრანკენშტეინს... აი, ვინ უნდა მოკვდეს, _ და ჯაყომ ჯიბიდან სურათი ამოიღო.

სამივე კარგახანს დაჰყურებდა უხმოდ სურათს.

_ მაგარი ტიპი ჩანს... _ ჩაილაპარაკა ხახომ.

_ ჰო! _ კვერი დაუკრა სურიკამ.

_ სად ცხოვრობს? _ იკითხა ხახომ.

_ თბილისში, _ უპასუხა ჯაყომ. და ხახოს უცნაურ შემოხედვაზე თავი იმართლა: _ რა იყო, ასე თქვა იმ ფრანკენშტეინმა.

_ მერე? რატომ გგონია, რომ ტრუპები ვართ? _ შეეკითხა სურიკა.

_ აბა რა ვიცი, რატომ და ინტუიცია მკარნახობს, _ ჩაიბურტყუნა ჯაყომ.

_ აუ, არ გავცხე, მერე, შენს ინტუიციას? _ ხელი აუქნია ხახომ.

_ რა გასცხე, ტო? _ აღრიალდა უცბად ჯაყო. _ იცი რა ინტუიცია მაქვს? რასაც გავიფიქრებ, რომ არ ასრულდეს, არ არსებობს.

_ მაშინ რატო ვბრედავთ, ძმაო, ამ კაცს? შევიდეთ ტოტალიზატორში და გავატყაოთ, _ შაყირის ხასიათზე დადგა სურიკა.

_ თქვენ შაყირობთ, ძმაო, და მე რომ გიყურებთ, უკვე ტრუპები მგონიხართ, ორივე. ჰო, ჰო! ასე მგონია საიქიოდან მელაპარაკებით, არ გჯერათ?

_ შენ, ძმაო, ასათიანიდან ხომ არ მოდიხარ, აბა მიიდე შუბლზე ხელი!? _ გააფრინა ხახომ. _ გვწყევლი? თუ გვთარსავ? ვერ გავიგე!

_ სად ვეძებოთ, ამხელა ქალაქში? ეგ თუ არ მოკვდა, შენ მოკვდებიო, ტო! ჩემ დედას გეფიცებით! _ მკერდზე მუშტი დაირტყა ჯაყომ.

_ ჰოდა, მოვკლათ! სახელი და გვარი გითხრა? _ შეეკითხა სურიკა.

_ ჰო, ბერიძე ნიკაო და მორჩა.

_ მაშინ დავაწვეთ სამისამართოში, _ გამოაცხადა ხახომ.

_ ჰო! _ თქვა სურიკამ.

სამისამართო არქივში, ბერიძეები ქვეყანა გვყავსო, უთხრეს. და მართლაც, ათამდე ნიკა ბერიძე აღმოჩნდა. თან ათივეს ასაკიც ემთხვეოდა. ვინმე ერთი ქალი გვჭირდება, თორემ ჩვენ რომ დავადგეთ, ხალხს გულებს დავუხეთქავთ და არც ვინმე გვეტყვის რამესო, მოტვინა სურიკამ. მოკლედ, სურიკამ თავის "ბოზ-ბარიგა" მამიდას მიაკითხა და იმანაც არ უთხრა უარი. ან რატომ არ უნდა გამოდგომოდა თავის წყალწაღებულ ძმისშვილს? ნახევრად მისი გაზრდილი იყო, თანაც არც ქმარშვილი ჰყავდა... თითქმის ათივე მისამართზე ჩამოარბენინეს, ნიკას ფოტოთი ხელში. მხოლოდ ზემო ვერაზე, ერთ-ერთ რვასართულიანში, ერთმა ქალმა მოახსენათ: ჰგავს, მასეთი ბიჭი იყო სწორედ ჩემთან, კი აქ უცხოვრია, ეტყობა, მაგრამ ეს ბინა ორ წელზე მეტია გაყიდულია და მაგათი ასავალ-დასავალი არაფერი ვიცითო. მეზობლებში გაიკითხეს და მეზობლებმა პირდაპირ კუკიაზე გაუშვეს, მაგის და, ანი, უნდა ცხოვრობდეს იქო...

_ ჰო, ვთქვი არა? _ სერიოზულად ამბობდა ჯაყო, _ კუკიაზე გვაგზავნიან, ტო! ფრანკენშტეინის ხელში ვართ, დამიჯერეთ!

მეზობლებიდან ჭორების დონეზე ისიც გაიგეს, რომ ცოლს გაცილებული იყო. ვისთანაც შვილიც ჰყავდა, გოგო. და კიდევ, საყვარელი რომ ჰყავდა. ისიც ვინ იყო მისი ცოლი, ვინ საყვარელი. და იმ მკვლელობის ამბავიც უამბეს, მისი საყვარელიც რომ გადიოდა საქმეში. მოკლედ, ჯერჯერობით, ესეც იკმარეს. ადგნენ და ანი ბერიძეს მიაკითხეს კუკიაზე. მიგნება არ გასჭირვებიათ. კერძო, პატარა ორსართულიან სახლზე მიანიშნეს იქაურებმა, ეგ და მაგის გიჟი ქმარი, მაგ სახლში ცხოვრობენ. თუ შინ არიან, სულ "კონცერტების" ხმა გამოდის გარეთო. ან უნდა წეწავდნენ ერთმანეთს, ან უნდა მღეროდნენ და ცეკვავდნენო...

მოგეხსენებათ, ანის მთელი ქალაქი იცნობდა და ამათაც მისი ქმრის ნახვა გადაწყვიტეს, ცოლ-ქმარს შორის არაფერი დაიმალებაო, ფიქრობდნენ.

თაზოს თავის ვალუტის გადამცვლელ პუნქტთან დაუდარაჯდნენ, ხელკავი გამოსდეს და მანქანაში ჩაისვეს.

_ მერამდენედ, ტო, მერამდენედ? ერთი პუნქტი დავიტოვე, რომ შიმშილით არ გამძვრეს სული, ერთი... _ ატირდა თაზო. _ მომკალით, კი, ბატონო, რაც გინდათ მიყავით, რაც აღარა მაქვს, რა მოგცეთ?

^თაზოს ერთ მხარეს ჯაყო ეჯდა, მეორე მხარეს ხახო.

_ ე, ამას შავები ვგონივართ... _ ჩაილაპარაკა ხახომ, რიც გამოც თაზოს კიდევ უფრო გააცია.

_ აბა? _ იკითხა მან და პასუხს დაელოდა.

_ შენს ცოლს ძმა ხომ ჰყავს? _ დაასწრო სხვებს კითხვა სურიკამ.

_ ციხიდან გამოხვედით? _ ჯერაც არ გაევლო შიშს თაზოსთვის.

_ ციხე რა შუაშია? _ ვერ მიხვდნენ ბიჭები.

_ რეზის არ კითხულობთ? _ მთლად დაიბნა თაზო.

_ რეზი? _ იკითხა ჯაყომ. _ რამდენი ძმა ჰყავს შენ ცოლს?

_ ერთი ხომ მოუკლეს ირაკლი და ორი დარჩა კიდევ, მაგრამ ერთი ციხეში ზის და მეორე კიდევ, არავინ იცის... გაქცეულია... ციხიდან გაიქცა... _ თვალებს შეშინებული აცეცებდა თაზო და ბანდიტების სახეებს შეჰყურებდა.

_ რა ჰქვია მაგ მეორეს? _ ჰკითხა ისევ სურიკამ.

_ ნიკაზე მეკითხები? _ შეეკითხა თაზო.

_ ჰო! _ თქვა სურიკამ და გაჩუმდა.

მოკლედ, ისეთი უცნაური ცნობები მოისმინა, ორ წამში სამეულმა, რომ ენა მუცელში ჩაუვარდათ, აღარ იცოდნენ რა უნდა ეკითხათ.

_ მოიცა, მოიცა! _ წამოიწყო ჯაყომ. _ როგორ, შენი ცოლისძმა ციხიდან გაიქცა, "სვაბოდაზეა" და არც დამ და არც სიძემ არაფერი იცით, სად არის?

_ ნიკა? _ მაგრად გაუკვირდა თაზოს. _ გუშინ ხომ არ გაიქცა, არა?

_ ვაა! _ თქვა ხახომ.

_ რატომ გაუშვეს "სროკზე", ერთი "სუდიმოსტი" ჰქონდა ორივეს? _ შეეკითხა ჯაყო.

_ რა? _ გაუკვირდა თაზოს. _ არა, რა ერთი "სუდიმოსტი", ნიკა რომ გაიქცა ციხიდან, რეზი მერე დაიჭირეს. კონტრაბანდაზე... რაში გაინტერესებთ? რა, ხომ არ მოკლეს ციხეში? _ იკითხა უცებ თაზომ.

_ არა! ჩვენ ეგ არ გვაინტერესებს, ჩვენ... _ აღარ დაამთავრა სურიკამ.

_ გეუბნებით, ტრუპები ვართ-მეთქი, ჩემი დედა მოვტყან! _ ხელი-ხელს დაჰკრა ჯაყომ.

_ თუ ტყუილს ამბობ, ბიჭო, და იცი სადაც არი? _ საყელოში სწვდა და ყელში მიაჭირა უცებ ხელი ხახომ თაზოს.

_ არა, არა! _ იბღავლა თაზომ და ბიჭები მიხვდნენ, რომ თაზომ მართლაც არაფერი იცოდა.

_ კაი, შენ გადმოდი! _ ხელი უშვა, კარი გამოაღო და გზა გაუთავისუფლა უცებ თაზოს ხახომ.

_ მე... _ რაღაცის თქმა უნდოდა თაზოს.

_ კაი, კაი, წადი, თავისუფალი ხარ! _ ხელი აუქნია ხახომ.

თაზო ვერაფერს მიხვდა. ერთი კი შეხედა მანქანაში მსხდომებს, მერე კი მიტრიალდა და მოკურცხლა.

_ "პაბეგში" ყოფილა, ტო! _ ჩაიბურტყუნა ჯაყომ.

_ ჰოდა, საიდან ეცოდინებოდა, იმ ქალს სამისამართოში, დედის ხსენი რომ არ შეარჩინე, შეჩემა! _ გაიცინა ხახომ.

_ აბა, ოციათასებს ჰაერზე არავინ ფანტავს... _ დაასკვნა სურიკამ.

_ აუ, რა იპოვის, ჩემი დედა მ.....ნ! _ ტორპედოს დაჰკრა ხელი ჯაყომ.

_ ცოლი უნდა ვნახოთ ამისი. და არის მაინც. რა იცი, იქნებ იცოდეს კიდეც რამე! _ გამოაცხადაDსურიკამ.

_ ჰე! სიძემ არ გვითხრა და, და გვეტყვის რამეს? _ ჩაიბურდღუნა ჯაყომ.

_ ქალაქში როა, ეს ასიანია, _ თქვა ხახომ.

_ მე ვიცი, ვინც უნდა მოვძებნოთ, _ თქვა სურიკამ.

_ ვინ? _ ჰკითხა ჯაყომ.

_ ის ბოზანდარა, ის! ჰო, მაგის საყვარელი. აი, მაგარი ძაღლი რო იყო, იმის ქალიშვილი. ის რომ მოაკვლევინაო. აი, გუტა გელაშვილი...

და კვლავ სამისამართოში გავარდნენ.

_ ისინი მოვიდნენ ისევ, _ გამოაცხადა სარკმლის იქიდან გოგონამ, რომელსაც გადასვლეპილი თმა და ცხენის ძუა ჰქონდა.

_ მოკიდო, რა, უნდა ძუაში, _ ჩუმად ჩაილაპარაკა უკან მდგარმა ხახომ.

_ გაჩუმდი, რა? _ მოუტრიალდა სურიკა, რომელიც ხშირად გამშველებლის როლშიც გამოდიოდა და გოგონას ფული გაუწოდა. _ ვიხდით, არა?

_ არ მინდა, ეგ თქვენი სამი ლარი, მომაცილე თავიდან! _ ხელი აუქნია ცხენის ძუიანმა სურიკას. _ აქ არა გვაქვს მაგ გოგოს მისამართი, მაგრამ ვიცი სადაც დაბოზაობს და გეტყვით, ოღონდ, აქ აღარ მომადგეთ, კარგი? _ უთხრა მან ბიჭებს და პასუხს დაელოდა.

_ ჰო, გვითხარი, _ თავი დაუქნია სურიკამ.

_ მეტეხში უნდა მიბრძანდეთ, სასტუმროში. იქ რაღაც ბანკის ფილიალია. გარედან. შენობაში კი არ უნდა შეხვიდეთ. მგონი საელჩოებს ემსახურებიან მარტო. იქ მუშაობს. კიდევ რომ აღარ მომადგეთ და დედის სული არ მიტრიალოთ, ამიტომ გითხარით. ტელევიზორიდან ხომ გახსოვთ მაგისი სახე? მსუქანი, ესეთი ლამაზი, პუტკუნა...

_ ჰო, ჰო, როგორ არა! _ სურიკას სახე ახსოვდა და მეტი არც იყო საჭირო.

თქვენ არ გადმოხვიდეთ მანქანიდან, ისევ ჩამისვრით ყველაფერსო, სთხოვა მან მეგობრებს, ორივე მანქანაში დატოვა და თვითონ კი იმ ბანკის ფილიალს მიადგა, სადაც თათიკოს უნდა ემუშავა. კართან, ფანჯრის რაფაზე ჩამოყრდნობილი მორიგე პოლიციელი დახვდა.

_ რა გინდა? _ ჰკითხა მან სურიკას და ოდნავ ასწია თავი.

_ მე ერთი გოგო უნდა ვნახო, ქალი, _ უპასუხა სურიკამ.

_ ვინ გოგო, _ ჰკითხა პოლიციელმა.

_ აი, პოლიციელი რომ იყო მამამისი, ლეშკაშელი...

_ ლელა? _ ჰკითხა პოლიციელმა.

_ ჰო, ლელა, _ გაუხარდა სურიკას.

_ იცნობ? _ ჰკითხა პოლიციელმა.

_ აუცილებელია ვიცნობდე? საქმე მაქვს, რა? _ ვეღარ გაუძლო სურიკამ.

_ მასე გეთქვა თავიდანვე, _ ახედ-დახედა პოლიციელმა და კარი გამოუღო.

სურიკა შევიდა. ბანკს თუ ბანკის ფილიალს, მომცრო, შვიდი-რვა კვადრატული მეტრის ოთახი ეკავა. თეჯირს იქიდან, სურიკას ერთი ლელასი და მეორე სხვა ქალის თვალებიც უმზერდა. სურიკა ლელას პირდაპირ გაჩერდა.

_ თქვენ ლელა ბრძანდებით, არა? _ ზრდილობიანი იყო სურიკა.

_ დიახ, _ გაუღიმა ლელამ.

_ მე ცოტა ისეთი საქმე მაქვს... _ დაიწყო სურიკამ.

_ როგორი? _ გაეღიმა ლელას.

_ არა, სერიოზული ძალიან... _ თავი მოიქავა სურიკამ, და პირდაპირ აჯახა. _ ერთ ძმაკაცს ვეძებ, რა? ნიკას, ბერიძეს...

_ ნიკას? _ თვალები შუბლზე აუვიდა და ერთ წამში სახე ცხრანაირად შეეცვალა ლელას. _ ის საქართველოში არ არის?! _ შეკითხვაც იყო ლელას პასუხში.

_ ჰო, მაგრამ, სადაც არის... _ ცოტა დაიბნა სურიკა.

ლელას უცბად მოეღუშა სახე.

_ ეგ რომ ვიცოდე, ამ სიდამპლეში გავჩერდებოდი? _ ყინულივით ცივი ხმით წარმოთქვა ლელამ და თითქოს სულ სხვა ქალად იქცა.

სურიკას, რომელსაც შესწავლილი ჰყავდა ადამიანები და ლელას სულში მომხდარი ცვლილებანი არ გამოეპარა, მიხვდა, რომ მან არაფერი იცოდა. მაგრამ იმასაც მიხვდა, ამ ქალს თუ ეცოდინებოდა, რომ ნიკა ბერიძე თბილისშია, აუცილებლად მოსძებნიდა და აღარ მოერიდა.

_ ნიკა თბილისშია...

_ რა? _ ალბათ შავი ზღვის ერთ წამში დაშრობა ისე არ გააკვირვებდა ლელას, როგორც ამ ინფორმაციამ გააკვირვა.

_ ჰო! კიდევ გამოვივლი, კარგით? _ თქვა სურიკამ და მიტრიალდა.

_ კი, კი... _ ამოღერღა ლელამ და დაადევნა. _ თქვენ საიდან იცით?

_ ვიცი! _ უთხრა სურიკამ და გავიდა. ტელეფონის ნომრის გამორთმევას აზრი არ ჰქონდა, ისმინებოდა, მოგეხსენებათ.

ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ.

_ არც ამან იცის არაფერი... _ მოახსენა სურიკამ.

_ დროს ტყუილად ვკარგავთ, _ თქვა ხახომ. _ რესტორნები და კაფეები უნდა დავიაროთ. სადმე წავაწყდებით, აი, ნახავთ...

_ ვცადოთ! _ თქვა ჯაყომ.

_ სხვა არ მოვკლათ, ტო... _ გაიცინა ხახომ.

_ მაგრად ვჭამე, ეს საქმე რომ ავიღე, _ ჩაიბურტყუნა ჯაყომ. _ დაჯე, რა, დაეტიე შენ ტრაკზე!

_ კაი, ჰო! თუ ქალაქშია, როგორ ვერ ვიპოვით, არ არსებობს! _ გაამხნევა ბიჭები სურიკამ.

_ ნახევარი დღე გაგვივიდა, "დავაი", სანაპიროზე! _ თქვა ხახომ.

ჯაყომ მანქანა დაქოქა.

ვენერა, რომლის ქმარმაც ხელ-ფეხი დაკარგა და გაჭიმული იდგა და იწვა თავის კუბოში, როგორც ვენერა ეძახდა ქმრის ჯავშანს... ჰო, თავისებურ ჯავშანში ჰყავდათ ლადო, რომელსაც ჯდომაც კი არ შეეძლო. და თანაც ისეთი საშინელი ტკივილები აწუხებდა, ოდნავადაც კი არ უნდა შეტოკებულიყო. მაგრამ ვენერას სულ სხვა რამ აწუხებდა. კი არ აწუხებდა, აგიჟებდა, აცოფებდა, ჰკლავდა. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ნაბიჯს ვერ გადაადგამდა თავისუფლად. ისიც და მისი ქალიშვილიც. მცველები ჰყავდათ მიჩენილი ორივეს, ვითომ "წელახრანიწელები". სინამდვილეში კი, ნამდვილ ტყვეობაში იყვნენ ორივენი. არადა, დალილას საცაა უნდა ემშობიარა. დედის ინსტინქტი, რომელიც ყველა ქართველ ქალს ასე ჰქონდა მუდამ გამძაფრებული, დალილას სულშიც ბჟუტავდა, მაგრამ ვენერა, რომელსაც ამ ამბავმა და ქმრის ცოცხალ მიცვალებულად ქცევამ ნამდვილ, სისხლმოწყურებულ მხეცად გადააქცია, რა თქმა უნდა, სულ სხვას ფიქრობდა. ლადოც კი, ლადო, რომელიც მთელი ცხოვრება გაუმაძღარი მგლის რეპუტაციით სარგებლობდა, ვერასოდეს ვერაფრით წარმოიდგენდა, რა მწვერვალებს შეიძლება მიაღწიოს ქალის ბნელი სულიდან წამოსულმა სიძულვილმა.

ბავშვი გაჩნდა.

_ უნდა მოვკლა! _ მოახსენა ვენერამ ინვალიდ ქმარს.

დიდხანს ელოდა ვენერა ქმრის პასუხს. ის კი იწვა, თავის ბრჭყალებიანი თვალებით ჭერს მიშტერებოდა და არაფერს პასუხობდა.

_ უნდა მოვკლა, გაიგე? _ ისევ ჩასძახა გაჩუმებულ ქმარს ვენერამ. და რომ ნახა, ქმარი ხმას არ იღებდა, გაუმეორა. _ უნდა მოვკლა, გაიგე?

ქმარი კი მაინც არაფერს პასუხობდა. ვენერას ვერ გაეგო რა ხდებოდა ლადოს სულში. ეგონა, იმწამსვე დაეთანხმებოდა, ის კი იწვა, როგორც მარადიული ცოცხალი მუმია და პირს არ ატოკებდა. ხომ არ მოკვდაო, გაიფიქრა ვენერამ და ზემოდან დახედა, მაგრამ ქმარმა ისე გადაუბრიალა უცბად თვალები, რომ გულგახეთქილმა ვენერამ უკან დაიხია.

_ ჰო, რა უნდა მიპასუხო ან? _ თქვა ვენერამ. _ უნდა მოვკლა, იმიტომ რომ შენ დაგაბრალებენ! _ მიზანში მოარტყა.

_ რა? _ ამოიხრიალა ლადომ.

_ ჰო! _ თქვა ვენერამ.

_ გადიი! _ დაყვირება უნდოდა ლადოს. ხმა არ ეყო. ამოკნავლება გამოუვიდა.

_ შენც ჩაძაღლდებოდე, ერთი! _ მკვახედ, ცივად გამოსცრა ვენერამ და თავისი უუწმინდურესი მოვალეობის ჩასადენად გავიდა.

რაც უფრო ეცნობოდა ლადოს უძრავ-მოძრავი ქონების მთელ ნუსხას კახა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ ნუსხის უკან ნამდვილად იდგა ისეთი უცხო ქვეყნის კაპიტალი, რომელსაც ქართველი ხალხის დამონება და დაჩოქება ამოძრავებდა მიზნად. დიახ, მთელ ამ აურაცხელ ქონებას, უცხოური მილიონების სუნი ასდიოდა. ქვეყნის ეკონომიკური აღვირი სხვის ხელშია და ახლა, მიუშვებს თუ მოუჭერს, მის ნებაზეა, ფიქრობდა კახა და პაპუნასაც იგივეს ეუბნებოდა. რით, რანაირად უნდა აღსდგომოდა ამ ყოველივეს პაპუნა, კახასთვის ძნელი წარმოსადგენი იყო.

ისინი პაპუნას მიერ გამოსყიდულ ვერიკოსა და სოლომონის ბინაში ისხდნენ. რომელიც პაპუნამ პატარა ოფისად გადააკეთებინა და ჯერჯერობით, მხოლოდ კახას ჰქონდა გასაღები. პაპუნა კი ისევ სასტუმროში ყოფნას ამჯობინებდა.

_ არა, ეს ნამდვილი კოშმარია. საიდან უნდა ეშოვა ლადოს ამხელა ფული? აი, ნახე! _ ეუბნებოდა კომპიუტერთან მჯდარი კახა პაპუნას და მონიტორის ეკრანზე ახალ-ახალ ობიექტებს უჩვენებდა. _ როგორც ზვავი, ნამდვილი ზვავი, ისე დაგორებულა და ყველაფერი თან წაუტაცია, _ სახეებში აზროვნებდა ლამის კახა. _ კოშმარია, ნამდვილი კოშმარი! აი, ეს კაზინოები, აი, ეს ტოტალიზატორები. მოკლედ, მთელი სათამაშო ბიზნესი მის ხელში ყოფილა. ნუ, სასტუმროები, თავისთავად. ბენზო-გასამართი სადგურები? ნახე რამდენი. როგორც ჩანს, მთელი საწვავის კონტრაბანდაც მის ხელშია. ქარხნები? რად უნდა ამდენი ქარხნები, თან გაყინული და გაჩერებული? ან ეს გაპარტახებული ჩაის ფაბრიკები?

_ სხვებმა რომ არ აამუშავონ და კონკურენცია არ გაუწიონ, ალბათ.

_ ეს ტერმინალიც მაგისია? ნარკოტიკი შემოაქვს, ნაღდად.

_ ალბათ, იარაღიც.

_ გაზი? გაზის კერძო კორპორაცია? გაზი როგორ ჩაუგდეს ამ ნაგავს ხელში? აი, რატომ არის რომ ვერ ამოისუნთქა ვერაფრით ხალხმა, _ ჩაილაპარაკა კახამ და პაპუნას შეხედა. _ ცოტა მეეჭვება რამე გამოგივიდეს...

_ მძიმე სიტუაციაა. მაგრამ მარტო ჩვენ არა ვართ ამ დღეში... ბევრი ქვეყანაა ისეთ ვალებში გადამხტარი, ვერასოდეს თავს რომ ვერ დააღწევს... მოკლედ, ერთი ლენინი სჭირდება, თავისი მსოფლიო რევოლუციის თეორიით... _ სერიოზულად თქვა პაპუნამ.

_ რა? ამას იმხელა თავი უნდა, ათი ლენინის ტვინიც არ ეყოფა. _ ხელებით უჩვენა თავის ზომა კახამ.

_ მაშინ ტელევიზიით დავიწყოთ, რას იტყვი? _ თქვა პაპუნამ. _ ტრიბუნა ხომ გვჭირდება, არა?

_ ტელევიზიით? _ რატომღაც მაგრად გაუკვირდა კახას.

_ ჰო, ვიყიდოთ რომელიმე, რომელიც უკეთესია და გამოვუცხადოთ იმ ყველაფერს ომი, რაც არ მოგვწონს! _ სავარძელში იჯდა და სიგარას აბოლებდა პაპუნა.

კახა მოტრიალდა და შეხედა. ვერ გაეგო, სიმართლეს ამბობდა თუ ხუმრობდა პაპუნა.

_ მერე, რომელი ჩერჩილი შენა ხარ, ან რუზველტი?

_ სანამ ჩერჩილები და რუზველტები გახდებოდნენ, ისინიც, როგორც სხვები, უბრალოდ, ჩერჩილა და რუზველტა იყვნენ.

_ აბა რა? _ ხუმრობის ხასიათზე დადგა კახა.

_ როგორ გგონია, ვის უჭირს ყველაზე მეტად დღეს საქართველოში?

_ პრეზიდენტს? _ შეეკითხა კახა.

_ მე სხვა რამეს ვგულისხმობდი, _ ჩაფიქრდა პაპუნა. _ იცი? ერთი მასწავლებელი მყავდა, რომელიც სამიანს არ სწერდა. საშინელებააო სამიანი, მაგას ორიანი კი არა, ერთიანიც სჯობსო. ხომ მართლაც საშინელებაა, სამიანით ათრიო მთელი ცხოვრება,

მთელი სიცოცხლე. ჩვენ კი დღემდე ისიც ვერ გაგვირკვევია, აზიელები ვართ თუ ევროპელები. რაც არ უნდა მაღალი ტრიბუნიდან ვიყვიროთ, ევროპელები ვართო, ასე ნამდვილ ევროპელებად არა მგონია ვიქცეთ. ჩვენი პრეზიდენტი კი ისე იქცევა, უუდიდესი და უმდიდრესი ქვეყნის პრეზიდენტებიც კი რომ ვერ იოცნებებენ, გარდა აზიელი მონარქებისა და ტირანებისა, ასე არაა? არ არსებობს, არ ჰქონდეს ეს გაცნობიერებული, მაგრამ ისიც ადამიანია და მოსწონს... ბელადების თვისებაა, ხალხით მანიპულირება, ვითომ გაჭირვებულთა შემწეობა, მათთან მისვლა, ჩახუტება... ბავშვების ხელში აყვანა, მოფერება. თითის ქნევა, მუქარა და ათასი სხვა უბედურება, რომელსაც ყოველდღე ვუმზერთ...

_ მოკლედ, აზიელები ვართ-თქო და დაამთავრე რა? _ გამოიტანა პაპუნას საუბრიდან კახამ დასკვნა.

_ როგორ აგიხსნა. ევროპულად ვაზროვნებთ და აზიურად ვცხოვრობთ. ასეა და ეს კი სამიანს ნიშნავს, ხომ მიხვდი, რასაც ვამბობ?

_ ვერა! იმიტომ რომ არ ვიცი, რას აპირებ, ბრძოლას თუ ფარ-ხმლის დაყრას?

_ მე შეგეკითხე ვის უჭირს-მეთქი და შენ კი პრეზიდენტსო, მიპასუხე.

_ ინტელიგენციას, მასწავლებლებს, პენსიონერებს... აი, გუშინ გიჟებზე იყო გადაცემა, მგონი, გარეთ ყრიან ყველას... ალბათ, მაგათი ტერიტორია უნდათ, რომ ჩაიგდონ ხელში...

_ ბევრნი არიან?

_ მთელი საქართველო, რაზეა ლაპარაკი! _ გაეცინა კახას.

_ მოკლედ, პირველ რიგში, მოძებნი ერთ ძალიან მაგარ იურისტს და შემახვედრებ! მე წავედი! _ თქვა პაპუნამ, ადგა პალტო აიღო და კარი გაიხურა.

_ ეჰეე! _ შეუსტვინა კახამ, _ ეს, მგონი, პრეზიდენტობას აპირებს! _ მერე კურტკას მოკიდა ხელი და თამარასთან გავარდა. იმას ეცოდინება ვინმე ახალგაზრდა, კარგი იურისტიო, ფიქრობდა.

ლელას, რომელსაც ნიკას დაბრუნების ამბავი ჩააწვეთეს, მაშინვე ის ამოჩემებული კაფე გაახსენდა, რომელიც ფალიაშვილის ბოლოში იყო, და სადაც ის და ნიკა, ყოველ ხუთშაბათ საღამოს ხვდებოდნენ. თქვენი აზრით, რას გააკეთებდა ქალი, რომელსაც ერთ დროს ყველაფერი ჰქონდა და შემდეგ ეს ყველაფერი დაკარგა. რომელსაც არც ისე ცოტა მამაკაცები ჰყავდა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ ეწვია? რა თქმა უნდა, წავიდოდა და ხუთშაბათ საღამოს იმ კაფეს ესტუმრებოდა, ხომ ასეა? ქალი კი, მაგრამ კაცი? შესაძლოა, იკითხო მკითხველო, რა ამბავია, ჯერ ყოფილი ცოლი, ახლა ნამდვილი სიყვარული თამთას სახით და თათიკო სადღა ეტენებაო, არა? ადრეც მქონდა, მგონი, ასეთი ფრაზა, ყველა თავის წილ სიყვარულს და ბედნიერებას რომ ეპოტინება და ითხოვს ცხოვრებაში. მოდით, თათიკოსაც ამ თავისი წილი სიყვარულის გამოგლეჯად ჩავუთვალოთ ეს პატარა სისუსტე. რა თქმა უნდა, იმ "ფიტნეს კლუბებს" და სამოდელო სალონებს, თათიკოს ფინანსები ვეღარ სწვდებოდა. მაგრამ ძალიან კარგ სტილისტს რომ სტუმრებოდა, ვარცხნილობაზე ეტყობოდა. ჰოდა, ასე გალამაზებულ-გაკოხტავებული ესტუმრა კაფე "არტისტს" და ბედის გაელვებას დაელოდა. იჯდა, წრუპავდა თურქულ ყავას და კედელზე დაკიდული ნაქარგების თვალიერებით ერთობოდა. ასამდე დავთვლი და შემოვაო. ერთი ცხრაჯერ ასი მაინც გადათვალა. ნიკა კი არსად ჩანდა. უკვე ძალიან გვიანი იყო, თერთმეტი ხდებოდა, როცა ნიკა, ერთ სიფრიფანა, ძალიან, ძალიან ლამაზ ქერა ქალთან ერთად შემოვიდა. თათიკოს ლამის გული საგულედან ამოუხტა. თან ისეთი სიძლიერით და ისეთ მაღალ ხმაზე იწყო ფეთქვა, ასე ეგონა მისი გულისცემა მთელ დარბაზს ესმოდა. ნიკას კი არც შეუმჩნევია,

ერთი მზერაც კი არ უსვრია მისკენ. თათიკომ თავის პუტკუნა ტანზე დაიხედა, ჩემგან სამი მაგისთანა გამოიჭრებაო, გაიფიქრა. ნიკა ქალს სულ თვალებში შეჰყურებდა. აშკარად ეტყობოდა, რომ შეყვარებულიც კი იყო. თათიკომ ვეღარ გაუძლო. ოფიციანტს ანიშნა ფულს მაგიდაზე ვტოვებო და გარეთ გამოვიდა. ჩაჯდა თავის "გოლფში", რადიოს ღილაკს მიაჭირა თითი და სიგარეტი გააბოლა. "ჭიჭიკოს და ბიჭიკოს" ტრაკატრუკი არ მოეწონა და სხვა არხზე გადართო. არც სხვაგან მოეწონა რამე და საერთოდ გათიშა. იჯდა, აბოლებდა და ელოდა როდის გამოვიდოდნენ შეყვარებულები, რომ ასდევნებოდა და ორივეს ადგილ-სამყოფელი გაეგო. ვერც კი წარმოედგინა, რომ, შესაძლოა, ერთადაც კი ეცხოვრათ. არა, არ არსებობს, ღმერთი ასეც არ გამწირავსო, ფიქრობდა. ბოლო-ბოლო, ჩემი გადარჩენილია და პატარა სინდისის ნაპერწკალი მაინც თუ შერჩენია, ხელი არ უნდა მკრასო. სამი საათი იჯდა გაუნძრევლად. ერთი-ორჯერ კინაღამ ჩასთვლიმა კიდეც... ბოლოს, როგორც იქნა გამოვიდნენ. შინდისფერ "ჰონდაში" ჩასხდნენ და დაიძრნენ. თათიკოც აედევნათ. მანქანები ჭავჭავაძეზე გავიდნენ და რუსთაველისკენ დააწვნენ. ვერაზე, ჭოველიძეზე აუხვიეს და ზემოთ გაემართნენ. ბოლოს მთაწმინდისკენ, ახალ გზაზე გავიდნენ და სოლოლაკისკენ წავიდნენ. როცა ფუნიკოლიორის გზას დაადგნენ, თათიკომ იფიქრა, ალბათ, სადმე ოქროყანაში თუ მიდიანო. მაგრამ არა, ნიკამ მარჯვნივ გადაუხვია და მანქანა ფუნიკულიორის პლატოს ძირში გააჩერა. თათიკომ დაინახა, როგორ გადმოვიდა წყვილი მანქანიდან და ქალაქის გადასახედისკენ, ხელკავით, ტაატით წავიდა.

ფუნიკულიორი მოვლილი იყო. "სტაიანკას" დარაჯი ჰყავდა, ცოტა მოშორებით კი პოლიციელებიც იდგნენ, რომლებიც მოსულებისკენ იმზირებოდნენ.

რა ხდება, ასე დაუდგა საქმეო? გაიფიქრა თათიკომ და უცბად გადაწყვიტა. მოდი, რაც იყოს, იყოს, სიურპრიზს მოვუწყობო. მანქანიდან გადმოხტა და აგურისფხვნილიან ბილიკზე გაიქცა. უნდოდა ზემოდან შემოევლო და შეყვარებულებს, რომლებიც, ფიქრობდა, აუცილებლად გადახედავენ თბილისსო, კედელთან დახვედროდა. სად, თუ არა აქ, უნდა გაჰკვირვებოდა ნიკას თათიკოს დანახვა? თან გამოვიჭერ და თანაც გავაკვირვებო, ფიქრობდა. როგორ, ამ "სიოს ნაშვილებმა", ასე შეარქვა, ასეთი კაცი რანაირად უნდა ამახიოსო, ბრაზობდა. მიასწრო. იდაყვები კედლის ზედაპირს ჩამოაყრდნო და გაყუჩდა. ყურები, რა თქმა უნდა, ლოკატორებად ექცა, რომ კარგად გაეგონა, რაზე ისაუბრებდნენ შეყვარებულები. წუთსაც არ გაევლო, რომ წყვილიც გამოჩნდა. უხმოდ მოდიოდნენ, ფეხსაც რბილად ადგამდნენ. მარტოდ მდგარი ქალი, რა თქმა უნდა, შენიშნეს. ვინაა, ნეტა ეს გიჟიო, გაიფიქრა კიდეც პაპუნამ. თათიკოსთან შორიახლოს გაჩერდნენ და თბილისს გადახედეს. ქვემოდან გაჩირაღდნებულმა ქალაქმა შემოანათათ.

_ სულ რამდენიმე წლის წინ, ქვევით ისეთი უკუნი იდგა, თავი ჯოჯოხეთის კარიბჭესთან გეგონებოდა... _ ჩაილაპარაკა თამთამ.

_ ვისთან ერთად იყავი? _ იეჭვიანა რატომღაც ნიკამ.

_ ქმართან ერთად, ვისთან ვიქნებოდი? _ იწყინა თამთამ.

"ოჰო, ქმარიც ჰყოლია", _ გაიფიქრა თათიკომ და მათკენ დაიძრა. თან ვითომ ქალაქს უყურებდა.

_ ხომ ვერ მეტყვით, აგერ ის, რა შენობაა? ახალია, არა, რაღაც? _ თითი სიაფანდზე გაიშვირა ქვემოთ და ახლაღა შეხედა ქალ-ვაჟს. და უცბად, მთელი ხმით წამოიკივლა: _ უი, ნიკა!

პაპუნას იმ ადგილას, იმ დროს, ფირდოუსის ათინას ქანდაკების დანახვა და დალაპარაკება არ გააკვირვებდა, ისე, როგორც ნამდვილი, ცოცხალი ლელა-თათიკოს

დანახვამ გააკვირვა. ბრინჯივით დაიბნა, პირიც დააღო, თვალებიც ჭყიტა, მაგრამ, რომ გაახსენდა და გაიაზრა, ვისთან, რა დონის გამობრძმედილ ქალთან ჰქონდა საქმე, მთელი ხმით გადაიხარხარა და თათიკოს გადაეხვია.

_ აუ, თათი, შენ რა გითხარი, რა გიჟი ხარ, შეჩემა! მეც არ ვიფიქრე, ვინ მომდევს-მეთქი მანქანით უკან! შენ იყავი, არა? _ ხარხარებდა პაპუნა.

თათიკოც კისკისებდა, ცრემლებს იწმენდდა და ეხვეოდა. უცბად გაჩერდა, გაჩუმდა და თამთა აათვალიერა.

_ ეს ქალბატონი ვინ არის? _ ჰკითხა პაპუნას ისე, რომ თამთასთვის თვალი არ მოუცილებია. თამთა კი იდგა გამტკნარებული და ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. გულთან რაღაც წკმეტა იგრძნო, უფრო პაპუნას უმზერდა, ისიც მის პასუხს ელოდა.

_ შენი მეტოქეა, _ უთხრა პაპუნამ ლელას და წარბი ასწია.

ლელამ კი, როგორც სჩვეოდა ხუმრობაში გადაიტანა.

_ რა? ერთ ლუკმად არ მეყოფა! _ და თამთას ხელი გაუწოდა.

თამთას ოდნავ გააჟრიალა. ხელი კი მანაც გაუწოდა. მიუხედავად სიპუტკუნისა, ლელას ყინულივით ხელი ჰქონდა და თამთა მიხვდა, რომ მისი ახალი ნაცნობი, ნერვიულობდა.

_ არა, თათი, ვერ შეგაჭმევინებ! _ დაიცვა თამთა პაპუნამ.

_ არც ვაპირებ, ტყუილად შეგეშინდა. გგონია არ ვიცი, რამხელა ეკლები აქვთ ლამაზებს?

_ კარგით, შევიდეთ ამ რესტორანში, რას იტყვით? _ სცადა მომენტის განეიტრალება პაპუნამ.

_ არა, მოიცა! _ შეაჩერა თათიკომ, _ ჯერ ის გვითხარი, რომელია ჩვენ ორში მურმანის ეკალი?

_ შენ, რა თქმა უნდა! _ გაიცინა პაპუნამ, _ აბა, ამ თრითინაზე რომ ვთქვა, ხომ მოკვდა აქვე! _ და ორივეს ხელი გადახვია. _ წამოდით, წამოდით! და დავივიწყოთ, ვინა ვართ ერთმანეთისთვის. დღეს საღამოს მაინც. სხვა დროს გავარჩიოთ! აღარაფერი არ მკითხო, კარგი!? _ მუშტი მოუღერა მან თათიკოს, _ მაგრად გამისწორდა შენი დანახვა, არ ვიცოდი, სად მეპოვე და ჩვენი კაფე გამახსენდა.

_ სხვებიც გეძებენ, ვიღაც კაცებმა მომაკითხეს სამსახურში. არ ვიცი რა უნდოდათ. მე მათგან გავიგე, რომ დაბრუნებულხარ.

ნიკას ცოტა დასცხა. მაგრამ აღარ ჩაეძია, სუფრასთან გამოვკითხავ დაწვრილებითო, გაიფიქრა.

თითქმის თხუტმეტი წლის მერე, ფუნიკულიორის რესტორანი, ძველებურად, ნეონის შუქით დახვდათ განათებული.

თათიკო თამთას თვალს არ აცილებდა. დასხდნენ თუ არა მაგიდასთან იმწამსვე ჩაირთო.

_ იცი რა? ნამდვილი, ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიც რომ იყო, ნიკას მაინც ვერ დაგითმობ...

_ რა გთხოვე მე შენ? _ ჩაერია პაპუნა.

_ თქვას, აცალე! _ ხელზე ხელი დაადო თამთამ პაპუნას, რაც თათიკოს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

_ შენ ხომ ვერ გაუძლებ მაინც? გჭირდება ისეთი კაცი ვინც ყოველ მეორე ქალში გაგცვლის, რომელიც კი მოეწონება? ჰო, მართლა, საყვარლები ხართ ერთმანეთისთვის მხოლოდ თუ მეტადაც შესტოპეთ? მიპასუხეთ! _ ჩააცივდა შეყვარებულებს თათიკო, რადგან ისინი ჩუმად ისხდნენ და არაფერს პასუხობდნენ.

_ ვაფრენ, ისე მიყვარს... _ გაიღიმა თამთამ.

_ შენ? _ მიუბრუნდა პაპუნას თათიკო.

_ მეც! მე უფრო მაგრად ვაფრენ! _ უპასუხა პაპუნამ.

_ არც კი გრცხვენია... _ ტუჩი მოიკვნიტა თათიკომ. _ მერე მე? მეც ხომ გიყვარდი ერთ დროს?

_ კი, მაგრამ შენ უბრალოდ მიყვარდი. შენზე არ ვაფრენდი, ასე არ იყო? _ უპასუხა პაპუნამ.

_ ჰო, ასე იყო... _ დაეთანხმა თათიკო. _ იმიტომ, რომ მე ასე ვერ გამოვხატავდი, არა? ვაფრენ, ვგიჟდები, ვსულელდები, ჭკუიდან ვიწევი... _ და პაპუნას შეხედა თვალებში. _ მე დაგელოდები, სანამ მოგბეზრდება და გადაგიყვარდება, კარგი?

_ ვა, რა კაია, ბიჭო! _ ჩაერია თამთა. _ შენ გარდა, სხვებიც ჰყავდა, ხომ? შენ თვითონ არ ამბობ? ყველა რომ პაპუნას დაელოდოს...

_ პაპუნა... რა გგონია, ვინ დაარქვა პაპუნა? ვინ დაიხსნა ციხიდან? ვინ გაუკეთა ყალბი პასპორტი? ვინ გააპარა საქართველოდან? მე გავგიჟდები! _ მოჭრა უცბად თათიკომ.

თამთამ ეჭვიანად შეხედა პაპუნას.

_ მართალს ამბობს, მაგრამ ნუ გეშინია, გადაუვლის, _ დაამშვიდა თამთა პაპუნამ.

_ ეგ არავინ იცის! _ ჩაიბურტყუნა თათიკომ.

_ რატომ? მე მოგექცევი ისე, რომ გადაგიაროს! _ შეპირდა პაპუნა. _ კაი, მოვრჩეთ ახლა! ნუ ჩავიშხამებთ, ამ საღამოს.

_ მოიცა, მოიცა! შენ! შენ გეკითხები! _ თვალი თვალში ჩაასო თათიკომ პაპუნას. _ გჭირდება ისეთი ქალი, რომელიც სულ ხელის გულზე სატარებელია?

_ თუ კი მინდა? _ ირონიულად უპასუხა პაპუნამ და თამთას თვალი ჩაუკრა.

სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ მაგიდას ოფიციანტი და პაპუნას მენიუ მიაწოდა. პაპუნამ კი თათიკოს გადასცა:

_ აჰა, როგორც დაჩაგრულმა, შენ შეუკვეთე!

_ სად მოასწრებს ხოლმე ასე უცბად, ამ ქალების პოვნას... _ ხელები გაშალა თათიკომ და მენიუ გამოართვა. _ დედა უნდა გიტირო, უნდა გაგაღარიბო! _ დაემუქრა და კერძების კითხვა დაიწყო.

ყველაზე ძვირფას დელიკატესებს ადებდა თითს და მათ დასახელებებს ოფიციანტ გოგონას აწერინებდა, რომელიც რატომღაც ცდილობდა თავი ღირსეულად სჭეროდა.

ქართული სუფრა, შერიგების ეს თავისებური სიმბოლო, ახლაც თავის წესრიგს ამყარებდა.

_ აბა, აუწი! _ ემუქრებოდა ხუმრობით თათიკო თამთას და ნელ-ნელა ძალიან მოსწონდა ეს ნაზი, სიკეთით გასხივოსნებული “სიოს შვილობილი”.

მაგრამ, იქნებ მოტკბო შამპანურის სითხის ბრალი იყო ეს ყოველივე და სიყვარულის სიშლეგე და სიგიჟე კი, როდის, სად ამოსკდებოდა, როგორც ვულკანის ცხელი ლავა, ვინ იცის, ვინ არის ამის გამგები?

_ რა მითხარი, ვინ გეძებსო? _ სუფრის დამთავრებისასღა ჰკითხა პაპუნამ თათიკოს.

_ სახელი და გვარი არ მიკითხავს და ასე საშუალო ტანის ტიპი იყო, შავგვრემანი.

_ ეგ კიდევ მოვა. არის შანსი, რომ გადამიღო?

_ რა თქმა უნდა. აი, შენ და შენი ახლი დამაჩკაც ჩაგაკარტოჩკეთ, _ და ლელამ პაპუნას მობილური გაუწოდა.

ფოტოზე ის და თამთა იყვნენ გამოსახული.

_ რა ლამაზები ვყოფილვართ... _ თქვა პაპუნამ და გამოსახულება თამთას უჩვენა.

როცა რესტორნიდან გამოვიდნენ ოდნავ გათენებულიყო უკვე. ღამენათევი კი იყვნენ, მაგრამ ძილით, არცერთს არ ეძინებოდა. ოქროყანის მხრიდან ნიავს ნამქერი მოჰქონდა და მიწას ასველებდა.

_ მდაა, საზიზღარი მომენტია, _ ჩაილაპარაკა თათიკომ.

_ ჰაა, _ არ მოეწონა მისი ნათქვამი პაპუნას.

_ განშორების, _ ჩაიბურდღუნა თათიკომ.

_ რატომ? თუ გინდა ხვალეც შევხვდეთ, _ ანუგეშა პაპუნამ და გულუბრყვილოდ შესთავაზა: _ და შენი ველური წაბლის ხეივანში ავიდეთ.

_ კარგი, _ უპასუხა თათიკომ. _ სამსახურის მერე ისევ იქ დაგელოდები, "არტისტში". _ იმაზე კი კრინტიც არ დაძრა, რომ ველური წაბლის ხეივანი აღარ არსებობდა, რომ იქ ნაწაბლარიღა იყო.

_ დამელოდები კი არა, დაგველოდები, მრავლობითში, _ გაუსწორა პაპუნამ და თამთას მანქანის კარი გამოუღო.

_ კარგი, _ დაეთანხმა ლელა.

პაპუნამ ლელას მანქანა წინ გაუშვა და თვითონ უკან მიჰყვებოდა. ორივე ნელა მიდიოდნენ, რომ არ მოცურებულიყვნენ.

_ გიყვარს თეთრი ღამეები? _ ჰკითხა პაპუნამ თამთას და გადახედა.

თამთამ ლამაზად, მხოლოდ თვალებით ამოხედა.

_ მე სულ თეთრი ღამეები მქონდა, პაპუნა!

_ მაპატიე!

_ არა, რა გაქვს საპატიებელი, პირიქით, არ შემიძლია მომავალზე ფიქრი, მეშინია.

_ რის?

_ ბედის.

_ რატომ? ხომ ჩამოგიქროლე, არა, თეთრ რაშზე ამხედრებულმა და მოგიტაცე?

_ იცი? მე მუდამ სულ პაატარა, პატარა ბედნიერებას ვეპოტინებოდი. შენი გამოჩენა კი იმხელა ბედნიერებაა, ვერ დამიჯერებია, ვერაფრით. აი, ამიტომაც მეშინია.

გაჩუმდნენ. წარსული ორივეს გავლილი ჰქონდა... იქნებ იმიტომაც ეშინოდა ორივეს, რომ რწმენა, რომელიც ერთხელ იბზარება, გატეხილი სარკის არ იყოს, ძნელი გასამთელებელია?

_ მარტო ჩვენი ბედი კი არა, ქვეყნის ბედიც გაურკვეველია, _ წაუფილოფოსა პაპუნამ.

_ იცი, რა, პაპუნა? მე როგორც ყველა ქალი, ჩემს გარშემო რაც ხდება ის მაინტერესებს. ქვეყანას თქვენ მიხედეთ, კაცებმა.

_ ბრავო! მომეწონა შენი გამოსვლა... კარგი. _ უპასუხა პაპუნამ და სიჩქარეს უმატა.

ქალაქზე, როგორც თეთრი ზღვა ისე იწვა ნისლი. შორს კი, ჰორიზონტზე, ნისლებს ზემოთ, ცას ულურჯესი ზოლი გასდევდა. ისე მკაფიო იყო ეს ყველაფერი, რომ ხელით დახატულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბუნების საჩუქარს. "არა, ასეთ რამეს, სხვაგან ვერსად ნახავ," გაიფიქრა თავისთვის პაპუნამ და თამთას გადახედა: "და ვერც ასეთ ქალს".

სროლის ხმა ისე ახლოს გაისმა და ისეთი სისწრაფით აისხლიტა პაპუნას ბრონირებულმა "ჰონდას" შუშებმა ტყვიები, რომ პაპუნას საჭე უნებურად გაექცა. ბუნების ასეთი საოცრება, ასეთი სილამაზე და ბოროტების ასეთი ამოფრქვევა, იმდენად არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რომ პაპუნამ ვერც კი დაიჯერა, რომ გამიზნულად ესროდნენ. მანქანა მოცურდა, ბეტონის პარაპეტს შეასკდა, შემოტრიალდა და ტყის სიღრმეში "ზადნით" ჩასრიალდა. მერე საბარგულის ერთი მხრით, რომელიღაც ხის ძირს გაჰკრა და გადატრიალდა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ისევ საბურავებზე დადგა. პირველი თამთა მოვიდა აზრზე თუ, უბრალოდ, მამაკაცს დაასწრო:

_ მიშველე, პაპუნა! _ შეჰკივლა მან და თანამგზავრს შეხედა.

პაპუნა, რომელსაც ფეხი ჯერ კიდევ მუხრუჭის აქსელერატორზე ჰქონდა მთელი ძალით მიბჯენილი და უსაფრთხოების ბალიში კი მკერდზე აწვებოდა, უცებ გამოფხიზლდა.

_ გადახტი! _ დაუყვირა მან ქალს და კარი გამოაღო.

თამთამაც გამოხსნა კარი, გადახტა და ქვევით დაეშვა. მონამულ მიწაზე ფეხი სხლტოდა, სრიალებდა კიდეც, მაგრამ სიცოცხლის თუ თავის გადარჩენის ინსტიქტი იმდენად დიდი იყო, რომ ვერც თამთა და ვერც პაპუნა, ვერ აცნობიერებდნენ, რა სისწრაფით გარბოდნენ, ნეშომპალიან, დასველებულ ფიჭვის ტყეში. ვერც ის გაიაზრეს თუ გაითავისეს, როგორ აეწებნენ ერთმანეთს და რა მიზანდასახულად გაირბინეს საკმაოდ დიდი მანძილი. როცა შეჩერდნენ და ერთმანეთს აკრულებმა, ზემოთ, თავდასხმის ადგილისკენ გაიხედეს, მიხვდნენ, რომ სიკვდილს გადაურჩნენ, იმასაც მიხვდნენ, რომ თავდასხმის ადგილიდან ძალიან შორს იყვნენ. პაპუნამ ამოისუნთქა. მერე თავი უკან გადააგდო, ფეხი ჩახარა, ჩაჯდა, სველ მიწაზე გადაწვა და ქალი ზემოდან მოიქცია.

_ შეგეშინდა? _ ჩუმად, ძალიან ჩუმად ჰკითხა თამთას შეშინებულ თვალებს და ტუჩის კუთხეში ფრთხილად აკოცა.

_ საშინლად... _ უპასუხა თამთამ და თავისი ლამაზი სახე მისი ყელისა და ლავიწის ძვალს შუა ჩამალა. მერე ნაზად აკოცა იქვე და გაიტრუნა. ყველაფერი ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოხდა. ისე არ შეეფერებოდა მათი ალერსი, ორიოდ წუთის წინ მომხდარ ამბავს, როცა მათ სიკვდილი მისდევდა და ისინი კი გაურბოდნენ... წვიმის წვეთებს მონოტონურად გაჰქონდა წკაპა-წკუპი ხეების ტოტებსა და მიწაზე და რაღაც თავისებურ, ბუნებრივ მუსიკას გამოსცემდა.

_ შენც კარგი სირბილი გცოდნია. _ უჩურჩულა პაპუნამ.

_ გაქცევაში მაგარი ვარ... _ ისევ იმავე ადგილზე აკოცა ქალმა.

გაყუჩდნენ. გახურებულ პაპუნას გრილი მიწა ესიამოვნა კიდეც. ქალმა კი თითქოს ჩიტივით, თბილი ბუდე იპოვაო, ჩაეკრო და მის მკერდზე მოკალათდა. შორიდან მანქანების გუგუნის ხმა მოდიოდა.

_ რაზე ფიქრობ? _ შეეკითხა თამთას პაპუნა.

_ ქმარზე, _ უპასუხა თამთამ.

პაპუნას არ ესიამოვნა.

_ მაინც? _ განმარტებას ითხოვდა კაცი, რომელსაც, როგორც იქნა, ნამდვილმა სიყვარულმა მოაკითხა, მისი შეყვარებული კი ვიღაც სულ სხვაზე ფიქრობდა.

_ არ ვიცი, როგორ მოვიცილო თავიდან, მთლად გარეკა, ყველას გვემუქრება, მეც და ჩემს ახლობლებსაც... _ ჩურჩულებდა თამთა.

“კიდევ კარგი, გაგიჟდა, თორემ სხვანაირად ასეთ ქალს რომელი სულელი დაკარგავდა”, _ გაიფიქრა პაპუნამ. თამთას კი ჩასჩურჩულა:

_ მაგას ეშველება. ერთი მეგობარი მყავს, ელზა ბილანიშვილი, ის გვეტყვის, როგორ მოვიქცეთ, მაგათი ექიმია. ხომ წამომყვები?

_ შენ? შენ თუნდაც ჯოჯოხეთში! _ უპასუხა თამთამ.

_ ჰო, არა? წეღან სულ ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, რომ ახლა სწორედ იქ ვყოფილიყავით.

_ იცი? გუშინ მე შენს სახელზე სანთელი დავანთე სამებაში, ალბათ, იმან გადაგვარჩინა.

თვალებში ჩაჰყურებდა ქალი მამაკაცს. ქალი, რომელსაც სასწაულად ლამაზი პატარა სახე ჰქონდა, ატმის ყვავილისფერი ღაწვები, სქელი მარწყვისფერი ტუჩები და მკრთალი

ხორბლისფერი კანი. რომელზეც მოცისფრო სისხლძარღვები გადიოდა და, ალბათ, სწორედ ეს ქმნიდა იმის ილუზიას, თითქოს ის გამჭვირვალეც კი იყო. ორივემ თვალები დახუჭა და ბაგეები შეაწება. ეს მათი პირველი სასიყვარულო კოცნა იყო. შიშნარევი, ტკბილი და ხანგრძლივი, რომელსაც კონიაკის, შამპანურისა და შოკოლადის გემოც დაჰკრავდა, რესტორნის სუფრიდან გამოყოლილი.

დამტვრეულ მანქანასთან პირველი ჯაყო მიქანდა. ავტომატის ერთი ჯერი კიდევ დააცალა და მერეღა ფრთხილად შეიხედა მანქანაში. რომ არავინ დახვდა, მოტრიალდა და მორბენილ ხახოს და სურიკას, რომელიც მაგრად კოჭლობდა, დაჰკივლა:

_ გაქცეულან, ჩემი დედა!..

_ როგორ? _ ვერ დაიჯერა ხახომ და მანქანას შემოუარა.

_ “ბრონი” ჰქონია, მე ამის! _ ჯაყომ ავტომატის კონდახი წინა კარის მინას ჩაარტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

სურიკა კი იქვე ჩაჯდა და ავტომატი გვერდზე დაიდო.

_ მგონი ფეხი მოვიტეხე, _ თქვა მან და შარვლის ტოტი აიწია.

_ დავაი, პლეტი, თორემ ის მეორე... _ თათიკოზე იყო ლაპარაკი. _ მალე მთელ პატრულს აქ ამორეკავს.

ჯაყომ სურიკას წვივს დახედა, რომელსაც მთელი ფეხი დასისხლიანებოდა და საშინლად იმანჭებოდა.

_ აუ, ამას ამპუტაციაც ვერ უშველის! რა თარსია, ტო! მოჰკიდე რა, მაქედან ხელი! _ იღლიაში ამოსდო სურიკას ხელი ხახომ.

_ გადაჭრილ კუნძს შევახეთქე, ვერ დავინახე, _ თავი იმართლა სურიკამ.

ხახომ სურიკას ავტომატიც მხარზე გადაიკიდა და ფეხათრეული და ხელმოცარული სამეული ტრასისკენ დაიძრა.

სამი დღე რომ გავიდა, ის ნახევარკაცა ისევ დაეკონტაქტა ჯაყოს და ისევ ზემელზე დაუთქვა შეხვედრა.

_ არა, ტო, მე იქ ვერ წავალ! _ გაიძახოდა ჯაყო, _ არ შემიძლია, ტო, ისევ ის ფრანკენშტეინი მინდა, ტო? “სმერტი” მაქ ასიანი!

_ კაი, ნუ იფსამ! ერთხელ ვჩნდებით, ერთხელ ვკვდებით, მეტჯერ კი არა! _ ამშვიდებდა ხახო.

_ არც სიტყვის თქმის უფლება მაქვს, არც სიტყვის შებრუნების! ის ლაპარაკობს, შენ უნდა უსმინო და თავი უქნიო. მკვდარია, ტო, ასიანი. მკვდართან შეხვედრა არ გინდა, ტო? წინასწარ თმები ყალყზე მიდგება.

რა ექნა, გამოეწყო და წავიდა. ისევ იგივე პროცედურა გაატარეს. თვალები აუხვიეს და იმ ფრანკენშტეინს მიჰგვარეს. ახლა უფრო მეტად ჩამოქუფრული ეჩვენა ჯაყოს იქაურობა. მიუხედავად იმისა, რომ იმ საფლავის მსგავს ოთახში რაღაც კლასიკური მუსიკის ხმა ისმოდა. ეს ალბათ სამგლოვიარო მარშიაო, გაიფიქრა ჯაყომ. ისიც კი მოეჩვენა, რომ დრო საერთოდ გაჩერდა. რომ მიწაზე კი არა, სადღაც სულ სხვა სამყაროში იმყოფებოდა, მიწიდან მილიონ კილომეტრზე და უკან ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა. ფრანკენშტეინიც უფრო ფერწასული ეჩვენა.

_ მოხვედი? _ პირი გააღო “მკვდარმა”. _ რატომ ვერ მოკალი?

_ იმიტომ, რომ ჯავშნიანი მანქანა აღმოჩნდა. რას წარმოვიდგენდით! ერთი-ორი დღე კიდევ უნდა მომცე! _ მოკლედ მოჭრა ჯაყომ.

_ მოგცემ! ახლა კი მაგიდასთან მიდი! _ უბრძანა თავის არაამქვეყნიური ხმით “ტრუპმა”.

ჯახო მაგიდისკენ წალასლასდა. რა მჭირს ამ ფეხებზე, რატომ მივათრევო, ალბათ დაგიპნოზებულია აქაურობაო, ფიქრობდა გზაში, სანამ მაგიდას მიუახლოვდებოდა. მივიდა, მაგიდის კიდეს მიეყრდნო. სურათს დახედა და გაქვავდა. სურათიდან გაღიმებული პრეზიდენტი შემოსცქეროდა.

_ იცანი? _ პასუხს ელოდა მკვდარი.

_ არაა, _ ახლა კი დავვარდებიო, გაიფიქრა ჯაყომ, მაგრამ არ წაქცეულა.

_ მოკლავ? _ შეეკითხა გვამი.

_ როგორ? _ რატომ დასვა ასეთი უცნაური შეკითხვა, თვითონაც ვერ მიხვდა ჯაყო.

_ როგორც სხვებს კლავდი, _ უპასუხა ტრუპმა.

_ და ჯერ ის არ უნდა მომეკლა? _ ამოღერღა ჯაყომ, თავისთვის კი, ამას რა მოკლავსო, გაიფიქრა.

_ ისიც და ესეც... _ გამოსცრა მიცვალებულმა.

ჯაყომ გახედა და მის თვალებს შეეფეთა. მიცვალებული, თითქოს კობრას ყვითელი, ცივი თვალებით უმზერდა. ჯაყომ ვერც გაუძლო და გვერდზე გაიხედა.

_ ინსტრუქცია? _ შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა, ხელი მოისვა.

_ მოგცემენ, როცა დრო მოვა...

_ კონტრაქტი? _ გაუბედა, როგორც იქნა ჯაყომ.

_ კონვერტშია.

ჯაყომ სწრაფად გახსნა კონვერტი, თუმცა მოეჩვენა, რომ არც თითები ემორჩილებოდა. შიგ "მასტერ-ქარდის" ტალონი და ქაღალდზე დაწერილი ციფრული მონაცემები იდო.

_ თანხა? _ იკითხა ჯაყომ.

_ აწერია, _ უპასუხა ტრუპმა. _ თუ კითხვა არ იცი?

ჯაყოს მაინც აუჭრელდა თვალები. თუმცა, ბოლოს, როგორც იქნა ამოიკითხა.

_ ოთხმოცი ათასი ევრო? _ მაგრად ეცოტავა.

_ ჰო! _ უპასუხა "ტრუპმა".

_ ცოტაა, _ თქვა ჯაყომ. _ კაცი პრეზიდენტია.

_ ვივაჭროთ? ქვა რომ ააგდო, კილერს დაეცემა თავში... _ იწყინა "ტრუპმა".

_ კარგი, _ ჩაიბურტყუნა ჯაყომ და კონვერტი ჯიბეში ჩაიდო.

_ შევთანხმდით. _ ოთახში ისევ გაისმა გამყინავი ზარის ხმა. ისევ გაიღო კედელი და "ტრუპი" თავის ჯავშნიანად ისევ უკან გასრიალდა.

ჯაყომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ენისთვის კბილი უნდა დაეჭირა და რომ არც ხახოს და არც სურიკას, ობიექტის ვინაობის შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდათ. შიშმა, რომელიც აქამდე ზაფრავდა, მთლიანად გაუარა. რადგან, თუკი ამ დავალებას შეასრულებდა, თვითონაც და მისი მეგობრებიც რომ "ასიანი", "ტრუპები" იყვნენ, ეს კარგად ესმოდა. სიცხადეს კი სიმშვიდე მოაქვს. ჯაყო "იგროკი" იყო და, როგორც ყველა "იგროკი", ისიც აზარტულად ჩაერთო ამ უძნელეს და უბნელეს თამაშში. სიკვდილი კი, მისთვის, ისეთ ჩვეულებრივ, უბრალო რამედ იქცა, რომ მიქელ-გაბრიელის ნახვა აინტერესებდა კიდეც. მოკლედ, ჯაყო ცოცხალი კაცი აღარ იყო, მკვდრისთვის კი, მოგეხსენებათ, ყველაფერი სულერთია.

პაპუნას, რათა თავისი მისია შეესრულებინა, რაიმე ისეთი უნდა მოეფიქრებინა, რაც ერთბაშად ახდიდა ფარდას იმ ყოველივეს, რაც ქვეყანაში ხდებოდა. პირველი, რაც ყველაზე ჩქარი ტემპით ხორციელდებოდა, ეს ქართული სულიერების (რელიგიას არ ვგულისხმობ) განადგურება იყო და ამას რომ ვერაფერი ვერ შეაჩერებდა, პაპუნა

ხვდებოდა. ის, რომ მთავრობაში რაღაც ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, ამას პოლიტიკური და არაპოლიტიკური მკვლელობების ბურუსით მოცული ისტორიებიც მოწმობდა. პოლიტიკური პარტიები, "პოზიციაც" და ოპოზიციაც, მართალია, როგორც ყოველთვის, ხალხის ბედზე თავგადაკლულ მებრძოლებად ასაღებდნენ თავს, დემაგოგიას უფრო ეწეოდნენ, ვიდრე საქმეს აკეთებდნენ. თუმცა ესეც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა გამოჩენილიყო, ვინც ამ უბინძურეს დარტყმებს, რომლებიც უცხო ქვეყნების მიზნებში შედიოდა და რომელსაც ასე მრავლად იღებდა ეს პატარა ქვეყანა, წინ აღუდგებოდა და შეასუსტებდა მაინც?

და პაპუნამ კახას შეუარა.

_ რეჟისორი მჭირდება, ვინმე, ვისაც ცოტა სკანდალური სახელი აქვს. არის ვინმე დევი მოსაშვილი. თუ არ ვცდები, ინვალიდებთან და თავშესაფრის ხალხთან დგამს სპექტაკლს.....

_ შენ იცი, ეგ ვინ არის? ეგ ხომ იმათზე უარესია, იმ გიჟებზე? მაგან, იცი, რით გაითქვა სახელი?

_ ჰო...

_ სადაც კი რაიმე კარგს დადგამენ, ყველაფერზე გაიძახის ჩემი დაწერილიაო.

_ ეგ ხომ რეჟისორია? _ გაუკვირდა პაპუნას.

_ დღეს ყველა _ ყველაფერია. რეჟისორიც, მწერალიც, დრამატურგიც, მხატვარიც და ქორეოგრაფიც... არავინ არაფერზე ამბობს უარს. უნიჭობის ზეობაა, ჰო, დღესასწაული...

_ კაი, კაი! მანდ მიამუხრუჭე! მომიყვან მაგ დევს და დამალაპარაკებ!

კახამ დევი მოსაშვილი პაპუნას მეორე დღესვე შეახვედრა.

_ თქვენ რომელი უფრო ბრძანდებით, მწერალი, დრამატურგი თუ სცენარისტი?

_ მწერალიცა ვარ, დრამატურგიც, სცენარისტიც და რეჟისორიც! _ სხაპასხუპით მიაყარა დევიმ. თან იმწამსვე დაამატა: _ რომელსაც თქვენ მეტყვით, ის ვიქნები! ვინ გინდათ რომ ვიყო?

_ მე მინდა, საახალწლო სპექტაქლი დადგათ და რაც გინდათ, ის იყავით, _ უთხრა პაპუნამ.

_ უფულოდ? _ ისე, როგორც აქამდე იყო დაჩვეული, შეეკითხა დევი.

_ არა, რატომ უფულოდ? _ გაუკვირდა პაპუნას.

_ იმიტომ რომ ყველას უფულოდ უნდა. შარშანწინ პრეზიდენტის ნაძვისხისთვის დამაწერინეს სცენარი და იცით რამდენი გადამიხადეს? ასი ლარი. მათხოვარი ორ დღეში რომ შეაგროვებს, იმდენი.

_ არა, მე ბევრად მეტს გადაგიხდით, _ არ იცოდა რა ეთქვა პაპუნას. _ მეც, დაახლოებით, მასეთი რამ მინდა. სწორედ, პრეზიდენტი მინდა მოვიწვიო, მაგ ნაძვისხეზე... ხომ გიყვართ სკანდალები?

_ კი, მაგრად მევასება. სკანდალები, ინტრიგები, თავზე დახურვები. ჩემ ჭაღარას ნუ შეხედავთ. მე თექვსმეტის როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი ვარ. მხოლოდ გამოცდილება მემატება, წლები არა! რამდენს გადამიხდით?

_ ბევრს! რამდენსაც გაგიხარდებათ!

_ დამცინით? _ ვერ დაიჯერა დევიმ.

_ არ დაგცინით, _ გაეღიმა პაპუნას.

_ მაშინ ჩემს ოცნებას გეტყვით. შეიძლება? _ დევი რაღაც უცნაურად აენთო, თვალები აუელვარდა და სკამიდან წამოფრინდა.

პაპუნამ კი შეშინებულმა ცოტა უკანაც კი დაიხია.

_ მე ჩემი თეატრი მინდა მქონდეს! _ გულზე ხელი იტაცა დევიმ. _ არა, თეატრი კი არ მინდა, თეატრი თქვენი იყოს. მე მინდა ვიმუშაო. ჩემი პიესები მინდა დავდგა. მპარავენ, ყველაფერს მპარავენ თეატრები. ჩემს პიესებს დგამენ და ფულს არ მაძლევენ. რაც არ უნდა ცუდად დადგან, მაინც მაგარი გამოდის, სასწაული. ვინმემ რომ თეატრში შემიშვას? ყველას ერთად დავახურავდი, ყველა თეატრს! რას დგამენ დღეს ჩვენი საქვეყნოდ სახელგანთქმული თეატრები, ყოფილხართ, გინახავთ, ამ ბოლო დროს რამე? სირცხვილით დაიწვებით, თავს ფეხებს შუა, სკამის ქვეშ შეყოფთ, რომ სცენას არ უყუროთ! ჰო, ჰო, ისეთი უნიჭობის ფეიერვერკი მიდის სცენაზე, გული გაგისკდებათ!

_ დაამთავრეთ თქვენი მონოლოგი? _ შეეკითხა პაპუნა.

_ თითქმის. მაგრამ შემიძლია სამი დღე და ღამე, განუწყვეტლივ, ამ თემაზე ვიყბედო. ეს ჩემი ავადმყოფობაა, მე დაავადებული ვარ თეატრით. ჰო, მართლა, ხუთ დღეში პრემიერა მაქვს... ინვალიდთა სახლში, ნაცარქექია დავდგი, ჩემივე დაწერილი. ინვალიდია, ეს ჩემი ნაცარქექია, "კალიასკაში" ზის, ასეა, აი, დაგრეხილი... _ და დევი უცნაურად დაიგრიხა. _ დაგპატიჟებთ! თუ არ სჯობდეს ჩვენი სახელოვანი თეატრის სახელგანთქმული რეჟისორის ნაცარქექიას? იმ წუთას თავს მოვიჭრი, იქვე, სცენაზე მოვიკლავ თავს...

_ ვნახავ, ყველა ვარიანტში, თუ როგორ იკლავთ თავს სცენაზე... _ დაპირდა პაპუნა.

_ მე რომ თეატრი მქონდეს? იცით, რამხელა ფულს ვიშოვიდით? იცით სად ავაგდებდით "სტავკას"? იცით, რა ზედახორა იქნებოდა იქ მოსახვედრად? მე ხომ ყველა რეკორდი მოხსნილი მაქვს, რაც კი ჩვენს თეატრებს უთამაშიათ!

_ კარგი! დაწყნარდით! ყველაფერი გასაგებია, _ როგორც იქნა ჩაურთო პაპუნამ. _ თეატრი გნებავთ, ხომ?

_ ჰო!

_ გექნებათ! მხოლოდ ერთი პირობით! ჩვენი შეთანხმების შესახებ, არავინ არაფერი უნდა იცოდეს! არც ის, თუ სად გაიმართება პრემიერა და არც სპექტაკლის შინაარსი. არავინ პრემიერამდე! ჩვენ ორის მეტმა...

_ სასწაულების რომ მჯეროდეს, ვიფიქრებდი, რომ დანიის პრინცი, ჰამლეტი გაცოცხლდა, როგორც მამამისის აჩრდილი.

პაპუნამ გადაიხარხარა.

_ ყოჩაღ, მე კი მეგონა "მანია გრანდე" გჭირდათ.

_ მჭირს, როგორ არა მჭირს. "მანია გრანდეც" მჭირს და სხვა ათასი მაგისთანა დაავადებაც. მაგრამ თუ ჩემი თეატრი მექნებოდა, სულ რაღაც ერთ წელიწადში, ყველა თეატრს მოვუხაზავდით! დამიჯერეთ, მე არავისი არ მეშინია.

_ მჯერა, მჯერა! მაგრამ, ვნახოთ, როგორი გამოგვივა ეს პირველი პროექტი, კარგით? სწორედ ისეთი ეპიზოდის დადგმა მოგვიწევს, დანიის პრინცმა ბიძამისი რომ ამხილა. მხოლოდ ჩვენი ეპიზოდი, მეფის ცოლს კი არა, მეფის მინისტრს შეეხება. _ ქვედა ტონალობაში ეუბნებოდა პაპუნა გაცხარებულ მწერალს.

_ "მიგიხვდი, მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითაც ხარ დაჭრილი!" _ წამოიყვირა დევიმ, რომელიც თვალებს ველურივით აკვესებდა. _ მართალია, მეც გიჟი ვარ, ჰო, ჰო, საშინლად მძულს უთაო ხალხი. თავი რომ ჭკვიანებად უნდათ შემოგვასაღონ. აი, პრეზიდენტები და თანამდებობის პირები რომ არიან. სქელტრაკიანები. რა იყოთ, დაკვირვებიხართ, რამხელა ტრაკები აქვთ? ან როგორ დააქვთ, ყველას, ერთ სტილში? აი, ასე, _ და დევიმ თანამდებობის პირებს დააჯავრა. ტრაკი უკან გასწია, ხელები ზურგზე შემოიწყო და ბოლთა დაჰკრა. _ ჩემი ნება რომ იყოს, ყველას ერთ დღეს, ერთად წავაცლიდი თავს! მთელი მსოფლიოს პრეზიდენტებს და ბელადებს! გავანადგურებდი ყველანაირ იარაღს, ყველა არსენალსაც ერთად ავაფეთქებდი! და გავხსნიდი ამ

საზღვრებს... ეს რა უბედურებაა, ამ თითო მტკაველი მიწის დასაკუთრება და ჩემია, ჩემიას ძახილი? ოცდამეერთეში! _ და უცებ პაპუნას შეეკითხა. _ თქვენ ხომ არა გწყინთ, ასე რომ ჩავირთე და ვეღარ გამოვირთე?

_ პირიქით! სწორედ თქვენისთანა კაცი მჭირდებოდა!

_ ოღონდ, მე სრული თავისუფლება მიყვარს! კი, ბატონო, თქვენ მაძლევთ თემას, მაგრამ მერე, მე იმას, როგორც ხოში მაქვს, ისე ვაკეთებ! _ არ წაიძველბიჭებდა, მაგრამ ბიჭივით კი "ბაზრობდა" მწერალი.

_ შევთანხდით, _ წამოდგა პაპუნა. _ კონტრაქტს კახა გაგიფორმებთ.

კახას არ გაჰკვირვებია, რომ თვითმკვლელობის და გადახრების მქონე ადამიანთა პროცენტული მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა აღმოჩნდა მსოფლიოში.

ფსიკიკურ დაავადებათა სამკურნალო დაწესებულება ანუ საგიჟეთი, სახელმწიფოს იმ ნაგებობათა ნუსხაში ჰქონდა გამოტანილი, რომელიც ტენდერის სახით, სპონსორებს უნდა აეშენებინათ და კერძო მფლობელობაში გადადიოდა. პაპუნას დავალებით, კახამ რამდენიმე სხვადასხვა სახის ტენდერში მიიღო მონაწილეობა და ყველა მოიგო. ერთ-ერთი, ამ საავადმყოფოს მშენებლობის უფლებაც იყო. კახას ფინანსებთან დაკავშირებით, სრული თავისუფლება ჰქონდა და პაპუნას სულ არ გაჰკვირვებია, რომ მიუხედავად ტენდერში გამარჯვებებისა, ჩინოვნიკები ერთ იმდენს "ლევად ახევდნენ". უკვე კარგად უწყოდა, რომ ამ წყლულის ასე ადვილად მორჩენა, არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, არამედ მაღალგანვითარებული სახელმწიფოებისთვისაც არ იყო ადვილი. სულით დაავადებულთა საავადმყოფო იქვე, ძველ ტერიტორიაზე შენდებოდა. პაპუნას თხოვნით, შენობა, ლელას რომ, ერთ დროს, ველური წაბლის ხეივანში პაპუნამ ვილა აუგო, იმ ვილას უნდა ჰგვანებოდა და იქვე ველური წაბლის ხეივანიც უნდა გაშენებულიყო. ახლა ისინი, სამშენებლო ორგანიზაცია "ლაბირინთის" მიერ წარმოდგენილ პროექტს ათვალიერებდნენ. სულ რაღაც სამ თვეში, ასკაციანი თანამედროვე სამკურნალო დაწესებულება სრული დატვირთვით ამუშავდა.

მთელი სამი დღე გავიდა, თამთა კი გადაიკარგა. პაპუნა ვერ ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო, თამთას ასეთი გაუჩინარების მიზეზი. მისი მობილური დროებით გამორთულიაო, პასუხობდა. თვითონ თამთა კი არ რეკავდა. რა ჯანდაბა მჭირსო, უკვირდა პაპუნას. მგონი, ქალი არ გამომიტოვებია და ეს რა მემართებაო. საბრძოლველად ჩამოვედი და მგონი, სიყვარულს გადავყვეო. ხვდებით, ალბათ, რაც სჭირდა პაპუნას. ეჭვიანობდა, როგორც ყველა ხელი შეყვარებული. არ იცოდა რა ექნა, სად წასულიყო. ტარიელივით მეც ველად ხომ ვერ გავიჭრებიო, ფიქრობდა. ნეტა, ვინ ქაჯებს ჩაუვარდა ხელში, მე ხომ არა ვარ ამ ყველაფრის მიზეზიო, ნერვიულობდა. სამი დღე რომ გავიდა და კიდევ ერთი ღამეც რომ გათენდა, ცუდადაა ჩემი საქმეო. დღესაც რომ არ გამოჩნდეს, დასაბმელი გავხდებიო, ფიქრობდა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ რაც თამთა დაინახა, თავისი ყველა მტერიც და მთელი სამყაროც იმწუთას გადაავიწყდა. სად იქნებოდა თამთა, სად უნდა წასულიყო, ალბათ, ცოცხალი არ არის, თორემ, მემალება თუ რა ხდებაო, ვერაფრით აეხსნა ეს ამბავი პაპუნას. ეშმაკმა უწყის, რა გრძნობაა ეს ან რა მჭირსო, ფიქრობდა. მერჩია მთელი ქვეყნის ველურები ერთად დამსეოდნენ და ხელში თუნდაც არაფერი მჭეროდა, ისე შევბმოდიო. იმდენად ვერ აეხსნა თუ რა ხდებოდა მის თავს. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ნამდვილ, ჭეშმარიტ შეყვარებულთა უმრავლესობას მოსდის, მანაც სამყარო ორ კატეგორიად დაჰყო: სიყვარულისთვის მოსულთა და სიძულვილისთვის მოსულთა კატეგორიებად.

შუალედი გამორიცხა და, რა გააკეთა, რა გგონიათ? გადაურეკა და ლელა-თათიკოს თავიანთ კაფეში ჩასისხლიანებული თვალებით კი არ დაელოდა, დაუდარაჯდა. თათიკომ კი, რომელსაც ეგონა, პაპუნა დამიბრუნდაო, სულ სიმღერ-სიმღერით გაიკეთა მაკიაჟი, გემოვნებით ჩაიცვა, თავისი საყვარელი სიგარეტი, წვრილი, გრძელი "კენტიც" გაირჭო, პატარა, მაგრამ სქელ ვარდისფერ ტუჩებში და ლამის თვალების ბრეცით ეახლა პაპუნას. მაგრამ როცა მის გადარეულ სახეს და ჩასისხლიანებულ თვალებს წააწყდა, იაზრა. ეე, აქ ცოტა ცუდად უნდა იყოს საქმეო. და როცა პაპუნა პირდაპირ ყელში სწვდა (სიმბოლურად) და ლამის გამოაღადრა, რა უყავი, სად არის თამთაო, მაშინღა მიხვდა, რომ პაპუნა სამუდამოდ დაეკარგა და იმის ნაცვლად ეთქვა, მე რა შუაში ვარ, მე რას მემართლებიო, ისეთი გულსაკლავი ქვითინი აუვარდა, პაპუნა მიხვდა, ეს ქალი არაფერ შუაში ყოფილაო. და როცა თათიკომ, როდის, როდის გული მოიბრუნა, შესჩივლა:

_ მთელი სამი დღეა, არ გამოჩენილა, არც მობილურზე მპასუხობს. მე კიდევ მისი ნახვა მინდა, უბრალოდ, მინდა ვიცოდე, ცოცხალია თუ მკვდარი. თუ არა და, მგონი, თავის მოკვლაზე ვფიქრობ. მთელი მსოფლიო, ყველა დანარჩენი, წყალსაც წაუღია... _ აღარ დაამთავრა პაპუნამ და ვისკი დაისხა, რომელსაც თათიკოს მოსვლამდე მისძალებოდა. თათიკომ კი, ჯერ თავისი ლამაზი, ელამი თვალები შეიმშრალა, რომლებსაც ცრემლების გამო, საღებავი გადასთხაპნოდა, მერე ხელის სარკეში, დიდხანს უმზირა თავის იმ შეყვარებულ თვალებს და პაპუნას შეჰღაღადა:

_ რომ მომკვდარიყო, არ გამიხარდებოდა, არა. მაგრამ პირდაპირ გეტყვი, არც ცოცხალი მინდა რომ იყოს. რა იყო, რატომ გიკვირს? რა იცი, როგორც შენ ის გიყვარს, იქნებ მე შენ ბევრად უფრო მეტად მიყვარხარ?

_ რა დროს შენი სიყვარულობებია, აბა, შუბლზე ხელი მიიდე, სიცხე ხომ არა გაქვს? _ გამწარდა პაპუნა. _ მე სულ სხვანაირად მიყვარს, ის ბავშვი, გესმის?

_ ბავშვი, ჰო, მე მგონი, ორმოცს უნდა უკაკუნებდეს, _ წაუკბინა თათიკომ.

_ ასისაც რომ იყოს, ღრმად მოხუცებული და ჯოხით დადიოდეს, ჩემთვის სულ ერთია. არ მაინტერესებს არაფერი, წყალსაც წაუღიხართ ყველანი, იმის გარდა (ბავშვი ვეღარ თქვა), გესმის, შენ?

_ არ მესმის, ქალის გამო ასეთი გადარევა, არა, ლამაზი კია, _ თავის თავს ებრძოდა თათიკო.

_ რა შუაშია ლამაზი? _ კიდევ ერთხელ გააკვირვა თათიკოს მსჯელობამ პაპუნა. _ მთლად უშნოც რომ იყოს: "დვა ზუბა, ჩეტირე პროტეზა", მაინც მეყვარებოდა, არ ვიცი, რა მჭირს...

_ სიშლეგე, ქართული სიტუტუცე, სხვა რა? _ ნაწყენი იყო თათიკო, _ მაგრამ ჩემგან რა გინდა?

_ ახლა აღარაფერი, რა ვიცი, ვიეჭვიანე რომ... _ ვერ დაამთავრა პაპუნამ.

_ როგორც ის ბიჭი ეგონათ ჩემი მოკლული, არა? _ ტუჩზე იკბინა თათიკომ. _ დეგენერატები ხართ ყველანი. _ ნუ გეშინია, გამოჩნდება ეგ შენი ნესტანიც, ოჯახური პრობლემა ექნება რამე მოსაგვარებელი, სად წავა? _ და თათიკომ ვისკი გადაუსვა.

_ ოჯახური პრობლემა? _ და პაპუნა ახლაღა მოვიდა აზრზე, რომ თამთას ქმარი ჰყავდა, მართლაც, და ვინ იცის, რა პრობლემები ჰქონდა. რა უჭირდა, და, საერთოდ, ახსოვდა კი პაპუნა? ჩაიბოღმა, მაგრად ჩაიბოღმა, სად გამომეჩხირა ეს ვიღაცაო, თამთას კანონიერ ქმარზე დაიწყო იმ წამს ეჭვიანობა. ჰო, წარმოიდგინა ის ვიღაცის მკლავებში და ისევ გაცოფდა. _ ქალები? _ მკვლელის თვალებით შეხედა პირდაღებულ თათიკოს, _ რატომ გაგაჩინათ ღმერთმა? _ ჰო, ასეთი სისულელე მოხია.

_ თქვენ რომ გყვარებოდით, _ რბილად უპასუხა თათიკომ და პაპუნა ახლაღა მოვიდა აზრზე, რა შორს გაერეკა. _ ჩემგან რა გინდა? კი, მაგრად მიყვარხარ, მაგრამ ვერ დაგეხმარები, ნეტა მკვდარი იყოს... _ აემღვრა უცბად თვალები თათიკოს.

_ გამოუვალი მდგომარეობა მაქვს, _ ჩაილაპარაკა თავისთვის პაპუნამ.

_ იცი, რას გეტყვი? _ ახლა უკვე თათიკო გადავიდა შეტევაზე. _ დედაც გტირებიათ, შენც და იმასაც. _ და თითქოს ხმამაღლა განაგრძოო ფიქრი: _ შეხვდა ვიღაც უნიფხვო გოგოს და შეყვარებულია ბიჭი... _ და პაპუნას მიახალა: _ შენ მე უნდა გიყვარდე, მე? ჩემი გადარჩენილი ხარ და არა გაქვს უფლება, ვინმე სხვა გიყვარდეს, გაიგე?

პაპუნამ უცქირა, უცქირა და მაინც ვერ მიხვდა რა უნდოდა მისგან ლელას.

_ მასე მაკარტნების ქალიშვილის, სუზის გადარჩენილიცა ვარ და ვინ მოთვლის, ეე!

ეს "ეე!", მაგრად ეწყინა ლელას.

_ მერე იტყვიან, რად მოკლაო... მოგკლავდი, დედას გეფიცები! რომ ახლოს ვერავინ გაგკარებოდა, _ და თითქოს ახლაღა მოვიდაო აზრზე. _ ბიჭო, რა სისულეებს ვლაპარაკობთ, მე და შენ, აზრობ? ვინმე რომ გვისმენდეს, ნამდვილი დაფთხვენილი გიჟები ვეგონებით.

და პაპუნაც მიწაზე ჩამოვიდა.

_ იმიტომ, რომ შეყვარებულები ვართ. ეტყობა, მართლაც აგიჟებს სიყვარული...

_ ჰო, აყრუებს და აბრმავებს კიდეც, _ გაიცინა თათიკომ.

_ ჩვენს პატრონს... _ გაეცინა პაპუნასაც. _ მაინც უნდა მოვძებნო. უნდა ვიპოვნო როგორმე. სახლში რომ დავადგე?

_ ჰო, რომ გადმოიღოს იმის ქმარმა თოფი და გწეპოს, არა, ტყვია შუბლში.

_ არა, რატომ, ვითომ უცხო ვარ. რაღაც სულ სხვა საქმეზე. ის ხომ მაინც ვერ მცნობს, არა?

_ მე თავს მოვიკლავ, ალბათ, _ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ლელამ და თვალები აუწყლიანდა.

_ ჩემ გამო? _ გულწრფელად გაიკვირვა პაპუნამ.

_ ყველაფრის... დავიღალე... როგორ გელოდებოდი... შენ კი... _ აღარ დაასრულა თათიკომ.

_ კარგი, მოიკალი მაშინ და მე დაგმარხავ, მერე გრანიტის ძეგლს დაგადგამ და წავაწერინებ: ამ ქალმა ჩემი სიყვარულის გამო მოიკლა თავი, მართალი ყოფილა ბიბლია. "ათას კაცში ერთია ჭკვიანი, ქალი კი არც ერთიო"...

პაპუნა ასეც მოიქცა, ფატი... ახლაღა გაახსენდა თამთას მეგობარი. მგონი, ჩაწერილი მაქვს მობილურში ნომერიო, ასეც აღმოჩნდა და დაურეკა.

ხომ არ გაგიჟდიო, შინაურულად უთხრა ფატიმ. ისედაც გარეკილი აქვს იმ კაცს, სულ მოკვლით ემუქრება, შენ რომ გნახოს, ხომ ნამდვილად მოკლავს და დამთავრდება ყველაფერიო. მე მივალ სანახავად და ერთ-ორ საათში დამირეკე, ნუ გეშინია, რამე რომ იყოს, გული ხომ მიგრძნობდა, მეც შენსავით შეყვარებული კი არა ვარ, ჭკუა დამეკარგაო... _ მოკლედ, ასეთი ბანალური საუბარი გამოუვიდათ და ფატი დაქალის სანახავად წავიდა.

მართლაც, ორ საათში, ფატიმ თვითონ გადმოურეკა. გამოვიხსენი შენი ნესტანი ტყვეობიდან და ესეც გიჟსა ჰგავს, ისე უნდა შენი ნახვაო. მაშინ, "ეიფელის" ჰოლში დაგელოდებით, ჩემი სასტუმროს პირდაპირო, უთხრა პაპუნამ.

_ თუ მურმანის ეკალი უნდა ვიყო, მე არ წამოვალ, კარგი? _ მართალია, მაგრად უნდოდა ფატის მათთან ყოფნა, მაგრამ სწორედ მათ გამო, თავის მსხვერპლად გაღება გადაწყვიტა.

_ არა, არა, ვერ წარმოიდგენ, როგორ მეშინია მაგ ბავშვის, აუცილებლად უნდა წამოხვიდე! _ თხოვა პაპუნამ და ფატი მიხვდა, რაღაც დიდ, სასწაულ სიყვარულს უმზადებდა ამ ორ არსებას სიყვარულის ღვთაება, თორემ ისეთ ვაჟკაცს, როგორიც პაპუნაა, ამ სიფრიფანა, გამჭვირვალე ქალისა რატომ უნდა შინებოდა?

_ აბა, დაანებე ახლა ფიქრს თავი! _ უთხრა ფატიმ მკაცრად თამთას. _ და, საერთოდ, დაივიწყე წარსული, ის იყო და აღარ არის, ხომ? მომავალზე იფიქრე, პაპუნაზე და მასთან ერთად ცხოვრებაზე.

_ ასე ადვილია? დაანებე ფიქრს თავი... _ გაიკვირვა თამთამ.

_ მაშინ იფიქრე, აბა, და გარეკე, ერთი, შენი ქმარივით, შენც... _ არ დაუთმო ფატიმ და დაემუქრა: _ წამოდი, წამოდი! _ ალბათ, მივიდეთ, პაპუნას უნდა ჩავუკაკლო ყველაფერიო.

ისევ თავშეკავებულად შეხვდნენ ერთმანეთს თამთა და პაპუნა, თითქოს ერიდებათ კიდეც ერთმანეთისო. ერთი კი იყო, რომ კაცი თვალს ვერაფრით აცილებდა ქალს. მოკლედ, ვერ გამძღარიყო მისი ყურებით. ისიც კი გაიფიქრა, ვაითუ, სექსის მერეც ასეთ დღეში ვიყოო.

_ ყველაფერი ყველაზე საუკეთესო, თუკი რამე გაქვთ, და იმდენი, რომ დაგვაკმაყოფილოს. ჩემთვის ვისკი, შოტლანდიური და ამათვის ხვანჩკარა, ოღონდ ნაღდი, _ ესწავლა უკვე როგორ შეეკვეთა საჭმელ-სასმელი პაპუნას.

_ ახლა მოგიყვები, პაპუნა, რა ხდებოდა და რა დღეშია ეს ბავშვი, _ სიგარეტს მოუკიდა და მაშინვე ლაპარაკი დაიწყო ფატიმ.

თამთამ შუბლი შეკრა.

_ აბა, გახსენი ეგ შუბლი, ახლავე, გენაცვალე! _ უბრძანა დაქალს ფატიმ და მასაც გაეღიმა.

_ სადისტის ხელშია, ნამდვილი სადისტის... რა ხდებოდა, იცი? _ წამოიწყო ისევ ფატიმ და თამთამ ისევ მუქარით შეუკრა შუბლი ფატის.

_ რას მიკვესებ მაგ თვალებს, ყველაფერიც უნდა ვუთხრა, _ განაგრძო ფატიმ. _ ჩაკეტილი ჰყავს სახლში და გარეთ არ უშვებს. ჰო, ჰო, თუ შენ შინ არ ხარ, ვერ ვიძინებო, ეუბნება. ესეც, როგორც მონა, მონა კი არა, როგორც ძაღლი, თვალებში შეჰყურებს, იმიტომ რომ ეშინია, არ მოკლას. ჰო, ჰო, დანებსა ლესავს ამის დასანახავად და მარტო იმას ჰყვება, როგორ ხოცავენ ქმრები ცოლებს და როგორ ჰკუწავენ. გეფიცები!

_ მარტო მაგას? _ ჩაურთო თამთამ.

_ და კიდევ, რაღაც სისულეებს... პრეზიდენტობას აპირებს კაცი, ჰო. გერბის, დროშის და ჰიმნის შეცვლასაც კი აპირებს. დროშა და გერბი დახატული აქვს და ჰიმნიც დაწერილი.

_ უტვინო კი არ არის, იცი, რა ნიჭიერია? _ ჩაურთო თამთამ. _ ჰიმნი მაგას ადრევე ჰქონდა დაწერილი, კონკურსშიც მონაწილეობდა...

_ შენ მოგწონს ჩვენი ჰიმნი? _ თამთას შეაწყვეტინა და პაპუნას შეეკითხა ფატი.

_ არა, _ თქვა პაპუნამ.

_ დროშა? _ შეეკითხა ფატი.

_ არ ვიცი, არც ის შინდისფერი მომწონდა. _ თქვა პაპუნამ. _ და ვერც გერბის მშიერი თუ მჭლე ვეფხვის არსში გავერკვიე. მე ქართველი იმიტომ მიყვარდა, რომ სიცოცხლით უზომო ტკბობა და სიხარულის ჩვენებური, განსხვავებული განცდა გვაქვს საოცარი. ეს მომარბენინებდა აქეთ. ყველაზე მეტად, ჩემი აზრით, ამით განვსხვავდებით სხვებისგან. აი, ეს უნდა დასდებოდა საფუძვლად გერბსაც, ჰიმნის ტექსტსაც და დროშის მოხატულობასაც, ქართული სიცოცხლით ტკბობის სიყვარული.

_ ჩემი ქმარი გაიძახის, მე მომპარეს ჰიმნის ტექსტიო, მე ქართული ტექსტი გავუგზავენე და იმათ კოსმოპოლიტურად გადააკეთესო. _ თქვა თამთამ.

_ ჰოო? _ შეეკითხა პაპუნა. _ გახსოვს?

_ ერთი სტროფი კი, რომელზეც ამბობს გამოიყენესო, აი: თავისუფლება დროშაა, ერის რწმენა და ღირსება, დიდება მამულიშვილებს, დიად, უკვდავ ერს, დიდება!

_ ყოჩაღ, ბევრად კონკრეტულია, ვიდრე ჩვენი აბსტრაქტული ჰიმნი. "მომავალს უმღერს დიდებას", რომელ მომავალს? რომელიც ან ექნება ამ ქვეყანას, ან არა?

_ ან რა გარანტია გვაქვს, რომ კარგი მომავალი გვაქვს? ან რუსები ატომურ ბომბს არ გვესვრიან? ჭკუა დაუშლით თუ რა? _ დაამატა ფატიმ.

_ მაგიტომაც გააფრინა, რომ ჭკვიანია. რაც მეტი აქვს თურმე ადამიანს ინტელექტი, მით უფრო ახლოს ყოფილა სიგიჟესთან, _ თქვა თამთამ.

_ ჰოდა, ერთხელაც იქნება, დაკლავს... _ დაამატა ფატიმ.

_ მაშინებს, კარგი რა? _ თქვა თამთამ.

_ გველს თავისი მახრჩობელა უყვარდაო, ამაზეა ნათქვამი, _ სალოკი თითი დაუკაკუნა, უკან გადაწეულ თმაზე ფატიმ თამთას.

_ მიყვარს? როგორ უნდა მიყვარდეს კაცი, რომელმაც ნარკოტიკში გამცვალა, მარტო მე კი არა, შვილებიც... და სადისტივით მაწამებს?

სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. ოფიციანტმა ურიკა მოაგორა და შეკვეთილი კერძები მაგიდაზე გადაალაგა.

პაპუნამ ვისკი დაისხა და ჭიქას მოკიდა ხელი.

_ მე არ შემიძლია, თქვენ თუ გინდათ, თქვით სადღეგრძელოები, _ უთხრა მან ქალებს და სასმელი ტუჩთან მიიტანა. ამ დროს, მათ მაგიდას ვიღაც ტიპი მიადგა.

პაპუნას არ ენახა თამთას ქმარი, ამიტომ ვერ მიხვდა, რა უნდოდა ამ კაცს. რესტორნის თანამშრომელი იქნებაო, გაიფიქრა, მაგრამ როცა კაცმა თქვა, _ აი, თურმე სად გარბოდითო! _ და თამთას წითლად აღუდღუდებულ სახეს შეხედა, მიხვდა, რომ ცოტა სხვანაირად იყო საქმე. მოგეხსენებათ, ასეთ დროს თბილისელი ქალების ამბავი _ ბიძაშვილ-მამიდაშვილებს რა გამოულევთ?.. _ ჰოდა, როცა ფატიმ, _ ოო, ვაჟა, მაინც მოგვაგენიო? _ უთხრა იმ ტიპს და, _ გაიცანი, ეს ჩემი საქმროაო, _ პაპუნაზე თქვა, პაპუნა წამოდგა და მოსულს ხელი გაუწოდა.

_ ეს კი თამთას ქმარია, პაპუნა, ვაჟა, _ უთხრა მან პაპუნას.

_ რატომ გამომეპარეთ? _ შეეკითხა ქალებს ვაჟა და მიუპატიჟებლად მიუჯდა სუფრას. და ეგრევე ხელი ვისკის ბოთლისკენ წაიღო. _ შეიძლება, ხომ? _ იკითხა მან ზრდილობიანად და მეორე ხელით თამთას ჭიქას დასწვდა.

_ ვინ დაგპატიჟა? _ სანამ ჭიქას ავსებდა, მოასწრო შეკითხვის დასმა თამთამ.

_ ჩემმა თავმა, _ თქვა ვაჟამ. _ ამ ყველაფრის გადახდილია.

_ აი... _ თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა თამთას, მაგრამ ვეღარ განაგრძო.

პაპუნამ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა; იმ დახასიათების შემდეგ, რომელიც ქალებმა ვაჟას გაუწიეს, წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოქცეულიყო.

_ ჩემს კითხვაზე არ გიპასუხიათ... _ ქალებთან ჰქონდა საქმე ვაჟას.

_ იმიტომ, რომ, _ ნელ-ნელა თავისი ფერი უბრუნდებოდა თამთას, _ თავი მომაბეზრე, სამი დღე და ღამე სახლში გყავდი გამომწყვდეული.

_ თუ ჩემი ცოლი ხარ, ჩემთან უნდა იყო, მაშ, როგორ?! _ გაიღიმა ვაჟამ და გამოაცხადა: _ სახლი გავყიდე, იცით?

_ სახლი გაყიდე? _ მაგრად გაუკვირდა თამთას.

_ ჰო, ბე მომიტანეს უკვე, ათი ათასი დოლარი. მაშ, ამ სუფრის ფულს როგორ გადავიხდიდი?!

_ მერე? _ ძალზე მკაცრი გაუხდა სახე თამთას. _ მაგ ფულსაც რომ შეჭამ, მერე რა უნდა ქნა?

_ რატომ შევჭამ?! სულაც არ ვაპირებ. საქმეში უნდა ჩავდო, _ თქვა ვაჟამ. _ რა სადღეგრძელო თქვით? თუ არ ამბობთ სადღეგრძელოებს?

_ ჯერ არ გვითქვამს, ვაპირებდით, _ თქვა ფატიმ, რომელსაც ახალი თანამესუფრის შემომატების გამო, ისევე, როგორც შეყვარებულებს, მაგრად გაუტყდა.

_ საქმრო თუა, მაშ, თხოვდები, ხომ? _ შეეკითხა მას ვაჟა. _ მერე მე რატომ აქამდე არაფერი ვიცოდი?

_ გუშინ გადავწყვიტეთ და შენ საიდან უნდა გცოდნოდა?! ჯერ მე თვითონაც არ ვიცი, კარგად, მგონი...

_ მაშინ, თქვენ გაგიმარჯოთ, დაგლოცავთ! ნუ, რა გისურვოთ?.. ბედნიერება, ალბათ, თორემ შვილები იქნებ, არც გინდათ, რომ იყოლიოთ. დღეს აღარავინ აჩენს, მგონი, შვილებს...

ვაჟას სიგიჟის არაფერი ეტყობოდა და პაპუნამ ისიც კი გაიფიქრა, _ ხომ არ ტყუიან, საერთოდ, ეს ქალები, რომ იბოზონო?.. მაგრამ თამთას შეხედა და, _ ეს რამ გამაფიქრებინაო?! _ იმდენად ჰგავდა ნამდვილ ანგელოზს თამთა.

_ არა, ჩვენ ვაპირებთ. მინიმუმ სამს... _ ისევ ტყუილი მოხია ფატიმ.

_ ჰოდა, გამრავლოთ, _ თქვა ვაჟამ და ვისკი გადაჰკრა.

შემოსწრებული იმდენს ლაპარაკობდა, პაპუნას აღარ ესმოდა, რა ხდებოდა სუფრაზე, მექანიკურად აგრძელებდა სმას და ჭამას. ასეთ ყოფაში იყო, როცა თამთას წვივის შეხება იგრძნო საკუთარ წვივზე. ესეც შენი ქართველებიო, _ გაიფიქრა, მაგრამ გაახსენდა, რომ რესტორან "ეიფელში" ისხდნენ და გულში გაეცინა. ამათი დედა ვატირე, რა ხდებაო?! _ ასე ჩაამთავრა ფიქრი.

არაფერიც არ ხდებოდა ისეთი. იქეიფეს. არც უცეკვიათ, არც უმღერიათ. ადღეგრძელეს ერთმანეთი. ბოლოს მადლობებიც უხადეს და როცა თამთა თავისმა ქმარმა წაიყვანა, _ ყურებამდე ანუ სიგიჟეს გადაცილებულ, სიშლეგის ზღვარზე მყოფ შეყვარებულ პაპუნას, შეყვარებულის დაქალი ფატი შერჩა ხელში. მოეჩვენა, რომ ყველაფერი დამთავრდა.

_ ხომ ასე დალაგებულად ლაპარაკობდა, ხომ არაფერი შეიმჩნია, არა?.. მაგრამ, იცი, რა ეჭვიანია?! შინ როგორც კი მივლენ, შეჭამს, შეახრამუნებს!.. _ უთხრა ფატიმ.

ქალი ნასვამი ბრძანდებოდა და რაღაც უცნაურად ეწებებოდა თუ ეტმასნებოდა პაპუნას. თმის კულულს აწვალებდა და თითქოს ხუმრობით, მისი ბოლოები ლოყაზეც კი მოუთათუნა. დაიბნა პაპუნა, ქალი აშკარად ღალატობდა დაქალს _ მოურიდებლად, უტიფრად და არცთუ ცუდ საკბილოს წარმოადგენდა, თან. პაპუნამ თავს სძლია.

_ არ გამოვა... _ თქვა მან და ინანა.

_ რა არ გამოვა, პაპუნა? _ ისე სასწაულებრივად "გადატრიალდა" უცბად ფატი და ისე იტყუებოდა. ოჰ, ქალებო, თქვენი დედა ვატირეო!.. _ ლამის წამოსცდა პაპუნას.

_ არაფერი... რა ვიცი, რაღაც მომეჩვენა... _ იცრუა მანაც და ტაქსი გააჩერა. ფატის კარი გამოუღო, ჩასვა, მძღოლს ფული გადაუხადა, _ სადაც გეტყვის, იქ მიიყვანეო, _ უთხრა და თვალებმოწკურულად მზირალ ფატის ხელი სასაცილოდ დაუქნია.

მანქანა წავიდა და პაპუნა მარტო დარჩა ქუჩაში. მთლად მარტო. აქეთ მისი სასტუმრო იდგა, იქით _ რესტორანი, სადაც ამ ორიოდე წუთის წინ უცნაურ სუფრას უჯდა. რაღა მაინცდამაინც ქმრიანი ქალი შემიყვარდა, თან _ ასე მაგრად, რა ბედი მაქვსო! _ ფიქრობდა. _ ან იქნებ, მე თვითონ ვეძებ თავგადასავლებს და ბედი არაფერ

შუაშიაო?!. ან ვინა ვარ, საერთოდ, რას ვეძებ, ან ამ ქვეყანაში რას ვაკეთებ?! იმდენი ფული მაქვს, მე კი არა, ჩემი შთამომავლობა ვერ დახარჯავს ასი და ათასი წელიც, მგონიო... ასეთი ფიქრები უტრიალებდა, ვისკის გრადუსით აგზნებულ ტვინში და სად წასულიყო, არ იცოდა. უნდა მოვიტაცოო, _ გადაწყვიტა, _ სხვა გზა არა მაქვს, აბა, მაშ, რა ვქნაო?! _ და ნატოსთან წავიდა. _ ის თუ თავის ქმარს გაჰყვა, მე ჩემს ცოლს ვეახლებიო...

ნატომ თვითონ გამოაღო ჭიშკარი და ნიკას დანახვაზე კინაღამ მართლა წაუვიდა გული. არც შეიპატიჟა, და პაპუნა მიხვდა, რომ ძალზე უდროო დროს დაადგა, დაუკითხავად, თავის ყოფილ ცოლს. და ეგრევე უკან გატრიალდა. ეგონა, ნატო დაუძახებდა, მაგრამ _ არა, არც ძველი სახელი გაუგონია და არც ახალი...

ახლა კი, მართლაც, მარტო იყო. თავი უცხო ქალაქში და უცხო ქვეყანაში ეგონა. თუ თვითონ პაპუნა იყო უცხო ამ ქალაქისთვის თუ ქვეყნისთვის?.. მიხვდა, არავინ და აღარაფერი აინტერესებდა, თამთას გარდა. მხოლოდ მისი სახე ახსოვდა, მომღიმარი, გამჭვირვალე სახე. რომელიღაც ძველებური, აგურით ნაშენი მოწითალო სახლის ფანჯრებიდან გიტარის სიმებისა და ქალის ხმა გამოდიოდა. ვიღაც წყნარად, სევდიანად მღეროდა _ "ჩემო ციცინათელას": "ანათებ და კარგი ხარ, მაგრამ მე რას მარგიხარ... ჩემი იყო, ის მინდა, შენ კი სხვისკენ გარბიხარ"... პირდაპირ გულზე ეხვეოდა სიმღერის სიტყვები პაპუნას, უკუმშავდა, უპატარავებდა...

კიდევ დიდხანს დაეხეტებოდა ქუჩებში. თითქმის გათენებამდე. სასტუმროს მორიგის გაღვიძებამ მოუწია. ლამის მძინარემ გაუღო კარი.

ნომერში შევიდა, ტანისამოსი აქეთ-იქით მიაფრიალა და გულაღმა მწოლიარემ დაიძინა.

ცოტა კი ითმინა, მაგრამ თათიკოს ძალიან მალე "წამოუარა". ჰო, მართლაც, "წამოუარა": ეს რა ბებიაჩემისას ვჭამო?.. _ ფიქრობდა. _ ვინ ჩემი ფეხებია, ვიღაც თამთაა თუ ტოროლა, რა ომსა და წვალებაში გამოტარებული და გადარჩენილი სიყვარული დამაწერა და მე კიდევ, ვდგავარ და ველოლიავებიო!.. მოკლედ, რამე უნდა მოვიფიქრო, თორემ ასე ხომ ჭლექი დამემართება და იმ ქვეყნად გავემგზავრებიო, _ ფიქრობდა... მართლაც, რაც პაპუნას დაბრუნება შეიტყო, ისე დაიკლო წონაში, დიეტისა და წვალების გარეშე და ისე მაგრად ჩაუცვივდა თვალები!.. სულ სარკის წინ ტრიალებდა და, _ აუ, რა ტანწერწეტა ვარო! _ გაიძახოდა.

რა უნდა მოეფიქრებინა?.. თამთას ხომ ვერ მოკლავდა. ან როგორ წაართმევდა პაპუნას?.. რას გადაწყვეტდა, როგორ გგონიათ?.. _ დედაც არ ვატირე?! წავალ და მის ქმარს მოვახსენებ ყველაფერს და მოხდეს, რაც მოსახდენიაო!.. რა იცოდა, სიგიჟის თუ შიზოფრენიის რომელ სტადიაში იყო თამთას ქმარი, ან რომც სცოდნოდა, არ ინახულებდა? ვინ იცის...

_ ვინ გნებავთ? _ მაგრად გაუკვირდა, პუტკუნა, ელამი, ლამაზი სახის მქონე ქალის დანახვა, თავისი გაყიდული ბინის კარის ზღურბლზე მდგარ ვაჟას.

_ თქვენ, _ მოკლედ მოჭრა ლელამ.

_ მე?

_ ჰო. დიდხანს დამაყუდებთ მათხოვარივით ამ კართან თუ შემომიშვებთ, ბოლო-ბოლო?! _ და თათიკომ მიუპატიჟებლად შეალაჯა ჰოლში, იქიდან კი _ მისაღებში. _ უნდა დაგელაპარაკოთ, სათქმელი მაქვს რაღაც, რაც თქვენ ბევრად მეტად გეხებათ, ვიდრე მე... სად ჩამოვჯდე? _ მიიხედ-მოიხედა თათიკომ და პირდაპირ პატარა მაგიდის წინ მდგარ სავარძელში ჩაეშვა. მერე ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ღერი ამოაძრო და ვაჟას თვალებით ანიშნა, მომიკიდეო.

_ აქ ჩვენს მეტი არავინ არის?

_ არა. _ ვაჟამ ჯიბიდან ასანთი ამოიღო, ღერი გაჰკრა და მოუკიდა.

_ საფერფლე! _ ახალი ბრძანება გასცა ლელამ.

ვაჟამ საფერფლე დაუდგა წინ, მერე მის წინ სავარძელში ჩაჯდა, მტევნები შეაერთა, ცერების ტრიალს მოჰყვა და ირონიულად იკითხა:

_ ვინ ბრძანდებით? თუ ბინის საყიდლად მოხვედით, ბინა უკვე გაყიდულია და სიტყვას ვერ გადავალ.

თათიკოს ყურადღება რატომღაც, მაგიდაზე დაყრილმა რაღაც მომწვანო-მონაცრისფრო ფხვნილის პატარა გროვამ მიიპყრო.

_ ეს რა არის? _ დაინტერესდა ქალი.

_ პლანი. მოსწევთ? _ შესთავაზა ვაჟამ.

_ ხუთიდან რვა წლამდეა, ეს რომ გიპოვონ... _ გაუკვირდა თათიკოს.

_ მაშინ, მთელი ვაკე-ვერა უნდა დაიჭირონ. _ ფეხზე ეკიდა ეტყობა, ვაჟას ციხე და თათიკოც შეწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა:

_ ვინ ვბრძანდები და პაპუნა ილურიძის საყვარელი გახლავართ...

_ პაპუნა ილურიძე... ჰო, ჰო, ჩემი ცოლის დაქალის, ფატის საქმრო. ამ ორი დღის წინ გავიცანი.

_ ვისი საქმრო? _ უარესად დააელმა თვალები ლელამ და ნამწვი სალოკი თითით საფერფლეში ნერვულად ჩაფერთხა.

_ ფატი ჰქვია, რა ვიცი, გვარი დამავიწყდა.

_ ტყუილია, რა ფატი, ვინ ფატი?! ის კაცი თქვენი ცოლის საყვარელია, თქვენი... საქმრო არა, სასიმამრო... _ პირდაპირ შუბლში მიახალა ლელამ.

_ ჰოო? _ დაიბნა და პირი დააღო ვაჟამ, მაგრამ უცბად "მოტვინა": _ წეღან თქვით, ჩემი საყვარელიაო, ახლა _ შენი ცოლისაო...

_ ჩემი იყო, რა მომიყვანდა, მაშ, აქ?!.

ვაჟა სახეში მიაჩერდა თათიკოს. თითქოს ვერც ხედავსო... თათიკო, ცოტა არ იყოს, შეცბა. რა თქმა უნდა, რაღაც რეაქციას ელოდა, ამისთვის მომზადებულიც იყო. ამ კაცს კი ვერაფერი გაუგო. მან ცალი წარბი ასწია, მერე უცნაურად გაიღიმა და უთხრა:

_ ვიცი, განა არ ვიცი, რატომაც მოხვედით. მარტო ეგ კი არა, მთელი მაგისი ნათესავებიც ბოზები არიან. მე პირშიც ვეუბნები ამას, ყველას. წამოდი, რა გაჩვენო!

და ვაჟამ თათიკო გვერდით, პატარა ოთახში შეიყვანა. უცნაური ოთახი იყო, ძველი წიგნებით _ თაროებზე და სურათებით დაფარული კედლები. თათიკო დააკვირდა და დაინახა, რომ სურათებზე ძირითადად, რაღაც საფლავები და სასაფლაოები იყო აღბეჭდილი.

_ მოდი! _ ვაჟამ ერთ-ერთ სურათთან მიიყვანა თათიკო და ზედ თითი დაადო. _ აი, ასეთი საფლავი მინდა გავუკეთო. _ საფლავზე შავი მარმარილოს ჯვარი იდგა და ზედ ვაზი ჰქონდა შემოხვეული. _ ჯერ არ ვეუბნები არაფერს. სიკვდილის წინ უნდა ვუთხრა. _ მერე კი, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და იქიდან დანები ამოიღო. _ შეგიძლიათ, ერთი თმის ღერი ამომაგლეჯინოთ?

_ რად გინდათ? _ ახლა კი ცოტა დაფრთხა თათიკო და ისიც იყნოსა, რომ მთლად ნორმაში არ უნდა ჰქონოდა მასპინძელს ტვინის უჯრედები.

_ ამომაგლეჯინეთ, ერთი ღერი მარტო.

თათიკო იძულებული იყო, თმა წინ ჩამოეშალა და ერთი ღერი ამოეძრო. ვაჟამ გაკეცა და დანის პირს აუსვა.

_ გლეჯავს, _ მერე მეორე დანა აიღო და იმაზეც იგივე გაიმეორა. _ ესეც... არ ვიცი, რომლით ჯობს, რომ მოვკლა, ამით თუ ამით... ორი დღის წინ გავაგდე სახლიდან და, _

აღარ მოხვიდე-მეთქი, ვუთხარი. თუ მოვიდა, უნდა მოვკლა. ქორწილის მეორე დღიდან მღალატობდა და მე ვითომ ვერც ვამჩნევდი...

_ ვისთან გღალატობდა? _ უკვე ნამდვილად აინტერესებდა თათიკოს, რას ეტყოდა ეს ვიღაც გადარეული.

_ ყველასთან. სულ ყველასთან. ძმასთან, მამასთან, ბიძაშვილთან... ყველასთან, ყველასთან... მე მაგას გამომაპარებდა?!

_ ჰოო? _ ახლა კი შიშმა აიტანა თათიკო: რომ ჩამიკეტოს კარი ან ცოლი ვეგონო უცბად, მერე სად მიდიხარო?! _ გაიფიქრა. მერე თავისი გაბარიტები გაახსენდა და ცოტა დამშვიდდა: _ არა, არ არსებობს, არ შეევშლებიო... თუმცა, უკვე ჩქარობდა: _ ეე, წავიდე, ბიჭო, გავასწრო, უცებ რომ წამოუაროს, სად მიდიხარო?!. _ ჰოდა, ძალიან კარგი; რომ მცოდნოდა, ყველაფერი იცოდით, არც გესტუმრებოდითო, _ უთხრა და კარისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

_ მარტო მე კი არა, მთელმა უბანმაც იცის მაგის ამბავი... _ და რომ დაინახა ვაჟამ, ქალი წასვლას აპირებდა, უეცრად კარს აეკრა. თან, ისევ ხელში ეჭირა თავისი ალესილპირიანი დანა, რომლითაც თათიკოს ეტრაბახებოდა. _ წასვლას აპირებთ? როგორ გეკადრებათ?! მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა კი _ ჩემი. გაიხადეთ, გაიხადეთ, ასე როგორ გაგიშვებთ?!

და თათიკომ იგრძნო, როგორ დაუსველდა ტრიკო, როგორ ეპარებოდა წვეთ-წვეთობით. მიხვდა, ვერაფრით შეიკავებდა... გვერდით გაიხედა და ტუალეტის კარი დაინახა.

_ ბოდიში, ტუალეტში მინდა, _ ერთი კი თქვა, გიჟივით შექანდა შიგ და შეიკეტა.

...იარაღს იმ ამბების მერე აღარ ატარებდა. რა უნდა ექნა?.. მობილური ამოიღო და მესიჯი გაუშვა. ვისთან?.. რა თქმა უნდა, პაპუნასთან. _ არიქა, ნიკა ხარ თუ პაპუნა, თამთას ქმარს ვყავარ ჩაკეტილი თავის სახლში, დანებს მიტრიალებს, უნდა მომისწროთ და მიშველოთ; ჩქარა, სანამ მომკლავსო...

ნიკა, რა თქმა უნდა, ვერაფრით მიხვდა, რა უნდოდა თათიკოს თამთას ქმართან. იმას კი მიხვდა, რომ ხმამაღლა ვერ ელაპარაკებოდა. მაშინვე თამთას დაურეკა და უთხრა, რაშიც იყო საქმე. _ კაი, ნუ დარდობ, მე ავალ, მე ვიცი ჩემი გიჟი ქმრის ამბავიო, _ და თამთა სახლში გაიქცა.

ვაჟამ რომ ნახა, თათიკო ტუალეტიდან აღარ გამოდიოდა, მივიდა და კარზე მიუკაკუნა.

_ ცოცხალიLხართ მანდ, ამდენ ხანს რას აკეთებთ? ცუდად ხომ არ გახდით? _ შეეკითხა იგი.

_ უნდა მაპატიოთ, თქვენი ჭირიმე, გაქანებული "ტრიდცადტრი" მჭირს და თავი ველარ შევიკავე, _ და უნიტაზის მეტალის ღილაკს დააჭირა თითი. წყალი დგაფუნითა და ჩხრიალით ჩაიმზღვრა. _ არა, არა, არაფერი... კარგადა ვარ, კარგად... _ გასძახა. იჯდა უნიტაზზე და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, თან ნიჟარაში აფერფლებდა. ეს, რა დღეში ვარ, ეე, ეს ვის გადავეყარეო?! _ ფიქრობდა... მოკლედ, ცოცხალი თავით, სანამ ვინმე არ მოვა, აქედან რა გამიყვანსო, ფიქრობდა. კიდევ დაუმესიჯა პაპუნას. რა ქენიო? _ ეკითხებოდა. _ წამოსულია თამთა, მალე მოვაო, _ მიიღო პასუხი და ცოტა დამშვიდდა. მაგრამ ახლა ის გაახსენდა, თამთას რომ მოკვლით ემუქრებოდა ქმარი და უარესად აღელდა. ისევ მისწერა, _ ხელში დანა უჭირავს და ცოლსაც მოკვლით ემუქრება, რამე უბედურება არ დატრიალდესო. _ ნუ გეშინია, ეგ თურმე სულ მასე ემუქრება, რაც გარეკა, იმ დღიდან, მაგრამ რომ დაინახავს, მშვიდდებაო, _ მიიღო პასუხი.

მალე კარზე ზარის ხმა შემოესმა. სმენად იქცა. ვაჟას ხმა იყო: ხომ გითხარი, აქ ფეხი არ მოადგაო, _ ამბობდა. თათიკო გიჟივით გამოვარდა ტუალეტიდან და შემოსასვლელ კარს ეცა. ვაჟამ ისე გაკვირვებულმა შეხედა, _ ნეტავ, რა დაემართაო? _ რომ თათიკო მიხვდა _ ტყუილად ინერვიულა ასე მაგრად.

კარს იქით თამთა იდგა და თავისი ნაზი ღიმილით იღიმებოდა.

_ შეგაშინათ, არა? ასეთი სულელია.

_ არ მინდოდა, შემეხვედრებინეთ, _ თითქოს მოიბოდიშა ვაჟამ.

თამთამ კი თათიკოს გაუღიმა და ჰკითხა:

_ აქ საიდან მოხვდით?

_ მეზობლებთან ყოფილა, მგელაძეებთან და ისინი რომ არ დახვდნენ, ჩემთან დარეკა, საკითხავად. მერე ტუალეტში უნდოდა და... _ დაასწრო ვაჟამ თათიკოს. მერე ცოლს შეეკითხა: _ თქვენ რა, იცნობთ ერთმანეთს?

_ კი, როგორ არა, _ თქვა თათიკომ. _ მაგრამ მე უნდა წავიდე, მაპატიეთ...

თამთა ეჭვის თვალით კი უმზერდა თათიკოს, მაგრამ მიხვდა, რა შიშიც ეჭამა და გულში ეცინებოდა. თათიკოს შუბლზე ეწერა, რომ კარგ საქმეზე არ უნდა ყოფილიყო მოსული.

_ თქვენ რჩებით, ხომ? _ შეეკითხა ის თამთას. _ ნახვამდისო, დაემშვიდობა და კიბეზე კისრისტეხით ჩაირბინა.

სირბილით, "ასით" გაერიდა თამთას სახლს. მაგრამ ქუჩაში გავიდა თუ არა, ისე გემრიელად შემოსცხო სიცივემ, _ აუ, ტაქსი თუ არ გამოჩნდა დროზე, დავიღუპეო! _ გაიფიქრა. გაუმართლა, მალე გამოჩნდა ტაქსი და მის წინ დაამუხრუჭა. ლელაც ჩახტა და პაპუნას დაურეკა. ყველაფერი უამბო. ისეთ დღეში ჩავვარდი, შიშით სულ წურწურით "გამეპარაო". მძღოლსაც კი არ მორიდებია, უყვებოდა და გადარჩენით გახარებული ეუბნებოდა: სულ შენი სიყვარულის ბრალია, რაც დამემართა, შენ კი სულ არ გებრალებიო...

_ რა დღეში ვიყავი, პაპუნა, თუ არ გავაფრენდი, არ მეგონა. გამოვიტირე ჩემი თავი, გეფიცები! მოკლავს ეგ მაგ ბავშვს, ერთხელაც იქნება. ვინ უნდა უშველოს, როგორ, რანაირად?..

ინსტრუქცია, რომლითაც პრეზიდენტი სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა, ლადოს აზრით, გენიალურად იყო მოფიქრებული. ის ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლას აპირებდა. პრეზიდენტი, რომელიც საგიჟეთის გახსნის პრეზენტაციას უნდა დასწრებოდა, გიჟების ნასროლი ტყვიით, პაპუნა ილურიძის კუთვნილ დაწესებულებაში უნდა მომკვდარიყო. და მკვლელობაც პაპუნას უნდა დაბრალებოდა. ვერ გეტყვით, რუსეთის პირდაპირი დაკვეთა-დავალება იყო ეს თუ ლადოს საკუთარი ამბიცია. ეს კი ვიცი, რომ თავდასხმის გეგმა მისხალ-მისხალ იყო აკინძული და მომზადებული. და პრეზიდენტს მხოლოდ სასწაულიღა თუ იხსნიდა.

ჯაყომ მათხოვარივით ჩაიცვა. ვაკეში, ერთ-ერთი მრავალსართულიანი პრესტიჟული კორპუსი შეარჩია, ხელში აგური დაიჭირა და ლიფტის წინ გაჩერდა. პირველად, ვიღაც ახალგაზრდა გოგონები შემოვიდნენ, სტუდენტური ასაკის. ლიფტისკენ წამოვიდნენ და ლიფტის კარის წინ მდგომი აგურიანი კაცი ეჭვის თვალით აათვალიერეს.

ჯაყომ ამღვრეული თვალები დაუბრიალა და აგურიანი ხელი ასწია.

_ არ მომეკაროთ!

გოგონები დაიბნენ.

_ დანაღმულია, აფეთქდება! _ დაუღრიალა ჯაყომ და გოგონებიც კიბეზე ფართხაფურთხით აცვივდნენ.

მერე დედა-შვილი შემოვიდა. ალბათ, სკოლიდან ბრუნდებოდნენ.

_ არ მომეკაროთ! _ იმათაც დაუღრიალა ჯაყომ და აგურიანი ხელი აღმართა. შეშინებული ქალი ბავშვიანად უკან გავარდა. _ დანაღმულია, აფეთქდება! _ დაადევნა ჯაყომ და გაიფიქრა: "ეს მოიყვანს".

მართლაც, სამიოდე წუთი გავიდა თუ არა, სადარბაზოსთან პატრულის მანქანა გაჩერდა და ორმა პოლიციელმა შემოიხედა.

_ აი, ისევ აქ დგას, _ მიანიშნა სწორედ იმ ბავშვიანმა ქალმა პოლიციელებს.

_ არ მომეკაროთ! _ დაუღრიალა ჯაყომ და აგურიანი ხელი აღმართა.

_ ეჰეე! _ ჩაილაპარაკა მაღალმა, ყელყელა პოლიციელმა. _ ეს ალბათ, გიჟია.

_ გიჟი შენა ხარ! დანაღმულია, აფეთქდება! _ დაუყვირა ჯაყომ.

_ ას პროცენტში! _ დაუდასტურა პირველს მეორე პოლიციელმა, რომელსაც ხელში "დუბინკა" მოემარჯვებინა.

_ გიჟია, ჩვენ ამის დაკავების უფლება არ გვაქვს. გიჟი უნდა იყოს! _ მიუბრუნდა პირველი ბავშვიან ქალს.

_ რას ნიშნავს, დაკავების უფლება არ გაქვთ?! ვერ ხედავთ, სახლში არ გვიშვებს?! _ გაოცდა ქალი.

_ ლიფტში არ გიშვებთ, ლიფტში! სახლში წადით, ვინ გიჭერთ? დანაღმულია! _ გაიკვირვა ჯაყომ.

_ შენ რა იცი, რომ დანაღმულია? _ შეეკითხა "დუბინკიანი" ჯაყოს.

_ გინდა, ავაფეთქო? აი, ფითილი! _ და ჯაყომ ლიფტის კარიდან გამოყოფილ, ფითილის წვერზე მიუთითა.

პოლიციელები განცვიფრდნენ.

_ ასანთს მივცემ და მთელ სადარბაზოს ასწევს! _ განუმარტა ჯაყომ.

_ ვინ დანაღმა? _ დაინტერესდა ყელყელა.

_ მე, _ უპასუხა ჯაყომ.

_ რატომ? _ შეეკითხა "დუბინკიანი".

_ სურიკა უნდა ავაფეთქო, _ სრული სერიოზულობით უპასუხა ჯაყომ, რომელსაც აგურიანი ხელი ისევ მაღლა ჰქონდა აშვერილი.

_ სურიკა ვინ არის? _ შეეკითხა ყელყელა.

_ არი, რა, ერთი, _ უპასუხა ჯაყომ.

_ რატომ უნდა ააფეთქო? _ შეეკითხა მეორე.

_ ვა, ფული მართებს ჩემი, ათასი დოლარი და არ იძლევა, _ განუმარტა ჯაყომ.

_ ამ სახლში ცხოვრობს ეგ შენი სურიკა? _ შეეკითხა ისევ ყელყელა.

_ მე რა ვიცი, სად ცხოვრობს?! _ გაიკვირვა ჯაყომ.

_ ხომ გითხარით, ქალბატონო, შიზო ყოფილა, ჩვენ ამას ვერ დავიჭერთ, _ ისევ ქალს მიუბრუნდნენ პოლიციელები.

_ რას ჰქვია, ვერ დაიჭერთ?! ვერ ხედავთ, რამხელა აგური უჭირავს ხელში?! რომ ჩაარტყას ვინმეს, ხომ აქვე გაათავებს! _ განცვიფრდა ქალი.

_ ჩავარტყამ, თუკი ლიფტში შევა, აბა, რა! _ დაუდასტურა ჯაყომ.

_ მაშ, არ წაიყვანთ? აქ გვიტოვებთ? _ არ ცხრებოდა ქალი.

_ შენ, ძმაო, თავს ხომ არ იგიჟიანებ? _ მიუბრუნდა ისევ ხელჯოხიანი ჯაყოს.

_ შენ რომ დაგაწეროს ძმაკაცმა ათასი დოლარი, არ ააფეთქებ? _ გაბრაზდა ჯაყო.

_ და თუ აქ არ ცხოვრობს, როგორ ააფეთქებ? _ შეეკითხა ყელყელა.

_ როგორ და, ერთხელაც ხომ შემოივლის, არა?

_ წამო, ძმაო, წამო! გიჟია და ჩვენ გიჟებთან არაფერი გვესაქმება, ქალბატონო! _ ისევ ქალს მიუბრუნდა ხელჯოხიანი. _ მაშინ, ნახევარი საქართველო უნდა დავიჭიროთ.

_ რა-ა? აბა, რისთვის გქვიათ პატრული?! გამაგებინეთ, ხალხო! _ ლამის გაგიჟდა ქალი.

_ კარგით, რა, ქალბატონო, სად წავიყვანოთ, თქვენ გგონიათ, ამას მიიღებენ საგიჟეთში? იქ ერთი კაცის მოწყობა, იცით, რა ღირს? ვინ შეუშვებს იქ გიჟს ქუჩიდან?!

_ მაშ, ააფეთქოს სადარბაზო?! მაშ, ხალხი დახოცოს?!

_ რა უნდა ააფეთქოს, ქალბატონო, გინდათ, ნიძლავი?! ლიფტშიც აგური ექნება დადებული და აგურზე ექნება ეგ ფითილი გამობმული. თქვენ გვასწავლით ჩვენ, როგორ უნდა მოვიქცეთ?! სად წავიყვანოთ?.. არ მიიღებენ არსად, არა!

_ არა? _ იკითხა ჯაყომ და ამ შეკითხვამ ქალიც და პოლიციელებიც მაგრად დააბნია.

_ აი, მგონი, არც არის გიჟი, _ ეჭვი გამოთქვა ქალმა.

_ მუქთა "პაიოკი" ენდომება, _ დაუდასტურა ყელყელამ და მეგობარს მიუბრუნდა: _ წავედით!

და პოლიციელები წავიდნენ.

ქალმა კი ხელი მოკიდა ბავშვს, რომელიც მაგარი შეშინებული ჩანდა და კიბისკენ წავიდა.

_ ჰო ჩამიშვი, არა?! თუ არ ავწევ ამ სადარბაზოს, ნახავ! _ დაემუქრა ქალს ჯაყო. მერე აგურიანი ხელი ჩამოუშვა, ჯიბიდან მობილური ამოიღო და ზარი გაუშვა, რის გამოც ქალმა კიდევ ერთხელ დააღო პირი.

_ სურიკ, არ გამოდის არაფერი. პატრულიც მოიყვანეს, მაგრამ არ წამიყვანეს მაინც... რამე სხვა უნდა მოვიფიქროთ...

ქალი კიბეზე გაჩერებულიყო და უსმენდა.

_ წადი, რა, ქალო, რას მიყურებ? თუ, აგური გინდა, წამოვიდეს?! _ დაემუქრა ჯაყო.

და ქალმაც სწრაფად განაგრძო კიბეზე ასვლა. ჯაყო კი სადარბაზოდან გამოვიდა.

ისევ შეიკრიბა სამეული. მიხვდნენ, რომ საგიჟეთში ჯაყოს მოსახვედრად, მაგარი "ჩაწყობა" იყო საჭირო, თან ისე, რომ ეჭვი არავის აეღო. რამდენიმე ვარიანტი განიხილეს. ამ სამი ველურიდან, არც ერთი ნორმალური რომ არ იყო, თქვენც მოგეხსენებათ. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს არც ისე ადვილი დასამტკიცებელი აღმოჩნდა. მიხვდით, ალბათ, რაზეცაა ლაპარაკი: ოპერაცია "პრეზიდენტის" ერთ-ერთი პირველი ფაზა, ჯაყოს სულიერ ავადმყოფად გასაღება და მისი საგიჟეთში მოთავსება იყო. ამის მისაღწევად არჩეული პირველი ვარიანტი მაგარი "დებილობა" აღმოჩნდა და ჩაეშალათ.

_ მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ, _ გამოაცხადა ხახომ. _ პირდაპირ ქვების სროლაზე უნდა გადავიდეთ. ჰო, ვინმე მაგარი ბიძა უნდა გავაგიჟოთ, რა! მთავრობიდან ან პარლამენტიდან, თუნდაც... უნდა გადავეკიდოთ, რა. მაგრად გავამწაროთ და თვითონ მიგვარბენინებს საგიჟეთში.

_ როგორ უნდა გავამწაროთ, რო? ენა გამოვუყოთ? _ შეეკითხა სურიკა.

_ ქვები დავუშინოთ-მეთქი, არ გითხარი? ქვები! ხან ფანჯრები უნდა ჩავუმტვრიოთ, ხან _ მანქანის პარპრიზი. თავში თუ მოვარტყამთ, მთლად კაი. ჩვეულებრივი "ლაგატკით". ჯაყომ გულზე დაიკიდოს და ამხელა კაცს "ლაგატკით" ხელში რომ დაინახავენ, გიჟიაო, იტყვიან, სხვა რა უნდა იფიქრონ?!

_ გენიოსია, ჩემი დედას გეფიცები! _ თქვა სურიკამ.

ჯაყომ თავი მოიფხანა.

_ ჰო, მაგრამ ვის უნდა დავუშინო ეგ ქვები?

_ ჩემ პირდაპირ კორპუსში ცხოვრობს ერთი, ის როა, პარლამენტარი, მარინა მეძმარიაშვილი.

_ ქალს ვესროლო, მერე, "ლაგატკა"? _ გაუკვირდა ჯაყოს.

_ რა ქალი, ტო! შენ ის ქალი გგონია?! ნამდვილი დრაკულაა, ბიჭო, სისხლისმსმელი! _ არწმუნებდა ხახო.

_ ამას იმ ქალის "ზუბი" აქვს, ეტყობა, და უნდა, რომ მომენტი გამოიყენოს, _ ხელი აუქნია უარყოფის ნიშნად, ჯაყომ.

_ არა, ტო, რა "ზუბი", რომელი ჩემი საყვარელი ეგ იყო, რა "ზუბი" უნდა მქონდეს, გააფრინე?! _ ავარდა ხახო.

_ სწორია. ქალს თუ ქვას უშენს კაცი, უფრო გიჟი არ გამოდის? _ გამოიტანა საბოლოო დასკვნა სურიკამ.

_ ვა, ეს რამხელა ხათაბალა ყოფილა საგიჟეთში მოხვედრაც! როდის უნდა ეშველოს ამ ქვეყანას?! _ ჩაიბურდღუნა ჯაყომ.

_ თან, არც დაცვა ჰყავს, არც არაფერი... _ თავისი აზრის გატანას ცდილობდა ხახო.

ისევ მათხოვრის ტანსაცმელში გამოეწყო ჯაყო. ჯიბეები კენჭებით გამოიტენა და ბახტრიონის ქუჩიდან მარინა მეძმარიაშვილს, "ლაგატკით", ლოჯიის ფანჯრის ყველაზე დიდი შუშა, პირდაპირ ტრასიდან ჩამოუღო... დაცვა რად უნდოდა?! სულ რაღაც წამებში, იმ სქელტრაკა პარლამენტარს იმდენი დაცვა გამოუჩნდა, ჯაყო მთლად გაცოფდა. მაგრამ რაღას უშველიდა?! ერთი, ცხრა კაცი მაინც დაესია. რომ გაიგდეს წიხლქვეშ, ნეკნი არ დაუტოვეს მთელი. ეგდო მოკუნტული ჯაყო მიწაზე და ხელებს სახეზე იფარავდა. ალბათ, ახლად ჩასმულ მეტალო-პლასტმასის ჩანებს თუ უფრთხილდებოდა.

_ ვინც თქვენ გაგაკეთათ, მე იმის!.. _ აგინებდა, თათხავდა და ეჩხუბებოდა საცოდავ ძმაკაცებს ძვალ-რბილ-ტყავგაერთიანებული ჯაყო. _ არ ვიცი, როგორც გინდათ, რანაირადაც გინდათ, დღესვე საგიჟეთში თუ არ დამიჯავშნით ნომერს, მე ნუ დამაბრალებთ ნურაფერს, გაიგეთ?

_ რა ყველა პრობლემა ჩემი გადასაჭრელია, ტო! მე გითხარი, ხალხში ჩადექი და ისე დაუშინე-მეთქი?! _ იწყინა სურიკამ.

_ ბიჭო, შენ ხმას იღებ კიდევ? წადი, რა, გააჭენე, თორემ მართლა გამაფრენინებ შენ, ხო იცი!

_ კაი, კაი, მივდივარ! მაყუთი დამჭირდება ცოტა.

_ რამდენი?

_ ჯერ რა ვიცი, ტო! რამდენსაც მეტყვის ის კაცი. რომელი გიჟების და ქაჯების შუამავალი მე მნახე?! რამდენი!.. ხომ არ მოგიტეხავ, არა? _ ეწყინა სურიკას.

_ კაი, ჰო, მიდი, შეაყოლე!

სურიკაც წავიდა და იმ ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმს ესტუმრა, რომლის მისამართიც მამიდამისმა გაუგო.

ფსიქიატრმა სურიკა ჯერ თვალებით გახვრიტა და მერეღა გაუღო კარი, რომელიც ჯაჭვით ჰქონდა დაკეტილი.

_ გიჟი არა ვარ, _ ხელები ასწია სურიკამ. _ ჩემი ძმაკაცია გიჟი.

_ არც შენ ჩანხარ ნაკლები, ისე დაიწყე, _ გაეხუმრა ფსიქიატრი და სავარძლისკენ მიუთითა.

დასხდნენ.

_ გააფრინა, რა, მთლად გაგიჟდა, _ მოახსენა სურიკამ.

_ რას აკეთებს?

_ რას და, ფარეხში “პროფილაქტიკა” გვაქვს, ერთად ვმუშაობთ, რა, და ეგ კიდევ, დენს გვითიშავს. დენის მავთულებს, “შტეფსელებს”, ყველაფერს გლეჯს. არ გვამუშავებს. სახლშიც სულ დაგლიჯა ყველგან ყველაფერი.

_ რატომ ვაკეთებო, რას ამბობს?

_ დენმა დაარტყა, სხვა რა იქნებოდა? დარტყმულია კაცი, რა! არ გვამუშავებს. სცემენ, უზაპუნებენ... არაფერი არ შველის. ახლაც მაგარი ნაცემია. ჩვენ “დენები” გამოგვირთო, ვერა ვრთავთ და თვითონ “ჩართულია”: ლაპარაკობს, ვერ “გამორთავ”, არ არსებობს!.. ყველას გვაგინებს, ყველას...

_ ჰო, ეგ შიზოფრენიაა. რა თემებზე ლაპარაკობს?

_ თემებზე? ყველას ბოზობას გვაბრალებს. ქალი, კაცი _ სულერთია მაგისთვის. ვიხდით, პატიოსნად ვიხდით, რამდენსაც იტყვით, ოღონდ ეგ კაცი მოგვაცილეთ თავიდან. ექიმს როგორც კი ვუხსენებთ... ეგრევე თავს იკლავს!..

_ როგორ, რით აპირებს?

_ ყველაფრით, რაც ხელში მოხვდება. ქვა, “ატვიორკა”, ქამარი, აგური და რა ვიცი. ხან კედელსაც ურახუნებს თავს, მაგრამ არც რო კვდება, რა ვიცი, რა ჯანმრთელობა აქვს?.. მაგის ადგილზე, მე, როდის, ეეეეეე!.. უკვე ჯოჯოხეთის “გლავნი პოლიციელი” ვიქნებოდი... მოკლედ, თუ მოგვაშორებთ, რაც ღირს, პატიოსნად ვიხდით...

_ რა ღირს? _ ხუთასი დოლარი... ექვსი თვის გარანტიით...

_ ვა, აკუმულატორია?.. ექვსი თვე!.. კაი. ხუთასი დოლარი... ერთ საათში მოვიტან. შიში, რამე, როგორ გეკადრებათ!.. მაგრამ დილაზე ჯაყო რომ ისევ “გარაჟში” დაგვეხატოს?..

_ როგორ გეკადრება?! შენ ფულს მოიტან, წახვალ. ერთ-ორ საათში მობილურზე დამირეკავ. მეტყვი, სად მოვიდეთ. მოვალთ და წამოვიყვანთ. ცოლ-შვილი არ ჰყავს, ხომ?

_ რა ცოლ-შვილი?! რომც ჰყოლოდა, მაგ გიჟს ცოლი გაუჩერდებოდა?! _ ამას კი მართალს ამბობდა სურიკა.

როცა ჯაყოს მივარდნენ და ხელები გადაუგრიხეს, იმხელაზე იყვირა, ექიმებს გულები დაუხეთქა: ხელი სტკიოდა თურმე, ნაბერტყი რომ იყო... მოკლედ, პალატაში შეაგდეს და გარედან დაუკეტეს. რა თქმა უნდა, “გიჟის პერანგიც” ეცვა და მარტო დაწოლა და დაჯდომა შეეძლო. კარს შიგნიდან სახელური არ ჰქონდა და ჯაყო მიხვდა _ თუ გარედან არ გაუღებდნენ, გარეთ გასვლის შანსი არ ჰქონდა. ნემსი, რომელიც მისვლისთანავე ატაკეს, თავისას აკეთებდა და ჯაყო ჩვეულ, საკაიფო მდგომარეობაში იყო. ბიჭებმა წინასწარ დაარიგეს: _ ერთი-ორჯერ კი გატაკებენ და მერე იპარავენ წამალს და ბევრიც რომ ეხვეწო, უფულოდ არავინ გაკაიფებსო.

ოპერაცია “პრეზიდენტის” პირველი ფაზა ამით დასრულდა. დასრულდა კი?.. წამოწვა თუ არა, ტახტის თავთან ის ტიპი არ დაეხატა?!. ის, რომელმაც გაუხსნელი დინამო მიუტანა ფარეხში.

_ ე! _ თქვა ჯაყომ.

ის კი მივიდა და საწოლთან ჩამოუჯდა, თან თვალი თვალში გაუყარა.

_ იცი, ვინა ვარ? _ ჰკითხა მან ჯაყოს და პასუხს დაელოდა.

_ მიქელ-გაბრიელი? _ შეეკითხა ჯაყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აჩრდილს ელაპარაკებოდა. კაცმა ხმა არ გასცა. _ არა? _ ჰკითხა ჯაყომ. _ შენ ის არა ხარ, თავში ხელი რომ ჩაიყავი და ხვიშტი პირიდან გამოყავი? მოჩვენება!..

_ ჰო, _ თქვა კაცმა და ახლა ზურგისკენ წაიღო ხელი და მუჭი მუცლიდან გამოყო.

_ როგორ აკეთებ? “ფოკუსნიკი” ხარ? _ შეეკითხა ჯაყო.

_ არა, მიცვალებული ვარ, მუმია, _ უპასუხა კაცმა.

_ ჩემგან რა გინდა? _ შეეკითხა ჯაყო.

_ შენი მოკლული ვარ, _ უპასუხა კაცმა.

_ რა-ა?! _ წამოჯდა ჯაყო. _ აბა, რომელი?

_ ბესო. ტყეს რომ ვდარაჯობდი, გახსოვს?

_ ააა! ჰო, სამი ტყვია გესროლე და სამივე მოგხვდა. მახსოვს, როგორ არ მახსოვს?!.

_ შენც სამი ტყვია მოგვხვდება. ისევე, როგორც მე.

_ როდის? _ შეეკითხა ჯაყო.

_ მალე. როცა მოკვდები... _ უპასუხა მოჩვენებამ და გაქრა.

ჯაყომ პალატა მოათვალიერა.

_ არა, ტო, არ მომჩვენებია. ნაღდად გამომეცხადა!

კარი გაიღო და ექთანი ქალი შემოვიდა. ჯაყო ამღვრეული თვალებით მიაშტერდა.

_ პაატა ჩართოლანი? _ შეეკითხა ექთანი.

_ პაატა კი არა, ჯაყო დამიძახე, ჯაყო მქვია, _ თვალები დახუჭა ჯაყომ.

_ ჯაყო?.. _ გაუკვირდა ექთანს. _ ხალათი უნდა გაგხადო.

_ მერე, არ გეშინია? _ შეეკითხა ჯაყო.

_ ცოტა _ კი, მაგრამ გვჭირდება, ეს ერთიღა შემოგვრჩა. დანარჩენები დაგვიჭრეს შენმა “მეგობრებმა”.

_ ჰოო, _ გამოცოცხლდა ჯაყო. _ ეგეთებიც ხდება?

_ ჩვენთან? უარესებიც... _ წარბი ასწია ექთანმა. _ წამოდექი!

ჯაყო წამოდგა.

_ შემობრუნდი!

ჯაყო შეტრიალდა. ექთანმა ზურგის ელვა დასწია... და ჯაყო გაათავისუფლა. ჯაყომ ხელები გააქნ-გამოიქნია, მიიგრიხ-მოიგრიხა და საწოლზე ჩამოჯდა.

_ აბა, კარგად! _ უთხრა ექთანმა და გავიდა.

ჯაყომ თავქვეშ ამოიდო ხელები და საწოლზე დაწვა. ჯერაც კაიფში იყო.

იმ დილასაც, როგორც ყოველთვის, პირველად, ქვეყნის პირველმა ლედიმ გაიღვიძა. აი, უკვე, მთელი ხუთი წუთიც იქნებოდა, სახით იდაყვზე დაყრდნობილი, მძინარე ქმრის პოზას აკვირდებოდა... ეცოდებოდა. რატომ? ლალალა-ლალა... აზდაკის სიმღერა გახსოვთ, “კავკასიური ცარცის წრიდან”, რაღაც “სერდცე კრასავიცას” პონტში რომ მღეროდა? პრეზიდენტ-ქმარს ორივე ხელი ლეიბს იქით ჰქონდა გადაყრილი, თავი კი _ უცნაურად მოგრეხილი და ისე ეძინა. ცოლმა, თმის გრძელი კულულის ბოლო დაახვია, სახე სახესთან მიუტანა და კულული ყურში შეუღიტინა. ქმარი მოიღუშა, ყურის ნაჩვრეტში ნეკი ჩაიტენა და ხელი ნერვიულად “ააქანავა”. ცოლმა კი სალოკი თითი ცხვირზე მიაჭირა. მიაჭირა და კედელზე დაკიდულმა ძველმა შვეიცარიულმა საათმაც დარეკა.

გაღიზიანებულმა ქმარმა გამოიღვიძა, შეკრთა და საწოლში შეშინებული წამოჯდა, რაზედაც ცოლმა გაიფიქრა. “ცოდვები. ცოდვები აღვიძებენ ასე შეშინებულს ყოველდილა, თორემ რატომ უნდა შეხტეს?..”

_ რატომ არ გამაღვიძე?! _ დაჰკივლა ცოლს ქმარმა და ფეხები დაბლა გადაყო. გადაყო და მიუბრუნდა. _ კარგი, რა, ნუ ჰყოფ ამ ჩემს ფლოსტებში ფეხს! არ შემიძლია, გამთბარ ფლოსტებში ფეხის ჩაყოფა. მომაწოდე!

ნინელი გადასწვდა, ფლოსტები აიღო და ქმრის მხარეს გადაყარა.

_ აბა, როგორი დრო გაატარეთ? _ ჰკითხა მან ქმარს და თვალები დახუჭა. თითქოს არ უნდოდა, პასუხი მოესმინა. რატომ? იმიტომ, რომ ქმარს ამ პატარა, ღატაკ ქვეყანაში,

ფარაონივით განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა, მას კი _ არავითარი. მონა ვარ, მონაო, _ ფიქრობდა ხოლმე ნინელი.

_ მომკლა, რა, ამ შენმა ეჭვიანობამ! _ ავარდა უეცრად შალვა. _ ძალიან მაგარი დრო გავატარე. წინ მოზამბიკის პროფკავშირების თავმჯდომარე მეჯდა და გვერდით _ პუერტო-რიკოს მერი.

_ და ყანწებით სვამდით "ხვანჭკარას", ხომ?

_ აუ!.. _ თქვა პრეზიდენტმა და ალიონა გაახსენდა, რომელსაც გრძელი შავი წამწამები და ოქროსფერი თმა ჰქონდა. მგონი, მიყვარსო, ფიქრობდა შალვა. ან ვინ არ უყვარდა?.. ყველაც უყვარდა, ვისთანაც კი წოლილა. ისინი კი ძალიან ბევრნი იყვნენ. სამ წელიწადში ოთხმოცდაცამეტი ქვეყანა მოიარა. მსოფლიო ფილთაქვაა, ფილთაქვაო, _ უყვარდა ახლობლებთან ამის თქმა, _ ჩვენ შიგ ვყრივართ, ღმერთი კი თავში ქვას გვირახუნებს, ვისაც მოხვდება, კვდება, ვინც ასწრებს და აქეთ-იქით დახტის, მხოლოდ ის ცოცხლობსო... და ისიც გამუდმებით დახტოდა, ერთი ქვეყნიდან _ მეორეში, მეორიდან _ მესამეში და ასე დაუსრულებლად... რა ფორმის და სახის აუზი და საუნა არ უნახავს?! ჰო, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, რა ხდება იმ კარს იქით, კაბინეტებში. სასწაულები! როგორ აგიხსნათ?.. აი, ჯოჯოხეთს და სამოთხეს ერთი კარი რომ ჰქონდეს, ისეა: აქეთ ერთი ყაყანი დგას, ათასობით ტვინის და ენერგიის ჯახაჯუხი, ორდენებისა და ლუკმა-პურისთვის ბრძოლა. მაგრამ საკმარისია, ოქროს გასაღები გადაატრიალო, კაბინეტის გამგის პირადი კარი შეაღო და იმწამს, უტკბილეს გრძნობათა საუფლოში ხვდები. აუზებში ოქროსთმიანი ფერიები დაცურავენ, რომლებსაც ფარფლიანი კუდის ნაცვლად, ნამდვილი, ქალივით გრძელი, სწორი ფეხები აქვთ და მხოლოდ იმისთვის არიან შობილნი, რომ "მსოფლიოს გადასარჩენად თავგადაკლულ მებრძოლთა" ვნებანი დააცხრონ და გახურებული ტვინები გაუგრილონ... თუმცა ვინ იცის _ იქნებ, ეს ყველაფერი ჭორიც არის, ეს საუნები, აუზები და ედემის ბაღები...

მოკლედ, იმ საღამოს, პრეზიდენტი და მისი მეუღლე საავადმყოფოს გახსნის ცერემონიაზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და ავადმყოფების მიერ წარმოდგენილ სპექტაკლს დასწრებოდნენ.

ხახომ და სურიკამ მეორე დღესვე ინახულეს თავიანთი მეგობარი, რომელსაც წამლის მოქმედება გასვლოდა და ახლა პატარა, "ლომკის" მაგვარ, საზიზღარ ხასიათზე იყო.

ნამდვილი ციხეაო, _ დაასკვნა ორივემ, მისგან რომ წამოვიდნენ. მარტო კოშკურები და საგუშაგოები აკლია, თორემ სხვა არაფრით განსხვავდებაო. იარაღი როგორ შეეგზავნათ შეუმჩნევლად, იმაზე ჰქონდათ ლაპარაკი. სურიკამ, _ ერთი კაი მარკშეიდერი გვინდაო, _ და თავის მეგობარს დაურეკა, რომელიც სამთო ფაკულტეტზე ვიღაც პროფესორს იცნობდა. ის ტიპი ისე სწრაფად მოქანდა და ისეთი ენერგიული ვინმე ჩანდა, _ ეს რომ მიუშვას კაცმა, ერთ თვეში, ოცდაათმეტრიან გვირაბს კი არა, მთელ ქალაქს გვირაბებით დაქსელავსო, _ გაიფიქრა სურიკამ და საქმის ვითარება აუხსნა. ის ტიპი ეგრევე გავარდა. რომელიღაც არქივიდან, ახალი კორპუსის პროექტიანად, მთელი ქალაქის გენგეგმა ამოიტანა და მესამე დღეს ელიავას ბაზრობაზე დაქირავებული მუშახელი უკვე გვირაბის გათხრაზე "მუშაკობდა". ასე რომ, უკვე მეშვიდე დღეს, ამასობაში ნამდვილ გიჟს დამსგავსებულ ჯაყოს, იატაკის ქვემოდან მიუკაკუნეს. სამალავი საწოლის ქვეშ გააკეთეს და ლამის მთელი ასეულის სამყოფი არსენალი მიზიდეს. ოპერაცია "პრეზიდენტის" მეორე ფაზაც დასრულებული იყო. როგორ გგონიათ, ვერ მიხვდა ის ხალხი, რატომ სჭირდებოდა გვირაბი საავადმყოფოს? მე მგონი, ყველამ ყველაფერიც იცოდა, უშიშროებისა და მთავრობის წევრების გარდა.

პარალელურად, დევი მოსაშვილი, მსოფლიოს უკანასკნელი საუკუნის ყველაზე დიდ შედევრზე მუშაობდა. ისედაც შეშლილებით დასახლებული საავადმყოფო ნამდვილი აპოკალიფსის საძირკველს დაამსგავსა. სპექტაკლი, რომელსაც დევი ამზადებდა, საავადმყოფოს ასოცკაციან სააქტო ანუ საკონფერენციო დარბაზში უნდა შემდგარიყო. ეს დარბაზი არაფრით ჩამოუვარდებოდა თვით პარლამენტის სააქტო დარბაზსაც კი... ჩამოუვარდებოდა კი არა, შესაძლოა, სჯობდა კიდეც. საავადმყოფოს დირექცია და მედპერსონალი ლამის მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ. ავადმყოფები, რომლებიც სხვა დროს დასაბმელები და გიჟის პერანგში გამოსაწყობები იყვნენ, დევის დანახვაზე ნამდვილ ანგელოზებს ემსგავსებოდნენ. ის კი, რომ დევი არაფრით განსხვავდებოდა თავისი მსახიობებისგან და მასაც რომ "მანია გრანდე" სჭირდა, თქვენც მოგეხსენებათ. მაგრამ თუ ასეთ მოკლე დროში თავის ადგილს იპოვიდა ამქვეყნად, ეს თვითონაც არ ეგონა. წარმოიდგინეთ გიჟების თეატრი, შუა ქალაქში. ნამდვილი, "სტაჟიანი" გიჟების, რომლებიც შენს მითითებას უსიტყვოდ ასრულებენ! რომელი რეჟისორი არ იოცნებებს ასეთ თეატრზე? ალბათ, ნებისმიერი. რადგან რეჟისორებმა ძალიან კარგად იციან _ როგორც კი მსახიობი ჭკვიანდება, ის, არტისტის გარდა, ყველაფერია. აქ კი ეს თავიდანვე გამორიცხული იყო და მსგავსი რამ, დევის ჩათვლით, არც ერთს არ ემუქრებოდა. ახლა _ ბიზნესი? ბიზნესს არ იკითხავთ? განა, ასოცკაციანი დარბაზი, ლამის ორმილიონიან ქალაქში, ასეთ თეატრში მოხვედრის მსურველთ დაიტევდა?.. ასე რომ, ნირვანაში გრძნობდა თავს დევი და მის გარშემოც ულამაზესი მუზები დაფარფატებდნენ. ან საიდან და როგორ უნდა მიმხვდარიყო, თუ მისი მთავარი გმირი, ჯაყო ნამდვილ რევოლუციას ამზადებდა?!

ჯაყომ, რომელიც, მოგეხსენებათ, შემთხვევით მოხვდა სულით ავადმყოფთა შორის და სულ მოკლე ხნით აპირებდა მათთან თანაცხოვრებას, ძალიან მალე მოტვინა, რომ ეს ხალხი არაფრით განსხვავდებოდა გარეთ მყოფთაგან და თუკი ყურს მიუგდებდა კაცი, ისიც შეიძლება ეფიქრა, რომ გარეთ ბევრად მაგარი გიჟები დაქროდნენ, ვიდრე აქ...

დევიმ, თავისი ნომერ პირველი გმირი ანუ ჯაყო მთლად შემთხვევით აღმოაჩინა. სიცილის დარბაზში _ ასე დაარქვა მან იმ დარბაზს, სადაც სულით ავადმყოფები ყველაზე მეტ დროს ატარებდნენ. დევი რეპეტიციამდე ხშირად იმ დარბაზში შედიოდა და თავისი ახალი მეგობრების ქცევას აკვირდებოდა. ჯაყოს, რომელიც მუდამ რეალური და ირეალური სამყაროს ზღვარზე იყო, იმ დღეს, როგორც იტყვიან, გიჟების "პარადი" მიჰყავდა. მას ორ მწკრივად დაეყენებინა ავადმყოფები და "საყვარლობანას" _ ასე ეძახდა ჯაყო ამ თამაშს _ ათამაშებდა, _ მაღლა აწეული ხელებით ხეივანი რომ კეთდება და ერთ-ერთი, კენტად დარჩენილი, მეწყვილის ასარჩევად ხეივნის ქვეშ რომ ძვრება. თითქმის ყველანი თამაშობდნენ: არსენა, ჰიტლერი, სტალინი, ეკატერინე, თამარ მეფე, არისტოტელე, ერეკლე მეორე თუ მაია წყნეთელი. ხეივნის თავში, ჯაყო, სავარძელში ფარაონივით იჯდა და წყვილებს შეკითხვებს უსვამდა. ამრჩევს უნდა ეპასუხა, რატომ აირჩია თავისი ახალი მეწყვილე ანუ რა მოსწონდა მისი.

_ აბა, მარაბდელო, რა მოგეწონა ამ ქალში, მითხარი! _ მიმართა მან გაღიმებულ ვაჟს, რომელსაც ლამაზისეულის პროტოტიპი "დაეთრია".

_ ელამია და იმიტომ... _ უპასუხა მარაბდელმა.

_ მარტო ელამია? _ შეეკითხა ჯაყო.

_ არა. კიდევ, ქალიშვილია... _ უპასუხა მარაბდელმა.

_ შენ რა იცი? _ გაუკვირდა ჯაყოს.

_ მომეცი-მეთქი, _ რაც მოვიდა, ვეხვეწები და მაინც არ მაძლევს, _ უპასუხა მარაბდელმა.

_ რატომ არ აძლევ, შენ ხომ ეკატერინე მეორე ხარ, იმას, იცი, რამდენი საყვარელი ჰყავდა?! _ ისტორიის დიდებული ცოდნა გამოამჟღავნა ჯაყომ.

_ ვამწნილებ, _ მოკლედ მოჭრა ეკატერინე მეორემ.

_ მწნილსაც კაი გემო აქ, _ გააგრძელა მარაბდელმა.

_ მაგრამ ჯერ ხომ უნდა დამწნილდეს, არა? _ ეწყინა ეკატერინეს.

_ მომისმინე, შვილო, _ მიმართა მარაბდელს ჯაყომ. _ ეს ქალი თუ შინაბერაა, ასი უჭკნობელი ყვავილიც რომ ჰქონდეს, დედის საშოდან გამოყოლილი, მაინც არ მოგცემს არც ერთს და ტყუილად ეჭიდავები.

_ ვამწნილებო და, ისედაც არ დამწნილდება და ასედაც? სად წაუვა? _ გაიკვირვა მარაბდელმა.

_ სწორია, _ გაუხარდა ჯაყოს. _ შენ ისეთი არგუმენტი მოიყვანე, ქალს კი არა, ქვასაც გახეთქავს. კარგი, თავისუფლები ხართ, _ გაათავისუფლა წყვილი ჯაყომ.

ჯაყოს ახალი წყვილი გამოეჭიმა. ისევ ქალ-ვაჟი.

_ შენ ვინა ხარ? _ შეეკითხა ბიჭს ჯაყო.

_ მე? ჰეროსტრატე.

_ ვინ შეგარქვა?

_ რავი, უბნელებმა.

_ რატომ?

_ იმიტომ, რომ მთელი უბანი გადავწვი.

_ უბანი?

_ ჰო, მე თივებს ვუკიდებდი ცეცხლს და იქიდან კიდევ, სახლებზეც გადადიოდა.

_ და რატომ წვავდი?

_ რავი, ხელებს ვითბობდი, მაგრადა მციოდა.

_ მაგიტომ მოგიყვანეს?

_ და იმიტომ კიდევ, რომ ბებიაჩემი გამოვბუგე ბოსელში.

_ სადაური ხარ?

_ ბოდბისხეველი.

_ ჰოო? თქვენკენ ბლომად გიჟები ჰყავთ, მაგიტომ გამოვიდა ალბათ, ასეთი მაგარი ზურაბაშვილი.

_ რატომ აირჩიე ეგ ქალი?

_ რავი, ზიზია “ტუფლები” აცვია და იმიტომ.

ყველამ ჰეროსტრატეს მეწყვილეს ფეხებს დახედა.

ქალს მამაკაცის ძველი, შავი ფეხსაცმელი ეცვა, ალბათ, სამი-ოთხი ზომით დიდი.

_ დამცინის, _ თქვა ქალმა, მიუბრუნდა და ბიჭს ერთი კარგად ჩააფარა: _ რა მჭირს შენი დასაცინი, ნეტა, დასაცინი გოგრა გაბია!

_ ვიხუმრე, კი არ დაგცინე. ხუმრობა და დაცინვა, ერთია?

ჯერ უყურა და უსმინა, მაგრამ აქ კი ვეღარ მოითმინა ჩვენმა გენიალურმა რეჟისორმა, ხელები გაშალა და ჯაყოს გადაეფსკვნა.

_ ბრავო! გენიალურია! ბრავო! _ და ტაშიც დასცხო.

ჯაყოს გიჟი ეგონა და ამიტომ არაფერი გაჰკვირვებია, თუმცა დევიმ რომ გადაკოცნა, ის კი გაიფიქრა, ვინმე მოცისფრო გიჟი თუაო.

_ შენ რა გქვია? _ ხელი მაესტროსავით გაუქნია ახალგაცნობილ მსახიობს რეჟისორმა.

_ ჯაყო. შენ? _ შეეკითხა ჯაყო.

_ დევი. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, _ და დევიმ ჯაყოს ხელი ჩამოართვა.

_ რომელი დევი, ქვას რომ წვენს ადენს? _ გაიღიმა ჯაყომ.

_ არა, დევი კი არა ვარ, დევი მქვია, რეჟისორი ვარ. სპექტაკლებს ვდგამ! _ მიხვდა დევი, რომ გიჟობას აბრალებდა გიჟი.

_ კარგი, ჩადექი ხეივანში, გათამაშებ! _ უთხრა ჯაყომ.

_ არა, შენ კი არა, მე უნდა გათამაშო, მე, ჩემს სპექტაკლში! მაგრამ შენ ჯაყო კი არა, რამზეს მეორე იქნები დღეიდან, ფარაონი. ყველა ესენი კი _ შენი მონები... _ დარბაზს ხელი მოატარა დევიმ.

_ ჰოო? _ ეტყობა, ამასაც მაგრად აქვს გარეკილიო, _ გაიფიქრა ჯაყომ.

_ შენ მე გენიალური იდეა მიკარნახე, რამზეს! გენიალური!.. _ აგრძელებდა დევი. _ შენ ჩემი მთავარი გმირი იქნები, ნამდვილი ვარსკვლავი! ხომ გინდა ვარსკვლავობა?

_ ვოცნებობ! _ აჰყვა ჯაყო, რადგან მიხვდა, რაღაც ახალ თამაშს სთავაზობდა დევი.

ეეე, სად გარეკაო?! _ იტყვის ჩემი მკითხველი და მართალიც იქნება. იმის ნაცვლად, პრეზიდენტის კორტეჟი ფარეხიდან გამოსასვლელად "მოვამზადო", დავმდგარვარ და გიჟებთან ღლაბუცით ვერთობი. მაგრამ სანამ ასოცკაციან დარბაზს მაყურებლით გადავჭედავდე და ჩემს ცხრასვლიან ფინალს დავწერდე, მანამდე, ლადოს ოჯახში მინდა გადავინაცვლო.

ოჯახი-მეთქი, _ ვთქვი, მაგრამ სადღა იყო ოჯახი?.. სამი სულიდან, ერთი _ სამუდამოდ მწოლიარე, ჯავშანში ჩამჯდარი, ლოგინს მიჯაჭვული, მთელ სამყაროზე განრისხებული ლადო; მეორე _ ნაბიჭვრის დღე-დღეზე მომლოდინე დალილა და, მესამე _ მკვლელობის ჩასადენად მზადმყოფი, დატუსაღებული ვენერა... მოკლედ, ოჯახს გარეთ, სააქაო იყო, შიგნით კი _ საიქიო, სადაც მოქმედება ლადოს სცენარის მიხედვით მიდიოდა.

არ ვიცი, საინტერესოა იმის მოყოლა, თუ როგორ მოახრჩო ბებიამ შვილიშვილი?.. არც ის ვიცი, რისი უფლება მაქვს ამ შემთხვევაში და რისი _ არა... როგორც კი დალილას ჭინტვები და კრუნჩხვები დაეწყო, ვენერა ნამდვილ, გადარეულ გიჟს დაემსგავსა. ყველას გვსმენია და ვიცით, რომ თუ მკვლელი, მკვლელობის მომენტში შეურაცხადია, მას არ იჭერენ, გიჟი თავისუფალია, ხომ?.. მე კი მინდა ვკითხო მთელ დედამიწას, ყველას, ვინც სუფევდა ამ ცოდვილ მიწაზე და სუფევს: განა ყველა მკვლელი, მკვლელობის მომენტში, შეურაცხადი არაა?! ვის აქვს უფლება, გამცეს ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი?!.

"ნეტავ, მკვდარი გაჩნდეს, მკვდარი გაჩნდეს, მკვდარი გაჩნდეს!.." _ არ ესმოდა, როგორ იმეორებდა ამ სიტყვებს ხმამაღლა ვენერა. არც ის ესმოდა, რა არაადამიანურ ხმაზე კიოდა, ტკივილების გამო, მისი ქალიშვილი.

ვენერას არ გაუმართლა: ბავშვი ცოცხალი დაიბადა... ტიროდა და ჭყაოდა. და როგორც კი ვენერამ ჭიპლარი განასკვა და გადაჭრა, მაშინვე თავისი საზარელი მკვლელობა ჩაიდინა _ ყელში თითები წაუჭირა და დაახრჩო.

...არც ერთი, არც მეორე და, მით უმეტეს, არც მესამე, ხალხში აღარასოდეს გამოჩენილან. ხმა გაავრცელეს, _ ბავშვი მკვდარი გაჩნდაო. მაგრამ ისეთ ქალაქს, როგორიც თბილისია, ასეთ საკითხებში შენ მოატყუებ?! და ეს სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ლადოს დავალებით, პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა.

არ ვიცი, გამოთვლილი აქვს ვინმეს თუ არა, თუნდაც სტატისტიკურ სამმართველოს, რა თანხები მიდის სახელმწიფო ხაზინიდან სახელმწიფო მოხელეთა დაცვის უზრუნველყოფაზე. ერთი რამ კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ალბათ, ბევრად მეტი, ვიდრე რომელიმე დარგის განვითარებაზე. თანხის ოთხმოც პროცენტზე მეტს კი, სუფთა მოგებად, ჩინოვნიკი იდებს ჯიბეში... მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ უკვე

დილიდან, რამოდენიმე კილომეტრის რადიუსში, საავადმყოფოს გარშემო მოძრაობა პარალიზებული იყო, უშიშროება კი მთელ იმ ტერიტორიას გულდაგულ ჩხრეკდა. რა თქმა უნდა, ყოველი შემთხვევისთვის, გიჟებთანაც შეიჭყიტეს, თუმცა უფრო _ გართობის მიზნით და პრეზიდენტის კორტეჟს მწვანე შუქი აუნთეს.

პრეზიდენტი კი რატომღაც, წინასწარ არავის გაუფრთხილებია, რომ ერთი ჩვეულებრივი საავადმყოფო კი არა, სულით ავადმყოფთა სამკურნალო დაწესებულება იხსნებოდა. აბა, როგორ უნდა წარმოედგინა მის დაცვას, რომ შენობა და მისი საძირკველი მთლიანად დანაღმული იქნებოდა?.. და რომ ჯაყოს სახით, ქვეყანას მუსლიმანური ტიპის კამიკაძე მოვლენოდა?!. თანაც, როგორც წესი, მასმედიის საშუალებით, დილიდანვე ეუწყა მთელ ქვეყანას, რომ პრეზიდენტი საავადმყოფოს გახსნას უნდა დასწრებოდა. მანაც, როგორც სჩვეოდა, ჯერ ვიდეოკამერების წინ ქვეყნის არნახულ აღმავლობაზე ილაპარაკა და შემდეგ, საზოგადოებას ახალი საავადმყოფოს ამოქმედებაც მიულოცა, რომლის აშენებაც, ახლაც, რაღა თქმა უნდა, მთავრობის წევრთა მუხლჩაუხრელ შრომა-გარჯას მიაწერა. ის კი, რომ საავადმყოფოში, მის მისვლამდე, ტრანსპორტის გაჩერების გამო, ასეულობით ადამიანს უამრავი ახალი პრობლემა გაუჩნდა, _ პრეზიდენტის ყურამდე, ჩვეულებისამებრ, რასაკვირველია, არ მისულა.

პირველი უცნაურობა უკვე ჭიშკარში შესვლისას მოხდა: დაცვას, ალაყაფის შუაში, უსაფრთხოების ჭიშკარი ანუ რკინის მართკუთხედი დაედგა და ყველას, ვინც იმ დღეს საავადმყოფოს ტერიტორიაზე უნდა მოხვედრილიყო, ამ მართკუდხედში ატარებდა. პრეზიდენტი, რომელიც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ცდილობდა, “ჩვეულებრივი ადამიანი” ყოფილიყო, რკინის აღმომჩენი აპარატით ხელში მდგარ შეშინებულ მორიგეს ღიმილით მიესალმა. მაგრამ _ ჰოი, საკვირველებავ! _ მართკუთხედი “აგანგაშდა”. მორიგე, რომელიც ეტყობა, პირველად იდგა ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე, დაიბნა. ინსტრუქციით ხომ ყველა უნდა გაეჩხრიკა, ვინც კი მართკუთხედს “ააგანგაშებდა”. ახლა კი არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ვაითუ, მცდიან და ინსტრუქციის დარღვევისთვის მომხსნანო? _ გაიფიქრა და მომავლის არცოდნის შიშმა ისე დაზაფრა, როგორც კი პრეზიდენტმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა, უნებურად წამოსცდა:

_ საით?

_ როგორ თუ საით? _ “მიამუხრუჭა” განცვიფრებულმა პრეზიდენტმა.

_ ინსტრუქციის მიხედვით, აუცილებლად უნდა გაგჩხრიკოთ! _ და მორიგემ პრეზიდენტს ისეთი სისწრაფით ჩაუტარა ჩხრეკა, მისმა დაცვამაც კი ვერ მოასწრო რაიმეს თქმა, არამცთუ წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ ჯერ სად იყვნენ?!. პრეზიდენტის გულთან უეცრად აპარატი ახმიანდა და მორიგემ _ არც აცია, არც აცხელა, _ ამოიღეთ ჯიბიდან და მაგიდაზე დადეთ, თუ რაიმე გაქვთ ჯიბეშიო, _ არ მოსთხოვა?!.

ახლა კი გაექაჩა მორიგეს განრისხებული პრეზიდენტის დაცვა:

_ შენ, ბიჭო!..

მაგრამ პრეზიდენტმა (საერთოდ, სჩვევიათ ასეთ დროს ამ დონის ხალხს “მოწყალების გამოჩენა”) დაცვა გააჩუმა:

_ მე თვითონ!.. ვაპატიოთ, პატარა ბიჭია... _ და აღარ ახსოვდა, თორემ ამას როგორ ჩაიდენდა?! კოსტიუმის გულის ჯიბიდან რაღაც ფოტოების პატარა შეკვრა ამოიღო და ხელში გაკვირვებულმა შეატრიალა. მაგრამ ეს სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეს ფოტოები იქვე მდგომ ნინელის მისთვის ხელიდან გამოეგლიჯა და ზედ დაეხედა. და რა გგონიათ, რა იყო ზედ გამოსახული?.. შიშველი ქალი, მთლად შიშველი!.. საერთოდ, რას წარმოადგენდა ეს შეკვრა?.. ბანქოს. ჰო, ჩვეულებრივი ბანქო იყო, რომლითაც წინაღამეს შალვა “დურაჩკას” ეთამაშებოდა ალიონას. თუმცა, რანაირად

მოხვდა მისი კოსტიუმის გულის ჯიბეში ბანქოს “კალოდა”, პრეზიდენტმა ვერაფრით გაიხსენა. განცვიფრებულ ნინელის კი, გაშლილი ბანქო ეკავა ხელში და ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მისი ქმარი ამდენ შიშველ ქალს გულის ჯიბით დაატარებდა.

_ ეს რა არის? _ მიაჩერდა ის ქმარს თვალებში და პასუხს დაელოდა.

_ წარმოდგენა არ მაქვს. ამ კოსტიუმს სხვაც იცვამს ვინმე?.. _ იქით შეეკითხა ქმარი.

ნინელიმ ბანქო სწრაფად მოკუჭა და პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო. მერე, დაბნეულმა, იქ მყოფთ ბოდიში მოუხადა, ქმარს ხელკავი გამოსდო, დარბაზისკენ წაიყვანა და ჩუმად უპწკინა კიდეც, ისე, რომ სხვებს არ შეემჩნიათ.

ასოცკაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო. სკამები ძირითადად, ინვალიდთა და მოხუცებულთა თავშესაფრის ბინადართ ჰქონდათ დაკავებული. მხოლოდ საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი, ერთი _ დასაჯდომი და ერთიც _ მის უკან, რომელიც უსაფრთხოების მიზნით, ცარიელი უნდა დარჩენილიყო, _ რიგები იყო თავისუფალი.

შალვამ დარბაზში მსხდომთ შეავლო თვალი და იმწამს, გოიას რომელიღაც შედევრი გაახსენდა. ჩემი ხალხიო, _ ირონიულად გაიფიქრა და კინაღამ გადაიხარხარა. მაგრამ თავი შეიკავა და თავის კანტური განაგრძო, რომლითაც ფეხზე წამომდგარ “გოიას გმირებს” ესალმებოდა. პრეზიდენტს მუქი ლურჯი, ზოლიანი კოსტიუმი ეცვა და იმავე ქსოვილისა და იმავე ფერის ჰალსტუხი ეკეთა. იღიმებოდა, ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტი იღიმება... ხოლო დაცვის წევრთა შავსათვალიანი სახეები და რაღაც უსერიოზულესი განწყობილება, როგორც ყოველთვის, მძიმე და აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა. ამას დამხვდურთა აურაც ერთვოდა თან და რა კოშმარული “კოკტეილის” “სურნელიც” იტრიალებდა ჰაერში, ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდვია.

მოკლედ, პრეზიდენტს ტაშით შეხვდნენ. შალვა მისთვის განკუთვნილი სავარძლის წინ იდგა და ხალხს თავის ღირსეული დაკვრით ესალმებოდა, გვერდით კი საყვარელი მეუღლე ედგა, მეტისმეტად თავმდაბლურად და ისიც ხალხს უღიმოდა. სახეზე ღიმილი ეფინა ყველა იმ “ვაზელინიან” ჩინოვნიკსაც, რომელთაც იმ დღეს, პრეზიდენტის ამალის წევრობა ღირსებოდათ. ეტყობოდათ ისიც, რომ ნებისმიერ წამს მზად იყვნენ “ასალოკავ-გასალოკავად”, იმდენად აშკარად შეჰხაროდნენ თავიანთ “ბელადს”. ბოლოს კი, ელექტრონული მასმედიის წარმომადგენელთა მიერ ატეხილი გულისამრევი აჟიოტაჟის შემდეგ, პრეზიდენტი დაჯდა. სინათლე არ ჩამქრალა, სპექტაკლი კი მაინც დაიწყო.

მაგრამ სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა, შალვამ მოასწრო და ცოლს გადაულაპარაკა:

_ რას დამსგავსებია ეს ხალხი? ფრანგულ ენციკლოპედიაში ჩემი თვალით რომ არ ამომეკითხა, _ მსოფლიოში ულამაზესი ხალხიაო, არც დავიჯერებდი, რომ იქ ასეთი რამ სწერია.

_ რა-ა? მთავრობაში უკეთესები გყავს?.. _ გააჩუმა ქმარი ნინელიმ. _ ხალხს სიცილად არ ჰყოფნის, ეკონომიკას მუსიკოსი რომ მართავს და ძალოვნებს კიდევ _ გინეკოლოგი. მარტო ერთგულების მიხედვით რომ ირჩევ თანამშრომლებს და თავში ჩალა უყრიათ თუ ბრინჯი, სულ არ გაინტერესებს... აღარ მკითხო არაფერი, მაყურებინე, რა მოხდება სცენაზე.

ფარდა გაიხსნა და იქ დამსწრე საზოგადოებას თვალწინ უცნაურზე უცნაური სანახაობა წარმოუდგა. სცენა ხორკლიან ოქროსფერში იყო გადაწყვეტილი და ყველგან რაღაც სამგლოვიარო შავი ბაფთა ეკიდა. აშკარად ჩანდა, რომ რაღაც არაორდინარულ სპექტაკლს სთავაზობდნენ დამსწრეთ. უეცრად ისეთი ძლიერი და ისეთი გულშემძრავი მუსიკის ხმა გაისმა, კაცს ძარღვებში სისხლსაც რომ გაუყინავს. სცენის სიღრმიდან

აკლდამა გამოცურდა, ნამდვილი აფრიკული სარკოფაგი, და შუა სცენაზე გაჩერდა. მძიმე გონგების ხმაზე კი, სარკოფაგიდან მუმია წამოიმართა და თავზე სკიპტრითა და ხელში ოქროს კვერთხით, მაყურებელს ჯაყო ანუ რამზეს მეორე მოევლინა.

_ ნამდვილი საგიჟეთია, _ კბილებში გამოსცრა პრეზიდენტმა, რის გამოც, მეუღლის გაკვირვებული შემოხედვა დაიმსახურა.

_ შენ რა, არ იცი, საგიჟეთში რომ ვართ და როლებსაც გიჟები ასრულებენ? _ გადაუჩურჩულა ყურში მას ნინელიმ.

_ ხუმრობ? _ ვერ დაიჯერა ცოლის ნათქვამი პრეზიდენტმა.

_ როგორ, არავის უთქვამს? მე მითხრეს, რომ მათ თავიანთი თავი უნდა ითამაშონ, _ ახლა ნინელის გაკვირვების ჯერი დადგა.

_ გიჟებთან ვარ სტუმრად?! _ ვერ დაიჯერა შალვამ, რომელსაც არც გული და არც რომელიმე სხვა ორგანო ჯერაც არ უგრძობდა, თუ რა საშინელება ელოდა. _ მეც არ გამიკვირდა?! _ და "დედოფლისთვის" მეტი აღარაფერი უთქვამს, რადგან მუსიკა დადუმდა და რამზეს მეორემ ანუ მუმიამ ენა ამოიდგა:

_ "მხოლოდ გიჟები არიან ამქვეყნად ბედნიერნი და თავისუფალნი"...

_ ეს რაღას ნიშნავს?! _ ისევ წამოსცდა პრეზიდენტს.

_ შენ მაგას ვერ გაიგებ! გაჩუმდი, რა, მომასმენინე! _ უსაყვედურა დედოფალმა.

აი, ეს იყო ის პირველი ფრაზა, რომელიც პრეზიდენტის ყურებს ჩაესმა და განრისხებისგან კინაღამ სკამიდან წამოახტუნა. წამოდგომისგან, მართალია, თავი შეიკავა, მაგრამ თავის დაცვის შტაბს კი მიკროფონით (რომლის პატარა ღილაკი კოსტიუმის საყელოზე ჰქონდა მიმაგრებული) უბრძანა:

_ სასწრაფოდ გამიგეთ, ვის ეკუთვნის საავადმყოფო და დაწვრილებით მომახსენეთ!

სცენაზე ნეფერტიტი შემოვიდა, რომელსაც ფრიად ხალვათად ეცვა _ ისე, როგორც ეს ძველ ეგვიპტურ ნახატებსა და ქანდაკებებზეა წარმოდგენილი. ასე რომ, სქელი, მადისაღმძვრელი, მზით გარუჯული ბარძაყები და ამობურცული მკერდის ორი მრგვალი სფეროც ლამის მთლიანად გარეთ ჰქონდა გადმოყრილი.

_ ესეც გიჟია? _ იკითხა პრეზიდენტმა.

_ ეს ნეფერტიტი უნდა იყოს, _ უპასუხა მეუღლემ.

ამასობაში ქალი სცენის შუაწელამდე მივიდა. ხელები გაშალა, თავი უკან ვნებიანად გადასწია და რამზესს შეეკითხა:

_ "დავიწყოთ"?

_ "რა უნდა დავიწყოთ"? _ წარბი ასწია და გაკვირვებული მიაჩერდა თავის შიშველ-ტიტველ მეუღლეს რამზესი.

_ "როგორ, დაგავიწყდა? დღეს ხომ პირში მიხლის დღეა"? _ განცვიფრდა ნეფერტიტი.

_ ეს რაღა უბედურებაა, პირში მიხლის დღე?.. _ ჩაიბურდღუნა შალვამ.

_ ასეთი წეს-ჩვეულება ჰქონიათ ეგვიპტელებს. წელიდადის ერთ დღეს, ყველას ყველაფრის შეკითხვის უფლება ეძლეოდა. დასჯა კი ამ შეკითხვისთვის თვით ფარაონსაც კი ეკრძალებოდა თურმე, _ განუმარტა ნინელიმ.

პრეზიდენტს მაგრად არ მოეწონა მეუღლის ნათქვამი, თუმცა მისი მზერა ისევ ნეფერტიტის შიშველმა ბარძაყებმა და გადაშლილმა გულ-მკერდმა მიიპყრო და სცენას დაუბრუნდა.

_ "შეჭამენ ახლა ტვინს. ერთ წუთს არ დამაცლიან, რომ ღმერთებს დაველაპარაკო", _ დაიჩივლა რამზესმა.

_ ეს სულ ასე უნდა იდგეს და იგრიხებოდეს? _ იკითხა ნეფერტიტზე შალვამ.

_ ამას თეატრის ენაზე პლასტიკა ჰქვია. დღეს სცენაზე ყველაფერი პლასტიკაში კეთდება, _ აუხსნა მეუღლემ.

_ “ღმერთები მოიცდიან, დრო თავზე საყრელად აქვთ, რადგან უკვდავები არიან. აი, ადამიანებს კი, შენი ჩათვლით, რამზეს, მიწაზე საარსებოდ არც ისე ბევრი დრო აქვთ”, _ აუხსნა მეუღლეს ნეფერტიტიმ.

_ “კარგი, შემოვიდნენ. სათითაოდ და რიგ-რიგობით. როგორც წესია”! _ ბრძანა ფარაონმა.

სცენაზე მსახიობი შემოვიდა, რომელიც ძველეგვიპტურ სამხედრო ანუ სპასალარის სამოსში გამოწყობილიყო.

_ “მე შენთან მარტო ერთი შეკითხვა მაქვს, რამზეს!”

_ “ბრძანე!” _ მიუგო რამზესმა.

_ “აი, შენი მეგობარი და თანამებრძოლი, სიბრძნის ქურუმი რომ გადაყლაპა ნილოსის ნიანგმა. აი, ამაზე მინდა გამცე პასუხი. შეგიძლია?”

_ “ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან?” _ ვითომ ვერ მიუხვდა რამზესი.

_ “რა ვერ გაიგე? ხალხი ამბობს, მართლა ნიანგმა კი არა, რამზესმა მოიცილა თავიდან, იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიანი იყო და რამზესს კი, როგორც ყველა ფარაონს, თავისზე ჭკვიანები არ უყვარსო”.

_ “ეგ მართალია. დამისახელებ თუნდაც ერთ ეგვიპტელს, თავისზე ჭკვიანი რომ უყვარდეს”? _ იკითხა რამზესმა და მხრები აიჩეჩა.

_ “მაშინ ჩვენ სპექტაკლს შემოგთავაზებთ. მსახიობები მზად არიან, მაყურებელიც, დავიწყოთ"? _ შეეკითხა რამზესს სპასალარი.

_ “სპექტაკლს? ვუყუროთ”? _ შეეკითხა რამზესი დედოფალს.

_ “მეტი რა გზაა, დღეს მათი დღეა”... _ უპასუხა დედოფალმა.

_ “უბრძანე, დაიწყონ”! _ ბრძანა რამზესმა.

სპასალარი კულისებში გაუჩინარდა.

სცენის მუშებმა სკამებიანი ტრიბუნა შემოაგორეს, რომელზეც რამზესი და ნეფერტიტი მოთავსდნენ. კულისის მუქი ლურჯი ფარდის იქიდან კი დევიმ გამოჰყო თავი, რომელიც მაყურებელთა დარბაზისკენ მიაბრუნა და თვალი ჩაუკრა.

_ ო, ტატატა, ახლა იწყება, რაც იწყება! _ მოახსენა მან მაყურებელს, კიდევ ერთხელ ჩაუკრა თვალი და მიიმალა.

გონგის ხმა გაისმა და სცენაზე ფარაონის როლის შემსრულებელი მსახიობი გამოჩნდა, რომელსაც დედოფლის როლის შემსრულებელი მსახიობი შემოჰყვა.

_ “მოვკლავ, მოვკლავ, არ ვაპატიებ”! _ განრისხებული ბრძანდებოდა ფარაონი.

_ “თუ დამიჯერებ, მისი მოკვლა კარგს არაფერს მოგვიტანს, ვფიქრობ, რომ ცდები, ყურად იღე ეს ჩემი რჩევა, ის წმინდანია”, _ სთხოვა დედოფალმა.

_ “ჰო, წმინდანია, გველის ტვინი აქვს... ყველას არწმუნებს, რომ ამქვეყნად შეუცვლელია”.

_ “და არის კიდეც! დიახ, მართლაც, გველის ტვინი აქვს. ისიც კი იცის, მიწაში რაა”... _ არ დაუთმო დედოფალმა.

_ “ჰოდა, იქ წავა, თავის მიწაში”!

_ “ანდა ზეცაში”! _ არ დაეთანხმა ისევ დედოფალი.

_ მე რა შუაში ვარ აქ? _ ხელები გაშალა და ცოლს გადაულაპარაკა შალვამ.

_ მაყურებინე! _ მოუჭრა ნინელიმ.

_ “ის უნდა მოკვდეს, დღესვე, ამწამს, ვეღარ ვაცოცხლებ! ვერა-მეთქი, მძულს, მეზიზღება”! _ და ფარაონმა მთელი ძალით შემოჰკრა კვერთხი სცენის შუაში, გრძელ

ჯაჭვზე ჩამოკიდებულ უზარმაზარ ლითონის გონგს, რომელმაც შემზარავი ხმა გამოსცა. სცენაზე ისევ სპასალარი გამოჩნდა, რომელმაც მდაბლად დაუკრა თავი ფარაონს:

_ “მიხმობდი, მბრძანებელო”?

_ “ვინმეს წაიყვან და ქურუმს მოკლავ! გასაგებია”? _ უბრძანა ფარაონმა.

_ “როგორ? _ უკან დაიხია შეშინებულმა სპასალარმა. _ ხალხი რას იტყის? იმ კაცს სამი შვილი ჰყავს გასაზრდელი”.

_ “ხალხი რას იტყვის? რაც სურდეთ, ის თქვან, პირში ბურთს ჩავჩრი! წადი, გასწიე, აღასრულე ჩემი ბრძანება"! _ კვერთხი ასწია ფარაონმა.

_ “ნება შენია”, _ მხრები აიჩეჩა სპასალარმა, მერე სახელოები დაიკაპიწა და კულისებში გავიდა.

_ “ის ტოტი მოსჭერ, რომელზეც ზიხარ”? _ ცივად გამოსცრა დედოფალმა.

_ “არა მგონია. რაც ადრე მოჰკვეთ ავ სიმსივნეს, ისა სჯობია”, _ მიუბრუნდა მას რამზესი.

სცენაზე ისევ სპასალარი გამოჩნდა, რომელსაც ორივე ხელი იდაყვებამდე სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.

_ “მოვკალი, ახლა რა ვუყო?” _ შეეკითხა ის ფარაონს.

_ “რა უნდა უყო? _ ჩაფიქრდა ფარაონი. _ მღვიმეში, სადაც ჯადოსნური ცეცხლი გიზგიზებს, დედამიწიდან რომ იფრქვევა, ვით საწამლავი, იქ გადაიტან, მანამ, სანამ გათენდებოდეს... ხალხს კი აცნობებ, რომ ის კვამლით მოიწამლა-თქო!”

_ “ვინ დაიჯერებს, თორემ მე რა? ნება შენია”. _ უპასუხა სპასალარმა.

_ “მაშინ უთხარი, რომ ნიანგმა გადაყლაპა-თქო”! _ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება ფარაონმა.

_ “აი, ეგ უფრო ახლო არის სინამდვილესთან. ზოგს მაგის ტვინიც არა ჰყოფნის, რომ მოიფიქროს...” _ სპასალარმა მაყურებელს სისხლიანი ხელები დაანახვა და სცენიდან გავიდა.

_ მე გადმომიკრეს, მე ამათი!.. ძმის მოკვლასაც კი მაბრალებენ თურმე... _ ეწყინა შალვას.

ხოლო გამწარებულმა ფარაონმა კიდევ უფრო გამეტებით შემოჰკრა ლითონის გონგს კვერთხი. იჭექა, სინათლე ჩაქრა, იელვა, და სცენაზე მაღლიდან, როგორც ცირკში, მავთულზე ჩამობმული, ცეცხლმოკიდებული რგოლით, აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი, ბესოს აჩრდილი დაეშვა.

_ “სისხლი გწყურია, არა, რამზეს”?! _ მიმართა მან რამზესს, რაღაც იმქვეყნიური, საზარელი ხმით. _ “დაგალევინებ”!

ეს კი ვეღარ მოითმინა შალვამ. წამოხტა და ხელი სცენისკენ გაიშვირა:

_ შეჩერდით! შეწყვიტეთ წარმოდგენა! _ მერე, უზომოდ განრისხებულმა, ჯერ ცოლს შეხედა და შემდეგ აქეთ-იქით მიმოიხედა. _ სად არის ჩემი რეფერენტი, ჯაში?! აქ არის?

_ დიახ! _ წამოდგა რიგის ბოლოში, დაბალი, ახალგაზრდა ბიჭი.

_ ხვალიდან, წინასწარ გეცოდინება, რა იდგმება, რა იბეჭდება და რა იწერება ამ ჩემს ქვეყანაში, საერთოდ!

_ მაგრამ ეგ ხომ ცენზურა გამოდის, ბატონო პრეზიდენტო? _ შეჰბედა ჯაშმა.

_ ცენზურა-მენზურა არ ვიცი მე! შეცვლი შენც, დაარქმევ რაიმე სხვა სახელს და ისე მოიქცევი, როგორც მე გეტყვი, გასაგებია?

_ კი, ბატონო! _ მხრები აიჩეჩა ჯაშმა და დაჯდა.

სცენაზე დევი შემოვიდა.

_ ახლა რა ვქნათ, გავაგრძელოთ? _ შეეკითხა ის შალვას.

_ ახლა _ კი, მაგრამ ხვალიდან სხვანაირად იქნება... _ უპასუხა შალვამ.

დარბაზს ხალხის ჩურჩულმა გადაუარა.

_ განაგრძეთ! _ მიმართა დევიმ მსახიობებს და გავიდა.

ბესომ ხელი აღმართა და თითქოს მიწა იძრაო, დაიგრუხუნა და როგორც სცენის, ასევე დარბაზის უზარმაზარი კედლები შეტოკდა, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა და საზარლად დაიჭრაჭუნა.

_ ااااا! _ აღმოხდა ყველას, ვინც კი დარბაზში იმყოფებოდა.

წამიც და დარბაზის მძიმე ჭერი ყველას მიწაში ჩაიტანდა. მაგრამ ბესომ ხელი დაუშვა და დარბაზის კედლებიც და ჭერიც თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ხოლო ბესო, რომელიც ილუზიონისტის შავ ფრაკში გამოწყობილიყო, ტრიბუნაზე მჯდომ, შეშინებულ რამზესს მიუბრუნდა:

_ სისხლი გწყურია, მაშ, არა, რამზეს?! დღეს მოდაშია, ყველას მოძმის სისხლი სწყურია!.. ასე არ არის? _ შემობრუნდა ის დარბაზისკენ.

_ ისევ ჩემზეა ლაპარაკი? _ წამოდგა შალვა.

_ არა, რამზესზე! თქვენ დაბრძანდით, თქვენი დროც მოვა! _ ხელით ანიშნა ბესომ შალვას, რომ დამჯდარიყო. და თუმცა შალვა დაჯდომას არ აპირებდა, რაღაც ძალამ თავის ადგილზე დასვა.

_ გამაგიჟებენ! _ წაიბურტყუნა მან და შეშინებულმა ჭერს ახედა. _ როგორ აკეთებენ?

_ გაჩუმდი, ახალი ტექნოლოგიებია შემოსული, ამერიკული... აღარ წამოხტე, რამ გადაგრია?! ამ ქვეყანაში მეზობლების ჩხუბიც რომ შენ გბრალდება, პირველად გესმის? დადგან და ითამაშონ, რაც უნდათ, კისერიც უმტვრევიათ! შენი წინამორბედი თუ ასე იქცეოდა, ვინ რა ფეხები მოსჭამა, ბიჭოს! _ უსაყვედურა ნინელიმ.

მაგრამ პრეზიდენტმა ცოლს აღარ დაუჯერა, ზუმერი გაუშვა და დაცვას უბრძანა:

_ აქ რაღაც ხდება. სასწრაფოდ გადაჩხრიკეთ ყველაფერი და მომახსენეთ!

_ "ახლა კი, როცა უკვე მთელ სამყაროს დავუმტკიცეთ, რომ მეფე შიშველია... _ განაგრძო ილუზიონისტმა. _ მე რამდენიმე ახალ ფოკუსს შემოგთავაზებთ, ხომ თანახმა ხართ?" _ შეეკითხა ის დარბაზს და, პრეზიდენტის და პირველი ლედის გასაოცრად, დარბაზმაც მთელი ხმით უპასუხა:

_ თანახმა ვართ!

_ კაი ფოკუსებია, თუ ძმა ხარ, ლამის დარბაზი დაანგრიოთ!.. _ წამოხტა ისევ შალვა. _ რა შიშველი? იტალიური კოსტიუმი მაცვია, უკანასკნელ მოდაზე შეკერილი. აი, რა აწერია! _ შალვამ კოსტიუმის საყელო გადასწია და ხალხს გულისჯიბეზე მიკერებული იარლიყი უჩვენა: _ "ვერ-სა-ჩე". მაშ, რა გეგონათ თქვენ?! _ და კმაყოფილი დაჯდა.

დარბაზის კედლებმა ისევ დაიჭრაჭუნა და აქეთ-იქეთ წავიდ-წამოვიდა. ილუზიონისტმა კი ხელი აღმართა და კედლებიც პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

_ ცოტა მშვიდად, თორემ ჩამოგვენგრევა ჭერი თავზე, _ ზემოთ იყურებოდა ილუზიონისტი, თითქოს ამოწმებდა, კიდევ ტოკავს დარბაზის კედლები და ჭერი თუ არაო. _ მე შემიძლია, ნებისმიერი თქვენგანი დავაძინო და ვათქმევინო, რაც რაიმე დანაშაული ჩაუდენია ოდესმე, _ და ჯოხი პირდაპირ შალვას მიუშვირა. _ აი, შენ, ჰალსტუხიანო, მანდ რომ ბევრს ცქმუტავ, შენით დავიწყოთ!

_ ჩემით? რატომ მაინცდამაინც ჩემით? აქ უამრავი ადამიანია! _ ისევ წამოხტა სკამიდან შალვა.

_ ა, შეგეშინდა?! ვინ უამრავი ადამიანი? მე აქ მხოლოდ ავადმყოფებს ვხედავ.

_ ჰოდა, თუ ასეთი მაგარი ხარ, მოარჩინე ეს ხალხი, მე რას გადამეკიდე?! _ ხელი აუქნია ილუზიონისტს შალვამ და დაჯდა. _ არ წამომასკუპდა თავზე?! მეტის ღირსი ვარ!..

_ ბოდიში, ერთ წამს! _ ისევ შალვას მიმართა “ფოკუსნიკმა”. _ მაშინ, რაც თქვენ ყველაზე მეტად გაღელვებთ ამქვეყნად, იმას წარმოგიდგენთ... _ მერე თითები გაატკაცუნა და საოცარი, თანამედროვე აღმოსავლური მუსიკის ფონზე, სცენაზე ოცდათექვსმეტი ულამაზესი შიშველი ქალი გაჩნდა. არა მთლად შიშველი, არამედ, საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი. _ აი, ისინიც. ყველა მათგანი სხვადასხვა დროის საუკეთესო “მისები” უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ ძლიერთა ამა სოფლისათა გამო, “მისები” სულ სხვები, ბევრად ამათზე უშნო და ულამაზო ქალები ხდებოდნენ, ესენი კი _ ვერა! მოგწონთ?

_ გავაფრენ, რა! _ პირი დააღო პრეზიდენტმა და განცვიფრებული, წამოდგომასაც კი აპირებდა, რომ “დედოფალმა” უჩქმიტა და უკანვე დასვა.

_ იკმარე აქაურები! _ წაუსისინა თან ყურში. _ მოუნდა “მისები” და ვარსკვლავები!..

დარბაზს კი ხმების საოცარმა შრიალმა გადაურბინა.

_ აბა, ვის უნდა, რომ აი, ეს ულამაზესი გოგონა დაისაკუთროს? _ შეეკითხა მაყურებელს ბესო და ყველაზე ლამაზ გოგონას დაადო ხელი.

ამის თქმა იყო და დარბაზში ისეთი ყურთასმენის წამღები ღრიანცელი ატყდა, ადამიანს მეორედ მოსვლა ეგონებოდა. და ამის გამო, დარბაზის კედლებიც და ჭერიც ისევ “მუქარით” აჭრიალდა და წავიდ-წამოვიდა. ხალხმა კი შიშით ამოიგმინა და გაირინდა.

_ ჩუუ! _ გააფრთხილა მაყურებელი “ფოკუსნიკმა”. _ მუდამ უცხოელი ვერ გიშველით. ერთხელაც იქნება, თავზე ჩამოგენგრევათ. ვერ ხედავთ, როგორ ყანყალებს, ჩვენი სამშობლოსავით?!. მაშ, ასე, ბატონებო და ქალბატონებო, ახლა კი, თითოეული მათგანი, თქვენი ნებართვით, აუქციონზე გამომყავს. ნომერი პირველი _ “მის საქართველო ორიათასათი”!

_ უკვე ორიათასათი? ვინ არის ეს “ფოკუსნიკი”? რა გვარია? _ იკითხა უეცრად პრეზიდენტმა და მეუღლეს დააშტერდა. რა უშნო, უსახო ქალად მოეჩვენა, ამ ლამაზი ქალების შემხედვარეს, თავისი ცოლი! ეს ცოლად რამ მომაყვანინაო?.. ასეც კი გაიფიქრა და ხელი ასწია.

_ რა ხელს იწევ, ბიჭო, ჩამოუშვი ხელი! რა სატანა შეგიჩნდა? _ დაებღაუჭა აწეულ ხელზე ნინელი.

_ დამანებე თავი! _ გამოსცრა პრეზიდენტმა და ცოლს კბილები დაუღრჭიალა.

_ გისმენთ! _ სიტყვაში გამოსვლის უფლება მისცა პრეზიდენტს ბესომ.

_ ათასი დოლარი _ ჩემი!

რატომ, საიდან მოუვიდა თავში შალვას, რომ ასეთი სისულელე ეთქვა, არავინ იცის.

_ ორი ათასი! _ გაისმა მის გვერდით. შალვამ იქით გაიხედა და ხელთ თავისი ეკონომიკის მინისტრი შერჩა(!)...

_ სამი! _ გაისმა მარცხნიდან. შალვამ გაიხედა და ტრანსპორტის მინისტრი დაინახა. რა მივქარე, ავტობუსებში ბილეთები რომ არ შემოვაღებინე, ხომ შეიძლება, ეს ანგელოზი დამაწეროს კიდეცო! _ გაიფიქრა და ხორხიდან თავისით ამოუვიდა ხმა: _ ხუთი ათასი!

_ ათი! _ დაიძახა ისევ ეკონომიკის მინისტრმა.

_ თხუტმეტი! _ სკამიდან წამოხტა აღელვებული ტრანსპორტის მინისტრი.

“ასე ასზეც ავალთ...” _ გაიფიქრა შალვამ დანანებით.

_ ოცი!

_ ოცდახუთი!

_ ოცდაათი!

_ ორმოცი! _ ამოიხავლა შალვამ.

_ ორმოცდაათი! _ დაიყვირა ეკონომიკის მინისტრმა.

_ სამოცი! _ ამოიბღავლა მესამემ და შალვამ ისევ მოასწრო გაფიქრება: ხალხის მთელი ფული, რასაც მძღოლებს უხდიან, ბილეთებს რომ არ ვყიდით, ეტყობა სულ ამის ჯიბეში მიდისო. ისიც გაახსენდა, გაღორებული, მგზავრობის საფასურის ორმაგად გაზრდას რომ აპირებდა.

_ სამოცდაათი! _ ეს ისევ შალვა იყო.

_ ოთხმოცი! _ მიაყოლა ეკონომიკის მინისტრმა.

_ ოთხმოცდაათი! _ დააწია "ტრანსპორტმა".

_ ასი! და ხმა არ გავიგო არავისი! _ ორივე ხელი გაშალა, ფეხზე წამომხტარმა, პირზე დუჟმომდგარმა შალვამ და თავისიანებს თვალები გადაუბრიალა.

_ ასი ათასი _ ერთი! _ დაიწყო ჩაქუჩის რტყმა და თვლა ბესომ. _ ასი ათასი _ ორი!.. ასი ათასი _ სამი! გაყიდულია! ამობრძანდით, წაიყვანეთ!

ნინელი დაებღაუჭა, მაგრამ შალვამ უხეშად მოიცილა მისი ხელი და სცენისკენ ლამის სირბილით გაეშურა.

ვიღაც მასხარამ შუა რიგებიდან ფეხიც კი დაუდო. შალვა წამოედო და კინაღამ გაიშხლართა, თავი ძლივს შეიკავა. ერთი გემრიელად შეუკურთხა ხუმარას და სცენისკენ გავარდა.

_ ტუში! _ ბრძანება გასცა ილუზიონისტმა.

ორკესტრმა ტუში დააგუგუნა.

შალვა მოხდენილად ახტა სცენაზე და თავისი მომხიბლავი ღიმილით პირდაპირ ქალისაკენ დაიძრა, მაგრამ ბესომ შეაჩერა:

_ ფული? _ შეეკითხა შალვას ილუზიონისტი.

_ ფული?!. რა ფული? _ შალვა შედგა და თავისი მინისტრისკენ გაიშვირა ხელი: _ გადაურიცხე, რა, რომან, ასი ათასი, მობილური ხომ გაქვს თან?

_ საიდან, შალვა? ბიუჯეტი ცარიელია! _ წამოდგა რომანი.

_ რას ამბობ, მართლა? გუშინ გისმინე, ტელევიზორში გამოდიოდი, სამჯერ მეტი გვაქვს, ვიდრე სხვა დროსო, თქვი...

_ ეგ ხალხს ვუთხარი, შენ კი არა. რა სამჯერ მეტი?!.

_ მერე, რას უყურებენ, შენი ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, ვის ელოდებიან? ვერ ჩააყუდებენ და ვერ წაართმევენ ვინმეს?! ცოტა გვყავს ოლიგარქი?! თუნდაც, აი, ამ საავადმყოფოს მეპატრონეს, საიდანა აქვს ამხელა ფული? რა, თავისი შრომით იშოვა?..

_ და რა აზრი აქვს, მერე?! მაინც წყალში უნდა გადაყარო, არა?.. _ წამოსცდა რომანს.

_ შადრევნებს გულისხმობს, ალბათ... _ ხალხს გახედა შალვამ. _ არ შემიკლეს ხელში! _ და ბესოს მიუბრუნდა: _ "პოსლეზე" რომ გამატანო, არ შეიძლება?

_ "პოსლეზე? "მის საქართველო"?.. არაა! "პოსლეზე" მარტო რეზინისა შემიძლია გაგატანოთ, გასაბერი... სულაც, საჩუქრად. შეგიძლია წაიღო..." _ ილუზიონისტმა ხელი აიქნია და სცენაზე მდგომი ყველა "მისი" რეზინის შიშველ ტიკინად აქცია. შალვა მაშინვე სწვდა თავის ტიკინას, მაგრამ ბესომ შეაჩერა: _ მოითმინეთ, თქვენზე ამბობენ გიორგი ბრწყინვალეს ჰგავსო, არის "უშიში, ვითარცა უხორცოო". იარაღში ჩამჯდარ რუსზე ცარიელი ხელით იწევსო, მართალია?

_ დიახ! ის არ იყო დადგმა, არ მიმიშვეს კიდევ, თორემ...

_ კაი, კაი, დაწყნარდით. მაშინ, თანახმა იქნებით, შუაზე რომ გადაგჭრათ? ფოკუსი რომ ვუჩვენოთ დამსწრე საზოგადოებას. აი, ამ ყუთში უნდა ჩაწვეთ. _ ბესომ შალვას მაგიდაზე დადებულ მინებიან გრძელ ყუთზე მიუთითა. _ მეკი ამ ბირდაბირით გადაგხერხავთ.

_ და ისევ გამამთლიანებთ, ხომ?

_ კი, კი, რა თქმა უნდა.

შალვამ დარბაზში მჯდარ მეუღლეს გახედა. რა ვქნაო, თვალებით შეეკითხა. ნინელიმ თავი დაუქნია. შალვა გორგოლაჭებიან მაგიდაზე მდგარ ყუთში ჩაწვა. დარბაზი გაისუსა. მხოლოდ ხერხის მონოტური ხახუნის ხმა ისმოდა. შალვა კი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქოს სურდა მიმხვდარიყო, მის თავს რა ხდებოდა. ბესომ ყუთი გადახერხა. მერე შალვას გადახერხილი ტანის ზედა ნაწილი ერთ მხარეს დადგა, ქვედა კი გვერდზე მოუდგა.

_ გინდათ რაიმე უთხრათ თქვენს ხალხს?

გაკვირვებულმა შალვამ ქვედა ტანზე დაიხედა.

_ აუ, ეს რა არი? სად წავიდა ჩემი ფეხები? არ დაუკარგო, ბიჭო, ხალხს ჩემი ფეხები...

“ხალხს ჩემი ფეხები, ხალხს ჩემი ფეხები”... გაიმეორა ექომ დარბაზის კედლებიდან.

ბესომ სწრაფად ააყირავა ყუთები და შალვას ტან-ფეხი ისევ ერთმანეთს მიაწება.

_ წამოდექით! _ თქვა მან და შალვას მაგიდიდან ჩამოხტომაში წაეხმარა.

შალვამ ჯერ ფეხებზე დაიხედა, მერე კი ხელი სარცხვინებლისკენ გააპარა და რომ ნახა ყველაფერი რიგზე იყო, დარბაზს მიუბრუნდა.

_ აი, მეც ასე გავამთლიანებ ჩემს ქვეყანას. აი, ნახავთ, თუ არა! _ მიმართა მან პუბლიკას და ბესოს მიუბრუნდა. – ჰა, მატან ამ ქალს, თუ არ მატან? _ და ხელი თავის ტიკინას წაატანა. ამაზე რატომღაც ხალხმა ტაში დასცხო. _ ა, ხომ ხედავ, რა ტაში დასცხეს?! მოიტა, მოიტა, ჩემი “მისი”! გაბერილი რეზინის ტიკინაზეც თანახმა ვარ... _ მან თავისი ტიკინა თავს ზემოთ ასწია და ხალხს დაანახა: _ ნამდვილსა ჰგავს, ხომ იცით... _ მერე იღლიაში ამოიდო და კმაყოფილმა თავისი სკამისაკენ გასწია.

ეს იყო და ისეთი ღრიანცელი ატყდა!..

_ ჩვენც, ჩვენც, ჩვენც გვინდა! _ გაიძახოდა მაყურებელი და სცენისკენ იწვდიდა ხელს.

ილუზიონისტმა ხელი აღმართა:

_ რას ითხოვთ, ხალხო? გასაბერ ქალებს?!.

_ და კაცებს, კაცებს! _ გაისმა ქალების ხმები.

“გაგიჟდნენ სულმთლად...” _ ხელი ჩაიქნია ილუზიონისტმა და ზეციდან, გაბერილი რეზინის ტიკინების, ქალების თუ კაცების (რომლებსაც თავიანთი ასოები “გაებზიკათ”) ნამდვილი წვიმა წამოვიდა.

რა მოჰყვებოდა ამას, იქვე, იმ დარბაზში, ხომ წარმოგიდგენიათ?! ჰო, ჰო _ მასობრივი ორგია, სექსი _ სიმბოლურ ქალთან და სიმბოლურ კაცთან _ რომლის შედეგად, ბავშვი არ ჩნდება...

ინგრეოდა ძველი საქართველო, თავისი ძველი სულით, ტრადიციებით, მეგობრობით, ურთიერთობებით, სიყვარულით...

იწყებოდა...

რა იწყებოდა?..

იწყებოდა ახალი, უგულო და უსიყვარულო, ეგრეთ წოდებული, კლონური _ ხელოვნური განაყოფიერების ერა... ანუ ახალი _ უეროვნებო “საერთაშორისო ჰიბრიდის” მიღებაზე მუშაობა...

და სანამ დარბაზში ეს უცნაური ორგია გრძელდებოდა, პრეზიდენტის დაცვა, რომელმაც მისი ბრძანების მიღებისთანავე დაიწყო საავადმყოფოს ტერიტორიისა და თვით შენობის ჩხრეკა, საოცრად მძიმე სურათს წააწყდა: მთელი ტერიტორიაც და შენობაც დანაღმული აღმოჩნდა!... რა თქმა უნდა, სასწრაფოდ შეუდგნენ განაღმვას, უამრავი ნაღმიც გააუვნებელყვეს, მაგრამ პულტს ვერაფრით მიაგნეს. ხოლო როცა დარბაზში შეცვივდნენ, რათა პრეზიდენტი და პირველი ლედი სასწრაფოდ

მოეშორებინათ იქაურობისთვის, პირველი ნაღმი სწორედ მაშინ აფეთქდა. დარბაზი უეცრად გაკაშკაშდა და თვალისმომჭრელმა, დამაბრმავებელმა შუქმა იქაურობა გაანათა.

“დავბრმავდი!” _ გაუელვა თავში იმწამს შალვას და ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

_ ცოცხალი ხართ? _ დაჰკიოდა პრეზიდენტს პირადი მცველი და ღონივრად ანჯღრევდა, მაგრამ შალვა ვერც ვერაფერს ხედავდა და აღარც არაფერი ესმოდა.

“დავყრუვდი” _ ახლა ეს გაიფიქრა და ზემოთ აიხედა.

_ არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ, სინათლე ჩაქრა?.. _ ხელებს უმწეოდ ასავსავებდა წყვდიადში ჩაძირული პრეზიდენტი, რომელსაც მცველები გასასვლელისკენ მიათრევდნენ.

აფეთქებების სერია მცირე ხანს კიდევ გრძელდებოდა. დარბაზში საშინელი ღრიანცელი იდგა. ზოგი კვნესოდა, ზოგი ღრიალებდა. ხალხი გასასვლელს მიაწყდა. იყო ერთი ჯგლეთა და ერთმანეთის გადათქერა...

ჯაყომ სწორედ მაშინ დააჭირა პულტის წითელ ღილაკს თითი, როდესაც მის გვირაბს შეიარაღებულმა უშიშროების თანამშრომლებმა მიაგნეს და თავზე წამოადგნენ. მართალია, სამივე მეგობარი _ ჯაყოც, სურიკაც და ხახოც ადგილზევე ჩაცხრილეს, რამდენიმე გასაუვნებელი ნაღმი მაინც აფეთქდა. ერთ-ერთი კი, მაყურებელთა დარბაზში დაკიდულ, ბროლის ჭაღზე იყო დამაგრებული. ამიტომაც გაკაშკაშდა ასეთი ძალით დარბაზი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა კიდეც პრეზიდენტისთვის, უფრო სწორედ _ მისი თვალებისთვის და ყურებისთვის.

როცა პრეზიდენტის დაცვამ მოახერხა და “ობიექტი”, როგორც იქნა, დარბაზიდან გამოიყვანა, ყველა იქ მყოფი საშინელი სურათის მომსწრე გახდა. შალვას სახე მთლიანად სისხლით ჰქონდა მოთხვრილი და აღარც გონზე იყო. აი, ნინელი კი აბსოლუტურად უვნებლად გადარჩენილიყო.

_ ვაიმე, ჩემი შალვა, ჩემი შალვა... _ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას და რეანიმობილში უძრავად მწოლიარე ქმარს თავზე ხელს უსვამდა. _ ჩქარა, ჩქარა, ვიღუპები, ჩქარა!.. _ აჩქარებდა პირველი ლედი მძღოლს და თავისთვის ბუტბუტებდა. _ არა, არა, არ არსებობს, ამ ქვეყანას მხოლოდ სასწაულიღა თუ გადაარჩენს, მეტი ვერაფერი...

“ვისი ბრალია, მერე? ჩვენი თუ ამ მძორის?” _ გაიფიქრა მის გვერდით მჯდარმა პრეზიდენტის პირადმა მცველმა და შეშინებულმა მიმოიხედა, კიდევ კარგი, ფიქრები მაინც რომ არ ისმინებაო...

პრეზიდენტის სიყრუე და სიბრმავე ხალხში არ გახმაურებულა. თუმცა ჭორები მაშინვე გავრცელდა. იმ დღის მერე შალვას ორეული მართავსო ქვეყანას.

მიუხედავად უშიშროების დიდი მცდელობისა, ვერავინ ვერაფრით გაარკვია, ვინ იყო იმ ფირმის რეალური მფლობელი, რომელსაც სულიერად დაავადებულთა საავადმყოფო ეკუთვნოდა. და რადგან მასმედია უკვე აქტიურად მუშაობდა ჩვეულ რეჟიმში, მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ ნიღბოსნები კახას დაუდარაჯდნენ და, როგორც იციან, გემრიელად მიბეგვეს.

პაპუნამ საავადმყოფოში მეგობრის მონახულებას, სიფრთხილის გამო, თავი აარიდა. ის თამარას, თავისი ფირმის ადვოკატს შეხვდა და სთხოვა მოეგვარებინა, მასთან ერთად, თეონას საზღვარგარეთ გაყვანა.

_ ერთი სასიკეთო რამ მაინც სჭირს ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენია, _ უხსნიდა თამარა პაპუნას. _ აქ ფულს ისეთი დიდი ძალა აქვს, როგორიც ალბათ, არსად. თუკი

ფული გაქვს, მანიაკიც რომ იყო, თუნდაც სერიული მკვლელი და სიკვდილით დასჯა გქონდეს მოსჯილი, შენს ნაცვლად, ვინმე უბედურს მოკლავენ და შენ პირზე კოცნითა და ხელის ქნევით გაგაცილებენ, სადაც მოგესურვება, თუნდაც კანარის კუნძულებზე. იცი, რამდენი გარეწარი და მკვლელია ციხის გარეთ პირობით გამოსული? რამდენიც გინდა! ასე რომ, ორ დღეში ყველა საბუთი ჯიბეში გედება.

პაპუნამ თამარასგან თავის დას, ანის დაურეკა და შეხვედრა დაუთქვა. უნდოდა, ყველას, ყველა ახლობელს, რომელიც კი ცოცხალი ჰყავდა, საბოლოოდ დამშვიდობებოდა.

...სუფრაზე სამგლოვიარო განწყობილება სუფევდა. რეზიმ ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა და ახლა თვალზე ცრემლის გარეშე, სიტყვას ვეღარ ამბობდა. თან რაღაც ბიზნესზე ლუღლუღებდა, რომლის თავსა და ბოლოს ვერავინ მიუხვდა. ისინი _ ანი, რეზი, ელისო და პაპუნა _ რესტორან "ფიროსმანის" ერთ პატარა კუპეში ისხდნენ და რომ იტყვიან, კი არ ქეიფობდნენ, უბრალოდ, დრო გაჰყავდათ. ან რაზე უნდა ესაუბრათ? ყველა ძაფი, რომელიც მათ ერთ დროს, ასე თუ ისე, ერთმანეთთან აკავშირებდა, ახლა გაწყვეტილი კი არა, დაფლეთილი იყო.

პაპუნა სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და საფერფლეში ჭყლეტდა. სიგარეტის წევაში, ძმას არც ანი ჩამორჩებოდა, ამიტომ საფერფლე ძალიან მალე გაივსო. ვერც ღვინომ და ვერც არაყმა ვერ აუშალათ სალაპარაკოდ საღერღელი. ისხდნენ ჩუმად და თავ-თავისთვის იღეჭებოდნენ.

_ ყველა, ვინც აქედან მიდის და უკან დაბრუნებას აღარ აპირებს, მარტო ხალხს და ქვეყანას კი არა, საკუთარ თავსაც გაურბის, ალბათ... _ ჩაილაპარაკა ელისომ, რომელიც წელშიც შესამჩნევად მოხრილიყო და მხედველობაც უკიდურესად დაჰკლებოდა: _ ვეღარაფერს ვხედავ, შვილო, საკუთარ თითსაც კი, თუ თვალთან არ მივიტანე.

_ სამაგიეროდ, მახსოვრობა ისევ ისეთივე გაქვს, როგორც ყოველთვის, _ დაამშვიდა ანიმ.

_ მერე ეგ უარესი არ არის? ნეტავ, ყველაფერიც დამვიწყნოდა... _ უპასუხა ელისომ.

_ ფულს იხდი, ერთს კი არ დაგხედავენ, მოგაყრიან ამ საჭმელს და მერე სანთლით უნდა ეძებო... _ თქვა ანიმ, მოკიდა სიგარეტის ნამწვით სავსე საფერფლეს ხელი და კუპედან გავიდა. და პირდაპირ თაზოს არ შეეფეთა?! ვიღაც ხუთ ქალთან ერთად სუფრას მისჯდომოდა და გრიალებდა... რას არ მისცემდა ანი, რომ იმწუთას თაზო არ დაენახა, მაგრამ რა ექნა, სადღა გაექცეოდა?

_ ე, ამას აქ რა უნდა?! _ ჩაილაპარაკა თაზომ და წამოდგა. თან ტუალეტისკენ მიმავალ ცოლს თვალი გააყოლა. ბუნებრივია, დაინტერესდა, ვისთან ერთად იყო მისი საყვარელი მეუღლე და იმ კუპისკენ დაიძრა, საიდანაც ანი გამოვიდა. თავში ათასგვარმა ეჭვმა და აზრმა ერთდროულად გაუელვა, მაგრამ იმას, რაც იმ კუპეში დახვდა და ვინც იქ ერთად შეყუჟულები ნახა, ვერასოდეს წარმოიდგენდა.

_ ნიკა, შენ თბილისში ხარ?! _ ამოღერღა და კართან გაშეშდა. _ არ გადამრიო, ბიჭო! _ და ისე გადაეხვია და ისე მოუჭირა მკლავები, როგორც ეს მხოლოდ მას, თაზოს შეეძლო. რეზისთანაც იგივე პროცესი გაიმეორა, ხოლო ელისოს ზედაც არ შეხედა, თითქოს არც ყოფილიყო იქ. _ ახლავე მოვალ... _ თქვა და გავიდა.

სანამ თაზო დაბრუნდებოდა, ანი შემოვიდა, სუფთა საფერფლე მაგიდაზე დადგა და თავის სკამზე დაჯდა.

_ ჩემი გიჟი ქმარი მინდოდა მე ახლა?!. _ ჩაიბურტყუნა მან და სიგარეტს მოუკიდა.

თაზო, რა თქმა უნდა, თავის სუფრის წევრებს დაემშვიდობა და ჭიქითა და თეფშით ხელში, ახლობლებს შეუერთდა. შეუერთდა და თეატრალურად გამოაცხადა:

_ სახეზე გატყობთ მოწყენილობას, ვიწყებთ მხიარულ გან-ყო-ფი-ლო-ბას!

_ ასა-ა! _ გაიცინა ანიმ.

_ ჰო, მართლა, მე რატომ არავინ მითხრა, რომ ნიკა და რეზი ციხიდან გამოვიდნენ? _ იკითხა მან და ყველას სათითაოდ გადახედა.

_ ციხიდან შენა ხარ გამოსული, შე საცოდაო... _ უპასუხა ანიმ და ცივად ჩაიქირქილა.

_ არა, მე ერთხელ, ხომ იცი, დამადგნენ, ტო, მართლაც, ვიღაც ტიპები და კინაღამ არა მცემეს... _ გვითხარი, შენი ცოლისძმა სად არისო... ოღონდ ვერ გავიგე, რომელს გეძებდნენ, შენ თუ შენ? _ რეზის და პაპუნას შეხედა თაზომ. მერე ცოლს მიუბრუნდა: _ მე რატომ ვარ ციხიდან გამოსული, ვითომ?

_ კაი, რა, თაზო!.. არ უნდა შეგვეკითხო, რომ შემოგვეჭერი? იქნებ მართლაც ციხიდანაა ეს ხალხი გამოქცეული... _ უსაყვედურა ანიმ ქმარს.

_ რა, არა? _ მაგრად გაუკვირდა თაზოს. _ მერე, მე რომელი ჩამშვები მნახეთ, ტო?! თუ მენდობით, ისე დაგმალავთ, თაგვმაც ვერ მოგაგნოთ, არამც თუ ძაღლებმა.

_ თაზო, არც ნიკას სჭირდება შენი დახმარება და არც რეზის. იქით დაგეხმარებიან, თუ რაიმე პრობლემა გაქვს, გაიგე? _ თვალები დააშტერა ანიმ ქმარს და დაჰკივლა. _ გაჩუმდი, რა, ცოტა ხანს, _ და სხვებს მიუბრუნდა. _ რა ბედი მაქვს, ამის დედა ვატირე, სადაც წავალ, ესეც იქ უნდა დამეხატოს!..

_ მერე ეგ ცუდია? ცოლ-ქმარი ერთად უნდა იყვნენ ყოველთვის, _ და თაზომ თავის ნათქვამზე თვითონვე გადაიხარხარა. მაგრამ რომ დაინახა, არავინ აჰყვა, გაჩუმდა. _ თქვენ რა, არ ქეიფობთ? აბა, შემივსეთ! _ და ჭიქა ცოლს გაუწოდა.

ანიმ შეუვსო და გამოაცხადა:

_ რა ვქნათ, უნდა ავიტანოთ!..

_ ასატანადაც მაქვს, არა, საქმე?! _ ეწყინა თაზოს. _ რაც მე შენთვის სერენადები მიმღერია...

_ შვილს რატომ არ აჩენთ? _ შეეკითხა უეცრად ცოლ-ქმარს ნიკა.

_ რა-ა? _ ქვემოდან გახედა სუფრის წევრებს თაზომ. _ ამან რომ შვილი გააჩინოს?!. ხომ ცოცხლად გადაყლაპა, ტო! არაა...

კუპის კარი გაიღო და ნატო და თეონა შემოვიდნენ. მათ დანახვაზე ხომ მთლად გადაირია თაზო:

_ აუ, რამხელა გოგო გამხდარა, როგორ გალამაზებულა! _ კოცნა და კოცნა თეონა...

და ისე დამთავრდა სუფრა და ისე დაიშალნენ, თაზო ვერაფრით მიხვდა, რომ ეს და-ძმებისა და, საერთოდ, ბერიძეების უკანასკნელი სუფრა იყო, ისინი ერთად აღარასოდეს შეკრებილან...

მეორე დღეს, ღამით, მიუნხენის "ტრანზიტით", ნიკა და თეონა ამერიკაში გაფრინდნენ. მაღლიდან, ორივენი ერთად, ერთი ილუმინატორიდან დაჰყურებდნენ ლამაზად განათებულ თბილისს _ მანამდე, სანამ ბოლო ნათურის მკრთალი შუქი მათამდე აღწევდა. მერე კი ლაინერის სავარძლებში ჩაეფლნენ და გაურკვეველი მომავლისკენ აიღეს გეზი...

დასასრული

8. მარტი. 2007. თბილისი.

თბილისი 2005–7 წ. ტ: 2335466 მობ: 593917635
metrevelitamazi@yahoo.it